ჯ.კ. როულინგი

# ჰარი ჰოფერი

## და ნახევარპრინცი

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯ. კ. როულინგი

# ჰარი ფოტერი

## და

## ნახევარპრინცი




https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ინგლისურიდან თარგმნა

**ქეთევან ყანჩაშვილმა**

**ბაკურ სულაკაურის**
**გამომცემლობა**

ეძღვნება ჩემს
მშვენიერ ქალიშვილს
მაკენზის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

# თავი პირველი

## მეორე მინისტრი

შუაღამე ახლოვდებოდა. პრემიერ-მინისტრი მარტო იჯდა თავის კაბინეტში და მემორანდუმს კითხულობდა, მაგრამ წაკითხულიდან აზრი ვერა და ვერ გამოჰქონდა. რომელიღაც შორეული ქვეყნის პრეზიდენტის სატელეფონო ზარს ელოდებოდა და გამწარებული ფიქრობდა: ნეტავ, ეს ოხერი ვიღაცა როდის დააყენებს საშველს, როდის დარეკავსო. თან სულ იმას ცდილობდა, ამ უსასრულო კვირის განმავლობაში მომხდარი უსიამოვნო ამბები გონებიდან ამოეგდო. ჰოდა, ამ ტანჯვა-წამებაში მყოფს, რა თქმა უნდა, თავში არაფერი შესდიოდა: რაც უფრო მეტად ცდილობდა, ცხვირწინ დადებულ ფურცელზე გადაეტანა ყურადღება, მით უფრო მკაფიოდ უდგებოდა თვალწინ ერთ-ერთი პოლიტიკური ოპონენტის ღვარძლიანი სახე, რომელიც დღევანდელ საინფორმაციო გადაცემაში გამოვიდა და ყველა ის საშინელება ჩამოთვალა, გასული კვირის განმავლობაში რომ დატრიალდა (თითქოს ვინმეს ამის შეხსენება სჭირდებოდა!), ესეც არ იკმარა – დიდი ამბით განაცხადა, ამ ყველაფერში მთავრობაა დამნაშავეო.

პრემიერ-მინისტრს გული აუჩქარდა სრულიად უსამართლო, ბინძური ბრალდებების გახსენებაზე. აბა, მთავრობა რა შუაში იყო, რომ ხიდი ჩაინგრა? აღშფოთებისგან კინაღამ გადაირია, როცა ოპონენტმა გადაკვრით მიანიშნა, ხიდების შეკეთებასა და მშენებლობაზე საკმარისი ფინანსები არ იხარჯებაო. ხიდის აშენებიდან ჯერ ათი წელიც არ იყო გასული და საუკეთესო სპეციალისტებსაც კი ვერაფრით აეხსნათ, რატომ ჩაინგრა ხიდი და მდინარის სიღრმეში ჩაიტანა ათიოდე მანქანა. ან ენა როგორ მოუბრუნდა იმის სათქმელად, რომ ის ორი ამაზრზენი და გახმაურებული მკვლელობა პოლიციელების არასაკმარისი რაოდენობისა და მათი უსუსურობის


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბრალი იყო? ან ის საიდანღა მოიტანა, რომ მთავრობას როგორმე უნდა ეწინასწარმეტყველა სამხრეთ-დასავლეთ საგრაფოებში დატრიალებული მძვინვარე ქარიშხალი, რომელმაც ამხელა მატერიალური ზარალი მოიტანა და ამდენი ხალხი შეიწირა?

ან პრემიერ-მინისტრისა რა ბრალი იყო, რომ მისი ერთ-ერთი მოადგილე მაინცდამაინც ამ კვირას ისე ახირებულად იქცეოდა, რომ იძულებული გახდა, ახლა შინ მჯდარიყო და გარეთ ცხვირი არ გამოეყო.

„ქვეყანა სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი", – ასე დაასრულა გამოსვლა ოპონენტმა და არც უცდია, კმაყოფილი ღიმილი დაემალა.

სამწუხაროდ, ეს სრული ჭეშმარიტება გახლდათ. პრემიერ-მინისტრი ამას თავადაც გრძნობდა: ხალხი მართლაც ჩვეულებრივზე უფრო უსასოო ჩანდა. ამინდიც კი მოჟამული იდგა. გაგონილა ნოტიო ნისლი გაგანია ივლისში?! არა, რაღაც ვერ იყო წესრიგში! ეს არ იყო ნორმალური!

მინისტრმა მემორანდუმი გადაფურცლა და ნახა, რომ კიდევ ბევრი დარჩენოდა წასაკითხი. გულმოსულმა მემორანდუმი გვერდით მოისროლა, გაიზმორა, თავქვეშ ხელები შემოიწყო და დაღვრემილმა მოათვალიერა კაბინეტი. ლამაზი ოთახი იყო; დიდებული მარმარილოს ბუხარი მაღალი ფანჯრების მოპირდაპირე კედელში დაეტანებინათ, ფანჯრები ახლა საგულდაგულოდ იყო დაგმანული, ოთახში უდროო სიცივეს რომ არ შემოელწია. პრემიერ-მინისტრს ოდნავ გააჟრჟოლა, წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და მინაზე აკრულ მსუბუქ ნისლს გახედა. და, აი, სწორედ ამ დროს, უკნიდან ხმადაბალი ჩახველება მოესმა. მინისტრი ჩაბნელებულ მინაზე არეკლილ თავისსავე დამფრთხალ გამოსახულებაზე ცხვირმიბჯენილი გახევდა. ეს ხველება ეცნაურა, უწინაც გაეგონა. აუჩქარებლად შებრუნდა ცარიელი ოთახისკენ და იკითხა:

– ვინ არის აქ?

შეეცადა, შიშის დასაფარად ხმაში რიხი გაერია. წამით ამაო იმედი გაუჩნდა, იქნებ არავინ მიპასუხოსო, მაგრამ უმალვე ვიღაცა გამოეხმაურა, თანაც ისეთი მკაფიო და მტკიცე ხმით, თითქოს წინასწარ მომზადებულ განცხადებას კითხულობსო. პრემიერ-მინისტრი პირველსავე ჩახველებაზე მიხვდა, რომ ეს ხმა ზეთის საღებავებით შესრულებულ პატარა და ჭუჭყიან პორტრეტზე გამოსახულ ვერცხლისფერპარიკიან ჩია კაცს ეკუთვნოდა.

– მაგლთა პრემიერ-მინისტრს. სასწრაფოდ უნდა შეგხვდეთ. გთხოვთ, დაუყოვნებლივ მიპასუხოთ. პატივისცემით, ფაჯი.



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პორტრეტმა პრემიერ-მინისტრს კითხვით აღსავსე მზერა მიაპყრო.

– ეეეე... – ენა დაება პრემიერ-მინისტრს, – იცით, ახლა ამის დრო არა მაქვს. სატელეფონო ზარს ველოდები... ერთი პრეზიდენტისაგან...

– ეს შეგვიძლია გადავდოთ, – მყისვე მიუგო პორტრეტმა. პრემიერ-მინისტრს გული გადაუქანდა. სწორედ ამისი ეშინოდა.

– კი მაგრამ, მე აუცილებლად უნდა დაველაპარაკო...

– ჩვენ ისე მოვაწყობთ, რომ პრეზიდენტს დარეკვა დაავიწყდეს. დღეის ნაცვლად, ხვალ საღამოს დაგირეკავთ, – აღუთქვა ჩია კაცმა, – გთხოვთ, დაუყოვნებლივ უპასუხოთ ბატონ ფაჯს.

– მმმ... ჰო, კარგი, – ხმა დაეკარგა პრემიერ-მინისტრს, – კარგი, შევხვდები ფაჯს.

მერე ჰალსტუხის სწორებით საჩქაროდ მივიდა თავის საწერ მაგიდასთან. ძლივს მოასწრო სკამზე დაჯდომა და, შეძლებისდაგვარად, დინჯი და გულგრილი გამომეტყველების მიღება, რომ მარმარილოს ცარიელი ბუხრის ცხაურს მიღმა კაშკაშა ზურმუხტისფერი ცეცხლი აბრიალდა. მინისტრი ბუხარს მიაჩერდა და შეეცადა, სახეზე გაოცება ან შიში არ გამოხატვოდა, როცა ცეცხლის ენებში ციბრუტივით მოტრიალე ჩამრგვალებული მამაკაცი გაჩნდა. წამიც და, კაცმა, რომელსაც ხელში ლიმონისფერი ცილინდრი ჩაებღუჯა, ჩინებულ ანტიკვარულ ნოხზე გადმოაბიჯა და გრძელი, ზოლიანი მანტიის სახელოებიდან ნაცარი ჩამოიბერტყა.

– გამარჯობა, ბატონო პრემიერ-მინისტრო, – კორნელიუს ფაჯი ხელგამოწვდილი გამოეშურა მისკენ, – მიხარია, ისევ რომ შევხვდით.

პრემიერ-მინისტრი იმავეს, რა თქმა უნდა, ვერ ეტყოდა, ამიტომ დუმილი არჩია. იგი სულაც არ გახლდათ ნასიამოვნები ფაჯის ხილვით, რადგან მის პერიოდულ, შემაშფოთებელ სტუმრობებს ყოველთვის ცუდი ამბები მოჰყვებოდა ხოლმე. ამჯერად კი ფაჯს ერთი შეხედვითვე ეტყობოდა, რომ რაღაცით იყო აფორიაქებული. სახე გასცრეცოდა, გამხდარი, უფრო გამელოტებული და გაჭაღარავებულიც კი ჩანდა. პრემიერ-მინისტრს ადრეც არაერთხელ ენახა მსგავსი გამომეტყველება პოლიტიკოსების სახეზე და იცოდა, რომ ეს კარგს არაფერს მოასწავებდა.

– რით შემიძლია გემსახუროთ? – ფაჯს ხელი ცივად ჩამოართვა და მაგიდასთან მდგარი სკამებიდან ყველაზე მაგარზე მიუთითა.

– არც კი ვიცი, რით დავიწყო, – წაილუღლუღა ფაჯმა, სკამი მიიჩოჩა, ჩამოჯდა და ლიმონისფერი ცილინდრი მუხლებზე დაიდო, – რომ იცოდეთ, რა კვირა გამოვიარე... რა კვირა...



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაშ, თქვენც ცუდი კვირა გქონდათ? – მშრალად ჰკითხა პრემიერ-მინისტრმა, რითაც ცხადად აგრძნობინა ფაჯს, ჩემი პრობლემებიც მყოფნის, თქვენიც რომ არ დამიმატოთო.

– დიახ, რასაკვირველია, – დაქანცულმა ფაჯმა თვალები მოიფშვნიტა და დაღვრემილმა შეხედა პრემიერ-მინისტრს, – მეც ისეთივე კვირა მქონდა, როგორიც – თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო... ბროკდეილის ხიდი, ბონსისა და ვენსის მკვლელობა... რომ აღარაფერი ვთქვათ დასავლეთ საგრაფოებში დატრიალებულ ვაიუშველებელზე...

– თქვენ... ეეე... მაშასადამე, თქვენი ხალხი იყო გარეული ამ... ამ ამბებში? – ძლივს ამოღერღა პრემიერ-მინისტრმა.

ფაჯმა პრემიერ-მინისტრს თვალი თვალში გაუყარა.

– რა თქმა უნდა. თვითონაც ხომ მიხვდით, რაც ხდება?

– მე... – შეყოყმანდა პრემიერ-მინისტრი.

აი, სწორედ ასეთი რამეების გამო ვერ იტანდა ფაჯის ვიზიტებს. ბოლოს და ბოლოს, პრემიერ-მინისტრი იყო და მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა, როცა ვინმესთან თავს ოროსანი მოსწავლესავით გრძნობდა.

არადა, ფაჯთან პირველივე შეხვედრისას სწორედ ასეთი შეგრძნება დაეუფლა. ფაჯი პირველად სწორედ იმ დღეს ესტუმრა, როცა პრემიერ-მინისტრი გახდა. ეს შეხვედრა გუშინდელი დღესავით ახსოვდა და დარწმუნებული იყო, კუბოს კარამდე არ დაავიწყდებოდა.

მაშინაც სწორედ ასე მარტოდმარტო იდგა ოფისში და ტკბებოდა იმ ტრიუმფით, რომელსაც ამდენი წლის დაუღალავი შრომის შედეგად მიაღწია. მაშინაც ზურგს უკან ვიღაცამ ჩაახველა, შეცბუნებული მინისტრი შეტრიალდა და გული გადაუქანდა, როცა პატარა, გონჯი პორტრეტი დაელაპარაკა და გამოუცხადა, წუთი წუთზე მაგიის მინისტრი მობრძანდება და გაგეცნობათო.

ბუნებრივია, პრემიერ-მინისტრმა იფიქრა, ეტყობა, ხანგრძლივმა და დაძაბულმა საარჩევნო კამპანიამ ჭკუიდან შემშალა და მოჩვენებები დამეწყოო. შიშით აკანკალებდა, როცა ახსენდებოდა, როგორ ელაპარაკებოდა პორტრეტზე გამოსახული ჩია კაცი, მაგრამ ეს შიში რა მოსატანი იყო იმასთან შედარებით, რაც მაშინ დაემართა, როცა ბუხრიდან თმაგაჩეჩილი კაცი გამოხტა და ხელი ჩამოართვა.

მინისტრი კრიჭაშეკრული უსმენდა, სანამ ფაჯი თავაზიანად განუმარტავდა, მთელ მსოფლიოში დღესაც საიდუმლოდ ცხოვრობენ ჯადოქრებიო, და აიმედებდა, თქვენ სანერვიულო არაფერი გაქვთ, რადგან მთელ ჯადოქრულ საზოგადოებაზე მაგიის მინისტრი აგებს პასუხს, ის კი არ დაუშვებს, რომ არაჯადოქრულმა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოსახლეობამ ჯადოქრების არსებობის შესახებ რაიმე შეიტყოსო.

ფაჯმა გადაღლილი კაცის იერით ისიც აღნიშნა, რომ მაგიის მინისტრობა ურთულესი სამუშაო იყო, რომელიც ითავსებდა ყველაფერს: მფრინავი ცოცხებით გონივრული სარგებლობის წესებით დაწყებული, დრაკონების კონტროლით დამთავრებული (პრემიერ-მინისტრს გაახსენდა, ამის გაგონებაზე როგორ მოეჭიდა მაგიდას, რომ არ წაქცეულიყო). ამის შემდეგ ენაჩავარდნილ პრემიერ-მინისტრს მხარზე მამაშვილურად მოუთათუნა ხელი და დაამატა:

– ნუ ღელავთ, მე მგონი, ამიერიდან ვეღარ მიხილავთ. მხოლოდ მაშინ შეგაწუხებთ, თუ ჩვენს მხარეს ძალიან სერიოზული რამე მოხდება – ისეთი რამე, რაც მაგლებს, ანუ არაჯადოქრულ საზოგადოებასაც ავნებს. მანამდე კი ჩვენ ჩვენთვის ვიცხოვრებთ. ისე, სხვათა შორის, თქვენ ბევრად უკეთ მიიღეთ ეს ამბავი, ვიდრე თქვენმა წინამორბედმა. წარმოგიდგენიათ, მან ფანჯრიდან გადაგდება დამიპირა, ეგონა, რომ მის გასაპამპულებლად შემოგზავნილი ოპოზიციის წარმომადგენელი ვიყავი.

ამ დროს პრემიერ-მინისტრს, როგორც იქნა, ხმა დაუბრუნდა და წყალწაღებულივით ხავსს მოეჭიდა:

– მაშ... მაშ, შემოგზავნილი არა ხართ?

– არა, – დაუყვავა ფაჯმა, – სამწუხაროდ, არა. შეხედეთ!

– დასძინა მან და პრემიერ-მინისტრის ჩაის ფინჯანი ზაზუნად აქცია.

– კი მაგრამ, – სუნთქვა შეეკრა პრემიერ-მინისტრს და თავის ყოფილ ჩაის ფინჯანს მიაჩერდა, რომელიც მადიანად ღრღნიდა მისი მომავალი მოხსენების ფურცლის კიდეს, – კი მაგრამ... რატომ არავინ მითხრა?

– მაგიის მინისტრი თავის ვინაობას მხოლოდ მაგლთა მოქმედ პრემიერ-მინისტრს უმხელს, – განუმარტა ფაჯმა და ჯადოსნური ჯოხი მანტიის ჯიბეში ჩაიდო, – ჩვენ ეს საიდუმლოს შენახვის საუკეთესო გზად მიგვაჩნია.

– მაშ, ჩემმა წინამორბედმა მაინც რატომ არ გამაფრთხილა... – საწყლად წამოიკიკინა პრემიერ-მინისტრმა. ამაზე ფაჯს გულიანად გაეცინა.

– ჩემო ძვირფასო პრემიერ-მინისტრო, განა თქვენ კი მოუყვებით ვინმეს?

ახითხითებულმა ფაჯმა სწრაფად შეყარა რაღაცა ფხვნილი ბუხარში, ზურმუხტისფერ ალში შეაბიჯა და შხუილით გაუჩინარდა.

პრემიერ-მინისტრი გაუნძრევლად იდგა და ხვდებოდა, რომ ამ შეხვედრის შესახებ თავის დღეში კრინტსაც ვერ დაძრავდა, რადგან მაინც არავინ დაუჯერებდა.



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გარკვეული დრო დასჭირდა, სანამ ელდა გადაუვლიდა. თავდაპირველად სცადა, თავი დაერწმუნებინა, ფაჯი ნამდვილად მომქანცველი საარჩევნო კამპანიისას გატარებული უძილო ღამეებით გამოწვეული ჰალუცინაცია იყოო. მერე შეეცადა, ყველაფერი, რაც ამ არასასიამოვნო შეხვედრას მოაგონებდა, თავიდან მოეშორებინა, ამიტომ ზაზუნა ძმისშვილს აჩუქა და ამით ძალიანაც გაახარა. თავის პირად მდივანს კი უბრძანა, გონჯი ჩია კაცის პორტრეტი კედლიდან ჩამოეხსნა. მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ პორტრეტის ჩამოხსნა შეუძლებელი იყო.

მას შემდეგ, რაც რამდენიმე ხურომ, ერთი-ორმა მშენებელმა, ხელოვნების ისტორიკოსმა და ფინანსთა მინისტრმა უშედეგოდ სცადეს სურათის კედლიდან ჩამოგლეჯა, პრემიერ-მინისტრმა ხელი ჩაიქნია და იმის იმედადღა დარჩა, რომ მისი პრემიერ-მინისტრობის პერიოდში პორტრეტი უძრავად და ჩუმად ეკიდებოდა. დროდადრო ხედავდა, სურათის ბინადარი როგორ ამთქნარებდა ან ცხვირს იფხანდა, ერთი-ორჯერ, თქვენ წარმოიდგინეთ, სურათიდან გავიდა კიდეც და მის ადგილას ჩარჩოზე გადაჭიმული მქრქალი ყავისფერი ტილოღა დარჩა. პრემიერ-მინისტრს შეეძლო დაეფიცა, რომ ყველაფერს თავისი თვალით ხედავდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ყველა ღონეს ხმარობდა, ხშირად არ შეეხედა სურათისთვის და თავს ირწმუნებდა, თვალი მატყუებსო.

მაგრამ სამიოდე წლის წინ, ერთ მშვენიერ საღამოს, როცა პრემიერ-მინისტრი ისევ მარტო იჯდა კაბინეტში, პორტრეტმა კვლავ ამცნო ფაჯის მოახლოებული ვიზიტის ამბავი და ფაჯიც მაშინვე გამოვარდა ბუხრიდან, თავით ფეხამდე გალუმპული და გვარიანად შეშფოთებული. სანამ პრემიერ-მინისტრი ჰკითხავდა, რატომ მისველებთ ანტიკვარულ ნოხსო, ფაჯი უკვე გამწარებული ქაქანებდა ერთ ციხეზე, რომლის შესახებაც პრემიერ-მინისტრს არა გაეგონა რა; ვიღაც კაცსაც ახსენებდა, „სერიოზ“ ბლექს, რაღაც ჰოგვორტსს და კიდევ ერთ ბიჭს, მგონი, ჰარი პოტერს. პრემიერ-მინისტრისთვის, რა თქმა უნდა, ეს სახელები არაფერს ნიშნავდა.

– ...ახლა აზკაბანიდან მოვდივარ, – ამოიქშინა ფაჯმა და ცილინდრის ფარფლზე დაგროვილი წყალი ჯიბეში ჩაიღვარა – ჩრდილოეთის ზღვის შუაგულშია, იცით, საშინლად გამიჭირდა გადმოფრენა... დემენტორები განრისხებულები არიან, – ფაჯს გააჟრჟოლა, – მათ ჯერ არც ერთი პატიმარი არ გაჰქცევიათ. ერთი სიტყვით, აუცილებლად უნდა მენახეთ, პრემიერ-მინისტრო. ბლექი ცნობილი მაგლთა რისხვაა, არაერთი კაცი ჰყავს მოკლული და შეიძლება ჩვენ-რომვიცით, იმის მხარეზე კვლავაც გადავიდეს... უი, თქვენ ხომ აზრზე


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არა ხართ, ჩვენ-რომ-ვიცით, ვინ არის! – წამით პრემიერ-მინისტრს უიმედოდ შეაჭყიტა თვალები და შემდეგ დასძინა: – მაშ, კარგი. დაბრძანდით, დაბრძანდით, ჯობია, ჯერ საქმის კურსში ჩაგაყენოთ... ვისკი მიირთვით...

პრემიერ-მინისტრმა საშინლად იუკადრისა ის ამბავი, რომ საკუთარ კაბინეტში შესთავაზეს, დაბრძანდით და ვისკი მიირთვითო, მაგრამ მაინც დაჯდა. ფაჯმა კი ამასობაში ჯადოსნური ჯოხი ამოაძვრინა, ქარვისფერი სითხით სავსე ორი დიდი ჭიქა გააჩინა, ერთი პრემიერ-მინისტრს შეაჩეჩა ხელში და თვითონაც მაგიდასთან ახლოს მოკალათდა.

ფაჯმა საათზე მეტხანს ილაპარაკა. შუა ლაპარაკში ერთი სახელის ხმამაღლა წარმოთქმა არ ისურვა. ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერა და პრემიერ-მინისტრს თავისუფალ ხელში ჩასჩარა. ბოლოს, როგორც იქნა, წასასვლელად მოემზადა და პრემიერ-მინისტრიც წამოდგა.

– მაშ, თქვენი ვარაუდით... – მან თვალები მოწკურა და მარცხენა ხელში ჩაბღუჯულ ქაღალდზე დაწერილ სახელს დახედა, – ლორდი ვოლ...

– ის, ვისი სახელიც არ ითქმის! – შეუღრინა ფაჯმა.

– უკაცრავად... გამოდის, რომ, თქვენი ვარაუდით ის, ვისი სახელიც არ ითქმის, ჯერაც ცოცხალია?

– დამბლდორი ამბობს, ცოცხალიაო, – ფაჯმა ზოლებიანი მანტია ნიკაპამდე შეიკრა, – არავინ იცის მისი გზა-კვალი. მე თუ მკითხავთ, საშიში სულაც არაა, სანამ მხარში არავინ უდგას, ამიტომ ახლა მთავარი ბლექია! მაშასადამე, განცხადებას გაავრცელებთ, არა? ჩინებულია. იმედია, ერთმანეთს აღარასოდეს შევხვდებით, პრემიერ-მინისტრო. ღამე მშვიდობისა!

მაგრამ ისევ მოუწიათ შეხვედრა. იმ დღიდან წელიწადიც არ იყო გასული, რომ ფაჯი უეცრად გაჩნდა კაბინეტში და პრემიერ-მინისტრს გაწამებული სახით აცნობა, „ქუდიჩის“ (ყოველ შემთხვევაში, მინისტრმა ეს სიტყვა ასე გაიგო) მსოფლიო ჩემპიონატზე გარკვეული პრობლემები შეგვექმნა და ამ ამბავში რამდენიმე მაგლიც აღმოჩნდა „გარეულიო“; მაგრამ პრემიერ-მინისტრმა არ უნდა იდარდოს, ჩვენ-რომ-ვიცით, მისი ნიშნის კვლავ გამოჩენა არაფერს ნიშნავს, დარწმუნებული ვარ, ეს ერთეული შემთხვევაა; მაგლებთან ურთიერთობის სამმართველო კი სწორედ ამ წუთებში მაგლების მეხსიერების შეცვლაზე მუშაობს.

– ჰო, კინაღამ დამავიწყდა, – დასძინა ფაჯმა, – სამი ჯადოქრის ტურნირისათვის საზღვარგარეთიდან სამი დრაკონი და სფინქსი ჩამოგვყავს, ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ჯადოსნური არსებების


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რეგულირებისა და კონტროლის დეპარტამენტის წესდების შესაბამისად, ვალებული ვარ, გაცნობოთ, როცა ქვეყანაში სიცოცხლისათვის სახიფათო არსებები შემოგვყავს.

– მე... რაო?.. დრაკონები? – ენა დაება პრემიერ-მინისტრს.

– დიახ, სამი დრაკონი, – გაუმეორა ფაჯმა, – და კიდევ – სფინქსი. კარგად ბრძანდებოდეთ, პრემიერ-მინისტრო. პრემიერ-მინისტრი ტყუილად იმედოვნებდა, ფაჯისგან დრაკონებსა და სფინქსზე უარესს აღარაფერს გავიგონებო, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ორი წელიც არ იყო გასული, რომ ბუხრიდან ისევ გამოხტა ფაჯი და ამბავი მოიტანა, აზკაბანიდან მასობრივი გაქცევა მოხდაო.

– მასობრივი გაქცევა? – ხმა ჩაუწყდა პრემიერ-მინისტრს.

– ნუ ღელავთ! სანერვიულო არაფერია! – შესძახა ფაჯმა, რომელსაც ცალი ფეხი უკვე ცეცხლში ედგა, – ხვალ ან ზეგ ყველას დავიჭერთ! უბრალოდ, საჭიროდ ჩავთვალე, ეს თქვენთვის მეცნობებინა.

და სანამ პრემიერ-მინისტრი მიაძახებდა, ერთი წუთით დაიცადეთო, ფაჯი მწვანე ნაპერწკლების კორიანტელში გაუჩინარდა.

რაც უნდა ეთქვა პრესასა და ოპოზიციას, პრემიერ-მინისტრი სულელი არ იყო. მას არ გამოჰპარვია, რომ მიუხედავად ფაჯის შეპირებისა, ერთმანეთს აღარასოდეს შევხვდებითო, მათ ახლა საკმაოდ ხშირად უწევდათ ერთმანეთის ნახვა. ისიც ნათელი იყო, რომ ფაჯი ყოველ მოსვლაზე სულ უფრო მეტად აღელვებული ჩანდა.

მართალია, პრემიერ-მინისტრს სულაც არ სიამოვნებდა მაგიის მინისტრზე (ან, როგორც თავად გულში უწოდებდა ფაჯს, – „მეორე მინისტრზე“) ფიქრი, მაგრამ თავისდა უნებურად შიშობდა, რომ ფაჯის შემდეგი მოსვლის მიზეზი უფრო უარესი და სერიოზული იქნებოდა. ამიტომ ჩათვალა, რომ ბუხრიდან გამოსული აჩეჩილ-დაჩეჩილი და ნერვებაშლილი ფაჯის ხილვა ამ უკიდურესად უსიამოვნო კვირის განმავლობაში მომხდარი ამბებიდან ყველაზე უარესი იყო.

ფაჯი გაოცდა და უკმაყოფილო დარჩა იმის გამო, რომ პრემიერ-მინისტრს ოდნავი წარმოდგენაც არ ჰქონდა მისი მოსვლის მიზეზზე.

– საიდან უნდა ვიცოდე, რა ხდება... ეეე... ჯადოქრულ საზოგადოებაში? – შეუღრინა ფაჯს პრემიერ-მინისტრმა, – მე ქვეყნის მართვა მაბარია და ახლა უთქვენოდაც ბევრი თავსატეხი მაქვს...

– ჩვენც იგივე თავსატეხი გვაქვს, – შეაწყვეტინა ფაჯმა, – ბროკდეილის ხიდი თავისით სულაც არ ჩანგრეულა, ის ქარიშხალიც არ იყო ნამდვილი. არც ის მკვლელობები ჩაუდენიათ მაგლებს. თქვენი მოადგილის, ჰერბერტ ჩორლის ოჯახი კი მის გარეშე ბევრად უსაფრთხოდ იქნება. ჩვენ ამ წუთებში ვაპირებთ ჩორლის ჯადოს-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნური სნეულებებისა და ტრავმების წმინდა მუნგოს კლინიკაში გადაყვანას. აუცილებლად ამაღამვე გადავიყვანთ.

– თქვენ რას... უკაცრავად... რა? – იღრიალა პრემიერ-მინისტრმა.

ფაჯმა მძიმედ ამოიოხრა:

– პრემიერ-მინისტრო, სამწუხაროდ, უნდა გაცნობოთ, რომ ის დაბრუნდა. ის, ვისი სახელიც არ ითქმის, დაბრუნდა!

– დაბრუნდა? „დაბრუნებაში" რას გულისხმობთ... ცოცხალია? ესე იგი...

პრემიერ-მინისტრმა გონების ყველა კუთხე-კუნჭული მოჩხრიკა, რომ სამი წლის წინანდელი საშინელი საუბრის დეტალები გაეხსენებინა. მაშინ ფაჯმა მას ერთი უძლიერესი ჯადოქრის შესახებ უამბო, რომლისაც ყველას ძალიან ეშინოდა; ამ ჯადოქარს თხუთმეტი წლის წინ გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარებამდე ათასობით საზარელი დანაშაულის ჩადენა მოესწრო.

– დიახ, ცოცხალია, – დაუდასტურა ფაჯმა, – ანუ... რა ვიცი... განა შეიძლება „ცოცხალი" უწოდო კაცს, თუ მისი მოკვლა შეუძლებელია? მთლად კარგად არ მესმის, დამბლდორიც ხომ წესიერად არაფერს აგიხსნის!.. მოკლედ, სხეული ნამდვილად აქვს, დადის, ლაპარაკობს და კლავს, ასე რომ, მგონი, შეიძლება ცოცხალი ეწოდოს.

პრემიერ-მინისტრმა არ იცოდა, ამაზე რა ეპასუხა, მაგრამ ძვალრბილში გამჯდარმა ჩვევამ – რა თემაზეც უნდა წამოჭრილიყო საუბარი, ყოველთვის საქმეში ჩახედული კაცივით დაეჭირა თავი, – აიძულა, პირველსავე დეტალს ჩასჭიდებოდა, რაც ფაჯთან უწინდელი საუბრებიდან გაახსენდა.

– სერიოზ ბლექი... იმასთან... რა ჰქვია, ვისი სახელიც არ ითქმის, იმასთანაა?

– ბლექი? ბლექი?– დაიბნა ფაჯი და თითებით სწრაფად დაატრიალა ცილინდრი, – სირიუს ბლექს გულისხმობთ? მერლინის წვერს ვფიცავ, არა. ბლექი მკვდარია. აღმოჩნდა, რომ ჩვენ... ეეე... ბლექის ამბავში შევცდით. თურმე უდანაშაულო ყოფილა. და ვისი სახელიც არ ითქმის, მის მხარეზეც არასდროს ყოფილა, – ისე დასძინა, თითქოს თავს იცავსო, და უფრო სწრაფად დააბზრიალა ცილინდრი, – არადა, ყველა გარემოება მასზე მიუთითებდა – ჩვენ ორმოცდაათზე მეტი თვითმხილველი მოწმე გვყავდა, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ... მოკლედ, როგორც უკვე გითხარით, მკვდარია. უფრო სწორად, მაგიის სამინისტროს შენობაში მოკლეს. სხვათა შორის, ამ საქმის ძიება უკვე მიმდინარეობს...

პრემიერ-მინისტრმა, მისდა გასაოცრად, რატომღაც სიბრალული იგრძნო ფაჯის მიმართ. თუმცა, ეს გრძნობა თითქმის მაშინვე


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაჩრდილა თვითკმაყოფილების გრძნობამ: მართალია, იგი ბუხ-რებით მგზავრობის უნარს მოკლებული იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი მმართველობის პერიოდში არც ერთ სამთავრობო უწყებაში მკვლელობა არ მომხდარა... ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

ცრუმორწმუნე პრემიერ-მინისტრმა შეუმჩნევლად სამჯერ დააკაკუნა ხის მაგიდაზე. აფორიაქებული ფაჯი კი განაგრძობდა:

– მაგრამ ბლექი უკვე წარსულს ჩაბარდა. ახლა მთავარი ისაა, რომ ჩვენ გაგანია ომი გვაქვს გაჩაღებული, პრემიერ-მინისტრო, და ამის გამო გადამწყვეტი ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

– ომი? – აღელდა პრემიერ-მინისტრი, – ცოტას ხომ არ აზვიადებთ?

– ვისი სახელიც არ ითქმის, მას იანვარში კვლავ შეუერთდნენ აზკაბანიდან გაქცეული მიმდევრები, – სხაპასხუპით მიაყარა ფაჯმა და ისე სწრაფად დააბზრიალა ცილინდრი, რომ ქუდის ნაცვლად ლიმონისფერი ბუნდოვანი ლაქაღა ჩანდა, – მას შემდეგ, რაც დაუ-ფარავად დაიწყეს ბრძოლა, ქვას ქვაზე აღარ ტოვებენ. ბროკდეილის ხიდიც მან ჩაანგრია, პრემიერ-მინისტრო, – ადრე მაგლთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტით დამემუქრა, თუ განზე არ გავდგებოდი და ხელს შევუშლიდი...

– რაოო! ეს რა მესმის! მაშ, იმ ხალხის დაღუპვა თქვენი ბრალია, მე კი პასუხი უნდა ვაგო იმაზე, ვითომ არმატურა იყო დაჟანგული, საყრდენი კი – კოროზიისგან შეჭმული და რა ვიცი, კიდევ რაზე! – გაცეცხლდა პრემიერ-მინისტრი.

– ჩემი ბრალია?! – წამოწითლდა ფაჯი, – თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ ასეთ შანტაჟზე წამოეგებოდით?

– შესაძლოა, არა, – პრემიერ-მინისტრი წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა, – მაგრამ მთელ ძალისხმევას შანტაჟისტის დაჭერისკენ მივმართავდი, სანამ ის ასეთი საშინელების ჩადენას მოასწრებდა!

– ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ მე გულხელდაკრეფილი ვიჯექი? – გაცხარდა ფაჯი, – სამინისტროს ყველა აურორი მაშინაც და ახლაც თავს არ ზოგავს, რომ ისა და მისი მიმდევრები კუთხეში მიიმწყვდიოს, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ ახლა ყველა დროის უძლიერეს ჯადოქარზე ვსაუბრობთ; იმ ჯადოქარზე, რომელიც, აგერ უკვე ოცდაათი წელია, ხელიდან გვისხლტება!

– როგორც ჩანს, ახლა იმასაც მეტყვით, რომ სამხრეთ-დასავლეთ საგრაფოებში ქარიშხალიც მან გამოიწვია, არა? – იკითხა მთლად გაცოფებულმა პრემიერ-მინისტრმა. ლამის გული გასკდომოდა იმის გაფიქრებაზე, რომ ყველა უბედურების მიზეზი აღმოაჩინა, საზოგა-დოებისათვის კი არაფრის თქმა არ შეეძლო; ამას ნამდვილად ერჩია, ეს ყველაფერი მართლა მთავრობის ბრალი ყოფილიყო.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეს... ეს ქარიშხალი არ იყო, – საცოდავად ჩაილაპარაკა ფაჯმა.

– აბა, რა იყო! – დაიღრიალა პრემიერ-მინისტრმა, – ძირფესვიანად ამოგლეჯილი ხეები, სახურავახდილი სახლები, გადაღუნული ლამპიონები, მძიმედ დაშავებული ხალხი...

– ყველაფერი „სიკვდილის მხვრელებმა“ ჩაიდინეს, – თქვა ფაჯმა, – ვისი სახელიც არ ითქმის, მისმა მიმდევრებმა. და... და ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ აქ გოლიათების ხელიც ურევია. პრემიერ-მინისტრი ისე უეცრად შედგა ერთ ადგილზე, თითქოს უხილავ კედელს შეასკდაო.

– ვისი ხელი?

ფაჯს სახე დაემანჭა.

– ჰო, ბოლოს გოლიათები გამოიყენა გრანდიოზული ეფექტის მოსახდენად. დეზინფორმაციის განყოფილება დღესა და ღამეს ასწორებს, ობლივიატორების ჯგუფები დავაგზავნეთ ყველა მაგლის მეხსიერების წასაშლელად, რომელიც კი სინამდვილეში მომხდარს შეესწრო. ჯადოსნურ არსებათა რეგულირებისა და კონტროლის დეპარტამენტი სრული შემადგენლობით სომერსეტსაა მოდებული, მაგრამ გოლიათებს ცამ უყო პირი თუ მიწამ, არ ვიცით. უბედურებაა და მეტი არაფერი.

– რას ამბობთ! – გაცოფებულმა იღრიალა პრემიერ-მინისტრმა.

– არ დაგიმალავთ, რომ სამინისტროში დათრგუნულები არიან, – თავი იმართლა ფაჯმა, – აბა, რა იქნება, თითქოს ამდენი უბედურება არ კმაროდა, ახლა ამელია ბონსიც დავკარგეთ.

– ვინ დაკარგეთ?

– ამელია ბონსი. ჯადოქრული ძალოვანი სტრუქტურების თავმჯდომარე. ჩვენი აზრით, ამელია ბონსი პირადად მოკლა მან, ვისი სახელიც არ ითქმის... ის ძალიან ნიჭიერი ჯადოქარი იყო და... ყველა სამხილი იმას მოწმობს, რომ ამელიამ თავდამსხმელებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია.

ფაჯმა ყელი ჩაიწმინდა და თავი აიძულა, ცილინდრის ტრიალი შეეწყვიტა.

– კი მაგრამ, ეს მკვლელობა ხომ პრესამ გააშუქა, – პრემიერ-მინისტრს წამით დაავიწყდა თავისი სიბრაზე, – ჩვენმა პრესამ. ამელია ბონსი... გაზეთებში მხოლოდ ის ეწერა, რომ იგი შუახნის მარტოხელა ქალი იყო და კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. ეს... ეს საზარელი მკვლელობა იყო... და საკმაოდ გახმაურებულიც. პოლიცია ვერაფერს არკვევს, ჩიხშია მომწყვდეული.

ფაჯმა ამოიოხრა.

– რა გასაკვირია. შიგნიდან ჩარაზულ ოთახში ნახეს მოკლული, ხომ ასეა? ჩვენ კი ზუსტად ვიცით, ვინ მოკლა ამელია ბონსი, მაგრამ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამის ცოდნა მკვლელის დაჭერაში ვერ გვეხმარება. და კიდევ, ემელინ ვენსის ამბავიც ხომ არ გაგიგიათ?

– დიახაც, გამიგია! – მიახალა პრემიერ-მინისტრმა, – აქვე, ქუჩის კუთხეში მოხდა ეგ ამბავი. გაზეთებსაც სალაპარაკო მიეცათ: „კანონისა და წესრიგის დარღვევა პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის უკანა ეზოში...“

– და თითქოს ეს არ კმაროდა, – განაგრძო ფაჯმა, ეტყობოდა, პრემიერ-მინისტრს არც უსმენდა, – ახლა კიდევ დემენტორების ხროვები დაძრწიან და სადაც გაიხედავ, ხალხს თავს ესხმიან...

ოდესღაც, უფრო ბედნიერ წარსულში, ეს ფრაზა სრულიად გაუგებარი იქნებოდა პრემიერ-მინისტრისათვის, მაგრამ დღეს უკვე ჩასწვდა მის აზრს და ფრთხილად იკითხა:

– კი მაგრამ, განა დემენტორები აზკაბანის ტყვეებს არ სდარაჯობენ?

– კი, სდარაჯობდნენ, – დაუდასტურა გასავათებულმა ფაჯმა, – მაგრამ ახლა – აღარ. ციხე მიატოვეს და შეუერთდნენ მას, ვისი სახელიც არ ითქმის. არ მოგატყუებთ, ჩემთვის ეს ნამდვილი დარტყმა იყო.

– კი მაგრამ, თქვენ არ მითხარით, რომ ეს არსებები ხალხს იმედსა და ბედნიერებას სწოვენო? – პრემიერ-მინისტრი თანდათან შიშმა აიტანა.

– ასეც არის. და ისინი მრავლდებიან. აი, რა იწვევს ამ ნისლს.

პრემიერ-მინისტრს მუხლებში ძალა წაერთვა და უახლოეს სკამზე ჩამოჯდა. იმის გაფიქრებაზე, რომ ქალაქებსა და სოფლებს უხილავი არსებები შეესივნენ და სასოწარკვეთილებასა და უიმედობას ავრცელებდნენ, ლამის გული წაუვიდა.

– ახლა, მომისმინეთ, ფაჯ... რამე უნდა იღონოთ! ეს თქვენი, როგორც მაგიის მინისტრის, მოვალეობაა!

– ჩემო კარგო პრემიერ-მინისტრო, ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ ამ ყველაფრის შემდეგ მე კვლავ მაგიის მინისტრი ვარ? სამი დღის წინ გამათავისუფლეს! ორი კვირის განმავლობაში მთელი ჯადოქრული საზოგადოება ხმამაღლა მოითხოვდა ჩემს გადაყენებას. ასეთი ერთსულოვნება ჯერ არ მინახავს მთელი ჩემი მინისტრობის განმავლობაში! – ფაჯმა დიდი ძალისხმევით მოახერხა გაღიმება.

პრემიერ-მინისტრს ენა ჩაუვარდა. მიუხედავად მისი აღშფოთებისა იმის გამო, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩააგდეს, უნებურად მაინც თანაგრძნობით განიმსჭვალა ამ დაბეჩავებული კაცის მიმართ.

– ძალიან ვწუხვარ, – თქვა ბოლოს, – რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– გმადლობთ, პრემიერ-მინისტრო, მაგრამ ვერაფრით დამეხმარე-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბით. დღეს აქ იმისათვის გამომგზავნეს, რომ თქვენთვის უკანასკნელი მოვლენები მეუწყებინა და ჩემი შემცვლელი წარმედგინა. წესით, უკვე აქ უნდა იყოს, მაგრამ, ეტყობა, აგვიანდება... ხომ გესმით... ძალიან მოუცლელია, ახლა იმდენი რამ ხდება!

ფაჯმა ვერცხლისფერპარიკიანი უშნო ჩია კაცის პორტრეტს გახედა, ის კი ამ დროს ბატის ფრთის წვერით ყურს იჩიჩქნიდა.

პორტრეტმა ფაჯის მზერა დაიჭირა და გამოაცხადა:

– წუთი წუთზე აქ იქნება, დამბლდორს წერილს სწერს.

– წარმატებას ვუსურვებ, – მწარედ თქვა ფაჯმა, – გასული ორი კვირის განმავლობაში დამბლდორს დღეში ორჯერ ვწერდი, მაგრამ ყურსაც არ იბერტყავდა. მას რომ ბიჭი როგორმე დაეყოლიებინა, შეიძლება, მე ახლაც... მოკლედ, იქნებ სკრიმჯერს უფრო გაუღიმოს ბედმა...

აშკარად გულნატკენი ფაჯი ფიქრებში ჩაიძირა. მაგრამ სიჩუმე თითქმის მაშინვე დაარღვია პორტრეტმა: უეცრად მჭახე, ოფიციალური ხმით გამოაცხადა:

– მაგლთა პრემიერ-მინისტრს. გთხოვთ აუდიენციას. სასწრაფოდ. გეთაყვა, დაუყოვნებლივ მიპასუხეთ. მაგიის მინისტრი რუფუს სკრიმჯერი.

– დიახ, დიახ, ბატონი ბრძანდებით, – უგულოდ დათანხმდა პრემიერ-მინისტრი და აღარც კი შემკრთალა, როცა ბუხრის ცხაურს მიღმა ცეცხლის ალი ზურმუხტისფრად აბრიალდა და ცეცხლის შუაგულში მეორე მობზრიალე ჯადოქარი გამოჩნდა. წამიც და, ბუხარმა იგი ანტიკვარულ ნოხზე გადმოისროლა. ფაჯი წამოდგა, წამიერი ყოყმანის შემდეგ პრემიერ-მინისტრიც ადგა, თან თვალს არ აშორებდა ახალმოსულს. ახალმოსული წამოიმართა, გრძელი შავი მანტია ჩამოიბერტყა და მიიხედ-მოიხედა.

მაგიის ახალი მინისტრის დანახვისას პრემიერ-მინისტრს თავში სულელური აზრი მოუვიდა: რუფუს სკრიმჯერი ბებერ ლომს რა ძალიან ჰგავსო. ჯადოქარს წითურ თმასა და დაფანჩულ წარბებში ჭაღარა გარეოდა. ლითონისჩარჩოიანი სათვალიდან მოყვითალო გამჭოლი თვალებით იმზირებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ოდნავ კოჭლობდა, მაინც მოხდენილი მიხრა-მოხრა ჰქონდა. ერთი შეხედვითვე გამჭრიახი და მტკიცე ხასიათის კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. პრემიერ-მინისტრი მიხვდა, რატომ აირჩია ჯადოქართა საზოგადოებამ თავის ლიდერად სკრიმჯერი ასეთ რთულ და საშიშ დროს.

– გამარჯობა! – თავაზიანად მიესალმა პრემიერ-მინისტრი და ხელი გაუწოდა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სკრიმჯერმა სწრაფად ჩამოართვა ხელი, ოთახს თვალი მოავლო და მანტიიდან ჯადოსნური ჯოხი ამოიღო.

– ფაჯმა საქმის კურსში ჩაგაყენათ? – იკითხა, კართან მივიდა და გასაღების ჭუჭრუტანას ჯადოსნური ჯოხი შეახო. პრემიერ-მინისტრმა გაიგონა, როგორ გაჩხაკუნდა საკეტი.

– ისა... დიახ, – მიუგო პრემიერ-მინისტრმა და დაამატა: – თუ წინააღმდეგი არა ხართ, მირჩევნია, კარი ღია იყოს.

– მე კი მირჩევნია, ხელი არავინ შეგვიშალოს, – მოკლედ მოუჭრა სკრიმჯერმა, – და არავინ გვითვალთვალოს, – ჯოხი ახლა ფანჯრებს მიუშვირა და ფარდები თავისით ჩამოეფარა, – მაშ, ასე, მე საქმიანი კაცი ვარ, ამიტომ, მოდით, საქმეს მივხედოთ. უპირველეს ყოვლისა, თქვენი უსაფრთხოების საკითხი უნდა განვიხილოთ.

პრემიერ-მინისტრი წელში გაიმართა და უპასუხა:

– მე სრულიად მაკმაყოფილებს ჩემი დაცვა, დიდი მადლო...

– ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, – შეაწყვეტინა სკრიმჯერმა, – მაგლების საქმე ცუდად იქნება, თუ მათი პრემიერ-მინისტრი იმპერიუსის წყევლის გავლენის ქვეშ მოექცევა. თქვენი კაბინეტის ახალი მდივანი...

– არავითარ შემთხვევაში არ შევცვლი კინგსლი შეკლბოლტს, თუ ამას მთავაზობთ! – კატეგორიულად განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, – ის ძალზე მაღალკვალიფიციური მუშაკია. სხვებზე ორჯერ მეტ საქმეს ასწრებს...

– ეს იმიტომ, რომ ჯადოქარია! – ოდნავადაც არ გაჰღიმებია, ისე მიუგო სკრიმჯერმა, – უმაღლეს დონეზე გაწვრთნილი აურორი, რომელიც თქვენ მოგამაგრეს თქვენივე უსაფრთხოებისათვის.

– მოიცა, მოიცა! – გაცხარდა პრემიერ-მინისტრი, – თქვენ არა გაქვთ უფლება, თქვენი ხალხი ჩემს უწყებაში მოაწყოთ, ჩემი გადასაწყვეტია, ვინ იმუშავებს ჩემთან...

– ახლახან არ ბრძანეთ, შეკლბოლტით კმაყოფილი ვარო?

– ცივად შეახსენა სკრიმჯერმა.

– კი, ვარ... უფრო სწორად, ვიყავი...

– ესე იგი, ეს საკითხი გადაწყვეტილია? – თქვა სკრიმჯერმა.

– მე... რა ვიცი, თუ შეკლბოლტი კვლავაც ასე... მარჯვედ იმუშავებს, – ენა დაება პრემიერ-მინისტრს, მაგრამ სკრიმჯერს ეტყობოდა, რომ მას აღარ უსმენდა.

– ახლა, რაც შეეხება ჰერბერტ ჩორლის, თქვენს მოადგილეს, – განაგრძო მან, – მას, ვინც იხვივით ყვიტყვიტებდა, დაბაჯბაჯებდა და საზოგადოებას ართობდა.

– ის რაღა შუაშია? – იკითხა პრემიერ-მინისტრმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აშკარაა, რომ მას გონება უნიჭოდ შესრულებულმა იმპერიუსის წყევლამ გამოულაყა, მაგრამ შეიძლება ჩორლი მაინც საშიში იყოს, – აუხსნა სკრიმჯერმა.

– ის ხომ მხოლოდ ყვიტყვიტებს! – ხმა ჩაუქრა პრემიერ-მინისტრს, – ცოტა დაისვენოს... იქნებ სმას თავი რომ დაანებოს...

– ამ წუთისთვის, სანამ ჩვენ აქ ვსაუბრობთ, მას ჯადოქრული დაავადებებისა და ტრავმების წმინდა მუნგოს კლინიკის მკურნალთა ჯგუფი სინჯავს. ჩორლიმ უკვე სამი მათგანის დახრჩობა სცადა. ჩემი აზრით, უმჯობესია მისი იზოლირება მაგლთა სამყაროსაგან, – თქვა სკრიმჯერმა.

– მე... ხომ კარგად იქნება? – შეშფოთდა პრემიერ-მინისტრი. სკრიმჯერი უკვე ბუხრისკენ მიემართებოდა და პასუხად მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

– მოკლედ, სულ ეს არის, რის თქმაც თქვენთვის მინდოდა. მოვლენების განვითარებას ყოველთვის შეგატყობინებთ, პრემიერ-მინისტრო. მე ალბათ აქ მოსასვლელად ვერ მოვიცლი, მაგრამ ფაჯს გამოგიგზავნით. მოგეხსენებათ, დიდსულოვნად დამთანხმდა, მრჩევლის თანამდებობაზე დარჩეს.

ფაჯმა გაღიმება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, ისე საცოდავად დაიჯღანა, თითქოს კბილი ასტკივდაო. სკრიმჯერი უკვე ჯიბეს იჩხრეკდა და იმ იდუმალებით მოცულ ფხვნილს ეძებდა, რომელიც ცეცხლს ზურმუხტისფრად აქცევდა. პრემიერ-მინისტრი უმწეოდ მისჩერებოდა ორივეს, შემდეგ თავი ველარ შეიკავა და, როგორც იქნა, წამოიძახა ის, რაც მთელი საღამოს განმავლობაში ენის წვერზე ადგა:

– კი მაგრამ, თქვენ ხომ ჯადოქრები ხართ! ბოლოს და ბოლოს, ჯადოქრობა შეგიძლიათ! თქვენ ხომ ყველაფერი შეგიძლიათ!

სკრიმჯერი ნელა შემობრუნდა და ფაჯს ისე შეხედა, თითქოს ყურებს არ უჯერებსო. ფაჯმა კი ამჯერად მართლა მოახერხა გაღიმება და გულთბილად თქვა:

– პრობლემა ისაა, რომ ჯადოქრობა მეორე მხარესაც შეუძლია, პრემიერ-მინისტრო.

ამ სიტყვებით ორივე ჯადოქარმა ერთიმეორის მიყოლებით შეაბიჯა კაშკაშა მწვანე ცეცხლში და გაუჩინარდა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

# თავი მეორე

## ობობას ჩიხი

მრავალი კილომეტრის მოშორებით ეკალბარდებიან, დანაგვიანებულ ნაპირებს შორის დაკლაკნილ ბინძურ მდინარეს ისეთივე ცივი ნისლი დასწოლოდა, როგორიც – პრემიერ-მინისტრის ფანჯარას. გაუქმებული ქარხნის უზარმაზარი პირქუში მილი ცაში აზიდულიყო. სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ ჩაშავებული წყლის დუდუნი არღვევდა. ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებდა, თუ ერთ გაძვალტყავებულ მელას არ ჩავთვლით, რომელიც მაღალ ბალახში დაძვრებოდა და თევზისა და კარტოფილის ნარჩენებს დაეძებდა.

უეცრად მსუბუქი ტკაცანი გაისმა და ზედ მდინარის პირას კაპიუშონიანი მაღალი ფიგურა გაჩნდა. მელა გაშეშდა, შეშინებული თვალები მიაპყრო ამ უცნაურ სურათს. ფიგურამ ჯერ გარემო მოათვალიერა, შემდეგ კი გრძელი მოსასხამის შარიშურით, სწრაფი ნაბიჯით გაემართა მარჯვენა მხარეს.

გაისმა კიდევ ერთი, უფრო ხმამაღალი ტკაცანი და ახლა მეორე კაპიუშონიანი ფიგურა განსხეულდა.

– მოიცა!

ამ ჩახლეჩილი ხმის გაგონებით დაფეთებული მელა გულგახეთქილი გამოხტა სამალავიდან და ფერდობს აჰყვა სირბილით. გაიელვა მწვანე შუქმა, გაისმა წკავწკავი და მელა უსულოდ დაეცა მიწაზე.

მეორე ფიგურამ მკვდარი ცხოველი ფეხით გადააბრუნა.

– მართლა მელა ყოფილა, – გაისმა კაპიუშონიდან ქალის გულგრილი ხმა, – მე კი აურორი მეგონა... სისი, მოიცა!

მაგრამ ის, ვისაც მისდევდა, ახლა უკვე იმ ფერდობზე მიფორთხავდა, რომელზეც წუთის წინ მელა ჩამოგორდა.

– სისი, ნარცისა... ყური მიგდე...

მეორე ფიგურა პირველს დაეწია და მკლავზე ჩაებღაუჭა, მაგრამ მან ხელი გამოსტაცა.



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– უკან გაბრუნდი, ბელა!

– არა, სისი, უნდა მომისმინო!

– მეყო, რაც გისმინე. უკვე მივიღე გადაწყვეტილება. თავი დამანებე!

ქალი, რომელსაც ნარცისა უწოდეს, ფერდობს თავზე მოექცა. აქ ძველი მესერი მდინარესა და რიყის ქვებით მოკირწყლულ ვიწრო ქუჩას ერთმანეთისაგან ყოფდა. მეორე ქალი, ბელა, ნარცისას ფეხდაფეხ მიჰყვა. მერე ორივე გვერდიგვერდ იდგა და ნახევრად დანგრეული, უსიცოცხლო, ფანჯრებჩაბნელებული, წყვდიადში გასუდრული აგურის სახლების დაუსრულებელ მწკრივებს გაჰყურებდა.

– აქ ცხოვრობს? – ზიზღით იკითხა ბელამ, – აქ? ამ მაგლურ სანეხვეში? ჩვენ ალბათ პირველები ვართ ჩვენი მოდგმიდან, ვინც აქ ფეხი დადგა...

მაგრამ ნარცისამ ყურიც არ ათხოვა, ძველი ღობის ხვრელში გასხლტა და ქუჩა გადაირბინა.

– სისი, მომიცადე-მეთქი!

ბელა მანტიის ფრიალით გაედევნა და დაინახა, როგორ გაიქროლა ნარცისამ სახლებს შორის ვიწრო შესახვევში და მეორე, თითქმის ასეთივე ქუჩაზე გავარდა. ზოგი ფარანი გატეხილი იყო, ამიტომ ქალები ხან სიბნელეში გარბოდნენ, ხან სინათლეში ამოყოფდნენ თავს. როცა ნარცისამ მეორე შესახვევში შეუხვია, მდევარი წამოეწია და მკლავში სტაცა ხელი.

– სისი, ამას ნუ იზამ, მისი ნდობა არ შეიძლება...

– ბნელი ბატონი ხომ ენდობა?

– ბნელი ბატონი... ჩემი აზრით... ცდება, – ბელამ სული ძლივს მოითქვა და მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გვისმენსო – გაგვაფრთხილეს, ამ გეგმაზე კრინტი არავისთან დაგვეძრა. ეს ბნელი ბატონის ღალატია...

– გამიშვი, ბელა! – შეუღრინა ნარცისამ, მანტიიდან ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და მუქარით მოუღერა. ბელამ მხოლოდ გაიცინა.

– სისი, შენს ღვიძლ დას ემუქრები? ამას არ იზამ...

– ახლა მე ყველაფერს ვიზამ! – ისტერიკამდე მისული ნარცისა მძიმედ სუნთქავდა. ჯადოსნური ჯოხი დანასავით დაიქნია, სინათლემ გაიელა და ბელამ დამდუღრულივით გაუშვა ხელი დის მკლავს.

– ნარცისა!

მაგრამ ნარცისა უკვე გარბოდა. ბელამ ხელი დაიზილა და უკან მიჰყვა, თუმცა ამჯერად ცდილობდა, გარკვეული მანძილით ჩამორჩენოდა. ისინი უფრო ღრმად შევიდნენ აგურის სახლების უკაცრიელ ლაბირინთში. ბოლოს ნარცისამ სირბილით შეუხვია ერთ ქუჩაზე,



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომელსაც „ობობას ჩიხი“ ერქვა და დარაბებაჭედილ და ჩამსხვრეულ ფანჯრებს ჩაუქროლა. რიყის ქვებზე მისი ნაბიჯები ექოდ ხმიანობდა. ბოლოს უკანასკნელ სახლს მიაღწია. პირველ სართულზე ფარდებ-ჩამოფარებული ფანჯრებიდან სუსტი შუქი გამოკრთოდა.

ნარცისამ კარზე დააკაკუნა თუ არა, ჩუმი წყევლა-კრულვით ბელა წამოეწია. აქოშინებულები ერთად იდგნენ და იცდიდნენ. ღამის სიოს აშმორებული მდინარის სუნი მოჰქონდა. რამდენიმე წამში ბინიდან ხმაური მოისმა და კარი ოდნავ გაიღო. ვიწრო ღრიჭოდან მამაკაცმა გამოიხედა და მოულოდნელ სტუმრებს მიაჩერდა. შუაზე გაყოფილი გრძელი შავი თმა მის მოყვითალო სახესა და შავ თვალებს ჩარჩო-სავით შემოვლებოდა.

ნარცისამ კაპიუშონი გადაიწია. ისეთი ფერმკრთალი იყო, სიბ-ნელეში თითქმის ანათებდა, ქერა თმა ზურგზე ისე ჩამოშლოდა, გეგონებოდა, ეს-ესაა წყლიდან ამოყვინთაო.

– ნარცისა! – კაცმა კარი უფრო ფართოდ გააღო, – რა სასიამოვნო სიურპრიზია!

– სევერუს, შეიძლება, დაგელაპარაკო? სასწრაფო საქმე მაქვს შენთან, – ყრუ ხმით დაიჩურჩულა ნარცისამ.

– რა თქმა უნდა.

მან უკან დაიხია და სტუმრები სახლში შეუშვა. ბელას კაპიუშონი არ მოუხდია, ისე შეჰყვა დას დაუპატიჟებლად.

– გამარჯობა, სნეიპ, – ცივად მიესალმა მასპინძელს.

– გაგიმარჯოს, ბელატრისა, – სნეიპმა ოდნავ დამცინავად გაიღიმა და მათ ზურგს უკან კარი მიაჯახუნა.

სამივენი სასტუმრო ოთახში შევიდნენ. ოთახი ისეთი ციცქნა და ბნელი იყო, ციხის საკანსა თუ სულით ავადმყოფთა კლინიკის პალატას ჰგავდა. კედლები მთლიანად დაეფარა წიგნების თაროებს, წიგნების უმრავლესობა ძველ შავ ან ყავისფერ ტყავის ყდაში იყო ჩასმული. ერთმანეთთან მიჯრით მდგარ გაცვეთილ დივანს, ძველ სავარძელსა და მორყეულ მაგიდას ჭერზე ჩამოკიდებული სანთლის ჭაღი ძლივს ანათებდა. ბინა მოუვლელი იყო, აშკარად ეტყობოდა, აქ დიდი ხნის განმავლობაში არავინ ცხოვრობდა.

სნეიპმა ხელით ანიშნა ნარცისას, დივანზე დაბრძანდიო. ნარცისამ მანტია გადაიძრო, გვერდზე მიაგდო, დაჯდა და მუხლებზე დაკრე-ფილ თავის გაცრეცილ, ათრთოლებულ ხელებს დააცქერდა. თავისი თოვლივით თეთრი დისგან განსხვავებით, შავგვრემან, მძიმექუთუ-თოებიან, გამოკვეთილყბიან ბელატრისას სნეიპისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე გადაიწია კაპიუშონი და აუჩქარებლად დაუდგა ნარცისას უკან.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აბა, რით შემიძლია დაგეხმაროთ? – იკითხა სნეიპმა და მათ წინ მდგარ სავარძელში ჩაჯდა.

– ჩვენ... ჩვენ მარტონი ვართ, არა? – ხმადაბლა იკითხა ნარცისამ.

– დიახ, რა თქმა უნდა. თუმცა, გრძელკუდაც აქაა, მაგრამ ჭიალუები რა სათვალავში ჩასაგდებნი არიან?! – ჯადოსნური ჯოხი წიგნებით დახუნძლული კედლისკენ მიმართა, ბრახუნით გაიღო საიდუმლო კარი და გამოჩნდა ვიწრო კიბე, რომელზეც ჩია კაცი გაშეშებული იდგა.

– გრძელკუდავ ალბათ უკვე მიხვდი, რომ სტუმრები გვყავს, – ზანტად მიმართა მას სნეიპმა.

კაცმა თავი მხრებში ჩარგო, ბოლო რამდენიმე საფეხურზე ჩამოიარა და ოთახში შევიდა. ვიწრო, უფერული თვალები და პაჭუა ცხვირი ჰქონდა, უსიამოვნოდ იღმიჭებოდა და თან მარცხენა ხელით მარჯვენას ეალერსებოდა, რომელზეც თითქოს მოელვარე ვერცხლისფერი ხელთათმანი ჩამოეცვა.

– ნარცისა! – დაიწრიპინა კაცმა, – ბელატრისა! რა პატივია...

– გრძელკუდა სასმელს მოგართმევთ, თუ ინებებთ, – განაცხადა სნეიპმა, – შემდეგ კი თავის საძინებელში დაბრუნდება.

გრძელკუდა ისე შეკრთა, თითქოს სნეიპმა მათრახი გადაუჭირაო, და წრიპინით იუკადრისა:

– მე შენი მსახური კი არა ვარ! – თქმით კი თქვა, მაგრამ თვალებში შეხედვა ვერ გაბედა.

– მართლა? მე კი მეგონა, რომ ბნელმა ბატონმა აქ ჩემ დასახმარებლად დაგაბინავა.

– დიახ, დასახმარებლად, და არა იმისათვის, რომ სასმელები მოგართვა და... და შენი სახლი ვალაგო!

– წარმოდგენაც არ მქონდა, გრძელკუდავ, რომ უფრო სახიფათო დავალებების შესრულება გინდოდა, – დამცინავად უთხრა სნეიპმა, – ამას ხელად მოგიგვარებ: ბნელ ბატონს დაველაპარაკები და...

– თუ საჭიროდ ჩავთვლი, მე თვითონაც მშვენივრად დაველაპარაკები!

– რა თქმა უნდა, – ჩაიცინა სნეიპმა, – ოღონდ ჯერ სასმელი მოგვიტანე. თუნდაც ცოტა ელფური ღვინო.

გრძელკუდა წამით შეყოყმანდა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს შეპასუხებას აპირებსო, მაგრამ შემდეგ მიტრიალდა და მეორე საიდუმლო კარში გაუჩინარდა. გაისმა ბუფეტის კარის ჯახუნი, შემდეგ მინის წკრიალი. გრძელკუდა რამდენიმე წამში ლანგრით ხელში დაბრუნდა. ზედ დამტვერილი ბოთლი და სამი ჭიქა დაელაგებინა. მერე ლანგარი ფეხმორყეულ მაგიდაზე დაახეთქა, ოთახიდან



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფაცხაფუცხით გავარდა და წიგნებით დაფარული კარი გაიჯახუნა.

სნეიპმა ჭიქებში სისხლისფერი ღვინო ჩამოასხა და დებს გაუწოდა. ნარცისამ მადლობის ნიშნად რაღაც წაილუღლუღა, ბელატრისამ კი არაფერი თქვა, ისევ მრისხანედ უმზერდა სნეიპს. სნეიპს კი ეს არამცთუ ეხამუშებოდა, პირიქით, თითქოს ართობდა კიდეც.

– ბნელ ბატონს გაუმარჯოს! – სნეიპმა ჭიქა გამოცალა. დებმა მას მიჰბაძეს. სნეიპმა კვლავ შეავსო ჭიქები. ნარცისამ მეორე ჭიქიდან ცოტა მოსვა და მოულოდნელად ჩამოარაკრაკა:

– სევერუს, ბოდიში, რომ ასე შემოგეჭერი, მაგრამ აუცილებლად უნდა მენახე. მე ვფიქრობ, შენ ერთადერთი ხარ, ვისაც ჩემი დახმარება შეუძლია...

სნეიპმა ხელის აწევით გააჩუმა და ჯადოსნური ჯოხი ისევ შენიღბულ კარს დაუმიზნა. გაისმა ხმამაღალი ბრახუნი და წრიპინი, რასაც მაშინვე მოჰყვა კიბეზე გრძელკუდას დამფრთხალი ნაბიჯების ხმა.

– უკაცრავად, – მოიბოდიშა სნეიპმა, – ბოლო დროს კარს უკან მოყურადებას მიეჩვია, არ ვიცი, რა უდევს გულში... რას ამბობდი, ნარცისა?

ნარცისამ ღრმად, ცახცახით ამოიოხრა და კვლავ დაიწყო:

– სევერუს, ვიცი, აქ არ უნდა ვიყო. სასტიკად ამიკრძალეს ვინმესთან ამაზე ლაპარაკი, მაგრამ...

– ჰოდა, ენას კბილი უნდა დააჭირო! – შეუტია ბელატრისამ, – მით უმეტეს – ასეთ საზოგადოებაში!

– ასეთ საზოგადოებაში? – სარკასტულად იკითხა სნეიპმა, – ბელატრისა, ეს როგორ გავიგო?

– როგორ და... მე შენ არ გენდობი, სნეიპ, და ეს კარგად მოგეხსენება!

ნარცისამ ამოიქვითინა და სახეზე ხელები აიფარა. სნეიპმა ჭიქა მაგიდაზე დადგა, სავარძლის ზურგს მიეყრდნო, ხელები სახელურებზე დააწყო და ბელატრისას გამძვინვარებულ სახეში შეჰღიმა.

– ნარცისა, ჩემი აზრით, ბელატრისას უნდა ვაცალოთ ბოღმისაგან დაცლა, რომ შემდეგ წამდაუწუმ არ გაგვაწყვეტინოს სიტყვა. აბა, განაგრძე, ბელატრისა, რაო, რატომ არ მენდობი?

– საამისოდ ათასი მიზეზი მაქვს! – ხმამაღლა შესძახა ბელატრისამ, დივანს შემოუარა და ჭიქა მაგიდაზე დაახეთქა, – რით დავიწყო? სად იყავი, როცა ბნელი ბატონი დაემხო? რატომ ერთხელაც არ გიცდია მისი მოძებნა მას შემდეგ, რაც გადაიკარგა? რას გვიკეთებდი მთელი ამ წლების განმავლობაში, სანამ დამბლდორის კალთას იყავი შეფარებული? რატომ შეუშალე ხელი ბნელ ბატონს ფილოსოფიური ქვის მოპოვებაში? რატომ არ დაბრუნდი მაშინვე, როგორც კი ბნელი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბატონი აღდგა? სად იყავი ამ რამდენიმე კვირის წინ, როცა ბნელი ბატონისთვის წინასწარმეტყველების დასაბრუნებლად ვიბრძოდით? და რატომ, სნეიპ, რატომ არის ჰარი პოტერი დღესაც ცოცხალი, როცა უკვე ხუთი წელია, შენ ხელთაა?

ბელატრისა გაჩუმდა, მკერდი სწრაფად აუდ-ჩაუდიოდა, ლოყები ასწითლებოდა. ხელებში თავჩარგული ნარცისა კი ისევ გაუნძრევ-ლად იჯდა.

სნეიპმა გაიღიმა.

– სანამ გიპასუხებდე... ო, დიახ, ბელატრისა, ვაპირებ, გიპასუხო! შეგიძლია, ჩემი სიტყვები დანარჩენებსაც გადასცე, ვინც ჩემს ზურგს უკან ჩურჩულებს და ბნელ ბატონთან ღალატს მწამებს! სანამ გიპა-სუხებდე, ნება მომეცი, მეც გკითხო: ნუთუ მართლა ფიქრობ, რომ ბნელ ბატონს ჩემთვის არასოდეს დაუსვამს ანალოგიური კითხვები? და ნუთუ მართლა გგონია, მე რომ მისთვის დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მიმეცა, ახლა აქ ვიჯდებოდი და შენთან ვისაუბრებდი?

ბელატრისა შეცბა.

– ვიცი, რომ შენი სჯერა, მაგრამ...

– შენი აზრით, ცდება? ან იქნებ ფიქრობ, რომ მე როგორღაც თვალი ავუხვიე? გავაცურე ბნელი ბატონი – უდიდესი ჯადოქარი, ყველაზე დაოსტატებული ლეგილიმენსი, ვინც კი ოდესმე სამყაროს მოვლენია?

ბელატრისას არაფერი უთქვამს, თუმცა პირველად დაეტყო ყოყ-მანი. სნეიპმა თავისი ჭიქა ისევ აიღო, მოსვა და განაგრძო:

– შენ მეკითხები, სად ვიყავი, როცა ბნელი ბატონი დაეცაო. მე იქ ვიყავი, სადაც მიბრძანა ყოფნა: ჰოგვორტსის მაგიისა და ჯადოქრო-ბის სკოლაში, რადგან სწორედ მისი ნება იყო, რომ დამბლდორისათ-ვის მეთვალთვალა. ალბათ გეცოდინება, რომ პედაგოგის თანამდე-ბობა ბნელი ბატონის ბრძანებით დავიკავე.

ბელატრისამ თითქმის შეუმჩნევლად დაუქნია თავი და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სნეიპმა დაასწრო:

– შენ მეკითხები, რატომ არ ვცადე მისი მოძებნა, როცა გაუჩინარ-და. იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ეივერიმ, იექსლიმ, ქეროუსებმა, გრეიბექმა, ლუციუსმა, – მან თავით ანიშნა ნარცისაზე, – და ბევ-რმა სხვამ არ სცადა მისი მოძებნა. მე დავიჯერე, რომ ის დაიღუპა. ამით არ ვამაყობ, შევცდი, მაგრამ ასე გამოვიდა... ჩვენთვის რომ არ ეპატიებინა, ვინც მაშინ რწმენა დავკარგეთ, ახლა თითზე ჩამოსათ-ვლელი მიმდევარიღა დარჩებოდა.

– მე ვეყოლებოდი! – მგზნებარედ შეეკამათა ბელატრისა, – მე, ვინც მისი გულისთვის აზკაბანში მრავალი წელი ვიტანჯე!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, ეს ნამდვილად აღტაცების ღირსია, – გულგრილად შენიშნა სნეიპმა, – მართალია, ციხეში შენი ჯდომით მას არაფერი შემატებია, მაგრამ ეს უდავოდ მშვენიერი ჟესტია...

– ჟესტი?! – ისე გაცოფდა ბელატრისა, ჭკუიდან შეშლილს დაემსგავსა,– სანამ მე დემენტორები მაწამებდნენ, შენ ჰოგვორტსში მყუდროდ იყავი მოკალათებული და დამბლდორს ელაქუცებოდი!

– მთლად მასეც არაა, – მშვიდად მიუგო სნეიპმა, – სხვათა შორის, დამბლდორი არაფრით არ მანდობდა ბნელი ძალებისგან თავდაცვის მასწავლებლის ადგილს. ალბათ ფიქრობდა, რომ ეს ჩემში მოგონებებს აღძრავდა... ცდუნება წამძლევდა და ძველ გზას დავუბრუნდებოდი.

– და ეს არის მსხვერპლი, რომელიც შენ ბნელი ბატონისთვის გაიღე: მხოლოდ ის, რომ ვერ ასწავლე შენი საყვარელი საგანი! – ჩაიცინა ბელატრისამ, – რატომ დარჩი იქ ამდენ ხანს, სნეიპ? დამბლდორის თვალთვალს აგრძელებდი იმ ბატონის დავალებით, რომელიც მკვდარი გეგონა?

– რა თქმა უნდა, არა, – თქვა სნეიპმა, – თუმცა, ბნელი ბატონი კმაყოფილია, რომ პოსტი არ მივატოვე: მისი დაბრუნებისთანავე დამბლდორის შესახებ თექვსმეტი წლის მანძილზე დაგროვილი ინფორმაცია დავახვედრე, რაც დაბრუნების მისალოცად ბევრად უფრო სასარგებლო საჩუქარია, ვიდრე დაუსრულებელი ჩივილი იმის შესახებ, თუ რა საშინელი ადგილია აზკაბანი...

– მაგრამ შენ დარჩი...

– დიახ, ბელატრისა, დავრჩი, – სნეიპმა პირველად გამოამჟღავნა, რომ მოთმინება ელეოდა, – მშვენიერი სამუშაო მქონდა, რაც აზკაბანში გამომწყვდევას ნამდვილად მერჩივნა. თავადაც კარგად იცი, რომ „სიკვდილის მხვრელებზე“ ნამდვილი ნადირობა იყო გამოცხადებული. დამბლდორის მფარველობამ ციხეს გადამარჩინა. ეს ხელს მაძლევდა და მეც გამოვიყენე. ვიმეორებ: ბნელი ბატონი არ მსაყვედურობს, რომ დავრჩი, და არ მესმის, შენ რა გაწუწუნებს. ალბათ ისიც გაინტერესებს, – ხმას აუწია სნეიპმა, რადგან ბელატრისას შეატყო, რომ შედავებას აპირებდა, – რატომ გადავუჭერი ბნელ ბატონს ფილოსოფიური ქვისკენ გზა. ამაზე იოლად გიპასუხებ. მან არ იცოდა, ჩემი ნდობა შეეძლო თუ არა. მასაც შენსავით ეგონა, რომ მე ერთგული „სიკვდილის მხვრელიდან“ დამბლდორის ქვეშევრდომად ვიყავი ქცეული. ის გასაცოდავებული და დასუსტებული იყო, რიგითი ჯადოქრის სხეულს შეხიზნული. ვერ გაბედა ყოფილ მოკავშირესთან თავის გამომჟღავნება იმის შიშით, რომ ამ მოკავშირეს ის დამბლდორისთვის ან სამინისტროსთვის არ გადაეცა. სამწუხაროა,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ არ მენდო, თორემ სამი წლით ადრე დაიბრუნებდა ძალას. და ვინაიდან მე მხოლოდ ის დავინახე, რომ ქვის მოპარვას ხარბი და ულირსი ქვირელი ცდილობდა, ვაღიარებ, ყველა ღონე ვიხმარე, რომ მისთვის ამის საშუალება არ მიმეცა.

ბელატრისას პირი ისე მოეღრიცა, თითქოს მწარე წამალი გადააყლაპესო, მაგრამ უკან მაინც არ დაიხია და მორიგი ბრალდება წაუყენა სნეიპს:

– მაგრამ შენ მაშინაც არ გამოცხადდი, როცა ის დაბრუნდა, მაშინვე არ გაჩნდი მასთან, როცა შავი ნიშნის წვა იგრძენი...

– სწორია, ორი საათის დაგვიანებით დავბრუნდი. და დავბრუნდი დამბლდორის ბრძანებით.

– დამბლდორის?.. – აღშფოთდა ბელატრისა.

– დაფიქრდი! – სნეიპს კვლავ დაეტყო მოუთმენლობა, – დაფიქრდი! ორი საათის დაგვიანებით – სულ რაღაც ორი საათის დაყოვნებით მე ჰოგვორტსში ჯაშუშად დარჩენის გარანტია მოვიპოვე! დამბლდორი დავაჯერე, რომ ბნელი ბატონის მხარეს მხოლოდ და მხოლოდ მისი ბრძანებით გადავიდოდი, და ამით საშუალება მომეცა მას შემდეგ ჩემი ბატონისთვის დამბლდორისა და ფენიქსის ორდენის შესახებ ინფორმაცია მიმეწოდებინა! დაუკვირდი, ბელატრისა: ბნელი ბატონი თვეების განმავლობაში იკრებდა ძალებს, ვიცოდი, რომ სულ მალე დაბრუნდებოდა. ყველა „სიკვდილის მხვრელი“ ხვდებოდა ამას! განა უამრავი დრო არ მქონდა იმისათვის, რომ მომეფიქრებინა, რის გაკეთება მინდოდა: მომდევნო სვლა გამეთვალა თუ კარკაროვივით გავქცეულიყავი? ბნელი ბატონი თავდაპირველად მართლაც უკმაყოფილო იყო ჩემი დაგვიანებით, მაგრამ მერწმუნე, უკმაყოფილება სრულიად გაუქრა, როდესაც ავუხსენი, რომ კვლავ მისი ერთგული ვიყავი, თუმცა დამბლდორი თავის კაცად მთვლიდა. დიახ, ბნელ ბატონს ეგონა, რომ მე იგი სამუდამოდ მივატოვე, მაგრამ ცდებოდა.

– კი, მაგრამ, რა ხეირი ვნახეთ შენგან? – დაცინვით ჰკითხა ბელატრისამ, – რა სასარგებლო ინფორმაცია მივიღეთ შენგან?

– ჩემი ინფორმაცია ბნელ ბატონს პირადად მიეწოდებოდა, – მოუჭრა სნეიპმა,– თუკი იგი საჭიროდ არ თვლის, რომ გაგიზიაროს...

– ბნელი ბატონი მე ყველაფერს მეუბნება! – მაშინვე წამოენთო ბელატრისა, – მე მიწოდებს ყველაზე ერთგულ, ყველაზე თავდადებულ...

– ნუთუ? – ოდნავი დაეჭვებით იკითხა სნეიპმა, – ნუთუ ახლაც, სამინისტროში განცდილი მარცხის შემდეგ?

– ჩემი ბრალი არ იყო! – აილეწა ბელატრისა, – ბნელი ბატონი უწინ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყოველთვის მე მანდობდა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან რამეს... რომ არა ლუციუს...

– როგორ ბედავ... როგორ ბედავ ჩემი ქმრის დადანაშაულებას! – დაბალი და ულმობელი ხმით წაისისინა ნარცისამ და თავის დას ახედა.

– უკვე გვიანია დანაშაულის ერთმანეთისთვის გადაბრალება, – მშვიდად შენიშნა სნეიპმა, – მოსახდენი უკვე მოხდა.

– მოხდა, მაგრამ უშენოდ! – გაცოფდა ბელატრისა, – შენ ისევ არსად ჩანდი, სანამ დანარჩენები თავს საფრთხეში ვიგდებდით. ტყუილს ვამბობ, სნეიპ?

– მე ნაბრძანები მქონდა, ადგილზე დავრჩენილიყავი, – აუხსნა სნეიპმა, – იქნებ ბნელ ბატონს არ ეთანხმები? იქნებ გგონია, რომ მე თუ „სიკვდილის მხვრელებთან" ერთად შევებრძოლებოდი ფენიქსის ორდენის წევრებს, დამბლდორი ვერაფერს შეამჩნევდა? და... უკაცრავად, მაგრამ... შენ, მგონი, საფრთხე ახსენე... თუ არ ვცდები, ექვს მოზარდს დაუპირისპირდით, არა?

– მშვენივრად იცი, რომ მათ ორდენის წევრები მიეშველნენ! – შეუღრინა ბელატრისამ, – ჰო, ორდენზე გამახსენდა, შენ ახლაც ამტკიცებ, თითქოს მათი შტაბის ადგილმდებარეობის გამხელა არ შეგიძლია, არა?

– მე მესაიდუმლე არა ვარ, უბრალოდ, არ შემიძლია შტაბის მისამართი წარმოვთქვა. თავადაც იცი, როგორ მოქმედებს ჯადო. ბნელ ბატონს აკმაყოფილებს ის ინფორმაცია, რასაც ორდენის შესახებ დღემდე ვაწვდი. სწორედ ჩემი ინფორმაციის წყალობით მოხერხდა ამას წინათ ემელინ ვენსის შეპყრობა და მოკვლა და, რა თქმა უნდა, ჩემი ინფორმაციის წყალობითვე მოვუღეთ ბოლო სირიუს ბლექს. თუმცა, ის ხომ ამქვეყნიდან შენ გაისტუმრე!

სნეიპმა ბელატრისას თავი დაუკრა და მისი დღეგრძელობის ნიშნად ჭიქა ასწია, მაგრამ ბელატრისა ისევ გაცეცხლებული იდგა.

– შენ თავს არიდებ ჩემს ბოლო კითხვას, სნეიპ. ჰარი პოტერი! ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეგეძლო მისი მოკვლა. ის კი დღემდე ცოცხლია. რატომ?

– ამის შესახებ ბნელ ბატონთან თუ გისაუბრია? – ჰკითხა სნეიპმა.

– ის... ამ ბოლო დროს... მე შენ გეკითხები, სნეიპ!

– მე რომ ჰარი პოტერი მომეკლა, ბნელი ბატონი ვერ გამოიყენებდა მის სისხლს სხეულის დასაბრუნებლად, ვერ გახდებოდა უძლეველი...

– და შენ ამტკიცებ, რომ წინასწარ განჭვრიტე, რაში გამოადგებოდა ეს ბიჭი, არა? – დამცინავად ჰკითხა ბელატრისამ.

– ამას არ ვამტკიცებ. მე წარმოდგენა არ მქონდა მისი გეგმების


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შესახებ, უკვე ვაღიარე, რომ ბნელი ბატონი მკვდარი მეგონა. უბრალოდ, ვცდილობ, აგიხსნა, რატომ არ წუხს ბნელი ბატონი იმის გამო, რომ პოტერი ცოცხალი დარჩა, ყოველ შემთხვევაში, გასულ წლამდე...

– კი მაგრამ, რატომ აცოცხლე ამდენ ხანს?

– ნუთუ ვერ გამიგე? მე მხოლოდ დამბლდორის მფარველობა მიცავდა აზკაბანისგან! იმას ხომ ვერ უარყოფ, რომ მისი საყვარელი სტუდენტის მოკვლა მას ჩემ წინააღმდეგ განაწყობდა? მაგრამ საამისოდ სხვა მიზეზიც მქონდა. უნდა შეგახსენო, რომ, როდესაც პოტერი ჰოგვორტსში ჩამოვიდა, მის შესახებ საოცარი ჭორი დადიოდა: ვითომ ის თავად იყო ძლევამოსილი ბოროტი ჯადოქარი და სწორედ ამიტომ გადაურჩა ბნელი ბატონის თავდასხმას. გარწმუნებ, ბნელი ბატონის ბევრი ყოფილი მიმდევარი ფიქრობდა, რომ პოტერი იქნებოდა ის ბაირალი, რომლის ირგვლივაც ჩვენ ყველანი კვლავ გავერთიანდებოდით. გამოგიტყდები, ცნობისმოყვარეობამ წამძლია და სულაც არ მინდოდა მისი მოკვლა, როცა ციხე-კოშკში ფეხი პირველად შემოდგა. რა თქმა უნდა, მალე ჩემთვის ცხადი გახდა, რომ პოტერი სულაც არ გამოირჩეოდა რაიმე განსაკუთრებული ნიჭით. ბევრი სირთულე მან შემთხვევითი იღბლიანობისა და მასზე უფრო ნიჭიერი მეგობრების წყალობით გადალახა. ის საშუალო დონის ჯადოქარია, ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით, თუმცა მამამისივით აუტანელი და თვითკმაყოფილი კი არის. მე ძალ-ღონე არ დავიშურე, რომ როგორმე ჰოგვორტსიდან გამერიცხა, სადაც, ჩემი აზრით, მისი ადგილი არაა. მომეკლა ან მის სიკვდილში ხელი გამესვარა? დიდი სისულელე იქნებოდა, დამბლდორის ცხვირწინ ან მე მომეკლა, ან სხვისთვის მიმეცა მისი მოკვლის შესაძლებლობა.

– ამ ყველაფრის შემდეგ უნდა დავიჯეროთ, დამბლდორს ერთხელაც არ შეჰპარვია შენში ეჭვი? – ჰკითხა ბელატრისამ,– ოდნავი წარმოდგენაც არა აქვს, სინამდვილეში ვის მხარეზე ხარ? ისევ ბრმად გენდობა?

– მე ჩემს როლს კარგად ვასრულებდი, – აღნიშნა სნეიპმა, – აი, შენ კი გავიწყდება დამბლდორის მთავარი სისუსტე: ადამიანებში მხოლოდ დადებით თვისებებს ხედავს. ჩემი „სიკვდილის მხვრელობიდან“ დიდი დრო არ იყო გასული, როცა მასთან სამუშაოდ მივედი და ყურები გამოვუჭედე ღრმა სინანულით აღსავსე ხანგრძლივი აღსარებით. ისიც ხელგაშლილი შემეგება. თუმცა, როგორც უკვე გითხარი, ბნელ ძალებს ახლოს არაფრით მაკარებდა. დამბლდორი დიდი ჯადოქარი იყო... დიახ, ბელატრისა, დიდი ჯადოქარი,– დასძინა მან, რადგან ბელატრისამ დამცინავად ჩაიფხუკუნა, – ამას ბნელი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბატონიც კი აღიარებს. თუმცა, კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ დამბლდორი ბერდება. გასულ თვეს ბნელ ბატონთან ორთაბრძოლამ ჯანმრთელობა შეურყია. მას შემდეგ სერიოზული ტრავმა აწუხებს, ამიტომაც ყურადღება ცოტა მოუდუნდა. მთელი ამ წლების განმავლობაში მას ერთხელაც არ შეჰპარვია ეჭვი სევერუს სნეიპის ერთგულებაში და, აი, სწორედ ეს არის ჩემი უდიდესი დამსახურება ბნელი ბატონის წინაშე.

ბელატრისა მაინც უკმაყოფილო ჩანდა, მაგრამ, ეტყობოდა, ვერ გადაეწყვიტა, ამჯერად საიდან შეეტია სნეიპისთვის. სნეიპმა ისარგებლა მისი დუმილით და ნარცისას მიუბრუნდა:

– მაშასადამე... ჩემთან დახმარების სათხოვნელად მოხვედი, არა, ნარცისა?

– კი, სევერუს. მე... მე მგონია, რომ შენ ერთადერთი ხარ, ვისაც ახლა ჩემი დახმარება შეუძლია. სხვას ვერავის მივმართავ. ლუციუსი ციხეშია და...

მან თვალები დახუჭა და ლოყებზე ორი დიდი ცრემლი ჩამოუგორდა.

– ბნელმა ბატონმა ამიკრძალა ამაზე ლაპარაკი, – თვალები არ გაუხელია, ისე გააგრძელა ნარცისამ, – არ სურს, რომ მისი გეგმა გამჟღავნდეს. ეს... ეს დიდი საიდუმლოა. მაგრამ...

– თუ აგიკრძალა, მაშინ არ უნდა გაამხილო, – უმალ გააფრთხილა სნეიპმა, – ბნელი ბატონის სიტყვა კანონია.

ნარცისას სუნთქვა შეეკრა, თითქოს სნეიპს მისთვის ცივი წყალი გადაესხას. ბელატრისას კი ამ სახლში შემოსვლის შემდეგ პირველად დაეტყო კმაყოფილება.

– ხედავ?! – გამარჯვებული სახით მიუბრუნდა დას, – სნეიპიც კი ამას გეუბნება: გითხრეს, არ ილაპარაკო, ჰოდა, ნება იბოძე და პირში წყალი ჩაიგუბე!

მაგრამ სნეიპი უეცრად წამოდგა, პატარა ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია და უკაცრიელ ქუჩას გახედა. შემდეგ კი ხელის მკვეთრი მოძრაობით ჩამოაფარა ფარდა და წარბშეკრული მიუბრუნდა ნარცისას:

– საბედნიეროდ, მე უკვე ვფლობ ინფორმაციას ამ გეგმის შესახებ, მე იმ მცირერიცხოვანთა შორის ვარ, რომელთაც ბნელმა ბატონმა თავისი გეგმა გაანდო. მაგრამ ეს საიდუმლო რომ არ მცოდნოდა, ნარცისა, შენ მისი გამხელით ბნელ ბატონს უღალატებდი.

– ასეც ვიფიქრე, რომ გეცოდინებოდა! – შვებით ამოისუნთქა ნარცისამ, – შენ ის ისე გენდობა, სევერუს...

– შენ იცი ამ გეგმის შესახებ? – ბელატრისას წამიერი კმაყოფილი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამომეტყველება განრისხებული გამოხედვით შეეცვალა, – შენც იცი?

– რასაკვირველია, – უპასუხა სნეიპმა, – მაგრამ რა დახმარებას მთხოვ, ნარცისა? თუ გგონია, რომ მე შემიძლია, გადაწყვეტილება შევაცვლევინო ბნელ ბატონს, სამწუხაროდ, ცდები, სასტიკად ცდები!

– სევერუს, – დაიჩურჩულა ნარცისამ და გადაფითრებულ ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა, – ჩემი შვილი...

– დრაკო უნდა ამაყობდეს, – გულგრილად ჩაურთო ბელატრისამ, – ბნელმა ბატონმა მას უდიდესი პატივი დასდო. სხვათა შორის, დრაკოს სასარგებლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ მოვალეობას თავს არ არიდებს. ჩანს, კმაყოფილია, თავისი შესაძლებლობების დამტკიცების შანსი რომ მიეცა, აღტაცებულია იმ პერსპექტივით...

ნარცისას ახლა კი მართლა წასკდა ტირილი. ტიროდა და სნეიპს მუდარით აღსავსე მზერას არ აშორებდა.

– ეს იმიტომ, რომ თექვსმეტი წლისაა და წარმოდგენა არა აქვს, წინ რა ელის! რატომ, სევერუს, რატომ მაინცდამაინც ჩემი შვილი? ეს ხომ ძალიან სახიფათო დავალებაა! ვიცი, ეს შურისძიებაა ლუციუსის შეცდომის გამო!

სნეიპს ხმა არ ამოუღია. მან თვალი მოარიდა ნარცისას ცრემლებს, თითქოს ცრემლები საჩოთირო რამ ყოფილიყოს, მაგრამ არაფრით შეეძლო, თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს მისი ლაპარაკი არ ესმოდა.

– ხომ სწორედ ამიტომ ამოირჩია დრაკო? – არ ცხრებოდა ნარცისა, – ლუციუსის დასასჯელად.

– დრაკო თუ წარმატებით გაართმევს თავს დავალებას, ისეთ პატივში ჩავარდება, სხვას სიზმრადაც რომ არ მოელანდება, – უპასუხა სნეიპმა და ამჯერადაც აარიდა მზერა მის ცრემლებს, – მას დიდება ელის.

– არაფერიც არ გამოუვა! – ქვითინებდა ნარცისა, – როგორ შეძლებს, როცა თავად ბნელი ბატონიც კი...

ბელატრისამ შეიცხადა, ნარცისა დაფრთხა და უკან დაიხია:

– მე მხოლოდ იმას ვგულისხმობდი, რომ... ეს ჯერ ვერავინ მოახერხა... სევერუს... შენ ხარ და ყოველთვის იყავი დრაკოს საყვარელი მასწავლებელი... შენ ლუციუსის ძველი მეგობარი ხარ... გევედრები... შენ ბნელი ბატონის საყვარელი, ყველაზე სანდო მრჩეველი ხარ... დაელაპარაკე მას, გადააფიქრებინე...

– ბნელი ბატონი არ გადაიფიქრებს და მე არც ისეთი სულელი ვარ, რომ ეს ვცადო, – კატეგორიულად მოუჭრა სნეიპმა, – არ მოგატყუებ, ბნელი ბატონი გამწყრალია ლუციუსზე. ეს დავალება ლუციუსს


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პირადად ებარა. ის კი თვითონაც ჩავარდა, სხვებიც დააჭერინა და წინასწარმეტყველებაც ხელიდან გაუშვა. დიახ, ბნელი ბატონი გაბრაზებულია, ნარცისა, და თანაც – ძალიან გაბრაზებული.

– ესე იგი, მართალი ვარ, დრაკო ჯავრის ამოსაყრელად აირჩია! – სული შეუგუბდა ნარცისას, – ის არც ფიქრობს, რომ დრაკო თავს გაართმევს, უბრალოდ, უნდა, რომ დრაკო დავალების შესრულებისას დაიღუპოს!

სნეიპმა არაფერი თქვა და ნარცისას საბოლოოდ უღალატა თავშეკავებამ. წამოდგა, ბარბაცით მივიდა სნეიპთან და მანტიის საყელოში ჩააფრინდა. სახე სახესთან მიუტანა და ამოიხავლა:

– შენ შეგიძლია! შენ შეგიძლია ამის გაკეთება დრაკოს ნაცვლად. შენ გამოგივა!.. რა თქმა უნდა, გამოგივა და ისიც ყველა ჩვენგანზე მეტად დაგაჯილდოებს...

სნეიპმა მაჯებში წაავლო ხელები და თავი გაითავისუფლა. ქალს ცრემლებით დასველებულ სახეში შეხედა და დინჯად წარმოთქვა:

– მე ვფიქრობ, ამ გეგმის დასრულებას საბოლოოდ მაინც მე დამავალებს, მაგრამ ამ ეტაპზე მტიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ ჯერ დრაკომ უნდა სცადოს. რადგან, თუ მოხდა სასწაული და დრაკომ წარმატებას მიაღწია, მე შევძლებ ჰოგვორტსში კიდევ ცოტა ხნით დარჩენას და ჩემი სასარგებლო როლის შესრულებას, ანუ ჯაშუშობის გაგრძელებას.

– სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისთვის სულ ერთია, დრაკო მოკვდება თუ არა!

– ბნელი ბატონი ძალიან გაბრაზებულია, – ჩუმად გაიმეორა სნეიპმა, – მან ვერ შეძლო წინასწარმეტყველების მოსმენა. შენ ჩემზე უკეთ იცი, ნარცისა, რომ იგი იოლად არ პატიობს შეცდომებს.

აქვითინებული ნარცისა სნეიპის ფერხთით დაეცა და ამოიგმინა.

– ჩემი შვილი... ჩემი ერთადერთი შვილი...

– უნდა გეამაყებოდეს! – უმოწყალოდ უთხრა ბელატრისამ, – მე რომ შვილები მყოლოდა, სიამოვნებით შევწირავდი მათ ბნელი ბატონის სამსახურს!

ნარცისამ შეჰკივლა და სასოწარკვეთისგან გრძელი ქერა თმის გლეჯა დაიწყო. სნეიპი დაიხარა, ხელი მოჰკიდა, წამოაყენა, დივანთან მიიყვანა და დასვა. შემდეგ ისევ ჩამოუსხა ღვინო და ჭიქა ხელში ძალით ჩაუდო.

– კმარა, ნარცისა, დალიე და მომისმინე.

ქალი შეეცადა, დაწყნარებულიყო და ათრთოლებულმა მოსვა ღვინო.

– იქნება შევძლო... დრაკოს დახმარება! – წყნარად უთხრა სნეიპმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნარცისა წელში გაიმართა, სახე ქაღალდივით გასცრეცოდა, თვალები უსაშველოდ გაჰფართოებოდა.

– სევერუს... სევერუს... დაეხმარები? იზრუნებ მასზე, მიხედავ, რომ არაფერი დაუშავდეს?

– შევეცდები.

ნარცისამ ჭიქა მაგიდაზე მოისროლა, თვითონ კი დივანიდან ჩამოცურდა, სნეიპის ფეხებთან მუხლი მოიყარა, ორივე ხელი სტაცა ხელში და ეამბორა.

– თუ მართლა მზად ხარ მის დასაცავად... სევერუს, შემომფიცავ? უტეხი ფიცით შემომფიცავ?

– უტეხი ფიცით? – სნეიპს უმეტყველო სახე ჰქონდა. ბელატრისამ ნიშნის მოგებით გადაიხარხარა.

– ვერ გაიგე, რა თქვა, ნარცისა? შევეცდებიო. როგორ არა, შეეცდება... მისთვის ჩვეული ცარიელი სიტყვებია! როგორც ყოველთვის, ცდილობს, რომ საქმეს თავი აარიდოს... თანაც, რასაკვირველია, ბნელი ბატონის ბრძანებით!

სნეიპს ბელატრისასთვის არ შეუხედავს. შავი თვალები ნარცისას ცრემლებით სავსე ცისფერი თვალებისთვის გაეშტერებინა, ნარცისას კი მისი ხელი ჩაებღუჯა და არ უშვებდა.

– რა თქმა უნდა, ნარცისა, შემოგფიცავ უტეხი ფიცით, – მშვიდად თქვა მან, – და იქნებ შენი და დაგვთანხმდეს, რომ ჩვენი ფიცის შემკვრელი იყოს?

ბელატრისას გაოცებისგან ყბა ჩამოუვარდა. სნეიპი დაიხარა, ნარცისას წინ ჩაიმუხლა და ორივემ მარჯვენა ხელი ჩასჭიდა ერთმანეთს.

– ბელატრისა, ჯადოსნური ჯოხი დაგჭირდება, – ცივად შეახსენა სნეიპმა.

გაოცებულმა ბელატრისამ ჯოხი ამოიღო.

– და ცოტა ახლოს უნდა მოიწიო, – უთხრა სნეიპმა. ბელატრისამ წინ გადადგა ნაბიჯი და ჯოხის წვერი მათ გადაჯაჭვულ ხელებს შეახო. ნარცისამ დაიწყო:

– სევერუს, იზრუნებ დრაკოზე, სანამ ის ბნელი ბატონის ბრძანებას შეასრულებს?

– კი, – თქვა სნეიპმა.

ჯადოსნური ჯოხის წვერიდან ალმასივით მოკაშკაშე ცეცხლის წვრილი ენა გამოიჭრა და გავარვარებული მავთულივით მათ ხელებს შემოერკალა.

– და რამდენადაც შეძლებ, დაიცავ საფრთხისაგან?

– კი, – თქვა სნეიპმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯოხმა ცეცხლის მეორე ენა გამოტყორცნა, რომელმაც პირველის ირგვლივ მშვენიერი, მოელვარე ჯაჭვივით შეკრა წრე.

– და თუ საჭირო გახდა... თუ შეატყვე, რომ დრაკო თავს ვერ ართმევს... – დაიჩურჩულა ნარცისამ (მის ხელში მოქცეული სნეიპის ხელი წამიერად შეტოკდა), – შეასრულებ იმ დავალებას, რომელიც ბნელმა ბატონმა დრაკოს მისცა?

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ბელატრისა ამ სანახაობას თვალებგაფართოებული დასცქეროდა, ჯადოსნური ჯოხით კი მათ ხელებს ეხებოდა.

– კი, – თქვა სნეიპმა.

ბელატრისას განცვიფრებული სახე წითლად გაანათა ჯოხიდან გამოსროლილი ცეცხლის ალმა, რომელიც დანარჩენ ორს გადაეკლაკნა და ცეცხლის გველივით შემოესალტა ჩაჭიდულ ხელებს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი მესამე

# ანდერძი

ჰარი პოტერი ხმამაღლა ხვრინავდა. იმ საღამოს თითქმის ოთხი საათის განმავლობაში საწოლი ოთახის ფანჯარასთან იჯდა და ბინდში თანდათან ჩაძირულ ქუჩას გაჰყურებდა. ბოლოს და ბოლოს, ფანჯრის ცივ მინაზე სახემიყრდნობილს ჩაეძინა. სათვალე გვერდზე მოჰქცეოდა და პირი ღია დარჩენოდა. მინაზე მისი სუნთქვისაგან გაჩენილი დანაორთქლი ქუჩაში მდგარი ლამპიონებიდან ოთახში შემოსულ ნარინჯისფერ მკვეთრ შუქზე ციმციმებდა. ხელოვნური სინათლე ჰარის სახეს უფერმკრთალებდა და გრუზა-გაჩეჩილთმიან მოჩვენებას ამსგავსებდა.

ოთახში ნაირ-ნაირი ნივთი და ხარახურა იყო მიმობნეული. იატაკ-ზე ბუს ბუმბულები, ვაშლის ნარჩენები და კანფეტის ქაღალდები მიმოფანტულიყო, საწოლზე დაზვინულ მანტიებს შორის უწესრიგოდ ეყარა შელოცვების რამდენიმე წიგნი, საწერ მაგიდაზე კი უამრა-ვი გაზეთი იყო დახვავებული. რომელიღაც გაზეთს ლამპის შუქი ეფრქვეოდა და გარკვევით მოჩანდა ერთ-ერთი სტატიის მყვირალა სათაური:

## „ჰარი პოტერი „რჩეულია?“

კვლავაც არ წყდება მითქმა-მოთქმა ცოტა ხნის წინ მაგიის სამინისტროში მომხდარი იდუმალებით მოცული ინციდენტის თაობაზე, როდესაც ის, ვისი სახელიც არ ითქმის, ისევ გამოჩნდა.

„ჩვენ ამის თაობაზე არაფრის თქმის უფლება არა გვაქვს, ამიტომ ნურაფერს მკითხავთ“, – განგვიცხადა გასულ ღამეს სამინისტროდან გასვლისას ერთმა აღელვებულმა ობლივიატორმა, რომელმაც თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თუმცა, სანდო წყაროებმა სამინისტროდან დაგვიდასტურეს, რომ მღელვარების ადგილი ლეგენდარული წინასწარმეტყველების დარბაზი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს წარმომადგენლები დღემდე ასეთი ადგილის არსებობასაც კი უარყოფენ, ჯადოქრული საზოგადოების სულ უფრო და უფრო დიდ ნაწილს მტკიცედ სწამს, რომ „სიკვდილის მხვრელები", რომლებიც სამინისტროში უკანონო შეჭრისა და ქურდობის მცდელობის გამო ახლა აზკაბანში სასჯელს იხდიან, წინასწარმეტყველების მოპარვას ცდილობდნენ. ამ წინასწარმეტყველების შინაარსი უცნობია, თუმცა გავრცელებულია მოსაზრება, რომ იგი შეეხება ჰარი პოტერს, ერთადერთ ადამიანს, რომელიც, როგორც ცნობილია, მომაკვდინებელ წყევლას გადაურჩა და რომელიც ზემოხსენებულ ღამეს სამინისტროში იმყოფებოდა. ზოგი პოტერს „რჩეულსაც" კი უწოდებს, რადგან სჯერა, რომ წინასწარმეტყველების მიხედვით, ის ერთადერთია, ვინც შეძლებს გაგვათავისუფლოს მისგან, ვისი სახელიც არ ითქმის.

წინასწარმეტყველების ამჟამინდელი ადგილსამყოფელი, თუ ის მართლაც არსებობს, დაუდგენელია, თუმცა... (გაგრძელება იხ. მეორე გვერდის მეხუთე სვეტში)."

იქვე იდო მეორე გაზეთი. მისი პირველი გვერდი თითქმის მთლიანად ეკავა მამაკაცის სურათს, რომელსაც ლომის ფაფარივით ხშირი თმა და მძიმე ცხოვრებისგან დაღდასმული სახე ჰქონდა. სურათი მოძრაობდა – მამაკაცი ჭერს მუქარით თითს უქნევდა. ამავე გვერდზე მოთავსებული იყო სტატია:

## „ფაჭის პოსტს სკრიმჯერი იკავებს

რუფუს სკრიმჯერმა, წარსულში ჯადოქართა იუსტიციის დეპარტამენტის აურორთა შტაბის თავმჯდომარემ, კორნელიუს ფაჯი მაგიის მინისტრის პოსტზე შეცვალა. მის დანიშვნას ჯადოქრული საზოგადოების დიდი ნაწილი ძალზე დადებითად შეხვდა, თუმცა სკრიმჯერის მიერ პოსტის დაკავებიდან სულ რაღაც რამდენიმე საათში უკვე დაირხა ჭორები ახალ მინისტრსა და ვიზენგამოტის უმაღლესი მსაჯულის თანამდებობაზე აღდგენილ ალბუს დამბლდორს შორის გაჩენილი განხეთქილების თაობაზე.

სამინისტროს წარმომადგენლებმა გაგვიმხილეს, რომ მინისტრი დამბლდორს უმაღლესი თანამდებობის დაკავებისთანავე შეხვდა,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ აღნიშნულ საკითხზე კომენტარის გაკეთებისაგან თავი შეიკავეს. ცნობილია, რომ ალბუს დამბლდორი... (გაგრძელება იხ. მესამე გვერდზე, მეორე სვეტში).“

ამ გაზეთის მარცხნივ კიდევ ერთი გაზეთი ეგდო, რომელიც ისე იყო გადაკეცილი, რომ სტატიის მხოლოდ ერთი ნაწილი იკითხებოდა:

## „სამინისტრო სტუდენტების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს

დღეს ახლად დანიშნულმა მაგიის მინისტრმა რუფუს სკრიმჯერმა შემოდგომაზე ჰოგვორტსის მისნობისა და ჯადოქრობის სკოლაში სასწავლებლად დაბრუნებული სტუდენტების უსაფრთხოების დასაცავად სამინისტროს მიერ მიღებული ახალი მკაცრი ზომების თაობაზე ისაუბრა.

„გასაგები მიზეზების გამო, სამინისტრო ახალი, გამკაცრებული უსაფრთხოების ზომების დეტალების გამხელას არ მიიჩნევს საჭიროდ“, – განაცხადა მინისტრმა, თუმცა სამინისტროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა დაგვიდასტურა, რომ ეს ზომები ასევე გულისხმობს თავდაცვით შელოცვებსა და ჯადოებს, აუარება კონტრშელოცვასა და საგანგებოდ ჰოგვორტსის სკოლის დასაცავად გამოყოფილ აურორთა მცირერიცხოვან ოპერატიულ ჯგუფს.

როგორც ჩანს, სტუდენტების უსაფრთხოების თაობაზე მინისტრის მტკიცე პოზიციამ ბევრი დააიმედა. ქალბატონმა ავგუსტა ლონგბოტომმა განაცხადა: „ჩემი შვილიშვილი ნევილი, რომელიც, სხვათა შორის, ჰარი პოტერის კარგი მეგობარია და ივნისში „სიკვდილის მხვრელებს“ ჰარის მხარდამხარ შეებრძოლა სამინისტროში...“

სტატიის დანარჩენი ნაწილი ზედ გაზეთზე დადგმულ უზარმაზარ გალიას დაეფარა. შიგ დიდებული, თოვლივით ქათქათა ბუ იჯდა, ქარვისფერი თვალებით ბატონკაცურად ათვალიერებდა ოთახს, დროდადრო თავს ატრიალებდა და პატრონს უმზერდა. ერთი-ორჯერ მოუთმენლად ააკაპუნა ნისკარტი, მაგრამ ჰარის ისე ღრმად ეძინა, არაფერი გაუგია. ოთახის შუაგულში ვეება გახსნილი ჩემოდანი იდგა. იგი თითქმის ცარიელი იყო, თუ არ ჩავთვლით ძველ საცვლებს, ტკბილეულს, ცარიელ სამელნეებსა და დამტვრეულ ბატის ფრთებს,



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომლებიც ჩემოდნის ძირში ეყარა. შორიახლოს, იატაკზე მშვენივრად გაფორმებული იისფერი ბროშურა ეგდო. ბროშურაში ეწერა:

„მაგიის სამინისტრო გაფრთხილებთ:

**დაიცავით თქვენი სახლი და ოჯახი ბნელი ძალებისაგან**

ჯადოქართა საზოგადოებას ამჟამად საფრთხეს უქმნის ორგანიზაცია, რომელიც თავის თავს „სიკვდილის მხვრელებს“ უწოდებს. ქვემოთ მოყვანილი უსაფრთხოების მარტივი წესების გათვალისწინება საშუალებას მოგცემთ, დაიცვათ საკუთარი თავი, თქვენი ოჯახი და სახლი თავდასხმისაგან.

1. გირჩევთ, სახლიდან მარტო არ გახვიდეთ;

2. განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ დაბნელების შემდეგ. ნებისმიერი სახის მგზავრობა დაგეგმეთ დღის საათებში;

3. გადაამოწმეთ უსაფრთხოების ზომები თქვენი სახლის სიახლოვეს. დარწმუნდით, რომ ოჯახის ყველა წევრმა იცის ისეთი შელოცვები, როგორიცაა ფარის ჯადო და დეილუზიონირების შელოცვა, ხოლო ოჯახის არასრულწლოვანმა წევრებმა – თანააპარაცია;

4. შეუთანხმეთ საიდუმლო შეკითხვა თქვენს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს, რათა იმ შემთხვევაში, თუ „სიკვდილის მხვრელს“ მრავალწვნიანი სასმლის (იხ. მეორე გვერდი) საშუალებით მათი სახე აქვს მიღებული, არ გაგიჭირდეთ მისი ამოცნობა;

5. თუ შეატყობთ, რომ თქვენი ოჯახის წევრი, კოლეგა, მეგობარი ან მეზობელი უცნაურად იქცევა, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით ჯადოქართა ძალოვანი სტრუქტურების ოპერატიულ ჯგუფს, რადგან ისინი შეიძლება იმპერიუსის წყევლის (იხ. მეოთხე გვერდი) გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ;

6. თუ საცხოვრებელი სახლის ან სხვა შენობის თავზე შავი ნიშანი გაჩნდა, შიგნით არ შეხვიდეთ, სასწრაფოდ დაუკავშირდით აურორთა შტაბს;

7. დაუზუსტებელი ინფორმაციით, „სიკვდილის მხვრელები“ შესაძლოა, იყენებდნენ ინფერიუსებს (იხ. მეათე გვერდი). თუ თვალი მოჰკარით ინფერიუსს, დაუყოვნებლივ აცნობეთ სამინისტროს“.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ ძილში რაღაცა ჩაიბურტყუნა, შეიშმუშნა, მაგრამ არ გაუღვიძია. მაღვიძარა საათი, რომელიც ჰარიმ რამდენიმე წლის წინ შეაკეთა, ფანჯრის რაფაზე ხმამაღლა წიკწიკებდა. მასზე თერთმეტს ერთი წუთი უკლდა. მის გვერდით, ჰარის მოდუნებულ ხელთან, წვრილი, დახრილი ნაწერით დაფარული ეტრატი იდო. მას შემდეგ, რაც სამი დღის წინ ჰარიმ ეს წერილი მიიღო, იმდენჯერ წაიკითხა, რომ ბუს მოტანილი მჭიდროდ დახვეული პერგამენტი ახლა მთლად გატკიცინებული იდო რაფაზე.

„ძვირფასო ჰარი,

თუ წინააღმდეგი არ ხარ, მომავალ ჰარასყევს, საღამოს თერთმეტ საათზე, ჰრივიტ დრაივის ოთახ ნომერში მოგაყითხავ, რათა მიგაცილო „ბუნაგამდე", სადაც დაჰაფიებული ხარ დარჩენილი არდადეგების გასაყვარებლად.

მოხარული ვიქნები, თუ დამთანხმდები, დახმარება გამიწიო ერთ საქმეში, რომელსაც, იმედი მაქვს, გზად მოვაგვარებთ. ყველაფერს დაწვრილებით აგიხსნი, როცა გნახავ.

გეთაყვა, ჰასუხი ამავე ბუს გამოაყვანე. იმედია, ჰარასყევს შევხვდებით.

საუკეთესო სურვილებით, შენი

ალბუს დამბლდორი"

ჰარიმ წერილი უკვე ზეპირად კი იცოდა, მაგრამ საღამოს შვიდი საათიდან, როცა საძინებლის ფანჯარასთან მოკალათდა, ყოველ ხუთ წუთში ერთხელ მაინც აპარებდა ხოლმე მისკენ თვალს. აქედან საკმაოდ კარგად ჩანდა პრივიტ დრაივის ქუჩის ორივე ბოლო. ჰარიმ იცოდა, რომ დამბლდორის სიტყვების წამდაუწუმ გადაკითხვას აზრი არა ჰქონდა, თანხმობის წერილი იმავე ფოსტის ბუს გაატანა, როგორც სთხოვეს, და ახლა მხოლოდ ლოდინიღა დარჩენოდა.

თუმცა, ჩემოდანი ჯერ კიდევ არ ჩაელაგებინა. უბრალოდ, არ სჯეროდა, რომ დერსლებთან გატარებული სულ რაღაც ორი კვირის შემდეგ მათ თავს დააღწევდა. ვერაფრით მოიცილა იმის შიში, ვაითუ რამე ისე არ გამოვიდესო: ხომ შეიძლებოდა, დამბლდორისკენ მიმავალ ბუს გზა დაჰბნეოდა, ან დამბლდორისთვის რამეს შეეშალა ხელი და ვერ მოსულიყო, ან ეს წერილი დირექტორისგან მოწერილი კი არა, არამედ რამე ოინი, ხუმრობა ან ხაფანგი აღმოჩენილიყო. ჰარი ნამდვილად ვერ გადაიტანდა, რომ ბარგი ჩაელაგებინა, მერე კი იმედი გასცრუებოდა და ისევ ამოელაგებინა. ერთადერთი, რაც გაა-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კეთა, ის იყო, რომ თავისი თოვლივით თეთრი ბუ ჰედვიგი გალიაში საგულდაგულოდ ჩაკეტა.

მაღვიძარას წუთების ისარმა თორმეტს მიაღწია და სწორედ იმწამს ფანჯრის მიღმა ლამპიონი ჩაქრა.

ჰარის ანაზდად გამოეღვიძა, თითქოს ეს უეცარი ჩამობნელება განგაშის ზარი ყოფილიყოს. სათვალე შეისწორა, მინას ლოყის ნაცვლად ცხვირი მიაჭყლიტა და თვალებმოწკურულმა ჩახედა ტროტუარს. ბაღის ბილიკზე გრძელი მოსასხამის ფრიალით მოაბიჯებდა მაღალი ფიგურა.

ჰარი ისე წამოხტა, თითქოს დენმა დაარტყაო, სასწრაფოდ დაფაცურდა, იატაკზე რასაც კი მისწვდა, ყველაფერს ხელი სტაცა და ჩემოდანში ჩატენა. ის იყო, ოთახის მეორე ბოლოდან მანტიების კომპლექტი მოარბენინა და შელოცვების წიგნებთან და ხრაშუნა კარტოფილის პაკეტთან ერთად ჩემოდანში ჩაუძახა, რომ კარზეც დარეკეს.

პირველ სართულზე, სასტუმრო ოთახში, ძია ვერნონმა დაიყვირა:

– ვინ ეშმაკი მოეთრია ამ შუაღამისას?

ჰარი გაშეშდა: ცალ ხელში თითბრის ტელესკოპი შერჩა, მეორეში – კედები. ახლა გაახსენდა, რომ დერსლები არ გაუფრთხილებია, შეიძლება, დამბლდორი მოვიდესო. ერთდროულად პანიკური შიშიც დაეუფლა და სიცილის გუნებაზეც დადგა, ჩემოდანს გადააფოფხდა და საძინებლის კარი სწორედ იმ დროს გამოაღო, როცა დაბლა ბოხი ხმა გაისმა:

„საღამო მშვიდობისა. თქვენ ალბათ ბატონი დერსლი ბრძანდებით. იმედია, ჰარიმ გითხრათ, რომ მის წასაყვანად მოვიდოდი“.

ჰარი უკვე ორ-ორი საფეხურის გამოტოვებით ჩარბოდა კიბეზე, მაგრამ კიბის ძირიდან რამდენიმე საფეხურით მაღლა შეჩერდა, რადგან ხანგრძლივმა გამოცდილებამ ასწავლა, ძია ვერნონისაგან შეძლებისდაგვარად შორს დაეჭირა თავი. კარში იდგა მაღალი, გამხდარი კაცი, ვერცხლისფერი თმა და წვერი წელამდე სცემდა. ნახევარმთვარის ფორმის სათვალე კეხიან ცხვირზე წამოეცვა, გრძელი შავი სამგზავრო მოსასხამი ემოსა და წაწვეტებული ქუდი ეხურა. ვერნონ დერსლი, რომელსაც დამბლდორივით ხშირი, თუმცა, მისგან განსხვავებით, შავი ულვაში ჰქონდა და მოწითალო-მოყავისფრო საშინაო ხალათი ეცვა, სტუმარს ისე მიშტერებოდა, თითქოს თავის წვრილ თვალებს არ უჯერებსო.

– თქვენი გაოგნებული გამომეტყველების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჰარის არ გაუფრთხილებიხართ, რომ მოსვლას ვაპირებდი, – სასიამოვნო ხმით დაასკვნა დამბლდორმა, – თუმცა, მოდით,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიგულისხმოთ, რომ თქვენ თავაზიანად შემომიპატიჟეთ სახლში. ასეთ რთულ დროში უგუნურებაა ზღრუბლზე დიდხანს შეყოვნება.

მან მარდად გადმოაბიჯა ზღურბლს და კარი მიხურა.

– დიდი დრო გავიდა ჩემი ბოლო სტუმრობის შემდეგ, – თქვა დამბლდორმა და ზემოდან დააცქერდა ძია ვერნონს, – როგორც ვხედავ, თქვენი აფრიკული შროშანი გაფურჩქნილა, – ვერნონ დერსლიმ არც ახლა ამოიღო ხმა. თუმცა ჰარის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბიძამისს მეტყველების უნარი დაუბრუნდებოდა, თანაც ძალიან მალე – დერსლის საფეთქელზე ძარღვის ფეთქვამ სახიფათო სიჩქარეს მიაღწია. მაგრამ ჩანდა, რომ ჯერჯერობით ხმას „რაღაც“ აკმენდინებდა. შეიძლება, ეს დამბლდორის აშკარა ჯადოქრული იერი იყო; ან შეიძლება, ძია ვერნონმა უბრალოდ იგრძნო, რომ მის წინ მდგარ კაცს ღრიალით ვერ შეაშინებდა.

– ა, საღამო მშვიდობისა, ჰარი, – დამბლდორმა თავისი ნახევარმთვარისებური სათვალიდან მეტად კმაყოფილი გამომეტყველებით ახედა კიბეზე მდგარ ჰარის, – შესანიშნავია, შესანიშნავი.

ამ სიტყვებმა, როგორც ჩანს, ძია ვერნონი გამოაფხიზლა. მისთვის, ეტყობა, ცხადი გახდა, რომ ვერასოდეს გამონახავდა საერთო ენას იმ კაცთან, რომელიც ჰარის დანახვისას იტყოდა, „შესანიშნავიაო“.

– არ მინდა, უხეშობაში ჩამომართვათ... – დაიწყო ისეთი ტონით, რომ ყოველ მარცვალში უხეშობა გამოსჭვიოდა.

– მაგრამ, სამწუხაროდ, უნებლიე უხეშობას საკმაოდ ხშირად ვიჩენთ ხოლმე, – სერიოზულად დაასრულა წინადადება დამბლდორმა, – ჯობია, არაფერი თქვათ, ჩემო კარგო. ეს ალბათ პეტუნიაა.

სამზარეულოს კარი გაიღო და ჰარის დეიდა გამოჩნდა რეზინის ხელთათმანებითა და ღამის პერანგზე წამოცმული ხალათით. როგორც ჩანდა, სამზარეულოს გახურებულ წმენდა-დალაგებაში იყო, რაც დაძინებამდე წესად ჰქონდა ქცეული. მისი ცხენივით წაგრძელებული სახე შოკის გარდა არაფერს გამოხატავდა.

– ალბუს დამბლდორი, – გაეცნო დამბლდორი, რადგან ძია ვერნონმა ისინი არა და არ წარუდგინა ერთმანეთს, – ჩვენ ოდესღაც მიწერ-მოწერა გვქონდა, ალბათ გახსოვთ, – ჰარიმ გაიფიქრა, რა „მიწერ-მოწერაზე“ ლაპარაკობს, ერთადერთხელ არ გამოუგზავნა დეიდა პეტუნიას ღრიალაო? მაგრამ დეიდა პეტუნიას პრეტენზია არ გამოუთქვამს და დამბლდორმა განაგრძო, – ეს კი ალბათ თქვენი შვილი დადლია, არა?

დადლიმ სწორედ იმ წუთში გამოიჭყიტა სასტუმრო ოთახიდან. ზოლიანი პიჟამის საყელოდან ამოყოფილი ქერა თავი თითქოს ჰაერში ეკიდა. დადლის გაოცებისა და შიშისაგან პირი დაეღო და


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაფეთებული ათვალიერებდა დამბლდორს. დამბლდორმა ერთი-ორი წამით შეიცადა, რათა დარწმუნებულიყო, რომ დერსლები არაფრის თქმას არ აპირებდნენ. ბოლოს თბილად გაიღიმა და თქვა:

– მოდით, ისევ ვიგულისხმოთ, რომ თქვენს მისაღებში შემიპატიჟეთ, კარგი?

დადლი განზე გახტა, როცა დამბლდორმა ჩაუარა. ჰარი ბოლო რამდენიმე საფეხურს გადაახტა და დამბლდორს მიჰყვა, რომელიც უკვე ბუხართან სავარძელში მოკალათებულიყო და იქაურობას კეთილი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა. ამ ოთახს იგი ნამდვილად არ შეეფერებოდა.

– სერ, არ... არ მივდივართ? – შიშით ჰკითხა ჰარიმ.

– წავალთ, აუცილებლად წავალთ, მაგრამ ჯერ რამდენიმე საკითხი უნდა გავარკვიოთ, – თქვა დამბლდორმა, – და მირჩევნია, ეზოს ნაცვლად ყველაფერი აქ, ამ მყუდრო ოთახში მოვაგვაროთ. ამიტომ შენი დეიდისა და ბიძიას სტუმართმოყვარეობით სულ ცოტა ხნით ბოროტად ვისარგებლებ.

– თქვენ რა... დარჩენას აპირებთ?

ოთახში ვერნონ დერსლი შემოსულიყო, პეტუნია მის მხარს მიჰკვროდა, დადლი კი მშობლებს ამოჰფარებოდა.

– დიახ, – უბრალოდ მიუგო დამბლდორმა, – ვაპირებ!

და ჰარიმ თვალი ძლივს შეასწრო, ისე სწრაფად ამოიღო ჯადოსნური ჯოხი და მსუბუქად აიქნია. დივანი წუილით გამოექანა წინ და სამივე დერსლის მუხლებში შეუვარდა. გაოგნებულებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს, რომ ბრაგვანით ზედ დაეხეთქნენ. ჯოხის კიდევ ერთი გაქნევა, და დივანი ისევ უკან, თავისი პირვანდელი ადგილისკენ გაქანდა.

– ასე უფრო კომფორტულად იქნებით, – გულღიად შენიშნა დამბლდორმა.

როდესაც ჯოხი ისევ ჯიბეში შეინახა, ჰარიმ შეამჩნია, რომ ხელი გაშავებული და დამჭკნარი ჰქონდა, თითქოს მაგრად დასწვიაო.

– სერ, რა დაგემართათ ხელ...

– ახლა არა, ჰარი, – შეაწყვეტინა დამბლდორმა, – გთხოვ, დაჯექი.

ჰარი ერთადერთ თავისუფალ სავარძელში ჩაჯდა, თან ცდილობდა, მოულოდნელობისგან ენაჩავარდნილი დერსლებისკენ არ გაეხედა.

– მეგონა, რამით გამიმასპინძლდებოდით, – უთხრა დამბლდორმა ძია ვერნონს, – მაგრამ სიტუაცია მიმანიშნებს, რომ, ჩემი მხრივ, ასეთი ოპტიმიზმი ნამდვილი სისულელეა.

ჯოხი მესამედ მოიქნია და ჰაერში დამტვერილი ბოთლი და ხუთი ჭიქა გაჩნდა. ბოთლი გადაიხარა და ყველა ჭიქაში გულუხვად


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩამოასხა თაფლისფერი სითხე. ჭიქები ოთახში მყოფებთან მიფრინდნენ.

– მადამ როზმერტას საუკეთესო მუხის თაფლუჭია, – განმარტა დამბლდორმა და ჰარი ჭიქის აწევით ადღეგრძელა, ჰარიმ თავის ჭიქას ჩახედა და ნელა მოსვა. აქამდე მსგავსი არაფერი გაესინჯა, მაგრამ უზომოდ მოეწონა. დერსლებმა კი შეშინებულებმა გადახედეს ერთმანეთს და შეეცადნენ, ყურადღება არ მიექციათ თავიანთი ჭიქებისათვის, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა, რადგან ჭიქები არ ეშვებოდნენ და თავზე მსუბუქად ეჯახებოდნენ. ჰარიმ თავისდა უნებურად გაიფიქრა, დამბლდორი ერთობაო.

– მაშ, ასე, ჰარი, – მიუბრუნდა დამბლდორი, – ჩვენ ერთი პრობლემა გაგვიჩნდა, რომლის გადაჭრაშიც, იმედი მაქვს, შენ დაგვეხმარები. ჩვენ, ანუ ფენიქსის ორდენს. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაცნობო, რომ ერთი კვირის წინ სირიუსის ანდერძი აღმოაჩინეს და მან ყველაფერი, რაც ეკუთვნოდა, ანდერძით შენ დაგიტოვა.

დივანზე მჯდარი ძია ვერნონი შეტოკდა, მაგრამ ჰარის მისთვის არ სცხელოდა, პასუხადაც ვერაფერი მოიფიქრა, მხოლოდ, გასაგებიაო, ჩაილაპარაკა.

– პრინციპში, ყველაფერი მარტივადაა, – გააგრძელა დამბლდორმა, – გრინგოტსში შენს ანგარიშს დაერიცხება საკმაოდ დიდი რაოდენობის ოქრო და სირიუსის პირადი ნივთებიც შენს საკუთრებაში გადმოვა. მაგრამ წარმოიშვა ერთი პრობლემა...

– მაგისი ნათლია მოკვდა? – ხმამაღლა იკითხა ძია ვერნონმა. დამბლდორმა და ჰარიმ მისკენ გაიხედეს. თაფლუჭით სავსე ჭიქა ჯიუტად ეხლებოდა ვერნონს თავზე, ის კი ცდილობდა, ხელის კვრით მოეშორებინა, – მოკვდა? ამისი ნათლია?

– დიახ, – მიუგო დამბლდორმა. მას არ უკითხავს ჰარისთვის, დერსლებს რატომ არაფერი გაუმხილეო, – ჩვენი პრობლემა, – მიუბრუნდა ისევ ჰარის, თითქოს მისთვის არავის შეუწყვეტინებიაო, – ისაა, რომ სირიუსმა შენ გრიმოს მოედანი 12 დაგიტოვა.

– ამას, რა, სახლი დაუტოვეს? – ხარბად იკითხა ძია ვერნონმა და პატარა თვალები დაუწვრილდა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

– შეგიძლიათ, ისევ გამოიყენოთ შტაბ-ბინად, – თქვა ჰარიმ, – ჩემთვის სულ ერთია. თქვენ მოიხმარეთ, მე მართლა არ მინდა.

ჰარის ნება რომ ყოფილიყო, იმ სახლში ფეხს აღარასოდეს დადგამდა: იცოდა, რომ სირიუსის მოგონება არ მოასვენებდა, ის ხომ მარტოდმარტო დაეხეტებოდა ჩაბნელებულ, ობმოდებულ სახლში, რომლის მიტოვებაც ასე გაგიჟებით სურდა.

– შენი მხრიდან ეს ძალიან გულუხვი და დიდსულოვანი საქციელია,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– უპასუხა დამბლდორმა, – მაგრამ ჩვენ დროებით უკვე დავცალეთ შენობა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ, – დაიწყო დამბლდორმა. იგი ყურადღებას არ აქცევდა ძია ვერნონის ბუზღუნს, რომელსაც ახლა გაჯიუტებული თაფლუჭის ჭიქა მარდად უკაკუნებდა თავში, – ბლექების ოჯახური ტრადიციის მიხედვით, სახლი პირდაპირ შთამომავალს, ბლექის გვარის გამგრძელებელ ყოველ მომდევნო ვაჟს გადაეცემოდა. სირიუსი გვარში უკანასკნელი იყო, რადგან მისი უმცროსი ძმა რეგულუსი სირიუსზე ადრე გარდაიცვალა და ორივე უძეოდ გადაეგო. მართალია, ანდერძში სირიუსი საკმაოდ ნათლად აცხადებს, რომ სურს, შენ დაგიტოვოს სახლი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ სახლი მოჯადოებულია, რათა ვინმე არაწმინდასისხლიანის ხელში არ მოხვდეს.

ჰარის მაშინვე თვალწინ დაუდგა გრიმოს მოედანი 12-ის ჰოლში დაკიდებული სირიუსის დედის მკივანა, დუჟმომდგარი პორტრეტი და ჩაილაპარაკა:

– სანაძლეოს დავდებ, ასეცაა.

– სავსებით დასაშვებია, – კვერი დაუკრა დამბლდორმა, – და თუ მართლა მოჯადოებულია, მაშინ სახლზე საკუთრების უფლება, სავარაუდოდ, გადაეცემა სირიუსის ცოცხლად დარჩენილ ნათესავთაგან ყველაზე უფროსს, ესე იგი, მის ბიძაშვილს, ბელატრისა ლესტრეინჯს.

ჰარი უნებურად წამოიჭრა ფეხზე. ტელესკოპი და კედები კალთიდან იატაკზე დაუცვივდა: რაო?! ბელატრისა ლესტრეინჯმა, სირიუსის მკვლელმა, სახლი მიისაკუთროს?

– არა, – შესძახა ჰარიმ.

– რასაკვირველია, ჩვენც არ გვინდა, რომ სახლი მას ჩაუვარდეს ხელში, – მშვიდად აუბა მხარი დამბლდორმა, – სიტუაცია ძალიან ჩახლართულია. მაგალითად, ჩვენ არ ვიცით, ჩჯენ მიერვე დადებული ჯადო, რომლითაც სახლი უჩინარი გავხადეთ, კიდევ თუ იმოქმედებს სირიუსის სიკვდილის შემდეგ. შეიძლება, წუთი წუთზე კარის ზღურბლზე ბელატრისა გამოჩნდეს. ბუნებრივია, სახლი მოვატოვეთ, მანამდე მაინც, სანამ ყველაფერში არ გავერკვევით.

– კი მაგრამ, იმას როგორ გაარკვევთ, ვარ თუ არა მე სახლის მესაკუთრე?

– საბედნიეროდ, საამისოდ მარტივი ტესტი არსებობს, – დაამშვიდა დამბლდორმა. მან ცარიელი ჭიქა თავისი სკამის გვერდით, მაგიდაზე დადგა, მაგრამ სანამ კიდევ რამეს მოასწრებდა, ძია ვერნონმა დაიძახა:


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ბოლოს და ბოლოს, ამ ოხრობას მოგვაშორებ თუ არა?

ჰარიმ მისკენ მიიხედა, სამივე დერსლის თავზე ხელები აეფარებინა და ჭიქებისგან თავდაცვას ცდილობდა. ჭიქები კი ისევ ჯიუტად ახტებოდნენ ზედ და იქაურობას სასმლით წუწავდნენ.

– უი, უკაცრავად, – თავაზიანად მოიბოდიშა დამბლდორმა და ჯადოსნური ჯოხი კვლავ აღმართა. სამივე ჭიქა გაქრა, – ისე, ზრდილობის გულისთვის მაინც შეგეძლოთ, დაგელიათ.

ძია ვერნონმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს, სადაც იყო, მისგან ლანძღვა-გინების ნიაღვარი გადმოხეთქავდა, მაგრამ ის მხოლოდ ბალიშებში შეიჭყუნა და არაფერი თქვა, თან ღორისებური წვრილი თვალები დამბლდორის ჯადოსნური ჯოხისათვის არ მოუშორებია.

– საქმე ისაა, რომ, – ისევ ჰარის მიუბრუნდა დამბლდორი და საუბარი ისე განაგრძო, თითქოს ძია ვერნონს ხმაც არ ამოუღიაო, – თუ სახლი მემკვიდრეობით მართლა შენ გადმოგეცა, მაშინ ესეც...

მან მეხუთედ გაიქნია ჯადოსნური ჯოხი. გაისმა ხმამაღალი ტკაცანი და დერსლების ფუმფულა ხალიჩაზე გაჩნდა მოკუნტული, გაჭვარტლული ძონძებით შემოსილი შინაური ელფი, დინგისებური ცხვირით, ღამურასებური ფართხუნა ვეება ყურებითა და უშველებელი ჩასისხლიანებული თვალებით. დეიდა პეტუნიამ განწირულმა იკივლა: რაც თავი ახსოვდა, მის მისაღებში ასეთ ბინძურს არაფერს გაუჭაჭანებია. დადლიმ სასწრაფოდ აკრიფა ტლანქი შიშველი ფეხები იატაკიდან და ლამის თავს ზემოთ შემოიწყო, თითქოს ეშინოდა, ეს არსება პიჟამაზე არ ამაცოცდესო, ძია ვერნომა კი მთელი ხმით იღრიალა:

– ეს რაღა ჯანდაბაა?

– კრეჩერია, – აუხსნა დამბლდორმა.

– კრეჩერს არ უნდა, კრეჩერს არ უნდა, კრეჩერს არ უნდა!

– ძია ვერნონზე არანაკლებ ხმამაღლა დაიჩხავლა შინაურმა ელფმა, გრძელი, გაჩხინკული, დაბრეცილი ფეხები დააბაკუნა და ყურებზე ხელები აიფარა, – კრეჩერი მის ბელატრისას ეკუთვნის, დიახ, დიახ, კრეჩერი ბლექებს ეკუთვნის, კრეჩერს თავისი ახალი ქალბატონი უნდა, კრეჩერი არ წავა გაფუჭებულ პოტერთან, კრეჩერს არ უნდა, არ უნდა, არ უნდა...

– როგორც ხედავ, ჰარი, – ხმამაღლა დაიწყო დამბლდორმა, რომ ელფის დაუსრულებელი „არ უნდა“ გადაეფარა, – კრეჩერს დიდად არ ხიბლავს შენს საკუთრებაში გადმოსვლა.

– ჩემთვის სულ ერთია, – ისევ თქვა ჰარიმ და ზიზღით დახედა შინაურ ელფს, რომელიც იკლაკნებოდა და ფეხებს აბაკუნებდა, – მე ის არ მჭირდება.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ უნდა, არ უნდა, არ უნდა...

– და გირჩევნია, იგი ბელატრისა ლესტრეინჯს ემსახურებოდეს? გაითვალისწინე, რომ ამ ბოლო წლის განმავლობაში ფენიქსის ორდენის შტაბ-ბინაში ცხოვრობდა.

ჰარი დამბლდორს შეაცქერდა. იცოდა, არ შეიძლებოდა კრეჩერი ბელატრისა ლესტრეინჯთან გაეშვათ და მასთან ეცხოვრა, მაგრამ იმის გაფიქრებაც კი, რომ პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო იმ არსებაზე, რომელმაც სირიუსს უღალატა, გულს ურევდა.

– უბრძანე რამე, – ურჩია დამბლდორმა, – თუ ის ახლა მართლა შენ გეკუთვნის, იძულებული იქნება, დაგემორჩილოს. თუ არადა, მოგვიწევს, სხვა გზას მივმართოთ, რომ თავის კანონიერ ქალბატონს ახლოს არ გავაკაროთ.

– კრეჩერს არ უნდა, არ უნდა, არ უნდა, არ უნდაااა!.. კრეჩერი უფრო ხმამაღლა აყვირდა. ჰარიმ კი ის თქვა, რაც პირველად მოადგა ენაზე:

– კრეჩერ, მოკეტე!

კრეჩერს თითქოს რაღაც გადასცდაო, ყელზე ხელები იტაცა, პირი გაშმაგებით ააცმაცუნა და თვალები გადმოკარკლა. რამდენიმე-წამიანი ჰაერის ისტერიკული ყლაპვის შემდეგ ხალიჩაზე პირქვე დაემხო (დეიდა პეტუნიამ დაიკრუსუნა), იატაკს ხელ-ფეხი დაუშინა და საშინელი, მაგრამ სრულიად მდუმარე ისტერიკა დაემართა.

– ჰოო, ეს საქმეს ამარტივებს, – გამხიარულდა დამბლდორი, – როგორც ჩანს, სირიუსმა იცოდა, რასაც აკეთებდა. შენ გრიმოს მოედანი ნომერი თორმეტისა და კრეჩერის კანონიერი მფლობელი ხარ.

– აუცილებელია... აუცილებელია, რომ თან ვიყოლიო? – შეშფოთდა ჰარი, კრეჩერი კი ამასობაში მის ფეხებთან სხმარტალებდა.

– თუ არ გინდა, ნუ იყოლიებ, – მიუგო დამბლდორმა, – თუ ნებას დამრთავ, შემიძლია, შემოგთავაზო, რომ ჰოგვორტსში გააგზავნო და იქ სამზარეულოში იმუშაოს. ამგვარად სხვა შინაურ ელფებს მასზე თვალი ეჭირებათ.

– დიახ, – შვებით ამოისუნთქა ჰარიმ, – ასეც მოვიქცევი. ისა... კრეჩერ, მინდა, რომ ჰოგვორტსში წახვიდე და იქ სხვა შინაურ ელფებთან ერთად სამზარეულოში იმუშაო.

კრეჩერი ამ დროს ზურგზე გაშოტილი იქნევდა ხელ-ფეხს. მერე წამოდგა, ჰარის უსაზღვრო სიძულვილით აღსავსე მზერით ახედა და ხმამაღალი ტკაცანით გაქრა.

– კარგია, – მოიწონა დამბლდორმა, – ჰიპოგრიფ ბაკბიკის ბედიც გადასაწყვეტია. სირიუსის დაღუპვის შემდეგ მას ჰაგრიდი უვლის,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ ბაკბიკი ახლა შენია, ამიტომ, თუ სხვა გადაწყვეტილებას მიიღებ...

– არა, – მაშინვე თქვა ჰარიმ, – ჰაგრიდთან დარჩეს. მგონი, ბაკბიკსაც ასე ურჩევნია.

– ჰაგრიდი სიხარულით ცას ეწევა, – გაეღიმა დამბლდორს, – ბაკბიკის დაბრუნებით ძალიან გაიხარა. სხვათა შორის, ჩვენ ბაკბიკისავე უსაფრთხოებისათვის გადავწყვიტეთ, მისთვის სახელი გამოგვეცვალა და ვიზერვინგსი დაგვერქმია, თუმცა მეეჭვება, რომ სამინისტრომ მასში ოდესმე ის ჰიპოგრიფი იცნოს, რომელსაც ერთ დროს სიკვდილი მიუსაჯა. ჰარი, ჩემოდანი ჩალაგებული გაქვს?

– ისა...

– ეჭვი გეპარებოდა, რომ მოვიდოდი? – მიუხვდა დამბლდორი.

– ახლავე დავამთავრებ, – ჩაიბუტბუტა ჰარიმ და საჩქაროდ წამოკრიფა ძირს დაცვენილი ტელესკოპი და კედები.

ათ წუთზე ცოტა მეტი ხანი დასჭირდა, სანამ საჭირო ნივთებს თავს მოუყრიდა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, საწოლის ქვემოდან უჩინმაჩინის მოსასხამი გამოათრია, თავი დაუცო ფერცვალებადი მელნის სამელნეს, ჩემოდანში ქვაბიც ჩატენა, ზემოდან დააწვა და ძლივს დაკეტა. ბოლოს ცალი ხელით ჩემოდანი აიღო, მეორე ხელით – ჰედვიგის გალია და კიბეს ჩაუყვა.

მისდა სამწუხაროდ, აღმოაჩინა, რომ დამბლდორი ჰოლში არ ელოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისევ სასტუმრო ოთახში უნდა შესულიყო.

სასტუმრო ოთახში ხმას არავინ იღებდა. დამბლდორი თავისთვის ღიღინებდა რაღაცას, ეტყობოდა, აქ თავს შინაურივით გრძნობდა, თუმცა ოთახში ატმოსფერო იმდენად დამძიმებულიყო, რომ ჰარიმ ვერ გაბედა დერსლებისკენ გახედვა, ისე თქვა:

– პროფესორო, მზად ვარ.

– კარგი, – თავი დაუქნია დამბლდორმა, – მაშინ ორიოდე სიტყვასაც ვიტყვი.

და ერთხელაც მიუბრუნდა დერსლებს:

– როგორც იცით, გაისად ჰარი სრულწლოვანი გახდება.

– არა, – დამბლდორის მოსვლის შემდეგ პირველად ამოიღო ხმა დეიდა პეტუნიამ.

– უკაცრავად, – თავაზიანად მიმართა დამბლდორმა.

– არაფერი სრულწლოვანიც არ ხდება. ერთი თვით პატარაა დადლიზე. დადლიკუნა კი მხოლოდ ორ წელიწადში ხდება თვრამეტისა.

– აა... მაგრამ ჯადოქართა სამყაროში სრულწლოვანებას ჩვიდმეტი წლის ასაკში აღწევენ, – ზრდილობიანად მიუგო დამბლდორმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძია ვერნონმა ჩაიბურტყუნა: რა უაზრობაა, მაგრამ დამბლდორმა წაუყრუა.

– მაშ, ასე, როგორც უკვე იცით, ჯადოქარი, სახელად ლორდი ვოლდემორი, დაბრუნდა. ჯადოქრული საზოგადოება ამჟამად საომარ მდგომარეობაშია. ჰარის მოკვლას ლორდი ვოლდემორი უკვე რამდენჯერმე შეეცადა. ახლა კი მას კიდევ უფრო მეტი საფრთხე ემუქრება, ვიდრე თხუთმეტი წლის წინ, როცა თქვენს კართან დავტოვე წერილით, რომელშიც მოგიყევით მისი მშობლების მკვლელობის შესახებ და იმედი გამოვთქვი, რომ მასზე საკუთარი შვილივით იზრუნებდით.

დამბლდორი გაჩუმდა. თუმცა ხმა ისევ წყნარი, მშვიდი ჰქონდა და სიბრაზის არავითარ ნიშანწყალს არ ავლენდა, ჰარიმ იგრძნო, რომ დამბლდორი რაღაცნაირ სიცივეს გამოსცემდა და შეამჩნია, რომ დერსლები კიდევ უფრო მიეკვრნენ ერთმანეთს.

– თქვენ არ შეასრულეთ ჩემი თხოვნა. ჰარის არასდროს მოპყრობიხართ საკუთარი შვილივით. მას თქვენს სახლში არაფერი უნახავს უყურადღებობისა და სისასტიკის გარდა. კიდევ კარგი, ჰარი გადაურჩა იმ გამოუსწორებელ ზიანს, რომელიც თქვენს საკუთარ უბედურ ბიჭუნას მიაყენეთ.

დეიდა პეტუნიამ და ძია ვერნონმა ინსტინქტურად დახედეს მათ შორის ჩაკვეხებულ დადლის, თითქოს მის ნაცვლად სხვა ბიჭუნას დანახვას მოელოდნენ.

– ჩვენ... ცუდად მოვექეცით დადლის? რას... – დაიწყო გაცოფებულმა ძია ვერნონმა, მაგრამ დამბლდორმა თითის აწევით გააჩუმა და ძია ვერნონიც ისე დამუნჯდა, გეგონებოდა, თავში ურო დაჰკრესო.

– იმ ჯადოს წყალობით, რომელიც მე თხუთმეტი წლის წინ გამოვიყენე, ჰარის ძლიერი დაცვა აქვს, სანამ ამ სახლს თავის სახლს უწოდებს. როგორი უბედურიც უნდა ყოფილიყო აქ, როგორი არასასურველიც, როგორ ცუდადაც უნდა მოპყრობოდით მას, თქვენ უხალისოდ, მაგრამ მაინც შეიფარეთ საკუთარ ჭერქვეშ. ჯადო მაშინვე შეწყვეტს მოქმედებას, რა წამსაც ჰარი ჩვიდმეტი წლისა გახდება; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც კი დაკაცდება. მე მხოლოდ იმას გთხოვთ, ნება დართოთ ჰარის, ერთხელაც დაბრუნდეს ამ სახლში. მაშინ მისი დაცვა ჩვიდმეტი წლის შესრულებამდე გაგრძელდება.

დერსლები დუმდნენ. დადლი ოდნავ იჭმუხნებოდა, ეტყობოდა ცდილობდა, გაეხსენებინა, რა ზიანი მომაყენესო. ძია ვერნონს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ყელში რაღაცა გაეჩხირაო, დეიდა პეტუნია კი უცნაურად ალეწილი იჯდა.



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაშ, კარგი, ჰარი... ჩვენი წასვლის დროა, – დამბლდორი წამოდგა და გრძელი შავი მოსასხამი შეისწორა, – მომავალ შეხვედრამდე, – უთხრა დერსლებს, რომელთაც სახეზე ეწერათ, რომ არავითარი სურვილი არ ჰქონდათ, დამბლდორს კიდევ შეხვედროდნენ. ქუდის მოხდით დაემშვიდობა მათ და ოთახიდან სწრაფად გავიდა.

– კარგად, – დერსლებს ნაჩქარევად დაემშვიდობა ჰარიც და დირექტორს გაჰყვა. დამბლდორი ჰარის ჩემოდნისა და ზედ შემოდგმული ჰედვიგის გალიის გვერდით შედგა.

– ესენი ახლა არ გვჭირდება, ხელს შეგვიშლის, – დამბლდორმა ისევ ამოიღო ჯადოსნური ჯოხი, – ბარგს „ბუნაგში" გავგზავნი და იქ დაგვხვდება. მაგრამ, მინდა, რომ უჩინმაჩინის მოსასხამი წამოიღო... ყოველი შემთხვევისათვის.

ჰარიმ ჩემოდნიდან გაჭირვებით ამოაძვრინა უჩინმაჩინის მოსასხამი, თან ცდილობდა, დამბლდორისათვის არ დაენახვებინა, რა არეულობა სუფევდა შიგნით. როცა მოსასხამი ქურთუკის შიდა ჯიბეში ჩაიჩურთა, დამბლდორმა ჯოხი გაიქნია და ჩემოდანი, გალია და ჰედვიგი გაქრა. შემდეგ დამბლდორმა კიდევ გაიქნია ჯოხი და მთავარი კარი გაიღო. გარეთ ცივი, ნისლიანი სიბნელე იყო.

– ახლა კი, ჰარი, მოდი, შევერიოთ ღამეს და ვეძიოთ ეს ჭირვეული და მაცდური ქალბატონი – თავგადასავალი.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი მეოთხე

# ჰორაციუს სლაგჰორნი

მიუხედავად იმისა, რომ ჰარის ბოლო დღეებში ყოველ წამს ის იმედი ასულდგმულებდა, დამბლდორი ჩემ წასაყვანად მართლა მოვაო, ახლა, პრივიტ დრაივს ერთად რომ გაუყვნენ, საკმაოდ უხერხულად იგრძნო თავი. ჰოგვორტსის გარეთ დირექტორთან თითქმის არასოდეს უსაუბრია. უწინ მათ ყოველთვის საწერი მაგიდა ყოფდათ. ჰარის მათი ბოლო შეხვედრაც გაახსენდა და უფრო მეტად დაიბნა: მაშინ ჰარი ბევრს ყვიროდა და გაშმაგებულმა რამდენიმე ძვირფასი ნივთიც დალეწა.

დამბლდორს კი, პირიქით, არანაირი დაძაბულობა არ ეტყობოდა.

– ჰარი, ჯადოსნური ჯოხი მზად გქონდეს, – ცოცხლად უთხრა ბიჭს.

– კი მაგრამ, სერ, მე ხომ არა მაქვს სკოლის გარეთ ჯადოქრობის გამოყენების უფლება?

– თუ თავს დაგვესხნენ, უფლებას გაძლევ, პირველივე კონტრდა-თარსვა ან კონტრშელოცვა გამოიყენო, რომელიც თავში მოგივა. თუმცა, ნერვიულობად არ ღირს, არა მგონია, ამაღამ ვინმემ მოგი-წყოს თავდასხმა.

– რატომ, სერ?

– ჩემთან ხარ და იმიტომ, – სასხვათაშორისოდ მიუგო დამბლდორ-მა, – უეცრად შედგა პრივიტ დრაივის ქუჩის ბოლოში და ჰკითხა: – შენ აპარაციის გამოცდები ჯერ არ ჩაგიბარებია, არა?

– არა, მე მეგონა, ამ გამოცდას მხოლოდ სრულწლოვანები აბა-რებდნენ.

– ასეცაა, – დაუდასტურა დამბლდორმა, – ამიტომ მთელი ძალით უნდა მომეჭიდო ხელზე, მარცხენაზე, თუ შეიძლება: როგორც უკვე შეამჩნიე, მარჯვენა ხელი, ცოტა არ იყოს, მთლად ჯანსაღი არა მაქვს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ დამბლორის გამოწვდილი ხელი ჩაბღუჯა.

– ძალიან კარგი, – მოუწონა დამბლდორმა, – აბა, წავედით, ჰარი.

ჰარიმ იგრძნო, რომ დამბლდორის ხელი თითებიდან უსხლტებოდა და უფრო მაგრად ჩაებღაუჭა. წამიც და, თვალთ დაუბნელდა, ყველა მხრიდან რაღაც ძალა აწვებოდა, სუნთქვა ეკვროდა, მკერდზე თითქოს რკინის სალტეები შემოეჭდო, თვალის კაკლები ლამის გადმოუცვივდა და, ბოლოს...

ჰარიმ ღრმად ჩაისუნთქა და ფილტვები ღამის ცივი ჰაერით გაევსო. თვალები გაახილა. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ის-ის იყო, ძალიან ვიწრო რეზინის მილიდან გამოძვრა. რამდენიმე წამის შემდეგღა მიხვდა, რომ პრივიტ დრაივი თვალსა და ხელს შუა გამქრალიყო. დამბლდორთან ერთად უკაცრიელი სოფლის მოედნის მსგავს ადგილზე იმყოფებოდა, რომლის შუაგულშიც ომის ძველი მემორიალი და რამდენიმე ხის მერხი იდგა. ჰარის ამასობაში აღქმის უნარი დაუბრუნდა და ძლივს გააცნობიერა, რომ ცხოვრებაში პირველად გამოიყენა აპარაცია.

– როგორა ხარ? – მზრუნველობით ჰკითხა დამბლდორმა, – გარკვეული დროა საჭირო, რომ ამ გრძნობას შეეჩვიო.

– კარგად ვარ, – უთხრა ჰარიმ და ყურები დაიზილა, – მაგრამ მე მაინც ცოცხი მირჩევნია.

დამბლდორმა თბილად გაიღიმა და სამგზავრო მოსასხამი ყელზე მჭიდროდ შემოიხვია.

– აქეთ, – თქვა და მკვირცხლი ნაბიჯით ჩაუარა ცარიელ ფუნდუკსა და რამდენიმე სახლს. იქვე, შორიახლოს მდგარი ეკლესიის საათის მიხედვით, თითქმის შუაღამე იყო.

– ახლა ეს მითხარი, ჰარი, შენი ნაიარევი... ხომ აღარ აგტკივებია?

ჰარიმ უნებურად შუბლზე ელვასავით გაკლაკნილი ნაიარევი მოისინჯა.

– არა, და ძალიან მიკვირს, რატომ. მე მეგონა, ამის შემდეგ გამუდმებით შემაწუხებდა ტკივილი, რაკი ვოლდემორი ისევ გაძლიერდა.

ჰარიმ დამბლდორს სახეზე კმაყოფილი გამომეტყველება შეამჩნია.

– მე კი, პირიქით, სხვაგვარად ვფიქრობდი: ლორდმა ვოლდემორმა, ბოლოს და ბოლოს, გაიაზრა, რომ შენ შეგიძლია მის ფიქრებსა და გრძნობებში შეღწევა. როგორც ჩანს, ის ახლა ოკლუმენციას იყენებს შენ წინააღმდეგ, – აუხსნა დამბლდორმა.

– მე ეს ამბავი სულაც არ მაწუხებს, – მიუგო ჰარიმ. მართლაც, საწუწუნო არაფერი ჰქონდა: აღარც კოშმარული სიზმრები ტანჯავდა და აღარც ვოლდემორის საზარელ გონებაში შეღწევა.

ამასობაში კუთხეში შეუხვიეს და ტელეფონის ჯიხურსა და ავტო-



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბუსის გაჩერებას ჩაუარეს. ჰარიმ ისევ გააპარა თვალი დამბლდორი-საკენ.

– პროფესორო!

– გისმენ, ჰარი.

– მმმ... ახლა სადა ვართ?

– ჰარი, ეს არის მშვენიერი სოფელი ბადლეი-ბაბერტონი.

– აქ რა გვინდა?

– ჰო, დიახ, რა თქმა უნდა, შენთვის ჯერ არ მითქვამს, – ჩაიღიმა დამბლდორმა, – მე უკვე ველარ ვითვლი, ამ ბოლო წლებში მერამ-დენედ ვიმეორებ ამას, მაგრამ ჩვენ, როგორც ყოველთვის, ერთი პედაგოგი გვაკლია. აქ იმისთვის ვართ, რომ ერთი ჩემი ძველი, პენ-სიაზე გასული კოლეგა დავიყოლიოთ, ჰოგვორტსში დაბრუნდეს.

– მერე, ამაში მე როგორ დაგეხმარებით, სერ?

– მე ვფიქრობ, რაღაცაში დამეხმარები, – არ დააზუსტა დამ-ბლდორმა, – ახლა მარცხნივ, ჰარი.

ისინი ალმართს აუყვნენ, ვიწრო ქუჩის ორივე მხარეს ჩარიგებული სახლების არც ერთ ფანჯარაში სინათლე არ ენთო. აქაც ისეთივე უჩვეულო სიცივე დახვდათ, როგორიც მთელი ორი კვირის განმავ-ლობაში იგრძნობოდა პრივიტ დრაივზე. ჰარის უმალ დემენტორები გაახსენდა, უკან მიიხედა და თავის დასამშვიდებლად ჯიბეში ჯადოს-ნურ ჯოხს მოუჭირა ხელი.

– პროფესორო, რატომ არ შეიძლება, აპარაციით პირდაპირ თქვენი კოლეგის სახლში გავჩნდეთ?

– იმიტომ, რომ ეს ისეთივე უზრდელობა იქნებოდა, როგორიც კარის წიხლით შენგრევაა, – განუმარტა დამბლდორმა, – ზრდი-ლობა მოითხოვს, რომ სხვა ჯადოქრებს არჩევანის საშუალება დავუტოვოთ, იქნება სულაც არ სურთ ჩვენი მიღება. ყოველ შემ-თხვევაში, ჯადოქართა საცხოვრებელი სახლების უმეტესობა დაცულია არასასურველი აპარაციონერებისაგან. მაგალითად, ჰოგვორტსში...

– შეუძლებელია აპარაციის გამოყენება სკოლის შენობაში და შემოგარენში, – სწრაფად თქვა ჰარიმ, – ჰერმიონ გრეინჯერმა მითხრა.

– სრული სიმართლე უთქვამს. აქ ისევ მარცხნივ უნდა შევუხვიოთ.

ეკლესიის საათმა შუაღამის დადგომის ნიშნად თორმეტჯერ ჩამოკრა. ჰარიმ გაიფიქრა, ნეტავ, ის რატომ არ მიაჩნია დამბლდორს უზრდელობად, თავის კოლეგას ამ შუაღამისას რომ უნდა დავადგეთ თავზეო, მაგრამ ახლა, რაკი საუბარი გაიბა, უფრო მნიშვნელოვანი კითხვების დასმას ეშურებოდა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სერ, „დილის მისანში“ წავიკითხე, რომ კორნელიუს ფაჯი გადააყენეს...

– მართალია, – დამბლდორი გვერდითა ქუჩაზე ამავალ აღმართს აუყვა, – დარწმუნებული ვარ, იმასაც ამოიკითხავდი, რომ იგი რუფუს სკრიმჯერმა შეცვალა, რომელიც მანამდე აურორთა შტაბის ხელმძღვანელი იყო.

– მერე... როგორ ფიქრობთ, კარგი მინისტრია?

– საინტერესო კითხვაა, – თქვა დამბლდორმა, – ნიჭიერი რომაა, ამას წყალი არ გაუვა. და უფრო მტკიცე და ენერგიული პიროვნებაა, ვიდრე კორნელიუსი.

– დიახ, მაგრამ მე ვიგულისხმე...

– ვიცი, რაც იგულისხმე. რუფუსი საქმიანი კაცია, მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ბნელ ძალებს ებრძოდა და ამიტომ სათანადოდ აფასებს ლორდ ვოლდემორის ძალებს.

ჰარიმ შეიცადა, მაგრამ დამბლდორს არაფერი უთქვამს მასა და სკრიმჯერს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებაზე, რომლის შესახებაც „დილის მისანი“ წერდა, ჰარიმაც ველარ გაბედა, დირექტორს ჩასციებოდა, ამიტომ თემა შეცვალა:

– და... სერ... მადამ ბონსის შესახებაც წავიკითხე.

– დიახ, – ხმადაბლა უპასუხა დამბლდორმა, – საშინელი დანაკლისია. საოცარი ჯადოქარი იყო. აი, აქეთ... ვაიმე!..

დამბლდორმა გზა დაშავებული ხელით უჩვენა და როგორც ჩანს, ტკივილმა შეაწუხა.

– პროფესორო, რა დაგემართათ ხელზე?

– ახლა ამისი ახსნის დრო არ არის, ჰარი, ეს ამაღელვებელი ამბავია და მინდა, დაწვრილებით გიამბო, – უთხრა დამბლდორმა და გაუღიმა.

ჰარი მიხვდა, რომ დამბლდორი არ ტუქსავდა და უფლება ჰქონდა, კიდევ დაესვა შეკითხვები.

– სერ, ბუს ფოსტით მაგიის სამინისტროს ბროშურა მივიღე უსაფრთხოების ზომებზე, რომლებიც „სიკვდილის მხვრელების“ წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ.

– ერთი მეც მივიღე, – კვლავ ღიმილით უთხრა დამბლდორმა, – რამეში გამოგადგა?

– არა, მაინცდამაინც არა.

– მეც ასე ვიფიქრე. მაგალითად, ჩემთვის არ გიკითხავს, რომელი მურაბა მიყვარს ყველაზე მეტად, რათა შეგემოწმებინა, ნამდვილად პროფესორი დამბლდორი ვიყავი, თუ ვინმე თვითმარქვია.

– მე არ... – დაიწყო ჰარიმ, რომელიც ვერ მიმხვდარიყო, დამბლდორი საყვედურობდა თუ არა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სამომავლოდ იცოდე, ჰარი, ჟოლოს მურაბა მიყვარს... თუმცა, რასაკვირელია, მე რომ „სიკვდილის მხვრელი“ ვყოფილიყავი, ჯერ ტკბილეულის მოყვარული პროფესორი დამბლდორის გემოვნებას გამოვიკვლევდი და მხოლოდ მერე მივიღებდი მის სახეს.

– ეეე... დიახ, – თქვა ჰარიმ, – ბროშურაში ინფერიუსებიც იყო ნახსენები. რა არის ინფერიუსი, სერ? არ იყო კარგად განმარტებული.

– გვამებია, – მშვიდად გასცა პასუხი დამბლდორმა, – მკვდარი სხეულები, რომლებსაც აჯადოებენ, რათა ბოროტი ჯადოქრის ბრძანება შეასრულონ. თუმცა, ინფერიუსები დიდი ხანია, აღარავის უნახავს, ფაქტობრივად, მას შემდეგ, რაც ვოლდემორმა ძლევამოსილება დაკარგა... მან ხომ იმდენი ხალხი დახოცა, რომ ინფერიუსების მთელი არმია შექმნა. აი, ეს სახლია, ჰარი, აქეთ...

ბაღით გარშემორტყმულ მომცრო, კოპწია სახლს მიუახლოვდნენ. ჰარის გონება ისევ ინფერიუსებს უტრიალებდა, ამიტომ სხვას ვეღარაფერს აქცევდა ყურადღებას, მაგრამ როგორც კი ბაღის ჭიშკარს მიაღწიეს, დამბლდორი ადგილზე გაშეშდა და ჰარი კინაღამ ზედ შეასკდა.

– ო, ღმერთო! ო, ღმერთო, ღმერთო, ღმერთო!..

ჰარიმ დამბლდორის მზერას თვალი გააყოლა, საგულდაგულოდ მოვლილ ბილიკს გახედა და გული მოეწურა. შესასვლელი კარი ჩამოგლეჯილი იყო და ანჯამებზე ქანაობდა.

დამბლდორმა ქუჩის ორივე ბოლოს გახედ-გამოხედა. ქუჩაზე სულიერი არ ჭაჭანებდა.

– ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვე და მომყევი, ჰარი, – ხმადაბლა მისცა მითითება ბიჭს.

მერე ჭიშკარი შეაღო და უხმაუროდ, მარდად გაუყვა ბაღის ბილიკს. ჰარი ფეხდაფეხ მისდევდა. დამბლდორი შესასვლელ კარს ძალიან ნელა მიაწვა და ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა.

– ლუმოს.

ჯოხის წვერი აინთო და ვიწრო ჰოლს შუქი მოეფინა. დამბლდორმა აელვარებული ჯოხი თავზემოთ ასწია და მისაღებ ოთახში შევიდა, ჰარიც უკან მიჰყვა.

თვალწინ ბრძოლის ველივით გაოხრებული სცენა გადაეშალათ: მათ ფეხებთან ციფერბლატჩამტვრეული ძველებური ქანქარიანი საათი ეგდო, შორიახლოს ქარქაშიდან ამოღებული ხმალივით მოჩანდა ქანქარა. პიანინო გვერდზე იყო გადაყირავებული და კლავიშები – მთელ იატაკზე მიმოფანტული. იატაკზე დამხობილი დალეწილი ჭაღი თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. ბალიშები დაჩუტული ეყარა და ნაჭრილობევივით დასერილი გვერდებიდან ბუმბულები გამო-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სჩროდა. მინისა და ფაიფურის ნამსხვრევები მტვერივით მოჰფენოდა ყველაფერს. დამბლდორმა უფრო მაღლა აღმართა ჯადოსნური ჯოხი და კედელს მიანათა. შპალერზე მუქი წითელი და წებოვანი რაღაც იყო მიშხეფებული. ჰარიმ მძიმედ ამოიოხრა:

– ლამაზი სანახაობა ნამდვილად არ არის, – ხმადაბლა უთხრა დამბლდორმა, – დიახ, აქ რაღაც საშინელება დატრიალებულა.

მან ფრთხილად გადაინაცვლა ოთახის შუაგულისკენ, თან ყველაფერს გულდასმით აკვირდებოდა. ჰარი აედევნა, იქაურობას გაოცებული ათვალიერებდა და წინასწარ გული უსკდებოდა იმის გაფიქრებაზე, რა შეიძლებოდა დაენახა დანგრეული პიანინოსა და გადაყირავებული სავარძლის უკან, მაგრამ მოკლულის სხეული არსად ჩანდა.

– პროფესორო, იქნებ აქ ბრძოლა მოხდა და... მათ ის აქედან გაათრიეს? – წამოაყენა ვარაუდი ჰარიმ და ცდილობდა, არ წარმოედგინა, რა მძიმედ უნდა ყოფილიყო კაცი დაჭრილი, რომ კედლებზე ეს შხეფები დაეტოვებინა.

– არა მგონია, – ჩუმად თქვა დამბლდორმა და გვერდზე გადაწვენილი, გასკდომამდე გატიკნილი სავარძლის უკან შეიჭყიტა.

– თქვენი აზრით, ის...

– დიახ, ჯერ კიდევ სადღაც აქ არის.

მოულოდნელად დამბლდორი დაიხარა და ჯადოსნური ჯოხი ყველაზე ფუმფულა სავარძელს ატაკა. სავარძელმა წამოიყვირა:

– ვაიმე!

– საღამო მშვიდობისა, ჰორაციუს, – მიესალმა დამბლდორი და წელში გასწორდა.

ჰარის ყბა ჩამოუვარდა. იქ, სადაც წამის წინ სავარძელი იდგა, ახლა სქელზე სქელი მელოტი ბერიკაცი ჩაცუცქულიყო, ღიპს იზელდა და განაწყენებული, აცრემლებული თვალებით ასცქეროდა დამბლდორს.

– შეგეძლო, ასე ღონივრად არ გეჩხვლიტა, – ჩაიბუზღუნა განაწყენებულმა, – მეტკინა.

ჯადოსნური ჯოხის ციმციმა შუქმა გაანათა მისი მელოტი პრიალა თავი, გადმოკარკლული თვალები, ვეება, შევერცხლილი, ლომვეშაპისებური ულვაში და იასამნისფერ აბრეშუმის პიჟამაზე შემოცმული წაბლისფერი ხავერდის ჟილეტის გაპრიალებული ღილები. მოხუცი იმდენად დაბალი იყო, კინკრიხოთი დამბლდორს ნიკაპამდე ძლივს მისწვდებოდა.

– მაინც რამ გამცა? – დაიბურტყუნა, როგორც კი ბარბაცითა და ღიპის ზელით წამოიმართა. საკმაოდ ურცხვად იყურებოდა იმ კაცის კვალობაზე, რომელსაც ის იყო, სავარძლად გადაქცეულს წაასწრეს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩემო ძვირფასო ჰორაციუს, – გამხიარულდა დამბლდორი, – აქ მართლა „სიკვდილის მხვრელებს“ რომ შემოევლოთ, სახლის თავზე შავი ნიშანი ეკიდებოდა.

ჯადოქარმა ფუნჩულა ხელი განიერ შუბლზე იტკიცა.

– შავი ნიშანი, – ჩაიბუტბუტა, – ვიცოდი, რომ რაღაც გამომრჩა... ააა, არა უშავს, მაინც ვერ მოვასწრებდი. ძლივს დავასრულე საბოლოო შტრიხები კედელზე, რომ თქვენც შემოხვედით ოთახში.

მასპინძელმა ღრმად ამოიოხრა და ულვაშის ბოლოები აუთრთოლდა.

– თუ გნებავთ, ოთახის დალაგებაში დაგეხმარებით, – თავაზიანად შესთავაზა დამბლდორმა.

– დიახ, თუ შეიძლება.

ორივე ჯადოქარი ერთმანეთისკენ ზურგშექცევით დადგა, ერთი – მაღალი და გამხდარი, მეორე – დაბალი და ჩამრგვალებული, და ერთდროულად მძლავრად მოიქნიეს ჯადოსნური ჯოხები.

ავეჯი თავისი ადგილისკენ დაიძრა, ორნამენტები ჰაერშივე გამთელდა, ბუმბულები ბალიშებში შეფრინდა, დაფხრეწილი წიგნები თავისით შეეწება და თაროებზე დალაგდა, ნავთის ლამპები მაგიდებზე შეფრინდა და ხელახლა აბრდღვიალდა, მხატვრული ტილოების მთელი კოლექციის დამსხვრეული, მოციმციმე ვერცხლისფერი ჩარჩოები უმალ გამთელდა, ოთახი გადაჭრა და თაროებსა და მაგიდაზე ჩამწკრივდა, ნარღვევები, ბზარები და ხვრელები ყველგან ამოივსო და კედლები თავისით მოსუფთავდა.

– მაინც რის სისხლი იყო? – ხმამაღლა იკითხა დამბლდორმა, რომ ახლად აღდგენილი ქანქარიანი საათის რეკვა გადაეფარა.

– კედლებზე? დრაკონისა, – ყვირილით უპასუხა ჰორაციუსმა, რადგან იმავე წამს გამაყრუებელი ჭრიალითა და ჟღარუნით ჭაღი თავისით მიეხრახნა ჭერს.

ბოლოს პიანინომაც დაიზრიალა და სიჩუმე გამეფდა.

– დიახ, დრაკონისა, – გაიმეორა ლაპარაკის ეშხზე მოსულმა ჯადოქარმა, – ბოლო ბოთლიღა მქონდა დარჩენილი, არადა, დღეს უკვე ცეცხლის ფასი ადევს. იქნება ორჯერადი გამოყენებისთვის ვარგოდეს.

ჯადოქარი ბაჯბაჯით მივიდა ბუფეტთან, პატარა ბროლის ბოთლი აიღო და შიგ ჩასხმულ სქელ სითხეს შუქზე გახედა.

– ჰმ, ცოტა ამღვრეულა.

ბოთლი ისევ ბუფეტზე დადგა და ამოიოხრა. მხოლოდ მაშინღა მოჰკრა თვალი ჰარის.

– ოჰო, – საცრისოდენა თვალები ჰარის შუბლისა და ელვასავით გაკლაკნილი ნაიარევისკენ გაექცა, – ოჰო!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეს, – დამბლდორმა ნაბიჯი წინ გადადგა და ჰარი ჰორაციუსს წარუდგინა, – ჰარი პოტერია. ჰარი, გაიცანი ჩემი ძველი მეგობარი და კოლეგა ჰორაციუს სლაგჰორნი.

სლაგჰორნი დამბლდორს გამგმირავი მზერით მიაჩერდა.

– აი, თურმე, როგორ აპირებდი ჩემს დაყოლიებას! ჰოდა, იცოდე, მაინც უარს ვამბობ, ალბუს.

ჰარი გზიდან ჩამოიცილა და ისეთი გამომეტყველებით აბზიკა ცხვირი, თითქოს აშკარად ცდილობს, ცდუნებას გაუძლოსო.

– იქნებ ძველი მეგობრობის ხათრით მაინც დაგველია რამე? – ჰკითხა დამბლდორმა.

სლაგჰორნი შეყოყმანდა, მერე უგულოდ თქვა:

– კარგი, ერთი ჭიქა.

დამბლდორმა ჰარის გაუღიმა და მიუთითა სავარძელზე, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა სლაგჰორნის მიერ წუთის წინ განსახიერებულს, თავად ჰორაციუსი ახლად ანთებულ ბუხართან იდგა. ჰარიც ადგა და შემოთავაზებულ სავარძელში ჩაჯდა. აშკარად გრძნობდა, რომ დამბლდორი რატომღაც ცდილობდა, გამოსაჩენ ადგილას დაესვა, მართლაც, როცა სლაგჰორნი, ბოლოს და ბოლოს, ძველი ბოთლებითა და ჭიქებით დახუნძლულ მაგიდას მოსწყდა და ოთახისკენ შემობრუნდა, თვალში მაშინვე ჰარი მოხვდა.

– ჰმ, – ჩაიფრუტუნა და სასწრაფოდ გაიხედა განზე, თითქოს ეშინია, თვალი არ მომჭრასო, – აი... – სასმელი დაუპატიჟებლად დაბრძანებულ დამბლდორს მიაწოდა, ლანგარი ჰარის ატაკა, შემდეგ გამთელებულ დივანში ჩაეფლო და უკმაყოფილო სახით დადუმდა. ფეხები ისეთი მოკლე ჰქონდა, რომ იატაკს ძლივს სწვდებოდა.

– აბა, როგორ ცხოვრობ, ჰორაციუს? – ჰკითხა დამბლდორმა.

– ცუდად, – აწუწუნდა სლაგჰორნი, – ფილტვები არ მივარგა, სულ ხიხინები მაქვს. თან ეს რევმატიზმიც. უწინდელივით ველარ ვმოძრაობ. რას ვიზამ... დავბერდი, გადავიღალე.

– თუმცა, საკმაოდ სწრაფად უნდა გემოძრავა, ასეთ მოკლე დროში ჩვენთვის ამისთანა დახვედრა რომ მოგესწრო, – შენიშნა დამბლდორმა, – საამისოდ სამ წუთზე მეტი არ გექნებოდა.

სლაგჰორნმა ნახევრად გაღიზიანებით, ნახევრად ამაყად უპასუხა:

– ორი. სიგნალიზაციის ჯადო როგორ ჩაირთო, ვერ გავიგე. შხაპს ვიღებდი. მაგრამ, – დასძინა მკაცრად, როგორც ჩანდა, თავს მოერია, – ფაქტია, რომ დავბერდი, ალბუს. დაუძლურებული ბერიკაცი ვარ, რომელმაც დაიმსახურა წყნარი ცხოვრება და მიწიერი სიამოვნებანი.

ამას ნამდვილად არ იკლებსო, გაიფიქრა ჰარიმ და ოთახი მოათვალიერა. იქაურობა ათასი გამოუსადეგარი ნივთით იყო სავსე, მაგრამ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კომფორტული ნამდვილად ეთქმოდა. ყველა კუთხეში რბილი სავარ-ძლები და პუფები ეწყო; ყველგან სასმელები და წიგნები, შოკოლადის ყუთები და ფუმფულა ბალიშები იყო მიმობნეული. ჰარის რომ არ სცოდნოდა, აქ ვინ ცხოვრობდა, ამ სახლის ბინადარი ვინმე მდიდარი, ფუსფუსა მოხუცი ქალი ეგონებოდა.

– შენ ჩემზე უმცროსი ხარ, ჰორაციუს, – უთხრა დამბლდორმა.

– ჰოდა, მგონი, დროა, შენც იფიქრო პენსიაზე გასვლაზე, – მოურიდებლად მიახალა სლაგჰორნმა და ფერმკრთალი, ხურტკ-მელის ფერის თვალები დამბლდორის დაშავებულ ხელს დაასო, – როგორც ვხედავ, ჯანი ძველებურად აღარც შენ მოგდევს.

– მართალს ბრძანებ, – აუღელვებლად უპასუხა დამბლდორმა, – სახელო აიკეცა და დამწვარი, გაშავებული თითები გამოუჩნდა. მათ დანახვაზე ჰარის შეაჟრჟოლა, – რა თქმა უნდა, ჯანი უწინდელივით აღარ მომდევს. მაგრამ მეორე მხრივ...

დამბლდორმა მხრები აიჩეჩა და ხელები ფართოდ გაშალა, თითქოს იმის ნიშნად, ასაკს თავისი დადებითი მხარეც აქვსო. ამ დროს ჰარიმ მის ჯანმრთელ ხელზე შეამჩნია ბეჭედი, რომელიც ადრე დამბლდორს არასოდეს უტარებია. ეს იყო ოქროს დიდი, საკმაოდ ტლანქად ნაკეთები ბეჭედი. მასში შავი, შუაში გაბზარული ქვა იყო ჩასმული. წამით სლაგჰორნმაც შეაჩერა მზერა ბეჭედზე და ჰარის არ გამო-ეპარა, როგორ გაუჩნდა ფართო შუბლზე პაწაწინა ნაოჭი.

– აბა, დაუპატიჟებელი სტუმრების წინააღმდეგ მიმართუ-ლი მთელი ეს სიფრთხილის ზომები, ჰორაციუს... „სიკვდილის მხვრელებისთვის“ იყო განკუთვნილი, თუ ჩემთვის? – ჰკითხა დამ-ბლდორმა.

– რა ჯანდაბად ენდომებათ „სიკვდილის მხვრელებს“ ჩემისთანა ბეხრეკი ბერიკაცი? – თავის მხრივ იკითხა სლაგჰორნმა.

– ჩემი აზრით, ენდომებათ, რომ შენი ანგარიშგასაწევი ნიჭი მოახ-მარო ძალადობას, წამებასა და მკვლელობას, – დაუზუსტა დამ-ბლდორმა, – ახლა არ მითხრა, რომ ჯერ არ უცდიათ შენი გადაბირება.

სლაგჰორნმა გამანადგურებელი მზერით გაუყარა თვალი თვალში დამბლდორს, შემდეგ ჩაიბუტბუტა:

– ვინ აცალათ, რო?! მთელი წელია, საცხოვრებელ ადგილს წამ-დაუწუმ ვიცვლი. კვირაზე მეტხანს ერთ ადგილზე არ გავჩერე-ბულვარ. ერთი მაგლის სახლიდან მეორეში გადავდივარ. აქაც სულ რამდენიმე დღის წინ გადმოვედი, – ბინის მფლობელები კანარის კუნ-ძულებზე არიან დასასვენებლად წასულები. ამ სახლმა ძალიან მასია-მოვნა, სამწუხაროა, რომ მისი დატოვება მომიწევს. ერთხელ რომ ალღოს აუღებ, მერე ძალიან ადვილია. ამ არაფრის მაქნის დაცვის



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სიგნალიზაციას, მავნოსკოპების ნაცვლად რომ იყენებენ მაგლები, ერთი მარტივი გამყინავი ჯადო უნდა, და მთავარია, მეზობლებმა არ დაინახონ, პიანინო როგორ შეგაქვს სახლში.

– მახვილგონივრულია, – შენიშნა დამბლდორმა, – მაგრამ ეს ძალზე დამღლელი უნდა იყოს „წყნარი ცხოვრების მაძიებელი ბეხრეკი ბერიკაცისთვის“. აი, ჰოგვორტსში რომ დაბრუნებულიყავი...

– ახლა თუ იმის თქმას აპირებ, რომ ცხოვრება უფრო მშვიდი მექნება იმ ოხრად დასარჩენ სკოლაში, ტყუილ-უბრალოდ ნუ გაირჯები, ალბუს! მართალია, ვიმალებოდი, მაგრამ ჩემს ყურამდე უცნაურმა ხმებმა მოაღწია მას შემდეგ, რაც დოლორეს ამბრიჯი სკოლიდან წავიდა! თუ მართლა ასე ექცევით მასწავლებლებს...

– პროფესორ ამბრიჯს შელაპარაკება მოუვიდა კენტავრებთან, – აუხსნა დამბლდორმა, – ჩემი აზრით, შენ, სლაგჰორნ, მსგავს უგუნურებას არ გამოიჩენდი, ტყეში არ შეხვიდოდი და განრისხებული კენტავრების რემას „საზიზღარ ჯორებს“ არ უწოდებდი.

– აი, თურმე რა ყოფილა, – თქვა სლაგჰორნმა, – ტუტუცი ქალი! არასოდეს მომწონდა.

ჰარიმ ჩაიფხუკუნა და დამბლდორმა და სლაგჰორნმა მისკენ მიიხედეს.

– უკაცრავად, – სასწრაფოდ მოიბოდიშა ჰარიმ, – უბრალოდ... არც მე მომწონდა.

მოულოდნელად დამბლდორი წამოდგა.

– მიდიხართ? – იმედი მიეცა სლაგჰორნს.

– არა, თქვენს ტუალეტში შესვლის ნებართვა მინდოდა, მეთხოვა, – უთხრა დამბლდორმა.

– ააა, – იმედგაცრუებულმა სლაგჰორნმა დერეფნისკენ მიუთითა, – მარცხნივ მეორე კარია დერეფანში.

დამბლდორი ოთახიდან გავიდა. კარი გაიხურა თუ არა, სიჩუმე ჩამოვარდა. რამდენიმე წამში სლაგჰორნი წამოდგა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა. ჰარის ქურდულად გახედა, ბუხართან მივიდა და განიერი საჯდომი გასათბობად მიუშვირა.

– არ გეგონოს, რომ არ ვიცი, რატომაც წამოგიყვანა, – თქვა უეცრად.

ჰარი მდუმარედ მისჩერებოდა. სლაგჰორნს უფერული თვალები ისევ ბიჭის ნაიარევისკენ გაექცა, ამჯერად მთელი სახე შეუთვალიერა.

– მამაშენს ძალიან ჰგავხარ.

– ჰო, მითხრეს, – გამოეპასუხა ჰარი.

– თვალებით – არა. თვალები...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დედისა მაქვს, ვიცი, – ჰარის ეს იმდენჯერ ჰქონდა გაგონილი, რომ ცოტა არ იყოს, მოჰბეზრდა.

– ჰმ. ჰო, მოკლედ... წესით, მასწავლებელს არ უნდა ჰყავდეს ფავორიტები, მაგრამ დედაშენი ჩემი ფავორიტი იყო. ჰო, დედაშენი, – გაიმეორა სლაგჰორნმა ჰარის გაოცებული მზერის პასუხად, – ლილი ევანსი. ერთ-ერთი უჭკვიანესი იყო მათ შორის, ვისთვისაც მისწავლებია. სიცოცხლით აღსავსე, მომხიბვლელი გოგონა იყო. ვეუბნებოდი, ჩემს კლუბში უნდა მოხვედრილიყავი-მეთქი. საკადრის პასუხებსაც ვიღებდი ხოლმე ამაზე.

– თქვენი კლუბი რომელი იყო?

– მე სლიზერინის თავმჯდომარე ვიყავი. აბა, აბა! – დაამატა საჩქაროდ, როცა ჰარის სახის გამომეტყველება დაინახა და კოტიტა თითი დაუქნია, – ამან ჩემ წინააღმდეგ არ განგაწყოს! შენ ალბათ მასავით გრიფინდორში ხარ, არა? ჰო, ერთი ოჯახის წევრები, ძირითადად, ერთ კლუბში ხვდებიან ხოლმე. მაგრამ არა ყოველთვის. სირიუს ბლექი გაგიგია? გეცოდინება – ბოლო ორი წელი იქნება, გაზეთებში სულ მასზე წერენ – ამ რამდენიმე კვირის წინ მოკვდა.

ჰარის თითქოს ვიღაცამ უჩინარი ხელით გადაუგრიხა შიგნეულობა.

– მოკლედ, სკოლაში მამაშენთან მაგრად ძმაკაცობდა. ბლექების მთელი ოჯახი ჩემს კლუბში იყო, მაგრამ სირიუსმა თავი გრიფინდორში ამოყო! სამწუხაროა, ნიჭიერი ბიჭი იყო. აი, მისი უმცროსი ძმა, რეგულუსი კი ჩემს კლუბში მოხვდა, მაგრამ მერჩივნა, მთელი გვარი ჩემთან ყოფილიყო.

იგი იმ ენთუზიასტ კოლექციონერს ჰგავდა, რომელსაც აუქციონზე სხვამ აჯობა. მოგონებებში ჩაძირულს თვალი მოპირდაპირე კედლისთვის გაეშტერებინა და ხან ერთ მხარეს შეტრიალდებოდა, ხან – მეორე მხარეს, რომ უკანალზე სითბო თანაბრად მისდგომოდა.

– დედაშენი მაგლური წარმოშობისა იყო. თავიდან არ დავიჯერე, ეს რომ გავიგე. მეგონა, წმინდა სისხლი ჰქონდა, ისეთი ნიჭიერი იყო.

– ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი მაგლური წარმოშობისაა და ის საუკეთესო მოსწავლეა ჩვენს კურსზე, – უთხრა ჰარიმ.

– რა უცნაურია, რომ ზოგჯერ ასე ხდება, არა? – თქვა სლაგჰორნმა.

– სულაც არა, – ცივად მიუგო ჰარიმ. სლაგჰორნმა გაოცებით გახედა.

– არ გეგონოს, რომ მათ წინააღმდეგ ვიყო განწყობილი! არა, არა და არა! ახლახან არ გითხარი, დედაშენი ჩემი ერთ-ერთი უსაყ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვარლესი სტუდენტი იყო-მეთქი? იყო კიდევ ერთი დერკ კრესველი, მასზე ერთი წლით პატარა, – ახლა გობლინებთან ურთიერთობის სამმართველოს თავმჯდომარეა, – ისიც მაგლური წარმოშობისაა, უნიჭიერესი სტუდენტი, დღესაც მაწვდის შესანიშნავ კულუარულ ინფორმაციას გრინგოტსში მომხდარ ამბებზე!

ერთი-ორჯერ ფეხის წვერებზე შედგა, თავმომწონედ ჩაიღიმა და თაროზე ჩამწკრივებული სურათებისკენ ანიშნა. ყოველ მათგანში ციცქნა მოძრავი ბინადარი მოკალათებულიყო.

– ყველა ყოფილი სტუდენტია, ყველა სურათზე ხელი აქვთ მოწერილი. ეს ბარნაბას კაფია, „დილის მისნის“ რედაქტორი. ყოველთვის აინტერესებს დღის ახალ ამბებზე ჩემი რეაქცია. აი, ამბროსიუს ფლუმი, „თაფლუჭიდან“ – ყოველ დაბადების დღეზე მოსაკითხით სავსე კალათას მიგზავნის, დღემდე მადლობელია იმის გამო, რომ სიტყვა შევაწიე ციცერონ ჰარკისთან, რომელმაც იგი პირველ სამსახურში მოაწყო! აი, იქ, უკან, ცოტა კისერს თუ წაიგრძელებ, გვენოგ ჯოუნსს დაინახავ, რომელიც, რასაკვირველია, „ჰოლიჰედ ჰარპიების“ კაპიტანია... ყველას უკვირს, როცა გაიგებენ, რომ ასეთი ახლო ურთიერთობა მაქვს „ჰარპიებთან“, ყოველთვის გარანტირებული მაქვს უფასო ბილეთი!

სლაგჰორნს შეეტყო, რომ საყვარელ სტუდენტებზე ქაქანმა საოცრად გამოუკეთა გუნება.

– ამ ხალხმა იცის, სადა ხართ, რომ მოგიკითხონ და საჩუქრები გამოგიგზავნონ? – ჰკითხა ჰარიმ და გაოცებულმა გაიფიქრა, როგორ მოხდა, რომ „სიკვდილის მხვრელებმა“ სლაგჰორნი აქამდე ვერ იპოვეს, თუ ტკბილეულითა და ქვიდიჩის მატჩის ბილეთებით დაზვინული კალათები ხშირად მოსდის და მის რჩევასა და აზრს მოწყურებული სტუმრები მისკენ მშვენივრად იგნებენ გზასო.

სლაგჰორნის სახიდან ისევე სწრაფად გაქრა ღიმილი, როგორც კედლებიდან – დრაკონის სისხლი.

– რა თქმა უნდა, არა, – თქვა და ჰარის დახედა, – უკვე ერთი წელია, არავისთან აღარა მაქვს კავშირი.

ჰარის ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ამ სიტყვებმა თავად სლაგჰორნს დასცა თავზარი, ცოტა ხანს შეწუხებული ჩანდა, შემდეგ კი მხრები აიჩეჩა.

– რას იზამ, წინდახედული ჯადოქარი ასეთ დროს ჩრდილში დარჩენას ამჯობინებს. დამბლდორისთვის ადვილი სათქმელია, მაგრამ დღესდღეობით ჰოგვორტსში სამუშაოს დაწყება ფენიქსის ორდენთან კავშირის საქვეყნოდ გაცხადების ტოლფასია! და, მიუხედავად იმისა, რომ ორდენში შესანიშნავი ხალხია, მამაცი, კეთილშობილი და რამე...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაინც თავს ვიკავებ, რადგან... ხომ გესმის, მათ სიცოცხლეს ყოველ წუთს საფრთხე ემუქრება. აი, ბლექი უკვე აღარ არის...

– ჰოგვორტსში რომ ასწავლოთ, ამისათვის ორდენში გაწევრიანება აუცილებელი არ არის, – უთხრა ჰარიმ და ხმაში დამცინავი ტონი მაინც გაეპარა: მისთვის ძნელი იყო, თანაგრძნობით გამსჭვალულიყო სლაგჰორნის ნებიერი არსებობის მიმართ, როცა გამოქვაბულს თავშეფარებული და საკვებად ვირთხების ამარა დარჩენილი სირიუსი ახსენდებოდა, – მასწავლებლების უმრავლესობა ორდენში არ შედის და ჯერ არც ერთი არ მომკვდარა. ჰო, თუ არ ჩავთვლით ქვირელს, მან კი რაც დაიმსახურა, ის მიიღო, რადგან ვოლდემორს ემსახურებოდა.

ჰარი დარწმუნებული იყო, რომ სლაგჰორნი იმ ჯადოქრების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ვოლდემორის სახელის გაგონებაზე ცუდად ხდებოდნენ. არც შემცდარა: სლაგჰორნს გააჟრჟოლა და პროტესტის ნიშნად წამოიკივლა, მაგრამ ჰარიმ ყური არ ათხოვა.

– მე თუ მკითხავთ, მასწავლებლები სხვებზე უფრო უსაფრთხოდ არიან, სანამ დირექტორი დამბლდორია. როგორც ამბობენ, ის ერთადერთია, ვისიც ვოლდემორს ეშინია. იქნებ ვცდები? – გააგრძელა ჰარიმ.

სლაგჰორნმა ორიოდე წამით სივრცეს გაუშტერა მზერა; ეტყობა, ჰარის სიტყვებმა ჩააფიქრა, მერე ჩაიბუზღუნა:

– დიახ, მართალია, რომ ის, ვისი სახელიც არ ითქმის, ყოველთვის გაურბოდა დამბლდორთან ბრძოლას. რადგანაც მე „სიკვდილის მხვრელთა“ რიგებს არ შევუერთდი, ის, ვისი სახელიც არ ითქმის, ძნელად თუ ჩამთვლის მეგობრად... ასეთ ვითარებაში, შეიძლება, ალბუსთან ახლოს მართლა უფრო უსაფრთხოდ ვიყო... გამოგიტყდები, რომ ამელია ბონსის დაღუპვამ სულით ხორცამდე შემძრა... მასაც თუ ვერ უშველა სამინისტროში მისმა კავშირებმა და დაცვამ...

ოთახში დამბლდორი დაბრუნდა და სლაგჰორნი ისე შეკრთა, თითქოს მისი იქ ყოფნა სულ დაავიწყდაო.

– ვა, დაბრუნდი, ალბუს? ამდენ ხანს სად იყავი? ფაღარათი გჭირს?

– არა, უბრალოდ, მაგლურ ჟურნალებს ვკითხულობდი, – მიუგო დამბლდორმა, – საქსოვ ნიმუშებზე ვგიჟდები. აბა, ჰარი, გვეყო ჰორაციუსის სტუმართმოყვარეობით ბოროტად სარგებლობა. დროა, წავიდეთ.

ჰარი სიხარულით წამოხტა. სლაგჰორნი ცოტა დაიბნა.

– მიდიხართ?

– რა თქმა უნდა. წაგებულ ბრძოლას ყოველთვის დროზე ვაღიარებ.

– წაგებულ ბრძოლას?...

სლაგჰორნი საშინლად აღელდა. ხელები ერთმანეთს გადააჭდო,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კოტიტა ცერა თითებს ატრიალებდა, მოუსვენრად ცქმუტავდა და ისე ადევნებდა თვალს, როგორ იკრავდა დამბლდორი სამგზავრო მოსასხამს, ჰარი კი – ქურთუკს.

– აბა, სამწუხაროა, რომ ამ სამუშაოზე უარს ამბობ, ჰორაციუს, – დამბლდორმა ჯანმრთელი ხელი დამშვიდობების ნიშნად დაუქნია, – ჰოგვორტსი სიამოვნებით მიგიღებდა უკან. ჩვენი გაძლიერებული დაცვის მიუხედავად, შენთვის ყოველთვის ღია იქნება ჩვენი სკოლის კარი, თუ, რა თქმა უნდა, ამას თვითონ მოისურვებ.

– ჰო, რა ვიცი... ძალიან დიდსულოვანი... როგორ გითხრა...

– აბა, კარგად იყავი.

– ნახვამდის, – დაემშვიდობა ჰარიც.

უკვე ჭიშკართან იყვნენ მისულები, როცა უკნიდან ძახილი მოესმათ:

– კარგი, კარგი, თანახმა ვარ!

დამბლდორი მიტრიალდა და მისაღები ოთახიდან გამოვარდნილი აქოშინებული სლაგჰორნი დაინახა.

– ესე იგი, სამუშაოს დაუბრუნდები?

– კი, კი, – მოუთმენლად მიუგო სლაგჰორნმა, – შეიძლება გავაფრინე, მაგრამ, კი.

– გადასარევია, – სახე გაუბრწყინდა დამბლდორს, – მაშ, ჰორაციუს, პირველ სექტემბერს გნახავთ!

– ჰო, მნახავთ, მნახავთ, – ჩაიბურტყუნა სლაგჰორნმა. ბაღის ბილიკს გაუყვნენ თუ არა, სლაგჰორნმა ხმა კიდევ ერთხელ დაადევნა:

– იცოდე, ხელფასის მომატებას ვითხოვ, დამბლდორ!

დამბლდორს ჩაეცინა. ეზოს კარი ჭრიალით დაიხურა და უკან გაუყვნენ სიბნელესა და ბლანტ ნისლში ჩაძირულ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს.

– ყოჩაღ, ჰარი, – შეაქო დამბლდორმა.

– მე ხომ არაფერი გამიკეთებია, – გაოცდა ჰარი.

– როგორ არა, გააკეთე. შენ სწორედ იმაზე მიანიშნე ჰორაციუსს, რამდენს მოიგებს ჰოგვორტსში დაბრუნებით. მოგეწონა ჰორაციუსი?

– ისა...

ჰარიმ თავადაც არ იცოდა, მოეწონა თუ არა სლაგჰორნი. მისი აზრით, ის თავისებურად სასიამოვნო კაცი იყო, მაგრამ, ამასთან ერთად, ძალიან ცხვირაწეული ჩანდა; გარდა ამისა, როგორც უნდა ცდილიყო ამის გაბათილებას, მეტისმეტად აოცებდა ის, რომ მაგლური წარმოშობის გოგონასგან შეიძლებოდა კარგი ჯადოქარი დამდგარიყო.

დამბლდორი თითქოს ყველაფერს მიუხვდა:


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰორაციუსს კომფორტი უყვარს. ასევე უყვარს ცნობილი, წარმატებული და გავლენიანი ადამიანების წრეში ტრიალი. მას სიამოვნებას ანიჭებს იმის შეგრძნება, რომ ხალხზე გავლენა აქვს. ტახტზე დაბრძანების სურვილი თავად არასოდეს გასჩენია. ყოველთვის კულისებში დარჩენას არჩევდა – იქ მეტი ადგილია ხელ-ფეხის გასაშლელად. ჰოგვორტსში ფავორიტების შერჩევა სჩვეოდა, ზოგს მიზანდასახულობისა ან ჭკუის მიხედვით ირჩევდა, ზოგს კი – მომხიბვლელობის ან ნიჭის გამო. იგი უტყუარი ალღოთი ცნობ-და მათ, ვინც მომავალში თავისი საქმიანობის სფეროში სახელს გაითქვამდა. ჰორაციუსმა თავისი ფავორიტებისაგან ჩამოაყალი-ბა კლუბისმაგვარი რაღაცა, რომელსაც სათავეში თვითონ ედგა. კლუბის წევრებს ერთმანეთს აცნობდა, სასარგებლო კავშირებს ამყარებდა მათ შორის, სამაგიეროდ, აქედან ყოველთვის იღებდა რამე სარგებელს, იქნებოდა ეს საჩუქრად მორთმეული მისი საყვა-რელი დაშაქრული ანანასის ყუთი, თუ შანსი, რეკომენდაცია გაეწია გობლინებთან ურთიერთობის სამმართველოს მორიგი წვრილფეხა მოხელისათვის.

ჰარის უეცრად თვალწინ ნათლად დაუდგა უზარმაზარი გასივე-ბული ობობა, ირგვლივ ქსელს რომ ხლართავს და მსუქანი, წვნიანი ბუზების მოსაზიდად ზოგჯერ აბლაბუდას ატოკებს.

– ამ ყველაფერს იმიტომ კი არ გეუბნები, რომ ჰორაციუსის – ან, როგორც ახლა უნდა ვუწოდოთ მას, – პროფესორ სლაგჰორნის – წინააღმდეგ აგამხედრო, – განაგრძო დამბლდორმა, – არამედ იმიტომ, რომ ფხიზლად იყო. ის აუცილებლად შეეცდება შენთან დაახლოებას. შენ მისი კოლექციის მარგალიტი იქნებოდი: „ბიჭი, რომელიც გადარჩა...“ ან, როგორც ამ ბოლო დროს გიწოდებენ – „რჩეული“.

ამ სიტყვებზე ჰარი სიცივემ აიტანა, რასაც არაფერი ჰქონდა საერთო მათ ირგვლივ ჩამოწოლილ ნისლთან. მას ამ წუთებში ის სულისშემძვრელი სიტყვები გაახსენდა, რამდენიმე კვირის წინ რომ მოისმინა:

„ვერც ერთი ვერ პოვებს სიმშვიდეს, სანამ ცოცხალი იქნება მეორე...“

დამბლდორი იმ ეკლესიას გაუსწორდა, რომელსაც ცოტა ხნის წინ ჩაუარეს, და შედგა.

– აქ გავჩერდეთ, ჰარი. და, თუ შეიძლება, მკლავზე მაგრად მომე-ჭიდე.

ამჯერად ჰარი უფრო შემზადებული იყო აპარაციისათვის, მაგრამ მაინც უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა. როდესაც ზეწოლა მოეხსნა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ისევ შეძლო თავისუფლად სუნთქვა, აღმოაჩინა, რომ სოფლის შარაგზაზე დამბლდორის გვერდით იდგა და ჰოგვორტსის შემდეგ ამქვეყნად ყველაზე საყვარელი შენობის დაბრეცილ სილუეტს შესცქეროდა – ეს იყო „ბუნაგი". მიუხედავად იმისა, რომ წამის წინ შიშისაგან ძარღვებში სისხლი ეყინებოდა, ახლა ამ სახლის დანახვაზე თავისდა უნებურად გუნება გამოუკეთდა. იქ რონი ელოდა... და ქალბატონი უისლიც, რომელიც მსოფლიოში უგემრიელეს კერძებს ამზადებდა...

– წინააღმდეგი თუ არა ხარ, ჰარი, ერთი-ორი სიტყვა მაქვს შენთვის სათქმელი. სანამ ერთმანეთს დავშორდებით, პირადად უნდა დაგელაპარაკო, – უთხრა დამბლდორმა ჭიშკარში შესვლისას, – აქ ხომ არ შევიდეთ?

დამბლდორმა ეზოში მდგარ ქვის ნახევრად დაქცეულ ფარდულზე მიუთითა. აქ უისლები გრძელტარიან ცოცხებს ინახავდნენ. ჰარი ოდნავ შეცბუნებული შეჰყვა დამბლდორს აჭრიალებულ კარში. საშუალო ზომის საკუჭნაოზე მომცრო ფარდული იყო. დამბლდორმა ჯადოსნური ჯოხის წვერი აანთო, ჩირაღდანივით დაიჭირა და ჰარის ღიმილით დახედა.

– იმედია, მაპატიებ, ამაზე რომ წამოვიწყე საუბარი, ჰარი, მაგრამ კმაყოფილი ვარ და ცოტათი ვამაყობ კიდეც იმით, რა ყოჩაღად გიჭირავს თავი სამინისტროში მომხდარი ამბის შემდეგ. ნება მომეცი, გითხრა, რომ, ჩემი აზრით, სირიუსი შენით იამაყებდა.

ჰარიმ ნერწყვი გადაყლაპა. ხმამ უღალატა. იცოდა, რომ ახლა სირიუსზე საუბარს ვერ გაუძლებდა. ისედაც საკმაო ტკივილი მიაყენა ძია ვერნონის მიერ ნათქვამმა: „ნათლიამისი მოკვდაო?" რაც იმაზე უარესი იყო, ვიდრე სლაგჰორნის მიერ სირიუსის სახელის სხვათაშორის წამოსროლა.

– ძალიან სამწუხაროა, – თბილად უთხრა დამბლდორმა, – რომ შენ და სირიუსს ასე მცირე დრო მოგეცათ ერთად ყოფნისათვის. ხელის ერთი დაუნდობელი დაკვრით დასრულდა თქვენი ურთიერთობა.

ჰარიმ თავი დაუქნია, თვალს განზრახ არ აშორებდა ობობას, რომელიც დამბლდორის ქუდზე მიცოცავდა. შეატყო, რომ დამბლდორს მისი ესმოდა, შეიძლება, მიხვდა კიდეც, რომ სანამ ჰარი მის წერილს მიიღებდა, დერსლების სახლში მთელ დღეს საწოლზე იწვა, არაფერს ჭამდა და დანისლულ ფანჯრებს შესცქეროდა, რომლებიც სავსე იყო იმ ცივი სიცარიელით, რაც დემენტორებს აგონებდა.

– უბრალოდ, ძნელია, – ხმადაბლა თქვა ბოლოს ჰარიმ, – ძნელია იმასთან შეგუება, რომ აღარასოდეს მომწერს წერილებს...

უცებ თვალები აეწვა და აახამხამა. სისულელედ ეჩვენებოდა,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ელიარებინა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ჰოგვორტსს გარეთ თითქმის მშობლის ტოლფას ვილაცას ადარდებდა მისი ბედი, ყველაზე კარგი რამ იყო, რაც კი ნათლიასთან შეხვედრამ შესძინა. ახლა კი...

– სირიუსი იმ ყველაფრის განსახიერება იყო, რაც მანამდე გაკლდა, – ნაზად უთხრა დამბლდორმა, – რასაკვირველია, ამ დანაკარგს ვერაფერი აგინაზღაურებს...

– მაგრამ სანამ დერსლებთან ვიყავი, – შეაწყვეტინა ჰარიმ, ხმა უფრო მტკიცე გაუხდა, – მივხვდი, რომ არ შეიძლება, ჩავიკეტო ან... ან სულიერად დავეცე. სირიუსი ხომ არ მომიწონებდა ამას? თანაც, სიცოცხლე ძალიან ხანმოკლეა... ხომ ნახეთ, რა დაემართა მადამ ბონსს, ემელინ ვენსს... ხომ შეიძლება, შემდეგი მე აღმოვჩნდე?! მაგრამ თუ ასე მოხდა, – დასძინა ცხარედ და ამჯერად დამბლდორს პირდაპირ ჯადოსნური ჯოხის შუქზე მოციმციმე ცისფერ თვალებში შეხედა, – იმაზე ვიზრუნებ, რომ იმდენი „სიკვდილის მხვრელი“ გავიყოლო თან, რამდენსაც შევძლებ, და ვოლდემორიც ზედ მივაყოლო, თუ მოვახერხებ.

– ეს სიტყვები ჭეშმარიტად დედაშენისა და მამაშენის შვილსა და სირიუსის ნათლულს შეეფერება! – დამბლდორმა მოწონების ნიშნად ჰარის ბეჭებზე ხელი დაჰკრა, – მე ქუდს ვიხდი შენ წინაშე... უფრო სწორად, მოვიხდიდი, მაგრამ მეშინია, ობობები არ დაგაბერტყო. ახლა კი, ჰარი, საქმეზე უნდა გადავიდე, რომელიც ამ თემასთან პირდაპირ კავშირშია... როგორც მივხვდი, ბოლო ორი კვირის განმავლობაში შენ ყურადღებით კითხულობდი „დილის მისანს“.

– დიახ, – კვერი დაუკრა ჰარიმ და გული აუჩქარდა.

– მაშინ, გეცოდინება, რომ წინასწარმეტყველების დარბაზში შენი თავგადასავლის შესახებ ინფორმაციამ კი არ გაჟონა, წალეკა პრესა.

– დიახ, – გაიმეორა ჰარიმ, – და ახლა ყველამ იცის, რომ მე ვარ ის, ვინც...

– არა, არ იციან, – შეაწყვეტინა დამბლდორმა, – ამქვეყნად ორად ორმა ადამიანმა იცის შენსა და ლორდ ვოლდემორის შესახებ ნათქვამი წინასწარმეტყველების სრული შინაარსი და ეს ორი ადამიანი ახლა ამ აქოთებულ, ობობებით სავსე ცოცხების ფარდულში დგას. თუმცა, ისიც მართალია, რომ ბევრმა სწორად ივარაუდა, ვოლდემორმა „სიკვდილის მხვრელები“ წინასწარმეტყველების მოსაპარად გააგზავნაო. იმასაც სწორად მიხვდნენ, რომ ეს წინასწარმეტყველება შენ გეხებოდა. მე მგონი, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ წინასწარმეტყველების შინაარსი არავისთვის გაგიმხელია, ხომ ასეა?

– ასეა, – დაუდასტურა ჰარიმ.

– საერთო ჯამში, ბრძნული გადაწყვეტილებაა, – მოუწონა დამ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბლდორმა, – თუმცა, ჩემი აზრით, გამონაკლისი შეგიძლია დაუშვა შენი მეგობრების, მისტერ რონალდ უისლისა და მის ჰერმიონ გრეინჯერის სახით. დიახ, – განაგრძო მან, რადგან ჰარი შეკრთა, – მე ვფიქრობ, რომ მათ უნდა იცოდნენ ეს ამბავი. შენ მათ ცუდ სამსახურს უწევ, ასეთ მნიშვნელოვან რამეს რომ უმალავ.

– მე არ მინდოდა...

– მათი აღელვება ან შეშინება, არა? – დამბლდორმა ჰარი ნახევარმთვარისებური სათვალის ზემოდან შეათვალიერა, – ან არ გინდოდა იმის აღიარება, რომ შენ თვითონ ღელავ და გეშინია. შენ მეგობრები გჭირდება, ჰარი. სავსებით სწორად აღნიშნე, რომ სირიუსი არ მოგიწონებდა საკუთარ თავში ჩაკეტვას.

ჰარიმ არაფერი თქვა, მაგრამ დამბლდორი, როგორც ჩანდა, პასუხს არც ითხოვდა.

– ახლა სხვა, თუმცა კვლავ ამ თემასთან დაკავშირებულ საკითხზე გადავალ: ჩემი სურვილია, წელს კერძო გაკვეთილები ჩაგიტარო.

– კერძო... თქვენ? – ჰარი ისე გაოცდა, ფიქრებისგან უმალ გამოერკვა.

– დიახ. ჩემი აზრით, დროა, პირადად მოვკიდო ხელი შენს განათლებას.

– რა უნდა მასწავლოთ, სერ?

– ამ მთისა, იმ ბარისა, – უდარდელად მიუგო დამბლდორმა.

ჰარი სუნთქვაშეკრული ელოდა, კიდევ რას იტყვისო, მაგრამ დამბლდორმა აღარ დააკონკრეტა; ამიტომ სხვა რამე ჰკითხა, რაც ასევე აწუხებდა:

– თუ თქვენ გაკვეთილები უნდა ჩამიტაროთ, მაშინ სნეიპთან ოკლუმენციის გაკვეთილები აღარ მექნება, არა?

– პროფესორ სნეიპთან, ჰარი... არა, არ გექნება.

– კარგია, – შვებით ამოისუნთქა ჰარიმ, – იმიტომ, რომ ეს იყო ნამდვილი...

ჰარი გაჩუმდა იმის შიშით, რომ ხმამაღლა არ წამოსცდენოდა, რასაც ფიქრობდა.

– ვფიქრობ, სიტყვა „ფიასკო“ აქ ზუსტი იქნება, – თავი დაუქნია დამბლდორმა.

ჰარის გაეცინა.

– ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან პროფესორ სნეიპის ხილვა ხშირად არ მომიწევს, რადგან იგი არ მომცემს შხამ-წამლების გაგრძელების უფლებას, თუ **ბუა**-ში „შესანიშნავს“ არ მივიღებ, არადა, დარწმუნებული ვარ, ვერ მივიღებ.

– ნუ დაითვლი ბუებს, სანამ არ მოფრინდებიან, – სერიოზუ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლად უთხრა დამბლდორმა, – ახლაღა მომაგონდა, რომ **ბუა**-ს პასუხებს დღეს მოგვიანებით მიიღებთ. და კიდევ ორი რამ მაქვს სათქმელი, სანამ დავშორდებოდეთ, ჰარი. ჯერ ერთი, მინდა, რომ ამ წუთიდან უჩინმაჩინის მოსასხამი განუყრელად ატარო თან. თვით ჰოგვორტსშიც კი. ყოველი შემთხვევისათვის, კარგი?

ჰარიმ თავი დაუქნია.

– და მეორე, სანამ აქ იქნები, „ბუნაგს“ მაგიის სამინისტრო საგანგებოდ დაიცავს. ამ ზომებმა გარკვეული უხერხულობა შეუქმნეს არტურსა და მოლის. მაგალითად, მთელი მათი ფოსტა ჯერ სამინისტროში იჩხრიკება და მხოლოდ შემდეგ ეგზავნებათ. ამას სრული გაგებით შეხვდნენ, რადგან მათ მხოლოდ შენი უსაფრთხოება ადარდებთ. ამიტომ მათთან ყოფნის პერიოდში თავს თუ ხიფათში გაყოფ, ეს დიდი უმადურობა იქნება შენი მხრიდან.

– გასაგებია, – საჩქაროდ თქვა ჰარიმ.

– ძალიან კარგი, – დამბლდორმა ცოცხების ფარდულის კარი ხელის კვრით გააღო და ეზოში გავიდა, – სამზარეულოში შუქი ანთია. აბა, წავედით, მივცეთ მოლის შანსი, ივიშვიშოს იმაზე, თუ რა საშინლად გამხდარი ხარ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

# თავი მეხუთე

## ფლაკი

ჰარი და დამბლდორი „ბუნაგის“ უკანა კარს მიადგნენ. კართან, როგორც ყოველთვის, რეზინის ძველი ჩექმები და ჟანგიანი ქვაბები ეყარა. საქათმიდან მთვლემარე ქათმების ხმადაბალი კაკანი ისმოდა. დამბლდორმა კარზე სამჯერ დააკაკუნა. ჰარიმ სამზარეულოს ფანჯარაში დაინახა, რომ შიგნით უცაბედად ვიღაცა ამოძრავდა.

– ვინ არის? – იკითხა ვიღაცამ. ჰარიმ ქალბატონი უისლის შეშფოთებული ხმა იცნო, – რომელი ხარ?

– მე ვარ, დამბლდორი. ჰარი მოვიყვანე.

კარი მაშინვე გაიღო. ღია კარში დაბალი, ფუმფულა და ძველ მწვანე ხალათში გახვეული ქალბატონი უისლი იდგა.

– ჰარი, საყვარელო! ღმერთო ჩემო, ალბუს, როგორ შემაშინე, ხომ მითხარი, დილამდე არ გველოდოთო!

– ბედმა გაგვიღიმა, – დამბლდორმა ზღურბლს გადააბიჯა და ჰარის სახლში შეუძღვა, – სლაგჰორნი ბევრად უფრო იოლად დასაყოლიებელი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი. ეს, რა თქმა უნდა, ჰარის დამსახურებაა. აჰ, გამარჯობა, ნიმფადორა. ჰარიმ მაგიდისკენ გაიხედა. აღმოჩნდა, რომ ქალბატონი უისლი, ასეთი გვიანი ღამის მიუხედავად, მარტო არ იყო. მაგიდასთან ფერმკრთალი, თაგვისფერთმიანი ახალგაზრდა ქალი იჯდა, ორივე ხელით ვეება ფინჯანი ეკავა.

– გამარჯობა, პროფესორო, – მიესალმა ქალიც, – ჰარის გაუმარჯოს.

– გამარჯობა, ტონქს.

ჰარის ტონქსი გადაღლილი, ნაავადმყოფარიც კი მოეჩვენა. თითქოს ნაძალადევად იღიმებოდა. ჩვეულებრივზე უფრო მეტად გაცრეცილიყო, არც თმა ჰქონდა ჩვეული ჭყეტელა ვარდისფერი შეფერილობისა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩემი წასვლის დროა, – საჩქაროდ წამოდგა ტონქსი და მხრებზე მანტია მოისხა, – მოლი, გმადლობ ჩაისა და თანადგომისათვის.

– გეთაყვა, ჩემ გამო ნუ აჩქარდებით, – თავაზიანად სთხოვა დამბლდორმა, – მე ვერ დავრჩები, რუფუს სკრიმჯერთან გადაუდებელი საქმე მაქვს.

– არა, არა, წასვლას ისედაც ვაპირებდი, – ტონქსმა დამბლდორს თვალი მოარიდა, – ღამე მშვი...

– საყვარელო, იქნებ ამ შაბათ-კვირას ვახშამზე გვეწვიო, რემუსი და მრისხანეთვალაც მოვლენ...

– არა მგონია, მოვახერხო, მოლი... მაინც გმადლობ... ღამე მშვიდობისა ყველას.

ტონქსმა სწრაფად ჩაუარა დამბლდორსა და ჰარის, ზღურბლს რამდენიმე ნაბიჯით გასცდა, ადგილზე შემოტრიალდა და გაქრა. ჰარიმ შეატყო, რომ ქალბატონი უისლი შეშფოთებული ჩანდა.

– აბა, ჰოგვორტსში გნახავ, ჰარი, – დაემშვიდობა დამბლდორი, – თავს მიხედე. მოლი, თქვენს სამსახურში მიგულეთ. თავი მდაბლად დაუკრა ქალბატონ უისლის, ტონქსს მიჰყვა და ზუსტად იმავე ადგილას გაუჩინარდა. ქალბატონმა უისლიმ კარი მიხურა, ჰარის მხრებში ჩაავლო ხელი და უკეთ შესათვალიერებლად მაგიდასთან მიიყვანა, რომელზეც აბრდღვიალებული ლამპა იდგა.

– შენც რონივით ხარ, – ამოიოხრა და ჰარის ახედ-დახედა, – ორივეს თითქოს გაწელვის ჯადო გაგიკეთეს. მას შემდეგ, რაც ბოლოს სასკოლო მანტია შევუძინე, რონი ათი სანტიმეტრით მაინც იქნება სიმაღლეში მომატებული. გშია, ჰარი?

– დიახ, – ჰარიმ ახლაღა იგრძნო, როგორ მოშიებოდა.

– დაჯექი, ჩემო კარგო, რამეს მოგიმზადებ სახელდახელოდ.

ჰარი დაჯდა თუ არა, ფუმფულა, ჟღალი კატა შეახტა მუხლებზე და კრუტუნით მოიკალათა.

– ჰერმიონი აქაა? – გაუხარდა ჰარის და ბოს ყურები მოჰფხანა.

– კი, აქაა, გუშინწინ ჩამოვიდა, – ქალბატონმა უისლიმ უზარმაზარ რკინის ქვაბს ჯადოსნური ჯოხი დაუკაკუნა. ქვაბი ხმამაღალი ჟღარუნით შეხტა ქურაზე და უმალვე ათუხთუხდა, – ახლა, რა თქმა უნდა, ყველას სძინავს. მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ გელოდით. ესეც ასე... ისევ მსუბუქად დაუკაკუნა ქვაბს. ქვაბი ჰაერში აიწია, ჰარისკენ გაფრინდა და გვერდზე გადაიხარა. ქალბატონმა უისლიმ მოხერხებულად შეუცურა ჯამი და წამით მიუსწრო სქელი, ორთქლავარდნილი ხახვის წვნიანის ნაკადს.

– პური მოგაწოდო, საყვარელო?

– დიახ, გმადლობთ, ქალბატონო უისლი.



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქალმა მხარსუკან გაიქნია ჯადოსნური ჯოხი. პური მაშინვე მაგიდისკენ გამოფრინდა და მოხდენილად დაეშვა. მას დანა მოჰყვა. როგორც კი პური დაიჭრა, ქვაბი კი კვლავ ქურაზე შესკუპდა, ქალბატონი უისლი ჰარის მოპირდაპირე მხარეს ჩამოჯდა.

– მაშ, შენ დაითანხმე ჰორაციუს სლაგჰორნი ამ სამუშაოზე?

ჰარიმ თავი დაუქნია. პირი ცხელი წვნიანით ჰქონდა სავსე და ხმის ამოღება ვერ მოახერხა.

– მე და არტურს გვასწავლიდა, – უთხრა ქალბატონმა უისლიმ, – რაც თავი მახსოვს, სულ ჰოგვორტსში მუშაობდა. თუ არ ვცდები, თითქმის იმ დროიდან, რაც დამბლდორმა მასწავლებლობა დაიწყო. როგორ მოგეწონა?

ჰარის პირი ამჯერად პურით ჰქონდა გამოტენილი, ამიტომ – „რა ვიციო“, – მხრები აიჩეჩა და თავი განზე გადახარა.

– ვხვდები, რასაც გულისხმობ, – ბრძნულად დაუქნია თავი ქალბატონმა უისლიმ, – რა თქმა უნდა, თუ მოინდომებს, შეუძლია, სხვებს თავი მოაწონოს, მაგრამ არტურს ის მაინცდამაინც არასდროს ეხატებოდა გულზე. სამინისტრო სლაგჰორნის ძველი ფავორიტებითაა სავსე. ყოველთვის ეხმარებოდა მათ, მაგრამ არტურისთვის ვერასოდეს იცლიდა. როგორც ჩანს, მიაჩნდა, რომ არტური დიდს არაფერს წარმოადგენს. მაგრამ ზოგჯერ სლაგჰორნიც კი ცდება: არ ვიცი, რონმა უკვე მოგწერა თუ არა – სულ ახალი ამბავია – არტური დააწინაურეს.

დღესავით ნათელი იყო, რომ ქალბატონ უისლის ერთი სული ჰქონდა, სანამ ჰარის ამ ამბავს ახარებდა. ჰარიმ ცხელი წვნიანი ერთბაშად გადაყლაპა, ყელი დაეთუთქა და ამოიხავლა:

– რა კარგია!

– რა საყვარელი ხარ, – სახე გაუბრწყინდა ქალბატონ უისლის, რადგან ეგონა, რომ ბიჭს ამ ახალი ამბის გაგონებამ აუცრემლა თვალები, – ჰო, რუფუს სკრიმჯერმა, დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, რამდენიმე ახალი სამსახური ჩამოაყალიბა და არტური გაყალბებული თავდაცვითი შელოცვებისა და დამცავი ნივთების დადგენისა და კონფისკაციის განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. მნიშვნელოვანი პოსტია, უკვე ათი თანაშემწე ჰყავს!

– კერძოდ, რას...

– იცი, ჩვენ-რომ-ვიცით, იმასთან დაკავშირებული პანიკის გამო ყველგან უცნაური ნივთები გამოჩნდა გასაყიდად – ნივთები, რომლებსაც ვითომ, ჩვენ-რომ-ვიცით, მისგან და „სიკვდილის მხვრელებისგან“ დაცვა შეუძლიათ. წარმოგიდგენია ასეთი რამე: ეგრეთ წოდებული დამცავი სასმელი, სინამდვილეში, საწებელია, ოღონდ ცოტა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბუბოტუბერის ჩირქი აქვს ჩამატებული. თავდაცვითი შელოცვების ინსტრუქციები კი, სინამდვილეში, ყურებს მოგაძრობს... დამნაშავეები, ძირითადად, მანდანგუს ფლეტჩერის ტიპის ხალხია, რომელთაც პატიოსანი შრომით ლუკმაპური თავის დღეში არ მოუპოვებიათ და ხალხში გავრცელებული პანიკით ხელს ითბობენ, მაგრამ დროდადრო ძალიან სერიოზული შემთხვევებიც გამოერევა ხოლმე. ამას წინათ არტურმა დაწყევლილი მავნოსკოპების ყუთის კონფისკაცია მოახდინა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ის „სიკვდილის მხვრელების“ ნახელავი იყო. აი, ხომ ხედავ, რა მნიშვნელოვანი საქმეა. სულ იმას ვეუბნები, როგორ შეიძლება, შტეფსელებში, ტოსტერებსა და მთელ ამ მაგლურ ხარახურაში ჩხირკედელაობა გენატრებოდეს-მეთქი, – იმისთანა მკაცრი გამომეტყველებით დაასრულა მონოლოგი ქალბატონმა უისლიმ, გეგონებოდა, ჰარი უმტკიცებდა, სავსებით ბუნებრივია, ბატონ უისლის შტეფსელები რომ ენატრებაო.

– ბატონი უისლი სამსახურიდან ჯერ არ მოსულა? – იკითხა ჰარიმ.

– ჯერ არა. სხვათა შორის, ცოტა იგვიანებს... მითხრა, შინ შუაღამისას დავბრუნდებიო...

ქალბატონმა უისლიმ მაგიდის ბოლოში სარეცხის კალათაში თეთრეულის დასტაზე უხერხულად შემოდგმულ უშველებელ საათს შეხედა. ჰარიმ იმწამსვე იცნო ეს საათი: მას ცხრა ისარი ჰქონდა, ყოველ მათგანზე ოჯახის თითო წევრის სახელი იყო ამოტვიფრული და ყოველთვის უისლების სასტუმრო ოთახში ეკიდა, თუმცა მისი ამჟამინდელი მდებარეობა იმაზე მიანიშნებდა, რომ ქალბატონი უისლი საათს გვერდიდან არ იშორებდა. უკლებლივ ყველა ისარი ახლა „მომაკვდინებელ საფრთხეს“ უჩვენებდა.

– ბოლო დროს სულ ასეა, – ნაძალადევად უდარდელი ტონით განმარტა ქალბატონმა უისლიმ, – იმ დღიდან, რაც ჩვენ-რომ-ვიცით, ის გამოჩნდა... ალბათ ახლა მომაკვდინებელი საფრთხე ყველას ემუქრება... არა მგონია, ეს მხოლოდ ჩემს ოჯახს ეხებოდეს. მაგრამ სხვას არავის ვიცნობ, ასეთი საათი რომ ჰქონდეს, ამიტომ ვერ შევამოწმებ. ვაი!

საათის ციფერბლატზე ანიშნა ჰარის. ბატონი უისლის ისარმა უცებ „მგზავრობა“ უჩვენა.

– მოდის!

მართლაც, უკანა კარზე კაკუნი გაისმა. ქალბატონი უისლი შეხტა და კარისკენ გაეშურა. ცალი ხელი სახელურს ჩაავლო, სახე ხის კარს მიაკრა და ხმადაბლა გასძახა:

– არტურ, შენა ხარ?

– კი, – გაისმა ბატონი უისლის მოქანცული ხმა, – მაგრამ მაშინაც



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ასე გიპასუხებდი, „სიკვდილის მხვრელი“ რომ ვყოფილიყავი, ძვირფასო, დამისვი საიდუმლო კითხვა!

– ო, კარგი, რა...

– მოლი!

– კარგი, კარგი... რა არის შენი სანუკვარი ოცნება?

– გავიგო, რა აჩერებს ჰაერში თვითმფრინავებს. ქალბატონმა უისლიმ თავი დააქნია და კარის სახელური გადაატრიალა, მაგრამ, როგორც ჩანდა, ბატონი უისლი კარს მეორე მხრიდან იჭერდა, რადგან არაფრით იღებოდა.

– მოლი! ჯერ მეც უნდა დაგისვა კითხვა!

– არტურ, კარგი ერთი, რა სისულელეა...

– რა სახელს გეძახი, როცა მარტონი ვართ ხოლმე?

ჰარიმ ლამპის მკრთალ შუქზეც კი შეამჩნია, რომ ქალბატონი უისლი საოცრად აილეწა, და მოულოდნელად თვითონაც იგრძნო, რომ ყურები და კისერი გაუხურდა, სასწრაფოდ მიუბრუნდა წვნიანს, თან რაც შეიძლებოდა, ხმამაღლა აარაკუნა კოვზი თეფშზე.

– მოლიკუნა, – ჩასჩურჩულა დარცხვენილმა ქალბატონმა უისლიმ კარის ღრიჭოს.

– სწორია, – დაუდასტურა ბატონმა უისლიმ, – ახლა შეგიძლია, შემომიშვა.

ქალბატონმა უისლიმ კარი გააღო და მისი მეუღლეც გამოჩნდა – გამხდარი, ნახევრად გამელოტებული ჟღალთმიანი ჯადოქარი, რომელსაც რქისჩარჩოიანი სათვალე ეკეთა და გრძელი, დამტვერილი სამგზავრო მოსასხამი ეცვა.

– მაინც არ მესმის, რატომ უნდა ვიმეოროთ ერთი და იგივე შენს ყოველ მოსვლაზე, – დაიჩივლა ჯერაც აწითლებულმა ქალბატონმა უისლიმ და ქმარს მოსასხამის გახდაში დაეხმარა, – ხომ შეიძლება, „სიკვდილის მხვრელმა“ ჯერ პასუხი გამოგძალოს და მერე მიიღოს შენი სახე?!

– მესმის, საყვარელო, მაგრამ ეს სამინისტროს პროცედურაა და მე სხვებს მაგალითი უნდა მივცე. რა კარგი სუნი დგას, ხახვის წვნიანია?

ბატონი უისლი ხალისით მიბრუნდა მაგიდისკენ.

– ჰარი! ჩვენ კი დილამდე არ გელოდით!

ბატონი უისლი ჰარის გაბრწყინებული სახით მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა და მის გვერდით დაჯდა. ქალბატონმა უისლიმ მეუღლესაც დაუდგა წვნიანი.

– გმადლობ, მოლი. ძალიან მძიმე ღამე იყო. რამდენიმე იდიოტი მეტამორფ-მედლებს ყიდდა. ვითომ საკმარისია, კისერზე ჩამოიკიდო



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და, სურვილისამებრ შეიცვლი გარეგნობას. ასი ათასი სახის მიღებას შეძლებ სულ რაღაც ათ გალეონადო!

– სინამდვილეში რა დაგემართება, კისერზე თუ ჩამოიკიდებ?

– უმეტეს შემთხვევაში ძალიან უსიამოვნო სტაფილოსფერი გახდები, მაგრამ ზოგიერთს მთელ სხეულზე საცეცების მსგავსმა მეჭეჭებმა გამოაყარა. თითქოს წმინდა მუნგოს კლინიკას უამისოდ საქმე თავსაყრელად არ ჰქონდეს!

– ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ამბავი ფრედსა და ჯორჯს ძალიან გაახალისებდა, – ყოყმანით დაიწყო ქალბატონმა უისლიმ, – დარწმუნებული ხარ, რომ...

– რა თქმა უნდა! – უპასუხა ბატონმა უისლიმ, – ბიჭები ასეთ რამეს არავითარ შემთხვევაში არ იკადრებდნენ, მით უმეტეს ახლა, როცა ხალხი ასეთი გამწარებულია და ყველა ზომას მიმართავს თავდასაცავად!

– ესე იგი, მეტამორფ-მედლების გამო დაგაგვიანდა ასე?

– არა, ჩვენს დეპარტამენტში ინფორმაცია შემოვიდა, რომ „ელეფენტ ენდ კასლში“ საშინელი ბუმერანგის ჯადოს შემთხვევა დაფიქსირდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ჯადოქართა ძალოვანი სტრუქტურების ოპერატიულმა ჯგუფმა დაგვასწრო და ყველაფერი ჩვენს მისვლამდე მოაგვარა...

ჰარიმ დაამთქნარა და პირზე ხელი აიფარა.

– აბა, საწოლში! – უმალ ბრძანა ქალბატონმა უისლიმ, რომლის თვალსაც არაფერი გამოეპარებოდა, – ფრედისა და ჯორჯის ოთახი მოგიმზადე, იქ დაბინავდები.

– რატომ, თვითონ სად არიან?

– მრუდე ქუჩაზე. თავიანთი ოინების მაღაზიის თავზე პატარა ბინაში იძინებენ, რადგან ძალიან ბევრი საქმე აქვთ, – აუხსნა ქალბატონმა უისლიმ, – ვაღიარებ, რომ თავიდან მათი წამოწყების წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ბიზნესში მართლაც მარიფათიანები აღმოჩნდნენ. წამოდი, ჩემო კარგო, შენი ჩემოდანი უკვე მაღლაა.

– ღამე მშვიდობისა, ბატონო უისლი, – ჰარიმ უკან გასწია სკამი. ბო მსუბუქად ჩამოხტა მისი მუხლებიდან და ოთახიდან გაიპარა.

– ღამე მშვიდობისა, ჰარი, – დაემშვიდობა ბატონი უისლი. ჰარიმ შეამჩნია, რომ სამზარეულოდან გასვლისას ქალბატონმა უისლიმ ერთხელაც შეავლო თვალი სარეცხით სავსე კალათაზე დასკუპებულ საათს. ყველა ისარი კვლავ „მომაკვდინებელ საფრთხეს“ უჩვენებდა.

ფრედისა და ჯორჯის საძინებელი ოთახი მეორე სართულზე იყო. ქალბატონმა უისლიმ ჯადოსნური ჯოხი ტუმბოზე შემოსკუპებულ ლამპას მიუშვირა და ისიც მაშინვე აინთო. ოთახს საამო ოქროსფერი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შუქი მოეფინა. პატარა ფანჯარასთან, საწერ მაგიდაზე ყვავილებით სავსე დიდი ლარნაკი იდგა, მაგრამ მათი სურნელი ვერ ახშობდა ოთახში გამჯდარ სუნს, რაც ჰარის თოფისწამლის სუნს აგონებდა. ოთახის ნახევარი აურაცხელ დალუქულ მუყაოს ყუთებს დაეკავებინა. მათ შორის ჰარის ჩემოდანი იდგა. ეტყობოდა, ოთახს დროებით საწყობად იყენებდნენ.

მაღალი გარდერობის თავზე შემომჯდარმა ჰედვიგმა ჰარის დანახვაზე სიხარულით შეჰკივლა და ფანჯარაში გაფრინდა. ჰარი მიხვდა, ბუ მას ელოდა, რომ გულდამშვიდებით წასულიყო სანადიროდ. ჰარიმ ქალბატონ უისლის მშვიდობის ღამე უსურვა, პიჟამა ჩაიცვა და ერთ-ერთ საწოლში ჩაწვა. ბალიშქვეშ რაღაცა მაგარი იგრძნო, ხელი შეყო, მოაფათურა და წებოვანი ფორთოხლისფერ-ალისფერი კანფეტი გამოიღო. მაშინვე იცნო „საშატალოე საუზმე“. ჩაიღიმა, გადაბრუნდა და იმწამსვე ჩაეძინა.

ჰარის მოეჩვენა, რომ ჩაძინებიდან რამდენიმე წამიც კი არ იყო გასული, როცა ქვემეხის გასროლამ გამოაღვიძა; თურმე კარი ჯახუნით შემოგლიჯა ვილაცამ. ჰარი ელვის სისწრაფით წამოჯდა. იმავე წამს ვილაცამ ფარდებიც გადასწია. მზის კაშკაშა შუქი უმოწყალოდ ეკვეთა პირდაპირ თვალებში. ჰარიმ ცალი ხელით სახე მოიჩრდილა, მეორე კი გამწარებით მოაფათურა სათვალის საპოვნელად.

– რა ხდება?

– არ ვიცოდით, უკვე აქ თუ იყავი! – გაისმა ხმამაღალი, აღტაცებული ხმა და ვილაცამ კეფაში ლაზათიანად წაუთაქა.

– რონ, ნუ ურტყამ! – გაიგონა გოგონას საყვედურნარევი ხმაც.

ჰარიმ სათვალეს მიაგნო და ცხვირზე წამოიცვა. მაგრამ მზის შუქი ისეთი კაშკაშა იყო, რომ მაინც ვერაფერს ხედავდა. მის წინ წაგრძელებული, ბუნდოვანი ჩრდილი აცახცახდა, ჰარიმ თვალები დაახამხამა და სინათლიდან რონ უისლი გამოიკვეთა, რომელიც მას გაბადრული დასცქეროდა.

– როგორა ხარ?

– უკეთესად არ შეიძლება, – ჰარიმ კეფა მოიქექა და ბალიშზე გადაწვა, – შენ?

– არა მიშავს, – რონმა მუყაოს ყუთი მიიწია და ზედ დაჯდა, – როდის მოასწარი აქ მოსვლა? დედამ ახლაღა გვითხრა!

– დაახლოებით, ღამის პირველ საათზე.

– მაგლები ხომ არ გაბრაზებდნენ? ნორმალურად გექცეოდნენ?

– როგორც ყოველთვის, – ამ დროს ჰერმიონი ჩამოჯდა საწოლის კიდეზე, – ხმას არ მცემდნენ, მაგრამ ასე მერჩივნა. შენ როგორა ხარ, ჰერმიონ?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარგად, – გოგონა ჰარის ისე ათვალიერებდა, როგორც მძიმე ავადმყოფს.

ჰარი ხვდებოდა, სად იყო ძაღლის თავი ჩამარხული, და რადგანაც ამწუთას სირიუსის სიკვდილზე ან სხვა მტკივნეულ საკითხზე საუბრის არავითარი სურვილი არ ჰქონდა, იკითხა:

– რომელი საათია? საუზმე ხომ არ გამოვტოვე?

– მაგაზე ნუ ღელავ, დედა ლანგრით მოგართმევს. რომ ჰკითხო, ნაშიმშილევსა ჰგავხარ, – თვალები გადაატრიალა რონმა, – აბა, როგორ გაატარე ზაფხული?

– ისე, რა, დაგავიწყდა, რომ დეიდაჩემისა და ბიძაჩემის სახლში ვიყავი გამოკეტილი?

– მოიცა, რა! მიდი, წუხანდელი თავგადასავალი მოგვიყევი, შენ ხომ დამბლდორმა წაგიყვანა სადღაც!– ვერ მოითმინა რონმა.

– მოსაყოლი არაფერია. უბრალოდ, უნდოდა, ერთად დაგვეყოლიებინა ერთი პენსიაზე გასული მასწავლებელი, რომ სკოლაში დაბრუნებულიყო. ჰორაციუს სლაგჰორნი ჰქვია.

– ააა, – იმედი გაუცრუვდა რონს, – ჩვენ კი გვეგონა... ჰერმიონმა მრავალმნიშვნელოვნად შეხედა და რონმა წამში შეცვალა სათქმელი:

– ჩვენც ეგრე გვეგონა.

– მართლა? – გაელიმა ჰარის.

– ჰო... აბა, რა... რაკი ამბრიჯი წავიდა, ბნელი ძალებისგან თავდაცვის ახალი მასწავლებელი ხომ გვჭირდება? აბა, როგორია?

– ცოტათი ლომვეშაპს ჰგავს. ადრე სლიზერინის თავმჯდომარე ყოფილა, – მიუგო ჰარიმ, – რა მოხდა, ჰერმიონ? – ჰერმიონი ისევ ექიმივით აკვირდებოდა ჰარის, თითქოს მისგან წუთი წუთზე უცნაური სიმპტომების გამოვლენას ელოდა.

გოგონამ მაშინვე ნაჩქარევად და ნაძალადევად გაიღიმა.

– არა, რა თქმა უნდა, არაფერი! მმმ... როგორ ფიქრობ, სლაგჰორნი კარგი მასწავლებელი იქნება?

– რა ვიცი, – მხრები აიჩეჩა ჰარიმ, – ამბრიჯზე უარესი ხომ არ იქნება?!

– მე ვიცნობ ამბრიჯზე უარეს ვინმეს, – მოისმა კარის მხრიდან. ოთახში რონის უმცროსი და შემოსულიყო და კართან უკმაყოფილო სახით იდგა, – გამარჯობა, ჰარი.

– რა გჭირს? – ჰკითხა რონმა დას.

– რა და ის! – ჯინი ჰარის საწოლზე დაებერტყა, – ჭკუიდან გადავყავარ.

– ამჯერად რა დააშავა? – თანაგრძნობით ჰკითხა ჰერმიონმა.

– ისე მელაპარაკება, თითქოს სამი წლისა ვიყო!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვიცი, – ჰერმიონმა ხმას დაუწია, – თავი დიდი ვინმე ჰგონია!

ჰარი პირდაპირ გააოგნა იმან, რომ ჰერმიონი ასე ლაპარაკობდა ქალბატონ უისლიზე. რონმა კი გაბრაზებით დაუტატანა გოგონებს:

– არ შეგიძლიათ, ხუთიოდე წუთით მაინც შეეშვათ?

– ჰო, მიდი, მიდი, დაიცავი, – მკვახედ მოუჭრა ჯინიმ, – ყველამ ვიცით, რომ ჭკუა გეკეტება იმაზე!

ეს უცნაური კომენტარი ნამდვილად არ შეეფერებოდა რონის დედას, ჰარი მიხვდა, რომ რაღაცა არ იცოდა, და იკითხა:

– რაზე ლაპარა...

მაგრამ კითხვის დასრულება ვერ მოასწრო, რომ პასუხმაც არ დააყოვნა. საძინებლის კარი კვლავ ფართოდ გაიღო და ჰარიმ ინსტინქტურად ისე მძლავრად აქაჩა ნიკაპამდე საბანი, რომ ჰერმიონი და ჯინი საწოლიდან იატაკზე გადაცვივდნენ.

კარში ახალგაზრდა ქალი იდგა. ისეთი ლამაზი იყო, მის დანახვაზე სუნთქვა შეგეკვრებოდათ. მაღალსა და ტანკენარს გრძელი ქერა თმა ჰქონდა და გეგონებოდა, სუსტ ვერცხლისფერ ნათებას ასხივებდა. ამ სრულყოფილ არსებას ხელში კერძებით დაზვინული ლანგარი ეკავა.

– აღიიი... – ხავერდოვანი ხმით შესძახა შემოსვლისთანავე, – ღამდენი ხანია! – და ჰარისკენ წამოლივლივდა. მაშინღა დაინახეს, რომ უკან ქალბატონი უისლი მოსდევდა, თანაც საკმაოდ გაბრაზებული ჩანდა.

– რა საჭირო იყო ლანგრის ამოტანა, მე თვითონ ვაპირებდი.

– მეღე ღა მოხდა, – ფლერ დელაკურმა ლანგარი ჰარის მუხლებზე დაუდო, დაიხარა და ორივე ლოყაზე აკოცა. ჰარიმ იგრძნო, რომ ის ადგილები, სადაც მისი ტუჩები შეეხო, აეწვა – ღოგოღ ველოდი შენტან შეხვედღას. ჩემი დაიკო გაბღიელი გახსოვს? სულ აღი პოტელზე ლაპაღაკობს. შენი ნახვა ზალიან გაუხაღდება.

– ეეე... ისიც აქ არის? – ამოიკნავლა ჰარიმ.

– ო, აღა, სულელო, – ზარივით წკრიალა ხმით გაიცინა ფლერმა, – მომავალ ზაპხულს, ღოცა ჩვენ... მოიცა, შენ ღა, აღ იცი?

დიდი ცისფერი თვალები გაუფართოვდა და ქალბატონ უისლის საყვედურით შეხედა.

– ვერ მოვასწარით თქმა, – თავი იმართლა ქალბატონმა უისლიმ.

ფლერი ჰარის მიუბრუნდა, ვერცხლისფერი თმა მხრებზე ისე გადაიყარა, რომ ქალბატონ უისლის სახეში მიახალა.

– მე და ბილი ვკოღცინდებიტ!

– ჰო-ო, – დაიბნა ჰარი. მას არ გამოჰპარვია, რომ ქალბატონი უისლი, ჰერმიონი და ჯინი განგებ არიდებდნენ ერთმანეთს თვალს, – გილოცავთ!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფლერი დაიხარა და ისევ აკოცა.

– ბილი ახლა ისეტი მოუცლელია, ბევღს მუშაობს, მე კი ნახევაღ განაკვეტზე ვმუშაობ გღინგოტსში ანგლესაუღის გასაუმჟობესებლად, ამიტომ აკ მომიკვანა ღამდენიმე დღიტ, ღომ ტავის ოჟახს ცესიეღად გამაცნოს. ისე გამიხაღდა, ღოცა გავიგე, ღომ მოდიოდი – აქ საკმე აღაფეღია, თუ კეღზების მომზადება და კატმები აღ გიკვაღს! კაღგი, მიიღტვი საუზმე, აღი! – ფლერი მოხდენილად შებრუნდა, ოთახიდან განარნარდა და ზურგს უკან კარი ფრთხილად გაიხურა. ქალბატონმა უისლიმ ამოიოხრა.

– დედა ფლერს ვერ იტანს, – ხმადაბლა თქვა ჯინიმ.

– არაფერიც! – გაჯავრდა ქალბატონი უისლი, – უბრალოდ, ჩემი აზრით, ძალიან დააჩქარეს ნიშნობა. ეს არის და ეს!

– ერთმანეთს მთელი წელია, იცნობენ, – შენიშნა რონმა, რომელიც დახურულ კარს გაბრუებული მიშტერებოდა.

– მერე, ეს სულაც არ არის დიდი დრო! ვიცი, ვიცი, რატომაც ჩქარობენ ასე, ყველაფერი ჩვენ-რომ-ვიცით, იმის დაბრუნებას უკავშირდება. ხალხი დაბნეულია. ფიქრობენ, ეგება ხვალვე დავიხოცოთო, ამიტომ ნაჩქარევად იღებენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც სხვა დროს გულდასმით აწონ-დაწონიდნენ. ბოლოს, როცა ის ძლევამოსილი იყო, მაშინაც ასე ხდებოდა: სადაც უნდა გაგეხედა, ყველგან წყვილები იპარებოდნენ...

– შენი და მამას ჩათვლით, – ეშმაკურად შეახსენა ჯინიმ.

– მე და მამაშენი ერთმანეთისთვის ზედგამოჭრილები ვიყავით, რა აზრი ჰქონდა ლოდინს? – თქვა ქალბატონმა უისლიმ, – ბილი და ფლერი კი... აბა, რა გითხრა... საერთო რა აქვთ? ბილი გამრჯე, ჭკვიანი ბიჭია, ფლერი კი...

– ძროხაა, – თავი დაუქნია ჯინიმ, – მაგრამ ბილი არც ისე ჭკვიანია. მას, უბრალოდ, თავგადასავლები, ჯადოსნობა იტაცებს და, მე თუ მკითხავ, ამიტომაც მოეწონა ეგ „ფლავი“.

ჰარის და ჰერმიონს გაეცინათ.

– ასე ნუ ეძახი, ჯინი, – დატუქსა ქალბატონმა უისლიმ, – მე უნდა წავიდე... ჰარი, მიირთვი ერბოკვერცხი, სანამ თბილია. ქალბატონი უისლი გატანჯული სახით გავიდა ოთახიდან. რონი ისევ დარეტიანებული ჩანდა, მერე წყლიდან ამოსული ძაღლივით გააქნია თავი.

– ამდენი ხანია, ერთ სახლში ცხოვრობთ და ვეღარ შეეჩვიე? – ჰკითხა ჰარიმ.

– როგორ არა, – უპასუხა რონმა, – მაგრამ ასე მოულოდნელად როცა შეგეფეთება სადმე...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ფუჰ, რა გულის ამრევია, – გაცოფებული ჰერმიონი რონს კარგა მანძილზე გაეცალა და გულხელი დაიკრიფა.

– შენ რა, გინდა, სამუდამოდ ჩვენთან დარჩეს? – ეჭვით ჰკითხა ჯინიმ ძმას და როცა პასუხად რონმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა, დასძინა: – არა უშავს. რაზეც გინდათ, დავნაძლევდეთ: დედა ყველა ღონეს იხმარს, რომ ამას წერტილი დაუსვას.

– როგორ? – ჰკითხა ჰარიმ.

– დედა წამდაუწუმ ტონქსს ეპატიჟება ვახშმად. ეტყობა, იმედი აქვს, რომ ბილს ფლერის ნაცვლად ტონქსი შეუყვარდება. იმედი მაქვს, ასეც მოხდება. მე ტონქსთან დანათესავება ბევრად მირჩევნია.

– ერთი ვნახოთ, დედას რა გამოუვა, – დამცინავად თქვა რონმა, – დამიჯერეთ, ფლერის გვერდით არც ერთი ჭკუათამყოფელი კაცი ტონქსს ზედ არ შეხედავს. არა, ტონქსი სასიამოვნო გარეგნობის გოგოა, როცა თავისი თმითა და ცხვირით არ თამაშობს, მაგრამ...

– ტონქსი ათასჯერ სჯობია ფლავს, – ჯიუტად გაიმეორა ჯინიმ.

– და უფრო ჭკვიანიცაა, ის ხომ აურორია! – მოისმა კუთხიდან ჰერმიონის ხმა.

– არც ფლერია უტვინო, ხომ გახდა სამი ჯადოქრის ტურნირის მონაწილე! – ჩაურთო ჰარიმ.

– შენღა გვაკლდი! – ეცა ჰერმიონი.

– ალბათ მოგწონს, „აღის“ რომ გეძახის არა? – ირონიულად ჰკითხა ჯინიმ.

– არა, – ჰარი უკვე ნანობდა, ხმა რომ ამოიღო, – მე, უბრალოდ, იმის თქმა მინდოდა, რომ ფლავი, უფრო სწორედ, ფლერი...

– მე მაინც მირჩევნია, ტონქსი დაგვინათესავდეს, – განაცხადა ჯინიმ, – სხვა თუ არაფერი, იუმორის გრძნობა მაინცა აქვს.

– ამ ბოლო დროს ამას ველარ იტყვი, თანდათან სულ უფრო ემსგავსება მტირალა მირტლს, – შენიშნა რონმა.

– რა უსამართლობაა! მას ხომ ჯერ ვერ გადაუტანია, რაც მოხდა... ბოლოს და ბოლოს, სირიუსი მისი ბიძაშვილი იყო! – აღშფოთდა ჰერმიონი.

ჰარის გული მოეწურა. აი, ისევ სირიუსზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. ჩანგალი აიღო და ერბოკვერცხი პირისკენ გააქანა, რომ ამჯერად საუბარში მონაწილეობა თავიდან აეცილებინა.

– ტონქსი და სირიუსი ერთმანეთს თითქმის არ იცნობდნენ! – შეედავა რონი, – სირიუსმა ტონქსის ცხოვრების ნახევარი აზკაბანში გაატარა, მანამდე კი მათი ოჯახები არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მერე რა, – შეაწყვეტინა ჰერმიონმა, – ტონქსი თავს იდანაშაულებს სირიუსის სიკვდილში.

– ვითომ რატომ? – ვერ მოითმინა ჰარიმ.

– ტონქსი ხომ ბელატრისა ლესტრეინჯს ებრძოდა. ჰოდა, ფიქრობს, მე რომ ბელატრისასთვის ბოლო მომეღო, სირიუსს ველარ მოკლავდაო.

– რა სისულელეა, – თქვა რონმა.

– სინდისი ქენჯნის, – დაასკვნა ჰერმიონმა, – რამდენადაც ვიცი, ლუპინმა სცადა, დალაპარაკებოდა, მაგრამ მაინც ძალიან მოწყენილია. წარმოგიდგენიათ, მეტამორფოზი აღარ გამოსდის!

– რა არ გამოსდის?

– იერსახეს ძველებურად ველარ იცვლის, – განმარტა ჰერმიონმა, – ალბათ გადატანილმა სტრესმა ტონქსის ამ უნარზე ცუდად იმოქმედა.

– არ ვიცოდი, თუ ასეთი რამე შესაძლებელი იყო, – შენიშნა ჰარიმ.

– არც მე ვიცოდი, – მიუგო ჰერმიონმა, – მაგრამ, ეტყობა, ძლიერი დეპრესიის დროს...

კარი გაიღო და ოთახში ქალბატონმა უისლიმ შემოყო თავი.

– ჯინი, – ჩურჩულით დაუძახა შვილს, – დაბლა ჩამოდი და სადილის მომზადებაში დამეხმარე.

– მე ამათ ველაპარაკები! – გაწიწმატდა ჯინი.

– დროზე! – ბრძანა ქალბატონმა უისლიმ და კარი გაიხურა.

– მე იმიტომ მეძახის, რომ ფლავთან მარტო არ დარჩეს! – შესჩივლა სხვებს ჯინიმ. გრძელი ჟღალი თმა ფლერის საოცარი მიბაძვით უკან გადაიყარა და ბალერინასავით ხელებაწეული ოთახიდან ამაყად, ცეკვა-ცეკვით გავიდა.

– ისე, ჯობია, თქვენც მალე ჩამოხვიდეთ ქვემოთ, – წასვლის წინ დაუბარა დანარჩენებს.

ჰარიმ სიჩუმით ისარგებლა და საუზმეს მიუბრუნდა. ჰერმიონი ფრედისა და ჯორჯის ყუთებში იჭყიტებოდა, თუმცა დროდადრო ჰარისკენაც აპარებდა თვალს. რონი ჰარის ერბოკვერცხში ეცილებოდა, თან ისევ ბურანში მყოფი გასცქეროდა კარს.

– ეს რა არის? – იკითხა ბოლოს ჰერმიონმა და პატარა ტელესკოპის მსგავსი ნივთი დაანახვა ბიჭებს.

– არ ვიცი, მაგრამ რაკი ფრედმა და ჯორჯმა აქ დატოვეს, ესე იგი, მაღაზიაში გასაყიდად ჯერ მზად არ არის, ამიტომ ფრთხილად იყავი, – ურჩია რონმა.

– დედაშენმა მითხრა, მაღაზიის საქმე კარგად მიდისო, – უთხრა ჰარიმ რონს, – ტყუპებმა ბიზნესში ფხა გამოიჩინესო.

– ეგ რბილად ნათქვამია, – უპასუხა რონმა, – გალეონებს ნიჩბებით


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხვეტენ! ერთი სული მაქვს, მაღაზიას როდის ვნახავ. მრუდე ქუჩაზე ჯერ არ ვყოფილვართ, რადგან დედა ამბობს, მამას გარეშე წასვლა სახიფათოაო. ის კი სამსახურის საქმეებში ყელამდეა ჩაფლული, ვერა და ვერ მოიცალა. ამბობენ, მაგარი მაღაზიააო!

– პერსისგან რა ისმის? – იკითხა ჰარიმ. რონის რიგით მესამე უფროსი ძმა ოჯახთან უბრად იყო, – მშობლებს არ შეურიგდა?

– არა, – თავი გააქნია რონმა.

– კი, მაგრამ, ახლა ხომ იცის, რომ მამაშენი არ ტყუოდა, როცა ამტკიცებდა, ვოლდემორი დაბრუნდაო...

– დამბლდორი ამბობს, ადამიანები სხვას შეცდომასა და უსამართლობას უფრო ადვილად აპატიებენ, ვიდრე სიმართლესო, – ჩააკერა ჰერმიონმა, – გავიგე, დედაშენს რომ ეუბნებოდა, რონ.

– მასეთი ბრძნული რამე მართლა დამბლდორის ნათქვამი იქნება, – დაასკვნა რონმა.

– წელს კერძო გაკვეთილები უნდა ჩამიტაროს, – ისე, სხვათა შორის აღნიშნა ჰარიმ.

რონს გახუხული პურის ლუკმა გადასცდა და ხველა აუტყდა, ჰერმიონს კი სუნთქვა შეეკრა.

– მერე, ამას გვიმალავდი? – აღშფოთდა რონი.

– ახლა გამახსენდა, – გულწრფელად თქვა ჰარიმ, – წუხელ თქვენს ფარდულში მითხრა.

– უყურე ერთი... კერძო გაკვეთილები დამბლდორთან! – რონზე, როგორც ჩანდა, ამ ახალმა ამბავმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, – ნეტავ, რატომ...

რონს ხმა გაუწყდა. ჰარიმ შეამჩნია, რომ რონმა და ჰერმიონმა ერთმანეთს გადახედეს. ჰარიმ დანა-ჩანგალი თეფშზე დააწყო. მიუხედავად იმისა, რომ საწოლში იჯდა, გული მაინც გამალებით აუძგერდა. დამბლდორმა ხომ ურჩია... რატომღა გადადოს? ჰარიმ თვალი გაუშტერა მზის შუქზე მბზინავ დანა-ჩანგალს და თქვა:

– ზუსტად არ ვიცი, რატომ უნდა, გაკვეთილები ჩამიტაროს, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს რაღაცით წინასწარმეტყველებას უკავშირდება, – რონი და ჰერმიონი გაშეშდნენ. ჰარი ჩანგალს თვალს არ აშორებდა, თითქოს მას ესაუბრებოდა, – იმ წინასწარმეტყველებას, რომლის მოპარვაც სცადეს სამინისტროდან.

– მაგრამ მისი შინაარსი არავინ იცის, – სხარტად ჩაურთო ჰერმიონმა, – ის ხომ დაიმსხვრა.

– თუმცა, „დილის მისანი“ წერს, რომ... – დაიწყო რონმა.

– „მისანმა“ ყველაფერი სწორად გაიგო, – ჰარიმ თავს ძალა დაატანა და მეგობრებს ახედა. ჰერმიონი დაზაფრულიყო, რონი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კი გაოცებული ჩანდა, – მინის სფერო, რომელიც სამინისტროში დაიმსხვრა, წინასწარმეტყველების ერთადერთი მაუწყებელი არ იყო. დამბლდორის კაბინეტში ის თავიდან ბოლომდე მოვისმინე. სწორედ დამბლდორის თანდასწრებით წარმოითქვა, ამიტომ მან შეძლო, წინასწარმეტყველების შინაარსი მთლიანად გაემხილა ჩემთვის. ამ წინასწარმეტყველების მიხედვით, – ჰარიმ ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, – როგორც ჩანს, მე ერთადერთი ვარ, ვინც ვოლდემორს ბოლო უნდა მოუღოს. ყოველ შემთხვევაში, წინასწარმეტყველებაში ნათქვამი იყო, რომ ვერც ერთი ჩვენგანი ვერ პოვებს სიმშვიდეს, სანამ მეორე იქნება ცოცხალი...

სიჩუმე ჩამოწვა. სამივენი მდუმარედ მისჩერებოდნენ ერთმანეთს. შემდეგ გაისმა ყურისწამღები ჭახანი და ჰერმიონი შავი კვამლის ბოლქვის უკან გაუჩინარდა.

– ჰერმიონ! – შეჰყვირეს ბიჭებმა, საუზმის ლანგარი ჰარის მუხლებიდან გადაუცურდა და იატაკზე დაენარცხა.

ჰერმიონი ხველებით გამოჩნდა. ხელში ტელესკოპი ჩაებღუჯა და თვალი გვარიანად ჩალურჯებოდა.

– ხელი მოვუჭირე და... და სახეში დამეტაკა!

მართლაც, ახლაღა შეამჩნიეს ტელესკოპიდან გამოჩრილ გრძელ ზამბარაზე მიმაგრებული ციცქნა მუშტი.

– ნუ გეშინია, – დაამშვიდა რონმა, რომელიც ძლივს იკავებდა სიცილს, – დედა რამეს მოგიხერხებს. სხეულის მსუბუქ დაზიანებებს კარგად წამლობს.

– ო, არა უშავს, რა დროს ეს არის! – სწრაფად გააწყვეტინა ჰერმიონმა და ისევ ჰარის საწოლზე ჩამოჯდა. – ჰარი, ვაი, ჰარი... ჩვენც არ გვიკვირდა?! სამინისტროდან რომ დავბრუნდით... რა თქმა უნდა, შენთვის არაფრის თქმა არ გვინდოდა, მაგრამ იმის მიხედვით, რაც ლუციუს მალფოიმ თქვა წინასწარმეტყველებაზე... რომ ის შენ და ვოლდემორს გეხებოდათ... ჰოდა, ჩვენც დავასკვენით, რომ რაღაც ამდაგვარი იქნებოდა... ვაიმე, ჰარი, – ჰერმიონი ჰარის დააკვირდა და ჩურჩულით ჰკითხა, – გეშინია?

– მაშინდელივით აღარ, როცა პირველად გავიგე... ახლა უკვე ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩემი ბოლო ეს იყო...

– როცა გავიგეთ, რომ დამბლდორი პირადად მოგაკითხავდა, გვეგონა, წინასწარმეტყველების თაობაზე რამეს გეტყოდა ან გაჩვენებდა. ნაწილობრივ მართალნიც აღმოვჩნდით, არა? კერძო გაკვეთილებს არ ჩაგიტარებდა, წყალწაღებულად რომ გთვლიდეს, დროს ტყუილ-უბრალოდ არ დაკარგავდა. ალბათ ფიქრობს, რომ შენ შეძლებ! – თქვა რონმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მართალია, – დაუდასტურა ჰერმიონმა, – ჰარი, ნეტავ, რას გასწავლის? ალბათ უმაღლეს თავდაცვით მაგიას... ან ძლიერმოქმედ კონტრშელოცვებს... ანტიდათარსვებს...

ჰარი ცალი ყურით უსმენდა. სითბომ ტალღასავით დაუარა მთელ სხეულში, მაგრამ მზის სხივები არაფერ შუაში იყო. გულიდან ლოდი ეხსნებოდა. იცოდა, რომ რონი და ჰერმიონი იმაზე უფრო თავზარდაცემულნი იყვნენ, ვიდრე გარეგნულად იმჩნევდნენ, მაგრამ თუნდაც ის ფაქტი, რომ მეგობრები კვლავ მის გვერდით იდგნენ, მის გამხნევებას ცდილობდნენ და კეთროვანივით არ გაურბოდნენ, ჰარისთვის იმდენს ნიშნავდა, რომ ამას სიტყვებით ვერასოდეს გამოხატავდა.

– ...და ზოგადად, ამცდენ შელოცვებს, – დაასრულა ჰერმიონმა, – ყოველ შემთხვევაში, შენ ერთი წლევანდელი საგანი მაინც გაარკვიე, მე და რონი კი ბაიბურში არა ვართ, რას გავივლით. ნეტავ, როდის მოვა ჩვენი **ბუა**-ს ნიშნები?

– მალე მოვა, უკვე მთელი თვე გავიდა, – ივარაუდა რონმა.

– მოიცათ, – გასული ღამის საუბრიდან კიდევ რაღაც გაახსენდა ჰარის, – მგონი, დამბლდორმა თქვა, **ბუა**-ს შედეგები დღეს მოგივათო!

– დღეს?! – დაიწივლა ჰერმიონმა, – დღეს? კი მაგრამ, რატომ არ... ვაიმე... მერე, რას გაჩუმებულხარ!

ჰერმიონი წამოხტა.

– უნდა ვნახო, ბუები მოფრინდნენ თუ არა.

ათი წუთის შემდეგ, როცა ჰარი სამზარეულოში ჩავიდა, ჰერმიონი საოცრად აფორიაქებული დაუხვდა, ქალბატონი უისლი კი ცდილობდა, გოგონას ჩალურჯებული თვალისთვის როგორმე მოევლო. ეს ლურჯი ლაქა ჰერმიონს ცოტათი პანდას ამსგავსებდა.

– არაფერი გამოდის, – შეწუხებული ამბობდა ქალბატონი უისლი. ცალ ხელში ჯადოსნური ჯოხი მოემარჯვებინა, მეორეში კი „დაბეჟილობებს, ჭრილობებსა და ნაფხაჭნებზე“ გადაშლილი წიგნი „მკურნალის მარჯვენა ხელი“ ეკავა, – ადრე ყოველთვის მოქმედებდა. ვერაფერი გამიგია.

– ალბათ ესეც ფრედისა და ჯორჯის ხუმრობის ნაწილია, განგებ ისე მოიფიქრეს, რომ დალურჯებამ არ გაიაროს, – თავისი ვარაუდი გამოთქვა ჯინიმ.

– არა, არა, უნდა გამიაროს! – ასლუკუნდა ჰერმიონი,– აბა, სამუდამოდ ასე ხომ არ დავრჩები!

– არა, ჩემო კარგო, შხამსაწინააღმდეგო საშუალებას ვიპოვით, ნუ ნერვიულობ, – დაამშვიდა ქალბატონმა უისლიმ.



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ბილმა მიტხლა, ფღედი და ჟოღჟი ზალიან სასაცილოები აღიანო! – გულუბრყვილო ღიმილით განაცხადა ფლერმა.

– ჰო, სიცილით ძლივსა ვსუნთქავ, – მკვახედ მოუჭრა ჰერმიონმა. ფეხზე წამოვარდა და სამზარეულოში ბოლთის ცემასა და თითების მტვრევას მოჰყვა.

– ქალბატონო უისლი, დარწმუნებული ხართ, ნამდვილად იცით, რომ ამ დილით ბუები არ მოფრენილან?

– დიახ, ძვირფასო, აუცილებლად შევამჩნევდი, – მოთმინებით მიუგო ქალბატონმა უისლიმ, – ცხრა საათი ახლახან შესრულდა, ჯერ ძალიან ადრეა...

– დარწმუნებული ვარ, უძველეს რუნებში ყველაფერი ავურ-დავურიე, – ციებიანივით ბუტბუტებდა ჰერმიონი, – ერთ სერიო-ზულ შეცდომას მაინც დავუშვებდი თარგმანში. ბნელი ძალებისგან თავდაცვის პრაქტიკაც ჩავაფლავე. მაშინ მეგონა, ტრანსფიგურაცია ნორმალურად ჩავაბარე, მაგრამ ახლა რომ ვიხსენებ...

– ჰერმიონ, ძალიან გთხოვ, გაჩუმდი, მარტო შენ კი არ ნერვი-ულობ! – შეულრინა რონმა, – და თერთმეტ „შესანიშნავ“ **ბუა**-ს რომ მიიღებ...

– ჩუ, ჩუ, ჩუ! – გაასავსავა ხელები ჰერმიონმა, – უკვე ვიცი, ყველაფერში ჩავიჭერი!

– მართლა თუ ჩავიჭერით, რა იქნება? – უმისამართოდ იკითხა ჰარიმ, მაგრამ ისევ ჰერმიონმა უპასუხა:

– ჩვენი კლუბის თავმჯდომარეს მივმართავთ კონსულტაციისთ-ვის პროფესიის ხელახლა შესარჩევად. მე უკვე ვკითხე პროფესორ მაკგონაგელს სემესტრის ბოლოს.

ჰარის მუცელი აუწრიალდა. ნეტავ, საუზმეზე ამდენი არ მეჭამაო, გაიფიქრა.

– ბობატონში, – თვითკმაყოფილებით დაიწყო ფლერმა, – კველაფელი სულ სხვანაიღად იკო. ჩემი აზღიტ, ისე ჟობდა. გამოცდებს ჩვენ მეხუტეზე კი აღა, მეექვსე კუღსზე ვაბაღებდიტ და შემდეგ...

ფლერის სიტყვები კივილმა გადაფარა. ჰერმიონს სამზარეულოს ფანჯრისკენ გაეშვირა თითი. ცაში სამი შავი წერტილი მოჩანდა და თანდათან იზრდებოდა.

– ნამდვილად ბუებია, – შესძახა ხმაჩახლეჩილმა რონმა, წამოხტა და ფანჯარაზე აკრულ ჰერმიონს გვერდით ამოუდგა.

– სამი **ბუა**, – მათთან ჰარიმაც მიირბინა.

– თითოსთვის – თითო, – დაიჩურჩულა შიშით ხმაწართმეულმა ჰერმიონმა, – ვაი, ვაი, ვაი...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გოგონამ ჰარისა და რონს იდაყვებზე სტაცა ხელები და მთელი ძალით მოუჭირა.

სამი ლამაზი ტყის ბუ პირდაპირ „ბუნაგისკენ“ მოფრინავდა. ბოლოს სამივე სახლის სიმაღლეზე დაეშვა და ბავშვებმა ნათლად დაინახეს, რომ თითოეულს მოზრდილი კვადრატული კონვერტი ება ფეხზე.

– ვაიმე, აღარ შემიძლია, – დაიწიკვინა ჰერმიონმა. ქალბატონმა უისლიმ ბავშვები მისწი-მოსწია და ფანჯარა გამოაღო. წამსვე სამივე ბუ შემოფრინდა, სამზარეულოს მაგიდაზე მწყობრად დაეშვა და სამივემ მარჯვენა ფეხი ასწია.

ჰარისთვის განკუთვნილი წერილი შუა ბუს ჰქონდა ფეხზე გამობმული. ჰარიმ თითების ფათურით ძლივს შეხსნა კონვერტი. მის მარცხნივ რონი თავისი **ბუა**-ს პასუხს ეწვალებოდა. ჰერმიონს კი ხელები ისე უკანკალებდა, რომ ფოსტის ბუსაც აცახცახებდა.

სამზარეულოში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ბოლოს და ბოლოს, ჰარიმ მოახერხა კონვერტის მოხსნა. სწრაფად გახია, ეტრატი ამოიღო და გაშალა.

# ბეჭითობის უმაღლესი ხლიარების შედეგები

**გამსვლელი ქულა:**

შესანიშნავი (შ)
მოსალოდნელზე მაღალი (მ)
დამაკმაყოფილებელი (დ)

**ჩაჭრელი ქულა:**

სუსტი (ს) ცუდი (ც) ცრუოლი (ც)

**ჰარი ჰეიმსის ძე პოტერმა**
**დაიმსახურა შემდეგი შეფასება:**

ასტრონომია: **დ**
ფადოსნური ალსებების მოვლა: **მ**
შელოცვები: **მ**
ბნელი ძალებისგან თავდაცვა: **შ**
მისნობა: **ს**


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰერბოლოგია: 8
მაგიის ისტორია: 6
შხამ-წამლები: 8
ტრანსფიგურაცია: 8

ჰარიმ რამდენჯერმე გადაიკითხა ეტრატი, ყოველ გადაკითხვაზე გული უმშვიდდებოდა. ყველაფერი რიგზე იყო: იცოდა, რომ მისნობაში ჩაიჭრებოდა, მაგიის ისტორიის ჩამბარებელიც რომ არ იყო, ამას შუა გამოცდაზევე მიხვდა, მაგრამ დანარჩენ საგნებში გამსვლელი შეფასება მიუღია! ჰარიმ თითი ჩააყოლა თავის ქულებს... ტრანსფიგურაციში, ჰერბოლოგიასა და შხამ-წამლებში „მოსალოდნელზე მაღალიც“ კი მიიღო! და, რაც ყველაზე მთავარია, ბნელი ძალებისგან თავდაცვაში „შესანიშნავი“ დაიმსახურა!

ჰარიმ მიმოიხედა. ჰერმიონი მისკენ ზურგშექცევით ეტრატში ცხვირჩარგული იდგა, რონი გახარებული ჩანდა.

– მარტო მისნობასა და მაგიის ისტორიაში ჩავიჭერი, აი, დარდი! – კმაყოფილმა უთხრა ჰარის, – აჰა, გამიცვალე...

ჰარიმ რონის ნიშნებს გადაავლო თვალი: იქ არც ერთი „შესანიშნავი“ არ ჭაჭანებდა...

– ასეც ვიცოდი, რომ ბნელი ძალებისგან თავდაცვაში უმაღლეს შეფასებას მიიღებდი, – მხარზე ხელი დაჰკრა მეგობარს რონმა, – მაინც ხომ ვიყოჩაღეთ?

– ყოჩაღ! – ამაყად შეაქო ქალბატონმა უისლიმ შვილი და თმა აუჩეჩა, – შვიდი **ბუა** იმაზე მეტია, ვიდრე ფრედისა და ჯორჯის ქულები ჯამში.

– ჰერმიონ, – ფრთხილად ჰკითხა ჯინიმ გოგონას, რადგან ის ისევ ზურგშექცევით იდგა, – შენ როგორა გაქვს საქმე?

– არა უშავს, – სუსტი ხმით უპასუხა ჰერმიონმა.

– უჰ, მოიცა რა, – რონი სწრაფად მივიდა მასთან და შეფასების ფურცელი ხელიდან გამოსტაცა, – ჰოოო, ათი „შესანიშნავი“ და ერთი – „მოსალოდნელზე მაღალი“ ბნელი ძალებისგან თავდაცვაში, – რონმა ნახევრად დაცინვითა და ნახევრად ბრაზით შეხედა გოგონას, – ახლა არ მითხრა, რომ იმედგაცრუებული ბრძანდები!

ჰერმიონმა თავი გააქნია. ჰარის გაეცინა.

– ესეც ასე! ახლა ყველანი **კატა**-ს სტუდენტები ვართ! – გაიბადრა რონი, – დედა, ძეხვი დარჩა?

ჰარიმ ისევ თავის შეფასებას დახედა. ამაზე მეტის იმედი არცა ჰქონია. მხოლოდ ერთ რამეზე სწყდებოდა გული: ამ საგამოცდო შედეგებმა საბოლოოდ დაასამარა მისი აურორად გახდომის ოცნე-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბა. შხამ-წამლებში საჭირო ქულა მაინც ვერ მოიპოვა. ყოველთვის იცოდა, რომ ასეც იქნებოდა, მაგრამ მუცელში მაინც მარწუხივით მოუჭირა რაღაცამ, როცა იმ ციცქნა შავ „მ"-ს დახედა.

მაინც რა საოცარია, რომ სწორედ სახეშეცვლილი „სიკვდილის მხვრელი" იყო პირველი, ვინც ჰარის ჩააწვეთა, შენგან კარგი აურორი დადგებაო. ეს აზრი ჰარის ჭკუაში ისე დაუჯდა, რომ ვერც კი წარმოედგინა, სხვა რა პროფესია უნდა აერჩია. მას შემდეგ კი, რაც ერთი თვის წინ წინასწარმეტყველება მოისმინა, საბოლოოდ ირწმუნა, რომ სწორედ ეს იყო მისი ბედისწერა...

„ვერც ერთი ვერ პოვებს სიმშვიდეს, სანამ ცოცხალი იქნება მეორე..." ჰარის მიაჩნდა, რომ იმ უმაღლეს დონეზე გაწვრთნილი ჯადოქრების რიგებში შესვლით, რომელთა უშუალო მოვალეობაც ვოლდემორის მოძებნა და მოკვლა იყო, წინასწარმეტყველებასაც აასრულებდა და გადარჩენის მეტი შანსიც ექნებოდა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი მეექვსე

# დრაკოს გასეირნება

მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში ჰარის ფეხი არ გაუდგამს „ბუნაგის“ ეზოდან. მთელ დღეებს უისლების ფანჩატურში ქვიდიჩის თამაშში ატარებდა (ის და ჰერმიონი – რონისა და ჯინის წინააღმდეგ. ჰერმიონი საშინლად თამაშობდა, ჯინი – კარგად, ამიტომ ძალები ორივე მხარეს თანაბრად გადანაწილდა), საღამოს კი ყველა კერძის სამმაგ ულუფას მიირთმევდა, რასაც კი ქალბატონი უისლი მოამზადებდა.

არდადეგები მხიარულად, მშვიდად ჩაივლიდა, რომ არა „დილის მისანში“ თითქმის ყოველდღიურად გამოქვეყნებული უგზო-უკვლოდ დაკარგვის, აუხსნელი უბედური შემთხვევებისა და დაღუპვის ამბები. ზოგჯერ ბილსა და ბატონ უისლის შინ ახალი ამბები მანამ მოჰქონდათ, სანამ გაზეთებში გამოქვეყნდებოდა. ქალბატონი უისლის უდიდესი უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ რემუს ლუპინის მიერ მოტანილმა საშინელმა ამბავმა ჰარის მეთექვსმეტე დაბადების დღის წვეულება ჩააშხამა. გამხდარ და დაღვრემილ ლუპინს ჩალისფერ თმაში უკვე გვარიანად გარეოდა ჭაღარა, ტანსაცმელიც უწინდელზე უფრო ჩამოძენძილი და დაკერებული ეცვა.

– დემენტორები კიდევ ორ ადამიანს დაესხნენ თავს, – გამოაცხადა მან, როცა ქალბატონმა უისლიმ დაბადების დღის ტორტის უშველებელი ნაჭერი გადააწოდა, – სადღაც ჩრდილოეთში კი იგორ კარკაროვის გვამი იპოვეს ქოხში. ქოხის თავზე შავი ნიშანი იყო გამოკიდული. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, მიკვირს, „სიკვდილის მხვრელთა“ რიგების დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში მაინც რომ მოახერხა ცოცხლად დარჩენა. რამდენადაც მახსოვს, სირიუსის ძმამ – რეგულუსმა – მხოლოდ რამდენიმე დღეს იცოცხლა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გასაგებია, – შუბლი შეიკრა ქალბატონმა უისლიმ, – ხომ არ ჯობია, სხვა თემაზე ვილაპარა...

– რემუს, ფლორიან ფორტესკიუზე გაიგე? – ჰკითხა ბილმა, რომელსაც ფლერი ღვინოს უსხამდა, – ის კაცი...

– მრუდე ქუჩაზე სანაყინეს მეპატრონე? – დაასწრო ჰარიმ და მუცელში უსიამოვნო, ყრუ ტკივილი იგრძნო, – უფასოდ მიმასპინძლ-დებოდა ხოლმე ნაყინით. რა დაემართა?

– სანაყინე ისეთ მდგომარეობაშია, რომ, ეტყობა, ძალით წაიყვანეს.

– რატომ? – იკითხა რონმა, ქალბატონმა უისლიმ კი ბილს მრა-ვალმნიშვნელოვნად დაუბრიალა თვალები.

– ვინ იცის. ალბათ რაღაცით გადაიმტერა „სიკვდილის მხვრელე-ბი“. კარგი კაცი იყო ფლორიანი.

– ჰო, მრუდე ქუჩაზე გამახსენდა, როგორც ჩანს, ოლივანდერიც უკვალოდ გაუჩინარდა.

– ჯადოსნური ჯოხების ოსტატი? – თავზარი დაეცა ჯინის.

– ჰო, სწორედ ის. მაღაზია ცარიელია. ძალადობის კვალი არა ჩანს. არავინ იცის, თავისი ნებით წავიდა თუ გაიტაცეს.

– მერე, ჯადოსნური ჯოხები? საიდან იშოვის ხალხი ჯადოსნურ ჯოხებს?

– სხვა ოსტატების ნაწარმს დასჯერდებიან, – მიუგო ლუპინმა, – მაგრამ ოლივანდერს ბადალი არა ჰყავდა, და თუ ის მოწინააღმდეგე მხარემ ჩაიგდო ხელში, ეს ჩვენთვის კარგს არაფერს მოასწავებს.

ამ საკმაოდ უჟმური დაბადების დღის მომდევნო დილას ჰოგ-ვორტსიდან წერილები და სახელმძღვანელოების სია მოვიდა. ჰარის კონვერტში სიურპრიზი აღმოჩნდა: იგი ქვიდიჩის კაპიტნად დაენიშ-ნათ.

– ესე იგი, შენც ისეთივე სტატუსით ისარგებლებ, როგორიც პრეფექტებს აქვთ! – შესძახა გახარებულმა ჰერმიონმა, – ახლა ჩვენი სპეციალური აბაზანითა და სხვა რამეებით სარგებლობის უფლებაცა გაქვს.

– ვაა, ის დრო მახსოვს, ჩარლი რომ ატარებდა ასეთს, – გაბრწ-ყინებულმა რონმა სამკერდე ნიშანი ახლოდან შეათვალიერა, – ჰარი, რა მაგარია, შენ ჩემი კაპიტანი ხარ! თუ, რა თქმა უნდა, გუნდში ისევ მიმიღებ, ჰა, ჰა, ჰა...

– როგორც ვატყობ, მრუდე ქუჩაზე გამგზავრებას დიდი ხნით ვეღარ გადავდებ, რაკიღა ესენი მიიღეთ, – ამოიოხრა ქალბატონმა უისლიმ და რონის სახელმძღვანელოების სიას დახედა, – შაბათს წავიდეთ, თუ მამათქვენი სამსახურში ისევ არ გამოიძახეს. იცოდეთ, მის გარეშე ფეხს არსადაც არ გავადგამ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დედა, ნუთუ მართლა გგონია, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის „ფლორიშ ენდ ბლოტსში“ წიგნის თაროს უკან იქნება ჩასაფრებული? – ჩაიხითხითა რონმა.

– მაშ, შენი აზრით, ფორტესკიუ და ოლივანდერი შვებულებაში წავიდნენ, არა? – აპილპილდა ქალბატონი უისლი, – უსაფრთხოების ზომები თუ სასაცილოდ არ გყოფნის, შეგიძლია, შინ დარჩე და ყველაფერს მე თვითონ გიყიდი...

– არა, წამოსვლა მინდა, ფრედისა და ჯორჯის მაღაზია უნდა ვნახო! – საჩქაროდ თქვა რონმა.

– ჰოდა, ჭკუით იყავი, თორემ ვიფიქრებ, რომ ჩვენთან ერთად საყიდლებზე წამოსასვლელად ჯერ საკმარისად არ დაღვინებულხარ! – დაემუქრა გაჯავრებული ქალბატონი უისლი, აიტაცა საათი, რომლის ცხრავე ისარი კვლავ „მომაკვდინებელ საფრთხეს“ უჩვენებდა, და ახლად გარეცხილი პირსახოცების დასტაზე შემოდო, – ეს ჰოგვორტსში დაბრუნებასაც ეხება!

გაოგნებული რონი ჰარის მიუბრუნდა, როცა დედამისმა სარეცხის კალათა ზედ მოყანყალე საათიანად აიტაცა და ოთახიდან გავარდა.

– ეს რა უბედურებაა... უკვე ხუმრობაც აღარ შეიძლება, – მაგრამ ამის შემდეგ რონი ფრთხილობდა და მომდევნო დღეებში ვოლდემორი კადნიერად აღარ უხსენებია. შაბათის დილამ ისე ჩაიარა, ქალბატონი უისლი თავის შვილებს არაფერზე შესდავებია, თუმცა საუზმობისას ძალიან დაძაბული ჩანდა. ბილმა, რომელიც (ჰერმიონისა და ჯინის გასახარად) ფლერთან ერთად შინ უნდა დარჩენილიყო, ჰარის მაგიდის მეორე მხრიდან გატენილი საფულე გადააწოდა.

– მეც მომცემ? – მაშინვე ჰკითხა თვალებგაფართოებულმა რონმა.

– ეს ჰარის ფულია, იდიოტო, – უთხრა ბილმა, – შენი აკლდამიდან გამოგიტანე, ჰარი, რადგან გობლინებმა ისე გააძლიერეს დაცვა, რომ ხალხი ხუთ საათს უნდება თავიანთ ოქრომდე მიღწევას.

– გმადლობ, ბილ, – ჰარიმ ფული ჯიბეში ჩაიდო.

– ღოგოლი ცინდახედული მკავხაღ, – აღფრთოვანებით დაიჟღურტულა ფლერმა და ბილს ცხვირზე თითი ჩამოუსვა. ფლერის ზურგს უკან ჯინი ისე დაიმანჭა, თითქოს გული ერეოდა. ჰარის ბურღული გადასცდა და რონმა ზურგზე ხელი დაუტყაპუნა.

მოღრუბლული, მოჟამული დღე იდგა. მანტიები მოისხეს და სახლიდან გამოვიდნენ. მაგიის სამინისტროს ერთ-ერთი მანქანა, რომლითაც ჰარის ადრეც ემგზავრა, უკვე ეზოს შესასვლელში ელოდათ.

– რა კაია, რომ მამამ ესენი ისევ გვიშოვა, – კმაყოფილებით აღნიშნა რონმა და გემრიელად მოეწყო მანქანაში. მანქანა ნელი სვლით მოშორდა „ბუნაგს“, ფანჯრიდან ბილი და ფლერი უქნევდნენ ხელს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონი, ჰარი, ჰერმიონი და ჯინი განიერ უკანა სავარძელზე თავისუფლად და კომფორტულად მოკალათებულიყვნენ.

– ძალიანაც ნუ გაგიტკბება, ეს მხოლოდ ჰარის გამოა, – გადმოხედა რონს წინ მჯდარმა ბატონმა უისლიმ. ის და ქალბატონი უისლი სამინისტროს მძღოლის გვერდით ისხდნენ. წინა სავარძელიც მორჩილად გაგანიერებულიყო და ორადგილიან ტახტს დამსგავსებოდა, – ჰარის გაძლიერებული დაცვა დაუნიშნეს. „გახვრეტილ კარდალაშიც“ დამატებითი დაცვა გველოდება.

ჰარიმ არაფერი თქვა. ვერ წარმოედგინა, აურორების ბატალიონით გარშემორტყმულს როგორ უნდა ევლო საყიდლებზე. ზურგჩანთაში ყოველი შემთხვევისათვის უჩინმაჩინის მოსასხამი ჩაიდო: დამბლდორს თუ მიაჩნია, რომ ყველგან თან უნდა ვატარო, სამინისტროც არ იქნება წინააღმდეგიო, თუმცა, მაშინღა გაახსენდა, რომ ჯერ ისიც საკითხავი იყო, სამინისტრომ იცოდა თუ არა მისი მოსასხამის არსებობის შესახებ.

– მოვედით, – პირველად ამოიღო ხმა მძღოლმა, როცა საოცრად მოკლე დროში შეანელა სვლა ჩერინგ ქროს როუდთან და მანქანა „გახვრეტილ კარდალასთან“ გააჩერა, – აქ დაგელოდებით. დაახლოებით რამდენ ხანში დაბრუნდებით?

– ალბათ ორ საათში, – უთხრა ბატონმა უისლიმ და ფანჯარაში გაიხედა, – რა კარგია, უკვე მოსულა.

ჰარიმ ბატონ უისლის მზერას თვალი გააყოლა და გული სიხარულით აუფანცქალდა. სამიკიტნოს გარეთ მათ აურორები სულაც არ ელოდნენ. მათ ნაცვლად ჰოგვორტსის ტყის მცველის – თხუნელას გრძელ ქურქში გახვეული გოლიათის, შავწვერა რუბეუს ჰაგრიდის ფიგურა მოჩანდა. ჰაგრიდი ჰარისკენ გაბადრული იცქირებოდა და გამვლელი მაგლების შეცბუნებულ მზერას ვერც კი ამჩნევდა.

– ჰარი! – დაიგრგვინა და რა წამსაც ბიჭმა მანქანიდან ფეხი გადადგა, გულში ისე ჩაიკრა, ჰარის ნეკნებს ლაწალუწი აუტეხა, – ბაკბიკი, უფრო სწორად, ვიზერვინგსი... ჰარი, აუცილებლად უნდა ნახო. ისე უხარია სუფთა ჰაერზე ყოფნა...

– ძალიან კარგი, – გაუღიმა ჰარიმ და ნეკნები დაიზილა, – არ ვიცოდით, თუ „დაცვა“ შენ იქნებოდი!

– ვიცი, ძველი დრო გაგახსენდა, არა? იცი, მინისტრს უნდოდა, აურორების მთელი ხროვა გამოეგზავნა, მაგრამ დამბლდორმა, არაო, ჰაგრიდიც ეყოფათო, – ამაყად ამცნო ჰაგრიდმა, მკერდი გამობერა და ჯიბეებში ცერები ჩაიყო, – აბა, წავედით, რაღას ვუცდით... თქვენ შემდეგ, მოლი, არტურ...

„გახვრეტილი კარდალა“ ასეთი ცარიელი ჰარის ჯერ არ ენახა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მხოლოდ ლუდხანის უკბილო, დამჭკნარი მეპატრონე ტომი დახვდათ. ტომმა მათ შესვლაზე იმედით ასწია თავი, მაგრამ ჰაგრიდმა ხმის ამოღებაც არ აცალა:

– გავლითა ვართ, ტომ, ხო გესმის. ჰოგვორტსის საქმეზე გვეჩქარება.

მიკიტანმა უგუნებოდ დაუქნია თავი და ჭიქების გამშრალება განაგრძო. ჰარიმ, ჰერმიონმა, ჰაგრიდმა და უისლებმა უკანა კარი გაიარეს და ნესტიან, ხელისგულისოდენა ეზოში გავიდნენ, სადაც სანაგვე ურნები იდგა. ჰაგრიდმა ვარდისფერი ქოლგის წვერით კედელზე ერთ-ერთ აგურს დაუკაკუნა. იმწამსვე კედელში თაღი გაჩნდა, რომლის იქითაც მოკირწყლული ქუჩა მიიკლაკნებოდა. ყველამ თაღში შეაბიჯა, მერე შედგნენ და მიმოიხედეს.

მრუდე ქუჩა სულ მთლად გადასხვაფერებულიყო. ფერად-ფერად, ბრჭყვიალა ვიტრინებში გამოფენილი შელოცვების წიგნები, შხამწამლების ინგრედიენტები და ქვაბები არც კი ჩანდა, ვიტრინებზე მაგიის სამინისტროს უშველებელი პლაკატები აეკრათ. ამ იისფერი, პირქუში პალკატების უმრავლესობაზე გადიდებული ასოებით ეწერა სამინისტროს მიერ იმ ზაფხულს გამოცემულ ბუკლეტებზე ჩამოთვლილი უსაფრთხოების წესები, ზოგზე კი თავისუფლად მონავარდე „სიკვდილის მხვრელების“ შავ-თეთრი მოძრავი ფოტოები იყო აღბეჭდილი. უახლოესი აფთიაქის ვიტრინიდან დამცინავად იღიმებოდა ბელატრისა ლესტრეინჯი. ზოგი ვიტრინა, მათ შორის, ფლორიან ფორტესკიუს სანაყინისა, ფიცრებით აეჭედათ. სამაგიეროდ, ქუჩა სავსე იყო სახელდახელო დახლებითა და ფარდულებით. ერთ-ერთზე, „ფლორიშ ენდ ბლოტსის“ გარეთ მდგარ დალაქავებულ ტილოს ფარდულზე მუყაოს აბრა გაეკრათ:

## ამულეტები

*– ეფექტურია მაქციების, დემენტორების*
*და ინფერიუსების წინააღმდეგ*

გაძვალტყავებული ჩია ტანის ჯადოქარი გამვლელ-გამომვლელებს ჯაჭვზე ასხმულ ვერცხლის მედალიონებს უჩხარუნებდა.

– მადამ, არ გნებავთ თქვენი პატარა გოგონასათვის? – მიაძახა ქალბატონ უისლის და ჯინის ეშმაკურად გაუღიმა, – ლამაზი კისერი რომ არავინ მოუგრიხოს...

– უჰ, ერთი მორიგე ვყოფილიყავი დღეს!.. – ჩაიბუზღუნა ბატონმა უისლიმ და თვალები რისხვით დაუბრიალა ამულეტების გამყიდველს.

– ჰო, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის, ძვირფასო, გვეჩქარება,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ქალბატონმა უისლიმ ნერვიულად ჩახედა საყიდლების სიას, – მოდით, ჯერ მადამ მალკინთან შევიაროთ. ჰერმიონს ახალი საზეიმო მანტია სჭირდება, რონსაც უკვე კოჭები მოუჩანს სკოლის ფორმიდან. ალბათ შენც გჭირდება ახლის შეძენა, ჰარი, შენც ისე აიყარე ტანი. აბა, მომყევით...

– მოლი, ყველანი მადამ მალკინთან ხომ არ შევცვივდებით. მოდი, სამივენი ჰაგრიდს გავაყოლოთ, ჩვენ კი „ფლორიშ ენდ ბლოტსში" წავიდეთ და ბავშვებს სკოლის სახელმძღვანელოები ვუყიდოთ, – შესთავაზა ცოლს ბატონმა უისლიმ.

– რა ვიცი, – აღელდა ქალბატონი უისლი, რომელიც აშკარად მერყეობდა: საყიდლების მოთავებაც ეჩქარებოდა, მაგრამ, ამავე დროს, არ უნდოდა, დაცალკევებულიყვნენ, – ჰაგრიდ, შენ რას ფიქრობ...

– დარდი ნუ გაქვს, ჩემთან მშვენივრად იქნებიან, მოლი, – დააიმედა ჰაგრიდმა და სანაგვე ყუთის სარქველისოდენა ხელი უდარდელად დაუქნია. ქალბატონი უისლი ამან მაინცდამაინც ვერ დაამშვიდა, მაგრამ ბოლოს მაინც დაჰყაბულდა და მეუღლისა და ჯინის თანხლებით „ფლორიშ ენდ ბლოტსისკენ" გასწია. ჰარი, რონი, ჰერმიონი და ჰაგრიდი კი მადამ მალკინის მაღაზიისკენ გაეშურნენ.

ჰარიმ შეამჩნია, რომ გამვლელ-გამომვლელთა უმეტესობას, ქალბატონი უისლისა არ იყოს, შეშფოთებული, აფორიაქებული გამომეტყველება ჰქონდა, ერთმანეთთან გამოსალაპარაკებლად არავინ ჩერდებოდა, ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ, თავ-თავიანთ საქმეებს აგვარებდნენ და აშკარად ცდილობდნენ, მარტოებს არ ევლოთ.

– ყველა ერთად თუ შევალთ, სივიწროვე იქნება, – ჰაგრიდი მადამ მალკინის მაღაზიასთან შედგა, დაიხარა და ვიტრინაში შეიჭყიტა, – მე გარეთ გიდარაჯებთ, კარგი?

ჰარი, რონი და ჰერმიონი ჰაგრიდის გარეშე შევიდნენ პატარა მაღაზიაში. იქაურობა, ერთი შეხედვით, ცარიელი მოეჩვენათ, მაგრამ, როგორც კი უკან კარი მიხურეს, მწვანე და ცისფერი ბრჭყვიალა ღილებით გაწყობილი საზეიმო მანტიების მწკრივის უკნიდან ნაცნობი ხმა გაიგონეს:

– ბავშვი კი აღარა ვარ, დედა, მარტოც მშვენივრად ვიყიდი ყველაფერს.

პასუხად მადამ მალკინის ხმა გაისმა:

– არა, ჩემო კარგო, დედათქვენი სავსებით მართალია, მარტო სიარული აღარ შეიძლება. რა მნიშვნელობა აქვს, ბავშვი ხარ თუ არა...

– შენ შენს ქინძისთავს მიხედე, სად უყრი!

დახლის უკნიდან ფერმკრთალი, წაწვეტებულსახიანი, მოვერ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცხლისფრო-ქერათმიანი შეღერებული ბიჭი გამოვიდა. ტანთ მშვენიერი მუქი ზურმუხტისფერი მანტია ემოსა, არშიასა და სახელოებზე ქინძისთავები უბრწყინავდა. ბიჭი სარკესთან მივიდა, თავი შეითვალიერა. რამდენიმე წამში მის მხარზემოთ არეკლილი ჰარის, რონისა და ჰერმიონის გამოსახულებები შეამჩნია და ღია ნაცრისფერი თვალები დაუვიწროვდა.

– დედა, თუ ცუდი სუნი გეცა, არ გაგიკვირდეს: მაღაზიაში მუქსისხლიანი შემოვიდა.

– თუ შეიძლება, მსგავსი გამოთქმებისგან თავი შეიკავეთ!

– ტანსაცმლის საკიდრის უკნიდან სწრაფად გამოვიდა მადამ მალკინი, ცალ ხელში სანტიმეტრი ეჭირა, მეორეში კი – ჯადოსნური ჯოხი, – და ჩემს მაღაზიაში არავის აქვს ჯოხის გამოყენების უფლება! – სასწრაფოდ დასძინა მან, რადგან ჰარისა და რონს უკვე ჯადოსნური ჯოხები ამოეღოთ და დრაკო მალფოის უმიზნებდნენ.

ჰერმიონმა შემცბარმა უჩურჩულა მეგობრებს:

– არა, გთხოვთ, არ ღირს...

– ვითომ გაბედავთ და სკოლის გარეთ ჯადოქრობას გამოიყენებთ? – ჩაიცინა მალფოიმ, – თვალი ვინ ჩაგილურჯა, გრეინჯერ? მითხარი, ყვავილები უნდა გავუგზავნო.

– აბა, აბა, გეყოფათ! – მკაცრად ბრძანა მადამ მალკინმა და მხარდაჭერის იმედით უკან გაიხედა, – მადამ, გთხოვთ...

საკიდრის უკნიდან აუჩქარებლად გამოვიდა ნარცისა მალფოი.

– ეგენი მოაშორეთ, – ცივად უბრძანა ჰარისა და რონს, – ჩემს შვილს თუ ისევ დაესხმებით თავს, გარწმუნებთ, რომ ეს იქნება უკანასკნელი რამ, რასაც მოასწრებთ.

– მართლა? – ჰარიმ ნარცისას დახვეწილ, ქედმაღალ სახეში შეხედა. ქალი, ფერმიხდილობის მიუხედავად, სახით ძალიან ჰგავდა თავის დას. ჰარი უკვე ამ ქალის სიმაღლისა იყო, – რაო, მეგობარ „სიკვდილის მხვრელებს“ მოგვისევთ?

მადამ მალკინმა შეჰკივლა და გულზე ხელი იტაცა.

– როგორ შეიძლება ასეთი ბრალდება... დაფიქრდით, რას ამბობთ... ჯოხები შეინახეთ, თუ შეიძლება!

მაგრამ ჰარის არ დაუშვია ჯადოსნური ჯოხი. ნარცისა მალფოიმ ბოროტად გაიღიმა.

– როგორც ვხედავ, დამბლდორის ფავორიტობამ ზედმეტად გაგაყოყოჩა, ჰარი პოტერ. მაგრამ დამბლდორი ყოველთვის არ გეყოლება გვერდით, რომ დაგიცვას.

ჰარიმ დაცინვით მოათვალიერა მაღაზია.

– როგორც ხედავთ, ახლა აქ არ არის! რაღას ელით? იქნება აზკა-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბანში ორადგილიანი საკანი გამოგინახონ და თქვენს მარცხიან ქმარს დაუმშვენოთ გვერდი!

გაბრაზებულმა მალფოიმ ჰარისკენ გაიწია, მაგრამ მანტიის გრძელ კალთაში ფეხი გაეხლართა და წაბორძიკდა. რონმა ხმამაღლა გაიცინა.

– როგორ ბედავ დედაჩემთან ასე ლაპარაკს, პოტერ! – შეუღრინა მალფოიმ.

– არა უშავს, დრაკო, – ნარცისამ თეთრი თლილი თითები დაადო მხარზე შვილს და შეაჩერა, – იმედია, პოტერი უფრო მალე იხილავს თავის ძვირფას სირიუსს, ვიდრე მე – ლუციუსს.

ჰარიმ უფრო მაღლა შემართა ჯადოსნური ჯოხი.

– ჰარი, არა! – დაიკვნესა ჰერმიონმა, მკლავში ხელი სტაცა და ჩამოქაჩა, – დაფიქრდი... შენ არ უნდა... ისეთ შარში გაეხვევი...

მადამ მალკინი ერთხანს ადგილზე ცქმუტავდა, შემდეგ, ეტყობა, გადაწყვიტა, არაფრისთვის მიექცია ყურადღება იმ იმედით, რომ სიტუაცია განიმუხტებოდა, და მალფოისკენ დაიხარა. ის კი ისევ ჰარის ჭამდა თვალებით.

– ჩემი აზრით, მარცხენა სახელო ცოტა კიდევ უნდა აიკეცოს, ჩემო კარგო, მოდი, ეს...

– ვაი! – დაილრიალა მალფოიმ და ხელი აუკრა, – ბრმა ხარ? სად მირჭობ ამ ქინძისთავს, ქალო! დედა, ამის ყიდვა აღარ მინდა... – მანტია გადაიძრო და მადამ მალკინს ფეხებთან დაუგდო.

– მართალი ხარ, დრაკო, – დაეთანხმა ნარცისა და ჰერმიონს ზიზღით შეავლო თვალი, – ვხედავ, რა ვიგინდარებიც დადიან აქ სავაჭროდ... ამას ჯობია, „ტვილფიტ ენდ ტეტინგში“ წავიდეთ.

ამ სიტყვებით დედა-შვილი მაღაზიიდან გავიდა. გასვლისას მალფოიმ ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და მთელი ძალით გაჰკრა მხარი რონს.

– აბა, რას ჰგავს ეს! – მადამ მალკინმა დაბლა დაყრილი ტანსაცმელი წამოკრიფა, მტვერსასრუტივით გადაატარა ზედ ჯადოსნური ჯოხი და მტვერი მოაშორა.

მადამ მალკინი საოცრად დაბნეული აზომებდა ბიჭებს ახალ მანტიებს, ჰერმიონს კი მამაკაცის საზეიმო მანტიის მიყიდვაც კი დაუპირა. ბოლოს, როცა მაღაზიიდან თავის დაკვრით გააცილა ბავშვები, სახეზე ეტყობოდა, რომ მათი თავიდან მოცილება უხაროდა.

– ყველაფერი იყიდეთ? – მხიარულად იკითხა ჰაგრიდმა, როცა სამივენი მაღაზიიდან გამოვიდნენ.

– თითქმის, – მიუგო ჰარიმ, – მალფოები დაინახე?

– ჰო, – უშფოთველად უპასუხა ჰაგრიდმა, – მარა, ამ შუა ქუჩაში რას გაბედავენ, ჰარი, მაგათზე ნუ ნერვიულობ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ სანამ ჰაგრიდს ამ აზრს შეაცვლევინებდნენ, წიგნების მძიმე შეკვრით დატვირთული ბატონი და ქალბატონი უისლები და ჯინი გამოჩნდნენ.

– ყველანი უვნებლები ხართ? – იკითხა ქალბატონმა უისლიმ, – შეიძინეთ მანტიები? ძალიან კარგი, მაშასადამე, ფრედისა და ჯორჯის მაღაზიამდე აფთიაქსა და აილოპსის სავაჭრო ცენტრ „ბუში“ შერბენასაც მოვასწრებთ... აბა, გვერდიდან არ მომშორდეთ...

ჰარისა და რონს აფთიაქში ინგრედიენტები არ უყიდიათ, რადგან იმ წელს შხამ-წამლებს აღარ ისწავლიდნენ, სამაგიეროდ, აილოპსის სავაჭრო ცენტრ „ბუში“ ორივემ ბუს კაკლით სავსე უზარმაზარი ყუთი შეიძინა ჰედვიგისა და პიგვიჯენისათვის. ამის შემდეგ ყველანი ქალბატონი უისლის თაოსნობით, რომელიც ყოველ წუთს მაჯის საათზე იყურებოდა, ფრედისა და ჯორჯის მაღაზიის საძებნელად აუყვნენ ქუჩას.

– დრო ცოტა გვაქვს, – ქოთქოთებდა ქალბატონი უისლი, – ამიტომ, უცებ დავათვალიერებთ მაღაზიას და მერე სასწრაფოდ – მანქანისკენ! უკვე ახლოს უნდა ვიყოთ, ნომერი ოთხმოცდათორმეტი... ოთხმოცდათოთხმეტი...

– ვაააა... – ანაზდად შედგა რონი.

ირგვლივ ჩარიგებულ ერთფეროვან, პლაკატებაკრულ მაღაზიის ვიტრინებს შორის ფრედისა და ჯორჯის ვიტრინები ფეიერვერკივით ჭრიდა თვალს. ჩვეულებრივ გამვლელებს თვალი უკან რჩებოდათ, რამდენიმე შეცბუნებული ჯადოქარი გაოცებისაგან ადგილზე გაშეშებულიყო. მარცხენა ვიტრინა გადაჭრელებულიყო აურაცხელი სახის საქონლით. ნივთები ტრიალებდნენ, სკდებოდნენ, ფეთქდებოდნენ, დახტოდნენ და გაჰკიოდნენ; მათ შემყურე ჰარის თვალები აუჭრელდა. მარჯვენა ვიტრინა კი სამინისტროს მიერ გამოშვებული პლაკატების მსგავს იისფერ ვეებერთელა პლაკატს დაეფარა, ზედ მოელვარე ყვითელი წარწერა ანათებდა:

რატომ გეშინიათ ჩვენ-რომ-ვიცით, მისი?
უნდა გეშინოდეთ **„არ ჩაისვაროსი“**
სენსაციური ყაბზობა, რომელმაც
მოიცვა მთელი ქვეყანა!

ჰარის სიცილი აუტყდა. გვერდიდან სუსტი გმინვა მოესმა, ქალბატონი უისლი ელდანაკრავი მიშტერებოდა პლაკატს და ტუჩების უხმო მოძრაობით კითხულობდა სარეკლამო წარწერას.

– ლოგინებშივე ჩახოცავენ! – დაიჩურჩულა მან.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არაფერიც, – რონი, ჰარისა არ იყოს, გულიანად იცინოდა, – მაგარია!

რონი და ჰარი პირველები შეცვივდნენ მაღაზიაში. იქაურობა ისე იყო გადაჭედილი მყიდველებით, რომ ჰარიმ დახლამდე ვერც კი მიაღწია. ყუთებით დაზვინულ თაროებზე რას არ ნახავდით: „საშატალოე საუზმეს“, რომელიც ტყუპებმა ჰოგვორტსში მათ ბოლო, დაუმთავრებელ კურსზე გამოიგონეს; „სისხლმდენ ნუგას“, რომელიც, როგორც ჰარიმ შეამჩნია, ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რადგან თაროზე მხოლოდ ერთი ჩაჭყლეტილი ყუთილა დარჩენილიყო. კალათები სავსე იყო ყალბი ჯადოსნური ჯოხებით, ყველაზე იაფფასიანები მოქნევისას, უბრალოდ, რეზინის წიწილად ან ქვედა საცვლად რომ იქცეოდა, ყველაზე ძვირადღირებული ჯოხები კი უხეირო მომხმარებელს თავში უბათქუნებდა. აქ იყო თვითჩამწობელი, მართლწერის შემმოწმებელი და ბრძნულად მოპასუხე ბატის ფრთებით სავსე ყუთები. ბრბოში ადგილი განთავისუფლდა და ჰარიმ მუჯლუგუნებით გაიკვლია გზა დახლისკენ, სადაც ათიოდე წლის ბავშვები მოგროვილიყვნენ და თვალს ადევნებდნენ, როგორ ნელ-ნელა ადიოდა ციცქნა ხის კაცი ეშაფოტის კიბეზე. ეშაფოტიცა და კაციც ყუთზე იდგნენ, რომელსაც ეწერა:

**მრავალჯერადი გამოყენების ჯალათი –**
**გამოიცანი სიტყვა, თორემ სახრჩობელაზე ჩამოეკიდება!**
**დაპატენტებული ოცნების ჯადოები...**

ჰერმიონსაც მოელწია როგორღაც დახლზე გამოფენილ ნაირ-ნაირ ნივთებთან და ერთი ყუთის უკან წარწერილ ინფორმაციას კითხულობდა. ყუთზე მეკობრეთა გემის გემბანზე მდგარი სიმპათიური ყმაწვილისა და გულწასული გოგონას ფერადი სურათი გამოესახათ: „ერთი მარტივი შელოცვა, და თქვენ შეაბიჯებთ უმაღლესი ხარისხის, სუპერრეალურ ნახევარსაათიან ოცნებაში, რომელიც იოლად ეტევა სკოლის სტანდარტულ გაკვეთილში და, ფაქტობრივად, შეუმჩნეველია (გვერდითი მოვლენები წარმოადგენს უაზრო გამომეტყველებასა და ცოტაოდენი დორბლის დენას). თექვსმეტ წლამდე ასაკის მყიდველებზე არ გაიცემა“.

– იცი, რა, – ჰერმიონმა ჰარის ახედა, – ეს მართლა არაჩვეულებრივი მაგიაა.

– მაგ სიტყვებისათვის, ჰერმიონ, – გაისმა მათ ზურგს უკან ხმა, – ერთი ცალი უფასოდ გეკუთვნის.

მათ წინაშე იდგა გაბრწყინებული ფრედი; მის წითელ თმას მშვენივრად ეხამებოდა ალისფერი მანტია.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როგორა ხარ, ჰარი? – ბიჭებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, – თვალზე რა დაგემართა, ჰერმიონ?

– რა და, თქვენი მოკრივე ტელესკოპის საჩუქარია, – საყვედურით მიუგო გოგონამ.

– უჰ, ჯანდაბა, სულ დამავიწყდა. აი...

ფრედმა ჯიბიდან პატარა ტუბი ამოიღო და ჰერმიონს გადასცა. ჰერმიონმა თავსახური შიშით მოხსნა. ტუბში შესქელებული ყვითელი მასა აღმოჩნდა.

– წაისვი და ერთ საათში გაგივლის, – ურჩია ფრედმა, – დალურ-ჯების მოსარჩენი ეფექტური საშუალების გამოგონება მოგვიხდა, რადგან პროდუქციას, ძირითადად, საკუთარ თავზე ვცდით.

ჰერმიონი ანერვიულდა.

– დარწმუნებული ხარ, რომ ეს რაღაცა უსაფრთხოა?

– აბა, რა, – გაამხნევა ფრედმა, – ჰარი, წამოდი, მაღაზიას დაგათ-ვალიერებინებ.

ჰერმიონმა ჩალურჯებულ თვალზე მალამო წაისვა, ჰარი კი ფრედს მაღაზიის დასათვალიერებლად გაჰყვა. ერთგან ბანქოს დასტა და თოკები დაინახა.

– მაგლური ფოკუსები! – მხიარულად აუხსნა ჰარის ფრედმა,– მამაჩემისნაირი ახირებულებისთვისაა. ხომ ხვდები – ვისაც მაგლური რამერუმეები უყვარს; დიდი მოგება ვერ მოაქვს, მაგრამ, საკმაოდ სტაბილური შემოსავალი კი გვაქვს, ესენი აქ უცხო ხილია და... აგერ, ჯორჯიც...

ჯორჯმა ჰარის ენერგიულად ჩამოართვა ხელი.

– მაღაზიას ათვალიერებინებ? უკან გამოდი, ჰარი, აი, სად კეთ-დება ნამდვილი ფული!

– რამეს ჩაიდებ ჯიბეში და იცოდე, გალეონებზე ძვირად დაგიჯ-დება! – გააფრთხილა ფრედმა პატარა ბიჭი, რომელმაც საჩქაროდ ამოიღო ხელი კარამელის ქილიდან, რომელსაც ეწერა: „შავი ნიშ-ნები“. იწვევს გულისრევას!“

ჯორჯმა მაგლური ფოკუსების თაროების გვერდით ფარდა გადას-წია და ჰარიმ უფრო ბნელი, ნაკლებად ხალხმრავალი ოთახი დაინახა. თაროებზე დაწყობილი საქონლის შესაფუთიც შედარებით მოკრძა-ლებულად გამოიყურებოდა.

– ეს უფრო სერიოზული საწარმოო ხაზი სულ ახლახან გავხსენით. ვერც კი წარმოიდგენ, ეს როგორ მოხდა...

– არც კი დაიჯერებ, რამდენ ჯადოქარს არ გამოსდის წესიერი ფარის ჯადო, მათაც კი, ვინც სამინისტროში მუშაობს, – დაუმატა ჯორჯმა, – თუმცა, რა გასაკვირია, შენ ხომ მათთვის არ გისწავლებია, ჰარი.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მართალია... ამ ცოტა ხნის წინ გადავწყვიტეთ, ხალხის გასართობად „დამცავი ქუდები“ გამოგვეშვა. წარმოიდგინე: გამოიწვევ ვინმეს, თავს დაათარსვინებ მაშინ, როცა ეს ქუდი გახურავს და მერე მისი სახე უნდა ნახო, ქუდი შელოცვას რომ აისხლეტს! ჩვენდა გასაოცრად, სამინისტრომ ხუთასი ქუდი იყიდა თავისი დამხმარე პერსონალისათვის და ახლაც უამრავ შეკვეთას ვიღებთ!

– ჰოდა, ავდექით და გავაფართოვეთ წარმოება, ახლა უკვე დამცავი მოსასხამები, დამცავი ხელთათმანები და...

– მოკლედ, მიუტევებელი წყევლებისგან თავდასაცავად დიდად არ გამოდგება, მაგრამ წვრილ-წვრილი ან საშუალო შელოცვებისათვის და გათვალვებისთვის...

– და მერე გადავწყვიტეთ, რომ ბნელი ძალებისგან თავდაცვის სფერო მთლიანად აგვეთვისებინა, იმიტომ, რომ ნამდვილი ფულის მახეა, – ენთუზიაზმით განაგრძო ჯორჯმა, – ძალიან მაგარია. აი, ნახე, „წამში დაბნელების ფხვნილი“. პერუდან შემოგვაქვს. ძალიან გამოგადგება, საიდანმე გაქცევა თუ დააპირე.

– ჩვენი სატყუარა დეტონატორები კი თაროებზე არ გვიჩერდება, შეხედე, – ჯორჯმა უჩვენა საყვირის მსგავსი რამდენიმე უცნაური შავი ნივთი, რომლებიც, მართლაც, თაროებიდან ჩამობობღებასა და მიმალვას ცდილობდნენ, – როცა მოგესურვება, უჩუმრად დააგდებ, ისიც გაიქცევა სადმე შორს, ბათქაბუთქს ატეხს და მტერს ყურადღებას იქით გადაატანინებს.

– მაგარი რამეა, – დაეთანხმა გაოცებული ჰარი.

– აიღე, – ჯორჯმა ხელი სტაცა ორ დეტონატორს და ჰარის გადაუგდო.

ფარდის უკნიდან ქერათმიანმა ახალგაზრდა ჯადოქარმა ქალმა გამოყო თავი. თმა მოკლედ ჰქონდა შეჭრილი. მასაც მაღაზიის პერსონალის ფორმა – ალისფერი მანტია ეცვა.

– აქ ერთი კლიენტი ოხუნჯ ქვაბს ეძებს, ბატონებო, – მიმართა მან ტყუპებს.

ჰარის ძალიან ეუცხოვა ის ფაქტი, რომ ფრედსა და ჯორჯს ბატონობით მიმართავდნენ, მაგრამ ტყუპები, ჩანდა, ძალიანაც იფერებდნენ ამას.

– ახლავე მოვდივარ, ვერიტი, – მყისვე გასძახა ჯორჯმა – ჰარი, რაც მოგესურვება, აიღე, კარგი? შენთვის ყველაფერი უფასოა.

– არა, ასე არ შემიძლია! – იუარა ჰარიმ და საფულე ამოიღო სატყუარა დეტონატორების შესაძენად.

– შენ აქ არაფერსაც არ იხდი, – მტკიცედ უთხრა ფრედმა და ჰარის ოქრო ხელის აქნევით მოიშორა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კი, მაგრამ...

– შენ საწყისი კაპიტალი მოგვეცი, კი არ დაგვვიწყებია, – მკაცრად შეახსენა ჯორჯმა ჰარის, – აიღე, რაც გინდა. უბრალოდ, სხვებსაც მოასწავლე ხოლმე აქეთ.

ჯორჯი სწრაფი ნაბიჯით გავიდა ფარდის მიღმა კლიენტების მისახედად, ფრედმა კი ჰარი კვლავ მაღაზიის მთავარ ნაწილში გაიყვანა, სადაც ჰერმიონი და ჯინი ისევ „დაპატენტებული ოცნების ჯადოებს“ უტრიალებდნენ.

– გოგოებო, ჩვენი სპეციალური პროდუქცია „ტურფა ასულები“ ჯერ არ გინახავთ? – იკითხა ფრედმა, – აბა, მომყევით... ფანჯარასთან, დახლზე, ნაირგვარი ჭყეტელა ვარდისფერი ფლაკონები იყო გამოფენილი. მათ მჭიდროდ შემორტყმოდნენ გარს აღტკინებული გოგონები და გულიანად ხითხითებდნენ. დაეჭვებულმა ჰერმიონმა და ჯინიმ უკან დაიხიეს.

– მობრძანდით, მობრძანდით, სიყვარულის ელექსირების ასეთ ნაირსახეობას მთელ მსოფლიოში ვერ ნახავთ! – ამაყად განაცხადა ფრედმა.

ჯინიმ სკეპტიკურად ასწია წარბი:

– მერე, მოქმედებს?

– აბა, რა! ხანგრძლივობა თითო მიღებაზე, ყველაზე მეტი, ოცდაოთხ საათამდე, ეს დამოკიდებულია ბიჭის წონასა...

– და გოგონას მომხიბვლელობაზე, – დაუმატა ჯორჯმა, რომელიც თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ამ დროს მათ გვერდით გაჩნდა, – მაგრამ ჩვენს დას არ მივყიდით, – დასძინა მან და უცებ ხმა გაუმკაცრდა, – რადგან ჩიტმა ამბავი მოგვიტანა, რომ უკვე ისედაც ხუთ ბიჭს ერთდროულად ხვდება...

– რა ამბავიც რონმა მოგიტანათ, მტკნარი სიცრუეა, – მშვიდად უპასუხა ჯინიმ, დაიხარა და თაროდან მომცრო ვარდისფერი ქილა აიღო, – ეს რა არის?

– გარანტირებული „მუწუკების ათ წამში მმუსვრელი“, – აუხსნა ფრედმა, – ბრწყინვალედ მოქმედებს ყველაფერზე: ძირმაგარებით დაწყებული, ფერიმჭამელებით დამთავრებული, მაგრამ საუბრის თემიდან ნუ უხვევ. გაგვაგებინე, ხვდები თუ არა ბიჭს, სახელად დინ ტომასს?

– დიახაც, ვხვდები, – აღიარა ჯინიმ, – და, სხვათა შორის, ბოლოს რომ ვნახე, აშკარად ერთი ბიჭი იყო და არა ხუთი. ესენი რეებია?

ჯინიმ გალიაზე მიუთითა. მის ძირში რამდენიმე მრგვალი ფუმფულა ვარდისფერი და იისფერი შეფერილობის ბურთი წრიპინით დაგორავდა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჯუჯა პუფები, – განმარტა ჯორჯმა, – მინიატურული პუფსკინებია, სწრაფად ვერ ვამრავლებთ. მაიკლ კორნერზე რაღას იტყვი?

– მივატოვე, უსაქმური ვინმე იყო, – ჯინიმ გალიის გისოსებს შორის თითი შეყო. ჯუჯა პუფები უმალ მის თითს შეესივნენ, – რა საყვარლები არიან!

– ჰო, კარგები არიან, – დაეთანხმა ფრედი, – მაგრამ არ გეჩვენება, რომ შეყვარებულებს ძალიან სწრაფად იცვლი?

ჯინიმ დოინჯი შემოირტყა და მისკენ გამეხებული შებრუნდა. იმ წუთებში ისე წააგავდა ქალბატონ უისლის, რომ ჰარის გაუკვირდა, ფრედმა უკან რომ არ დაიხია.

– თქვენი საქმე არ არის! შენ კი ძალიან მადლიერი დაგრჩები, – გაჯავრებულმა მიმართა საყიდლებით დაზვინულ რონს, რომელიც ის იყო, ჯორჯის იდაყვთან გამოჩნდა, – თუ თავს დაანებებ ამათთან ჩემზე ჭორაობას!

– სამი გალეონი, ცხრა სიკლი და ერთი კნატი, – შეაფასა ფრედმა რონის მკლავებში მოქცეული ფუთები, – აბა, დაყაჭე.

– მე ხომ თქვენი ძმა ვარ!

– ეგ იმას კი არ ნიშნავს, რომ უნდა გაგვძარცვო. კარგი, კნატს დაგიკლებ – სამი გალეონი და ცხრა სიკლი!

– საიდან მოგიტანო სამი გალეონი და ცხრა სიკლი?!

– მაშინ უკან დააწყვე, იცოდე, თავ-თავიანთ ადგილებზე უნდა დაალაგო. არ აგერიოს.

რონმა რამდენიმე ფუთა დაბლა დაყარა, შეიგინა და ფრედს ხელით უხამსი ჟესტი უჩვენა, რასაც, სამწუხაროდ, მაინცდამაინც იმ დროს შემოსულმა ქალბატონმა უისლიმ შეასწრო თვალი.

– მეორედ თუ დავინახავ, რომ ამას აკეთებ, იცოდე, თითებს ერთმანეთზე მიგიწებებ, – დაემუქრა რონს.

– დედა, მიყიდე, რა, ჯუჯა პუფი?! – სასწრაფოდ ითხოვა ჯინიმ.

– რა გიყიდო? – დაეჭვებით იკითხა ქალბატონმა უისლიმ.

– ნახე, რა საყვარლები არიან...

ქალბატონმა უისლიმ ჯუჯა პუფების შესათვალიერებლად გალიებისკენ გადაინაცვლა. ჰარი, რონი და ჰერმიონი კი შეტრიალდნენ და ფანჯრიდან ქუჩაში სწრაფი ნაბიჯით მიმავალ დრაკო მალფოის მოჰკრეს თვალი. „უისლების ჯადოსნურ ოინებს“ რომ ჩაუარა, უკან მოიხედა. რამდენიმე წამში ვიტრინას გასცდა და მხედველობის არედან დაიკარგა.

– ნეტავ, დედამისი სად არის? – შუბლი შეჭმუხნა ჰარიმ.

– ეტყობა, გაეპარა, – ივარაუდა რონმა.

– საინტერესოა, რატომ? – იკითხა ჰერმიონმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი დაძაბული ფიქრობდა. ნარცისა მალფოი თავის ძვირფას შვილს საკუთარი ნებით გვერდიდან არ მოიცილებდა. ალბათ მალფოიმ ძლივს გაითავისუფლა თავი დედისგან. ჰარის სძულდა მალფოი და კარგადაც იცნობდა, ამიტომ დარწმუნებული იყო, რომ მას უწყინარი მიზეზი არ ამოქმედებდა.

ჰარიმ მიმოიხედა. ქალბატონი უისლი და ჯინი ჯუჯა პუფებისკენ დახრილიყვნენ. ბატონი უისლი აღტაცებული ათვალიერებდა მაგლურ სათამაშო კარტს. ფრედი და ჯორჯი კლიენტებს ემსახურებოდნენ. გარეთ ჰაგრიდი მათკენ ზურგშექცევით იდგა და ქუჩას ათვალიერებდა.

– ჩქარა, შემოძვერით, – ჰარიმ ჩანთიდან უჩინმაჩინის მოსასხამი ამოაძრო.

– ო... რა ვიცი, ჰარი, – ჰერმიონმა ყოყმანით გახედა ქალბატონ უისლის.

– მოდი, რაღას უცდი! – კბილებში გამოცრა რონმა. ჰერმიონი წამითაც შეყოვნდა, შედეგ თავი დახარა და მოსასხამის ქვეშ შეძვრა. ყველა ისე გაიტაცა ფრედისა და ჯორჯის საქონელმა, რომ მათი გაუჩინარება არავის შეუმჩნევია. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ძლივძლივობით გაიკვლიეს ბრბოში გზა კარისკენ, მაგრამ ქუჩაში რომ გააღწიეს, აღმოჩნდა, რომ მალფოი მათზე არანაკლები წარმატებით გაუჩინარებულიყო.

– იმ მხარეს მიდიოდა, – წაიჩურჩულა ჰარიმ, რათა მოღიღინე ჰაგრიდს არაფერი გაეგონა.

ქუჩას აჩქარებით გაუყვნენ, ყველა მაღაზიის ვიტრინებსა და კარებში იჭყიტებოდნენ. უეცრად ჰერმიონმა ხელი წინ გაიშვირა და ჩურჩულით იკითხა:

– ის არ არის? მარცხნივ უხვევს.

– ასეც ვიფიქრე, – ჩურჩულითვე უპასუხა რონმა. მართლაც, მალფოიმ მიმოიხედა, მრუმე ქუჩაზე ჩაუხვია და თვალს მიეფარა.

– ჩქარა, თორემ დავკარგავთ, – ჰარიმ ნაბიჯს აუჩქარა.

– ფეხები გამოგვიჩნდება! – აღელდა ჰერმიონი, რადგანაც მოსასხამი უკვე ძლივს იტევდა სამივეს ერთად.

– არა უშავს, – მოუთმენლად თქვა ჰარიმ.

მრუმე ქუჩა – მიყრუებული, ბნელი, ვიწრო შუკა, სადაც შავი მაგიისთვის საჭირო ნივთებით ვაჭრობდნენ, სრულიად უკაცრიელი იყო. გზადაგზა ყველა ვიტრინაში იჭყიტებოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანდა, არც ერთ მაღაზიას არ ჰყავდა მყიდველი. ჰარის ვარაუდით, ამ სახიფათო და საეჭვო დროებაში თავის გაცემა იქნებოდა შავი მაგიის ნივთის შეძენა.

ჰერმიონმა მკლავზე მაგრად უჩქმიტა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვაი!

– ჩუ! შეხედე! იქ არის! – ჩასჩურჩულა ჰარის ყურში. ისინი „ბორ-ჯინ ენდ ბერკსს“ გაუსწორდნენ, ერთადერთ მაღაზიას მრუმე ქუჩაზე, რომელშიც ჰარი ნამყოფი იყო, და რომელშიც ავბედითი ნივთების ფართო არჩევანი იყო წარმოდგენილი. მაღაზიაში თავის ქალებითა და ძველი ბოთლებით სავსე ყუთებს შორის ვიტრინისკენ ზურგშე-ქცევით დრაკო მალფოი იდგა – სწორედ იმავე დიდი შავი კომოდის გვერდით, რომელშიც ერთხელ ჰარი დაიმალა, რათა მალფოისა და მამამისისათვის თავი აერიდებინა. მალფოის ხელების მოძრაობაზე ეტყობოდა, რომ გაცხოველებით ლაპარაკობდა. მაღაზიის მეპა-ტრონე, გაზინტლულთმიანი, წელში მოხრილი ბატონი ბორჯინი, მალფოის პირისპირ იდგა. სახეზე უცნაური, ერთდროულად აღშ-ფოთებული და შიშნარევი გამომეტყველება აღბეჭდვოდა.

– ნეტავ, გაგვაგონა, რაზე ლაპარაკობენ! – ინატრა ჰერმიონმა.

– მერე, ვინა თქვა, რომ არ შეგვიძლია! – აღტაცებით მიუგო რონმა, – დამაცათ... უჰ, ჯანდაბა...

რონი ჩაბღუჯული კოლოფებიდან ყველაზე დიდს დაეჯაჯგურა და ერთი-ორი კოლოფი ძირს დაუცვივდა.

– ყურების დამაგრძელებელი, ნახეთ!

– გადასარევია! – გაუხარდა ჰერმიონს. რონმა გრძელი, კანისფერი ზონრები გაშალა და კარის ქვედა ღრიჭოში შეაცოცა, – ოო, იმედია, ამ კარს მიუწვდომლობის ჯადო არ ადევს...

– არა! – სიხარულით დაასკვნა რონმა, – ყური უგდეთ! თავები შეატყუპეს და დაძაბულებმა მიაყურადეს ზონრების ბოლოს, რომ-ლებშიც მალფოის ხმა ისე მკაფიოდ და ხმამაღლა ისმოდა, თითქოს რადიო გადმოსცემდა.

– შეგიძლიათ ამის შეკეთება?

– იქნება შევძლო კიდეც, – ისეთი ტონით მიუგო ბორჯინმა, რომ აგრძნობინა, არავითარი სურვილი არა მაქვს, რამე სამსახური გაგი-წიოთო, – მაგრამ ჯერ კარგად უნდა ვნახო. მაღაზიაში რატომ არ მოგაქვთ?

– არ შემიძლია, ადგილზევე უნდა დარჩეს. მე მხოლოდ ის მინდა, მასწავლოთ, როგორ შევაკეთო, – თქვა მალფოიმ.

ჰარიმ დაინახა, რომ ბორჯინმა აღელვებით მოილოკა ტუჩები და კეფა მოიქექა.

– ჰოო, თუ არ ვნახე, ძალიან გამიჭირდება. ალბათ შეუძლებელიც იქნება. ვერანაირ გარანტიას ვერ მოგცემთ.

– ვერა? – ჰკითხა მალფოიმ და ჰარი მის ტონზე მიხვდა, რომ ზიზ-ღით დაემანჭა ტუჩები, – იქნებ ამან უფრო დაგარწმუნოთ?!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იგი ბორჯინს მიუახლოვდა და კომოდს მოეფარა. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა განზე გაიწიეს, რომ მისთვის როგორმე თვალი მოეკრათ, მაგრამ მათ მხოლოდ დამფრთხალი ბორჯინი დაინახეს.

– ვინმეს ეტყვით და ძვირად დაგიჯდებათ, – დაემუქრა მალფოი, – გაგიგიათ ფენრირ გრეიბექი? ის ჩემი ოჯახის მეგობარია, დროდადრო შემოგივლით ხოლმე, რათა დარწმუნდეს, რომ ამ პრობლემას სათანადო ყურადღებას უთმობთ.

– რა საჭიროა...

– ამას მე ვწყვეტ, – მოუჭრა მალფოიმ, – მოკლედ, ჩემი წასვლის დროა. და იცოდეთ, „ამას" თვალისჩინივით მოუფრთხილდით. მალე დამჭირდება.

– იქნებ ახლავე გნებავთ თან წაღება?

– არა, რა თქმა უნდა, არ მნებავს, უჭკუო ბებერო, რა სანახავი ვიქნები ქუჩაში მაგით ხელში? უბრალოდ, არ გაყიდოთ.

– არა, რას ამბობთ, სერ.

ჰარის არ გამოეპარა, რომ ბორჯინმა სტუმარს ისევე მდაბლად დაუკრა თავი, როგორც ერთხელ ლუციუს მალფოის.

– კრინტი არ დაძრათ არავისთან, ბორჯინ. ეს დედაჩემსაც ეხება, გასაგებია?

– რასაკვირველია, რასაკვირველია, – წაიბუტბუტა ბორჯინმა და თავი ისევ დაუკრა.

მეორე წამს კარის ზარმა ხმამაღლა დაიწკარუნა და მაღაზიიდან მალფოი გამოძვრა, საკუთარი თავით ძალიან კმაყოფილი ჩანდა. ჰარის, რონსა და ჰერმიონს ისე ახლოს ჩაუარა, რომ მათ იგრძნეს, როგორ აუფრიალდათ მუხლებთან მანტია. მაღაზიაში ბორჯინი გაშეშებული იდგა, სახეზე პირფერული ღიმილის კვალიც აღარ ეტყობოდა.

– როგორ ფიქრობთ, რა ხდება? – ჩურჩულით იკითხა რონმა და ყურების დამაგრძელებელი დაახვია.

– რა ვიცი, – ჰარი დაძაბული ფიქრობდა, – რაღაცა აქვს შესაკეთებელი... და რაღაცის შენახვა უნდა მაღაზიაში... ხომ არ დაგინახავთ, ბორჯინს რომ დაუბარა „ამას მოუფრთხილდიო", რაზე მიუთითა?

– არა, კომოდი ეფარებოდა...

– თქვენ აქ დარჩით, – დაიჩურჩულა ჰერმიონმა.

– რას აპირებ?

მაგრამ ჰერმიონი უკვე გამოძვრა მოსასხამიდან. ვიტრინაზე არეკლილ თავის გამოსახულებას შეხედა, თმა შეისწორა და თამამად შევიდა მაღაზიაში. ზანზალაკი ისევ აჟღარუნდა. რონმა ისევ აჩქარებით შეტენა ყურების დამაგრძელებელი კარის ქვეშ და ერთი ზონარი ჰარის გადასცა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გამარჯობა, რა საშინელი დილაა, არა? – მხიარულად მიმართა ჰერმიონმა ბორჯინს. მან არაფერი უპასუხა, მხოლოდ დაეჭვებით გადახედა. ჰერმიონმა აუჩქარებლად, უდარდელი ღიღინით ჩამოუარა გასაყიდად გამოფენილ, უწესრიგოდ დახვავებულ საქონელს.

– ეს ყელსაბამი იყიდება? – იკითხა მან და შემინულ კარადასთან შედგა.

– კი, თუ ათას ხუთასი გალეონი გაქვს, – ცივად მიუგო ბორჯინმა.

– ო, არა, ამდენი ფული ნამდვილად არა მაქვს, – ჰერმიონმა ჩამოვლა განაგრძო, – და... ეს შესანიშნავი... მმმ... თავის ქალა რა ღირს?

– თექვსმეტი გალეონი.

– ესე იგი, იყიდება, არა? ამას არავის უნახავთ?

ბორჯინმა თვალები მოჭუტა, ჰარის გულმა რეჩხი უყო, რომ ბორჯინი ზუსტად მიუხვდა გოგონას ჩანაფიქრს. ჰერმიონმაც აშკარად იგრძნო, რომ თავი გასცა, რადგან მოულოდნელად სიფრთხილე ქარს გაატანა.

– საქმე ისაა, რომ... ისა... ბიჭი, რომელიც ახლახან აქ იყო, დრაკო მალფოი... მოკლედ, ჩემი მეგობარია და მინდა, დაბადების დღისათვის საჩუქარი ვუყიდო, მაგრამ თუ უკვე რამე გადაგანახვინათ... მოკლედ, მეც იმავეს ხომ არ ვუყიდი, ჰოდა... ისა...

ჰარისთვის რომ გეკითხათ, ეს ტყუილი სულაც არ იყო დამაჯერებელი და ბორჯინმაც აშკარად იგივე იფიქრა.

– აბა, მოუსვი აქედან, – უკმეხად უბრძანა ჰერმიონს, – თავიდან მომწყდი.

ჰერმიონმა აღარ გაამეორებინა და კარისკენ გაიქცა. მას ფეხდაფეხ მიჰყვა ბორჯინი. ზანზალაკმა ისევ გაიწკრიალა, ბორჯინმა გოგონას ზურგს უკან კარი მიაჯახუნა და აბრა ჩამოკიდა. ზედ ეწერა: „დაკეტილია“.

– ჰოო, – რონმა ჰერმიონს მოსასხამი ისევ გადააფარა, – ღირდა ცდად, მაგრამ ცოტათი ნერვიულობდი...

– ჰოდა, შემდეგში შენ მიჩვენე, როგორ უნდა მოვიქცე, სიცრუის ოსტატო! – შეაწყვეტინა ჰერმიონმა.

რონი და ჰერმიონი „უისლების ჯადოსნურ ოინებამდე“ გაუჩერებლად კინკლაობდნენ. იქ კი ხმა გაკმინდეს, რათა გულგახეთქილი ჰაგრიდისა და ბატონ უისლის გვერდით შეუმჩნევლად ჩაევლოთ. აშკარა იყო, მათ სამივე მოისაკლისეს. როგორც კი მაღაზიაში ამოყვეს თავი, ჰარიმ უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიძრო, ჩანთაში დამალა და სამივემ ჯიუტად დაუწყო მტკიცება ქალბატონ უისლის, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში მაღაზიის უკანა განყოფილებაში იმყოფებოდნენ და ალბათ ქალბატონმა უისლიმ ისინი კარგად ვერ ეძება.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი მეშვიდე

# სლაგჰორნის კლუბი

ჰარიმ არდადეგების ბოლო კვირა მრუმე ქუჩაზე მალფოის უცნაური ქცევის ახსნას შეალია. ყველაზე მეტად მაღაზიიდან გამოსული მალფოის კმაყოფილი გამომეტყველება აფიქრებდა. ის, რაც მალფოის ასე ახარებდა, არ შეიძლებოდა, კარგი ამბავი ყოფილიყო. თან ცოტათი ისიც აღიზიანებდა, რომ ჰერმიონი და რონი მალფოის საქმიანობის მიმართ განსაკუთრებულ ცნობისმოყვარეობას არ იჩენდნენ. რამდენიმე დღეში ამ თემაზე დაუსრულებელი მსჯელობა უკვე მოჰბეზრდათ კიდეც.

– კი, გეთანხმები, რომ ამას საეჭვო პირი უჩანდა, – ცოტა მოუთმენლად თქვა ჰერმიონმა, რომელიც ფრედისა და ჯორჯის ოთახში ფანჯრის რაფაზე იჯდა, ფეხები მუყაოს ყუთზე ეწყო და ის წუთია, უხალისოდ მოსწყდა ახლად შეძენილი სახელმძღვანელოს – „უმაღლესი რუნული თარგმანის“ კითხვას, – მაგრამ უკვე ხომ შევთანხმდით, რომ ამას მრავალნაირი ახსნა შეიძლება გამოვუძებნოთ?

– იქნება, „სხივმოსილი ხელი“ დაემტვრა, – ჩაიბურტყუნა რონმა, რომელიც თავისი მფრინავი ცოცხის მოღუნული კუდის გასწორებას ცდილობდა, – გახსოვთ ის გამხმარი ხელი, მალფოის რომ ჰქონდა?

– მის ნათქვამზე რაღას იტყვით: იცოდე, ამას თვალისჩინივით მოუფრთხილდიო? – მეათასედ გაიმეორა ჰარიმ, – ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ორი ერთნაირი შესაკეთებელი ნივთიდან ბორჯინს ერთ-ერთი აქვს, მალფოის კი ორივე უნდა.

– ასე გგონია? – რონმა ცოცხის ტარზე მიკრული ტალახი ფრჩხილით ჩამოფხიკა.

– ჰო, ასე მგონია, – გაიმეორა ჰარიმ. რონმა და ჰერმიონმა ხმა არ ამოიღეს და თვითონვე დასძინა: – მალფოის მამა აზკაბანში ჰყავს. როგორ ფიქრობთ, შურისძიება არა სწყურია?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონმა თავი ასწია და თვალები დაახამხამა.

– მალფოი და – შურისძიება? რანაირად უნდა იძიოს შური?

– საქმეც ეგაა, რომ არ ვიცი! – გაცეცხლდა ჰარი, – მაგრამ რაღაცა აშკარად აქვს განზრახული და, ჩემი აზრით, ამას სერიოზულად უნდა მივუდგეთ. მამამისი „სიკვდილის მხვრელია“ და...

ჰარის სიტყვა გაუწყდა, ჰერმიონის მიღმა ფანჯარას გაუშტერა თვალი და პირი ღია დარჩა. იმწუთას თავში შემაძრწუნებელმა აზრმა გაუელვა.

– ჰარი, – შეწუხდა ჰერმიონი, – რა გჭირს?

– ნაიარევი ხომ არ აგტკივდა ისევ? – შეშფოთდა რონიც.

– ის „სიკვდილის მხვრელია“, – ნელა განაგრძო ჰარიმ, – მან მამამისის ადგილი დაიკავა და „სიკვდილის მხვრელი“ გახდა.

სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ რონს სიცილი წასკდა.

– მალფოი? ის ხომ თექვსმეტი წლისაა, ჰარი! შენი აზრით, ჩვენ-რომ-ვიცით, ის მალფოის ამხელა პატივს დასდებდა?

– ეს მართლა ძალიან არარეალურია, – შეედავა ჰერმიონიც, – რამ გაფიქრებინა...

– მაღაზიაში მადამ მალკინმა სახელოს აკეცვა რომ დაუპირა, მალფოიმ ხელზე შეხებაც კი არ აცალა, ისე დაუყვირა და ხელი გამოსტაცა. ეს მარცხენა ხელი იყო. მალფოი შავი ნიშნით დადაღეს.

რონმა და ჰერმიონმა ერთმანეთს გადახედეს.

– რა ვიცი... – რონს ხმაზე ეტყობოდა, რომ არაფრით იჯერებდა.

– მე კი მგონია, რომ, უბრალოდ, იქიდან წასვლა უნდოდა, – ისევ შეეკამათა ჰერმიონი.

– ჩვენ ხომ ვერ დავინახეთ, რა უჩვენა მალფოიმ ბორჯინს, – არ თმობდა ჰარი, – ამან ბორჯინი სერიოზულად დააფრთხო. ეს შავი ნიშანი იყო, ეჭვი არ მეპარება. მალფოიმ ბორჯინს შეაგნებინა, ვისთანაც ჰქონდა საქმე, და ხომ ნახეთ, ამის შემდეგ ბორჯინი როგორ შეიცვალა.

რონმა და ჰერმიონმა კვლავ გადახედეს ერთმანეთს.

– რაღაც ეჭვი მეპარება, ჰარი, – შეჰბედა ჰერმიონმა და რონმაც მხარი აუბა:

– ჰო, მეც არა მგონია, ჩვენ-რომ-ვიცით, იმას მალფოისთვის „სიკვდილის მხვრელად“ გახდომის უფლება მიეცა...

გაღიზიანებულმა, მაგრამ თავისი ვარაუდის სისწორეში ღრმად დარწმუნებულმა ჰარიმ ქვიდიჩის ჭუჭყიან ფორმას ხელი სტაცა და ოთახიდან გავიდა. ქალბატონი უისლი უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც ბავშვებს ჩასჩიჩინებდა, სარეცხი და ბარგის ჩალაგება ბოლო წუთისათვის არ მოიტოვოთო. კიბის ბაქანზე ჰარი ჯინის შეეფეთა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯინის ახლად გარეცხილი თეთრეული თავის ოთახში მიჰქონდა.

– სამზარეულოში ჩასვლას არ გირჩევ, – გააფრთხილა ჰარი, – იქაურობა ფლავითაა სავსე.

– ვეცდები, არ ჩავეფლო, – გაეღიმა ჰარის.

მართლაც, სამზარეულოს მაგიდას ფლერი მისჯდომოდა და დიდი ხალისით აწყობდა ქორწილის გეგმებს, ქალბატონი უისლი კი თვითმფცქვნელი ბრიუსელის კომბოსტოების გროვას ადევნებდა თვალს და საკმაოდ უგუნებოდ გამოიყურებოდა.

– მე და ბილი უკვე ტიტკმის შევტანხმდიტ ოღ მეჟვაღეზე, ჟინი და გაბღიელი ზალიან საკვაღლები იკნებიან ეღთად. გადავცკვიტე, ოღივეს ღია ოკღოსფეღი კაბა ჩავაცვა, აბა, ვაღდისფეღი საშინლად აღ მოუხდება ჟინის ტმას...

– ააა, ჰარი! – ხმამაღლა შეაწყვეტინა ფლერს მონოლოგი ქალბატონმა უისლიმ, – კარგია, რომ მოხვედი. მინდოდა, ხვალ ჰოგვორტსში გასამგზავრებლად მიღებული უსაფრთხოების ზომები ამეხსნა შენთვის. სამინისტროს მანქანები ისევ გამოგვიყვეს, სადგურში კი აურორები დაგვხვდებიან...

– ტონქსიც იქნება? – ჰკითხა ჰარიმ და ქვიდიჩის ფორმა გადასცა.

– არა, არა მგონია. არტურმა მითხრა, სხვა პოსტზე გაუშვესო.

– ეგ ტონკსი ტავს სულ აღაღ უვლის, – შენიშნა ფიქრებში გართულმა ფლერმა და ჩაის კოვზზე არეკლილი თავისი უბადლო გამოსახულება შეათვალიერა, – მე ტუ მკითხავტ, ზალიან ცდება...

– გასაგებია, – უკმეხად შეაწყვეტინა ქალბატონმა უისლიმ, – ჯობია, აჩქარდე, ჰარი. ჩემოდნები დღეს საღამოსვე ჩაალაგეთ, რომ, ჩვეულებისამებრ, ბოლო წუთს არ დავფაცურდეთ.

მართლაც, გამგზავრების წინა სამზადისმა მეორე დილას ჩვეული ფაციფუცის გარეშე ჩაიარა. ყველანი გარეთ იცდიდნენ, როცა სამინისტროს მანქანები „ბუნაგთან“ მოსრიალდა: ჩემოდნები უკვე ჩაელაგებინათ, ჰერმიონის კატა, ბო, საიმედოდ იყო ჩაკეტილი სამგზავრო კალათაში; ჰედვიგი, რონის ბუკნაჭო პიგვიჯენი და ჯინის ახლად შეძენილი იისფერი ჯუჯა პუფი არნოლდი კი გალიებში გამოემწყვდიათ.

– ო ღევუაღ, აღი, – გულამომჯდარი დაემშვიდობა ჰარის ფლერი და გადაკოცნა. რონი იმედიანი სახით წავიდა ფლერისკენ, მაგრამ ჯინიმ ძმას ფეხი დაუდო, რონი წაიქცა და ფლერის ფეხებთან მიწაზე გაიშხლართა. გაცოფებულმა, სახეაწითლებულმა და მტვერში ამოგანგლულმა რონმა მანქანაში დაუმშვიდობებლად შერგო თავი.

კინგს ქროსის სადგურზე მათ მხიარული ჰაგრიდი აღარ ელოდათ. მის ნაცვლად, მანქანას მაგლურ მუქ კოსტიუმებში გამოწყობილი



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პირქუში, წვეროსანი აურორები დახვდნენ, მთელ ჯგუფს აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და სადგურისკენ ხმის ამოუღებლად წაიყვანეს.

– დაუჩქარეთ! ჩქარა, ბარიერში! – აწრიალდა ქალბატონი უისლი; როგორც ჩანს, თანამშრომლების მკაცრმა გამომეტყველებამ ააღელვა, – ჰარი, უმჯობესია, ჯერ შენ წახვიდე ამ ბატონთან ერთად...

მან კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო ერთ-ერთ აურორს. აურორმა თავი დაუკრა, ჰარის მკლავზე ხელი წაავლო და სცადა, მეცხრე და მეათე პლატფორმების გამყოფი ბარიერისკენ წაეყვანა.

– სიარული თვითონაც შემიძლია, გმადლობთ, – გაღიზიანდა ჰარი და აურორს მკლავი გამოსტაცა. ჰარიმ ურიკა პირდაპირ მყარი ბარიერისკენ გააგორა, ყურადღება არ მიუქცევია თავისი მდუმარე თანამგზავრისათვის, და თვალის დახამხამებაში პლატფორმა ცხრა და სამ მეოთხედზე ამოყო თავი. ჰოგვორტსის ექსპრესი უკვე ჩამომდგარიყო ბაქანზე და ხალხის თავზემოთ აფრქვევდა კვამლს.

რამდენიმე წამში ჰერმიონი და უისლებიც შეუერთდნენ. ჰარის ნებართვა არც კი უთხოვია გამტკნარებული აურორისთვის, ისე ანიშნა რონსა და ჰერმიონს, მომყევითო, რომ თავისუფალი კუპე მოეძებნათ.

– ვერ წამოვალთ, ჰარი, – მოიბოდიშასავით ჰერმიონმა, – მე და რონი ჯერ პრეფექტების კუპეში უნდა ავიდეთ და მერე ცოტა ხანს დერეფნები დავიაროთ.

– აა, ჰო, დამავიწყდა.

– აბა, ყველანი სასწრაფოდ მატარებელში ადით, რამდენიმე წუთში გავა! – ქალბატონმა უისლიმ საათს დახედა, – რონ, წარმატებულ სემესტრს გისურვებ...

– ბატონო უისლი, შეიძლება, დაგელაპარაკოთ? – იკითხა ჰარიმ, რომელმაც გადაწყვეტილება წამის უსწრაფესად მიიღო.

– რა თქმა უნდა, – ოდნავ გაოცებული ბატონი უისლი და ჰარი განმარტოვდნენ, რათა მათი საუბრისთვის ყური არავის მოეკრა.

ჰარიმ ბევრი იფიქრა თუ ცოტა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ ვინმეს გაენდობოდა, ეს ბატონი უისლი უნდა ყოფილიყო: ჯერ ერთი, ის სამინისტროში მუშაობდა და შემდგომი გამოძიების საწარმოებლად ხელსაყრელი მდგომარეობა ეკავა; მეორეც, ჰარის აზრით, ნაკლები რისკი არსებობდა იმისა, რომ ბატონი უისლი წონასწორობას დაკარგავდა.

ჰარის არ გამოჰპარვია, რომ ქალბატონი უისლი და მოღუშული აურორი იჭვნეულ მზერას აპარებდნენ მათკენ.

– მრუდე ქუჩაზე რომ ვიყავით, – დაიწყო ჰარიმ, მაგრამ ბატონმა უისლიმ შუბლი შეჭმუხნა და შეაწყვეტინა:


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ახლა ის უნდა შევიტყო, სინამდვილეში სად დაიკარგეთ შენ, რონი და ჰერმიონი, როცა ფრედისა და ჯორჯის მაღაზიის უკანა განყოფილებაში ყოფნა მოიმიზეზეთ?

– თქვენ საიდან...

– ჰარი, თუ ღმერთი გწამს. შენ იმ კაცს ელაპარაკები, რომელმაც ფრედი და ჯორჯი გაზარდა.

– მმმ... დიახ, მართალი ხართ, უკანა განყოფილებაში არ ვყოფილვართ.

– რაც არის, არის. აბა, რით გამიხეთქავ გულს?

– ჩემს უჩინმაჩინის მოსასხამში გახვეულები დრაკო მალფოის გავედევნეთ.

– საამისოდ რამე კონკრეტული მიზეზი გქონდათ, თუ ეს უბრალო ახირება იყო?

– მიზეზი ის იყო, რომ ვიფიქრე, მალფოის რაღაც ავი აქვს განზრახული-მეთქი, – ჰარიმ არად ჩააგდო ბატონი უისლის გაღიზიანებული და თან ღიმილნარევი მზერა, – დედამისს გაეპარა და მაინტერესებდა, რატომ.

– რა თქმა უნდა, გაინტერესებდა, – აღარ შეეკამათა ბატონი უისლი, – მერე, გაარკვიე, რატომ?

– „ბორჯინ ენდ ბენკსში“ შევიდა, – განაგრძო ჰარიმ, – და იმ ტიპს, ბორჯინს, ავალდებულებდა, მისთვის რაღაცა შეეკეთებინა. ბორჯინს რაღაცის შენახვაც მოსთხოვა. როგორც მისი ლაპარაკიდან დავასკვენი, ეს რაღაცა ზუსტად ისეთივე იყო, როგორიც ის ნივთი, რომლის შეკეთებაც სჭირდებოდა. თითქოს ეს ორი საგანი ერთნაირი იყო. და...

ჰარიმ ღრმად ჩაისუნთქა.

– და კიდევ... მალფოიმ თავი ლამის ჭერს აარტყა, როცა მადამ მალკინი მარცხენა მკლავზე შეეხო. ჩემი აზრით, ის შავი ნიშნითაა დადაღული. ჩემი აზრით, მან მამამისი შეცვალა და „სიკვდილის მხვრელი“ გახდა.

ბატონი უისლი შეცბუნებული ჩანდა. წამის შემდეგ ხმა ამოიღო:

– ჰარი, არა მგონია, ჩვენ-რომ-ვიცით, იმას თექვსმეტი წლის ბავშვისათვის ნება დაერთო...

– განა ვინმეს შეუძლია დანამდვილებით თქვას, როდის რა გადაწყვეტილებას მიიღებს ვოლდემორი? – გაბრაზებით ჰკითხა ჰარიმ, – ბატონო უისლი, მაპატიეთ, მაგრამ ნუთუ არ ღირს ამისი გამოძიება? თუ მალფოის რაღაცის შეკეთება უნდა და მას საამისოდ ბორჯინის დაშინება დასჭირდა, ეს რაღაცა ალბათ ძალიან სახიფათოა ან შავ მაგიას უკავშირდება, ასე არ არის?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გულახდილად რომ გითხრა, ძალიან მეეჭვება, ჰარი, – ზანტად წარმოთქვა ბატონმა უისლიმ, – იცი, როდესაც ლუციუს მალფოი დავაპატიმრეთ, მისი სახლი ძირისძირობამდე გავჩხრიკეთ და ყველა საეჭვო ნივთის კონფისკაცია მოვახდინეთ.

– იქნებ რაღაცა გამოგრჩათ, – გაჯიუტდა ჰარი.

– შეიძლება, – დაეთანხმა ბატონი უისლი, მაგრამ ჰარი მიხვდა, რომ კაცს, უბრალოდ, მასთან დავა აღარ სურდა.

მათ უკან სტვენა გაისმა. მატარებელში თითქმის ყველანი ჩამსხდარიყვნენ და კარებს კეტავდნენ.

– გირჩევნია, აჩქარდე, – ურჩია ბატონმა უისლიმ, ქალბატონმა უისლიმაც გამოსძახა:

– ჰარი, ჩქარა!

ჰარიმ ექსპრესისკენ მოკურცხლა. ბატონი და ქალბატონი უისლები ჩემოდნის ატანაში დაეხმარნენ. ბიჭმა კარი დახურა და მატარებელიც დაიძრა.

– საყვარელო, შობაზე ჩვენთან მოდიხარ. დამბლდორს უკვე შევუთანხმდით. ასე რომ, მალე გნახავთ, – ფანჯარაში ასძახა ქალბატონმა უისლიმ, – იცოდე, თავს მოუფრთხილდი და...

მატარებელმა სიჩქარე აკრიფა.

– კარგად მოიქეცი...

ქალბატონი უისლი უკვე მირბოდა, ფანჯარას რომ არ ჩამორჩენოდა.

– ხიფათს მოერიდე, ჰარი!

ჰარი მანამ უქნევდა ხელს, სანამ მატარებელმა არ მოუხვია და ბატონი და ქალბატონი უისლები თვალს არ მიეფარნენ. შემდეგ მიტრიალდა და დანარჩენები მოძებნა თვალით. რონი და ჰერმიონი, ალბათ პრეფექტების კუპეში იყვნენ გამომწყვდეულნი, სამაგიეროდ, ჯინი შორიახლოს, დერეფანში იდგა და მეგობრებთან ლაქლაქებდა. ჰარიმ ჯინისკენ გაიკვლია გზა, თან ჩემოდანიც გაათრია.

ყველანი ურცხვად მიაჩერდნენ. ზოგმა კუპეს კარის მინასაც კი მიაჭყლიტა ცხვირი, რომ მისთვის შეეხედა. ჰარი მოელოდა კიდეც, რომ წელს, მას შემდეგ, რაც „დილის მისანმა“ „რჩეული“ უწოდა და ჭორები გაუვრცელა, მეტი დაღებული პირისა და დაჭყეტილი თვალების ატანა მოუწევდა. ასეთი გადაჭარბებული ყურადღების ცენტრში ყოფნა სულაც არ სიამოვნებდა, ამიტომ ჯინის მხარზე ხელი შეახო და შესთავაზა:

– გინდა, კუპე ერთად მოვძებნოთ?

– არ შემიძლია, ჰარი, დინს დავპირდი, შეგხვდები-მეთქი, – მხიარულად მიუგო ჯინიმ, – დროებით.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარგი, – ჰარის, თავისდა გასაოცრად, გული დასწყდა, როცა ჯინი გრძელი წითური თმის ფრიალით გაეცალა. ზაფხულის განმავლობაში ისე შეეჩვია მის სიახლოვეს, სულ დაავიწყდა, რომ სკოლაში ჯინი მისი, რონისა და ჰერმიონის სამეგობრო წრეს არ ეკუთვნოდა. ჰარიმ თვალები აახამხამა და მიმოიხედა. გარშემო მისით მოხიბლული გოგონები ეხვივნენ.

– გამარჯობა, ჰარი! – უკნიდან მოესმა ნაცნობი ხმა.

– ნევილ! – შვებით შესძახა ჰარიმ და მიბრუნდა. მისკენ გაჭირვებით მოიწევდა პირმრგვალი ბიჭი.

– გამარჯობა, ჰარი, – მიესალმა ნევილის უკან მომავალი გრძელთმიანი და დიდ, დანისლულთვალება გოგონა.

– ლუნა, გამარჯობა, როგორა ხარ?

– ძალიან კარგად, გმადლობ, – უპასუხა ლუნამ. მკერდზე ჟურნალი მიეკრა, რომლის გარეკანზეც დიდი ასოებით ეწერა, ყოველ ნომერს უფასო ჰალუცინოგენური სათვალე მოჰყვებაო.

– მაშ, „ქარაგმებს“ საქმე კარგად მისდის? – ჰკითხა ჰარიმ. მას შემდეგ, რაც გასულ წელს ამ ჟურნალს ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა, მის მიმართ გულთბილად იყო განწყობილი.

– დიახ, ტირაჟს არ ვუჩივით, – კმაყოფილებით მიუგო ლუნამ.

– მოდით, ადგილები მოვნახოთ, – შესთავაზა მათ ჰარიმ. სამივემ მდუმარედ მომზირალი სტუდენტების ბრბოში გაიკვლია გზა და დერეფანს გაუყვა. ბოლოს და ბოლოს, ცარიელი კუპე იპოვეს და ჰარი სიამოვნებით შევარდა შიგნით.

– ჩვენც ინტერესით გვათვალიერებენ, – თავის თავსა და ლუნაზე ანიშნა ნევილმა, – ეს იმიტომ, რომ შენთან ერთად ვართ!

– არა, ეს იმიტომ, რომ თქვენც იყავით სამინისტროში, – ჰარიმ ჩემოდანი საბარგო თაროზე შემოდო, – ჩვენი პატარა თავგადასავალი „დილის მისანმა“ დაწვრილებით გააშუქა. ნუთუ არ წაგიკითხავთ?

– ჰო, მეგონა, ჩემი ასეთი პოპულარობა ბებიას გააბრაზებდა, – გაეპასუხა ნევილი, – მაგრამ, პირიქით, ძალიან ამაყობს. მეუბნება, როგორც იქნა, მამაშენის ღირსეული შვილი დადექიო. ახალი ჯადოსნური ჯოხიც კი მიყიდა, ნახე! – ნევილმა ჯოხი ამოიღო და ჰარის უჩვენა, – ალუბალი და ცალრქიანი ცხენის ძუა, – განაცხადა ამაყად, – მგონი, ეს ჯოხი ერთ-ერთი იმ უკანასკნელთაგანია, რაც ოლივანდერმა გაყიდა. მეორე დღეს უგზო-უკვლოდ დაიკარგა... ოიჰ, აქ მოდი, ტრევორ!

ნევილმა თავი სავარძლის ქვეშ შერგო გომბეშოს გამოსათრევად, რომელსაც თავისებურად წამოუარა გაქცევის ჟინმა.



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰარი, წელსაც გვექნება **DA**-ს შეკრებები? – დაინტერესდა ლუნა და „ქარაგმების“ ფურცლებს შორის ჩატანებული ჰალუცინოგენური სათვალე ამოიღო.

– რაღა აზრი აქვს, ამბრიჯი ხომ მოვიშორეთ თავიდან? – ჰარი დაჯდა. ნევილი სავარძლის ქვემოდან გამოძვრა და კიდეს თავი აარტყა. ძალიან გულდაწყვეტილი ჩანდა.

– როგორ მომწონდა **DA**! იმდენი რამე ვისწავლე შენგან!

– მეც მომწონდა ის კრებები, – წყნარად შენიშნა ლუნამ, – თითქოს ყველანი მეგობრები ვიყავით.

ლუნა ხშირად ამბობდა ისეთ რამეს, ყველას უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა. ახლაც, ჰარი თან შეცბუნდა, თან სიბრალულით აივსო, მაგრამ როგორც კი პასუხის გაცემა დააპირა, კარს მიღმა ხმაური ატყდა: დერეფანში მეოთხეკურსელი გოგონები შეგროვილიყვნენ, ჩურჩულებდნენ და ხითხითებდნენ.

– შენ ჰკითხე!

– არა, შენ!

– მე წავალ!

ერთ-ერთმა, ყველაზე თამამმა, შავთვალება, გამოკვეთილნიკაპიანმა შავთმიანმა გოგონამ კარი გააღო და კუპეში ამაყად შევიდა.

– გამარჯობა, ჰარი, მე რომილდა მქვია, რომილდა ვეინი, – ხმამაღლა და თავდაჯერებით გაეცნო ბიჭს, – ჩვენს კუპეში არ გვესტუმრები? და ამათთან მგზავრობა აღარ მოგიწევს, – ხმამაღალი ჩურჩულით დასძინა მან და ანიშნა სავარძლის ქვემოდან გამოშვერილ ნევილის საჯდომზე (ის ისევ ტრევორს დაეძებდა) და ლუნაზე, რომელსაც თავისი უფასო ჰალუცინოგენური სათვალე წამოეცვა და შეშლილ ჭრელ ბუს ჰგავდა.

– ესენი ჩემი მეგობრები არიან, – ცივად უთხრა ჰარიმ.

– აა, – ძალიან გაოცდა გოგონა, – კარგი, – თქვა და გარეთ გავიდა.

– ყველას ჰგონია, რომ ჩვენზე მაგარი მეგობრები უნდა გყავდეს, – ისევ გამოამჟღავნა ლუნამ თავისებური გულუბრყვილობა.

– თქვენ ყველაზე მაგრები ხართ, – მოკლედ მოჭრა ჰარიმ, – ისინი არ ყოფილან სამინისტროში, მათ არ უბრძოლიათ ჩემთან ერთად.

– შენგან ამის მოსმენა ძალიან სასიამოვნოა, – გაიბადრა ლუნა, სათვალე ცხვირზე შეისწორა და „ქარაგმების“ წასაკითხად მოეწყო.

– მაგრამ ჩვენ ხომ „მასთან“ პირისპირ არ გვიბრძოლია, – ნევილი სავარძლის ქვემოდან გამოძვრა, თმაზე ბურტყლი და მტვერი ეყარა, ხელში კი ბედს შერიგებული ტრევორი ეჭირა, – შენ კი დაუპირისპირდი. ერთი გაგაგონა, როგორ ლაპარაკობს ხოლმე შენზე ბებია-ჩემი: „ეგ ჰარი პოტერი მთელ მაგიის სამინისტროს გადაწონის!“ ბებია


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყველაფერს მისცემდა, ოღონდაც შენ მისი შვილიშვილი ყოფილიყავი...

ჰარიმ უხერხულობის დასაფარავად გაიცინა და მაშინვე **ბუა**-ს ქულებზე გადაიტანა საუბარი. ნევილმა თავისი ქულები ჩამოთვალა და ხმამაღლა მოჰყვა მსჯელობას, ტრანსფიგურაციაში მიღებული „დამაკმაყოფილებლით“ დაუშვებდნენ თუ არა **კატა**-ს ეტაპზე. ჰარი ნევილს უმზერდა და საერთოდ არ უსმენდა.

ვოლდემორმა ნევილს ჰარიზე არანაკლებ დაუმახინჯა ბავშვობა, მაგრამ ნევილს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა ბეწვზე ასცდა ჰარის ბედისწერა. წინასწარმეტყველება შეიძლებოდა, ორივეს ერთნაირად შეხებოდა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო, ვოლდემორმა ირწმუნა, რომ სწორედ ჰარი იყო ის, ვისაც წინასწარმეტყველება გულისხმობდა.

ვოლდემორს რომ ნევილი აერჩია, დღეს ჰარის მოპირდაპირე მხარეს მჯდარ ნევილს ექნებოდა შუბლზე ელვასავით გაკლაკნილი ნაიარევი და წინასწარმეტყველების მთელი სიმძიმეც მას დააწვებოდა... მაგრამ იქნებოდა კი ასე? ნევილის დედა ისევე გაწირავდა თავს შვილისთვის, როგორც ლილიმ გაწირა თავი ჰარისათვის? რა თქმა უნდა... მაგრამ, შვილსა და ვოლდემორს შორის ჩადგომა რომ ვერ მოესწრო? მერე იარსებებდა კი, საერთოდ, „რჩეული“? თუ ის ადგილი, სადაც ახლა ნევილი იჯდა, ცარიელი იქნებოდა, უნაიარევო ჰარის კი, არა რონის, არამედ საკუთარი დედა გადაკოცნიდა დამშვიდობებისას?

– ჰარი, ცუდად ხომ არა ხარ? რაღაც უცნაური გამომეტყველება გაქვს, – შენიშნა ნევილმა.

ჰარი შეკრთა.

– ბოდიში, მე...

– რაქსპურტმა შეგაწუხა? – თანაგრძნობით ჰკითხა ლუნამ და ჰარი უზარმაზარი ფერადი სათვალიდან შეათვალიერა.

– მე... რა?

– რაქსპურტები უხილავი არსებები არიან, ყურში შეგიფრინდებიან და გონებას გიბინდავენ, – განმარტა ლუნამ, – მომეჩვენა, რომ ერთმა აქაც გაიფრინა.

მან ჰაერში ხელები ერთმანეთს შემოჰკრა, თითქოს უზარმაზარ უხილავ ჩრჩილებს ხოცავსო. ჰარიმ და ნევილმა ერთმანეთის მზერა დაიჭირეს და სასწრაფოდ ქვიდიჩზე წამოიწყეს ლაპარაკი.

მატარებლის ფანჯრებს მილმა ამინდი ისეთივე ცვალებადი იყო, როგორიც მთელი ზაფხულის განმავლობაში. მატარებელი ხან დაბლა ჩამოწოლილ ცივ ნისლს მიარღვევდა, ხანაც მზის მკრთალ, ნათელ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შუქზე გადიოდა. ერთ-ერთი ასეთი ნათელი მონაკვეთის დროს, როცა ცაზე შუადღის მზე გამოჩნდა, კუპეში, როგორც იქნა, რონი და ჰერმიონი შემოვიდნენ.

– ნეტავ, დაუჩქაროს ლანჩის ურიკამ, შიმშილით ვკვდები, – დაიჩივლა რონმა, ჰარის გვერდით სავარძელზე დაებერტყა და მუცელი დაიზილა, – გამარჯობა, ნევილ, გამარჯობა, ლუნა. იცი, – მიუბრუნდა ჰარის, – მალფოი პრეფექტის მოვალეობას არ ასრულებს. სხვა სლიზერინელებთან ერთად კუპეში ზის. თვალი მოვკარით, როცა ჩავუარეთ.

ჰარი გაფაციცდა და სავარძელზე წამოიმართა. როდის იყო, მალფოი პრეფექტის ძალაუფლების დემონსტრირების შანსს ხელიდან უშვებდა? შარშან ხომ დიდი სიამოვნებით აჭარბებდა თავის უფლებებს.

– თქვენ რომ დაგინახათ, როგორ მოიქცა?

– როგორც ყოველთვის, – გულგრილად თქვა რონმა და ხელის უხამსი ჟესტი გააკეთა, – მაგრამ მაინც უცნაურია, არა? ძალიან მიკვირს, რომ გარეთ არ არის და პირველკურსელებს არ იბრიყვებს.

– რა ვიცი, – მიუგო ჰარიმ. გონება გამალებით აუმუშავდა, განა ეს ყველაფერი იმაზე არ მეტყველებდა, რომ მალფოის პირველკურსელების ჩაგვრაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა?

– ალბათ საინსპექციო რაზმი ერჩივნა, – ივარაუდა ჰერმიონმა, – პრეფექტობა კი იმის შემდეგ უწყინარ გართობად ეჩვენება.

– არა მგონია, – თქვა ჰარიმ, – მე მგონი, ის...

მაგრამ სანამ თავის თეორიას ჩამოაყალიბებდა, კარი კვლავ გაიღო და კუპეში სუნთქვაშეკრულმა მესამეკურსელმა გოგონამ შემოაბიჯა.

– ესენი ნევილ ლონგბოტომთან და ჰარი პ-პოტერთან გამომატანეს, – ენის ბორძიკით თქვა მან, ჰარის მზერა გაუსწორა და ჭარხალივით გაწითლდა. გამოწვდილ ხელში იასამნისფერი ლენტით შეკრული პერგამენტის ორი გრაგნილი ეჭირა. შეცბუნებულმა ჰარიმ და ნევილმა გოგონას თავ-თავიანთი გრაგნილები ჩამოართვეს, და ისიც ფეხარეული გავიდა კუპედან.

– რა არის? – იკითხა რონმა, როცა ჰარიმ თავისი გრაგნილი გაშალა.

– მოსაწვევი, – უთხრა ჰარიმ.

ჰარი,

მოხარული ვიქნები, თუ დროს გამონახავთ და ყუჩე 3-ში მოკრძალებულ ლანჩზე მეწვევით.

ჰაგრიდისგემით,

ჰოგვორტსის ჰ. ე. ფ. სლაგჰორნი



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– პროფესორი სლაგჰორნი ვინ არის? – ჰკითხა ნევილმა და გაოგნებულმა დახედა თავის მოსაწვევს.

– ახალი მასწავლებელია, – უთხრა ჰარიმ, – მგონი, წასვლა მოგვიწევს.

– მერე, მე რად ვუნდივარ? – ისე აღელდა ნევილი, თითქოს სასჯელი ელოდა.

– მე რა ვიცი, – არც მთლად გულწრფელად თქვა ჰარიმ, რადგან ჯერ არ იცოდა, მისი ეჭვი გამართლდებოდა თუ არა. უცებ ბრწყინვალე აზრმა გაუნათა გონება და დასძინა: – მოდი, უჩინმაჩინის მოსასხამი მოვისხათ და ისე წავიდეთ, რომ გზაში მალფოისაც შევხედოთ. ერთი ვნახოთ, რა დღეშია.

მაგრამ ამ გეგმას ასრულება არ ეწერა: დერეფანი ისე იყო გადატვირთული ლანჩის ურიკის საძებნელად გამოსული სტუდენტებით, რომ უჩინმაჩინის მოსასხამით გადაადგილება შეუძლებელი გახდა. ჰარიმ მოსასხამი სინანულით ჩააბრუნა ჩანთაში და გაიფიქრა, შეუმჩნევლად გავლა თუნდაც ამდენი ცნობისმოყვარე მზერისაგან დასამალად ღირდაო. ფართოდ გახელილი თვალები კი მას შემდეგ, რაც ჰარიმ ბოლოს ჩაიარა დერეფანში, ერთიორად მომრავლებულიყო. სტუდენტები წამდაუწუმ გამორბოდნენ კუპეებიდან, რომ თვალი მოეკრათ მისთვის. გამონაკლისს მხოლოდ ჩო ჩენგი წარმოადგენდა, რომელიც ჰარის დანახვაზე თავის კუპეში შევარდა. ჰარიმ მის კუპეს რომ ჩაუარა, მინის მიღმა დაინახა, რომ ჩოს თავის მეგობარ მარიეტასთან განგებ წამოეწყო საუბარი. მარიეტას მაკიაჟის სქელი ფენა ედო, მაგრამ მაინც ვერ დაეფარა უცნაური წყობის მუწუკები, რომლებიც ჯერაც ეტყობოდა სახეზე. ჰარიმ კმაყოფილებით ჩაიღიმა და გზა განაგრძო.

კუპე 3-ს რომ მიაღწიეს, ცხადი გახდა, რომ მხოლოდ ისინი როდი მიეწვია სლაგჰორნს, თუმცა მისი ენთუზიაზმით აღსავსე მისალმებით აშკარა გახდა, რომ ჰარის ყველაზე საპატიო სტუმრად მიიჩნევდა.

– ჰარი! ჩემო ბიჭო! – სლაგჰორნი წამოხტა და მისმა ხავერდით დაფარულმა ნაპატივებმა ღიპმა კუპეში დარჩენილი სივრცე გაავსო. ლაპლაპა მელოტი თავი, ვეება შევერცხლილი ულვაში და ჟილეტის ოქროს ღილები ერთნაირად უბრწყინავდა მზის შუქზე, – როგორ მიხარია შენი ნახვა, როგორ მიხარია! თქვენ ალბათ ბატონი ლონგბოტომი უნდა ბრძანდებოდეთ!

ნევილმა დამფრთხალმა დაუქნია თავი. სლაგჰორნმა ხელით ანიშნა და ორივენი კართან ახლოს დარჩენილ ორ ცარიელ ადგილზე ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეს დასხდნენ. ჰარიმ სხვა სტუმრებს გადახედა. ერთი თანაკურსელი სლიზერინელი იცნო, აწონილი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შავკანიანი ბიჭი, მაღალი ყვრიმალებითა და წვრილი, წაგრძელებული თვალის ჭრილით. აქვე იყვნენ ჰარისათვის უცნობი ორი მეშვიდეკურსელი ბიჭი და სლაგჰორნის გვერდით, კუთხეში მიჭყლეტილი ჯინი, რომელსაც სახეზე ეწერა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, ამ გაუგებრობაში როგორ ამოყო თავი.

– აბა, ყველას იცნობთ? – ჰკითხა სლაგჰორნმა ჰარისა და ნევილს, – ბლეზ ზაბინი თქვენს კურსზეა, რა თქმა უნდა...

ზაბინი ბიჭებს არ მისალმებია, არც კი შეიმჩნია, რომ ისინი იცნო, არც ჰარიმ და ნევილმა შეიწუხეს თავი მისალმებით: გრიფინდორელები და სლიზერინელები ხომ ერთმანეთს პრინციპულად ვერ იტანდნენ.

– ეს კორმაგ მაკლეგენია, იქნებ შეხვედრიხართ ერთმანეთს? არა?

ზორბა, ჯაგარათმიანმა მაკლეგენმა მისალმების ნიშნად ხელი ასწია, ჰარიმ და ნევილმა თავი დაუკრეს.

– ეს კი მარკუს ბელბია, არ ვიცი, იცნობთ თუ არა... გამხდარმა და ნერვიულმა ბელბიმ ძლივს გაიღიმა.

– ამ მომხიბვლელმა ახალგაზრდა ქალბატონმა კი მითხრა, რომ გიცნობთ! – დაასრულა სლაგჰორნმა.

ჯინი სლაგჰორნისგან შეუმჩნევლად დაეჯღანა ჰარისა და ნევილს.

– ძალიან მიხარია, რომ თქვენი უკეთ გაცნობის მშვენიერი შესაძლებლობა მეძლევა, – კმაყოფილებით განაცხადა სლაგჰორნმა. აი, აიღეთ ხელსახოცები. ჩემი ლანჩი თან წამოვიღე, აქაური ტკბილეულის ურიკა, რამდენადაც მახსოვს, ძირტკბილას საწუწნი ჩხირებითაა დაზვინული. აბა, სად შეუძლია ჩემსავით ბებერს მათი მონელება... მწყერს ინებებ, ბელბი?

ბელბი შეკრთა და პროფესორს ცივად მოხარშული მწყრის ნახევარი გამოართვა.

– ეს-ესაა, მარკუსს ვეუბნებოდი, რომ წილად მხვდა სიამოვნება, ბიძამის დამოკლესათვის მესწავლებინა, – აცნობა სლაგჰორნმა ჰარისა და ნევილს და ამჯერად ფუნთუშებით სავსე კალათი ჩამოატარა, – გამოჩენილი ჯადოქარია, გამოჩენილი! ალალი იყოს მასზე მერლინის ორდენი. ხშირად ნახულობთ ბიძას, მარკუს?

საუბედუროდ, ბელბიმ, ის იყო, მადიანად ჩაკბიჩა მწყერი და სლაგჰორნისთვის რომ ეპასუხა, ნაჩქარევად გადაყლაპა, გალურჯდა და ხველება აუტყდა.

– ანაპნეო, – მშვიდად წარმოთქვა სლაგჰორნმა, ჯადოსნური ჯოხი ბელბის დაუმიზნა და მას წამში გაეხსნა სასუნთქი გზები.

– არა, არა, ხშირად არ ვნახულობ, – ამოისუნთქა აცრემლებულმა ბელბიმ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა გასაკვრია, ალბათ ძალიან მოუცლელია, – სლაგჰორნმა კითხვით აღსავსე მზერით შეხედა ბელბის, – რა თქმა უნდა, აკონიტის ხსნარის გამოგონება დიდი შრომის ფასად დაუჯდა.

– ალბათ... – დაეთანხმა ბელბი. მან მწყერს თავი ანება და სლაგჰორნს მიაჩერდა. ეტყობა, ჭამის გაგრძელებას მანამ არ აპირებდა, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ სლაგჰორნმა მისი დაკითხვა დაასრულა, – ისა... იცით, ბიძაჩემი და მამაჩემი მაინცდამაინც კარგად ვერ არიან ერთმანეთში და ბევრს ვერაფერს გეტყვით...

ბელბის ხმა ჩაუწყდა, რადგან სლაგჰორნმა ცივად გაუღიმა და მაშინვე მაკლეგენს მიუბრუნდა:

– აბა, შენ რას გვეტყვი, კორმაკ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბიძაშენ ტიბერიუსს ხშირად ნახულობ. თუ არ ვცდები, ნორფოლკში ნოგთეილებზე ნადირობისას მას შენთან ერთად მშვენიერი სურათი აქვს გადაღებული, არა?

– ა, დიახ, ძალიან კარგი დრო გავატარეთ, – გაიხსენა მაკლეგენმა, – ბერტი ჰიგსი და რუფუს სკრიმჯერიც გვახლდნენ. რა თქმა უნდა, ეს მანამ იყო, სანამ სკრიმჯერი მაგიის მინისტრი გახდებოდა...

– ბერტისა და რუფუსსაც იცნობ? – სახე გაუბრწყინდა სლაგჰორნს და ლანგრით ტკბილი ღვეზელები ჩამოარიგა. ბელბი, რატომღაც, გამოტოვა, – აბა, მომიყევი...

ჰარის ეჭვი გამართლდა. როგორც ჩანდა, აქ მხოლოდ ისინი დაპატიჟეს, ვინც ცნობილ ან გავლენიან პიროვნებებთან იყვნენ რაღაცით დაკავშირებულნი, ჯინის თუ არ ჩავთვლით. ზაბინის, რომელიც მაკლეგენის შემდეგ დაიკითხა, როგორც გაირკვა, ულამაზესი დედა ჰყავდა (რამდენადაც ჰარიმ დაასკვნა, შვიდჯერ იყო გათხოვილი, მისი ყოველი ქმარი იდუმალ ვითარებაში კვდებოდა და მას ოქროს მთებს უტოვებდა). შემდეგ ნევილის ჯერი დადგა. ნევილის მშობლები, სახელგანთქმული აურორები, ბელატრისა ლესტრეინჯმა და მისმა თანამზრახველმა „სიკვდილის მხვრელებმა“ მანამ აწამეს, სანამ ჭკუიდან არ შეშალეს. ნევილის ინტერვიუს ბოლოს ჰარის ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ სლაგჰორნმა ნევილისთვის განაჩენის გამოტანა სამომავლოდ გადადო, რათა ჯერ გაერკვია, მშობლების ნიჭი გამოჰყვა თუ არა.

– ახლა კი, – სლაგჰორნი მთელი ტანით შეტრიალდა სავარძელში და იმ კონფერანსიეს გამომეტყველებით, რომელმაც პუბლიკას ვარსკვლავის გამოსვლა უნდა აუწყოს, გამოაცხადა: – ჰარი პოტერი! საიდან დავიწყო? ამ ზაფხულს ერთმანეთს კი შევხვდით, მაგრამ რიგიანად მაინც ვერ გაგიცანი. წამით ჰარი ისე შეათვალიერა, თითქოს მწყრის დიდზე დიდი და ცვრიანი ნაჭერი ყოფილიყოს. შემდეგ თქვა:

– „რჩეულიო“, არა? ასე გეძახიან უკვე!



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ კრინტი არ დაძრა. ბელბი, მაკლეგენი და ზაბინი მას მისჩერებოდნენ.

– რა თქმა უნდა, – ყურადღებით აკვირდებოდა ჰარის სლაგჰორნი, – რამდენი წელია, ჭორები დაქრის... მახსოვს, როდესაც, ეეე... იმ საშინელი ღამის მერე... ლილი... ჯეიმსი... შენ კი გადარჩი... და ხმა დაირხა, რომ შენ იმაზე მეტ ძალას უნდა ფლობდე, ვიდრე ჩვეულებრივი...

ზაბინიმ ხმადაბლა ჩაახველა, რითაც აშკარად ირონიული დამოკიდებულების გამოხატვა სურდა. სლაგჰორნის ზურგს უკან გაბრაზებული ხმა გაისმა:

– ჰო, ზაბინი, შენც ნიჭიერი ხარ, მაგრამ... მანჭვა-გრეხაში...

– ოი, ოი! – კმაყოფილებით ჩაიცინა სლაგჰორნმა და თავი ჯინისკენ მიაბრუნა, რომელიც სლაგჰორნის ნაპატივები ღიპის უკნიდან უბრიალებდა თვალებს ზაბინის, – ფრთხილად იყავი, ბლეზ! მის კუპეს რომ ჩავუარე, ჩემი თვალით ვნახე, ამ ქალბატონმა რა გადასარევად შეასრულა ბუა-ღამურას გათვალვა. პირადად მე მის გაბრაზებას მოვერიდებოდი!

ზაბინი იმით დაკმაყოფილდა, რომ ჯინის ზიზღით შეხედა.

– რას ვამბობდი? – კვლავ ჰარის მიუბრუნდა სლაგჰორნი, – ჰო, მოკლედ, უამრავი ჭორი დადიოდა ამ ზაფხულს. რა თქმა უნდა, კაცმა არ იცის, რას უნდა დაუჯერო. ცნობილია, რომ „დილის მისანი“ ხშირად აქვეყნებს უზუსტო ინფორმაციას, უშვებს შეცდომებს, მაგრამ ეჭვს აქარწყლებს უამრავი მოწმე, რომლებიც ადასტურებენ, რომ სამინისტროში დიდი ამბები დატრიალდა და შენ მოვლენების ეპიცენტრში იმყოფებოდი.

ჰარიმ, რომელიც ამ სიტუაციიდან სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა, გარდა იმისა, რომ ურცხვად ეცრუა, სლაგჰორნს თავი დაუქნია, მაგრამ არც ახლა უთქვამს რამე. სლაგჰორნმა ფართოდ გაუღიმა.

– რა თავმდაბალი ხარ, რა თავმდაბალი... რა გასაკვირია, რომ დამბლდორს ასე უყვარხარ... ესე იგი, იქ იყავი? მაგრამ დანარჩენი ჭორები? ასეთი სენსაციური... აღარ ვიცი, რას დავუჯერო. ავიღოთ, თუნდაც, ის ლეგენდარული წინასწარმეტყველება...

– წინასწარმეტყველება არ გაგვიგია, – ჩურთო ნევილმა და ჭარხალივით გაწითლდა.

– მართალია, – თამამად დაადასტურა ჯინიმ, – მე და ნევილი იქ ვიყავით და მთელი ეს მითები სისულელეა. როგორც ყოველთვის, „დილის მისანი“ ისევ რაღაცეებს ჩმახავს.

– მაშ, ორივენი იქ იყავით? – დიდად დაინტერესდა სლაგჰორნი და ჯინისგან ისევ ნევილზე გადაიტანა მზერა, მაგრამ მისი გამა-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მხნევებელი ღიმილის მიუხედავად, ორივემ თითქოს პირში წყალი ჩაიგუბა, – დიახ... მართალია, „დილის მისანი“ ხშირად აზვიადებს, რა თქმა უნდა... – სლაგჰორნმა ოდნავ იმედგაცრუებულმა გააგრძელა: – მახსოვს, ერთხელ ჩემმა მეგობარმა გვენოგმა მითხრა, – სხვათა შორის, ეს ის გვენოგ ჯოუნსია, „ჰოლიჰედ ჰარპიების“ კაპიტანი...

სლაგჰორნი მოსაწყენ მოგონებებს მიეცა. ჰარის კი მაინც ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ პროფესორმა ნევილსა და ჯინის არ დაუჯერა და მას ისევ მიუბრუნდებოდა.

შუადღე სლაგჰორნის ყოფილი სტუდენტების, დღესდღეობით კი – სახელმოხვეჭილი ჯადოქრების თავს გადამხდარი სასაცილო ამბების თხრობაში გაილია. უკლებლივ ყველა ეს ჯადოქარი ჰოგვორტსში სწავლისას სიამოვნებით გაწევრიანებულა „სლაგჰორნის კლუბში“, რომელიც თვითონ სლაჰგორნს ჩამოეყალიბებინა. ჰარის ისე მოჰბეზრდა მთელი ეს აბდაუბდა, ერთი სული ჰქონდა, კუპედან როდის გაიქცეოდა. ბოლოს მატარებელი მორიგი გრძელი ნისლიანი მონაკვეთიდან მზის მეწამულ შუქზე რომ გავიდა, სლაგჰორნმა მიმოიხედა და საღამოს ბინდბუნდში თვალები აახამხამა.

– ღმერთო ჩემო, უკვე ბნელდება! ვერც კი შევამჩნიე, როდის აანთეს ფარნები! ჩქარა გაიქეცით და სკოლის მანტიები ჩაიცვით. მაკლეგენ, აუცილებლად უნდა შემომირბინო და ნოგთეილებზე ის წიგნი გამომართვა! ჰარი, ბლეზ, შემომიარეთ ხოლმე. ეს თქვენც გეხებათ, მის, – მან ჯინის თვალი ჩუპაჭუნა, – აბა, წადით, წადით!

ზაბინიმ ჰარის მუჯლუგუნი ჰკრა, ზიზღით აღსავსე მზერა შეავლო და მწუხრში გახვეულ დერეფანში გავიდა. ჰარიმაც არანაკლები მძულვარე მზერით უპასუხა. ჰარი, ჯინი და ნევილი ზაბინის უკან მიაბიჯებდნენ დერეფანში.

– რა კარგია, რომ ეს საშინელება დამთავრდა, – წაიბუტბუტა ნევილმა, – რა უცნაური კაცია, არა?

– ჰო, ცოტათი უცნაურია, – უპასუხა ჰარიმ, რომელიც ზაბინის თვალს არ აშორებდა, – შენ როგორ მოხვდი იქ, ჯინი?

– დამინახა, როგორ შევულოცე ზაქარია სმიტს, – აუხსნა ჯინიმ, – გახსოვს ის ჰაფლეპაფელი იდიოტი, **და**-ს წევრი რომ იყო? შემიჩნდა, მომიყევი, რა მოხდა სამინისტროშიო და ისე მომაბეზრა თავი, რომ ავდექი და შევულოცე. სლაგჰორნი რომ დავინახე, მეგონა, დამატებითი სამუშაო ავიკიდე-მეთქი, მაგრამ იმას ისე მოეწონა ჩემი შელოცვა, რომ ლანჩზე დამპატიჟა! რა გიჟია, არა?

– ეს უკეთესი მიზეზია ვინმეს დასაპატიჟებლად, ვიდრე ის, რომ ცნობილი დედა გყავს, – ჰარიმ შუბლშეკრულმა შეხედა ზაბინის კეფას, – ან ბიძა...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი გაჩუმდა. ერთი აზრი ეწვია – თავზეხელაღებული, მაგრამ შესანიშნავი აზრი... წუთიც და, ზაბინი მეექვსეკურსელი სლიზერინელების კუპეში შევიდოდა, იქ კი მალფოი იჯდა და ჯგუფელებთან ბაქიბუქობდა. ჰარი რომ ყველასაგან მალულად ზაბინის კვალდაკვალ შეჰყოლოდა, ვინ იცის, რას გაიგებდა და რას ნახავდა. თუმცა, ცოტა დრო ჰქონდა: ფანჯრიდან უკვე ველური ბუნება მოჩანდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მგზავრობა დასასრულს უახლოვდებდა. ჰოგსმიდის სადგურამდე ნახევარი საათიღა თუ იყო დარჩენილი. ჰარის ეჭვებს სერიოზულად არავინ იზიარებდა, ახლა კი შესაძლებლობა მიეცა, ყველასათვის დაემტკიცებინა, რომ მართალი იყო.

– მერე გნახავთ, – დაიჩურჩულა ჰარიმ, უჩინმაჩინის მოსასხამი წამოიხურა და ზაბინის უჩუმრად გაედევნა, თუმცა მატარებლის ჯაყჯაყის გამო ასეთი სიფრთხილე უსაფუძვლოც კი იყო.

დერეფნები უკვე სრულიად დაცარიელებულიყო. ყველანი კუპეებში გაკრეფილიყვნენ სასკოლო ფორმის ჩასაცმელად და ნივთების ჩასალაგებლად. ჰარი, რამდენადაც შეძლო, მიუახლოვდა ზაბინის, ოღონდ ისე, რომ არ შეხებოდა, მაგრამ ზაბინიმ კარი რომ გააღო, მაინც ვერ მოასწრო კუპეში შესხლტომა. ზაბინი უკვე ხურავდა კარს, ჰარიმ სასწრაფოდ დაუდო ფეხი და დახურვა არ დაანება.

– რა ჭირი ეტაკა? – გაბრაზდა ზაბინი და ხელმეორედ მიახეთქა კარი ჰარის ფეხზე.

ჰარიმ კარს ხელი სტაცა, მიაწვა და გააღო. ზაბინი, რომელსაც ჯერაც კარის სახელურისთვის ჩაევლო ხელი, განზე გადაყირავდა და გრეგორი გოილს ზედ დაეცა. ჰარიმ ამით გამოწვეული აყალმაყალით ისარგებლა, კუპეში შევარდა, სავარძელზე ფეხი დაჰკრა და საბარგო თაროზე შეხტა. საბედნიეროდ, ამ დროს გოილი და ზაბინი ერთმანეთს ულრენდნენ და ყველას მზერა მათკენ იყო მიპყრობილი. ჰარი დარწმუნებული იყო, რომ ახტომისას მოსასხამი აუფრიალდა და ტერფი და კოჭი გამოუჩნდა: ერთ საშინელ წამს ისიც კი მოეჩვენა, რომ მალფოიმ თვალი ააყოლა მის კედს. ბოლოს გოილმა კარი მიაჯახუნა და ხელის კვრით მოიშორა ზაბინი, რომელიც თავის სკამზე გაავებული დაეხეთქა. ვინსენტ კრაბი კომიქსების წიგნს მიუბრუნდა, მალფოი კი ქირქილით გადაწვა და პენსი პარკინსონს თავი კალთაში ჩაუდო. ჰარი უხერხულად მოიკუნტა უჩინმაჩინის მოსასხამის ქვეშ. შეამოწმა, მთლიანად იყო დაფარული, თუ არა. პენსი პარკინსონი მალფოის ქერა, სლიპინა თმაზე იმისთანა თვითკმაყოფილი ღიმილით უსვამდა ხელს, თითქოს მის ადგილზე ყოფნას ნებისმიერი გოგო ინატრებდა. კუპეს ჭერზე ფარანი ირწეოდა და ამ სცენას კაშკაშა შუქს ჰფენდა: ჰარის


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზუსტად მის ქვემოთ მჯდარი კრაბის კომიქსების წიგნში ყოველი სიტყვის გარჩევა შეეძლო.

– რაო, ზაბინი, რა უნდოდა სლაგჰორნს? – იკითხა მალფოიმ.

– ბობოლების შვილებს ეტენება, – აცნობა ზაბინიმ, რომელიც ახლაც ბრაზით უყურებდა გოილს, – მაგრამ ასეთები თითო-ოროლა იპოვა.

ეს ინფორმაცია მალფოის დიდად არ ეპიტნავა და ისევ ჰკითხა:

– კიდევ ვინ იყო დაპატიჟებული?

– გრიფინდორელი მაკლეგენი, – უპასუხა ზაბინიმ.

– ჰო, ბიძამისი სამინისტროში დიდი კაცია, – შენიშნა მალფოიმ.

– კიდევ ვიღაცა ბელბი რეივენქლოდან...

– რას ამბობ, ის კრეტინი? – შეიცხადა პენსიმ.

– კიდევ – ლონგბოტომი, პოტერი და უისლების გოგო, – დაასრულა ზაბინიმ.

მოულოდნელად მალფოიმ პენსის ხელი უხეშად მოიშორა და წამოჯდა.

– რაო? ლონგბოტომიც დაპატიჟა?

– ეგრე გამოდის, რაკი იქ იყო, – გულგრილად მიუგო ზაბინიმ.

– იმ გაბერილმა ლონგბოტომმა რით დააინტერესა სლაგჰორნი?

ზაბინიმ მხრები აიჩეჩა.

– პოტერი, ძვირფასი პოტერი! რა თქმა უნდა, სლაგჰორნსაც სურვილი გაუჩნდა, შეეხედა „რჩეულისათვის", – დაცინვით თქვა მალფოიმ, – მაგრამ უისლების გოგოს რა უნდოდა იქ? რითაა ასეთი განსაკუთრებული?

– ბევრ ბიჭს მოსწონს, – ჩაურთო პენსიმ და მალფოის ცერად გახედა, რა რეაქცია ექნებაო, – შენც კი მიგაჩნია, რომ ლამაზი გოგოა, არა, ბლეზ? არადა, ყველამ ვიცით, როგორი წუნიაცა ხარ.

– მაგ სისხლის შემარცხვენელ გველის წიწილს ახლოსაც არ გავეკარები, რაგინდ ლამაზიც უნდა იყოს, – ცივად მიუგო ზაბინიმ. პენსი კმაყოფილი დარჩა. მალფოი ისევ გადაწვა მის კალთაზე და ნება დართო, მის თმაზე ალერსი გაეგრძელებინა.

– სლაგჰორნს გემოვნება ღალატობს. ალბათ სიბერისგან გამოჩერჩეტდა. სამწუხაროა. მამაჩემისგან ვიცი, რომ თავის დროზე კარგი ჯადოქარი იყო. ერთ დროს მამაჩემიც მის ფავორიტად ითვლებოდა. სლაგჰორნმა ალბათ არ იცის, რომ მატარებელში ვარ, თორემ...

– შენს ადგილზე მიპატიჟების იმედი არ მექნებოდა, – მოუჭრა ზაბინიმ, – მისვლისთანავე ნოტის მამაზე გამომკითხა. ეტყობა, ძველი მეგობრები იყვნენ, მაგრამ როგორც კი გაიგო, რომ სამინისტროში დააპატიმრეს, გუნება წაუხდა და, აი, ნოტმაც არ მიიღო


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოსაწვევი! მე მგონი, სლაგჰორნს „სიკვდილის მხვრელები“ არ აინტერესებს!

მალფოი აშკარად გაბრაზდა, მაგრამ ნაძალადევად მაინც გაიცინა.

– ვის ედარდება, რა აინტერესებს სლაგჰორნს? რას წარმოადგენს სინამდვილეში? ერთი შტერი მასწავლებელია და მეტი არაფერი, – მალფოიმ მოსაჩვენებლად განზრახ დაამთქნარა, – მე შეიძლება გაისად ჰოგვორტსში არც დავბრუნდე, და რაში მაინტერესებს, ვიღაცა სქელ ბებერს მოვწონვარ თუ არა?

– როგორ თუ ჰოგვორტსში არ დაბრუნდები! – აღშფოთდა პენსი და უმალვე შეუშვა ხელი მალფოის თმას.

– რა იცი, რა ხდება, – ძლივსშესამჩნევად ჩაიღიმა მალფოიმ, – იმ დროისათვის, შეიძლება, ეეე... უფრო მნიშვნელოვან და სერიოზულ საქმეებს მოვეკიდო.

საბარგო თაროზე უჩინმაჩინის მოსასხამის ქვეშ მოკუნტულ ჰარის გულმა ბაგაბუგი დაუწყო. ამაზე რაღას იტყოდნენ რონი და ჰერმიონი? კრაბი და გოილი მალფოის თვალებდაჭყეტილები შესცქეროდნენ. აშკარა იყო, წარმოდგენაც არ ჰქონდათ მის მნიშვნელოვან და სერიოზულ საქმეებზე. ზაბინიმაც კი ვერ შეიკავა თავი და მედიდურ სახეზე ცნობისმოყვარეობა აღებეჭდა. ენაჩავარდნილი პენსი ისევ მალფოის თმას მიუბრუნდა.

– „იმას“ გულისხმობ?

მალფოიმ მხრები აიჩეჩა.

– დედაჩემს უნდა, სწავლა დავასრულო, მაგრამ პირადად მე მიმაჩნია, რომ დღესდღეობით ეს მაინცდამაინც მნიშვნელოვანი არ არის. აბა, დაფიქრდით... როცა ბნელი ბატონი ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებს, რაში ანაღვლებს, რამდენი **ბუა** თუ **კატა** გაქვს მიღებული? რა თქმა უნდა, არაფერში... ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ მოემსახურები, რამდენად ერთგული იქნები მისი.

– და შენ გგონია, შეძლებ რამე გააკეთო მისთვის? – გამანადგურებელი ირონიით ჰკითხა ზაბინიმ, – ჯერ თექვსმეტი წლისა ხარ და სრული განათლებაც კი არ მიგიღია.

– ახლა არ ვთქვი? იქნებ სულ ფეხებზე ჰკიდია, სწავლა-განათლება დავასრულე თუ არა-მეთქი. იქნებ ის საქმე, რომელიც დამავალა, სულაც არ მოითხოვს ჩემგან სრულ განათლებას?– ხმადაბლა თქვა მალფოიმ.

კრაბი და გოილი ქვის ურჩხულებივით პირდაფჩენილები ისხდნენ. პენსი ისე მისჩერებოდა მალფოის, თითქოს ასეთი შიშის მომგვრელი არაფერი უნახავსო.

– ჰოგვორტსი გამოჩნდა, – მალფოიმ ჩამობნელებული ფან-



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯრისკენ გაიშვირა ხელი. აშკარად ტკბებოდა იმ ეფექტით, რომელიც ჯგუფელებზე მოახდინა, – დროა, მანტიები ჩავიცვათ.

ჰარი ისე მიშტერებოდა მალფოის, რომ ვერ შეამჩნია, როგორ მისწვდა გოილი თავის ჩემოდანს. თაროდან რომ ჩამოიღო, ჰარის საფეთქელზე მწარედ მოარტყა. ჰარიმ ტკივილისგან უნებურად ამოიხავლა და მალფოიმ შუბლშეკრულმა ახედა საბარგო თაროს.

ჰარის მალფოისა არ ეშინოდა, მაგრამ მაინც არ უნდოდა, მტრულად განწყობილი სლიზერინელების ჯგუფს უჩინმაჩინის მოსასხამში დამალული აღმოეჩინა. ტკივილისგან აცრემლებულმა ფრთხილად ამოაძრო ჯადოსნური ჯოხი, რათა ყველაფრისთვის მზად ყოფილიყო, და სუნთქვაშეკრულმა შეიცადა. საბედნიეროდ, ეტყობა, მალფოიმ იფიქრა, რომ რაღაცა მოეყურა. დანარჩენებივით გადაიცვა მანტია, ჩემოდანი ჩაკეტა და როცა მატარებელმა სვლა შეანელა და აჯაყჯაყდა, ახალი, თბილი სამგზავრო მოსასხამი ნიკაპთან შეიკრა.

ჰარიმ დაინახა, რომ დერეფნები ისევ გაივსო ხალხით და გაიფიქრა, ეგება, ჰერმიონმა და რონმა ჩემი ნივთები ბაქანზე გადაიტანონო. აქედან ფეხსაც ვერ მოიცვლიდა, სანამ კუპე მთლიანად არ დაცარიელდებოდა. ბოლოს მატარებელი ერთხელაც შეირყა და გაჩერდა. გოილმა კარი გააღო და მეორეკურსელებში მუჯლუგუნებით გაიკვლია გზა, ერთი-ორს მუშტებიც კი უთავაზა. კრაბი და ზაბინიც მას მიჰყვნენ.

– შენ წადი, – უთხრა მალფოიმ პენსის, რომელიც ხელგაწვდილი ელოდა, თითქოს იმედი ჰქონდა, რომ მალფოი ხელს ჩაჰკიდებდა, – რაღაცა უნდა შევამოწმო.

პენსი გავიდა. ახლა ჰარი და მალფოი მარტონი დარჩნენ კუპეში. დერეფანში სტუდენტების ნაკადი სწრაფად მიედინებოდა და სიბნელეში ჩაძირულ ბაქანზე გადადიოდა. მალფოი კართან მივიდა, ფარდა დაუშვა, რომ დერეფნიდან არავის შემოეხედა, შემდეგ დაიხარა და ჩემოდანი ისევ გახსნა.

ჰარიმ კისერი წაიგრძელა და გულაძგერებულმა გადმოიხედა თაროდან. რას უმალავს მალფოი პენსის? ნუთუ ახლა იმ საიდუმლოებით მოცულ გატეხილ ნივთს დაინახავს, რომლის შეკეთებაც ასეთი მნიშვნელოვანი იყო?

– პეტრიფიკუს ტოტალუს!

მოულოდნელად მალფოიმ ჯადოსნური ჯოხი დაუმიზნა ჰარის და ადგილზევე გააშეშა. ჰარი საბარგო თაროდან გადმოვარდა და მალფოის ფერხთით ისე დაეხეთქა, რომ კუპე შეზანზარდა. უჩინმაჩინის მოსასხამი ქვეშ მოჰყვა და ახლა მთელი ტანით, სულელურად ფეხებმოხრილი გამოჩნდა. ერთ კუნთსაც კი ვერ ატოკებდა. მხოლოდ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და მხოლოდ ის შეეძლო, რომ მალფოისთვის ეყურებინა. მალფოიმ ფართოდ გაიღიმა და გახარებულმა თქვა:

– ასეც ვიფიქრე. გავიგე, როგორ მოგხვდა გოილის ჩემოდანი. ისიც დავინახე, რომ რაღაცა თეთრმა გაიელვა ჰაერში, როცა ზაბინი კუპეში დაბრუნდა... – მალფოიმ მზერა წამით ჰარის კედებზე შეაჩერა, – აი, თურმე, რატომ გაიჭედა კარი, ზაბინი რომ შემოვიდა! – ერთხანს ჩაფიქრებული უყურებდა და მერე თქვა:

– ისეთი არაფერი გაგიგია, პოტერ. მაგრამ რაკი ხელში ჩამივარდი...

და ჰარის სახეში წიხლი ჩასცხო. ჰარიმ იგრძნო, რომ ცხვირი გაუტყდა. ირგვლივ სისხლმა იშხეფა.

– ეს შენ – მამაჩემისგან. ახლა კი...

მალფოიმ ჰარის გაშეშებული სხეულის ქვემოდან უჩინმაჩინის მოსასხამი გამოაძრო და ზედ გადააფარა.

– არა მგონია, გიპოვონ, სანამ მატარებელი ლონდონში არ ჩავა, – ხმადაბლა ჩაილაპარაკა, – მომავალ შეხვედრამდე, პოტერ... ან შევხვდებით და ან – არა.

გასვლისას მალფოიმ ჰარის თითებზე ფეხი დააბიჯა და კუპეს კარი ხმაურით გაიხურა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი მერვე

# სნეიპის ტრიუმფი

ჰარის თითის განძრევაც კი არ შეეძლო. უჩინმაჩინის მოსასხამის ქვეშ იწვა და ცხვირიდან თბილი სისხლი სდიოდა. დერეფნიდან ლაპარაკი და ნაბიჯების ხმა ისმოდა. ჯერ იმით დაიმშვიდა თავი, მატარებლის სადგურიდან გასვლამდე კუპეებს აუცილებლად შეამოწმებენო. მაგრამ მაშინვე გაახსენდა, რომ ამ კუპეში რომც შემოეხედათ, ვერც ჰარის დაინახავდნენ და ვერც მის ხმას გაიგონებდნენ. ერთადერთი იმედი ისღა დარჩენოდა, იქნება ვინმე შემოვიდეს და შემთხვევით ფეხი დამაბიჯოსო.

ჰარის ისე არასდროს შესძულებია მალფოი, როგორც ახლა, როცა ამოტრიალებულ კუსავით უსუსური ეგდო გულაღმა და სისხლი ღია პირში გულისამრევად ჩასდიოდა. რა სულელურ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი!.. თანდათან ნაბიჯების ხმა მიწყდა. ყველანი უკვე გარეთ, ბნელ ბაქანზე ირეოდნენ. ჰარის ყურამდე ჩემოდნების ჭრიალი და ხმამაღალი ლაპარაკი აღწევდა. რონი და ჰერმიონი ალბათ ფიქრობდნენ, რომ ჰარი მათ გარეშე ჩავიდა მატარებლიდან. როცა ჰოგვორტსში მისულები დიდ დარბაზში თავიანთ ადგილებზე დასხდებოდნენ, გრიფინდორის მაგიდას რამდენჯერმე თვალს მოავლებდნენ და, ბოლოს და ბოლოს, მიხვდებოდნენ, რომ ჰარი იქ არ იყო, ლონდონისკენ მიმავალ მატარებელს უკვე ნახევარი გზა ექნებოდა გავლილი.

ჰარი შეეცადა, რამე ხმა გამოეცა, დაეხავლა მაინც, მაგრამ ვერ მოახერხა. შემდეგ გაახსენდა, რომ ზოგიერთ ჯადოქარს, მაგალითად, დამბლდორს, ჯადოქრობა შელოცვების ხმამაღლა წარმოთქმის გარეშეც შეეძლო. ჰარიმ სცადა, ჯადოსნური ჯოხი გამოეძახა, რომელიც ხელიდან გავარდნოდა. გონებაში რამდენჯერმე გაიმეორა „აკციო ჯოხი!“ მაგრამ არაფერიც არ მოხდა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის მოეჩვენა, რომ ტბის პირას მდგარი ხეების ფოთლების შრიალი და სადღაც შორიდან ბუს კივილი ესმოდა, მაგრამ არაფერი მიანიშნებდა იმაზე, რომ მას ეძებდნენ ან (ამის გაფიქრებაზე ჰარის თავისი თავი ცოტათი შეზიზღდა კიდეც) შეშფოთებით კითხულობდნენ, სად დაიკარგა ჰარი პოტერიო. იგი სასოწარკვეთას მიეცა, როცა წარმოიდგინა, თესტრალებშებმული ეტლების პროცესია როგორ მიჯაყჯაყებდა სკოლისკენ. იმ ეტლიდან კი, რომელშიც მალფოი იჯდა და სლიზერინელებს თავისი გმირობის ამბავს უყვებოდა, ყრუ ხარხარი მოისმოდა.

მატარებელი შეირყა და ჰარი გვერდზე გადაგორდა. ამჯერად, ჭერის ნაცვლად, სავარძლის ქვეშ მტვრიან იატაკზე გაუშტერდა მზერა. მატარებლის ძრავა ღმუილით ჩაირთო და იატაკი აძიგძიგდა. ექსპრესი გადიოდა და არავინ იცოდა, რომ ჰარი ჯერ კიდევ აქ იყო...

უეცრად იგრძნო, რომ უჩინმაჩინის მოსასხამი გადახადეს, და ვიღაცის ხმაც გაიგონა:

– გამარჯობა, ჰარი.

გაიელვა წითელმა შუქმა და ჰარის სხეულს მგრძნობელობა დაუბრუნდა. ჰარიმ წამოიწია და წესიერად დაჯდა, მერე დალურჯებული სახიდან ხელის ზურგით მოიწმინდა სისხლი, თავი ასწია და ტონქსი დაინახა. ტონქსს ხელში ჰარის უჩინმაჩინის მოსასხამი ეჭირა.

– ჩქარა, ჰარი, აქედან გავიდეთ.

ფანჯრები ბოლმა დაბურა და მატარებელი დაიძრა.

– ბაქანზე უნდა გადავხტეთ!

ჰარი ტონქსს ფეხდაფეხ გაჰყვა დერეფანში. ტონქსმა მატარებლის კარი გახსნა და ბაქანზე გადახტა. მატარებელმა სიჩქარეს უმატა. ჰარისაც არ დაუყოვნებია, მაშინვე ისკუპა, ოდნავ დაბარბაცდა და წელში რომ გაიმართა, თვალი შეასწრო, როგორ შეუხვია გაქანებულმა ალისფერმა ორთქლმავალმა კუთხეში და თვალთახედვიდან გაუჩინარდა.

ღამის ცივი ჰაერი მალამოდ მიელამუნა ჰარის გატეხილ ცხვირზე. ტონქსი თვალს არ აშორებდა. გაჯავრებული ჰარი ხმას არ იღებდა, ეთაკილებოდა, რომ ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში იპოვეს. ტონქსმა მდუმარედ გადასცა უჩინმაჩინის მოსასხამი.

– ეს ვინ ჩაიდინა?

– დრაკო მალფოიმ, – უპასუხა დაბოღმილმა, – გმადლობ იმისთვის, რომ... რა ჰქვია...

– არაფრის, – გაუღიმებლად მიუგო ტონქსმა. რამდენადაც ჰარიმ სიბნელეში გაარჩია, ის ისეთივე თაგვისფერთმიანი და გასაცოდავებული იყო, როგორიც მაშინ, „ბუნაგში" რომ ნახა, – მოიცა, არ გაინძრე, ცხვირს გაგიმთელებ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის ერჩივნა, სკოლაში მადამ პომფრისთან მისულიყო, სამკურნალო შელოცვების დარგში მას უფრო მეტად ენდობოდა, მაგრამ ახლა ამის თქმა უზრდელობა იქნებოდა, ამიტომ გაინაბა და თვალები დახუჭა.

– ეპისკი, – წარმოთქვა ტონქსმა.

ჰარის ცხვირი ჯერ ძალიან გაუხურდა, მერე ერთიანად გაეყინა. ხელი ცხვირთან მიიტანა და ფრთხილად მოისინჯა. მგონი, გამიმთელდაო, – გაიფიქრა.

– დიდი მადლობა.

– ჯობია, უჩინმაჩინის მოსასხამი მოისხა, სკოლამდე ფეხით უნდა მივიდეთ, – ისევ სერიოზულად ურჩია ტონქსმა, არც ახლა გაუღიმია. ჰარიმ მოსასხამი მოისხა თუ არა, ტონქსმა ჯადოსნური ჯოხი გაიქნია. ჯოხიდან უზარმაზარი ვერცხლისფერი ოთხფეხა არსება გამოიჭრა და სიბნელეში დაინთქა.

– ეს პატრონუსი იყო? – ჰკითხა ჰარიმ, რომელსაც ერთხელ უკვე ენახა, დამბლდორმა როგორ გაგზავნა ნიშანი.

– ჰო, ციხე-კოშკში შეტყობინება გავგზავნე, რომ ჩემთანა ხარ, თორემ ინერვიულებენ. წამოდი, დროს ნუ ვკარგავთ.

ორივენი სკოლისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

– როგორ მიპოვე?

– შევამჩნიე, რომ მატარებლიდან არ ჩამოხვედი. ისიც ვიცოდი, რომ უჩინმაჩინის მოსასხამი გქონდა. ვიფიქრე ალბათ რაღაც მიზეზის გამო იმალება-მეთქი. როცა დავინახე, რომ იმ კუპეში ფარდები დაშვებული იყო, გადავწყვიტე, შემემოწმებინა.

– მაინც, რას აკეთებ აქ? – ჰკითხა ჰარიმ.

– ახლა ჰოგსმიდში ვარ განაწილებული, რომ სკოლა დამატებითი დაცვით უზრუნველვყო.

– მარტო შენ, თუ...

– არა, პრაუდფუტი, სევიჯი და დოულიშიც აქ არიან.

– დოულიში ის აურორი არ არის, შარშან დამბდლდორმა რომ დაარეტიანა?

– კი, ის არის.

წყვდიადში ჩაძირულ, უკაცრიელ გზაზე ეტლების მიერ ახლად გავლებულ კვალს მიუყვებოდნენ. მოსასხამში გახვეულმა ჰარიმ თვალი ტონქსისკენ გააპარა. კარგად ახსოვდა, რომ შარშან ტონქსი ისეთი ცნობისმოყვარე იყო, ზოგჯერ თავსაც კი მოგაბეზრებდა; გულიანად იცინოდა, ხუმრობდა. ახლა კი თითქოს ასაკი მოემატაო, სერიოზული და მიზანდასახული ჩანდა. ნუთუ სამინისტროში მომხდარმა ამბავმა იმოქმედა ასე? ჰარიმ შეცბუნებულმა გაიფიქრა, რომ ჰერ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიონი ასეთ შემთხვევაში ურჩევდა, ტონქსისთვის სირიუსის თაობაზე რამე სანუგეშო ეთქვა, მაგალითად, „ეს შენი ბრალი არ იყო“ ან რამე ამდაგვარი, მაგრამ ვერაფრით აიძულა თავი, ხმა ამოეღო. ტონქსს საერთოდ არ სდებდა ბრალს სირიუსის სიკვდილში. ის სხვებზე (და, მით უმეტეს, ჰარიზე) მეტად არ იყო დამნაშავე, მაგრამ ჰარის არ უყვარდა სირიუსზე ლაპარაკი, ყველანაირად გაურბოდა ამ თემაზე საუბარს. ამიტომ უსიტყვოდ მიაბიჯებდნენ ცივი ღამის მდუმარეობაში. ტონქსს გრძელი მოსასხამი მიწაზე შარიშურით დასთრევდა.

ჰარი ციხე-კოშკამდე ყოველთვის ეტლით მიდიოდა, ამიტომ უწინ თავში აზრადაც არ მოსვლია, რამდენად შორს იყო ჰოგვორტსი ჰოგსმიდის სადგურიდან. მან შვებით ამოისუნთქა, როცა, ბოლოს და ბოლოს, ჭიშკრის აქეთ-იქით აღმართული ორი მაღალი სვეტი გამოჩნდა, რომლებზეც ფრთიანი ტახები ისხდნენ. ჰარის სციოდა, შიოდა და ერთი სული ჰქონდა, ამ შეცვლილ, პირქუშ ტონქსს გასცლოდა. მაგრამ როცა ჭიშკარს ხელი ჰკრა, აღმოაჩინა, რომ მაგრად იყო დაკეტილი.

– ალოჰომორა! – თავდაჯერებით შესძახა ჰარიმ და ბოქლომს ჯადოსნური ჯოხი დაუმიზნა, მაგრამ არაფერიც არ მომხდარა.

– ამაზე ეს არ იმოქმედებს, – უთხრა ტონქსმა, – თვითონ დამბლდორმა მოაჯადოვა.

ჰარიმ მიიხედ-მოიხედა.

– მაშინ გალავანზე გადავძვრები, – წამოაყენა წინადადება.

– არა, ვერ გადაძვრები, ყველა კედელი ანტიმომხვდურების ჯადოთია შელოცვილი. ამ ზაფხულს სკოლის დაცვა გააასკეცეს, – მშვიდად აუხსნა ტონქსმა.

– რა გაეწყობა, – ჰარი ტონქსის უმოქმედობამ გააღიზიანა, – მაშინ აქ დავიძინებ და გათენებას დაველოდები.

– ვიღაცა მოდის შენ წასაყვანად, – შენიშნა ტონქსმა, – შეხედე.

ციხე-კოშკის კედლის ძირას ფარანი ირწეოდა. ჰარის ისე გაუხარდა მისი დანახვა, რომ მზად იყო, ფილჩის ჯაჯღანი და მისი ტირადებიც კი აეტანა იმის თაობაზე, თუ რამდენად პუნქტუალურს გახდიდა ჰარის ერთი-ორჯერ ცერზე მოსაჭერით წამება. ბრდღვიალა ყვითელ შუქს მათგან ათი ნაბიჯიღა აშორებდა. ჰარიმ უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიძრო, რომ ხილული გამხდარიყო, და მხოლოდ მაშინღა იცნო საძულველი სევერუს სნეიპის ქვემოდან განათებული მოკაუჭებული ცხვირი და გრძელი, შავი, გაზიპული თმა.

– ამას ვის ვხედავ, – ჩაიქირქილა სნეიპმა, ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და ბოქლომს შეახო. ჯაჭვები უკან გასრიალდა და ჭიშკარი ჭრიალით გაიღო, – დიდი პატივია თქვენი გამოჩენა, პოტერ, მაგრამ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გეტყობათ, გადაგიწყვეტიათ, რომ სკოლის მანტიის ტარება აღარ შეგშვენით.

– ვერ გამოვიცვალე, არ მქონდა... – დაიწყო ჰარიმ, მაგრამ სნეიპმა გააწყვეტინა:

– რაღას ელით, ნიმფადორა, პოტერი ჩემთან სრულიად... ჰმ... უსაფრთხოდაა.

– მეგონა, ნიშანს ჰაგრიდი მიიღებდა, – წარბი შეიკრა ტონქსმა.

– ჰაგრიდმა, პოტერისა არ იყოს, სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავ ბანკეტზე დაიგვიანა, ამიტომ მის ნაცვლად მე გამოვცხადდი. და, სხვათა შორის, – დასძინა სნეიპმა, უკან გადგა და ჰარი გაატარა, – თქვენმა ახალმა პატრონუსმა ძალიან დამაინტერესა.

ტონქსს ცხვირწინ ჟღარუნით მიუხურა ჭიშკარი და ისევ შეახო ჯადოსნური ჯოხი ბოქლომს. ჯაჭვები ჩხრიალით გასრიალდა და თავიანთ პირვანდელ ადგილს დაუბრუნდა, – მე თუ მკითხავთ, ძველი პატრონუსი სჯობდა, – სნეიპს ხმაში აშკარა ღვარძლი გაერია, – ახალი სუსტად გამოიყურება.

სნეიპი შემოტრიალდა და ფარნის შუქზე ჰარიმ წამიერად დაინახა ტონქსის სახეზე აღბეჭდილი განცვიფრება და სიბრაზე. შემდეგ ის კვლავ სიბნელეში ჩაიკარგა.

– ღამე მშვიდობისა, – ზურგს უკან მიაძახა ჰარიმ ტონქსს და სნეიპს სკოლის შენობისკენ გაჰყვა, – გმადლობ... ყველაფრისთვის.

– კარგად, ჰარი.

სნეიპი ერთ-ორ წუთს ჩუმად მიაბიჯებდა. ჰარი ისე შეიპყრო სიძულვილის აბობოქრებულმა გრძნობამ, რომ უკვირდა, სნეიპი როგორ ვერ გრძნობს მის სიცხოველესო. ჰარის სნეიპი პირველივე შეხვედრიდან ეზიზღებოდა, მაგრამ სნეიპმა სირიუსისადმი თავისი დამოკიდებულებით სამუდამოდ შეაძულა თავი. როგორც უნდა დაეცვა დამბლდორს სნეიპი, ჰარის იმ ზაფხულს საკმარისი დრო ჰქონდა საფიქრელად და, აი, რა დაასკვნა: სნეიპს რომ სირიუსი არ დაეგესლა, შენ აქ მყუდროდ ხარ მოკალათებული, ფენიქსის ორდენის დანარჩენი წევრები კი ვოლდემორს ებრძვიანო, შეიძლება, სირიუსი იმ საბედისწერო ღამეს სამინისტროში არ მივარდნილიყო. ჰარი მთელი ძალით ჩაებღაუჭა ამ აზრს, რადგან ეს საშუალებას აძლევდა, სირიუსის სიკვდილში სნეიპი დაედანაშაულებინა, რაც სიამოვნებას ჰგვრიდა. თანაც იცოდა, რომ, თუ ვინმეს არ სწყინდა სირიუსის სიკვდილი, ეს ის კაცი იყო, რომელიც ახლა სიბნელეში მის გვერდით მიაბიჯებდა.

– დაგვიანებისთვის ორმოცდაათი საჯარიმო ქულა გრიფინდორს, – წამოიწყო სნეიპმა, – და კიდევ... მოიცა, მოვიფიქრო... ოცი საჯა-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რიმო ქულა თქვენი მაგლური სამოსის გამო. იცით, არა მგონია, რომელიმე კლუბს სწავლის დაწყებისთანავე ამდენი ქულა დაჰკლებოდა. დიდ დარბაზში ჯერ პუდინგზეც კი არ გადავსულვართ. თქვენ, მგონი, რეკორდიც კი დაამყარეთ, პოტერ.

ჰარის მოეჩვენა, რომ მისმა რისხვამ და სიძულვილმა დულილის ტემპერატურამდე მიაღწია, მაგრამ ერჩივნა, ლონდონამდე გაშეშებულს ემგზავრა, ვიდრე სნეიპისთვის თავისი დაგვიანების მიზეზი გაემხილა.

– როგორც ვატყობ, ზარ-ზეიმით აპირებდით შემოსვლას, არა? – განაგრძობდა სნეიპი, – და რადგან ამჯერად მფრინავი მანქანა ხელთ არ გქონდათ, გადაწყვიტეთ, დიდ დარბაზში შუა ნადიმზე შემოჭრილიყავით და დრამატული ეფექტი მოგეხდინათ!

ჰარის ლამის გული გასკდომოდა, მაგრამ მაინც დუმდა. იცოდა, რისთვისაც ჩამოვიდა სნეიპი მის წასაყვანად: სწორედ იმ რამდენიმე წუთისთვის, როცა შეეძლო, ჰარი საწამებლად და დასაცინად დაემარტოხელებინა.

ციხე-კოშკის საფეხურებს მიაღწიეს თუ არა, დიდი მუხის მთავარი კარი გაიღო და ქვით მოპირკეთებული ვრცელი ჰოლი გამოჩნდა. დიდი დარბაზის გამოღებული კარიდან ხმამაღალი ლაპარაკი, სიცილი და ჯამ-ჭურჭლის წკრიალი ისმოდა. ჰარიმ გაიფიქრა, ურიგო არ იქნება, უჩინმაჩინის მოსასხამი მოვიხვიო და გრიფინდორის მაგიდას (რომელიც, სამწუხაროდ, დარბაზში კარიდან კარგა მოშორებით იდგა) ყველასაგან შეუმჩნევლად მივუჯდეო.

მაგრამ სნეიპმა, თითქოს ჰარის აზრებს კითხულობსო, მოუჭრა:

– არავითარი მოსასხამი! შეგიძლიათ, ყველას დასანახად შებრძანდეთ. თქვენც ხომ სწორედ ეს გინდოდათ!

ჰარი უხმოდ შეტრიალდა და პირდაპირ ღია კარში შევიდა. დიდი დარბაზი, რომელშიც ოთხი გრძელი მაგიდა იდგა კლუბებისთვის და ერთიც – დარბაზის თავში – მასწავლებლებისთვის, ჩვეულებისამებრ, ჰაერში მოლივლივე სანთლებით მოერთოთ. მათი ციმციმა შუქი თეფშებზე ირეკლებოდა. ჰარი ყველაფერს ბუნდოვნად ხედავდა. მან ისე სწრაფად გაიარა დარბაზი, რომ ჰაფლეპაფის მაგიდას მანამდე გასცდა, სანამ იქ მსხდომები თვალს შეასწრებდნენ. ჰარიმ უკვე დაინახა რონი და ჰერმიონი, მათკენ გაეშურა და მეგობრებს შორის ჩაეკვეხა.

– სად იყავი... ვაიმე, სახეზე რა დაგემართა? – რონმა დანარჩენებივით შეაჭყიტა თვალები ჰარის.

– რა იყო, რამე მჭირს? – ჰარიმ ხელი დაავლო კოვზს და თვალებმოწკურულმა შეათვალიერა თავისი დაბრეცილი გამოსახულება.



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სისხლითა ხარ მოთხვრილი! – უთხრა ჰერმიონმა, – აქეთ მოიხედე...

ჰერმიონმა ჯადოსნური ჯოხი ასწია, წარმოთქვა: „ტერგეიო!“ – და ჰარის სახეზე შემხმარი სისხლი უკვალოდ გაუქრო.

– გმადლობ, – ჰარიმ იგრძნო, რომ სახე გაუსუფთავდა, – ცხვირი როგორა მაქვს?

– ნორმალურად, – აღელდა ჰერმიონი, – აბა, როგორ უნდა გქონდეს? ჰარი, რა მოხდა? შიშისგან კინაღამ დავიხოცეთ!

– მოგვიანებით მოგიყვებით! – მოკლედ მოუჭრა ჰარიმ, რადგან შეამჩნია, რომ ჯინი, ნევილი, დინი და სიმუსი სმენად იყვნენ ქცეულნი, გრიფინდორის მოჩვენება, თითქმის უთავო ნიკიც კი მოფარფატდა ყურის საგდებად.

– კი, მაგრამ... – დაიწყო ჰერმიონმა.

– ახლა არა, ჰერმიონ, – მრავალმნიშვნელოვნად უთხრა ჰარიმ. იმედი ჰქონდა, იქნება იფიქრონ, რომ რამე საგმირო საქმემ შემაყოვნაო, რომელშიც, ერთი-ორი „სიკვდილის მხვრელი“ და დემენტორიც იქნებოდა გარეული. რა თქმა უნდა, მალფოი ამ ამბავს მაინც ქვეყანას მოსდებდა, მაგრამ იმის შანსი მაინც რჩებოდა, რომ ყველა გრიფინდორელის ყურამდე ვერ მიაღწევდა.

ჰარი რონის მხარეს გადასწვდა ქათმის ბარკლებსა და შემწვარ კარტოფილს, მაგრამ აღება ვერ მოასწრო, ისინი გაქრა და მათი ადგილი დესერტებმა დაიკავა.

– განაწილებაც გამოტოვე, – უთხრა ჰერმიონმა. ამასობაში რონი შოკოლადის ნამცხვარს დააცხრა.

– ქუდმა რამე საინტერესო თქვა? – იკითხა ჰარიმ და ბადაგმოსხმული ღვეზელი ჩაკბიჩა.

– ახალი არაფერი... ყველას გვირჩია, საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანდითო.

– დამბლდორს ვოლდემორი სულ არ უხსენებია?

– ჯერ არა, მაგრამ სიტყვის თქმას ხომ ნადიმის ბოლოსთვის ინახავს ხოლმე? უკვე დროა, მალე გამოვა.

– სნეიპმა თქვა, ჰაგრიდმა ნადიმზე დააგვიანაო...

– შენ რა, სნეიპი ნახე? სად ნახე? – ჰკითხა რონმა და ნამცხვრით გამოიტენა პირი.

– შევეჩეხე, – პასუხს თავი აარიდა ჰარიმ.

– ჰაგრიდმა სულ რამდენიმე წუთით დააგვიანა, – უთხრა ჰერმიონმა, – ნახე, ხელს გიქნევს, ჰარი.

ჰარიმ მასწავლებლების მაგიდისკენ გაიხედა და ჰაგრიდს გაულიმა, ის მართლაც უქნევდა ხელს. ჰაგრიდს ჯერაც ვერ მოეხერხებინა,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მასწავლებელივით დარბაისლურად მოქცეულიყო, ვთქვათ, ისე, როგორც გრიფინდორის თავმჯდომარე პროფესორი მაკგონაგელი, რომელიც ახლა ჰაგრიდის გვერდით იჯდა და ქუდის წვერით მხრამდეც ვერ სწვდებოდა მას. მაკგონაგელმა უკმაყოფილოდ ახედა ჰაგრიდს და ტუჩები მოწკურა. ჰარი გააოცა ჰაგრიდის მეორე მხარეს მჯდარი მისნობის მასწავლებლის – პროფესორ ტრელოუნის დანახვამ. ტრელოუნი იშვიათად გამოდიოდა კოშკში მდებარე თავისი ოთახიდან და სწავლის დაწყების აღსანიშნავ ბანკეტზე ჰარის ის ადრე არასოდეს ენახა. ბრჭყვიალა მძივებასხმული, გრძელ შალში გახვეული და სათვალისგან უსაშველოდ გადიდებულთვალებიანი ტრელოუნი, როგორც ყოველთვის, ახლაც უცნაურად გამოიყურებოდა. ჰარი მას ყოველთვის თაღლითად თვლიდა, ამიტომ, გასული წლის ბოლოს თავზარი დასცა იმის აღმოჩენამ, რომ სწორედ ტრელოუნის წინასწარმეტყველებამ უბიძგა ვოლდემორს, ჰარის მშობლები დაეხოცა და თვითონ ჰარისაც დასხმოდა თავს. ამის შეტყობის შემდეგ ბიჭს სულ დაეკარგა მასთან შეხვედრის სურვილი. მაგრამ, საბედნიეროდ, წელს მისნობას არ გადიოდა. პროფესორმა შუქურასებური თვალებით ჰარის მიაპყრო მზერა, ჰარიმ სასწრაფოდ მოარიდა თვალი და სლიზერინელების მაგიდისკენ გაიხედა. დრაკო მალფოი ცხვირის გატეხის სცენას თამაშობდა სიცილ-ხორხოცისა და ტაშის თანხლებით. ჰარიმ ბადაგმოსხმული ღვეზელი გამწარებით ჩაკბიჩა და სიბრაზისგან გულ-მუცელი აეწვა. რას არ მისცემდა, რომ მას და მალფოის მარტოებს ეჩხუბათ...

– რა უნდოდა სლაგჰორნს? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– აინტერესებდა, სინამდვილეში რა მოხდა სამინისტროში, – უპასუხა ჰარიმ.

– ეგ ყველას აინტერესებს, – ზიზღით დაიფრუტუნა ჰერმიონმა, – მატარებელში შეკითხვებით აგვავსეს, არა, რონ?

– ჰო, – კვერი დაუკრა რონმა, – ყველას უნდოდა, გაეგო, მართლა „რჩეული“ ხარ თუ არა...

– ამ საკითხმა მოჩვენებებშიც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, – შეაწყვეტინა თითქმის უთავო ნიკმა და კისერზე წკიპზე შერჩენილი თავი მიუახლოვა ჰარის. თავი სახიფათოდ შეყანყალდა ფუშ-ფუშა საყელოზე, – მე პოტერთან დაახლოებულ პირად ვითვლები. ჩვენი მეგობრობა ხომ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მაგრამ მე მოჩვენებათა საზოგადოებას განვუცხადე, არ ვაპირებ, ჰარი პოტერს ინფორმაცია დავტყუო-მეთქი. ჰარი პოტერმა იცის, რომ შეუძლია, სრული ნდობა გამომიცხადოს, მირჩევნია, მოვკვდე, ვიდრე მისი ნდობა დავკარგო-მეთქი.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, შენ ხომ ისედაც მკვდარი ხარ, – შენიშნა რონმა.

– შენ ბლაგვ ცულზე უარესი ხარ, – განაწყენდა თითქმის უთავო ნიკი, ჰაერში აიწია და გრიფინდორის მაგიდის ბოლოში გასრიალდა. სწორედ ამ დროს პედაგოგთა მაგიდასთან დამბლდორი წამოდგა. დარბაზში ლაპარაკი და სიცილი იმწამსვე მიწყდა.

– საღამო მშვიდობისა! – გულითადად გაიღიმა დამბლდორმა და მკლავები ისე ფართოდ გაშალა, თითქოს მთელი დარბაზის გულში ჩაკვრას აპირებსო.

– ხელზე რა დაემართა? – აღმოხდა ჰერმიონს.

მის გარდა სხვებმაც შეამჩნიეს. დამბლდორს მარჯვენა ხელი ისეთივე შავი და უსიცოცხლო ჰქონდა, როგორიც იმ ღამეს, როცა ჰარის დერსლებთან მიაკითხა.

დარბაზს ჩურჩულმა გადაურბინა. დამბლდორი მიხვდა სტუდენტების აწრიალების მიზეზს, უბრალოდ გაიღიმა, მეწამულ-ოქროსფერი სახელო დაშავებულ ხელზე ჩამოიწია და უდარდელად თქვა:

– საგანგაშო არაფერია. მაშ, ასე, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, პირველკურსელებო. კეთილი იყოს თქვენი დაბრუნება, ძველო მოსწავლეებო! წინ მორიგი ჯადოსნური სასწავლო წელი გელით...

– ხელი ისეთივე აქვს, როგორიც მაშინ, ამ ზაფხულს რომ ვნახე, – უჩურჩულა ჰარიმ ჰერმიონს, – მეგონა, აქამდე მოირჩენდა ან მადამ პომფრი მაინც უწამლებდა.

– ხელი თითქოს გამხმარი აქვს, – შეწუხდა ჰერმიონი, – ზოგი ტრავმა არ იკურნება... მაგალითად, ძველი წყევლები... და არსებობს შხამები, რომელთა საწინააღმდეგო საშუალებები არ მოიპოვება...

– და ბატონმა ფილჩმა, ჩვენმა დარაჯმა, მთხოვა, შეგახსენოთ, რომ სკოლაში სასტიკად იკრძალება მაღაზია „უისლების ჯადოსნურ ოინებში“ შეძენილი ნებისმიერი სათამაშოს შემოტანა. ქვიდიჩის ნაკრებში თამაშის მსურველები, როგორც ყოველთვის, კლუბის თავმჯდომარესთან უნდა ჩაეწერონ. ასევე ვეძებთ ქვიდიჩის ახალ კომენტატორს, რომლის კანდიდატებმაც, ანალოგიურად, კლუბის თავმჯდომარეს უნდა მიმართონ. ახლა კი სიამოვნებით წარმოგიდგენთ ახალ პედაგოგს, პროფესორ სლაგჰორნს, – სლაგჰორნი წამოდგა. მელოტი თავი სანთლის შუქზე ულაპლაპებდა. ჟილეტით დაფარული უშველებელი ღიპი მაგიდაზე ჩრდილს ფენდა, – ჩემს ყოფილ კოლეგას, რომელიც დიდსულოვნად დამთანხმდა, შხამწამლების მასწავლებლის პოსტს დაჰბრუნებოდა.

– შხამ-წამლების?

– შხამ-წამლების?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამ სიტყვამ მთელ დარბაზს გადაურბინა. მოსწავლეები ყურებს არ უჯერებდნენ.

– შხამ-წამლების? – ერთდროულად გაიმეორეს რონმა და ჰერმიონმა და ჰარის მიუბრუნდნენ: – მაგრამ შენ ხომ...

– პროფესორი სნეიპი კი, – ხმას აუწია დამბლდორმა და დარბაზში ამტყდარი ჩოჩქოლი გადაფარა, – ბნელი ძალებისგან თავდაცვის მასწავლებლის ადგილს დაიკავებს.

– არა! – ისე ხმამაღლა შესძახა ჰარიმ, რომ ბევრმა მისკენ მიიხედა. ჰარის ეს სულ არ ანაღვლებდა, გამწარებული გასცქეროდა პედაგოგების მაგიდას. როგორ შეიძლებოდა, სნეიპს ბნელი ძალებისგან თავდაცვის მასწავლებლის პოსტი მიეღო იმის შემდეგ, რაც მოხდა? განა წლების მანძილზე საყოველთაოდ არ იყო ცნობილი, რომ დაბლდორი მას ამ ადგილს არ ანდობდა?

– კი მაგრამ, ჰარი, შენ არა თქვი, სლაგჰორნმა ბნელი ძალებისგან თავდაცვა უნდა გვასწავლოსო? – გაოცებული იყო ჰერმიონი.

– მეც ასე მეგონა! – თავი იმართლა ჰარიმ და გონება მოიკრიბა, სცადა, გაეხსენებინა, როდის ჰქონდა ამაზე საუბარი დამბლდორთან, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ვერაფრით გაიხსენა, რომ დირექტორს ოდესმე მისთვის ეთქვას, რა საგანი უნდა ესწავლებინა სლაგჰორნს.

დამბლდორის მარჯვნივ მჯდარი სნეიპი თავისი სახელის ხსენებაზე არ ამდგარა, მხოლოდ ზანტად ასწია ხელი სლიზერინელების ტაშის საპასუხოდ, მაგრამ ჰარი მზად იყო, დაეფიცა, რომ მის საძულველ სახეზე გამარჯვებული კაცის გამომეტყველება შეამჩნია.

– სანუგეშო ერთი ისა გვაქვს, რომ ამ წლის ბოლოს სამუდამოდ მოვიშორებთ თავიდან, – გაცხარებით თქვა ჰარიმ.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა რონმა.

– ეგ ადგილი მოჯადოებულია. ერთ წელზე მეტხანს ვერც ერთმა ვერ გაძლო... ქვირელი მაგ პოსტზე დაიღუპა კიდეც. მე პირადად ძალიან გამიხარდება, თუ კიდევ ერთი ადამიანი მოკვდება მაგ პოსტზე ყოფნისას...

– გაჩუმდი, ჰარი! – საყვედურით შესძახა ელდანაკრავმა ჰერმიონმა.

– შეიძლება, გაისად ისევ შხამ-წამლების სწავლებას მიუბრუნდეს, – ბრძნულად თქვა რონმა, – ის ტიპი, სლაგჰორნი, ალბათ დიდხანს არც აპირებს დარჩენას, მუდი ხომ არ დარჩა. დამბლდორმა ყელი ჩაიწმინდა. მთელი დარბაზი ზუზუნს მოეცვა. ის ამბავი, რომ სნეიპმა, ბოლოს და ბოლოს, აისრულა სანუკვარი ოცნება, გახურებული მსჯელობის საგნად ქცეულიყო. დამბლდორი, თითქოს ვერც კი ამჩნევდა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მის მიერ გამოცხადებული ამბის სენსაციურობას, ამ საკითხს მეტად აღარ შეხებია. რამდენიმე წამით შეიცადა, რათა სრული სიჩუმე ჩამ-ოვარდნილიყო, და განაგრძო:

– ყველას მოგეხსენებათ, რომ ლორდი ვოლდემორი და მისი მიმ-დევრები კვლავ თავისუფლები არიან და ძალას იკრებენ. დარბაზში დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარიმ მალფოის გახედა. მალფოი დამბლდორს არ უყურებდა, ჩანგალს ჯადოსნური ჯოხით ჰაერში ატრიალებდა, თითქოს დირექტორის სიტყვები ყურადღების ღირსად არ მიაჩნდა.

– მე მინდა, განსაკუთრებულად გავუსვა ხაზი იმას, რამდენად საშიშია დღევანდელი მდგომარეობა, რამდენად მნიშვნელოვანია ის, რომ უსაფრთხოების დაცვას თითოეულმა ჩვენგანმა უდიდესი ყურადღება დაუთმოს. ციხე-კოშკის ჯადოსნური დაცვა ზაფხულში გავაძლიერეთ, ამჯერად ახალი და უფრო ძლიერი მაგიური საშუ-ალებები გვიცავს, მაგრამ მაინც ფხიზლად უნდა ვუდარაჯოთ ნებისმიერი მოსწავლის ან მასწავლებლის მხრიდან გამოჩენილ დაუდევრობას. ამიტომ მოგიწოდებთ, რომ დაემორჩილოთ ნების-მიერ შეზღუდვას, რომელიც, შესაძლოა, თქვენმა მასწავლებლებმა დაგიწესონ, რამდენად მიუღებელიც უნდა იყოს ისინი თქვენთ-ვის... განსაკუთრებული სიფრთხილე ღამის საათებში გამოიჩინეთ, ვახშმის შემდეგ საერთო ოთახში შებრძანდით და დერეფნებში ნუ იხეტიალებთ, საძინებლებიდან არ გამოხვიდეთ. გთხოვთ, თუ რამე უცნაურს ან საეჭვოს შეამჩნევთ ციხე-კოშკის შიგნით ან გარეთ, მაშინვე მოახსენოთ რომელიმე მასწავლებელს. ეჭვი არ მეპარება, რომ გულისყურით მოეკიდებით თქვენსა და სხვების უსაფრთხოე-ბას.

დამბლდორმა დარბაზს თვალი მოავლო და ისევ გაიღიმა.

– მაგრამ ახლა საწოლები გელით, ისეთი თბილი და მყუდრო, რომ უკეთესს ალბათ ვერც ინატრებდით. ვიცი, ახლა მხოლოდ ერთი სურვილი გაქვთ: ხვალინდელ გაკვეთილებამდე კარგად გამოიძინოთ. ამიტომ, მოდით, ღამე მშვიდობისა ვუსურვოთ ერთმანეთს. აბა, ყოჩაღად.

ასობით მოსწავლე სკამების ჩვეული გამაყრუებელი რახარუხით წამოიშალა და დიდი დარბაზიდან თავიანთი საძინებლებისკენ გას-წია. ჰარი სულაც არ ჩქარობდა, არ უნდოდა, ბრბოში გარეულიყო, რომ თვალებდაჭყეტილებს არ ეცქირათ მისთვის, ან შემთხვევით მალფოის გვერდით არ აღმოჩენილიყო და მისთვის ცხვირის გატეხის ამბის სახალხოდ მოყოლის საშუალება არ მიეცა. ვითომ კედზე თას-მის შესაკრავად უკან ჩამორჩა და გრიფინდორელების უმეტესობა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაატარა. ჰერმიონი პრეფექტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა – პირველკურსელებს შეუძახა და საძინებლებისკენ წაასხა. რონი კი დარჩა და ჰარის მიუბრუნდა:

– მაინც რა მოგივიდა ცხვირზე? – ხმადაბლა ჰკითხა, როცა დარბაზის კარს მიმწყდარ ბრბოს ბოლოში მოექცნენ და მათი საუბარი არავის ყურთასმენას არ მისწვდებოდა.

ჰარიმ ყველაფერი უამბო. რონს არ გაუცინია, პირიქით, დაბღვერილმა ჩაილაპარაკა:

– ჰო, მეც მოვკარი თვალი, რომ მალფოი იმანჭებოდა და ცხვირზე ხელს იკიდებდა.

– ჰო, კაი, არა უშავს, – მწარედ თქვა ჰარიმ, – მისმინე, იცი, რა თქვა, სანამ აღმომაჩენდა?

ჰარი ელოდა, რომ რონს მეხივით დაატყდებოდა თავს მალფოის ტრაბახი, მაგრამ რონზე ამას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, რაც, ჰარის აზრით, გაუგონარი სიჯიუტე იყო.

– კარგი ერთი, ჰარი, უბრალოდ, თავს იწონებდა პარკინსონთან... აბა, მაგ უმაქნისს რა მისიას დააკისრებდა ჩვენ-რომ-ვიცით, ის?

– რატომ გგონია, რომ ვოლდემორს ჰოგვორტსში აგენტი არ სჭირდება? ეს არ იქნებოდა პირველი...

– ნეტავ, როდის მოიშლი იმისი სახელის ხსენებას, ჰარი, – საყვედურნარევი ხმა მოესმათ. ჰარიმ უკან მიიხედა და დაინახა, რომ ჰაგრიდი უკმაყოფილოდ აქნევდა თავს.

– დამბლდორი ამბობს მაგ სახელს, – გაჯიუტდა ჰარი.

– ჰო, მარა ის ხო დამბლდორია, – იდუმალი ხმით თქვა ჰაგრიდმა, – რატო დააგვიანე, ჰარი? ვინერვიულე.

– მატარებელში შევყოვნდი. შენ რატომღა დააგვიანე?

– გრაუპთან ვიყავი, – გამხიარულდა ჰაგრიდი, – დრო გამეპარა. ახლა მთებში ახალი სახლი აქვს, დამბლდორმა მოუწყო. მშვენიერი, დიდი გამოქვაბულია. იქ უფრო კარგადაა, ვიდრე ტყეში. ისე კარგად ვიჭორავეთ.

– მართლა? – ჰარიმ განზრახ აარიდა თვალი რონს. ბოლოს, როცა ჰაგრიდის ნახევარძმას, ხეების ძირფესვიანად ამოთხრის მოყვარულ გააფთრებულ გოლიათს შეხვდა, მისი სიტყვათა მარაგი მხოლოდ ხუთი სიტყვისაგან შედგებოდა, რომელთაგან ორს სწორადაც კი ვერ წარმოთქვამდა.

– ჰო, რაღაცეები მართლა გამოსდის, – ამაყად თქვა ჰაგრიდმა, – გაგიკვირდებათ. მინდა, განათლება მივცე და ჩემ თანაშემწედ ავიყვანო.

რონმა ხმამაღლა ჩაიფრუტუნა, მაგრამ სწრაფადვე ისე მოაჩვენა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი, ვითომ ცხვირს აცემინებდა. ისინი უკვე მუხის მთავარ კართან იდგნენ.

– მოკლედ, ხვალე გნახავთ, პირველი გაკვეთილი გვაქვს ლანჩის შემდეგ. ადრე მოდით, რომ ბაკ... უფრო სწორად, ვიზერვინგსი ინახულოთ!

ბიჭებს ხელის ქნევით მხიარულად დაემშვიდობა და მთავარი კარიდან სიბნელეში გაუჩინარდა.

ჰარიმ და რონმა ერთმანეთს გადახედეს. ჰარიმ შეატყო, რომ რონსაც მასავით დაუმძიმდა გული.

– წელს ჯადოსნური არსებების მოვლის საგანს არ გადიხარ, არა?

რონმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

– არც შენ?

ჰარიმაც გააქნია თავი.

– და არც ჰერმიონი? – ჰკითხა რონმა.

ჰარიმ მეორედ გააქნია თავი და იგრძნო, რომ სულაც არ უნდოდა ეფიქრა იმაზე, თუ რას იტყოდა ჰაგრიდი, როცა აღმოაჩენდა, რომ მისმა საყვარელმა სამმა მოსწავლემ მისი საგანი მიატოვა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

# თავი მეცხრე

# ნახევარპრინცი

მეორე დილას ჰარი, რონი და ჰერმიონი საუზმის დაწყებამდე საერთო ოთახში შეხვდნენ ერთმანეთს. იმის იმედით, რომ თავისი თეორიის მხარდამჭერს იპოვიდა, ჰარის დრო აღარ დაუკარგავს და ჰერმიონს მაშინვე უამბო, რა მოისმინა მალფოისგან ჰოგვორტსის ექსპრესში.

– აშკარად პარკინსონთან იწონებდა თავს, არა? – სწრაფად ჩაურთო რონმა, სანამ ჰერმიონი რამეს იტყოდა.

– რა ვიცი, – ორჭოფულად დაიწყო ჰერმიონმა, – რა ვიცი... მალფოის კი უყვარს ბაქიბუქი... მაგრამ ამისთანა ტყუილი?!

– მართალია, – გაუხარდა ჰარის, მაგრამ ამ თემას ვეღარ ჩაულრმავდა, რადგან მათ ირგვლივ მყოფი სტუდენტები მარტო თვალებდაჭყეტილები კი არა, ყურებდაცქვეტილებიც იყვნენ და მათ საუბარს უსმენდნენ.

– თითის გაშვერა უზრდელობაა, – დაუცაცხანა რონმა მოცუცქნულ პირველკურსელს, როცა პორტრეტის ხვრელში გასაძრომად რიგში ჩადგნენ. ის მეგობარ ბიჭუნას ჰარიზე რაღაცას ებუტბუტებოდა, რონის შენიშვნაზე ჭარხალივით გაწითლდა და შეშინებული გადავარდა ხვრელიდან. რონმა კმაყოფილებით ჩაიცინა.

– რა კარგია მეექვსეკურსელობა. თან წელს ბევრად მეტი თავისუფალი დრო გამოგვიყვეს. შეგვიძლია, ფეხი ფეხზე გადავიდოთ და განცხრომას მივეცეთ.

– ეს დრო სამეცადინოდ გამოგვიყვეს, რონ! – შეახსენა ჰერმიონმა. ხვრელში გადაძვრნენ და დერეფანს გაუყვნენ.

– ჰო, მაგრამ დღეს არა, – გადაჭრით თქვა რონმა, – დღეს ვისვენებთ!

– დაიცა! – ჰერმიონმა ერთი მეოთხეკურსელი შეაჩერა, რომელსაც


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხელში ფოსფორისფერი დისკო ჩაებღუჯა და ბრბოში გასხლტომას ცდილობდა, – ეშვებიანი მფრინავი თეფშები აკრძალულია, აბა, მომეცი! – უბრძანა მკაცრად. ცხვირჩამოშვებულმა ბიჭმა აღრენილი მფრინავი თეფში გადასცა, ჰერმიონის მკლავქვეშ გაძვრა და თავისი მეგობრებისკენ მოუსვა. რონმა შეიცადა, სანამ ბიჭი თვალს მიეფარებოდა და მფრინავი თეფში ჰერმიონს ხელიდან გამოსტაცა.

– გადასარევია, ყოველთვის მინდოდა, ერთი ასეთი მფრინავი თეფში მქონოდა.

ჰერმიონის პროტესტი ხმამაღალმა კისკისმა გადაფარა. როგორც ჩანდა, ლევენდერ ბრაუნს რონის ნათქვამი ძალიან სასაცილო ეჩვენა; სიცილით ჩაუარა რონს და ზურგს უკან კეკლუცად გამოხედა. რონი ნეტარებისგან გაიბღინძა.

დიდი დარბაზის უძირო ცისფერ ჭერზე თხელი ღრუბლის ქულები მიმოფანტულიყო, სწორედ ასეთივე ცის ნაკუწები მოჩანდა მაღალი გადატიხრული ფანჯრებიდან. სანამ ფაფას, კვერცხსა და ბეკონს შეექცეოდნენ, ჰარიმ და რონმა ჰერმიონს წინა საღამოს ჰაგრიდთან გამართული საუბრის შინაარსი გადასცეს.

– რამ აფიქრებინა, რომ „ჯადოსნური არსებების მოვლას“ წელსაც გავაგრძელებდით! – შეწუხდა ჰერმიონი, – როდის გამოგვიხატავს რომელიმეს... ისა... ენთუზიაზმი?

– ჰო, მაგრამ, – რონმა მთლიანად გადასანსლა ერბოკვერცხი, – მის გაკვეთილებზე ჩვენ ყველაზე მეტად ვაქტიურობდით, რადგან ჰაგრიდი გვიყვარდა. იმას კი ეგონა, რომ მისი უაზრო საგანიც მოგვწონდა. როგორ ფიქრობთ, საერთოდ, ვინმე აირჩევს მაგ საგანს **ᲙᲐᲢᲐ**-ს ეტაპზე?

ჰარიმ და ჰერმიონმა არაფერი უპასუხეს. არც იყო საჭირო. მშვენივრად იცოდნენ, რომ მათ კურსზე ჯადოსნური არსებების მოვლის შესწავლას არავინ მოისურვებდა. ათ წუთში მასწავლებლების მაგიდიდან წამომდგარი მეტყევის მხიარულ ხელის ქნევას თვალი აარიდეს.

საუზმის შემდეგ ყველანი პროფესორ მაკგონაგელის სუფრიდან ადგომას დაელოდნენ. გაკვეთილების ცხრილის დარიგება წელს ჩვეულებრივზე უფრო რთულად მიმდინარეობდა, რადგან პროფესორ მაკგონაგელს ჯერ უნდა შეემოწმებინა, **ᲑᲣᲐ**-ში ყველას ჰქონდა თუ არა მიღებული **ᲙᲐᲢᲐ**-ს ეტაპზე მათ მიერ არჩეული საგნების შესასწავლად საჭირო ქულები.

ჰერმიონმა წამში მიიღო უფლება შელოცვების, ბნელი ძალებისგან თავდაცვის, ტრანსფიგურაციის, ჰერბოლოგიის, არითმანტიის, უძველესი რუნული დამწერლობისა და შხამ-წამლების კურსი გაე-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გრძელებინა, ამიტომ დრო აღარ დაკარგა და ზედმეტი ლაპარაკის გარეშე მოკურცხლა უძველესი რუნული დამწერლობის პირველ გაკვეთილზე. ნევილმა უფრო დიდი დრო წაიღო. მრგვალ სახეზე შეშფოთება დაეტყო, როდესაც პროფესორმა მაკგონაგელმა მის მიერ შეტანილ განცხადებას დახედა და შემდეგ მისი **ბუა**-ს გამოცდის ქულები გადაამოწმა.

– ჰერბოლოგიაში კარგადა გაქვთ საქმე, პროფესორ სპრაუტს გაუხარდება, **ბუა**-ს „შესანიშნავი" შეფასებით რომ დაუბრუნდებით. ბნელი ძალებისგან თავდაცვაზეც დაიშვებით „მოსალოდნელზე მაღალით". მაგრამ პრობლება ტრანსფიგურაციაა. ვწუხვარ, ლონგბოტომ, მაგრამ „დამაკმაყოფილებელი" არ არის საკმარისი **კატა**-ს დონეზე გადასასვლელად. არა მგონია, ამ კურსზე სწავლა შეძლოთ.

ნევილმა თავი ჩაქინდრა. პროფესორი მას ოთხკუთხა სათვალიდან დააცქერდა.

– რატომ გადაწყვიტეთ, მაინცდამაინც ტრანსფიგურაციის გაგრძელება? არასოდეს დამრჩენია შთაბეჭდილება, რომ ეს საგანი გიყვარდათ.

ნევილმა საცოდავად წაილუღლუღა: ბებიაჩემს უნდაო, თუ რაღაც ამდაგვარი.

– ჰმ, – ჩაიფრუტუნა პროფესორმა მაკგონაგელმა, – დროა, ბებიათქვენმა შეიგნოს, რომ უნდა იამაყოს ისეთი შვილიშვილით, როგორიც ჰყავს და თავი დაანებოს იმაზე ოცნებას, თუ როგორს ისურვებდა. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც სამინისტროში მოხდა.

ნევილს სახეზე ალმური მოედო და დაბნეულმა აახამხამა თვალები. პროფესორ მაკგონაგელს მისთვის კომპლიმენტი ადრე არასდროს უთქვამს.

– ვწუხვარ, ლონგბოტომ, მაგრამ ჩემს საგანზე **კატა**-ს ეტაპზე ვერ დაგიშვებთ. როგორც ვხედავ, შელოცვებში „მოსალოდნელზე მაღალი" მიგიღიათ, რატომ არ გინდათ, ამ საგანში მოსინჯოთ ძალები?

– ბებიაჩემი ამბობს, შელოცვები სუსტი არჩევანიაო, – ჩაიბუტბუტა ნევილმა.

– აირჩიეთ შელოცვები, – ურჩია პროფესორმა მაკგონაგელმა, – მე კი აუცილებლად მივწერ ავგუსტას და შევახსენებ, რომ, რადგან თვითონ ჩაიჭრა შელოცვებში **ბუა**-ს გამოცდაზე, ამით ამ საგანს ღირსება არ დაუკარგავს, – მაკგონაგელს ჩაეღიმა, როცა ნევილს სახეზე ფარული სიხარული შეამჩნია, ცარიელ ცხრილს ჯადოსნური ჯოხის წვერი შეახო და ახალი გაკვეთილების განრიგით შევსებული გადასცა ნევილს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პროფესორი მაკგონაგელი ახლა პარვატი პეტილს მიუბრუნდა, მან კი პირველად ის იკითხა, სიმპათიური კენტავრი, ფლორენცია, კიდევ თუ ასწავლის მისნობასო.

– ის და პროფესორი ტრელოუნი წელს საათებს გაიყოფენ, – უკმაყოფილება გაერია ხმაში პროფესორ მაკგონაგელს; ყველამ კარგად უწყოდა, რომ მას მისნობის საგანი ჭირივით სძულდა, – მეექვსე კურსი პროფესორმა ტრელოუნიმ აიყვანა. ცოტათი ნირწამხდარი პარვატი ხუთ წუთში მისნობაზე გაეშურა.

– ჰოო, პოტერ, პოტერ, – პროფესორმა მაკგონაგელმა თავის ჩანაწერებს ჩახედა და ჰარის მიუბრუნდა: – შელოცვები, ბნელი ძალებისგან თავდაცვა, ჰერბოლოგია, ტრანსფიგურაცია... ეს ყველაფერი კარგი. უნდა აღვნიშნო, რომ კმაყოფილი ვარ ტრანსფიგურაციაში თქვენი ნიშნით, პოტერ, ძალიან კმაყოფილი. ახლა ის მითხარით, რატომ არ მოითხოვეთ შხამ-წამლების საგანი? მეგონა, თქვენი მიზანი აურორობა იყო.

– იყო, მაგრამ, თქვენ არ მითხარით, რომ **ბუა**-ში აუცილებლად „შესანიშნავი“ უნდა მიმეღო, პროფესორო?

– უნდა მიგეღოთ, სანამ ამ საგანს პროფესორი სნეიპი გასწავლიდათ. მაგრამ პროფესორ სლაგჰორნს სტუდენტის „მოსალოდნელზე მაღალი“ **ბუა** სრულიად აკმაყოფილებს. მაშ, გაქვთ სურვილი, შხამების შესწავლა გააგრძელოთ?

– დიახ, – უპასუხა ჰარიმ, – მაგრამ არც წიგნები, არც ინგრედიენტები და, საერთოდ, არაფერი მიყიდია...

– დარწმუნებული ვარ, პროფესორი სლაგჰორნი დროებით რამეს გათხოვებთ, – დაამშვიდა პროფესორმა მაკგონაგელმა, – ძალიან კარგი, პოტერ, აი, თქვენი ცხრილი. ჰო, სხვათა შორის... ოცი მსურველი უკვე ჩაეწერა გრიფინდორის ქვიდიჩის გუნდში მოსახვედრად. სიას თავის დროზე მოგაწვდით და შესარჩევი ვარჯიში თქვენთვის სასურველ დროს დანიშნეთ.

რამდენიმე წუთში ცხადი გახდა, რომ რონიც იმავე საგნებს ისწავლიდა, რომლებსაც – ჰარი, და ორივე ერთად წამოდგა სუფრიდან.

– ნახე, – გახალისებული რონი ცხრილს ჩაჰკირკიტებდა, – ახლა „ფანჯარა“ გვაქვს... შესვენების მერეც... და ლანჩის მერეც... გადასარევია!

საერთო ოთახში დაბრუნდნენ. იქაურობა თითქმის ცარიელი დახვდათ, თუ არ ჩავთვლით ექვსიოდე მეშვიდეკურსელს, მათ შორის – ქეითი ბეილს. ის იყო ერთადერთი შემორჩენილი წევრი იმ თავდაპირველი გრიფინდორის ქვიდიჩის გუნდიდან, რომელშიც ჰარი პირველ კურსზე მიიღეს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ასეც ვიცოდი, რომ მაგას შენ მიიღებდი, ყოჩაღ, – გამოსძახა ქეითიმ და ჰარის მკერდზე მიბნეულ კაპიტნის ნიშანზე ანიშნა, – წინასწარ შემატყობინე, შერჩევას როდის ჩაატარებ!

– ნუ სულელობ, – უთხრა ჰარიმ, – შენ არ დაგჭირდება შესარჩევ ვარჯიშში მონაწილეობა, ხუთი წელია, შენს თამაშს ვუყურებ...

– ასე არ უნდა დაიწყო, – გააფრთხილა ქეითიმ, – მჯობზე მჯობი არ დაილევა. ბევრი კარგი გუნდი წახდენილა, რადგან კაპიტნები ძველ მოთამაშეებს ათამაშებდნენ ან გუნდში თავიანთ მეგობრებს იღებდნენ...

რონი უხერხულად შეიშმუშნა და ჰერმიონის მიერ მეოთხეკურსელისათვის ჩამორთმეული ეშვებიანი მფრინავი თეფშით შეუდგა თამაშს. თეფშმა ოთახს ზუზუნით შემოუფრინა, გზადაგზა იღრინებოდა და გობელენის წაკბენაც სცადა. ბო ყვითელ თვალებს არ აშორებდა მას და თეფშის ყოველ მიახლოებაზე უკმაყოფილოდ კრუტუნებდა.

ერთ საათში მზით განათებული საერთო ოთახიდან უხალისოდ გავიდნენ და ოთხი სართულით დაბლა მდებარე ბნელი ძალებისგან თავდაცვის საკლასო ოთახში გადაინაცვლეს. ჰერმიონი უკვე გარეთ, დერეფანში გაჭიმულ რიგში იდგა, იღლიაში მძიმე წიგნები ამოეჩარა და გაწამებული იერი ჰქონდა.

– იმდენი საშინაო დავალება მოგვცეს რუნებში, – შეფიქრიანებულმა წაიწუწუნა ბიჭების დანახვაზე, – ორმოცი სანტიმეტრის სიგრძის თემა, ორი თარგმანი და თან ოთხშაბათისთვის ამის წაკითხვაც უნდა მოვასწრო!

– ცუდია, – დაამთქნარა რონმა.

– ჯერ სადა ხართ, – ვერ ისვენებდა ჰერმიონი, – ნახავთ, სნეიპიც რამდენს მოგვაყრის.

ამ სიტყვებზე საკლასო ოთახის კარი გაიღო და დერეფანში სნეიპი გამოვიდა, მოყვითალო ფერის სახეს, როგორც ყოველთვის, გარს ჩარჩოსავით ევლებოდა გაზინტლული შავი თმა. დერეფანში იმწამსვე სიჩუმე ჩამოვარდა.

– შემობრძანდით, – თქვა სნეიპმა.

ჰარიმ შესვლისთანავე მიმოიხედა. ოთახს უკვე დასტყობოდა სნეიპის ხელი. უწინდელზე უფრო პირქუში იყო, რადგან ფანჯრებზე ფარდები ჩამოეფარებინათ და მხოლოდ სანთლის შუქიღა ანათებდა. კედლებს ახალი სურათები ამშვენებდა, ბევრ მათგანზე ტკივილისაგან აგონიაში მყოფი ადამიანები იყვნენ გამოსახულნი, ამაზრზენი იარები და სხეულის უცნაურად დეფორმირებული ნაწილები უჩანდათ. ხმა არავის ამოუღია, მერხებს მიუსხდნენ და ეს საზარელი სურათები მოათვალიერეს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე თქვენთვის არ მითხოვია, წიგნები ამოიღეთ-მეთქი, – შენიშნა სნეიპმა, კარი დახურა და თავის მაგიდასთან დადგა. ჰერმიონმა საჩქაროდ ჩაუძახა თავის „ამოუცნობის პირისპირს“ ჩანთაში და ჩანთა სკამის ქვეშ შეტენა, – მინდა, გაგესაუბროთ და თქვენგან სრულ ყურადღებას ვითხოვ.

სნეიპმა შავი თვალები მოავლო მისკენ მიქცეულ სახეებს და წამის მეასედით მეტხანს შეაჩერა მზერა ჰარიზე.

– თუ არ ვცდები, ამ საგანში ხუთი მასწავლებელი გამოიცვალეთ, არა?

„ჰმ, „თუ არ ვცდები“... თითქოს ყველას მოსვლასა და წასვლას არ შეესწარი და არ გინდოდა, რომ შემდეგი შენ ყოფილიყავი“, – ზიზღით გაიფიქრა ჰარიმ.

– რასაკვირველია, ყველა მასწავლებელს სწავლების საკუთარი მეთოდი და პრიორიტეტები გააჩნდა. ამ ქაოტური სიტუაციიდან გამომდინარე, გაოცებული ვარ, რომ ამ საგანში **ბუა**-ს მიღება ასე ბევრმა მოახერხეთ. კიდევ უფრო გამიკვირდება, თუ ყველანი გაართმევთ თავს **კატა**-ს ეტაპის მასალას, რომელიც ბევრად უფრო გართულებული იქნება.

სნეიპმა ხმას დაუწია და საკლასო ოთახის კედელს გაუყვა. მოსწავლეები კისერწაგრძელებულები ადევნებდნენ თვალს.

– ბნელი ძალები ბევრია, მრავალგვარი, მარადცვალებადი და მუდმივი. მათთან ბრძოლა მრავალთავიან ურჩხულთან ბრძოლასა ჰგავს, რომელსაც ყოველი მოჭრილი თავის ნაცვლად უფრო მძვინვარე და გონიერი თავი ამოსდის. ებრძვი იმას, რაც არაერთსახოვანი, გარდაქმნადი და უძლეველია.

ჰარი გაოცებული უყურებდა სნეიპს. ერთია, პატივი სცე ბნელ ძალებს, როგორც საშიშ მტერს, მაგრამ სულ სხვაა, მათზე ასე სიყვარულით ილაპარაკო, როგორც სნეიპი ლაპარაკობდა.

– შესაბამისად, – ხმა აიმაღლა სნეიპმა, – თქვენი თავდაცვის უნარიც ისეთივე მოქნილი და მარჯვე უნდა იყოს, როგორიც ის ძალებია, რომელთა განადგურებასაც ესწრაფვით. ეს სურათები, – მან რამდენიმე მათგანზე ანიშნა, რომელთაც ის იყო, ჩაუარა, – ნათლად ასახავს, თუ რა ემართება მათ, ვინც ემსხვერპლება, მაგალითად, „კრუციატუსის წყევლას“ (სნეიპმა ხელით ანიშნა ჯადოქარი ქალისკენ, რომელიც ტკივილისაგან იკლაკნებოდა და გაჰკიოდა), „დემენტორის კოცნას“ (თვალგაშტერებული ჯადოქარი კაცი კედელთან მოკუნტული ეგდო) ან „ინფერიუსის აგრესიას“ (მიწაზე სისხლიანი აზელილი მასა მოჩანდა).

– ესე იგი, ინფერიუსები ბოლო დროს მართლა გამოჩნდნენ? –


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაწვრილებული ხმით იკითხა პარვატი პეტილმა, – რა დაადგინეს, მართლა იყენებს ის მათ?

– ბნელ ბატონს წარსულშიც არაერთხელ უსარგებლია ინფერიუსებით, აქედან – ლოგიკური დასკვნა: ვერაფერი დაუშლის, ისევ გამოიყენოს. ახლა კი... – სნეიპი შავი მანტიის ფრიალით გაემართა თავისი მაგიდისკენ და კლასმა ისევ გააყოლა თვალი.

– თქვენ ალბათ ჯერ არ გაგივლიათ უსიტყვო შელოცვები. რა უპირატესობა აქვს უსიტყვო შელოცვას?

ჰერმიონის ხელი ჰაერში აიჭრა. სნეიპი შეყოვნდა, ჯერ მთელი კლასი მოათვალიერა და როცა დარწმუნდა, რომ სხვა არჩევანი არ ჰქონდა, უკმეხად მიმართა გოგონას:

– დიახ, გისმენთ, მის გრეინჯერ.

– მოწინააღმდეგეს გაფრთხილება არ ეძლევა იმის შესახებ, თუ რა შელოცვის მოვლენას უპირებ, – ჩამოარაკრაკა ჰერმიონმა, – რაც წამიერ უპირატესობას განიჭებს.

– პასუხი სიტყვასიტყვით გადმოღებულია მეექვსე კურსის სტანდარტული შელოცვების სახელმძღვანელოდან, – ირონიულად დაასკვნა სნეიპმა (შორეულ კუთხეში მალფოიმ ჩაიფხუკუნა), – მაგრამ, არსებითად, სწორია. დიახ, ისინი, ვინც დაეუფლებიან ჯადოქრობას ხმამაღალი შელოცვის გარეშე, შელოცვისას მოულოდნელობის ეფექტს შეიძენენ. ამის ძალა ყველა ჯადოქარს არ შესწევს, ეს კონცენტრაციისა და გონებრივი შესაძლებლობების საკითხია, რაც ბევრს, – ბოროტი მზერა ერთხელაც შეაჩერა ჰარიზე, – აკლია.

ჰარი მიხვდა, რომ სნეიპი გასული წლის ოკლუმენციის წარუმატებელ გაკვეთილებს გულისხმობდა. ჰარიმ არაფრის დიდებით არ დახარა თვალები, გაბრაზებული ჯიქურ მიაჩერდა სნეიპს, სანამ მან თავად არ მოარიდა მზერა.

– თქვენ ახლა წყვილებად დაიყოფით, – განაგრძო სნეიპმა, – ერთი პარტნიორი შეეცდება, მეორეს უსიტყვოდ შეულოცოს! მეორე კი შეეცდება, ასევე მდუმარედ მოიგერიოს შელოცვა. დაიწყეთ.

სნეიპმა არ იცოდა, რომ გასული წელს ჰარიმ ფარის ჯადო ლამის ნახევარ კლასს (ყველას, ვინც **და**-ს წევრი იყო) ასწავლა. მაგრამ ამ ჯადოს უსიტყვოდ მოვლენა არც ერთ მათგანს არ შეეძლო. დავალების შესრულებისას თვალშისაცემმა თაღლითობამ იჩინა თავი: უმეტესობა ხმამაღლა არ გამოთქვამდა მაგიურ ფორმულებს, სამაგიეროდ, ჩურჩულით ამბობდა მათ. როგორც მოსალოდნელი იყო, სულ რაღაც ათ წუთში ჰერმიონმა, ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ისე მოახერხა ნევილის წალულლულებული ფეხ-ფაფა შელოცვის მოგერიება. ასეთი წარმატება გრიფინდორს ნებისმიერი ნორმალური მასწავლებ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლისგან ოც ქულას მაინც მოუტანდაო, – მწარედ გაიფიქრა ჰარიმ, მაგრამ სნეიპმა სრულიად უგულებელყო ჰერმიონის წარმატება, მეცადინეობაში გართულ მოსწავლეებს შორის ვეება ღამურასავით მიმოდიოდა. ბოლოს ჰარისა და რონთან შეჩერდა, რომლებიც დავალებას ეჯახირებოდნენ.

რონს, რომელსაც ჰარი უნდა მოეჯადოებინა, სახე ასჭარხლებოდა და ტუჩები მაგრად მოეკუმა, რომ შელოცვის დაჩურჩულების ცდუნებისათვის გაეძლო. ჯადოსნურ ჯოხმომარჯვებული ჰარი თავდასხმის მოლოდინში ეკლებზე იჯდა, მაგრამ, როგორც ჩანდა, სულ ამაოდ.

– არ ვარგა, უისლი, – ჩაერია სნეიპი, – აი, გიჩვენებთ... მან ჯადოსნური ჯოხი ჰარისკენ ისე სწრაფად მიმართა, რომ ბიჭს სულ დაავიწყდა უსიტყვო შელოცვა და ინსტინქტური რეაქციით, მთელი ხმით შეჰყვირა:

– პროტეგო!

მისი ფარის ჯადო იმდენად ძლიერი იყო, რომ სნეიპს წონასწორობა დააკარგვინა და მერხს მიანარცხა. ხმაურზე მთელმა კლასმა მოიხედა. სნეიპი წარბშეკრული გაიმართა წელში.

– მგონი, გითხარით, მდუმარე შელოცვებში ვმეცადინეობთ-მეთქი...

– დიახ, – ცივად მიუგო ჰარიმ.

– დიახ, სერ!

– არ არის აუცილებელი, „სერ“ დამიძახოთ, პროფესორო, – დაუფიქრებლად წამოსცდა ჰარის.

რამდენიმე მოსწავლემ, მათ შორის, ჰერმიონმაც, ამოიგმინა, თუმცა სნეიპის უკან მდგარმა რონმა, დინმა და სიმუსმა მოწონებით ჩაიღიმეს.

– დამატებითი სამუშაო შაბათ საღამოს ჩემს კაბინეტში! – ბრძანა სნეიპმა, – მე თავხედობას არავის ვაპატიებ, პოტერ, თვით „რჩეულსაც“ კი.

– ბრწყინვალე იყო, ჰარი! – ჩაიფხუკუნა რონმა ცოტა ხნის შემდეგ, როცა შესვენების ზარი დაირეკა და სამშვიდობოს დაიგულეს თავი.

– ეს ნამდვილად არ უნდა გეთქვა, – შუბლშეკრულმა ჰერმიონმა რონს გადახედა, – რამ გათქმევინა?

– შეიძლება ვერ შეამჩნიე, მაგრამ ჩემს გონებაში აპირებდა შეჭრას! – აენთო ჰარი, – ისედაც ყელში ამომიყვანა ეს ყველაფერი შარშან ოკლუმენციის გაკვეთილებზე! ახლა სხვა ამოირჩიოს საცდელ ბაჭიად! მაინც რას ფიქრობს დამბლდორი, თავდაცვის სწავლების უფლებას რომ აძლევს? გაიგეთ, როგორ ლაპარაკობდა ბნელ ძალებზე?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გიჟდება მათზე! „ამ არაერთსახოვან, გარდაქმნად და უძლეველ რამეებზე...“

– მე კი მომეჩვენა, რომ შენსავით ლაპარაკობდა, – ჩაურთო ჰერმიონმა.

– ჩემსავით?

– ჰო, გახსოვს, როცა გვიხსნიდი, რას ნიშნავდა ვოლდემორის პირისპირ დგომა. შენ თქვი, შელოცვების დაზუთხვა ვერაფერს გიშველით, მთავარი თქვენი საზრიანობა და გამბედაობაა. სნეიპიც ამას არ ამბობდა? საქმესაქმეზე რომ მიდგება, სიმამაცე და სხარტი გონება თუ გიშველითო.

იმ ფაქტმა, რომ ჰერმიონმა მისი სიტყვები სტანდარტული შელოცვების სახელმძღვანელოდან ამოკითხული წესივით დაიმახსოვრა, ჰარი ისე განაიარაღა, რომ აღარ შეჰკამათებია.

– ჰარი, ეი, ჰარი!

ჰარიმ უკან მიიხედა. მისკენ გასული წლის გრიფინდორის ქვიდიჩის გუნდის ერთ-ერთი ბიტერი, ჯეკ სლოუპერი მოიჩქაროდა. ხელში ეტრატის დახვეული გრაგნილი ეჭირა.

– ეს – შენ, – სული ძლივს მოითქვა სლოუპერმა, – მისმინე, გავიგე, რომ კაპიტნად დაგნიშნეს. როდის ატარებ შესარჩევ ვარჯიშს?

– ჯერ არ გადამიწყვეტია, შეგატყობინებ, – უთხრა ჰარიმ და გულში გაიფიქრა, სლოუპერს გუნდში დაბრუნების დიდი იმედი არ უნდა ჰქონდესო.

– აჰა, კარგი. იმედია, ამ შაბათ-კვირას ჩაატარებ...

მაგრამ ჰარი აღარ უსმენდა. პერგამენტზე წვრილი, დახრილი ხელწერა ეცნო. სლოუპერს სათქმელის დამთავრება არც კი აცალა, ისე გასწია რონისა და ჰერმიონისკენ. გზად ეტრატი გაშალა და წაიკითხა:

„ძვირფასო ჰარი!

მინდა, ყერძი გაუვეთილები ამ შაბათს დავიწყოთ. თუ შეიძლება, ჩემს ყაბინეტში რვა საათზე მოდი. იმედია, სასწავლო წლის პირველმა დღემ ყარგად ჩაიარა.

პატივისცემით,

ალბუს დამბლდორი

P.S. მე მიყვარს მჟავიანი საწუწნი ყანფეტები“.

– მჟავიანი საწუწნი კანფეტები უყვარს? – შეცბუნებული რონი ჰარის მხარზემოდან დააცქერდა ბარათს.

– ეს პაროლია, რომ ქვის ურჩხულმა გამატაროს, – ხმადაბლა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აუხსნა ჰარიმ, – ჰმ! სნეიპი გაგიჟდება... მის დამატებით სამუშაოს ვერ შევასრულებ!

ჰარი, რონი და ჰერმიონი მთელი შესვენების განმავლობაში თავს იმტვრევდნენ, რა უნდა ესწავლებინა დამბლდორს ჰარისთვის. რონისთვის რომ გეკითხათ, ალბათ ისეთ ეფექტურ შელოცვებსა და ჯადოებს შეასწავლიდა, რომლებიც „სიკვდილის მხვრელებსაც" კი არ დაესიზმრებოდათ. ჰერმიონი შეედავა, ეს უკანონოაო, და საკუთარი მოსაზრება გამოთქვა: უფრო მოსალოდნელია, რომ უმაღლესი თავდაცვითი მაგია შეგასწავლოსო. შესვენების შემდეგ ჰერმიონი არითმანტიის გაკვეთილზე გაიქცა, ჰარი და რონი კი საერთო ოთახში დაბრუნდნენ და ბუზღუნით ჩაუსხდნენ სნეიპის დავალებას. დავალება ისეთი რთული აღმოჩნდა, რომ ჯერაც არ დაესრულებინათ, როცა ჰერმიონი დაბრუნდა ლანჩის შემდეგ „ფანჯარაზე" (გოგონამ მათი საქმე საგრძნობლად წინ წასწია). ის-ის იყო, დავალებას ბოლო მოუღეს, რომ შუადღის შხამ-წამლების ორი გაკვეთილის ზარიც დაირეკა, ადგნენ და ნაცნობ გზას ჩაუყვნენ მიწისქვეშა ჯურღმულისაკენ, რომელიც ასე დიდხანს ეკუთვნოდა სნეიპს.

დერეფანში ჩასვლისთანავე ნახეს, რომ ათიოდე კაცი თუ გადასულიყო **კატა**-ს ეტაპზე. კრაბსა და გოილს **ბუა**-ში საჭირო ქულა აშკარად ვერ დაეგროვებინათ, მაგრამ ოთხი სლიზერინელი, მალფოის ჩათვლით, **კატა**-ზე დაეშვათ. მათ გარდა, აქ იყო ოთხი რეივენქლოელი და ერთი ჰაფლეპაფელი ერნი მაკმილანი, რომელიც, მიუხედავად მისი მედიდური მანერებისა, ჰარის მაინც მოსწონდა.

– ჰარი, – გაბლენძილმა ერნიმ ჰარის ხელი ჩამოართვა, – ამ დილას ბნელი ძალებისგან თავდაცვის გაკვეთილზე ვეღარ დაგელაპარაკე. ჩემი აზრით, კარგი გაკვეთილი იყო, მაგრამ ფარის ჯადო ხომ უკვე მოძველდა, რა თქმა უნდა, ჩვენთვის, **და**-ს წევრებისთვის: ჩვენ ხომ უკვე გავიარეთ შარშან **და**-ს შეკრებებზე... თქვენ როგორ ხართ, რონ... ჰერმიონ?

ძლივს მოასწრეს, ეთქვათ, „კარგადო", რომ სარდაფის კარი გაიღო და სლაგჰორნის ღიპი გამოჩნდა. როდესაც ყველანი შელაგდნენ საკლასო ოთახში, პროფესორმა ისე გაიღიმა, ტუჩს ზემოთ ვეება ლომვეშაპისებური ულვაში აეპრიხა. პროფესორი ჰარისა და ზაბინის გამორჩეული ენთუზიაზმით მიესალმა.

სარდაფი საკმაოდ უჩვეულოდ იყო სავსე ორთქლითა და ნაირნაირი უცნაური სუნით. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ცნობისმოყვარედ იყნოსეს ჰაერი დიდ, მოთუხთუხე ქვაბებს რომ ჩაუარეს. ოთხივე სლიზერინელი ერთად მიუსხდა მაგიდას.

რეივენქლოელებიც ერთად დასხდნენ. ამის გამო ჰარი, რონი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ჰერმიონი ერნისთან ერთად შემოუსხდნენ ოქროსფერ ქვაბს, რომლიდანაც ალბათ ყველაზე დამათრობელი სურნელი იღვრებოდა, როგორც კი ჰარის ოდესმე ეყნოსა: ეს სურნელი რატომღაც ერთდროულად აგონებდა ბადაგმოსხმული ღვეზელის, ცოცხის ხის ტარისა და კიდევ რაღაც ყვავილის სუნს, რომელმაც „ბუნაგი“ გაახსენა. ჰარი ძალიან ნელა, ღრმად სუნთქავდა და ნაყენის ორთქლი თითქოს სასმისივით ავსებდა მას. საოცარი კმაყოფილება დაეუფლა და რონს გაულიმა. პასუხად რონმაც ზანტად გაულიმა.

– აბა, აბა, აბა, სასწორები და სამუშაო იარაღები ამოიღეთ და არ დაგავიწყდეთ „ურთულესი შხამ-წამლების“ სახელმძღვანელო... – სლაგჰორნის მასიური ფიგურა ბუნდოვნად ჩანდა ოთახში დაგუბებულ ფერად ნისლში.

– სერ, – ხელი ასწია ჰარიმ.

– ჰარი! გისმენ, ჩემო ბიჭო.

– მე არც წიგნი მაქვს, არც სასწორი. მოკლედ, არაფერი არა მაქვს. არც რონს. ჩვენ გვეგონა, ვერ გადავიდოდით **კატა**-ზე და...

– ااا, დიახ, პროფესორმა მაკგონაგელმა გამაფრთხილა. არა უშავს, ჩემო კარგო ბიჭო, არა უშავს. შეგიძლიათ, დღეს განჯინიდან გამოიღოთ ინგრედიენტები, სასწორებსაც გათხოვებთ და ძველი წიგნების პატარა მარაგიცა გვაქვს. დროებით გამოგადგებათ, სანამ „ფლორიშ ენდ ბლოტსს“ შეუკვეთთ...

სლაგჰორნი ოთახის კუთხეში მოთავსებულ განჯინასთან მივიდა, იქაურობა მოჩხრიკა, ლიბატიუს ბორაჯის გაქუცული „ურთულესი შხამ-წამლები“ გამოიღო და ორ დალაქავებულ სასწორთან ერთად გადასცა ჰარისა და რონს.

– ახლა კი, – სლაგჰორნი კვლავ კლასის წინ დადგა და ისედაც გამობერილი მკერდი ისე გამობერა, ჟილეტზე კინაღამ ღილები დააწყდა, – მე რამდენიმე ნაყენი მოგიმზადეთ, ისე, თვალსაჩინოებისათვის. მათი დამზადება **კატა**-ს კურსის დამთავრების შემდეგ უნდა შეგეძლოთ. ჯერჯერობით კი, თუ არასოდეს დაგიმზადებიათ, მათ შესახებ გაგონილი მაინც გექნებათ. რომელიმეს შეგიძლიათ, მითხრათ, ეს რა მიქსტურაა?

მან სლიზერინელების მაგიდასთან ახლოს ერთ-ერთ ქვაბზე ანიშნა. ჰარი ოდნავ წამოიწია სკამიდან და დაინახა, რომ ქვაბში სუფთა წყალივით რაღაცა დულდა.

ჰერმიონის გაწაფულმა ხელმა სხვებს დაასწრო და ჰაერში აიჭრა. სლაგჰორნმა მისკენ თითი გაიშვირა.

– ეს ვერიტაზერუმია, უფერო, უსუნო სითხე, რომელიც დამლევს სიმართლის თქმას აიძულებს, – უპასუხა ჰერმიონმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ყოჩაღ, ყოჩაღ! – კმაყოფილი დარჩა სლაგჰორნი, – აბა, – ახლა რეივენქლოს მაგიდასთან დადგმულ ქვაბზე მიუთითა, – ეს უკვე საკმაოდ ცნობილია... სამინისტროს ბუკლეტებზეც კი დაუთმეს ადგილი... ვის შეუძლია...

ჰერმიონმა ისევ დაასწრო ყველას.

– ეს მრავალწვნიანი სასმელია, სერ.

ჰარიმაც იცნო მეორე ქვაბში ზანტად მოთუხთუხე ტალახისებური სითხე, მაგრამ არ სწყენია, სწორი პასუხისათვის ჰერმიონმა რომ დაიმსახურა შექება, ბოლოს და ბოლოს, მეორე კურსზე ხომ მან თავისი ხელით წარმატებით დაამზადა ეს სასმელი.

– შესანიშნავია, შესანიშნავია! აბა, ეს... დიახ, ჩემო კარგო, – სლაგ-ჰორნი ამჯერად ოდნავ შეცბუნდა, როცა ჰერმიონის ხელმა ისევ გააპო ჰაერი.

– ეს ამორტენტიაა!

– დიახ, დიახ, სწორია. ალბათ ზედმეტია, გკითხოთ, იცით თუ არა, როგორ მოქმედებს? – თქვა განცვიფრებულმა სლაგჰორნმა.

– ეს მსოფლიოში ყველაზე ძლიერმოქმედი სიყვარულის ელექსი-რია! – გამოაცხადა ჰერმიონმა.

– სრული სიმართლეა! ალბათ დამახასიათებელი სადაფისფერი ბზინვით იცანით, არა?

– და ორთქლი თავისებურად, სპირალისებურად ასდის, – ენთუ-ზიაზმით ჩამოართვა სიტყვა ჰერმიონმა, – ახლა ყოველ ჩვენგანს სხვადასხვანაირი სუნი უნდა გვცემდეს, იმისდა მიხედვით, თუ რა გვიზიდავს, მაგალითად, მე მცემს ახლად მოთიბული ბალახის სუნი, ახალი პერგამენტის სუნი და...

ჰერმიონს ლოყები ვარდისფრად შეეფაკლა და წინადადება აღარ დაასრულა.

– რა გვარი ხართ, ჩემო კარგო? – სლაგჰორნმა ჰერმიონის დამორ-ცხვებას ყურადღება არ მიაქცია.

– ჰერმიონ გრეინჯერი, სერ.

– გრეინჯერი? გრეინჯერი? თქვენ, შემთხვევით, ნათესავად ხომ არ ერგებით ჰექტორ დაგვორტ-გრეინჯერს, რომელმაც საწამ-ლავების ოსტატთა ერთობ ექსტრაორდინარული საზოგადოება დააარსა?

– არა მგონია, სერ. მე მაგლების ოჯახიდანა ვარ.

ჰარიმ შეამჩნია, რომ მალფოი ნოტისკენ გადაიხარა და რაღაცა უჩურჩულა. ორივემ ჩაიცინა. მაგრამ სლაგჰორნი არ დაბნეულა, პირიქით, სახე გაუბრწყინდა და ჰერმიონისგან მზერა მის გვერდით მჯდარ ჰარიზე გადაიტანა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ოჰო! „ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი მაგლების ოჯახიდანაა და ის საუკეთესო მოსწავლეა ჩვენს კურსზე“! როგორც ვატყობ, ეს ის მეგობარია, რომელზეც ჩვენ ვისაუბრეთ, არა, ჰარი?

– დიახ, სერ, – დაუდასტურა ჰარიმ.

– გასაგებია. მიიღეთ დამსახურებული ოცი ქულა გრიფინდორისთვის, მის გრეინჯერ, – გულთბილად თქვა სლაგჰორნმა.

მალფოის ისეთივე სახე ჰქონდა, როგორც მაშინ, როცა ჰერმიონმა სახეში გაულაწუნა. ჰერმიონი გაბრწყინებული მიუბრუნდა ჰარის:

– მართლა ეგრე უთხარი სლაგჰორნს, რომ კურსზე საუკეთესო ვარ? ო, ჰარი!

– მერე რა, – დაიჩურჩულა რატომღაც გაღიზიანებულმა რონმა, – შენ მართლა საუკეთესო ხარ კურსზე... მეც იმავეს ვეტყოდი, ჩემთვის რომ ეკითხათ!

ჰერმიონმა თბილად გაუღიმა და მაშინვე ანიშნა, გაჩუმდიო, რათა სლაგჰორნის ლაპარაკისთვის დაეგდოთ ყური. რონი მაინც გაღიზიანებული ჩანდა.

– ამორტენტია, რასაკვირველია, სინამდვილეში, სიყვარულს არ აღძრავს. სიყვარულის შექმნა ან იმიტირება შეუძლებელია. არა, ეს, უბრალოდ, ძლიერ მოხიბვლას ან თავბრუდამხვევ გატაცებას გამოიწვევს. ეს ალბათ ყველაზე საშიში და ძლიერი ელექსირია ამ ოთახში... დიახ, დიახ, – სერიოზულად დაუქნია თავი მალფოისა და ნოტს, რომლებმაც სკეპტიკურად ჩაიფხუკუნეს, – ჩემსავით ბევრი რომ გქონდეთ ნანახი ცხოვრებაში, სათანადოდ დააფასებდით თავდავიწყებით სიყვარულის ძალას... ახლა კი, დროა, შევუდგეთ მუშაობას.

– სერ, თქვენ არ გითქვამთ, ის რა სასმელია, – ერნი მაკმილანმა ხელით ანიშნა პატარა შავ ქვაბზე, რომელიც სლაგჰორნის მაგიდაზე იდგა. მასში გამდნარი ოქროს მსგავსი სითხე მხიარულად თუხთუხებდა, ზედაპირზე ოქროს თევზებივით ხტოდა მსხვილი შხეფები, თუმცა ქვაბიდან ერთი წვეთიც არ იღვრებოდა.

– დიახ, – თქვა სლაგჰორნმა. ჰარის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სლაგჰორნს სულაც არ დავიწყებია ეს ნაყენი, მაგრამ დრამატული ეფექტის მოსახდენად ვინმესგან სწორედ ამ შეკითხვის დასმას ელოდა, – დიახ, ქალბატონებო და ბატონებო, ამ მეტისმეტად საინტერესო სასმელს ფელიქს ფელიცისი ჰქვია. როგორც ვხედავ, – ღიმილით მიუბრუნდა ჰერმიონს, რომელსაც სუნთქვა შეეკრა, – თქვენ იცით, რაში გამოიყენება ფელიქს ფელიცისი, არა, მის გრეინჯერ?

– ეს წარმატების ელექსირია, სერ!– აღტაცებით უპასუხა ჰერმიონმა, – ის წარმატებულს გხდის!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მთელი კლასი თითქოს სასხლეტივით მოიმართა. ახლა ჰარი მალ-ფოის ქერა სლიკინათმიან კეფასღა ხედავდა, რადგან, როგორც იქნა, ისიც მთელი გულისყურით მიაჩერდა სლაგჰორნს.

– სწორია, კიდევ ათი ქულა გრიფინდორს. დიახ, ამ საოცარი სასმლის, ფელიქს ფელიცისის, მომზადება ძალიან რთულია და ნებისმიერი შეცდომა შეიძლება საბედისწერო გამოდგეს. მაგრამ, თუ სწორად მოადუღებთ, როგორც, აი, ეს სასმელია მოდუღებული, ნახავთ, რომ თქვენი ყველა მცდელობა წარმატებით დაგვირგვინდე-ბა... ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ ნაყენის მოქმედება გაივლის.

– რატომ არ სვამს ხალხი ამას ყოველთვის, სერ? – ცნობისმოყვა-რედ იკითხა ტერი ბუტმა.

– იმიტომ, რომ გვერდითი მოვლენები აქვს: თავბრუსხვევა, განუსჯელობა და სახიფათო თავდაჯერებულობა, – განუმარტა სლაგჰორნმა, – ზედმეტი არაფერი ვარგა, ხომ იცით... გადაჭარ-ბებული დოზა მომწამვლელია. მაგრამ გამოზომილად და ძალიან იშვიათად თუ მიიღებ...

– თქვენ ოდესმე მიგიღიათ, სერ? – უდიდესი ინტერესით იკითხა მაიკლ კორნერმა.

– ცხოვრებაში – სულ ორჯერ, – აღიარა სლაგჰორნმა, – პირველად – ოცდაოთხი წლისა რომ ვიყავი, და მეორედ – ორმოცდაჩვიდმეტი წლისა. საუზმეზე მიღებული ორი სადილის კოვზი და ორი უბედ-ნიერესი, დაუვიწყარი დღე ჩემს ცხოვრებაში!

თვალი ოცნებით გაუშტერა ერთ წერტილს. გაითამაშა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ კარგად კი გამოუვიდაო, გაიფიქრა ჰარიმ.

– და სწორედ ამას გთავაზობთ ჯილდოდ ამ გაკვეთილზე, – მიწაზე დაბრუნდა სლაგჰორნი.

ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, რომ ქვაბების ბუყბუყი და თუხთუხი გაათ-მაგებულად ისმოდა.

– ერთი პატარა ბოთლი ფელიქს ფელიცისი, – სლაგჰორნმა ჯიბიდან საცობდალუქული ციცქნა მინის ბოთლი ამოაძვრინა და კლასს უჩვენა, – საკმარისია თორმეტსაათიანი წარმატები-სათვის – გათენებიდან დაღამებამდე. და რასაც უნდა მოჰკიდოთ ხელი, ყველაფერს წარმატებით დააგვირგვინებთ. ოღონდ, უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ფელიქს ფელიცისის მიღება აკრძალულია ორგანიზებულ შეჯიბრებებზე... მაგალითად, სპორტულ მატჩებ-ზე, გამოცდებზე ან არჩევნებზე. ე. ი. გამარჯვებულმა მხოლოდ ჩვეულებრივ დღეს უნდა დალიოს... და ნახავთ, ის ჩვეულებრივი დღე რა არაჩვეულებრივად იქცევა! მაშ, ასე, – უცებ გამოცოცხლდა სლაგჰორნი, – როგორ უნდა მოიგოთ ჩემი ზღაპრული ჯილდო?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აბა, გადაშალეთ „ურთულესი შხამ-წამლები“ მეათე გვერდზე. ჩვენ საათზე ცოტა მეტი დრო დაგვრჩა. მე მგონი, მოასწრებთ ცოცხალი სიკვდილის ელექსირის მოდუღებას. ვიცი, რომ ასეთ რთულ რამეს ჯერ არ შესჭიდებიხართ და სრულყოფილ მიქსტურას არც არავისგან ველი. მაგრამ ის, ვინც ყველას აჯობებს, ჩემს ჯილდოს დაიმსახურებს. ჰე, დაიწყეთ!

ოთახში ფხაჭუნი და წკარუნი ატყდა, რადგან ყველამ მიიწია ქვაბები და სასწორზე ინგრედიენტების აწონას შეუდგა. ხმას არავინ იღებდა. ირგვლივ საოცარი დაძაბულობა იგრძნობოდა. ჰარიმ დაინახა, რომ მალფოი გამწარებით ფურცლავდა თავის წიგნს. დღესავით ნათელი იყო, რომ ძალიან უნდოდა იმ ერთი წარმატებული დღის ხელში ჩაგდება. ჰარი თვითონაც მკვირცხლად დაიხარა სლაგჰორნის ნათხოვარ გაქუცულ წიგნზე.

მისდა გასაღიზიანებლად, წიგნის წინა მფლობელს მთელი გვერდები გადაეჩხაპნა. წიგნის არშიები ისეთივე გადაჭრელებული იყო, როგორიც ნაბეჭდი ნაწილი. ჰარიმ ცხვირი ლამის წიგნს დაადო, რომ როგორმე ნაბეჭდი გაერჩია (ყოფილ მფლობელს აქაც კი უამრავი შენიშვნა მიეწერა და რაღაც-რაღაცეები გადაეხაზა) და საჭირო ინგრედიენტების მოსაძებნად საჩქაროდ გაეშურა განჯინისაკენ. ისევ ქვაბთან რომ მოირბინა, დაინახა, რომ მალფოი ვალერიანის ფესვებს გამალებით ჭრიდა.

მუშაობისას ყველას ცალი თვალი დანარჩენებისკენ ეჭირა. სწორედ ეს იყო შხამ-წამლების გაკვეთილის ერთდროულად დადებითი და უარყოფითი მხარე: თითქმის შეუძლებელი იყო, სხვებისგან უჩუმრად გეკეთებინა საქმე. ათ წუთში იქაურობა მოცისფრო ორთქლით აივსო. რაღა თქმა უნდა, ჰერმიონი ყველას უსწრებდა. მისი ნაყენი უკვე თითქმის წააგავდა „შავი მოცხარის ფერის ბლანტ სითხეს“, – სწორედ ასე იყო მითითებული სახელმძღვანელოში.

ჰარიმ ფესვების დაკეპვა მოათავა და ისევ წიგნში ჩარგო თავი. მართლაც რომ, ძალიან გამაღიზიანებელი იყო წინა მფლობელის სულელური ნაჯღაბნების ქვეშ მითითებების ამოკითხვა, რომელიც გაურკვეველი მიზეზების გამო არ ეთანხმებოდა სოპოფორის მარცვლების დაქუცმაცების მითითებას და რეცეპტის ქვეშ ალტერნატიული ინსტრუქცია მიეწერა: „დაჭყლიტეთ ვერცხლის დანის ბლაგვი პირით, ასე წვენს უკეთ გამოყოფს, ვიდრე დაჭრისას“.

– სერ, პაპაჩემს, აბრაქსას მალფოის, ხომ არ იცნობდით?

ჰარიმ თავი ასწია. სლაგჰორნმა ის იყო, სლიზერინელების მაგიდასთან გაიარა.

– დიახ, – მალფოისთვის ზედ არ შეუხედავს, ისე უპასუხა სლაგ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰორნმა, – სამწუხაროა, რომ გარდაიცვალა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არც იყო მოულოდნელი, ამ ასაკში დრაკონის ათაშანგი...

და ჩაუარა. ჰარიმ ჩაიცინა და ისევ ქვაბზე დაიხარა. ეტყობა, მალფოი ელოდა, რომ მასაც ჰარისა და ზაბინივით მოეპყრობოდნენ. ალბათ იმის იმედიც კი ჰქონდა, რომ ისეთივე პრივილეგიებით ისარგებლებდა, როგორითაც სნეიპისგან იყო განებივრებული. მაგრამ, როგორც ჩანდა, ფელიქს ფელიციისის ბოთლის მოსაგებად მალფოის მხოლოდ საკუთარი ნიჭის იმედი უნდა ჰქონოდა.

სოპოფორის მარცვლები ძნელად იჭრებოდა. ჰარი ჰერმიონს მიუბრუნდა.

– შეიძლება, შენი ვერცხლის დანა ავიღო?

ჰერმიონმა ისე დაუქნია თავი, თვალი არ მოუშორებია თავისი ქვაბისათვის, რომელშიც სითხე ახლა მუქი მეწამული გამხდარიყო. თუმცა, სახელმძღვანელოს მიხედვით, უკვე უნდა მიეღო ღია იასამნისფერი ელფერი.

ჰარიმ თავისი მარცვლები დანის ბლაგვი პირით დაჭეჭყა. მისდა გასაოცრად, იმდენი წვენი გამოიყო, რომ გაოცდა, ნუთუ ეს გამომხმარი ცერცვი ამდენ სითხეს შეიცავსო. ჰარიმ სასწრაფოდ ჩაასხა წვენი ქვაბში. მისდა გასაკვირად, სითხემ იმწამსვე იასამნისფერი მიიღო, ზუსტად ისე, როგორც სახელმძღვანელოში იყო აღწერილი.

წიგნის ყოფილი მფლობელისადმი უკმაყოფილება უკვალოდ გაუქრა. ჰარიმ თვალები მოწკურა და ინსტრუქციის შემდეგი პუნქტი წაიკითხა. წიგნის მიხედვით, ნაყენისათვის საათის ისრის საპირისპირო მიმართულებით უნდა ერია, სანამ ის წყალივით ანკარა არ გახდებოდა, მაგრამ წინა მფლობელის შესწორების თანახმად, შვიდჯერ საათის ისრის საწინააღმდეგოდ მორევის შემდეგ ერთხელ საათის ისრის მიმართულებით უნდა მოერია. ნუთუ ამჯერადაც სწორი აღმოჩნდებოდა ყოფილი მფლობელი?

ჰარიმ საათის ისრის საპირისპიროდ მოურია, სუნთქვა შეიკრა და ერთხელ საათის ისრის მიმართულებით დაატრიალა კოვზი. ამან შედეგი წამსვე გამოიღო: სითხე ანკარა და ღია ვარდისფერი გახდა.

– როგორ გამოგდის? – ჰკითხა ჰერმიონმა, რომელსაც სახე ასწითლებოდა და თმა ქვაბიდან ავარდნილი ოხშივრის გამო სულ უფრო უფუვდებოდა. მისი სითხე ჯიუტად მეწამული რჩებოდა.

– ერთხელ საათის ისრის მიმართულებით უნდა მოურიო...

– არა, წიგნში წერია, საათის ისრის საწინააღმდეგოდო! – შეაწყვეტინა ჰერმიონმა.

ჰარიმ მხრები აიჩეჩა და თავისი საქმე გააგრძელა. შვიდი მორევა საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით, ერთი კი – საათის


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისრის მიმართულებით, პაუზა... შვიდი მორევა საათის ისრის საპირისპიროდ, ერთი – საათის ისრის მიმართულებით...

მაგიდის მეორე მხარეს რონი ჩურჩულით იგინებოდა. მისი წამალი ბადაგს ჰგავდა. ჰარიმ თვალი მოავლო ოთახს. როგორც ჩანდა, ვერავის წამალი ვერ გაფერმკრთალებულიყო ისე, როგორც მისი. ჰარი გამხნევდა, რაც უწინ ამ ჯურღმულში არასდროს მომხდარა.

– დრო ამოიწურა! – შესძახა სლაგჰორნმა, – გთხოვთ, შეწყვიტოთ მორევა!

სლაგჰორნმა ნელა ჩამოიარა მერხებს შორის, თან ქვაბებში იხედებოდა. კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ ზოგ წამალს მოურია, ზოგი კი დაყნოსა. ბოლოს მიაღწია მაგიდას, რომელსაც ჰარი, რონი, ჰერმიონი და ერნი უსხდნენ. თანაგრძნობით გაიღიმა რონის ქვაბში კუპრივით შავი სითხის დანახვაზე. ერნის მუქლურჯ ნაცოდვილარს გვერდი აუარა. ჰერმიონის ნაყენზე მოწონებით დაიქნია თავი. შემდეგ ჰარისა დაინახა და სახეზე აღტაცება გადაეფინა.

– აი, გამარჯვებულიც! – შესძახა მთელი ჯურღმულის გასაგონად, – შესანიშნავია, შესანიშნავია, ჰარი! ღმერთო ჩემო, აშკარად დედის ნიჭი გამოგყვა. ლილი ნამდვილი ექსპერტი იყო შხამ-წამლებში! ესეც შენ – დაპირებული ერთი ბოთლი ფელიქს ფელიცისი, და ჭკუით მოიხმარე!

ჰარიმ გულის ჯიბეში ჩაიცურა ოქროსფერი სითხით სავსე ციცქნა ბოთლი. ერთდროულად სიხარული მოჰგვარა სლიზერინელების გაცოფებულმა სახეებმა და სინდისის ქენჯნა – ჰერმიონის გულდაწყვეტილმა იერმა. რონს გაოცებისაგან ენა ჩავარდნოდა.

– როგორ მოახერხე? – გადაუჩურჩულა ჰარის, ჯურღმულიდან რომ გამოვიდნენ.

– ალბათ ბედმა გამიღიმა, – უთხრა ჰარიმ, რადგან მალფოი ახლოს იყო და შეიძლებოდა, რამე გაეგო.

მაგრამ, როცა მშვიდობიანად მოკალათდნენ გრიფინდორის მაგიდასთან სასადილოდ, ჰარიმ იფიქრა, რომ უკვე უსაფრთხოდ შეეძლო მათთვის თავისი საიდუმლო გაეზიარებინა. ჰერმიონს მის ყოველ სიტყვაზე სახე სულ უფრო უქვავდებოდა.

– გატყობ, რომ ამას თაღლითობად მითვლი, – დაამთავრა გოგონას გამომეტყველებით გულდამძიმებულმა ჰარიმ.

– დამოუკიდებლად მაინც ხომ არ გაგიკეთებია სამუშაო, – ცივად უთხრა ჰერმიონმა.

– უბრალოდ, ჩვენგან გასხვავებულ ინსტრუქციებს მიჰყვა, – გამოესარჩლა რონი ჰარის, – ამით რა დაშავდა, არ მესმის! ჰარიმ გარისკა და დაუფასდა კიდეც, – რონმა ამოიოხრა, – ხომ შეეძლო


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სლაგჰორნს ის წიგნი ჩემთვის მოეცა, მაგრამ არა, მე მაინცდამაინც ისეთი წიგნი შემხვდა, რომელშიც არაფერი წერია. ორმოცდამეთორმეტე გვერდზე კი, მგონი, ვიღაცას გული არევია...

– მოიცა, – ჩაესმა ჰარის მარცხენა ყურში და უცებ იმ ყვავილის სუნი ეცა, რომელიც სლაგჰორნის ჯურღმულში იყნოსა. ჰარიმ მიიხედა და დაინახა, რომ მათთან ჯინი მისულიყო, – სწორად გავიგე? წიგნში ვიღაცის მიერ ჩაწერილ მითითებებს ასრულებდი, ჰარი?

ჯინი შეშფოთებული და გაბრაზებული ჩანდა. ჰარი მაშინვე მიუხვდა, რაც უტრიალებდა თავში.

– არაფერია, – ხმას დაუწია ჰარიმ, – ეს რიდლის დღიურს არ ჰგავს. უბრალოდ, გადაჯღაბნილი ძველი სახელმძღვანელოა.

– მაგრამ შენ ხომ იმას აკეთებ, რაც ფურცელზეა მიწერილი...

– უბრალოდ, მინდორზე მიწერილი რამდენიმე რჩევა გავითვალისწინე. გულწრფელად გეუბნები, ჯინი, ისეთი არაფერია...

– ჯინი მართალია, – მაშინვე გამოცოცხლდა ჰერმიონი, – უნდა შევამოწმოთ, წიგნს უჩვეულო რამე ხომ არ სჭირს. ვინ იცის, რას მოასწავებს ეს უცნაური ინსტრუქციები!

– ეეე! – აღშფოთდა ჰარი, როცა ჰერმიონმა მისი ჩანთიდან ამოაძრო „ურთულესი შხამ-წამლები“, ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა, ყდაზე ენერგიულად დაჰკრა და წარმოთქვა:

– სპეციალის რეველიო!

მაგრამ არაფერიც არ მომხდარა. ძველი, ჭუჭყიანი და გვერდებჩაკეცილი წიგნი უძრავად იდო.

– მორჩი? – გაღიზიანებით ჰკითხა ჰარიმ, – თუ დაელოდები, სანამ ყირაზე გადავა?

– თითქოს მართლა არაფერი სჭირს, – ჰერმიონი მაინც ეჭვით დასცქეროდა წიგნს, – ჰო, თითქოს... უბრალოდ, სახელმძღვანელოა და მეტი არაფერი...

– კარგი. მაშინ ავიღებ, თუ შეიძლება, – ჰარიმ წიგნი მაგიდიდან აიტაცა, მაგრამ ხელიდან გაუვარდა და იატაკზე დაეცა.

არავის მიუქცევია ყურადღება. ჰარი წიგნის ასაღებად დაიხარა და თვალი მოჰკრა, რომ წიგნის ყდის შიდა მხარეს ვიღაცას რაღაცა მიეწერა ისეთივე ძლივსგასარჩევი, წვრილი ასოებით, როგორითაც ინსტრუქციები იყო მიწერილი და რომელმაც ამჟამად ჩემოდანში, წინდებში საიმედოდ დამალული ფელიქს ფელიცისის ბოთლი მოაგებინა. ყდის შიდა მხარეს ეწერა:

„ეს წიგნი ნახევარპრინცის საკუთრებაა“.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი მეათე

# გონცების სახლი

შხამ-წამლების გაკვეთილებზე ჰარი მთელი კვირის განმავლობაში გულმოდგინედ ასრულებდა ნახევარპრინცის მიერ ჩასწორებულ მითითებებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვეოდა ლიბატიუს ბორაჯის ინსტრუქციებს. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ უკვე მეოთხე გაკვეთილზე ჰარის შესაძლებლობებით აღფრთოვანებულმა სლაგჰორნმა აღნიშნა, შეიძლება ითქვას, ასეთი ნიჭიერი მოსწავლე არასოდეს მყოლიაო. ეს ამბავი არც რონსა და არც ჰერმიონს არ ახარებდა. მართალია, ჰარიმ ამ წიგნით სარგებლობა ორივეს შესთავაზა, მაგრამ რონს მასზე მეტად უჭირდა ხელნაწერის გარჩევა, არადა, ყოველთვის ხომ ვერ სთხოვდა ჰარის, ხმამაღლა წამიკითხეო. ამით შეიძლებოდა, ვინმეში ეჭვი აღეძრათ. ჰერმიონი კი ამასობაში ჯიუტად ცდილობდა, საკუთარი ძალებით, დიდი ოფლის ღვრის ფასად მიჰყოლოდა, როგორც თვითონ უწოდებდა, „ოფიციალურ ინსტრუქციებს“, მაგრამ ეს ინსტრუქციები პრინცისაზე გაცილებით უარეს შედეგს იძლეოდა, რაც უფრო და უფრო აკარგვინებდა მოთმინებას.

გულის სიღრმეში ჰარის ცნობისმოყვარეობა კლავდა, ნეტავ, ვინ არის ნახევარპრინციო, მაგრამ თავსაყრელი საშინაო დავალებით დატვირთულს დრო აღარ რჩებოდა, რომ თავისი „ურთულესი შხამ-წამლები“ მთლიანად გადაეკითხა. თვალის ერთი გადავლებითაც კი ცხადი იყო, რომ წიგნში არ მოიძებნებოდა თუნდაც ერთი გვერდი, რომელიც პრინცს დამატებითი შენიშვნებით არ აეჭრელებინა. ზოგჯერ ეს მითითებები მარტოოდენ შხამ-წამლების მომზადების წესს არ შეეხებოდა. ზოგი მათგანი ძალიან ჰგავდა შელოცვებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ბიჭს თვითონ გამოეგონებინა.

– ან გოგოს, – მოუთმენლად შეედავა ჰერმიონი, რომელმაც შაბათ



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საღამოს საერთო ოთახში ყური მოჰკრა, როგორ უზიარებდა ჰარი თავის მოსაზრებას რონს, – იქნებ გოგო იყო! ჩემი აზრით, ეს ხელნაწერი გოგოს უფრო უნდა ეკუთვნოდეს, ვიდრე ბიჭს.

– ნახევარპრინცი ერქვა, ჰერმიონ. რამდენი გოგო იცი პრინცი? – ჰკითხა ჰარიმ.

ჰერმიონს, ეტყობა, ამაზე პასუხი არ გააჩნდა. ერთი ეგაა, გაიბუსხა და ახლოს მიიწია თავისი თემა – „რემატერიალიზაციის პრინციპები", რადგან რონს კისერი წაეგრძელებინა და თემის უკულმა წაკითხვას ლამობდა.

ჰარიმ მაჯის საათზე დაიხედა და ჩანთაში აჩქარებით ჩაიდო „ურთულესი შხამ-წამლების" ძველისძველი სახელმძღვანელო.

– რვას ხუთი უკლია. წავედი, თორემ დამბლდორთან დამაგვიანდება.

– აუჰ, – აფორიაქდა ჰერმიონი, – აბა, შენ იცი! ჩვენ არ დავწვებით, დაგელოდებით. გვაინტერესებს, რას გასწავლის.

– იმედია, ყველაფერი კარგად იქნება, – დასძინა რონმა და ორივემ თვალი გააყოლა პორტრეტის ხვრელში გადამძვრალ ჰარის.

ჰარი უკაცრიელ დერეფნებს გაუყვა. მოულოდნელად, დერეფნის მოსახვევში პროფესორი ტრელოუნი გამოჩნდა, ამიტომ სასწრაფოდ ამოეფარა ქანდაკებას. ტრელოუნი თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა და ჭუჭყიანი კარტის დასტას ურევდა. ჩანდა, გზადაგზა მკითხაობდა.

– ყვავის ორიანი – კონფლიქტი, – ჩაიჩიფჩიფა სწორედ მაშინ, როცა ქანდაკებას მიუახლოვდა, – ყვავის შვიდიანი: ავის მომასწავებელი ნიშანი. ყვავის ათიანი – ძალადობა. ყვავის ვალეტი – შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი, ალბათ რაღაცით შეშფოთებული, ის, ვისაც არ მოსწონს დაკითხვის მომწყობი...

ანაზდად სწორედ იმ ქანდაკებასთან შედგა, რომლის უკანაც ჰარი იყო შემალული.

– არა, რაღაცაში ვცდები, – გაღიზიანებულმა თქვა და ჰარიმ გაიგონა, რა ენერგიულად აურია კარტი და გზა განაგრძო. წავიდა და დერეფანში ხერესის სუნი დატოვა. ჰარიმ შეიცადა. როცა დარწმუნდა, რომ ტრელოუნი კარგა მანძილზე გასცდა, სწრაფად წავიდა თავისი გზით და მეშვიდე სართულის დერეფანში ერთადერთი ქვის ურჩხულის ქანდაკებასთან შედგა.

– მჟავიანი საწუწნი კანფეტები, – წარმოთქვა პაროლი ჰარიმ. ქვის ურჩხული განზე გახტა, მის უკან კედელმა პირი დააღო და მოძრავი სპირალისებური ქვის კიბე გამოაჩინა. ჰარი კიბემ წრიულად, ესკალატორივით აიყვანა კართან, რომელზეც დასაკაკუნებლად თითბრის პატარა ჩაქუჩი ეკიდა. ეს კარი დამბლდორის კაბინეტისა იყო.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ დააკაკუნა.

– მობრძანდით, – გაისმა დამბლდორის ხმა.

– საღამო მშვიდობისა, სერ, – მიესალმა ჰარი დირექტორს და კაბინეტში შევიდა.

– აა, საღამო მშვიდობისა, ჰარი. დაბრძანდი, – გაუღიმა დამბლდორმა, – იმედია, პირველი კვირა კარგად გაატარე სკოლაში.

– დიახ, გმადლობთ, სერ.

– წარმომიდგენია, როგორი დატვირთული იქნებოდი, უკვე დამატებითი სასჯელის მიღებაც კი მოგისწრია.

– ისა... – უხერხულად დაიწყო ჰარიმ, მაგრამ დამბლდორს მაინცდამაინც მკაცრი გამომეტყველება არ ჰქონდა.

– პროფესორ სნეიპს მოველაპარაკე და დამატებითი სამუშაო მომავალი შაბათისთვის გადაგიდო.

– გასაგებია, – ჰარის ამ წუთებში სნეიპის დამატებით სასჯელზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხები აწუხებდა. თვალი უჩუმრად მოავლო კაბინეტს, იქნებ რამემ მიმანიშნოს, რას მიპირებს ამ საღამოს დამბლდორიო. წრიული კაბინეტი ძველებურად გამოიყურებოდა: დაბრეცილფეხებიან მაგიდებზე მოთავსებული ვერცხლის ნატიფი ხელსაწყოები კვამლის ბოლქვებს აფრქვევდნენ და გუგუნებდნენ; ყოფილი დირექტორების პორტრეტები თავ-თავიანთ ჩარჩოებში თვლემდნენ. დამბლდორის დიდებული ფენიქსი ფოუკსი კი კართან ქანდარაზე შემომჯდარიყო და ჰარის ცნობისმოყვარეობით დასცქეროდა. დამბლდორს ორთაბრძოლაში სავარჯიშოდ ადგილიც კი არ გაეთავისუფლებინა.

– აბა, ჰარი, – საქმიან კილოზე გადავიდა დამბლდორი, – ალბათ გაინტერესებს, რა მაქვს დაგეგმილი ამ, – უფრო შესაფერისი სიტყვა ვერ ვიპოვე, – გაკვეთილებზე, არა?

– დიახ, სერ.

– მაშ, ასე. მე გადავწყვიტე, რომ ახლა, როცა უკვე იცი, რამ უბიძგა ვოლდემორს შენ მოსაკლავად თხუთმეტი წლის წინ, დროა, გარკვეული ინფორმაცია გაგანდო.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

– გასული წლის ბოლოს მითხარით, რომ ყველაფერს მეტყოდით, სერ, – შეახსენა ჰარიმ. გაუჭირდა საყვედურის ტონის შეკავება.

– ასეც მოვიქეცი, – მშვიდად დაუდასტურა დამბლდორმა, – მე უკვე ყველაფერი გითხარი, რაც ვიცოდი. ამ წუთიდან მივატოვებთ უტყუარ ფაქტებს და ერთად გავემგზავრებით მეხსიერებისა და დაუჯერებელი ვარაუდების შავბნელ ჭაობებში. ჰარი, დღეიდან, შეიძლება, მეც ისევე მწარედ შევცდე, როგორც ჰამფრი ბელჩერი,



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ყველის ქვაბის გამოგონების დრო დადგა.

– მაგრამ თქვენ ხომ მიგაჩნიათ, რომ არ ცდებით? – ჰკითხა ჰარიმ.

– რასაკვირველია. მაგრამ, როგორც უკვე დარწმუნდი, სხვებზე არანაკლებ ხშირად ვუშვებ შეცდომებს. ქედმაღლობაში ნუ ჩამომართმევ და, იმის გამო, რომ ზოგიერთებზე უფრო ჭკვიანი ვარ, ჩემ მიერ დაშვებულ შეცდომებსაც, შესაბამისად, უფრო მძიმე შედეგები მოსდევს.

– სერ, – ყოყმანით დაიწყო ჰარიმ, – ის, რის თქმასაც ჩემთვის აპირებთ, რამეთი უკავშირდება წინასწარმეტყველებას? ეს მე დამეხმარება... თავის გადარჩენაში?

– ეს სწორედაც რომ წინასწარმეტყველებას უკავშირდება, – ისე უბრალოდ მიუგო დამბლდორმა, თითქოს ჰარიმ ხვალინდელი ამინდის შესახებ ჰკითხაო, – და, რასაკვირველია, ვიმედოვნებ, რომ თავის გადარჩენაში დაგეხმარება.

დამბლდორი წამოდგა, მაგიდას შემოუარა და ჰარის გასცდა. ჰარი შებრუნდა და დირექტორს ცნობისმოყვარეობით გააყოლა თვალი. დამბლდორი კარის გვერდით, კარადაზე დაიხარა. როდესაც წელში გასწორდა, ხელში ნაცნობი ქვის ბრტყელი ჯამი ეჭირა, კიდის გაყოლებაზე უცნაური სიმბოლოები ჰქონდა ამოტვიფრული. მან საფიქრელა ჰარის წინ, მაგიდაზე დადგა.

– ნერვიულობ?

ჰარი მართლაც ოდნავი შიშით დაჰყურებდა საფიქრელას. მისი უწინდელი შეხვედრა ამ უცნაურ ხელსაწყოსთან, რომელიც ინახავდა და უჩვენებდა ფიქრებსა და მოგონებებს, მართალია, ჭკუის სასწავლებელი იყო, მაგრამ, ამავე დროს, უსიამოვნოც. ბოლოს ამ ჯამის შიგთავსს რომ შეეხო, იმაზე მეტი ნახა, ვიდრე უნდოდა. დამბლდორმა გაიღიმა.

– ამჯერად საფიქრელაში შენ ჩემთან ერთად შეხვალ... და, რაც უფრო უჩვეულოა, ჩემი ნებართვით.

– სად მივდივართ, სერ?

– ბობ ოგდენის მოგონების ბილიკს გავყვებით, – დამბლდორმა ჯიბიდან ბროლის ბოთლი ამოიღო, შიგ მოვერცხლისფრო-მოთეთრო ნივთიერება ბოლქვებად ტრიალებდა.

– ბობ ოგდენი ვინ იყო?

– ჯადოქართა სამართალდამცავ დეპარტამენტში მუშაობდა, – აუხსნა დამბლდორმა, – ამ ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა, მაგრამ მანამდე მე მივაკვლიე და დავიყოლიე, ეს მოგონებები ჩემთვის გაენდო. ჩვენ ახლა მას თან გავყვებით ერთ ოჯახში, სადაც თავისი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად გაემგზავრა. თუ შეიძლება, წამოდექი, ჰარი...

დამბლდორს გაუჭირდა მინის ბოთლიდან საცობის ამოძრობა. დაშავებული ხელი, როგორც ჩანდა, გაჰქვავებოდა და სტკიოდა.

– ხომ არ დაგეხმაროთ, სერ?

– არა უშავს, ჰარი...

დამბლდორმა ბოთლს ჯადოსნური ჯოხი დაუმიზნა და საცობი თავისით ამოძვრა.

– სერ, ხელი როგორ დაიშავეთ? – კვლავ ჰკითხა ჰარიმ და მის გაშავებულ თითებს სიბრალულით შეხედა.

– ახლა ამის მოყოლის დრო არ არის, ჰარი. მოგვიანებით იყოს. ჯერ ბობ ოგდენთან გვაქვს შეხვედრა დანიშნული. დამბლდორმა ბოთლის ვერცხლისფერი შიგთავსი საფიქრელაში ჩაასხა. სითხე დატრიალდა და ალიცლიცდა.

– მიდი, ჰარი, – დამბლდორმა ჰარის ხელით ანიშნა ჯამისკენ.

ჰარი წინ გადაიხარა, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და თავი მოვერცხლისფრო ნივთიერებაში ჩაყო. იგრძნო, რომ ფეხებით კაბინეტის იატაკს მოსწყდა, დაბლა-დაბლა წყვდიადის მორევში ჩეშვა და, აი, უეცრად თვალი კაშკაშა დღის შუქმა მოსჭრა. სანამ სინათლეს თვალს შეაჩვევდა, მის გვერდით დამბლდორიც დაეშვა.

ისინი სოფლის ორღობეში იდგნენ, ორივე მხარეს მაღალი ცოცხალი ღობე მიუყვებოდა. მაღლიდან კესანესფერი მოწმენდილი ზაფხულის ცა დაჰყურებდათ. წინ, მათგან სამიოდე მეტრის მანძილზე, იდგა დაბალი, მსუქანი მამაკაცი უზარმაზარი, სქელმინებიანი სათვალით. იგი გზის მარცხნივ, მაყვლის ბარდებიდან გამოჩრილ ხის სანიშნებელ ბოძზე აბრას კითხულობდა. ჰარი მიხვდა, რომ ეს ოგდენი უნდა ყოფილიყო, რადგან ახლომახლო მის გარდა სულიერი არ ჭაჭანებდა, თანაც ძალზე უგერგილოდ ეცვა. ასე სწორედ იმ გამოუცდელ ჯადოქრებს ემართებოდათ, რომლებიც მაგლების მსგავსად ჩაცმას ცდილობდნენ. ოგდენსაც სერთუკი და გეტრები პირდაპირ ზოლიან საცურაო კოსტუმზე ჩაეცვა. ჰარიმ ძლივს მოასწრო ამ უცნაური აღკაზმულობის შეთვალიერება, რომ ოგდენი მკვირცხლად გაუყვა ორღობეს.

დამბლდორი და ჰარი უკან მიჰყვნენ. ხის აბრას რომ ჩაუარეს, ჰარიმ მის ორ განშტოებას ახედა. ერთ მათგანზე, რომელიც სწორედ იქით მიუთითებდა, საიდანაც მოვიდნენ, ეწერა „გრეიტ-ჰენგლტონი, 8 კმ“. აბრის მეორე განშტოება კი მიანიშნებდა ოგდენისკენ და მასზე ეწერა: „ლიტლ-ჰენგლტონი, 1.6 კმ“.

ერთხანს ისე იარეს, ცოცხალი ღობის ხლართების, ლურჯი ცის


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კაბადონისა და წინ მარდად მიმავალი სერთუკიანი ფიგურის გარდა არაფერი დაუნახავთ. შემდეგ გზამ მარცხნივ გაუხვია და შეწყდა. აქ გორაკიდან ციცაბო ფერდობი ეშვებოდა, ამიტომ მოულოდნელად მთელი სოფელი ხელისგულივით გადაეშალათ თვალწინ. ჰარი ხედავდა ორ ციცაბო გორაკს შორის მოკალათებულ სოფელს, რომელიც უეჭველად ლიტლჰენგლტონი უნდა ყოფილიყო. აქედან კარგად მოჩანდა ეკლესია და სასაფლაო. ველს გადაღმა, მოპირდაპირე მხარეს მდებარე გორაკის ფერდობზე, მემამულის მშვენიერი სახლი წამოჭიმულიყო. გარს ვრცელი მწვანე მდელოები ერტყა.

ოგდენმა დაღმართზე ნაბიჯს აუჩქარა. დამბლდორიც აჩქარდა, ჰარიც შეეცადა, არ ჩამორჩენოდა. ბიჭს ეგონა, ლიტლჰენგლტონში მიდიოდნენ, და იგივე კითხვა დაებადა, რომელიც იმ ღამეს, სლაგჰორნს რომ ესტუმრნენ: დანიშნულების ადგილს ასე შორიდან რატომ ვუახლოვდებითო. მაგრამ მალე აღმოაჩინა, რომ ცდებოდა: სოფლისკენ არ მიდიოდნენ. გზა მარჯვნივ წავიდა და კუთხეში რომ შეუხვიეს, გამორღვეულ ღობეში გაუჩინარებული ოგდენის სერთუკის ბოლოს შეასწრეს თვალი.

დამბლდორმა და ჰარიმაც მარჯვნივ გაუხვიეს და ოგდენს ვიწრო ჭუჭყიან ბილიკზე მიჰყვნენ. ბილიკს აქეთ-იქიდან უფრო მაღალი და გაველურებული ცოცხალი ღობე მიუყვებოდა. ეს მიხვეულ-მოხვეული, ქვაღორღიანი და ოღროჩოღრო გზაც დაბლა ეშვებოდა და შორიახლოს მდებარე ჩამუქებული ხეების ტევრისაკენ მიემართებოდა. ტყეს რომ მიუახლოვდა, ოგდენი გაჩერდა და ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა. დამბლდორი და ჰარი მის უკან შედგნენ.

ცაზე მზე კაშკაშებდა. მიუხედავად ამისა, ტყე ისეთი დაბურული იყო, ჰარიმ მაშინვე ვერ გაარჩია ხეებს უკან ნახევრად მიმალული შენობა. გაუკვირდა, ვილაცას ეს რა უცნაური ადგილი აურჩევია საცხოვრებლად, ან რატომ არავის მოუვიდა თავში აზრად, ეს ხეები მოეჭრა, რომლებიც სინათლესაც აკავებენ და ქვემოთ გადაშლილი ველის ხედსაც ფარავენო. ისიც კი გაიფიქრა, ნეტავ, საერთოდ, ვინმე თუ ცხოვრობს ამ ქოხშიო. კედლებს ხავსი მოსდებოდა, სახურავიდან კი იმდენი კრამიტი ჩამოცვენილიყო, ხის ძელები ჩანდა. ქოხის ირგვლივ ამოსული ჭინჭარი სიმაღლით ლამის გაჭვარტლულ ციცქნა ფანჯრებს სწვდებოდა. ის იყო, ჰარიმ დაასკვნა, შეუძლებელია, აქ ვინმე ცხოვრობდესო, რომ ერთ-ერთი ფანჯარა გაიღო და იქიდან ჭურჭლის წკარუნის ხმა და კვამლისა და ორთქლის წვრილი ნაკადი გამოიჭრა. ჩანდა, ვილაცა სადილს ამზადებდა.

ოგდენი უჩუმრად და, როგორც ჰარის მოეჩვენა, საკმაოდ ფრთხილად დაწინაურდა. ხეების ბნელ ჩრდილქვეშ რომ მოექცა, ისევ შეჩერ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და და წინა კარს შეაცქერდა. ზედ ვიღაცას ლურსმნით მკვდარი გველი მიეჭედებინა.

გაისმა შარიშური, რაღაცამ გაიტკაცუნა, ერთ-ერთი ხიდან ჩამოძონძილმა კაცმა ისკუპა და პირდაპირ ოგდენის წინ დახტა. ოგდენი ისე სწრაფად გადახტა უკან, რომ სერთუკის კალთაზე ფეხი დაიბიჯა და წაიფორხილა.

– აქ არაფერი გესაქმებათ.

მის წინ მდგარ კაცს სქელი თმა ისეთი ჭუჭყიანი ჰქონდა, რომ ფერს ვერ გაარჩევდი. რამდენიმე კბილი აკლდა. წვრილი, მუქი თვალები აცაბაცა გაურბოდა. წესით, ასეთი კაცი სასაცილოდ უნდა მოგჩვენებოდათ, მაგრამ ახლა, პირიქით, შიშის მომგვრელი უფრო იყო. ამიტომ ჰარის არ გაჰკვირვებია, რომ ოგდენმა კიდევ რამდენიმე ნაბიჯით დაიხია უკან.

– ეეე... დილა მშვიდობისა. მე მაგიის სამინისტროდან გახლავართ...

– აქ არაფერი გესაქმებათ.

– მმმმ... უკაცრავად, თქვენი არ მესმის, – ანერვიულდა ოგდენი.

ჰარიმ გაიფიქრა, ოგდენი ალბათ გონებაშეზღუდულია, თორემ როგორ ვერ გაიგო მისი ნათქვამიო. მისი აზრით, დამხვდური საკმაოდ ნათლად გამოხატავდა სათქმელს, მით უმეტეს, რომ ცალ ხელში ჯადოსნური ჯოხი მოემარჯვებინა, მეორეში კი – მოკლე, სისხლიანი დანა.

– ჰარი, შენ ხომ გესმის, რასაც ამბობს? – ჩუმად ჰკითხა დამბლდორმა.

– დიახ, რა თქმა უნდა, – ცოტათი დაიბნა ჰარი, – ოგდენს რატომ არ...

ამ დროს თვალი მოჰკრა კარზე მილურსმულ მკვდარ გველს და მაშინვე მიხვდა:

– პარსულად ლაპარაკობს?

– ყოჩაღ, – თავის ქნევითა და ღიმილით შეაქო დამბლდორმა.

ამასობაში დანითა და ჯადოსნური ჯოხით შეიარაღებული ჩამოძონძილი კაცი მუქარით მიუახლოვდა ოგდენს.

– მოიცადეთ... – დაიწყო ოგდენმა, მაგრამ უკვე გვიანი იყო: ბახ! – და ოგდენი მიწაზე დაენარცხა და ცხვირზე ხელი იტაცა. მის თითებს შუა საზიზღარმა ყვითელმა სითხემ იფეთქა.

– მორფინ! – გაისმა მჭექარე ხმა.

ქოხიდან სწრაფი ნაბიჯით გამოვიდა ხანდაზმული კაცი და ზურგს უკან კარი ისე მიაჯახუნა, რომ მკვდარი გველი საცოდავად აქანავდა. ეს კაცი პირველზე დაბალი, მაგრამ უცნაური აღნაგობისა იყო: ფართო მხრები, საკმაოდ გრძელი ხელები, ჭროღა თვალები,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოკლედ შეჭრილი მეჩხერი თმა და დანაოჭებული სახე მძლავრ, ბებერ მაიმუნს ამსგავსებდა. იგი დანამომარჯვებული კაცის გვერ-დით შედგა, რომელიც მიწაზე გაშხლართულ ოგდენს დაჰყურებდა და გულიანად ხარხარებდა.

– სამინისტროდან, არა? – ასაკოვანმა კაცმა ოგდენს დახედა.

– დიახ, ასეა! – მიუგო გამწარებულმა ოგდენმა და სახე მოიწმინდა, – თქვენ კი, როგორც ვხვდები, ბატონი გონტი ბრძანდებით, არა?

– ასეა, – თქვა გონტმა, – სახეში გხეთქათ, ხომ?

– ჰო, გამარტყა, სახეში გამარტყა! – უპასუხა აღშფოთებულმა ოგდენმა.

– ჯერ უნდა გაგეფრთხილებინეთ. რომ მოდიოდით, რას მოდი-ოდით! – აგრესიულად უთხრა გონტმა, – ეს კერძო საკუთრებაა. რა გეგონათ, შემოისეირნებდით და ჩემი შვილი თავს არ დაიცავდა?

– თავს დაიცავდა? ვისგან? – ოგდენი ძლივს წამოდგა ფეხზე.

– არამკითხე მოამბეების, დაუპატიჟებელი სტუმრების, მაგლებისა და სხვა ნაყარნუყარისაგან.

ოგდენმა ჯადოსნური ჯოხი ცხვირზე მიიშვირა და ყვითელი ჩირ-ქის მსგავსი ნაკადი, რომელიც ღვარად ჩამოსდიოდა სახეზე, უმალვე შეწყდა. ბატონმა გონტმა მორფინს ხმადაბლა გადაულაპარაკა.

– შინ შედი. არ შემეკამათო.

ამჯერად სმენაგამახვილებულმა ჰარიმ ადვილად იცნო პარ-სული ენა. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვებს კარგად არჩევდა, მაინც ესმოდა არაბუნებრივი სისინი; ოგდენს კი მხოლოდ ეს სისინი ესმოდა. მორფინს შეეტყო, რომ შეპასუხება დააპირა, მაგრამ მამა-მისის მუქარით აღსავსე მზერას რომ გადაეყარა, გადაიფიქრა, ქოხისკენ წაძუნძულდა და კარი მიიჯახუნა. გველი ისევ საცოდა-ვად აქანავდა.

– მე აქ თქვენს ვაჟთან სალაპარაკოდ მოვედი, ბატონო გონტ, – აცნობა ოგდენმა, როგორც კი სერთუკს ჩირქის ბოლო ლაქაც გაა-ცალა, – ეს მორფინი იყო, არა?

– ჰო, მორფინი იყო, – გულგრილად დაუდასტურა ბერიკაცმა, – წმინდასისხლიანი ხართ? – შეუტია უცებ.

– ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, – ცივად მიუგო ოგდენმა და ამ სიტყვებით ჰარის თვალში იმწამსვე ამაღლდა. ჰარისაგან გან-სხვავებით, გონტს პასუხი სულაც არ მოეწონა. თვალები მოჭუტა, ოგდენს სახეში ჩააშტერდა და აშკარად შეურაცხმყოფელი ტონით წაიბუტბუტა:

– ახლაღა გამახსენდა, მაგნაირი ცხვირი დაბლა სოფელში ბევრი მინახავს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა გასაკვირია, თუ თქვენი შვილი მათაც მიუსიეთ, – მოუჭრა ოგდენმა, – იქნებ ეს საუბარი სახლში გაგვეგრძელებინა?

– სახლში?

– მე უკვე მოგახსენეთ, რომ აქ მორფინთან სალაპარაკოდ მოვედი. ჩვენ ბუ გამოგიგზავნეთ...

– ბუებს არ ვიღებთ, მე წერილებს არ ვკითხულობ, – აუხსნა გონტმა.

– მაშ, რაღას ჩივით, წინასწარ არ გვაფრთხილებთო, – მკვახედ უთხრა ოგდენმა, – მე ჯადოქართა კანონის სერიოზული დარღვევის გამო ვარ მოსული, სავარაუდოდ, კანონი თქვენმა შვილმა დაარღვია გამთენიისას...

– კარგი, ჰო! ჯანდაბა თქვენს თავს! – დაიღრიალა გონტმა, – შემოდით ამ დაწყევლილ სახლში და ერთი ვნახოთ, რა ჩიტსაც დაიჭერთ!

სახლი სამი მომცრო ოთახისაგან შედგებოდა. მთავარი ოთახიდან, რომელიც სამზარეულოსა და მისაღების ფუნქციას ასრულებდა, ორი კარი გადიოდა. მორფინი ახრჩოლებულ ბუხართან ბინძურ სავარძელში იჯდა, კოტიტა თითებშუა ცოცხალ გველგესლას ატრიალებდა და ხმადაბლა, პარსულად ღიღინებდა:

*სისინა, სისინა ჰაცარა გველუჯავ,*
*ისრიალე იაცაჯზე.*
*მორფინი არ გაჰბრაზო,*
*თორემ მიგაჭედებ ჯარზე.*

ღია ფანჯარასთან რახარუხი ატყდა და ჰარი მიხვდა, რომ ოთახში კიდევ ვიღაც იყო – მართლაც, ფანჯარასთან იდგა გოგონა, რომლის დაკონკილი ნაცრისფერი კაბა ჭუჭყიანი კედლის ფონზე ძლივს გამოირჩეოდა. გოგონა გაჭვარტლულ ღუმელზე შემოდგმული ორთქლავარდნილი ქვაბის გვერდით იდგა და გამურული ქვაბებისა და ტაფების თაროსთან ფათურობდა. თმა გრძელი და უფერული ჰქონდა, სახე – უბრალო, ფერმკრთალი და დაღვრემილი. თვალები ძმასავით აცაბაცა გაურბოდა. მამასა და ძმასთან შედარებით ოდნავ უფრო სუფთად გამოიყურებოდა. ჰარიმ გაიფიქრა, ასეთი დათრგუნული გამომეტყველების ადამიანი ჯერ არ მინახავსო.

– ჩემი გოგო, მეროუპი, – ჩაიბუზღუნა გონტმა, რადგან ოგდენმა ცნობისმოყვარედ გაიხედა გოგონასკენ.

– დილა მშვიდობისა, – მიესალმა ოგდენი.

გოგონამ პასუხი არ გასცა, მამას დამფრთხალმა გადახედა, ოთახს ზურგი შეაქცია და ისევ ქვაბები აარახუნა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ბატონო გონტ, – დაიწყო ოგდენმა, – საქმეზე გადავიდეთ. ჩვენ გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ წუხელ გვიან თქვენმა ვაჟმა მაგლის თანდასწრებით იჯადოქრა.

ოთახი მოულოდნელად ზრიალმა გააყრუა. მეროუპს ქვაბი გაუვარდა ხელიდან.

– აიღე! – დაუღრიალა გონტმა, – ეგრე გინდა, ბინძური მაგლივით იხოხე იატაკზე. ჯადოსნური ჯოხი რისთვისა გაქვს, შე უსაქმურო ნეხვის ტომარავ!

– ბატონო გონტ რას კადრულობთ! – თავზარი დაეცა ოგდენს. წითლად აფორაჯებულმა მეროუპმა კი ქვაბს ხელი სტაცა, მაგრამ შიშით ისევ გაუვარდა. აკანკალებული ხელით ამოიღო ჯიბიდან ჯადოსნური ჯოხი, ქვაბს მიუშვირა და სხაპასხუპით გაუგებრად წაილუღლუღა შელოცვა. ქვაბმა ოთახს გადაუფრინა, კედელს მიენარცხა და შუაზე გადასკდა.

მორფინი გიჟივით ახარხარდა. გონტმა დასჭექა:

– გაამთელე, შე უტვინო, გაამთელე!

მეროუპი ქვაბისკენ წაბორძიკდა, მაგრამ ოგდენმა დაასწრო, ჯადოსნური ჯოხი ასწია და მტკიცედ წარმოთქვა:

– რეპარო!

ქვაბი თვალის დახამხამებაში გამთელდა.

გონტს წამით შეეტყო, რომ დააპირა, ოგდენისთვისაც დაეყვირა, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრა და ისევ თავის ქალიშვილს მისდგა:

– რა კარგია, სამინისტროდან მხსნელი მოგევლინა, არა? იქნებ ჩემგან წაგიყვანოს. იქნებ ბინძური სქვიბები მოსწონს... – მეროუპს არავისთვის შეუხედავს და არც ოგდენისთვის გადაუხდია მადლობა. აკანკალებული ხელებით დასწვდა ქვაბს და თაროზე შემოდო. შემდეგ ბინძურ ფანჯარასა და ქურას შორის დადგა და ზურგით კედელს მიეყრდნო, თითქოს ერთი სული ჰქონდა, ქვის კედელს შეზრდოდა და გაუჩინარებულიყო.

– ბატონო გონტ, – დაიწყო ისევ ოგდენმა, – როგორც მოგახსენეთ: ჩემი მოსვლის მიზანი...

– გავიგე უკვე, რას მიმეორებთ! – გააწყვეტინა გონტმა, – მერე რა? მაგლმა მორფინისგან სწორედ ის მიიღო, რის ღირსიც იყო. დიდი ამბავი!

– მორფინმა ჯადოქართა კანონი დაარღვია! – მკაცრად განაცხადა ოგდენმა.

– მორფინმა ჯადოქართა კანონი დაარღვია, – მანჭვა-გრეხით გამოაჯავრა ოგდენს გონტმა. მორფინი კვლავ აჭიხვინდა, – ბინძურ მაგლს ჭკუა ასწავლა, ეს ახლა უკვე უკანონობად ითვლება?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, ვშიშობ, რომ უკანონობაა, – უპასუხა ოგდენმა, გულის ჯიბიდან ეტრატის პატარა გრაგნილი ამოიღო და გაშალა.

– ეს რა არის, ამისი განაჩენი? – ხმას აუწია გაჯავრებულმა გონტმა.

– ეს სასამართლო უწყებაა სამინისტროდან...

– რაოოო! უწყება? თავი ვინა გგონიათ, ჩემს შვილს რომ სადღაც იძახებთ?

– მე ჯადოქართა სამართალდამცავი რაზმის ხელმძღვანელი ვარ... – გაიმეორა ოგდენმა.

– და ჩვენ ვიღაცა ვიგინდარები გგონივართ, არა? – დასჭყივლა გონტმა, ოგდენისკენ გაიწია და ლამის მკერდზე ატაკა ჭუჭყიანი ყვითელფრჩხილიანი თითი, – ვიგინდარები, რომლებიც სამინისტროს თითის ერთ დაქნევაზეც კი გამოიქცევიან, არა? იცი, შენ ვის ელაპარაკები, შე ტურტლიანო მუქსისხლიანო, იცი?

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბატონ გონტს, – სიფრთხილე დაეტყო ოგდენს, მაგრამ ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია.

– სწორედაც! – დაიღრიალა გონტმა. წამით ჰარის ეგონა, ხელით უხამსი ჟესტი უნდა აჩვენოსო, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ გონტმა ოგდენს შუა თითზე წამოცმული უშნო, შავთვლიანი ბეჭედი გაუქნია ცხვირწინ, – ხედავ ამას? ხედავ ამას? იცი, ეს რა არის? იცი, საიდანა მაქვს? საუკუნეების მანძილზე ეს ჩემს ოჯახში ინახებოდა, აი, რა ძირძველი გვარი გვაქვს, თანაც სულ წმინდასისხლიანი! ამ ქვაზე წმინდასისხლიანი ოჯახის, პევერელთა გვარის გერბია ამოტვიფრული! იცი, რამდენი შემომაძლიეს ამ ბეჭედში?

– წარმოდგენა არა მაქვს, – თვალები აახამხამა ოგდენმა, რომელსაც ბეჭედს ცხვირში სჩრიდნენ, – ეს საქმეს არ ეხება, ბატონო გონტ. თქვენმა შვილმა ჩაიდინა...

გონტი მრისხანე ღმუილით მიეჭრა თავის ქალიშვილს და ყელში სწვდა. ჰარი შეშინდა, არ მიახრჩოსო, მაგრამ გონტმა მეროუპის ყელზე გამობმულ ოქროს ჯაჭვს ჩაავლო ხელი და საბრალო გოგონა ოგდენისკენ ძაღლივით წამოათრია.

– ხედავ ამას? – დაჰკივლა გონტმა და მძიმე ოქროს მედალიონი მიუტანა სახესთან. გოგონას სუნთქვა ეკვროდა და ხროტინებდა.

– ვხედავ! ვხედავ! – საჩქაროდ თქვა ოგდენმა.

– სლიზერინისაა! – დაიყვირა გონტმა, – სალაზარ სლიზერინისა! ჩვენ მისი უკანასკნელი ცოცხალი შთამომავლები ვართ, მააშ! ამაზე რაღას იტყვი, ჰა?

– ბატონო გონტ, თქვენი გოგონა! – შეშფოთებით შესძახა ოგდენმა, მაგრამ გონტმა უკვე ხელი უშვა მეროუპს, ისიც აქოშინებული წაბარბაცდა თავისი კუთხისკენ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აბა! – გამარჯვებული სახით წარმოთქვა გონტმა, თითქოს ურთულესი საკითხი ისე გადაჭრა, რომ კაციშვილი ველარ შეედავებოდა, – ისე კი ნუ გველაპარაკები, თითქოს შენს ფეხსაცმელზე აკრული ჭუჭყი ვიყოთ! წმინდასისხლიანთა მრავალი თაობა! ყველანი ჯადოქრები! შენ ჩვენთან ახლოსაც ვერ მოხვალ, დარწმუნებული ვარ.

და ოგდენის ფეხებთან იატაკზე დააფურთხა. მორფინი ისევ ახარხარდა. ფანჯრის გვერდით მიკუნჭულ თავდახრილ მეროუპს ხმა არ გაულია.

– ბატონო გონტ, – გაჯიუტდა ოგდენი, – სამწუხაროდ, არც თქვენსა და არც ჩემს წინაპრებს არაფერი აქვთ საერთო მოცემულ საქმესთან. მე აქ მორფინის გამო ვარ, მორფინისა და იმ მაგლის გამო, რომელსაც თქვენი შვილი წუხელ გადაეკიდა. ჩვენი ინფორმაციით, – მან ეტრატის გრაგნილს დახედა, – მორფინმა შეულოცა თუ დათარსა ზემოხსენებული მაგლი, რის შედეგადაც მას ჭინჭრის ციების ძალზე რთული ფორმა შეეყარა და მთელი ტანი რაღაცა გამონაყარით დაეფარა.

მორფინმა ჩაიხითხითა.

– ხმა ჩაიგდე, ბიჭო, – შეუღრინა გონტმა პარსულ ენაზე. მორფინი მიყუჩდა.

– დავუშვათ, ასეც მოიქცა, მერე? – გამომწვევად ჰკითხა ოგდენს გონტმა, – წარმომიდგენია... ალბათ მაგლს მაშინვე გაუსუფთავეთ ბინძური სიფათი და მეხსიერებაც შეუცვალეთ...

– ეს არაფერ შუაშია, ბატონო გონტ, – შეაწყვეტინა ოგდენმა, – ეს არაპროვოცირებული თავდასხმა იყო დაუცველ...

– დაგინახე თუ არა, მივხვდი, რომ მაგლების მოყვარული იყავი, – ჩაიცინა გონტმა და მეორედ დააფურთხა იატაკზე.

– ამ საუბრით ვერაფერს მივაღწევთ, – მტკიცედ თქვა ოგდენმა, – თქვენი ვაჟის ქცევიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ იგი ოდნავადაც არ ნანობს ჩადენილ დანაშაულს, – მან ისევ დახედა ეტრატს, – თოთხმეტ სექტემბერს მორფინი საქმის მოსმენას დაესწრება, რათა მაგლის თანდასწრებით ჯადოქრობის ბრალდებას უპასუხოს და, ასევე, იმავე მაგლისადმი მიყენებული მორალური და ფიზიკური ზიანის...

ოგდენს სიტყვა გაუწყდა. ღია ფანჯრიდან სიცილის, წკარუნისა და ცხენის ფლოქვების თქარათქურის ხმა შემოიჭრა. როგორც ჩანდა, სოფლისაკენ მიმავალი დაკლაკნილი გზა იმ ტყესთან ახლოს გადიოდა, სადაც ქოხი იდგა. გონტი გაიყინა, სმენად იქცა, თვალები გაუფართოვდა. მორფინმა დაისისინა და სისხლისმსმელი გამომეტყველებით მიტრიალდა ფანჯრისკენ. მეროუპმა თავი ასწია. ჰარიმ შეამჩნია, რომ ცარცივით იყო გაფითრებული.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ღმერთო ჩემო, ამას რას ხედავს ჩემი თვალები! – გაისმა გოგონას ზარივით წკრიალა ხმა. ეს ხმა ღია ფანჯარაში ისე გარკვევით შემოდიოდა, თითქოს მისი პატრონი იქვე, ოთახში მდგარიყოს, – ტომ, ნუთუ მამაშენს არ შეუძლია, ეს ქოხმახი აიღოს?

– ჩვენი არაა, – გაისმა ახალგაზრდა კაცის ხმა, – ველს გადაღმა ყველაფერი ჩვენ გვეკუთვნის, მაგრამ ეს ქოხი ერთი ბებერი მაწანწალასი და მისი შვილების საკუთრებაა. მისი ვაჟი მთლად გარეკილია. ერთი მოგასმენინა, რა ამბებს ჰყვებიან მასზე სოფელში...

გოგონას გაეცინა. ფლოქვების თქარათქური სულ უფრო ახლოვდებოდა. მორფინი სავარძლიდან წამოიწია.

– დაეტიე შენს ადგილზე, – პარსულ ენაზე გააფრთხილა მამამისმა.

– ტომ, – გოგონას ხმა ახლა ისე ახლოს გაისმა, რომ აშკარად უკვე სახლის გვერდით იყვნენ, – შეიძლება ვცდები, მაგრამ... მგონი, კარზე ვიღაცას გველი მიუჭედებია.

– მართალი ხარ! – უპასუხა მამაკაცმა, – ეს ალბათ იმ ბიჭის ნახელავია. ხომ გითხარი, თავის ჭკუაზე ვერ არის-მეთქი. ნუ შეხედავ, სესილია, ძვირფასო.

დეზების წკარუნი და ფლოქვების თქარათქური თანდათან მიწყდა.

– „ძვირფასო“, – პარსულ ენაზე დაიჩურჩულა მორფინმა და დას გადახედა, – „ძვირფასოთი “მიმართავდა. ხომ ხედავ, შენ არაფერში სჭირდები.

მეროუპი ისე გაფითრდა, რომ ჰარიმ გაიფიქრა, წამიც და, გული შეუღონდებაო.

– რაო, რაოო? – მკვახედ იკითხა ასევე პარსულად გონტმა და მზერა ქალიშვილზე გადაიტანა, – რა თქვი, მორფინ?

– მეროუპი იმ მაგლს უთვალთვალებს ხოლმე, – განუმარტა მორფინმა და დამფრთხალ დას ბოროტი კმაყოფილებით გადახედა, – სულ ბაღში აგდია, როცა ის მაგლი ჩაივლის ხოლმე და ღობიდან უთვალთვალებს. წუხელ კი...

მეროუპმა თავი ვედრებით გააქნია, მაგრამ მორფინი შეუბრალებლად განაგრძობდა:

– ფანჯრიდან გადაყუდებული ელოდა, როდის გაივლიდა.

– ფანჯრიდან გადაეყუდე, რომ მაგლისათვის თვალი მოგეკრა? – ხმადაბლა იკითხა გონტმა.

სამივე გონტს თითქოს დავიწყდა ოგდენი, რომელიც ამ გაუგებარი სისინ-შიშინის ნიაღვრის გამო დაბნეული და გაღიზიანებული ჩანდა.

– მართალია? – სახეშეშლილმა გონტმა დაზაფრული გოგონასკენ ორიოდე ნაბიჯი გადადგა, – ჩემი შვილი... სალაზარ სლიზერინის


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წმიდათაწმიდა სისხლის შთამომავალი... მყრალ, ბინძურსისხლა მაგლზე ოცნებობს?

მეროუპმა უარის ნიშნად თავი გამწარებით გააქნია და ენაჩავარდნილი აეკრა კედელს.

– მე ჭკუა ვასწავლე, მამა, – აროხროხდა მორფინი, – მოვიხელთე და სახლს რომ ჩაურა, ცხვირ-პირი გამონაყარით გავულამაზე. როგორ მოგეწონა, ჰა, მეროუპ?

– შე საზიზღარო სქვიბო, შე საძაგელო სისხლის შემარცხვენელო! – დაიღრიალა გადარეულმა გონტმა და გოგონას ყელში სწვდა.

ჰარიმ და ოგდენმა ერთდროულად დაიყვირეს: „არა!“ – ოგდენმა ჯადოსნური ჯოხი აღმართა და შესძახა:

– რელაშიო!

გონტი მეროუპს მოსწყდა, უკან გადაქანდა, სკამი გადააყირავა და ზურგზე დაენარცხა. მორფინი მრისხანე ზმუილით წამოვარდა სავარძლიდან და სისხლიანი დანის ქნევითა და ჯადოსნური ჯოხიდან შელოცვების უმისამართოდ სროლით ოგდენს მივარდა.

ოგდენმა თავს გაქცევით უშველა. დამბლდორმა ჰარის ანიშნა, მივყვეთო, და ჰარიც დამორჩილდა. ყურებში კვლავაც მეროუპის წივილ-კივილი ედგა.

ოგდენი ბილიკზე გაიჭრა, თავზე ხელებწაფარებული ორღობეში შევარდა და მოულოდნელად მშვენიერ წაბლისფერ ცხენს შეასკდა. ცხენზე მომხიბვლელი შავთმიანი ახალგაზრდა ამხედრებულიყო. ის და მისი თანმხლები, რუხ ცხენზე მჯდარი ლამაზი გოგონა სიცილით დაიხოცნენ, როცა ოგდენი ცხენის გავას დაეტაკა და ისევ გამწარებულმა მოკურცხლა. თავით ფეხამდე მტვერში ამოგანგლული ოგდენი გზაზე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა სერთუკის ფრიალით.

– მგონი, საკმარისია, ჰარი, – დამბლდორმა ჰარის იდაყვზე ხელი წაავლო. მეორე წამს ორივენი ბუმბულივით მსუბუქად გაცურდნენ წყვდიადში და დამბლდორის უკვე ბინდში ჩაძირულ კაბინეტში დაეშვნენ.

– რა დაემართა იმ გოგოს? – უმალ იკითხა ჰარიმ, როცა დამბლდორმა ჯადოსნური ჯოხის მსუბუქი გაქნევით აანთო ფარნები, – მეროუპი თუ რაც ერქვა?

– გადარჩა, – დამბლდორმა საწერ მაგიდას მიაშურა და ჰარისაც ანიშნა, დაჯექიო, – ოგდენმა აპარაციის გამოყენებით გადაინაცვლა სამინისტროში და თხუთმეტ წუთში დამატებითი ძალებით დაბრუნდა უკან. მორფინმა და მამამისმა წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, მაგრამ ორივე შეიპყრეს და ქოხიდან გამოასახლეს. საბოლოოდ ვიზენგამოტმა ისინი დამნაშავედ ცნო. მორფინს პირად


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საქმეში უკვე მოეპოვებოდა მაგლებზე თავდასხმის შემთხვევები, ამიტომ აზკაბანში სამწლიანი პატიმრობა მიესაჯა. ხოლო მერვოლომ, რომელმაც ოგდენის გარდა, სამინისტროს რამდენიმე სხვა თანამშრომელიც დააშავა, ექვსთვიანი სასჯელი მიიღო.

– მერვოლო? – გაოგნდა ჰარი.

– სწორედაც, – მოწონებით გაიღიმა დამბლდორმა, – მიხარია, რომ ასეთი მიხვედრილი ხარ.

– მაშ, ის მოხუცი კაცი...

– დიახ, ვოლდემორის პაპა იყო, – დაუდასტურა დამბლდორმა, – მერვოლო, მისი ვაჟი მორფინი და მისი ასული მეროუპი გონტების გვარის უკანასკნელი წარმომადგენლები იყვნენ. ეს იყო ჯადოქართა უძველესი დინასტია, რომელიც გაუწონასწორებლობითა და ძალადობისადმი მიდრეკილებით გამოირჩეოდა. და ეს ზნე სულ უფრო და უფრო მეტად იჩენდა თავს შემდგომ თაობებში, რის მიზეზიც ის იყო, რომ ამ გვარში გავრცელებული ტრადიციის მიხედვით, საკუთარ ბიძაშვილ-მამიდაშვილებზე ქორწინდებოდნენ. უგუნურებამ და ფუფუნებისადმი სიყვარულმა ამ გვარს მერვოლოს დაბადებამდე მრავალი თაობით ადრე გააფლანგვინა მთელი ქონება. მერვოლო კი, როგორც თავად ნახე, ღარიბ-ღატაკი დატოვეს, უმძიმესი ხასიათის, ზღაპრული პატივმოყვარეობისა და სიამაყის ამარა. ოჯახის ორიოდე რელიკვიაღა შემორჩა, რომელთაც ისევე დაჰკანკალებდა, როგორც საკუთარ ვაჟს, და გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე თავის ქალიშვილს.

– ესე იგი, მეროუპი, – ჰარი წინ გადაიხარა და დამბლდორს თვალებში ჩახედა, – ესე იგი, მეროუპი... სერ, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ვოლდემორის დედა იყო?

– დიახ, – მიუგო დამბლდორმა, – და მოხდა ისე, რომ ვოლდემორის მამასაც კი შევავლეთ თვალი. ნუთუ შენ ვერ შეამჩნიე?

– ის მაგლი, მორფინი თავს რომ დაესხა? ცხენზე ამხედრებული კაცი?

– ყოჩაღ, – გაუღიმა დამბლდორმა, – დიახ, ის უფროსი ტომ რიდლი გახლდათ – სიმპათიური მაგლი, რომლის მიმართაც მეროუპს ფარული, მწველი ვნება სტანჯავდა.

– და ბოლოს დაქორწინდნენ? – ეჭვით იკითხა ჰარიმ, ვერაფრით წარმოედგინა, რომ ორ ასე განსხვავებულ ადამიანს, შეიძლებოდა, ერთმანეთი შეჰყვარებოდათ.

– ხომ არ დაგავიწყდა, რომ მეროუპი ჯადოქარი იყო? – ჰკითხა დამბლდორმა, – ჩემი აზრით, სანამ მამა აწამებდა და შიშისგან დათრგუნული იყო, თავის ჯადოქრობის ნიჭს გასაქანს ვერ აძლევ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და. მაგრამ, როგორც კი მერვოლო და მორფინი აზკაბანში გამოამწყვდიეს, მეროუპი მარტო დარჩა და ცხოვრებაში პირველად იგემა თავისუფლება, ეჭვი არ მეპარება, თავის შესაძლებლობებს სადავე მიუშვა და შავბნელი, უღიმღამო ცხოვრებისგან თავის დაღწევა განიზრახა. როგორ ფიქრობ, რა ზომას მიმართავდა მეროუპი, რათა ტომ რიდლს თავისი მაგლი თანამგზავრი დავიწყებოდა და მეროუპი შეჰყვარებოდა?

– იმპერიუსის წყევლას? – ივარაუდა ჰარიმ, – ან სიყვარულის ელექსირს?

– ყოჩაღ. პირადად მე უფრო იმ აზრისაკენ ვიხრები, რომ სიყვარულის ელექსირს გამოიყენებდა. დარწმუნებული ვარ, ამას უფრო რომანტიკულად მიიჩნევდა. თანაც ერთ პაპანაქება დღეს შინისაკენ ცხენით მიმავალი რიდლისათვის ჭიქა წყლის შეთავაზება სულაც არ გაუჭირდებოდა. ასეა თუ ისე, რამდენიმე თვის შემდეგ, რაც ის სცენა გათამაშდა, რომელსაც მე და შენ შევესწარით, სოფელ ლიტლ-ჰენგლტონში დიდი ამბები დატრიალდა. ხომ წარმოგიდგენია, რა ჭორებს ააგორებდა მოსამართლის ვაჟის გაპარვა მაწანწალას ქალიშვილ მეროუპთან ერთად. მაგრამ სოფლელების შოკი მერვოლოს შოკთან რა მოსატანია. აზკაბანიდან დაბრუნებულს ეგონა, თავისი მორჩილი გოგონა შინ დახვდებოდა და მაგიდაზე ცხელ კერძს დაახვედრებდა. ამის ნაცვლად კი, მხოლოდ მტვრის სქელი ფენა და წერილი შერჩა ხელთ, რომელშიც მეროუპი ემშვიდობებოდა და უხსნიდა, რაც ჩაიდინა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იმ დღიდან ქალიშვილი მოიკვეთა და მისი სახელი აღარ უხსენებია. გოგონას გაპარვის გამო თავს დამტყდარმა ელდამ ალბათ დააჩქარა მისი სიკვდილი, ან შეიძლება, უბრალოდ, ვერაფრით ისწავლა დამოუკიდებლად თავის გამოკვება. აზკაბანმა დიდად დააუძლურა მერვოლო და მორფინის ქოხში დაბრუნებას ვეღარ მოესწრო.

– მერე, მეროუპი? მოკვდა? ვოლდემორი ხომ უდედმამო ბავშვთა სახლში გაიზარდა?

– დიახ, ასეა, – დაუდასტურა დამბლდორმა, – აქ უკვე მხოლოდ ვარაუდებს უნდა დავეყრდნოთ, თუმცა, ჩემი აზრით, იოლი მისახვედრია, რა მოხდა. საქმე ისაა, რომ ფარული დაქორწინებიდან რამდენიმე თვის შემდეგ რიდლი ლიტლჰენგლტონის მამულში ცოლის გარეშე დაბრუნდა. სოფელში ხმა დაირხა, რიდლი ამბობდა, რომ „თვალი აუხვიეს“ და „გააცურეს“. დარწმუნებული ვარ, იმას გულისხმობდა, რომ იგი მოჯადოებული იყო, ახლა კი ეს ჯადო მოეხსნა. მაგრამ ჩემი ვარაუდით, მან ეს პირდაპირ ვერ თქვა იმის შიშით, სიგიჟე არ დამწამონო. სოფლელებმა მისი ნაამბობიდან დაასკვნეს, რომ მეროუპმა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოატყუა ტომ რიდლი, თითქოს მისგან შვილს ელოდა, და ისიც ამ მიზეზის გამო დაქორწინდა მასზე.

– მაგრამ ხომ ეყოლა მისგან შვილი?

– კი, ოლონდ მათი ქორწინებიდან ერთი წლის თავზე. როცა ტომ რიდლმა მიატოვა, მეროუპი ჯერ კიდევ ფეხმძიმედ იყო.

– რა მოხდა? – ჰკითხა ჰარიმ, – რატომ აღარ იმოქმედა სიყვარულის ელექსირმა?

– ესეც ბუნდოვანია, – უპასუხა დამბლდორმა, – მაგრამ მე მგონია, რომ მეროუპმა, რომელსაც მთელი გულით უყვარდა ქმარი, ველარ აიტანა ჯადოსნური მეთოდებით მისი დამონება. ჩემი აზრით, მან გადაწყვიტა, მისთვის ელექსირის შეპარება შეეწყვიტა. შესაძლებელია, სიყვარულით დაბრმავებულმა თავი დაირწმუნა, რომ საპასუხო გრძნობა უკვე ქმარსაც გაუჩნდა. შეიძლება, ეგონა, რომ ბავშვის გამო არ მიატოვებდა... მაგრამ ფაქტია, რომ მეროუპი ორივე შემთხვევაში შეცდა: ტომ რიდლმა ცოლი მიატოვა, მას შემდეგ აღარასოდეს უნახავს და არც შვილის ბედით დაინტერესებულა.

გარეთ ცას მომელნისფრო-მოშავო გადაეკრა და დამბლდორის კაბინეტშიც ფარნები უფრო აბრდღვიალდა.

– ვფიქრობ, დღეისათვის საკმარისია, ჰარი, – უთხრა დამბლდორმა ორიოდე წამის შემდეგ.

– დიახ, სერ.

ჰარი წამოდგა, მაგრამ ოთახიდან არ გასულა.

– სერ, ასეთი მნიშვნელოვანია ვოლდემორის წარსულის ცოდნა?

– ვგონებ, ძალიან მნიშვნელოვანია, – უპასუხა დამბლდორმა.

– და ამას... ამას რამე საერთო აქვს წინასწარმეტყველებასთან?

– რა თქმა უნდა, პირდაპირ უკავშირდება წინასწარმეტყველებას.

– გასაგებია, – დაიბნა ჰარი, თუმცა მაინც სარწმუნოდ ეჩვენა დამბლდორის პასუხი. წასასვლელად მიბრუნდა, მაგრამ უცებ კიდევ ერთი კითხვა დაებადა და ისევ შემოტრიალდა.

– სერ, შემიძლია, ყველაფერი, რაც მითხარით, რონსა და ჰერმიონსაც მოვუყვე?

დამბლდორი წამით ჰარის დააკვირდა და შემდეგ თქვა:

– დიახ, ჩემი აზრით, მისტერ უისლი და მის გრეინჯერი იმსახურებენ ნდობას. მაგრამ, ჰარი, გთხოვ, გადასცე, რომ სხვებთან სიტყვა არ დაძრან. არ ივარგებს, თუ ხმა გავრცელდება იმის თაობაზე, თუ რამდენი ვიცი ან რამდენს ვეჭვობ ლორდ ვოლდემორის საიდუმლოებების შესახებ.

– არა, სერ, ეს მხოლოდ რონსა და ჰერმიონს ეცოდინებათ. ღამე მშვიდობისა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი კარისკენ წავიდა და უცბად მომცრო ფეხებდაბრეცილ მაგიდაზე, რომელზეც უამრავი ნატიფი ვერცხლის ხელსაწყო იყო მოთავსებული, უშნო ოქროს ბეჭედს მოჰკრა თვალი. ბეჭედი დიდი გაბზარული შავი თვლით იყო შემკული.

– სერ, – გაოცებული ჰარი ბეჭედს დააცქერდა, – ის ბეჭედი...

– ბატონო? – ჰკითხა დამბლდორმა.

– თქვენ ეს ბეჭედი გეკეთათ, როცა პროფესორი სლაგჰორნი მოვინახულეთ.

– კი, მეკეთა, – დაეთანხმა დამბლდორი.

– მერე, ეს ის ბეჭედი არ არის... სერ, ის ბეჭედი არ არის, მერვოლო გონტმა ოგდენს რომ უჩვენა?

– კი, ის არის.

– ეს როგორ? ყოველთვის თქვენ გქონდათ?

– არა, ამ ბოლო დროს შევიძინე, – აუხსნა დამბლდორმა – რამდენიმე დღის წინ, სანამ შენი დეიდისა და ბიძის სახლში მოგაკითხავდი.

– ესე იგი, დაახლოებით იმ დროს, როცა ხელი დაიშავეთ, სერ?

– დიახ, დაახლოებით მაგ დროს, ჰარი.

ჰარი შეყოყმანდა. დამბლდორი იღიმებოდა.

– სერ, მაინც როგორ...

– უკვე გვიანია, ჰარი. ამ ამბავს სხვა დროს მოგიყვები. ღამე მშვიდობისა.

– ღამე მშვიდობისა, სერ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი მეთერთმეტე

# ჰერმიონის დახმარება

როგორც ჰერმიონმა იწინასწარმეტყველა, მეექვსეკურსელთათვის გამოყოფილი თავისუფალი საათები განცხრომისათვის კი არ იყო განკუთვნილი, რასაც რონი იმედოვნებდა, არამედ იმისთვის, რომ როგორმე გამკლავებოდნენ მოზღვავებულ საშინაო დავალებებს. ყველა ისე თავგამოდებით მეცადინეობდა, თითქოს გამოცდები კარზე მოსდგომოდათ. გაკვეთილებსაც უწინდელზე უფრო მკაცრად იბარებდნენ. იმ დღეებში ჰარი პროფესორ მაკგონაგელის მიერ ახსნილი გაკვეთილის ნახევარს ძლივს იგებდა. ერთი-ორჯერ თვით ჰერმიონიც კი იძულებული გახდა, პროფესორისთვის ინსტრუქციების გამეორება ეთხოვა. რაც უნდა უჩვეულო იყოს, ნახევარპრინცის წყალობით, ჰარი ყველაზე წარმატებით შხამ-წამლებს ეუფლებოდა, რაც ჰერმიონს სულ უფრო და უფრო აგულისებდა.

მდუმარე ჯადოქრობა ახლა უკვე, ბნელი ძალებისგან თავდაცვის გარდა, შელოცვებისა და ტრანსფიგურაციის საგნებშიც მოეთხოვებოდათ. ლანჩის დროს ან საერთო ოთახში ყოფნისას ჰარი ხშირად გადახედავდა ხოლმე თანაკლასელებს. მათ დაძაბულობისგან სახე ისე უჭარხლდებოდათ, თითქოს „არ ჩაისვაროს“ გადაჭარბებული დოზა მიიღესო. მაგრამ ჰარიმ მშვენივრად იცოდა, რომ, სინამდვილეში, ისინი უხმო შელოცვებში ვარჯიშობდნენ. ყველასათვის ნამდვილი შვება იყო გარეთ, სათბურებში გასვლა. ჰერბოლოგიაში უწინდელზე ბევრად უფრო საშიშ მცენარეებს სწავლობდნენ, მაგრამ, სხვა თუ არაფერი, ხმამაღლა მაინც შეიგინებდნენ, მოულოდნელად უკნიდან შხამიანი ტენტაკულა თუ დაესხმოდათ თავს. დღის დატვირთულმა განრიგმა და უხმო შელოცვებში საათობით გამალებულმა ვარჯიშმა შედეგად ის გამოიღო, რომ ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ჰაგრიდის მოსანახულებლად ვერა და ვერ გამოძებნეს დრო.



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰაგრიდი დიდ დარბაზში მასწავლებლების მაგიდასთან აღარ ჩანდა, რაც თავისთავად კარგს არაფერს მოასწავებდა. თუ შემთხვევით დერეფანში ან ეზოში გადააწყდებოდნენ, ის ბავშვებს რატომღაც ვერ ამჩნევდა და სალამზეც ყურს უყრუებდა.

მომდევნო შაბათს, საუზმობისას, ჰერმიონმა ჰაგრიდის ცარიელ სკამს გახედა და თქვა:

– აუცილებლად უნდა ვინახულოთ და ყველაფერი ავუხსნათ.

– ამ დილას ქვიდიჩში შესარჩევი ვარჯიში გვაქვს დანიშნული! – შეეპასუხა რონი, – თან ფლიტვიკის გაკვეთილისათვის აგუამენტის შელოცვაში უნდა ვივარჯიშოთ! არა, მაინც რა უნდა ავუხსნათ? როგორ უნდა ვუთხრათ, რომ მისი უაზრო საგანი გვძულდა?

– სულაც არა გვძულდა! – შეეკამათა ჰერმიონი.

– შენ შენს თავზე ილაპარაკე, მე კი ცეცხლაკუდები ჯერაც არ დამვიწყებია, – მოიღუშა რონი, – დამიჯერეთ, ბეწვზე ვართ გადარჩენილები. თქვენ არ გაგიგიათ, რა გეგმებს აწყობდა თავისი დებილი ძმის თაობაზე: წელს ჰაგრიდის საგანში მეცადინეობისას გრაუპისათვის ფეხსაცმლის ზონრის შეკვრის სწავლება მოგვიწევდა.

– ჰაგრიდთან ასე უბრად ყოფნა არ შემიძლია, – წუხდა ჰერმიონი.

– არა უშავს, ქვიდიჩის მერე მოვინახულებთ, – დააიმედა ჰარიმ. ჰაგრიდი მასაც ენატრებოდა, მაგრამ რონისა არ იყოს, მასაც მიაჩნდა, რომ გრაუპის გარეშე ცხოვრება ბევრად უფრო შეუმსუბუქდათ, – მოთამაშეთა შერჩევამ შეიძლება მთელი დილა წაიღოს, იმდენი მსურველი მომაწყდა, – ჰარი ოდნავ ღელავდა, რადგან კაპიტნის როლში პირველად უწევდა ყოფნა, – არ ვიცი, უცებ რამ გახადა ეს ქვიდიჩი ასეთი პოპულარული.

– ო, კარგი ერთი, ჰარი, – მოულოდნელად მოუჭრა ჰერმიონმა, – ქვიდიჩი კი არაა პოპულარული, შენ ხარ! შენ არასდროს ყოფილხარ ასეთი საინტერესო და, გულახდილად რომ გითხრა – ასეთი მიმზიდველი.

რონს კინაღამ შებოლილი თევზის უზარმაზარი ლუკმა გადასცდა ყელში. ჰერმიონმა ქედმაღლურად გადახედა და ისევ ჰარის მიუბრუნდა:

– უკვე ყველამ იცის, რომ შენ მართალი აღმოჩნდი. მთელი ჯადოქრული სამყარო იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ვოლდემორი დაბრუნდა და შენ მას ბოლო ორი წლის განმავლობაში ორჯერ შეებრძოლე და ორჯერვე გადაურჩი. ახლა უკვე ყველანი „რჩეულს“ გიწოდებენ. კარგი, რა, ნუთუ მართლა ვერ ხედავ, რატომ არის ეს ხალხი შენით ასე მოხიბლული?

ჰარის მოეჩვენა, რომ დიდ დარბაზში მეტისმეტად ჩამოცხა, მიუხე-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დავად იმისა, რომ ზემოდან კვლავაც ცივი და საავდროდ მოჟამული ჭერი დასცქეროდათ.

– შენ სამინისტროს მხრიდან დევნა გადაიტანე, როცა ცდილობდნენ, შენთვის ცილი დაეწამებინათ, თითქოს გაუწონასწორებელი და მატყუარა იყავი. განა ახლაც არ გატყვია ხელზე ამბრიჯის დამატებითი გაკვეთილებისგან დატოვებული ნაიარევები? დაგავიწყდა, როგორ გაგაწამა იმ ბებერმა გომბეშომ, საკუთარი სისხლით როგორ აგაჭრელებინა უშველებელი ეტრატები? შენ კი მაინც არ დაიხიე უკან და ცდილობდი, ყველასთვის სიმართლე დაგენახვებინა.

– ნახე, მეც მეტყობა ნაიარევები. აქ ტვინები ჩამეჭიდნენ, როცა სამინისტროში ვიყავით, – სახელო აიკაპიწა რონმა.

– თანაც ამ ზაფხულს ძალიან გამაღლდი, – რონისკენ არც გაუხედავს, ისე დაასრულა ჰერმიონმა.

– მეც მაღალი ვარ, – უადგილოდ ჩაურთო რონმა.

ამ დროს ფანჯრებიდან ფოსტის ბუები შემოფრინდნენ და იქაურობა წვიმის წვეთებით გაწუწეს. მოსწავლეების უმრავლესობა ახლა ჩვეულებრივზე უფრო მეტ წერილს იღებდა, რადგან აღელვებული მშობლები შვილების ამბავს ხშირად კითხულობდნენ და, თავის მხრივ, აიმედებდნენ, რომ შინ ყველაფერი კარგად იყო. ჰარის სწავლის დაწყების დღიდან არც ერთი წერილი არ მიეღო. ის, ვისთანაც რეგულარული მიწერ-მოწერა ჰქონდა, ცოცხალი აღარ იყო. ჰარის იმედი ჰქონდა, რომ შიგადაშიგ ლუპინი მოსწერდა, მაგრამ ეს იმედი გაუცრუვდა. ამიტომ ძალიან გაუკვირდა, როცა დარბაზში მოფარფატე რუხ და ყავისფერ ბუებს შორის თოვლივით ქათქათა ჰედვიგი დაინახა. ჰედვიგი ჰარის წინ დაეშვა. მას დიდი, კვადრატული ფუთა ჰქონდა შებმული ფეხზე. წამიც და, ზუსტად ასეთივე ამანათი რონის წინაც დაეშვა და მოცუცქნული, არაქათგამოცლილი ბუკნაჭო პიგვიჯენი ქვეშ მოიყოლა.

– აჰა! – ჰარიმ ფუთა გახსნა და „ფლორიშ ენდ ბლოტსისგან“ გამოგზავნილი „ურთულესი შხამ-წამლების“ ახალი სახელმძღვანელო ამოიღო.

– აუ, რა კარგია, – გაუხარდა ჰერმიონს, – ახლა შეგიძლია, ის აჭრელებული წიგნი უკან დააბრუნო.

– გაგიჟდი? – შუბლი შეიკრა ჰარიმ, – წიგნს ვიტოვებ! ნახე, უკვე ყველაფერი მოვიფიქრე...

ჰარიმ ჩანთიდან „ურთულესი შხამ-წამლების“ ძველისძველი სახელმძღვანელო ამოაძრო, ჯადოსნური ჯოხი ყდაზე მსუბუქად დაუკაკუნა და წაიბუტბუტა:

– დიფინდო!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყდა მოძვრა. ჰარი ასევე მოექცა ახალთახალ წიგნსაც (ჰერმიონს თვალები შუბლზე აუვიდა). შემდეგ ჰარიმ ყდები შეცვალა, ორივე წიგნს ჯადოსნური ჯოხი დაუკაკუნა და წარმოთქვა:

– რეპარო!

პრინცის სახელმძღვანელო ახალ წიგნს დაემსგავსა. „ფლორიშ ენდ ბლოტსის“ ახალთახალი ეგზემპლარი კი – ათას ხელში გამოვლილს.

– სლაგჰორნს ახალს დავუბრუნებ. საწუწუნო რა აქვს!

ცხრა გალეონი დამიჯდა.

გაჯავრებულმა ჰერმიონმა ტუჩები უკმაყოფილოდ მოპრუწა, მაგრამ ამ დროს მისი ყურადღება მაგიდაზე დაშვებულმა მესამე ბუმ მიიქცია, რომელმაც „დილის მისნის“ იმდღევანდელი ნომერი მოუტანა. გოგონამ საჩქაროდ გაშალა გაზეთი და პირველ გვერდს თვალი გადაავლო.

– რომელიმე ჩვენი ნაცნობი ხომ არ მომკვდარა? – განგებ უდარდელი ტონით იკითხა რონმა. ამ კითხვას ყოველთვის უსვამდა ჰერმიონს, როგორც კი ის გაზეთს გაშლიდა.

– არა, მაგრამ დემენტორთა ახალი თავდასხმა მოხდა, – აცნობა ჰერმიონმა, – და ერთიც – დაპატიმრება.

– ძალიან კარგი. ვინ დააპატიმრეს? – ჰკითხა ჰარიმ და ინატრა, ნეტავ, ეს ბელატრისა ლესტრეინჯი იყოსო.

– სტენ შანპაიკი, – უპასუხა ჰერმიონმა.

– რაო? – ელდა ეცა ჰარის.

– „გუშინ გვიან საღამოს კლეპჰემში საკუთარ სახლში დააპატიმრეს პოპულარული ჯადოქრული ტრანსპორტის, „ღამის რაინდის“ კონდუქტორი, 21 წლის სტენლი შანპაიკი. ბატონი შანპაიკი „სიკვდილის მხვრელობაშია“ ეჭვმიტანილი...“

– სტენ შანპაიკი – „სიკვდილის მხვრელი?“ – ჰარის გაახსენდა მუწუკებიანი ახალგაზრდა, რომელიც სამი წლის წინ გაიცნო, – რა სისულელეა!

– რა იცი, იქნებ იმპერიუსის წყევლის გავლენის ქვეშ მოაქციეს? – გამოთქვა ვარაუდი რონმა.

– არა მგონია, – უპასუხა გაზეთში თავჩარგულმა ჰერმიონმა, – აქ წერია, რომ მას შემდეგ დააპატიმრეს, როცა ვიღაცამ სამიკიტნოში „სიკვდილის მხვრელების“ საიდუმლო გეგმების შესახებ მის ლაპარაკს მოჰკრა ყური, – ჰერმიონმა შეწუხებული გამომეტყველებით ასწია თავი, – იმპერიუსის წყევლის გავლენის ქვეშ რომ ყოფილიყო, მათი გეგმების შესახებ ყველას გასაგონად ლაყბობას ხომ არ მოჰყვებოდა, არა?

– როგორც ჩანს, თავი მოჰქონდა, აქაოდა, ბევრი რამე ვიციო, –


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თქვა რონმა, – ეგ ის არ არის, ვიილებს რომ ეტრაბახებოდა, მაგიის მინისტრი უნდა გავხდეო?

– ჰო, ის არის, – მიუგო ჰარიმ, – არ მესმის, ეს ხალხი რამ გადარია, სტენის ნათქვამი სერიოზულად როგორ მიიღეს.

– ალბათ შთაბეჭდილების მოხდენა სურთ, გადაწყვიტეს, ყველას დაანახვონ, რომ გულხელდაკრეფილები არა სხედან, – წარბი შეიკრა ჰერმიონმა, – ხალხი დაზაფრულია. იცით, რომ ტყუპი პეტილების მშობლებს მათი სკოლიდან გაყვანა უნდათ? ელოის მიჯენი უკვე შინ წაიყვანეს. წუხელ მამამისმა მოაკითხა.

– რა? – თვალები ჭყიტა რონმა, – კი მაგრამ, ჰოგვორტსი ხომ უფრო უსაფრთხო ადგილია, ვიდრე მათი სახლები! წყალი არ გაუვა! აქ აურორები არიან, ამდენი დამცავი შელოცვა მოქმედებს და, რაც მთავარია, აქ დამბლდორია!

– სხვათა შორის, მგონი, დამბლდორი ყოველთვის არ არის აქ, – ხმადაბლა შენიშნა ჰერმიონმა და გაზეთის ზემოდან მასწავლებლების მაგიდისკენ გააპარა თვალი, – არ შეგიმჩნევიათ? ამ ბოლო კვირის მანძილზე მისი სკამიც თითქმის ისევე ხშირადაა ცარიელი, როგორც ჰაგრიდისა.

ჰარიმ და რონმა მასწავლებლების მაგიდას გახედეს. დირექტორის სკამი მართლაც ცარიელი იყო. ჰარი ახლაღა დაფიქრდა, რომ დამბლდორი გასულ კვირას ჩატარებული კერძო გაკვეთილის შემდეგ არ ენახა.

– მე თუ მკითხავთ, სკოლას ორდენის საქმეების გამო ტოვებს ხოლმე, – ჩუმად განაგრძო ჰერმიონმა, – ე. ი. იმას ვგულისხმობ, რომ ამ ყველაფერს სერიოზული პირი უჩანს, ხომ ასეა?

ბიჭებმა არაფერი უპასუხეს. მაგრამ ჰარიმ იცოდა, რომ სამივეს ერთი და იგივე აზრი უტრიალებდა თავში. წინადღეს საშინელი შემთხვევა მოხდა: ჰერბოლოგიის გაკვეთილიდან ჰანა ებოტი გამოიძახეს და შეატყობინეს, რომ დედამისი მკვდარი იპოვეს. მას შემდეგ ჰანა აღარ გამოჩენილა.

ხუთ წუთში გრიფინდორის მაგიდიდან ქვიდიჩის მოედანზე წასასვლელად რომ წამოიშალნენ, ლევენდერ ბრაუნსა და პარვატი პეტილს ჩაუარეს. ისინი შეშფოთებულები ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. რონის დანახვაზე პარვატიმ მოულოდნელად იდაყვი გაჰკრა მეგობარს. ლევენდერმა თავი მოაბრუნა და რონი გულთბილი ღიმილით დააჯილდოვა. რონმა თვალები აახამხამა, გაუბედავად გაუღიმა და წამსვე შეცვალა სიარულის მანერა: მედიდური მიხრა-მოხრით განაგრძო გზა. ჰარის ერთი გულიანი გადახარხარება ქვეყანას ერჩია, მაგრამ გაახსენდა, რომ რონს არ გაუცინია, როცა მალფოიმ ჰარის


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცხვირი გაუტეხა და ამიტომ თავი შეიკავა. ჰერმიონი კი რატომღაც მოიღუშა და ხმა არ გაულია, სანამ სიცივეში, ნისლსა და წვიმაში სტადიონისაკენ მიეშურებოდნენ. ტრიბუნებზე ადგილის დასაკავებლადაც ისე გასწია, რონისთვის წარმატებაც კი არ უსურვებია. ჰარის მოლოდინი გამართლდა: მოთამაშეთა შერჩევას მთელი დილა დასჭირდა. გრიფინდორის ნახევარი კლუბი მოსულიყო ბედის საცდელად, დაწყებული პირველკურსელებით, რომლებიც აღელვებით უჭერდნენ ხელს სკოლის უვარგის ძველ ცოცხებს, დამთავრებული სხვებზე მთელი თავით მაღალი, დინჯი მეშვიდეკურსელებით, რომლებიც დანარჩენებს გულგრილად დასცქეროდნენ ზემოდან. მათ შორის იყო ბრგე ჯაგარათმიანი ბიჭი, რომელიც ჰარიმ მაშინვე იცნო.

– ჩვენ ერთმანეთს მატარებელში, ბებერი სლაგის კუპეში შევხვდით, – თავდაჯერებით შეახსენა თავი მაკლეგენმა ჰარის, დანარჩენებს გამოეყო და ხელი ჩამოართვა, – კორმაკ მაკლეგენი, მეკარე.

– შარშან შერჩევაში მონაწილეობა არ მიგიღია, არა? – ჰკითხა ჰარიმ, რომელმაც ყურადღებით შეათვალიერა მაკლეგენის უზარმაზარი ფიგურა და გაიფიქრა ალბათ სამივე გოლპოსტს ისე დაფარავს, განძრევაც კი არ დასჭირდებაო.

– შესარჩევი ვარჯიშის დროს საავადმყოფო ფლიგელში ვიყავი, – ცოტა არ იყოს, შინაურულად გაანდო მაკლეგენმა – ნახევარი კილო დოქსის კვერცხები შევჭამე ნაძლევზე.

– აჰა. კარგი, აი, იქ დაიცადე, – უთხრა ჰარიმ და მოედნის კიდისკენ მიუთითა – იქით, სადაც ჰერმიონი იჯდა. ჰარის მოეჩვენა, რომ მაკლეგენს სახეზე უკმაყოფილებამ გადაურბინა, და გაიფიქრა, ნეტავ, მაკლეგენი ჩემგან განსაკუთრებულ ყურადღებას ხომ არ ელის მხოლოდ იმის გამო, რომ ორივენი „ბებერი სლაგის“ ფავორიტები ვართო.

ჰარიმ გადაწყვიტა, მონაწილეთა შერჩევა უმარტივესი ტესტით დაეწყო და გუნდის წევრობის ყველა კანდიდატს ათკაციან ჯგუფებად დაყოფა და მოედნისთვის ერთხელ შემოფრენა დაავალა. ეს გადაწყვეტილება სწორი აღმოჩნდა: პირველი ათეული პირველკურსელებისაგან შედგებოდა და ცხადზე უცხადესი გახდა, რომ წინათ არასოდეს ეფრინათ. მათგან მხოლოდ ერთმა ბიჭმა მოახერხა ჰაერში რამდენიმე წამით გაჩერება და ამან ისე გააკვირვა, რომ მაშინვე შეასკდა ერთ-ერთ გოლპოსტს.

მეორე ჯგუფში ათი ისეთი ტუტუცი გოგო მოხვდა, ჰარის თავის დღეში მსგავსი არაფერი ენახა. როგორც კი საყვირს ჩაჰბერა, გოგოები ერთმანეთს მიაწყდნენ და სიცილით ჩაბჟირდნენ. მათ შორის რომილდა ვეინიც იყო. გაბრაზებულმა ჰარიმ მათ სასწრაფოდ მოედ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნის დატოვება მოსთხოვა. გოგოები საკმაოდ მხიარულად დამორჩილდნენ და ტრიბუნებს მიაშურეს, რათა ამჯერად სხვებისათვის დაეცინათ.

მესამე ჯგუფი მარდად აიჭრა ჰაერში, მაგრამ ჯერ ნახევარი მოედანიც არ შემოეფრინათ, რომ აირივნენ და ზედახორა გამართეს. მეოთხე ჯგუფის წევრთა უმრავლესობა ცოცხის გარეშე მოსულიყო. მეხუთე ჯგუფი ჰაფლეპაფელებისა აღმოჩნდა.

– თუ კიდევ დარჩა ვინმე, ვინც გრიფინდორელი არაა, გთხოვთ, დატოვოთ მოედანი! – დაიღრიალა ჰარიმ, რომელსაც უკვე ავსებოდა მოთმინების ფიალა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ ორი მოცუცქნული რეივენქლოელი ფხუკუნით გაცუნცულდა ტრიბუნებისკენ.

ორსაათიანი ჩივილისა და გაწევ-გამოწევის შემდეგ, რამაც ერთი „კომეტა-260“ და რამდენიმე კბილი შეიწირა, ჰარიმ სამი ჩეიზერი შეარჩია: ქეითი ბელი, რომელმაც წარმატებით გაიარა კონკურსი და გუნდს დაუბრუნდა; დემელზა რობინსი, რომელსაც განსაკუთრებით კარგად ბლაჯერების აცდენა გამოსდიოდა, და ჯინი უისლი, რომელმაც ყველა კონკურენტი დაჯაბნა და ჩვიდმეტი გოლი გაიტანა. თავისი არჩევანით კმაყოფილ, მაგრამ მომჩივნების მოსაგერიებლად ყვირილისაგან ხმაჩახლეჩილ ჰარის ახლა დაწუნებულ ბიტერებთან უწევდა ბრძოლის გადატანა.

– ეს ჩემი საბოლოო გადაწყვეტილებაა და მეკარეებს მოედანს თუ არ დაუთმობთ, შეგილოცავთ, – დაიყვირა ჰარიმ.

ბიტერებად მესამეკურსელი ჯიმი პიკსი და რიჩი კუტი შეარჩია. პიკსი ტანმორჩილი, სამაგიეროდ, ფართომკერდიანი ტიპი იყო და ისე ძლიერად და მონდომებით იქნევდა ჩოგანს, ერთ ცდაზე ბლაჯერი ჰარისაც კი უთავაზა კეფაში და კვერცხისოდენა კოპით დაამშვენა. კუტი გაკნაჭული იყო, მაგრამ კარგი მიზანი ჰქონდა. საბოლოო ჯამში, ორივე ახალი ბიტერი ფრედსა და ჯორჯს ბევრად ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ჰარი მაინც კმაყოფილი დარჩა მათი თამაშით. ჯიმი და რიჩი ტრიბუნებზე მსხდომ ქეითის, დემელზასა და ჯინის შეუერთდნენ, რათა გუნდის ბოლო წევრის შერჩევისათვის ედევნებინათ თვალი.

ჰარიმ განზრახ მოიტოვა მეკარის შერჩევა ბოლოსათვის, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ამ დროისათვის ტრიბუნები შედარებით დაიცლებოდა და მონაწილეები ფსიქოლოგიურ ზეწოლას ასცდებოდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, მაყურებლებს ამ დროისათვის ყველა დაწუნებული მოთამაშე და შერჩევის საყურებლად ნასაუზმევს სკოლიდან ჩამოსული სტუდენტები შეუერთდნენ და ტრიბუნებზე მაყურებელთა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რიცხვიც ერთიორად გაიზარდა. გოლპოსტებთან მიფრენილ ყოველ მეკარეს მაყურებლები ერთნაირი მხარდაჭერის ყვირილითა და უკმაყოფილო სტვენით ხვდებოდნენ. ჰარიმ რონს გახედა, რომელსაც ასეთ დროს ნერვები ყოველთვის ღალატობდა. ჰარი იმედოვნებდა, რომ გასული სემესტრის ბოლოს მოგებული ფინალური მატჩი რონს თავდაჯერებულობას შემატებდა, მაგრამ, როგორც ჩანდა, ცდებოდა: რონი საოცრად დაბნეული ჩანდა და სახეზეც ღია მწვანე ფერი გადაჰკვროდა.

პირველ ხუთ კანდიდატთაგან ორ გოლზე მეტის აღება ვერც ერთმა ვერ შეძლო. ჰარის და სამწუხაროდ, კორმაკ მაკლეგენმა ხუთიდან ოთხი ბურთი აიღო. თუმცა, ბოლო ცდაზე, რატომღაც სრულიად საპირისპირო მიმართულებით გაექანა. ბრბომ სიცილი და სტვენა დააყარა. გაცოფებული მაკლეგენი კბილების ღრჭიალით დაბრუნდა მოედანზე.

თავის „ქლინსვიპ თერთმეტზე“ რომ ჯდებოდა, რონს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს, სადაცაა, გული წაუვაო.

– წარმატებას გისურვებ! – შესძახა ვიღაცამ ტრიბუნიდან. ჰარიმ ჰერმიონის დანახვის იმედით მიიხედა იქით, მაგრამ, მის ნაცვლად, ლევენდერ ბრაუნი შერჩა ხელთ. ჰარი სიამოვნებით აიფარებდა სახეზე ხელებს, ოღონდაც რონის უსუსურობა არ დაენახა, მაგრამ, რადგან კაპიტანი იყო, თავი მოვალედ ჩათვალა, მეტი სიმტკიცე გამოეჩინა და რონის გამოსაცდელად მოედნისკენ შებრუნდა.

მისი ნერვიულობა სრულიად უსაფუძვლო გამოდგა: რონმა ზედიზედ მოიგერია პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე პენალტი. გაბრწყინებულმა ჰარიმ ძლივს შეიკავა თავი, რომ ტრიბუნების ჟრიამულს არ აჰყოლოდა, და მაკლეგენს მიუბრუნდა, რათა ეთქვა, სამწუხაროდ, რონმა დაგამარცხაო, მაგრამ მაკლეგენის სიბრაზისგან აჭარხლებული სახე რომ დაინახა, ანაზდად უკან დაიხია.

– მისმა დამ ნახევარი ძალით დაარტყა, – მუქარით შეუტია მაკლეგენმა. საფეთქელზე ძარღვი ძია ვერნონივით უფეთქავდა, – ბურთი იოლად ააღებინა.

– სისულელეა, – ცივად მიუგო ჰარიმ, – ეგ ბურთი არ იყო, რონმა კინაღამ რომ გაუშვა?

მაკლეგენმა ჰარისკენ ნაბიჯი გადადგა. ჰარის ამჯერად ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია.

– კიდევ ერთხელ ვცდი.

– არა, – მოუჭრა ჰარიმ, – შენ უკვე სცადე. ოთხი ბურთი აიღე. რონმა კი – ხუთი. ჰოდა, რონი მეკარეა. მან პატიოსნად მოგიგო. ახლა კი გზიდან ჩამომეცალე!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წამით ეგონა, ახლა მაკლეგენი მუშტს მითავაზებსო, მაგრამ ის მხოლოდ უშნოდ დაიმანჭა, მუქარით რაღაცა ჩაიბურტყუნა და მოედნიდან გავარდა.

ჰარი მოედნისკენ შეტრიალდა და თავისი ახალი გუნდის წევრების გაბრწყინებული სახეები დაინახა.

– ყოჩაღ, – გაბზარული ხმით ამოიკნავლა ჰარიმ, – ძალიან კარგად იფრინეთ...

– რონ, ბრწყინვალე იყავი!

გახარებული ჰერმიონი მათკენ მორბოდა. ჰარის არ გამოჰპარვია, რომ ლევენდერს პარვატისთვის ხელკავი გამოედო და მოედნიდან ცხვირჩამოშვებული გადიოდა. რონმა გუნდის წევრებსა და ჰერმიონს გაუღიმა. თავისი თავით უსაზღვროდ კმაყოფილი და, თითქოს, გამაღლებულიც კი ჩანდა.

ჰარიმ პირველი ვარჯიში მომდევნო ხუთშაბათისათვის დანიშნა. ამის შემდეგ ჰარი, რონი და ჰერმიონი გუნდის დანარჩენ წევრებს დაემშვიდობნენ და ჰაგრიდისაკენ გასწიეს. გაცრეცილი მზე უკვე ღრუბლებიდან გამოჭყეტას ლამობდა. როგორც იქნა, ჟინჟვლაც შეწყვეტილიყო. ჰარის მგელივით შიოდა. იმედი ჰქონდა, იქნება ჰაგრიდთან საჭმელად ვარგისი რამე მოიძებნოსო.

– მეგონა, მეოთხე ბურთს ვერ ავიღებდი, – ამბობდა ბედნიერი რონი, – ხომ ნახეთ, რა მარჯვედ დაარტყა დემელზამ. მაგრად გამიმართლა...

– ჰო, ჰო, გადასარევად ითამაშე, – ჩაიღიმა ჰერმიონმა.

– მაკლეგენს ხომ მაინც ვაჯობე! – ფრიად კმაყოფილი ტონით აღნიშნა რონმა, – ნახეთ, მეხუთე პენალტზე ის დებილი სულ სხვა მხარეს რომ გავარდა? გეგონებოდა, კონფუნდუსის ჯადო გაუკეთესო...

ჰარის გასაოცრად, ამ სიტყვებზე ჰერმიონს ალმური მოედო. რონს არაფერი შეუმჩნევია და წარმატებით გაბრუებული გაუჩერებლად ქაქანებდა.

უზარმაზარი რუხი ჰიპოგრიფი ბაკბიკი ჰაგრიდის ქოხის წინ იყო მიბმული. მოსულების დანახვაზე მან სამართებელივით ბასრი ნისკარტი ააკაპუნა და ვეება თავი მათკენ მოაბრუნა.

– ვაიმე, – აღელდა ჰერმიონი, – მაინც როგორი საზარელი ჩანს, არა?

– მოიცა, რა! ისე ლაპარაკობ, თითქოს ზედ არასოდეს მჯდარხარ! – მოუჭრა რონმა.

ჰარი წინ წავიდა და მდაბლად დაუკრა თავი ჰიპოგრიფს ისე, რომ თვალი არ მოუშორებია და არც დაუხამხამებია. რამდენიმე წამის შემდეგ ბაკბიკიც დაეშვა წინა ფეხებზე.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როგორა ხარ? – ხმადაბლა ჰკითხა ჰარიმ, ჰიპოგრიფს მიუახლოვდა და შებუმბლილ თავზე ხელი გადაუსვა, – გენატრება, არა? მაგრამ, ჰაგრიდთან ხომ კარგად გრძნობ თავს?

ამ დროს ქოხის უკნიდან ჰაგრიდი გამოვიდა. დიდი ყვავილებით მოჩითული წინსაფარი ეკეთა და კარტოფილის ტომარა მოჰქონდა. ტახზე მონადირე უშველებელი ძაღლი ფენგი ფეხდაფეხ მოსდევდა. ფენგმა მქუხარედ შეჰყეფა და მათკენ ისკუპა.

– გაეცალეთ, თორე თითებს მოგაჭამთ! ააა, თქვენა ხართ? – ფენგი ჰერმიონსა და რონს ახტებოდა და ცდილობდა, მათთვის ყურები აელოკა. ჰაგრიდი ორიოდე წამს გაშეშებული იდგა და სტუმრებს დაჰყურებდა, შემდეგ მათ ზურგი აქცია ქოხში შეალაჯა და ზურგს უკან კარი მოაჯახუნა.

– ვაიმე! – პირკატა ეცა ჰერმიონს.

– ნუ ღელავ, – მტკიცედ თქვა მოღუშულმა ჰარიმ. კართან მივიდა და მთელი ძალით დააბრახუნა.

– ჰაგრიდ, კარი გაგვიღე! შენთან სალაპარაკო გვაქვს. შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

– იცოდე, კარს თუ არ გააღებ, შემოვანგრევ! – განუცხადა ჰარიმ და ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა.

– ჰარი! – თავზარი დაეცა ჰერმიონს, – ასე არ შეიძლება...

– შეიძლება! – უთხრა ჰარიმ, – აბა, უკან დაიხიე...

სანამ კიდევ რამის თქმას მოასწრებდა, კარი ყურთამდე გაიღო და ჰაგრიდი გამოჩნდა (ჰარის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ასეც მოხდებოდა). ბიჭს განრისხებული დასცქეროდა და, ყვავილებიანი წინსაფრის მიუხედავად, მაინც ერთობ საშიში ჩანდა.

– მე მასწავლებელი ვარ! – დაუღრიალა ჰარის, – მასწავლებელი, პოტერ! როგორ მიბედავ, რომ კარის ჩამოღებით მემუქრები!

– უკაცრავად, სერ, – ჰარიმ განგებ გაუსვა ხაზი ბოლო სიტყვას და ჯადოსნური ჯოხი მანტიის ჯიბეში ჩაიბრუნა.

ჰაგრიდი სახტად დარჩა.

– როდის აქეთ მეძახი „სერს“?

– როდის აქეთ მეძახი „პოტერს“?

– ოჰ, რა ჭკვიანი მყავხარ, – ჩაიბურდღუნა ჰაგრიდმა, – ძალიან სასაცილოა. ჭკუით მჯობნი, არა? კაი, შემოდით, აბა... თქვე პატარა უმადურებო...

ჰაგრიდი უკმაყოფილო ბურტყუნით გადგა უკან და სტუმრები გაატარა. დამფრთხალი ჰერმიონი ჰარის ფეხდაფეხ სასწრაფოდ შესხლტა ქოხში.

– რაო, – ჩაიბუზღუნა ჰაგრიდმა, როცა ჰარი, რონი და ჰერმიონი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უშველებელ ხის მაგიდას მიუსხდნენ. ფენგმა მაშინვე მუხლზე დაადო ჰარის თავი და მანტია ერთიანად დაუდორბლა, – გებრალებით? გგონიათ, მარტო ვარ და რამე?

– არა, – საჩქაროდ თქვა ჰარიმ, – შენი ნახვა გვინდოდა.

– გვენატრებოდი! – ხმის კანკალით დაამატა ჰერმიონმა.

– აჰა, მაშ, გენატრებოდით? – დაიფრუტუნა ჰაგრიდმა, – კი, როგორ არა!

ჰაგრიდმა ბრაგაბრუგით აუქცია გვერდი მაგიდას, სპილენძის უზარმაზარ ჩაიდანში ჩაი დააყენა, თან განუწყვეტლივ ბურტყუნებდა. ბოლოს ჟანგისფერი ჩაით გაპიპინებული სამი ვედროსოდენა ფინჯანი და ქვასავით ხმელი ნამცხვრებით სავსე თეფში დაახეთქა მაგიდაზე. ჰარის შიმშილისაგან კუჭი ისე ეწვოდა, რომ ჰაგრიდის მირთმეულ საუზმეზეც კი არ იტყოდა უარს, და სასწრაფოდ გადასწვდა ნამცხვრიან თეფშს.

– ჰაგრიდ, – მოკრძალებით დაიწყო ჰერმიონმა. როცა ჰაგრიდი თავადაც მიუჯდა მაგიდას და ისე გამძვინვარებით შეუდგა კარტოფილის გაფცქვნას, თითქოს მოსისხლე მტერს უსწორდებოდა, – იცი, ჩვენ მართლა ძალიან გვინდოდა, ჯადოსნური არსებების მოვლა შეგვესწავლა.

ჰაგრიდმა ისევ ენერგიულად ჩაიფრუტუნა. ჰარის მოეჩვენა, რომ კარტოფილს ცინგლი დაეფრქვა და გულში გაიფიქრა, კიდევ კარგი, სადილად დარჩენას არ ვაპირებთო.

– მართლა, – დაარწმუნა ჰერმიონმა, – მაგრამ შენი საგანი ვერც ერთმა ვერ ჩავტიეთ ცხრილში!

– კი. როგორ არა, – ისევ გაეპასუხა ჰაგრიდი.

უეცრად უცნაური ტყაპუნი გაისმა და ყველამ მიიხედ-მოიხედა. ჰერმიონს ხმადაბალი კივილი აღმოხდა, რონი სკამიდან წამოხტა და მაგიდას შემოურბინა, რათა, რაც შეიძლებოდა, შორს გასცლოდა კუთხეში მდგარ უზარმაზარ კასრს, რომელიც ახლაღა შეამჩნიეს. კასრი სავსე იყო მატლების მსგავსი ოცდაათი სანტიმეტრი სიგრძის თეთრი, ლორწოვანი და დაკლაკნილი არსებებით.

– ეს რა არის, ჰაგრიდ? – ჰკითხა ჰარიმ. თან შეეცადა, ხმაში უფრო ცნობისმოყვარეობა გაერია, ვიდრე ზიზღი, და გაქვავებული ნამცხვარი მაშინვე ცივად დადო უკან.

– ისეთი არაფერი. გიგანტური მატლებია, – განმარტა ჰაგრიდმა.

– და რომ გაიზრდებიან, რად გადაიქცევიან? – შიშით იკითხა რონმა.

– არაფრადაც არ გადაიქცევიან, – თქვა ჰაგრიდმა, – ეგენი არაგოგის გამოსაკვებად მჭირდება. და მოულოდნელად ცრემლები წასკდა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰაგრიდ! – შეჰყვირა ჰერმიონმა, წამოხტა, მაგიდას მეორე მხრიდან შემოუარა, რომ მატლებიან კასრს ახლოს არ გაჰკარებოდა, და ჰაგრიდს აკანკალებულ მხრებზე ხელი შემოხვია, – რა მოხდა?

– რა და... ის, რომ... – ნერწყვი გადაყლაპა ჰაგრიდმა, ხოჭოსებური შავი თვალებიდან ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები და სახე წინსაფრით შეიმშრალა, – არაგოგი... მგონი, კვდება... მთელ ზაფხულს ავად იყო და არა და არ გამომჯობინდა... არ ვიცი, რა მეშველება, ის თუ... ის თუ... იმდენ ხანს ვიმეგობრეთ...

დაბნეულმა ჰერმიონმა ჰაგრიდს მხარზე ხელი მოუთათუნა, მაგრამ პასუხად ვერაფერი მოიფიქრა. ჰარი მიხვდა, რასაც გრძნობდა ახლა ჰერმიონი. თავისი თვალით ნახა, როგორ აჩუქა ჰაგრიდმა ავ პატარა დრაკონს სათამაშო დათუნია; როგორ დაჰღიღინებდა უზარმაზარ ცეცხლაკუდებს; როგორ ცდილობდა, ტკბილი საუბრით დაეშოშმინებინა თავისი მძვინვარე გოლიათი ნახევარძმა... თუმცა ჰაგრიდის მონსტრულ გატაცებათაგან არაგოგი ალბათ ყველაზე საშინელი იყო – გიგანტური მოლაპარაკე ობობა, რომელიც აკრძალული ტყის სიღრმეში ბუდობდა და რომელსაც ჰარი და რონი ოთხი წლის წინ ბეწვზე გადაურჩნენ.

– ჩვენ... ჩვენ ვერაფრით დაგეხმარებით? – ჰკითხა ჰერმიონმა და თვალი აარიდა რონს, რომელიც სახეს გამწარებული მანჭავდა და უარის ნიშნად თავს აქნევდა.

– არა მგონია, ჰერმიონ, – ამოისლუკუნა ჰაგრიდმა და სცადა, ცრემლის ნიაღვარი შეეკავებინა, – საქმე ისაა, რომ დანარჩენი ურდო... არაგოგის ოჯახი... ცოტა არ იყოს, უცნაურად იქცევა, რაც არაგოგი ავად გახდა... რაღაც, ჟინიანები გახდნენ...

– ჰო, ჩვენ ეს ადრევე შევატყვეთ, – ხმას დაუწია რონმა.

– არა მგონია, ახლა ჩემ გარდა ვინმესთვის უსაფრთხო იყოს მათთან მიახლოება, – დაასრულა ჰაგრიდმა, ცხვირი წინსაფრით ხმაურით მოიხოცა და თავი ასწია, – მაგრამ, გმადლობ, დახმარების შემოთავაზებისათვის, ჰერმიონ... ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს...

ამის შემდეგ სიტუაცია საგრძნობლად განიმუხტა. მიუხედავად იმისა, რომ ჰარისა და რონს ტყეში წასვლისა და მკვლელი, ბუმბერაზი ობობას გიგანტური მატლებით გამოკვების არავითარი სურვილი არ გამოუთქვამთ, ჰაგრიდმა ბუნებრივად ჩათვალა, რომ მისი გულისთვის ბიჭები სიამოვნებით ითავებდნენ ამას და მაშინვე უწინდელი ჰაგრიდი გახდა.

– ასეც ვიცოდი, რო ჩემი საგნისათვის დროს ველარ გამონახავდით, – ჩაილაპარაკა ხრინწიანი ხმით და ჩაი დაუმატა ბავშვებს, – დროის მდევრებიც რომ გამოგეყენებინათ...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ამას ვერ შევძლებდით, – უთხრა ჰერმიონმა, – ამ ზაფხულს სამინისტროში დროის მდევრების მთელი მარაგი დავამსხვრიეთ. ამაზე „დილის მისანმაც“ დაწერა.

– აჰა, მაშ, ვერაფრით მოახერხებდით, – თქვა ჰაგრიდმა, – ბოდიში, რო ასე ვიქცეოდი... ხო იცით, უბრალოდ, არაგოგზე ვნერვიულობდი... და თან იმას ვფიქრობდი, იქნება ჩემ მაგივრად თქვენთვის პროფესორ გრაბლი-პლენკს რო ესწავლებინა... – ამაზე სამივემ კატეგორიულად და პირფერულად განაცხადა, რომ პროფესორი გრაბლი-პლენკი, რომელმაც უწინ რამდენჯერმე შეცვალა ჰაგრიდი, საშინელი მასწავლებელი იყო. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ შებინდებისას, როცა ჰაგრიდმა ისინი ხელის ქნევით გააცილა სახლიდან, შესანიშნავ გუნებაზე ბრძანდებოდა.

– შიმშილით ვკვდები, – დაიჩივლა ჰარიმ, როგორც კი მათ ზურგს უკან კარი დაიხურა და სწრაფი ნაბიჯით გაუყვნენ ბნელ, უკაცრიელ ეზოს. ჰარიმ ჰაგრიდის გაქვავებული ნამცხვრის ჭამას უკანა კბილის საეჭვო ტკაცანის შემდეგ თავი დაანება, – არადა, სნეიპისგან ამაღამ დამატებითი სამუშაო მელის, სავახშმოდ დრო თითქმის არა მაქვს...

ციხე-კოშკში შესულებმა თვალი მოჰკრეს კორმაკ მაკლეგენს, რომელიც დიდ დარბაზში შესვლას ლამობდა, მაგრამ რაღაც უცნაურად იქცეოდა: იმის ნაცვლად, რომ ღია კარში ჩვეულებრივ შესულიყო, პირდაპირ კარის ჩარჩოს სდრუზა თავი. გამწარებულმა გემრიელად შეიგინა და, როგორც იქნა, შესვლა მოახერხა. რონმა ნიშნისმოგებით გადაიხარხარა და დიდ დარბაზში ამაყად შეაბოტა. ჰარიმ კი ჰერმიონს მკლავში ხელი სტაცა და შეაჩერა.

– რა იყო? – ვითომდა გაოცებით იკითხა ჰერმიონმა.

– მე თუ მკითხავ, – ხმადაბლა უთხრა ჰარიმ, – მაკლეგენი ისე იქცევა, თითქოს მართლა კონფუნდუსის ჯადო გაუკეთესო. და, სხვათა შორის, ის სწორედ იმ ტრიბუნის წინ დაფრინავდა, სადაც შენ იჯექი.

ჰერმიონი აილეწა და ჩურჩულით გამოტყდა:

– ჰო, კარგი, კარგი, მართლა მე შევულოცე, მაგრამ, ერთი გაგაგონა, რეებს ლაპარაკობდა რონსა და ჯინიზე! ძალიან საზიზღარი ხასიათი აქვს, ხომ ნახე, როგორი რეაქცია ჰქონდა, გუნდში რომ ვერ მოხვდა. შენ ხომ არ ისურვებდი, რომ გუნდში ასეთი მოთამაშე გყოლოდა?

– არა, ალბათ მართალი ხარ, მაგრამ ეს არაკეთილსინდისიერი საქციელი იყო, ჰერმიონ. შენ ხომ პრეფექტი ხარ!

– ჩუმად, – მოუჭრა ჰერმიონმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ ჩაიცინა. დიდი დარბაზის ზღურბლზე რონი გამოჩნდა და დაეჭვებული სახით იკითხა:

– აქ რას აკეთებთ?

– არაფერს, – ერთხმად უპასუხეს ჰარიმ და ჰერმიონმა და რონს სწრაფად გაჰყვნენ. შემწვარი ხორცის სუნზე ჰარის შიმშილისაგან კუჭი აეწვა, მაგრამ სამი ნაბიჯიც არ გადაედგათ გრიფინდორის მაგიდისაკენ, რომ მათ პროფესორმა სლაგჰორნმა გადაუღობა გზა.

– ჰარი, ჰარი! აი, სწორედ შენი ნახვა მინდოდა! – გულთბილად დაიგუგუნა, ლომვეშაპისებური ულვაშის ბოლო აიპრიხა და ღიპი გამოზნიქა, – იმედი მქონდა, რომ სადილამდე როგორმე მოგიხელთებდი! ამ საღამოს აქ ვახშმობის ნაცვლად, ჩემს აპარტამენტებში პატარა ნადიმზე რას იტყვი? რამდენიმე ამომავალი ვარსკვლავისათვის მოკრძალებულ წვეულებას ვაწყობ. მაკლეგენი და ზაბინი უკვე მოვიწვიე, და კიდევ – მომხიბვლელი მელინდა ბობინი. არ ვიცი, იცნობ თუ არა. მისი ოჯახი აფთიაქების ფართო ქსელს ფლობს. და, რასაკვირველია, ვიმედოვნებ, მის გრეინჯერიც დამდებს პატივს თავისი მობრძანებით.

ამ სიტყვებზე სლაგჰორნმა ჰერმიონს ოდნავ დაუკრა თავი. ისე იქცეოდა, თითქოს რონი იქ სულაც არ ყოფილიყოს. მისთვის ერთი მზერაც კი არ გაიმეტა.

– ვერ წამოვალ, პროფესორო, – არ დაახანა ჰარიმ პასუხი, – პროფესორ სნეიპის დამატებითი სამუშაო უნდა შევასრულო.

– უი, უი, – სასაცილოდ ჩამოუგრძელდა სახე სლაგჰორნს, – ეჰ, როგორი იმედი მქონდა შენი, ჰარი! რას ვიზამ, იქნებ სევერუსს დაველაპარაკო და სიტუაცია ავუხსნა. დარწმუნებული ვარ, მოვახერხებ, რომ დავიყოლიო, სამუშაო სამომავლოდ გადაგიდოს. კარგი, ორივეს მოგვიანებით გნახავთ! – და დიდი დარბაზიდან შურდულივით გავარდა.

– სნეიპის დაყოლიების შანსი არა აქვს, – აღნიშნა ჰარიმ, – სნეიპმა დამბლდორის ხათრით ერთხელ უკვე გადამიდო სასჯელი, მაგრამ სხვისთვის ამას არაფრის დიდებით აღარ იზამს.

– რა ცუდია, რომ ვერ მოდიხარ. მარტო წასვლა არ მინდა!

– აწრიალდა ჰერმიონი. ჰარი მიხვდა, რომ ჰერმიონს მაკლეგენთან შეხვედრა არ უნდოდა.

– მარტო არ იქნები. ალბათ ჯინისაც დაპატიჟებდა, – ანუგეშა რონმა, რომელსაც ეტყობოდა, რომ სლაგჰორნის მხრიდან სრული იგნორირება დიდად არ ეპიტნავა.

ნავახშმევს გრიფინდორის კოშკისკენ გაემართნენ. საერთო ოთახი გადაჭედილი იყო, რადგან სტუდენტების უმრავლესობას უკვე ევახშ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მა. ძლივს იპოვეს ცარიელი მაგიდა და მიუსხდნენ. სლაგჰორნთან შეხვედრის შემდეგ გუნებაწამხდარმა რონმა გულხელი დაიკრიფა და დაბღვერილი მიაჩერდა ჭერს. ჰერმიონი ვიღაცისგან სკამზე დატოვებულ „საღამოს მისნის“ ნომერს მისწვდა.

– რამე ახალს წერენ? – ჰკითხა ჰარიმ.

– ისეთს არაფერს... – ჰერმიონმა გაზეთი გაშალა და თვალი გადაავლო, – უი, ნახე, მამაშენი, რონ... არა, ყველაფერი რიგზეა! – დასძინა სწრაფად, რადგან რონმა შეშფოთებით მოიხედა, – აქ წერია, რომ მამაშენი მალფოების სახლში იყო. „სიკვდილის მხვრელის“ სახლის განმეორებითმა ჩხრეკამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. გაყალბებული თავდაცვითი შელოცვებისა და დამცავი ნივთების აღმოჩენისა და კონფისკაციის განყოფილების უფროსმა არტურ უისლიმ განაცხადა, რომ მისი გუნდი ანონიმური ინფორმაციის საფუძველზე მოქმედებდა“.

– ჰო, – ჩემი ინფორმაციის! – შენიშნა ჰარიმ, – მე ვუთხარი კინგს ქროსზე, რომ მალფოი ბორჯინს რაღაცის შეკეთებას აიძულებდა. თუ ეს რაღაცა მის სახლში არაა, ესე იგი, ჰოგვორტსში თან წამოიღო...

– არა მგონია, ჰარი, – ჰერმიონმა გაზეთი მაგიდაზე დადო, – ჩვენ ხომ ყველანი მოსვლისთანავე გაგვჩხრიკეს!

– მართლა? – სახტად დარჩა ჰარი, – მე არავის გავუჩხრეკივარ.

– აა, რა თქმა უნდა... დამავიწყდა, რომ შენ დაგაგვიანდა. მოკლედ, ფილჩმა ჰოლში ყველა სიცრუის სენსორით შეგვამოწმა. შავი მაგიის ნებისმიერ ნივთს აღმოაჩენდა. მე თვითონ ვნახე, როგორ ჩამოართვეს კრაბს დამჭკნარი თავი. ასე რომ, მალფოი სახიფათოს ვერაფერს შემოიტანდა!

ჰარიმ მცირე ხანს ჯინი უისლის გაუშტერა თვალი, რომელიც თავის ჯუჯა პუფ არნოლდს მხიარულად ეთამაშებოდა. მერე ისევ ჰერმიონს მიუბრუნდა:

– ესე იგი, ვიღაცამ ბუს ფოსტით გამოუგზავნა, დედამისმა ან სხვა ვინმემ.

– ბუებიც იჩხრიკება, – ცივი წყალი გადაასხა ჰერმიონმა, – ფილჩმა გვითხრა.

ჩიხში საბოლოოდ მომწყვდეულმა ჰარიმ ხმა არ ამოიღო. ვერაფრით მოიფიქრა, რა გზით შეიძლებოდა მალფოის სახიფათო ან შავი მაგიის ნივთი სკოლაში შემოეპარებინა. ჰარიმ იმედით გახედა რონს, ის კი ისევ გულხელდაკრეფილი იჯდა და ლევენდერ ბრაუნისკენ იცქირებოდა.

– როგორ ფიქრობ, შეიძლება, რომ მალფოის რამენაირად...

– არ მაინტერესებს, ჰარი, – მოუჭრა რონმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მოიცა, რა ჩემი ბრალია, რომ სლაგჰორნმა მე და ჰერმიონი იმ სულელურ წვეულებაზე დაგვპატიჟა? ხომ იცი, რომ იქ წასვლა არც ერთს არ გვინდა! – წამოენთო ჰარი.

რონი წამოდგა.

– რაკი მე წვეულებებზე არავინ მეპატიჟება, დასაძინებლად წავალ.

თქვა და მძიმე ნაბიჯებით გაემართა ბიჭების საძინებლებში გამავალი კარისკენ. ჰარიმ და ჰერმიონმა თვალი გააყოლეს.

– ჰარი, – ჰარის ახალი ჩეიზერი, დემელზა რობინსი წაადგა თავზე, – შენთან რაღაც დამაბარეს.

– პროფესორმა სლაგჰორნმა? – წელში გაიმართა იმედმიცემული ჰარი.

– არა... პროფესორმა სნეიპმა, – უთხრა დემელზამ. ჰარის გული შეეკუმშა, – ასე თქვა, რომ შენი დამატებითი სამუშაოს შესასრულებლად ცხრის ნახევარზე მის კაბინეტში უნდა გამოცხადდე... ისა... იმის მიუხედავად, რამდენ წვეულებაზეც უნდა იყო მიპატიჟებული. და დამავალა, მეთქვა, რომ დამპალი ფლობერჭიები შხამ-წამლებში გამოსაყენებლად ვარგისიანებისგან უნდა გადაარჩიო, და... და ასე თქვა, დამცავი ხელთათმანების წამოღება საჭირო არ არისო.

– კარგი, – მოიღუშა ჰარი, – დიდი მადლობა, დემელზა.



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი მეთორმეტე

# ვერცხლი და ოპალი

სად იყო დამბლდორი და რას საქმიანობდა? ჰარიმ მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში დირექტორს მხოლოდ ორჯერ მოჰკრა თვალი. დამბლდორი თითქმის აღარ სადილობდა დიდ დარბაზში. როგორც ჩანს, ჰერმიონი მართალი იყო, როცა ივარაუდა, დირექტორი სკოლიდან ზოგჯერ ზედიზედ რამდენიმე დღით მიემგზავრებაო. ნუთუ დამბლდორს დაავიწყდა, რომ ჰარისათვის გაკვეთილები უნდა ჩაეტარებინა? არადა, მისი თქმით, ეს გაკვეთილები პირდაპირ წინასწარმეტყველებას უკავშირდებოდა. თავიდან ჰარიც გამხნევდა, დაიმედდა, მაგრამ ახლა თავს ბედის ანაბარად მიტოვებულივით გრძნობდა.

ოქტომბრის შუა რიცხვებში სოფელ ჰოგსმიდში პირველი ექსკურსია დანიშნეს. ჰარის ხშირად უფიქრია, სკოლის დასაცავად გატარებული ასეთი გამკაცრებული უსაფრთხოების ზომების მიუხედავად, ნეტავ, მაინც თუ მოგვცემენ ექსკურსიაზე წასვლის უფლებასო, ამიტომ ძალიან გაიხარა, როცა შეიტყო, რომ სოფელში სეირნობა არ აეკრძალათ. ციხე-კოშკის შემოგარენიდან რამდენიმე საათით გასვლა ნამდვილი შვება იყო.

ექსკურსიის დღეს ჰარის უთენია გაეღვიძა. ქარიშხლიანი დილა იყო. ჰარიმ საუზმემდე დრო თავისი „ურთულესი შხამ-წამლების“ სახელმძღვანელოს კითხვაში გაატარა. ლოგინში სახელმძღვანელოების კითხვა წესად არა ჰქონდა. ასეთი ჩვევა, რონის აზრით, ჰერმიონის გარდა, ნებისმიერი ნორმალური ადამიანისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო. ხოლო რაც შეეხებოდა ჰერმიონს, ის, უბრალოდ, ასეთი ახირებული იყო და მეტი არაფერი. მაგრამ ჰარი გრძნობდა, რომ „ურთულესი შხამ-წამლების“ ნახევარპრინცისეული ეგზემპლარი სახელმძღვანელოდ ძნელად თუ ჩაითვლებოდა. რაც უფრო


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დიდხანს უკირკიტებდა წიგნს, მით უფრო მეტ აღმოჩენას აკეთებდა. წიგნი არა მარტო შხამ-წამლების შესახებ სასარგებლო რჩევებსა და გამარტივებულ მეთოდებს შეიცავდა, რამაც ჰარის სლაგჰორნის თვალში ასეთი ავტორიტეტი მოუპოვა, არამედ, პატარ-პატარა საინტერესო დათარსვებსა და გათვალვებს. ჰარის ღრმა რწმენით, კიდეებზე ათასგან შესწორებული და გადახაზული ხელნაწერი იმაზე მეტყველებდა, რომ ეს შელოცვები პრინცმა თავად გამოიგონა.

ჰარიმ პრინცის კუთვნილი რამდენიმე შელოცვის გამოყენება უკვე პრაქტიკაშიც სცადა. ერთი მათგანი ფეხის ფრჩხილებს თვალის დახამხამებაში ზრდიდა (ეს შელოცვა დერეფანში კრაბზე გამოსცადა და ძალიან სასაცილო შედეგი მიიღო); მეორე შელოცვა ენას სასაზე აკრობდა (იგი ჰარიმ ორჯერ დაატეხა თავს საცოდავ არგუს ფილჩს და საყოველთაო ტაშიც დაიმსახურა), და ალბათ ყველაზე სასარგებლო შელოცვა იყო მუფლიატო, რომლის წყალობითაც, ირგვლივ მყოფთ ყურებში გაურკვეველი ზუზუნი ედგათ ხოლმე. ასე რომ, ჰარის შეეძლო საკლასო ოთახში ლაპარაკით გული ისე ეჯერებინა, რომ ვერავის გაეგო მისი საუბარი. ერთადერთი, ვისაც ეს შელოცვები სასაცილოდ არ მიაჩნდა, ჰერმიონი იყო. ამ ხნის განმავლობაში სულ მკაცრი, უკმაყოფილო გამომეტყველება ჰქონდა, საუბარზეც უარს აცხადებდა, როცა ჰარი ახლოს მყოფთაგან ვინმეზე მუფლიატოს შელოცვას იყენებდა.

ჰარი საწოლში წამოჯდა და რაღაც შელოცვის ჩაჯღაბნილი ინსტრუქცია უკეთ რომ გაერჩია, წიგნი გვერდულად მოაბრუნა. ამ შელოცვის გამოგონებისას, როგორც ჩანდა, პრინცს ბევრი ეწვალა. ნაწერი ბევრგან გადაეხაზა და შეეცვალა, ბოლოს ფურცლის კუთხეში ერთადერთი სიტყვა მიეწერა: „ლევიკორპუს“ (მდუმ.).

ფანჯარას უმოწყალოდ ეხლებოდა ქარი და თოვლჭყაპი, ნევილი ხვრინავდა. ჰარი ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვას დააკვირდა. „მდუმ“ უეჭველად მდუმარედ შელოცვას ნიშნავდა. ჰარის ეჭვი შეეპარა, რომ ამ შელოცვის შესრულებას შეძლებდა. მას ჯერ კიდევ უჭირდა მდუმარედ შელოცვა, რასაც სნეიპი გამუდმებით შეახსენებდა ხოლმე ბნელი ძალებისგან თავდაცვის ყოველ გაკვეთილზე. მაგრამ პრინცმა უკვე დაამტკიცა, რომ სნეიპზე გაცილებით უკეთესი მასწავლებელი იყო. ჰარიმ უმისამართოდ აღმართა ჯადოსნური ჯოხი, ოდნავ აიქნია და გონებაში წარმოთქვა „ლევიკორპუს“.

– ვაااااااااი!

რონის ღრიალზე ყველას გაელვიძა. ელდანაცემმა ჰარიმ „ურთულესი შხამ-წამლები“ განზე მოისროლა. რონი ჰაერში თავდაყირა ეკიდა, თითქოს უჩინარ კაუჭს კოჭით აეწია მაღლა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ბოდიში! – დაიყვირა ჰარიმ, დინმა და სიმუსმა ხარხარი ატეხეს, საწოლიდან იატაკზე გადავარდნილი ნევილი კი გაჭირვებით წამოდგა, – მოიცა... ახლავე დაგიშვებ დაბლა...

ჰარიმ ხელის ცეცებით მოძებნა შხამ-წამლების სახელმძღვანელო და გამწარებით დაუწყო ფურცვლა. ბოლოს საჭირო გვერდი იპოვა და შელოცვის ქვეშ წვრილად მიწერილი სიტყვა ამოიკითხა: იმ იმედით, რომ ეს კონტრშელოცვა იქნებოდა, სასოწარკვეთილმა ჰარიმ მთელი ძალით გაიფიქრა:

„ლიბერაკორპუს!"

რონი ლეიბზე დაებერტყა.

– ბოდიში, – აკანკალებული ხმით გაუმეორა ჰარიმ. დინი და სიმუსი ისევ გულიანად ხარხარებდნენ.

– ჯობია, ხვალისათვის მაღვიძარა დააყენო, – მოგუდული ხმით უპასუხა რონმა.

მაგრამ როდესაც ჩაცმას შეუდგნენ, ქალბატონი უისლის ხელით მოქსოვილ რამდენიმე სვიტერში ჩაიფუთნნენ და მანტიები, შარფები და ხელთათმანები აიღეს, რონს ელდამ გადაუარა და დაასკვნა, რომ ჰარის ახალი შელოცვა ერთობ სასაცილო იყო, იმდენად სასაცილო, რომ დრო არ დაუკარგავს და როგორც კი სასაუზმოდ დასხდნენ, ჰერმიონს უმალვე უამბო დილის კურიოზი.

– ...ჰოდა, მეც უცებ საწოლზე დავეხეთქე! – ღიმილით დაასრულა რონმა და სოსისი გადაიღო.

ჰერმიონს ოდნავადაც არ გაუღიმია, ბოლოს ჰარის სერიოზული, საყვედურნარევი გამომეტყველებით ჰკითხა:

– ის შელოცვა, შემთხვევით, შენი შხამ-წამლების წიგნიდან ხომ არ იყო?

ჰარიმ შუბლი შეიკრა.

– მაინცდამაინც ცუდზე რატომ უნდა იფიქრო?

– იყო თუ არა?

– კარგი, კარგი, იყო. მერე რა?

– ესე იგი, გადაწყვიტე, ხელით მიჯღაბნილი უცნობი შელოცვა გამოგეყენებინა და გენახა, ამას რა მოჰყვებოდა?

– რა დაშავდა, თუ ხელით არის დაწერილი? – ჰარიმ არჩია, კითხვის დანარჩენი ნაწილისთვის თავი აერიდებინა.

– ის დაშავდა, რომ ის ალბათ მაგიის სამინისტროს მიერ არ არის დამტკიცებული, – თქვა ჰერმიონმა, – და კიდევ, – დასძინა მან, როცა ჰარიმ და რონმა გაღიზიანებულებმა გადახედეს ერთმანეთს, – ის, რომ მე უკვე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, პრინცი დიდი უსინდისო ვინმე იყო.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბიჭები მაშინვე ყალყზე შედგნენ.

– ეს ხუმრობა იყო, – რონმა კეტჩუპი ბლომად მოასხა სოსისებს, – ხუმრობა, ჰერმიონ, და მეტი არაფერი!

– ჰაერში ადამიანის ფეხით ჩამოკონწიალება ხუმრობაა?

– ჰკითხა ჰერმიონმა, – ვინ ხარჯავს დროსა და ენერგიას ამისთანა შელოცვების გამოგონებაში?

– ფრედი და ჯორჯი, – მხრები აიჩეჩა რონმა, – ეს მათი სტილია. და ისა...

– მამაჩემი, – ჩაურთო ჰარიმ. მას სწორედ ახლა გაახსენდა ეს ამბავი.

– რაო? – ერთხმად იკითხეს რონმა და ჰერმიონმა.

– მამაჩემი იყენებდა ამ შელოცვას, – აღნიშნა ჰარიმ, – მე... ლუპინმა მითხრა.

ბოლო სიტყვები სიმართლეს არ შეესაბამებოდა. სინამდვილეში, ჰარიმ საფიქრელაში თავისი თვალით ნახა, როგორ შეულოცა მამამისმა სნეიპს, მაგრამ ამის თაობაზე არასოდეს მოუყოლია რონისა და ჰერმიონისათვის. ახლა კი შესანიშნავი აზრი ეწვია: იქნებ ნახევარპრინცი...

– შეიძლება, მამაშენს მართლაც მიუმართავს ამ შელოცვისათვის, მაგრამ ის ერთადერთი არ ყოფილა. მის გარდა, კიდევ ბევრს გამოუყენებია. თუ დაგავიწყდა, შეგახსენებ, რომ ჩვენი თვალით ვნახეთ, როგორ გამოკიდეს მძინარე უმწეო ადამიანები ჰაერში და აიძულეს, ელივლივათ, – უთხრა ჰერმიონმა. ჰარი გაშტერებული მიაჩერდა ჰერმიონს. მასაც გაახსენდა ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე „სიკვდილის მხვრელთა“ საქციელი და გული დაუმძიმდა. რონმა ჰარის გამოქომაგება სცადა.

– ის სულ სხვა იყო, – განაცხადა ომახიანად, – ისინი ბოროტად იყენებდნენ შელოცვას. ჰარი და მამამისი კი, უბრალოდ, ერთობოდნენ. ჰერმიონ, შენ პრინცი იმიტომ არ მოგწონს, რომ, – რონმა მკაცრად მიუშვირა სოსისი, – ის შხამ-წამლებში გჯობია...

– ეგ რა შუაშია! – ლოყები აუწითლდა ჰერმიონს, – ჩემი აზრით, უპასუხისმგებლობაა იმ შელოცვის გამოყენება, როცა არც კი იცი, რისთვისაა განკუთვნილი, და მოეშვი „პრინცზე“ ისე ლაპარაკს, თითქოს ეს მისი ტიტული იყოს. სანაძლეოს დავდებ, რაღაც სულელური მეტსახელია და მეტი არაფერი. მე თუ მკითხავთ, ეგ თქვენი პრინცი სულაც არ ყოფილა კარგი ადამიანი!

– ვერ ვხვდები, ეგ საიდან მოიტანე, – გაცხარდა ჰარი, – ის პერსპექტიული „სიკვდილის მხვრელი“ რომ ყოფილიყო, ნახევრად ვარ პრინციო, ხომ ვერ იტრაბახებდა?!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის უცებ გაახსენდა, რომ მამამისი წმინდასისხლიანი იყო. ესე იგი, ის...

– ყველა „სიკვდილის მხვრელი“ ვერ იქნება წმინდასისხლიანი, დღეისათვის ამდენი წმინდასისხლიანი ჯადოქარი აღარ დარჩა, – გაჯიუტდა ჰერმიონი, – ჩემი აზრით, მათი უმრავლესობა შერეული სისხლისაა, მაგრამ წმინდასისხლიანებად ასაღებენ თავს. მათ მხოლოდ მაგლური წარმოშობის ჯადოქრები სძულთ. ისინი სიამოვნებით ჩაგრიცხავდნენ შენ და რონს თავიანთ რიგებში.

– გამორიცხულია, „სიკვდილის მხვრელად“ გახდომის უფლებას არასოდეს მომცემენ! – აღშფოთდა რონი და ჩანგალზე წამოცმული სოსისის ნაჭერი ჰერმიონის მხარეს გაიქნია. სოსისი გაფრინდა და ერნი მაკმილანს თავში მოხვდა, – მთელი ჩემი ოჯახი სისხლის შემარცხვენლად ითვლება! ეს „სიკვდილის მხვრელებისთვის“ მაგლური წარმოშობის ტოლფასია.

– სამაგიეროდ, მე სიხარულით მიმიღებდნენ, – სარკასტულად შენიშნა ჰარიმ, – საუკეთესო მეგობრები ვიქნებოდით, გამუდმებით ჩემს საიქიოს გასტუმრებას რომ არ ცდილობდნენ.

რონს გაეცინა, ჰერმიონმაც კი უნებურად გაიღიმა. ამ დროს მათ ჯინი მიუახლოვდა.

– ჰარი, შენთან ეს გამომატანეს.

ჰარიმ ეტრატის გრაგნილი გამოართვა. ზედ ნაცნობი წვრილი, დახრილი ხელით ეწერა მისი სახელი.

– გმადლობ, ჯინი... დამბლდორის შემდეგი გაკვეთილია!

– უთხრა ჰარიმ რონსა და ჰერმიონს, ეტრატი გაშალა და სწრაფად გადაიკითხა, – ორშაბათ საღამოს! – ჰარიმ უცებ შვება და სიხარული იგრძნო, – ჯინი, ჰოგსმიდში ჩვენთან ერთად არ წამოხვალ? – ჰკითხა გოგონას.

– მე დინთან ერთად მივდივარ, შეიძლება, იქ გნახოთ, – უპასუხა ჯინიმ, ხელი დაუქნია და გაეცალა.

ფილჩი, როგორც ყოველთვის, მუხის მთავარ კართან აყუდებულიყო და სიაში მათ გვარებს აღნიშნავდა, ვისაც ჰოგსმიდში წასვლის ნებართვა ჰქონდა. ამ პროცედურას ჩვეულებრივზე მეტი დრო დასჭირდა, რადგან ფილჩი თითო სტუდენტს სიცრუის სენსორით რამდენჯერმე ამოწმებდა.

– რა პრობლემაა, თუ ბნელი ძალებისთვის მნიშვნელოვან ნივთს გარეთ გავიტანთ? – იკითხა რონმა და შიშით შეათვალიერა გრძელი, წვრილი სიცრუის სენსორი, – გირჩევნიათ, ის შეამოწმოთ, რას შემოვიტანთ შიგნით!

ეს თავხედობა რონს „სიცრუის სენსორის“ რამდენიმე ზედმეტი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაძგერების ფასად დაუჯდა და ქარსა და თოვლ-ჭყაპში რომ გავიდ-ნენ, ტკივილისაგან ისევ იჭმუხნებოდა.

ჰოგსმიდში გასეირნება სასიამოვნო სულაც არ გამოდგა. ჰარიმ ცხვირ-პირზე შარფი შემოიხვია. სახის დაუცველი ნაწილი მალე დაუსველდა და გაეყინა. სოფლისაკენ მიმავალი გზა სავსე იყო სტუ-დენტებით, რომლებიც წელში მოხრილნი მიარღვევდნენ სუსხიან ქარს. ჰარიმ არაერთხელ გაიფიქრა, თბილ საერთო ოთახში ამაზე უკეთეს დროს გავატარებდითო, ხოლო როდესაც ბოლოს ჰოგსმიდს მიაღწიეს და ზონკოს ოინების მაღაზია ფიცრებით აჭედილი დახვ-დათ, ჰარი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამ ექსკურსიაზე გართობა არ ეწერათ. რონმა სქელხელთათმანიანი ხელი „თაფლუჭისაკენ“ გაიშვირა, რომელიც, საბედნიეროდ, ღია იყო. ჰარი და ჰერმიონი რონს ფეხდაფეხ შეჰყვნენ ხალხით გაძეძგილ მაღაზიაში.

– მადლობა ღმერთს, – გააჟრჟოლა რონს, როცა ნუგის არომატით გაჯერებული თბილი ჰაერი შეისუნთქა, – მოდით, მთელ დღეს აქ დავრჩეთ.

– ჰარი, ჩემო ბიჭო! – დაიგუგუნა მათ ზურგს უკან ვილაცამ.

– ვაიმე!– წაიბურტყუნა ჰარიმ. სამივენი შეტრიალდნენ და პრო-ფესორი სლაგჰორნი დაინახეს: უზარმაზარი ბეწვის ქუდი ეხურა და ასეთივე ბეწვისსაყელოიანი პალტო ეცვა. ხელში დაშაქრული ანანა-სით სავსე ყუთი ჩაებღუჯა და მაღაზიის მეოთხედს მაინც იკავებდა.

– ჰარი, შენ უკვე სამი ვახშამი გამომიტოვე! – სლაგჰორნმა ბიჭს მკერდში მეგობრულად ატაკა თითი, – ასე არ შეიძლება, ჩემო ბიჭო, რადაც უნდა დამიჯდეს, მაინც ჩემსას გავიტან და ჩემი სტუმარი იქნები. მის გრეინჯერს ძალიან მოსწონს ჩემი წვეულებები, არა?

– დიახ, – უმწეოდ წაილულღლუღა ჰერმიონმა, – მართლაც...

– ჰოდა, ერთხელ შენც წამოჰყევი, ჰარი, – თავისას არ იშლიდა სლაგჰორნი.

– მე ქვიდიჩში ვარჯიში მაქვს დანიშნული, პროფესორო, – მოიმიზეზა ჰარიმ. მართლაც, რამდენჯერაც სლაგჰორნისაგან პატარა იისფერი ლენტით შემკული მოსაწვევი მოუვიდოდა, ჰარი სასწრაფოდ ნიშნავდა ვარჯიშს. ეს სტრატეგია იმისათვის აირჩია, რომ რონი გრიფინდორის კოშკში მარტო არ დარჩენილიყო. ჰარი, რონი და ჯინი ხშირად გულიანად იცინოდნენ, როცა მაკლეგენთან და ზაბინისთან ერთად გამოკეტილ ჰერმიონს წარმოიდგენდნენ ხოლმე.

– იმედი მაქვს, რომ ასეთი თავდაუზოგავი ვარჯიშის შემდეგ პირველ მატჩს აუცილებლად მოიგებთ! – თქვა სლაგჰორნმა, – მაგრამ ცოტა სულის მოთქმა არავის აწყენს. ორშაბათ საღამოზე რას იტყვი, ასეთ ამინდში ვარჯიში მაინც შეუძლებელია...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ შემიძლია, პროფესორო, მე... ისა... იმ საღამოს პროფესორ დამბლდორთან ვარ დაბარებული.

– ეჰ, არც ამჯერად გამიღიმა ბედმა, – დრამატულად დაიჩივლა სლაგჰორნმა, – მაგრამ... ყოველთვის ხომ ვერ დაიძვრენ თავს, ჰარი!

მერე მეფურად დაუქნია ხელი და მაღაზიიდან გაბაჯბაჯდა. რონს ზედაც არ შეხედა, თითქოს ბიჭი ვიტრინაში გამოფენილი ტარაკანის ჩირი ყოფილიყოს.

– არ მჯერა, რომ ისევ დაუსხლტი, – თავი გააქნია ჰერმიონმა, – იცი, იქ არც ისე ცუდია... ზოგჯერ კარგადაც ვერთობით, – ამ დროს ჰერმიონმა რონის გამომეტყველება შეამჩნია, – უი, ნახეთ, შაქრის სუპერფრთები მიუღიათ... ესენი საათობით ინარჩუნებენ გემოს!

იმით გახარებულმა ჰარიმ, რომ ჰერმიონმა საუბრის თემა შეცვალა, ჩვეულებრივზე ბევრად უფრო დიდი ინტერესი გამოიჩინა ახალი ვეებერთელა შაქრის ფრთების მიმართ. მაგრამ რონს მაინც ჩამოსტიროდა ცხვირ-პირი და როცა ჰერმიონმა ჰკითხა, ახლა სად წავიდეთო, პასუხად მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

– მოდით, „სამ ცოცხში“ წავიდეთ, – წინადადება წამოაყენა ჰარიმ, – იქ სითბო იქნება.

ცხვირები ისევ შარფებში ჩარგეს და ტკბილეულის მაღაზიიდან გავიდნენ. „თაფლუჭის“ მოტკბო სითბოს შემდეგ სუსხიანმა ქარმა დანასავით დაუსერა სახეები. ქუჩაზე გამვლელები კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდნენ, სალაპარაკოდ არავინ ყოვნდებოდა, ყველა თავის საქმეზე მიიჩქაროდა. გამონაკლისს მხოლოდ „სამი ცოცხის“ გარეთ მდგარი ორი მამაკაცი წარმოადგენდა. ერთი მაღალი და გამხდარი იყო. თვალმოჭუტულმა ჰარიმ წვიმით დანამული სათვალის ზემოდან გაიხედა და ჰოგსმიდის მეორე ლუდხანაში, „ღორის თავში“ მომუშავე ბარმენი იცნო. ჰარი, რონი და ჰერმიონი რომ მიუახლოვდნენ, ბარმენმა მანტია კისერთან უფრო მჭიდროდ შემოიხვია და გზას გაუყვა. უფრო ტანმორჩილი მამაკაცი ისევ იმ ადგილზე იდგა და ხელში რაღაცას ატრიალებდა. მისგან ნახევარი მეტრიღა თუ აშორებდათ, როცა ჰარი მიხვდა, ვინც იყო იგი.

– მანდანგუს!

გაბურძგნილ, წითურთმაჩამოგრძელებული ჯმუხი, ფეხებდაბრეცილი კაცი შეხტა და ხელიდან ძველისძველი ჩემოდანი გაუვარდა. ჩემოდანი გადაიხსნა და იქიდან რაღაც ძველმანები გადმოცვივდა.

– ااا, გაუმარჯოს ჰარის, – მეტისმეტად ყალბი უდარდელობით მიესალმა მანდანგუს ფლეტჩერი, – აღარ მოგაცდენ, – მანდანგუსი თოვლზე ხოხიალსა და გადმოცვენილი ნივთების შეგროვებას


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოჰყვა, აშკარად ეტყობოდა, რომ ერთი სული ჰქონდა, იქაურობას დროზე გასცლოდა.

– ამ ნივთებს ყიდი? – ჰკითხა ჰარიმ და თვალი მიადევნა მანდანგუსს, რომელმაც მიწიდან რამდენიმე ჭუჭყიანი ნივთი აიტაცა.

– ჰო, რავი, თავი ხომ უნდა ვირჩინო, – მიუგო მანდანგუსმა, – მოიტა!

ამასობაში რონი დახრილიყო და ერთი ვერცხლის ნივთი აეღო.

– მოიცა, მოიცა, – აუჩქარებლად თქვა რონმა, – ეს რაღაც მეცნობა...

– გმადლობ! – მანდანგუსმა რონს ხელიდან გამოსტაცა ფიალა და ჩემოდანში ჩატენა, – აბა, კარგად. მერე გნახავთ... ვაააი!

ჰარი ყელში სწვდა მანდანგუსს და ლუდხანის კედელს მიაკრა. ცალი ხელით გააკავა, მეორით კი ჯადოსნური ჯოხი ამოიღო.

– ჰარი! – შეჰკივლა ჰერმიონმა.

– ესენი სირიუსის სახლიდან გაქვს წამოღებული, – თქვა ჰარიმ. მანდანგუსს სახე სახესთან მიუტანა და ძველი თამბაქოსა და სპირტის უსიამოვნო სუნი ეცა, – იმ ფიალაზე ბლექების ოჯახის ჰერალდიკური ნიშანი დავინახე.

– მე... არა... რა? – ამოიხრიალა მანდანგუსმა, რომელიც თანდათან წითლდებოდა.

– რა ქენი, მისი სიკვდილის ღამეს სახლში შეიპარე და გაძარცვე? – შეუღრინა ჰარიმ.

– მე... არა...

– მომეცი!

– ჰარი, ასე არ შეიძლება! – მთელი ხმით დაიკივლა ჰერმიონმა. მანდანგუსი უკვე ლურჯდებოდა.

გაისმა ბრახანი და ჰარის ხელები ჩამოუცვივდა. მანდანგუსმა დაბლა დავარდნილ ჩემოდანს ხვნეშითა და ხველებით სტაცა ხელი და შემდეგ... ტკაც... აპარაცია გამოიყენა.

ჰარიმ მთელი ხმით შეიგინა. ერთ ადგილზე წრიალებდა და მანდანგუსს ეძებდა.

– სად წახვედი, შე ქურდო...

– აზრი არა აქვს, ჰარი, – საიდანღაც ტონქსი გაჩნდა, თაგვისფერი თმა თოვლსა და წვიმაში დასველებოდა, – მანდანგუსი ალბათ უკვე ლონდონშია. აზრი არა აქვს ყვირილს.

– სირიუსს რაღაცეები აწაპნა! მისი ნივთები მოიპარა!

ტონქსი ამ ინფორმაციას ოდნავადაც არ შეუშფოთებია.

– კი, მაგრამ ჯერ ამ ყინვას უნდა გაერიდო.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტონქსმა მზერით შეაცილა „სამ ცოცხში“ შემავალი ბავშვები. რა წამსაც ლუდხანაში ფეხი შედგა, ჰარიმ ისევ იფეთქა:

– წარმოგიდგენია?! ოჰ, ეგ ქურდი, ეგა!

– დამშვიდდი, ჰარი, გეხვეწები, ნუ ყვირი, ყველა ჩვენ მოგვჩერებია, – უჩურჩულა ჰერმიონმა, – მიდი, დაჯექი. მე სასმელს მოგიტან.

ჰარი ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო, როცა რამდენიმე წუთში ჰერმიონი მაგიდასთან სამი ბოთლი ბურბურახით ხელდამშვენებული დაბრუნდა.

– ნუთუ ორდენს არ შეუძლია მანდანგუსის გაკონტროლება? – ჩურჩულით ჰკითხა გაცოფებულმა ჰარიმ ორივეს, – ნუთუ ასე ძნელია, აუკრძალონ შტაბ-ბინიდან ყველაფრის გაზიდვა, რაც ჩაბეტონებული არ არის?

– ჩშშშ! – სასოწარკვეთილმა ჰერმიონმა მიმოიხედა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მათ არავინ აყურადებდა. იქვე მჯდარი ორი ჯადოქარი ჰარის დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა, შორიახლოს სვეტს ზაბინი მიჰყრდნობოდა, – ჰარი, შენს ადგილზე მეც გავმწარდებოდი, ვიცი, რომ ის შენს ნივთებს იპარავს...

ჰარის ბურბურახი ყელში გადასცდა. სულ ამოუვარდა თავიდან, რომ გრიმოს მოედანი 12 ახლა მას ეკუთვნოდა.

– ჰო, ჩემი ნივთებია! რა გასაკვირია, რომ ჩემი დანახვა არ ესიამოვნა! ყველაფერს ვეტყვი დამბლდორს. ის ერთადერთია, ვისიც მანდანგუსს ეშინია, – თქვა ჰარიმ.

– კარგი აზრია, – მოუწონა ჰერმიონმა, – რონ, რაზე გაგიშტერებია თვალი?

– არაფერზე, – რონმა სწრაფად მოარიდა მზერა დახლს, მაგრამ ჰარიმ იცოდა, რომ ის ცდილობდა, ეშხიანი და მომხიბვლელი დახლიდარისთვის, მადამ როზმერტასათვის, თვალი მოეკრა.

– მგონი, ეგ „არაფერი“ ცეცხლოვანი ვისკის გამოსატანად არის გასული, – დაგესლა ჰერმიონმა.

რონმა არაფერი შეიმჩნია, შეეცადა, ღირსეული დუმილით ეპასუხა ჰერმიონისთვის და სასმელი უსიტყვოდ მოსვა. ჰარი ფიქრობდა სირიუსზე; იმაზე, თუ როგორ სძულდა მას ის ვერცხლის ფიალები. ჰერმიონი თითებს მაგიდაზე აკაკუნებდა და ხან რონს უყურებდა, ხანაც – ბარს.

როგორც კი ჰარიმ ბოთლიდან ბოლო წვეთები გამოწრუპა, ჰერმიონმა თქვა:

– დღეისათვის კმარა, მოდით, სკოლაში დავბრუნდეთ, – ბიჭებმა თავი დაუქნიეს. ექსკურსია საკმაოდ უხალისო გამოდგა. ამინდიც თანდათან სულ უფრო უარესდებოდა. მანტიები ისევ მჭიდროდ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემოიხვიეს ტანზე, შარფებში ჩაიფუთნენ, ხელთათმანები წამოიცვეს, ბარიდან ქეითი ბელისა და მისი მეგობრის კვალდაკვალ გავიდნენ და მთავარ ქუჩას გაუყვნენ. ყინვასა და თოვლ-ჭყაპში ჰოგვორტსისკენ გაჭირვებით მიმავალი ჰარი ჯინიზე ფიქრობდა. სოფელში ჯინის არ შეხვედრიან, ჰარის აზრით, უეჭველად იმიტომ, რომ ის და დინი მყუდროდ შეიყუჟნენ მადამ პადიფუტის კაფეში, რომელიც შეყვარებული წყვილების საყვარელ ადგილს წარმოადგენდა. ჰარიმ შუბლი შეჭმუხნა, თავი დახარა და თოვლსა და ქარბუქში გზა განაგრძო.

ცოტა ხნის შემდეგ ჰარიმ შეამჩნია, რომ ქარს წინ მიმავალი ქეითი ბელისა და მისი მეგობრის ხმა მოჰქონდა. ჰარიმ თვალები მოწკურა და მათ ბუნდოვან ფიგურებს დააკვირდა. გოგონები რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ.

– ეს შენ არ გეხება, ლინ! – ქეითის სიტყვები მოესმა ჰარის.

კუთხეში შეუხვიეს. სველი თოვლი უხვად და გამეტებით უშენდა. ჰარის სათვალე დაიბურა. რა წამსაც მან სათვალის მინის გაწმენდა დააპირა, ლინი ქეითის ხელში ჩაბღუჯულ ფუთას წაეტანა, ქეითმა უკან გაქაჩა და ფუთა მიწაზე დავარდა.

თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს, რომ ქეითი ჰაერში აიწია, ოღონდ, რონივით სასაცილოდ, კოჭით კი არ ჩამოეკიდა, არამედ გრაციოზულად, გაშლილი მკლავებით, თითქოს გაფრენას ლამობსო... მაგრამ რაღაც რიგზე არ იყო, მის თავს აშკარად საშინელება ხდებოდა... თმას ქარიშხალი უწეწავდა, თვალები დახუჭული ჰქონდა, სახე კი – უემოციო. თვალებადქცეული ჰარი, რონი, ჰერმიონი და ლინი ადგილზე გაშეშდნენ.

შემდეგ მიწიდან ხუთი მეტრის სიმაღლეზე გამოკიდულმა ქეითმა საზარლად იკივლა, თვალები ფართოდ დაჭყიტა, მაგრამ, როგორც ჩანდა, რაღაც ისეთს ხედავდა ან გრძნობდა, რომ საშინლად იტანჯებოდა. ამიტომ გულისწამღებად კიოდა.

ლინმაც კივილი მორთო. ქეითს კოჭებში ჩაავლო ხელი და შეეცადა, დაბლა, მიწისაკენ დაექაჩა. ჰარი, რონი და ჰერმიონი დასახმარებლად მიცვივდნენ. როგორც კი ქეითის ფეხებს ჩაეჭიდნენ, გოგონა მათ თავზე დაეცა. ჰარიმ და რონმა ქეითის დაჭერა კი შეძლეს, მაგრამ ის ისე იკლაკნებოდა, რომ მისი გაკავება შეუძლებელი გახდა. სხვა რაღა დარჩენოდათ, მიწაზე დაუშვეს. ქეითი ფართხალებდა და კიოდა, აშკარა იყო, რომ ვერც ერთს ვერ ცნობდა.

ჰარიმ მიმოიხედა. ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებდა.

– აქ დამელოდეთ! – დაუყვირა დანარჩენებს ქარის ღმუილის გადასაფარად, – ვინმეს დახმარებას ვთხოვ!

ჰარი კისრისტეხით გაქანდა სკოლისაკენ. თავის დღეში არ ენახა,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვინმეს ისე დამართოდა, როგორც წუთის წინ – ქეითს. ვერაფრით მიმხვდარიყო, რა იყო ამის მიზეზი. ჰარი შურდულივით შევარდა გზის მოსახვევში და დაეჯახა რაღაცას, რაც ძალიან ჰგავდა უკანა თათებზე შემდგარ უზარმაზარ დათვს.

– ჰაგრიდ, – დაიქშინა გულამოვარდნილმა ჰარიმ.

– ჰარი! – შესძახა ჰაგრიდმა. გაბურძგნილ, თხუნელას ბეწვის ქურქში გახვეულ ჰაგრიდს წარბები და წვერი დათოვლილი ჰქონდა, – ახლახან ვინახულე გრაუპი, ისე გამოსწორდა, ვერც კი წარმოიდგენ...

– ჰაგრიდ, იქ ვიღაცას რაღაცა დაემართა, ან გათვალეს ან სხვა რაღაცა სჭირს...

– რაა? – ჰაგრიდი დაიხარა, რომ გამძვინვარებულ ქარში ჰარის ნათქვამი გაერჩია.

– ვიღაცა გათვალეს! – დაიღრიალა ჰარიმ.

– გათვალეს? ვინ გათვალეს? რონი? ჰერმიონი?

– არა, ისინი არა, ქეითი ბელი... აქეთ წამოდი...

გზას სირბილით გაუყვნენ. ქეითის ირგვლივ შემოკრებილ პატარა ჯგუფს ორიოდე წამში მიაგნეს. გოგონა ისევ მიწაზე იგრიხებოდა და კიოდა. რონი, ჰერმიონი და ლინი მის დაშოშმინებას ამაოდ ცდილობდნენ.

– გაიწიეთ! – დასჭექა ჰაგრიდმა, – მიმიშვით!

– რაღაცა დაემართა, – ქვითინებდა ლინი, – მაგრამ, არ ვიცი, რა...

ჰაგრიდი წამით ქეითს დააშტერდა, შემდეგ უსიტყვოდ დაიხარა, ხელში აიტაცა და ციხე-კოშკისაკენ გააქანა. რამდენიმე წამში ქეითის გამგმირავი კივილი მინელდა, იქაურობას მხოლოდ ქარის ღმუილიღა აყრუებდა.

ჰერმიონი ქეითის აკრუსუნებულ მეგობართან სწრაფი ნაბიჯით მივიდა და ხელი შემოხვია.

– ლინი გქვია, არა?

გოგონამ თავი დაუქნია.

– ეს როგორ მოხდა, მოულოდნელად თუ...

– ფუთა რომ გაიხსნა, მაშინ, – ლინმა ფშლუკუნით მიუთითა მიწაზე დაგდებულ თოვლისგან დასველებულ ყავისფერ ქაღალდში გახვეულ ყუთზე. გახეული ყუთიდან მომწვანო რაღაცა გამოკრთოდა. რონი დაიხარა და ხელი გაიწვდინა, მაგრამ ჰარიმ მაჯაში სტაცა ხელი და შეაჩერა.

– არ შეეხო!

ჰარი ჩაცუცქდა. ქაღალდიდან ორნამენტებით შემკული ოპალის ყელსაბამი გამოჩრილიყო.

– ეს ადრეც მინახავს, – ჰარი ნივთს დააკვირდა, – დიდი ხნის წინ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„ბორჯინ ენდ ბერკსის“ მაღაზიის ვიტრინაში ვნახე. ზედ მიმაგრებულ ბარათზე ეწერა, დაწყევლილიაო. ალბათ ქეითი მას ხელით შეეხო, – ჰარიმ ერთიანად აკანკალებულ ლინს ახედა, – როგორ აღმოჩნდა ის ქეითის ხელში?

– ჩვენც სწორედ ამაზე ვკამათობდით. „სამი ცოცხის“ საპირ-ფარეშოდან ამ ფუთით დაბრუნდა და მითხრა, ეს სიურპრიზია და ჰოგვორტსში ვიღაცას უნდა გადავცეო. ამას რომ ამბობდა, ძალიან უცნაური ჩანდა. არა, არა, არა... ახლა დარწმუნებული ვარ, რომ იმპერიუსის წყევლის გავლენის ქვეშ იყო, მაშინ კი ვერაფერს მივხვდი!

ლინი ისევ გულამოსკვნით აქვითინდა. ჰერმიონმა ნაზად მოუთა-თუნა მხარზე ხელი.

– ლინ, არ უთქვამს, ვინ მისცა?

– არა, არაფრით გამანდო... მე ვუთხარი, სულელურად იქცევი, სკოლაში არ უნდა აიტანო-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა და... და მერე ვცადე, ხელიდან გამომეტაცა... და... და... – ლინს გული ამოუჯდა და ველარ გააგრძელა.

– ჯობია, სკოლაში წავიდეთ, – თქვა ჰერმიონმა, რომელსაც ხელი ისევ ლინისათვის შემოეხვია, – უნდა გავიგოთ, როგორ არის. წამო-დით...

ჰარი წამით შეყოყმანდა, შემდეგ შარფი მოიხსნა, არად ჩააგდო რონის პროტესტი, ყელსაბამს ფრთხილად გადააფარა, აიღო და თქვა:

– ეს მადამ პომფრის უნდა ვაჩვენოთ.

ჰერმიონისა და ლინის უკან მიმავალ ჰარის თავი ლამის ფიქრით გასკდომოდა. სკოლის ეზოში რომ შეაბიჯეს, ჰარიმ ველარ შეძლო დუმილი და ხმა ამოიღო:

– მალფოიმ იცის ამ ყელსაბამის არსებობის შესახებ. ოთხი წლის წინ „ბორჯინ ენდ ბერკსში“ მინის კარადაში ნახა. სამალავიდან ვუთ-ვალთვალებდი, რა ყურადღებით ათვალიერებდა მას მალფოი. აი, თურმე რა იყიდა იმ დღეს, როცა ჩვენ უკან ავედევნეთ! მას ახსოვდა ეს ყელსაბამი და მაღაზიაში მის შესაძენად დაბრუნდა!

– რა ვიცი, ჰარი, – შეყოყმანდა რონი, – რამდენი ხალხი დადის „ბორჯინ ენდ ბერკსში“... თან იმ გოგომ ხომ თქვა, ქეითიმ ფუთა გოგოების საპირფარეშოდან გამოიტანაო!

– მან თქვა, ქეითი საპირფარეშოდან ფუთით დაბრუნდაო. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ეს ფუთა მაინცდამაინც საპირფარეშოში გადასცეს...

– მაკგონაგელი! – გამაფრთხილებლად ჩაილაპარაკა რონმა.

ჰარიმ თავი ასწია. მართლაც, ქარსა და თოვლჭყაპში ქვის საფე-ხურებზე მათ შესახვედრად მაკგონაგელი ჩამორბოდა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰაგრიდმა მითხრა, რომ თქვენ ოთხმა ნახეთ, რა დაემართა ქეითი ბელს. გთხოვთ, ახლავე ჩემს კაბინეტში წამომყვეთ! ეს რა გიჭირავთ ხელში, პოტერ?

– ეს ის ნივთია, რომელსაც ქეითი შეეხო, – მიუგო ჰარიმ.

– ღმერთო ჩემო, – შეშფოთდა პროფესორი მაკგონაგელი და ჰარის ყელსაბამი გამოართვა, – არა, არა, ფილჩ, ესენი ჩემთან არიან! — სწრაფად დასძინა მან, რადგან ამ დროს სიცრუის სენსორით შეიარაღებული დიდი ენთუზიაზმით მოფრატუნდა, – ეს ყელსაბამი ახლავე პროფესორ სნეიპს წაულეთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეეხოთ, შარფში შეხვეული გეჭიროთ!

სტუდენტები პროფესორ მაკგონაგელს აჰყვნენ კიბეზე და მის კაბინეტში შელაგდნენ. შეჭირხლულ ფანჯრებს ზრიალი გაჰქონდა, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა, მაგრამ ოთახში მაინც ციოდა. პროფესორმა მაკგონაგელმა კარი მიხურა, თავის საწერ მაგიდასთან მივიდა და ჰარის, რონის, ჰერმიონისა და აცრემლებული ლინის პირისპირ დადგა.

– აბა, გისმენთ, რა მოხდა?

ლინმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, სლუკუნ-სლუკუნით მოუთხრო პროფესორ მაკგონაგელს, როგორ შევიდა ქეითი „სამი ცოცხის“ საპირფარეშოში და როგორ დაბრუნდა უწარწერო ფუთით; ისიც დაამატა, რომ ამის შემდეგ ქეითი ცოტათი უცნაურად იქცეოდა და ლინმა ვერაფრით დაარწმუნა, რომ არ შეიძლებოდა უცნობი ნივთის სხვისთვის გადაცემაზე დაუფიქრებლად დათანხმება; სლუკუნით მოჰყვა, როგორ დასრულდა მათი კამათი ფუთის გამო ძიძგილაობით და როგორ გაიხა ფუთა. ამ დროს ლინი ისე აქვითინდა, რომ მეტი ველარაფერი ათქმევინეს.

– კარგი, – მოლბა პროფესორი მაკგონაგელი, – ლინ, საავადმყოფო ფლიგელში ადით, გეთაყვა და მადამ პომფრის სთხოვეთ, რამე დამამშვიდებელი მოგცეთ.

ლინი ოთახიდან გავიდა თუ არა, პროფესორი მაკგონაგელი ჰარის, რონსა და ჰერმიონს მიუბრუნდა:

– რა მოხდა, როცა ქეითი ყელსაბამს შეეხო?

– ჰაერში აიწია, – დაასწრო რონსა და ჰერმიონს ჰარიმ, – კივილი მორთო და გონება დაკარგა. პროფესორო, შეიძლება, პროფესორი დამბლდორი ვნახო?

– დირექტორი ორშაბათამდე არ იქნება, პოტერ, – გაოცდა პროფესორი მაკგონაგელი.

– არ იქნება? – გაიმეორა აღშფოთებულმა ჰარიმ.

– დიახ, პოტერ, არ იქნება! – უკმეხად უთხრა პროფესორმა მაკ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გონაგელმა, – მაგრამ ამ საშინელი საქმის თაობაზე რამე თუ გაქვთ სათქმელი, შეგიძლიათ, მე მითხრათ!

წამით ჰარი შეყოყმანდა. უჭირდა, პროფესორ მაკგონაგელთან გულახდილი ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ჰარის დამბლდორისა მეტი რიდი ჰქონდა, გულის გადაშლას მას უფრო გაუბედავდა, რადგან იცოდა, რომ, როგორი დაუჯერებელი მოსაზრებაც უნდა გამოეთქვა, დირექტორი მას აბუჩად არ აიგდებდა. მაგრამ ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს წარმოადგენდა და იმაზე ფიქრის დრო არ იყო, დასაცინი არ გავხდეო.

– პროფესორო, ჩემი აზრით, ყელსაბამი ქეითის დრაკო მალფოიმ მისცა.

მის ერთ მხარეს რონმა უხერხულად ჩაახველა და ხმაურით მოიწმინდა ცხვირი, მეორე მხარეს ჰერმიონი აცმუკდა.

– ეს ძალიან სერიოზული ბრალდებაა, პოტერ, – ძლივს მოიბრუნა ენა ელდანაკრავმა პროფესორმა მაკგონაგელმა, – დამამტკიცებელი საბუთი გაქვთ?

– არა, – მიუგო ჰარიმ, – მაგრამ...

ჰარი მოუყვა, როგორ აედევნენ მალფოის „ბორჯინ ენდ ბერკსამდე", და რა საუბარი მოისმინეს მასა და ბორჯინს შორის.

ჰარიმ თხრობა დაასრულა. პროფესორი მაკგონაგელი ოდნავ დაიბნა.

– მალფოიმ „ბორჯინ ენდ ბერკსში" რაღაცა მიიტანა შესაკეთებლად?

– არა, პროფესორო, უბრალოდ, უნდოდა, ბორჯინს მისთვის ესწავლებინა, როგორ შეეკეთებინა რაღაცა. თან არა ჰქონდა. მაგრამ მთავარი ეს არ არის, საქმე ისაა, რომ მაშინ რაღაცა იყიდა კიდეც და, ჩემი აზრით, ეს ყელსაბამი იყო...

– თქვენ დაინახეთ, როგორ გამოვიდა მალფოი მაღაზიიდან ასეთივე ფუთით?

– არა, პროფესორო, მან ბორჯინს დაავალა, ნივთი მაღაზიაში შეენახა მისთვის...

– მაგრამ, ჰარი, – ჩაერია ჰერმიონი, – ბორჯინმა შესთავაზა, თან წაიღეო, მაგრამ მალფოიმ უარი უთხრა...

– რა გასაკვირია, იმიტომ, რომ არ უნდოდა, ხელით შეხებოდა! – გაბრაზდა ჰარი.

– სინამდვილეში მან თქვა, რა სანახავი ვიქნები, ქუჩაში ამით რომ ვიაროო? – შეახსენა ჰერმიონმა.

– ჰოდა, ყელსაბამით ხელში მართლა იდიოტს დაემსგავსებოდა, – ჩაურთო რონმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ო, რონ, ის ხომ შეფუთული იქნებოდა, ხელით შეხება არც მოუწევდა და სულ ადვილად შემალავდა მანტიის შიგნით, ასე რომ, ვერავინ დაინახავდა! მე მგონია, რომ ის, რაც „ბორჯინ ენდ ბერკსს“ შესანახად მიაბარა, ხმაურიანი ან დიდი ზომისა იყო. მალფოიმ იცოდა, რომ ქუჩაში მისი ტარებით ზედმეტ ყურადღებას მიიქცევდა, და... გარდა ამისა, – ხმას აუწია ჰერმიონმა, სანამ ჰარი შეაწყვეტინებდა, – როცა მაღაზიაში შევედი და ვცადე, გამერკვია, რის შენახვა სთხოვა მას მალფოიმ, ყელსაბამი იქ ვნახე. ჰოდა, როცა ბორჯინს ვკითხე, იყიდება თუ არა-მეთქი, მან მხოლოდ ფასი მითხრა, არ დაუზუსტებია, უკვე გაყიდულიაო, ან რამე მაგდაგვარი...

– შენ ძალიან არაბუნებრივად იქცეოდი, დაგავიწყდა, რომ რამდენიმე წამში განზრახვას მიგიხვდა? რა თქმა უნდა, არაფერს გეტყოდა... მერე რა, მალფოის შეეძლო, ვინმე მოგვიანებით გაეგზავნა ყელსაბამის შესაძენად, თუ...

– საკმარისია! – ბრძანა პროფესორმა მაკგონაგელმა, როცა გაწიწმატებულმა ჰერმიონმა შეპასუხება დააპირა, – პოტერ, ძალიან ვაფასებ, რომ ეს ყველაფერი გამანდეთ, მაგრამ არ შეიძლება მისტერ მალფოის ასე ხელაღებით დადანაშაულება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი იმ მაღაზიას ეწვია, სადაც, შესაძლოა, ეს ყელსაბამი გაიყიდა. ასე ხომ ასობით ადამიანზე შეიძლება ეჭვი მივიტანოთ...

– მეც ეგ არა ვთქვი? – ჩაიბუტბუტა რონმა.

– გარდა ამისა, წელს სკოლის დასაცავად უსაფრთხოების გამკაცრებული ზომები მივიღეთ. არა მგონია, ამ ყელსაბამს სკოლაში ჩვენგან უჩუმრად შემოეღწია.

– კი, მაგრამ...

– მეტიც, – კატეგორიული ტონით დაასრულა მაკგონაგელმა, – მისტერ მალფოი დღეს ჰოგსმიდში არ ყოფილა.

სახტად დარჩენილმა ჰარიმ პირი დააღო.

– თქვენ საიდან იცით, პროფესორო?

– ჩემ მიერ მისჯილ დამატებით სამუშაოს ასრულებდა. ტრანსფიგურაციაში უკვე ორჯერ ზედიზედ არ მოამზადა საშინაო დავალება. ასე რომ, დიდი მადლობა თქვენი ეჭვების გაზიარებისთვის, პოტერ, – მიმართა მან ჰარის და კარისკენ წავიდა, – მაგრამ ახლა საავადმყოფო ფლიგელში უნდა ავიდე და ქეითი ბელის მდგომარეობა ვიკითხო. კარგად ბრძანდებოდეთ.

მან კაბინეტის კარი გამოაღო. სხვა რაღა დარჩენოდათ, ჩამწკრივებულებმა უსიტყვოდ ჩაუარეს მასწავლებელს.

ჰარი გამწყრალი იყო რონსა და ჰერმიონზე იმის გამო, რომ მათ მაკგონაგელს მხარი აუბეს. მაგრამ არ შეეძლო, ამ ყველაფრის


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემდეგ ჩუმად ყოფილიყო და ხელახლა წამოწყებულ საუბარში არ ჩარეულიყო.

– როგორ ფიქრობთ, ვისთვის უნდა გადაეცა ქეითს ის ყელსაბამი? – იკითხა რონმა, საერთო ოთახისაკენ კიბეებს რომ აუყვნენ.

– ღმერთმა უწყის, – თქვა ჰერმიონმა, – მაგრამ, ვინც უნდა ყოფილიყო, ბეწვზე გადარჩა. იმ ფუთას ვერავინ გახსნიდა ისე, რომ ყელსაბამს არ შეხებოდა.

– ჰოგვორტსში ბევრია ისეთი ადამიანი, რომლისთვისაც შეიძლებოდა ეს ყელსაბამი გადაეცათ, – შენიშნა ჰარიმ, – თუნდაც, დამბლდორი – „სიკვდილის მხვრელები“ სიამოვნებით მოიშორებდნენ მას თავიდან. ის მათი ერთ-ერთი უპირველესი სამიზნე უნდა იყოს. ან – სლაგჰორნი. დამბლდორი ფიქრობს, რომ ვოლდემორს ძალიან უნდოდა მისი გადაბირება და ალბათ „სიკვდილის მხვრელები“ მასზე კბილებს ილესავენ, რადგან დამბლდორს მიემხრო. ან...

– ან შენ, – დაასრულა შეშფოთებულმა ჰერმიონმა.

– შეუძლებელია, – იუარა ჰარიმ, – მაშინ ქეითი, უბრალოდ, გზაზე შემობრუნდებოდა და ფუთას მომცემდა. „სამი ცოცხიდან“ გასვლის შემდეგ მას უკან მივყვებოდი. უფრო გონივრული არ იქნებოდა, ფუთა ჰოგვორტსის გარეთ გადმოეცა? სკოლაში ხომ ფილჩს ვერსად წაუხვალ: ყველა შემსვლელ-გამომსვლელს ჩხრეკს. საინტერესოა, რატომ დაავალა მალფოიმ ყელსაბამის სკოლაში შეტანა?

– ჰარი, მალფოი ჰოგსმიდში არ ყოფილა! – მოთმინებადაკარგულმა ჰერმიონმა ფეხი დააბაკუნა.

– მაშინ, თანამზრახველს იყენებდა, – თავისას არ იშლიდა ჰარი, – კრაბს ან გოილს, ან... სხვა „სიკვდილის მხვრელს“, ახლა მას კრაბსა და გოილზე ბევრად უკეთესი დამქაშები ეყოლება, რაკი მათ რიგებს შეუერთდა...

რონმა და ჰერმიონმა ერთმანეთს ისე გადახედეს, აშკარად იგულისხმებოდა, მასთან კამათს აზრი არა აქვსო.

– დილიგროუტ, – მტკიცედ წარმოთქვა ჰერმიონმა, როცა ფუშ-ფუშა ქალბატონს მიადგნენ.

პორტრეტი გაიხსნა და ისინი საერთო ოთახში შეუშვა. ოთახი გადაჭედილი და ნესტიანი ტანისამოსის სუნით გაჯერებული დახვდათ. უამინდობის გამო ბევრი ჰოგსმიდიდან ადრე დაბრუნებულიყო. მაგრამ შეშინებული ჩურჩული ან სჯა-ბაასი არ ისმოდა. როგორც ჩანდა, ქეითის თავს გადამხდარი ამბავი ჯერ არ გავრცელებულიყო.

– სხვათა შორის, თუ დავფიქრდებით, ეს მაინცდამაინც მარჯვე თავდასხმა არ იყო, – თქვა რონმა, ერთი პირველკურსელი ბუხართან მდგარი ფუმფულა სავარძლიდან წამოაგდო და თვითონ გაიშოტა,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– წყევლამ ციხე-კოშკში ვერც კი შემოაღწია. საიმედო გეგმას ნამდვილად ვერ უწოდებ.

– მართალი ხარ, – ჰერმიონმა ფეხის კვრით წამოახტუნა რონი სავარძლიდან და ისევ პირველკურსელს შესთავაზა, – სულაც არ ყოფილა კარგად მოფიქრებული.

– კი მაგრამ, როდის აქეთ გახდა მალფოი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე? – იკითხა ჰარიმ.

რონმა და ჰერმიონმა არაფერი უპასუხეს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

# თავი მეცამეტე

# უცნობი რიდლი

მეორე დღეს ქეითი მაგიური სნეულებებისა და ტრავმების წმინდა მუნგოს სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს. ამ დროისათვის მისი გათვალვის ამბავი მთელ სკოლას მოედო, თუმცა წვრილმანები ზუსტად არავინ იცოდა და ჰარის, რონის, ჰერმიონისა და ლინის გარდა, ყველას ეგონა, რომ ამ თავდასხმის სამიზნე თავად ქეითი იყო.

– რა თქმა უნდა, მალფოიმაც იცის, – უთხრა ჰარიმ რონსა და ჰერმიონს, რომლებიც ყოველთვის ყურს იყრუებდნენ, რამდენჯერაც ჰარი მალფოის „სიკვდილის მხვრელობაზე" ჩამოაგდებდა საუბარს.

ჰარი შიშობდა, ვაითუ დამბლდორი ორშაბათის საღამოს გაკვეთილისათვის ჰოგვორტსში დროულად არ დაბრუნდესო. მაგრამ ვინაიდან გაკვეთილის გადადების თაობაზე არავის გაუფრთხილებია, რვა საათზე დამბლდორის კაბინეტთან გამოცხადდა, დააკაკუნა და შეიპატიჟეს. კაბინეტში უჩვეულოდ დაღლილი დამბლდორი იჯდა, ხელი ისევ შავი და დამწვარი ჰქონდა, მაგრამ ჰარის მაინც ღიმილით მიუთითა სკამზე. საფიქრელა კვლავ მაგიდაზე წამოსკუპებულიყო და მისგან არეკლილი ვერცხლისფერი ათინათი ჭერს დასთამაშებდა.

– ჩემს აქ არყოფნაში ძალიან ბევრი რამ მომხდარა, – შენიშნა დამბლდორმა, – რამდენადაც ვიცი, შენი თვალით ნახე, რა შეემთხვა ქეითი ბელს.

– დიახ, სერ. როგორ არის?

– ჯერჯერობით ძალიან ცუდად, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ბედმა გაუღიმა. როგორც აღმოჩნდა, ყელსაბამს კანის უმცირესი ნაწილით შეეხებია: მის ხელთათმანს სულ ერთი ციცქნა ნახვრეტი ჰქონდა. ყელსაბამი რომ ჩამოეკიდა, შიშველი ხელითაც რომ შეეხებოდა, შესაძლოა, ადგილზევე დაღუპულიყო. საბედნიეროდ,



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პროფესორმა სნეიპმა დროულად მოახერხა, აღეკვეთა წყევლის გავრცელება.

– რატომ მან და არა მადამ პომფრიმ? – საჩქაროდ იკითხა ჰარიმ.

– თავხედი, – ხმადაბლა ჩაილაპარაკა კედელზე ჩამოკიდებულ ერთ-ერთ პორტრეტზე სირიუსის პაპის პაპის პაპამ, ფინეას ნაიჯელუს ბლექმა, რომელიც აქამდე თავს იმძინარებდა, – მე რომ ჰოგვორტსის დირექტორი ვიყავი, არასოდეს ვაძლევდი მოსწავლეებს ჩემი დაკითხვის უფლებას!

– გმადლობთ, ფინეას, – დააშოშმინა დამბლდორმა, – ჰარი, პროფესორი სნეიპი მადამ პომფრიზე გაცილებით უკეთ ერკვევა შავ მაგიაში. მაგრამ საშიში არაფერია. წმინდა მუნგოს კლინიკის პერსონალი ყოველ საათს მამცნობს პაციენტის მდგომარეობას და იმედი მაქვს, ქეითი მალე სრულიად გამოჯანმრთელდება.

– ამ შაბათ-კვირას სად ბრძანდებოდით, სერ? – ჰკითხა ჰარიმ, თუმცა გუმანი კარნახობდა, რომ დირექტორს ზედმეტად გაუთამამდა. ფინეას ნაიჯელუსმაც აშკარად იგივე გაიფიქრა, რადგანაც ხმადაბლა დაისისინა.

– უმჯობესია, ამაზე საუბრისაგან ჯერჯერობით თავი შევიკავო, – მიუგო დამბლდორმა, – მაგრამ თავის დროზე ყველაფერს მოგიყვები.

– მომიყვებით? – შეცბა ჰარი.

– იმედი მაქვს, კი, – დამბლდორმა მანტიიდან ვერცხლისფერი მოგონებებით სავსე ახალი ბოთლი ამოიღო და ჯადოსნური ჯოხის შეხებით საცობი ამოაძრო.

– სერ, – გაუბედავად მიმართა ჰარიმ, – ჰოგსმიდში მანდანგუსს შევხვდი.

– ა, დიახ. ჩემამდე უკვე მოაღწია ამბავმა, რომ მანდანგუსს შენს მემკვიდრეობაზე რამდენჯერმე ხელი წასცდენია, – შუბლი შეიკრა დამბლდორმა, – მას შემდეგ, რაც შენ ის „სამ ცოცხთან“ გამოიჭირე, თითქოს მიწამ უყო პირი. მგონი, სიკვდილივით ეშინია, რომ სადმე არ გადამეყაროს. მაგრამ ნუ ღელავ, სირიუსის კუთვნილ ნივთებს ველარ გაიტაცებს.

– ის ქეციანი გადაყრუებული მუქსისხლიანი ბლექების საგვარეულო ნივთებს იპარავდა? – აიფოფრა ფინეას ნაიჯელუსი და ჩარჩოდან ამაყად გააბიჯა, უეჭველად გრიმოს მოედანზე 12-ში თავისი პორტრეტის მოსანახულებლად გაემგზავრა.

– პროფესორო, – მცირე პაუზის შემდეგ გაბედა ჰარიმ, – პროფესორმა მაკგონაგელმა ხომ არ გადმოგცათ, რაც ქეითის დაშავების შემდეგ დრაკო მალფოის შესახებ ვუამბე?

– დიახ, შენი ეჭვები გამიზიარა, – თავი დაუქნია დამბლდორმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– და თქვენ...

– მე ყველა საჭირო ზომას მივმართავ, რათა გამოვიძიო, ვისი ხელი ურევია ქეითის თავს დამტყდარ უბედურებაში, – თქვა დამბლდორმა, – მაგრამ ამჟამად მე მხოლოდ ჩვენი გაკვეთილი მაინტერესებს, ჰარი.

ჰარი ოდნავ განაწყენდა: თუ მათი გაკვეთილები ასე მნიშვნელოვანია, მაშინ პირველ და მეორე მეცადინეობას შორის ამხელა ინტერვალი რატომ იყო? მიუხედავად ამისა, დრაკო მალფოიზე მეტი აღარაფერი უთქვამს. უსიტყვოდ ადევნებდა თვალს დამბლდორს, რომელმაც ახალი მოგონებები საფიქრელაში ჩაღვარა და გრძელ თითებში მოქცეული ჯამი შეაჯანჯღარა.

– ალბათ, გახსოვს, სად შეწყდა ჩვენი მოგზაურობა ვოლდემორის წარსულში: სიმპათიურმა მაგლმა ტომ რიდლმა ჯადოქარი მეუღლე მეროუპი მიატოვა და ლიტლ-ჰენგლტონში თავის მშობლიურ სახლს დაუბრუნდა. ფეხმძიმე მეროუპი ლონდონში მარტო დარჩა.

– საიდან იცით, რომ ლონდონში იყო, სერ?

– კარაკტაკუს ბერკის ჩვენებიდან, რომელმაც, უცნაური დამთხვევის წყალობით, მონაწილეობა მიიღო იმ მაღაზიის გახსნაში, სადაც წუთის წინ ჩვენი საუბრის საგნად ქცეული ყელსაბამი გაიყიდა.

დამბლდორმა საფიქრელა ისე შეაჯანჯღარა, როგორც ოქროს მაძიებელი ანჯღრევს ხოლმე საცერს. ეს ჰარის თვალწინ არაერთხელ გაეკეთებინა. მორევივით მოტრიალე, მოვერცხლისფრო მასიდან ბერიკაცი ამოიზარდა. იგი საფიქრელაში ნელა, წრიულად ბრუნავდა, ვერცხლისფერ მოჩვენებას წააგავდა, მაგრამ უფრო შემკვრივებული ჩანდა. თვალებს მთლიანად უფარავდა შუბლზე ჩამოყრილი ხშირი თმა.

– დიახ, ფრიად უცნაურ ვითარებაში ჩავიგდეთ ხელში.

რამდენიმე ათეული წლის წინ სწორედ შობის დადგომამდე ერთმა ახალგაზრდა ჯადოქარმა გოგონამ მოიტანა. ფული საჩქაროდ მჭირდებაო, აბა რა, ეს ისედაც ცხადი იყო. კონკებში იყო გახვეული და ძალიან მარტოსული ჩანდა... თანაც ბავშვს ელოდებოდა... ამტკიცებდა, მედალიონი სლიზერინისაა. ასეთი რამე ხშირად მოგვისმენია... „ო, ეს მერლინის საყვარელი ჩაიდანია“... მაგრამ, როცა ყურადღებით დავათვალიერე, სლიზერინის ნიშანი მართლა აღმოაჩნდა და რამდენიმე მარტივი შელოცვა საკმარისი აღმოჩნდა სიმართლის დასადგენად. რა თქმა უნდა, ეს ნივთი იმწამსვე ფასდაუდებელი გახდა. იმ გოგოს ეტყობოდა, აზრზე არ იყო, რამდენი ღირდა. სიხარულით ცას ეწია, ათი გალეონი რომ გადავუხადე. ამაზე სარფიანი გარიგება მეორე არა მქონია!

დამბლდორმა საფიქრელა ერთხელაც შეანჯღრია ენერგიულად და კარაკტაკუს ბერკი მოგონებების მორევში ჩაიძირა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სულ რაღაც ათი გალეონი გადაუხადა? – იკითხა აღშფოთებულმა ჰარიმ.

– კარაკტაკუს ბერკი ხელგაშლილობით არასოდეს გამოირჩეოდა, – უპასუხა დამბლდორმა, – მაშ, ჩვენ ვიცით, რომ ფეხმძიმობის მიწურულს მეროუპი მარტოდმარტო იყო ლონდონში და სასწრაფოდ სჭირდებოდა ფული. იმდენად, რომ იძულებული გახდა, გასაყიდად გაემეტებინა თავისი ერთადერთი ღირებული საკუთრება – მედალიონი, რომელიც მერვოლოს მიერ ერთ-ერთ ყველაზე სათუთად ნალოლიავებ ოჯახურ რელიკვიას წარმოადგენდა.

– კი მაგრამ, მას ხომ ჯადოქრობა შეეძლო! – ვეღარ მოითმინა ჰარიმ, – ხომ შეეძლო, საკვები და სხვა ყველაფერი ჯადოქრობის წყალობით ეშოვა?

– ალბათ, შეეძლო კიდეც. მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, მას შემდეგ, რაც ქმარმა მიატოვა, მეროუპს ჯადოქრობისათვის აღარ მიუმართავს. ეს მხოლოდ ჩემი პირადი აზრია, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, რომ არ ვცდები. ჩემი აზრით, მას აღარ სურდა, ჯადოქარი ყოფილიყო. ისიც შესაძლებელია, რომ უპასუხოდ დატოვებულმა სიყვარულმა და სასოწარკვეთამ სრულებით დააუძლურა, ასე ხდება ხოლმე. ასეა თუ ისე, მალე შენი თვალით ნახავ, რომ მეროუპი ჯადოსნურ ჯოხს თავის გადასარჩენადაც კი არ გაჰკარებია.

– შვილის გულისთვისაც კი არ ისურვა სიცოცხლე?

დამბლდორმა წარბები აზიდა.

– ნუთუ ლორდ ვოლდემორის მიმართ სიბრალულს გრძნობ?

– არა, – საჩქაროდ იუარა ჰარიმ, – მაგრამ მეროუპს ხომ არჩევანი ჰქონდა, დედაჩემისაგან განსხვავებით...

– არჩევანი დედაშენსაც ჰქონდა, – ნაზად შენიშნა დამბლდორმა, – დიახ, მეროუპ რიდლმა სიკვდილი არჩია, მიუხედავად იმისა, რომ მის ვაჟს დედა სჭირდებოდა. მაგრამ ნუ განსჯი მას ძალიან მკაცრად, ჰარი. იგი ხანგრძლივმა ტანჯვა-წვალებამ ძალიან დაასუსტა, დედაშენივით მამაცი არასდროს ყოფილა. ახლა კი, გეთაყვა, წამოდექი...

– სად მივდივართ? – ჰკითხა ჰარიმ დამბლდორს, რომელმაც მაგიდას შემოუარა და ბიჭს მიუახლოვდა.

– ამჯერად ჩემს მოგონებას ვეწვევით. ჩემი აზრით, შენთვის ის ამომწურავი და დამაკმაყოფილებელი იქნება. მიდი, ჰარი.

ჰარი საფიქრელაზე დაიხარა. სახით გაარღვია მოგონებების გრილი ზედაპირი და, უკვე მერამდენედ, უძირო წყვდიადში გადაეშვა. რამდენიმე წამში მიწაზე დახტა და თვალები გაახილა. დამბლდორთან ერთად ლონდონის ხმაურიან, ძველებურ ქუჩაზე იდგა.

– ესეც მე, – მხიარულად განაცხადა დამბლდორმა და თითი წინ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაიშვირა. ცხენშებმული რძის ფორნის წინ, ქუჩაზე, მაღალი ფიგურა გადადიოდა.

ახალგაზრდა, გრძელ წაბლისფერთმაწვერიანი ალბუს დამბლდორი მოპირდაპირე ქუჩაზე გადავიდა, ფართო ნაბიჯით გაუყვა ტროტუარს და თვალში საცემი ქლიავისფერი ხავერდის პიჯაკის წყალობით უამრავი ცნობისმოყვარე მზერა გაიყოლა.

– მშვენიერი პიჯაკია, სერ, – წამოსცდა ჰარის. პასუხად დამბლდორმა მხოლოდ ჩაიცინა და თავის შედარებით ახალგაზრდა ორეულს მცირე მანძილის მოშორებით გაჰყვა. ბოლოს რკინის ჭიშკარს გასცდნენ და მაღალი გალავნით შემოსაზღვრულ ხრიოკ ეზოში შევიდნენ, სადაც საკმაოდ პირქუში კვადრატული შენობა იდგა. დამბლდორმა წინკართან რამდენიმე საფეხური აიარა და კარზე ერთხელ დააკაკუნა. ორიოდე წამში კარი წინსაფრიანმა ფეთხუმმა გოგონამ გააღო.

– გამარჯობა. მე ქალბატონ კოულთან შეხვედრა მაქვს დანიშნული. თუ არ ვცდები, ამ თავშესაფრის გამგე უნდა იყოს.

– აჰა, – გაშტერებულმა გოგონამ დამბლდორის ექსცენტრული გარეგნობა შეათვალიერა, – მმმ... ერთი წუთით... – თავი მიაბრუნა და მთელი ხმით იყვირა: – ქალბატონო კოულ!

შორიდან საპასუხო ყვირილი მოისმა. გოგონა ისევ დამბლდორს მიუბრუნდა.

– შემობრძანდით, უკვე მოდის.

დამბლდორმა ფეხი შედგა შავ-თეთრ ფილაქანდაგებულ ჰოლში. იქაურობას ღარიბული იერი დაჰკრავდა, თუმცა უზადოდ გაეკრიალებინათ. ჰარი და უფრო მხცოვანი დამბლდორიც ჰოლში შევიდნენ. სანამ მათ უკან მთავარი კარი დაიხურებოდა, ჰოლში ხმელ-ხმელი, ფუსფუსა ქალი გამოჩნდა. წაწვეტებული ცხვირი და მკაცრი ნაკვთები ჰქონდა, თუმცა ეს საქმით გადაღლილ იერს უფრო აძლევდა მას, ვიდრე ავს. ქალი დამბლდორისკენ მოაბიჯებდა და თან ზურგს უკან მომავალ მეორე წინსაფრიან გოგონას განკარგულებებს აძლევდა.

– იოდი კი მაღლა აიტანე, მართა, ბილი სტაბსს გამონაყარი ისევ მოუქავებია, ერიკ ვეილს კი თეთრეულში ისევ ჩაუსველებია... არა, მე მაინც ჩუტყვავილა მგონია, – ჩაილაპარაკა თავისთვის, შემდეგ თვალი მოჰკრა დამბლდორს და ადგილზე გაშეშდა. ისე ჭყიტა თვალები, თითქოს მისი თავშესაფრის ზღურბლზე ჟირაფს გადმოებიჯებინოს.

– გამარჯობა! – ხელი გაუწოდა დამბლდორმა. ქალბატონი კოული პირდაფჩენილი მისჩერებოდა.

– მე ალბუს დამბლდორი მქვია. წერილით მოგმართეთ და შეხ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვედრა გთხოვეთ, თქვენც დიდსულოვნად მომიწვიეთ დღეისათვის.

ქალბატონმა კოულმა თვალები აახამხამა. როგორც ჩანდა, დარწმუნდა, რომ დამბლდორი ჰალუცინაცია არ იყო, და სუსტი ხმით თქვა:

– ა, დიახ, დიახ... ჩემს კაბინეტში წამობრძანდით. ქალბატონი კოული დამბლდორს მომცრო ოთახში შეუძღვა. ეს ოთახი ერთდროულად მისაღებიც იყო და კაბინეტიც. მასაც ისეთივე სიღარიბისა და სიძველის ელფერი დაჰკრავდა, როგორიც ჰოლს. გაცვეთილი, ერთმანეთისათვის შეუფერებელი ავეჯიც, ვინ იცის, საიდან იყო შეკოწიწებული. ქალმა დამბლდორს მორყეულ სკამზე ანიშნა, თავად კი მონჯღრეულ მაგიდას მიუჯდა და სტუმარს ნერვიული მზერა მიაპყრო.

– როგორც წერილში მოგახსენებდით, მე ტომ რიდლის მომავლის გასარკვევად გაწუხებთ, – დაიწყო დამბლდორმა.

– ნათესავი ხართ?

– არა, მასწავლებელი ვარ. აქ იმისათვის მოვედი, რომ ტომს ჩემს სკოლაში სწავლა შევთავაზო.

– რა სკოლაა?

– ჰოგვორტსი ჰქვია, – დაუზუსტა დამბლდორმა.

– და რატომ დაინტერესდით ტომით?

– მიგვაჩნია, რომ ჩვენთვის საინტერესო თვისებებს ფლობს.

– ესე იგი, სტიპენდია მოიპოვა? ეს როგორ? მას ხომ განაცხადი არავითარ სტიპენდიაზე არ შეუტანია?!

– მისი სახელი ჩვენი სკოლის სიაში დაბადებიდანვე მოხვდა...

– ვინ დაარეგისტრირა? მისმა მშობლებმა?

ქალბატონი კოული ზედმეტად გონებამახვილი ქალი ჩანდა, რაც დამბლდორმა მაშინვე შეამჩნია. ჰარიმ დაინახა, როგორ ამოაცურა მან ხავერდის პიჯაკის ჯიბიდან ჯადოსნური ჯოხი, და როგორ აწაპნა ქალბატონი კოულის მაგიდიდან ცარიელი ფურცელი.

– აი, – დამბლდორმა შეუმჩნევლად დაიქნია ჯადოსნური ჯოხი და ფურცელი ქალს გადასცა, – მგონი, ეს ყველაფერს ნათელს მოჰფენს.

ქალბატონმა კოულმა ისე ყურადღებით ჩარგო ცხვირი ცარიელ ქაღალდში, რომ თვალები დაუელმდა.

– ყველაფერი რიგზეა, – მორჩილად წარმოთქვა და ფურცელი დამბლდორს დაუბრუნა, შემდეგ მაგიდაზე ჯინის ბოთლსა და ორ ჭიქას მოჰკრა თვალი, რაც ორიოდე წამის წინ იქ ნამდვილად არ იყო.

– ჭიქა ჯინს ხომ არ ინებებდით? – დაშაქრული ხმით ჰკითხა დამბლდორს.

– სიამოვნებით, – გაუღიმა დამბლდორმა.

მალე გაირკვა, რომ ქალბატონი კოული ჯინის სმაში სულაც არ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გახლდათ ახალბედა. სასმელი ორივე ჭიქაში გულუხვად ჩამოასხა, თავისი ერთბაშად გამოცალა, ტუჩები მოურიდებლად მოილოკა და ამ ხნის მანძილზე პირველად გაუღიმა დამბლდორს. დამბლდორმაც მაშინვე ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით:

– ტომ რიდლის წარსულიდან რამეს ხომ ვერ მომიყვებოდით? რამდენადაც ვიცი, აქ, თავშესაფარში დაიბადა, არა?

– მართალია, – კვერი დაუკრა ქალბატონმა კოულმა და ჯინი მოსვა, – გუშინდელ დღესავით მახსოვს, რადგან აქ მუშაობა ახლად დაწყებული მქონდა. ახალი წელი ახლოვდებოდა, საშინელი ყინვა იდგა, თოვდა. სუსხიანი ღამე იყო... ერთი საწყალი გოგონა, რომელიც მაშინ ჩემზე არცთუ ბევრად უფროსი იქნებოდა, ბარბაცით მოადგა წინკარის საფეხურებს. სხვათა შორის, ის პირველი არ ყოფილა. ჩვენ შევიფარეთ და ერთ საათში ბავშვიც შობა. კიდევ ერთ საათში კი გარდაიცვალა.

ქალბატონმა კოულმა შთამბეჭდავად დააქნია თავი და კვლავ მადიანად გადაყლურწა ჯინი.

– სიკვდილის წინ რამე ხომ არ უთქვამს? – ჰკითხა დამბლდორმა, – მაგალითად, ბავშვის მამა ხომ არ უხსენებია?

– თქვენ წარმოიდგინეთ, კი, – თქვა დიდად კმაყოფილმა ქალბატონმა კოულმა, რადგან ცალ ხელში ჯინი ეჭირა და დაინტერესებული მსმენელიც მზად იყო მისი თხრობის მოსასმენად, – მახსოვს, ასე მითხრა, იმედია, მამამისს დაემსგავსებაო. და არ მოგატყუებთ, მართალიც იყო, ამის იმედი რომ ჰქონდა, იმიტომ, რომ მასზე ნამდვილად ვერ იტყოდით, მზეთუნახავიაო... შემდეგ ისიც მითხრა, ბავშვს მამამისის სახელი – ტომი უნდა დაერქვასო, მეორე სახელი კი – მერვოლო, პაპამისის პატივსაცემადო. ცოტა სასაცილო სახელია, არა? ჩვენ ჯერ გვეგონა, ეს გოგო ცირკის მსახიობი იყო... და კიდევ დაამატა, ბიჭის გვარი რიდლიაო. ამის მერე მალე მოკვდა, მეტი ველარაფრის თქმა ვერ მოასწრო. ჩვენც შევუსრულეთ თხოვნა. ეს ისეთი მნიშვნელოვანი ჩანდა საბრალო გოგონასათვის. მაგრამ არც ტომი, არც მერვოლო და არც სხვა რომელიმე რიდლი არ მოსულა ბავშვის წასაყვანად. დღემდე არც ერთ ნათესავს არ მოუკითხავს მისთვის. ასე რომ, ბავშვი თავშესაფარში დარჩა და მას შემდეგ აქ იზრდება.

ქალბატონმა კოულმა თითქმის მექანიკურად მოსვა კიდევ ერთი ყლუპი ჯინი. ღაწვები უკვე შეუვარდისფრდა. ბოლოს სხვათა შორის დააყოლა:

– უცნაური ბიჭია.

– დიახ, – ჩაურთო დამბლდორმა, – ასეც ვიფიქრე.

– პატარაობაშიც უცნაური იყო. იცით, თითქმის არასოდეს


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უტირია. და შემდეგ, როცა ცოტა მოიზარდა... თავისებური გახდა.

– რაში გამოიხატებოდა მისი თავისებურება? – თავაზიანად ჰკითხა დამბლდორმა.

– ის...

მოულოდნელად ქალბატონი კოული დადუმდა. მის ცნობისმოყვარე მზერაში, რომელიც ჯინით სავსე ჭიქის ზემოდან ფხიზლად ჩაასო დამბლდორს, სასმელის ყოველგვარი კვალი გამქრალიყო.

– მაშ, ტომს ნამდვილად აქვს ადგილი გამოყოფილი თქვენს სკოლაში?

– ნამდვილად, – დაუდასტურა დამბლდორმა.

– და რაც უნდა ვთქვა, არ გადაიფიქრებთ?

– არა.

– მაინც წაიყვანთ, არა?

– მაინც წავიყვან.

ქალმა თვალები მოწკურა, თითქოს ფიქრობდა, ღირდა თუ არა სტუმრის ნდობა. ბოლოს, ეტყობა, გადაწყვიტა, ღირსო, რადგან ერთბაშად სხაპასხუპით მიაყარა:

– სხვა ბავშვებს აშინებს.

– ანუ, ჩხუბისთავია? – ჰკითხა დამბლდორმა.

– ჰო, შეიძლება, ასეც ითქვას, – შუბლი შეჭმუხნა ქალბატონმა კოულიმ, – მაგრამ ძალიან ძნელია, ფაქტზე წაასწრო. რამდენიმე უბედური შემთხვევა მოხდა... საზარელი მოვლენები...

დამბლდორი არ ჩააცივდა, თუმცა ჰარიმ შეატყო, რომ დაინტერესდა. ქალმა კიდევ ერთხელ მოსვა ჯინი და ვარდისფერი ლოყები კიდევ უფრო აელეწა.

– მაგალითად, ბილი სტაბსის ბაჭია... ტომმა კი თქვა, ეს ჩემი ნახელავი არ არისო, და მეც ვერ ვხვდები, როგორ უნდა გაეკეთებინა... მაგრამ ბაჭია თვითონ ხომ ვერ ჩამოეკიდებოდა ძელზე?!

– არა, თვითონ ნამდვილად ვერ ჩამოეკიდებოდა, – ხმადაბლა შენიშნა დამბლდორმა.

– წყეულიმც ვიყო, თუ ვიცოდე, ტომი იქ როგორ ავიდოდა. მხოლოდ ის ვიცი, რომ წინადღეს მან და ბილმა იჩხუბეს... ამის შემდეგ... – ქალბატონმა კოულმა ჯინი მოყლუპა და ამჯერად ცოტა ნიკაპზე ჩამოეწვეთა, – პიკნიკზე – იცით, ყოველ ზაფხულს სადმე გაგვყავს ხოლმე ბავშვები, მთაში ან ზღვის სანაპიროზე, – მოკლედ, ემი ბენსონი და დენის ბიშოპი მას შემდეგ დღემდე ვერ მოეგნენ გონს. მათგან მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ ტომ რიდლთან ერთად გამოქვაბულში შევიდნენ. ტომი იფიცებოდა, გამოქვაბულში მხოლოდ დასათვალიერებლად შევედითო, მაგრამ იქ რაღაცა მოხდა, წყალი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არ გაუვა. გარდა ამისა, სხვაც ბევრი რამე მომხდარა, უცნაური რაღაცეები...

მიუხედავად იმისა, რომ ლოყები ასწითლებოდა, დამბლდორს საკმაოდ ფხიზელი თვალით შეხედა.

– არა მგონია, მისმა აქედან გასტუმრებამ ბევრს დასწყვიტოს გული.

– ალბათ, გესმით, რომ ტომი მუდმივად ჩვენთან არ იქნება, – უთხრა დამბლდორმა, – მას აქ დაბრუნება მოუწევს ხოლმე, სულ ცოტა, ზაფხულობით მაინც.

– ყოველ შემთხვევაში, ეს მაინც შეღავათია ჩვენთვის, – დაასლოკინა ქალბატონმა კოულმა და წამოდგა. ჰარის გასაოცრად, ფეხზე მყარად იდგა, თუმცა ჯინის ორი მესამედი დაელია, – ალბათ, მისი ნახვა გინდათ.

– დიახ, ძალიან, – მიუგო დამბლდორმა და თავადაც ადგა. ქალმა სტუმარი კაბინეტიდან გაიყვანა და ქვის კიბეზე აუძღვა. გზადაგზა შენიშვნებსა და მითითებებს აძლევდა თანაშემწეებსა და ბავშვებს. ობლებს ერთნაირი რუხი ქურთუკები ეცვათ. კარგად მოვლილებიც ჩანდნენ. თუმცა, ეს უსიცოცხლო და გასაცოდავებული სახლი სრულებით არ იყო ბავშვებისათვის შესაფერისი.

– მოვედით, – განაცხადა ქალბატონმა კოულმა, როცა კიბის მეორე ბაქნიდან გადაუხვიეს და გრძელ დერეფანში პირველივე კართან შედგნენ. მან ორჯერ დააკაკუნა და ოთახში შევიდა.

– ტომ, სტუმარი მოგივიდა. ეს ბატონი დამბერტონია, უკაცრავად, დანდერბორი. ის აქ მოვიდა, რომ... მოკლედ, თვითონ გეტყვის.

ჰარი და ორივე დამბლდორი ოთახში შევიდნენ. ქალბატონი კოული გავიდა და კარი გაიხურა. პატარა ცარიელ ოთახში ერთი ძველი გარდერობისა და რკინის საწოლის გარდა არაფერი იდგა. რუხი თეთრეულის გროვაზე ბიჭი იჯდა, ფეხები გაეჭიმა და ხელში წიგნი ეჭირა.

ტომ რიდლის სახეზე გონტების კვალიც არ ჩანდა. მეროუპს უკანასკნელი ნატვრა ასრულებოდა – ტომი მამამისის დაპატარავებული ასლი იყო: თერთმეტი წლის ბავშვის კვალობაზე საკმაოდ მაღალი, მუქთმიანი და ფერმკრთალი. მას თვალები ოდნავ დაუწვრილდა, როცა დამბლდორის უცნაური გარეგნობა შეათვალიერა. წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

– გამარჯობა, ტომ, – დამბლდორი ბიჭს მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

ბიჭი შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ ხელი ჩამოართვა. დამბლდორმა ხის მაგარი სკამი საწოლთან მიაჩოჩა და ჩამოჯდა.

– მე პროფესორი დამბლდორი ვარ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– პროფესორი? – გაიმეორა რიდლმა და აშკარად დაიძაბა, – ესე იგი, ექიმი? აქ რისთვის მოხვედით? იმან მოგიყვანათ ჩემს გასასინჯად? – ბიჭმა კარზე ანიშნა, რომლიდანაც ის წუთია, ქალბატონი კოული გავიდა.

– არა, არა, – გაეღიმა დამბლდორს.

– მე თქვენი არა მჯერა, – ვერ დამშვიდდა რიდლი, – იმას უნდა, რომ შემამოწმოთ, არა? სიმართლე მითხარით!

ბოლო ორი სიტყვა ისე დასჭექა, რომ ჰარის თავზარი დაეცა. ეს ბრძანება იყო. როგორც ჩანდა, მბრძანებლურ ტონს მიჩვეული იყო. თვალები გაფართოებოდა და დამბლდორს მზერით ბურღავდა. დამბლდორს პასუხად არაფერი უთქვამს, მხოლოდ თბილად იღიმებოდა. რამდენიმე წამში რიდლმა თვალების ბრიალი შეწყვიტა, თუმცა, ყოველი შემთხვევისათვის, მეტი სიფრთხილე დაეტყო.

– ვინა ხართ?

– ხომ გითხარი. მე პროფესორი დამბლდორი მქვია და ვმუშაობ სკოლაში, სახელად ჰოგვორტსში. აქ იმისათვის მოვედი, რომ სწავლა შემოგთავაზო ჩემს სკოლაში, ანუ შენს ახალ სკოლაში, თუ თანახმა იქნები, რა თქმა უნდა.

ამ სიტყვებზე რიდლს სრულიად მოულოდნელი რეაქცია ჰქონდა: იგი საწოლიდან წამოხტა და გაცოფებულმა დაიხია უკან, დამბლდორისაგან შორს.

– რას მასულელებთ! საგიჟეთი, აი, საიდანა ხართ! „პროფესორი“, კი, როგორ არა... არ მოვდივარ, გაიგეთ? საგიჟეთში მე კი არა, ის ბებერი კატა უნდა ჩასვათ. ემი ბენსონისა და დენის ბიშოპისათვის არაფერი დამიშავებია. შეგიძლიათ, მათვე ჰკითხოთ, თვითონ გეტყვიან!

– საგიჟეთიდან არა ვარ, – მოთმინებით აუხსნა დამბლდორმა, – მე მასწავლებელი ვარ და თუ დამშვიდდები და დაჯდები, ჰოგვორტსის შესახებ გიამბობ. თუ არ გინდა ამ სკოლაში გადმოსვლა, არავინ გაიძულებს...

– აბა, ერთი სცადონ, – ირონიულად ჩაიცინა რიდლმა.

– ჰოგვორტსი, – გააგრძელა დამბლდორმა, თითქოს რიდლის ბოლო სიტყვები არ გაუგონიაო, – ეს არის სკოლა განსაკუთრებული უნარით დაჯილდოებული ადამიანებისთვის...

– მე გიჟი არა ვარ!

– ვიცი, რომ გიჟი არა ხარ. ჰოგვორტსი გიჟების სასწავლებელი არ არის. ის ჯადოქრობის სკოლაა.

სიჩუმე ჩამოწვა. რიდლი გაიყინა, მისი სახე არაფერს გამოხატავდა, მაგრამ მზერას დამბლდორის ხან ერთ თვალზე შეაჩერებდა, ხან


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მეორეზე. თითქოს სურდა, რომელიმე მათგანი ტყუილში გამოეჭირა.

– ჯადოქრობის? – გაიმეორა ჩურჩულით.

—დიახ, – დაუდასტურა დამბლდორმა.

– ეს... ეს ჯადოქრობაა, რაც მე შემიძლია?

– რა შეგიძლია?

– ყველაფერი, – დაიჩურჩულა რიდლმა. აღელვებისაგან კისრიდან წამოსული სიწითლე ჩაცვენილ ლოყებზე მოედო. ციებ-ცხელებით შეპყრობილს ჰგავდა, – მე შემიძლია საგნები ხელშეუხებლად გადავაადგილო. შემიძლია, ცხოველები გაუწვრთნელად დავუმორჩილო ჩემს ნებას. შემიძლია, ცუდი რამეები დავმართო მათ, ვინც თავს მომაბეზრებს. თუ მოვინდომე, შემიძლია მათ ტკივილი მივაყენო.

ფეხები აუკანკალდა, მუხლები მოეკვეთა, ისევ საწოლზე დაჯდა და მლოცველივით თავდახრილი დააშტერდა თავის ხელებს.

– ვიცოდი, რომ განსხვავებული ვიყავი, – დასჩურჩულა თავის აცახცახებულ თითებს, – ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩემს თავს რაღაც ხდებოდა.

– და მართალიც აღმოჩნდი, – უთხრა დამბლდორმა, რომელიც აღარ იღიმებოდა, პირიქით, რიდლს დაკვირვებით ადევნებდა თვალს, – შენ ჯადოქარი ხარ.

რიდლმა თავი ასწია. სახე ერთიანად შეცვლოდა: მასზე ზღვარგადასული სიხარული აღბეჭდვოდა, მაგრამ ამან, რატომღაც, სულაც არ დაამშვენა, პირიქით, დახვეწილი ნაკვთები რაღაცნაირად გაუუხეშდა და მხეცს დაემსგავსა.

– თქვენც ჯადოქარი ხართ?

– დიახ.

– დამიმტკიცეთ, – მაშინვე მოითხოვა რიდლმა ისეთივე მბრძანებლური ტონით, როგორითაც თქვა „სიმართლე მითხარითო“.

დამბლდორმა წარბები აზიდა.

– თუ სწორად გავიგე და ჰოგვორტსში სწავლაზე თანახმა ხარ...

– რა თქმა უნდა, თანახმა ვარ!

– მაშინ, როცა მომმართავ, „პროფესორი“ ან „სერ“ უნდა მიწოდო.

სულ რაღაც ერთი წამით რიდლს სახე გაუქვავდა, მაგრამ მაშინვე წარმოუდგენლად შეცვლილი თავაზიანი ხმით წარმოთქვა:

– ბოდიშს ვიხდი, სერ. მინდოდა, მეთქვა... პროფესორო, ხომ ვერ მაჩვენებდით...

ჰარი დარწმუნებული იყო, რომ დამბლდორი იუარებდა და რიდლს ეტყოდა, რომ თვალსაჩინოებისათვის ჰოგვორტსში თავსაყრელი დრო იქნებოდა; რომ ახლა ისინი მაგლებით სავსე შენობაში იმყოფებოდნენ და ამიტომ სიფრთხილე მართებდათ. მაგრამ, მისდა გასა-



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოცრად, დამბლდორმა პიჯაკის ჟილეტის შიდა ჯიბიდან ჯადოსნური ჯოხი დააძრო, კუთხეში მდგარ მორყეულ გარდერობს მიუშვირა და ჯოხი ხელის ჩვეული მსუბუქი მოძრაობით აიქნია.

გარდერობი იმწამსვე ცეცხლის ალში გაეხვია.

რიდლი ფეხზე წამოფრინდა და ელდისა და რისხვისაგან ღმუილი ალმოხდა. ჰარი ვერც დაადანაშაულებდა მას. ალბათ, მთელი მისი ავლადიდება ამ გარდერობში ინახებოდა. მაგრამ რიდლი მოუტრიალდა თუ არა დამბლდორს, ცეცხლი გაქრა, გარდერობი კი სრულიად უვნებელი დარჩა.

გაოცებულმა რიდლმა ჯერ გარდერობს გადახედა, შემდეგ დამბლდორს, ბოლოს ხარბი გამომეტყველებით ანიშნა ჯადოსნურ ჯოხზე.

– ასეთის შოვნა სად შემიძლია?

– ყველაფერს თავისი დრო აქვს, – უპასუხა დამბლდორმა, – მგონი, შენი გარდერობიდან რაღაცა გარეთ გამოღწევას ლამობს.

მართლაც, გარდერობის შიგნიდან სუსტი ჩხარუნი ისმოდა. რიდლი მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად დაფრთხა.

– კარი გააღე, – უთხრა დამბლდორმა.

რიდლი შეყოყმანდა, შემდეგ გარდერობის კარი ყურთამდე გამოაღო. სულ ზედა თაროზე, გაცვეთილი ტანსაცმლის საკიდის თავზე, მუყაოს პატარა კოლოფი ირყეოდა და ჩხარუნობდა, თითქოს მასში რამდენიმე გახელებული თაგვი დაუმწყვდევიათო.

– გამოიღე ყუთი, – უთხრა დამბლდორმა.

ნირწამხდარმა რიდლმა აძაგძაგებული კოლოფი თაროდან გადმოიღო.

– ამ ყუთში არის ისეთი რამე, რაც შენ არ გეკუთვნის? – ჰკითხა დამბლდორმა.

რიდლმა დამბლდორი დინჯი, გამომცდელი მზერით აათვალიერ-ჩაათვალიერა.

– მგონი, კი, სერ, – თქვა ბოლოს გულგრილად.

– გახსენი, – ბრძანა დამბლდორმა.

რიდლმა თავსახური ახადა და კოლოფი საწოლზე გადმოაპირქვავა. ჰარი ბევრად უფრო გასაოცარ რამეს ელოდა, მაგრამ ერთმანეთში არეული პატარა, ყოველდღიური ნივთები დაინახა: ბზრიალა, ვერცხლის სათითე და საღებავგადაცლილი ტუჩის გარმონი. ყუთიდან გადმოცვენილი ნივთები მშვიდად ეყარა თხელ საბანზე.

– ამ ნივთებს მათ მფლობელებს დაუბრუნებ და ბოდიშს მოუხდი, – მშვიდად უთხრა დამბლდორმა და ჯადოსნური ჯოხი ჟილეტის ჯიბეში ჩაიბრუნა, – იცოდე, მე ადვილად გავიგებ, მომატყუებ თუ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არა. და გაფრთხილებ: ჰოგვორტსში ქურდობას არავინ მოგითმენს.

რიდლს წარბიც არ შეუხრია, ისევ ცივად, მუშტრის თვალით შესცქეროდა დამბლდორს. ბოლოს უფერული ხმით მიუგო:

– დიახ, სერ.

– ჰოგვორტსში, – განაგრძო დამბლდორმა, – ჩვენ არა მარტო ჯადოქრული უნარის გამოყენებას გასწავლით, არამედ მის კონტროლსაც. შენ – დარწმუნებული ვარ, უნებლიეთ – დღემდე ისე იყენებდი შენს ძალებს, როგორც არც ისწავლება და არც დაიშვება ჩვენს სკოლაში. შენ არც პირველი არ ხარ და არც უკანასკნელი, ვინც ჯადოქრობას ლაგამს არა სდებს. მაგრამ იცოდე, რომ ჰოგვორტსს მოსწავლეების გარიცხვა შეუძლია, მაგიის სამინისტრო კი – დიახ, მაგიის სამინისტროც არსებობს, – კანონის დამრღვევებს კიდევ უფრო მკაცრად დასჯის. ყველა ახალმა ჯადოქარმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ჩვენს სამყაროში როცა შემოდიან, ჩვენს კანონებს უნდა დამორჩილდნენ.

– დიახ, სერ, – გაიმეორა რიდლმა.

ვერ შეატყობდით, რას ფიქრობდა; არაფრისმთქმელი გამომეტყველებით ჩაუძახა მოპარული ნივთებს უკან, მუყაოს კოლოფში. როცა საქმეს მორჩა, დამბლდორს მიუბრუნდა და თამამად მოახსენა:

– ფული არა მაქვს.

– ამას იოლად მოევლება, – დამბლდორმა ჯიბიდან ტყავის ქისა ამოიღო, – ჰოგვორტსში სპეციალური ფონდი არსებობს მათთვის, ვისაც სახელმძღვანელოებისა და მანტიების შესაძენად დახმარება ესაჭიროება. შეიძლება, ზოგი წიგნისა და ნივთის შეძენა მეორადი მოხმარების მაღაზიებში მოგიწიოს, მაგრამ...

– სახელმძღვანელოებს სად ყიდულობთ? – შეაწყვეტინა რიდლმა, რომელმაც ფულით გატიკნილი მძიმე ქისა მადლობის უთქმელად გამოართვა დამბლდორს და უკვე ოქროს სქელ გალეონს ამოწმებდა.

– მრუდე ქუჩაზე, – განუმარტა დამბლდორმა, – შენი წიგნებისა და სასკოლო ნივთების სია თან მაქვს. შემიძლია, ყველაფრის შეძენაში დაგეხმარო...

– ჩემთან ერთად წამოხვალთ? – ახედა რიდლმა.

– რასაკვირველია, თუ შენ...

– არ მჭირდებით, – მოუჭრა რიდლმა, – მე მიჩვეული ვარ ყველაფრის დამოუკიდებლად გაკეთებას. მთელ ლონდონში სულ მარტო დავდივარ ხოლმე. ამ მრუდე ქუჩაზე როგორ უნდა მოვხვდე... სერ? – დასძინა მან, როცა დამბლდორის მზერა დაიჭირა.

ჰარის ეგონა, დამბლდორი რიდლს მარტოს არაფრის დიდებით არ გაუშვებსო, მაგრამ დირექტორმა ამჯერადაც გააოცა. დამბლდორმა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბიჭს კონვერტში მოთავსებული საჭირო ნივთების სია გადასცა და მას შემდეგ, რაც ზედმიწევნით აუხსნა, როგორ უნდა მისულიყო თავშესაფრიდან „გახვრეტილ კარდალამდე“, დაამატა:

– შენ შეძლებ მის დანახვას, მაგრამ ირგვლივ მყოფი მაგლები, ანუ, არაჯადოქრები, ვერა. იკითხე ბარმენი ტომი, ადვილად დაიმახსოვრებ, ტომი ხომ შენი სეხნიაა...

ტომი გაღიზიანებული შეიშმუშნა, თითქოს აბეზარ ბუზს იგერიებსო.

– სახელი „ტომი“ არ მოგწონს?

– „ტომი“ ბევრია, – წაიბუტბუტა რიდლმა. შემდეგ, თითქოს თავი ველარ შეიკავაო, თითქოს თავისთავად წამოსცდაო, იკითხა: – მამაჩემი ჯადოქარი იყო? მასაც ტომ რიდლი რქმევია, ასე მითხრეს.

– სამწუხაროდ, არ ვიცი, – ალერსიანად უთხრა დამბლდორმა.

– დედაჩემი ჯადოქარი ვერ იქნებოდა, თორემ არ მოკვდებოდა, – უფრო თავის თავს უთხრა რიდლმა, ვიდრე დამბლდორს, – უეჭველად, მამაჩემი იქნებოდა... ჰოდა, როცა ამ ყველაფერს ვიყიდი, სკოლაში როდის უნდა მოვიდე?

– ყველა დეტალი შენს კონვერტში ჩადებულ მეორე ეტრატის ნაგლეჯზეა მითითებული, – მიუგო დამბლდორმა, – პირველ სექტემბერს კინგს ქროსის სადგურიდან გახვალ. კონვერტში მატარებლის ბილეთიცაა.

რიდლმა თავი დაუქნია. დამბლდორი ფეხზე წამოდგა და კვლავ გაუწოდა ხელი. რიდლმა ხელი ჩამოართვა და ბოლოს ამცნო:

– მე გველებთან ლაპარაკი შემიძლია. ეს მაშინ აღმოვაჩინე, როცა სოფელში პიკნიკზე წაგვიყვანეს. ისინი მპოულობენ და მეჩურჩულებიან. ეს ნორმალურია ჯადოქრისათვის?

ჰარი მიხვდა, რომ რიდლმა ბოლო წუთამდე შეიკავა თავი თავისი ამ ყველაზე უცნაური ძალის გამხელისაგან, რათა ღრმა შთაბეჭდილება მოეხდინა.

– ეს უჩვეულოა, – წამიერი ყოყმანის შემდეგ მიუგო დამბლდორმა, – მაგრამ არა – გაუგონარი.

დამბლდორს მშვიდი ტონი ჰქონდა, მაგრამ რიდლს სახეზე ცნობისმოყვარედ მოავლო თვალი. წამით ასე იდგნენ მამაკაცი და ბიჭი და ერთმანეთს შესცქეროდნენ. შემდეგ ერთმანეთს ხელი გაუშვეს. დამბდლორი კართან მივიდა.

– ნახვამდის, ტომ. ჰოგვორტსში შევხვდებით.

– მგონი, საკმარისია, – თქვა ჰარის გვერდით მდგარმა თმაჭაღარა დამბლდორმა. წამიც და, ორივენი ბუმბულივით მსუბუქად გასრიალდნენ წყვდიადში და ბოლოს აწმყოში, პირდაპირ დამბლდორის კაბინეტში დაეშვნენ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დაჯექი, – უთხრა ჰარის დამბლდორმა.

ჰარი დამორჩილდა. თავში ჯერაც ახლად ნანახი უტრიალებდა.

– მან ეს ჩემზე ბევრად მალე დაიჯერა... როცა თქვენ უთხარით, რომ ჯადოქარი იყო, – თქვა ჰარიმ, – მე თავიდან ჰაგრიდს არ დავუჯერე.

– დიახ, რიდლი სავსებით მზად იყო, დაეჯერებინა, რომ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „განსაკუთრებული“ იყო, – დაეთანხმა დამბლდორი.

– თქვენ იცოდით... მაშინ? – ჰკითხა ჰარიმ.

– ვიცოდი თუ არა, რომ ყველა დროის ყველაზე საშიშ ბოროტ ჯადოქარს შევხვდი? არა, წარმოდგენა არ მქონდა, რომ გაიზრდებოდა და დღევანდელ ლორდ ვოლდემორად გადაიქცეოდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, მან დამაინტერესა. ჰოგვორტსში იმ გადაწყვეტილებით დავბრუნდი, რომ მასზე თვალი მჭეროდა. ამას ნებისმიერ შემთხვევაში გავაკეთებდი, რადგან იგი მარტო იყო და მეგობრები არა ჰყავდა. მაგრამ უკვე ვგრძნობდი, რომ ამჯერად ეს არა მხოლოდ მისთვის, არამედ ასევე სხვების გამოც უნდა გამეკეთებინა. მისი ძალები, როგორც შენი ყურით გაიგონე, საოცრად კარგად იყო განვითარებული ასეთი პატარა ჯადოქრის კვალობაზე და, რაც ყველაზე საინტერესო და ავბედითია, მას უკვე აღმოეჩინა, რომ გარკვეულწილად მათი კონტროლი შეეძლო და შეგნებულად დაეწყო მათი გამოყენება. როგორც თავად ნახე, ესენი არ იყო პატარა ჯადოქრებისათვის დამახასიათებელი შემთხვევითი ექსპერიმენტები. იგი უკვე ჯადოქრობას სხვა ადამიანების წინააღმდეგ იყენებდა, მათ შესაშინებლად, დასასჯელად, გასაკონტროლებლად. ჩამომხრჩვალი ბაჭიისა და გამოქვაბულში შეტყუებული პატარა გოგონასა და ბიჭის ამბები ამისი თვალნათელი მაგალითი იყო... „თუ მოვინდომე, შემიძლია, მათ ტკივილი მივაყენო“...

– თანაც პარსული ესმოდა, – ჩაურთო ჰარიმ.

– დიახ, ნამდვილად. იშვიათი უნარია, თანაც, სავარაუდოდ, ბნელ ძალებთან დაკავშირებული, მაგრამ როგორც ვიცით, პარსელები დიად და კეთილ ჯადოქართა შორისაც არიან. სიმართლე რომ გითხრა, გველებთან მისი ლაპარაკის უნარმა იმდენად არ შემაშფოთა, რამდენადაც მისმა აშკარა მიდრეკილებამ სისასტიკის, გულჩახვეულობისა და მბრძანებლობის მიმართ. დამბლდორი წამით გაჩუმდა. მერე ფანჯრებს მილმა ჩაშავებულ ცას გახედა და წყნარად თქვა:

– დრო ისევ გაგვეპარა, ჰარი, მაგრამ სანამ დავშორდებით, მინდა, შენი ყურადღება იმ სცენის ზოგიერთ ნაწილს მივაპყრო, ახლახან რომ შევესწარით, რადგან მათ დიდი გავლენა იქონიეს იმ მოვლენებზე, რომელთაც ჩვენს მომავალ გაკვეთილებზე განვიხილავთ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უპირველეს ყოვლისა, იმედია, შეამჩნიე რიდლის რეაქცია, როცა აღვნიშნე, რომ სხვასაც ერქვა მისი სახელი „ტომი“.

ჰარიმ თავი დაუქნია.

– ეს იმაზე მეტყველებს, რომ მას სძულდა ყველაფერი, რაც მას რაღაცით სხვა ადამიანებს ამსგავსებდა; ყველაფერი, რაც მას ჩვეულებრივად აქცევდა. მაშინაც კი სურდა, განსხვავებული, განმარტოებული, სახელგანთქმული ყოფილიყო. მოგეხსენება, რამდენიმე წელიწადში მან თავისი სახელი ჩამოიშორა და ლორდ ვოლდემორის ნიღაბი შექმნა, რომელსაც, აი, უკვე რა ხანია, ამოფარებულია. დარწმუნებული ვარ, არც ის გამოგეპარებოდა, რომ ტომ რიდლი უკვე დამოუკიდებელი, გულჩათხრობილი და აშკარად უმეგობრო ბავშვი იყო. მან არ ისურვა დახმარება ან თანამგზავრის გაყოლა მრუდე ქუჩაზე. ერჩივნა, მარტოს ემოქმედა. ზრდასრული ვოლდემორიც ასეთივეა. შენ ბევრი „სიკვდილის მხვრელისაგან“ გაიგონებ ბაქიბუქს, თითქოს ბნელი ბატონის სრული ნდობა აქვთ მოპოვებული, თითქოს მხოლოდ ისინი არიან მასთან ახლოს და ესმით კიდეც მისი. ისინი მწარედ ცდებიან. ლორდ ვოლდემორს არასოდეს ჰყოლია მეგობარი. ჩემი აზრით, არც არასდროს ჰქონია ამისი სურვილი. დაბოლოს, თუ ძალიან არ დაგღალე, ჰარი, აი, კიდევ რას უნდა მიაქციო ყურადღება. ტომ რიდლს უყვარდა „განძის“ მოგროვება. ხომ ნახე, ოთახში მოპარული ნივთებით სავსე კოლოფს რომ მალავდა. ყველაფერი მის მიერვე დაბრიყვებულ მსხვერპლს წაართვა. ესენი გახლდათ, თუ გნებავს, სამახსოვრო სუვენირები – მეტად უსიამოვნო ჯადოქრობის შედეგად მოპოვებული. არ დაივიწყო მისი ეს კაჭკაჭისებური ჩვევა, რადგან მოგვიანებით ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცემა. ახლა კი ნამდვილად ძილის დროა და ნამდვილად უნდა დაგემშვიდობო, ჰარი.

ჰარი ადგა. კარისკენ რომ წავიდა, თვალი მოჰკრა პატარა მაგიდას, რომელზეც წინა გაკვეთილზე მერვოლოს ბეჭედი იდო. ახლა ბეჭედი იქ აღარ ჩანდა.

– რაო, ჰარი? – ჰკითხა დამბლდორმა, რადგან ბიჭი ანაზდად შედგა.

– ბეჭედი აღარ არის, – თავი მიაბრუნა ჰარიმ, – მე კი მეგონა, მის მაგივრად ტუჩის გარმონი ან სხვა რამე მაინც იდებოდა.

დამბლდორს სახე გაუბრწყინდა და ნახევარმთვარისებური სათვალის ზემოდან გახედა ბიჭს.

– ძალიან გამჭრიახი ხარ, ჰარი, მაგრამ ტუჩის გარმონი მხოლოდ ტუჩის გარმონი იყო და მეტი არაფერი.

ამ გაუგებარი შენიშვნის შემდეგ მან ხელი დაუქნია ჰარის, რითაც ცხადი გახდა, რომ გაკვეთილი დამთავრებული იყო.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

# თავი მეთოთხმეტე

# ფელიქს ფელიცისი

მეორე დილას ჰარის პირველი გაკვეთილი ჰერბოლოგიაში ჰქონდა. საუზმობისას რონსა და ჰერმიონს არაფერი უთხრა დამბლდორის გაკვეთილის შესახებ, რადგან ეშინოდა, ვინმეს არ მოეკრა ყური, მაგრამ სათბურებისაკენ რომ წავიდნენ, გზად ყველაფერი უამბო. მძვინვარე ქარი აღარ ქროდა. სამაგიეროდ იმ დღეს კვლავ ჩამოწვა უდროო ნისლი და საჭირო სათბურის ძებნას ჩვეულებრივზე მეტი დრო მოანდომეს.

– გაფიქრებაც კი მზარავს. შენ ნახე, როგორი იყო ჩვენ-რომ-ვიცით, ის ბავშვობაში, – ხმადაბლა თქვა რონმა, როცა დაკოჟრილი ღრენია კუნძების ირგვლივ თავ-თავიანთი ადგილები დაიკავეს და დამცავი ხელთათმანები ჩაიცვეს, – მაგრამ მაინც ვერ ვხვდები, რატომ გაჩვენებს დამბლდორი ამ ყველაფერს. საინტერესო კი არის, მაგრამ რაში გჭირდება?

– რა ვიცი, – უპასუხა ჰარიმ და პირზე რეზინის ნიღაბი აიკრა, – მეუბნება, რომ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და თავის გადარჩენაში დამეხმარება.

– არაჩვეულებრივი აზრია, – სერიოზულად ჩაურთო ჰერმიონმა, – ძალიან გონივრულია, ვოლდემორის შესახებ რაც შეიძლება, მეტი შეიტყო. აბა, სხვანაირად, როგორ აღმოაჩენ მის სუსტ მხარეებს?

– სლაგჰორნის ბოლო წვეულებამ როგორ ჩაიარა? – რეზინის ნიღბის გამო მოგუდული ხმით იკითხა ჰარიმ.

– სხვათა შორის, საკმაოდ კარგად გავერთე, – ჰერმიონმა დამცავი სათვალე გაიკეთა, – მართალია, თავის ყოფილ სტუდენტებზე ლაქლაქით ყურები გამოგვიჭედა და მაკლეგენს თავს ევლებოდა, რადგან წარჩინებული ოჯახიდანაა, მაგრამ, სამაგიეროდ, გემრიელი საჭმლით გაგვიმასპინძლდა და გვენოგ ჯოუნსი გაგვაცნო.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გვენოგ ჯოუნსი? – დამცავი სათვალის მიღმა თვალები გაუფართოვდა რონს, – ის გვენოგ ჯოუნსი? „ჰოლიჰედ ჰარპიების“ კაპიტანი?

– კი, სწორედ ის, – თავი დაუქნია ჰერმიონმა, – პირადად მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ძალიან ცხვირაწეულია, მაგრამ...

– გეყოთ მანდ ამდენი ლაპარაკი! – სამივეს მკაცრად შეუძახა პროფესორმა სპრაუტმა, – ძალიან ჩამორჩით. რა ხანია, ყველა საქმეს შეუდგა, ნევილმა უკვე პირველი ნაყოფიც კი მოიპოვა.

ნევილისაკენ გაიხედეს. სახედაკაწრული და ტუჩგახეთქილი ნევილი სულს ძლივს ითქვამდა, სამაგიეროდ, ხელში გრეიპფრუტის ზომის უსიამოვნოდ მფეთქავი მწვანე ნაყოფი ჩაებღუჯა.

– დიახ, პროფესორო, უკვე ვიწყებთ! – თქვა რონმა და როცა ქალი მიტრიალდა, ჩუმად დასძინა: – მუფლიატო უნდა შეგელოცა, ჰარი.

– არავითარ შემთხვევაში! – ახლაც ისე გადაირია ჰერმიონი, როგორც ყოველთვის, როცა ნახევარპრინცსა და მის შელოცვებს ახსენებდნენ, – კარგი, კარგი... ჯობია, საქმეს შევუდგეთ...

ბიჭებს სასოწარკვეთილმა გადახედა, სამივემ ღრმად ჩაისუნთქა და დაკოჟრილ ჯირკს დააცხრა.

ჯირკი მაშინვე გაცოცხლდა და შხუილით გამოტყორცნა ეკლიანი ყლორტები. ერთ-ერთი ყლორტი ჰერმიონის თმაში გაიხლართა, რომელიც რონმა სასწრაფოდ გადაჭრა, ჰარიმ ორიოდე ყლორტის დაჭერა და ერთმანეთზე გადაკვანძვა მოახერხა. საცეცების მსგავსი ტოტების ხლართებშუა ხვრელი გამოჩნდა. ჰერმიონმა თამამად ჩაყო ხელი იდაყვამდე, ხვრელი დაიხურა და ხელი ხაფანგში გამოიმწყვდია. ჰარიმ და რონმა მთელი ძალით გასწიეს ყლორტები, როგორც იქნა, ხვრელი გაიხსნა და ჰერმიონმა ხელი გაითავისუფლა, მუჭში სწორედ ისეთივე ნაყოფი ჩაებღუჯა, როგორიც ნევილს. ჩხვლეტია ტოტები უმალ დაკოჟრილ ჯირკში ჩაიმალნენ, რომელიც ახლა ისე უცოდველად გამოიყურებოდა, თითქოს გამხმარი კუნძი ყოფილიყოს.

– იცით, როცა საკუთარი სახლი მექნება, არა მგონია, ესენი ჩემს ბაღში გავახარო, – რონმა დამცავი სათვალე შუბლზე აიწია და სახიდან ოფლი მოიწმინდა.

– თასი მომაწოდე, – თქვა ჰერმიონმა. ჰარიმ თასი მიაწოდა და ჰერმიონმა ზიზღით ჩააგდო შიგ უსიამოვნოდ მფეთქავი ნაყოფი.

– ნუ ინაზებით, გამოწურეთ, სანამ ნედლია! – მისცა მითითება პროფესორმა სპრაუტმა.

– მოკლედ, – გააგრძელა ჰერმიონმა შეწყვეტილი საუბარი, თითქოს ხის კუნძი თავს სულაც არ დასხმოდეთ, – ჰარი, სლაგჰორნი საშობაოდ წვეულებას აწყობს და ამჯერად ვერაფრით დაუძვრები.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პირადად დამავალა, გადავამოწმო, როდისა ხარ თავისუფალი, რომ წვეულება მაშინ დანიშნოს, როცა შენ მოსვლას შეძლებ.

ჰარიმ დაიგმინა. რონი ამ დროს თასში მოქცეულ ნაყოფს ორივე ხელს აჭერდა და მის გაჭყლეტას ცდილობდა. ბოლოს წამოდგა, ნაყოფს მთელი ძალით დააწვა და თან გაბრაზებულმა ჩაიჯუჯღუნა:

– კიდევ ერთი წვეულება მხოლოდ სლაგჰორნის ფავორიტებისთვის, არა?

– კი, მხოლოდ სლაგჰორნის კლუბისათვის, – დაუდასტურა ჰერმიონმა.

ნაყოფი რონს თითებიდან გაუსხლტა, სათბურის მინის კედელს მიეხეთქა, პროფესორ სპრაუტს კეფაზე მოხვდა და ძველი, დაკემსილი ქუდი თავიდან გადააძრო. ჰარი ნაყოფის მოსატანად წამოხტა. უკან რომ დაბრუნდა, ჰერმიონი ამბობდა:

– რა ჩემი ბრალია, მე კი არ გამოვიგონე „სლაგჰორნის კლუბი“...

– ჰმ, „სლაგჰორნის კლუბი“, – მალფოისებური ცინიზმით გაიმეორა რონმა, – ფუ, რა საცოდაობაა. იმედია, წვეულება მოგეწონება. შეეცადე, მაკლეგენს დაუახლოვდე, იქნება სლაგჰორნმა კლუბის მეფე-დედოფლად გამოგაცხადოთ...

– ერთი მეგობრის წაყვანის უფლება გვაქვს, – ჰერმიონს რატომღაც სახეზე ალმური მოედო, – ახლა ვაპირებდი შენს დაპატიჟებას, მაგრამ თუ ასე უაზრობად მიგაჩნია ეს წვეულებები, თავს აღარ შევიწუხებ!

ჰარიმ უცებ გაიფიქრა, ნეტავ, ეს ნაყოფი უფრო შორს გადავარდნილიყო, ახლა მათთან ჯდომა ხომ აღარ მომიწევდაო. რადგან არც ერთს მისთვის ზედაც არ შეუხედავს, ხელი დაავლო თასს, და ნაყოფის გამოწურვა დაიწყო ხმაურითა და ფართიფურთით. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, მათი საუბრიდან მაინც გარკვევით ესმოდა თითოეული სიტყვა.

– ჩემს დაპატიჟებას აპირებდი? – შეცვლილი ხმით იკითხა რონმა.

– დიახ, – მიუგო გაბრაზებულმა ჰერმიონმა, – მაგრამ, თუკი გირჩევნია, რომ მაკლეგენს დავუახლოვდე, მაშინ...

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარი გამწარებული ურტყამდა ნიჩაბს ნაყოფს.

– არა, არ მირჩევნია, – ძალიან ხმადაბლა თქვა რონმა. ჰარის ნიჩაბი აუსხლტა, თასს დასცხო და ნამსხვრევებად აქცია.

– რეპარო, – აჩქარებით წაიბუტბუტა და ჯადოსნური ჯოხი ნამსხვრევებში ჩარგო. თასი კი წამში გამთლიანდა, მაგრამ ამ ჭახაჭუხმა, ეტყობა, ჰერმიონსა და რონს ჰარის არსებობა შეახსენა. ჰერმიონი შეფუცხუნდა, სახელმძღვანელოს – „მსოფლიოს მტაცებელ მცენა-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რეებს" – დასწვდა და მასში ღრენიას ნაყოფის გამოწურვის სწორი მეთოდის ძებნას შეუდგა, რონს კი მეტისმეტად სულელური, მაგრამ, ამასთანავე, უაღრესად კმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდა.

– ჰარი, მე მომეცი, – საჩქაროდ სთხოვა ჰერმიონმა, – აქ წერია, რომ ბასრი საგნით უნდა ჩავჩხვლიტოთ...

ჰარიმ თასი გადასცა, მერე მან და რონმა ისევ აიკრეს სახეზე რეზინის ნიღბები და კვლავ ეძგერნენ ჯირკს.

ეს ყველაფერი დიდად არ მიკვირსო, ფიქრობდა ჰარი და თან ეკლიან ტოტს ეჭიდავებოდა, რომელიც მის დახრჩობას ცდილობდა. გული უგრძნობდა, რომ ეს, ადრე თუ გვიან, მაინც მოხდებოდა, მაგრამ ჯერ ვერ გარკვეულიყო, ამ ამბავს როგორ უნდა შეხვედროდა... ის და ჩო არათუ არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, თვალსაც კი არიდებდნენ. ვაითუ რონმა და ჰერმიონმა ერთმანეთთან რომანი გააბან, მერე კი დაშორდნენ! გაუძლებდა კი მათი მეგობრობა ამას? გაახსენდა, რომ მესამე კურსზე ისინი რამდენიმე კვირის მანძილზე უბრად იყვნენ, თვითონ კი საშინლად დაიტანჯა მათ შორის გაჩენილი ბზარის ამოვსებით. და რომ არ დაშორდნენ? რა იქნება, თუ, ბილისა და ფლერისა არ იყოს, მათი თანდასწრებით ყოფნა აუტანლად უხერხული გახდება ჰარისათვის, ესე იგი, მათ სამუდამოდ უნდა ჩამოშორდეს?

– დაგიჭირე! – დაიყვირა რონმა და კუნძიდან მეორე ნაყოფი ამოაძრო. სწორედ ამ დროს ჰერმიონმა პირველი ნაყოფი გახეთქა და თასი ღია მწვანე ჭიაყელებივით დაკლაკნილი თესლებით აივსო.

გაკვეთილის დარჩენილმა ნაწილმა ისე ჩაიარა, რომ სლაგჰორნის წვეულება აღარ უხსენებიათ. მომდევნო დღეების განმავლობაში ჰარი მეგობრებს უფრო ყურადღებით აკვირდებოდა. რონსა და ჰერმიონს რამე ცვლილება არ ეტყობოდათ, გარდა იმისა, რომ ერთმანეთის მიმართ ჩვეულებრივზე ცოტა უფრო თავაზიანები გახდნენ. ჰარიმ გადაწყვიტა, საშობაო წვეულებას დალოდებოდა: ერთი ვნახოთ, წვეულების ღამეს როგორ იმოქმედებს მათზე ბურბურახი სლაგჰორნის ბუნდოვნად განათებულ კაბინეტშიო. მანამდე კი სხვა, უფრო სერიოზული საზრუნავიც ჰქონდა.

ქეითი ბელი ჯერ კიდევ წმინდა მუნგოს კლინიკაში იმყოფებოდა და იქიდან გამოწერის პირი არ უჩანდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გრიფინდორის გუნდს, რომელსაც ჰარი სექტემბრიდან მოყოლებული ასე მონდომებით წვრთნიდა, ერთი ჩეიზერი აკლდა. ჰარი შემცვლელის მოძებნას არ ჩქარობდა იმ იმედით, რომ ქეითი დაბრუნდებოდა, მაგრამ სლიზერინის წინააღმდეგ სეზონის პირველი მატჩი ახლოვდებოდა და, ბოლოს და ბოლოს, უნდა შერიგებოდა იმ აზრს, რომ ქეითი მატჩამდე ვერ გამოჯანმრთელდებოდა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის გრიფინდორის კლუბის ხელახალი შესარჩევი ვარჯიშის ჩატარების თავი აღარ ჰქონდა. ამიტომ ერთ დღეს, ტრანსფიგურაციის გაკვეთილის შემდეგ, უხალისოდ დაიმარტოხელა დინ ტომასი. ოთახიდან თითქმის მთელი კლასი გასულიყო. მხოლოდ რამდენიმე მოჟღურტულე იადონი დაქროდა აქეთ-იქით. ყველა მათგანი ჰერმიონის ნახელავი იყო, დანარჩენებმა ერთი ბუმბულის გაჩენაც ვერ შეძლეს.

– კიდევ გინდა ჩეიზერობა? – პირდაპირ ჰკითხა ჰარიმ დინს.

– რაა... რა თქმა უნდა! – აღფრთოვანდა დინი. ჰარიმ დაინახა, დინის ზურგს უკან როგორი დამჟავებული სახით ჩაყარა სიმუს ფინიგანმა წიგნები ჩანთაში. ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ჰარის არ უნდოდა, დინისათვის თამაში ეთხოვა, ის იყო, რომ იცოდა, ეს სიმუსს არ მოეწონებოდა. მეორე მხრივ, ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც გუნდისათვის იქნებოდა უკეთესი, დინმა კი შესარჩევი თამაშისას სიმუსს ნამდვილად აჯობა ფრენაში.

– მაშინ, მიღებული ხარ, – უთხრა ჰარიმ, – საღამოს შვიდ საათზე ვარჯიში გვაქვს.

– კარგი, – გაუხარდა დინს, – გმადლობ, ჰარი! აუჰ, ახლავე ჯინის უნდა ვუთხრა!

დინი ოთახიდან გავარდა და ჰარი და სიმუსი მარტონი დარჩნენ. ეს უხერხული წუთი კიდევ უფრო გაუარესდა იმით, რომ ჰერმიონის ერთ-ერთმა იადონმა ბიჭებს გადაუფრინა და სიმუსს თავზე დაასკლინტა.

სიმუსი ერთადერთი არ იყო, ვინც ქეითის შემცვლელად დინის არჩევამ გააღიზიანა. საერთო ოთახში გამალებული ჩურჩული ატყდა იმ ფაქტის გამო, რომ ჰარი უკვე ორ თანაკურსელს ათამაშებდა გუნდში. ჰარი მის გარშემო ატეხილი ჭორების გამო დიდად არ შეწუხებულა, მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ სლიზერინის წინააღმდეგ მატჩის მოგებამ უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა. გრიფინდორი თუ გაიმარჯვებდა, მთელი კლუბი წამსვე შეეშვებოდა მის კრიტიკას და ყველა დაიფიცებდა, რომ თავიანთი გუნდის უძლეველობაში ერთი წუთითაც არ შეჰპარვიათ ეჭვი. თუ წააგებდნენ... რა გაეწყობა, უარესი ჭორებიც ამიტანიაო, – ნაღვლიანად გაიფიქრა ჰარიმ.

იმ საღამოს დინის ფრენა რომ ნახა, ჰარი დარწმუნდა, არჩევანში არ შევმცდარვარო. დინი ჯინისა და დემელზას კარგად შეეწყო. ბიტერები – პიკსი და კუტიც – დღითი დღე იხვეწებოდნენ. ერთადერთი პრობლემა რონი იყო.

ჰარიმ ყოველთვის იცოდა, რომ რონი არასტაბილური მოთამაშე


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იყო, ნერვები ღალატობდა და თავდაჯერება აკლდა. საუბედუროდ, სეზონის პირველი მატჩის მოახლოებამ რონს უწინდელი კომპლექსები განუახლა. ექვსიოდე გოლის გაშვების შემდეგ, რომელთა უმეტესობა ჯინიმ გაიტანა, მისი თამაშის სტილი სულ უფრო და უფრო უხეში გახდა და ბოლოს, მასთან მიახლოებულ დემელზა რობინს სახეში მუშტიც კი უთავაზა.

– ბოდიში, შემთხვევით მომივიდა, დემელზა, დიდი ბოდიში! – მიაძახა რონმა მოედანზე ზიგზაგისებურად დაშვებულ დემელზას, რომელსაც სისხლი თქრიალით მოსდიოდა, – მე, უბრალოდ...

– იდიოტი ხარ და ნერვებმა გიმტყუნა, – მიახალა გაბრაზებულმა ჯინიმ, დემელზას გვერდით დაეშვა და გასივებული ტუჩი გაუსინჯა, – შეხედე, რა დღეში ჩააგდე!

– მაგას მე მოვუვლი, – ჰარი გოგონების გვერდით დაფრინდა, ჯადოსნური ჯოხი დემელზას ტუჩს მიუშვირა, თქვა „ეპისკი“ და დასძინა: – ჯინი, ნუ ეძახი რონს იდიოტს. შენ გუნდის კაპიტანი არა ხარ...

– შენ ვერ მოიცალე, რომ მისთვის „იდიოტი“ გეწოდებინა და ვინმეს ხომ უნდა ეთავა ეს...

ჰარიმ სიცილისაგან თავი ძლივს შეიკავა.

– აბა, ყველანი ჰაერში. წავედით...

საერთო ჯამში, იმ სემესტრში ეს ერთ-ერთი ყველაზე უხეირო ვარჯიში გამოდგა, მაგრამ ჰარიმ გადაწყვიტა, რომ ახლა, როცა მატჩი კარს მოსდგომოდათ, გულახდილობა არ ივარგებდა.

– ყველამ იყოჩაღეთ. ეჭვი არ მეპარება, რომ სლიზერინს მიწასთან გავასწორებთ, – გაამხნევა გუნდი. ჩეიზერები და ბიტერები გასახდელიდან საკმაოდ კმაყოფილები გავიდნენ.

– დრაკონის ნეხვის ტომარასავით ვითამაშე, – ყრუ ხმით თქვა რონმა, როცა ჯინი გავიდა და კარი ხმაურით გაიხურა.

– არაფერიც, – მტკიცედ უთხრა ჰარიმ, – შენ საუკეთესო მეკარე ხარ, ამიტომაც შეგარჩიე. შენი ერთადერთი პრობლემა ნერვებია.

ჰარი მთელი გზა არ გაჩუმებულა. სანამ ციხე-კოშკამდე მიაღწევდნენ, დაუღალავად ამხნევებდა მეგობარს. მეორე სართულზე რომ ადიოდნენ, რონი უკვე უკეთეს გუნებაზე იყო. ჰარიმ გობელენს ხელი ჰკრა, რომ გრიფინდორის კოშკამდე გზა მოკლეზე მოეჭრათ და ზედ წააწყდნენ ჩახუტებულ დინსა და ჯინის, რომლებიც ვნებიანად კოცნიდნენ ერთმანეთს.

თითქოს რაღაცა უზარმაზარი და ქერცლიანი გაცოცხლდა ჰარის მუცელში და შიგნეულობა დაუფატრა: ტვინში ცხელი სისხლი აუვარდა, ყველა ფიქრი გამოდევნა და მათი ადგილი დაიკავა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაუოკებელმა სურვილმა, დინისათვის ძვალ-რბილი გაეერთიანებინა. ჰარიმ ყველა ნერვი დაძაბა, რომ როგორმე ამ მოულოდნელ სიშმაგეს გამკლავებოდა. ამ დროს თითქოს სადღაც შორიდან რონის ხმა გაიგონა:

– ვაი! რა არის ეს?!

დინმა და ჯინიმ ერთმანეთს ხელი უშვეს და მოიხედეს.

– რა? – იკითხა ჯინიმ.

– მე არ მსურს, ჩემი და ყველას დასანახად კოცნაობდეს!

– ეს დერეფანი ცარიელი იყო, სანამ თქვენ შემოეხეტებოდით! – უპასუხა ჯინიმ.

დინი შემცბარი ჩანდა. მან ჰარის პირფერულად გაუღიმა. ჰარიმ პასუხად ღიმილი არ აღირსა, რადგან მასში ახლად გაღვიძებული ურჩხული ღრიალით ითხოვდა გუნდიდან დინის დაუყოვნებლივ გაძევებას.

– ეეე... წამოდი, ჯინი, – თქვა დინმა, – მოდი, საერთო ოთახში დავბრუნდეთ...

– შენ წადი, მე ჩემს ძვირფას ძამიკოს უნდა დაველაპარაკო! – უთხრა ჯინიმ.

დინი ისეთი სახით წავიდა, რომ ეტყობოდა, სულაც არ წუხდა, იქაურობას რომ გაეცალა.

ჯინიმ გრძელი წითური თმა სახიდან გადაიყარა და რონს მრისხანედ შეანათა თვალები.

– ახლა მომისმინე. მოდი, ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერი გავარკვიოთ. შენი საქმე არ არის, ვის შევხვდები და მასთან ერთად რას გავაკეთებ, რონ...

– დიახაც, ჩემი საქმეა! – შესძახა არანაკლებ გაჯავრებულმა რონმა, – სულაც არ მინდა, ხალხმა თქვას, რომ ჩემი და...

– რა? – დაიყვირა ჯინიმ და ჯადოსნური ჯოხი ამოიღო – რომ შენი და რა არის?

– არაფერს ისეთს არ გულისხმობს, ჯინი, – მექანიკურად ჩაურთო ჰარიმ, თუმცა ურჩხული რონის სიტყვებზე მოწონებით ღრიალებდა.

– როგორ არა! – აპილპილებული ჯინი ჰარის მიუტრიალდა, – მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ თავის დღეში არავისთვის უკოცნია; მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრებაში ერთადერთი კოცნა დეიდა მიურიელისაგან ახსოვს...

– ენა დაიმოკლე! – დაიღრიალა რონმა და გაწითლდა კი არა, გაყავისფრდა.

– არა, არ დავიმოკლებ! – იკივლა გაკაპასებულმა ჯინიმ, – რამდენჯერაც ფლავს დაინახავ, ოცნებობ, რომ ლოყაზე გაკოცოს! რა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გულისამრევია! თვითონ რომ გყოლოდა შეყვარებული და ერთხელ მაინც გეკოცნა მისთვის, სხვების დანახვა ასე არ გადაგრევდა!

უკვე რონსაც ამოელო ჯადოსნური ჯოხი. ჰარი მარდად ჩადგა მათ შორის.

– აზრზე არა ხარ, რას ლაპარაკობ! – ღრიალებდა რონი. ჰარი ხელებგაშლილი აჰფარებოდა ჯინის, რონი კი მის მიზანში ამოღებას ცდილობდა, – რაკი ამას ყველას დასანახად არ ვაკეთებ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ...

ჯინიმ ისტერიკულად გადაიკისკისა და სცადა, ჰარი გზიდან ჩამოეშორებინა.

– პიგვიჯენს კოცნიდი, არა? თუ ბალიშის ქვეშ დეიდა მიურიელის სურათი გაქვს ამოდებული?

– უჰ, შე...

ჰარის მარცხენა მკლავქვეშ სტაფილოსფერი შუქის ნაკადმა იფეთქა და ჯინის სანტიმეტრით ასცდა. ჰარიმ რონი კედელს მიანარცხა.

– გაგიჟდი? რას აკეთებ!

– ჰარის ჩო ჩენგისთვის უკოცნია! —კიოდა ჯინი, რომელსაც უკვე ხმაში ცრემლი გარეოდა, – ჰერმიონს კი – ვიქტორ კრამისათვის, მხოლოდ შენ იქცევი ისე, თითქოს ეს რაღაცა საზიზღრობა იყოს და ესეც იმიტომ, რომ თორმეტი წლის ბავშვივით გამოუცდელი ხარ!

ამ სიტყვებზე ჯინი გაიქცა. ჰარიმ სწრაფად გაუშვა ხელი რონს, რომელსაც ახლა მკვლელის სახე ჰქონდა. ორივენი იდგნენ და მძიმედ სუნთქავნენ. ამ დროს დერეფნის მოსახვევიდან ფილჩის კატა, მისის ნორისი გამოჩნდა.

– წავიდეთ, – უთხრა ჰარიმ რონს, როცა მათ ყურთასმენას ფილჩის ფლატუნა ნაბიჯების ხმა მისწვდა.

კიბეს მარდად აუყვნენ და მერვე სართულის დერეფანი სწრაფად გაიარეს.

– გაიწი იქით! – დაუცაცხანა რონმა ერთ პატარა გოგონას. გოგონა შიშით შეხტა და გომბეშოს ქვირითით სავსე ბოთლი გაუვარდა.

ჰარის არც კი გაუგია მინის მსხვრევის ხმა, თავგზააბნეული იყო და თავბრუ ესხმოდა. ალბათ, ასეთ რამეს გრძნობს ადამიანი, მეხი რომ დაეცემა.

„ეს იმიტომ, რომ ის რონის დაა, – თავის თავს მეათასედ უმეორებდა ჰარი, – უბრალოდ, არ მოგეწონა, დინს რომ კოცნიდა, იმიტომ რომ, რონის დაა! რონის დაა...“

უნებურად თვალწინ დაუდგა იგივე ცარიელი დერეფანი, მაგრამ ახლა დინის ნაცვლად, თვითონ კოცნიდა ჯინის... მის მკერდში ურჩხ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ულმა ნეტარებით დაიკრუტუნა... მაგრამ შემდეგ წარმოიდგინა, როგორ გადასწევს რონი გობელენის ფარდას, ჰარის ჯადოსნურ ჯოხს დაუმიზნებს და, დაახლოებით, ასეთ სიტყვებს დაუყვირებს: „მოღალატე“... „მე კი მეგობრად გთვლიდი...“

– როგორ ფიქრობ, ჰერმიონმა მართლა აკოცა კრამს? – ჰკითხა ანაზდად რონმა, როცა ფუშფუშა ქალბატონს მიუახლოვდნენ. ჰარი დამნაშავესავით შეკრთა და ძლივს მოიშორა თავიდან წარმოსახვითი დერეფანი, რომელშიც ის და ჯინი სულ მარტონი იდგნენ და არავითარი რონი იქ არ იყო...

– რაა? – ჰკითხა დაბნეულმა, – აა... ისა...

გულახდილი პასუხი იყო „ჰო“, მაგრამ ჰარის ამის თქმა არ უნდოდა. რონი, როგორც ეტყობა, ჰარის სახის გამომეტყველებით ყველაფერს მიხვდა.

– დილიგროუტ, – კუშტად უთხრა რონმა ფუშფუშა ქალბატონს და პორტრეტის ხვრელით საერთო ოთახში გადაძვრნენ.

არც ერთს აღარ უხსენებია ჯინი ან ჰერმიონი. ის კი არა, იმ საღამოს ერთმანეთს თითქმის არ დალაპარაკებიან, ხმაამოუღებლივ ჩაწვნენ საწოლებში და ორივე თავ-თავის ფიქრებში ჩაეფლო.

ჰარის არა და არ მიეკარა რული, საწოლზე ჩამოფარებულ ფარდას შესცქეროდა და ცდილობდა, თავი დაერწმუნებინა, რომ მისი გრძნობები ჯინის მიმართ მხოლოდ და მხოლოდ ძმური იყო და სხვა არაფერი. განა მთელ ზაფხულს და-ძმასავით არ ცხოვრობდნენ ერთად? ქვიდიჩს თამაშობდნენ, რონს აბრაზებდნენ და ბილსა და ფლავს დასცინოდნენ. ჯინის უკვე რამდენი წელია, იცნობს. რა გასაკვირია, რომ მისი დაცვა სურს... რა გასაკვირია, რომ უნდა, იზრუნოს მასზე... უნდა, რომ დინს გვერდები დაულილავოს მისი კოცნისათვის... არა... ეს სწორედაც რომ ძმური გრძნობაა და როგორმე უნდა შეიკავოს... რონმა ძილში ხმამაღლა ამოიხვრინა.

„ის რონის დაა, – მტკიცედ უთხრა თავის თავს ჰარიმ, – რონის და! ეს აკრძალული ზონაა...“

რონთან მეგობრობას არაფრის დიდებით არ ჩააგდებდა საფრთხეში. ჰარიმ მუშტით ააფუმფულა ბალიში, შიგ ჩაეფლო და დაელოდა, როდის ჩაეძინებოდა, თან ყველა ღონეს ხმარობდა, ჯინიზე აღარ ეფიქრა.

დილით ჰარიმ დარეტიანებულმა და არეულმა გაიღვიძა. მთელ ღამეს გააწამა სიზმრებმა, რომლებშიც რონი მას ბიტერის ჩოგნით დასდევდა. მაგრამ ნაშუადღევს ჰარი სიამოვნებით გაცვლიდა სიზმრისეულ რონს ნამდვილში, რომელიც არათუ ცივად უვლიდა გვერდს ჯინისა და დინს, არამედ გულნატკენ და საგონებელში


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩავარდნილ ჰერმიონს ულმობელი, ირონიული გულგრილობით ეპყრობოდა. უფრო მეტიც, რონი თითქოს ერთ ღამეში გამოცვლილიყო და გაღიზიანებულ ცეცხლაკუდას დამსგავსებოდა, რომლის აფეთქებაც ნებისმიერ წამს იყო მოსალოდნელი. ჰარი მთელი დღის განმავლობაში რონსა და ჰერმიონს შორის ზავის ჩამოგდებას ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ: ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ძალზე განაწყენებული ჰერმიონი დასაძინებლად გაეშურა, რონმა კი ბიჭების საწოლი ოთახისკენ გააბოტა და გზად რამდენიმე დაფეთებული პირველკურსელი გვარიანად გამოლანძღა, რას მიყურებთო.

ჰარის გულის გასახეთქად, მომდევნო დღეებში რონს გაღიზიანებამ არ გაუარა. ამას დაემატა ის, რომ ქვიდიჩს გაცილებით უარესად თამაშობდა, რამაც კიდევ უფრო აგრესიული გახადა. საქმე იქამდე მივიდა, რომ შაბათის მატჩის წინა ვარჯიშის დროს რონმა ჩეიზერების ნატყორცნი ყველა ბურთი გაუშვა, სამაგიეროდ, ირგვლივ მყოფთ იმდენი ულრიალა, რომ დემელზა რობინსი ცხარე ცრემლით აატირა.

– ენა ჩაიგდე და თავი დაანებე! – დაუყვირა პიკსმა, რომელიც რონს მკერდამდე ძლივს სწვდებოდა, სამაგიეროდ, ხელში მძიმე ჩოგანი ეჭირა.

– საკმარისია! – დაიღრიალა ჰარიმ. მან დაინახა, რომ გულმოსული ჯინი რონს თვალებს უბრიალებდა; თანაც გაახსენდა, რომ ჯინის ბუა-ღამურას სანაქებო შემლოცველის რეპუტაცია ჰქონდა, და სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ იყო, საქმის მოსაგვარებლად ჩაერია, – პიკს, წადი და ბლაჯერები აკრიფე. დემელზა, დაწყნარდი, დღეს ძალიან კარგად ითამაშე. რონ...

– ჰარიმ შეიცადა, სანამ გუნდის წევრები დაიშლებოდნენ, და მერელა გააგრძელა: – შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ, მაგრამ ასე თუ გააგრძელებ, იცოდე, გუნდიდან გაგაგდებ.

ჰარი ელოდა, რომ რონი დაარტყამდა, მაგრამ ამას ბევრად უარესი რამ მოჰყვა. რონი ცოცხზე ტომარასავით უნიათოდ ჩამოეკიდა, მთელი შემართება გაუქრა და თქვა:

– მივდივარ. მე უვარგისი ვარ.

– უვარგისი სულაც არა ხარ და არსადაც არ მიდიხარ! – გაფიცხდა ჰარი, რონს მანტიაში ხელი ჩაავლო და მოქაჩა, – როცა ფორმაში ხარ, მშვენივრად იღებ ბურთებს, უბრალოდ, ფსიქოლოგიური პრობლემა გაქვს.

– შენ მე ფსიქიკურად დაავადებულს მეძახი?

– დიახაც, გეძახი!

ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს, შემდეგ რონმა უიმედოდ გააქნია თავი.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვიცი, რომ სხვა მეკარის პოვნის დრო აღარა გაქვს, ამიტომ ხვალ ვითამაშებ, მაგრამ თუ წავაგეთ, და იცოდე, აუცილებლად წავაგებთ, მე გუნდიდან მივდივარ.

რაც უნდა ეთქვა ჰარის, ყველაფერი ამაო იყო. ვახშმობისას ცდილობდა, რონისათვის თავდაჯერება შეემატებინა. მაგრამ რონი მეტისმეტად იყო გატაცებული ჰერმიონის გამწარებითა და ნერვების მოშლით და მისთვის არ ეცალა. საღამოს ჰარი საერთო ოთახშიც არ ყრიდა ფარ-ხმალს და რონს დაბეჯითებით უმტკიცებდა, რომ მისი წასვლით მთელი გუნდი დაიღუპებოდა. ამ დროს კი გუნდის დანარჩენი წევრები შორეულ კუთხეში ერთად ისხდნენ, აშკარად რონზე ჩურჩულებდნენ და მისკენ ამრეზილები იყურებოდნენ. ბოლოს ჰარიმ სცადა, ისევ დაეტუქსა რონი, რათა მასში მებრძოლი სულისკვეთება გაეღვიძებინა, მაგრამ არც ამით გამოვიდა რამე. რონი ძველებურად სასოწარკვეთილი და დაძმარებული წავიდა დასაძინებლად.

ჰარი სიბნელეში იწვა და ძილი არ ეკარებოდა. ხვალინდელი მატჩის წაგება არ უნდოდა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მისი, როგორც კაპიტნის, პირველი მატჩი იყო, არამედ უფრო იმიტომ, რომ, რადგან დრაკო მალფოის მიმართ თავისი ეჭვების დამტკიცებას ვერ ახერხებდა, მტკიცედ გადაწყვიტა, ქვიდიჩში მაინც დაემარცხებინა. რონი ასე თუ გააგრძელებდა თამაშს, მოგების შანსი ძალიან მცირე იყო...

ოღონდაც შესძლებოდა და როგორმე რონი გაემხნევებინა... როგორმე საუკეთესო ფორმაში ჩაეყენებინა... როგორმე მოეხერხებინა, რომ რონს იღბლიანი დღე გასთენებოდა...

და პასუხად ერთი მოულოდნელი, ბრწყინვალე შთაგონება ეწვია.

დილით, საუზმობისას, ჩვეული მატჩისწინა დაძაბულობა იგრძნობოდა. დიდ დარბაზში გრიფინდორის გუნდის ყოველი წევრის გამოჩენას სლიზერინელები ხმამაღალი სტვენით ხვდებოდნენ. ჰარიმ ჭერს ახედა და მოკრიალებული, მტრედისფერი ცა დაინახა. ეს კარგის ნიშანი იყო.

გრიფინდორის ალისფერ-ოქროსფრად მორთული მაგიდა ჰარისა და რონის დანახვისთანავე აჟრიამულდა. ჰარიმ ყველას გაუღიმა და ხელი დაუქნია. რონი საცოდავად დაიღმიჭა და თავი გააქნია.

– ცხვირი ნუ ჩამოგიშვია, რონ! – გამოსძახა ლევენდერმა – დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ბრწყინვალედ გამოგივა!

რონმა წაუყრუა.

– ჩაი გინდა? – ჰკითხა ჰარიმ, – ყავა? გოგრის წვენი?

– სულერთია, – ჩაიბუზღუნა რონმა და უგემურად ჩაკბიჩა გახუხული პური.

რამდენიმე წუთში მაგიდასთან ჰერმიონი შედგა, რომელსაც ისე



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამოუვიდა ყელში რონის ბოლოდროინდელი უტაქტო ქცევა, რომ საუზმეზე მარტო ჩამოსვლა ამჯობინა.

– თავს როგორ გრძნობთ? – ჰკითხა ბიჭებს გაუბედავად და მზერა რონის კეფაზე შეაჩერა.

– მშვენივრად, – მიუგო ჰარიმ, რომელსაც მისთვის არ ეცალა, რონს გოგრის წვენით სავსე ჭიქას აწვდიდა, – გამომართვი, რონ, და ბოლომდე დაცალე.

რონმა ის იყო, ჭიქა ტუჩებთან მიიტანა, რომ ჰერმიონმა მტკიცე ხმით თქვა:

– რონ, არ დალიო!

ბიჭებმა მას შეხედეს.

– რატომ? – იკითხა რონმა.

ჰერმიონი ჰარის ისე უყურებდა, თითქოს თვალებს არ უჯერებსო.

– შენ ეს-ესაა რონს რაღაცა ჩაუსხი ჭიქაში.

– რა თქვი? – ჰკითხა ჰარიმ.

– მშვენივრად გაიგე. დაგინახე. ახლახან რაღაცა ჩაუწვეთე რონს სასმელში. ხელში ბოთლი გიჭირავს!

– არ მესმის, რაზე ლაპარაკობ, – მხრები აიჩეჩა ჰარიმ და საჩქაროდ ჩამალა პატარა ბოთლი ჯიბეში.

– რონ, გაფრთხილებ, არ დალიო! – გაიმეორა შეშფოთებულმა ჰერმიონმა, მაგრამ რონმა ჭიქა აიღო, ბოლომდე დაცალა და თქვა:

– ჰერმიონ, ჭკუას ნუ მასწავლი.

ჰერმიონს პირკატა ეცა. დაიხარა და მხოლოდ ჰარის გასაგონად დაისისინა:

– სკოლიდან გასარიცხი ხარ. ამას შენგან არაფრით ველოდი, ჰარი.

– ამას ვინ მეუბნება! – ჩურჩულით უპასუხა ჰარიმ, – ამ ბოლო დროს ვინმესათვის კონფუნდუსი ხომ არ შეგილოცავს? გაწიწმატებული ჰერმიონი მაგიდას სირბილით გაეცალა. ჰარიმ ყოველგვარი სინანულის გარეშე გააყოლა თვალი: ჰერმიონს ვერაფრით შეეგნო, რა სერიოზული რამე იყო ქვიდიჩი.

შემდეგ ისევ რონს მიუბრუნდა და ხალისით განუცხადა:

– წასვლის დროა.

სტადიონისკენ გასწიეს. დათრთვილული ბალახი მათ ფეხქვეშ ხრაშუნობდა.

– ბედმა გაგვიღიმა, რომ ასეთი კარგი ამინდია, არა? – უთხრა ჰარიმ რონს.

– ჰო, – მიუგო ფერმიხდილმა რონმა.

ჯინისა და დემელზას უკვე ჩაეცვათ ქვიდიჩის ფორმები და გასახდელში იცდიდნენ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– პირობები იდეალური ჩანს, – ისე თქვა ჯინიმ, რონისათვის ზედ არ შეუხედავს, – აბა, გამოიცანით, რა მოხდა! სლიზერინელების ჩეიზერს, ვეიზის, გუშინ ვარჯიშისას თავში ბლაჯერი მოხვდა და დღეს თამაშს ვერ შეძლებს! და უფრო უკეთესი – მალფოიც ავად გამხდარა!

– რაა? – ჰარი ჯინის მიაშტერდა, – ავად არის? რა სჭირს?

– აზრზე არა ვარ, მაგრამ ჩვენ ეს ხელს გვაძლევს, – მხიარულად მიუგო ჯინიმ, – მის ნაცვლად ჰარპერს ათამაშებენ, ჩემი კურსელია და ნამდვილი დოყლაპიაა.

ჰარიმ პასუხად ოდნავ გაუღიმა, მაგრამ ალისფერ ფორმას რომ იცვამდა, მისი ფიქრები ქვიდიჩისაგან შორს დაქროდა. მალფოიმ ერთხელ ადრეც ვერ შეძლო ტრავმის გამო თამაში, მაგრამ მაშინ მთლიანი მატჩი გადაადებინა სლიზერინელებისათვის უფრო ხელსაყრელი დროისათვის. ახლა რატომ დათანხმდა, მის მაგივრად მოედანზე შემცვლელს ეთამაშა? მართლა ავად იყო, თუ თავს იავადმყოფებდა?

– საეჭვოა, რომ მალფოი არ თამაშობს, არა? – ხმადაბლა გადაულაპარაკა რონს.

– პირიქით, ბედმა გაგვიღიმა! – ოდნავ გამოცოცხლდა რონი, – ვეიზიც არ თამაშობს, ის კი საუკეთესო თავდამსხმელია. რას წარმოვიდგენდი, რომ... ჰეი! – რონი მეკარის ხელთათმანებს იცვამდა, როცა უეცრად გაშეშდა და ჰარის მიაჩერდა.

– რა მოხდა?

– მე... შენ... – რონმა ხმას დაუწია, ერთდროულად შეშინებული და აღტაცებული ჩანდა, – ჩემი სასმელი... გოგრის წვენი... შენ ხომ არ...

ჰარიმ წარბები აზიდა და მხოლოდ ეს თქვა:

– ხუთ წუთში ვიწყებთ. დროზე ჩაიცვი ფეხზე.

მოედანზე გამაყრუებელი ყიჟინისა და სტვენის თანხლებით გავიდნენ. სტადიონის ერთი ბოლო ერთიანად წითელ-ოქროსფერი იყო, მეორე კი – მწვანე-ვერცხლისფერ ზღვად ქცეულიყო. გულშემატკივრებს ბევრი ჰაფლეპაფელი და რეივენქლოელიც შეერთებოდა. ღრიანცელისა და აპლოდისმენტების ფონზე ჰარიმ გარკვევით გაიგო ლუნა ლავგუდის სახელგანთქმული ლომისთავიანი ქუდის ღრიალი.

ჰარი მსაჯს, მადამ ჰუჩს, მიუახლოვდა, რომელიც მზად იყო ბურთების ყუთიდან ასაშვებად.

– კაპიტნებო, ერთმანეთს ხელი ჩამოართვით, – ბრძანა მან. ჰარის ხელი მოუჭყლიტა სლიზერინელების ახალმა კაპიტანმა ურკუჰარტმა, – შესხედით ცოცხებზე. სასტვენის ხმაზე... ერთი... ორი... სამი...

სასტვენს ჩაჰბერა თუ არა, მოთამაშეებმა გაყინულ მიწას ფეხი დაჰკრეს და ჰაერში აიჭრნენ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი მოედნის თავზე დაფრინავდა, სნიჩს ეძებდა და თან ჰარპერს უთვალთვალებდა, რომელიც მასზე ბევრად დაბლა ზიგზაგისებურად დასრიალებდა. უცებ, კომენტატორის ჩვეული ხმისაგან განსხვავებულმა, ძალიან ჟღრიალა და გამაღიზიანებელმა ხმამ მოსჭრა ყური.

– მაშ ასე, თამაში დაიწყო. ალბათ, ყველანი გაგაოცათ პოტერის მიერ შედგენილმა წლევანდელმა ნაკრებმა. ბევრი ვარაუდობდა, რომ რონალდ უისლის შარშანდელი არასტაბილური თამაშის გამო გუნდიდან გააძევებდნენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, კაპიტანთან ახლო მეგობრულ ურთიერთობას ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აღმოაჩნდა...

ამ სიტყვებს სლიზერინელთა ტრიბუნა ტაშითა და ღრიანცელით შეხვდა. ჰარი ცოცხზე გადმოიხარა და კომენტატორის ჯიხურისაკენ გაიხედა. იქ მაღალი, გაკნაჭული, ცხვირპაჭუა ქერა ბიჭი იდგა და ჯადოსნურ მიკროფონში ლაპარაკობდა. ეს მიკროფონი ოდესღაც ლი ჯორდანს ეკუთვნოდა. ჰარიმ იცნო ზაქარია სმიტი, ჰაფლეპაფელი მოთამაშე, რომელსაც დასანახად ვერ იტანდა.

– აი, სლიზერინელებმა პირველი საგოლე მომენტი შექმნეს, კარისაკენ ურკუჰარტი მიექანება და...

ჰარის გული გადაუტრიალდა.

– უისლიმ კარი გადაარჩინა. როგორც ჩანს, ზოგჯერ მასაც ულიმის ბედი...

– ცამდე მართალი ხარ, სმიტ, – ჩაიბუტბუტა ჰარიმ და გაღიმებული დაეშვა ჩეიზერებთან, თან თვალებს აცეცებდა, რომ მოუხელთებელი სნიჩი არ გამოჰპარვოდა.

ნახევარი საათის შემდეგ გრიფინდორი უკვე სამოცით ნოლს იგებდა. რონმა რამდენიმე ბრწყინვალე დარტყმა იოლად აიღო (ზოგი მათგანი ხელთათმანის წვერითაც კი), ხოლო ჯინიმ გრიფინდორის ექვსი გოლიდან ოთხი გაიტანა. ზაქარიას სხვა გზა აღარ ჰქონდა, იძულებული გახდა, ხმა ჩაეკმინდა და ხმამაღლა აღარ გამოეთქვა გაოცება იმის გამო, რომ ნაკრებში ორი უისლი მხოლოდ ჰარისთან ნაცნობობის წყალობით მოხვდა, და ახლა პიკსსა და კუტს გადასწვდა.

– რა თქმა უნდა, კუტს ბიტერის შესაფერისი აღნაგობა არა აქვს, – დიდი ამბით განაცხადა ზაქარიამ, – ისინი, როგორც წესი, უფრო დაკუნთულები არიან...

– ერთი, ბლაჯერი გაუქანე, რა! – გასძახა ჰარიმ გვერდზე ჩაფრენილ კუტს. კუტმა ყურებამდე გაუღიმა და არჩია, შემდეგი ბლაჯერი, სმიტის ნაცვლად, ჰარპერისათვის დაემიზნებინა, რომელმაც ჰარის საპირისპირო მხრიდან ჩაუქროლა. ჰარიმ კმაყოფილმა გაიღიმა ყრუ ბათქის გაგონებისას, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბლაჯერი მიზანს მოხვდა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გრიფინდორს საქმე კარგად მისდიოდა. სლიზერინის კარში ერთიმეორის მიყოლებით გადიოდა გოლები. მოედნის მეორე ბოლოში რონიც ერთიმეორის მიყოლებით იოლად იღებდა ბურთებს. სახეზე ღიმილიც კი გადაჰფენოდა და როდესაც მაყურებლები მოწონების ნიშნად ერთხმად აგუგუნებდნენ ძველ სიმღერას „მეფეა რონალდ უისლი", რონი ხელებს ისე იქნევდა, თითქოს ზემოდან დირიჟორობსო.

– დღეს ძალიან გადიდგულდა, არა? – გაიგონა ჰარიმ დამცინავი ხმა და ჰარპერი ისეთი ძალით შეეჯახა, კინაღამ ცოცხიდან გადააგდო, – შენი სისხლის შემარცხვენელი ძმაკაცი...

ეს მაშინ მოხდა, როცა მადამ ჰუჩი მათკენ ზურგშექცევით იდგა. ტრიბუნებზე გრიფინდორელებმა ბრაზით იღრიალეს, მაგრამ სანამ მადამ ჰუჩი მოიხედავდა, ჰარპერი უკვე ზემოთ აიჭრა. მხარატკივებული ჰარი მას გაეკიდა, რომ სამაგიერო მიეზღო...

– თუ არ ვცდები, სლიზერინელმა ჰარპერმა სნიჩი დაინახა! – გამოაცხადა ზაქარია სმიტმა, – დიახ, მან უეჭველად დაინახა რაღაცა, რაც პოტერს გამოეპარა!

– რა იდიოტია ეს სმიტი, ნუთუ შეჯახება ვერ დაინახა? – გაიფიქრა ჰარიმ, მაგრამ მეორე წამს გული გადაუქანდა – სმიტი მართალი იყო: ჰარპერი უმიზეზოდ არ აჭრილა მაღლა. მან შეამჩნია რაღაცა, რაც ჰარის გამორჩა: ზემოთ მხიარულად მიქროდა სნიჩი და ლაჟვარდისფერი ცის ფონზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა.

ჰარიმ სიჩქარეს მოუმატა. ყურებში ქარი ისე უწუოდა, რომ აღარც სმიტის კომენტარები ესმოდა და აღარც ბრბოს ღრიანცელი, მაგრამ ჰარპერი მაინც უსწრებდა. არადა, გრიფინდორი მხოლოდ ასი ქულით იგებდა და ჰარპერი სნიჩს პირველი თუ სწვდებოდა, გრიფინდორი წააგებდა... არადა, ჰარპერს სნიჩამდე ნახევარი მეტრიღა თუ აშორებდა, მან ხელი გაიწვდინა და...

– ეი, ჰარპერ! – დაჰკივლა სასოწარკვეთილმა ჰარიმ, – რამდენი გადაგიხადა მალფოიმ, რომ დღეს მის მაგივრად გამოსულიყავი სათამაშოდ?

ჰარიმ თვითონაც არ იცოდა, რამ აიძულა ამის თქმა, მაგრამ, საბედნიეროდ, ნათქვამმა გაჭრა – ელდანაცემი ჰარპერი წამიერად შეყოვნდა, სნიჩს წაეპოტინა და თითებიდან გაუსხლტა. თვითონ თავი ვერ შეიკავა, წინ გაიჭრა, ხოლო სნიჩი უკან ჩამოიტოვა. ჰარი მთელი ძალით ეცა ციცქნა, აფართხალებულ ბურთს და დაიჭირა.

– არის! – დასჭექა ჰარიმ, მოედანს წრე დაარტყა და მიწაზე დაეშვა. სნიჩი საიმედოდ გამოემწყვდია მუჭში. მაყურებლები მიხვდნენ, რაც მოხდა, და იმისთანა ჟრიამული ატეხეს, რომ მატჩის დასრულების მაუწყებელი სასტვენის ხმა ჩაახშეს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჯინი, საით? – შესძახა ჰარიმ, რომელიც გუნდის წევრებს შუაში მოემწყვდიათ და სიხარულით ეხვეოდნენ. ჯინიმ მას ყურადღება არ მიაქცია, ჩაუქროლა და ყურისწამღები ბრახანით შეასკდა კომენტატორის ჯიხურს. ტრიბუნები ახარხარდნენ, გრიფინდორის გუნდი ხის ნამტვრევების გროვის გვერდით დაფრინდა, რომლის ქვეშაც მოყოლილი ზაქარია სმიტი უღონოდ ფართხალებდა. ჰარიმ გაიგო, ჯინიმ მხიარულად რომ უთხრა გაცეცხლებულ პროფესორ მაკგონაგელს:

– დამუხრუჭება დამავიწყდა, პროფესორო. ბოდიში.

ჰარიმ სიცილით დააღწია თავი გუნდის წევრებს და ჯინის მოეხვია, მაგრამ ძალიან მალე გაუშვა ხელი. გოგონას მზერას თვალი მოარიდა და სიხარულით აჭყლოპინებულ რონს დაუტყაპუნა ხელი მხარზე. წარსული მტრობა დავიწყებას მიეცა, გრიფინდორის გუნდი ხელის ქნევით დაემშვიდობა გულშემატკივრებს და მხიარულად დატოვა მოედანი.

გასახდელში საზეიმო განწყობა სუფევდა.

– სიმუსმა მითხრა, საერთო ოთახში წვეულება იქნებაო! – დაიყვირა დინმა, – ჯინი, დემელზა, წამოდით!

გასახდელში მხოლოდ რონი და ჰარი დარჩნენ. ის იყო, გასვლა დააპირეს, რომ ჰერმიონი შემოვიდა. გრიფინდორის შარფს გრეხდა და სახეზე შეწუხებული, მაგრამ მტკიცე გამომეტყველება აღბეჭდოდა.

– ჰარი, რაღაც უნდა გითხრა, – ჰერმიონმა ღრმად ჩაისუნთქა, – ეს არ უნდა გექნა. ხომ გაიგე, სლაგჰორნმა რა თქვა. ეს უკანონოა.

– რას აპირებ, უნდა ჩაგვიშვა? – ჰკითხა რონმა.

– რაზე ლაპარაკობთ? – იკითხა ჰარიმ და ვითომ ფორმას ჰკიდებდა, ღიმილის დასაფარად ზურგი აქცია მათ.

– მშვენივრად იცი, რაზეც ვლაპარაკობთ, – ხმა გაუწვრილდა ჰერმიონს, – საუზმეზე შენ რონს წვენში წარმატების ელექსირი ჩაუმატე! ფელიქს ფელიცისი!

– არ ჩამიმატებია, – მიუტრიალდა ჰარი.

– როგორ არა, ჩაუმატე, ჰარი. ამიტომაც აეწყო ყველაფერი ასე კარგად, ამიტომ ვერ გაჰქონდათ სლიზერინელ მოთამაშეებს გოლი, რონი კი ყველა ბურთს იღებდა.

– წვენში არაფერი ჩამისხამს! – განაცხადა ყურებამდე გაღიმებულმა ჰარიმ. ხელი ქურთუკის ჯიბეში ჩაიცურა და ციცქნა ბოთლი ამოაძვრინა, რომელიც ჰერმიონმა დილით ხელში დაუნახა. ბოთლი ოქროსფერი სითხით ბოლომდე იყო სავსე, საცობი მჭიდროდ ჰქონდა დალუქული და ცვილით დაბეჭდილი – მინდოდა, რონს ჰგონებოდა, რომ ჩავუსხი, ამიტომ განგებ გავითამაშე ეს სცენა, როცა ახლოს დაგიგულე, – ჰარიმ რონს გადახედა, – შენ იმიტომ აიღე ყველა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბურთი, რომ გჯეროდა, იღბალი შენს მხარეს იყო. არადა, ყველაფერი თვითონ გააკეთე.

მან ელექსირი ისევ ჯიბეში ჩაიდო.

– მაშ, ჩემს გოგრის წვენში მართლა არაფერი იყო? – ჰკითხა განცვიფრებულმა რონმა, – აბა, კარგი ამინდი?... ვეიზიმ რომ თამაში ვერ შეძლო?... გულახდილად მითხარი, მართლა არ დამალევინე წარმატების ელექსირი?

ჰარიმ თავი გააქნია. რონი წამით პირდაღებული მისჩერებოდა, შემდეგ ჰერმიონს მიუტრიალდა და გამოაჯავრა:

– „დილით რონის წვენს ფელიქს ფელიცისი ჩაუმატე, ამიტომაც აიღო ყველა ბურთი!“ ხომ ხედავ, ჰერმიონ! თვითონაც შემიძლია!

– მე არ მითქვამს, რომ არ შეგიძლია, რონ. შენ თვითონაც ხომ გეგონა, რომ ელექსირი დაგალევინეს!

მაგრამ რონმა უკვე ცოცხი მხარზე გაიდო, ჰერმიონს ცხვირაწეულმა ჩაუარა და კარისაკენ გასწია.

– ისა... – დაარღვია ჰარიმ ჩამოწოლილი სიჩუმე. არ ელოდა, რომ მისი გეგმა ასე შემოტრიალდებოდა, – ავიდეთ წვეულებაზე?

– შენ ადი! – ცრემლების შესაკავებლად თვალები აახამხამა ჰერმიონმა, – ახლა რონის დანახვაც არ მინდა. ვერ გამიგია, რა უნდა ჩემგან...

და ისიც გავარდა გასახდელიდან.

ჰარი გულშემატკივრების ბრბოსთან ერთად აუჩქარებლად გაემართა სკოლისაკენ. ყველა ხმამაღლა ულოცავდა გამარჯვებას, მაგრამ გუნება მაინც მოშხამული ჰქონდა. დარწმუნებული იყო, რომ მატჩის მოგების შემთხვევაში რონი და ჰერმიონი მაშინვე შერიგდებოდნენ. ვერ გაეგო, როგორ უნდა აეხსნა ჰერმიონისათვის, რონის განაწყენების მიზეზი ის არის, შენ რომ ოდესღაც ვიქტორ კრამს აკოცეო. მით უმეტეს, რომ ეს „დანაშაული“ ჰერმიონმა დიდი ხნის წინ ჩაიდინა.

საერთო ოთახში შესულ ჰარის გრიფინდორის გამარჯვების აღსანიშნავი წვეულება კარგა ხნის დაწყებული დახვდა. ჰერმიონს თვალი ვერსად მოჰკრა. ჰარის კვლავ შეძახილებითა და ტაშით შეეგებნენ და წამში შემოეხვივნენ მისალოცად. მან ძლივს მოიშორა თავიდან ძმები ქრივები, რომლებიც მატჩის შესახებ გაუთავებლად ქაქანებდნენ და ჰარის შეკითხვებს სეტყვასავით აყრიდნენ, მერე გოგონების დიდ ჯგუფთან სცადა გამკლავება, რომლებმაც წრე შემოარტყეს, მის ყველაზე ნაკლებად სასაცილო კომენტარებზე გულიანად კისკისებდნენ და თვალებს აფახურებდნენ. ასე რომ, კარგა ხანი დასჭირდა, სანამ რონის ძებნას შეუდგებოდა. ბოლოს თავი გაითა-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვისუფლა რომილდა ვეინისაგან, რომელიც აშკარად აგრძნობინებდა, სლაგჰორნის საშობაო წვეულებაზე სიამოვნებით წამოგყვებიო, სასმელებით სავსე მაგიდისაკენ გაიკვლია გზა და პირდაპირ ჯინის შეეჯახა. გოგონას ჯუჯა პუფი არნოლდი მხარზე წამოსკუპებოდა, ბო კი იმედიანად კნაოდა მის ფეხებთან.

– რონს ეძებ? – ჩაიღიმა ჯინიმ, – აი, იქითაა ის თვალთმაქცი!

ჰარიმ იქით გაიხედა, საითაც ჯინი ანიშნებდა. იქ მთელი ოთახის დასანახად იდგა რონი და ისე შემოხვეოდა ლევენდერ ბრაუნს, რომ ვერ გაარჩევდი, რომელი ხელი ვისი იყო.

—შეხედე, რა დღეშია, – გულგრილად თქვა ჯინიმ, – არა უშავს, როგორმე წესიერად კოცნას ისწავლის. კარგი თამაში იყო, ჰარი.

ჯინიმ ხელზე ხელი დაჰკრა. ჰარის გულ-მუცელი ამოუტრიალდა, მაგრამ ჯინი სწრაფად გაეცალა ბურბურახის დასალევად. ბო ცუნ-ცულით გაჰყვა, თან ყვითელ თვალებს არ აშორებდა არნოლდს.

ჰარიმ რონს ზურგი აქცია. როგორც ჩანდა, რონი კარგა ხანს ვერ მოიცლიდა მისთვის. და სწორედ ამ დროს დაინახა, რომ პორტრე-ტის ხვრელი იხურებოდა. ჰარის მოეჩვენა, რომ მასში აფუებული წაბლისფერი თმა გაუჩინარდა.

ჰარი წინ გავარდა, კვლავ აუქცია გვერდი რომილდა ვეინს და ფუშფუშა ქალბატონის პორტრეტს ხელი ჰკრა. დერეფანი ცარიელი დახვდა.

– ჰერმიონ.

გოგონა პირველივე საკლასო ოთახში იპოვა. იგი მასწავლებლის მერხთან იჯდა სრულიად მარტო, თუ არ ჩავთვლით მის თავზემოთ წრიულად მფრინავ მოჟღურტულე ყვითელ იადონებს, რომლებიც იმწუთას გაეჩინა ჰაერში. ასეთ დროს ჰარი აღტაცებას ვერ მალავდა ხოლმე გოგონას ოსტატობით.

– ა, გამარჯობა, ჰარი, – გაბზარული ხმით თქვა ჰერმიონმა, – აქ ვვარჯიშობდი.

– ჰო... ძალიან კარგად... გამოგსვლია...

ჰარის წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა ეთქვა მისთვის. იმის იმედადღა იყო, ეგება რონი არ შეუმჩნევიაო, იქნებ ოთახი იმიტომ დატოვა, რომ წვეულება ხმაურიანი მოეჩვენაო. სწორედ ამ დროს ჰერმიონმა არაბუნებრივად გაწვრილებული ხმით თქვა:

– როგორც ჩანს, რონი კარგ დროს ატარებს.

– ისა... მართლა? – ჰკითხა ჰარიმ.

– თავს ისე ნუ მაჩვენებ, თითქოს არ დაგინახავს, – მოუჭრა ჰერმ-იონმა, – დიდად არც უცდია დამალვა...

მოულოდნელად კარი ვიღაცამ შემოგლიჯა. ჰარის გულის გას-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახეთქად ოთახში რონი შემოვიდა. იცინოდა და ლევენდერს ხელზე ექაჩებოდა.

– ო... – ჰარისა და ჰერმიონის დანახვაზე რონი ადგილზე გაშეშდა.

– ვაი, – ჩაიხითხითა ლევენდერმა, უკან გასხლტა და კარი გაიხურა.

საშინელი, მძიმე, ავის მომასწავებელი სიჩუმე ჩამოვარდა. ჰერმიონი რონს თვალს არ აშორებდა. რონმა მზერა მოარიდა, იხტიბარი არ გაიტეხა და რიხიანად თქვა:

– ვა, ჰარი! შენ გეძებდი.

ჰერმიონი სკამიდან გადმოცურდა. ოქროსფერი ჩიტების პატარა გუნდი მის თავზემოთ წრიულად დაფრინავდა და გოგონა მზის სისტემის უცნაურ, ბუმბულებიან მოდელს დაემსგავსა.

– ლევენდერს გარეთ ნუ ალოდინებ, – თქვა ხმადაბლა, – გაუკვირდება, ამდენ ხანს სად დაიკარგაო.

ჰერმიონი ნელა და წელგამართული გაეშურა კარისაკენ. ჰარიმ რონს გადახედა. რონმა შვებით ამოისუნთქა, რომ ასე იოლად გადარჩა.

– ოპაგნო! – გაისმა კივილი კარის მხრიდან.

ჰარი თვალის დახამხამებაში კარისკენ შეტრიალდა. ჰერმიონს შეშლილი სახით დაემიზნებინა რონისათვის ჯადოსნური ჯოხი და ამ უკანასკნელისკენ ჩიტების მცირერიცხოვანი გუნდი მსხვილი ოქროს ტყვიების სეტყვასავით მიექანებოდა. რონმა შეჰყვირა და სახეზე ხელები აიფარა. ჩიტები ეცნენ და სადაც კი შიშველ ხორცს მისწვდნენ, დაუნდობლად დაკორტნეს და დაკაწრეს.

– თავი დამანებეთ! – დაიღრიალა რონმა. ჰერმიონმა შურისგებით აღსავსე მზერით ერთხელ კიდევ მოხედა, კარი გააღო და გაუჩინარდა. ჰარის მოეჩვენა, რომ სანამ კარი გაჯახუნდებოდა, ქვითინის ხმა მოესმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი მეთხუთმეტე

# უცნები ფიცი

ქარბუქი მთელი ძალით ეხლებოდა ყინულით შეჭირხლულ ფანჯრებს. შობის დღესასწაული კარს მომდგარიყო. ჰაგრიდმა, როგორც ყოველთვის, დიდ დარბაზში მარტომ შემოიტანა თორმეტი საშობაო ნაძვის ხე. კიბის მოაჯირი ბაძგისა და წვიმების გირლანდებით მორთეს. ჯავშნების მუზარადებიდან მარადიული სანთლები ბრწყინავდა. დერეფნების გაყოლებაზე ფითრის დიდი ტოტები დაჰკიდეს. ჰარის ყოველ ჩავლაზე ფითრის კონებქვეშ გოგონების დიდი ჯგუფი შეიყრებოდა ხოლმე, რაც დერეფნებში მოძრაობას აფერხებდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ჰარიმ ხშირი ღამეული ხეტიალის შედეგად ისე კარგად აითვისა ციხე-კოშკის საიდუმლო გასასვლელები, რომ თავისუფლად შეეძლო გაკვეთილებს შორის შესვენებებზე აბეზარი თაყვანისმცემლებისაგან უხილავად ევლო.

რონს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ის ფაქტი, რომ ჰარი თაყვანისმცემლებს ასე გამწარებული ემალებოდა და ამიტომ მის ყოველ დანახვაზე გულიანად ხარხარებდა. ჰარის ბევრად ერჩივნა ეს ახალი, ოხუნჯი რონი იმ ფხუკიან, აგრესიულ რონს, რომელსაც ბოლო რამდენიმე კვირას იტანდა, მაგრამ რონის გამოსწორება ძალიან ძვირი დაუჯდა. ჯერ ერთი, უნდა შეჰგუებოდა მათ გვერდით ლევენდერ ბრაუნის ხშირ ტრიალს, რომელსაც, როგორც ჩანდა, ნებისმიერი წამი, როცა რონს არ კოცნიდა, დაკარგულად მიაჩნდა. მეორეც – ჰარი კვლავ აღმოჩნდა იმ ორი ადამიანის საუკეთესო მეგობარი, რომელთაც, ალბათ, შერიგება აღარ ეწერათ.

რონმა, რომელსაც ხელებსა და მკლავებზე ჯერაც აჩნდა ჰერმიონის ჩიტების თავდასხმის შედეგად დარჩენილი ნაიარევები, გადაწყვიტა იქით შეეტია და ჰარის აღშფოთებული ტონით გამოუცხადა:.

– რა პრეტენზიებს მიყენებს? თვითონ ხომ აკოცა კრამს! რა დაშავ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და, თუ ვიღაცას ახლა ჩემი კოცნა უნდა. ეს თავისუფალი ქვეყანაა. ისეთი რა გავაკეთე?!

ჰარიმ არ უპასუხა. ცხვირი წიგნში ჩარგო და თავი ისე დაიჭირა, თითქოს მთელი ინტერესით ეძებდა პარაგრაფს, რომლის წაკითხვაც ხვალინდელი შელოცვების გაკვეთილისათვის ჰქონდათ დავალებული. მტკიცედ ჰქონდა განზრახული, რონთანაც და ჰერმიონთანაც მეგობრული ურთიერთობა შეენარჩუნებინა, ამიტომ დროის უმეტეს ნაწილს ხმაჩაკმენდილი ატარებდა.

– ჰერმიონს არაფერს შევპირებივარ, – ჩაიბუტბუტა რონმა, – უფრო სწორად, კი, ბატონო, სლაგჰორნის საშობაო წვეულებაზე ვაპირებდი მასთან ერთად წასვლას, მაგრამ მას ხომ არ უთქვამს, რომ... ანუ, როგორც მეგობრები... მე თავისუფალი ადამიანი ვარ...

ჰარი რონის დაჟინებულ მზერას გრძნობდა, მაგრამ თავი არ აუწევია და საქმიანად გადაფურცლა „კვინტესენცია". რონის ბურტყუნი ცეცხლის ხმამაღალ ტკაცანში თანდათან მიწყდა, თუმცა ჰარიმ მის გაუგებარ ლულლულში სიტყვები „კრამი" და „პრეტენზია" ისევ გამოარჩია.

ჰერმიონს ისეთი დატვირთული გრაფიკი ჰქონდა, რომ ჰარი მას მხოლოდ საღამოობით თუ ხედავდა. ამ დროს რონი ისე ჩაჰხვეოდა ლევენდერს, რომ სხვას ვერაფერს ამჩნევდა. ჰერმიონი არაფრის დიდებით არ რჩებოდა საერთო ოთახში, თუ იქ რონიც იმყოფებოდა, ამიტომ ჰარი მასთან ერთად ბიბლიოთეკაში მიდიოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩურჩულით უნდა ესაუბრათ.

– თავში ქვა უხლია, ვისაც უნდა, იმას აკოცოს, – განუცხადა ჰერმიონმა, სანამ ბიბლიოთეკარი მადამ პინსი მათ უკან თაროებს შორის დაიარებოდა, – მე სულაც არ მენაღვლება.

ჰერმიონმა ბატის ფრთა ასწია და ისე გამძვინვარებით მოხაზა „მე", რომ პერგამენტი ჩახვრიტა. ჰარიმ ენას კბილი დააჭირა. ის კი გაიფიქრა, ალბათ, მალე ამდენი დუმილისაგან ხმას დავკარგავო. „ურთულესი შხამ-წამლები" გადაშალა და მარადიულ ელექსირებზე კონსპექტის შედგენა განაგრძო. თან ცდილობდა, ლიბატიუს ბორაჯის ტექსტზე პრინცის გაკრული ხელით მიწერილი სასარგებლო დამატებები ყურადღებით წაეკითხა და არაფერი გამორჩენოდა.

– სხვათა შორის, – რამდენიმე წუთში დაარღვია სიჩუმე ჰერმიონმა, – სიფრთხილე გმართებს.

– უკანასკნელად გეუბნები, – დაიჩურჩულა ორმოცდახუთწუთიანი დუმილის შედეგად ხმაჩახრინწულმა ჰარიმ, – ამ წიგნს არ დავაბრუნებ. ნახევარპრინცისაგან უფრო მეტი ვისწავლე, ვიდრე სნეიპისა და სლაგჰორნისაგან...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე შენს თვითმარქვია „პრინცს“ არ ვგულისხმობ, – ჰერმიონმა წიგნს ისე ამრეზით შეხედა, თითქოს ამ წიგნმა დიდი შეურაცხყოფა მიაყენაო, – სხვა რამეზე გელაპარაკები. აქ მოსვლამდე საპირფარეშოში შევედი. იქ ათიოდე გოგოს მოეყარა თავი, რომილდა ვეინის ჩათვლით, და გახურებული მსჯელობა გაემართათ, როგორ შემოეპარებინათ შენთვის სიყვარულის ელექსირი. ყველას იმედი აქვს, რომ როგორმე სლაგჰორნის წვეულებაზე დაგაპატიჟებინებენ თავს. როგორც ჩანს, ფრედისა და ჯორჯის მაღაზიიდან სიყვარულის ელექსირები მოიმარაგეს, რომლებიც, ვშიშობ, მართლა უნდა მოქმედებდეს.

– მერე? კონფისკაცია რატომ არ მოახდინე? – ჰკითხა ჰარიმ. პირდაპირ დაუჯერებელი იყო, რომ ჰერმიონს წესების დაცვის მანიამ ასეთ გადამწყვეტ დროს ულალატა.

– თან არ ჰქონდათ, – აგდებით უთხრა ჰერმიონმა, – ისინი მხოლოდ მსჯელობდნენ, რა ტაქტიკა აერჩიათ. ძალიან მეეჭვება, რომ თვით ნახევარპრინცსაც კი, – მან ისევ ამრეზით დახედა წიგნს, – გამოეგონოს ერთდროულად ათი სხვადასხვანაირი სიყვარულის ელექსირის საწინააღმდეგო საშუალება. შენს ადგილზე, სასწრაფოდ დავპატიჟებდი ვინმეს, რომ სხვებს იმედი გადაწურვოდათ. წვეულება ხვალ საღამოსაა, ამიტომ ისინი დარჩენილ დროში უკან არაფერზე დაიხევენ.

– მე რომ არავის დაპატიჟება არ მინდა? – ჩაიბურტყუნა ჰარიმ. იგი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ჯინიზე არ ეფიქრა, მაგრამ მასზე ოცნებას თავს ვერ აღწევდა და გულწრფელად უხაროდა, რომ რონს ლეგილიმენციის უნარი არ ჰქონდა.

– მოკლედ, სასმელთან ფრთხილად იყავი, თორემ რომილდა ვეინს ეტყობოდა, რომ არ ხუმრობდა, – მოღუშულმა ჰერმიონმა პერგამენტის გრძელი გრაგნილი ახლოს მიიწია, რომელზეც არითმანტიის თემას წერდა, და ბატის ფრთას კვლავ ფხაჭაფხუჭი აუყენა. ჰარი გოგონას თვალს ადევნებდა, მაგრამ გონება სულ სხვაგან უქროდა.

– ერთი წუთით, – ზანტად დაიწყო ჰარიმ, – მეგონა, ფილჩმა „უისლების ჯადოსნურ ოინებში“ ყველაფრის ყიდვა აკრძალა.

– როდის იყო, რომ ფილჩის აკრძალვებს ვინმე ანგარიშს უწევდა? – პერგამენტისათვის თვალი არ მოუშორებია, ისე მიუგო ჰერმიონმა.

– კი მაგრამ, განა ყველა ბუ არ იჩხრიკება? როგორ მოხდა, რომ ამ გოგოებმა სკოლაში სიყვარულის ელექსირები შემოაპარეს?

– ფრედმა და ჯორჯმა ეს ელექსირები სუნამოებისა და ხველების წამლის შუშებით შემოაგზავნეს, ეს მათი „ბუს ფოსტით შეკვეთის სერვისში“ შედის.

– ამდენი საიდან იცი?



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰერმიონმა მასაც ისეთი ამრეზით შეხედა, როგორც წუთის წინ – „ურთულეს შხამ-წამლებს“.

– ეს ყველაფერი ბოთლებს ეტიკეტზე აწერია. ამ ზაფხულს მე და ჯინის თვითონ გვაჩვენეს, – თქვა ცივად, – მე ვიღაც-ვიღაცეებს სასმელში ელექსირებს კი არ ვუმატებ... და, სხვათა შორის, არც თავს ვაჩვენებ ისე, თითქოს ვუმატებდე, რაც არანაკლებ ცუდია...

– კარგი, მაგას შეეშვი, – სწრაფად თქვა ჰარიმ, – საქმე ისაა, რომ ფილჩი გააცურეს. თუკი ეს გოგოები ახერხებენ და ფოსტით შენიღბულ რაღაცეებს იღებენ სკოლაში, ვითომ მალფოი რატომ ვერ შეძლებდა ყელსაბამის შემოპარებას...

– ო, ჰარი... ისევ არ დაიწყო...

– რატომაც არა? – ჰკითხა ჰარიმ.

– მომისმინე, – ამოიოხრა ჰერმიონმა, – სიცრუის სენსორები დათარსვას, წყევლასა და შენიღბვის შელოცვას უმალ აფიქსირებენ. ისინი ბნელი ძალებისა და შავი მაგიის ნივთების დასადგენადაა განკუთვნილი. ისეთ ძლიერ წყევლას, როგორიც იმ ყელსაბამზე იყო დადებული, წამში აღმოაჩენდნენ. მაგრამ სხვა ბოთლში მოთავსებულ რაღაც ნივთიერებას ვერ აჩვენებენ. მით უმეტეს, სიყვარულის ელექსირი შედარებით უწყინარი რამეა...

– შენთვის ადვილი სათქმელია, – ჩაიბუზღუნა ჰარიმ და თვალწინ რომილდა ვეინი დაუდგა.

– კი, ფილჩი მოვალე იყო, მიმხვდარიყო, რომ შუშებში ხველების წამლები არ ესხა, მაგრამ ის ხომ არ არის ძლიერი ჯადოქარი, ამიტომ რაღაც ეჭვი მეპარება, რომ ერთი ნაყენის მეორისგან გარჩევა შეეძლოს...

ჰერმიონმა ხმა გაკმინდა. ჰარიმაც გაიგონა ფაჩუნი. სწორედ მათ ზურგს უკან, ჩაბნელებულ თაროებს შორის, რაღაცა ამოძრავდა. წამიც, და სვავისებური გამომეტყველების მქონე მადამ პინსი გამოჩნდა. ხელში ფარანი ეჭირა, რომლის შუქი შეუბრალებლად ამზეურებდა მის ჩაცვენილ ლოყებს, პერგამენტისფერ კანსა და გრძელ, მოკაუჭებულ ცხვირს.

– ბიბლიოთეკა დაკეტილია, – განაცხადა მან, – ყველა წიგნი თავ-თავის ადგილზე დააბრუნეთ... ეს რა გიქნია ამ წიგნისათვის, შე უსირცხვილო ბიჭო?

– ეს ბიბლიოთეკის წიგნი არაა, ჩემია! – საჩქაროდ იმართლა თავი ჰარიმ და მაგიდაზე დადებულ „ურთულეს შხამ-წამლებს“ ხელი სტაცა, მადამ პინსიც კლანჭიანი ხელით ჩააფრინდა წიგნს.

– რა საზიზღრობაა! – დაისისინა მან, – რა ბარბაროსობა! რა სიბილწე!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეს მხოლოდ დაჯღაბნილი წიგნია და მეტი არაფერი! – შესძახა ჰარიმ და სახელმძღვანელო ხელიდან მთელი ძალით გამოჰგლიჯა.

მადამ პინსს სახე ისე მოექცა, თითქოს სადაცაა, გულის შეტევა დაემართებაო. ჰერმიონმა ფაცხაფუცხით ჩაყარა ჩანთაში თავისი ნივთები, ჰარის მკლავში ხელი წაავლო და ბიბლიოთეკიდან ძალით გაათრია.

– ფრთხილად იყავი, თორემ ბიბლიოთეკაში ფეხის შედგმას აგიკრძალავს. რა ჯანდაბად მოიტანე ის ოხერი წიგნი?

– რა ჩემი ბრალია, თუ გიჟივით აყეფდა, ჰერმიონ. როგორ ფიქრობ, ფილჩს რომ ლანძღავდი, რამე ხომ არ გაიგო? გამოგიტყდები და, ყოველთვის ვეჭვობდი, რომ მათ შორის რაღაცა ხდება...

– ჰა-ჰა-ჰა...

იმით გახარებულები, რომ როგორც იქნა, თავისუფლად დალაპარაკების საშუალება მიეცათ, საერთო ოთახისაკენ მიმავალ ცარიელ, ფარნებით განათებულ დერეფანს გაუყვნენ. გზადაგზა ფილჩისა და მადამ პინსის ფარული ტრფობის საკითხზე ხუმრობდნენ.

– სამშვენისი, – უთხრა ჰარიმ ფუშფუშა ქალბატონს ახალი საზეიმო პაროლი.

– ბედნიერ შობას გისურვებთ, – ეშმაკურად გაუღიმა ფუშფუშამ და გოგო-ბიჭი გაატარა.

– გამარჯობა, ჰარი! – შეეგება რომილდა ვეინი პორტრეტის ხვრელში გადამძვრალ ჰარის, – არ გინდა ჟაბოსწყალი?

ჰერმიონმა მრავალმნიშვნელოვნად გადმოხედა მხარზემოდან.

– არა, გმადლობ, – სწრაფად თქვა ჰარიმ, – მაინცდამაინც არ მიყვარს.

– მაშინ, ეს მაინც გამომართვი, – რომილდა ვეინმა ჰარის ხელში კოლოფი შეაჩეჩა, – შოკოლადის კარდალებია, ცეცხლოვანი ვისკის შიგთავსით. ბებიაჩემმა გამომიგზავნა, მაგრამ მე არ მიყვარს.

– აჰა... კარგი, დიდი მადლობა, – ჰარიმ სხვა ვერაფერი მოიფიქრა, – ისაა... მე იქით მივდივარ...

რაღაცა ჩაილულლუღა და აჩქარებით გაედევნა ჰერმიონს.

– ხომ გითხარი, – უთხრა ჰერმიონმა, – რაც უფრო მალე დაპატიჟებ ვინმეს, მით უფრო მალე დაგანებებენ თავს და...

მოულოდნელად ჰერმიონს სახე შეეცვალა. მან ერთ სავარძელში ჩაკონებული რონი და ლევენდერი შეამჩნია.

– ღამე მშვიდობისა, ჰარი, – სწრაფად დაემშვიდობა მეგობარს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ საღამოს შვიდი საათი იყო, სხვა აღარაფერი უთქვამს, პირდაპირ გოგონების საძინებლისაკენ გასწია.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოგვიანებით ლოგინში ჩაწოლილი ჰარი თავს იმით იმშვიდებდა, რომ მხოლოდ ერთი სასწავლო დღის გაძლებაღა მოუწევდა, და კიდევ – სლაგჰორნის წვეულებისა, მერე კი რონთან ერთად „ბუნაგში" გაემგზავრებოდა. არდადეგების დაწყებამდე რონისა და ჰერმიონის შერიგება წარმოუდგენელი ჩანდა. მაგრამ იმედია, ეს დრო მათ საშუალებას მისცემდა, დამშვიდებულიყვნენ და თავიანთი საქციელი აეწონ-დაეწონათ...

მაგრამ ჰარის ეს მცირეოდენი იმედიც საბოლოოდ გადაეწურა მეორე დღეს ტრანსფიგურაციის გაკვეთილზე. იმ დღეს, ურთულეს საკითხზე, ადამიანის ტრანსფიგურაციაზე გადავიდნენ. დავალებული ჰქონდათ, სარკის წინ ევარჯიშათ და ცალი წარბის ფერი შეეცვალათ. ჯერ იყო და, ჰერმიონმა სიცილი დააყარა რონს წარუმატებელ პირველ მცდელობაზე, როდესაც მას რატომღაც ზემოთ აპრეხილი ულვაში გამოება. მერე არც რონი დარჩა ვალში და სამაგიერო იმით მიუზღო, რომ დაუნდობლად, მაგრამ ზუსტად გამოაჯავრა: მასავით ცმუკავდა სკამზე და ხელს იწევდა, რამდენჯერაც პროფესორი მაკგონაგელი კითხვას დასვამდა. ამან ლეევენდერი და პარვატი დიდად გაამხიარულა, აცრემლებული ჰერმიონი კი ზარის დარეკვისთანავე საკლასო ოთახიდან გავარდა და თავისი ნივთების ნახევარი მერხზე მიატოვა. ჰარიმ გადაწყვიტა, რომ ახლა ის ჰერმიონს უფრო სჭირდებოდა, ვიდრე რონს, მისი დარჩენილი ნივთები მოხვეტა და გაედევნა.

თვალებაწითლებულ ჰერმიონს ქვედა სართულზე გადააწყდა. გოგონა საპირფარეშოდან გამოდიოდა. უკან ლუნა ლავგუდი მოჰყვებოდა და დაბნეული უთათუნებდა ზურგზე ხელს.

– გამარჯობა, ჰარი, – მიესალმა ლუნა, – იცი, რომ ცალი წარბი ღია ყვითელი გაქვს?

– გაგიმარჯოს, ლუნა. ჰერმიონ, კლასში დაგრჩა... ჰარიმ წიგნები გაუწოდა.

– აა, ჰო... – გულამომჯდარი ხმით თქვა ჰერმიონმა, სახელმძღვანელოები გამოართვა, სწრაფად შეაქცია ზურგი და მალულად ცრემლი მოიწმინდა, – გმადლობ, ჰარი. კარგი, მე წავალ...

და საჩქაროდ გაეცალა მათ. ჰარის იმის დროც არ მისცა, როგორმე ენუგეშებინა, თუმცა, გულახდილად რომ ითქვას, ჰარის არც ერთი სანუგეშო სიტყვა არ მოსდიოდა თავში.

– ცოტა ნაწყენია, – ამცნო ლუნამ ჰარის, – ხმა რომ გავიგონე, ჯერ მეგონა, მტირალა მირტლია-მეთქი, მაგრამ შემდეგ ჰერმიონი აღმოჩნდა. რაღაცა თქვა იმ რონ უისლიზე...

– ჰო, იჩხუბეს, – აუხსნა ჰარიმ და ორივენი დერეფანს გაუყვნენ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რონი ზოგჯერ ძალიან სასაცილო რამეებს ამბობს, არა? მაგრამ ხანდახან ძალიან უხეშია. ეს შარშან შევამჩნიე, – აღნიშნა ლუნამ.

– ალბათ, – თქვა ჰარიმ. ლუნა ყოველთვის უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა თავისი ზედმეტი გულახდილობით, ჰარი მისნაირს ჯერ არავის შეხვედროდა, – კარგად ჩაიარა სემესტრმა?

– არა უშავდა, – მიუგო ლუნამ, – **და**-ს გარეშე ცოტა მოვიწყინე. მაგრამ ჯინი კარგად მექცეოდა. ამას წინათ ტრანსფიგურაციის გაკვეთილზე ორმა ბიჭმა „სულელუნა" დამიძახა და ჯინი გამომექომაგა...

– დღეს საღამოს ჩემთან ერთად სლაგჰორნის წვეულებაზე არ წამოხვალ?

ჰარის ისე წამოსცდა ეს სიტყვები, რომ გონს მოსვლაც ვერ მოასწრო. თავისივე სიტყვები ისე მოესმა, თითქოს სხვა წარმოთქვამდა.

ლუნამ გაოცებით შეანათა გადმოკარკლული თვალები.

– სლაგჰორნის წვეულებაზე შენთან ერთად?

– ჰო. ერთი მეგობრის დაპატიჟება შეგვიძლია, ამიტომ ვიფიქრე, იქნებ შენ... ანუ, იმის თქმა მინდა, რომ... – ჰარი შეეცადა, უფრო ნათლად აეხსნა ლუნასათვის, – მხოლოდ, როგორც მეგობრები, რა. მაგრამ თუ არ გინდა...

გულის სიღრმეში უკვე ნატრობდა, უარი მითხრასო.

– არა, სიამოვნებით წამოვალ შენთან ერთად, როგორც მეგობარი! – ასეთი გაბრწყინებული ლუნა ჰარის ჯერ არ ენახა, – მე ჯერ არავის დავუპატიჟებივარ წვეულებაზე, როგორც მეგობარი! ამიტომ შეიღებე წარბი? მეც ხომ არ უნდა შევიღებო?

– არა, – მტკიცედ მიუგო ჰარიმ, – ეს შეცდომა იყო. ჰერმიონს ვთხოვ, რომ ბუნებრივი ფერი დამიბრუნოს. კარგი, მაშინ, რვა საათზე ჰოლში შევხვდეთ.

– აჰაა! – დაჰკივლა მათ ზემოდან ვიღაცამ. ორივე შეხტა. ვერც ერთმა ვერ შეამჩნია ჭაღზე თავდაყირა ჩამოკიდებული პივსი, რომელიც ახლა ღვარძლიანად იღიმებოდა.

– პოტიმ სულელუნა წვეულებაზე დაპატიჟა! პოტის უკვალს ლუნი! პოტის უკვალს ლუნი!

პივსი ასე აკრიახებულ-აჩხავლებული გაფრინდა, მთელ დერეფანში ისმოდა მისი გახარებული ხმა: „პოტის უკვალს ლუნი!"

– ამ სკოლაში პირადი ცხოვრების დამალვა შეუძლებელია – აღნიშნა ჰარიმ. და, მართლაც, მთელმა სკოლამ თვალის დახამხამებაში შეიტყო, რომ ჰარი პოტერს სლაგჰორნის წვეულებაზე ლუნა ლავგუდი მიჰყავდა.

– შეგეძლო, ნებისმიერი გოგო დაგეპატიჟებინა, – უთხრა გაოგ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნებულმა რონმა ვახშამზე, – ნებისმიერი! მაინცდამაინც სულელუნა ლავგუდი რატომ აირჩიე?

– მასე ნუ ეძახი, რონ, – მოუჭრა თავისი მეგობრებისაკენ მიმავალმა ჯინიმ და ჰარის უკან შედგა, – ძალიან მიხარია, რომ ლუნა მიგყავს, ჰარი. ისეთი აღტაცებულია.

ჯინი წავიდა და დინს გვერდით მიუჯდა. ჰარი შეეცადა, კმაყოფილება ეგრძნო, რომ ლუნას დაპატიჟებამ ჯინი გაახარა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მათგან მოშორებით ჰერმიონი მარტო მისჯდომოდა მაგიდას და ჩაშუშულ ხორცს ჩანგლით ჩიჩქნიდა. ჰარიმ შეამჩნია, რომ დროდადრო რონი ჰერმიონისკენ აპარებდა თვალს.

– მემგონი ჯობია, რომ მიხვიდე და ბოდიში მოუხადო, – პირდაპირ ურჩია ჰარიმ.

– რაა? და იადონების გუნდის კიდევ ერთი თავდასხმა გადავიტანო? – ჩაიბურტყუნა რონმა.

– შენც რაღატომ გამოაჯავრე?

– ჩემს ულვაშზე გაიცინა.

– მეც გავიცინე, იმიტომ, რომ ამაზე სულელური რამე ჩემს დღეში არ მინახავს.

რონს ბოლო სიტყვები არ გაუგია, რადგან ამ დროს ლევენდერი მობრძანდა პარვატის თანხლებით, ბიჭებს შორის ჩაეკვეხა და რონს მაშინვე კისერზე შემოეხვია.

– გამარჯობა, ჰარი, – მიესალმა პარვატი, რომელიც, ჰარისა არ იყოს, ოდნავ დარცხვენილი და გაბრაზებული ჩანდა მეგობრის ქცევის გამო.

– გამარჯობა, – უპასუხა ჰარიმ, – როგორა ხარ? ესე იგი, ჰოგვორტსში რჩები? გავიგე, რომ მშობლებს სკოლიდან შენი გაყვანა უნდოდათ.

– იმდენი ვქენი, რომ დროებით გადავაფიქრებინე. ქეითის ამბავმა სულ გაუხეთქა გული, მაგრამ რაკი მას შემდეგ არაფერი მომხდარა... უი, გამარჯობა, ჰერმიონ!

პარვატიმ ფართოდ გაიღიმა. ჰარიმ იფიქრა, ეტყობა სინდისი ქენჯნის, ტრანსფიგურაციაზე ჰერმიონს რომ დასცინაო. საოცარი ის იყო, რომ ჰერმიონიც გულითადად ულიმოდა, თქვენ წარმოიდგინეთ, მხიარულადაც კი. ო, ღმერთო, ხანდახან რა უცნაურები არიან ეს გოგოები!

– გამარჯობა, პარვატი! – ჰერმიონმა ლევენდერი და რონი სრულიად უგულებელყო, – ამაღამ სლაგჰორნის წვეულებაზე მიდიხარ?

– არავის დავუპატიჟებივარ, – დაღვრემით მიუგო პარვატიმ, – ისე, სიამოვნებით წავიდოდი. ამბობენ, მაგარი დროსტარება იქნებაო... შენ ხომ მიდიხარ?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კი, რვა საათზე კორმაკს ვხვდები და...

რონს ამ დროს თითქოს რაღაც გადასცდა ყელში, ხველა აუტყდა და ჭარხალივით გაწითლდა. ჰერმიონმა არაფერი შეიმჩნია. თითქოს არც არაფერი დაენახოს და არც არაფერი გაეგონოს.

– და წვეულებაზე ერთად მივდივართ...

– კორმაკი? – გაიმეორა პარვატიმ, – კორმაგ მაკლეგენს გულისხმობ?

– სწორედაც, – ტკბილად დაუმოწმა ჰერმიონმა, – ის, რომელიც კინალამ, – მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ბოლო სიტყვას, – გრიფინდორის მეკარე გახდა.

– მაშ, შენი შეყვარებულია? – ჰკითხა თვალებდაჭყეტილმა პარვატიმ.

– აბა, რა... არ იცოდი? – ძალიან არაჰერმიონული ხითხითით უპასუხა ჰერმიონმა.

– არ არსებობს! – ამ ცინცხალმა საჭორაო მასალამ ცნობისმოყვარეობით აანთო პარვატი, – ვა�ა... ერთი უყურე! შენ რა სულ ქვიდიჩის მოთამაშეები მოგწონს! ჯერ კრამი, ახლა მაკლეგენი...

– მე მხოლოდ ქვიდიჩის კარგი მოთამაშეები მომწონს, – ღიმილით შეუსწორა ჰერმიონმა, – აბა, დროებით... უნდა წავიდე და წვეულებისათვის მოვემზადო...

ჰერმიონი წავიდა. პარვატიმ და ლევენდერმა წამსვე ჭორაობა გააჩაღეს ამ ახალ ამბავზე, სასწრაფოდ ჩამოარაკრაკეს, რაც მაკლეგენის შესახებ გაეგონათ და თავიანთი შეხედულება ჰერმიონზეც გამოთქვეს. რონს სახე აელეწა, აირ-დაირია, მაგრამ არაფერი უთქვამს. ჰარიც იჯდა თავისთვის ჩუმად და ფიქრობდა, აი, თურმე სადამდე შეიძლება დაეცნენ გოგოები ვინმეზე შურის საძიებლადო.

საღამოს რვა საათზე ჰოლში ჩასულ ჰარის უამრავი თაყვანისმცემელი დახვდა. მათ საყვედურით გააყოლეს თვალი, როცა ლუნას მიუახლოვდა. ლუნას ბრჭყვიალა წინწკლებით მორთული ვერცხლისფერი მანტია ეცვა, რაც ცოტა სასაცილო იერს აძლევდა, მაგრამ, სხვა მხრივ, ლამაზად გამოიყურებოდა. ყოველ შემთხვევაში, ჰარიმ შვებით ამოისუნთქა, როცა ნახა, რომ ბოლოკის საყურეები, ბურბურახის საცობების ყელსაბამი და ჰალუცინოგენური სათვალე აღარ ეკეთა.

– საღამო მშვიდობისა, – მიმართა ჰარიმ, – ავიდეთ?

– რა თქმა უნდა, – მიუგო გახარებულმა ლუნამ, – სად არის წვეულება?

– სლაგჰორნის კაბინეტში, – ჰარიმ ამდენ მაყურებელსა და მოჩურჩულეს გაარიდა ლუნა და მარმარილოს კიბეზე აიყვანა, – გაიგე, რომ ვამპირი დაუპატიჟებიათ?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რუფუს სკრიმჯერი ხომ არა? – იკითხა ლუნამ.

– მე... რაა? – დაიბნა ჰარი, – მაგიის მინისტრს გულისხმობ?

– აბა, რა. ის ვამპირია, – საქმიანად განუცხადა ლუნამ, – როგორც კი სკრიმჯერმა კორნელიუს ფაჯისაგან პოსტი ჩაიბარა, მამამ ამაზე გრძელი სტატია დაწერა, მაგრამ სამინისტროდან ზეწოლის გამო ვერ გამოაქვეყნა. რა თქმა უნდა, არ უნდოდათ, რომ სიმართლეს პრესაში გაეჟონა!

ჰარიმ, რასაკვირველია, არ დაიჯერა, რომ რუფუს სკრიმჯერი ვამპირი იყო, მაგრამ უკვე მიეჩვია, რომ ლუნა მამამისის ფანტასტიკურ ჰიპოთეზებს უტყუარი ფაქტებივით იმეორებდა და არაფერი უპასუხა. უკვე სლაგჰორნის კაბინეტს უახლოვდებოდნენ და სიცილი, მუსიკა და საუბარი ყოველ ნაბიჯზე სულ უფრო ხმამაღლა ისმოდა.

სლაგჰორნის ოთახი პედაგოგის ჩვეულებრივ კაბინეტზე ბევრად უფრო ვრცელი ჩანდა, ან თავიდანვე ასე იყო დაგეგმილი, ან სლაგჰორნს ჯადოქრობის წყალობით გაეფართოებინა. ჭერი და კედლები ზურმუხტისფერი, მუქი წითელი და ოქროსფერი გობელენებით იყო გაწყობილი და ოთახში მყოფებს ისეთი შეგრძნება ეუფლებოდათ, თითქოს უზარმაზარ კარავში მოხვდნენ. ხალხით გაჭედილ ჩახუთულ კაბინეტს ჭერის შუაგულში ჩამოკიდებული მდიდრულად მორთული ოქროსფერი ლამპიდან წითელი შუქი ეფრქვეოდა. ლამპაში ნამდვილი ფერიები ფრთხიალებდნენ, ყოველი მათგანი სინათლის კაშკაშა სფეროს ჰგავდა. შორეული კუთხიდან ხმამაღალი სიმღერა ისმოდა მანდოლინების აკომპანემენტის თანხლებით. ჩიბუხის კვამლი ნისლივით ეკიდა საუბარში გართული რამდენიმე ხანშიშესული ჯადოქრის თავზე. ხილით დაზვინული მძიმე ვერცხლის სინებქვეშ შემალული შინაური ელფები მუხლების ტყეში გზას წრიპინით იკვლევდნენ და პატარა ფეხადგმულ მაგიდებს ჰგავდნენ.

– ჰარი, ჩემო ბიჭო! – დაიგუგუნა სლაგჰორნმა, რა წამსაც ჰარი და ლუნა კარში შევიდნენ, – შემოდი, შემოდი. იმდენი ხალხი უნდა გაგაცნო!

სლაგჰორნს სმოკინგი ეცვა და ფოჩიანი ხავერდის ქუდი ეხურა. იგი ჰარის მკლავში ისეთი ძალით ჩაეჭიდა, თითქოს მასთან ერთად აპარაციის გამოყენებას აპირებსო, და მიზანმიმართულად შეათრია ოთახის სიღრმეში. ჰარიმ ლუნას სტაცა ხელი და თან გაიყოლა.

– ჰარი, გაიცანი ელდრედ ვორპლი, ჩემი ძველი სტუდენტი, ავტორი წიგნისა „სისხლისმიერი ძმები: ჩემი ცხოვრება ვამპირთა შორის“... და, რა თქმა უნდა, მისი მეგობარი სანგვინი... ტანდაბალმა, სათვალიანმა ვორპლმა ჰარის ენერგიულად ჩამოართვა ხელი. მაღალმა და გამოფიტულმა ვამპირმა სანგვინიმ, რომელსაც თვალის უპეები


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩაშავებოდა, მხოლოდ თავი დაუკრა. სანგვინი საკმაოდ მოწყენილი ჩანდა და ნაღვლიანად ათვალიერებდა მის შორიახლოს მოკისკისე გოგონებს.

– ჰარი პოტერ, დიდად მოხარული ვარ, – ახლომხედველმა ვორპლმა კისერი წაიგრძელა და ბიჭს სახეში ჩააშტერდა – ამას წინათ პროფესორ სლაგჰორნს ვუთხარი: კი მაგრამ, სად არის ჰარი პოტერის ბიოგრაფია, რომელსაც, რა ხანია, ასე მოუთმენლად ველითმეთქი.

– ეეე... – ენა დაება ჰარის, – მართლა?

– ჰორაციუსი მართალი იყო: როგორი თავმდაბალი ყოფილა! – შესძახა ვორპლმა, – მაგრამ სერიოზულად გეუბნები...

– და უცებ საქმიან ტონზე გადავიდა: – მე სიამოვნებით დავწერდი თვითონ... ხალხს შენ შესახებ მეტის შეტყობა სწყურია, ჩემო კარგო, დიახ, სწყურია! ჩემთვის რამდენიმე ინტერვიუ რომ მოგეცა, ვთქვათ, დღეში ოთხ-ხუთსაათიანი, წიგნს ორიოდე თვეში დავასრულებდით. შენგან ამ საქმეს სულ მცირე ძალისხმევა დასჭირდებოდა. გარწმუნებ... აი, თუ გინდა, სანგვინის ჰკითხე, ისიც დამემოწმება, რომ... სანგვინი, ფეხი არ მოიცვალო! – მოულოდნელად მკაცრად დასძინა ვორპლმა, რადგან ვამპირმა მშიერი მზერით გაიწია გოგონებისკენ, – აი, ხორცის ღვეზელი მიირთვი, – ვორპლი ჩავლილი ელფის თავზე შემოდგმულ სინზე ღვეზელს დასწვდა, სანგვინის ხელში ჩასჩარა და ისევ ჰარის მიუბრუნდა: – ჩემო ძვირფასო ბიჭო, რა ფულს გააკეთებდი, შენ ხომ წარმოდგენაც არა გაქვს...

– ნამდვილად არ ვარ დაინტერესებული, – მტკიცედ იუარა ჰარიმ, – უკაცრავად. ეს-ესაა, მეგობარი დავინახე.

ლუნა ისევ გაიყოლა ბრბოში. წუთის წინ მართლა დაინახა, რომ ორ ჯადოქარს შორის, რომლებიც „ალქაჯი დების“ წევრებს ჰგავნენ, გრძელი ყავისფერი თმა გაუჩინარდა.

– ჰერმიონ! ჰერმიონ!

– ჰარი! მადლობა ღმერთს! აი, თურმე სად ყოფილხარ! გამარჯობა, ლუნა.

– რა დაგემართა? – ჰკითხა ჰარიმ, რადგან ჰერმიონი ისე გაჩეჩილიყო, თითქოს „ეშმაკის ხაფანგის“ ხლართებისათვის დაელწიოს თავი.

– ო, თავს ვუშველე... ახლახან დავუსხლტი კორმაკს, – თქვა მან, – ფითრის ქვეშ, – დააზუსტა, რადგან ჰარი კითხვით აღსავსე მზერას არ აშორებდა.

– ღირსი ხარ, რას ეპატიჟებოდი, – არ დაზოგა ჰარიმ.

– ვიცოდი, რომ მისი კანდიდატურა რონს ყველაზე მეტად გააღიზ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იანებდა, – მშვიდად აღნიშნა ჰერმიონმა, – ჯერ ზაქარია სმიტის დაპატიჟებას ვაპირებდი, მაგრამ, საბოლოო ჯამში...

– სმიტის დაპატიჟებას აპირებდი? – აღშფოთდა ჰარი.

– კი, და იცი, ვნანობ, რომ ის არ ვარჩიე. მაკლეგენთან შედარებით, გრაუპი ნამდვილი ჯენტლმენია. მოდი, აქეთ წავიდეთ, თუ გამოჩნდა, დავინახავთ, ისეთი მაღალია...

სამივემ ოთახის მეორე მხარეს გადაინაცვლა, გზად თაფლუჭით სავსე ფიალებს წამოავლეს ხელი და გვიანღა დაინახეს, რომ იმ კუთხეში მარტოდმარტო იდგა პროფესორი ტრელოუნი.

– გამარჯობა! – ზრდილობიანად მიესალმა ლუნა პროფესორს.

– საღამო მშვიდობისა, ძვირფასო, – ყურადღებით დააშტერდა ლუნას პროფესორი ტრელოუნი. ჰარის ისევ ეცა ხერესის სუნი, – ამ ბოლო დროს ჩემს გაკვეთილზე აღარ მინახავხარ.

– დიახ, წელს ფლორენცია მასწავლის, – ამცნო ლუნამ.

– ო, რა თქმა უნდა, – შემთვრალმა ტრელოუნიმ ბოღმით ჩაიხ-ითხითა, – ანუ სასაპალნე ცხენი, როგორც მე ვუწოდებ. ალბათ, თქვენც გაოცებულები ხართ, რომ ახლა, როცა სკოლას დავუბრუნდი, პროფესორ დამბლდორს ის ცხენი აქაურობისათვის არ მოუცილე-ბია, არა? ეს კი არა, საათები გაგვინაწილეს... ეს შეურაცხყოფაა, ნამდვილი შეურაცხყოფა. იცით, რომ...

პროფესორი ტრელოუნი მეტისმეტად შეზარხოშებული იყო და ჰარი ვერ იცნო. სანამ ის აღშფოთებული ლანძღავდა ფლორენციას, ჰარიმ შეუმჩნევლად მიიწია ჰერმიონისაკენ და წასჩურჩულა:

– ერთ რამეში გამარკვიე. ხომ არ აპირებ, რონს უთხრა, რომ მეკ-არის შერჩევისას წაეხმარე?

ჰერმიონმა წარბები ასწია.

– ნუთუ გგონია, რომ აქამდე დავეცემი?

ჰარიმ გამჭრიახი მზერა შეავლო.

– ჰერმიონ, შენ თუ მაკლეგენის დაპატიჟება იკადრე...

– ეს სულ სხვაა, – ღირსეულად მიუგო ჰერმიონმა, – არაფრის დიდებით არ ვაპირებ რონს ვუთხრა, რა მოხდებოდა ან არ მოხდე-ბოდა მეკარის შესარჩევ ვარჯიშზე.

– კარგია, – გულწრფელად გაუხარდა ჰარის, – თორემ ის ისევ მოიშლება და მომდევნო მატჩს წავაგებთ...

– ქვიდიჩი! – გაბრაზდა ჰერმიონი, – აი, რა გადარდებთ ბიჭებს! კორმაკს ჩემი უკეთ გაცნობა არც უცდია! პირიქით „კორმაკ მაკლე-გენის მიერ ბრწყინვალედ მოგერიებული ასი დარტყმის შესახებ“ გრძელი მონოლოგის მოსმენა მომიხდა! ენა არ გაუჩერებია... ო, არა, აქეთ მოდის!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰერმიონი ისე აორთქლდა, თითქოს აპარაცია გამოეყენებინოს, წამის უსწრაფესად გაძვრა ორ აროხროხებულ ალქაჯს შორის და გაუჩინარდა.

– ჰერმიონი ხომ არ გინახავს? – ჰკითხა ჰარის მაკლეგენმა, რომელმაც წუთის შემდეგ ბრბოდან გამოაღწია.

– სამწუხაროდ, არა, – ჰარი სწრაფად შეტრიალდა ლუნასაკენ, სულ დაავიწყდა, ლუნა ვის ელაპარაკებოდა.

– ჰარი პოტერ! – წარმოთქვა პროფესორმა ტრელოუნიმ დაბალი, ენერგიული ხმით. მან ბიჭი ახლაღა შეამჩნია.

– ა, გამარჯობა! – უხალისოდ მიესალმა ჰარი.

– ჩემო ძვირფასო ბიჭუნა! – ხმამაღალი ჩურჩულით თქვა ქალმა, – ჭორები! ამბები! „რჩეულიო!" რასაკვირველია, მე უკვე დიდი ხანია, ვიცი... ნიშნები კარგს არაფერს მოასწავებდნენ, ჰარი... მაგრამ, რატომ არ გააგრძელე მისნობის საგანი? შენთვის ხომ ეს საგანი უაღრესად მნიშვნელოვანია.

– აჰ, სიბილ, ყოველ პედაგოგს რატომღაც ჰგონია, რომ მისი საგანი ყველაზე მნიშვნელოვანია, – გაისმა როხროხა ხმა და პროფესორ ტრელოუნის გვერდით სლაგჰორნი გამოჩნდა. სახე ასჭარხლებოდა, ხავერდის ქუდი ოდნავ გვერდზე მოქცეოდა, ცალ ხელში თაფლუჭის ჭიქა ეჭირა, მეორეში კი – დიდი ქიშმიშიანი ტკბილი ღვეზელი, – შხამწამლებში ასეთი იშვიათი ტალანტით დაჯილდოებული თითქმის არავინ შემხვედრია! – გამოაცხადა სლაგჰორნმა და ჩასისხლიანებული თვალები სიყვარულით მოავლო ჰარის, – დედამისივით ალღოიანია! გეუბნები, სიბილ, ასეთი ნიჭიერი სტუდენტი თითზე ჩამოსათვლელი მყოლია. აი, სევერუსიც კი...

და ჰარის გულის გასახეთქად, სლაგჰორნმა საიდანღაც სნეიპი გამოათრია.

– მანდ რას განაბულხარ, აქ მოდი და შემოგვიერთდი, სევერუს! – დააბოყინა გამხიარულებულმა სლაგჰორნმა, – ახლა ვლაპარაკობდი შხამ-წამლებში ჰარის განსაკუთრებულ მონაცემებზე! რასაკვირველია, ამაში გარკვეული წვლილი შენც მიგიძღვის, შენ ხომ ხუთი წელი ასწავლიდი მას!

სლაგჰორნის მკლავებში მომწყვდეული სნეიპი მოჭუტული შავი თვალებით ზემოდან დააცქერდა ჰარის.

– საოცარია, არასოდეს დამრჩენია შთაბეჭდილება, რომ პოტერისათვის, საერთოდ, რამის სწავლება შევძელი!

– ესე იგი, თანდაყოლილი ნიჭია! – დაიქუხა სლაგჰორნმა – უნდა გენახა, პირველივე გაკვეთილზე რა მომიმზადა – ცოცხალი სიკვდილის ელექსირი! ჯერ არ მომხდარა, რომ რომელიმე სტუდენტს პირვე-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლივე ცდაზე უკეთესი შედეგისთვის მიეღწიოს. არა მგონია, რომ შენც კი, სევერუს...

– ნუთუ? – ხმადაბლა იკითხა სნეიპმა და ჰარი თვალებით გაბურღა. ჰარი, ცოტა არ იყოს, შეშფოთდა. ისღა აკლდა, სნეიპს შხამ-წამლებში მისი ახლად შეძენილი ნიჭის მიზეზების გამორკვევა დაეწყო.

– აბა, შემახსენე, სხვა რა საგნებს სწავლობ, ჰარი, – მიმართა ბიჭს სლაგჰორნმა.

– ბნელი ძალებისგან თავდაცვას, შელოცვებს, ტრანსფიგურაციას, ჰერბოლოგიას...

– ერთი სიტყვით, ყველა იმ საგანს, რაც მომავალ აურორს მოეთხოვება, – ოდნავი ცინიზმით შეაწყვეტინა სნეიპმა.

– დიახ, აურორი მინდა, გავხდე, – გამომწვევად უთხრა ჰარიმ.

– და ეჭვი არ მეპარება, ბრწყინვალე აურორი გახდები! – დაიბუბუნა სლაგჰორნმა.

– არა, აურორი არ უნდა გახდე, ჰარი, – მოულოდნელად ჩაერია საუბარში ლუნა. ყველამ მას შეხედა, – აურორები „დამპალი ეშვის“ შეთქმულებაში მონაწილეობენ. მე მეგონა, ეს ყველამ იცოდა. ისინი საიდუმლოდ მუშაობენ, რომ შავი მაგიისა და ღრძილის ანთების საშუალებით მაგიის სამინისტრო დაამხონ.

ჰარის სიცილი აუტყდა და ლამის ნახევარი ჭიქა თაფლუჭი სასულეში გადასცდა. მხოლოდ ამისათვის ღირდა ლუნას წამოყვანა! აცრემლებულმა, მაგრამ ფართოდ გაღიმებულმა ხველებით ამოყო ცხვირი ფიალიდან და ისეთი რამე დაინახა, რამაც გუნება კიდევ უფრო გამოუკეთა: არგუს ფილჩს მალფოისათვის ყურში ჩაევლო ხელი და მათკენ მოათრევდა.

– პროფესორო სლაგჰორნ, – დაიხიხინა ფილჩმა, რომელსაც ყბა უკანკალებდა და გადმოკარკლულ თვალებში დამნაშავის აღმოჩენით გამოწვეული ჟინიანი სიხარული ჩასდგომოდა, – ეს ბიჭი ზედა სართულის დერეფანში მიიპარებოდა. ამტკიცებს, რომ თქვენს წვეულებაზეა დაპატიჟებული და ცოტათი დააგვიანდა. მართლა გაუგზავნეთ მოსაწვევი?

გაცოფებული მალფოი ფილჩს დაუსხლტა.

– კარგი, კარგი! მოწვეული არა ვარ! – იყვირა გაბრაზებულმა, – დაუპატიჟებლად შემოპარვას ვაპირებდი. კმაყოფილი ხარ?

– არა, არა ვარ! – განუცხადა ფილჩმა, რომლის ნეტარებით აღსავსე სახე საწინააღმდეგოს მეტყველებდა, – შენი საქმე ცუდადაა! ხომ გითხრათ დირექტორმა, ნებართვის გარეშე ღამის საათებში სკოლაში ხეტიალი არ შეიძლებაო... ხომ გითხრათ, ჰა?

– კარგი, არა უშავს, არგუს, – ხელი ჩაიქნია სლაგჰორნმა – დღეს


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შობაა და ბავშვს წვეულებაზე წასვლა მოუნდა, ისეთი არაფერი დაუშავებია. ამ ერთხელ ვაპატიოთ. შეგიძლია დარჩე, დრაკო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ფილჩი იმედგაცრუებული და შეურაცხყოფილი დარჩა. „მაგრამ რატომ ჩანს მალფოი ფილჩზე არანაკლებ უკმაყოფილო, – გაიფიქრა ჰარიმ, – და რატომ შესცქერის სნეიპი მალფოის გაჯავრებული და თითქოს... ცოტა შეშინებული?"

მაგრამ სანამ ჰარი ამ ყველაფერში გაერკვეოდა, ფილჩი მიტრიალდა და ბუზღუნით გაფრატუნდა. მალფოიმ სახეზე ღიმილი გადაიფინა და სლაგჰორნს დიდსულოვნებისათვის მადლობა გადაუხადა. სნეიპს კვლავ მშვიდი და არაფრისმთქმელი გამომეტყველება დაუბრუნდა.

– არაფერია, არაფერია, – მალფოის მადლობის პასუხად ხელი აიქნია სლაგჰორნმა, – ბოლოს და ბოლოს, პაპაშენს კარგად ვიცნობდი...

– ის თქვენ ყოველთვის კარგად გახსენებდათ, სერ, – არ დააყოვნა მალფოიმ, – ამბობდა, რომ თქვენისთანა შხამ-წამლების ოსტატი მეორე არ მოიძებნება...

ჰარი მალფოის დააკვირდა. მის მლიქვნელობას არ გაუკვირვებია, ხშირად უნახავს მისი ლაქუცი სნეიპის წინაშეც. საქმე ის იყო, რომ მალფოი მართლაც ავადმყოფურად გამოიყურებოდა. ამ ბოლო დროს იგი პირველად ნახა ახლოდან და შეამჩნია, რომ თვალის უპეები ჩასცვენოდა და სახეზე მიწისფერი გადაჰკრავდა.

– უნდა დაგელაპაკო, დრაკო, – მოულოდნელად თქვა სნეიპმა.

– კარგი, ერთი, სევერუს, – ისევ დაასლოკინა სლაგჰორნმა, – დღეს შობაა და მკაცრად ნუ დასჯი...

– მე კლუბის ხელმძღვანელი ვარ და თავად გადავწყვეტ, მკაცრად დავსჯი თუ არა, – მოუჭრა სნეიპმა, – გამომყევი, დრაკო.

სნეიპი წავიდა და გამწყრალი მალფოი გაიყოლა. ჰარი წამით ყოყმანობდა, შემდეგ ლუნას მიუბრუნდა და ხმადაბლა უთხრა:

– ახლავე დავბრუნდები, ლუნა... ისა... ტუალეტში უნდა გავიდე.

– კარგი, – მხიარულად მიუგო ლუნამ და ბრბოში შერეულ ჰარის თითქოს მოესმა, რომ ლუნამ განაახლა „დამპალი ეშვის" შეთქმულების თემაზე ლაპარაკი დაინტერესებულ პროფესორ ტრელოუნთან.

წვეულებიდან გავიდა თუ არა, ჯიბიდან უჩინმაჩინის მოსასხამი ამოიღო და სასწრაფოდ შიგ გაეხვია. ეს არც გასჭირვებია, რადგან დერეფანი ცარიელი იყო. უფრო რთული გამოდგა მალფოისა და სნეიპის პოვნა. ჰარიმ დერეფანი გაირბინა. მის ფეხის ხმას უკან ჩამოტოვებული სლაგჰორნის კაბინეტიდან გამოსული მუსიკა და ხმამაღალი ყაყანი ახშობდა. იქნებ სნეიპმა მალფოი სარდაფში, თავის კაბინეტში ჩაიყვანა?.. ან იქნებ, სლიზერინის საერთო ოთახისაკენ მიუძღოდა? ჰარი გზადაგზა დერეფანში ყველა კარს აყურადებდა,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სანამ ბოლო კართან ხმები არ გაიგონა. გულისფანცქალით დაიხარა და გასაღების ჭუჭრუტანას ყური მიადო.

– შეცდომები არ უნდა დაუშვა, დრაკო, რადგან თუ გაგრიცხეს...

– გაიგეთ, რომ არაფერ შუაში ვარ.

– იმედი მაქვს, სიმართლეს ამბობ, რადგან შენი საქციელი მოუქნელი და უგუნური იყო. უკვე ეჭვი აქვთ, რომ ამ საქმეში ხელი გირევია.

– ვისა აქვს ეჭვი? – გაჯავრებით ჰკითხა მალფოიმ, – უკანასკნელად გიმეორებთ, მე ეს არ გამიკეთებია, გასაგებია? იმ გოგოს – ბელს – ალბათ, ყველასათვის უცნობი მტერი ჰყავს... ასე ნუ მიყურებთ! ვიცი, რასაც აკეთებთ. შტერი კი არა ვარ! მაგრამ არაფერი გამოგივათ... მე შემიძლია, შეგაჩეროთ!

სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ სნეიპმა ჩუმად თქვა:

– აჰა, როგორც ვხვდები, დეიდა ბელატრისა ოკლუმენციას გასწავლის. რა ფიქრების დამალვას ლამობ შენი ბატონისაგან, დრაკო?

– მას არაფერს ვუმალავ, უბრალოდ, არ მინდა, რომ თქვენ ჩემს საქმეში ცხვირი ჩაყოთ!

ჰარიმ უფრო მიაბჯინა ყური გასაღების ჭუჭრუტანას. როგორ მოხდა, რომ მალფოი სნეიპს ასე ლაპარაკს უბედავს; სნეიპს, რომლის მიმართაც მუდამ პატივისცემასა და კეთილგანწყობასაც კი გამოხატავდა.

– აი, თურმე რატომ გამირბოდი მთელი სემესტრის განმავლობაში. გეშინოდა, რომ ხელს შეგიშლიდი? იმას თუ ხვდები, დრაკო, სხვა რომ ჩემს კაბინეტში დამებარებინა და შენსავით არ გამოცხადებულიყო...

– მაშინ დამატებითი სამუშაო მომისაჯეთ! დამბლდორთან დამაბეზღეთ! – გესლიანად ჩაიცინა მალფოიმ.

კვლავ სიჩუმე. ბოლოს სნეიპმა ხმა ამოიღო:

– მშვენივრად იცი, რომ არც ერთისა და არც მეორის გაკეთება არ მინდა.

– მაშინ ნუღარ მიძახებთ თქვენს კაბინეტში!

– ყური მიგდე, – სნეიპმა ხმა ისე დაიდაბლა, რომ ჰარიმ მთელი ძალით მიაჭყლიტა ყური ჭუჭრუტანას, – მე ვცდილობ, დაგეხმარო. დედაშენს შევფიცე, რომ დაგიცავდი. მე უტეხი ფიცი დავდე, დრაკო...

– როგორც ჩანს, მისი გატეხა მოგიწევთ, იმიტომ, რომ თქვენი დაცვა არ მჭირდება! ეს ჩემი საქმეა. მან მე დამავალა და ვასრულებ. ერთი გეგმა შევიმუშავე და ის აუცილებლად გამომივა, უბრალოდ, იმაზე მეტი დრო მიაქვს, ვიდრე მეგონა!

– რა გეგმა გაქვს?

– თქვენი საქმე არ არის!

– თუ მეტყვი, რის გაკეთებას ცდილობ, იქნებ დაგეხმარო...



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გმადლობთ, მაგრამ მე უკვე მეხმარებიან, მარტო არა ვარ.

– ამ საღამოს ხომ მარტო იყავი! ნამდვილი უგუნურება იყო, დერეფნებში ხეტიალი მზვერავის ან დაცვის გარეშე. ეს ელემენტარული შეცდომებია...

– კრაბსა და გოილს თან წავიყვანდი, თქვენ რომ გაკვეთილების შემდეგ არ დაგეტოვებინათ!

– ხმას დაუწიე! – დაულრინა სნეიპმა, რადგან მალფოი აღელვებისაგან უკვე ყვიროდა, – შენს მეგობრებს, კრაბსა და გოილს ბნელი ძალებისგან თავდაცვაში **ბუა**-ს გადაბარება თუ უნდათ, იმაზე მეტად უნდა გაისარჯნენ, ვიდრე ახლა...

– რა მნიშვნელობა აქვს ამას? – ჰკითხა მალფოიმ, – ბნელი ძალებისგან თავდაცვა... ეს ხომ რაღაც სულელური საგანია, როლის თამაშია, არა? გეგონება, რომელიმე ჩვენგანს ბნელი ძალებისგან თავდაცვა სჭირდებოდეს...

– ამ როლს წარმატების მისაღწევად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სად ვიქნებოდი ეს წლები, რომ არ მცოდნოდა, ჩემი როლი როგორ მეთამაშა? ახლა მომისმინე! დიდ დაუფიქრებლობას იჩენ, ღამე მარტო რომ დაწანწალებ და თავს აჭერინებ. და თუ კრაბისა და გოილისნაირ თანაშემწეებზე ამყარებ იმედს...

– არა მარტო მათზე. სხვა ხალხიც მყავს გადმობირებული, უკეთესი ხალხი!

– მაშინ, რატომ არ მენდობი, მე შემიძლია...

– ვიცი, გულში რაც გიდევთ! ჩემი დიდების მოპარვა გინდათ!

ისევ დუმილი, რომელიც სნეიპმა ცივად დაარღვია:

– ბავშვივით ლაპარაკობ. მესმის, რომ მამაშენის დაჭერამ და დაპატიმრებამ შენზე იმოქმედა, მაგრამ...

მოულოდნელად ჰარიმ კარს მიღმა მალფოის ნაბიჯების ხმა გაიგონა და ძლივს მოასწრო გზიდან ჩამოშორებოდა. კარი ბრახანით გაიღო. მალფოი გარეთ გამოვიდა, დერეფანი მტკიცე ნაბიჯით გაიარა, სლაგჰორნის კაბინეტის ღია კარს გასცდა, კუთხეში შეუხვია და გაუჩინარდა.

ჰარიმ სუნთქვა შეიკრა და კარის გვერდით ჩაცუცქდა. საკლასო ოთახიდან გაურკვეველი გამომეტყველებით აუჩქარებლად გამოვიდა სნეიპი და სლაგჰორნის წვეულებაზე დაბრუნდა. უჩინმაჩინის მოსასხამქვეშ დამალული ჰარი იატაკზე იჯდა და გაგონილზე გამალებით ფიქრობდა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი მეთექვსმეტე

# სუსხიანი შობა

– მაშ, სნეიპი დახმარებას სთავაზობდა? ნამდვილად სთავაზობდა დახმარებას?

– ერთხელაც თუ მკითხავ, ამ კომბოსტოს ავიღებ და პირს ამოგიქოლავ... – დაემუქრა ჰარი.

– მე მხოლოდ ვაზუსტებ! – თავი იმართლა რონმა. „ბუნაგის“ სამზარეულოში ონკანთან იდგნენ და ქალბატონი უისლისათვის ბრიუსელის კომბოსტოებს ასუფთავებდნენ. ფანჯრის მიღმა ხვავრიელად ბარდნიდა.

– კი, სნეიპი მალფოის დახმარებას სთავაზობდა! – გაიმეორა ჰარიმ, – უთხრა, დედაშენს შევპირდი, რომ დაგიცავო. ურღვევი ფიცი თუ რაღაც ამისთანა ახსენა.

– უტეხი ფიცი? – გახევდა რონი, – კარგი ერთი, შეუძლებელია... მართლა ასე თქვა?

– კი, ნამდვილად ასე თქვა, – დაუდასტურა ჰარიმ, – რატომ მეკითხები? მაინც, რას ნიშნავს ეს?

– უტეხ ფიცს ვერ გატეხ...

– რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამას ჩემითაც მივხვდი. და რა მოხდება, თუ გატეხ?

– მოკვდები, – უბრალოდ თქვა რონმა, – ერთხელ, ხუთი წლისა რომ ვიყავი, ფრედმა და ჯორჯმა კინაღამ დამაფიცეს. ბეწვზე გადავრჩი. ფრედს ხელი ჩავკიდე და ის იყო უნდა დაგვეფიცა, როცა მამამ შემოგვისწრო. მამამ კინაღამ გააფრინა – რონს ამის გახსენებაზე თვალებში ნაპერწკალმა გაურბინა – დედასავით განრისხებული მამა მხოლოდ მაშინ ვნახე. ფრედი ამტკიცებს, მარცხენა დუნდულაზე დღესაც მატყვია ცემის კვალიო.

– კარგი, მოვეშვათ ფრედის მარცხენა დუნდულას...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რაო, რაოო? – გაისმა ფრედის ხმა და სამზარეულოში ტყუპები შემოვიდნენ.

– ჰა�ა, ჯორჯ, ერთი ამათ უყურე! საწყლები, დანებით ცოდვილობენ.

– ორთვე-ნახევარში ჩვიდმეტისა გავხდები და მერე ამას ჯადოქრობით გავაკეთებ, – ჩაიბუზღუნა რონმა.

– მანამდე კი, – ჯორჯი სამზარეულოს მაგიდას მიუჯდა და ზედ ფეხები შემოაწყო, – შეგვიძლია დავტკბეთ იმით, თუ როგორ ოსტატურად ატრიალებ... უჰ, უჰ!

– სულ შენი ბრალია! – გაბრაზდა რონი და გაჭრილი ცერი პირში იტაკა, – აი, მოიცათ, გავხდები ჩვიდმეტი წლისა, და...

– ეჭვი არ მეპარება, რომ ყველას გაგვაოგნებ დღემდე მიძინებული ჯადოქრული ნიჭის უცაბედი გამოვლინებით, – დაამთქნარა ფრედმა.

– ჰო, მართლა, მიძინებულ ნიჭზე გამახსენდა, რონალდ, – ჩაერთო ჯორჯი, – ეს რა შევიტყვეთ ჯინისაგან შენზე და ერთ ახალგაზრდა ქალბატონზე, სახელად – თუ სწორად ვართ ინფორმირებული, – ლევენდერ ბრაუნზე?

რონს ვარდისფერმა გადაჰკრა და ბრიუსელის კომბოსტოს მიუბრუნდა.

– თქვენი საქმე არაა.

– რა ენამოსწრებული პასუხია! პირდაპირ ვერ გამიგია, ასე სწრაფად როგორ მოიფიქრე! არა, ჩვენ ის გვაინტერესებს... ეს როგორ მოხდა?

– რას გულისხმობ?

– თავი ხომ არ მიარტყა რამეს?

– რა?

– აბა, ტვინის ასეთი მძიმე დაზიანება როგორ მიიღო? ე-ე, ფრთხილად!

ქალბატონი უისლი სწორედ იმ დროს შემოვიდა სამზარეულოში, როცა რონმა კომბოსტოს საფცქვნელი დანა ესროლა ფრედს, მან კი ჯადოსნური ჯოხის ზანტად აქნევით ჰაერშივე აქცია იგი ქაღალდის თვითმფრინავად.

– რონ! – აპილპილდა ქალბატონი უისლი, – მეორედ არ დავინახო, რომ დანებს ისროდე!

– კარგი, – მიუგო რონმა, – არ დაგანახვებ, – დასძინა ჩურჩულით და კომბოსტოს გროვას მიუბრუნდა.

– ფრედ, ჯორჯ, საყვარლებო, ბოდიში, რომ გაწუხებთ, მაგრამ ამაღამ რემუსი ჩამოდის, ამიტომ როგორმე ბილი უნდა შეიკედლოთ.

– რა პრობლემაა, – თქვა ჯორჯმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩარლი შინ არ მოდის, ესე იგი, ჰარი და რონი ისევ სხვენში დაიძინებენ და ფლერს თუ ჯინის ოთახში შევასახლებთ...

– ჯინის მაგარი შობა ელის, – წაიბუტბუტა ფრედმა.

– ყველა კომფორტულად უნდა მოეწყოს. ყოველ შემთხვევაში, ყველას თავ-თავისი საწოლი მაინც ექნება, – აფორიაქებულმა დაასრულა ქალბატონმა უისლიმ.

– ესე იგი, პერსი შინ არ მოეთრევა? – იკითხა ფრედმა. ქალბატონმა უისლიმ პირი მოარიდა და ისე უპასუხა:

– არა, ალბათ, სამინისტროში ძალიან ბევრი საქმე აქვს.

– ან მსოფლიოში უდიდესი კრეტინია, – დაასკვნა ფრედმა, როცა ქალბატონი უისლი სამზარეულოდან გავიდა, – ორიდან ერთი! კარგი, წავიდეთ, ჯორჯ.

– საით გაგიწევიათ? – ჰკითხა რონმა ძმებს, – არ შეგიძლიათ, კომბოსტოს ფცქვნაში დაგვეხმაროთ? რა უნდა, ჯადოსნური ჯოხის ერთი მოქნევა და, ჩვენც გავთავისუფლდებოდით!

– არა მგონია, რომ ეს შევძლოთ, – სერიოზულად უპასუხა ჯორჯმა, – ეს პიროვნების ჩამოყალიბებისათვის სასარგებლო საქმეა. ჯადოქრობის გარეშე კომბოსტოს გაფცქვნა გაიძულებს დააფასო, რამდენად რთულია ეს შრომა მაგლებისა და სქვიბებისათვის...

– და თუ გინდა, ვინმე დაგეხმაროს, რონ, – ფრედმა რონისაკენ ქაღალდის თვითმფრინავი გაუშვა, – ერთ პატარა რჩევას მოგცემ: შენ ადგილას, მათ დანებს არ დავუშენდი. ჩვენ სოფელში მივდივართ. იქ, გაზეთების ჯიხურში, ერთი კოხტა გოგონა მუშაობს და მიაჩნია, რომ ჩემი ფოკუსები კარტით პირდაპირ საოცრებაა... შეიძლება ითქვას, ნამდვილი ჯადოქრობა...

– ბრიყვები, – მოიღუშა რონი და დათოვლილ ეზოში გასულ ტყუპებს თვალი გააყოლა, – სულ ათი წამი დასჭირდებოდათ, და ჩვენც სადმე წავიდოდით.

– მე ვერ წამოვიდოდი, დამბლდორს შევპირდი, რომ სანამ აქა ვარ, ფეხს არსად გავადგამ, – შენიშნა ჰარიმ.

– ა, ჰო, – რონმა კიდევ რამდენიმე კომბოსტო გაფცქვნა და სიჩუმე დაარღვია:

– რას აპირებ, მოუყვები დამბლდორს, რა საუბარი მოისმინე სნეიპსა და მალფოის შორის?

– აბა, რა! მზად ვარ, ყველას მოვუყვე, ვისაც შეუძლია, ამას ბოლო მოუღოს. შეიძლება მამაშენსაც დაველაპარაკო.

– რა ცუდია, რომ ვერ გაიგე, მაინც რას აპირებს მალფოი.

– აბა, როგორ უნდა გამეგო? საქმეც ეგაა, რომ უარზე იდგა, სნეიპისათვის რამე გაენდო.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთი-ორი წუთით ჩამოვარდნილი სიჩუმე ბოლოს ისევ რონმა დაარღვია:

– იცი, რას იტყვის ყველა – მამა, დამბლდორი და დანარჩენები? იტყვიან, რომ, სინამდვილეში, სნეიპი მალფოის დახმარებას კი არ სთავაზობდა, უბრალოდ, ცდილობდა, გაერკვია, რა განზრახვა ჰქონდა ბიჭს.

– მათ ხომ საკუთარი ყურით არ გაუგიათ, – გადაჭრით განუცხადა ჰარიმ, – ასეთი კარგი მსახიობი არავინაა, თვით სნეიპიც კი.

– არა... მე ისე ვთქვი... – წაილუღლუღა რონმა. შუბლშეკრული ჰარი მეგობარს მიუტრიალდა.

– შენ ხომ მეთანხმები?

– კი, აბა, რა! – სწრაფად უპასუხა რონმა, – არ გატყუებ! მაგრამ ისინი ხომ დარწმუნებულები არიან, რომ სნეიპი ორდენის წევრია?

ჰარი გაჩუმდა. მან ამაზეც იფიქრა; დარწმუნებული იყო, რომ მისი ახალი სამხილის წინააღმდეგ ეს ყველაზე მოსალოდნელი საწინააღმდეგო არგუმენტი იქნებოდა, თითქოს ჰერმიონის ხმაც კი ჩაესმა ყურში:

„ჰარი, ცხადია, თავს აჩვენებდა, თითქოს დახმარებას სთავაზობდა, სინამდვილეში კი ცდილობდა, მალფოისათვის გეგმები დაეცინცლა...“

თუმცა ჰარის არ მისცემია შესაძლებლობა, ჰერმიონისათვის ეს ახალი ამბავი ეცნობებინა. გოგონა სლაგჰორნის წვეულებიდან ჰარის დაბრუნებამდე გაუჩინარდა, ყოველ შემთხვევაში, ასე უთხრა ჰარის გულმოსულმა მაკლეგენმა. გრიფინდორის საერთო ოთახში დაბრუნებულს კი ჰერმიონი დასაძინებლად წასული დახვდა. მეორე დილით რონთან ერთად უთენია გაემგზავრა ბუნაგში, ამიტომ ძლივს მოასწრო, ჰერმიონისათვის შობა მიელოცა და გაეფრთხილებინა, რომ არდადეგების შემდეგ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი უნდა მოეყოლა. ჰარი მთლად დარწმუნებული არ იყო, რომ ჰერმიონმა მისი სიტყვებიდან რამე აზრი გამოიტანა, რადგან სწორედ ამ დროს მის ზურგს უკან რონი და ლევენდერი ვნებიანი კოცნით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს.

და მაინც, ჰერმიონიც კი ვერაფრით უარყოფდა იმას, რომ მალფოის რაღაც ავი განზრახვა ედო გულში და ეს სნეიპმა მშვენივრად იცოდა.

ბატონ უისლის სამინისტროში გვიანობამდე უწევდა მუშაობა, ამიტომ ჰარიმ მასთან დალაპარაკება შობის ღამემდე ვერ მოახერხა. უისლები და მათი სტუმრები მისაღებში ისხდნენ, რომელიც ჯინის უხვად მოერთო. ფრედის, ჯორჯის, ჰარისა და რონის გარდა, არა-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვინ იცოდა, რომ ნაძვის ხის კენწეროზე მიმაგრებული ანგელოზი, სინამდვილეში, ბაღის გნომი იყო, რომელმაც ფრედს სტაფილოს ამოძირკვისას კოჭზე უკბინა. გაშეშებული, ოქროსფრად შეღებილი, მინიატურულ ბალერინის კაბაში ჩაკვეხებული და ზურგზე ფრთებმიწებებული გნომი ოთახში მყოფთ ზემოდან დასცქეროდა და თვალებს უბრიალებდა. ჰარის ასეთი მახინჯი ანგელოზი ჯერ არ ენახა – კარტოფილის ფორმის მელოტი, დიდი თავითა და ერთიანად ბანჯგვლიანი ფეხებით.

ყველანი ქალბატონი უისლის საყვარელი მომღერლის, სელესტინა უორბეკის, საშობაო რადიოგადაცემას უსმენდნენ. მისი ხმა მოზრდილი ხის რადიომიმღებიდან იღვრებოდა. ფლერს, როგორ ჩანდა, სელესტინას გაუთავებელი სიმღერები მობეზრდა და ოთახის ერთ კუთხეში ისეთი ხმამაღალი საუბარი გააბა, რომ წარბშეკრული ქალბატონი უისლი წამდაუწუმ უმიზნებდა ჯადოსნურ ჯოხს რადიოს ხმის მარეგულირებელს, შესაბამისად, სელესტინას ხმაც სულ უფრო და უფრო ხმამაღლა ისმოდა. ერთ-ერთი ჰიტის – „მწველი, ძლიერი სიყვარულით სავსე კარდალას“ – აკომპანემენტზე ფრედმა და ჯორჯმა ჯინისთან ფეთქებადი კარტით თამაში გააჩაღეს. რონი ბილსა და ფლერს მალულად ზვერავდა, თითქოს იმედოვნებდა, რომ მათი საუბრიდან რამეს გაიგონებდა. რემუს ლუპინი კი, რომელიც კიდევ უფრო გამხდარიყო და ჩამოძონძილიყო, ბუხართან იჯდა და ცეცხლს ისე დაფიქრებით მიშტერებოდა, გეგონებოდა, სელესტინას ხმა საერთოდ არ ესმისო.

*„ო, მოდი და მიუტიე ჩემს ყარდალას*
*და თუ შეძლებ, სწორად თავს გაართმევ ამას,*
*მოგიდუღებ სიყვარულის ძლიერ სასმელს*
*და ამალამ ის გაგათბობს, თუკი გასმევ.“*

– თვრამეტი წლისანი რომ ვიყავით, ამ მელოდიაზე ვცეკვავდით, – საქსოვით ცრემლი მოიწმინდა ქალბატონმა უისლიმ, – გახსოვს, არტურ?

– ჰა? – გადაღლილი ბატონი უისლი თავის კანტურით ფცქვნიდა მანდარინს, – ა, კი... მშვენიერი მელოდიაა... ბატონი უისლი დიდი ძალისხმევით გაიმართა წელში და მის გვერდით მჯდომ ჰარის მოხედა.

– ბოდიშს გიხდი ამის გამო. მალე დამთავრდება, – თავით ანიშნა რადიოსაკენ, ამ დროს სელესტინა მისამღერზე გადავიდა.

– არა უშავს, – ჩაიღიმა ჰარიმ, – სამინისტროში ძალიან დატვირთული იყავით?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კი, ძალიან, – მიუგო ბატონმა უისლიმ, – ნეტავ, რამე შედეგი მაინც გამოიღოს ამდენმა მუშაობამ. ბოლო ორ თვეში სამი კაცი დავაპატიმრეთ, მაგრამ ვეჭვობ, რომ არც ერთი მათგანი ნამდვილი „სიკვდილის მხვრელი“ არ არის, – მოულოდნელად ბატონი უისლი თითქოს გამოფხიზლდა და სწრაფად დასძინა: – ოღონდ, ეს არსად წამოგცდეს, ჰარი.

– სტენ შანპაიკი ჯერ არ გაუთავისუფლებიათ? – ჰკითხა ჰარიმ.

– სამწუხაროდ, არა. ვიცი, რომ დამბლდორმა სცადა, სტენის თაობაზე უშუალოდ სკრიმჯერს მოლაპარაკებოდა... ყველამ, ვინც სტენი დაკითხა, ადასტურებს, რომ ის ისევეა „სიკვდილის მხვრელი“, როგორც ეს მანდარინი... მაგრამ ზედა ეშელონებს სურთ, ისეთი შთაბეჭდილება შექმნან, თითქოს საქმემ წინ წაიწია. ხოლო „სამი კაცი დააპატიმრეს“ უკეთ ჟღერს, ვიდრე „სამი კაცი შეცდომით დააპატიმრეს და შემდეგ გაათავისუფლეს“... მაგრამ ისევ ვიმეორებ, ეს ზესაიდუმლო ინფორმაციაა...

– არავის ვეტყვი, – დაჰპირდა ჰარი. წუთით შეყოყმანდა, დაფიქრდა, როგორ გადასულიყო მთავარ სათქმელზე. სანამ აზრს ჩამოაყალიბებდა, სელესტინა ვორბეკმა წამოიწყო ახალი ბალადა, სახელწოდებით: „შენ ჩემი გული მოაჯადოვე და მკერდიდან ამომგლიჯე“.

– ბატონო უისლი, ხომ გახსოვთ, რა გითხარით სადგურზე, სკოლაში გამგზავრების წინ?

– შევამოწმე, ჰარი, – მაშინვე მიუგო ბატონმა უისლიმ, – წავედი და მალფოების სახლი გავჩხრიკე, მაგრამ იქ საეჭვო არაფერი დამხვდა, არც მთელი და არც გატეხილი.

– დიახ, ვიცი. „დილის მისანში“ წავიკითხე, რომ ჩხრეკა ჩაატარეთ. მაგრამ ეს სულ სხვა რამეა... კიდევ რაღაც მაქვს სათქმელი...

და ბატონ უისლის ყველაფერი უამბო, რაც სლაგჰორნის წვეულების საღამოს გაიგონა. ამ დროს ლუპინმა თავი ოდნავ მოაბრუნა მათკენ და მის ყოველ სიტყვას ყურს უგდებდა. ჰარიმ მოყოლა რომ დაასრულა, სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ სელესტინა ღიღინებდა:

*„სად წავიდა ჩემი საცოლავი გული,*
*მიმყოვა, ველარ ვნახე დაკარგული...“*

– ჰარი, ხომ არ მოგსვლია აზრად, – დაიწყო ბატონმა უისლიმ, – რომ, სნეიპი, უბრალოდ თავს იკატუნებდა, თითქოს...

– თითქოს დახმარებას ჰპირდებოდა, რომ გაერკვია, მალფოის რა გეგმები ჰქონდა? – დაასწრო ჰარიმ, – დიახ, ვიცოდი, რომ ამას მეტყოდით. მაგრამ საიდან ვიცით, რომ ეს ასეა?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ამისი ცოდნა ჩვენი საქმე არაა, – მოულოდნელად ჩაერია ლუპინი. მას ცეცხლისათვის ზურგი შეექცია და ბატონი უისლის ზურგს უკნიდან ჰარის გამოჰყურებდა, – ეს დამბლდორის საქმეა. დამბლდორი კი სევერუსს ენდობა და ჩვენთვის ეს საკმარისი უნდა იყოს.

– მაგრამ, ვთქვათ... ვთქვათ, დამბლდორი ცდება, – შეედავა ჰარი.

– ეს არაერთხელ, ბევრჯერ უთქვამთ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ენდობი დამბლდორის გადაწყვეტილებას. მე ვენდობი, შესაბამისად, სნეიპსაც ვენდობი.

– მაგრამ დამბლდორსაც მოსდის შეცდომები, – შეეკამათა ჰარი, – ეს თვითონაც აღნიშნა, და თქვენ...

ჰარიმ ლუპინს თვალი თვალში გაუყარა.

– გულახდილად მითხარით, სნეიპი მოგწონთ?

– არც მომწონს და არც მეჯავრება, – მიუგო ლუპინმა, – არა, ჰარი, სიმართლეს გეუბნები, – დასძინა მან, რადგან შეატყო, რომ ჰარიმ არ დაუჯერა, – გულითადი მეგობრები, შეიძლება არასდროს გავხდეთ მას შემდეგ, რაც ჯეიმსს, სირიუსსა და სნეიპს შორის მოხდა. მაგრამ არ დამვიწყებია, რომ ჰოგვორტსში ჩემი ერთწლიანი მუშაობის დროს სევერუსი ყოველ თვეს აკონიტის სასმელს მიმზადებდა, თანაც კარგად, წესების სრული დაცვით, ამიტომ სავსემთვარობისას უწინდელივით აღარ ვიტანჯებოდი.

– მაგრამ მას „შემთხვევით“ წამოსცდა, რომ მაქცია იყავით, და იძულებული გახდით, სკოლიდან წასულიყავით! – შეახსენა გაბრაზებულმა ჰარიმ.

ლუპინმა მხრები აიჩეჩა.

– ეს ამბავი მაინც გაჟონავდა. ორივემ ვიცოდით, რომ მას ჩემი ადგილის დაკავება სურდა. მაგრამ შეეძლო, უფრო მეტი ვნება მოეყენებინა ჩემთვის, სასმელში რამეს თუ გაურევდა. მისი წყალობით, ჯანმრთელი ვიყავი. ამისათვის მადლიერი უნდა ვიყო.

– იქნებ დამბლდორის შიშით ვერ გაბედა სასმელის არევ-დარევა! – გამოთქვა ვარაუდი ჰარიმ.

– შენ მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი, რომ გძულდეს სნეიპი, – ოდნავი ღიმილით დაასკვნა ლუპინმა, – და ეს არც მიკვირს: მამაშენის შვილსა და სირიუსის ნათლულს ეს სიძულვილი მემკვიდრეობით გერგო. აუცილებლად გადაეცი დამბლდორს, რაც ახლა მე და არტურს გვითხარი. მაგრამ იმის იმედი ნუ გექნება, რომ ამ საკითხზე შენს შეხედულებას გაიზიარებს. ნურც იმას მოელი, რომ შენი მონათხრობით გააოცებ. შეიძლება, სულაც დამბლდორის დავალებით დაჰკითხა სნეიპმა დრაკო.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

*„შენ ის ორად გამიპე და არც უყურებ,*
*მადლობელი დავრჩები, თუ დამიბრუნებ."*

სელესტინამ სიმღერა ძალიან გრძელ, მაღალ ნოტზე დაასრულა და რადიოდან ყურთასმენის წამლები აპლოდისმენტები მოისმა, რასაც დიდი ენთუზიაზმით შეუერთდა ქალბატონი უისლი.

– მოღჩა? – ხმამაღლა იკითხა ფლერმა, – მადლობა ღმელტს, ღა საშინელი...

– დაძინებამდე რამე ხომ არ დაგველია? – წამოხტა ბატონი უისლი, – ვის უნდა კვერცხის კოქტეილი?

– ბოლო დროს რას საქმიანობდით? – ჰკითხა ჰარიმ ლუპინს, როცა ბატონი უისლი კვერცხის კოქტეილის მოსატანად გავარდა, დანარჩენებმა კი ამოისუნთქეს და საუბარი წამოიწყეს.

– იატაკქვეშ ვიყავი, – მიუგო ლუპინმა, – თითქმის პირდაპირი მნიშვნელობით. ამიტომაა, რომ ვერ შევძელი, შენთვის მომეწერა, ჰარი. წერილების გამოგზავნით მაშინვე თავს გავცემდი.

– რას გულისხმობთ?

– ჩემს თანამოძმეებთან, ჩემისთანებთან ვცხოვრობ, – აუხსნა ლუპინმა, – მაქციებთან, – დასძინა ჰარის გაოცებული მზერის პასუხად, – თითქმის ყველა ვოლდემორის მხარესაა. დამბლდორს იქ ჯაშუში უნდოდა და, აი, მეც... ზედგამოჭრილი ჯაშუში ვარ.

ლუპინს ხმაში სიმწარე გაერია. ეტყობა, ეს თავადაც იგრძნო, რადგან უფრო თბილად გაიღიმა და გააგრძელა:

– არ ვწუწუნებ. ეს აუცილებელი საქმეა და ჩემზე უკეთ ვინ გააკეთებს? თუმცა, თავიდან მათი ნდობის მოპოვება ძალიან გამიჭირდა. მე ვცდილობ, ჯადოქართა შორის მშვიდობიანად ვიცხოვრო, ისინი კი, პირიქით, გაურბიან ნორმალურ საზოგადოებას, ყველასგან განმარტოებით ცხოვრობენ და ქურდობითა და მკვლელობით ირჩენენ თავს.

– როგორ მოხდა, რომ ვოლდემორს მიემხრნენ?

– ფიქრობენ, რომ მისი მმართველობის შემთხვევაში მათი ცხოვრება გაუმჯობესდება, – უპასუხა ლუპინმა, – თანაც რთულია, ამ საკითხზე გრეიბექს შეეკამათო...

– გრეიბექი ვინ არის?

– არ გაგიგია? – ლუპინს თითქოს კრუნჩხვამ დაუარაო, ისე მოუჭირა ხელი მუხლს, – ფენრირ გრეიბექი, ალბათ, დედამიწის ზურგზე ყველაზე სასტიკი მაქციაა. მისი ცხოვრებისეული მიზანია, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაკბინოს და დაასნებოვნოს. მას სურს, მაქციების მთელი არმია შექმნას, რომ საბოლოოდ გაანადგუროს


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯადოქრები. ვოლდემორი მას სამსახურის სანაცვლოდ ნადავლს დაჰპირდა. გრეიბექი, ძირითადად, ბავშვებს დასდევს: უკბინე პატარებს და აღზარდე მშობლებისაგან მოშორებით, აღზარდე ნორმალური ჯადოქრების სიძულვილითო. ვოლდემორი ადრევე ემუქრებოდა ხალხს, რომ გრეიბექს მათ გოგო-ბიჭებზე ანადირებდა. ასეთ მუქარას ის, როგორც წესი, ასრულებს ხოლმე.

ლუპინი შეყოვნდა და დასძინა:

– მეც გრეიბექმა მიკბინა.

– რა? – გაოცდა ჰარი, – როცა... როცა პატარა იყავით?

– კი. მამაჩემმა რაღაცით გაანაწყენა. დიდხანს არ ვიცოდი იმ მაქციის ვინაობა, ვინც თავს დამესხა. უკვე ჩემს ტყავზე მქონდა გამოცდილი, რას ნიშნავდა მაქციად გადაქცევა და მეცოდებოდა კიდეც, მეგონა, თავს ვერ აკონტროლებდა. მაგრამ გრეიბექი სულ სხვაა. სავსე მთვარისას მსხვეპლთან შორიახლოს იდებს ბინას, რომ ადვილად დაესხას თავს. ყველაფერს წინასწარ გეგმავს. აი, სწორედ ამ კაცს აბარებს ვოლდემორი მაქციების წინამძღოლობას. უნდა ვაღიარო, რომ ყველა ჩემი დასაბუთებული არგუმენტი უძლურია გრეიბექის დაჟინებული მტკიცების წინააღმდეგ, რომ ჩვენ, მაქციები, ვიმსახურებთ რაც შეიძლება მეტ სისხლს, და რომ შური უნდა ვიძიოთ ნორმალურ ხალხზე.

– კი მაგრამ, თქვენც ხომ ნორმალური ხართ! – ფიცხად შესძახა ჰარიმ – უბრალოდ... პრობლემა გაქვთ... ლუპინს სიცილი აუვარდა.

– ზოგჯერ ძალიან მაგონებ ჯეიმსს. ის ამას ჩემს „პატარა ფაფუკ პრობლემას“ ეძახდა სხვების თანდასწრებით. ბევრს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ შინ ონავარი ბაჭია მყავდა.

ოდნავ გამხიარულებულმა ლუპინმა ბატონ უისლის კვერცხის კოქტეილი გამოართვა და მადლობა გადაუხადა. ამასობაში ჰარი მღელვარებამ მოიცვა: მამის ხსენებამ მოაგონა, რომ რა ხანია, ლუპინისათვის კიდევ რაღაცის კითხვა უნდოდა.

– ვინმე ხომ არ გაგიგიათ, ნახევარპრინცი რომ ერქვას?

– ნახევარ რა?

– პრინცი, – ჰარი დაძაბული დააკვირდა ლუპინს, ეს სახელი ხომ არ ეცნობაო.

– ჯადოქრულ სამყაროში პრინცები არ არსებობენ, – გაეღიმა ლუპინს, – ახლა ეს ტიტული აირჩიე? მე კი მეგონა „რჩეულიც“ გყოფნიდა.

– მე არაფერ შუაში ვარ! – აღშფოთდა ჰარი, – ნახევარპრინცი არის ვიღაცა, ვინც ჰოგვორტსში სწავლობდა. მე მისი ძველი შხამწამლების სახელმძღვანელო ჩამივარდა ხელში. სულ შელოცვებითა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აქვს გადაჭრელებული, თავისივე გამოგონებული შელოცვებით. ერთი მათგანია „ლევიკორპუს“...

– ო, ეს შელოცვა ჩემ დროს ჰოგვორტსში მოდაში იყო, – მოგონებებს მიეცა ლუპინი, – მეხუთე კურსზე რომ ვიყავი, ვერ გაინძრეოდი იმის შიშით, რომ ვინმეს არ შეელოცა და ჰაერში კოჭით არ ჩამოკონწიალებულიყავი.

– ეს შელოცვა მამაჩემმა გამოიყენა, – ჩაურთო ჰარიმ, – საფიქრელაში ვნახე, როგორ შეულოცა სნეიპს.

ჰარი ცდილობდა, უდარდელი ტონი შეენარჩუნებინა, თითქოს, ამ ფრაზას სულაც არ ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, მაგრამ ლუპინი მიუხვდა და თანაგრძნობით გაუღიმა.

– კი, მაგრამ მამაშენის გარდა ამ შელოცვას სხვებიც იყენებდნენ. როგორც უკვე გითხარი, ეს შელოცვა დიდი პოპულარობით სარგებლობდა... ხომ იცი, როგორ ჩნდება და იკარგება შელოცვები...

– მაგრამ აშკარაა, რომ ის მაშინ გამოიგონეს, როცა თქვენ სკოლაში სწავლობდით, – დაიჟინა ჰარიმ.

– რა აუცილებელია, – შეედავა ლუპინი, – სხვა ყველაფრის მსგავსად, დათარსვებიც შემოდის და გადის მოდიდან, – ლუპინმა ჰარის თვალი გაუსწორა და ხმადაბლა დასძინა: – ჯეიმსი წმინდა-სისხლიანი იყო, ჰარი, და გარწმუნებ, რომ მას არასდროს უთხოვია ჩვენთვის, „პრინცი“ დამიძახეთო.

ჰარი მიკიბ-მოკიბულ ლაპარაკს შეეშვა და პირდაპირ ჰკითხა:

– არც სირიუსი იყო? არც თქვენ?

– რა თქმა უნდა, არა.

– ეჰ, – ჰარი ცეცხლს ჩააშტერდა, – მე კი მეგონა... უბრალოდ, ამ პრინცმა შხამ-წამლების გაკვეთილებზე ძალიან გამიმართა ხელი...

– რამდენი წლისაა ეს წიგნი, ჰარი?

– არ ვიცი, არ შემიმოწმებია.

– აბა, ნახე. იქნებ, ამან მიგახვედროს, როდის სწავლობდა პრინცი ჰოგვორტსში, – ურჩია ლუპინმა.

ცოტა ხანში ფლერმა გადაწყვიტა, სელესტინასათვის მიებაძა, და „მწველი, ძლიერი სიყვარულით სავსე კარდალა“ წაიმღერა. ქალბატონმა უისლიმ ისეთი სახე მიიღო, ყველა მიხვდა, ძილის დროაო, და სუფრიდან წამოიშალნენ. ჰარი და რონი სხვენზე, რონის საძინებელში ავიდნენ, სადაც ჰარისათვის დასაკეცი საწოლი დაემატებინათ.

რონს თითქმის მაშინვე ჩაეძინა. ჰარიმ კი ლოგინში ჩაწოლამდე ჩემოდანი მოჩხრიკა და იქიდან „ურთულესი შხამ-წამლების“ სახელმძღვანელო ამოაძვრინა. მერე საწოლში გემრიელად მოკალათდა, წიგნი გადაშალა, ეძება, ეძება და ბოლოს ერთ-ერთ პირველ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გვერდზე გამოცემის თარიღს მიაგნო. სახელმძღვანელო თითქმის ორმოცდაათი წლისა აღმოჩნდა. მაშინ ჰოგვორტსში არც მამამისი სწავლობდა და არც – მამამისის მეგობრები. გულდაწყვეტილმა წიგნი უკან, ჩემოდანში ჩაუძახა, ლამპა გამორთო და გვერდი იცვალა. ერთხანს მაქციებსა და სნეიპზე, სტენ შანპაიკსა და ნახევარპრინცზე ფიქრობდა, ბოლოს ჩაეძინა. ძილშიც არ ასვენებდა მცოცავი ჩრდილები და დაკბენილი ბავშვების ტირილი...

– გაგიჟდა? ალბათ, ხუმრობს!

ჰარი შეხტა, გაეღვიძა და საწოლის ბოლოს ჩამოკიდებული გაბერილი წინდა დაინახა. სათვალე წამოიცვა და ფანჯრისკენ გაიხედა. გარეთ ისევ გემრიელად ბარდნიდა. რონი საწოლში გაჭიმული იჯდა და მსხვილ ოქროს ძეწკვს ათვალიერებდა.

– ეს რა არის? – ჰკითხა ჰარიმ.

– ლევენდერის გამოგზავნილი საჩუქარია, – აუხსნა თავზარდაცემულმა რონმა, – ნუთუ მართლა ჰგონია, რომ ამას ვატარებ?

ჰარი ყურადღებით დააკვირდა ლევენდერის საჩუქარს და გულიანად გადაიხარხარა. ძეწკვზე დიდი ოქროს ასოებით სიტყვა „ჩემი გულისსწორი“ ჩამოკონწიალებულიყო.

– მაგარია, – იცინოდა ჰარი, – აი, ეს მესმის! აუცილებლად უნდა ატარო ფრედისა და ჯორჯის დასანახად.

– იცოდე, ფრედთან და ჯორჯთან თუ რამე წამოგცდა, – რონმა ძეწკვი ბალიშის ქვეშ შეტენა, – არ ვიცი, რას გიზამ...მე... მე... მე...

– რა იყო, ენა დაგება? – ჩაიღიმა ჰარიმ, – კარგი ერთი, მაგის გამკეთებელი ვარ?

– როგორ იფიქრა, რომ ასეთი რამე მომეწონებოდა? – სივრცეს ჰკითხა გაოგნებულმა რონმა.

– აბა, კარგად გაიხსენე, – ურჩია ჰარიმ, – ოდესმე ხომ არ წამოგცდენია, რომ ხალხში კისერზე ჩამოკიდებული „ჩემი გულისსწორით“ ისურვებდი სიარულს?

– რა ვიცი... ჩვენ თითქმის არ ვლაპარაკობთ, ძირითადად...

– კოცნაობთ, – წაეშველა ჰარი.

– ჰო, – რონი წამით შეყოყმანდა და შემდეგ იკითხა: – ჰერმიონი მართლა ხვდება მაკლეგენს?

– არ ვიცი, – მხრები აიჩეჩა ჰარიმ, – სლაგჰორნის წვეულებაზე ერთად იყვნენ, მაგრამ, მგონი, რაღაც უთანხმოება მოუვიდათ.

რონს ოდნავ გამოუკეთდა გუნება და თავის წინდაში უფრო ღრმად ჩაყო ხელი.

ჰარის საჩუქრებს შორის იყო: ქალბატონი უისლის ხელით მოქსოვილი სვიტერი, გულზე ამოქარგული ოქროს სნიჩით; უისლების


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯადოსნური ოინების პროდუქტებით სავსე დიდი ყუთი და ოდნავ ნესტიანი, აშმორებული ფუთა, რომელზედაც ეწერა: „ბატონს კრეჩერისაგან“.

ჰარი ფუთას დააცქერდა.

– როგორ ფიქრობ, ამისი გახსნა უსაფრთხოა? – ჰკითხა რონს.

– საშიში არაფერი იქნება. სამინისტრო ისევ ამოწმებს მთელ ჩვენს ფოსტას, – დააიმედა რონმა, მაგრამ ფუთას მაინც ეჭვის თვალით დახედა.

– მე კი აზრადაც არ მომსვლია, კრეჩერისათვის რამის ჩუქება! საერთოდ, შინაურ ელფებს საშობაოდ ასაჩუქრებენ? – იკითხა ჰარიმ და ფრთხილად წაჰკრა თითი შეკვრას.

– ჰერმიონი უსათუოდ აჩუქებდა, – უთხრა რონმა, – მაგრამ მოდი, ჯერ ვნახოთ, რა არის, სანამ თავს დამნაშავედ იგრძნობ.

ორიოდე წამში ჰარიმ ხმამაღლა შეჰყვირა და ლოგინიდან ისკუპა. ფუთა სავსე იყო მატლებით.

– ყოჩაღ, – ახარხარდა რონი, – რა ჭკვიანურად მოუფიქრებია!

– მირჩევნია, ეს მივიღო საჩუქრად, ვიდრე შენი ყელსაბამი – მოუჭრა ჰარიმ და რონი წამსვე გონს მოიყვანა.

საშობაო ლანჩს რომ მიუსხდნენ, ყველა ახალ სვიტერში გამოწყობილიყო, ფლერის გარდა (მისთვის, როგორც აღმოჩნდა, ქალბატონ უისლის დრო არ დაეკარგა). თვითონ ქალბატონ უისლის მშვენიერი ოქროს ყელსაბამი ეკეთა და ახალთახალი შუაღამისფერი ჯადოქრის ქუდი ეხურა, მასზე ვარსკვლავის ფორმის ციცქნა ალმასები ბრწყინავდა.

– ფრედმა და ჯორჯმა მაჩუქეს! ხომ ლამაზია?

– ახლა, როცა ჩვენი წინდების რეცხვა თავად გვიწევს, სულ უფრო და უფრო გაფასებთ, დედა, – უდარდელად აიქნია ხელი ჯორჯმა, – ძირთეთრას მიირთმევთ, რემუს?

– ჰარი, თმაში მატლი გყავს, – მხიარულად უთხრა ჯინიმ და მის მოსაცილებლად ბიჭს მაგიდის მეორე მხრიდან გადასწვდა. ჰარიმ იგრძნო, რომ კისერზე დაბურძგლა, მაგრამ მატლი არაფერ შუაში იყო.

– ღა საშინელებაა, – ზიზღით გააჟრჟოლა ფლერს.

– მართლა რა საშინელებაა, არა? – დაეთანხმა რონი, – საწებელს ინებებ, ფლერ?

ზედმეტი მონდომებისაგან რონს სასაწებლე გადაუყირავდა. ბილმა ჯადოსნური ჯოხი დაიქნია: საწებელი ჰერში აფრინდა და ჭურჭელში მორჩილად ჩაიღვარა.

– შენც იმ ტონკსივით მოუკნელი ხაღ, – უსაყვედურა ფლერმა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონს, მას შემდეგ, რაც მადლობის ნიშნად ბილს აკოცა, – ისიც სულ აკიღავებს...

– ძვირფასი ტონქსი დღეისათვის მოვიპატიჟე, – ხაზგასმით აღნიშნა ქალბატონმა უისლიმ, სტაფილო მთელი ძალით დაახეთქა მაგიდაზე და ფლერს თვალები დაუბრიალა, – მაგრამ მოსვლაზე უარი განმიცხადა. ამ ბოლო დროს ხომ არ დალაპარაკებიხარ, რემუს?

– არა, ბოლო დროს კონტაქტი არავისთან მქონია, – უპასუხა ლუპინმა, – მაგრამ ტონქსმა ხომ თავისი ოჯახი უნდა მოინახულოს?

– ჰმმმმ, შეიძლება. მე კი ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ შობის გატარებას მარტო აპირებდა, – მიუგო ქალბატონმა უისლიმ და ლუპინს ისე გაღიზიანებულმა შეხედა, თითქოს სულ მისი ბრალი იყო, რომ ტონქსის ნაცვლად, რძლად ფლერი ერგო. ჰარიმ ფლერს გახედა, რომელიც ბილს თავისი ჩანგლით ინდაურის ხორცს აჭმევდა, და გაიფიქრა, ქალბატონი უისლი დიდი ხნის წინ წაგებულ ბრძოლას აგრძელებსო. ამასთანავე, ჰარის ერთი კითხვა გაახსენდა, რომელიც ადრე ტონქსთან დაკავშირებით დაებადა და ვისთვის უნდა ეკითხა, თუ არა ლუპინისთვის, რომელმაც პატრონუსების შესახებ ყველაფერი იცოდა?

– ტონქსის პატრონუსმა ფორმა შეიცვალა, – აცნობა ლუპინს, – ყოველ შემთხვევაში, სნეიპმა ასე თქვა. არ ვიცოდი, ეს თუ შესაძლებელი იყო. რა შემთხვევაში იცვლება პატრონუსი? ლუპინმა ჯერ აუჩქარებლად დაღეჭა და გადაყლაპა ინდაურის ხორცი, შემდეგ კი დინჯად უპასუხა:

– ზოგჯერ... ძლიერი ელდა... ემოციური დატვირთვა...

– დიდი იყო და ოთხი ფეხი ჰქონდა, – ჰარის უცებ თავში რაღაცამ გაუელვა და ხმას დაუწია, – ე, ნუთუ ეს...

– არტურ! – მოულოდნელად შესძახა ქალბატონმა უისლიმ. იგი სკამიდან წამოწეულიყო, გულზე ხელი მიეკრა და სამზარეულოს ფანჯარას თვალს არ აშორებდა, – არტურ, პერსი მოდის!

– რა?

ბატონმა უისლიმ ფანჯრისკენ გაიხედა. ყველა იქით შეტრიალდა. ჯინი ადგა, რომ უკეთ დაენახა. მართლაც, თოვლით დაფარულ ეზოში პერსი უისლი მოაბიჯებდა, მაგრამ ის მარტო არ იყო.

– არტურ, მას... მას მინისტრი ახლავს.

მართლაც, პერსის მოჰყვებოდა კაცი, რომელიც ჰარის „დილის მისანში“ ჰყავდა ნანახი. ჭალარაგარეულ თმასა და შავ ლაბადაზე თოვლი ეყარა. სანამ ვინმე ხმას ამოიღებდა, უკანა კარი გაიღო და პერსი გამოჩნდა.

წამით უხერხული დუმილი ჩამოვარდა. შემდეგ პერსიმ საკმაოდ ცივად თქვა:


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შობას გილოცავ, დედა.

– ო, პერსი! – ქალბატონი უისლი შვილს მივარდა და ჩაეხუტა.

რუფუს სკრიმჯერი ზღურბლზე შედგა, ხელჯოხს დაეყრდნო, ეს გულის ამაჩუყებელი სცენა მოათვალიერა და გაიღიმა.

– იმედია, გვაპატიებთ, ასე მოულოდნელად რომ შემოგეჭერით, – განაცხადა მან, როცა სახეგაბრწყინებულმა და თვალზე ცრემლ-მომდგარმა ქალბატონმა უისლიმ მისკენ გაიხედა, – მე და პერსი აქვე, შორიახლოს ვმუშაობდით... და პერსის გულმა არ მოუთმინა, რომ არ შემოევლო და თავისი ოჯახი არ ენახა.

მაგრამ პერსი ოჯახის სხვა წევრებისადმი მისალმების სურვილის ოდნავ ნიშანწყალსაც არ ამჟღავნებდა. იდგა გაჯგიმული და უხერხულ მზერა ყველას თავზემოთ, სივრცისათვის გაეშტერებინა. ბატონი უისლი, ფრედი და ჯორჯი მას სახეგაქვავებულები შესცეროდნენ.

– მობრძანდით, დაბრძანდით, მინისტრო, – დაფაცურდა ქალ-ბატონი უისლი და ქუდი შეისწორა, – მიირთვით ინდაური ან ცოტა პუდინგი...

– არა, არა, ჩემო კარგო მოლი, – იუარა სკრიმჯერმა. ჰარი მიხვდა, რომ მან პერსის წინასწარ გამოჰკითხა დედის სახელი, – არ მინდა, ხელი შეგიშალოთ. სულ არ შეგაწუხებდით, პერსის თქვენი ნახვა ასე ძალიან რომ არ ნდომოდა...

– ო, პერსი! – ცრემლი მოერია ქალბატონ უისლის და შვილს მისწვ-და საკოცნელად.

– სულ ხუთი წუთით შემოგირბინეთ, ამიტომ მე ეზოში გავივლი, სანამ თქვენ პერსის მოესიყვარულებით. არა, არა, გარწმუნებთ, სულაც არ მინდა, მყუდროება დაგირღვიოთ! ოღონდ, თუ შეგიძლიათ, რომელიმე გამომყევით და თქვენი მშვენიერი ბაღი დამათვალიერები-ნეთ... აი, ამ ყმაწვილს უკვე დაუმთავრებია ლანჩი და ჩემთან ერთად ხომ არ გამოისეირნებდა?

მაგიდის ირგვლივ ატმოსფერო საგრძნობლად შეიცვალა. სკრიმ-ჯერიდან ყველამ ჰარიზე გადაიტანა მზერა. რა თქმა უნდა, სკრიმ-ჯერმა ვერავინ დააჯერა, თითქოს ჰარის სახელი არ იცოდა, არც ის ჩათვალეს ბუნებრივად, რომ მინისტრმა მაინცდამაინც ჰარი აირჩია ბაღში გამყოლად, როცა თეფშები ჯინის, ფლერსა და ჯორჯსაც მოესუფთავებინათ.

– კეთილი, – სიჩუმე დაარღვია ჰარიმ.

მიუხედავად სკრიმჯერის მტკიცებისა, რომ ის და პერსი შორი-ახლოს შემთხვევით აღმოჩნდნენ და პერსის გულმა ოჯახისაკენ გამოუწია, ჰარი მიხვდა მათი მოსვლის ნამდვილ მიზეზს: სკრიმჯერს ჰარისთან პირისპირ საუბარი სურდა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არაფერია, – ხმადაბლა გადაულაპარაკა ლუპინს, რომელიც სკამიდან წამოიწია, – არაფერია, – გაუმეორა ბატონ უისლისაც, რომელმაც რაღაცის სათქმელად გააღო პირი.

– შესანიშნავია! – შეაქო სკრიმჯერმა, უკან გადგა და ჰარი კარში გაატარა, – ბაღში გავივლით და შემდეგ მე და პერსი გავიქცევით. თქვენ გააგრძელეთ!

ჰარიმ ეზო გადაჭრა და უისლების დათოვლილი ბაღისაკენ გაემართა, გვერდით ოდნავი კოჭლობით მიჰყვებოდა სკრიმჯერი. ჰარიმ იცოდა, რომ იგი აურორების შტაბის ყოფილი ხელმძღვანელი იყო. ჩაკურატებული და ცილინდრიანი ფაჯისაგან განსხვავებით, მას ამტანი და ომგამოვლილი მებრძოლის იერი ჰქონდა.

– მშვენიერია, – სკრიმჯერი ბაღის მესერთან შედგა და გადათეთრებულ გაზონს გახედა, – რა სილამაზეა.

ჰარი დუმდა. გრძნობდა, რომ სკრიმჯერი თვალს არ აშორებდა.

– დიდი ხანია, შენთან შეხვედრა მინდა, – რამდენიმე წამში ხმა ამოიღო სკრიმჯერმა, – იცოდი ეს?

– არა, – გულახდილად მიუგო ჰარიმ.

– დიახ, დიდი ხანია. მაგრამ დამბლდორი არ მაძლევდა ამის საშუალებას, – გააგრძელა სკრიმჯერმა, – ეს ბუნებრივია, რასაკვირველია, ბუნებრივია მას შემდეგ, რაც შენ გადაიტანე... განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც სამინისტროში მოხდა...

სკრიმჯერი გაჩუმდა და დაელოდა, ჰარი რას იტყოდა. მაგრამ ჰარის თავი არ შეუწუხებია, ამიტომ გააგრძელა:

– ამ თანამდებობის დაკავების დღიდან ვიმედოვნებდი, რომ შენთან დალაპარაკების შანსი მომეცემოდა, მაგრამ დამბლდორი... როგორც უკვე ვთქვი, გასაგები მიზეზების გამო... ამას ხელს უშლიდა..

ჰარი კრინტს არ ძრავდა.

– მერედა, რა ჭორები დაქრის! – არ ეშვებოდა სკრიმჯერი – რა თქმა უნდა, ორივემ ვიცით, როგორ ამახინჯებენ და აზვიადებენ ამბებს... ამდენი მითქმა-მოთქმა წინასწარმეტყველების გამო... და იმის შესახებ, თითქოს შენ „რჩეული“ ხარ...

მაშ ასე, ძირითად სათქმელს მიუახლოვდნენ. ჰარი მალე შეიტყობდა სკრიმჯერის აქ მოსვლის ნამდვილ მიზეზს.

– როგორც ვხვდები, დამბლდორს ამ თემებზე შენთან უსაუბრია, არა?

ჰარი დაფიქრდა. ვერ გადაეწყვიტა, ეცრუა თუ არა. მან ჯერ თოვლზე გნომების მიერ დატოვებული ციცქნა ნაფეხურები მოათვალიერა, შემდეგ კი ერთ ადგილას მოთხრილი მიწა, სადაც ფრედმა ის გნომი დაიჭირა, რომელიც ახლა ბალერინის კაბაში გამოწყობილი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამშვენებდა საშობაო ნაძვის ხეს. ბოლოს გადაწყვიტა, სიმართლე ეთქვა, უფრო სწორად, ნაწილობრივ სიმართლე...

– დიახ, გვისაუბრია.

– მართლა? – გამოეპასუხა სკრიმჯერი. ჰარი ცალი თვალით ხედავდა, რომ სკრიმჯერი მალულად ზვერავდა, ამიტომ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ძალიან დააინტერესა დამზრალი როდოდენდრონის ბუჩქის ქვემოდან თავგამოყოფილმა გნომმა, – და რა გითხრა დამბლდორმა, ჰარი?

– ბოდიში, მაგრამ ეს ჩვენი საქმეა, – მოუჭრა ჰარიმ.

ეს სიტყვები შეძლებისდაგვარად ზრდილობიანად თქვა და სკრიმჯერმაც უზრუნველი და მეგობრული ტონით უპასუხა:

– ო, რა თქმა უნდა, ეს ნდობის საკითხია. სულაც არ მინდა, თქვენი გეგმები გათქვა... არა, არა... რაც უნდა იყოს, განა აქვს იმას მნიშვნელობა, მართლა ხარ თუ არა რჩეული?

ჰარი რამდენიმე წამით დაფიქრდა, სანამ უპასუხებდა.

– ვერ ვხვდები, რას გულისხმობთ, მინისტრო.

– არა, რა თქმა უნდა, პირადად შენთვის ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება, – სიცილით თქვა სკრიმჯერმა, – მაგრამ ზოგადად ჯადოქრული საზოგადოებისათვის... მთავარია, როგორ აღიქვამენ ამ ყველაფერს... მთავარი ისაა, რისი სჯერა ხალხს.

ჰარიმ არ უპასუხა. უკვე ბუნდოვნად ხვდებოდა, რა მიმართულებას იღებდა მათი საუბარი, მაგრამ სულაც არ აპირებდა, სკრიმჯერს წაშველებოდა.

როდოდენდრონის ბუჩქში შემძვრალი გნომი ფესვებთან მიწას ჩიჩქნიდა და ჰარის თვალი მასზე გაეშტერებინა.

– იცი, ხალხს სჯერა, რომ „რჩეული" ხარ, – უთხრა სკრიმჯერმა, – ისინი ლამის გმირად გრაცხავენ. და ეს უდავოდ ასეა, ჰარი, მიუხედავად იმისა, მართლა რჩეული ხარ თუ არა. უკვე რამდენჯერ დაუპირისპირდი მას, ვისი სახელიც არ ითქმის? მოკლედ, ასეა თუ ისე, – პასუხს არ დაუცადა, ისე გააგრძელა სკრიმჯერმა, – საქმე ისაა, რომ ბევრისათვის შენ იმედის ნაპერწკალი ხარ, ჰარი. ის აზრი, რომ სადღაც არის ვილაცა, ვისაც ძალუძს ან ბედად უწერია ვისი სახელიც არ ითქმის, მისი განადგურება, ბუნებრივია, ხალხს იმედით ასაზრდოებს. ამას რომ გააცნობიერებ, იქნებ დაფიქრდე იმაზე, რომ შენი მოვალეობაა, სამინისტროს გვერდში ამოუდგე და ყველას სტიმული მისცე.

სწორედ ამ დროს გნომმა ამოჩიჩქნილ მიწაში ჭიაყელას მიაგნო, ხელი სტაცა და გამწარებული ცდილობდა გაყინული ნიადაგიდან მის ამოთრევას. ჰარი ისე დიდხანს დუმდა, რომ სკრიმჯერმაც გადახედა გნომს და შენიშნა:



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სასაცილო ვინმეები არიან, არა? მაგრამ ჩემს წინადადებაზე, რას იტყვი ჰარი?

– ზუსტად ვერ ვხვდები, რას მოითხოვთ ჩემგან, – აუჩქარებლად დაიწყო ჰარიმ, – „სამინისტროს გვერდში ამოდგომა"... ეს რას ნიშნავს?

– მერწმუნე, ისეთს არაფერს, – დააიმედა სკრიმჯერმა, – მხოლოდ, საჭირო შთაბეჭდილების მოსახდენად დროდადრო სამინისტროში უნდა გამოჩნდე. და, რაღა თქმა უნდა, იქ ყოფნისას, აურორების შტაბის ხელმძღვანელის პოსტზე ჩემს შემცვლელთან, გოვენ რობარდსთან, დალაპარაკების მშვენიერი შესაძლებლობა მოგეცემოდა. დოლორეს ამბრიჯმა მითხრა, რომ შენი სანუკვარი ოცნებაა, აურორი გამოხვიდე. ეს სულ იოლად შეიძლება მოგვარდეს...

ჰარიმ იგრძნო, როგორ აუთუხთუხდა გულში ბრაზი: ესე იგი, დოლორეს ამბრიჯი ისევ მუშაობდა სამინისტროში?

– მაშასადამე, გინდათ, ისეთი შთაბეჭდილება შექმნათ, თითქოს მე სამინისტროსთან ვთანამშრომლობ? – იკითხა ჰარიმ, რომელსაც რაღაც-რაღაცეების დაზუსტება სურდა.

– ყველას გულს გაუკეთებდა ის აზრი, რომ შენ უფრო დიდ მონაწილეობას იღებ სამინისტროს საქმიანობაში, – სკრიმჯერს ხმაზე შეეტყო, შვებით ამოისუნთქა, ჰარი ასე მალე რომ ჩასწვდა საქმის არსს, – ხომ იცი, მაინც „რჩეულს" გიწოდებენ... მთავარია, ხალხს იმედი მივცეთ, ისეთი შეგრძნება გაუჩნდეთ, რომ სასიკეთო ძვრებიც ხდება...

– მაგრამ სამინისტროში თუ ვირბენ, – ჰარიმ თავს ძალა დაატანა, რომ კეთილგანწყობილი ტონი შეენარჩუნებინა, – ისე გამოჩნდება, თითქოს თქვენს საქმიანობას ვეთანხმები, არა?

– მმმ... – ოდნავ შეიჭმუხნა სკრიმჯერი, – დიახ, ნაწილობრივ, სწორედ ეს გვინდა...

– არა მგონია, ეს გამოვიდეს, – სასიამოვნო ხმით უთხრა ჰარიმ, – იცით, რა? არ მომწონს ის, რასაც სამინისტრო აკეთებს. მაგალითად, სტენ შანპაიკის დატუსაღება.

სკრიმჯერი დუმდა, მაგრამ სახის გამომეტყველება წამში გაუმკაცრდა.

– არც ველოდი, რომ სწორად გაიგებდი, – მას ჰარისგან განსხვავებით, გაუჭირდა ხმაში ბრაზის შეკავება, – ახლა საშიში დროა და გარკვეული ზომების მიღება აუცილებელია. შენ ჯერ თექვსმეტი წლისა ხარ...

– დამბლდორი ბევრად უფროსია, მაგრამ ისიც ფიქრობს, რომ სტენის ადგილი აზკაბანში არ არის, – მოუჭრა ჰარიმ, – თქვენ სტენი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

განტევების ვაცად აქციეთ, ისევე, როგორც ჩემგან ცდილობთ თილ-ისმის შექმნას.

ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს და დიდხანს დაჟინებით უმზირეს. ბოლოს ისევ სკრიმჯერმა დაილაპარაკა. მის ხმაში სითბოს ნატამალიც აღარ იგრძნობოდა:

– გასაგებია... შენი გმირი დამბლდორის მსგავსად... სამინისტრო-საგან განდგომას ამჯობინებ?

– არ მინდა, გამომიყენონ, – უთხრა ჰარიმ.

– ზოგი იტყოდა, რომ შენი პირდაპირი მოვალეობაა, სამინისტროს სამსახური გაუწიო!

– ზოგი კი იტყოდა, რომ თქვენი პირდაპირი მოვალეობაა, ჯერ დარწმუნდეთ, მართლა „სიკვდილის მხვრელია“ თუ არა ადამიანი, და მერე უკრათ თავი ციხეში, – თავი ველარ შეიკავა ჰარიმ, – იმავეს აკეთებთ, რასაც ბარტი კრაუჩი სჩადიოდა. რატომ არის, რომ თქვენს სამინისტროში სწორად ვერასოდეს აფასებთ სიტუაციას... ან ფაჯი გვყავს, რომელსაც თავი ისე უჭირავს, თითქოს ყველაფერი გადასა-რევადაა, არადა ცხვირწინ უხოცავდნენ ხალხს, ან თქვენ გვყავხ-ართ, ციხეში უდანაშაულოებს აყუდებთ და ყველას თავს აჩვენებთ, თითქოს თქვენთვის „რჩეული“ მუშაობს!

– მაშ, „რჩეული“ არა ხარ? – ჰკითხა სკრიმჯერმა.

– ახლა არა თქვით, ამას მნიშვნელობა არა აქვსო? – მწარე სიცილ-ით შეახსენა ჰარიმ, – ყოველ შემთხვევაში, თქვენთვის – არა.

– ეს არ უნდა მეთქვა, – სწრაფად გამოასწორა სკრიმჯერმა, – უხეშად გამომივიდა...

– პირიქით, გულწრფელობა გამოიჩინეთ. თქვენი საუბრიდან ეს ერთადერთი გულახდილი სიტყვა იყო. თქვენთვის სულ ერთია, მოვკვდები, თუ გადავრჩები. მაგრამ ის კი გინდათ, რომ დაგეხმა-როთ ყველას დარწმუნებაში, თითქოს ვოლდემორს ომს უგებთ. მე არ დამვიწყებია, მინისტრო...

ჰარიმ მარჯვენა ხელი ასწია. გაყინული ხელის ზურგზე თეთ-რად ემჩნეოდა ნაიარევები, რომლებიც მას შემდეგ დაემჩნა, რაც დოლორეს ამბრიჯმა აიძულა, საკუთარ ხორცზე ამოეტვიფრა: „მე არ უნდა ვიცრუო“.

– რაღაც არ მახსოვს, ჩემს დასაცავად მოვარდნილიყავით, როცა ვცდილობდი, ყველასათვის დამემტკიცებინა, რომ ვოლდემორი დაბრუნდა. შარშან სამინისტრო ჩემთან მეგობრობისთვის თავს ასე არ იგიჟებდა.

ისეთივე ყინულივით ცივი სიჩუმე ჩამოვარდა, როგორიც მათ ფეხქვეშ მიწა იყო. გნომს, ბოლოს და ბოლოს, ამოეთრია ჭიაყელა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიწიდან, როდოდენდრონის ბუჩქის ქვედა ტოტებს მიჰყრდნობოდა და ნადავლს სიამოვნებით წუწნიდა.

– რა გეგმები აქვს დამბლდორს? – ჯიქურ ჰკითხა სკრიმჯერმა, – სად დადის, როცა ჰოგვორტსში არ იმყოფება?

– წარმოდგენა არა მაქვს, – მიუგო ჰარიმ.

– და რომც გცოდნოდა, არ მეტყოდი, არა? – ჰკითხა სკრიმჯერმა.

– არა, არ გეტყოდით.

– რა გაეწყობა, მაშინ მომიწევს, ამის გასარკვევად სხვა საშუალებებს მივმართო.

– შეგიძლიათ, სცადოთ, – გულგრილად უპასუხა ჰარიმ – მაგრამ თქვენ ფაჯზე ჭკვიანი ჩანხართ, ამიტომ მეგონა, მის შეცდომებზე ისწავლიდით. მანაც სცადა ჰოგვორტსის საქმეებში ჩარევა. ალბათ, შეამჩნევდით, რომ ის მინისტრი აღარაა, დამბლდორი კი კვლავ დირექტორია. თქვენ ადგილას, დამბლდორს თავს დავანებებდი.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

– ჩემთვის ცხადზე ცხადია, რომ დამბლდორს კარგად დაუმუშავებიხარ, – დაასკვნა სკრიმჯერმა და ლითონისჩარჩოიანი სათვალიდან სუსხიანი და უგულო მზერით შეხედა ჰარის – მაშ, თხემით ტერფამდე დამბლდორის კაცი ხარ, არა, პოტერ?

– დიახ, მიხარია, რომ ეს ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიეთ,– უპასუხა ჰარიმ, მინისტრს ზურგი შეაქცია და სახლისაკენ გაემართა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი მეჩვიდმეტე

# ბუნდოვანი მოგონება

ახალი წლიდან რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ, შებინდებისას, ჰარი, რონი და ჯინი ჰოგვორტსში დასაბრუნებლად სამზარეულოს ბუხართან ჩამწკრივდნენ. სამინისტრომ სკოლაში მოსწავლეების სწრაფად და უსაფრთხოდ დასაბრუნებლად ფლუ ქსელში ბუხრების ერთჯერადი ჩართვა უზრუნველყო. ბავშვებს მხოლოდ ქალბატონი უისლი დაემშვიდობა, რადგან ბატონი უისლი, ფრედი, ჯორჯი, ბილი და ფლერი სამსახურში იყვნენ. ქალბატონ უისლის განშორებისას ცრემლები წასკდა. ბოლო დროს გულჩვილობა დასჩემდა. მას შემდეგ, რაც შობის დღეს ძირთეთრათი სათვალემოთხვრილი პერსი სახლიდან ტყვიასავით გავარდა (რაშიც ფრედს, ჯორჯსა და ჯინის ერთნაირად მიუძღოდათ ბრალი), ქალბატონი უისლი შიგადაშიგ ცრემლად დაიღვრებოდა ხოლმე.

– გთხოვ, ნუ ტირი, დედა, – ჯინიმ ზურგზე ხელი მოუთათუნა მის მხარზე მოქვითინე ქალბატონ უისლის, – ყველაფერი კარგადაა...

– ჰო, ჩვენზე ნუ იდარდებ, – რონმა ცრემლებით სახედასველებულ დედას ნება დართო, ლოყაზე ეკოცნა, – ნურც პერსიზე. ის ხომ კრეტინია და დიდ დანაკლისს არ წარმოადგენს!

ქალბატონ უისლის უფრო მეტად ამოუჯდა გული და ჰარი გულში ჩაიკრა.

– დამპირდი, რომ თავს მიხედავ... შარში არ გაეხვევი...

– მე სულ ამას ვცდილობ, ქალბატონო უისლი. ხომ იცით, მშვიდი ცხოვრება მიყვარს, – დააიმედა ჰარიმ.

ქალმა სლუკუნით ჩაიფხუკუნა და უკან დაიხია.

– აბა, ჭკვიანად იყავით...

ჰარიმ ზურმუხტისფერ ცეცხლში შეაბიჯა, დაიძახა: „ჰოგვორტსი“ და სანამ ცეცხლის ალი შთანთქავდა, უკანასკნელად შეავლო თვალი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უისლების სამზარეულოსა და ქალბატონ უისლის აცრემლებულ სახეს. მერე კარგა ხანს სიბნელეში იბზრიალა და ბოლოს პირდაპირ პროფესორ მაკგონაგელის კაბინეტის ბუხარში დაეშვა. პროფესორმა სამუშაოს თვალი წამით მოსწყვიტა, როცა ჰარი ბუხრის ცხაურზე გადაფორთხდა.

– საღამო მშვიდობისა, პოტერ. შეეცადეთ, ხალიჩაზე ბევრი ნაცარი არ დამიყაროთ.

– დიახ, პროფესორო.

ჰარიმ სათვალე მოირგო და თმა შეისწორა. ამ დროს ბუხარში ბზრიალით გამოჩნდა რონი. ჯინიმაც რომ მოაღწია, სამივენი პროფესორ მაკგონაგელის კაბინეტიდან გალაგდნენ და გრიფინდორის კოშკისაკენ გასწიეს. ჰარიმ დერეფნის ფანჯრებიდან გაიხედა. მზე უკვე ჰორიზონტს ეფარებოდა და სუსტ შუქს ჰფენდა ჰოგვორტსის ეზოს, რომელიც უფრო სქლად დაეფარა თოვლს, ვიდრე ბუნაგის ბაღი. შორს, თავისი ქოხის წინ, ჰაგრიდი ბაკბიკს კვებავდა.

– სამშვენისი, – თავდაჯერებით განაცხადა რონმა პაროლი, როდესაც გრიფინდორის კოშკს მიაღწიეს. ფუშფუშა ქალბატონი ჩვეულებრივზე უფრო ფერმიხდილი ჩანდა და რონის რიხიანი ხმის გაგონებაზე სახე შეჭმუხნა.

– არა, – თქვა მან.

– რას ნიშნავს „არა“?

– პაროლი შეიცვალა, – დააზუსტა ფუშფუშამ, – და, გეთაყვა, ნუ ბღავით.

– კი მაგრამ, ჩვენ ხომ არდადეგებიდან ეს-ესაა დავბრუნდით, საიდან უნდა ვიცოდეთ...

– ჰარი! ჯინი!

მათკენ მანტიაში, ქუდსა და ხელთათმანებში ჩაფუთნული ლოყებაწითლებული ჰერმიონი მორბოდა.

– ორიოდე საათის წინ ჩამოვედი. ქვემოთ ვიყავი ჰაგრიდისა და ბაკ... ანუ ვიზერვინგსის სანახავად, – მიაყარა სულმოუთქმელად, – შობა კარგად გაატარეთ?

– კი, – მაშინვე უპასუხა რონმა, – იმდენი რამე მოხდა, რუფუს სკრიმ...

– ჰარი, შენთვის რაღაც მაქვს, – ჰერმიონს, თითქოს რონის ნათქვამი არ გაუგონიაო, მისთვის არც კი შეუხედავს, – ა, მოიცა... ახალი პაროლი არის „სიფხიზლე“.

– სწორია, – მიმკვდარუნებული ხმით დაადასტურა ფუშფუშა ქალბატონმა, განზე გაიწია და პორტრეტის ხვრელი გამოაჩინა.

– რა დაემართა? – იკითხა ჰარიმ – ალბათ, შობაზე ზედმეტი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დალია, – თვალები გადაატრიალა ჰერმიონმა და გადაჭედილ საერთო ოთახში პირველი გადაძვრა, – მან და მისმა დაქალმა ვიოლეტამ ქვემოთ, შელოცვების დერეფანში დაკიდულ სურათში, ბერებთან ერთად იქეიფეს. უი, კინაღან დამავიწყდა...

ჰერმიონმა ჯიბე მოიჩხრიკა და პერგამენტის გრაგნილი ამოიღო. მასზე დამბლდორის ხელნაწერი ჩანდა.

– გმადლობ, – ჰარიმ მაშინვე გახსნა პერგამენტი და აღმოაჩინა, რომ დამბლდორთან მორიგი გაკვეთილი მომავალ საღამოს იყო დაგეგმილი, – მისთვის იმდენი სათქმელი დამიგროვდა, და შენთვისაც. მოდი, სადმე დავსხდეთ...

მოულოდნელად ყურისწამღები წივილი —„ვან-ვან!“ – გაისმა, საიდანღაც ლევენდერ ბრაუნი გამოხტა და რონს გულში ჩაეკონა. რამდენიმე სტუდენტმა ჩაიქირქილა, ჰერმიონმა კი გულიანად გადაიკისკისა და თქვა:

– აი, იქ ცარიელი მაგიდაა. ჩვენთან ერთად არ წამოხვალ, ჯინი?

– არა, გმადლობ, დინს უნდა შევხვდე, – იუარა ჯინიმ, მაგრამ ჰარის არ გამოჰპარვია, რომ გოგონას სიხარული არ ეტყობოდა. მათ მიატოვეს რონი და ლევენდერი, რომლებიც ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ფალავნების მსგავსად ჩახვეოდნენ ერთმანეთს და თავისუფალი მაგიდისაკენ წავიდნენ.

– აბა, როგორ ჩაიარა შობამ?

– მშვენივრად, – მხრები აიჩეჩა ჰერმიონმა, – „ვან-ვან“-თან როგორ გაატარე დრო?

– ახლავე მოგიყვები, – დაჰპირდა ჰარი, – ყური მიგდე, ჰერმიონ, ნუთუ არ შეგიძლია...

– არ შემიძლია, – კატეგორიულად მოუჭრა ჰერმიონმა, – ასე რომ, არც მკითხო.

– მე კი, იცი, მეგონა, არდადეგები რომ ჩაივლიდა...

– ჰარი, მთელი კასრი ხუთასი წლის ღვინო მე კი არა, ფუშფუშა ქალბატონმა დალია. აბა, რა მნიშვნელოვანი ამბავი უნდა მოგეყოლა ჩემთვის?

ჰერმიონს ისეთი მკაცრი სახე ჰქონდა, რომ მასთან კამათი არ ღირდა, ამიტომ ჰარიმ რონის თემა აღარ გააგრძელა და მალფოისა და სნეიპის საუბრის შინაარსი გადასცა.

თხრობა რომ დაასრულა, ჰერმიონი წუთით ჩაფიქრდა:

– იქნებ...

– დახმარებას იმ მიზნით სთავაზობდა, რომ მალფოისათვის გეგმები დაეტყუა?

– მმმ... კი.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რონის მამა და ლუპინიც იმავეს ფიქრობენ, – ჩაიბუზღუნა ჰარიმ, – მაგრამ ეს აშკარად ამტკიცებს იმას, რომ მალფოი რაღაცას გეგმავს, ამას ვერ უარყოფ.

– არა, ვერ უარვყოფ, – ზანტად უპასუხა ჰერმიონმა.

– და ის ვოლდემორის ბრძანებით მოქმედებს, ჩემი ნათქვამი გამართლდა!

– რომელიმემ ახსენა ვოლდემორის სახელი?

ჰარიმ შუბლი შეჭმუხნა და სცადა, გაეხსენებინა.

– არ მახსოვს... სნეიპმა ნამდვილად თქვა, შენი ბატონიო, და ამაში სხვა ვინ უნდა იგულისხმებოდეს?

– რა ვიცი, – ტუჩი მოიკვნიტა ჰერმიონმა, – იქნებ – მამამისი?

ფიქრებში გართულმა ჰერმიონმა ოთახს მოავლო თვალი. ისიც კი ვერ შეამჩნია, რომ ლევენდერი რონს უღიტინებდა, მერე ისევ ჰარის მიუბრუნდა:

– ლუპინი როგორ არის?

– არც ისე კარგად, – მიუგო ჰარიმ და ყველაფერს მოუყვა მაქციებთან ლუპინის მისიისა და იმ სირთულეების შესახებ, რომელთა გადატანაც მას უხდებოდა, – გაგიგია რამე ამ ფენრირ გრეიბექზე?

– როგორ არა! – უპასუხა შეძრწუნებულმა ჰერმიონმა, – და შენც გაგიგია, ჰარი!

– როდის, მაგიის ისტორიის ლექციაზე? მშვენივრად მოგეხსენება, რომ არასოდეს ვუსმენ...

– არა, არა, რა შუაშია მაგიის ისტორია... მალფოი მისით დაემუქრა ბორჯინს! – შეახსენა ჰერმიონმა, – მრუმე ქუჩაზე, აღარ გახსოვს? ბორჯინს უთხრა, გრეიბექი ჩემი ოჯახის ძველი მეგობარია და დროდადრო შემოგივლით და დაგხედავთ, საქმე როგორ მიდისო!

ჰარიმ პირი დააღო.

– მე კი დამავიწყდა! მაგრამ ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ მალფოი „სიკვდილის მხვრელია“, სხვაგვარად როგორ დაიჭერდა საქმეს გრეიბექთან და, თანაც, დავალებებს მისცემდა მას?

– მართლა ძალიან საეჭვოა, – დაიჩურჩულა ჰერმიონმა – მაგრამ, იქნებ...

– ო, კარგი, რა... – გაღიზიანდა ჰარი, – ამას რითღა ახსნი?

– რატომ... ხომ შეიძლება, ეს ცარიელი მუქარა იყო!

– ღმერთო, რა ურწმუნო ხარ, – თავი გააქნია ჰარიმ, – აი, ვნახავთ, ვინ აღმოჩნდება მართალი... ჰერმიონ, სამინისტროსი არ იყოს, მოგიწევს შენი სიტყვების უკან წაღება. ა, ჰო, რუფუს სკრიმჯერთანაც მომივიდა შელაპარაკება...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დარჩენილმა საღამომ მაგიის მინისტრის ლანძღვაში ჩაიარა, რადგან ჰერმიონსაც, რონის მსგავსად, აღაშფოთებდა ის ფაქტი, რომ მას მერე, რაც სამინისტრომ გასულ წელს ჰარის თავს დაატეხა, ეყოთ თავხედობა და ახლა მას დახმარებას სთხოვდნენ!

მეორე დილას ახალი სემესტრი მეექვსეკურსელთათვის სასიამოვნო სიურპრიზით დაიწყო: საერთო ოთახის დაფაზე წინაღამეს გაკრული განცხადება დახვდათ.

## „აპარაციის გაკვეთილები

თუ უკვე შეგისრულდათ 17 წელი ან შეგისრულდებათ 31 აგვისტოს ჩათვლით, გექლევათ უფლება, გაიაროთ აპარაციის გაკვეთილების თორმეტკვირიანი კურსი მაგიის სამინისტროს აპარაციის ინსტრუქტორთან.

ჩაწერის მსურველებს გთხოვთ, ქვემოთ მოაწეროთ ხელი.

სწავლის საფასური: **12 გალეონი.**"

ჰარი და ჰერმიონი ბრბოში შეძვრნენ და განცხადების ქვეშ რიგრიგობით მიაწერეს თავ-თავიანთი სახელები. ის იყო, ჰერმიონის შემდეგ ხელის მოსაწერად რონმა ფრთა ამოიღო, რომ მის უკან ლევენდერი გაჩნდა, თვალებზე ხელები ააფარა და დაიღუღუნა:

– აბა, გამოიცანი, ვინა ვარ, ვან-ვან?

ჰარი შეტრიალდა და თვალი შეასწრო, როგორ გაეცალა იქაურობას ჰერმიონი. ჰარიც მას გაჰყვა, რადგან რონთან და ლევენდერთან დარჩენის არავითარი სურვილი არ ჰქონდა, მაგრამ, მისდა გასაკვირად, პორტრეტის ხვრელში გადაძვრნენ თუ არა, მათ რონიც წამოეწია. ყურები ჭარხალივით წამოსწითლებოდა და გულმოსული გამომეტყველება ჰქონდა. ჰერმიონს სიტყვა არ დაუძრავს, ისე აუჩქარა ნაბიჯს და ნევილთან ერთად გააგრძელა გზა.

– იმედია, აპარაციის გაკვეთილებზე კარგად გავერთობით, არა? – ისეთი ტონით თქვა რონმა, რომ ჰარისათვის ცხადი გახდა, მომხდარის შესახებ კრინტი არ უნდა დაეძრა.

– რა ვიცი, – უპასუხა ჰარიმ, – ალბათ, დამოუკიდებლად თუ იყენებ, უკეთესია. მე დიდად ვერ ვისიამოვნე, როცა დამბლდორმა თან გამიყოლა.

– დამავიწყდა, რომ შენ უკვე გამოსცადე აპარაცია... იმედი მაქვს, გამოცდას, ფრედისა და ჯორჯის მსგავსად, პირველივე ცდაზე ჩავაბარებ, – აღელდა რონი.



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სამაგიეროდ, ჩარლი ხომ ჩაიჭრა?

– კი, მაგრამ ჩარლი ჩემზე ჩასკვნილია, – რონმა გორილასავით გაშალა მკლავები, – ამიტომ ფრედი და ჯორჯი მისი თანდასწრებით ენას კბილს აჭერდნენ... ყოველ შემთხვევაში, პირში დაცინვას ვერ უბედავდნენ...

– როდის უნდა ჩავაბაროთ გამოცდა?

– როგორც კი ჩვიდმეტი წლისები გავხდებით. ესე იგი, მე მარტში მიწევს!

– კი მაგრამ, აქ, ციხე-კოშკში ხომ აპარაცია შეუძლებელია?

– მერე რა. მთავარი ისაა, ყველამ იცოდეს, რომ თუ მოვინდომეთ, აპარაციას მშვენივრად შევძლებთ.

ამ ახალი ამბით მხოლოდ რონი არ იყო აღფრთოვანებული. მომავალი გაკვეთილები მთელი დღის განმავლობაში ყველას პირზე ეკერა. ყოველ კუთხეში გაცხოველებული სჯა-ბაასი გაემართათ იმის შესახებ, თუ როგორი იქნებოდა სურვილისამებრ გაქრობა და გაჩენა.

– რა მაგარი იქნება, როცა შევძლებთ, აი, ასე... – სიმუსმა გაქრობის აღსანიშნავად თითები გაატკაცუნა, – ჩემი ბიძაშვილი ფერგუსი ამას ჩემს გასაბრაზებლად აკეთებს. აი, დამაცადოს, მეც რომ შევძლებ... მერე წამითაც არ მოვასვენებ.

ასეთ ბედნიერ ფიქრებში ჩაფლულმა სიმუსმა ჯადოსნური ჯოხი ზედმეტი ენთუზიაზმით მოიქნია და წყლის შადრევნის გადმოფრქვევის ნაცვლად, რაც იმ დღეს შელოცვების გაკვეთილზე ჰქონდათ დავალებული, შლანგივით გაასხა წყლის მძლავრი ნაკადი, რომელიც ჭერზე ასხლტა, პროფესორ ფლიტვიკს დაეტაკა და წააქცია.

– ჰარის უკვე გამოუყენებია აპარაცია, – აცნობა რონმა სიმუსს, მას შემდეგ, რაც პროფესორმა ფლიტვიკმა ჯადოსნური ჯოხის აქნევით თავი გაიშრო და სიმუსი შემდეგი სიტყვების გამოწერით დასაჯა: „მე ჯადოქარი ვარ და არა ჯოხის მქნეველი ბაბუინი“, – დამბ... ისა... ვიღაცასთან ერთად, რა... თანააპარაციით, ხომ იცი.

– ვა�ა! – წაიჩურჩულა სიმუსმა. ის, დინი და ნევილი ჰარის მიაჩერდნენ, რათა მოესმინათ, როგორ შეგრძნებას იწვევდა აპარაცია. იმ დღეს ჰარის სხვა მეექვსეკურსელებმაც დააყარეს კითხვები და სთხოვეს, აპარაციის განცდა აღეწერა. ყველანი დაფრთხნენ, თუმცა, მონდომება არ განელებიათ, როცა ჰარიმ უამბო, რა უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა გაქრობისას. საღამოს რვას ათი წუთი აკლდა და ჰარის მაინც არ ასვენებდნენ კითხვებით. ამიტომ იძულებული გახდა, მოემიზეზებინა, ბიბლიოთეკაში წიგნი უნდა დავაბრუნოო, რათა ცნობისმოყვარეებისაგან თავი დაეღწია და დამბლდორის გაკვეთილზე დროულად მისულიყო.



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დამბლდორის კაბინეტში ფარნები ენთო, ჰოგვორტსის უწინდელი დირექტორების პორტრეტები ჩარჩოებში უშფოთველად ხვრინავდნენ. საფიქრელა კვლავაც საწერ მაგიდაზე იდგა.

დამბლდორს ხელები საფიქრელასთვის შემოელაგებინა. გაშავებულ და დამწვარ მარჯვენა ხელს არავითარი სასიკეთო ცვლილება არ ემჩნეოდა და ჰარის, ალბათ, უკვე მეასედ გაუკვირდა, ნეტავ, რამ დაუწვა ასე საშინლად, რომ დღემდე ვერ მოურჩაო, მაგრამ არაფერი უკითხავს. დამბლდორი შეჰპირდა, რომ თავის დროზე ყველაფერს უამბობდა, თანაც ახლა სულ სხვა თემაზე სურდა დირექტორთან საუბარი. მაგრამ სანამ სნეიპისა და მალფოის თაობაზე რამეს იტყოდა, დამბლდორმა დაასწრო:

– როგორც გავიგე, შობაზე მაგიის მინისტრს შეხვედრიხარ.

– დიახ, – მიუგო ჰარიმ, – ჩემით დიდად კმაყოფილი არ დარჩენილა.

– ეჰ, – ამოიოხრა დამბლდორმა, – ჩემითაც უკმაყოფილოა. მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ ამის გამო ძაძებით კი არ შევიმოსოთ, ჰარი, არამედ ბრძოლა განვაგრძოთ.

ჰარიმ ჩაიღიმა.

– უნდოდა, მთელი ჯადოქრული საზოგადოებისათვის გამომეცხადებინა, რომ სამინისტრო თავის საქმეს გადასარევად ასრულებს.

დამბლდორს გაეღიმა.

– იცი, ეს, თავდაპირველად, ფაჯის იდეა იყო. პოსტზე დარჩენილი უკანასკნელი დღეების განმავლობაში, როცა სასოწარკვეთით ებღაუჭებოდა სავარძელს, შენთან შეხვედრას ცდილობდა იმ იმედით, რომ მხარს დაუჭერდი...

– მას შემდეგ, რაც შარშან ფაჯმა დამმართა? – გაცხარდა ჰარი, – ამბრიჯის შემდეგ?

– კორნელიუსი გავაფრთხილე, ეს გამორიცხულია-მეთქი, მაგრამ შემდეგ ეს აზრი სხვებმა აიტაცეს. სკრიმჯერს მისი დანიშვნიდან რამდენიმე საათში ვესაუბრე და მთხოვა, როგორმე შენთან შემეხვედრებინა...

– აი, თურმე რატომ მოგსვლიათ უთანხმოება! – წამოისროლა ჰარიმ, – ამაზე „დილის მისანი“ წერდა.

– „მისანმა“ ზოგჯერ სიმართლეც ხომ უნდა გააშუქოს, – აღნიშნა დამბლდორმა, – უნებურად მაინც. დიახ, სწორედ ამიტომ შევლაპარაკდით. მიუხედავად ამისა, რუფუსს ბოლოს მაინც მოუხერხებია შენი კუთხეში მიმწყვდევა.

– მითხრა, „თხემით ტერფამდე დამბლდორის კაცი ხარო“.

– რა უხეშად გამოსვლია.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე ვუთხარი, ვარ-მეთქი.

დამბლდორმა რაღაცის სათქმელად გააღო პირი და ისევ მოკუმა. ჰარიმ შეამჩნია, რომ დირექტორს ნათელი ცისფერი თვალები აუწყლიანდა, ამიტომ თავი უხერხულად იგრძნო და სასწრაფოდ თავის მუხლებს დააჩერდა. მაგრამ, როდესაც დამბლდორმა დაილაპარაკა, მისი ხმა საკმაოდ მტკიცედ ჟღერდა.

– გული ძალიან ამიჩუყე, ჰარი.

– სკრიმჯერს აინტერესებდა, სად დადიხართ, როცა ჰოგვორტსში არ იმყოფებით, – აუწყა ჰარიმ, რომელიც კვლავ დაჟინებით დასცქეროდა თავის მუხლებს.

– დიახ, ამ მხრივ ზედმეტ ცნობისმოყვარეობას იჩენს, – გახალისდა დამბლდორი, – ისიც კი სცადა, ჩემთვის მოთვალთვალე მოეჩინა. სასაცილოა, არა? დოულიში ჩამიყენა კვალში. ეს კი უსამართლობაა. ერთხელ უკვე გავხდი იძულებული, დოულიშისათვის შემელოცა. და, ჩემდა სამწუხაროდ, კვლავაც მომიწია ამის გაკეთება.

– ესე იგი, არ იციან, სად დადიხართ? – ჰკითხა ჰარიმ. იმედი ჰქონდა, რომ ამ დამაინტრიგებელ თემაზე მეტ ინფორმაციას მიიღებდა, მაგრამ დამბლდორმა მხოლოდ ღიმილით გადახედა ნახევარმთვარისებური სათვალის ზემოდან.

– არა, არ იციან და ჯერჯერობით შენთვისაც ადრეა ამისი ცოდნა. ახლა კი, მოდი, დავიწყოთ გაკვეთილი, თუ სხვა აღარაფერი გაქვს...

– დიახ, რაღაც მაქვს სათქმელი, სერ, – შეაწყვეტინა ჰარიმ, – ეს მალფოისა და სნეიპს ეხება.

– პროფესორ სნეიპს, ჰარი.

– დიახ, სერ. მათ საუბარს მოვკარი ყური პროფესორ სლაგჰორნის წვეულებაზე... უფრო სწორად, მათ უკან გავყევი და...

დამბლდორმა ჰარის მონათხრობი გულგრილად მოისმინა. როდესაც ჰარიმ მოყოლა დაასრულა, რამდენიმე წამის განმავლობაში დუმდა, შემდეგ კი თქვა:

– გმადლობ, რომ ეს ყველაფერი მითხარი, ჰარი, მაგრამ გირჩევ, თავიდან ამოიგდო. ჩემი აზრით, ეს მნიშვნელოვანი სულაც არ არის.

– მნიშვნელოვანი არ არის? – ყურებს არ დაუჯერა ჰარიმ – პროფესორო, ნუთუ ვერ გაიგეთ...

– გავიგე, ჰარი, საბედნიეროდ, იშვიათი გონებით ვარ დაჯილდოებული და შენი ნათქვამიდან ყველაფერი მშვენივრად გავიგე, – ცოტა არ იყოს, მკაცრად მოუჭრა დამბლდორმა, – შეგიძლია, ისიც ივარაუდო, რომ შენზე მეტს მივხვდი. ისევ გიმეორებ, მოხარული ვარ, რომ გამენდე, მაგრამ ნება მომეცი, დაგარწმუნო, რომ ისეთი არაფერი გითქვამს, რაც მე მოსვენებას დამიკარგავდა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი ხმას არ იღებდა, დამბლდორს შუბლშეკრული მისჩერებოდა და ლამის გული გასკდომოდა. რა ხდებოდა? ნუთუ ეს იმას ნიშნავდა, რომ დამბლდორმა მართლა დაავალა სნეიპს მალფოის საქმიანობის გარკვევა? ასეთ შემთხვევაში ხომ უკვე გაგონილი ექნებოდა ეს ყველაფერი სნეიპისაგან? იქნებ, მართლა აღელვებდა ის, რაც მოისმინა, და, უბრალოდ, არ ამჟღავნებდა?

– ესე იგი, სერ, – რაც შეეძლო თავაზიანი, მშვიდი ხმით დაიწყო ჰარიმ, – თქვენ კვლავ ენდობით...

– მე უკვე რამდენჯერმე მეყო მოთმინება და გიპასუხე ამ კითხვაზე, – თქვა დამბლდორმა, რომლის ხმაში მოთმინება ნამდვილად აღარ იგრძნობოდა, – და ჩემი პასუხი უცვლელია.

– სავსებით გეთანხმებით, – გაისმა ცბიერი ხმა. ფინეას ნაიჯელუსს აშკარად არ ეძინა, მხოლოდ თავს იმძინარებდა. დამბლდორმა მას ყური არ ათხოვა.

– ახლა კი, ჰარი, დაჟინებით მოვითხოვ, საქმეს შევუდგეთ. ამ საღამოს ბევრად უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე უნდა გესაუბრო.

ჰარი აღშფოთებული იყო. რა იქნებოდა, გაკვეთილის დაწყებაზე უარი ეთქვა და მალფოის საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანა გაეგრძელებინა? დამბლდორმა, თითქოს ჰარის აზრები წაიკითხაო, თავი გააქნია.

– ეჰ, ჰარი, რა ხშირად ხდება ეს საუკეთესო მეგობრებს შორისაც კი! თითოეულ ჩვენგანს სჯერა, რომ თავისი სათქმელი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოსაუბრისა!

– მე არ ვფიქრობ, რომ ის, რის თქმასაც თქვენ აპირებთ, უმნიშვნელოა, სერ, – ცივად თქვა ჰარიმ.

– ჰოდა, არც ცდები, რადგან ეს ძალიანაც მნიშვნელოვანია, – გამოფხიზლდა დამბლდორი, – დღეს ორი მოგონება უნდა გაჩვენო. ორივე დიდი გაჭირვებით მოვიპოვე და მათგან მეორე, ჩემი აზრით, ყველა იმ მოგონებაზე მნიშვნელოვანია, რაც კი ხელში ჩამვარდნია.

ჰარიმ არაფერი უპასუხა. ის ჯერაც აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ მისი კონფიდენციალური ინფორმაცია ასე მიიღეს, მაგრამ კამათის გაგრძელებით რას მოიგებდა?

– მაშ, ასე, – მჟღერი ხმით წარმოთქვა დამბლდორმა, – დღეს ჩვენ ტომ რიდლის ამბავს გავაგრძელებთ, რომელიც წინა გაკვეთილზე ჰოგვორტსის ზღურბლთან მივატოვეთ. ხომ გახსოვს, როგორი აღტაცებით შეხვდა იმ ამბავს, რომ ჯადოქარი იყო. დაიწყო სასწავლო წელი და ტომ რიდლი სკოლაში ჩამოვიდა. გამონაცვალ ტანსაცმელში გამოწყობილი წყნარი ბიჭუნა კლუბებში გასანაწილებლად სხვა პირველკურსელებთან ერთად ჩადგა რიგში. რა წამსაც გამანაწილე-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბელი ქუდი მის თავს შეეხო, უმალვე სლიზერინის კლუბში გაამწესა, – გააგრძელა დამბლდორმა და გაშავებული ხელით თავზემოთ თაროზე ანიშნა, სადაც ძველისძველი გამანაწილებელი ქუდი გაუნძრევლად იდო, – რამდენად სწრაფად შეიტყო რიდლმა, რომ მისი კლუბის სახელგანთქმულ დამაარსებელსაც შეეძლო გველებთან საუბარი, არ ვიცი, შეიძლება, იმავე საღამოს. ამის ცოდნამ, ალბათ, უფრო მეტად აღაფრთოვანა და გაადიდგულა. შეიძლება სლიზერინელი კურსელების დაშინებისა და მათზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით საერთო ოთახში პარსულად ლაპარაკობდა კიდეც, მაგრამ ამას პედაგოგების ყურამდე არ მიუღწევია. გარეგნულად ქედმაღლობასა თუ აგრესიას არ ავლენდა. განსაკუთრებული ნიჭის მქონე და სასიამოვნო გარეგნობის ობოლმა, ბუნებრივია, სკოლაში მოსვლის დღიდანვე მასწავლებელთა ყურადღება და სიმპათია დაიმსახურა. ერთი შეხედვით, ზრდილობიანი, წყნარი და ცოდნას მოწყურებული ბავშვი ჩანდა. მის მიმართ თითქმის ყველანი დადებითად განეწყვნენ.

– სერ, სხვებისათვის არ გითქვამთ, როგორი იყო ის, როცა თავშესაფარში გაიცანით? – ჰკითხა ჰარიმ.

– არა, არ მითქვამს. მართალია, მას სინდისის ქენჯნის კვალიც კი არ ეტყობოდა, მაგრამ, ხომ შეიძლებოდა, რომ ნანობდა თავის უწინდელ ქცევას და ცხოვრებაში ახალი ფურცლის გადაშლა უნდოდა. მე გადავწყვიტე, მისთვის ამის შანსი მიმეცა.

დამბლდორი დადუმდა და კითხვის გამომხატველი მზერით შეხედა ჰარის, რომელმაც რაღაცის თქმა დააპირა. აი, კვლავ იჩინა თავი დამბლდორის თვისებამ, ნდობოდა მათ, ვინც ამას აშკარად არ იმსახურებდა! მაგრამ ჰარის უცებ სხვა რამე გაახსენდა...

– სერ, თქვენ ხომ სინამდვილეში არ ენდობოდით! მან მითხრა... დღიურიდან გადმოსულმა რიდლმა თქვა, დამბლდორს სხვა მასწავლებლების მსგავსად არ ვეხატებოდი გულზეო.

– მოდი, ასე ვთქვათ, მე არ მიმაჩნდა, რომ მთლად სანდო იყო, – თქვა დამბლდორმა. – როგორც უკვე აღვნიშნე, გადაწყვეტილი მქონდა, მასზე თვალი მჭეროდა, და ასეც მოვიქეცი. ვერ მოგატყუებ, რომ თავიდან ჩემმა დაკვირვებებმა დიდი შედეგი გამოიღო. ჩემთან ძალიან ფრთხილობდა. ეტყობა გრძნობდა, რომ თავისი ნამდვილი ვინაობის აღმოჩენით გამოწვეული მღელვარებისას საჭიროზე მეტი მითხრა. ამიტომ ცდილობდა, თავი ასე აღარ გაემჟღავნებინა, მაგრამ იმ სიტყვებს უკან ხომ ვეღარ წაიღებდა, რაც მაშინ აღტაცებულს წამოსცდა, და ვერც იმას, რაც მე ქალბატონმა კოულმა გამანდო. თუმცაღა, მას ეყო ჭკუა და არ ცდილობდა ჩემს მოხიბვლას. სკოლაში სწავლის პერიოდში მან გარს შემოიკრიბა ერთგული მეგობრები. მე მათ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მეგობრებს ვუწოდებ, რადგან უფრო ზუსტი სიტყვა ვერ შევარჩიე, თუმცა, როგორც ერთხელ უკვე გითხარი, რიდლს დიდად არც ერთი მათგანი არ ეხატებოდა გულზე. მის სამეგობრო წრეში შედიოდნენ სუსტნი, რომლებიც ძლიერთა მფარველობას ეძებდნენ; ამბიციურები, რომლებიც დიდებისკენ მიისწრაფოდნენ; და თავზეხელაღებულები, რომლებიც ისეთ ლიდერს ეძებდნენ, ვინც მათ სისასტიკის უფრო დახვეწილ ფორმებს ასწავლიდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი „სიკვდილის მხვრელთა" წინამორბედნი იყვნენ და ზოგიერთი მათგანი ჰოგვორტსის დამთავრების შემდეგ მართლაც „სიკვდილის მხვრელი" გახდა. რიდლი მკაცრად აკონტროლებდა მათ, ამიტომ ისინი არასოდეს შეუმჩნევიათ ღია ბოროტმოქმედებაში. მიუხედავად ამისა, იმ შვიდი წლის განმავლობაში, რაც მათ ჰოგვორტსში დაჰყვეს, რამდენიმე უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. ამ შემთხვევებთან მათ უშუალო კავშირი თითქოს არ ჰქონიათ. ყველაზე სერიოზული შემთხვევა, რა თქმა უნდა, საიდუმლო ოთახის გახსნა იყო, რის შედეგადაც გოგონა დაიღუპა. როგორც იცი, ამ დანაშაულში შეცდომით ჰაგრიდს დასდეს ბრალი. ჰოგვორტსში რიდლის ცხოვრების შესახებ ბევრი მოგონება ვერ ვიგდე ხელთ, – დამბლდორმა გაშავებული ხელი საფიქრელას დაადო, – სკოლისდროინდელ ნაცნობთაგან თითო-ოროლა თუ დამთანხმდა, მასზე ესაუბრა. დანარჩენები შიშით ხმას ვერ იღებდნენ. მათგან კი, ვინც დავითანხმე, შევიტყვე, რომ რიდლი ავადმყოფურად აღიქვამდა თავისი წარმომავლობის საკითხს. ეს არცაა გასაკვირი. ის ხომ ობოლთა თავშესაფარში გაიზარდა და, ბუნებრივია, აინტერესებდა, იქ როგორ მოხვდა. როგორც ჩანს, მან უშედეგოდ ეძება უფროსი ტომ რიდლის კვალი ჯილდოების ოთახში თასებზე, სკოლის ძველ ჩანაწერებში, პრეფექტების სიაში, ჯადოქართა ისტორიის წიგნებშიც კი. ბოლოს იძულებული გახდა, შეჰგუებოდა იმ ფაქტს, რომ მამამისს ჰოგვორტსში ფეხი არასდროს დაედგა. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ მაშინ თქვა ერთხელ და სამუდამოდ უარი თავის სახელზე, ლორდი ვოლდემორის სახე შექმნა და შეუდგა დედის ოჯახის ვინაობის გარკვევას, რომელსაც უწინ ზიზღით ეკიდებოდა, რადგან ეგონა, დედამისი ჯადოქარი რომ ყოფილიყო, არ დანებდებოდა ადამიანთა მოდგმის სამარცხვინო სისუსტეს – სიკვდილს. მისთვის ერთადერთ ხელჩასაჭიდს სახელი „მერვოლო" წარმოადგენდა. თავშესაფრის მესვეურთაგან იცოდა, რომ ეს დედამისის მამის სახელი იყო. ბოლოს და ბოლოს, ჯადოქრული დინასტიებისადმი მიძღვნილ ძველისძველ წიგნებში გამალებული ძიების შემდეგ სლიზერინის გადარჩენილი შტოს არსებობის შესახებ შეიტყო. თექვსმეტი წლისა რომ გახდა, ზაფხულის არდადეგებზე დატოვა თავშესაფარი, რომელშიც ყოველ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წელს ბრუნდებოდა ხოლმე სკოლიდან, და თავისი ნათესავების – გონტების – საძებნელად გასწია. ახლა კი, ჰარი, თუ შეიძლება, წამოდექი...

დამბლდორი ადგა და ჰარიმ დაინახა, რომ მას ხელში მარგალიტისფერი მოგონებით სავსე მომცრო ბროლის ბოთლი ეჭირა.

– ძალიან გამიღიმა ბედმა, რომ ეს ვიშოვე, – დამბლდორმა ბრწყინავი ნივთიერება საფიქრელაში ჩაასხა, – ამას თავადაც მიხვდები, როცა შენი თვალით ნახავ. წავიდეთ?

ჰარი ქვის ჯამს მიუახლოვდა და მორჩილად დაიხარა, სანამ სახით მოგონების ზედაპირს არ შეეხო. ნაცნობი შეგრძნება დაეუფლა: თითქოს სიცარიელეში ვარდებოდა, ბოლოს სრულ წყვდიადში, ჭუჭყიანი ქვის იატაკზე დაეშვა.

რამდენიმე წამი დასჭირდა, სანამ უკუნ სიბნელეს თვალს შეაჩვევდა და იმ ადგილს იცნობდა. ამასობაში, მის გვერდით დამბლდორიც დაეშვა. გონტების მუდამ ჭუჭყიანი სახლი ახლა ენით აუწერლად ბინძური იყო. ჭერი სქლად დაეფარა აბლაბუდებს, იატაკს ჭუჭყის ფენა გადაჰკვროდა, მაგიდაზე დაობებული და დამპალი საკვები დაჟანგულ ქოთნებს შორის ეყარა. სინათლის ერთადერთ წყაროს მამაკაცის ფეხებთან მდგარი მიმქრალი სანთელი წარმოადგენდა. კაცს ისე გაბარდოდა თმაწვერი, რომ არც თვალები უჩანდა, არც პირი. ბუხრის ახლოს სავარძელზე მიგდებულიყო. ჰარიმ წამით ისიც კი გაიფიქრა, ნეტავ, ცოცხალი თუ არისო. უეცრად კარზე მთელი ძალით დააბრახუნეს. კაცი შეხტა და გაელვიძა, მარჯვენა ხელში ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა, მარცხენაში კი – ჯაყვა.

კარი ჭრიალით გაიღო. ზღურბლზე ბიჭი იდგა. ხელში ძველებური ფარანი ეჭირა. ჰარიმ იმწამსვე იცნო მაღალი, ფერმკრთალი, შავთმიანი და სიმპათიური ახალგაზრდა ვოლდემორი.

ვოლდემორმა ქოხს თვალი აუჩქარებლად მოავლო და სავარძელში მჯდარ კაცზე შეაჩერა. რამდენიმე წამით ერთმანეთს თვალი გაუშტერეს, შემდეგ კაცი ბარბაცით წამოდგა, მის ფეხებთან მდგარი ცარიელი ბოთლები ზრიალ-წკრიალით გაგორდა იატაკზე.

– შენ ხარ?! – დაიღრიალა მან, – შენ!

ჯადოსნური ჯოხისა და დანის ქნევით მთვრალივით ფეხარეული გაექანა რიდლისაკენ.

– შეჩერდი!

რიდლმა პარსულად დაილაპარაკა. მამაკაცი მაგიდას დაეტაკა და ობიანი ქვაბები იატაკზე ზრიალით გადმოყარა. იგი რიდლს მიაჩერდა. ხანგრძლივი დუმილი ჩამოწვა, ორივენი ერთმანეთს ათვალიერებდნენ. სიჩუმე მამაკაცმა დაარღვია:

– ეს ენა იცი?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კი, ვიცი, – თქვა რიდლმა და ოთახში შევიდა. კარი მის ზურგს უკან მოსხლეტით მიჯახუნდა. ჰარიმ თავისდა უნებურად მოწიწება იგრძნო: ვოლდემორი სრულიად არ განიცდიდა შიშს, მისი სახე მხოლოდ ზიზღსა და, თითქოს, იმედგაცრუებასაც გამოხატავდა.

– მერვოლო სად არის? – იკითხა მან.

– მკვდარია, – მიუგო კაცმა, – რა ხანია, მოკვდა.

რიდლმა წარბი შეიკრა.

– შენ ვინა ხარ?

– მორფინი.

– მერვოლოს შვილი?

– აბა, სხვა ვინ ვიქნები...

მორფინმა რიდლის უკეთ დასანახავად დაუბანელი სახიდან თმა გადაიწია და ჰარიმ მარჯვენა ხელზე მერვოლოს დანატოვარი შავთვლიანი ბეჭედი დაუნახა.

– მე კი ის მაგლი მეგონე, – დაიჩურჩულა მორფინმა, – გაჭრილი ვაშლივით ჰგავხარ იმ მაგლს.

– რომელ მაგლს? – მკვახედ ჰკითხა რიდლმა.

– იმ მაგლს, რომელზეც ჩემი და გიჟდებოდა. გზის გადაღმა, დიდ სახლში ცხოვრობს, – დააზუსტა მორფინმა და იატაკზე დააფურთხა, – ზედგამოჭრილი ის მაგლი ხარ. რიდლი. მაგრამ ის ახლა შენზე უფროსი არ უნდა იყოს? ჰო, შენზე უფროსია, ახლაღა გამახსენდა...

მორფინი რეტდასხმულივით ირწეოდა, თავის შესამაგრებლად მაგიდის კიდეს ებღაუჭებოდა.

– ისევ სახლში დაბრუნდა, – დაამატა სულელურად. ვოლდემორი მორფინს თვალს არ აშორებდა, თითქოს მის შესაძლებლობებს აფასებსო. ცოტაც მიუახლოვდა და ჰკითხა:

– რიდლი დაბრუნდა?

– ჰო, ჩემი და მიაგდო. ასეც მოუხდებოდა იმ ნაგავს! რა ეგონა, ცოლად რომ მიჰყვებოდა,– მორფინმა ისევ დააფურთხა იატაკზე, – თანაც, გაგვძარცვა და ისე გაიქცა! სად არის მედალიონი, ჰა? სად არის სლიზერინის მედალიონი?

ვოლდემორმა არ უპასუხა. მორფინი ისევ გაფიცხდა, დანა მოიქნია და დაიღრიალა:

– იმ პატარა კახპამ სირცხვილი გვაჭამა! შენ ვინა ხარ, რომ აქ მოდიხარ და კითხვებს მაყრი? ის ამბავი დამთავრდა... მორჩა...

მან განზე გაიხედა და ოდნავ შეტორტმანდა, ამ დროს ვოლდემორმა წინ წაიწია. იმავე წუთს არაბუნებრივი სიბნელე ჩამოწვა და ვოლდემორის ფარანი და მორფინის სანთელი ჩააქრო, ყველაფერი შთანთქა...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დამბლდორმა ჰარის მკლავზე თითები მოუჭირა და ორივენი აწმყოსაკენ გამოცურდნენ. იმ უკუნი წყვდიადის შემდეგ დამბლდორის კაბინეტში მდგარმა ბაცმა ოქროსფერმა შუქმა ჰარის თვალი მოსჭრა.

– სულ ეს არის? – მაშინვე იკითხა ჰარიმ, – რატომ ჩამობნელდა? რა მოხდა?

– ის მოხდა, რომ მორფინს იმ წუთიდან აღარაფერი ახსოვდა, – დამბლდორმა ჰარის სკამზე ანიშნა, – მეორე დილით რომ გაიღვიძა, იატაკზე მარტოდმარტო იწვა, მერვოლოს ბეჭედი კი გამქრალიყო. სწორედ ამ დროს ლიტლ-ჰენგლტონში მთავარ ქუჩაზე რიდლების შინამოსამსახურე გარბოდა და სოფელს კივილით ამცნობდა, რომ დიდი სახლის სასტუმრო ოთახში სამი გვამი ეგდო: ტომ რიდლი უფროსი და მისი მშობლები. მაგლი ძალოვნები საგონებელში ჩაცვივდნენ. მგონი, დღესაც არ იციან, როგორ დაიღუპნენ რიდლები, რადგანაც ავადა კედავრას წყევლა, ჩვეულებრივ, სხეულზე ძალადობის კვალს არ ტოვებს... გამონაკლისი ჩემ წინ ზის, – დასძინა დამბლდორმა და თავით ანიშნა ჰარის შუბლზე აღბეჭდილ ნაიარევზე, – მეორე მხრივ, მაგიის სამინისტრო მაშინვე მიხვდა, რომ ეს მკვლელობა ჯადოქრის ხელით იყო ჩადენილი. მათ ისიც იცოდნენ, რომ უკვე ნასამართლევი, მაგლების დაუძინებელი მტერი რიდლების სახლის მახლობლად, ველს გაღმა ცხოვრობდა. ეს მაგლთა მოძულე ერთხელ უკვე დააპატიმრეს ერთ-ერთ მოკლულზე თავდასხმისათვის. ასე და ამგვარად, სამინისტრომ მორფინი მოინახულა. მისი დაკითხვისთვის ვერიტაზერუმის ან ლეგილიმენციის გამოყენება არ გამხდარა საჭირო. მან დანაშაული ადგილზევე აღიარა და ჩვენებაში ისეთი დეტალები აღნიშნა, რაც მხოლოდ მკვლელს თუ ეცოდინებოდა. განაცხადა, რომ მაგლების დახოცვით ამაყობდა და ამ შანსს დიდხანს ელოდა. თავისი ჯადოსნური ჯოხი სამინისტროს თანამშრომლებს ჩააბარა და ამ ნივთმტკიცებით მაშინვე დადგინდა, რომ დანაშაული სწორედ ამ ჯოხით იყო ჩადენილი. წინააღმდეგობის გაწევა არც კი უცდია, ისე წაიყვანეს აზკაბანში. მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა – მამის ბეჭდის გაუჩინარება. „მამაჩემი მომკლავს, ბეჭედი თუ დავკარგე“, – უთავბოლოდ უმეორებდა მის შესაპყრობად მისულებს. როგორც ჩანს, ეს მისი ბოლო სიტყვები იყო. დარჩენილი სიცოცხლე აზკაბანში, მერვოლოს უკანასკნელი ოჯახური რელიკვიის გამოტირებაში გაატარა და ციხის ეზოში დაიმარხა იმ საბრალოებთან ერთად, რომელთაც ტყვეობაში ამოხდათ სული.

– მაშ, ვოლდემორმა მორფინს ჯადოსნური ჯოხი მოჰპარა და გამოიყენა? – წელში გაიმართა ჰარი.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სწორია, – თავი დაუქნია დამბლდორმა, – ჩვენ ამის დამამოწმებელი მოგონებები არ მოგვეპოვება, მაგრამ შეგვიძლია, მიახლოებით გამოვიცნოთ, რა მოხდა. ვოლდემორმა ბიძამისი შელოცვით გათიშა, მისი ჯადოსნური ჯოხი აიღო და ველს გაუყვა „გზის გადაღმა დიდი სახლისაკენ“. იქ მან მოკლა ტომ რიდლი უფროსი, რომელმაც დედამისი მიატოვა, და გულის მოსაოხებლად ბებია-პაპაც მიაყოლა. ამგვარად მოსპო მან რიდლების გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი, შური იძია მამაზე, რომელმაც მასზე უარი თქვა. შემდეგ კი გონტების მიწურში დაბრუნდა, შეასრულა რთული ჯადოქრობა, რითაც ბიძამისს გონებაში მცდარი მეხსიერება ჩაუნერგა, მორფინის ჯადოსნური ჯოხი გრძნობადაკარგულ მფლობელს გვერდით დაუდო, თითიდან ანტიკვარული ბეჭედი წააძრო და იქაურობას გაშორდა.

– მორფინი ვერასდროს მიხვდა, რომ ეს თვითონ არ ჩაუდენია?

– ვერასდროს, – თავი გააქნია დამბლდორმა, – მან, როგორც გითხარი, მთლიანად, თანაც თავმომწონედ აღიარა დანაშაული.

– მაგრამ ეს ნამდვილი მოგონება ხომ ყოველთვის ჰქონდა გონებაში?

– დიახ, მაგრამ რომ არა ჩემი გაწაფულობა ლეგილიმენციაში, ამ მოგონებას მას ვერაფრით დავტყუებდი, – თქვა დამბლდორმა, – ვის რაში დასჭირდებოდა მორფინის გონებაში ღრმად ქექვა, როცა მან უკვე აღიარა დანაშაული? მიუხედავად ამისა, მე მაინც მოვიპოვე მორფინის ნახვის უფლება მის სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე. ამ დროისათვის მე უკვე ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა მეტი შემეტყო ვოლდემორის წარსულის შესახებ. ეს მოგონება დიდი გაჭირვებით ამოვქაჩე მისი გონებიდან. როდესაც მისი შინაარსი ვიხილე, შევეცადე, მისი საშუალებით მორფინი აზკაბანიდან გამეთავისუფლებინა, მაგრამ სანამ სამინისტრო შესაბამის დადგენილებას გამოიტანდა, მორფინი გარდაიცვალა.

– კი მაგრამ, რატომ ვერ მიხვდა სამინისტრო, რომ მორფინს ეს ყველაფერი ვოლდემორმა მოუწყო? – გაბრაზდა ჰარი, – მაშინ ის ხომ არასრულწლოვანი იყო. მე მეგონა, რომ მათ შეუძლიათ არასრულწლოვანთა ჯადოქრობის ადგილმდებარეობის განსაზღვრა!

– მართალი ხარ, მათ შეუძლიათ ჯადოქრობის ადგილის განსაზღვრა, მაგრამ, არა – დამნაშავისა: ხომ გახსოვს, რომ სამინისტრომ ლივლივის შელოცვაში შენ დაგადანაშაულა, როცა სინამდვილეში ეს შელოცვა გამოიყენა...

– დობიმ, – დაიღრინა ჰარიმ, ასეთი უსამართლობა დღესაც კი გულს უკლავდა, – ესე იგი, თუ არასრულწლოვანი ხარ და სრულწლოვანი ჯადოქრის სახლში იჯადოქრებ, სამინისტრო ვერაფერს მიხვდება?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ისინი ვერ გაარჩევენ, ვინ შეასრულა ჯადოქრობა, – დამბლდორს ჰარის აღშფოთებული სახის დანახვაზე გაეღიმა – ისინი ჯადოქრის მშობლებს ანდობენ სკოლის გარეთ თავიანთი პირმშოსათვის ყურადღების მიქცევას.

– რა სისულელეა, – გამწარდა ჰარი, – ნახეთ, რა დამემართა მე. ნახეთ, რა დაემართა მორფინს!

– გეთანხმები, – კვერი დაუკრა დამბლდორმა, – როგორიც უნდა ყოფილიყო მორფინი, ასეთი სიკვდილი მაინც არ დაუმსახურებია. ის ხომ იმ მკვლელობებში ბრალდებული მოკვდა, რომლებიც არ ჩაუდენია. მაგრამ უკვე გვიანდება, მე კი, სანამ ერთმანეთს დავემშვიდობებით, მეორე მოგონების ჩვენებაც მინდა მოვასწრო...

დირექტორმა გულის ჯიბიდან კიდევ ერთი ბროლის შუშა ამოიღო და ჰარი მაშინვე დადუმდა: გაახსენდა დამბლდორის სიტყვები: ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მოგონებაა, რაც კი ხელში ჩამვარდნიაო. ჰარიმ შეამჩნია, რომ ბოთლის შიგთავსი ძნელად ჩაიცალა საფიქრელაში, თითქოს ოდნავ შედედებულაო. ნუთუ მოგონებებსაც გასდიოდა ვადა?

– ეს დიდხანს არ გაგრძელდება, – განაცხადა დამბლდორმა, როცა, ბოლოს და ბოლოს, დაცალა შუშა, – თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, რომ უკან დავბრუნდებით. აბა, ამ ერთხელაც შევაბიჯოთ საფიქრელაში...

და, აი, ჰარიმ ისევ გაარღვია ვერცხლისფერი ზედაპირი, ჯამში გადაეშვა და ამჯერად აღმოჩნდა ერთი კაცის ცხვირწინ, რომელიც მაშინვე იცნო.

ეს ბევრად უფრო ახალგაზრდა ჰორაციუს სლაგჰორნი გახლდათ. ჰარი ისე იყო შეჩვეული მელოტ სლაგჰორნს, რომ მისი გრუზა, მბზინავი, ჩალისფერი თმა, ცოტა არ იყოს, ეხამუშა. გეგონებოდა, პროფესორს თავი ჩალით გადაუხურესო, თუმცა უკვე მოუჩანდა გალეონის ზომაზე გამელოტებული მოლაპლაპე კეფა. ულვაში უფრო თხელი და წითური ჰქონდა, ვიდრე დღეს. ისეთი ჩაკურატებულიც არ იყო, როგორიც ის სლაგჰორნი, რომელსაც ჰარი იცნობდა. პატარა ფეხები ხავერდის პუფზე შემოეწყო, მოხერხებულფრთებიან სავარძელში მისვენებულიყო, ცალ ხელში ღვინის მომცრო ჭიქა ჩაებღუჯა, მეორეს კი დაშაქრული ანანასით სავსე ყუთში აფათურებდა.

ჰარიმ მიმოიხედა და დაინახა, რომ სლაგჰორნის კაბინეტში იდგა. სწორედ ამ დროს მის გვერდით დამბლდორიც დაეშვა. სლაგჰორნს ირგვლივ ექვსიოდე ბიჭი შემოსხდომოდა. ჰარიმ უმალ იცნო რიდლი. იქ მყოფთაგან ყველაზე სიმპათიური იყო და სხვა ბიჭებზე უფრო თავისუფლად ეჭირა თავი. ხელი დაუდევრად ესვენა სავარძლის


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სახელურზე. ჰარის გული გადაუქანდა: შეამჩნია, რომ რიდლს თითზე მერვოლოს ოქროსფერ-შავი ბეჭედი ეკეთა. ესე იგი, მამა უკვე მოკლული ჰყავდა.

– სერ, მართალია, რომ პროფესორი მერითოტი პენსიაზე გადის? – იკითხა რიდლმა.

– ტომ, ტომ, რომც მცოდნოდა, ვერ გეტყოდი, – სლაგჰორნმა დაშაქრული თითი საყვედურით დაუქნია რიდლს, მაგრამ ეს ეფექტი ოდნავ გააქარწყლა თვალის ჩაკვრით, – ისე, ძალიან მაინტერესებს, საიდან იღებ ამდენ ინფორმაციას, ბიჭუნავ. შენ უფრო ინფორმირებული ხარ, ვიდრე პედკოლექტივის ნახევარი.

რიდლმა გაიღიმა, დანარჩენმა ბიჭებმა გაიცინეს და მას აღფრთოვანებული მზერა შეავლეს.

– რომ აღარაფერი ვთქვათ შენს ზებუნებრივ უნარზე, ისეთი რამეები იცოდე, რისი ცოდნაც არ გევალება, და საჭირო ხალხთან პირფერობის ნიჭზე... ჰო, სხვათა შორის, დიდი მადლობა ანანასისათვის, სწორად გამოიცანი, ჩემი საყვარელი ნუგბარია...

ზოგიერთმა ბიჭმა ჩაიხითხითა. მოულოდნელად უცნაური რაღაც მოხდა. უცებ მთელი ოთახი ბლანტი, რძისფერი ნისლით აივსო და ჰარი გვერდით მდგარი დამბლდორის სახის გარდა ვეღარაფერს ხედავდა. შემდეგ ნისლიდან სლაგჰორნის ხმამ არაბუნებრივად ხმამაღლა გაიჟღერა:

– იცოდე, თავს წააგებ, ტომ, დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები! ნისლი ისევე უეცრად გაიფანტა, როგორც გამოჩნდა, მაგრამ იგი არავის უხსენებია. ყველა ისე გამოიყურებოდა, თითქოს უჩვეულო არაფერი მომხდარიყოს. შეცბუნებულმა ჰარიმ სწორედ იმ დროს შეხედა სლაგჰორნის მაგიდაზე მდგარ პატარა ოქროს საათს, როცა მან თერთმეტჯერ ჩამოჰკრა.

– ღმერთო ჩემო, ნუთუ ამდენი დრო გავიდა? – შესძახა სლაგჰორნმა, – აბა, ჩქარა მოუსვით აქედან, ბიჭებო, თორემ ყველას შავი დღე დაგვადგება. ლესტრეინჯ, ხვალისათვის თემა მომიმზადე, თორემ დამატებით სამუშაოს მოგისჯი. ეს შენც გეხება, ეივერი.

სლაგჰორნი სავარძლიდან ამოეტია და ცარიელი ჭიქა მაგიდისაკენ წაიღო. ბიჭები ოთახიდან გაიკრიფნენ. რიდლი მათ ჩამორჩა. ჰარიმ შეატყო, რომ ის განგებ აყოვნებდა, თითქოს სლაგჰორნთან ერთად ოთახში მარტო დარჩენა უნდაო.

– დაუჩქარე, ტომ, – თქვა სლაგჰორნმა, როცა შემოტრიალდა და რიდლი ისევ ადგილზე დახვდა, – ხომ არ გინდა, ამ შუაღამისას საძინებლის გარეთ დაგიჭირონ! არ დაგავიწყდეს, რომ პრეფექტი ხარ...

– სერ, რაღაც მინდა გკითხოთ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მკითხე, ჩემო ბიჭო, მკითხე.

– სერ, მაინტერესებს, რა იცით... ჰორკრუქსების შესახებ. და ისევ იგივე მოხდა: ოთახი ბლანტმა ნისლმა აავსო და ჰარი ვეღარც სლაგჰორნს ხედავდა, ვეღარც რიდლს, მხოლოდ დამბლდორი ჩანდა, რომელიც მის გვერდით მშვიდად იღიმებოდა. შემდეგ კვლავ უწინდებურად დასჭექა სლაგჰორნის ხმამ:

– ჰორკრუქსებზე არაფერი ვიცი და რომც მცოდნოდა, არ გეტყოდი! აბა, ახლა აქედან დამეკარგე და მეორედ არ გაბედო ჩემთან მათი ხსენება!

– აი, სულ ეს არის, – წყნარად უთხრა ჰარის დამბლდორმა, – დროა, დავბრუნდეთ.

ჰარი მოსწყდა იატაკს, ორიოდე წამიც და, დამბლდორის საწერი მაგიდის წინ ნოხზე დახტა.

– სულ ეს იყო? – უაზროდ იკითხა ჰარიმ.

დამბლდორმა კი თქვა, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მოგონებაა, მაგრამ ჰარი ვერაფრით ხვდებოდა, რით იყო ის ასეთი საყურადღებო. რა თქმა უნდა, ნისლი, რომელიც ვერავინ შეამჩნია, მართლაც, უცნაური იყო, მაგრამ სხვა არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ რიდლმა კითხვა დასვა და პასუხი ვერ მიიღო.

– ალბათ, შეამჩნიე, – მაგიდას მიუჯდა დამბლდორი, – რომ ეს მოგონება გაყალბებულია.

– გაყალბებული? – გაიმეორა ჰარიმ და თვითონაც დაჯდა.

– რა თქმა უნდა, – უთხრა დამბლდორმა, – პროფესორმა თავისი მოგონება შეცვალა.

– კი მაგრამ, რაში დასჭირდა შეცვლა?

– ჩემი აზრით, მას რცხვენია იმისი, რაც ახსოვს, – აუხსნა დამბლდორმა, – მან სცადა, გადაემუშავებინა თავისი მეხსიერება, რომ თავისი თავი უკეთ წარმოეჩინა. ხოლო ის ნაწილები, რომლებიც არ სურს, რომ ვნახო, ამოშალა. თავადაც შეამჩნევდი, რომ ეს ძალიან ტლანქად გამოუვიდა, ჩვენდა სასიკეთოდ, რადგან მან ვერ დამალა, რომ ნამდვილი მოგონება სადღაც, ამ ცვლილებებს მიღმა არსებობს. და, აი, პირველად გაძლევ საშინაო დავალებას, ჰარი: შენ გევალება, დაიყოლიო პროფესორი სლაგჰორნი, გაგიმხილოს ნამდვილი მოგონება, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება.

ჰარი გაოცებული მიაჩერდა.

– კი მაგრამ, სერ, – დაიწყო მან და შეეცადა, რაც შეიძლებოდა მეტი მოკრძალებით ელაპარაკა, – მე რაში გჭირდებით... თქვენ ხომ შეგიძლიათ, გამოიყენოთ ლეგილიმენცია ან ვერიტაზერუმი...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– პროფესორი სლაგჰორნი ერთობ მარჯვე ჯადოქარია და ამისთვის მზად იქნება, – მიუგო დამბლდორმა, – ის ბევრად უფრო გაწაფულია ოკლუმენციაში, ვიდრე საბრალო მორფინ გონტი, და ძალიან გამიკვირდებოდა, თან რომ არ დაჰქონდეს ვერიტაზერუმის საწინააღმდეგო საშუალება მას შემდეგ, რაც ვაიძულე, ჩემთვის ეს მოგონების პაროდია გადმოეცა. არა, ჩემი აზრით, სისულელე იქნებოდა, პროფესორ სლაგჰორნისაგან სიმართლის ძალით გამოგლეჯა. ამან შეიძლება უფრო მეტი ზიანი მოიტანოს, ვიდრე სიკეთე. სულაც არ მინდა, ის ჰოგვორტსიდან წავიდეს. თუმცა, ყველა ჩვენგანის მსგავსად, მასაც თავისი სისუსტეები აქვს და დარწმუნებული ვარ, რომ შენ ერთადერთი ხარ, ვისაც შეუძლია მისი სისუსტით ისარგებლოს. ნამდვილი მოგონების მოპოვება ძალიან მნიშვნელოვანია, ჰარი... რამდენად მნიშვნელოვანი, ამას შევიტყობთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას ვნახავთ. ასე რომ, წარმატებას გისურვებ... და ღამე მშვიდობისა.

ასეთი ანაზდეული დათხოვნით შეცბუნებული ჰარი სწრაფად წამოდგა.

– ღამე მშვიდობისა, სერ.

კაბინეტის კარი რომ გაიხურა, გარკვევით გაიგონა ფინეას ნაიჯელუსის ხმა:

– ვერ გამიგია, როგორ შეძლებს ბიჭი თქვენზე უკეთ ამის გაკეთებას, დამბლდორ.

– ვერც გაიგებთ, ფინეას, – უპასუხა დამბლდორმა. ფოუკსმა კი დაბალი, მელოდიური ბგერა გამოსცა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი მეთვრამეტე

# დაბადების დღის საჩუქარი

მეორე დღეს ჰარიმ რონსა და ჰერმიონს დამბდლორის დავალება გაუმხილა, ოღონდ – ცალ-ცალკე, რადგან ჰერმიონს მხოლოდ იმდენ ხანს შეეძლო რონის ატანა, რამდენიც მისთვის სიძულვილით თვალის შესავლებად დასჭირდებოდა.

რონისათვის რომ გეკითხათ, ჰარის სლაგჰორნთან არავითარი პრობლემა არ უნდა შექმნოდა.

– შენზე ჭკუას კარგავს, – უთხრა ჰარის საუზმობისას და ჩანგალზე წამოცმული ერბოკვერცხი პირისაკენ გააქანა, – უარს არაფერზე გეტყვის. თავის პატარა „შხამების პრინცს“ არ აწყენინებს. დღეს გაკვეთილის შემდეგ საკლასო ოთახში დარჩი და ჰკითხე.

სამაგიეროდ, ჰერმიონი ნაკლებ ოპტიმისტურად იყო განწყობილი.

– თუკი დამბლდორს არ გაუმხილა, რა მოხდა სინამდვილეში, ესე იგი, შენც დაგიმალავს სიმართლეს, – თქვა ხმადაბლა, როცა შესვენებაზე თოვლით დაფარულ, ცარიელ შიდა ეზოში იდგნენ, – ჰორკრუქსები, ჰორკრუქსები... პირველად მესმის.

– პირველად გესმის?

ჰარის გული დასწყდა. იმედი ჰქონდა, რომ ჰერმიონს მაინც ეცოდინებოდა, რა იყო ეს ჰორკრუქსები.

– ალბათ, მართლა ურთულესი შავი მაგიაა, თორემ რატომ დააინტერესებდა ვოლდემორს? მე ვფიქრობ, ინფორმაციის მოძიება ძალიან გაჭირდება, ჰარი. ფრთხილად უნდა მიუდგე სლაგჰორნს. რამე სტრატეგია შეიმუშავე...

– რონი ფიქრობს, რომ საკმარისია, დღეს შხამ-წამლების გაკვეთილის ბოლოს...

– აბა, თუ ვან-ვანი ასე ფიქრობს, კი უნდა დაუჯერო! – აღშფოთ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ჰერმიონი, – ბოლოს და ბოლოს, როდის გამოუთქვამს ვან-ვანს მცდარი აზრი?!

– ჰერმიონ, ნუთუ არ შეგიძლია...

– არა! – მიახალა ჰერმიონმა, ეზოდან გავარდა და თოვლში კოჭებამდე ჩაფლული ჰარი მარტოდმარტო დატოვა.

ამ ბოლო ხანს ჰარი შხამ-წამლების გაკვეთილებზე უხერხულობას გრძნობდა, რადგან მას, რონსა და ჰერმიონს გვერდიგვერდ უწევდათ მუშაობა. იმ დღეს კი ჰერმიონმა ქვაბი მაგიდის ბოლოში გააცოცა და ერნის მიუჯდა გვერდით.

– შენ რაღა დაუშავე? – წასჩურჩულა რონმა ჰარის, მაგრამ სანამ ჰარი პასუხს გასცემდა, ოთახში სლაგჰორნი შემოვიდა და სიჩუმე მოითხოვა.

– დასხედით, დასხედით, გეთაყვა! დაუჩქარეთ, დღეს ბევრი სამუშაო გვაქვს! გოლპალოტის მესამე კანონი... ვის შეუძლია მითხრას? აა, რა თქმა უნდა, მის გრეინჯერს!

ჰერმიონმა სხაპასხუპით ჩამოარაკრაკა:

– გოლპალოტის-მესამე-კანონის-თანახმად-შეზავებული-საწამლავის-საწინააღმდეგო-საშუალება-თვითონ-საწამლავის-შემადგენელი-ცალკეული-კომპონენტის-შხამსაწინააღმდეგო-საშუალებათა-ჯამზე-ერთით-მეტის-ეკვივალენტურია.

– სწორია! – სახე გაუბრწყინდა სლაგჰორნს, – ათი ქულა გრიფინდორს! მაშ ასე, თუ მივიჩნევთ, რომ გოლპალოტის მესამე კანონი არ ტყუის...

ჰარი სლაგჰორნს სიტყვაზე უნდა ნდობოდა, რომ გოლპალოტის მესამე კანონი არ ტყუოდა, რადგან თვითონ ერთი სიტყვაც კი ვერ გაიგო. აშკარა იყო, რომ, ჰერმიონის გარდა, სლაგჰორნის ლაპარაკიდან ინჩიბინჩი არავის ესმოდა.

– რაც, რა თქმა უნდა, იმას ნიშნავს, რომ თუ სკარპინის მეოხებით სწორად განვსაზღვრეთ შხამის შემადგენელი კომპონენტები, მაშინ ჩვენი უპირველესი მიზანი იქნება, არა შედარებით იოლი მეთოდის მოძიება – ამ ინგრედიენტებისათვის შხამსაწინააღმდეგო საშუალებების შერჩევა, – არამედ იმ დამატებითი კომპონენტის პოვნა, რომელიც თითქმის ალქიმიური პროცესით გარდაქმნის ამ განცალკევებულ ელემენტებს... ნირწამხდარ რონს პირი დაეღო და „ურთულესი შხამ-წამლების“ ახალ სახელმძღვანელოს აწვალებდა. ის ჯერაც ვერ შეჰგუებოდა იმ აზრს, რომ ჰერმიონის დახმარების იმედი აღარ უნდა ჰქონოდა, როცა გაკვეთილზე ვერაფერსაც ვერ გაიგებდა.

– მაშ ასე, – დაასრულა სლაგჰორნმა, – მინდა, თითოეული თქვენ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

განი ჩემს მაგიდასთან მივიდეს და თითო კოლბა აიღოს. გაკვეთილის ბოლოსათვის უნდა შექმნათ კოლბაში მოთავსებული საწამლავის შხამსაწინააღმდეგო საშუალება. წარმატებას გისურვებთ! დამცავი ხელთათმანები არ დაგავიწყდეთ!

დანარჩენებმა აზრზე მოსვლაც ვერ მოასწრეს, რომ ჰერმიონი ტაბურეტიდან წამოხტა და სლაგჰორნის მაგიდისაკენ თავაწეული გაემართა; და სანამ ჰარი, რონი და ერნი თავიანთ მაგიდასთან დაბრუნდებოდნენ, მან კოლბის შიგთავსი უკვე ქვაბში ჩაცალა და ქვემოდან ცეცხლი შეუნთო.

– რა სამწუხაროა, რომ პრინცი დღეს ვერაფრით დაგეხმარება, ჰარი, – მხიარულად გადაულაპარაკა ჰერმიონმა ჰარის, როცა წელში გაიმართა, – ამჯერად შესაბამის პრინციპებში უნდა ერკვეოდე. თაღლითობა და ხრიკები აქ არ გაჭრის!

განაწყენებულმა ჰარიმ სლაგჰორნის მაგიდიდან წამოღებულ მჭახე ვარდისფერ შხამს საცობი მოხსნა, ქვაბში ჩაასხა და ქვეშ ცეცხლი შეუნთო. ოდნავი წარმოდგენაც არ ჰქონდა, ამის შემდეგ რა უნდა ექნა. რონს გადახედა, რომელმაც იგივე გააკეთა, რაც ჰარიმ, ახლა კი გამოთაყვანებული იდგა.

– დარწმუნებული ხარ, რომ პრინცი არაფრით გვეხმარება? – ჩურჩულით ჰკითხა რონმა ჰარის.

ჰარიმ ჩანთიდან „ურთულესი შხამ-წამლების“ ერთგული ეგზემპლარი ამოაძვრინა და შხამსაწინააღმდეგო საშუალებების თავზე გადაშალა. აი, გოლპალოტის მესამე კანონიც (სიტყვასიტყვით იმეორებდა ჰერმიონის ნათქვამს), მაგრამ პრინცის ხელით არსად არავითარი შენიშვნა არ იყო მიწერილი. როგორც ჩანდა, ჰერმიონის მსგავსად, არც პრინცს გასჭირვებია მისი გაგება.

– არაფერიც არაა, – უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა ჰარიმ. ჰერმიონი დიდი ენთუზიაზმით იქნევდა ჯადოსნურ ჯოხს ქვაბის თავზე. სამწუხაროდ, ბიჭები ამჯერად მის შელოცვას ვერ გაიმეორებდნენ, რადგან გოგონა ისე დაოსტატებულიყო მდუმარე ჯადოსნურ შელოცვებში, რომ სიტყვების ხმამაღლა წარმოთქმა აღარ სჭირდებოდა. ერნი მაკმილანი თავის ქვაბს დაჰბუტბუტებდა: „სპეციალის რეველიო! სპეციალოს რეველიო“, რაც საკმაოდ შთამბეჭდავი ჩანდა, ამიტომ ჰარიმ და რონმა სასწრაფოდ მას მიჰბაძეს.

ჰარი სულ რაღაც ხუთ წუთში მიხვდა, რომ კლასში უბადლო შხამწამლების ოსტატის რეპუტაცია თვალსა და ხელს შუა უქრებოდა. სლაგჰორნმა სარდაფში პირველი შემოვლისას იმედიანად ჩაიჭყიტა მის ქვაბში, მაგრამ აყროლებული კვერცხის სუნი რომ ეცა, თავი საჩქაროდ უკან გასწია. ჰერმიონს ამაზე თვითკმაყოფილი იერი



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არასდროს ჰქონია. მას საშინლად აღიზიანებდა ის ფაქტი, რომ შხამ-წამლების ყოველ გაკვეთილზე სხვა ჯაბნიდა. ახლა თავისი საწამ-ლავიდან იდუმალი საშუალებით გამოცალკევებულ ინგრედიენტებს ათ სხვადასხვა ბროლის კოლბაში ასხამდა. ჰარი გაღიზიანების დასა-ფარად ნახევარპრინცის წიგნზე დაიხარა და რამდენიმე ფურცელი ენერგიულად გადაშალა.

და, აი, ისიც, შხამსაწინააღმდეგო საშუალებების გრძელი სიის ბოლოში მიწერილი რჩევა:

„საკმარისია, ბეზოარი გადააყლაპოთ."

ჰარი წამით დააშტერდა ამ სიტყვებს. ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, სადღაც გაეგონა ბეზოარის კენჭის ამბავი. ნეტავ, სნეიპმა ხომ არ ახსენა შხამ-წამლების პირველივე გაკვეთილზე?

„თხის კუჭიდან ამოღებული კენჭი, რომელიც შხამების უმრავლე-სობას გააუვნებლებს".

ეს არ იყო დავალების პასუხი, და მათი მასწავლებელი ისევ სნეიპი რომ ყოფილიყო, ჰარი ამას ვერც გაბედავდა, მაგრამ ახლა ისეთი წუთი დაუდგა, უსათუოდ უნდა გაერისკა. ჰარი სწრაფად გაეშურა განჯინისაკენ, იქაურობა გადაჩხრიკა, ცალრქიანი ცხენის რქები და გამხმარი ბალახბულახის კონები მისწი-მოსწია და, როგორც იქნა, კუთხეში მიკუნჭული პატარა მუყაოს ყუთი იპოვა, რომელზეც წაე-ჯღაბნათ სიტყვა „ბეზოარი".

ჰარიმ ყუთი გახსნა თუ არა, სლაგჰორნმაც გამოაცხადა:

– ყურადღება, ორი წუთი დარჩა!

ყუთში ექვსიოდე დამჭკნარი ყავისფერი რაღაცა ეყარა, გამხმარ თირკმელს უფრო წააგავდა, ვიდრე ნამდვილ კენჭებს. ჰარიმ ერთ-ერთს ხელი დაავლო, ყუთი ისევ განჯინაში შეინახა და საჩქაროდ გასწია თავისი ქვაბისკენ.

– დრო ამოიწურა! – მხიარულად შესძახა სლაგჰორნმა, – აბა, ვნახოთ, როგორ შეასრულეთ დავალება! ბლეზ, რა მომიმზადეთ?

სლაგჰორნმა ნელა ჩამოუარა მაგიდებს და ყველას შხამსაწი-ნააღმდეგო საშუალებები შეამოწმა. დავალება ვერავის დაესრულე-ბინა, მხოლოდ ჰერმიონი ცდილობდა, კიდევ რამდენიმე ინგრე-დიენტი ჩაეტია კოლბაში, სანამ სლაგჰორნი მასთან მივიდოდა. რონს უკვე ფარ-ხმალი დაეყარა და იმასღა ცდილობდა, მისი ქვა-ბიდან ავარდნილი აქოთებული კვამლის ბოლქვებისათვის ცხვირი მოერიდებინა. ჰარი იდგა და იცდიდა. ოდნავ გაოფლილ ხელში ბეზოარი ჩაებღუჯა.

მათ მაგიდას რიგმა სულ ბოლოს მოუწია. სლაგჰორნმა ერნის ნაყენს ჩასუნა და სახედაღმეჭილმა რონისაკენ გადაინაცვლა. რონის



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქვაბთან არც კი შეჩერებულა, მარდად დაიხია უკან და კინაღამ პირ-ღებინება დაეწყო.

– აბა, ჰარი, – თქვა ბოლოს, – შენ რას მაჩვენებ? ჰარიმ ხელი გაიშ-ვირა. ხელისგულზე ბეზოარი ედო. სლაგჰორნი სრული ათი წამის განმავლობაში დასცქეროდა ბეზოარს. ჰარიმ ისიც კი იფიქრა, ახლა, ალბათ, დამიყვირებსო, მაგრამ პროფესორი გულიანად ახარხარდა.

– უყურეთ ერთი, ამის თავგასულობას! – ბეზოარი აიღო და მთელი კლასის დასანახად მაღლა ასწია, – სულ დედაშენს ჰგავხარ... ვერ შემოგედავები... ბეზოარი, მართლაც, ყველა ამ შხამის გამაუვნე-ბელია!

გაოფლილი და ცხვირგამურული ჰერმიონი ჭარხალივით გაწითლ-და, მისი ნახევრად დასრულებული შხამსაწინააღმდეგო საშუალება, რომელიც ორმოცდათორმეტი ინგრედიენტისაგან შედგებოდა, მისივე თმის ბღუჯის ჩათვლით, ზანტად ბუყბუყებდა სლაგჰორნის ზურგს უკან.

– და ბეზოარი დამოუკიდებლად მოგივიდა თავში, არა, ჰარი? – კბილებში გამოსცრა ჰერმიონმა.

– ასეთ რამეს სწორედ შხამ-წამლების ჭეშმარიტი ოსტატის ინდივიდუალური მიდგომა ესაჭიროება, – ჰარის პასუხის გაცემა არ დააცადა ბედნიერმა სლაგჰორნმა, – დედამისის ალი-კვალია. მასაც ასეთი ინტუიციური ალღო ჰქონდა... არა, ეს ნიჭი უეჭველად ლილისგან დაჰყვა... დიახ, ჰარი, დიახ, თუ ხელში ბეზოარი გიჭი-რავს, რა თქმა უნდა, ამით ყველაფერი გადაწყვეტილია... მაგრამ ის დიდ იშვიათობას წარმოადგენს, ძნელად მოსაპოვებელია და ამიტომ მაინც ჯობია, შხამსაწინააღმდეგო საშუალებების შეზავება იცოდე...

ოთახში ერთადერთი ადამიანი, რომელიც ჰერმიონზე უფრო გაგუ-ლისებული ჩანდა, იყო მალფოი. ჰარიმ კმაყოფილებით შეამჩნია, რომ მას კატის ნარწყევისმაგვარი სითხე გადაესხა ზედ. მაგრამ სანამ რომელიმე მათგანი აღშფოთებას გამოხატავდა იმის გამო, რომ ჰარიმ ხელის გაუნძრევლად აჯობა მთელ კლასს, ზარიც დაირეკა.

– აბარგების დროა! და კიდევ – ათი ქულა გრიფინდორს მხოლოდ და მხოლოდ ჰარის კადნიერებისათვის! – რიხიანად გამოაცხადა სლაგჰორნმა და ხითხითით წაბაჯბაჯდა თავისი მაგიდისაკენ.

ჰარი ფეხს ითრევდა. ჩანთის ჩალაგებას მეტისმეტად დიდი დრო მოანდომა. რონი და ჰერმიონი ისე წავიდნენ, რომ მისთვის წარმატება არ უსურვებიათ. ორივე განაწყენებული ჩანდა. ბოლოს და ბოლოს, ოთახში მხოლოდ ჰარი და სლაგჰორნი დარჩნენ.

– დაუჩქარე, ჰარი, თორემ შემდეგ გაკვეთილზე დაგაგვიანდება, –


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ალერსიანად უთხრა სლაგჰორნმა და დრაკონის ტყავის პორტფელის ოქროს საკეტები ტკაცანით ჩაკეტა.

– სერ, – დაიწყო ჰარიმ და უნებლიეთ საკუთარმა თავმა ვოლდემორი მოაგონა, – რაღაც მინდა, გკითხოთ.

– მკითხე, ჩემო ძვირფასო ბიჭო, მკითხე...

– სერ, მაინტერესებს, რა იცით... ისა... ჰორკრუქსების შესახებ?

სლაგჰორნი გაიყინა. მრგვალი სახე მოექცა. ტუჩები მოილოკა და ჩახრინწული ხმით ამოღერღა:

– რა თქვი?

– მე გკითხეთ, რამე ხომ არ იცით ჰორკრუქსების შესახებ, სერ. საქმე ისაა, რომ...

– დამბლდორმა მოგაგზავნა, არა? – დაიჩურჩულა სლაგჰორნმა.

ახლა მას თბილი და მეგობრული კი არა, პირიქით, – ელდანაცემი და შეძრწუნებული კაცის ხმა ჰქონდა. გულის ჯიბეში ხელი მოიფათურა, ცხვირსახოცი ამოაძვრინა და ოფლით დაცვარული შუბლი მოიწმინდა.

– დამბლდორმა ის... ის მოგონება გაჩვენა? – ჰკითხა სლაგჰორნმა, – გაჩვენა, არა?

ჰარიმ წამის უსწრაფესად გადაწყვიტა, რომ ჯობდა, არ ეცრუა, და უპასუხა:

– დიახ.

– დიახ, რა თქმა უნდა, – ჩუმად თქვა სლაგჰორნმა, რომელიც გაფითრებულ სახეს ცხვირსახოცით იმშრალებდა, – რა თქმა უნდა... ჰოდა, თუ ნანახი გაქვს ის მოგონება, ჰარი, იმასაც იხილავდი, რომ მე არაფერი... არაფერი, – ხაზგასმით გაიმეორა ეს სიტყვა, – ვიცი ჰორკრუქსების თაობაზე.

დრაკონის ტყავის პორტფელს ხელი სტაცა, ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიჩურთა და მტკიცე ნაბიჯით გაემართა სარდაფის კარისაკენ.

– სერ, – უკანასკნელადაც სცადა ჰარიმ, – უბრალოდ, ვიფიქრე, იქნებ, იმ მოგონებას რამეს დაუმატებდით...

– მართლა? – გამოსძახა სლაგჰორნმა, – ჰოდა, ძალიანაც შეცდი! შეცდი!

ბოლო სიტყვა დაიღრიალა და სანამ ჰარი კიდევ რამის თქმას მოასწრებდა, სარდაფის კარი გაიჯახუნა.

რონსა და ჰერმიონს ოდნავი თანაგრძნობაც კი არ გამოუჩენიათ, როცა მათ ჰარიმ სლაგჰორნთან ინტერვიუს კრახით დასრულების შესახებ უამბო. ჰერმიონს ჯერაც ვერ ეპატიებინა ჰარისათვის, რომ მან გამარჯვება ისე იზეიმა, საქმე წესიერად არ შეუსრულებია. რონი კი იმას გაენაწყენებინა, რომ ჰარიმ მასაც არ ჩაუდო ხელში ბეზოარი.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ორივეს რომ ბეზოარი გვეჩვენებინა, ძალიან სულელურად გამოგვივიდოდა! – გაბრაზდა ჰარი, – თანაც როგორმე ხომ უნდა შემემზადებინა, რომ შემდეგ ვოლდემორზე, უფრო სწორად, ჰორკრუქსებზე კითხვა დამესვა? ო, ბოლოს და ბოლოს, როდის შეეჩვევი ამ სიტყვას! – დაამატა გაღიზიანებულმა, რადგან რონი ამ სახელის გაგონებაზე შეკრთა.

მწარე მარცხითა და მეგობრების გულგრილობით გამწარებული ჰარი მომდევნო დღეების განმავლობაში თავს იმტვრევდა იმაზე ფიქრით, სლაგჰორნისთვის მოგონება როგორ დაეცინცლა. ბოლოს გადაწყვიტა, ჯერჯერობით ვაფიქრებინებ, რომ ჰორკრუქსები საერთოდ დამავიწყდაო.

მომდევნო გაკვეთილებზე ჰარის სლაგჰორნი კითხვებით აღარ შეუწუხებია და შხამ-წამლების ოსტატიც ძველებურად, სიყვარულით ეპყრობოდა მას. როგორც ჩანდა, ის უსიამოვნო საუბარი საერთოდ ამოიგდო თავიდან. ჰარი მოუთმენლად ელოდა სლაგჰორნის საღამოს წვეულებებზე მიპატიჟებას. ამჯერად მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, მიწვევაზე თანხმობა განეცხადებინა, თუნდაც ქვიდიჩის ვარჯიშის გადადება დასჭირვებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, არავითარი მოსაწვევი არ მიულია. ჰარიმ ჰერმიონთან და ჯინისთანაც გადაამოწმა: მოსაწვევი არც ერთ მათგანს არ მისვლოდა და რამდენადაც იცოდნენ, არც სხვებს. ჰარის ეჭვი ღრღნიდა, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სლაგჰორნი არც ისეთი გულმავიწყია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, და უბრალოდ, არ უნდა, კითხვების დასმის საშუალება ისევ მომცესო.

ამასობაში ჰერმიონს ჰოგვორტსის ბიბლიოთეკამ, რაც თავი ახსოვდა, პირველად გაუცრუა იმედი. გოგონა ისეთ შოკში ჩავარდა, სულ დაავიწყდა, რომ ჰარიზე გაბრაზებული იყო ბეზოართან დაკავშირებული ოინის გამო.

– ჰორკრუქსების ერთი განმარტებაც კი ვერსად ვნახე! – დაიჩივლა ჰარისთან ჰერმიონმა, – არც ერთი! აკრძალულ სექციაშიც ვიყავი და ისეთ საშინელ წიგნებშიც ჩავიხედე, სადაც ყველაზე საზარელი საწამლავების დაყენების რეცეპტებია მოცემული, მაგრამ ამაოდ! ერთადერთი, რაც ვიპოვე „მავნე მაგიის“ წინასიტყვაობა იყო... აი, მისმინე: „რაც შეეხება ჰორკრუქსებს, მაგიურ გამოგონებათაგან უბოროტესს, მათზე ჩვენ სიტყვას არ დავძრავთ და არც დაგაკვალიანებთ“... საერთოდ რაღას ახსენებდნენ? – მოუთმენლად დასძინა ჰერმიონმა და ძველისძველი წიგნი ხმაურით დახურა. წიგნმა არამიწიერი კივილი ამოუშვა, – ო, მოკეტე, რა, – შეუღრინა ჰერმიონმა და ჩანთაში ჩაუძახა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დადგა თებერვალი, სკოლის ირგვლივ თოვლი გადნა და ცივი ჭყაპით შეიცვალა. ციხე-კოშკს მეწამულ-რუხი ღრუბლები დასწოლოდა, გადაუღებელი წვიმის გამო მდელოები ატალახდა და ფეხი ცურავდა. ამის გამო მეექვსეკურსელებისთვის შაბათს დილით დანიშნული აპარაციის პირველი გაკვეთილი, ეზოს ნაცვლად, დიდ დარბაზში ჩატარდა.

დარბაზში შესულ ჰარისა და ჰერმიონს (რონი ლევენდერთან ერთად ჩავიდა) მაგიდები გამქრალი დახვდათ. მაღალ ფანჯრებს წვიმა უშხაპუნებდა და მოჯადოებულ ჭერზე საავდრო ღრუბლები ირეოდა. ყველამ თავი მოიყარა კლუბების თავმჯდომარეების, პროფესორების: მაკგონაგელის, სნეიპის, ფლიტვიკის, სპრაუტისა და ერთი ტანმორჩილი ჯადოქრის წინ, რომელიც, ჰარის ვარაუდით, სამინისტროდან გამოგზავნილი აპარაციის ინსტრუქტორი უნდა ყოფილიყო. მას საოცრად უფერული, გამჭვირვალე წამწამები, კვამლივით თმა და ისეთი ლანდისებური იერი ჰქონდა, თითქოს ერთი შებერვაც წააქცევდა. ჰარიმ გაიფიქრა, ნეტავ ხშირმა გაქრობაგაჩენამ ხომ არ დალია ეს კაცი ასეო, ან იქნებ ასეთი სუსტი აღნაგობა ზედგამოჭრილი იყო გაქრობის ნებისმიერი მსურველისათვის.

– დილა მშვიდობისა, – თქვა სამინისტროელმა ჯადოქარმა, როდესაც ყველა სტუდენტი მოგროვდა, – მე მქვია ვილკი ტვაიკროსი და შემდეგი თორმეტი კვირის განმავლობაში თქვენი აპარაციის ინსტრუქტორი ვიქნები. იმედი მაქვს, რომ ამ ხნის განმავლობაში აპარაციის გამოცდისათვის სათანადოდ მოგამზადებთ...

– მალფოი, გაჩუმდით და ყურადღებით იყავით! – დაუცაცხანა პროფესორმა მაკგონაგელმა.

ყველამ მალფოის გახედა. გაცოფებულ მალფოის სახე აელანძა და ერთი ნაბიჯით დაშორდა კრაბს, რომელთანაც ჩურჩულით გაემართა კამათი. ჰარიმ სწრაფად გადახედა სნეიპს. ისიც გამწყრალი ჩანდა. ჰარის ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ იგი მალფოის უზრდელობამ კი არ გაანაწყენა, არამედ იმ ფაქტმა, რომ პროფესორმა მაკგონაგელმა მისი კლუბის სტუდენტს მისცა შენიშვნა.

– ...და იმ დროისათვის ბევრი თქვენგანი მზად იქნება მის ჩასაბარებლად, – ისე გააგრძელა ტვაიკროსმა, თითქოს მისთვის არც კი შეუწყვეტინებიათო, – როგორც უკვე იცით, ჰოგვორტსში აპარაცია და დისაპარაცია შეუძლებელია. დირექტორმა ჯადო ერთი საათით ახსნა მხოლოდ და მხოლოდ დიდ დარბაზში, რათა ვარჯიშის საშუალება გქონოდათ. ნება მომეცით, საგანგებოდ აღვნიშნო, რომ ჰოგვორტსის კედლებს გარეთ აპარაციას ვერ შეძლებთ და არც გირჩევთ, სცადოთ. ახლა კი თითოეულ თქვენგანს ვთხოვ, ისე გან-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლაგდეთ, რომ თქვენ წინ მდგომისაგან ზუსტად ორი მეტრი გაშორებდეთ.

ატყდა ერთი აყალმაყალი და მუჯლუგუნების კვრა. კლუბების ხელმძღვანელები მწკრივებს შორის დადიოდნენ, სტუდენტებს აწყობდნენ და წამოჭრილ უთანხმოებებს აგვარებდნენ.

– ჰარი, სად მიდიხარ? – იკითხა ჰერმიონმა.

ჰარიმ არ უპასუხა. იგი სწრაფად მიიწევდა ბრბოში, ჩაუარა პროფესორ ფლიტვიკს, რომელიც წრიპინით ცდილობდა რამდენიმე რეივენქლოელის დაშოშმინებას, რადგან ყველას წინ დადგომა უნდოდა, გვერდი აუქცია პროფესორ სპრაუტს, რომელიც ჰაფლეპაფელებს აძლევდა მითითებებს, ამოეფარა ერნი მაკმილანს და დარბაზის ბოლოში, პირდაპირ მალფოის ამოუდგა უკან. მალფოი საყოველთაო არეულობით სარგებლობდა და კრაბთან კამათს აგრძელებდა. კრაბი ორი მეტრის დაშორებით, გაანჩხლებული სახით იდგა.

– არ ვიცი, კიდევ რამდენი ხანი დამჭირდება, გასაგებია? – მიახალა მალფოიმ, რომელსაც წარმოდგენაც არა ჰქონდა, რომ ჰარი ზურგს უკან ჰყავდა ატუზული, – მეტი დრო მიაქვს, ვიდრე მეგონა.

კრაბმა პირი დააფჩინა, მაგრამ, ეტყობა, მალფოი წინასწარ მიუხვდა, რის თქმასაც აპირებდა.

– იცი, რას გეტყვი, შენი საქმე არაა, რას ვსაქმიანობ, კრაბ. შენ და გოილმა ის აკეთეთ, რასაც გეუბნებით, და სათვალთვალო პოსტზე იდექით.

– მე მეგობრებს ყოველთვის ვანდობ ჩემს განზრახვას, როცა მინდა, რომ ჩემთვის სადარაჯოზე იდგნენ, – ხმამაღლა, მალფოის გასაგონად თქვა ჰარიმ.

მალფოი ელვისებურად შემოტრიალდა და ხელი ჯადოსნური ჯოხისაკენ გაექცა, მაგრამ სწორედ ამ დროს ოთხივე კლუბის ხელმძღვანელმა დაიძახა:

– სიჩუმე! – და ყველა გაისუსა. მალფოი ნელა შეტრიალდა პროფესორებისკენ.

– გმადლობთ, – განაცხადა ტვაიკროსმა, – მაშ, ასე... ჯადოსნური ჯოხი აიქნია და იატაკზე, თითოეული სტუდენტის წინ, ძველმოდური ხის სალტე გაჩნდა.

– აპარაციისას მთავარია, გახსოვდეთ სამი „მ“! – დინჯად განაცხადა ტვაიკროსმა, – მიზანი, მონდომება და მზადყოფნა! ნაბიჯი პირველი: მთელი ყურადღება გაამახვილეთ სასურველ სამიზნეზე, მოცემულ შემთხვევაში, თქვენი სალტის ცენტრზე. ახლა გთხოვთ, მიზანში ამოიღოთ.

ყველამ ჯერ მალულად მიმოიხედა, სხვებიც თუ იყურებიან თავ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავიანთ სალტეშიო. შემდეგ სასწრაფოდ შეასრულეს მითითება. ჰარი დაჟინებით დააცქერდა სალტის შიგნით მოქცეულ მტვრიან იატაკს და მთელი მონდომებით შეეცადა, სხვა არაფერზე ეფიქრა. თუმცა, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან გონება სხვაგან უქროდა: ამისთანას რას აკეთებს მალფოი, რომ მზვერავები დასჭირდაო.

– ნაბიჯი მეორე: მთელი გულით მოინდომეთ წარმოსახვითი სივრცის დაკავება! ისე, რომ სალტეში მოხვედრისადმი სწრაფვამ თქვენი გონება და სხეულის ყოველი უჯრედი სრულად მოიცვას!

ჰარიმ ფარულად მოავლო დანარჩენებს თვალი. შორიახლოს, მისგან მარცხნივ, ერთიანად აჭარხლებული ერნი მაკმილანი ისე დაძაბული მიშტერებოდა თავის სალტეს, რომ გეგონებოდა, სადაცაა, ქუაფლის ზომის კვერცხი უნდა დადოსო. ჰარიმ სიცილი შეიკავა და საჩქაროდ ისევ თავის სალტეს მიაშტერდა.

– ნაბიჯი მესამე, – შესძახა ტვაიკროსმა, – დაელოდეთ ჩემს ბრძანებას... ადგილზე დატრიალდით, იგრძენით, როგორ კვეთთ სიცარიელეს, და მშვიდად დაიძარით! ჩემს ბრძანებაზე... ერთი...

ჰარიმ კვლავ მიიხედ-მოიხედა, ყველა გვარიანად დამფრთხალი ჩანდა, ასე მალე რომ მოსთხოვეს აპარაციის გამოყენება.

– ორი...

ჰარიმ სცადა, ფიქრი ისევ სალტეზე გადაეტანა, ამ დროისათვის უკვე აღარ ახსოვოდა სამი „მ“-ს მნიშვნელობა.

– სამი!

ჰარი ადგილზე დატრიალდა, წონასწორობა დაკარგა და კინაღამ წაიქცა. დანარჩენი ბავშვებიც აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ნევილი კი უკვე ზურგზე გაშოტილიყო, ერნი მაკმილანი, პირიქით, ლამის მალაყს გადავიდა, ისეთი მონდომებით ისკუპა სალტეში და წამით აღტაცება დაეტყო, სანამ დინ ტომასს არ მოჰკრა თვალი, რომელიც, მისი შემყურე, გულიანად ხარხარებდა.

– არა უშავს, არა უშავს, – მშრალად თქვა ტვაიკროსმა, რომელიც, ჩანდა, უკეთეს შედეგს არც ელოდა, – შეასწორეთ თქვენი სალტეები, გეთაყვა, და თავდაპირველ პოზიციას დაუბრუნდით.

მეორე მცდელობა პირველზე არანაკლებ სავალალო გამოდგა. არც მესამემ ივარგა. მეოთხეზე კი საინტერესო რაღაც მაინც მოხდა: ვიღაცამ ტკივილისაგან იღრიალა და ყველამ შიშით მიიხედა მისკენ. ჰაფლეპაფელი სიუზენ ბონსი თავის სალტეში ტორტმანობდა, მარცხენა ფეხი კი ორი მეტრის დაშორებით საწყის მდგომარეობაში დარჩენოდა.

კლუბების ხელმძღვანელები გოგონას მისცვივდნენ. გაისმა ბრაგვანი და იისფერი კვამლი ავარდა. კვამლი რომ გაიფანტა,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აქვითინებული სიუზენი გამოჩნდა: ფეხი კვლავ ზედ ება, მაგრამ გულგახეთქილი კი იყო.

– გადაყოფა, ანუ სხეულის ცალკეული ნაწილების განცალკევება, ხდება მაშინ, როცა გონება არ არის საკმარისად მონდომებული, – მშვიდად შენიშნა ტვაიკროსმა, – მუდმივად კონცენტრირებული უნდა იყოთ თქვენს მიზანზე და მშვიდად, მაგრამ მომზადებული დაიძრათ... აი, ასე.

ტვაიკროსმა ნაბიჯი წინ გადადგა, ადგილზევე მოხდენილად, მკლავებგაშლილი დატრიალდა, მანტიის ფრიალით გაქრა და დარბაზის ბოლოში გაჩნდა.

– დაიმახსოვრეთ სამი „მ“, – თქვა მან, – აბა, ისევ ვცადოთ. ერთი, ორი, სამი...

მაგრამ მთელი საათის განმავლობაში სიუზენის გადაყოფაზე უფრო საინტერესო არაფერი მომხდარა. ტვაიკროსს ენთუზიაზმი იოტისოდენადაც არ განელებია. მანტია ყელთან შეიკრა და მხოლოდ ეს თქვა:

– მომავალ შაბათამდე. იცოდეთ, არ დაივიწყოთ: მიზანი. მონდომება. მზადყოფნა.

ამ სიტყვებით ჯადოსნური ჯოხი აიქნია, სალტეები გააქრო და პროფესორ მაკგონაგელის თანხლებით დიდი დარბაზიდან გავიდა. ყველა მაშინვე აყაყანდა და ჰოლისაკენ დაიძრა.

– გამოგივიდა რამე? – რონი სწრაფად მივიდა ჰარისთან – მგონი, ბოლო ცდაზე... ფეხისგულზე ჩხვლეტა ვიგრძენი.

– ალბათ, კედები დაგიპატარავდა, ვან-ვან, – გაისმა მათ უკან ხმა და ჰერმიონმა თვითკმაყოფილი ღიმილით ჩაუარა ბიჭებს.

– მე არაფერი მიგრძნია, – ჰარიმ ჰერმიონის შენიშვნას ყურადღება არ მიაქცია, – მაგრამ ახლა ეს სულაც არ მადარდებს...

– როგორ თუ არ გადარდებს... არ გინდა, აპარაცია ისწავლო? – ყურებს არ დაუჯერა რონმა.

– სიმართლე გითხრა, დიდად არ მენაღვლება. ფრენა მირჩევნია, – ჰარიმ ზურგს უკან გაიხედა, თვალით მალფოი მოძებნა და ჰოლში გასულმა ნაბიჯს აუჩქარა, – აჩქარდი, რა. რაღაც მინდა, გავაკეთო...

საგონებელში ჩავარდნილი რონი ჰარის გრიფინდორის კოშკამდე ფეხდაფეხ მიჰყვა. ისინი დროებით პივსმა შეაფერხა, რომელსაც მეოთხე სართულზე კარი აეჭედა და აცხადებდა, მხოლოდ იმ პირობით გაგატარებთ, თუ თქვენი ნებით შარვალზე ცეცხლს მოიკიდებთო. ჰარიმ და რონმა მას ზურგი აქციეს და ნაცადი საიდუმლო გასასვლელით წავიდნენ. ხუთ წუთში უკვე პორტრეტის ხვრელში ძვრებოდნენ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აღარ მეტყვი, რა ხდება? – ჰკითხა გულამოვარდნილმა რონმა.

– ავიდეთ, – ჰარიმ საერთო ოთახი გადაჭრა და ბიჭების საძინებლის კიბისაკენ გამავალ კარში შეუძღვა რონს.

ჰარის იმედი გამართლდა, მათი საძინებელი ცარიელი აღმოჩნდა. მან მაშინვე ჩემოდანი გახსნა და გადაქექა. რონი მოუთმენლად ადევნებდა თვალს.

– ჰარი...

– მალფოი კრაბსა და გოილს სათვალთვალოდ იყენებს. ახლახან ეკამათებოდა კრაბს. ჰოდა, მაინტერესებს, სად დაბრძანდება... აჰა...

ჰარიმ იპოვა, რასაც ეძებდა: ოთხად გადაკეცილი, ერთი შეხედვით, ცარიელი პერგამენტი ხელით გაასწორა და ჯადოსნური ჯოხის წვერი დაუკაკუნა.

– ვფიცავ, რომ მოვაწყობ ოინებს, მხოლოდ ოინებს და არაფერს, ოინების გარდა...

თვალის დახამხამებაში პერგამენტის ზედაპირზე ონავართა რუკა გაჩნდა. მასზე გამოისახა ციხე-კოშკის ყველა სართულის დეტალური გეგმა და პაწაწკინტელა მელნის ლაქები, რომლებსაც სახელები ეწერა და ჰოგვორტსის თითოეულ ბინადარს აღნიშნავდა.

– მალფოი მომაძებნინე, – სთხოვა ჰარიმ.

რუკა ლოგინზე გაშალა და რონთან ერთად მის დასათვალიერებლად დაიხარა.

– აი, იქ! – ორიოდე წუთის შემდეგ თქვა რონმა, – სლიზერინელების საერთო ოთახშია, შეხედე... პარკინსონთან, ზაბინისთან, კრაბსა და გოილთან ერთად...

ჰარიმ რუკას დახედა, ცოტა გული დასწყდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა.

– მორჩა, დღეიდან თვალი მეჭირება მასზე, – გამოაცხადა მტკიცედ, – და როგორც კი ვნახავ, რომ სადღაც დაიპარება, კრაბი და გოილი კი გარეთ სდარაჯობენ, უჩინმაჩინის მოსასხამში გავეხვევი და მაშინვე იქ გავჩნდები...

ჰარის სიტყვა გაუწყდა, რადგან საძინებელში ნევილი შემოვიდა, თან შეტრუსული ქსოვილის სუნი შემოიტანა და ახალი შარვლის მოსაძებნად თავისი ჩემოდნის ჩხრეკას შეუდგა.

მიუხედავად იმისა, რომ მალფოის ფაქტზე გამოჭერა ჰარის მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, მომდევნო ორი კვირის განმავლობაში არაფერი გამოუვიდა. როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა ჩაუვარდებოდა, რუკას ამოწმებდა, თითქმის ყოველ შესვენებაზე საპირფარეშოში შერბოდა რუკის სანახავად, მაგრამ მალფოი საეჭვო ადგილას არ შეუნიშნავს. მართალია, ამჩნევდა, რომ კრაბი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და გოილი ციხე-კოშკში ჩვეულებრივზე ხშირად დაწანწალებდნენ მარტონი, ხანდახან ცარიელ დერეფნებში ერთ ადგილზე იდგნენ გაუნძრევლად, მაგრამ ასეთ დროს მალფოი არათუ მათთან ახლოს, რუკაზე საერთოდ არ ჩანდა. ეს ძალიან უცნაური იყო. ჰარიმ ისიც კი გაიფიქრა, შეიძლება მალფოი სკოლის გარეთ გადისო, მაგრამ ვერაფრით აეხსნა, ამას როგორ ახერხებდა: სკოლას ხომ უმაღლეს დონეზე იცავდნენ. ჰარის ისღა დარჩენოდა, ეფიქრა, რომ რუკაზე გაფანტულ ასობით ციცქნა ლაქას შორის იყო ჩაკარგული და ამიტომ ვერ ხედავდა. რაც შეეხება იმას, რომ ყოველთვის განუყრელი მალფოი, კრაბი და გოილი, როგორც ჩანდა, ერთმანეთისაგან განაპირდნენ, ეს ასაკთან ერთად მოდიოდა: რონი და ჰერმიონი ამის ცოცხალ მაგალითს წარმოადგენენო, – სევდიანად გაიფიქრა ჰარიმ.

თებერვალი მიიწურა, მაგრამ ამინდი არ შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ წვიმას ქარიც დაემატა. საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია თითოეული კლუბის საერთო ოთახში გამოკრულმა განცხადებამ იმის თაობაზე, რომ მომავალი ექსკურსია ჰოგსმიდში ჩაიშალა. რონის აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა.

– არადა, ჩემს დაბადების დღეს ემთხვეოდა! რა მაგრად ველოდი!

– მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ქეითის დაემართა, – დაამშვიდა ჰარიმ.

ქეითი ჯერაც არ დაბრუნებულიყო წმინდა მუნგოს კლინიკიდან. უფრო მეტიც, „დილის მისანი“ ისევ იტყობინებოდა ხალხის უგზოუკვლოდ გაქრობის ამბავს, მათ რიცხვში ჰოგვორტსის სტუდენტების ნათესავებიც შედიოდნენ.

– ახლა ერთადერთი, რაც გველოდება, ეს ოხერი აპარაციაა! – ჩაიბუზღუნა რონმა, – ძალიან მხიარული დაბადების დღე კი გამომივა!..

სამი გაკვეთილი უკვე ჩაუტარდათ, მაგრამ გაქრობა და სხვა ადგილას გაჩენა ძველებურად უჭირდათ. კიდევ რამდენიმე მოსწავლემ მოახერხა გადაყოფა. ყველა იმედგაცრუებამ მოიცვა, რამაც ვილკი ტვაიკროსისა და მისი სამი „მ“-ს მიმართ მტრული განწყობა და მისთვის რამდენიმე მეტსახელის შერქმევა გამოიწვია. ამ მეტსახელთაგან ყველაზე ზრდილობიანი „მახინჯი“ და „მათხოვარი“ იყო.

– დაბადების დღეს გილოცავ, რონ, – თქვა ჰარიმ, როცა პირველ მარტს სასაუზმოდ ხმაურით ჩამავალმა დინმა და სიმუსმა გააღვიძეს, – აი, შენი საჩუქარი.

ფუთა რონს ლოგინზე გადაუგდო. საწოლზე უკვე საჩუქრების მომცრო გროვა იდგა. ჰარის ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ისინი ღამით შინაურმა ელფებმა მოზიდეს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გმადლობ, – წაილულლულა ნამძინარევმა რონმა და ფუთას ქაღალდი შემოაფხრიწა. ჰარი საწოლიდან ადგა, ჩემოდანი გახსნა და ონავართა რუკის ამოსაღებად გადაქექა, რომელსაც ყოველი გამოყენების შემდეგ საგულდაგულოდ მალავდა. ჩემოდნის ნახევარი შიგთავსი ამოყარა და როგორც იქნა, მიაგნო გაგანიერებულ წინდებქვეშ, რომლებშიც წარმატების ელექსირს, ფელიქს ფელიციისს ინახავდა.

– ძლივს! – წაიბუტბუტა ჰარიმ, რუკიანად აძვრა საწოლზე, მსუბუქად დაჰკრა ჯადოსნური ჯოხი და მის საწოლთან ჩამავალ ნევილს რომ არაფერი გაეგონა, ხმადაბლა დაიჩურჩულა: – ვფიცავ, რომ მოვაწყობ ოინებს, მხოლოდ ოინებს და არაფერს, ოინების გარდა.

– გმადლობ, ჰარი! – აღტაცებით შესძახა რონმა და ჰარის ნაჩუქარი ქვიდიჩის მეკარის ხელთათმანები გააქნია.

– არაფრის, – უგულისყუროდ უპასუხა ჰარიმ და სლიზერინის საერთო ოთახი მალფოის ძიებაში დაკვირვებით გადაათვალიერა, – ეეე, მგონი, საძინებელში არ არის...

რონს პასუხისთვის არ ეცალა: საჩუქრებს ხსნიდა და შიგადაშიგ აღტაცების შეძახილი აღმოხდებოდა ხოლმე.

– წელს ბლომად ნადავლი ვიგდე ხელთ, – გამოაცხადა და მძიმე ოქროს საათი ასწია. საათის ციფერბლატზე უცნაური სიმბოლოები ამოეტვიფრათ, ისრების ნაცვლად კი ციცქნა ვარსკვლავები მოძრაობდნენ, – ნახე, რა მიყიდეს დედამ და მამამ. ეჰ, ნეტავ მომავალ წელსაც ვხდებოდე სრულწლოვანი.

– მაგარია, – ჩაილაპარაკა ჰარიმ, ზერელედ შეავლო თვალი საათს და ისევ ყურადღებით ჩააშტერდა რუკას. სად იყო მალფოი? დიდ დარბაზში, სლიზერინის მაგიდასთან, აშკარად არ იყო... არც თავის კაბინეტში მჯდარ სნეიპთან ახლოს ტრიალებდა... არც სააბაზანოებსა და საავადმყოფო ფლიგელში ჩანდა...

– არ გინდა? – მოგუდული ხმით ჰკითხა რონმა და შოკოლადის კარდალებით სავსე ყუთი გაუწოდა.

– არა, გმადლობ, – თავი ასწია ჰარიმ, – მალფოი ისევ დაიკარგა!

– შეუძლებელია, – რონმა მეორე კარდალა ჩაიტენა პირში და ტანზე ჩასაცმელად საწოლიდან გადმოცურდა, – წამოდი, თუ არ აჩქარდები, ცარიელი კუჭით მოგიწევს აპარაციის გამოყენება... თუმცა, შეიძლება, ასე უფრო ადვილი იყოს...

ჩაფიქრებულმა რონმა შოკოლადის კარდალებით სავსე ყუთს გადახედა, მხრები აიჩეჩა და მესამეც მიირთვა.

ჰარიმ რუკას ჯადოსნური ჯოხი დაუკაკუნა და ჩაიბუტბუტა, „ოინი გამომივიდაო“ (თუმცა არაფერიც არ გამოუვიდა). შემდეგ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტანზე ჩაიცვა, თან ფიქრით ტვინს იჭყლეტდა. მალფოის პერიოდულ გაუჩინარებებს რაღაც ახსნა აუცილებლად უნდა ჰქონოდა, მაგრამ ვერაფრით მოუძებნა. ყველაფერს ჯობდა, სიმართლის გასარკვევად, კვალში ჩასდგომოდა, მაგრამ ამას უჩინმაჩინის მოსასხამითაც კი ვერ მოახერხებდა.

მას ხომ გაკვეთილები, ქვიდიჩის ვარჯიში, საშინაო დავალება და აპარაციის კურსი ჰქონდა, მთელ დღეს მალფოის კუდში დევნას ვერ შეალევდა, რადგან მის არყოფნას მალე შეამჩნევდნენ და მოიკითხავდნენ.

– მზად ხარ? – ჰკითხა რონს.

ჰარი თითქმის მისული იყო კართან, როდესაც მიხვდა, რომ რონი ადგილიდან არ დაძრულა: საწოლის სვეტს მიჰყრდნობოდა და საოცრად გამოლენჩებული გასცქეროდა წვიმით ჩამორეცხილ ფანჯარას.

– რონ, საუზმე!

– არ მშია. ჰარი გაოცდა.

– კი მაგრამ, ახლა არა თქვი...

– ეჰ, კარგი, დაბლა ჩამოგყვები, – ამოიოხრა რონმა, – მაგრამ ჭამა არ მინდა.

ჰარიმ მეგობარი ეჭვით შეათვალიერა.

– შოკოლადის კარდალების ნახევარმა ყუთმა ასე დაგანაყრა?

– საქმე მაგაში არაა, – ამოიოხრა ისევ რონმა, – შენ... შენ ვერ გაიგებ.

– როგორც გენებოს, – განცვიფრება არ შეიმჩნია ჰარიმ და კარის გასაღებად მიბრუნდა.

– ჰარი! – გასძახა უეცრად რონმა.

– რა?

– ჰარი, თავს ვერ ვერევი!

– რატომ? – უკვე ძალიან შეშფოთდა ჰარი. რონს ფერი წასვლოდა და გეგონებოდა, სადაცაა, აღებინებსო.

– მასზე ფიქრი თავიდან არ ამომდის! – ჩახრინწული ხმით თქვა რონმა.

ჰარიმ პირი დააღო. ასეთ აღსარებას სულაც არ ელოდა და არც მისი მოსმენა სურდა. მართალია, მეგობრები იყვნენ, მაგრამ რონი თუ ლევენდერისათვის „ლან-ლანის“ დაძახებას დაიწყებდა, ჰარის ისღა დარჩენოდა, სასტიკი პროტესტი განეცხადებინა.

– და ეს ხელს რატომ გიშლის საუზმობაში? – ჰკითხა ჰარიმ, თან ყველანაირად ცდილობდა, როგორმე სიტუაციაში გარკვეულიყო.

– მგონი, ვერც კი მამჩნევს, – სასოწარკვეთით თქვა რონმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როგორ ვერ გამ̣ჩნევს, – საგონებელში ჩავარდა ჰარი, – ყოველ წუთს არა გკოცნის?

რონმა თვალები აახამხამა.

– ვისზე ლაპარაკობ?

– შენ ვისზე ლაპარაკობ? – საბოლოოდ დაიბნა ჰარი.

– რომილდა ვეინზე, – ნაზად წარმოთქვა რონმა და ამ სიტყვებზე სახე ისე გაუბრწყინდა, თითქოს მზის კამკამა სხივი დაეცაო.

ერთმანეთს სრული ერთი წუთის განმავლობაში მისჩერებოდნენ, ბოლოს ჰარიმ ხმა ამოიღო:

– მეხუმრები, არა?

– მგონი... ჰარი, მგონი, მიყვარს, – ჩამწყდარი ხმით თქვა რონმა.

– მოიცა, – ჰარი რონს მიუახლოვდა და დაბინდულ თვალებში ჩახედა, – კარგი, ახლა შემომხედე და იგივე გაიმეორე.

– მიყვარს, – სულმოუთქმელად გაიმეორა რონმა, – გინახავს მისი შავი, მბზინავი, აბრეშუმივით თმა? მერე – მისი თვალები? მისი დიდი შავი თვალები? და მისი...

– იცი, რა, რონ ეს ყველაფერი ძალიან სასაცილოა და რამე – მოუთმენლად შეაწყვეტინა ჰარიმ, – მაგრამ გეყო ხუმრობა, გასაგებია? მორჩი მაიმუნობას.

ჰარი წასასვლელად შეტრიალდა. მაგრამ ორი ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ მწარე ალიყური აჭამეს. ჰარი დაბარბაცდა და უკან მიიხედა. მრისხანებისგან სახემოქცეული რონი მეორედაც უპირებდა დარტყმას.

ჰარიმ ინსტინქტურად გაუწია წინააღმდეგობა – თვალის დახამხამებაში ჯიბიდან ჯადოსნური ჯოხი დააძრო და შელოცვაც თავისთავად მოუვიდა თავში:

– ლევიკორპუს!

რონმა შეჰყვირა. ტერფები თავისთავად მაღლა აიჭრა და რონი უმწეოდ, თავდაყირა დაეკიდა ჰაერში, მანტია კი თავზე ჩამოეფხატა.

– რას მერჩოდი? – დაუღრიალა ჰარიმ.

– შენ ჩემს სიყვარულს შეურაცხყოფა მიაყენე, ჰარი! შენ თქვი, ეს ხუმრობააო! – დაიყვირა რონმა, რომელსაც უკვე სისხლი თავში აწვებოდა და სახე ღვინისფერი გახდომოდა.

– რა სიგიჟეა! – დაიბნა ჰარი, – რა ბზიკმა გიკბინა?

და უცებ ჰარიმ რონის საწოლზე გახსნილი კოლოფი დაინახა და სიმართლე გამოქანებული ტროლივით დაეძგერა.

– სად იპოვე ეს შოკოლადის კარდალები?

– დაბადების დღის საჩუქარი იყო! – შესძახა რონმა, რომელიც ნელა ტრიალებდა ჰაერში და თავის გასათავისუფლებლად ფართხალებდა, – შენც ხომ შემოგთავაზე!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– იატაკიდან აიღე, არა?

– ჩემი საწოლიდან გადმოვარდა, გასაგებია? ჩამომსვი!

– შენი საწოლიდან არ გადმოვარდა, შე დოყლაპიავ, ნუთუ ვერ მიხვდი? ეს ჩემი კოლოფია, მე გადმოვისროლე ჩემოდნიდან, რუკას რომ ვეძებდი. ეს შოკოლადის კარდალები რომილდამ შობის წინ მაჩუქა და ერთიანად სიყვარულის ელექსირითაა გაჟღენთილი.

მაგრამ რონის ყურმა აქედან მხოლოდ ერთი სიტყვა აღიქვა.

– რომილდა? – გაიმეორა მან, – რა თქვი, რომილდაო?

ჰარი... იცნობ? შეგიძლია, გამაცნო?

ჰარი გაოგნებული მიაჩერდა ჩამოკონწიალებულ რონს, რომელსაც სახე უკვე იმედით გაცისკროვნებოდა, და დიდი გაჭირვებით შეიკავა თავი სიცილისაგან. ორად იხლიჩებოდა: მისი ერთი ნაწილი, რომელიც მარჯვენა მტკივან ყურთან უფრო ახლოს იყო, სიამოვნებით გაათავისუფლებდა რონს, რომ ენახა, რა შლეგიანივით დაიწყებდა სკოლაში სირბილს, სანამ ელექსირის მოქმედება არ გაივლიდა... მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი ხომ მეგობრები იყვნენ. რონი სრულ ჭკუაზე არ იყო, როცა თავს დაესხა, და ჰარიმ გაიფიქრა, კიდევ ერთი შემოლაწუნების ღირსი ვიქნები, რონს თუ საშუალებას მივცემ, რომილდა ვეინს მარადიული სიყვარული შეჰფიცოსო.

– კარგი, გაგაცნობ, – ჰარი გამალებით ფიქრობდა, – ახლა ჩამოგიშვებ, კარგი?

ჰარიმ რონი იატაკზე მწარედ დააბერტყა (ყური მართლა ძალიან სტკიოდა), მაგრამ რონი ფეხზე წამოხტა და გაუღიმა.

– სლაგჰორნის კაბინეტში იქნება, – დამაჯერებლად განაცხადა ჰარიმ და რონს კარისკენ გაუძღვა.

– იქ რა უნდა? – აღელდა რონი და ფეხს აუჩქარა, რომ მეგობარს არ ჩამორჩენოდა.

– შხამ-წამლებში დამატებითი გაკვეთილები აქვს დანიშნული, – ელვის სისწრაფით იგონებდა ტყუილებს ჰარი.

– იქნება, მეც ვითხოვო მასთან ერთად მომზადება შხამ-წამლებში? – მგზნებარედ იკითხა რონმა.

– მშვენიერი აზრია, – მოუწონა ჰარიმ.

ლევენდერი პორტრეტის ხვრელთან იცდიდა. ეს გართულება ჰარიმ ვერ გაითვალისწინა.

– დააგვიანე, ვან-ვან! – შუბლი შეკრა ლევენდერმა, – მე შენ დაბადების დღის...

– თავი დამანებე, – მოუთმენლად მოიშორა თავიდან რონმა, – ჰარიმ რომილდა ვეინი უნდა გამაცნოს.

და ერთი სიტყვაც აღარ უთქვამს, ისე გადაძვრა პორტრეტის


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხვრელში. ჰარიმ სცადა, მობოდიშების მიზნით, შეწუხებული სახით გადაეხედა ლევენდერისათვის, მაგრამ, ალბათ, ირონიული გამომეტყველება უფრო ჰქონდა, რადგან სანამ მათ ზურგს უკან ფუშფუშა ქალბატონი ხვრელს დახურავდა, ჰარიმ დაინახა, რომ ლევენდერი წელანდელზე უფრო მეტად იყო ნაწყენი.

ჰარი, ცოტა არ იყოს, შიშობდა, სლაგჰორნი სასაუზმოდ არ დაგვხვდეს წასულიო, მაგრამ პროფესორმა პირველივე დაკაკუნებაზე გააღო კაბინეტის კარი. ხავერდის მწვანე საღამური ეცვა, ასეთივე ჩაჩი ეხურა და ნამძინარევი თვალებს ძლივს ახელდა.

– ჰარი, – წაიბურტყუნა მან, – სტუმრობისათვის ძალიან ადრეა... შაბათობით გვიან ვდგები ხოლმე...

– პროფესორო, დიდი ბოდიში, რომ გაწუხებთ, – რაც შეიძლებოდა, ხმადაბლა უთხრა ჰარიმ, რადგან მის უკან რონი ცერებზე შემდგარიყო და სლაგჰორნის მიღმა ოთახში შეჭყეტას ცდილობდა, – მაგრამ ჩემმა მეგობარმა რონმა შეცდომით სიყვარულის ელექსირი დალია. რამე საწინააღმდეგო საშუალებას ხომ ვერ დაუმზადებდით? მადამ პომფრისთან კი წავიყვანდი, მაგრამ უისლების ჯადოსნური ოინების პროდუქციის ყიდვა აკრძალული გვაქვს და ხომ იცით... უხერხული კითხვები...

– ჰარი, მგონი, შენნაირი დახელოვნებული ოსტატი თვითონაც წამში დაამზადებდა წამალს.

– ისა... – ჰარის ყურადღება ეფანტებოდა, რადგან რონი მუჯლუგუნებს ჰკრავდა, რომ ოთახში დროზე შესულიყო, – იცით, მე არასდროს შემიზავებია სიყვარულის ელექსირის საწინააღმდეგო საშუალება, სერ, და სანამ რამეს მოვიფიქრებდი, რონს შეიძლება, უკვე რამე სისულელე ჩაედინა...

საბედნიეროდ, რონმაც სწორედ ამ დროს დაიგმინა:

– ვერა ვხედავ, ჰარი. ხომ არ მიმალავს?

– ეს ელექსირი დაძველებული ხომ არ იყო? – იკითხა სლაგჰორნმა და რონს ახლა პროფესიონალის თვალით ახედ-დახედა, – ხომ იცი, რაც უფრო დიდხანს ინახება, მით უფრო ძლიერმოქმედი ხდება.

– საშობაოდ მაჩუქეს, – ქოშინით თქვა ჰარიმ, რომელიც ახლა მთელი ძალით ეჭიდავებოდა რონს, რომ სლაგჰორნს არ დასტაკებოდა და არ წაექცია, – დღეს მისი დაბადების დღეა, პროფესორო, – ვედრებით დასძინა ჰარიმ.

– ო, კარგი, შემოდით, შემოდით, – მოლბა სლაგჰორნი, – საჭირო ინგრედიენტები აქვე, პორტფელში მაქვს. მისი მომზადება რთული არ არის...

რონი ღია კარიდან სლაგჰორნის დახუთულ, ათასი ხარახურით


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სავსე კაბინეტში შევარდა, ფეხი წამოჰკრა ერთ, ფოჩებიან ტაბურეტს, თავის შესაკავებლად ჰარის კისერში სტაცა ხელი და ჩაიბუტბუტა:

– ხომ არ დავუნახივარ?

– არა, ჯერ არ მოსულა, – მიუგო ჰარიმ. ის თვალს ადევნებდა სლაგჰორნს, რომელმაც შხამ-წამლების კომპლექტი ამოიღო და პატარა ბროლის კოლბას სხვადასხვა ინგრედიენტის რამდენიმე მწიკვი დაამატა.

– კარგია, – გრძნობით წარმოთქვა რონმა, – როგორ გამოვიყურები?

– ძალიან მიმზიდველად, – წაახალისა სლაგჰორნმა და რონს გამჭვირვალე სითხით სავსე ჭიქა გადასცა, – აბა, გადაყლურწე. ნერვების დასამშვიდებელი საშუალებაა. ხომ იცი, თავი რომ მშვიდად გეჭიროს, როცა ის მოვა.

– გადასარევია, – გაუხარდა რონს და წამალი ხმაურით გადაჰკრა.

ჰარი და სლაგჰორნი მას თვალს არ აშორებდნენ. თავდაპირველად, რონმა მათ გაბრწყინებული სახით გაულიმა, შემდეგ, სახიდან ღიმილი თანდათან ჩამოერეცხა და შეძრწუნებულმა გამომეტყველებამ შეცვალა.

– მაშ, დაგვიბრუნდი, არა? – ჩაიცინა ჰარიმ. სლაგჰორნმაც ჩაიფხუკუნა. – დიდი მადლობა, პროფესორო.

– რა სათქმელია, ჩემო ბიჭო, რა სათქმელია, – დაიბუბუნა სლაგჰორნმა. ილაჯგაწყვეტილი რონი კი უახლოეს სავარძელში ჩაებერტყა.

– ახლა რაიმე მატონიზებელი სასმელი სჭირდება, – დაასკვნა სლაგჰორნმა და სასმელებით დაზვინულ მაგიდასთან მიფუსფუსდა, – ბურბურახი მაქვს, ღვინო მაქვს, მუხის თაფლუჭის ბოლო ბოთლიც დამრჩა. ჰმმ... ეს დამბლდორისთვის უნდა გადამეცა საშობაოდ, მაგრამ... რა უჭირს, – მხრები აიჩეჩა მან, – იმას ვერ მოისაკლისებს, რაც არასდროს ჰქონია! მოდით, მისტერ უისლის დაბადების დღის აღსანიშნავად გავხსნათ! ბედნავსი სიყვარულით გამოწვეულ ტანჯვას კარგ სასმელზე უკეთ ვერაფერი უწამლებს...

სლაგჰორნმა და ჰარიმ ისევ ჩაიფრუტუნეს. ჰარი პროფესორთან პირისპირ პირველად აღმოჩნდა იმ წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, როცა მისგან ნამდვილი მოგონების გაგება სცადა. იქნებ სლაგჰორნი ასეთ ამაღლებულ განწყობაზე რომ დარჩენილიყო... იქნებ მუხის თაფლუჭი გვარიანად რომ დაელია...

– აი, მიირთვით, – სლაგჰორნმა ბიჭებს თითო ჭიქა თაფლუჭი ჩამოურიგა და თავისი ჭიქა მაღლა ასწია, – აბა, გილოცავთ, დაბადების დღეს, რალფ...



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რონ, – ჩურჩულით შეუსწორა ჰარიმ.

მაგრამ რონი სადღეგრძელოს არც დაელოდა, ისე გადაყლურწა თაფლუჭი.

სულ ერთი წამით, რომელმაც გულის ერთ დარტყმაზე დიდხანს არ გასტანა, ჰარი მიხვდა, რომ რაღაც საშინელება ხდებოდა. თუმცა სლაგჰორნი ძველებურად გულღიად იღიმებოდა და სადღეგრძელოს განაგრძობდა:

– მრავალ დაბადების დღეს დაესწარი...

რონს ჭიქა ხელიდან გაუვარდა, სავარძლიდან ნახევრად წამოიწია და ისევ ზედ დაეცა, კიდურები დაეკრუნჩხა, პირიდან ქაფი გადმოუვიდა და თვალები გადმოეკარკლა.

– პროფესორო! – დაიღრიალა ჰარიმ, – ჩქარა, გვიშველეთ რამე!

მაგრამ სლაგჰორნი ელდას გაეშეშებინა. რონი იგრიხებოდა და იხრჩობოდა. კანი თანდათან ულურჯდებოდა.

– როგორ... რანაირად... – ენა დაება სლაგჰორნს.

ჰარი დაბალ მაგიდას გადაახტა, სლაგჰორნის გახსნილ შხამ-წამლების კომპლექტს მივარდა და ქილებისა და ტომსიკების ამოყრას შეუდგა. ამასობაში ოთახი რონის ხროტინის საზარელმა ხმამ აავსო. ბოლოს იპოვა: დამჭკნარი თირკმლისებური ქვა, რომელიც სლაგჰორნმა შხამ-წამლების გაკვეთილზე გამოართვა.

ჰარი რონს მიაფრინდა, პირი ძალით გაუღო და ბეზოარი ჩასჩარა. რონს ერთიანად გააჟრჟოლა, ჰაერი ხმაურით შეისუნთქა, სხეული მოუდუნდა და მიყუჩდა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი მეცხრამეტე

# ელფები ჭაშუშებად

– მაშ, ჩაუშხამდა რონს დაბადების დღე? – იკითხა ფრედმა. მოსაღამოებულიყო, საავადმყოფო ფლიგელში სიჩუმე იდგა. რონი ერთადერთი პაციენტი იყო პალატაში. მის საწოლს ჰარი, ჰერმიონი და ჯინი შემოსხდომოდნენ. მთელი დღე დერეფანში, კართან ატუზულებმა გაატარეს. პალატაში ვინმეს შესვლისას ან გამოსვლისას ცდილობდნენ, როგორმე შიგნით შეეჭყიტათ. და, აი, რვა საათზე მადამ პომფრიმ, როგორც იქნა, ისინი რონთან შეუშვა. ათ წუთში ფრედი და ჯორჯიც მოვიდნენ.

– რას ვიფიქრებდით, რომ რონისათვის საჩუქრის მიცემა ასეთ ვითარებაში მოგვიწევდა, – მოღუშულმა ჯორჯმა ვეება შეფუთული საჩუქარი რონის საწოლის გვერდით ტუმბოზე დადო.

– ჰო, როცა საჩუქრის გადაცემის სცენას წარმოვიდგენდით, რონი ყოველთვის საღ-სალამათი გვედგა თვალწინ,– დაუმატა ფრედმა.

– ვისხედით ჩვენთვის ჰოგსმიდში და იქ ველოდით, რომ სიურპრიზი მოგვეწყო... – თქვა ჯორჯმა.

– ჰოგსმიდში იყავით? – თავი ასწია ჯინიმ.

– ჰოგსმიდის ფილიალის გასახსნელად ზონკოს მაღაზიის ყიდვას ვაპირებდით, – ნაღვლიანად აუხსნა ფრედმა, – მაგრამ შაბათ-კვირას თქვენ თუ აღარ გამოგიშვეს სოფელში ჩვენი პროდუქციის საყიდლად, ნამდვილად გავკოტრდებით... თუმცა ახლა ამაზე არ ღირს ლაპარაკი, – მან სკამი ჰარის გვერდით მიაჩოჩა და ფერმიხდილ რონს დახედა.

– მაინც, როგორ მოხდა ეს, ჰარი?

ჰარი თავიდან მოჰყვა იმას, რაც, ალბათ, უკვე ასჯერ მაინც მოუთხრო დამბლდორს, მაკგონაგელს, მადამ პომფრის, ჰერმიონსა და ჯინის.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მერე პირში ბეზოარი ჩავტენე და სუნთქვა ოდნავ შეუმსუბუქდა, სლაგჰორნი დახმარების სათხოვნელად გაიქცა. შემდეგ მაკგონაგელმა და მადამ პომფრიმ მოირბინეს და რონი აქ ამოიყვანეს. ფიქრობენ, რომ საფრთხე აღარ ემუქრება. მადამ პომფრი ამბობს, ერთი კვირით მაინც უნდა დარჩეს პალატაშიო... ტეგანის ესენცია უნდა სვასო...

– ჯანდაბა, კიდევ კარგი, ბეზოარი გაგახსენდა, – ხმადაბლა თქვა ჯორჯმა.

– კიდევ კარგი, ბეზოარი ოთახში აღმოჩნდა, – შეუსწორა ჰარიმ, რომელსაც იმის გაფიქრებაც კი ზარავდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, ეს პატარა კენჭი რომ არ ეპოვა.

ჰერმიონმა ძლივსგასაგონად დაიქსუტუნა. მთელ დღეს უჩვეულოდ გასუსული იყო. მას შემდეგ, რაც გაფითრებული მივარდა პალატის კართან მდგარ ჰარის და იკითხა, რა მოხდაო, რონის მოწამვლის თემაზე ჰარისა და ჯინის გახურებულ მსჯელობაში მონაწილეობა თითქმის აღარ მიუღია. მათ გვერდით ხმაგაკმენდილი და დამფრთხალი იდგა, სანამ ყველანი პალატაში არ შეუშვეს.

– დედამ და მამამ იციან? – ჰკითხა ფრედმა ჯინის.

– უკვე ნახეს კიდეც. ერთი საათის წინ ჩამოვიდნენ. ახლა დამბლდორის კაბინეტში არიან, მაგრამ წუთი წუთზე დაბრუნდებიან.

რონმა ძილში რაღაც ჩაიბურტყუნა. ყველა გაიტრუნა და მას დახედა.

– ესე იგი, საწამლავი სასმელში იყო გარეული? – ჩუმად იკითხა ფრედმა.

– კი, – უმალ უპასუხა ჰარიმ, სხვა რამეზე ფიქრი არ შეეძლო და გაუხარდა, რომ საშუალება მიეცა, კვლავ დაბრუნებოდა ამ თემას, – სლაგჰორნმა დაგვისხა...

– შენგან უჩუმრად რონის ჭიქაში რამის ჩასხმას ხომ ვერ მოახერხებდა?

– ალბათ, შეეძლო, – უპასუხა ჰარიმ, – მაგრამ, რაში უნდა დასჭირვებოდა სლაგჰორნს რონის მოწამვლა?

– რა ვიცი, – შუბლი შეიკრა ფრედმა, – როგორ ფიქრობ, ჭიქები ხომ არ აერია? იქნებ შენი მოწამვლა უნდოდა?

– ჰარის რაღას ერჩოდა? – იკითხა ჯინიმ.

– რა ვიცი, – მხრები აიჩეჩა ფრედმა, – მაგრამ ჰარის მოწამვლა ბევრს რომ აძლევს ხელს, ეს ფაქტია. „რჩეულიო“ და რამე...

– მაშ, შენი აზრით, სლაგჰორნი „სიკვდილის მხვრელია“? – ჰკითხა ჯინიმ.

– არ არის გამორიცხული, – სერიოზულად მიუგო ფრედმა.

– იქნებ, იმპერიუსის წყევლის გავლენის ქვეშ იყო? – ივარაუდა ჯორჯმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ან, იქნებ, უდანაშაულოა? – წამოაყენა ვარაუდი ჯინიმ – საწამლავი, შეიძლება, სულაც, ბოთლში იყო, ასეთ შემთხვევაში, ის სლაგჰორნისთვის იქნებოდა განკუთვნილი.

– სლაგჰორნის მოკვლა ვის რაში სჭირდება?

– დამბლდორი ფიქრობს, რომ ვოლდემორს სლაგჰორნის გადაბირება უნდოდა, – ჩაურთო ჰარიმ, – სლაგჰორნი ჰოგვორტსში მოსვლამდე მთელი წლის განმავლობაში იმალებოდა და... – ჰარის გაახსენდა მოგონება, რომელიც ვერა და ვერ დასტყუა სლაგჰორნს დამბლდორმა, – და შეიძლება, ვოლდემორს მისი გზიდან ჩამოშორება უნდა. იქნებ, ფიქრობს, რომ დამბლდორი მას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს.

– კი მაგრამ, შენ არა თქვი, სლაგჰორნი საშობაოდ დამბლდორისთვის აპირებდა იმ ბოთლის ჩუქებასო? – შეახსენა ჯინიმ, – ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, სულაც, დამბლდორის მოწამვლა სურდათ.

– მაშინ, მომწამვლელს სლაგჰორნი კარგად არ სცნობია – ამ ხნის მანძილზე პირველად დაილაპარაკა ჰერმიონმა, თანაც ისეთი ხმით, თითქოს გვარიანი სურდო აქვსო, – მათთვის, ვინც სლაგჰორნს კარგად იცნობს, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ასეთ პირის ჩასაკოკლოზინებელ რამეს სხვისთვის ძნელად თუ გაიმეტებს.

– ერ... მი... ონ... – მოულოდნელად დაიკრუსუნა რონმა. ყველამ ხმა გაკმინდა და აღელვებით დააცქერდა რონს, მაგრამ რონმა ისევ ხვრინვა ამოუშვა.

მოულოდნელად პალატის კარი ყურთამდე გაიღო. ხმაურზე ყველა შეხტა. მათკენ ჰაგრიდი მოალაჯებდა. თმა წვიმის წვეთებით დანამვოდა, დათვის ტყავის ქურქს მოაფრიალებდა, ხელში მშვილდი ჩაებლუჯა და იატაკზე დელფინის ზომის ტალახიან ნაფეხურებს ტოვებდა.

– მთელი დღე ტყეში ვიყავი! – დაიქშინა მან, – არაგოგი უარესადაა და წიგნს ვუკითხავდი... ვახშამზე არ მოვსულვარ. სულ ახლახან მოვედი და პროფესორმა სპრაუტმა რონის ამბავი მითხრა. როგორაა?

– არა უშავს, – დაამშვიდა ჰარიმ, – ამბობენ, კარგად იქნებაო.

– პალატაში ექვს მნახველზე მეტის ყოფნა არ შეიძლება!

– თავისი კაბინეტიდან თავი გამოყო მადამ პომფრიმ.

– ჰაგრიდი მეექვსეა, – შენიშნა ჯორჯმა.

– ო... დიახ... – შეცბა მადამ პომფრი, რომელმაც, როგორც ჩანდა, გოლიათი ჰაგრიდი რამდენიმე კაცად ჩათვალა. უხერხულობის დასაფარავად ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა და ჰაგრიდის ტალახიანი ნაფეხურების ასაწმენდად დაფაცურდა.

– არა მჯერა, – ჩახლეჩილი ხმით თქვა ჰაგრიდმა, გაბურძგნილი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი გადააქნია და რონს დააშტერდა, – არა მჯერა, მორჩა და გათავდა... შეხედეთ, როგორ წევს. ამას ვინ რას ერჩოდა?

– ახლა სწორედ ამაზე ვლაპარაკობდით, – უთხრა ჰარიმ – აზრზე არა ვართ.

– იქნებ, ვინმეს გრიფინდორის ნაკრების ჯავრი სჭირს? – აღელდა ჰაგრიდი, – ჯერ – ქეითი, ახლა – რონი...

– ვერ გამიგია, ვის უნდა უნდოდეს გრიფინდორის ნაკრების ამოჟლეტა! – გაუკვირდა ჯორჯს.

– რატომაც არა, ვუდი სიამოვნებით ამოხოცავდა ყველა სლიზერინელს, თუ ეცოდინებოდა, რომ ეს ამბავი შერჩებოდა – მშვიდად შენიშნა ფრედმა.

– ჩემი აზრით, ქვიდიჩი არაფერ შუაშია, მაგრამ, მგონი, ამ ორ თავდასხმას შორის რაღაც კავშირი მაინც არსებობს, – წყნარად თქვა ჰერმიონმა.

– რა კავშირი? – ჰკითხა ფრედმა.

– ჯერ ერთი, ორივე თავდასხმა სასიკვდილო უნდა ყოფილიყო, მაგრამ, იღბლიანი შემთხვევის წყალობით, ორივე კეთილად დასრულდა. მეორეც, ვერც საწამლავმა და ვერც ყელსაბამმა ვერ მიაღწია იმ ადამიანამდე, ვისი განადგურებაც იყო განზრახული. რა თქმა უნდა, – დასძინა ჩაფიქრებულმა – ეს იმაზე მეტყველებს, რომ ვინც ეს ყველაფერი ჩაიფიქრა, ძალზე საშიშია, რადგან, როგორც ჩანს, არ ანაღვლებს, რამდენ კაცს მოუღებს ბოლოს, სანამ უშუალოდ თავის მსხვერპლს მისწვდება.

სანამ ვინმე ხმას ამოიღებდა, კარი კვლავ გაიღო და პალატაში ბატონი და ქალბატონი უისლები შემოცვივდნენ. საავადმყოფო ფლიგელში ბოლო ვიზიტისას თავი დაიმშვიდეს, რომ რონი სრულიად გამოჯანმრთელდებოდა. ქალბატონმა უისლიმ შემოსვლისთანავე ჰარის ხელი სტაცა და გულში მაგრად ჩაიკრა.

– დამბლდორმა გვითხრა, რომ რონი ბეზოარით გადაარჩინე, – ქვითინს ძლივს იკავებდა ქალი, – ო, ჰარი, სიტყვები არ მყოფნის! შენ გადაარჩინე ჯინი, შენ გადაარჩინე არტური... ახლა კი – რონი...

– რას ამბობთ... მე რა... – უხერხულად ბუტბუტებდა ჰარი.

– მართლაცდა, ჩვენი ოჯახის ნახევარი შენი წყალობითაა ცოცხალი, – მიმქრალი ხმით ჩაურთო ბატონმა უისლიმ, – ჰარი, ისღა დამრჩენია, ვთქვა, რომ უისლებს იღბლიანი დღე გაუთენდათ, როცა ჰოგვორტსის ექსპრესში ასულმა რონმა შენს კუპეში გადაწყვიტა დაჯდომა.

ჰარიმ ამის საპასუხოდ ვერაფერი მოიფიქრა. ამ დროს მხსნელად მადამ პომფრი მოევლინა, რომელმაც ყველას შეახსენა, რომ პაცი-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ენტის საწოლთან მხოლოდ ექვსი მნახველის ყოფნა იყო დასაშვები. ჰარი და ჰერმიონი სასწრაფოდ წამოდგნენ წასასვლელად. ჰაგრიდიც ადგა და რონი ოჯახურ გარემოცვაში დატოვეს.

– რა საშინელებაა, – ბურდღუნებდა ჰაგრიდი, გრძელი დერეფნით მარმარილოს კიბისაკენ რომ მიდიოდნენ, – უსაფრთხოების ზომები კი გაამკაცრეს, მაგრამ რად გინდა! ბავშვები მაინც იღუპებიან... დამბლდორი გადაიყოლა ნერვიულობამ... ხმას კი არ იღებს, მაგრამ მე ხო ვატყობ...

– ჰაგრიდ, დამბლდორი რას ფიქრობს? – სასოწარკვეთით ჰკითხა ჰერმიონმა.

– მაგისი ტვინის პატრონი ათას რამეზე ფიქრობს, – აღტაცებით გამოაცხადა ჰაგრიდმა, – მაგრამ ის კი არ იცის, ვინ გამოაგზავნა ყელსაბამი ან ვინ გაურია საწამლავი ღვინოში. თორემ აქამდე იმას ციხე არ ასცდებოდა. მე ის მადარდებს, რომ, – ჰაგრიდმა ხმას დაუწია და უკან გაიხედა (ჰარიმ, ყოველი შემთხვევისათვის, ჭერსაც ახედა, პივსი ხომ არსად დაფარფატებსო), – ბავშვებზე თავდასხმა თუ გაგრძელდა, შეიძლება, მალე ჰოგვორტსი დახურონ. ისევ საიდუმლო ოთახის დროინდელი ამბავი მეორდება: ატყდება პანიკა, მშობლები შვილებს სკოლიდან გაიყვანენ და თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, რომ მეურვეთა საბჭო...

ჰაგრიდმა ხმა გაკმინდა, რადგან მათ ლივლივით უხმოდ ჩაუარა გრძელთმიანი ქალის მოჩვენებამ და შემდეგ ხრინწიანი ჩურჩულით გააგრძელა:

– მეურვეთა საბჭო ჩვენს სამუდამოდ დახურვაზე ალაპარაკდება.

– რას ამბობ, – აღელდა ჰერმიონი.

– ამ ამბავს იმათი მხრიდანაც უნდა შეხედო, – მძიმედ ამოიოხრა ჰაგრიდმა, – ჰოგვორტსში ბავშვის გამოგზავნა ყოველთვის რისკია. ხო იცი, ასობით არასრულწლოვან ჯადოქარს ერთ შენობაში რო შეყრი, ათასი რამე შეიძლება მოხდეს. მაგრამ განზრახ მკვლელობის მიზნით თავდასხმა სულ სხვაა. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ დამბლდორი ასე გაბრაზებულია სნ... ჰაგრიდი მოულოდნელად შედგა და სახეზე ნაცნობი დამნაშავე გამომეტყველება გამოესახა.

– რაო? – სწრაფად ჩაეკითხა ჰარი, – დამბლდორი გაბრაზებულია სნეიპზე?

– მე ეგ არ მითქვამს, – იუარა ჰაგრიდმა, მაგრამ ისე იყო დამფრთხალი, ყველაფერი სახეზე ეწერა – შეხედეთ, რომელი საათია. შუაღამემ მოაწია. მე უნდა...

– ჰაგრიდ, რატომ არის დამბლდორი სნეიპზე გაბრაზებული? – ხმამაღლა იკითხა ჰარიმ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩუ! – ერთბაშად გაბრაზდა და განერვიულდა ჰაგრიდი – ასეთ რამეს ნუ ყვირი, ჰარი. გინდა, სამუშაო დამაკარგვინო? მგონი, ეს აღარც განაღვლებს, არა? რაც ჯადოსნური არსებების მოვლის საგანზე ხელი აიღე...

– ნუ ცდილობ სიტყვის ბანზე აგდებას, არ გამოგივა! – მტკიცედ შეაწყვეტინა ჰარიმ, – მითხარი, ამისთანა რა ჩაიდინა სნეიპმა?

– რა ვიცი, ჰარი. წესით, არც უნდა გამეგონა რამე! მოკლედ, ამას წინათ ტყიდან გამოვდიოდი და ყური მოვკარი, როგორ ლაპარაკობდნენ... არა... კამათობდნენ. არ მინდოდა, იმათი ყურადღება მიმექცია, ამიტომ ჩუმად ჩავუარე და შევეცადე, არ დამეგდო ყური, მაგრამ უკვე ისეთი... ისა... გახურებული კამათი გაემართათ, რა ვქნა, უნებურად ყველაფერი მოვისმინე.

– მერე? – ჩააცივდა ჰარი. შემცბარმა ჰაგრიდმა უხერხულად მოინაცვლა ფეხი.

– ეეეე... მარტო ის გავიგე, როგორ ამბობდა სნეიპი, რომ დამბლდორი მეტისმეტს ითხოვს და იქნება, იმას, სნეიპს, აღარ უნდა ამისი გაკეთება.

– რისი გაკეთება?

– რა ვიცი, ჰარი. თითქოს სნეიპი მუშაობით გადაღლილი ჩანდა. მოკლედ, სულ ეს არის... დამბლდორმა კატეგორიულად უთხრა, შენ თვითონ მოინდომე, რომ ამას იზამდიო, და პირობა პირობაა. უჰ, ისე მკაცრად ელაპარაკა. დამბლდორმა ისიც ახსენა, რომ სნეიპი თავის კლუბში, სლიზერინში გამოძიებას აწარმოებს. არა, აქ უცნაური არაფერია! – საჩქაროდ დაამატა ჰაგრიდმა, რადგან ჰარიმ და ჰერმიონმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს, – ყველა კლუბის თავმჯდომარეს აქვს დავალებული ყელსაბამის საქმის გამოკვლევა...

– ჰო, მაგრამ, დამბლდორს დანარჩენი კლუბების თავმჯდომარეებთან, რატომღაც, შეხლა-შემოხლა არ მოსდის! – შენიშნა ჰარიმ.

– აბა, ყური მიგდე, – ჰაგრიდმა ისე უხერხულად გადაგრიხა მშვილდი, რომ შუაზე გადაამტვრია, – ვიცი, როგორა ხარ განწყობილი სნეიპის მიმართ, ჰარი, და არ მინდა, ამ ამბიდან შენებური დასკვნები გამოიტანო.

– ჩუმად, – წაისისინა ჰერმიონმა.

სწრაფად მიაბრუნეს თავი და ზურგს უკან კედელზე გამოსახულ არგუს ფილჩის ჩრდილს მანამ შეასწრეს თვალი, სანამ კუზიანი, ყბააკანკალებული დარაჯი თავად შემოუხვევდა კუთხეში.

– აჰაა! – დაიხიხინა მან, – ასე გვიან საწოლებში რატომ არ ხართ, დამატებითი სამუშაოც დაიმსახურეთ!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არაფერიც არ დაიმსახურეს, ფილჩ, – მოუჭრა ჰაგრიდმა, – როგორც ხედავ, ჩემთან ერთად არიან.

– მერე რა, რომ შენთან ერთად არიან? – გამომწვევად ჩაეკითხა ფილჩი.

– მაშ, მე არ ვითვლები მასწავლებლად, შე ჩამშვებო სქვიბო?! – გაცხარდა ჰაგრიდი.

ფილჩმა საძაგელი სისინი ამოუშვა და ბრაზით გაიბერა. ყველასაგან შეუმჩნევლად მისის ნორისი მოპარულიყო და პატრონს გაძვალტყავებულ ფეხებზე ეგლისებოდა.

– მოუსვით აქედან, – გადაუჩურჩულა ბავშვებს ჰაგრიდმა. ჰარიმ აღარ გაამეორებინა და ჰერმიონთან ერთად გაიქცა. დერეფანში ჰაგრიდისა და ფილჩის ხმები ექოდ ისმოდა. გრიფინდორის კოშკის შესახვევთან ბავშვებმა პივსს ჩაურბინეს, რომელიც აღტაცებული მიქროდა ყაყანისა და ყვირილის წყაროსაკენ და მთელი ხმით მღეროდა:

*„იქ, სადაც დავა, ჩხუბია და თან*
*ჰრობლემაც ახლავს,*
*მოუხმეთ პივსს და ის ცეცხლზე უმალ*
*ნავთს გადასხამს!“*

ფუშფუშა ქალბატონი მშვიდად თვლემდა. რომ გააღვიძეს, ძალიან გაბრაზდა და აბუზღუნდა, მაგრამ მაინც გაიწია განზე. ჰარი და ჰერმიონი სიხარულით გადაფოფხდნენ უშფოთველ, ცარიელ საერთო ოთახში. ჩანდა, რონის ამბავი ჯერ არ გავრცელებულიყო. ჰარიმ შვებით ამოისუნთქა. იმ დღეს ისედაც ყელში ამოუვიდა კითხვებზე პასუხის გაცემა. ჰერმიონმა ღამე მშვიდობისა უსურვა და გოგონების საძინებლისაკენ გასწია. ჰარი ოთახში დარჩა, ბუხართან სავარძელში ჩაჯდა და მინავლულ ნაკვერჩხლებს ჩააშტერდა.

მაშ, დამბლდორს სნეიპთან უთანხმოება მოსვლია. მიუხედავად იმისა, რაც ჰარის უთხრა, მიუხედავად მისი დაჟინებული მტკიცებისა, რომ სნეიპს ენდობოდა, სლიზერინის თავმჯდომარეს მაინც დაატეხა თავს რისხვა. ალბათ, მიაჩნია, რომ სნეიპმა თავის კლუბში გამოძიება სათანადოდ არ ჩაატარა. ან, იქნებ, სლიზერინის კლუბზე კი არა, მხოლოდ ერთ სლიზერინელზე – მალფოიზე – იყო საუბარი?

იქნებ, დამბლდორს არ უნდოდა, ჰარის რამე სისულელე ჩაედინა, ამიტომაც თავი ისე დაიჭირა, თითქოს ჰარის სრულიად უსაფუძვლო ეჭვები ღრღნიდა? ჰო, ალბათ, ასეც იყო. შეიძლება, სულაც, დამბლდორს არ უნდოდა, ჰარი გაკვეთილებისგან რამეს მოეწყვიტა ან


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სლაგჰორნისაგან მოგონების დაცინცვლაში მისთვის რაიმეს შეეშალა ხელი. ან, იქნებ, მიზანშეწონილად არ მიაჩნდა, თავისი ეჭვები თექვსმეტი წლის სტუდენტისთვის გაეზიარებინა...

– უკვე მოსულხარ, პოტერ!

ელდანაკრავი ჰარი წამოხტა და ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა. დარწმუნებული იყო, რომ საერთო ოთახში მის გარდა არავინ იმყოფებოდა და გული გაუსკდა, როცა, მოულოდნელად, შორიახლოს მდგარი სავარძლიდან უზარმაზარი ფიგურა წამოიმართა. უფრო ყურადღებით დააკვირდა და აღმოჩნდა, რომ ეს კორმაკ მაკლეგენი იყო.

– გელოდებოდი, – მაკლეგენმა ჰარის მოღერებული ჯადოსნური ჯოხი არაფრად ჩააგდო, – და, ალბათ, ჩამეძინა. მისმინე, ცოტა ხნის წინ თვალი მოვკარი, როგორ აჰყავდათ უისლი საავადმყოფო ფლიგელში. ეტყობოდა, რომ მომავალი კვირის მატჩზე ვერ ითამაშებს.

ჰარის რამდენიმე წამი დასჭირდა, სანამ მაკლეგენის ნათქვამის აზრს ჩასწვდებოდა.

– ააა... ჰო, ქვიდიჩი, – ჯადოსნური ჯოხი ქამარში გაიჩარა და დაღლილი მოძრაობით გადაისვა თმაზე ხელი, – ჰო, შეიძლება თამაში ვერც შეძლოს.

– ესე იგი, მეკარედ მე ვითამაშებ, არა? – ჰკითხა მაკლეგენმა.

– ჰო, ასე გამოდის...

ჰარიმ მაკლეგენის საწინააღმდეგოდ ვერანაირი არგუმენტი ვერ მოიფიქრა. ბოლოს და ბოლოს, შესარჩევ ვარჯიშზე მაკლეგენს რონის შემდეგ მართლაც საუკეთესო შედეგი ჰქონდა.

– ძალიან კარგი, – კმაყოფილი დარჩა მაკლეგენი, – როდისაა დანიშნული ვარჯიში?

– რაა? აა... ხვალ საღამოს.

– კარგია. ახლა მომისმინე, პოტერ. ვარჯიშამდე უნდა დაგელაპარაკო. სტრატეგიის თაობაზე რამდენიმე კარგი იდეა მაქვს. შეიძლება, მოგეწონოს და გამოიყენო.

– კარგი, – უხალისოდ დათანხმდა ჰარი, – ოღონდ, ხვალ მოგისმენ, რა. ახლა ძალიან დაღლილი ვარ. აბა, კარგად...

რონის მოწამვლის ამბავი მეორე დღეს ელვისებური სისწრაფით გავრცელდა, მაგრამ ისეთი სენსაცია არ გამოუწვევია, როგორიც ქეითიზე თავდასხმას. ზოგი ამას უფრო უბედურ შემთხვევად მიიჩნევდა, რადგან რონი მოწამვლისას შხამ-წამლების ოსტატის კაბინეტში იმყოფებოდა, თანაც შხამსაწინააღმდეგო საშუალება უმალ მისცეს და საგანგაშოც აღარაფერი იყო. სიმართლე რომ ითქვას, გრიფინდორელები ბევრად უფრო მეტ ინტერესს ჰაფლეპაფის წინააღმ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დეგ ქვიდიჩის მომავალი მატჩის მიმართ იჩენდნენ, რადგან ყველას უნდოდა, თავისი თვალით ეხილა ჰაფლეპაფის გუნდში ჩეიზერად მოთამაშე ზაქარია სმიტის სასტიკად დასჯა, სლიზერინ-გრიფინდორის მატჩის დროს ირონიული გამოთქმებისთვის.

ჰარი კი, პირიქით, ქვიდიჩისადმი ასეთი გულგრილი ჯერ არ ყოფილა. მას სულ უფრო და უფრო ღრღნიდა დრაკო მალფოის მიმართ გაჩენილი ეჭვები. როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა, ონავართა რუკას ამოწმებდა, ზოჯერ შემოვლითი გზებითაც კი დადიოდა იმ ადგილებში, სადაც მალფოი ეგულებოდა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი ნახა. და მაინც, მალფოი რუკიდან დროდადრო გაურკვეველ ვითარებაში უჩინარდებოდა ხოლმე...

ჰარი ამ პრობლემაზე დასაფიქრებლად დროს ველარ პოულობდა, რადგან ძლივს აუდიოდა ქვიდიჩის ვარჯიშებსა და საშინაო დავალების შესრულებას. ამ ყველაფერს კი ისიც დაემატა, რომ სადაც უნდა წასულიყო, ყველგან ფეხდაფეხ დასდევდნენ კორმაკ მაკლეგენი და ლევენდერ ბრაუნი.

ჰარი ვერ იტყოდა, რომელი მათგანი უფრო აბეზრებდა თავს. მაკლეგენი გასაქანს არ აძლევდა გადაკრული მინიშნებებით, რომ გუნდის ძირითად შემადგენლობაში თუ ჩასვამდნენ, რონზე კარგი მეკარე იქნებოდა და ჰარი მის რეგულარულ თამაშს თუ ნახავდა, ამაში თავადაც დარწმუნდებოდა. მაკლეგენი დიდი ხალისით აკრიტიკებდა გუნდის სხვა მოთამაშეებს და ჰარის თავს ახვევდა ტაქტიკური წყობის დეტალებს, ამიტომ ჰარი რამდენჯერმე იძულებული გახდა, მისთვის შეეხსენებინა, თუ ვინ იყო კაპიტანი.

ამასობაში ლევენდერიც წამდაუწუმ წამოეპარებოდა ხოლმე რონზე საჭორაოდ, რაც ჰარის უფრო მეტად აწუხებდა, ვიდრე მაკლეგენის ლექციები ქვიდიჩზე. თავდაპირველად ლევენდერმა დიდი აღშფოთება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ არავინ ჩათვალა საჭიროდ, მისთვის ეცნობებინა რონის საავადმყოფო ფლიგელში მოთავსების ამბავი: „მე ხომ მისი შეყვარებული ვარ!“ მაგრამ შემდეგ, რატომღაც გადაწყვიტა, ჰარისათვის ეს დაუდევრობა ეპატიებინა და მასთან რონის გრძნობების დეტალურად განხილვა მოისურვა, რაც ჰარის საშინლად უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა და ამიტომ ცდილობდა, თავი შორს დაეჭირა ლევენდერისგან.

– კი მაგრამ, ამაზე რონს რატომ არ ელაპარაკები? – ჰკითხა ჰარიმ მას შემდეგ, რაც ლევენდერმა დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი, დაწყებული იმით, თუ, სახელდობრ რა თქვა რონმა მისი ახალი საზეიმო მანტიის შესახებ და დამთავრებული იმით, თუ რას ფიქრობდა ჰარი ლევენდერთან რონის ურთიერთობაზე.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კი დაველაპარაკებოდი, მაგრამ მის სანახავად რომ ავდივარ, ყოველთვის ჩაძინებული მხვდება, – წაიწუწუნა ლევენდერმა.

– მართლა? – გაუკვირდა ჰარის, რადგან მას რონი პალატაში ყოველთვის ფხიზელი ხვდებოდა ხოლმე, ცნობისმოყვარეობით გამოიკითხავდა დამბლდორისა და სნეიპის უთანხმოების ამბავს და დიდი ენთუზიაზმით ლანძღავდა მაკლეგენს.

– ჰერმიონ გრეინჯერი ისევ დადის მის მოსანახულებლად? – მოულოდნელად იკითხა ლევენდერმა.

– მგონი, კი. მერე რა, მეგობრები არიან, – შეიშმუშნა ჰარი.

– მეგობრები! ნუ მაცინებ, რა, ჰარი! – გესლიანად თქვა ლევენდერმა, – როგორც კი რონმა ჩემთან შეხვედრა დაიწყო, რამდენიმე კვირა არ ელაპარაკებოდა! მაგრამ ახლა, რონი ასეთი „საინტერესო“ რომ გახდა, გადაწყვიტა, შეურიგდეს.

– შენ ფიქრობ, რომ შხამით მოწამვლა საინტერესოა? კარგი, ახლა ბოდიშს გიხდი, უნდა წავიდე. აგერ, მაკლეგენი ქვიდიჩზე სალაპარაკოდ მოდის, – აჩქარდა ჰარი, გვერდულად შესხლტა კარში, რომელიც, ერთი შეხედვით, კედელს ჰგავდა, და მოკლე გზით გაიქცა შხამ-წამლების საკლასო ოთახისკენ, სადაც, საბედნიეროდ, ვერც ლევენდერი და ვერც მაკლეგენი ვერ მისწვდებოდნენ.

გრიფინდორ-ჰაფლეპაფის მატჩის დილას ჰარიმ მოედანზე ჩასვლამდე საავადმყოფო ფლიგელში შეიარა. რონი ძალიან აღტკინებული დახვდა. მადამ პომფრიმ არაფრით დართო ნება, მატჩის საყურებლად ჩასულიყო: პაციენტისთვის სრული სიმშვიდეა საჭიროო.

– რას შვრება მაკლეგენი, თანდათან დგება ფორმაში? – ჰკითხა ჰარის აღელვებულმა რონმა, აშკარად დაავიწყდა, რომ ეს უკვე ორჯერ ჰკითხა.

– ხომ გითხარი, – მოთმინებით გაუმეორა ჰარიმ, – მსოფლიო დონის მოთამაშეც რომ იყოს, გუნდში არ დავიტოვებ. ყველას ჭკუას გვასწავლის და ჰგონია, რომ ნებისმიერ პოზიციაში სხვებზე უკეთ ითამაშებდა. ერთი სული მაქვს, თავიდან მოვიცილო. და, სხვათა შორის, ხალხის თავიდან მოცილებაზე გამახსენდა, – წამოდგა და „ელვას“ დასწვდა, – ძალიან გთხოვ, თავს ნუ იმძინარებ, როცა ლევენდერი შენს სანახავად ამოდის. ცოტაც და, ჭკუიდან შემშლის.

– ო, – დაიმორცხვა რონმა, – კარგი, კარგი.

– თუ მასთან ურთიერთობის გაწყვეტას აპირებ, ჯობია, პირდაპირ უთხრა, – ურჩია ჰარიმ.

– ჰო... რა ვიცი... ასეთი ადვილი არაა, – თავი იმართლა რონმა, წამით გაჩუმდა და სხვათა შორის იკითხა, – ჰერმიონი მატჩის წინ შემოიხედავს?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა, ის და ჯინი უკვე მოედანზე ჩავიდნენ.

– აა, – ცხვირი ჩამოუშვა რონმა, – გასაგებია. აბა, წარმატებას გისურვებ. იმედია, გააბრტყელებთ მაკლე... უფრო სწორად, სმიტს.

– ვეცდები, – ჰარიმ ცოცხი მხარზე გაიდო, – მატჩის შემდეგ შემოგირბენ.

ჰარიმ სწრაფი ნაბიჯით ჩაიარა ცარიელი დერეფნები. მთელი სკოლა გარეთ გაკრეფილიყო: ზოგი უკვე ტრიბუნებზე იჯდა, ზოგიც თამაშის საყურებლად სტადიონისკენ მიეშურებოდა. ჰარი გზადაგზა ფანჯრებიდან იცქირებოდა, ცდილობდა, ქარის სიჩქარე განესაზღვრა. უცებ წინიდან ხმაური მოესმა, თავი ასწია და მისკენ მომავალი დრაკო მალფოი დაინახა. მას ორი გოგონა ახლდა, ორივე მოღუშული და განაწყენებული ჩანდა.

მალფოი ჰარის დანახვაზე ანაზდად შედგა, ნაძალადევად ჩაიცინა და გზა განაგრძო.

– საით გაგიწევია? – ჰკითხა ჰარიმ.

– ბოდიში, მაგრამ ვერ გეტყვი, პოტერ, იმიტომ, რომ ეს შენი საქმე არაა, – გესლიანად ჩაიქირქილა მალფოიმ, – გირჩევნია, აჩქარდე, თორემ „რჩეული" კაპიტნის ლოდინით თვალები დააწყდებათ. „ბიჭი, რომელმაც გოლი გაიტანა", თუ როგორ გიწოდებენ დღესდღეობით?!

ერთ-ერთმა გოგონამ უხალისოდ ჩაიხითხითა. ჰარიმ გაოცებით შეათვალიერა. გოგონა გაწითლდა. მალფოიმ ჰარის მხარი გაჰკრა და ჩაუარა. გოგონები ცუნცულით გაჰყვნენ, კუთხეში შეუხვიეს და თვალს მიეფარნენ.

ადგილზე მილურსმულმა ჰარიმ მათ თვალი გააყოლა. ის აცოფებდა, რომ სწორედ მაშინ გადაეყარა სკოლაში საეჭვოდ მოწრიალე დრაკო მალფოის, როცა წუთი წუთზე უნდა მიესწრო მატჩისათვის. არადა, მალფოის ზრახვების გასარკვევად ეს ჰარისათვის საუკეთესო შანსი იყო. მდუმარე წამები ერთმანეთს მისდევდა. ჰარი კი გაშეშებული იდგა და იმ ადგილს მიშტერებოდა, სადაც მალფოი გაუჩინარდა.

– სად დაიკარგე? – ჰკითხა ჯინიმ, როცა გასახდელში შევარდა. გუნდს უკვე გამოეცვალა ტანთ და მოედანზე გასასვლელად მზად იყო. ბიტერები – კუტი და პიკსი – ჩოგანს ნერვიულად იცემდნენ ფეხებზე.

– სკოლაში მალფოის გადავეყარე, – ხმადაბლა გადაულაპარაკა გოგონას ჰარიმ და ალისფერი ფორმა გადაიცვა.

– მერე, რა?

– მერე ის, რომ საინტერესოა, რა ესაქმება ციხე-კოშკში ორ გოგონასთან ერთად, როცა ყველა აქ არის?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ნუთუ ახლა ეს ასეთი მნიშვნელოვანია?

– ამას უკვე ველარ შევიტყობთ, – ჰარიმ „ელვას“ ხელი წამოავლო და სათვალე შეისწორა, – წავედით!

და კრინტი აღარ დაუძრავს, ისე გავიდა მოედანზე გამაყრუებელი ყიჟინისა და უკმაყოფილო გუგუნის შესახვედრად. დროდადრო ღრუბლებიდან კაშკაშა მზის სხივები გამოაჭყიტებდა ხოლმე და თვალს სჭრიდა.

– სათამაშოდ არცთუ ისე სახარბიელო პირობებია! – მხნედ მიმართა მაკლეგენმა გუნდს, – კუტ, პიკს, იცოდეთ, მზის მხრიდან დაუარეთ, რომ თქვენი მოახლოება მოწინააღმდეგემ შორიდანვე ვერ შეამჩნიოს...

– კაპიტანი მე ვარ, მაკლეგენ. მორჩი ინსტრუქციების გაცემას, – გაბრაზდა ჰარი, – მოკეტე და გოლპოსტებთან აფრინდი.

როგორც კი მაკლეგენი გაეცალა, ჰარი კუტსა და პიკს მიუბრუნდა:

– ეცადეთ, მართლა მზის მხრიდან დაუაროთ.

ჰარიმ ჰაფლეპაფის გუნდის კაპიტანს ხელი ჩამოართვა, მადამ ჰუჩის სასტვენის ხმაზე მიწას ფეხი დაჰკრა, გუნდის დანარჩენ წევრებზე მაღლა აიჭრა ცაში და მოედნის თავზე სრიალსა და სნიჩის ძებნას შეუდგა. დროულად თუ დაიჭერდა, კიდევ რჩებოდა შანსი, ციხეკოშკში დაბრუნებულიყო, ონავართა რუკისათვის ხელი ეტაცა და გაერკვია, რას აკეთებდა მალფოი...

– ქუაფლი ჰაფლეპაფელ სმიტს აქვს, – ექოდ გადაურბინა მოედანს მეოცნებე ხმამ, – გახსოვთ, ალბათ, რომ ბოლო მატჩის კომენტატორი იყო და ჯინი უისლი დაეტაკა. ჩემი აზრით, ჯინიმ ეს განზრახ გააკეთა, ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. სმიტი გრიფინდორის გუნდს ლანძღავდა. ალბათ, ახლა, გრიფინდორთან თამაშმა რომ მოუწია, თავის სიტყვებს მწარედ ნანობს. უი, ნახეთ, ქუაფლი დაკარგა, ჯინიმ აართვა. მე ძალიან მომწონს ჯინი. კარგი გოგოა.

გაოცებულმა ჰარიმ კომენტატორის ჯიხურს ჩახედა. რომელმა სრულ ჭკუაზე მყოფმა დანიშნა ლუნა ლავგუდი კომენტატორად? გრძელი, ჭუჭყისფერ-ქერა თმისა და ბურბურახის საცობების ყელსაბამის გამო ამ სიშორიდანაც იოლი საცნობი იყო ლუნა. მის გვერდით დაძაბული იდგა პროფესორი მაკგონაგელი. ჩანდა, კომენტატორად ლუნას კანდიდატურას დიდად არც ის ემხრობოდა.

– აი, ჯინის იმ ზორბა ჰაფლეპაფელმა მოთამაშემ ააცალა ქუაფლი. მისი სახელი არ მახსოვს, მგონი, ბიბლი... თუ არა... ბაგინსი...

– კედვოლედერი ჰქვია! – ხმამაღლა შეუსწორა პროფესორმა მაკგონაგელმა. ტრიბუნებს სიცილმა გადაურბინა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ გარემო მოათვალიერა. სნიჩი არსად ჩანდა. რამდენიმე წამში კედვოლედერმა გოლი გაიტანა. მაკლეგენი ამ დროს ჯინის უყვიროდა, ქუაფლი რამ დაგაკარგვინაო, და ამის გამო მარჯვენა ყურთან ჩაწუილებული ვეება წითელი ბურთი ველარ შეამჩნია.

გამწარებული ჰარი თავის მეკარეს მიუბრუნდა და მთელი ხმით ულრიალა:

– მაკლეგენ, ახლავე დაბრუნდი გოლპოსტებთან! შენ შენი საქმე აკეთე და სხვებს თავი დაანებე!

სახეაჭარხლებულმა და გაცოფებულმა მაკლეგენმა რაღაც ჩაიბურდღუნა და გოლპოსტებისკენ მიბრუნდა.

– ჰარი პოტერი თავის მეკარეს ეჩხუბება, – უშფოთველად აღნიშნა ლუნამ. ქვემოთ ჰაფლეპაფელი და სლიზერინელი გულშემატკივრები აჟრიამულდნენ და სტვენა ატეხეს, – არ ვიცი, ეს სნიჩის პოვნაში დაეხმარება თუ არა, მაგრამ რას გაუგებ პოტერს, იქნებ, ეს ეშმაკური ფანდია...

გამწარებულმა ჰარიმ შეიგინა, ცოცხი მოატრიალა და მოედანს ისევ შემოუფრინა, თან ცაში ციცქნა, ფრთებიან ოქროსფერ ბურთს ეძებდა.

ჯინიმ და დემელზამ თითო გოლი გაიტანეს და ალისფერ-ოქროსფრად მოსილი გულშემატკივრების აპლოდისმენტები დაიმსახურეს. შემდეგ გოლი კედვოლედერმაც გაიტანა და ანგარიში გათანაბრდა. მაგრამ ლუნას ეს არც შეუმჩნევია. საოცარია, მაგრამ, როგორც ჩანდა, მას სრულიად არ აინტერესებდა ისეთი ამქვეყნიური ამბავი, როგორიც გოლის გატანაა. ამის ნაცვლად, ცდილობდა, გულშემატკივართა ყურადღება მიეპყრო ისეთი რამეებისადმი, როგორიცაა, მაგალითად, საინტერესო ფორმის ღრუბლები და იმის ალბათობა, რომ ზაქარია სმიტს, რომლის ხელშიც ქუაფლი ჯერჯერობით ერთ წუთზე მეტხანს ვერ ჩერდებოდა, სჭირდა დაავადება – „ხელმოცარულობის სინდრომი“.

– სამოცდაათით ორმოცი ჰაფლეპაფის სასარგებლოდ! – ლუნას მიკროფონში ჩასძახა პროფესორმა მაკგონაგელმა.

– მართლა? უკვე? – გაოცდა ლუნა, – უი, ნახეთ! გრიფინდორის მეკარემ ერთ-ერთ ბიტერს ჩოგანი წაართვა.

ჰარი ჰაერში ელვისებურად შეტრიალდა. მართლაც, მაკლეგენს, მხოლოდ და მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზეზების გამო, პიკსისათვის ჩოგანი წაერთმია და უჩვენებდა, როგორ უნდა დაერტყა ბლაჯერი მოახლოებული კედვოლედერისათვის.

– ახლავე დაუბრუნე ჩოგანი და გოლპოსტებთან დაბრუნდი! – დაუყვირა ჰარიმ და შურდულივით გაექანა მაკლეგენისაკენ. სწორედ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამ დროს მაკლეგენმა ბლაჯერს მთელი ძალით მოუქნია ჩოგანი და...

აუტანელი ტკივილისაგან ჰარის თვალთ დაუბნელდა... თვალწინ რაღაცამ გაუელვა... სადღაც შორიდან წივილ-კივილი ჩაესმა... და იგრძნო, რომ დაბლა, გრძელზე გრძელ გვირაბში მიექანებოდა...

გონს რომ მოვიდა, ძალიან თბილ, მყუდრო საწოლში იწვა და ჩაბნელებულ ჭერზე ლამპის წრიულ შუქს ასცქეროდა. ჰარიმ ძლივს ასწია თავი. მის ხელმარცხნივ მდგარ საწოლში ნაცნობი, დაჭორფლილი, ულალთმიანი ადამიანი იწვა.

– გმადლობ, რომ შემომირბინე, – გაიკრიჭა რონი.

ჰარიმ თვალები აახამხამა და მიმოიხედა. რა თქმა უნდა, საავადმყოფო ფლიგელში იყო. გარეთ კობალტისფერ ცას მეწამული შეჰპარვოდა. მატჩი, ალბათ, რამდენიმე საათის წინ დასრულდა.. და მალფოის გამოჭერის იმედიც გადაიწურა. ჰარის თავი საოცრად დამძიმებოდა. ხელი ასწია და ჩალმასავით მჭიდროდ შებინტული თავი მოისინჯა.

– რა მოხდა?

– ქალა გაქვს გაბზარული, – მადამ პომფრი სწრაფად მიფუსფუსდა მასთან და თავი ისევ ბალიშზე დაადებინა, – საგანგაშო არაფერია. მაშინვე გიმკურნალე, მაგრამ ამაღამ პალატაში დარჩენა მოგიწევს. რამდენიმე საათით შენთვის სრული სიმშვიდეა საჭირო.

– არ მინდა აქ ღამით დარჩენა, – გაბრაზებული ჰარი წამოჯდა და საბანი გადაიხადა, – მაკლეგენი უნდა ვიპოვო და ჩემი ხელით დავახრჩო.

– სამწუხაროდ, ეს საქმე სრულ გამოჯანმრთელებამდე უნდა გადადო, – მადამ პომფრიმ ძალით ჩააწვინა ლოგინში და ჯადოსნური ჯოხი მუქარით ასწია, – სანამ მე არ გაგწერ, აქ დარჩები, პოტერ, თორემ იცოდე, დირექტორს დავუძახებ.

მადამ პომფრი თავის კაბინეტში გავიდა, გულგასივებული ჰარი კი ისევ ბალიშებს მიესვენა და კბილებში გამოსცრა:

– ხომ არ იცი, რამდენით წავაგეთ?

– როგორ არ ვიცი, – მოიბოდიშასავით რონმა, – საბოლოო ანგარიში სამას ოცით სამოცი იყო.

– მშვენიერია! – გამწარდა ჰარი, – პირდაპირ, მშვენიერი! მაკლეგენი თუ ხელში ჩავიგდე...

– მასთან რას გააწყობ, ტროლივით ზორბაა, მე თუ მკითხავ, ბევრად ჯობია, ნახევარპრინცის გამოგონებული ფეხის თითების შელოცვით დავთარსოთ, მაგარი სანახავი იქნება! – ბრძნულად ურჩია რონმა, – მაგრამ, სანამ შენ აქედან გახვალ, იმას, ალბათ, უკვე გაუსწორდებიან გუნდის წევრები. ისეთი გამწარებულები იყვნენ!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონი ძალიან კი ცდილობდა, მაგრამ მაინც ვერ ფარავდა სიხარულს. ჰარი მიხვდა, რომ რონი, არც მეტი, არც ნაკლები, აღტაცებული იყო იმით, რომ მაკლეგენმა ასე გააფუჭა საქმე. ჰარი იწვა, ჭერზე სინათლის წრეს ასცქეროდა, ახლად გამთელებული თავის ქალა არ სტკიოდა, მაგრამ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს შებინტული თავი დარბილებიაო.

– იქიდან კომენტატორის ხმა მესმოდა, – სიცილისაგან რონს ხმა აუთრთოლდა, – იმედი მაქვს, დღეიდან ყოველთვის ლუნა წაიყვანს მატჩს... ჰმ, „ხელმოცარულობის სინდრომი“... მაგრამ ჰარის ჯერ არ განელებოდა ბრაზი და ამაში სასაცილოს ვერაფერს ხედავდა. ცოტა ხანში რონის ფხუკუნიც მიწყნარდა.

– უგონოდ რომ იყავი, ჯინიმ გინახულა, – დაარღვია ხანგრძლივი სიჩუმე რონმა. ჰარიმ იმწამსვე წარმოიდგინა, რომ ჯინი მის უსიცოცხლო სხეულზე დამხობილი ქვითინებს და სიყვარულს ეფიცება, რონი კი ორივეს ლოცავს... – ჯინიმ მითხრა, რომ მატჩისათვის ძლივს მიგისწრია. ეს როგორ? აქედან ხომ საკმაოდ ადრე გახვედი.

– ააა, ჰო... – წარმოსახვითი სცენა კვამლივით გაიფანტა – იმიტომ დავაგვიანე, რომ მალფოის შევეჩეხე. ორ გოგოსთან ერთად დაიძურწებოდა. იმ გოგოებს ეტყობოდათ, რომ მასთან ყოფნა სულაც არ ეხალისებოდათ. ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა მალფოი ქვიდიჩის მოედანზე არ ჩადის. გახსოვს, წინა მატჩიც გამოტოვა, – ჰარიმ ამოიოხრა, – ოჰ, ნეტავ მას გავყოლოდი. ეს მატჩი ისედაც სრული კრახით დამთავრდა...

– რა სისულელეა, – მკაცრად მოუჭრა რონმა, – ქვიდიჩის მატჩს მხოლოდ იმიტომ ხომ ვერ გააცდენდი, რომ მალფოის ასდევნებოდი. დაგავიწყდა, რომ კაპიტანი ხარ?!

– მინდა, გავიგო, სად დაძვრება, – გაჯიუტდა ჰარი, – და არ გაბედო იმის თქმა, რომ ეს ყველაფერი ჩემი ფანტაზიის ნაყოფია. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მასა და სნეიპს შორის გამართული საუბარი მოვისმინე...

– მე არასდროს მითქვამს, რომ ეს შენი ფანტაზიის ნაყოფია, – რონი იდაყვს დაეყრდნო და ჰარის შეუბღვირა, – მაგრამ შეუძლებელია, ამ სკოლაში ყველა შეთქმულებას ერთადერთი ადამიანი აწყობდეს! ჰარი, შენ უკვე, ცოტა არ იყოს, ცუდად აიკვიატე დრაკო მალფოი. წარმოგიდგენია, კაცმა მატჩის გაცდენაზე იფიქრო მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მას აედევნო კუდში...

– მინდა, ფაქტზე წავასწრო! – უკმაყოფილოდ წაიბუზღუნა ჰარიმ, – აბა, სად დადის, როცა რუკიდან ქრება ხოლმე?

– რა ვიცი, იქნებ, ჰოგსმიდში? – დაამთქნარა რონმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რუკაზე არასდროს მინახავს, რომ მალფოი რომელიმე საიდუმლო გასასვლელით სარგებლობდეს. თანაც უკვე ხომ ყველა გვირაბს სდარაჯობენ.

– არც კი ვიცი, რა გითხრა, – გაეპასუხა რონი.

სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარი ჭერზე ლამპის წრიულ შუქს ასცქეროდა და ფიქრობდა.

კარგი იქნებოდა, რუფუს სკრიმჯერის ძალაუფლება ჰქონოდა, რომ მალფოისთვის მოთვალთვალე მიეჩინა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჰარის არ ჰყავდა აურორების რაზმი... წამით გაიფიქრა, **და**-ს წევრებს დავიხმარებო, მაგრამ ისევ პრობლემა ეღობებოდა: მათ გაკვეთილების გაცდენა მოუწევდათ, არადა, უმრავლესობას დატვირთული ცხრილი ჰქონდა...

რონის საწოლიდან დაბალი, ყრუ ხვრინვა მოისმა. ცოტა ხანში მადამ პომფრიც გამოვიდა კაბინეტიდან. ამჯერად საღამური ეცვა. ჰარიმ არჩია, თავი მოემძინარებინა. ექთანმა ჯადოსნური ჯოხის მოქნევით ფანჯრებზე ფარდები ჩამოაფარა, ფარნებიც ჩააქრო და თავის კაბინეტში დაბრუნდა. ჰარიმ კარის მიხურვის ხმა გაიგონა და მიხვდა, რომ ქალი დასაძინებლად დაწვა.

თვითონ კი სიბნელისთვის გაეშტერებინა თვალი და ფიქრობდა, ეს უკვე მესამე შემთხვევაა, ქვიდიჩის თამაშისას მიღებული ტრავმის გამო საავადმყოფო ფლიგელში რომ მოვხვდიო. ბოლოს დემენტორების წყალობით ცოცხიდან გადმოვარდა, ხოლო იმის წინ, გამოჩერჩეტებულმა პროფესორმა ლოკჰარტმა ხელზე ყველა ძვალი გაუქრო. ის, ჯერჯერობით ყველაზე მძიმე ტრავმა იყო, რაც კი ჰარის ცხოვრებაში მიეღო. გაახსენდა, რა ტკივილი გადაიტანა, სანამ მთელ ხელზე ძვლები თავიდან გაეზრდებოდა და ეს აუტანელი ტკივილი მაშინ ოდნავადაც ვერ შეუმსუბუქა შუაღამეს დობის მოულოდნელმა სტუმრობამ...

ჰარი თოფნაკრავივით წამოჯდა. გული გამალებით აუძგერდა. ბინტის ჩალმა გვერდზე მოექცა. როგორც იქნა, გამოსავალს მიაგნო: მალფოისათვის მოთვალთვალის მიჩენა შესაძლებელი იყო! როგორ დაავიწყდა? როგორ ვერ მოიფიქრა აქამდე? მაგრამ პრობლემა ისაა, როგორ დაუძახოს? როგორ უნდა მოიხმოს?

ჰარიმ ჩუმად, გაუბედავად მიმართა სიბნელეს:

– კრეჩერ.

გაისმა ხმამაღალი ტკაცანი და მდუმარე ოთახი ცემა-ტყეპისა და წრიპინის ხმებმა აავსო. რონმა შეჰყვირა და გაიღვიძა.

– რა ხდება!

ხმაურზე ექთანი პალატაში რომ არ შემოვარდნილიყო, ჰარიმ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საჩქაროდ დაუმიზნა ჯადოსნური ჯოხი მადამ პომფრის კაბინეტის კარს და წაიბუტბუტა: „მუფლიატო!“ შემდეგ საწოლის ბოლოში გადაინაცვლა, რომ უკეთ ენახა, რა ხდებოდა.

შუა პალატაში იატაკზე ორი შინაური ელფი დაგორავდა. ერთს დაპატარავებული წაბლისფერი სვიტერი ეცვა და რამდენიმე შალის ქუდი ეხურა, მეორეს კი ძველი ბინძური ტილო თეძოებზე ლომის ტყავივით შემოეხვია. შემდეგ ხმამაღალი ტკაცანი გაისმა და მოძიძგილავე ელფების თავზემოთ, ჰაერში, პოლტერგეისტი პივსი გაჩნდა.

– ჩემი თვალით დავინახე, პოტი! – ვითომ აღშოთებულმა პივსმა თითი გაიშვირა იატაკზე გაჩაღებული ხელჩართული ჩხუბისკენ და ხმამაღლა აკაკანდა; – ნახეთ ერთი, ეს პატალა ალსებები როგორ ალილავებენ ერთმანეთს, უკბინე, უკბინე... დასცხე მაგასა!

– კრეჩერი დობის თანდასწრებით ჰარი პოტერს შეურაცხყოფას ვერ მიაყენებს! აბა, გაბედოს და ნახავს, დობი რა დღეს დააყრის! – ჭყიოდა დობი.

– წიხლი უთავაზე, დაფხაჭნე! – გაჰკიოდა გახარებული პოლტერგეისტი და ელფებს გასახელებლად ცარცის ნატეხებს უშენდა, – დაჩქმიტე, მუშტები დასცხე!

– კრეჩერს რასაც უნდა, იმას იტყვის თავის ბატონზე, დიახაც! თანაც, რა ბატონი ჰყავს – ბინძური მუქსისხლიანების მეგობარი! ვაიმე, ვაიმე, რას იტყოდა საბრალო კრეჩერის ქალბატონი!

სახელდობრ ის, თუ რას იტყოდა საბრალო კრეჩერის ქალბატონი, ვერავინ შეიტყო, რადგან სწორედ იმ წუთს დობიმ პატარა დაკოჟრილი მუშტი კრეჩერს პირში ჩასცხო და კბილების ნახევარი ჩაუმტვრია. ჰარი და რონი საწოლებიდან წამოცვივდნენ და ელფები გააშველეს, მაგრამ ისინი მაინც გამწარებით იქნევდნენ მუშტებსა და წიხლებს. პივსი ცეცხლზე ნავთს ასხამდა: ცარცით ბომბავდა ელფებს, ფარნის ირგვლივ დაფრინავდა და მთელი ხმით გაჰყვიროდა:

– თითი ცხვირში ატაკე! ყურები დააგლიჯე!

ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი პივსს დაუმიზნა და წარმოთქვა:

– ლენგლოკ!

პივსმა ხელები ყელზე იტაცა, ჰაერი გადაყლაპა და ოთახიდან გაფრინდა, გზად უხამსი ჟესტები არ დაიშურა, მაგრამ ხმის ამოღება ვეღარ შეძლო, რადგან ჰარის შელოცვამ ენა სასაზე მიუკრა.

– ყოჩაღ, – შეაქო რონმა ჰარი და ასხმარტალებული დობი ჰაერში ასწია, რომ კრეჩერისათვის მოერიდებინა, – ესეც პრინცის შელოცვა იყო, არა?

– კი, – ჰარიმ კრეჩერს გაძვალტყავებული ხელი ზურგს უკან გადაუგრიხა, – იცოდეთ, ამიერიდან ერთმანეთთან ჩხუბს გიკრძა-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლავთ! მოკლედ, კრეჩერ, შენ აკრძალული გაქვს დობისთან ჩხუბი! დობი, ვიცი, რომ შენთვის ბრძანებების მოცემის უფლება არა მაქვს...

– დობი თავისუფალი შინაური ელფია და ვისაც უნდა, იმას დაემორჩილება. დობი სიხარულით შეასრულებს ჰარი პოტერის ბრძანებას, – დობის პატარა დანაოჭებულ სახეზე ცრემლები მოგორავდა და სვიტერს უსველებდა.

– კარგი, – ბიჭებმა ელფებს ხელი შეუშვეს. ისინი იატაკზე დაებერტყნენ, მაგრამ ჩხუბის გაგრძელება აღარ უცდიათ.

– მეძახდით, ბატონო? – დაიჩხავლა კრეჩერმა, ჰარის მდაბლად დაუკრა თავი და თან ისეთი მძულვარე მზერა ესროლა, თითქოს მის სიკვდილს ნატრობსო.

– კი, გეძახდი, – დაუდასტურა ჰარიმ და მადამ პომფრის კაბინეტის კარს გახედა, მუფლიატოს შელოცვა ხომ ისევ მოქმედებსო. კარს იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, როგორც ჩანდა, ექთანს ეს აურზაური არ გაუგია, – თქვენთვის დავალება მაქვს.

– კრეჩერი ყველაფერს გააკეთებს, რაც ბატონს მოესურვება, – კრეჩერმა თავი ისე დახარა, რომ ტუჩებით ლამის დაკორძილ ფეხის თითებს შეეხო, – რადგან კრეჩერს არჩევანი არა აქვს. მაგრამ კრეჩერს რცხვენია, ასეთი ბატონი რომ ჰყავს, დიახაც...

– დობის დაავალეთ, ჰარი პოტერ, – დაიჭყიპინა დობიმ, რომელსაც ჩოგბურთის ბურთისოდენა თვალები ცრემლებით ავსებოდა, – დობისათვის პატივია ჰარი პოტერის დახმარება!

– სიმართლე რომ ითქვას, ორივეს დახმარება ძალიან მჭირდება, – გადაწყვიტა ჰარიმ, – მაშ, ასე... მინდა, დრაკო მალფოის ფეხდაფეხ სდიოთ.

ჰარიმ არად ჩააგდო რონის სახეზე გაოცებული და სასოწარკვეთილი გამომეტყველება და გააგრძელა:

– მინდა, ვიცოდე, სად დადის, ვის ხვდება და რას აკეთებს. მინდა, ოცდაოთხი საათის განმავლობაში თვალი გეჭიროთ მასზე!

– დიახ, ჰარი პოტერ! – მაშინვე დათანხმდა დობი და ვეება თვალები აღტაცებით წამოენთო, – და დობი თუ დავალებას ვერ შეასრულებს, ყველაზე მაღალი კოშკიდან გადმოხტება, ჰარი პოტერ.

– ეს არ არის საჭირო, – სასწრაფოდ თქვა ჰარიმ.

– ბატონს უნდა, მალფოების ოჯახის ყველაზე უმცროს წევრს ვუთვალთვალო? – დაიჩხავლა კრეჩერმა, – ბატონს სურს, ჩემი ქალბატონის წმინდასისხლიანი შვილთაშვილი დავასმინო?

– დიახ, სწორედ ეს მინდა, – დაუდასტურა ჰარიმ, მაგრამ საფრთხე იგრძნო და მაშინვე მკაცრად დაამატა: – და იცოდე, კრეჩერ, გიკრძალავ, მალფოი გააფრთხილო ან მიახვედრო განზრახვას; საერთოდ,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაელაპარაკო, ან რამე მისწერო... მასთან ნებისმიერი სახის კონ-ტაქტი გეკრძალება. გასაგებია? ჰარიმ შეატყო, რომ კრეჩერი ცდი-ლობდა, ბრძანებაში რამე თავის დასაძვრენი ხვრელი ეპოვა, და ცოტა ხანს შეიცადა. ორიოდე წამში, ჰარის სასიხარულოდ, კრეჩერმა თავი კვლავ მდაბლად დაუკრა და უდიდესი სინანულით წარმოთქვა:

– ბატონი ყველაფერს წყვეტს, კრეჩერი კი უნდა დაემორჩილოს. მიუხედავად იმისა, რომ კრეჩერს ბევრად ურჩევნია, მალფოების ბიჭის მსახური იყოს... დიახ, დიახ...

– მაშ, გადაწყდა, – დაასკვნა ჰარიმ, – ანგარიშს სისტემატურად ჩამაბარებთ, მაგრამ, სანამ ჩემთან გაჩნდებით, ჯერ დარწმუნდით, რომ მარტო ვარ. ან მხოლოდ რონთან და ჰერმიონთან ერთად, გას-აგებია? და არავის უთხრათ, რას აკეთებთ. უბრალოდ, ტკიპებივით მიეკარით მალფოის და წუთით არ მოსცილდეთ გვერდიდან.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი მეოცე

# ლორდი ვოლდემორის თხოვნა

ჰარი და რონი საავადმყოფო ფლიგელიდან ორშაბათს დილიდანვე გაწერეს. მადამ პომფრის მზრუნველობის წყალობით ორივე სავსებით გამოჯანმრთელდა და ახლა უკვე შეეძლოთ, ავადმყოფობით მინიჭებული უპირატესობებითაც დამტკბარიყვნენ. ყველაზე კარგი ის იყო, რომ ჰერმიონი რონს შეურიგდა, ბიჭებს სასაუზმოდაც კი ჩაჰყვა და თან ჯინისა და დინის ჩხუბის ამბავი მოიტანა. ჰარის მკერდში მთვლემარე არსებამ უცებ თავი ასწია და იმედმიცემულმა დაიკრუტუნა.

– რაზე იჩხუბეს? – ვითომ სხვათა შორის იკითხა ჰარიმ, როცა მერვე სართულზე დერეფანში შეუხვიეს. დერეფანში არავინ იყო ერთი პაწაწინა გოგონას გარდა, რომელიც ბალერინის კაბაში გამოწყობილი ტროლების გობელენს ათვალიერებდა. მეექვსეკურსელების დანახვაზე გოგონა დაფრთხა და მძიმე თითბრის სასწორი ხელიდან გაუვარდა.

– არა უშავს! – დაუყვავა ჰერმიონმა და მის დასახმარებლად გაეშურა. დამტვრეულ სასწორს ჯადოსნური ჯოხი შეახო და თქვა:

– რეპარო.

გოგონას მადლობა არ გადაუხდია. ადგილზე მიყინულივით იდგა, როცა ჩაუარეს და სანამ არ გაუჩინარდნენ, მათთვის თვალი არ მოუცილებია. რონმა უკან გაიხედა:

– მეჩვენება, თუ ეს ბავშვები თანდათან პატარავდებიან.

– კარგი, რა დროს ეგაა, – მოთმინება დაელია ჰარის, – ჰერმიონ, რატომ იჩხუბეს ჯინიმ და დინმა?

– დინმა დაგცინა, მაკლეგენმა ბლაჯერი რომ მოგარტყა – აუხსნა ჰერმიონმა.

– ალბათ, სასაცილო სანახავი იყო, – მხრები აიჩეჩა რონმა.



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სულაც არ იყო სასაცილო! – აენთო ჰერმიონი, – საშინელი სანახავი იყო. კუტსა და პიკსს დროზე რომ არ დაეჭირათ, ჰარი ნამდვილად კისერს მოიტეხდა!

– კი მაგრამ, დინი და ჯინი ამის გამო რატომ უნდა დაშორებოდნენ ერთმანეთს, – ისევ ნაძალადევად მშვიდი ხმით თქვა ჰარიმ, – თუ ისევ ერთად არიან?

– კი, ერთად არიან... მაგრამ, ასე რატომ გაინტერესებს? – ჰერმიონმა მეგობარს მახვილი მზერა ჩაასო.

– უბრალოდ, არ მინდა, ქვიდიჩის გუნდი დამეშალოს! – საჩქაროდ უთხრა ჰარიმ, მაგრამ ჰერმიონი მაინც ეჭვის თვალით უმზერდა. ჰარიმ შვებით ამოისუნთქა, როცა ვიღაცამ დაუძახა და ჰერმიონისათვის ზურგის შექცევის საბაბი მიეცა.

– გამარჯობა, ლუნა.

– შენს სანახავად საავადმყოფო ფლიგელში ავედი, – ლუნამ ჩანთა მოიჩხრიკა, – მაგრამ მითხრეს, უკვე გავწერეთო... მე კი...

ლუნამ რონს ხელებში ჩასჩარა მწვანე ხახვისმაგვარი საგანი, ლაქებიანი ვეება სოკოშხამა და მთელი მუჭა რაღაც, რაც საეჭვოდ ჰგავდა კატის განავალს. ბოლოს, როგორც იქნა, ჭუჭყიანი პერგამენტის გრაგნილი ამოაძვრინა და ჰარის გადასცა.

– ამის გადმოცემა დამავალეს.

ჰარი უმალ მიხვდა, რომ ეს პატარა ეტრატის გრაგნილი მორიგ გაკვეთილზე დამბლდორის მოსაწვევი უნდა ყოფილიყო.

ჰარიმ გრაგნილი გაშალა და რონსა და ჰერმიონს გადაულაპარაკა:

– ამ საღამოს მიბარებს.

– ბოლო მატჩზე შენი კომენტატორობა ძალიან მომეწონა – უთხრა რონმა ლუნას. ლუნამ ზანტად გაიღიმა:

– დამცინი, არა? ყველა ამბობს, რომ საშინელი ვიყავი.

– არა, სერიოზულად გეუბნები! – გულწრფელად თქვა რონმა, – არ მახსოვს, ოდესმე ასეთი სიამოვნება მიმეღოს სხვა კომენტატორის წაყვანილი მატჩისაგან! ეს რა არის? – რონმა ხახვისებური ნივთი თვალებთან მიიტანა.

– ო, ეს გურდის ფესვია, თუ გინდა, დაიტოვე. მე კიდევ მაქვს. პლიმპიყლაპიების დასაფრთხობად ბრწყინვალე საშუალებაა, – ლუნამ სოკოშხამა და კატის განავლის მსგავსი რაღაც ისევ ჩანთაში ჩატენა და წავიდა. რონს კი გურდის ფესვი ჩაებღუჯა და ფხუკუნებდა.

– იცით, ლუნა სულ უფრო და უფრო მომწონს, – თქვა მან, როცა დიდი დარბაზისკენ გზა განაგრძეს, – მთლად დალაგებული ვერაა, მაგრამ მაინც...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონი მოწყვეტით შედგა. მარმარილოს კიბის ბოლოს საავდროდ მოქუფრული ლევენდერ ბრაუნი ელოდა.

– გამარჯობა... – ანერვიულდა რონი.

– წამოდი, – გადაუჩურჩულა ჰარიმ ჰერმიონს. ორივენი სწრაფად გაეცალნენ იქაურობას, მაგრამ მათ ყურს მაინც მისწვდა ლევენდერის სიტყვები:

– რატომ არ მითხარი, რომ დღეს გამოგწერეს? და რატომაა ის შენთან ერთად?

ნახევარ საათში რონი სასაუზმოდ მოღუშული და გაღიზიანებული გამოცხადდა. ლევენდერის გვერდით კი იჯდა, მაგრამ ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ. ჰერმიონი ისე იქცეოდა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა, მაგრამ ერთი-ორჯერ ჰარიმ მის სახეზე რატომღაც კმაყოფილი ღიმილი შენიშნა. ჰერმიონი მთელი დღის განმავლობაში იმდენად ამაღლებულ განწყობაზე იყო, რომ საღამოს ჰარის იმაზეც კი დაჰყაბულდა, ჰერბოლოგიაში მისი თემა გადაემოწმებინა (უფრო სწორად, დაემთავრებინა), რაზეც უწინ სასტიკ უარს აცხადებდა, რადგან იცოდა, რომ საშინაო დავალებას ჰარი რონსაც გადააწერინებდა.

– დიდი მადლობა, ჰერმიონ, – ჰარიმ ზურგზე ხელი მოუთათუნა მეგობარს და მაჯის საათზე დაიხედა. რვა საათი ხდებოდა, – აუ, უნდა ვიჩქარო, თორემ დამბლდორთან დამაგვიანდება.

ჰერმიონმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ და მხოლოდ დაქანცული იერით გადახაზა რამდენიმე წინადადება. ჰარიმ ჩაიღიმა, პორტრეტის ხვრელში გაძვრა და დირექტორის კაბინეტისაკენ მოკურცხლა. კართან მოდარაჯე ქვის ურჩხული ზანტად თვლემდა. ჰარიმ სწრაფად შესძახა პაროლი „ნუგის ეკლერები". ურჩხული გამოცოცხლდა და გვერდით გახტა. ჰარი კი სპირალისებურ კიბეზე ორ-ორი საფეხურის გამოტოვებით ავარდა და კარზე მკვირცხლად დააკაკუნა.

– შემობრძანდით, – გამოსძახა დამბლდორმა. ჰარიმ ის იყო, სახელურისაკენ წაიღო ხელი, რომ კარი შიგნიდან გააღეს. ჰარის პირისპირ პროფესორი ტრელოუნი იდგა.

– აჰა! – შესძახა მან და სქელმინებიანი სათვალის მიღმა თვალები დაახამხამა, – აი, თურმე ასე უცერემონიოდ რატომ მაძევებთ კაბინეტიდან, დამბლდორ!

– ჩემო ძვირფასო სიბილ, უცერემონიოდ არავინ გაძევებთ, – ოდნავ გაღიზიანებულმა მიუგო დამბლდორმა, – უბრალოდ, ჰარი ამ დროისათვის დავიბარე, ეს არის და ეს.

– გასაგებია, – ღრმად შეურაცხყოფილი ტონით განაცხადა პროფესორმა ტრელოუნიმ, – რაკი უარს ამბობთ ამ უზურპატორი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯაგლაგის აქედან გაძევებაზე, რა გაეწყობა! შევეცდები, მოვიძიო სხვა სკოლა, სადაც ჩემს ნიჭს უფრო დააფასებენ!

მან ჰარი განზე გასწია, სპირალისებურ კიბეს ჩაუყვა და თვალს მიეფარა. ცოტა ხანში გაიგონეს, როგორ წაფორხილდა კიბეზე და ჰარიმ გაიფიქრა, უეჭველად რომელიმე გრძელ შალზე ფეხი დაებიჯაო.

– ჰარი, გეთაყვა, კარი დახურე და დაჯექი, – დაღლილი ხმით სთხოვა დამბლდორმა. ჰარი საწერი მაგიდის წინ თავის ადგილზე დაჯდა და შეამჩნია, რომ მაგიდაზე უწინდებურად საფიქრელა და დანისლული მოგონებით სავსე ორი ციცქნა ბროლის ბოთლი ელაგა.

– მაშ, პროფესორი ტრელოუნი კვლავ უკმაყოფილოა იმით, რომ ფლორენციაც ასწავლის მისნობას? – იკითხა ჰარიმ.

– დიახ, – უპასუხა დამბლდორმა, – და ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მისნობა ასეთი პრობლემატური რამაა. ალბათ, იმიტომ, რომ მე თვითონ ეს საგანი არასდროს მისწავლია. ფლორენციას ტყეში დაბრუნებას ვერ ვთხოვ, რადგან რემიდან განდევნილია. ვერც სიბილ ტრელოუნის დავითხოვ. ჩვენში დარჩეს და, მას წარმოდგენაც კი არა აქვს, ციხე-კოშკის კედლებს გარეთ რა საფრთხე ელის. საქმე ისაა, რომ სიბილმა არ იცის (და, მე თუ მკითხავ, დიდი უგუნურება იქნება, ეს რომ გაიგოს), რომ წინასწარმეტყველება შენსა და ვოლდემორის შესახებ მან წარმოთქვა.

დამბლდორმა ღრმად ამოიოხრა და დასძინა:

– კარგი, აღარ მოგაბეზრებ თავს ჩემი პედკოლექტივის პრობლემებით. ამაზე მნიშვნელოვანი საქმეც ბევრი გვაქვს. აბა, შეასრულე დავალება, რომელიც წინა გაკვეთილზე მოგეცი?

ჰარი შეცბა. აპარაციის გაკვეთილების, ქვიდიჩის, რონის მოწამვლის, თავის გატეხისა და დრაკო მალფოის დევნის გადამკიდეს სულ გადაავიწყდა, რომ დამბლდორმა სლაგჰორნისაგან მოგონების დაცინცვლა დაავალა.

– ისა, შხამების გაკვეთილის ბოლოს პროფესორ სლაგჰორნს ვკითხე, სერ, მაგრამ მოგონების გამხელაზე ცივი უარი გამომიცხადა.

ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა.

– გასაგებია, – თქვა ბოლოს დამბლდორმა და ჰარის ნახევარმთვარისებური სათვალის ზემოდან გადახედა. ბიჭს ისევ დაეუფლა ნაცნობი გრძნობა, თითქოს რენტგენს უღებდნენ – და შენ დარწმუნებული ხარ, რომ ამ დავალებას მთელი ძალისხმევა შეალიე, არა? რომ მთელი შენი გამჭრიახობა მოახმარე? რომ მოგონების მოსაპოვებლად ყველა შესაძლო ხერხს მიმართე?

– ისა... – დაბნეულმა ჰარიმ აღარ იცოდა, რა ეპასუხა. თავისი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთჯერადი მცდელობა მოგონების ხელში ჩასაგდებად ახლა სამარცხვინოდ მოეჩვენა, – ისა... იმ დღეს, როცა რონმა შემთხვევით სიყვარულის ელექსირი დალია, პროფესორ სლაგჰორნთან წავიყვანე. მინდოდა, პროფესორი კარგ გუნებაზე დამეყენებინა, რომ იქნებ...

– მერე, გაჭრა ამან? – იკითხა დამბლდორმა.

– არა, სერ, რადგან რონი მოიწამლა...

– რამაც, ბუნებრივია, სულ დაგავიწყა მოგონება. სხვას არც ველოდი, რადგან შენი მეგობარი საფრთხეში იყო. მაგრამ როდესაც გაირკვა, რომ მისტერ უისლის სიცოცხლეს აღარაფერი ემუქრებოდა, იმედი მქონდა, რომ დავალების შესრულებას უფრო გულმოდგინედ შეეცდებოდი. მგონი, ნათლად განგიმარტე, რამდენად მნიშვნელოვანია ეს მოგონება. ცდა არ დავაკელი, შენთვის ჩამეგონებინა, რომ ეს ყველაზე გადამწყვეტი მოგონებაა და უმისოდ დროს ფუჭად დავკარგავთ.

ჰარის მთელ ტანში დაუარა მწველმა, მჩხვლეტავმა სირცხვილმა. დამბლდორს ხმა არ აუწევია, არც კი გასჯავრებია, მაგრამ ჰარისათვის ეს ცივი იმედგაცრუება უფრო მძიმე ასატანი იყო, ვიდრე ხმამაღალი საყვედური.

– სერ, – სასოწარკვეთით დაიწყო ჰარიმ, – არ გეგონოთ, რომ თავი არ შევიწუხე... უბრალოდ...

– სხვაგან გიქროდა გონება, – დაასრულა დამბლდორმა – გასაგებია.

ისევ დუმილი. ასეთი აუტანელი სიჩუმე ჰარის ჯერ არ ახსოვდა დამბლდორის კაბინეტში. წამები უსასრულოდ გაიწელა. სიჩუმეს მხოლოდ დამბლდორის თავზემოთ ჩამოკიდებული არმანდო დიპეტის პორტრეტის ხვრინვა არღვევდა. ჰარი საოცრად დაჩიავებულად გრძნობდა თავს, თითქოს ამ ოთახში შემოსვლის წუთიდან დაიჩუტა. ბოლოს ვეღარ გაუძლო წამებას და დუმილი დაარღვია:

– პროფესორო დამბლდორ, მართლა ძალიან ვწუხვარ. მეტი მონდომება უნდა გამომეჩინა... უნდა მივმხვდარიყავი, რომ ამის გაკეთებას არ მთხოვდით, მართლა მნიშვნელოვანი რომ არ ყოფილიყო.

– გმადლობ ამ სიტყვებისთვის, ჰარი, – წყნარად მიუგო დამბლდორმა, – შემიძლია, იმედი ვიქონიო, რომ ამიერიდან ამ საკითხს უფრო სერიოზულად მოეკიდები? ჩვენი შეხვედრები დღეიდან აზრს დაკარგავს, ის მოგონება თუ ვერ ვიგდეთ ხელთ.

– მე ამას გავაკეთებ, სერ. მოგონებას აუცილებლად ვიშოვი, – გულმხურვალედ აღუთქვა ჰარიმ.

დამბლდორი მოლბა.

– მაშინ, ამ თემას ახლა შევეშვათ და ჩვენი ამბავი განვაგრძოთ. თუ გახსოვს, სად შევჩერდით?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, სერ, – საჩქაროდ მიუგო ჰარიმ, – ვოლდემორმა მამამისი და თავისი ბებია-პაპა დახოცა და ყველაფერი ისე მოაწყო, თითქოს ეს დანაშაული ბიძამისმა ჩაიდინა. შემდეგ ჰოგვორტსში დაბრუნდა და პროფესორ სლაგჰორნს ჰკითხა... ჰკითხა ჰორკრუქსების შესახებ, – დარცხვენით ჩაიბუტბუტა ბოლო სიტყვები ჰარიმ.

– ძალიან კარგი, – შეაქო დამბლდორმა, – იმედია, ისიც გახსოვს, რომ პირველივე გაკვეთილზე გითხარი, ამიერიდან ვარაუდებისა და გამოცანების ამარა ვრჩებით-მეთქი.

– დიახ, სერ.

– ალბათ, დამეთანხმები, რომ ყველა ჩემს დასკვნას ჩვიდმეტი წლის ასაკამდე ვოლდემორის საქმიანობასთან დაკავშირებით დღემდე საკმაოდ მტკიცე ფაქტებით ვამყარებდი. ჰარიმ თავი დაუქნია.

– მაგრამ ახლა, ჰარი, – გააგრძელა დამბლდორმა, – ახლა ყველაფერი უფრო შავბნელი და უცნაური ხდება. თუ მცირეწლოვან ვოლდემორზე მოწმეთა ჩვენება რთული მოსაპოვებელი იყო, ამჯერად თითქმის შეუძლებელი გახდა მათი მოძებნა, ვინც მოწიფულ ვოლდემორზე რამის გახსენებას გაბედავდა. სიმართლე გითხრა, ეჭვი მეპარება, რომ თვითონ ვოლდემორის გარდა მოიძებნება ძეხორციელი, ვინც ჰოგვორტსის დამთავრების შემდეგ მისი ცხოვრების სრულ ანგარიშს ჩაგვაბარებს. მიუხედავად ამისა, მე ორი უკანასკნელი მოგონება მაქვს ხელთ, რომელთაც სიამოვნებით გაგიზიარებ, – დამბლდორმა საფიქრელას გვერდით ორ მოკიაფე ციცქნა ბროლის ბოთლზე ანიშნა, – ამის შემდეგ კი შენს აზრს ჩემს დასკვნებს შევადარებ. ვნახოთ, რამდენად დაემთხვევა ისინი ერთმანეთს.

ჰარი სახტად დარჩა, რომ დამბლდორი მის აზრს ასე აფასებდა. ამის გამო კიდევ უფრო მწარედ ინანა, რომ ჰორკრუქსების შესახებ მოგონება ვერ მოიპოვა, და სკამზე დამნაშავესავით შეიშმუშნა. დამბლდორმა ერთ-ერთი ბროლის ბოთლი აიღო და შუქზე გახედა.

– იმედია, სხვა ადამიანების წარსულში ჩაძირვა არ მოგბეზრებია, ჰარი, რადგან ეს ორი მოგონება საკმაოდ უჩვეულოა. პირველი მათგანი ეკუთვნის ძალიან მოხუც შინაურ ელფს, სახელად ჰოკის. სანამ ვნახავთ იმას, რასაც ჰოკი შეესწრო, ჯერ მოკლედ უნდა მოგითხრო, როგორ დაამთავრა ლორდმა ვოლდემორმა ჰოგვორტსი: მეშვიდე კურსზე ყველა საგანში უმაღლესი შეფასებით გადავიდა, რაც, ალბათ, არცაა გასაკვირი. მისი ყველა კურსელი სკოლის შემდგომ კარიერაზე ფიქრობდა. ტომ რიდლს თითქმის ყველა ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა. აბა, რა: პრეფექტი, ჰედ ბოი, სკოლისადმი გაწეული დამსახურებისათვის სპეციალური ჯილდოს მფლობელი! დანამდვილებით ვიცი, რომ რამდენიმე მასწავლებელი,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მათ შორის, პროფესორი სლაგჰორნიც, მაგიის სამინისტროში მოწყობას ურჩევდა და საჭირო ხალხთან შეხვედრასა და რეკომენდაციის გაწევასაც კი სთვაზობდა. მაგრამ მან ყველა წინადადებაზე უარი თქვა. სკოლაში მალე შეიტყვეს, რომ იგი „ბორჯინ ენდ ბერკსში“ მოეწყო სამუშაოდ.

– „ბორჯინ ენდ ბერკსში“? – გაოგნდა ჰარი.

– „ბორჯინ ენდ ბერკსში,“ – მშვიდად გაიმეორა დამბლდორმა. როდესაც ჰოკის მოგონებას ნახავ, თავადაც მიხვდები, რით მიიზიდა ამ ადგილმა ვოლდემორი. მაგრამ ვოლდემორს პირველივე არჩევანი ამ სამუშაო ადგილზე არ შეუჩერებია. მაშინ ეს თითქმის არავინ იცოდა – მე იმ მცირერიცხოვანთა შორის ვიყავი, ვისაც მაშინდელმა დირექტორმა გაანდო, რომ ვოლდემორმა ჯერ პროფესორ დიპეტს მიაკითხა და სთხოვა, ჰოგვორტსში მასწავლებლად დაეტოვებინა.

– აქ დარჩენა უნდოდა? რატომ? – კიდევ უფრო გაოცდა ჰარი.

– ჩემი აზრით, საამისოდ მას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. თუმცა, პროფესორ დიპეტისათვის არც ერთი არ გაუმხელია. ჯერ ერთი, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დარწმუნებული ვარ, რომ ვოლდემორს არავინ და არაფერი ჰყვარებია ისე, როგორც ეს სკოლა. ჰოგვორტსში იგი ბედნიერი იყო. ეს იყო პირველი და უკანასკნელი ადგილი, სადაც თავს ისე გრძნობდა, როგორც შინ.

ჰარი ამ სიტყვებზე, ცოტა არ იყოს, შეცბა, რადგან ჰოგვორტსში თვითონაც სწორედ ასე გრძნობდა თავს.

– მეორეც, ეს ციხე-კოშკი უძველესი მაგიის ქვაკუთხედია. ეჭვი არ მეპარება, რომ ვოლდემორმა მასში დაფარული უფრო მეტი საიდუმლო ამოიცნო, ვიდრე სხვა რომელიმე მოსწავლემ, რომელსაც ამ შენობის ზღურბლზე ოდესმე გადმოუბიჯებია. მაგრამ, როგორც ჩანს, ვოლდემორი ფიქრობდა, რომ კიდევ დარჩა ამოუხსნელი საიდუმლოებანი. და მესამეც, როგორც მასწავლებელს, ახალბედა ჯადოქრებზე განუსაზღვრელი უფლება და გავლენა ექნებოდა. შეიძლება, ეს აზრი მას პროფესორმა სლაგჰორნმა შთააგონა; მასწავლებელმა, რომელთანაც ყველაზე კარგი ურთიერთობა ჰქონდა და რომელმაც მას თვალნათლივ აჩვენა, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს პედაგოგს. მე ერთი წუთითაც ვერ წარმოვიდგენ, რომ ვოლდემორი მთელი ცხოვრების ჰოგვორტსში გატარებას აპირებდა, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ სკოლას ძალაუფლების მოხვეჭისთვის ზედგამოჭრილ ადგილად მიიჩნევდა; ადგილად, სადაც ერთგულ მომხრეთა ჯარის შეგროვებას შეუდგებოდა.

– მაგრამ სამუშაო ვერ მიიღო, არა, სერ?

– ვერა, ვერ მიიღო. პროფესორმა დიპეტმა განუცხადა, ჯერ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მხოლოდ თვრამეტი წლის ბრძანდები, საამისოდ ძალიან ახალგაზრდა ხარო, და შესთავაზა, კანდიდატურა რამდენიმე წლის შემდეგ წარედგინა, თუ კიდევ ექნებოდა ამის სურვილი.

– თქვენ რას ფიქრობდით ამის შესახებ, სერ? – ყოყმანით ჰკითხა ჰარიმ.

– ძალიან შევშფოთდი, – მიუგო დამბლდორმა, – ეს მე ვურჩიე არმანდოს, არ აეყვანა სამუშაოზე. მისთვის იგივე მიზეზები არ დამისახელებია, რაც შენ ახლა გითხარი, რადგან პროფესორ დიპეტს ძალიან უყვარდა ვოლდემორი და მის პატიოსნებაში ეჭვიც არ ეპარებოდა. არ მინდოდა, ლორდი ვოლდემორი სკოლაში დაბრუნებულიყო, მით უმეტეს ასეთ გავლენიან ადგილზე.

– რომელი საგნის სწავლება სურდა, სერ?

ჰარი, რატომღაც, მანამდე მიხვდა პასუხს, სანამ დამბლდორი მიუგებდა:

– ბნელი ძალებისგან თავდაცვისა. მაშინ ეს საგანი მხცოვან პროფესორ გალათეა მერითოტს ებარა. მაშ ასე, ვოლდემორი „ბორჯინ ენდ ბენკსში“ გამწესდა და მასწავლებლებმა, რომლებიც მისით აღფრთოვანებულები იყვნენ, სინანულით განაცხადეს, რა ფუჭად უნდა წახდეს მაღაზიაში ასეთი პერსპექტიული ახალგაზრდა ჯადოქარიო. მაგრამ ვოლდემორი მხოლოდ და მხოლოდ გამყიდველი არ იყო. თავაზიან, სიმპათიურ და ჭკვიან ახალგაზრდას მალე ისეთ დავალებებს ანდობდნენ, როგორიც მხოლოდ „ბორჯინ ენდ ბერკსის“ მსგავს ადგილებში თუ გამოიძებნება. თვითონაც მშვენივრად მოგეხსენება, ჰარი, რომ არაჩვეულებრივი და განსაკუთრებული თვისებების მქონე ნივთები აინტერესებდათ. ვოლდემორს ევალებოდა, ასეთი ნივთების მფლობელები დაეყოლიებინა, თავიანთ საგანძურს შელეოდნენ და მაღაზიის მფლობელებისათვის მიეყიდათ. და, სხვათა შორის, ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მას ამის იშვიათი ნიჭი ჰქონდა.

– სანაძლეოს ჩამოვალ, ექნებოდა, – თავი ვერ შეიკავა ჰარიმ.

– დიახ, – ოდნავ გაეღიმა დამბლდორს, – ახლა კი დროა, შინაურ ელფ ჰოკის ვეწვიოთ, რომელიც ძალიან ასაკოვან და ძალიან მდიდარ ჯადოქარს, ჰეპზიბა სმიტს ემსახურებოდა.

დამბლდორმა ბოთლს მსუბუქად შეახო ჯადოსნური ჯოხი, საცობი თავისით ამოძვრა. შემდეგ წრიულად მბრუნავი მოგონება საფიქრელაში ჩაასხა და თქვა:

– მიდი, ჰარი.

ჰარი ადგა და ქვის ჯამში მოქცეულ ტალღოვან ვერცხლისფერ შიგთავსზე დაიხარა. რა წამსაც სახით მის ზედაპირს შეეხო, წყვდი-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ადში ჩაძირულ სიცარიელეში გადაეშვა და მისაღებ ოთახში ერთი ფაშფაშა მოხუცი ქალბატონის წინ დახტა. ქალბატონს ოსტატურად ნაკეთი ჟღალი პარიკი ეხურა და ჭყეტელა ვარდისფერი მანტია ემოსა, რომელიც მთელ სავარძელზე გაშლილიყო და ამის გამო, მოხუცი გამლღვალ ტორტის ნაჭერს წააგავდა. ქალი ძვირფასი ქვებით მოოჭვილ სარკეში იხედებოდა და ისედაც აღაჟღაჟებულ ლოყებზე ვეება ღრუბლით წითელ ფერუმარილს ისვამდა. კოტიტა ფეხებზე წამოცმულ ვიწრო ატლასის ფლოსტებზე თასმას უკრავდა ყველაზე ციცქნა და ბებრუხუნა შინაური ელფი, რაც კი ჰარის თავის დღეში ენახა.

– დაუჩქარე, ჰოკი! – ბრძანა ჰეპზიბამ, – ოთხზე მოვალო, მითხრა. ორი წუთიღა დარჩა და ხომ იცი, არასდროს აგვიანებს! ქალმა ფერუმარილი შეინახა, ამ დროს შინაური ელფიც მორჩა თასმის შეკვრას. თავით ჰეპზიბას სავარძელს ძლივს სწვდებოდა და ქაღალდისებური კანი ძვლებზე ისევე ეკიდა, როგორც ტოგასავით შემოხვეული გახამებული ზეწარი.

– როგორ გამოვიყურები? – ჰეპზიბამ თავი მიაბრუნა, რომ სარკეში თავისი გამოსახულებით დამტკბარიყო.

– მშვენივრად, მადამ, – დაიწრიპინა ჰოკიმ.

ჰარიმ გაიღიმა და გაიფიქრა, ეტყობა საბრალო ჰოკი ვალდებულია, ამ კითხვის პასუხად ურცხვად იცრუოსო, რადგან, მისი აზრით, ჰეპზიბა სმიტს მშვენიერებისა არაფერი ეცხო.

კარზე ზარმა გაიწკრიალა და ქალბატონი და ელფი შეხტნენ.

– ჩქარა, ჩქარა, უკვე მოვიდა, ჰოკი! – შესძახა ჰეპზიბამ და ელფიც სწრაფად გაცუხცუხდა ოთახიდან, რომელიც ისე იყო გადაჭედილი ნივთებით, ვერაფრით ისე ვერ გაივლიდი, ათიოდე ნივთს მაინც რომ არ დასჯახებოდი: იქაურობა დაზვინული იყო პრიალა მომცრო ყუთებითა და ოქროთი მოვარაყებულყდიანი წიგნებით სავსე შემინული კარადებით, სფეროებითა და მზის სისტემის მოდელებით დახუნძლული თაროებით, თითბრის ქოთნებში ჩარგული გაფურჩქნილი მცენარეებით. მოკლედ, ოთახი ჯადოსნური ანტიკვარული მაღაზიისა და ყვავილების სათბურის ნარევი იყო.

შინაური ელფი რამდენიმე წამში შემობრუნდა. მას შემოჰყვა ტანმაღალი ახალგაზრდა. ჰარის სულაც არ გასჭირვებია ლორდი ვოლდემორის ამოცნობა. მას სადა შავი კოსტიუმი ეცვა, თმა უფრო წამოზრდოდა და ლოყები ჩაცვივნოდა, მაგრამ ეს ყველაფერი უფრო ამშვენებდა. კიდევ უფრო სიმპათიურად გამოიყურებოდა, ვიდრე ოდესმე. გაძეძგილ ოთახში იოლად გაიკვლია გზა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ ამ სახლის ხშირი სტუმარი იყო, და ჰეპზიბას კოტიტა ხელზე ეამბორა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ყვავილები მოგიტანეთ, – წყნარად თქვა და არსაიდან გააჩინა ყვავილების თაიგული.

– საძაგელო ბიჭო, რატომ წუხდებოდი! – უსაყვედურა ბებერმა ჰეპზიბამ, მაგრამ ჰარის არ გამოეპარა, რომ მას უკვე გაემზადებინა ცარიელი ვაზა უახლოეს დაბალ მაგიდაზე, – ნუ მანებივრებ ამ მოხუცებულ ქალს, ტომ... დაჯექი, დაჯექი... ჰოკი, სადა ხარ!

შინაური ელფი ოთახში შემოტუსტუსდა, ლანგრით ნამცხვარი შემოიტანა და ქალბატონს წინ დაუდო.

– მიირთვი, ტომ, – უთხრა სტუმარს ჰეპზიბამ, – ხომ ვიცი, როგორ გიყვარს ჩემი ნამცხვრები. ახლა მომიყევი, როგორა ხარ? როგორი ფერმკრთალი ჩანხარ. იმ ოხერ მაღაზიაში მუშაობით გკლავენ, არა? ეს უკვე რამდენჯერ გითხარი...

ჰეპზიბას მანჭვა-გრეხის პასუხად ვოლდემორმა მექანიკურად გაიღიმა.

– აბა, ამჯერად რა არის შენი სტუმრობის მიზეზი? – თვალების ფახურით იკითხა ქალმა.

– ბატონ ბერკსს სურს, გობლინების გამოჭედილი ჯავშნისათვის მეტი თანხა შემოგთავაზოთ, – თქვა ვოლდემორმა, – ხუთასი გალეონი. მას მიაჩნია, რომ ეს რეალური ფასია...

– აბა, აბა, ასე ნუ ჩქარობ, თორემ ვიფიქრებ, რომ აქ ჩემი ჟინ-ჟილაკების გამო ხარ! – ტუჩები გაბუსხა ჰეპზიბამ.

– მე აქ სწორედ ამისათვის მომაგზავნეს, – მშვიდად უპასუხა ვოლდემორმა, – მე მხოლოდ და მხოლოდ ერთი საწყალი გამყიდველი ვარ, მადამ, რომელმაც ბრძანებები უნდა შეასრულოს. ბატონმა ბერკსმა დამავალა, გკითხოთ...

– ოოო, ბატონი ბერკსი არ გამაგონო! – ჩასუქებული ხელი აიქნია ჰეპზიბამ, – ახლა ერთ რამეს გაჩვენებ, რაც ბატონი ბერკსისათვის არასდროს მიჩვენებია! ტომ, შეგიძლია საიდუმლოს შენახვა? შემპირდი, რომ ბატონ ბერკსს არ ეტყვი, რასაც ახლა ნახავ. გასაქანს არ მომცემს, თუ შეიტყობს, რომ ამისთანა განძს ვფლობ. მაგრამ ამას არ ვყიდი, არც ბერკსზე და არც სხვაზე! აი, შენ კი გაჩვენებ, ტომ, რადგან შენ ამას დააფასებ მისი ისტორიული მნიშვნელობის გამო და არა იმით, თუ რამდენი გალეონი ღირს...

– სიამოვნებით ვნახავ ყველაფერს, რასაც მის ჰეპზიბა მაჩვენებს, – ხმადაბლა მიუგო ვოლდემორმა. ჰეპზიბამ კეკლუცად ჩაიკისკისა.

– ჰოკის უკვე გამოვატანინე... ჰოკი, სად დაიკარგე? მისტერ რიდლს ჩვენი უძვირფასესი განძი აჩვენე... ისე, ბარემ ორივე მოიტანე...

– ინებეთ, მადამ, – გაისმა შინაური ელფის წრიპინი. ჰარიმ ტყავის


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ორი ზარდახშა დაინახა, რომლებიც ელფს თავზე შემოეწყო, მაგიდებს, პუფებსა და ტაბურეტებს ვაი-ვაგლახით უქცევდა გვერდს და ქალბატონისაკენ მიიჩქაროდა.

– მაშ, ასე, – კმაყოფილმა ჰეპზიფამ ელფს ზარდახშები ჩამოართვა და კალთაზე დაიწყო, – მგონი, მოგეწონება, ტომ... ო, ჩემმა ნათესავებმა რომ იცოდნენ, ამას გაჩვენებ... ერთი სული აქვთ, როგორმე ჩაიგდონ ხელში!

მან ერთ-ერთ ზარდახშას თავსახური ახადა. ჰარიმ ოდნავ წინ წაიწია, რომ უკეთ დაენახა პატარა ოქროს თასი, რომელსაც ორი მშვენივრად ნაჭედი სახელური ჰქონდა.

– მაინტერესებს, იცი თუ არა, რა არის ეს, ტომ. აიღე, კარგად შეათვალიერე! – ჩურჩულით უთხრა ჰეპზიბამ. ვოლდემორმა გრძელთითება ხელით აბრეშუმის შესაფუთი ნაჭრიდან თასი ამოიღო. ჰარის მოეჩვენა, რომ მუქ თვალებში წამით ნაპერწკალმა გაუელვა. მისი ხარბი გამომეტყველება საოცრად ემთხვეოდა ჰეპზიბას სახეს, ერთი ეგაა, ქალს წვრილი თვალები ვოლდემორის დახვეწილი სახისათვის გაეშტერებინა.

– მაჩვი, – ჩაიბუტბუტა ვოლდემორმა და თასზე გრავიურა გულდასმით შეათვალიერა, – ეს...

– ჰელგა ჰაფლეპაფისაა, რა თქმა უნდა, იცი, ჩემო ჭკვიანო ბიჭო! – ჰეპზიბა კორსეტის ჭრაჭუნით გადაიხარა წინ და, წარმოიდგინეთ, ვოლდემორს გამხდარ ლოყაზე უჩქმიტა, – გახსოვს, რომ გითხარი, შორეული შთამომავალი ვარ-მეთქი? ეს თასი ჩვენს გვარში თაობიდან თაობას გადაეცემოდა. რა მშვენიერი რამეა, არა? თანაც, როგორც ამბობენ, მრავალგვარ ჯადოსნურ ძალას ფლობს, მაგრამ მე ხელს არ ვაკარებ. ასე კოხტად და უსაფრთხოდ ვინახავ...

თასი ვოლდემორს გრძელი თითებიდან გამოსტაცა და ნაზად ჩააბრუნა ზარდახშაში. ისე იყო გართული თავისი განძის დაბინავებით, რომ არ შეუმჩნევია, როგორ გადაურბინა ვოლდემორს სახეზე ჩრდილმა, როცა თასი წაართვეს.

– ახლა კი, – კმაყოფილებით გააგრძელა ჰეპზიბამ, – სად არის ჰოკი? აი, თურმე სად ყოფილხარ... ჰოკი, წაიღე ეს აქედან.

ელფმა მორჩილად გამოართვა ზარდახშა, ჰეპზიბამ კი ყურადღება მეორე, უფრო ბრტყელ ზარდახშაზე გადაიტანა.

– დარწმუნებული ვარ, ეს კიდევ უფრო მოგეწონება, ტომ – დაიჩურჩულა ქალმა, – მოიწიე ახლოს, ჩემო კარგო, უკეთ რომ ნახო... ბერკსმა, რასაკვირველია, იცის, რომ ეს მე მაქვს. მისგან ვიყიდე. ეჭვი არ მეპარება, ჩემს სიკვდილს ელის, რომ უკან დაიბრუნოს...

მან საოცარი ოსტატობით ნაკეთები ლამაზი საკეტები გადასწია


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ზარდახშა გახსნა. მუქ წითელ ხავერდზე მძიმე ოქროს მედალიონი ესვენა.

ვოლდემორმა ამჯერად დაუპატიჟებლად გაიწოდა ხელი, მედალიონი სინათლეს მიუშვირა, შეათვალიერა და ხმადაბლა წარმოთქვა:

– სლიზერინის ნიშანი! – შუქი, მართლაც, მდიდრულად მოოქვილ, გველივით დაკლაკნილ **S**-ს დასთამაშებდა.

– მართალია! – ჰეპზიბამ გულით გაიხარა იმის დანახვაზე, რომ ვოლდემორი მის მედალიონს თვალს ვერ აშორებდა – მისმა შეძენამ კინაღამ გამაკოტრა, მაგრამ ამისთანა საუნჯეს ხელიდან ხომ ვერ გავუშვებდი? ჩემი კოლექციისათვის რომ არ შემემატებინა, ვერ მოვისვენებდი. როგორც გავიგე, ბერკსს ეს მედალიონი ერთი დაკონკილი ქალისაგან უყიდია. დარწმუნებული ვარ, იმ ქალმა სადღაც მოიპარა და წარმოდგენაც არ ჰქონდა მისი ნამდვილი ღირებულების შესახებ...

ამჯერად ჰარის არ მოსჩვენებია: ვოლდემორს ამ სიტყვებზე თვალები წითლად წამოენთო და მედალიონის ძეწკვს თითები ისე შემოუჭირა, რომ კანი გაუთეთრდა.

– დარწმუნებული ვარ, ბერკსმა გროშები მიუგდო, და ხომ ხედავ... ლამაზია, არა? მასაც უამრავი ძალა მიეწერება, მაგრამ მე ხელს არ ვაკარებ, მხოლოდ ვინახავ, კოხტად და უსაფრთხოდ...

ქალი მედალიონს მისწვდა. ჰარიმ გაიფიქრა, ვოლდემორი მედალიონს არ დაანებებსო, მაგრამ წამიც და, ძეწკვი მის თითებშორის გასრიალდა და მედალიონი წითელი ხავერდის ბალიშს დაუბრუნდა.

– სულ ეს იყო, ტომ, ძვირფასო. იმედი მაქვს, ისიამოვნე!

ქალმა ვოლდემორს ყურადღებით შეხედა და პირველად შეეყინა სახეზე ბრიყვული ღიმილი.

– ცუდად ხომ არ ხარ, ძვირფასო?

– არა, არა, – საჩქაროდ უპასუხა ვოლდემორმა, – მშვენივრად ვარ...

– მე კი ვიფიქრე... ალბათ, ცუდი განათების ბრალია, – აწრიალდა ჰეპზიბა. ჰარი მიხვდა, რომ მანაც შეამჩნია წამიერი ნაპერწკალი ვოლდემორის თვალებში, – ჰოკი, ესენი წაიღე და საიმედოდ ჩაკეტე... ისევ ის ჯადო დაადე...

– წასვლის დროა, ჰარი, – ხმადაბლა თქვა დამბლდორმა, როცა ციცქნა ელფი ზარდახშებიანად გატუსტუსდა. დამბლდორმა ჰარის იდაყვს ზემოთ ჩაავლო ხელი. ორივენი სიცარიელეში გაუჩინარდნენ და დამბლდორის კაბინეტს დაუბრუნდნენ.

– ჰეპზიბა სმიტი ამ ამბიდან ორი დღეში გარდაიცვალა, – დამბლდორი თავის სკამზე დაჯდა და ჰარისაც ანიშნა, დაჯექიო, – შინ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აური ელფი ჰოკი მაგიის სამინისტრომ ძილის წინ ქალბატონის ცხელი შოკოლადით უნებურად მოწამვლაში დაადანაშაულა.

– შეუძლებელია! – გაბრაზდა ჰარი.

– როგორც ვხედავ, ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვევა. მართლაც, ამ სიკვდილსა და რიდლების სიკვდილს შორის ბევრი მსგავსებაა. ორივე შემთხვევაში დანაშაული სხვამ აიღო თავის თავზე, ვიღაცამ, ვისაც მკვლელობის სურათი ნათლად ახსოვდა, და აღიარა, რომ მსხვერპლის სიკვდილში ბრალი მიუძღოდა...

– ჰოკიმ დანაშაული აღიარა?

– გაიხსენა, რომ ქალბატონს ცხელ შოკოლადში შაქრის ნაცვლად სხვა რაღაცა ჩაუყარა, რაც შემოწმების შემდეგ მომაკვდინებელი და იშვიათი საწამლავი აღმოჩნდა, – აუხსნა დამბლდორმა, – მაგრამ დაადგინეს, რომ მას ეს განზრახ არ ჩაუდენია, უბრალოდ, დაბერდა და გამოჩერჩეტდა...

– ვოლდემორმა გონება მასაც ისევე შეუცვალა, როგორც მორფინს!

– დიახ, ჩემი დასკვნაც ასეთია, – კვერი დაუკრა დამბლდორმა, – და ისევე, როგორც მორფინის შემთხვევაში, სამინისტროს ყველა მიზეზი ჰქონდა ჰოკიზე ეჭვის მისატანად...

– მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ის შინაური ელფი იყო, – ჩაურთო ჰარიმ. იგი ჰერმიონის მიერ დაარსებული საზოგადოების, **ედამ**-ის მიმართ ასეთი თანაგრძნობით არასდროს გამსჭვალულა.

– მართალია, – დაუდასტურა დამბლდორმა, – ის ძალიან მოხუცი იყო და აღიარა, რომ სასმელის მომზადებისას რაღაცა შეეშალა. სამინისტროში კი არავინ შეიწუხა თავი ამ საქმის ბოლომდე გამოძიებით. სანამ მე ელფის მოძებნასა და ამ მოგონების მოპოვებას შევძლებდი, მორფინისა არ იყოს, მასაც ცალი ფეხი უკვე სამარეში ედგა... მაგრამ, რა თქმა უნდა, ჰოკის მოგონება ვერაფერს ამტკიცებს, გარდა იმისა, რომ ვოლდემორმა თასისა და მედალიონის არსებობის ამბავი იცოდა. იმ დროისთვის, როცა ჰოკი დამნაშავედ ცნეს, ჰეპზიბას ნათესავები მიხვდნენ, რომ მათი საგვარეულოს ორი უძვირფასესი საუნჯე დაიკარგა. გარკვეული დრო დასჭირდათ, რომ ამაში დარწმუნებულიყვნენ, რადგან ჰეპზიბას ბევრი სამალავი ადგილი ჰქონდა და თავის კოლექციას ყოველთვის ფხიზლად სდარაჯობდა. მაგრამ სანამ ყოველგვარი ეჭვი გაიფანტებოდა და დაადგენდნენ, რომ თასი და მედალიონი ნამდვილად გაქრა, „ბორჯინ ენდ ბერკსში“ მომუშავე გამყიდველმა, იმ ახალგაზრდამ, რომელიც ჰეპზიბას ასეთი ხშირი სტუმარი იყო და ასე ოსტატურად ხიბლავდა მას, სამუშაო მიატოვა და გაუჩინარდა. მაღაზიის მფლობელები ბაი-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბურში არ იყვნენ, სად გაქრა მათი თანაშემწე. მისმა მოულოდნელმა გაუჩინარებამ ისინი სხვებზე არანაკლებ გააოცა. ამის შემდეგ ტომ რიდლი აღარც უნახავთ და კარგა ხანს აღარც არაფერი სმენიათ მასზე.

დამბლდორი ორიოდე წამით გაყუჩდა და შემდეგ დინჯად განაგრძო:

– ახლა კი, წინააღმდეგი თუ არ ხარ, ჰარი, მინდა, შენი ყურადღება ამ ამბის გარკვეულ დეტალებზე შევაჩერო. ვოლდემორმა კიდევ ერთი მკვლელობა ჩაიდინა. დანამდვილებით არ ვიცი, რიდლების დახოცვის შემდეგ ეს პირველი მკვლელობა იყო თუ არა. ამჯერად მან შურისძიების მიზნით კი არა, სარგებლის მიღების გამო მოკლა ადამიანი. მას იმ ორი ზღაპრული განძის მოხელთება სურდა, რომლებიც სიყვარულით დაბრმავებულმა საბრალო მოხუცმა აჩვენა.

– კი მაგრამ, – შუბლი შეიკრა ჰარიმ, – რა სიგიჟეა... გარისკო ყველაფერი, მიატოვო სამსახური... რისი გულისთვის...

– შეიძლება, შენთვის ეს სიგიჟეა, მაგრამ ვოლდემორისთვის – არა, – მიუგო დამბლდორმა, – იმედია, დროთა განმავლობაში მიხვდები, რას ნიშნავდა ეს ნივთები მისთვის, მაგრამ დამეთანხმები, რთული არაა იმის წარმოდგენა, რომ ვოლდემორი მედალიონის ერთადერთ და კანონიერ მესაკუთრედ მიიჩნევდა თავს.

– მედალიონი – გასაგებია, მაგრამ თასი რატომღა გაიყოლა?

– თასი ჰოგვორტსის მეორე დამფუძნებელს ეკუთვნოდა – განუმარტა დამბლდორმა, – ჩემი აზრით, ვოლდემორს ჯერ კიდევ მიუწევდა სკოლისაკენ გული და ცდუნებას ვერ გაუძლო, როცა ის ნივთი დაინახა, რომელიც ჰოგვორტსის ისტორიის ნაწილი იყო. თუმცა, ვფიქრობ, მას სხვა მიზეზებიც ამოძრავებდა... იმედი მაქვს, გარკვეული დროის შემდეგ მომეცემა შენთვის მათი ახსნის საშუალება.

– ახლა კი დარჩა უკანასკნელი მოგონება, ყოველ შემთხვევაში, სანამ პროფესორ სლაგჰორნის მოგონების მოპოვებას მოახერხებ. ჰოკის მოგონებისაგან მას ათი წელი ყოფს. სრული ათი წელიწადი, რომელთა განმავლობაშიც შეგვიძლია, მხოლოდ წარმოვიდგინოთ, როგორ ცხოვრობდა ვოლდემორი...

ჰარი ისევ წამოდგა და დამბლდორმა ბოლო მოგონება საფიქრელაში ჩაცალა.

– ეს ვისი მოგონებაა? – ჰკითხა ჰარიმ.

– ჩემი, – უპასუხა დამბლდორმა.

ჰარი დამბლდორს მიჰყვა, ვერცხლისფერ მოძრავ მასაში ჩაყვინთა და იმავე კაბინეტში დაეშვა, რომელიც წამის წინ დატოვა. ფოუკსი მშვიდად თვლემდა ქანდარაზე, საწერ მაგიდასთან კი დამბლდორი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იჯდა. იგი ძალიან ჰგავდა ჰარის გვერდით მდგარ დამბლდორს, მაგრამ ორივე ხელი სალ-სალამათი ჰქონდა, სახე კი – ნაკლებად დანაოჭებული. ერთადერთი განსხვავება დღევანდელ და უწინდელ კაბინეტებს შორის ის იყო, რომ წარსულში თოვდა, ფანჯრის მიღმა, სიბნელეში, გულუხვად ბარდნიდა.

შედარებით ახალგაზრდა დამბლდორი, ჩანდა, ვიღაცას ელოდა. მართლაც, რამდენიმე წამში კარზე დააკაკუნეს.

– მობრძანდით, – გასძახა დამბლდორმა.

ჰარის მოულოდნელობისაგან კინაღამ ყვირილი აღმოხდა. ოთახში ვოლდემორი შემოვიდა. მას სახის ნაკვთები ჯერ კიდევ არ მიუგავდა გველს. თვალები ჯერ არ გასწითლებოდა, მაგრამ უკვე აღარ იყო ის სიმპათიური ტომ რიდლი. თითქოს სახე დასწვოდა, ნაკვთები ცვილისებური გახდომოდა და უცნაურად დამახინჯებოდა. თვალის თეთრი გარსი კი სამუდამოდ ჩასისხლიანებოდა. ვოლდემორს გრძელი შავი მანტია მოესხა და სახე მხრებზე დაყრილი თოვლივით გაფითრებოდა.

მაგიდასთან მჯდომ დამბლდორს გაოცება არ დასტყობია. აშკარად ჩანდა, რომ ეს შეხვედრა წინასწარ იყო შეთანხმებული.

– საღამო მშვიდობისა, ტომ, – ძალდაუტანებლად მიესალმა დამბლდორი, – დაბრძანდი.

– გმადლობთ, – ვოლდემორი მითითებულ სკამზე დაჯდა. ეს სწორედ ის სკამი იყო, რომლიდანაც წუთის წინ ჰარი ადგა – გავიგე, რომ დირექტორად დაგნიშნეს, – უწინდელზე ოდნავ უფრო მაღალი და ცივი ხმით წარმოთქვა მან, – ღირსეული არჩევანია.

– სასიამოვნოა, რომ ამ არჩევანს იწონებ, – გაუღიმა დამბლდორმა, – რამეს ხომ არ დალევ?

– სიამოვნებით. საკმაოდ გრძელი გზა გამოვიარე. დამბლდორი ადგა და კარადისკენ გაემართა, სადაც დღესდღეობით საფიქრელას ინახავდა, მაგრამ მაშინ ის ბოთლებით იყო სავსე. ვოლდემორს ღვინით სავსე ფიალა გადასცა, ერთიც თავისთვის შეივსო და კვლავ მაგიდას მიუჯდა.

– აბა, ტომ, რას უნდა ვუმადლოდე ასეთ პატივს?

ვოლდემორმა მაშინვე არ უპასუხა. ჯერ ღვინო მოსვა.

– „ტომს“ აღარ მეძახიან, – აღნიშნა მან, – დღეს ცნობილი ვარ, როგორც...

– ვიცი, რა სახელითაც ხარ ცნობილი, – საამოდ გაუღიმა დამბლდორმა, – მაგრამ, ვშიშობ, რომ ჩემთვის შენ ყოველთვის ტომ რიდლად დარჩები. ეს, უბრალოდ, მოხუცი მასწავლებლის ერთ-ერთი ახირებაა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დამბლდორმა ფიალა ისე ასწია, თითქოს ვოლდემორს ადღეგრძელებსო. ვოლდემორს სახე არ შესცვლია. მიუხედავად ამისა, ჰარიმ იგრძნო, რომ ოთახში ატმოსფერო ოდნავ დაიძაბა. დამბლდორის უარი, ვოლდემორისათვის შეცვლილი სახელით მიემართა, იმას ნიშნავდა, რომ სტუმარს უფლებას არ მისცემდა, შეხვედრა თავის ჭკუაზე წაეყვანა. ჰარი მიხვდა, რომ ეს ვოლდემორმაც ასე გაიგო.

– მიკვირს, რომ აქ ამდენ ხანს დარჩით, – ხანმოკლე პაუზის შემდეგ თქვა ვოლდემორმა, – ყოველთვის მაინტერესებდა, თქვენისთანა ჯადოქარს რატომ არ უჩნდება ამ სკოლიდან წასვლის სურვილი.

დამბლდორმა კვლავ ღიმილით უპასუხა:

– იმიტომ, რომ ჩემისთანა ჯადოქრისთვის იმაზე მნიშვნელოვანი არაფერია, ვიდრე მომავალი თაობებისათვის უძველესი ცოდნის გადაცემა და მათი აღზრდა-განათლება; რამდენადაც მახსოვს, ერთ დროს შენც გიზიდავდა მასწავლებლის პროფესია.

– დღესაც ასეა, – მიუგო ვოლდემორმა, – მე, უბრალოდ, ის მაოცებს, თქვენ რატომ... ვისაც სამინისტროც კი ხშირად მოგმართავთ რჩევისათვის და ვისაც, თუ არ ვცდები, ორჯერ შესთავაზეს მინისტრის თანამდებობა...

– უკვე სამჯერ, – დააზუსტა დამბლდორმა, – მაგრამ სამინისტროში მუშაობის პერსპექტივა არასდროს მიზიდავდა. ხომ ხედავ, კიდევ ერთი რამ გვქონია საერთო.

ვოლდემორს არ გაუღიმია, ისე დაუქნია თავი და ღვინო მოსვა. დამბლდორს კარგა ხანს არ დაურღვევია სიჩუმე, რომელიც თითქოს უსასრულოდ გაიწელა. ის თავაზიანად ელოდა, როდის ამოიდგამდა ენას ვოლდემორი.

– მე დავბრუნდი, – დაარღვია დუმილი ვოლდემორმა, – შეიძლება, უფრო გვიან, ვიდრე პროფესორი დიპეტი მელოდა... მაგრამ მაინც დავბრუნდი იმავე თხოვნით, რომელიც მაშინ მან არ დააკმაყოფილა და მიზეზად ის მოიშველია, რომ მეტისმეტად ახალგაზრდა ვიყავი. მე მოვედი, რომ ციხე-კოშკში მასწავლებლად დაბრუნების ნება დამრთოთ. გეცოდინებათ, რომ მას შემდეგ, რაც სკოლა დავამთავრე, ბევრი რამე გადამხდა თავს. მე შემიძლია თქვენს სტუდენტებს ისეთი რამე ვაჩვენო და ვასწავლო, რასაც სხვა ჯადოქრისაგან ვერ შეისწავლიან.

დამბლდორმა თავისი ფიალის ზემოდან დაკვირვებით გადმოხედა ვოლდემორს.

– დიახ, ნამდვილად ვიცი, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ბევრი რამე გადაგხდა თავს. შენი საქმიანობის შესახებ ჭორებმა ჩვენამდეც მოაღწია, ტომ. და მათი ნახევრის დაჯერებაც არ მინდა, – ხმადაბლა თქვა დამბლდორმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვოლდემორს მშვიდი გამომეტყველება არ შესცვლია, ისე მიუგო:

– სიდიადე შურს ბადებს, შური სიძულვილს იწვევს, სიძულვილი კი სიცრუეს შობს. დამბლდორ, თქვენ ეს მშვენივრად მოგეხსენებათ.

– „სიდიადეს“ უწოდებ იმას, რაც დღემდე ჩაგიდენია? – თავაზიანად ჰკითხა დამბლდორმა.

– რა თქმა უნდა, – ვოლდემორს თვალები წითლად წამოენთო, – მე ექსპერიმენტები ჩავატარე. მაგიის საზღვრები ისე გავაფართოვე, როგორც არავის გაუფართოებია...

– მხოლოდ გარკვეული სახის მაგიის, – მშვიდად შეუსწორა დამბლდორმა, – რაც შეეხება დანარჩენს, მაპატიე, მაგრამ, სამწუხაროდ, სრულიად უვიცი დარჩი.

და, აი, პირველად გაელიმა ვოლდემორს. ეს ღიმილი კი არა, ნაძალადევი, ღვარძლიანი ქირქილი იყო, ისეთი ბოროტი, რომ მრისხანებაზე მეტ მუქარას შეიცავდა.

– ისევ ჩვენი მუდმივი კამათის თემა! – ჩუმად წარმოთქვა მან, – ამქვეყნად ბევრი რამ მინახავს, მაგრამ ვერაფერმა დაამტკიცა თქვენი ცნობილი მოსაზრება, რომ სიყვარული ჩემს მაგიაზე ძლიერია, დამბლდორ.

– ალბათ, იქ არ ეძებდი, სადაც საჭირო იყო, – შენიშნა დამბლდორმა.

– მაშინ, რა ჯობია იმას, რომ აქ, ჰოგვორტსში განვაახლო კვლევითი მუშაობა, – აიტაცა ვოლდემორმა, – მომცემთ დაბრუნების უფლებას? დამრთავთ ნებას, ჩემი ცოდნა თქვენს სტუდენტებს გავუზიარო? ჩემი ნიჭი თქვენს განკარგულებაშია. თქვენი მონა-მორჩილი ვარ.

დამბლდორმა წარბები აზიდა.

– რა ეშველება მათ, ვინც შენს მსახურებად იქცნენ? რა ბედი ეწევა მათ, ვინც, ჭორებს თუ დავუჯერებთ, თავს „სიკვდილის მხვრელებს“ უწოდებენ?

ჰარი მიხვდა, ვოლდემორი არ ელოდა, რომ დამბლდორმა ეს სახელწოდება იცოდა. მან თვალები კვლავ წითლად დააკვესა და ვიწრო ნესტოები გაუფართოვდა.

– ჩემი მეგობრები, – წუთიერი დუმილის შემდეგ მიუგო:

– დარწმუნებული ვარ, უჩემოდაც გაიკვლევენ გზას.

– მოხარული ვარ, რომ მათ მეგობრებად თვლი. მე კი ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ შენი მსახურები უფრო იყვნენ.

– ცდებით, – მოუჭრა ვოლდემორმა.

– ესე იგი, ამაღამ „ღორის თავში“ წასვლა თუ მომიწია, იქ არ დამხვდებიან შენი დაბრუნების მომლოდინე ნოტი, როზიერი, მულციბერი,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დოლოხოვი? მართლაც ერთგული მეგობრები უნდა იყვნენ: ამისთანა ქარბუქიან ღამეს თან წამოგყვნენ მხოლოდ იმიტომ, რომ გიგულ-შემატკივრონ, სანამ შენ მასწავლებლის ადგილის მიღებას ეცდები.

ჰარიმ შეატყო, ვოლდემორს კიდევ უფრო არ ესიამოვნა, რომ დამბლდორმა ზუსტად იცოდა, ვისთან ერთადაც მოგზაურობდა იგი. მაგრამ იმწამსვე თავს მოერია.

– როგორც ყოველთვის, ყოვლისმცოდნე ხართ, დამბლდორ.

– ო, არა. უბრალოდ, ადგილობრივ ბარმენებთან ვმეგობრობ, – მხიარულად მიუგო დამბლდორმა, – მაშ ასე, ტომ...

დამბლდორმა ცარიელი ფიალა მაგიდაზე დადგა, წელში გაიმართა, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და თითები თავისებურად ერთმანეთზე მიატყუპა.

– მოდი, გულახდილად ვისაუბროთ: რატომ მოხვედი ამ შუაღამისას აქ შენი დამქაშების თანხლებით? იმისათვის, რომ ითხოვო სამუშაო, რომელიც, ორივემ ვიცით, რომ არ გინდა?

ვოლდემორმა ცივად გაიოცა.

– სამუშაო, რომელიც არ მინდა? პირიქით, დამბლდორ, ძალიანაც მინდა.

– დიახ, ჰოგვორტსში დაბრუნება გინდა, მაგრამ მასწავლებლობა არც ახლა გინდა და არც მაშინ გინდოდა, როცა თვრამეტი წლისა იყავი. მაინც რას ეძებ აქ, ტომ? მოდი, გულწრფელად თქვი, რა გსურს.

ვოლდემორმა იქედნურად ჩაიცინა.

– თუ არ გსურთ სამუშაოზე ჩემი აყვანა...

– რა თქმა უნდა, არა, – შეაწყვეტინა დამბლდორმა, – და წუთითაც არ დავიჯერებ, რომ ჩემგან სხვა პასუხს ელოდი. მაგრამ მაინც მოხვედი და მთხოვე. ალბათ, რაღაც მიზანი გამოძრავებს.

ვოლდემორი ფეხზე წამოიჭრა. ახლა ის ყველაზე ნაკლებად ჰგავდა ტომ რიდლს. სახე მრისხანებისგან მოჰქცეოდა.

– ეს თქვენი ბოლო სიტყვაა, დამბლდორ?

დამბლდორიც წამოდგა.

– დიახ.

– მაშინ სალაპარაკო აღარაფერი გვაქვს.

– დიახ, აღარაფერი, – კვერი დაუკრა დამბლდორმა და სახეზე სევდა გადაეფინა, – ეჰ, ის დრო წავიდა, როცა შემეძლო, აალებული გარდერობით შემეშინებინე ან იძულებული გამეხადე, დანაშაულისთვის ბოდიში მოგეხადა. ნეტავ, ახლაც შემეძლოს ამის გაკეთება, ტომ, ნეტავ, ახლაც შემეძლოს...

წამით ჰარიმ კინაღამ შეჰყვირა (რაც საქმეს ვერ უშველიდა, რა თქმა უნდა): დარწმუნებული იყო, რომ დაინახა, თითქოს ვოლდემორს


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხელი ჯიბისაკენ გაექცა, სადაც ჯადოსნური ჯოხი ედო, მაგრამ იმავე წამს სტუმარი გავიდა და კარი გაიხურა. ჰარიმ იგრძნო, რომ დამბლდორის ხელი ისევ შემოეჭდო მკლავზე. რამდენიმე წამში ისინი თითქმის იმავე ადგილზე იდგნენ, მაგრამ ფანჯრის რაფას აღარ ათოვდა, დამბლდორსაც კვლავ გაშავებული და დამჭკნარი ხელი ჰქონდა.

– რატომ? – მაშინვე იკითხა ჰარიმ და დამბლდორს სახეში შეხედა, – რატომ დაბრუნდა? გაარკვიეთ ეს?

– გარკვეული მოსაზრებები მაქვს, – მიუგო დამბლდორმა, – მაგრამ მხოლოდ მოსაზრებები.

– რა მოსაზრებები, სერ?

– ამას მაშინ გეტყვი, ჰარი, როცა პროფესორ სლაგჰორნს მოგონებას გამოართმევ. როდესაც თავსატეხის ბოლო გასაღებიც გვექნება, იმედია, ორივესთვის ყველაფერი ნათელი გახდება, – უპასუხა დამბლდორმა.

ჰარის ცნობისმოყვარეობა წვავდა, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ დამბლდორი კართან მივიდა და გაულო, ადგილიდან არ დაძრულა.

– ამჯერადაც ბნელი ძალებისგან თავდაცვის პედაგოგის ადგილი უნდოდა, სერ? მას არ დაუკონკრეტებია.

– დიახ, რა თქმა უნდა, ბნელი ძალებისგან თავდაცვის პედაგოგის ადგილი უნდოდა, – დაუდასტურა დამბლდორმა, – ეს ჩვენი შეხვედრის შედეგმაც დაამტკიცა. საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც ლორდ ვოლდემორს ამ პოსტზე უარი განვუცხადე, ბნელი ძალებისგან თავდაცვის მასწავლებელი ერთ წელზე მეტხანს სკოლაში ვერ გვიჩერდება.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

# თავი მცდამეერთე

## ამოუცნობი ოთახი

ჰარი მთელი კვირის განმავლობაში თავს იმტვრევდა, როგორ დავიყოლიო სლაგჰორნი, თავისი ნამდვილი მოგონება გადმომცესო, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. ისღა დარჩენოდა, შხამ-წამლების სახელმძღვანელოში ჩაერგო ცხვირი იმ იმედით, რომ რომელიმე გვერდის მინდორზე პრინცის ხელით მიწერილ რომელიმე სასარგებლო რჩევას წააწყდებოდა.

– მანდ ვერაფერს იპოვი, – მტკიცედ უთხრა ჰერმიონმა კვირას, გვიან საღამოს.

– კარგი, რა, ჰერმიონ, ნუ დაიწყე ისევ, – შეწუხდა ჰარი – პრინცი რომ არა, რონი ახლა აქ არ იჯდებოდა.

– იჯდებოდა, პირველ კურსზე სნეიპისთვის ყურადღებით რომ გესმინა, – გულგრილად მიუგო ჰერმიონმა.

ჰარიმ წაუყრუა. სწორედ იმ დროს წააწყდა ერთ-ერთი გვერდის კიდეზე მიწერილ დამაინტრიგებელი სიტყვებს – „მტრებისათვის განკუთვნილი“, რომლის ქვემოთაც გაკრული ხელით ეწერა შელოცვა „სეკტუმსემპრა!“ ჰარის ხელები აექავა, ისე მოუნდა შელოცვის სასწრაფოდ გამოცდა, მაგრამ გადაწყვიტა, ჰერმიონის თანდასწრებით ამის გაკეთება არ ღირსო, და ფურცლის კუთხე მალულად ჩაკეცა.

საერთო ოთახში ბუხართან ისხდნენ. ოთახში მხოლოდ მეექვსეკურსელები შემორჩენილიყვნენ. ვახშმიდან დაბრუნებულებს დაფაზე გაკრული ახალი განცხადება დახვდათ, რომელიც აპარაციის გამოცდის თარიღს იუწყებოდა. გამოცდა 21 აპრილს დაენიშნათ. ამ სიახლემ დიდი მღელვარება გამოიწვია. მათ, ვინც უკვე იყო ჩვიდმეტი წლისა ან გამოცდის დღემდე ხდებოდა სრულწლოვანი, დამატებით გაკვეთილებზე ჩაწერის უფლება ეძლეოდათ. ეს გაკვეთილები ჰოგსმიდში უნდა ჩატარებულიყო (რა თქმა უნდა, უმკაცრესი მეთვალყურეობით).


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამ განცხადების წაკითხვისთანავე რონი პანიკაში ჩავარდა. მას ჯერაც ვერ მოეხერხებინა აპარაციის გამოყენება და შიშობდა, რომ გამოცდაზე ჩაფლავდებოდა. ჰერმიონმა უკვე ორჯერ შეძლო აპარაცია, ამიტომ უფრო თავდაჯერებული ჩანდა. ჰარის კი, რომელიც მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ ხდებოდა ჩვიდმეტი წლისა, აპარაციისთვის მზად რომც ყოფილიყო, გამოცდაზე გასვლის უფლება მაინც არ ჰქონდა.

– მაგრამ შენ აპარაციის გამოყენება მაინც შეგიძლია! – უთხრა დაძაბულმა რონმა, – ივლისში უპრობლემოდ ჩააბარებ გამოცდას!

– სულ ერთხელ გამომივიდა, – შეახსენა ჰარიმ. მართლაც, ბოლოს და ბოლოს, წინა გაკვეთილზე მოახერხა გაქრობა და თავის სალტეში განსხეულება.

რონმა ჯერ უამრავი დრო შეალია ხმამაღლა წუწუნს, შემდეგ კი სნეიპის მოცემულ საშინლად რთულ თემაზე შეუდგა ოფლის ღვრას, რომელიც ჰარისა და ჰერმიონს უკვე დაეწერათ. ჰარი დარწმუნებული იყო, რომ თემაში დაბალ შეფასებას მიიღებდა, რადგან დემენტორებთან ბრძოლის საუკეთესო მეთოდზე სნეიპს არ ეთანხმებოდა. მაგრამ ამაზე დიდად არ ნაღვლობდა: მისთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი სლაგჰორნის მოგონება იყო.

– ჰარი, აკი გითხარი, ის შტერი პრინცი ამაში ვერ დაგეხმარებამეთქი! – ხმას აუწია ჰერმიონმა, – ერთადერთი საშუალება იმისათვის, რომ ვინმეს შენი ნების შესრულება აიძულო, არის იმპერიუსის წყევლა, რაც კანონით ისჯება...

– ჰო, ეგ ვიცი. გმადლობთ, – ჰარის წიგნისათვის თვალი არ მოუწყვეტია, – ამიტომაც ვეძებ სხვა საშუალებას. დამბლდორი ამბობს, ვერიტაზერუმით არაფერი გამოგივაო, მაგრამ ხომ უნდა იყოს კიდევ რამე: ბანგი ან შელოცვა...

– მცდარ გზას ადგახარ, – მოუჭრა ჰერმიონმა, – დამბლდორმა გითხრა, მხოლოდ შენ შეგიძლია მოგონების მოპოვებაო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შენ გარდა სხვა ვერავინ შეძლებს სლაგჰორნის მოთაფვლას. აქ ბანგის შეპარებაზე არაა ლაპარაკი, ამას ხომ ყველა მოახერხებდა...

– როგორ იწერება „საგანგაშო“? – რონი პერგამენტს გაოცებული დააშტერდა და კალამი მაგრად შეანჯღრია, – ხომ ვერ იქნება: ს-ა-ნ...

– არა, ეს შეცდომაა, – ჰერმიონმა რონის თემა მიიწია, – და არც „მკითხაობა“ იწყება „მ-უ-კ“-ით. მაჩვენე ერთი, რომელი კალმით წერ!

– ფრედისა და ჯორჯის მართლმწერი ფრთით... მაგრამ, მგონი, ჯადოს უკვე ძალა ეკარგება...

– აბა, რა, – ჰერმიონმა თემის სათაურზე მიუთითა, – რადგან


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სათაური გვეკითხება, როგორ გავუმკლავდეთ დემენტორებს და არა „დეტექტორებს“... ოჰ, რონ, შენი სახელის „რუნილ ვაზლიბით“ შეცვლა როდისღა მოასწარი?

– ვაიმე! – თავზარდაცემული რონი პერგამენტს დააჩერდა, – ახლა არ მითხრა, რომ მთელი თემის თავიდან გადაწერა მომიწევს!

– ნუ გეშინია, რამეს ვუშველით, – ჰერმიონმა თემას ხელი დაავლო და ჯიბიდან ჯადოსნური ჯოხი ამოიღო.

– ჰერმიონ, მიყვარხარ! – დაღლილი რონი სავარძლის საზურგეს მიესვენა და თვალები მოიფშვნიტა.

ჰერმიონს ლოყები შეეფაკლა, მაგრამ მხოლოდ ეს თქვა:

– ლევენდერმა არ გაგიგოს.

– ჰო, – მიუგო სახეზე ხელებაფარებულმა რონმა, – ან არა, ჯობია, გამიგოს... იქნებ მერე მიმატოვოს.

– შენ რატომ არ ტოვებ, თუკი გინდა, რომ ამ ყველაფერს ბოლო მოელოს? – ჰკითხა ჰარიმ.

– ძალიან ძნელია, ჰარი, თვითონ ხომ არავინ მოგიშორებია თავიდან? – ჰკითხა რონმა, – შენ და ჩო...

– ჰო, უბრალოდ, დავცილდით, – წაეხმარა ჰარი.

– ეჰ, ნეტავ, მე და ლევენდერიც „უბრალოდ დავცილდებოდეთ“... – ჩაიბუზღუნა რონმა, თან თვალს ადევნებდა, როგორ უკაკუნებდა ჰერმიონი ჯადოსნური ჯოხის წვერს შეცდომით დაწერილ ყოველ სიტყვას და შეცდომები თავისით სწორდებოდა ფურცელზე, – რაც უფრო ხშირად ვაგრძნობინებ, რომ ურთიერთობის გაწყვეტა მინდა, მით უფრო მებღაუჭება. ეს იგივეა, გიგანტური კალმარისგან ცდილობდე გათავისუფლებას.

– აი, აიღე, – თქვა ოც წუთში ჰერმიონმა და რონს თემა დაუბრუნა.

– უღრმესი მადლობა, – გაუხარდა რონს, – მათხოვებ კალამს დასკვნის დასაწერად?

ჰარიმ ნახევარპრინცის ჩანაწერებში ჯერჯერობით სახეირო ვერაფერი ნახა, თავი ასწია და მიმოიხედა. საერთო ოთახში მხოლოდ სამნიღა დარჩენილიყვნენ. სიმუსი, ის-ის იყო, სნეიპისა და მისი თემის წყევლა-კრულვით წავიდა დასაძინებლად. მდუმარებას არღვევდა მხოლოდ ცეცხლის ტკაცუნი და ჰერმიონის კალმის წრიპინი, რომლითაც რონი დემენტორების შესახებ დასაწერი თემის ბოლო აბზაცს ჯღაბნიდა. ჰარიმ ნახევარპრინცის წიგნი დახურა, დაამთქნარა და უცებ...

ტკაც.

ჰერმიონმა შეჰკივლა, რონს მთელ თემაზე მელანი დაექცა, ჰარიმ კი შესძახა:



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კრეჩერ!

შინაური ელფი წელში მოიდრიკა და თავის დაკოჟრილ ფეხის თითებს მიმართა:

– ბატონმა ბიჭი მალფოის საქმიანობის შესახებ რეგულარული ანგარიში მომთხოვა და კრეჩერი მოვიდა, რომ...

ტკაც.

კრეჩერის შორიახლოს დობი გაჩნდა, თავზე ჩამოფხატული შალითა გვერდზე მოჰქცეოდა.

– დობიც ეხმარებოდა, ჰარი პოტერ! – დაიწრიპინა მან და კრეჩერს წყენით შეხედა, – კრეჩერმა კი დობი უნდა გააფრთხილოს, როცა ჰარი პოტერთან მოდის ხოლმე, რომ ერთად ჩააბარონ ანგარიში!

– ეს რა არის? – იკითხა ამ თავსდამტყდარი სტუმრობით გაოგნებულმა ჰერმიონმა, – ჰარი, რა ხდება?

სანამ უპასუხებდა, ჰარი შეყოყმანდა. ჰერმიონისათვის არ უთქვამს, რომ კრეჩერი და დობი მალფოის ჯაშუშებად მიუჩინა. შინაური ელფები ხომ ყოველთვის მტკივნეულ თემას წარმოადგენდა გოგონასთვის.

– ისა... ჩემი დავალებით მალფოის დასდევენ, – აუხსნა ბოლოს.

– დღისით და ღამით, – დაიჩხავლა კრეჩერმა.

– დობის უკვე მთელი კვირაა, არ უძინია, ჰარი პოტერ! – ამაყად განაცხადა დობიმ და ადგილზე შექანდა. ჰერმიონი აღშფოთდა:

– არ გიძინია, დობი? კი მაგრამ, ჰარი, ნუთუ შენ უბრძანე, რომ...

– არა, რა თქმა უნდა, არა, – აწრიალდა ჰარი და სანამ ჰერმიონი ისევ ჩაერეოდა, სწრაფად უთხრა: – დობი, შეგიძლია, იძინო, კარგი? აბა, რომელიმე თქვენგანს რამე ხომ არ გაურკვევია?

– ბატონ მალფოის წმინდასისხლიანის საკადრისი კეთილშობილური მიხრა-მოხრა აქვს, – დაიჩხავლა კრეჩერმა, – მისი ნაკვთები ჩემი ქალბატონის მშვენიერებას მაგონებს, ხოლო მისი მანერები გახლავთ...

– დრაკო მალფოი ცუდი ბიჭია! – დაიწრიპინა გაბრაზებულმა დობიმ, – ცუდი ბიჭი, რომელიც... რომელიც...

დობის ჩაიდანზე ჩამოსაცმელი შალითიდან წინდებამდე ძრწოლამ დაუარა და ბუხრისაკენ ისე მოუსვა, თითქოს შიგ შეხტომას აპირებსო. ჰარიმ, რომლისთვისაც ეს დიდი მოულოდნელობა არ ყოფილა, ელფს სწრაფად სტაცა ხელი და ბუხარს მოარიდა. დობიმ რამდენიმე წამს იფართხალა, ბოლოს მოდუნდა და ქოშინით თქვა:

– გმადლობთ, ჰარი პოტერ. დობის ჯერაც უჭირს ძველი ბატონების აუგად ხსენება.

ჰარიმ ხელი გაუშვა. დობიმ შალითა შეისწორა და გამომწვევად მიუბრუნდა კრეჩერს:


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაგრამ კრეჩერმა უნდა იცოდეს, რომ დრაკო მალფოი შინაური ელფისათვის კარგი ბატონი არაა!

– ჰო, მალფოისადმი შენი სიყვარულის ამბავი არ გვაინტერესებს, – უთხრა ჰარიმ კრეჩერს, – შესავალი გამოტოვე და პირდაპირ საქმეზე გადადი.

გაცოფებულმა კრეჩერმა კვლავ დაუკრა თავი და მოახსენა:

– ბატონი მალფოი დიდ დარბაზში მიირთმევს, სარდაფში სლიზერინის კლუბის საძინებელში სძინავს, გაკვეთილებს ესწრება...

– დობი, შენ მითხარი, – შეაწყვეტინა ჰარიმ კრეჩერს, – საეჭვო ადგილას ხომ არ დაგინახავს?

– ჰარი პოტერ, სერ, – დაიწრიპინა დობიმ და გადმოკარკლულ თვალებში ცეცხლის შუქი აერეკლა, – დობის ჯერ არ შეუმჩნევია, მალფოის ბიჭს წესი დაერღვიოს, მაგრამ აშკარად რაღაცას მალავს. მერვე სართულზე სხვადასხვა სტუდენტთან ერთად ადის ხოლმე. ისინი გარეთ დარაჯობენ, სანამ თვითონ შესულია...

– მიშველე-ოთახში! – გამოიცნო ჰარიმ და შუბლზე „ურთულესი შხამ-წამლები“ შემოიკრა. გაოცებულმა ჰერმიონმა და რონმა მეგობარს გადახედეს, – აი, თურმე სად დაიპარებოდა! აი, თურმე... სანაძლეოს დავდებ, ამიტომაც ქრებოდა რუკიდან... ონავართა რუკაზე მიშველე-ოთახი არასოდეს დამინახავს!

– იქნებ, ონავრებმა იმ ოთახის არსებობის შესახებ არ იცოდნენ? – ვარაუდი წამოაყენა რონმა.

– ჩემი აზრით, ეს იმ ოთახის ერთ-ერთი მაგიური თვისებაა – ჩაურთო ჰერმიონმა, – თუ გინდა, რომ რუკაზე არ გამოჩნდეს, არც გამოჩნდება.

– დობი, ხომ არ გიცდია ოთახში შელწევა, რომ გენახა, რას აკეთებს შიგნით მალფოი? – მუდარით ჰკითხა ჰარიმ.

– არა, ჰარი პოტერ, ეს შეუძლებელია, – თქვა დობიმ.

– არაა შეუძლებელი. შარშან მალფოიმ ჩვენს შტაბს მოაგნო. ასე რომ, მეც უპრობლემოდ შევძლებ შესვლას და მის თვალთვალს, – თქვა ჰარიმ.

– რაღაც, არა მგონია, ჰარი, – აუჩქარებლად დაიწყო ჰერმიონმა, – მაშინ უტვინო მარიეტამ გაგვცა და მალფოიმ ზუსტად იცოდა, რა მიზნით ვიყენებდით ოთახს. მალფოის **და**-ს შტაბი დასჭირდა და ოთახიც შტაბი გახდა. მაგრამ შენ ხომ არ იცი, რად იქცევა ოთახი, როცა იქ მალფოი შედის, ამიტომ არც ის იცი, რა უნდა სთხოვო ოთახს.

– რამე გამოსავალი უნდა არსებობდეს, – დაუდევრად მიუგო ჰარიმ, – ყოჩაღ, დობი.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კრეჩერმაც ძალიან იყოჩაღა, – გულთბილად დასძინა ჰერმიონმა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მადლიერი დარჩენილიყო, კრეჩერმა ვეება ჩასისხლიანებული თვალები ჭერს მიაპყრო და ჩაილაპარაკა:

– მუქსისხლიანი კრეჩერს ელაპარაკება. კრეჩერი თავს ისე დაიჭერს, თითქოს ვერაფერი გაიგო...

– მომწყდი თავიდან, – დაუცაცხანა ჰარიმ. კრეჩერი წელში მოიკაკვა და გაქრა, – გირჩევ, შენც წახვიდე და კარგად გამოიძინო, დობი.

– გმადლობთ, ჰარი პოტერ, სერ! – გაიხარა დობიმ და ისიც გაუჩინარდა.

– აბა, რას იტყვით? – თვითკმაყოფილი სახით მიუბრუნდა მეგობრებს ჰარი, – უკვე ვიცით, სად დაბრძანდება მალფოი! ახლა კი მოვიმწყვდიეთ კუთხეში!

– ჰო, მაგარია, – უგუნებოდ გაეპასუხა რონი, თან ცდილობდა, თითქმის დასრულებულ თემაზე დაქცეული მელნის გუბე აეწმინდა. ჰერმიონმა თავისკენ მიიწია ეტრატი და ჯადოსნური ჯოხით მელნის გაშრობას შეუდგა.

– ისე, როგორ მოხდა, რომ სხვადასხვა სტუდენტთან ერთად ადის იმ ოთახში? – იკითხა ჰერმიონმა, – მაინც რამდენი კაცი ჰყავს გარეული ამ საქმეში? არა მგონია, ამდენს ენდობოდეს და გეგმებს უზიარებდეს...

– ჰო, ეს, მართლაც, უცნაურია, – კოპები შეყარა ჰარიმ – ყური მოვკარი, როგორ უთხრა კრაბს, შენი საქმე არაა, რასაც ვაკეთებო... ჰოდა, ახლა ვითომ ყველას... ყველას...

ხმა თანდათან ჩაუწყდა და თვალი ცეცხლს გაუშტერა.

– ღმერთო ჩემო, რას სულელი ვარ, – ჩაიბუტბუტა ხმადაბლა, – ყველაფერი ნათელია. ქვემოთ, ჯურღმულში, მთელი კასრი იდგა. გაკვეთილზე ნებისმიერ დროს შეეძლო, ცოტა აეწაპნა.

– რა აეწაპნა? – ჰკითხა რონმა.

– მრავალწვნიანი სასმელი. როცა სლაგჰორნმა შხამების პირველსავე გაკვეთილზე გვაჩვენა, მალფოიმ ცოტა მოიპარა. მას მზვერავებად სხვადასხვა სტუდენტი კი არ უდგას... არამედ, ჩვეულებისამებრ, მხოლოდ კრაბი და გოილი... ჰო, ეს ყველაფერს ნათელს ჰფენს! – ჰარი წამოხტა და ბუხრის წინ ბოლთის ცემას მოჰყვა, – ისინი ისეთი გონებაჩლუნგები არიან, რომ მიზეზს არც კი იკითხავენ, ისე შეუსრულებენ ბრძანებებს... მაგრამ მალფოის ხელს არ აძლევს, მიშველე-ოთახთან ვინმეს თვალში ხშირად შეეჩხირონ, ამიტომ მრავალწვნიანი სასმელის დალევასა და სხვადასხვა მოსწავლის სახის მიღებას აიძულებს... აი, თურმე ვინ იყო ის ორი გოგონა, მალფოის რომ ახლდა, როდესაც ქვიდიჩის მატჩი გააცდინა... კრაბი და გოილი!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მოიცა, რის თქმა გინდა, – ჩურჩულით იკითხა ჰერმიონმა, – ის პატარა გოგონა, ვისი სასწორიც შევაკეთე...

– კი, რა თქმა უნდა! – ხმამაღლა თქვა ჰარიმ და ჰერმიონს მიაჩერდა, – რა თქმა უნდა! როგორც ჩანს, მალფოი მაშინ ოთახში იყო, ამიტომ გოგონამ... გოგონამ კი არა... გოილმა სასწორი დააგდო, რომ მალფოისათვის ენიშნებინა, არ გამოხვიდე, აქ ვიღაც არისო! გახსოვთ, იმ გოგოსაც ბაყაყების ქვირითით სავსე ქილა დაუვარდა! ორივეჯერ ცხვირწინ ჩავუარეთ და ვერაფერს მივხვდით!

– მოიცა, კრაბსა და გოილს აიძულებს, გოგოების სახე მიიღონ? – ჩაიფრუტუნა რონმა, – აა... აი, თურმე რატომ დადიან ბოლო ხანებში ასეთი დაბოღმილები... მიკვირს, როგორ აძლევენ ამდენის უფლებას...

– ვერაფერსაც ვერ გაუბედავენ, შავი ნიშანი თუ აჩვენა, – შენიშნა ჰარიმ.

– ჰოო, ჯერ ხომ არ ვიცით, შავი ნიშანი აქვს თუ არა? – სკეპტიკურად თქვა ჰერმიონმა, გამშრალი თემა დაახვია და, სანამ კიდევ რამე ხიფათი შეემთხვეოდა, რონს გადასცა.

– მაგასაც ვნახავთ, – თავდაჯერებით განაცხადა ჰარიმ.

– ვნახავთ და ვნახოთ, – ჰერმიონი წამოდგა და გაიზმორა, – მაგრამ ჰარი, სიხარული ნაადრევია. მაინც მგონია, რომ მიშველეოთახში ვერ შეხვალ, თუ არ იცი, შიგნით რა არის. თანაც, არ უნდა დაგავიწყდეს, რომ, – ჰერმიონმა ჩანთა მხაზე მოიგდო და სერიოზულად გადახედა მეგობარს, – შენ ახლა მთელი ყურადღება იმაზე უნდა გადაიტანო, სლაგჰორნს როგორმე დასცინცლო მოგონება. ღამე მშვიდობისა.

ოდნავ გულდამძიმებულმა ჰარიმ მეგობარს თვალი გააყოლა. რა წამსაც გოგონების საძინებლის კარი დაიხურა, რონს მიუბრუნდა:

– შენ რას ფიქრობ?

– ნეტავ, მეც შემეძლოს შინაური ელფივით აპარაცია, – რონი იმ ადგილს მიშტერებოდა, სადაც დობი გაუჩინარდა, – აპარაციის ლიცენზია ახლა ჯიბეში მედებოდა.

ჰარიმ იმ ღამეს კარგა ხანს ვერ მოახერხა დაძინება და თვალებდაჭყეტილი იმაზე ფიქრობდა, რა მიზნით იყენებს მალფოი მიშველეოთახს და რა დამხვდება ხვალ იქ შესულსო. ჰერმიონს რაც უნდა ეთქვა, ჰარი მაინც დარწმუნებული იყო, რომ, თუკი მალფოიმ შეძლო **და**-ს შტაბის დანახვა, ისიც შეძლებდა, დაენახა მალფოის... მაინც რა? შეხვედრის ადგილი? სამალავი? საწყობი? სახელოსნო? ჰარის გონება ციებცხელებიანივით უმუშავებდა და როცა ბოლოს და ბოლოს ჩაეძინა, მშფოთვარე სიზმრებს წამდაუწუმ ურღვევდა მალ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფოის სახე, რომელიც ხან სლაგჰორნად იქცეოდა, ხანაც – სნეიპად, და ასე დაუსრულებლად...

მეორე დილას, საუზმობისას, ჰარი მოუთმენლობისგან ცმუკავდა. ბნელი ძალებისგან თავდაცვის გაკვეთილის დაწყებამდე მთელი ერთი საათი ჰქონდა თავისუფალი და მტკიცედ განეზრახა, ეს დრო მიშველე-ოთახში შესაღწევად გამოეყენებინა. ჰარი ჩურჩულით უზიარებდა ჰერმიონს გეგმებს, მაგრამ გოგონა განზრახ სრულ გულგრილობას იჩენდა. ამან ჰარი ძალიან გააღიზიანა, რადგან ფიქრობდა, ჰერმიონი თუ მოინდომებდა, დიდ დახმარებას გაუწევდა ამ საქმეში.

– მომისმინე, – ხმადაბლა უთხრა ჰარიმ, წინ გადაიხარა და ფოსტის ბუს მოტანილ „დილის მისანს" ხელი დააფარა, რომ გოგონას არ გაეშალა და მის მიღმა არ გაუჩინარებულიყო, – სლაგჰორნი არ დამვიწყებია, მაგრამ ოდნავი წარმოდგენაც არა მაქვს, როგორ დავტყუო მოგონება. და სანამ რამე გონივრული აზრი მომივა, რა მიშლის ხელს მალფოის ჩანაფიქრის გაგებაში?

– მე უკვე გითხარი, სლაგჰორნი უნდა დაიყოლიო-მეთქი – გაუმეორა ჰერმიონმა, – კი არ უნდა მოატყუო ან მოაჯადოვო. ამას დამბლდორი უშენოდაც მშვენივრად იზამდა. მიშველე-ოთახთან ბოდიალს, – ჰერმიონმა „მისანი" ჰარის ხელიდან გამოჰგლიჯა და პირველ გვერდზე გადაშალა, – გირჩევნია, წახვიდე და სლაგჰორნი ნამუსზე შეაგდო.

– ჩვენი ნაცნობებიდან ხომ არავინაა? – იკითხა რონმა, როცა ჰერმიონმა სათაურებს გადაავლო თვალი.

– კი! – უპასუხა ჰერმიონმა და ბიჭებს ლამის ლუკმა სასულეში გადასცდათ, – მაგრამ ნუ გეშინიათ, არავინ დაღუპულა. მანდანგუსი დაუპატიმრებიათ და აზკაბანში ჩაუსვამთ! სახლის გატეხვის მიზნით ინფერიუსს განასახიერებდაო... კიდევ ვიღაც ოქტავიუს პეპერი უგზო-უკვლოდ დაკარგულა... ო, რა საშინელებაა! ცხრა წლის ბავშვს ბებია-პაპის დახოცვა უცდია, ვარაუდობენ, რომ იმპერიუსის წყევლის გავლენის ქვეშ იყო...

საუზმემ მდუმარედ ჩაიარა. ჰერმიონი მაშინვე უძველესი რუნული დამწერლობის გაკვეთილზე გაეშურა, რონი – საერთო ოთახში, სადაც სნეიპის გაკვეთილისთვის დემენტორების თემის დასკვნა უნდა დაესრულებინა, ჰარიმ კი მერვე სართულის დერეფანში კედლის იმ მონაკვეთისაკენ გასწია, რომლის საპირისპირო მხარესაც გობელენი ეკიდა. გობელენზე შეშლილი ბარნაბა ტროლებს ბალეტის ცეკვას ასწავლიდა.

როგორც კი ცარიელ გასასვლელში დაიგულა თავი, ჰარი უჩინმაჩინის მოსასხამში გაეხვია, მაგრამ ასეთი სიფრთხილე სრულიად


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზედმეტი იყო. დანიშნულების ადგილი უკაცრიელი დახვდა. ჰარის წარმოდგენა არ ჰქონდა, ოთახში მისი შეღწევის შანსი რამდენად იყო დამოკიდებული მალფოის იქ ყოფნა-არყოფნაზე, მაგრამ, სხვა თუ არაფერი, პირველივე მცდელობაში თერთმეტი წლის გოგონებად ქცეული კრაბი და გოილი მაინც არ შეუშლიდნენ ხელს.

ჰარიმ თვალები დახუჭა და იმ კედელს მიუახლოვდა, რომლის უკანაც მიშველე-ოთახი იმალებოდა. იცოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო. ამაში გასულ წელს კარგად გაიწაფა. რამდენადაც შეეძლო, ყურადღება მოიკრიბა და ფიქრს შეუდგა:

„მაჩვენე, რას აკეთებს მანდ მალფოი... მაჩვენე, რას აკეთებს მანდ მალფოი... მაჩვენე, რას აკეთებს მანდ მალფოი...“

სამჯერ აიარ-ჩაიარა, შემდეგ აღელვებისაგან გულაძგერებულმა გაახილა თვალები და შებრუნდა... მაგრამ კარის ნაცვლად ისევ მიწისფერი ცარიელი კედელი დახვდა.

ჰარი მიუახლოვდა და საცდელად მიაწვა. ქვის კედელი მყარად და შეუპოვრად იდგა.

– კარგი, – ხმამაღლა თქვა ჰარიმ, – გასაგებია... იმას არ ვფიქრობ, რაც საჭიროა...

წამით ჩაფიქრდა და შემდეგ ისევ თვალდახუჭული, გონებადაძაბული გაუყვა დერეფანს.

– მაჩვენე ის ადგილი, სადაც მალფოი უჩუმრად მოდის ხოლმე... მაჩვენე ის ადგილი, სადაც მალფოი უჩუმრად მოდის ხოლმე...

ისევ სამჯერ ჩაუარა კედელს და თვალები მომლოდინედ გაახილა.

კარი არ ჩანდა.

– ო, კარგი რა, – მოთმინება დაეკარგა ჰარის, – ხომ გასაგები მითითება მოგეცი... კარგი...

რამდენიმე წუთს ისევ იმტვრია თავი, სანამ კედლის წინ სიარულს კვლავ მოჰყვებოდა.

– მინდა, ის ადგილი გახდე, რადაც დრაკო მალფოისათვის იქცევი ხოლმე...

ჰარი გაჩერდა, მაგრამ თვალები მაშინვე არ გაუხელია. გულდასმით აყურადებდა, თითქოს კარის გაჩენის ხმას გაიგებდა... მაგრამ მდუმარებას მხოლოდ ფანჯრებიდან შემოჭრილი ჩიტების შორეული ჟღურტული არღვევდა. ჰარიმ თვალები გაახილა.

კარი მაინც არ ჩანდა.

ჰარიმ ხმამაღლა შეიგინა. ვიღაცამ დაიწივლა. ბიჭმა თავი მიატრიალა და დაინახა, როგორ მოკურცხლა რამდენიმე პირველკურსელმა და დერეფნის მოსახვევში როგორ გაუჩინარდა. ალბათ, ეგონათ, რომელიმე ყიამყრალ მოჩვენებას გადავეყარეთო.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მთელი საათის განმავლობაში ჰარიმ „დამანახე, რას აკეთებს შენში დრაკო მალფოის“ ყველა შესაძლო ვარიანტი მოსინჯა. საათის მიწურულს კი იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ჰერმიონი არ ცდებოდა: ოთახს არაფრით არ სურდა, მისთვის გაღებულიყო. იმედგაცრუებული და გაღიზიანებული ჰარი ბნელი ძალებისგან თავდაცვის გაკვეთილზე წავიდა, გზადაგზა უჩინმაჩინის მოსასხამი გაიძრო და ჩანთაში ჩატენა.

– ისევ დააგვიანეთ, პოტერ, – ცივად უთხრა სნეიპმა, როცა ჰარი სანთლებით განათებულ საკლასო ოთახში შევარდა – ათი საჯარიმო ქულა გრიფინდორს.

ჰარიმ სნეიპს გაგულისებულმა შეხედა და რონის გვერდით, სკამზე დაებერტყა. კლასის ნახევარი ჯერაც ფეხზე იდგა, წიგნებს მერხებზე ალაგებდნენ და გაკვეთილისათვის ემზადებოდნენ. ჩანდა, რომ ჰარის დიდად არ დაეგვიანა.

– სანამ დავიწყებთ, დემენტორებზე თქვენი თემები ჩამაბარეთ, – ბრძანა სნეიპმა და ჯადოსნური ჯოხი უგულოდ აიქნია. პერგამენტის ოცდახუთი გრაგნილი ჰაერში აფრინდა და მის მაგიდაზე კოხტად დალაგდა, – და თქვენთვისვე აჯობებს, ეს თემები იმ ნაგავზე უკეთესი იყოს, რაც იმპერიუსის წყევლის გამკლავებაზე დამიწერეთ. აბა, გადაშალეთ სახელმძღვანელოები... დიახ, გისმენთ, მისტერ ფინიგან.

– სერ, – დაიწყო სიმუსმა, – მაინტერესებს, რით განსხვავდება ინფერიუსი მოჩვენებისაგან? „დილის მისანში“ იყო ნახსენები ინფერიუსი და...

– „მისანში“ არაფერიც არ იყო, – მობეზრებული ხმით შეაწყვეტინა სნეიპმა.

– მაგრამ, სერ, მე მითხრეს, რომ...

– თქვენ თავად რომ წაგეკითხათ ხსენებული სტატია, მისტერ ფინიგან, გეცოდინებოდათ, რომ ის, ეგრეთ წოდებული, ინფერიუსი მხოლოდ და მხოლოდ ერთი ბინძური ქურდბაცაცაა, სახელად მანდანგუს ფლეტჩერი.

– მე მეგონა, სნეიპი და მანდანგუსი ერთ ბანაკში იყვნენ, – გადაულაპარაკა ჰარიმ რონსა და ჰერმიონს, – არ უნდა სწყენოდა, რომ მანდანგუსი დააპატიმრეს?!

– მაგრამ პოტერს ამ თემაზე, ჩანს, უფრო მეტი აქვს სათქმელი, – მოულოდნელად განაცხადა სნეიპმა, ოთახის ბოლოსკენ ანიშნა და შავი თვალები ჰარის ხანჯალივით გაუყარა, – მოდით, პოტერს ვკითხოთ. იქნებ, მან აგვიხსნას, როგორ უნდა განვასხვაოთ ინფერიუსი და მოჩვენება.

მთელმა კლასმა ჰარის მიხედა. ჰარი სასწრაფოდ შეეცადა, გაეხ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სენებინა, რა უთხრა დამბლდორმა სლაგჰორნთან სტუმრობის ღამეს.

– ისა... მოჩვენება გამჭვირვალეა.

– ო, ძალიან კარგი, – შეაწყვეტინა სნეიპმა და ტუჩი აეპრიხა, – როგორც ვხედავ, მთელი ექვსი წელი ამაოდ არ გისწავლიათ. გაიგეთ? მოჩვენება გამჭვირვალე ყოფილა!

პენსი პარკინსონმა ისტერიულად გადაიკისკისა. ვიღაცეებმა დამ-ცინავად ჩაიღიმეს. ჰარიმ ღრმად შეისუნთქა ჰაერი და მიუხედავად იმისა, რომ გული ლამის გასკდომოდა, მშვიდად გააგრძელა:

– დიახ, მოჩვენება გამჭვირვალეა, ინფერიუსი კი გვამია. შესაბამ-ისად, ხორციელი იქნება...

– ამას ხომ ხუთი წლის ბავშვიც მეტყოდა, – ჩაიქირქილა სნეიპმა, – ინფერიუსი არის გვამი, რომელსაც შავი მაგის შელოცვებმა ხელახლა შთაბერა სიცოცხლე. ის არ არის ცოცხალი, უბრალოდ, მარიონეტია, რომელიც ჯადოქრის ბრძანებას ემორჩილება. მოჩვენება კი, უკვე ყველამ უნდა იცოდეთ, რომ დედამიწაზე გარდაცვლილის სულის ანაბეჭდია. და, რასაკვირველია, როგორც პოტერმა ბრძნულად შეგვახსენა, გამჭვირვალე.

– კი მაგრამ, რაც ჰარიმ თქვა, მათ გასარჩევად ეს უფრო არ გამოგვადგება? – შენიშნა რონმა, – როდესაც ბნელ ჩიხში რომელიმეს შევეფეთებით, იმის დრო სად გვექნება, გავარკვიოთ, ხორციელია თუ არა?! ასე ხომ ვერ ვკითხავთ: „უკაცრავად, გარდაცვლილის სულის ანაბეჭდი ხომ არ ბრძანდებით?“

ჯურღმული ხარხარმა შეაზანზარა, მაგრამ სნეიპმა კლასი თვალის ერთი გადაბრიალებით გააჩუმა.

– კიდევ ათი საჯარიმო ქულა გრიფინდორს. თქვენგან ამაზე ჭკვი-ანურს არაფერს ველოდი, რონალდ უისლი. ბიჭისაგან, რომელიც იმდენად ხორციელია, რომ ოთახში ერთ სანტიმეტრზეც ვერ ახერხებს აპარაციას.

– არა! – დაიჩურჩულა ჰერმიონმა და გაცოფებულ ჰარის მკლავზე დაქაჩა, რადგან ის შეპასუხებას აპირებდა, – აზრი არა აქვს, ისევ დამატებითი სამუშაო არ დაიმსახურო. თავი დაანებე!

– ახლა გადაშალეთ წიგნები ორას მეცამეტე გვერდზე, – ძლივსშესამჩნევი ირონიული ღიმილით გააგრძელა სნეიპმა, – და კრუციატუსის წყევლაზე პირველი ორი აბზაცი წაიკითხეთ. რონი მთელი გაკვეთილის განმავლობაში უგუნებოდ იყო. გაკვეთილის ბოლოს ზარი რომ დაირეკა, რონსა და ჰარის ლევენდერი დაეწია (მის მოახლოებაზე ჰერმიონი თვალის დახამხამებაში სადღაც აორთქლ-და) და გაცხარებით მოჰყვა სნეიპის ლანძღვას რონის გაკილვისათ-ვის, მაგრამ რონი ამან უფრო მეტად გააღიზიანა, ჰარისთან ერთად


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბიჭების საპირფარეშოში შეიარა და გოგონა თავიდან მოიშორა.

რონმა გაბზარულ სარკეში ორიოდე წუთს იცქირა და თქვა:

– ისე, სნეიპი მართალია, არა? არც კი ვიცი, ღირს თუ არა გამოცდაზე გასვლა. აპარაციას ალღო ვერ ავუღე და რა ვქნა.

– ჯერ ჰოგსმიდში დამატებითი პრაქტიკა გაიარე და ნახე, რა გამოგივა, – ურჩია ჰარიმ, – ეს მაინც უფრო საინტერესოა, ვიდრე იმ ოხერ სალტეში მოხვედრაზე წვალება. და მერე, თუ კიდევ ვერ... ისა... მიიღებ სასურველ შედეგს, შეგიძლია, გამოცდა გადაიტანო, ჩემთან ერთად მოემზადო ზაფხულში და... მირტლ, ეს ბიჭების ტუალეტია!

მათ უკან, კაბინიდან, გოგონას მოჩვენება ამოფრენილიყო, ჰაერში ლივლივებდა და ბიჭებს აკვირდებოდა სქელმინებიანი, მრგვალი, მარგალიტისფერი სათვალით.

– ააა, – მოიღუშა მირტლი, – თქვენა ხართ?

– აბა, შენ ვის ელოდი? – ჰკითხა რონმა და მოჩვენებას სარკეში შეხედა.

– არავის, – მირტლი ნიკაპზე რაღაცას უგუნებოდ იწვალებდა, – მითხრა, ისევ მოვალ და გინახულებო. შენც ხომ დამპირდი, ზოგჯერ შემოგივლიო? – საყვედურით გადახედა ჰარის, – მაგრამ უკვე რამდენი თვეა, არ გამოჩენილხარ. უკვე ვისწავლე, რომ ბიჭებისგან კარგს არაფერს უნდა ელოდო.

– შენ ხომ გოგოების ტუალეტში ცხოვრობდი? – სიტყვა ბანზე აუგდო ჰარიმ, რომელმაც ჭკუა იხმარა და აგერ, უკვე რამდენიმე წელი იყო, მირტლის სამყოფელს სათოფეზე არ ეკარებოდა.

– ახლაც იქ ვცხოვრობ, – მხრები აიჩეჩა მოჩვენებამ, – მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ არ შემიძლია, სხვა ადგილს ვეწვიო. ხომ გახსოვს, ერთხელ აბაზანაში რომ მოვედი შენთან.

– გუშინდელ დღესავით, – თქვა ჰარიმ.

– მე კი მეგონა, რომ მოვწონდი, – დაიჩივლა მირტლმა, – იქნებ, თქვენ რომ წახვალთ, მერე მაინც დაბრუნდეს... ჩვენ იმდენი რამ გვაქვს საერთო... დარწმუნებული ვარ, თვითონაც გრძნობს ამას...

მირტლმა იმედით გახედა კარს.

– რას ნიშნავს, „ბევრი რამ გაქვთ საერთო“? – ცოტა არ იყოს, გამხიარულდა რონი, – იმას გულისხმობ, რომ ისიც ტუალეტში ცხოვრობს?

– არა, – გამომწვევად მიუგო მირტლმა. მისმა ხმამ ძველისძველ, ფილაქანდაგებულ ტუალეტს ექოდ დაუარა, – მე ის ვიგულისხმე, რომ ისიც მგრძნობიარეა, სხვები ჩაგრავენ, მარტოსულად გრძნობს თავს და არავინ ჰყავს, რომ დაელაპარაკოს. მას არ ეშინია გრძნობების გამომჟღავნებისა და ტირილისა!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აქ ბიჭმა იტირა? – ცნობისმოყვარეობა აღეძრა ჰარის – პატარა ბიჭმა?

– შენი საქმე არაა! – მირტლმა წვრილი, წყალწყალა თვალები მიაშტერა რონს, რომელიც ახლა მოურიდებლად იღიმებოდა, – მე დავპირდი, რომ არავის ვეტყვი და მის საიდუმლოს თან წავიღებ...

– არ თქვა, რომ საფლავში, – ჩაიფრუტუნა რონმა, – საკანალიზაციო მილში კიდევ შეიძლება...

განრისხებულმა მირტლმა ყურისწამღებად დაიკივლა, უნიტაზში თავით გადაეშვა და იატაკზე წყალი გადმოაშხეფა. როგორც ჩანს, მირტლის გაბრაზებამ რონს გუნება გამოუკეთა.

– მართალი ხარ, – დაასკვნა და ჩანთა მხარზე მოიგდო, – ჰოგსმიდში პრაქტიკას გავივლი და მერე გადავწყვეტ, ღირს თუ არა გამოცდაზე გასვლა.

ასე რომ, მომდევნო შაბათ-კვირას რონი ჰერმიონსა და იმ მეექვსეკურსელებს შეუერთდა, რომლებსაც ორი კვირის თავზე დანიშნულ გამოცდამდე ჩვიდმეტი წელი შეუსრულდებოდათ. ჰარი შურით შეჰყურებდა მეგობრებს. ენატრებოდა ექსკურსიები, მით უმეტეს, რომ გაზაფხულის მშვენიერი დღე გათენდა. ცა ასეთი მოწმენდილი კარგა ხანია, არ ყოფილა. ჰარიმ გადაწყვიტა, ეს დრო მიშველეოთახზე მორიგი იერიშის განხორციელებისათვის გამოეყენებინა და ჩანაფიქრი ჰოლში ჰერმიონსა და რონს გაუზიარა.

– ამას ჯობია, სლაგჰორნს პირდაპირ კაბინეტში მიადგე და ეცადო, მოგონება დააცდენინო, – ურჩია ჰერმიონმა.

– რა ხანია, ამისათვის მცდელობა არ დამიკლია! – გაბრაზდა ჰარი. მართალიც იყო. იმ კვირას შხამების ყოველი გაკვეთილის ბოლოს სლაგჰორნის გამოსაჭერად ფეხის ათრევა ჩვეულებად ექცა, მაგრამ შხამ-წამლების ოსტატი ყოველთვის ისე ელვის სისწრაფით გარბოდა სარდაფიდან, რომ ჰარი მის მოხელთებას ვეღარ ასწრებდა. ორჯერ კაბინეტის კარზეც მიუკაკუნა, მაგრამ პასუხი არ მიუღია, თუმცა მეორე ჯერზე აშკარად მოესმა ძველი გრამოფონის ყრუ ხმა, რომელსაც სასწრაფოდ ჩაუწიეს.

– ჩემთან დალაპარაკება არ უნდა და რა ვქნა, ჰერმიონ!

ხვდება, რომ მის დამარტოხელებას ვცდილობ და გამირბის!

– მერე რა, ფარ-ხმალი მაინც არ უნდა დაყარო!

მთავარ კართან მოსწავლეების მოკლე რიგი იდგა, ფილჩი საიდუმლო სენსორით შემოწმების ჩვეულ პროცედურას უტარებდა. ჰარიმ რონსა და ჰერმიონს წარმატება უსურვა, მიტრიალდა და, ჰერმიონის ჩაგონების მიუხედავად, მარმარილოს კიბეზე იმ მტკიცე


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გადაწყვეტილებით ავიდა, რომ ერთი-ორი საათი მიშველე-ოთახ-ისთვის შეეწირა.

ჰოლი თვალს მიეფარა თუ არა, ჰარიმ ჩანთიდან ონავართა რუკა და უჩინმაჩინის მოსასხამი ამოიღო. ჯადოსნური ჯოხი რუკას შეახო, ჩაიბუტბუტა: „ვფიცავ, რომ მოვაწყობ ოინებს, მხოლოდ ოინებს და არაფერს ოინების გარდა“, და რუკას თვალი გადაავლო.

კვირა დილა იყო, თითქმის ყველა სტუდენტი საერთო ოთახებში გაკრეფილიყო, გრიფინდორელები – ერთ კოშკში, რეივენქლოელები – მეორეში, სლიზერინელები – ჯურღმულებში, ჰაფლეპაფელები კი – სამზარეულოსთან, პირველ სართულზე. აქა-იქ ბიბლიოთეკასთან ან რომელიმე დერეფანში თითო-ოროლა მოსწავლე დაეხეტებოდა... ეზოშიც დასეირნობდნენ ვიღაცეები... აი, მერვე სართულის დერეფან-ში კი გრეგორი გოილი ბრძანდებოდა. მიშველე-ოთახი არსად ჩანდა, მაგრამ ჰარი ამას არ შეუწუხებია. რაკი გოილი გარეთ დარაჯობდა, ესე იგი, ოთახი ღია იყო, მიუხედავად იმისა, ხვდებოდა ამას რუკა თუ არა. უჩინმაჩინის მოსასხამში გახვეული ჰარი თავქუდმოგლეჯილი ავარდა კიბეზე. როგორც კი დერეფნის შესახვევს მიაღწია, სიჩქარეს მოუკლო და კუს ნაბიჯით, ფეხაკრეფით გაემართა პატარა გოგონასკენ. გოგო-ნას სწორედ ის მძიმე თითბრის სასწორი ჩაებღუჯა, რომელიც ორი კვირის წინ ჰერმიონმა ასე თავაზიანად გაუმთელა. ჰარი გოგონას რომ მიუახლოვდა, მის ზურგს უკან დაიხარა და ყურში უჩურჩულა:

– გამარჯობა, ცუნცულ, რა ლამაზი ხარ!

გულგახეთქილმა გოილმა ერთი გამგმირავად შეჰკივლა, სასწორი მოისროლა, კისრისტეხით გაიქცა და სანამ სასწორის მსხვრევის ხმა დერეფანში ექოდ არეკვლას მოასწრებდა, უკვე თვალს მიეფ-არა. ჰარიმ სიცილით გული იჯერა და ცარიელ კედელს მიუბრუნდა. კედლის უკან, ეჭვი არ იყო, დრაკო მალფოი გაშეშებული იდგა და გამოჩენას ვერ ბედავდა, რადგან მიხვდა, რომ გარეთ არასასურველი ვიღაცა იმყოფებოდა. ამან ჰარის გარკვეული უპირატესობა აგრძნო-ბინა და კმაყოფილი ცდილობდა, მოეფიქრებინა, სიტყვების კიდევ რა კომბინაცია არ ჰქონდა ნაცადი კარის გასაღებად.

მაგრამ ამ იმედიანმა განწყობამ დიდხანს არ გასტანა. ნახევარ საათში, მას შემდეგ, რაც ჰარიმ ათასნაირად წარმოთქვა მალფოის გამომზეურების მოთხოვნა, გაჯიუტებული კედელი ძველებურად უკაროდ დარჩა. გულდაწყვეტილი ჰარი თვალებს არ უჯერებდა. მალფოისგან, ალბათ, სულ რაღაც ნახევარი მეტრი თუ აშორებდა, მაგრამ სულ ციცქნა ხელჩასაჭიდიც კი არ ჰქონდა იმასთან დაკავ-შირებით, თუ რას აკეთებდა იქ. ჰარის სულ დაეკარგა მოთმინება, კედელს მივარდა და წიხლი დაუშინა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვაი!

კინაღამ ფეხის თითი მოიტეხა, ხელები ზედ იტაცა და ცალ ფეხზე ხტუნვას მოჰყვა, ამასობაში უჩინმაჩინის მოსასხამი გადასძვრა.

– ჰარი!

ცალ ფეხზე მდგარი ჰარი სწრაფად მიტრიალდა, წონასწორობა დაკარგა და წაიქცა. მისდა გასაოცრად, ბიჭისაკენ ვითომც აქ არაფერიო, ტონქსი მიემართებოდა.

– აქ რას აკეთებ? – სასწრაფოდ წამოხტა ჰარი. რაღა სულ იმ დროს ხვდებოდა ტონქსს, როცა იატაკზე იყო გაშოტილი?

– დამბლდორის სანახავად მოვედი, – მიუგო ტონქსმა. ჰარიმ გაიფიქრა, რა საშინლად გამოიყურებაო. კიდევ უფრო გამხდარიყო, გრძელი თაგვისფერი თმა ჩამოშლოდა.

– დამბლდორის კაბინეტი აქ არ არის, – უთხრა ჰარიმ, – ციხეკოშკის სულ მეორე ბოლოშია, ქვის ურჩხულის უკან...

– ვიცი, – თავი დაუქნია ტონქსმა, – დამბლდორი კაბინეტში არ დამხვდა. ეტყობა, ისევ სადღაც წავიდა.

– მართლა? – ჰარიმ ფრთხილად დადგა დაშავებული ფეხი იატაკზე, – ისე... შემთხვევით, ხომ არ იცი, სად დადის ხოლმე?

– არა.

– რატომ გინდოდა მისი ნახვა?

– განსაკუთრებული არაფერია, – ტონქსი, აშკარად, მექანიკურად იწვალებდა მანტიის სახელოს, – უბრალოდ, ვიფიქრე, ხომ არაფერი იცის-მეთქი... რა ვიცი, ჭორები გავიგე... ვიღაცეები კიდევ დაშავებულან.

– ჰო, ვიცი... გაზეთშიც დაწერეს, – თქვა ჰარიმ, – გაიგე, იმ პატარა ბავშვმა რომ სცადა თავისი...

– „მისანი“ ხშირად ჩამორჩება მოვლენებს, – ტონქსი, ეტყობოდა, ბიჭს სულ არ უსმენდა, – ორდენის რომელიმე წევრისგან წერილი ხომ არ მოგსვლია?

– ორდენიდან აღარავინ მწერს, – უპასუხა ჰარიმ, – მას შემდეგ, რაც სირიუსი...

ჰარიმ შეამჩნია, რომ ტონქსს თვალები ცრემლებით აევსო.

– ბოდიში, – წაიბურტყუნა შემცბარმა, – მე იმის თქმა მინდოდა, რომ... ის მეც ძალიან მაკლია...

– რა? – ისე ცალყბად ჰკითხა ტონქსმა, თითქოს ვერაფერი გაიგოო, – კარგი, გნახავ ხოლმე, ჰარი...

ტონქსი ანაზდად შებრუნდა და დერეფანს უკან გაუყვა. ჰარიმ გაოცებით გააყოლა თვალი. ერთი-ორი წუთის შემდეგ უჩინმაჩინის მოსასხამი მოისხა და მიშველე-ოთახში მოხვედრის მცდელობა



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

განაახლა, მაგრამ გულს ვეღარ უდებდა. ბოლოს, შიმშილმა და იმ აზრმა, რომ მალე ლანჩისათვის რონი და ჰერმიონი დაბრუნდებოდნენ, ფარ-ხმალი დააყრევინა და იქაურობას გაშორდა. თავს იმითღა იმშვიდებდა, მალფოი ისეთი დაშინებული იქნება, სამალავიდან კიდევ რამდენიმე საათს თავს ვერ გამოყოფსო.

რონი და ჰერმიონი დიდ დარბაზში იპოვა. ნაადრევ ლანჩს მადიანად შეექცეოდნენ.

– გამომივიდა! უფრო სწორად... თითქმის! – დანახვისთანავე ახარა რონმა ჰარის, – მადამ პადიფუტის კაფესთან უნდა გავჩენილიყავი. ცოტათი ავცდი მიზანს და სკრივენშაფტთან ამოვყავი თავი, მაგრამ, რაც მთავარია, ადგილიდან დავიძარი!

– ყოჩაღ! – შეაქო ჰარიმ, – შენ როგორა გაქვს საქმე, ჰერმიონ?

– ო, ჰერმიონი, რა თქმა უნდა, ბრწყინვალე იყო, – დაასწრო რონმა, – იდეალური მიმართულება, მისწრაფება, მოხერხება... თუ რა ჯანდაბაა... პრაქტიკის მერე „სამ ცოცხში" შევედით დასალევად და ტვაიკროსმა ჰერმიონი ქება-დიდებით ცამდე აიყვანა... არ გამიკვირდება, მალე ხელიც რომ სთხოვოს...

– შენზე რას გვეტყვი? – რონს ყური არ ათხოვა ჰერმიონმა, – მთელი ეს დრო მიშველე-ოთახთან გაატარე?

– კი, – მიუგო ჰარიმ, – და აბა, გამოიცანით, ვის შევხვდი იქ? ტონქსს.

– ტონქსს? – ერთხმად გაიმეორეს გაკვირვებულმა რონმა და ჰერმიონმა.

– ჰო, მითხრა, დამბლდორთან მოვედიო...

როცა ჰარიმ ტონქსთან საუბრის შინაარსი გადასცა მეგობრებს, რონმა თქვა:

– მე თუ მკითხავთ, ტონქსი ამ ბოლო დროს თითქოს სულით დაეცა. სამინისტროში მომხდარი ამბის მერე ნერვები ღალატობს.

– ცოტა უცნაურად მეჩვენება, – აღნიშნა რატომღაც შეშფოთებულმა ჰერმიონმა, – ის ხომ სკოლას უნდა იცავდეს. უცებ კი თავის პოსტს ტოვებს და დამბლდორის სანახავად მოდის, თანაც მაშინ, როცა დამბლდორი წასულია.

– იცით, რა ვიფიქრე, – ყოყმანით დაიწყო ჰარიმ. ეუხერხულებოდა თავისი აზრის ხმამაღლა გამოთქმა. თანაც სიყვარულის შესახებ ლაპარაკი ჰერმიონს უფრო ეხერხებოდა, ვიდრე მას – ხომ არ გგონიათ, რომ მას... როგორ გითხრათ... სირიუსი უყვარდა?

ჰერმიონმა თვალები ჭყიტა.

– ეს რამ გაფიქრებინა?

– რა ვიცი, – მხრები აიჩეჩა ჰარიმ, – სირიუსის სახელი რომ ვახ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სენე, თვალები აუცრემლდა... თანაც მისი პატრონუსი ახლა საკმაოდ მოზრდილი და ოთხფეხა�ა... საინტერესოა, ისა... ძაღლის ფორმა ხომ არ მიიღო?

– ეს მხოლოდ შენი აზრია, – ნელა დაიწყო ჰერმიონმა, – მაგრამ მაინც ვერ ვხვდები, რატომ მოვარდა ციხე-კოშკში დამბლდორის სანახავად. თუ მართლა ეს იყო მიზეზი და არ მოგატყუა.

– მეც ხომ ამას ვამბობდი, – რონმა პირი კარტოფილის პიურეთი გამოიტენა, – ამ ბოლო დროს უცნაური გახდა. ნერვებმა უმტყუნა. ქალები ზედმეტად მგრძნობიარეები არიან – ამ საქმეში კარგად ჩახედულივით უთხრა ჰარის.

– და მაინც, – ფიქრებიდან გამოერკვია ჰერმიონი, – ძნელად თუ ნახავ ქალს, რომელიც ნახევარი საათით ჩამოუშვებს ცხვირს მხოლოდ იმის გამო, რომ მადამ როზმერტას არ გაეცინა მის ანეკდოტზე ალქაჯის, მკურნალისა და მიმბულუს მიმბლეტონიას შესახებ.

რონი მოიღუშა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი ოცდამეორე

# დაკრძალვის შემდეგ

ჰოგვორტსის კოშკურების თავზე კამკამა ლურჯი ცის ნაგლეჯები ზაფხულის მოახლოებას მოასწავებდა, მაგრამ ამან ჰარის ოდნავადაც ვერ აუმაღლა განწყობა. მან მარცხი იწვნია: ვერც მალფოის საქმიანობა გამოამზეურა და ვერც სლაგჰორნთან გააბა საუბარი, რომ ეგებ, პროფესორს მისთვის რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ყველასაგან საგულდაგულოდ დამალული მოგონება გაეზიარებინა.

– უკანასკნელად გეუბნები, დაივიწყე მალფოი, – მკაცრად ურჩია ჰარის ჰერმიონმა.

ნასადილევს სამივენი სკოლის ეზოში ისხდნენ. ჰერმიონსა და რონს ხელში მაგიის სამინისტროს ბროშურა ეჭირათ: „გავრცელებული შეცდომები აპარაციაში და მათი თავიდან არიდების წესები“. იმ დღეს აპარაციაში გამოცდა ჰქონდათ, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ეს ბროშურა მათ ნერვებზე დამამშვიდებლად ვერ მოქმედებდა. უცებ კუთხეში გოგონამ შემოუხვია, რონი შეკრთა და ჰერმიონს ამოეფარა.

– ლევენდერი არ არის, – დაღლილი ხმით დაამშვიდა ჰერმიონმა.

– უჰ, კიდევ კარგი, – შვებით ამოისუნთქა რონმა.

– ჰარი პოტერი თქვენ ხართ? – იკითხა გოგონამ, – თქვენთან ეს გამომატანეს.

– გმადლობთ.

ჰარიმ გულისფანცქალით გამოართვა პერგამენტის გრაგნილი და რა წამსაც გოგონა გაეცალა, მეგობრებს გადაულაპარაკა:

– დამბლდორმა გამაფრთხილა, სანამ მოგონებას არ მოიპოვებ, გაკვეთილს აღარ ჩაგიტარებო!

– იქნებ უნდა შეამოწმოს, როგორ ასრულებ დავალებას?

– ვარაუდი წამოაყენა ჰერმიონმა. ჰარიმ პერგამენტი გაშალა, მაგრამ დამბლდორის გრძელი, წვრილი, ხუჭუჭა ხელნაწერის ნაცვ-



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლად, ოკრობოკრო ნაჯღაბნი დახვდა. პერგამენტი სველ ლაქებს ისე დაეფარა, რომ მელანი გათხაპნილიყო და ნაწერის გარჩევა ჭირდა:

„ძვირფასო ჰარი, რონ და ჰერმიონ

არაგოგი წუხელ მოკვდა. ჰარი და რონ, თქვენ ხო იცნობდით და იცით, რა განსაკუთრებული ვინმე იყო. ჰერმიონ, ვიცი, რო აუცილებლად მოგეწონებოდა. დიდ სიკეთეს მიზამთ, თუ ამაღამ სკოლიდან გამოიპარებით და დასაფლავებაზე მოხვალთ. შებინდებისას ვაპირებ, დავმარხო. ეს დრო ძალიან უყვარდა. ვიცი, თქვენ გეპრძალებათ ასე გვიან გარეთ გასვლა, მაგრამ იქნება უჩინმაჩინის მოსასხამი გამოიყენოთ. არ შეგაწუხებდით, მარა ამას მარტო ვერ გადავიტან.

ჰაგრიდი“

– აი, წაიკითხეთ, – ჰარიმ ბარათი ჰერმიონს მიაწოდა.

– ღმერთო ჩემო! – შესძახა ჰერმიონმა, როცა წერილს თვალი გადაავლო და რონს გადასცა. რონმაც გადაიკითხა და სახტად დარჩა.

– სულ გაგიჟდა! – შესძახა გულმოსულმა, – იმ არსებამ თავის ძმაბიჭებს ჩვენი შეჭმა უბრძანა! მიირთვით, ღმერთმა შეგარგოთო! და ახლა ჰაგრიდი ელის, რომ შუაღამისას სკოლიდან გავიპარებით და მის საზიზღარ ბანჯგვლიან მძორს ცრემლს დავაფრქვევთ?

– პრობლემა მარტო ეგ არ არის, – სიტყვა ჩამოართვა ჰერმიონმა, – ციხე-კოშკიდან ღამით გასვლას გვთხოვს, არადა, იცის, რომ სკოლის დაცვა მილიონჯერ გაამკაცრეს და ისიც იცის, რა ხათაბალაში გავეხვევით, თუ დაგვიჭირეს.

– უწინაც ხომ ჩავსულვართ გვიან ღამით მასთან, – გაახსენა ჰარიმ.

– კი, მაგრამ ეს სულ სხვაა, – შეედავა ჰერმიონი, – ჩვენ ხომ რისკზე ბევრჯერ წავსულვართ ჰაგრიდის გამო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, არაგოგი უკვე მკვდარია. მისი გადარჩენა რომ იყოს საჭირო...

– უფრო არ მომინდებოდა წასვლა, – მტკიცედ მოუჭრა რონმა, – შენ არ გინახავს, ჰერმიონ, დამიჯერე, სიკვდილამდე გაცილებით საშიში იყო.

ჰარიმ ბარათი აიღო და მასზე დამჩნეულ მელნის ლაქებს დააცქერდა. ეტრატს ეტყობოდა, ზედ ბლომად ეფრქვიათ მსხვილი ცრემლი.

– ჰარი, არც იფიქრო იქ წასვლაზე, – უთხრა ჰერმიონმა – არ ღირს ამისათვის დამატებითი სასჯელის დამსახურება. ჰარიმ ამოიოხრა.

– ჰო, ვიცი. ვატყობ, ჰაგრიდს უჩვენოდ მოუწევს არაგოგის დამარხვა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახაც, – შვებით ამოისუნთქა ჰერმიონმა, – ყური მიგდე, შხამწამლების საკლასო ოთახი დღეს თითქმის ცარიელი იქნება, ყველანი გამოცდაზე ვიქნებით... ეცადე, სლაგჰორნს ცოტა გული მოულბო!

– რაო, ორმოცდამეჩვიდმეტე ცდაზე გამიღიმებს ბედი? – მწარედ ჩაილაპარაკა ჰარიმ.

– იქნებ, მართლაც გაგიღიმოს? – თქვა რონმა და უცებ შესძახა: – ჰარი, მოდი... გახდი იღბლიანი!

– რას გულისხმობ?

– წარმატების ელექსირი დალიე!

– რონ! მართალი ხარ! – გაოგნდა ჰერმიონი, – აბა, რა!

რატომ მე არ მომაფიქრდა?

ჰარი მეგობრებს მიაჩერდა.

– ფელიქს ფელიცისი? რა ვიცი... ვზოგავ... შავი დღისთვის ვინახავდი!

– რისთვის? – ყურებს არ დაუჯერა რონმა.

– ამ მოგონებაზე მნიშვნელოვანი განა რა უნდა იყოს, ჰარი? – ჰკითხა ჰერმიონმა.

ჰარი გაჩუმდა. ამ პატარა ოქროსფერ ბოთლს მისი წარმოსახვა გამუდმებით უტრიალებდა. ბუნდოვანი გეგმები, რომლებიც ჯინისა და დინის დაშორებასა და თავისი დის ახალ შეყვარებულთან ერთად დანახვაზე რონის სიხარულს უკავშირდებოდა, სადღაც, გონების შორეულ კუნჭულში უღვიოდა. აი, სიზმრებში და გამთენიისას ძილღვიძილში კი მოსვენებას არ აძლევდა...

– ჰარი, რაზე ჩაფიქრდი? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– რა თქვი? ააა, არაფერზე, – გამოფხიზლდა ჰარი, – კარგი, დღეს შუადღისას სლაგჰორნს თუ ვერ დაველაპარაკე, ელექსირს მოვსვამ და საღამოს ისევ ვცდი.

– მაშ, გადაწყდა, – გამოცოცხლდა ჰერმიონი, წამოხტა, მოხდენილად დატრიალდა და ჩაიბუტბუტა: „მიზანი... მონდომება... მზადყოფნა...“

– ო, მორჩი, რა, – სთხოვა რონმა, – ისედაც ცუდად ვარ... ჩქარა, დამმალე!

ეზოში ორი გოგონა გამოჩნდა და რონიც უმალ ჰერმიონს ამოეფარა.

– ლევენდერი არ არის! – გაღიზიანდა ჰერმიონი.

– ძალიან კარგი! – რონმა ჰერმიონის მხარზემოდან გამოიჭყიტა შესამოწმებლად, – ეს რა არის, რატომ ჩამოსტირით ცხვირ-პირი ასე?

– დები მონტგომერები არიან და რა გასაკვირია, რომ ცხვირ-პირი ჩამოსტირით. არ გაგიგიათ, რა დაემართა მათ უმცროს ძმას? – თქვა ჰერმიონმა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე უკვე სათვალავი ამერია, თითქმის ყველას ნათესავებს ემართებათ რაღაცა, – მიუგო რონმა.

– მათ ძმას მაქცია დაესხა თავს. ჭორი დადის, რომ დედამისმა „სიკვდილის მხვრელებს“ დახმარებაზე უარი უთხრა. მოკლედ, ბიჭი მხოლოდ ხუთი წლისა იყო და წმინდა მუნგოს სახელობის კლინიკაში გარდაიცვალა. ვერ გადაარჩინეს.

– მოკვდა? – თავზარი დაეცა ჰარის, – მაგრამ მაქციები ხომ მხოლოდ კბენენ?

– ზოჯერ კლავენ კიდეც, – თქვა უჩვეულოდ დასერიოზულებულმა რონმა, – გამიგია, რომ ეს მაშინ ხდება, როცა მაქცია ნადირობის ეშხში შედის.

– რა ერქვა მაქციას? – სწრაფად იკითხა ჰარიმ.

– როგორც გავიგე, ეს ფენრირ გრეიბექი იყო, – უპასუხა ჰერმიონმა.

– ასეც ვიფიქრე: მანიაკი, რომელსაც ბავშვებზე ნადირობა იტაცებს. ლუპინმა მიამბო მის შესახებ! – კბილებში გამოსცრა ჰარიმ.

ჰერმიონმა სევდიანად შეხედა.

– ჰარი, რადაც უნდა დაგიჯდეს, ის მოგონება უნდა მოიპოვო. ეს ხომ ვოლდემორის შესაჩერებლადაა საჭირო? ვოლდემორი კი თავი და თავია მთელი იმ უბედურებისა, რაც დღეს ხდება!

ზემოთ, ციხე-კოშკში, ზარმა დარეკა. გულგახეთქილი ჰერმიონი და რონი ფეხზე წამოხტნენ.

– ყველაფერი კარგად იქნება, – დააიმედა მეგობრები ჰარიმ, – წარმატებას გისურვებთ.

რონი და ჰერმიონი ჰოლისაკენ გაეშურნენ, რომ აპარაციის გამოცდაზე მიმავალ დანარჩენ სტუდენტებს შერეოდნენ.

– შენც გისურვებ წარმატებას! – მრავალმნიშვნელოვნად მიაძახა ჰერმიონმა.

ჰარი ჯურღმულისაკენ გაემართა.

იმ დღეს შხამ-წამლების გაკვეთილზე მხოლოდ სამნი იყვნენ: ჰარი, ერნი და დრაკო მალფოი.

– ჯერ პატარები ხართ აპარაციისთვის? – გულღიად გაუღიმა მათ სლაგჰორნმა, – ჯერ არ გამხდარხართ ჩვიდმეტი წლისანი?

სამივემ უარის ნიშნად თავი გააქნია.

– მაშ ასე, – მხიარულად დაიწყო სლაგჰორნმა, – რაკი ასე ცოტანი ვართ, მოდით, გავერთოთ. მინდა, რამე უცნაური მომიდუღოთ.

– მშვენიერი აზრია, სერ, – პირფერულად აიტაცა ერნიმ და ხელები მოიფშვნიტა. მალფოის, პირიქით, ოდნავადაც არ გაუღიმია.

– რას ნიშნავს, „უცნაური“? – იკითხა გაღიზიანებულმა.



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აი, ისეთი რამ, რითაც გამაოცებდით, – უზრუნველად მიუგო სლაგჰორნმა.

მალფოიმ უჟმური გამომეტყველებით ამოიღო „ურთულესი შხამ-წამლების“ სახელმძღვანელო. დღესავით ნათელი იყო, რომ ფიქრობდა, ეს გაკვეთილი დროის ფუჭად ხარჯვაა. ჰარის წიგნი აეფარებინა და უთვალთვალებდა. მალფოის ეტყობოდა, ენანებოდა ის დრო, რომელიც შეიძლებოდა ჯურღმულის ნაცვლად მიშველეოთახში გაეტარებინა.

ჰარის თვალი ატყუებდა, თუ მალფოიც, ტონქსისა არ იყოს, მართლა გამხდარიყო? უფრო ფერმკრთალი ჩანდა, სახეზე მიწისფერი გადაჰკრავდა, ალბათ, იმიტომ, რომ ბოლო დროს იშვიათად ხედავდა დღის სინათლეს. მაგრამ უკვალოდ გამქრალიყო მისი თავმომწონე იერი, აღტაცება, ქედმაღლობა, აღარც იმ მედიდურობისა ეცხო რამე, ჰოგვორტსის ექსპრესში დაუფარავად რომ ტრაბახობდა ვოლდემორის მიერ დაკისრებულ მისიაზე... ჰარის აზრით, ეს ყველაფერი მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებდა: მისია, რაც უნდა ყოფილიყო იგი, მარცხს განიცდიდა.

ამ ფიქრით გამხიარულებულმა ჰარიმ თავის „ურთულეს შხამ-წამლებს“ თვალი გადაავლო და ნახევარპრინცის მიერ გვარიანად ჩასწორებულ „ეიფორიის გამომწვევი ელექსირის“ რეცეპტს გადააწყდა. ეს არა მარტო პასუხობდა სლაგჰორნის დავალებას, არამედ (ამის გაფიქრებაზე გული აუფართხალდა) შეიძლებოდა, პროფესორისათვის შეეპარებინა და ისეთ ჩინებულ განწყობაზე დაეყენებინა, რომ სიამოვნებით გადაეცა ჰარისთვის მოგონება...

– ოოო, არაჩვეულებრივად გამოიყურება, – საათ-ნახევრის შემდეგ ხელი ხელს შემოჰკრა სლაგჰორნმა, როცა ჰარის ქვაბში მზისფერ სითხეს ჩახედა, – როგორც ვატყობ, ეიფორიაა, არა? ოოო, ეს რა სუნი მცემს? მმმმ... მხოლოდ ერთი ღერი პიტნა ჩაგიმატებია, არა? არატრადიციული მეთოდია, მაგრამ ეს რა შთაგონება გწვევია, ჰარი! ამით, რასაკვირველია, ნაწილობრივ აღკვეთ შეუკავებელი სიმღერისა და ცხვირზე დაქაჩვის პერიოდულ გვერდით მოვლენებს... წარმოდგენა არა მაქვს, საიდან მოგდის ასეთი ბრწყინვალე აზრები, ჩემო ბიჭო... ან იქნებ...

ჰარიმ ფეხი წაჰკრა ნახევარპრინცის წიგნს და ჩანთაში უფრო ღრმად შეაგდო.

– ან იქნებ შენში ისევ დედის გენებმა იჩინა თავი.

– ო, დიახ, ალბათ, – შვებით ამოისუნთქა ჰარიმ.

ერნი უკმაყოფილო ჩანდა. იმ მიზნით, რომ ჰარისათვის ამ ერთხელ მაინც ეჯობნა, ნაჩქარევად გამოიგონა საკუთარი ბანგი, რომელიც


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უკვე აჭრილიყო და ქვაბის ფსკერზე მუქი წითელი ნალექი გაეკეთებინა. მალფოი უკვე დამჟავებული სახით ალაგებდა ჩანთას. სლაგჰორნმა მის მიერ მომზადებულ სლოკინის ხსნარს ცალი თვალით შეხედა და „დამაკმაყოფილებლად“ შეაფასა.

ზარი დაირეკა. ერნი და მალფოი მაშინვე გავიდნენ ოთახიდან.

– სერ, – დაიწყო ჰარიმ, მაგრამ სლაგჰორნმა თავი მიაბრუნა და რომ დაინახა, საკლასო ოთახში ჰარისთან ერთად მარტო დარჩენილიყო, რაც შეეძლო, სწრაფად გაძუნძულდა კარისაკენ.

– პროფესორო... პროფესორო, არ გინდათ, გასინჯოთ ჩემი ელექ...

სლაგჰორნი წავიდა. გულდაწყვეტილმა ჰარიმ ქვაბი დაცალა, თავისი ნივთები აალაგა, ჯურღმულიდან გავიდა და აუჩქარებლად აუყვა კიბეს საერთო ოთახისკენ.

რონი და ჰერმიონი მოგვიანებით დაბრუნდნენ.

– ჰარი! – შესძახა ჰერმიონმა, როგორც კი პორტრეტის ხვრელში გადმოძვრა, – ჰარი, ჩავაბარე!

– ყოჩაღ! რონმა რა ქნა?

– რონი... ცოტათი ჩაიჭრა, – დაიჩურჩულა ჰერმიონმა. ამ დროს ოთახში დამწუხრებული და მობუზული რონი შემოიძურწა, – უბრალოდ, ბედმა არ გაუღიმა. ისეთი წვრილმანი შეცდომა დაუშვა. გამომცდელმა შეამჩნია, რომ ნახევარი წარბი უკან დარჩა და... როგორ ჩაიარა სლაგჰორნთან შეხვედრამ?

– უშედეგოდ, – უთხრა ჰარიმ, – ცუდია, მეგობარო, მაგრამ არა უშავს, შემდეგ ჩააბარებ. გამოცდაზე ერთად გავალთ.

– ჰო, იმედია, – ჩაიბუზღუნა რონმა, – მაგრამ სულ რაღაც ნახევარი წარბი! დიდი ამბავი!

– ჰო, ვიცი, – დაუყვავა ჰერმიონმა, – მართლა მკაცრად მოგექცნენ.

ვახშმის დიდი ნაწილი აპარაციის გამომცდელის სასტიკ ლანძღვაში გაატარეს. როცა საერთო ოთახისკენ გაემართნენ და, ამჯერად, სლაგჰორნისა და მისი მოგონების უსაშველო პრობლემაზე მოჰყვნენ მსჯელობას, რონი ცოტა გამხიარულდა, მერე ჰარის ჰკითხა:

– ჰარი, აპირებ ფელიქს ფელიცისის გამოყენებას?

– ჰო, ალბათ, მომიწევს, მაგრამ, ჩემი აზრით, მისი მთლიანად მიღება არ დამჭირდება. თორმეტსაათიანი წარმატება არ მინდა. ამ ამბავს მთელ ღამეს ხომ არ მოვანდომებ?! მხოლოდ ერთ ყლუპს მოვსვამ. ორი-სამი საათი სრულიად საკმარისია, – უპასუხა ჰარიმ.

– ელექსირის დალევის შემდეგ ისეთი არაჩვეულებრივი შეგრძნება გეუფლება! – მოგონებებს მიეცა რონი, – თითქოს შეცდომას ცხოვრებაში არ დაუშვებ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აბა, რას ლაპარაკობ! – გაეცინა ჰერმიონს, – შენ ხომ არასდროს დაგილევია!

– მერე რა, ხომ მეგონა, რომ დავლიე! – ისე უთხრა რონმა, თითქოს უხსნის, ორჯერ ორი ოთხიაო, – რა მნიშვნელობა აქვს.

სლაგჰორნი დიდ დარბაზში დაგვიანებით შევიდა. რაკი იცოდნენ, რომ ვახშამზე დიდხანს უყვარდა დარჩენა, ცოტა ხანს საერთო ოთახში შეყოვნდნენ, რომ პროფესორისათვის თავის კაბინეტში ასვლა ეცლიათ. კაბინეტში ასულს კი, გეგმის მიხედვით, ჰარი წამოადგებოდა თავს. როდესაც მზე აკრძალული ტყის ხეების კენწეროებზე დასკუპდა, გადაწყვიტეს, მოქმედების დრო დადგაო და ბიჭების საძინებელში აიპარნენ. ჰარიმ ჩემოდნის სიღრმიდან წინდები ამოაძვრინა და ციცქნა, მოციმციმე ბოთლი ამოიღო.

– ესეც ასე, – ჰარიმ ბოთლი პირთან მიიტანა და მოზომილად მოსვა.

– რას გრძნობ? – დაიჩურჩულა ჰერმიონმა.

ჰარიმ ჯერ არ უპასუხა, შემდეგ ნელ-ნელა შეეპარა განუსაზღვრელი შესაძლებლობების საოცრად მსუბუქი შეგრძნება. გრძნობდა, რომ ყველაფერი... ამქვეყნად ყველაფერი შეეძლო. სლაგჰორნის მოგონების მოპოვებაც არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ საოცრად ადვილი მოეჩვენა...

თვითრწმენით აღსავსე ჰარი ღიმილით წამოდგა.

– ჩინებულია! ჩინებული! მაშ, ასე... ჰაგრიდთან მივდივარ.

– რაო? – ერთხმად იკითხეს სახტად დარჩენილმა რონმა და ჰერმიონმა.

– არა, ჰარი. ხომ გახსოვს, სლაგჰორნთან უნდა წახვიდე – შეახსენა ჰერმიონმა.

– არა, – თავდაჯერებით განაცხადა ჰარიმ, – ჰაგრიდთან მივდივარ. გული მიგრძნობს, რომ ჰაგრიდთან წასვლა სიკეთეს მომიტანს.

– გული გიგრძნობს, რომ გიგანტური ობობის დამარხვა სიკეთეს მოგიტანს? – გაოცება ვერ დამალა რონმა.

– კი, – ჰარიმ ჩანთიდან უჩინმაჩინის მოსასხამი ამოაძრო, – ვხვდები, რომ ამაღამ სწორედ იქ უნდა ვიყო. გაიგეთ?

– ვერა, – ერთდროულად უპასუხეს გვარიანად შეშფოთებულმა რონმა და ჰერმიონმა.

– ეს, ალბათ, ფელიქს ფელიცისის მოქმედების ბრალია, არა? – აღელდა ჰერმიონი და ბოთლს სინათლეზე გახედა, – სხვა ბოთლში ხომ არ აგერია, რა ვიცი...

– მაგალითად, სიგიჟის ესენციაში? – წამოაყენა ვარაუდი რონმა.

ჰარიმ უჩინმაჩინის მოსასხამი მხრებზე სიცილით მოიგდო. რონი და ჰერმიონი კიდევ უფრო აწრიალდნენ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დამიჯერეთ. ვიცი, რასაც ვაკეთებ... – დაამშვიდა მეგობრები ჰარიმ, – ან, ყოველ შემთხვევაში... – მტკიცედ გაეშურა კარისკენ, – ფელიქსმა იცის.

ჰარიმ უჩინმაჩინის მოსასხამი თავზეც გადაიფარა და კიბეზე ჩავიდა. რონი და ჰერმიონი უკან მისდევდნენ. კიბის ბოლოში ჰარიმ ლევენდერს მოჰკრა თვალი და ღია კარში გასხლტა.

– რას აკეთებდი მაღლა ამ ქალბატონთან ერთად? – იკივლა ლევენდერ ბრაუნმა და ბიჭების საძინებლიდან გამოსულ რონსა და ჰერმიონს მიაშტერდა. ჰარიმ ზურგს უკან რონის ლუღლუღი გაიგონა, მაგრამ სეირის საყურებლად ნაბიჯი არ შეუნელებია და პირდაპირ გასასვლელისკენ გაექანა.

პორტრეტის ხვრელში გადაძრომა არ გასჭირვებია. როცა მიუახლოვდა, პორტრეტის ხვრელიდან ოთახში ჯინი და დინი გადმოდიოდნენ. ჰარი მათ შორის გასხლტა და შემთხვევით ჯინის გაჰკრა გვერდი.

– დინ, ნუ მკრავ ხელს, რა, – გაღიზიანდა ჯინი, – ყოველთვის ასე რატომ იქცევი? თვითონაც მშვენივრად გადავძვრები...

ხვრელი ჰარის ზურგს უკან სწრაფად დაიხურა, მაგრამ ყური მაინც მოჰკრა გაჯავრებული დინის შეპასუხებას... ჰარის აღმაფრენა უფრო მოეძალა და ციხე-კოშკი ჩქარი ნაბიჯით გაიარა. ფეხაკრებით სიარული არ დასჭირვებია, რადგან დერეფნები სრულიად ცარიელი იყო, თუმცა ამას ჰარი ოდნავადაც არ გაუკვირვებია: იმ საღამოს ის ხომ ყველაზე იღბლიანი ადამიანი იყო ჰოგვორტსში.

წარმოდგენაც არ ჰქონდა, საიდან იცოდა, რომ ჰაგრიდთან წასვლა ახლა ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო. თითქოს ელექსირი გზას მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯზე უნათებდა; საბოლოო მიზანს ვერ ხედავდა, ვერ ხვდებოდა, სად გამოჩნდებოდა ასპარეზზე სლაგჰორნი, მაგრამ ის კი დანამდვილებით იცოდა, რომ მოგონების მისაღებად სწორ გზას ადგა. ჰოლში რომ ჩავიდა, აღმოაჩინა, რომ ფილჩს მთავარი კარის ჩაკეტვა დავიწყებოდა. სახეგაბრწყინებულმა ჰარიმ კარი გააღო, სუფთა ჰაერი და ბალახის სუნი ჩაისუნთქა და ბინდში ჩაძირულ საფეხურებს ჩაუყვა.

სულ ქვედა საფეხურს რომ მიაღწია, გაიფიქრა, რა სასიამოვნო იქნება, ჰაგრიდის ქოხში ბოსტნის გავლით რომ წავიდეო. ასე გზას იმრუდებდა, მაგრამ ჰარისათვის ცხადი გახდა, რომ ამ ახირებას უნდა დაჰყოლოდა, ამიტომაც მაშინვე გაემართა ბოსტნისაკენ. ძალიან გაუხარდა, თუმცა სულაც არ გაჰკვირვებია, რომ იქ პროფესორ სპრაუტთან მობაასე პროფესორ სლაგჰორნს გადაეყარა. ჰარი დაბალი ქვის კედლის უკან მიიყუჟა და სავსებით დამშვიდებულმა მიუგდო ყური მათ საუბარს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გმადლობთ, დრო რომ დამითმეთ, პომონა, – თავაზიანად ამბობდა სლაგჰორნი, – ბევრი ავტორიტეტი აღიარებს, რომ მწუხრისას დაკრეფილი ბევრად უფრო ეფექტურია.

– დიახ, რასაკვირველია, გეთანხმებით, – თბილად მიუგო პროფესორმა სპრაუტმა, – ეს საკმარისია თქვენთვის?

– საკმარისზე მეტია, – უპასუხა სლაგჰორნმა. მას ორივე ხელში რაღაც მცენარის ფოთლები ეკავა, – აქედან თითოეულ მესამეკურსელს რამდენიმე ფოთოლი შეხვდება და ზედმეტიც დარჩება, ვინმე თუ გადაადუღებს... ღამე მშვიდობისა და კიდევ ერთხელ მოგახსენებთ დიდ მადლობას.

პროფესორი სპრაუტი სათბურებისკენ გაეშურა და ჩამოწოლილ სიბნელეს შეერია. სლაგჰორნი კი იქით გაემართა, სადაც უჩინარი ჰარი იდგა.

ბიჭს გამოჩენის მოულოდნელი სურვილი დაეუფლა და ხელის ერთი მოქნევით გადაიძრო მოსასხამი.

– საღამო მშვიდობისა, პროფესორო. დამფრთხალი სლაგჰორნი ადგილზე გაშეშდა.

– მერლინის წვერს ვფიცავ, ჰარი, გული გამიხეთქე! ციხე-კოშკიდან როგორ გამოხვედი?

– მგონი, ფილჩს კარის ჩაკეტვა დაავიწყდა, – მხიარულად ამცნო ჰარიმ და კმაყოფილებით შეამჩნია, რომ სლაგჰორნმა შუბლი შეიკრა.

– აუცილებლად მოვახსენებ დირექტორს. მე თუ მკითხავ, ჭუჭყი უფრო აწუხებს, ვიდრე ელემენტარული უსაფრთხოება... მაგრამ შენ აქ რა გინდა, ჰარი?

– აქ ჰაგრიდის გამო ვარ, სერ, – ჰარი დარწმუნებული იყო, რომ სიმართლის გამხელა ახლა ყველაფერს ჯობდა, – ძალიან დათრგუნულია. მაგრამ ხომ არავის ეტყვით, პროფესორო? არ მინდა, პრობლემები შევუქმნა...

სლაგჰორნს აშკარად შეეტყო, რომ დაინტერესდა.

– ჰოო, შეპირებით ვერაფერს შეგპირდები, – მოუჭრა უხეშად, – მაგრამ ვიცი, რომ დამბლდორი ჰაგრიდს სიცოცხლესაც კი ანდობს, ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ისეთს არაფერს ჩაიდენდა...

– საქმე ისაა, რომ მას უკვე მრავალი წელია, გიგანტური ობობა ჰყავს... ტყეში ცხოვრობდა... ლაპარაკი შეეძლო და...

– ჩემამდეც მოაღწია ხმებმა, რომ ტყეში აკრომანტულები ბინადრობდნენ, – ხმადაბლა თქვა სლაგჰორნმა და ჩაშავებული ხეების ტევრს გახედა, – მაშ, ეს სიმართლეა?

– დიახ, – უპასუხა ჰარიმ, – მაგრამ ეს ობობა, არაგოგი, მათგან ყველაზე მხცოვანი იყო. ჰოდა, წუხელ მოკვდა. ჰაგრიდი მწუხარები-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სგან განადგურებულია. უნდა, რომ ვინმე ამოუდგეს მხარში დასაფლავებისას და შევპირდი, აუცილებლად მოვალ-მეთქი.

– ძალიან... ძალიან სამწუხაროა, – უპასუხა ჩაფიქრებულმა სლაგჰორნმა და თვალები ჰაგრიდის ქოხიდან გადმოფრქვეულ შორეულ სინათლეს გაუშტერა, – მაგრამ აკრომანტულას შხამი ძალიან ძვირფასი რამაა... თუ ობობა ახალი მკვდარია, ჯერ კიდევ ვერ მოასწრებდა გახმობას... რა თქმა უნდა, სულაც არ მინდა, უტაქტოდ მოვიქცე და ჰაგრიდს ვაწყენინო, მით უმეტეს, თუ ასე დამწუხრებულია... მაგრამ, თუ არის საშუალება, რომ ცოტაოდენი შხამი ამოვიღო... საქმე ისაა, რომ ცოცხალი აკრომანტულისაგან შხამის მიღება თითქმის შეუძლებელია...

სლაგჰორნი თითქოს თავის თავს უფრო ელაპარაკებოდა, ვიდრე ჰარის.

– რა დასანანი იქნება, მისი ასე ფუჭად დაკარგვა... არადა, ნახევარ ლიტრში ას გალეონს იძლევიან... გულახდილად რომ გითხრა, მაღალი ხელფასი არა მაქვს...

ახლა კი ჰარიმ თვალნათლივ დაინახა სამოქმედო გეგმა.

– იცით, რა, – დამაჯერებლად გაითამაშა ყოყმანი, – რომ წამოსულიყავით, პროფესორო, ჰაგრიდი ძალიან მადლიერი დაგრჩებოდათ... არაგოგს თუ უკანასკნელ გზაზე თქვენც გააცილებთ...

– დიახ, რა თქმა უნდა, – თვალები ენთუზიაზმით გაუბრწყინდა სლაგჰორნს, – იცი, რას გეტყვი, ჰარი. ერთი-ორ ბოთლს წამოვიღებ და ახლავე მოვალ... ჭიქა წავუქციოთ საბრალო არსებას... მოკლედ, როგორც წესი და რიგია, დაკრძალვის შემდეგ მისი სული მოვიხსენიოთ. ჰო, თან ამ ჰალსტუხს გამოვიცვლი, ასეთი შემთხვევისათვის მეტისმეტად ჭრელია... სლაგჰორნი ციხე-კოშკისაკენ გაძუნძულდა. საკუთარი თავით აღტაცებული ჰარი კი ჰაგრიდისაკენ გაექანა.

– მოხვედი? – გული ამოუჯდა ჰაგრიდს, კარი რომ გააღო და მის წინ უჩინმაჩინის მოსასხამიდან გამომძვრალი ჰარი აისვეტა.

– ჰო, მაგრამ რონმა და ჰერმიონმა ვერ შეძლეს მოსვლა, – უთხრა ჰარიმ, – დიდი ბოდიში შემოგითვალეს.

– არა... არა უშავს... არაგოგს ძალიან გაუხარდებოდა შენი ნახვა, ჰარი.

ჰაგრიდმა ქვითინი ამოუშვა. კუპრში ამოვლებული ძონძის შავი არშია მკლავზე შემოეხვია. თვალები შეშუპებოდა, ჩასწითლებოდა და დასივებოდა. ჰარიმ სანუგეშოდ იდაყვზე მოუთათუნა ხელი, ამაზე მაღლა ჰაგრიდს ვერ სწვდებოდა.

– სად უნდა დავასაფლავოთ? ტყეში?

– არა, რას ამბობ, – ჰაგრიდმა აცრემლებული თვალები პერანგის


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კალთით მოიწმინდა, – რაც არაგოგი მოკვდა, სხვა ობობები თავიანთ ქსელებს ახლოსაც არ გამაკარებენ. ეტყობა, არაგოგის ბრძანებით არ მერჩოდნენ! წარმოგიდგენია, ჰარი?

გულახდილი პასუხი იყო „დიახ“. ჰარის მწარედ ახსოვდა, როგორ შეეფეთნენ ის და რონი აკრომანტულებს. მაშინ ობობებმა საკმაოდ გასაგებად მიახვედრეს ბიჭები, რომ ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ჰაგრიდს არ ახრამუნებდნენ, არაგოგი იყო.

– ჯერ არ ყოფილა ტყეში ისეთი მონაკვეთი, სადაც შესვლა არ შემეძლო! – თავი გააქნია ჰაგრიდმა, – იცი, როგორ გამიჭირდა არაგოგის გვამის იქიდან გამოთრევა... საერთოდ, ისინი თავიანთ მკვდრებს ჭამენ... მაგრამ მე მინდოდა, ნორმალურად დამემარხა...

ჰაგრიდს ისევ ქვითინი წასკდა. ჰარიმაც ისევ მოუთათუნა იდაყვზე ხელი და თქვა ის, რაც ელექსირმა უკარნახა:

– ჰაგრიდ, აქ რომ მოვდიოდი, პროფესორ სლაგჰორნს შევხვდი.

– შარში ხო არ გაეხვიე? – შეშფოთებულმა ჰაგრიდმა თავი ასწია, – საღამოობით ხო გეკრძალებათ ციხე-კოშკიდან გამოსვლა. სუ ჩემი ბრალია...

– არა, არა. როდესაც ვუთხარი, რისთვისაც მოვდიოდი, თვითონაც მოისურვა გამოყოლა და არაგოგისათვის უკანასკნელი პატივის მიგება. ახლა, მგონი, წავიდა, რომ უფრო შესაფერისად გამოეწყოს... ჰოდა, კიდევ თქვა, სასმელს წამოვიღებ, რათა არაგოგის ხსოვნისა დავლიოთო...

ჰაგრიდი გაოცდა და გული აუჩუყდა.

– მართლა? ეს ძა... ძალიან სასიამოვნოა მისგან. თანაც რო არ დაგაბეზღა! ჰორაციუს სლაგჰორნთან ჯერ საქმე არა მქონია... მაშ, ბებერი არაგოგის გასვენებაზე მოდის, არა? ოჰ, როგორ გაეხარდებოდა არაგოგს...

ჰარიმ გულში გაიფიქრა, სლაგჰორნისა არაგოგს თუ რამე მოეწონებოდა, ეს მისი მსუყე, გემრიელი ხორციაო, მაგრამ, რა თქმა უნდა, არაფერი უთქვამს, ჰაგრიდის ქოხის უკანა ფანჯარასთან გადაინაცვლა და თვალწინ საზარელი სანახაობა გადაეშალა: უზარმაზარი მკვდარი ობობა ზურგზე ეგდო და მოკაკვული ფეხები ერთმანეთში ახლართვოდა.

– ჰაგრიდ, აქ, შენს ბაღში უნდა დავმარხოთ?

– ჰო, გოგრების ბოსტნის იქით, – მოგუდული ხმით უპასუხა ჰაგრიდმა, – მე უკვე ამოვთხარე... ისა... საფლავი. უბრალოდ, მინდოდა, ერთი-ორი სიტყვა წარმოგვეთქვა საფლავთან. ბედნიერი მოგონებები, ხო იცი...

ხმა აუკანკალდა და ჩაუწყდა. კარზე დააკაკუნეს და ჰაგრიდი გას-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აღებად წავიდა, თან ვეება დალაქავებული ცხვირსახოცით ცხვირი მოიხოცა. ზღურბლზე სლაგჰორნმა გადმოაბიჯა, რამდენიმე ბოთლი გულში ჩაეხუტებინა და სამგლოვიარო შავი ჰალსტუხი ეკეთა.

– ჰაგრიდ, – დაიწყო მან ბოხი, სევდიანი ხმით, – ვიზიარებ თქვენს მწუხარებას.

– გმადლობთ, რო მობრძანდით, – მიუგო ჰაგრიდმა, – დიდი მადლობა. და იმისთვისაც გმადლობთ, რო ჰარის დამატებითი სამუშაო არ მიუსაჯეთ...

– ეს აზრადაც არ მომივიდოდა, – შეიცხადა სლაგჰორნმა – რა მწუხარე ღამეა, მწუხარე ღამე... სად არის საბრალო არსება?

– იქ, გარეთ, – ათრთოლებული ხმით უთხრა ჰაგრიდმა, – მაშ... დავიწყოთ?

სამივენი უკანა ბაღში გავიდნენ. ხეებს მიღმა ფერმიხდილი მთვარე კაშკაშებდა, მისი შუქი და ჰაგრიდის ფანჯრებიდან გადმოღვრილი სინათლე ღრმა ორმოს პირას, სამ-ნახევარი მეტრის სიმაღლის მიწაყრილის გვერდით დაგდებული არაგოგის გვამს ანათებდა.

– დიდებულია, – სლაგჰორნი ობობას თავს მიუახლოვდა. რვა რძისფერი თვალი უაზროდ მიშტერებოდა ზეცას, ორი უშველებელი მოკაუჭებული მარწუხი გაუნძრევლად ბზინავდა მთვარის შუქზე. სლაგჰორნი მარწუხებზე ისე დაიხარა, თითქოს ვეება ბანჯგვლიან თავს ათვალიერებსო. ამ დროს ჰარის მოეჩვენა, რომ ბოთლების წკრიალი გაიგონა.

– ყველა კი ვერ აფასებს ამათ სილამაზეს, – ზურგშექცევით მდგარ სლაგჰორნს ცრემლების ღვარღვარით მიმართა ჰაგრიდმა. – არ ვიცოდი, რო არაგოგისნაირი არსებები გაინტერესებდათ, ჰორაციუს.

– მაინტერესებს? ჩემო კარგო ჰაგრიდ, მე მათ ვეთაყვანები, – განაცხადა სლაგჰორნმა და ობობას სხეულს მოშორდა. ჰარიმ დაინახა, როგორ გაიბრწყინა ბოთლმა, სანამ მისი მანტიის სიღრმეში გაუჩინარდებოდა. მაგრამ ჰაგრიდი ცრემლებს იმშრალებდა და ვერაფერი შეამჩნია, – რა ვქნათ, შევუდგეთ დასაფლავებას?

ჰაგრიდმა თავი დაუქნია, წინ წავიდა, გიგანტურ ობობას მოეჭიდა და მძიმე ხვნეშით მიაგორა პირდაღებულ შავ ორმოსთან. სხეულმა საზიზღარი, ყრუ ბრაგვანი მოადინა ფსკერზე. ჰაგრიდი კვლავ ატირდა.

– რა თქმა უნდა, თქვენთვის ყველაზე მძიმე გადასატანია, თქვენ ხომ მას ყველაზე ახლოს იცნობდით, – სლაგჰორნი, ჰარისა არ იყოს, ჰაგრიდს იდაყვამდე ძლივს მისწვდა და ხელი მოუთათუნა, – მოდით, ორიოდე სიტყვას წარმოვთქვამ.

ჰარიმ გაიფიქრა, ალბათ, არაგოგისგან მაღალი ხარისხის შხამი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიიღოო, რადგან სლაგჰორნმა კმაყოფილი ღიმილით გადადგა ნაბიჯი ორმოსაკენ და გუგუნა, შთაგონებული ხმით დაიწყო:

– მშვიდობით, არაგოგ, ობობათა მეფევ. შენი ხანგრძლივი და გულითადი მეგობრობა არ დაავიწყდება მათ, ვინც გიცნობდა! შენი სხეული მიწად იქცევა, მაგრამ სული მშობლიური ტყის მშვიდ, აბლაბუდით დაქსელილ ადგილებში პოვებს სავანეს. დაე, გამრავლდნენ შენი მრავალთვალა შთამომავლები, ხოლო ჩვენ, ადამის მოდგმის მეგობრებმა, ვპოვოთ ნუგეში და გადავიტანოთ შენი დაღუპვით გამოწვეული ტკივილი.

– რა... რა მშვენიერი სიტყვებია! – აზლუქუნდა ჰაგრიდი და ნაკელის გროვაზე დაემხო.

– აბა, აბა, – სლაგჰორნმა ჯადოსნური ჯოხი აიქნია. მიწის მოზრდილი გროვა ჰაერში აღიმართა, ყრუ გრიალით დაემხო მკვდარ ობობას და საფლავზე გლუვი ბორცვის ფორმა მიიღო – მოდით, ქოხში შევიდეთ და დავლიოთ. მეორე გვერდიდან შეუდექი, ჰარი... აი, ასე... წამოდექი, ჰაგრიდ... ყოჩაღ...

ჰაგრიდი მაგიდასთან სკამზე დასვეს. ფენგი, რომელიც დასაფლავების დროს კალათაში მოკუნტულიყო, ახლა მათთან მიძუნძულდა და ჰარის, ჩვეულებისამებრ, მძიმე თავი მუხლებზე დაადო. სლაგჰორნმა ღვინის ბოთლებიდან ერთ-ერთს საცობი ამოაძრო.

– ყველა შევამოწმებინე შხამზე, – დააიმედა ჰარი. თითქმის მთელი ბოთლი ჩაცალა ჰაგრიდის ვედროსოდენა ტოლჩაში და მეტყევეს გადასცა, – ყველა ბოთლი შინაურ ელფს გავასინჯე. მას შემდეგ, რაც შენს საბრალო მეგობარს, რუპერტს შეემთხვა, სიფრთხილეს ვიჩენ.

ჰარიმ წარმოიდგინა, რა გამომეტყველება ექნებოდა ჰერმიონს, ელფების უფლებების ასეთი გაუგონარი დარღვევის ამბავი რომ შეეტყო, და გადაწყვიტა, მასთან ამაზე კრინტი არ დაეძრა.

– ერთიც – ჰარის, – სლაგჰორნმა მეორე ბოთლიდან ორ ტოლჩაში თანაბრად ჩამოასხა, – და ერთიც – მე. მაშ ასე, – ტოლჩა მაღლა ასწია, – არაგოგის ხსოვნა იყოს.

– არაგოგის ხსოვნა იყოს, – გაიმეორეს ჰარიმ და ჰაგრიდმა. სლაგჰორნმა და ჰაგრიდმა ტოლჩა მოიყუდეს. მაგრამ, ჰარი, რომელსაც მოქმედების გეგმას ფელიქს ფელიცისი აწვდიდა, მიხვდა, რომ არ უნდა დაელია. თავი ისე დაიჭირა, ვითომ ერთი ყლუპი მოსვა და ტოლჩა ისევ მაგიდაზე დადგა.

– იცით, ჩემთან გამოიჩეკა კვერცხიდან, – ნაღვლიანად დაიწყო ჰაგრიდმა, – ისეთი ციცქნა იყო, როცა გამოიჩეკა. ასე, პეკინესის ლეკვის ზომისა თუ იქნებოდა.

– უი, უი, – გამოეპასუხა სლაგჰორნი.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სკოლის საკუჭნაოში ვმალავდი, სანამ... ისა...

ჰაგრიდს სახე მოეღუშა. ჰარიმ იცოდა, რატომაც: ტომ რიდლ-მა ჰაგრიდს საიდუმლო ოთახის გახსნა დააბრალა და სკოლიდან გაარიცხვინა. სლაგჰორნი არც კი უსმენდა, ის ჭერს ასცქეროდა, რომელზეც თითბრის ქოთნები და რამდენიმე ბლუჯა გრძელი, აბრეშუმისებური, თეთრი, ქათქათა ძუა ეკიდა.

– ნუთუ ეს ცალრქიანი ცხენის ძუაა, ჰაგრიდ!

– ჰო, – გულგრილად უპასუხა ჰაგრიდმა, – ტყეში ბუჩქებს გამოსდებენ ხოლმე კუდს და სძვრებათ.

– კი მაგრამ, ჩემო კარგო, იცით, ეს რა ძვირი ღირს?

– ამით ჭრილობებს ვუხვევ ხოლმე ცხოველებს, – მხრები აიჩეჩა ჰაგრიდმა, – კარგად მადგება... გამძლეა და...

სლაგჰორნმა ტოლჩიდან მადიანად მოყლურწა და თვალი უფრო დაკვირვებით მოავლო ქოხს. ჰარი მიხვდა, რომ მეტ საგანძურს ეძებდა, რომელთაც ბლომად მუხის თაფლუჭად, დაშაქრულ ანანასად და ხავერდის ჟილეტებად გადააქცევდა. სლაგჰორნმა ტოლჩები შეავსო და ჰაგრიდს კითხვები დააყარა იმ არსებების შესახებ, რომლებიც იმჟამად ტყეში ბინადრობდნენ, და იმითაც დაინტერესდა, როგორ უვლიდა მათ ჰაგრიდი. ჰაგრიდს სასმელმა და სლაგჰორნის პირფერულმა ცნობისმოყვარეობამ ლაპარაკის საღერღელი აუშალა, თვალების წმენდა შეწყვიტა და კმაყოფილებით წამოიწყო ხანგრძლივი ლექცია მშვილ-მშველების მოშენების თაობაზე.

ამ დროს ფელიქს ფელიცისმა ჰარის უბიძგა და ბიჭმა შეამჩნია, რომ სლაგჰორნის მოტანილი სასმელის მარაგი უკვე იწურებოდა. ჰარის ჯერ არ გამოსდიოდა ჯადო უსიტყვოდ, მაგრამ იმ ღამეს აზრი, რომ რამეს ვერ შეძლებდა, სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა: ჰარიმ თავისთვის ჩაიღიმა, მაგიდის ქვეშ ჯადოსნური ჯოხი ჰაგრიდისა და სლაგჰორნისაგან შეუმჩნევლად (რომლებიც ახლა დრაკონის კვერცხით უკანონო ვაჭრობის შემთხვევებს უამბობდნენ ერთმანეთს) თითქმის დაცარიელებულ ბოთლებს დაუმიზნა და მათ უმალ დაიწყეს შევსება.

ასე, ერთი საათის შემდეგ, ჰაგრიდი და სლაგჰორნი გრძელ-გრძელი სადღეგრძელოების წარმოთქმას მოჰყვნენ: გაუმარჯოს ჰოგვორტსს, დამბლდორს, ელფურ ღვინოსა და...

– ჰარი პოტერს! – დაიღრიალა ჰაგრიდმა, მეთოთხმეტე ტოლჩა გამოცალა და ღვინო ნიკაპზე წურწურით ჩამოუვიდა.

– აბა, რა! – ცოტა არ იყოს, ენა ებმოდა სლაგჰორნს, – პარი ჰოტერი! რჩეული ბიჭი, რომელმაც... ისა, რა ჰქვია, – წაილულლულა და მანაც ტოლჩა გამოცალა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მალე ჰაგრიდს ისევ მოერია ცრემლი და გულაჩუყებულმა, რაც ებადა, ყველა ცალრქიანი ცხენის ძუა სლაგჰორნს მიაჩეჩა. სლაგ-ჰორნმა ძღვენი ჩაიჯიბა, თან გაჰყვიროდა:

– გაუმარჯოს მეგობრობას! გულუხვობას! ერთ ძუაში – ათ გალე-ონს!

ცოტაც და, ჰაგრიდი და სლაგჰორნი გვერდიგვერდ ისხდნენ, ერთმანეთისთვის მკლავი გადაეხვიათ და ნაზ, სევდიან სიმღერას მღეროდნენ ერთ მომაკვდავ ჯადოქარზე – ოდოზე.

– ეჰ, კაი ხალხი ახალგაზრდა კვდება, – ჩაიბუტბუტა ჰაგრიდმა და ოდნავ თვალებდაელმებული მაგიდას მძიმედ ჩამოეყრდნო, სლაგ-ჰორნი კი ამასობაში მისამღერს ღიღინებდა, – მამაჩემი ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან... შენი დედ-მამაც, ჰარი...

ჰაგრიდს დასივებული თვალებიდან მსხვილი ცრემლები წამოს-ცვივდა. ჰარის ხელი ხელში სტაცა და ჩამოართვა.

– ასეთი მაგარი ჯადოქრები იმათ ასაკში ჯერ არ მინახავს... საშინელება მოხდა... საშინელება...

სლაგჰორნი სევდიანად მღეროდა:

*„და გმირი ოდო შინ მიასვენეს*
*და დასვენეს ალაგს ბავშვობის,*
*ქუდი უყურმა თავს დაეფარეს*
*და ჯადოსნური გაწეხეს ჯოხი...“*

– საშინელებაა, – დაიბურტყუნა ჰაგრიდმა, დიდი, გაბურძგნილი თავი ჩამოუვარდა და ხვრინვა ამოუშვა.

– ბოდიში, – დაასლოკინა სლაგჰორნმა, – მართლაც, ყვავივით ვჩხავი.

– ჰაგრიდი თქვენს სიმღერას კი არა, ჩემი მშობლების სიკვდილს გულისხმობდა, – ხმადაბლა უთხრა ჰარიმ.

– აა, – ბოყინი შეიკავა სლაგჰორნმა, – ა, დიახ, დიახ. ეს მართლაც საშინელებაა. საშინელება... საშინელება...

სლაგჰორნს შეეტყო, რომ აღარ იცოდა, რა ეთქვა, და ისევ ტოლ-ჩები შეავსო.

– ალბათ... ალბათ, არაფერი გახსოვს, არა, ჰარი? – ყოყმანით ჰკითხა ბიჭს.

– არა. მე სულ ერთი წლისა ვიყავი, ისინი რომ დაიღუპნენ, – ჰარიმ თვალი გაუშტერა სანთლის ალს, რომელსაც ჰაგრიდის ღრმა ხვრ-ინვა ათრთოლებდა, – მაგრამ მოგვიანებით ბევრი რამე შევიტყვე. მამაჩემი პირველი მოკვდა. ეს იცოდით?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე... არა, – ხმა ჩაუწყდა სლაგჰორნს.

– დიახ, ვოლდემორმა მოკლა, მის გვამს გადააბიჯა და დედაჩემს მიუახლოვდა, – განაგრძო ჰარიმ.

სლაგჰორნს გააჟრჟოლა, მაგრამ დამფრთხალი მზერა ჰარის სახეს მაინც ვერ მოსწყვიტა.

– დედას უთხრა, გზიდან ჩამომეცალეო, – უმოწყალოდ აგრძელებდა ჰარი, – თვითონ მითხრა, მის მოკვლას არ ვაპირებდიო. მას მე ვჭირდებოდი. დედას შეეძლო, გაქცეულიყო.

– ღმერთო ჩემო, – სუნთქვა შეეკრა სლაგჰორნს, – ესე იგი, მას შეეძლო... ის არ... რა ამაზრზენია...

– დიახ, ნამდვილად, – თითქმის ჩურჩულით დაუდასტურა ჰარიმ, – მაგრამ ის ადგილიდან არ დაძრულა. მამა უკვე მკვდარი იყო, მაგრამ დედამ მაინც არ დაანება ჩემი თავი. ვოლდემორს შეევედრა... მაგრამ პასუხად მან მხოლოდ გადაიხარხარა...

– საკმარისია! – მოულოდნელად შეაწყვეტინა სლაგჰორნმა და აკანკალებული ხელი ასწია, – კარგი, რა, ჩემო ბიჭო, საკმარისია... მე მოხუცი კაცი ვარ... სად შემიძლია ამისთანა რამეების მოსმენა... არაფრის გაგონება აღარ მინდა...

– სულ დამავიწყდა, – ფელიქს ფელიცისი თავისას არ იშლიდა და ჰარის სათქმელს კარნახობდა, – რომ თქვენ გიყვარდათ დედაჩემი, არა პროფესორო?

– მიყვარდა? – ცრემლი მოადგა სლაგჰორნს, – განა შეიძლებოდა, არ გყვარებოდა? ძალიან მამაცი... ძალიან მხიარული... მართლა საზარელი რამე მოხდა...

– თქვენ კი მის შვილს დახმარებაზე უარს ეუბნებით. მან მე თავისი სიცოცხლე მომცა, თქვენ კი მოგონებასაც ვერ იმეტებთ.

ჰაგრიდის ხვრინვა ქოხს აყრუებდა. ჰარიმ მტკიცედ ჩახედა სლაგჰორნს აწყლიანებულ თვალებში. შხამ-წამლების ოსტატმა მზერა ვერ მოარიდა.

– ამას ნუ ამბობ, – დაიჩურჩულა მან, – ეს რა შუაშია... ამას რომ შენი დახმარება შეეძლოს, კი, ბატონო... მაგრამ ეს მაინც არაფერში გამოგადგება...

– როგორ არა, – მკაფიოდ და ხმამაღლა უთხრა ჰარიმ, – დამბლდორს თქვენი მოგონება სჭირდება. მე თქვენი მოგონება მჭირდება!

ჰარიმ იცოდა, რომ ამის თქმით არაფერი დაშავდებოდა. ფელიქსი აიმედებდა, სლაგჰორნს მეორე დილით აღარაფერი ემახსოვრებაო. ჰარიმ მას თვალი თვალში გაუყარა და წინ გადაიხარა.

– მე „რჩეული“ ვარ. ის მე უნდა მოვკლა. მე მოგონება მჭირდება!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სლაგჰორნს ფერი დაეკარგა, ლაპლაპა შუბლი ოფლით დაეცვარა.

– მართლა „რჩეული“ ხარ?

– რა თქმა უნდა, – მშვიდად მიუგო ჰარიმ.

– მაგრამ მაშინ... ჩემო ბიჭო... ჩემგან ძალიან ბევრს ითხოვ... ფაქტობრივად, მთხოვ, დაგეხმარო მის განადგურებაში...

– არ გინდათ იმ ჯადოქრის განადგურება, რომელმაც ლილი ევანსი მოკლა?

– ჰარი, ჰარი, რა თქმა უნდა მინდა, მაგრამ...

– გეშინიათ, არ შეიტყოს, რომ მე დამეხმარეთ?

დაზაფრულ სლაგჰორნს ხმა არ ამოუღია.

– იყავით ისეთივე მამაცი, როგორიც დედაჩემი იყო, პროფესორო...

სლაგჰორნმა აკანკალებული, კოტიტათითებიანი ხელი პირზე აიფარა და ძალიან დაემსგავსა ვეება ჩვილ ბავშვს.

– მე არ ვამაყობ, – დაიჩურჩულა მან, – მე მრცხვენია იმისა, რაც იმ მოგონებაში ინახება... მგონი, იმ დღეს დიდი შეცდომა დავუშვი...

– ამ მოგონების გადმოცემით თქვენ ყველაფერს გამოასწორებთ, – შეჰპირდა ჰარი, – ეს ძალიან მამაცური და კეთილშობილური საქციელი იქნება.

ჰაგრიდი ძილში შეკრთა და ხვრინვა გააგრძელა. სლაგჰორნი და ჰარი ერთმანეთს მოცახცახე სანთლის ზემოდან შესცქეროდნენ. სიჩუმე უსასრულოდ გაიწელა, მაგრამ ფელიქს ფელიცისი ურჩევდა ჰარის, ხმა არ ამოეღო და მოთმინებით დალოდებოდა.

შემდეგ ნელა, ძალიან ნელა ჩაიყო სლაგჰორნმა ხელი ჯიბეში და ჯადოსნური ჯოხი ამოიღო. მეორე ხელით მანტიის შიგნიდან მომცრო, ცარიელი ბოთლი ამოაძვრინა. ჰარისათვის თვალი არ მოუშორებია, ისე მიიტანა ჯოხის წვერი საფეთქელთან და შემდეგ მოიცილა, ჯოხის წვერს მოგონების გრძელი, ვერცხლისფერი და ელვარე ძაფი გამოჰყვა. მოგონება დიდხანს, დიდხანს იწელებოდა, ბოლოს საფეთქელს მოსწყდა და ჯოხის წვერს დაეკიდა. სლაგჰორნმა მოგონება ბოთლში ჩაუშვა, ათრთოლებული ხელით დაუცო საცობი და ჰარის გადააწოდა.

– დიდი მადლობა, პროფესორო.

– კარგი ბიჭი ხარ, – სლაგჰორნს მსუქან ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა და ლომვეშაპისებური ულვაში დაუსველდა, – თანაც მისი თვალები გაქვს... როცა მოგონებას ნახავ, გთხოვ, მეტისმეტად მკაცრად ნუ განმსჯი...

ამ სიტყვებზე თავი მკლავებში ჩარგო, ღრმად ამოიხვნეშა და ჩაეძინა.



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

# თავი ოცდამესამე

# ჰორკრუქსები

ციხე-კოშკში უჩუმრად დაბრუნებისას ჰარიმ იგრძნო, რომ ფელიქს ფელიცისი უკვე ძალას კარგავდა. კარი ღია დახვდა, მაგრამ მესამე სართულზე პივსს გადაეყარა და დამატებითი სასჯელისგან მხოლოდ იმან იხსნა, რომ გვერდულად შესხლტა ერთ-ერთ ნაცად საიდუმლო გასასვლელში. გრიფინდორის საერთო ოთახს რომ მიაღწია და უჩინ-მაჩინის მოსასხამი გადაიძრო, აღმოაჩინა, რომ ფუშფუშა ქალბატონი ცუდ გუნებაზე ბრძანდებოდა.

– თუ იცი, რომელი საათია?

– უკაცრავად... მნიშვნელოვანი საქმე მქონდა და გარეთ გასვლა დამჭირდა...

– ჰოდა, პაროლი შუაღამისას შეიცვალა, ამიტომ დერეფანში მოგიწევს დაძინება...

– ხუმრობთ? – შესძახა ჰარიმ, – შუაღამისას რატომ უნდა შეცვლილიყო?

– შეიცვალა და რა ვქნა, – მოუჭრა ფუშფუშა ქალბატონმა, – თუ უკმაყოფილო ხარ, წადი და დირექტორთან გაარკვიე. სწორედ მისი ბრძანებითაა გამკაცრებული უსაფრთხოების ზომები.

– ფანტასტიკურია! – მწარედ გამოსცრა ჰარიმ და ქვის იატაკს თვალი მოავლო, – გადაირევი, პირდაპირ! დირექტორს ახლავე ვნახავდი, აქ რომ იყოს, რადგან სწორედ მან დამავალა...

– დირექტორი აქ არის, – გაისმა ხმა ჰარის ზურგს უკან – პროფესორი დამბლდორი სკოლაში ერთი საათის წინ დაბრუნდა.

ჰარისკენ თითქმის უთავო ნიკი მოლივლივებდა. თითქმის მოკვეთილი თავი, როგორც ყოველთვის, ნაოჭიან საყელოზე უყანყალებდა.

– სისხლისმსმელმა ბარონმა დაინახა, როგორ დაბრუნდა – ამცნო



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის ნიკმა, – ბარონს თუ დავუჯერებთ, კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა, თუმცა, რა თქმა უნდა, ცოტა დაღლილი ჩანდა.

– სად არის? – გული კინაღამ საგულედან ამოუხტა ჰარის.

– ოჰ, ასტრონომიის კოშკზე ოხრავს და გმინავს. მისი საყვარელი გასართობია, ხომ იცი...

– სისხლიან ბარონზე არ გეკითხები. დამბლდორი სად არის-მეთქი!

– აა, თავის კაბინეტში, – თქვა ნიკმა, – ბარონის ნათქვამიდან დავასკვენი, რომ დაძინებამდე, ალბათ, რაღაც საქმე აქვს მოსათავებელი...

– რა თქმა უნდა, – ჰარის გული აუჩქროლდა, როცა წარმოიდგინა, როგორ ახარებდა დამბლდორს მოგონების ხელში ჩაგდებას. შეტრიალდა და კისრისტეხით მოკურცხლა.

– დაბრუნდი! მოგატყუე! გავბრაზდი, ძილი რომ დამიფრთხე! პაროლი ისევ „სოლიტერია“! – მიაძახა შეცბუნებულმა ფუშფუშა ქალბატონმა.

მაგრამ ჰარის ყურადღება არ მიუქცევია, უკვე დერეფანში მიქროდა და რამდენიმე წუთიც არ იყო გასული, რომ დამბლდორის კაბინეტთან გაჩნდა. პაროლი წარმოთქვა თუ არა, ქვის ურჩხული განზე გახტა და ჰარი სპირალისებურ კიბეზე აუშვა.

ჰარიმ კაბინეტის კარზე დააკაკუნა.

– შემობრძანდით, – მოესმა დამბლდორის დაქანცული ხმა.

ჰარიმ კარი გააღო. დამბლდორის კაბინეტი ძველებურად გამოიყურებოდა, ერთი ეგაა, ფანჯრებს მიღმა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მოჩანდა.

– აჰ, ჰარი, – აღმოხდა გაოცებულ დამბლდორს, – რას უნდა მივაწერო შენი ასეთი ნაგვიანევი ვიზიტი?

– სერ, ვიშოვე! სლაგჰორნს მოგონება გამოვართვი!

ჰარიმ ჯიბიდან ციცქნა მინის ბოთლი ამოიღო და დამბლდორს აჩვენა. ორიოდე წამით დირექტორს თითქოს ენა წაერთვა. შემდეგ სახე ღიმილმა გაუნათა.

– ჰარი, ეს შესანიშნავი ამბავია! ყოჩაღ! ვიცოდი, რომ გამოგივიდოდა!

ვიღას ახსოვდა, რომ გაკვეთილისთვის მეტისმეტად გვიანი იყო! დამბლდორი სწრაფად მივიდა საწერ მაგიდასთან, სლაგჰორნის მოგონებით სავსე ბოთლი ჯანსაღი ხელით გამოართვა ჰარის და იმ კარადისკენ გაემართა, რომელშიც საფიქრელას ინახავდა.

– ახლა კი, – დამბლდორმა ქვის ჯამი მაგიდაზე დადგა და ბოთლის შიგთავსი შიგ ჩაცალა, – როგორც იქნა, ვნახავთ. ჩქარა, ჰარი...

ჰარი მორჩილად დაიხარა საფიქრელაზე და იგრძნო, ფეხქვეშ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორ გამოეცალა იატაკი... აი, ისევ გადაეშვა წყვდიადში და მრავალი წლის წინ ჰორაციუს სლაგჰორნის კაბინეტში დაეშვა.

წარსულში ახალგაზრდა ჰორაციუს სლაგჰორნი დახვდა მბზინავი, ჩალისფერი თმითა და წითური ულვაშით. ძველებურად მოხერხებულ, ფრთებიან სავარძელში მისვენებულიყო და ფეხები ხავერდის პუფზე შემოეწყო. ცალ ხელში ღვინის მომცრო ჭიქა ჩაებღუჯა, მეორეს კი დაშაქრული ანანასით სავსე ყუთში აფათურებდა. სლაგჰორნს ირგვლივ ექვსიოდე მოზარდი ბიჭი შემოსხდომოდა. მათ შორის ტომ რიდლიც იყო, რომელსაც თითზე მერვოლოს შავ-ოქროსფერი ბეჭედი უბზინავდა.

დამბლდორი ჰარის გვერდით დაეშვა თუ არა, რიდლმა იკითხა:

– სერ, მართალია, რომ პროფესორი მერითოტი პენსიაზე გადის?

– ტომ, ტომ, რომც მცოდნოდა, ვერ გეტყოდი, – სლაგჰორნმა დაშაქრული თითი საყვედურით კი დაუქნია რიდლს, მაგრამ, ამავე დროს, თვალიც ჩაუკრა, – ისე, ძალიან მაინტერესებს, საიდან იღებ ამდენ ინფორმაციას, ბიჭუნავ. შენ უფრო ინფორმირებული ხარ, ვიდრე პედკოლექტივის ნახევარი.

რიდლმა ჩაიღიმა, დანარჩენმა ბიჭებმა გაიცინეს და მას აღფრთოვანებული მზერა შეავლეს.

– რომ აღარაფერი ვთქვათ შენს არაჩვეულებრივ უნარზე, ისეთი რამეები იცოდე, რისი ცოდნაც არ გევალება, და საჭირო ხალხთან პირფერობის ნიჭზე... ჰო, სხვათა შორის, დიდი მადლობა ანანასისათვის, სწორად გამოიცანი: ჩემი საყვარელი ნუგბარია...

რამდენიმე ბიჭმა ჩაიხითხითა.

– ეჭვიც არ მეპარება, რომ ოციოდე წელიწადში მაგიის მინისტრად მოგვევლინები. ანანასს თუ ხშირად გამომიგზავნი – თხუთმეტში. სამინისტროში ბევრი ნაცნობი მყავს.

ბიჭებმა ისევ გაიცინეს. ტომ რიდლმა ოდნავ გაიღიმა. ჰარის არ გამოეპარა, რომ იგი სულაც არ იყო კლასში ასაკით ყველაზე უფროსი, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ მას ყველა ლიდერად თვლიდა.

– არა მგონია, პოლიტიკა საჩემო საქმე იყოს, სერ, – თქვა მან, როცა სიცილი მიწყდა, – ჯერ ერთი, შესაფერისი ოჯახიდან არა ვარ.

იქვე მჯდარმა ორმა ბიჭმა ირონიული ღიმილით გადახედა ერთმანეთს. ჰარი დარწმუნებული იყო, მათ უეჭველად რამე იცოდნენ ან ეჭვობდნენ მაინც მათი ბანდის მეთაურის სახელგანთქმული წინაპრების შესახებ.

– სისულელეა, – მკვირცხლად მიუგო სლაგჰორნმა, – წყალი არ გაუვა, რომ ასეთი ნიჭის პატრონი კარგი ჯადოქრული გვარეულო-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბიდან იქნები. არა, შენ შორს წახვალ, ტომ. მე ჯერ სტუდენტში არ შევმცდარვარ.

სლაგჰორნის მაგიდაზე პატარა ოქროს საათმა თერთმეტჯერ ჩამოჰკრა.

– ღმერთო ჩემო, ნუთუ ამდენი დრო გავიდა? აბა, ჩქარა მოუსვით აქედან, ბიჭებო, თუ არ გინდათ, რომ ყველას შავი დღე დაგვადგეს. ლესტრეინჯ, ხვალისათვის თემა მომიმზადე, თორემ დამატებით სამუშაოს მოგისჯი. ეს შენც გეხება, ეივერი.

ბიჭები ოთახიდან სათითაოდ გაიკრიფნენ.

სლაგჰორნი სავარძლიდან მძიმედ წამოდგა და ცარიელი ჭიქა მაგიდისაკენ წაიღო. ამ დროს ზურგს უკან ვიღაც გაფაჩუნდა და მანაც ინტერესით მოატრიალა თავი. რიდლი ჯერაც ოთახში იდგა.

– დაუჩქარე, ტომ, ხომ არ გინდა, ამ შუაღამისას საძინებლის გარეთ დაგიჭირონ! არ დაგავიწყდეს, რომ პრეფექტი ხარ...

– სერ, რაღაც მინდა გკითხოთ.

– მკითხე, ჩემო ბიჭო, მკითხე.

– სერ, მაინტერესებს, რა იცით... ჰორკრუქსების შესახებ.

გაოცებულმა სლაგჰორნმა ბიჭს მზერა გაუშტერა, გონებადაფანტულმა კოტიტა თითები ღვინის ჭიქის ფეხს მექანიკურად აუსვ-ჩამოუსვა.

– ბნელი ძალებისგან თავდაცვის საგანში დავალებად მოგცეს?

ჰარი დარწმუნებული იყო, სლაგჰორნმა მშვენივრად იცოდა, რომ ეს საკითხი სკოლის მასალაში არ შედიოდა.

– არც მთლად მასეა, სერ, – უპასუხა რიდლმა, – ამ ტერმინს ერთ წიგნში წავაწყდი და კარგად ვერ გავიგე.

– აბა, რა... ჰოგვორტსში გაგიჭირდება ისეთი წიგნის პოვნა, რომელიც ჰორკრუქსებზე დეტალურ ინფორმაციას მოგაწვდის, ტომ. ეს მაგიის ძალიან იდუმალი სფეროა, ეს შავი მაგიაა.

– მაგრამ თქვენ ხომ იცით მათ შესახებ, სერ? იმას ვგულისხმობ, რომ თქვენნაირმა ჯადოქარმა... არა, რა თქმა უნდა, თუ ვერ მეტყვით, გული არ დამწყდება... უბრალოდ, ვიფიქრე, რომ თუ ვინმესთვის შეიძლებოდა, მიმემართა, ეს თქვენ უნდა ყოფილიყავით... ჰოდა, გადავწყვიტე, მეკითხა...

ყველაფერი ბრწყინვალედ გათვალაო, გაიფიქრა ჰარიმ: მერყეობა, უდარდელი ტონი, ზომიერი პირფერობა – არაფრისთვის გადაუჭარ-ბებია. ჰარის უკვე ჰქონდა იმდენი გამოცდილება, მაშინვე მიმხ-ვდარიყო, რომ რიდლს ძალიან, საშინლად უნდოდა ამ ინფორმაციის მიღება, შეიძლება ამ წუთისათვის რამდენიმე კვირის განმავლობაშიც კი ემზადებოდა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰოოო, – სლაგჰორნს რიდლისთვის არ შეუხედავს, დაშაქრული ანანასის ყუთზე მიმაგრებულ ბაფთას აწვალებდა – რა თქმა უნდა, არაფერი დაშავდება, ზოგად წარმოდგენას თუ შეგიქმნი... ერთი სიტყვით... ჰორკრუქსი არის ნივთი, რომელშიც ადამიანი თავისი სულის ნაწილს ინახავს.

– მაინც ვერ გავიგე, ეს როგორ უნდა გაკეთდეს, სერ, – გაიკვირვა რიდლმა.

რიდლი მთელი ძალით ცდილობდა გულუბრყვილო, უდარდელი ტონის შენარჩუნებას, მაგრამ ჰარიმ მაინც შეატყო მღელვარება.

– საქმე ისაა, რომ სულს ანაწევრებ და მის ნაწილს სხეულის გარეთ, რომელიმე საგანში მალავ, შემდეგ, თუ სხეული დაზიანდა ან განადგურდა, არ კვდები, რადგან სულის ხელუხლებელი ნაწილი დედამიწაზე რჩება. მაგრამ, რასაკვირველია, ასეთი ფორმით არსებობას...

სლაგჰორნს სახე მოექუფრა. ჰარის კი უნებურად ის სიტყვები მოაგონდა, რომლებიც თითქმის ორი წლის წინ გაიგონა:

„ჩემს სხეულს მოვწყდი. უფრო პატარა ვიყავი, ვიდრე სული, ვიდრე უსუსური მოჩვენება... მაგრამ მაინც, ცოცხალი დავრჩი."

– ამას ცოტა ვინმე თუ გარისკავს, ტომ, ძალიან ცოტა. ამას სიკვდილი ჯობია!

მაგრამ რიდლი ცნობისმოყვარეობას უკვე ველარ მალავდა. სახეზე ხარბი გამომეტყველება დასთამაშებდა.

– სული როგორ უნდა დაანაწევრო?

– ჰოო, – აწრიალდა სლაგჰორნი, – უნდა იცოდე, რომ სული ხელშეუხებელი და მთლიანია. მისი გახლეჩა ძალადობის აქტია, ეს ბუნებას ეწინააღმდეგება.

– მაინც როგორ?

– ბოროტების აქტით, უზენაესი ბოროტების აქტით, უდიდესი ცოდვით: მკვლელობის ჩადენით. მკვლელობა სულს გლეჯს. ჯადოქარი, რომელსაც ჰორკრუქსის შექმნა განუზრახავს, სულის რღვევას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს: იგი მოგლეჯილ ნაწილს მოათავსებს...

– მოათავსებს? კი მაგრამ, როგორ?

– არსებობს საგანგებო შელოცვა, მაგრამ არ მკითხო. არ ვიცი! – სლაგჰორნმა თავი კოლოებდასეულ ბებერ სპილოსავით გააქნია, – ვგავარ მე იმას, ვისაც ამის გაკეთება უცდია? ვგავარ მე მკვლელს?

– არა, სერ. რა თქმა უნდა, არა, – საჩქაროდ იუარა რიდლმა, – მაპატიეთ... თქვენი წყენინება სულაც არ მინდოდა...

– არაფერიც არ მწყენია, – ჩაიბურდღუნა სლაგჰორნმა – ბუნე-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბრივია, რომ ასეთი რამეების მიმართ ცნობისმოყვარეობას იჩენ... გარკვეული დონის ჯადოქრებს ყოველთვის აინტერესებდათ მაგიის ეს სფერო...

– დიახ, სერ, – ჩაურთო რიდლმა, – მაგრამ ვერ გავიგე... უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო გეკითხებით... ერთი ჰორკრუქსისგან რა ხეირი შეიძლება იყოს? მხოლოდ ორად შეიძლება სულის გახლეჩა? უკეთესი არ იქნებოდა სულის მეტ ნაწილად დაყოფა მის კიდევ უფრო გასაძლიერებლად? აი, მაგალითად, შვიდი ხომ უფრო ძლიერი მაგიური ციფრია, და განა შვიდი...

– მერლინის წვერს ვფიცავ, ტომ! – აღმოხდა სლაგჰორნს – შვიდი?! განა ერთი ადამიანის მკვლელობა საკმარისად ამაზრზენი არ არის? ნებისმიერ შემთხვევაში... განა სულის ორად დანაწევრება არ კმარა? მაგრამ მისი შვიდ ნაწილად დაყოფა...

სლაგჰორნი უკვე სერიოზულად შეშფოთდა. რიდლს ისე უყურებდა, თითქოს პირველად ხედავსო. ჩანდა, ნანობდა, რომ ამაზე საუბარი გაუბა.

– რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჰიპოთეზის დონეზეა. წმინდა თეორიული არგუმენტებია... – წაიბუტბუტა გაფითრებულმა.

– დიახ, სერ, რა თქმა უნდა, – სწრაფად დაეთანხმა რიდლი.

– მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, ტომ... რაც გითხარი, უფრო სწორად, რაზეც ახლა ვისაუბრეთ, არავისთან წამოგცდეს. არავის მოეწონება იმის გაგება, რომ სკოლაში ჰორკრუქსებზე ვმუსაიფობთ. ჰოგვორტსში ეს აკრძალული თემაა, ხომ იცი... დამბლდორი განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენს ამ საკითხთან დაკავშირებით...

– პირში წყალს ჩავიგუბებ, სერ, – შეჰპირდა რიდლი და ოთახიდან გავიდა. მაგრამ მანამდე ჰარიმ თვალი მოჰკრა მის სახეს, ზედ სწორედ ისეთი ველური აღტყინება ეწერა, როგორიც მაშინ, როცა პირველად შეიტყო, რომ ჯადოქარი იყო. მსგავსი გამომეტყველება არ უხდებოდა მის დახვეწილ ნაკვთებს, პირიქით, რატომღაც მის სახეს ადამიანურობას უკარგავდა...

– გმადლობ, ჰარი, – წყნარად თქვა დამბლდორმა, – წავიდეთ...

ჰარი კაბინეტის იატაკზე რომ დაეშვა, დამბლდორი უკვე თავის მაგიდას მისჯდომოდა. ჰარიც დაჯდა და დაელოდა, როდის დაილაპარაკებდა დირექტორი.

– უკვე დიდი ხანია, ამ სამხილს ველი, – ხმა ამოიღო ბოლოს დამბლდორმა, – ეს ამტკიცებს იმ თეორიას, რომელზეც მე ვმუშაობდი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მართალი ვარ და რომ წინ კიდევ გრძელი გზა გვიძევს...

ჰარიმ უეცრად შეამჩნია, რომ მათ საუბარს ყველა დირექტორის


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პორტრეტი ფხიზლად უსმენდა. ჩასუქებულმა, წითელცხვირა ჯადოქარმა სასმენი მილიც კი მიიდო ყურზე.

– აბა, ჰარი, – გააგრძელა დამბლდორმა, – იმედია, კარგად გააცნობიერე იმის მნიშვნელობა, რაც ეს წუთია, მოვისმინეთ. სწორედ შენს ასაკში ან რამდენიმე თვით შენზე უფროსი ან უმცროსი ტომ რიდლი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ თავი უკვდავეყო.

– ფიქრობთ, რომ მან ეს მოახერხა, სერ? – ჰკითხა ჰარიმ – ჰორკრუქსი შექმნა და ამიტომაც არ დაიღუპა, როცა მე დამესხა თავს? სადღაც ჰორკრუქსი ჰქონდა დამალული? სულის ერთი ნაწილი უსაფრთხოდ შეინახა?

– ერთი... ან უფრო მეტი, – უპასუხა დამბლდორმა, – ხომ თავად მოუსმინე ვოლდემორს: ყველაზე მეტად მას ის აინტერესებდა, თუ რა მოუვიდოდა ჯადოქარს, რომელიც ერთზე მეტ ჰორკრუქსს შექმნიდა; რა მოუვიდოდა ჯადოქარს, რომელსაც იმდენად სურდა სიკვდილის დამარცხება, რომ მზად იყო, ზედიზედ ჩაედინა მრავალი მკვლელობა, რამდენჯერმე გაეხლიჩა სული და ასე დაქუცმაცებული ცალ-ცალკე დამალულ ჰორკრუქსებში შეენახა. ამ ინფორმაციას მას ვერც ერთი წიგნი ვერ მიაწვდიდა. რამდენადაც ვიცი, – და, ეჭვი არ მეპარება, ეს ვოლდემორმაც იცოდა, – დღემდე ვერც ერთ ჯადოქარს ვერ მოუხერხებია სულის ორ ნაწილზე მეტად დაშლა. დამბლდორმა სული მოითქვა, გონება მოიკრიბა და განაგრძო:

– ოთხი წლის წინ მე აშკარა დამამტკიცებელი საბუთი მივიღე იმისა, რომ ვოლდემორმა თავისი სული ნაწილებად დაყო.

– სად? – გაფაციცდა ჰარი, – როდის?

– ის შენ გადმომეცი, ჰარი. ეს იყო დღიური – რიდლის დღიური, რომელიც საიდუმლო ოთახის გაღების ინსტრუქციებს იძლეოდა.

– ვერაფერი გავიგე, სერ.

– მიუხედავად იმისა, რომ ჩემი თვალით არ დამინახავს დღიურიდან გადმოსული რიდლი, რაც შენ ამიწერე, ისეთი ფენომენი იყო, რასაც მე არ მოვსწრებივარ. როგორ, უბრალო მოგონება დამოუკიდებლად მოქმედებდა და აზროვნებდა? უბრალო მოგონებამ სიცოცხლე გამოსწოვა გოგონას, რომლის ხელშიც მისი დღიური აღმოჩნდა? არა, იმ წიგნში რაღაც უფრო ავბედითი ბუდობდა... სულის ფრაგმენტი, ამაში თითქმის დარწმუნებული ვიყავი. დღიური ჰორკრუქსი იყო. მაგრამ მან უამრავი კითხვა დაბადა, პასუხები კი – არა. ყველაზე მეტად იმან დამაინტრიგა და შემაშფოთა, რომ დღიური იარაღიც იყო და თავდაცვის საშუალებაც.

– მაინც ვერ გავიგე, – თავი გააქნია ჰარიმ.

– დღიური სწორედ ისე მოქმედებდა, როგორც ჰორკრუქსი უნდა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოქმედებდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასში დამალული სულის ფრაგმენტი უსაფრთხოდ ინახებოდა და თავის როლს უეჭველად ასრულებდა, ანუ, მფლობელის სიკვდილს ხელს უშლიდა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ რიდლს სურდა, მისი დღიური წაეკითხათ; სურდა, რომ მისი სხეულის ნაგლეჯი ვინმეში ჩასახლებულიყო ან ვინმეს დაუფლებოდა, რათა სლიზერინის მონსტრი კვლავ აეშვათ.

– თანაც, არ უნდოდა, ამხელა ძალისხმევა წყალში გადაჰყროდა, – ჩაურთო ჰარიმ, – უნდოდა, ყველას შეეტყო, რომ სლიზერინის მემკვიდრე იყო, რადგან იმ დროს ამას სხვაგვარად ვერაფრით დაამტკიცებდა.

– სავსებით მართალი ხარ, – თავი დაუქნია დამბლდორმა – მაგრამ დაუკვირდი, ჰარი: მას მართლა რომ ნდომოდა, დღიური ჰოგვორტსის რომელიმე მოსწავლეს ჩავარდნოდა ხელში, მაშინ, გამოდის, რომ სულ არ ადარდებდა დღიურში ჩამალული სულის ძვირფასი ფრაგმენტი. ჰორკრუქსის დანიშნულება კი ისაა, როგორც პროფესორმა სლაგჰორნმა განმარტა, „მეს“ ნაწილი გარეშე თვალს მოარიდოს და უსაფრთხოდ შეინახოს, და არა ის, რომ ვინმეს ხელში აღმოჩნდეს და ამით განადგურების საფრთხე შეექმნას. მართლაც ხომ ასე მოხდა: შენი წყალობით, სულის ეს ნაწილი აღარ არსებობს. ის დაუდევრობა, რომლითაც ვოლდემორი ამ ჰორკრუქსს მოეპყრო, ყველაზე ავის მომასწავებლად მეჩვენა. ეს იმაზე მიანიშნებდა, რომ მას უკვე შეექმნა ერთზე მეტი ჰორკრუქსი ან აპირებდა მათ შექმნას, და პირველი მათგანის დაკარგვა არ იქნებოდა მისთვის ასე დამანგრეველი. ამის დაჯერება არაფრით არ მინდოდა, მაგრამ სხვა ლოგიკური ვერსია არ გამაჩნდა. ორი წლის შემდეგ კი მითხარი, რომ იმ ღამეს, როდესაც ვოლდემორმა სხეული დაიბრუნა, „სიკვდილის მხვრელებს“ საგანგაშო და მრავლისმთქმელი განცხადებით მიმართა: „მე, ვინც სხვებზე უფრო შორს წავედი უკვდავებისკენ მიმავალ გზაზე.“ აი, სწორედ ასე გადმომეცი მისი სიტყვები: „სხვებზე უფრო შორს“. და უკვე მივხვდი, ამით რას გულისხმობდა, თუმცა „სიკვდილის მხვრელები“ ვერაფერს მიხვდნენ. იგი ჰორკრუქსებზე საუბრობდა, ჰორკრუქსზე კი არა, ჰორკრუქსებზე, ჰარი, რაც, დარწმუნებული ვარ, ჯერ არც ერთ ჯადოქარს არ გაუბედავს. დიახ, ახლა უკვე ყველაფერს ნათელი მოეფინა: ლორდ ვოლდემორს ეტყობოდა, რომ ასაკის მომატებასთან ერთად სულ უფრო ნაკლებად ჰგავდა ადამიანს. იმ ტრანსფორმაციას, რაც განიცადა, მხოლოდ იმით ვხსნიდი, რომ სული ყოველგვარ ზღვარს გადასულმა ბოროტებამ დაუმახინჯა...

– ესე იგი, მან სხვა ადამიანების დახოცვით თავი უკვდავყო? – ჰკითხა ჰარიმ, – თუ ასე სწყუროდა უკვდავება, ხომ შეეძლო, ფილოსოფიური ქვა დაემზადებინა ან მოეპარა?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– განა დაგავიწყდა, რომ ხუთი წლის წინ სწორედ ეს სცადა? – შეახსენა დამბლდორმა, – მაგრამ, ჩემი აზრით, რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას ის, თუ რატომ არჩია ლორდმა ვოლდემორმა ჰორკ-რუქსები ფილოსოფიურ ქვას. სიცოცხლის ელექსირი მართლა ახან-გრძლივებს სიცოცხლეს, მაგრამ იგი რეგულარულად, უსასრულოდ უნდა მიიღოს მან, ვისაც უკვდავების შენარჩუნება სურს. ამიტომაც ვოლდემორი მთლიანად დამოკიდებული გახდებოდა ელექსირზე. ელექსირი რომ გამოლეოდა, დაბინძურებოდა ან დაჰკარგოდა, ისიც სხვა ადამიანების მსგავსად გარდაიცვლებოდა. თანაც ვოლდემორს მარტოს უყვარს მოქმედება. დარწმუნებული ვარ, ის აზრი, რომ თუნ-დაც ელექსირზე გახდებოდა დამოკიდებული, მისთვის აუტანელი იქნებოდა. რასაკვირველია, მოგვიანებით არც ქვაზე იტყოდა უარს, რათა თავი იმ საშინელი ვაი-სიცოცხლისაგან დაეღწია, რომელიც შენზე თავდასხმის შემდეგ მიესაჯა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ადამიანური სხეული დაებრუნებინა! ამის შემდეგ კი, ეჭვი არ მეპარება, კვლავ ჰორკრუქსებზე ამყარებდა იმედს, რადგან ის უკვე იყო უკვდავი... ან ისე ახლოს იდგა უკვდავებასთან, როგორც არავინ... ახლა კი, ჰარი, შენგან მოპოვებული ინფორმაციით, ლორდი ვოლდემორის განადგურების საიდუმლოს ამოხსნა ყველაზე უკეთ ჩვენ შეგვიძლია. შენ ხომ თავად მოისმინე მისი სიტყვები: „უკეთესი არ იქნებოდა სულის მეტ ნაწილად დაყოფა მის კიდევ უფრო გასა-ძლიერებლადო?.. განა შვიდი უფრო ძლიერი მაგიური ციფრი არ არისო?“ დიახ, ჩემი ღრმა რწმენით, შვიდნაწილიანი სულის იდეა დიდად მიმზიდველი იქნებოდა ლორდ ვოლდემორისათვის.

– თქვენ ფიქრობთ, მან შვიდი ჰორკრუქსი შექმნა? – თავზარი დაეცა ჰარის, კედლებზე რამდენიმე პორტრეტსაც არანაკლები ელდისა და აღშფოთების შეძახილი აღმოხდა, – ისინი, ხომ შეიძლება, მთელ მსოფლიოში იყოს გაფანტული... მიწაში დაფლული ან უხილა-ვად ქცეული...

– როგორც ვხედავ, ამ პრობლემის მასშტაბი კარგად გაისიგრძე-განე და ძალიან მიხარია, – მშვიდად შენიშნა დამბლდორმა, – მაგრამ, ჯერ ერთი, ცდები, ჰარი, შვიდი ჰორკრუქსი კი არა, ექვსი. მისი სულის მეშვიდე, ხეიბარი ფრაგმენტი მის აღმდგარ სხეულში ძევს. სწორედ ეს ნაწილი განაგრძობდა ლანდისებრ არსებობას ამდენი წლის მან-ძილზე, სანამ ვოლდემორი გადახვეწილი იყო.

– მაგრამ დანარჩენი ექვსი ჰორკრუქსი როგორ უნდა ვიპოვოთ? – სასოწარკვეთილებით იკითხა ჰარიმ.

– შენ ერთი უკვე გაანადგურე, ჰარი, – რიდლის დღიური. ერთიც მე მოვსპე.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თქვენ? – ყურები ცქვიტა ჰარიმ.

– დიახ, – დამბლდორმა გაშავებული, დამწვარი ხელი ასწია, – ბეჭედი, ჰარი. მერვოლოს ბეჭედი. მასზე საშინელი წყევლა იყო დადებული. რომ არა – მომიტევე კადნიერება – ჩემი არნახული პროფესიული შესაძლებლობები და პროფესორ სნეიპის დროული მოქმედება, როდესაც ჰოგვორტსში უიმედო მდგომარეობაში დავ-ბრუნდი, ალბათ, ცოცხალი ვერ გადავრჩებოდი. მიუხედავად ამისა, დასახიჩრებული ხელი ნამდვილად არ მიმაჩნია უგუნურ მსხვერპლად ვოლდემორის სულის მეშვიდედის სანაცვლოდ. ბეჭედი ჰორკრუქსი აღარ არსებობს.

– კი მაგრამ, როგორ აღმოაჩინეთ?

– როგორც იცი, უკვე მრავალი წელია, რაც პირადად მოვკიდე ხელი ვოლდემორის წარსულზე შეძლებისდაგვარად მეტი ინფორმაციის მოძიებას. ბევრი ვიმოგზაურე, მოვიარე ის ადგილები, რომლებთ-ანაც მას ოდესღაც რამე შეხება ჰქონია. ბეჭედი სულ შემთხვევით ვიპოვე გონტების ქოხის ნანგრევებში. როგორც ჩანს, ვოლდემორმა გულდასმით ჩამალა ბეჭედში სულის ნაწილი, აღარ ინდომა მისი ტარება, მრავალი მძლავრი დამცავი ჯადოთი შეკრა და იმ ქოხში დამალა, სადაც ოდესღაც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ (მორფინი ხომ აზკაბანში ჩასვეს); რას იფიქრებდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამ ნანგრევებს მოვინახულებდი ან მაგიურ სამალავს იქ დავუწყებდი ძებნას. მიუხედავად ყველაფრისა, სიხარული ჯერ ნაადრევია. შენ დღიური გაანადგურე, მე კი – ბეჭედი და თუ ჩვენი თეორია მართა-ლია, კიდევ ოთხი ჰორკრუქსი რჩება.

– და ისინი ნებისმიერი რამე შეიძლება იყოს? – ჰკითხა ჰარიმ, – კონსერვის ძველი ქილა ან, რა ვიცი, ცარიელი ბოთლი?

– შენ ახლა პორტაჟებზე ფიქრობ, ჰარი, რომლებიც უბრალო ნივთები უნდა იყოს, რომ თვალში არავის შეეჩხიროს. მაგრამ გგონია, ლორდი ვოლდემორი კონსერვის ქილას ან ცარიელ ბოთლს გამოიყენებდა თავისი ძვირფასი სულის შესანახად? დაგავიწყდა, რა გაჩვენე? ლორდ ვოლდემორს განძის მოგროვება უყვარდა, უპირატე-სობას ძლიერი მაგიური ისტორიის მქონე ნივთებს ანიჭებდა. მისი სიამაყე, საკუთარი უპირატესობის რწმენა და მაგიის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილის დამკვიდრებისადმი მისწრაფება მაფიქრე-ბინებს, რომ ვოლდემორი დიდი სიფრთხილით შეარჩევდა ჰორკ-რუქსებს, არჩევანს შეაჩერებდა ისეთ რელიკვიებზე, რომლებიც თავისთავად იწვევს მოწიწებას.

– დღიური ხომ ასეთი განსაკუთრებული ნივთი არ იყო.

– დღიური, როგორც თავად თქვი, იყო დამამტკიცებელი საბუთი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმისა, რომ იგი სლიზერინის მემკვიდრეა. დარწმუნებული ვარ, რომ ვოლდემორისათვის ამას უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა.

– აბა, სხვა ჰორკრუქსები? – იკითხა ჰარიმ, – თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს ისინი, სერ?

– შემიძლია, კვლავ გავიმეორო ჩემი ვარაუდი, – მიუგო დამბლდორმა, – რომ ლორდი ვოლდემორი ირჩევდა იმ საგნებს, რომელთაც უკვე თავისთავად გააჩნდათ გარკვეული სიდიადე. მე ღრმად ჩავეძიე ვოლდემორის წარსულს, იმ იმედით, რომ გამერკვია, ხომ არ გაუჩინარებულა მის სიახლოვეს მსგავსი ნივთები.

– მედალიონი! – შესძახა ჰარიმ, – ჰაფლეპაფის თასი!

– დიახ, – გაეღიმა დამბლდორს, – მზად ვარ, საღი ხელი მოვიჭრა (მთლიანად ხელი არა, მხოლოდ ორი თითი), რომ ეს ნივთები ჰორკრუქსებია. დანარჩენი ორი უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს. ვფიქრობ, ჰაფლეპაფისა და სლიზერინის ნივთების დასაკუთრების შემდეგ გრიფინდორისა და რეივენქლოს კუთვნილი ნივთების მოძიებას დაისახავდა მიზნად. ოთხი დამაარსებლის ოთხი ნივთი, რა გასაკვირია, რომ ვოლდემორის წარმოსახვას ფრთებს შეასხამდა. ვერ გეტყვი, მიაგნო თუ არა რეივენქლოს რომელიმე პირად ნივთს. სამაგიეროდ, დანამდვილებით ვიცი, რომ გრიფინდორის ერთადერთი რელიკვიისათვის მას თითი არ დაუკარებია.

დამბლდორმა გაშავებული ხელით უკან, შემინულ კარადაზე ანიშნა, სადაც, ლალის თვლებით მოჭედილი ხმალი იყო მოთავსებული.

– თქვენი აზრით, სინამდვილეში იმიტომ სურდა ჰოგვორტსში დაბრუნება, რომ სკოლის დანარჩენი ორი დამფუძნებლის საკუთრება მოეპარა?

– სწორედ ასე ვფიქრობ, – კვერი დაუკრა დამბლდორმა, – მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერაფერში წაგვადგება, რადგან ის ისე გავაბრუნეთ უკან, რომ სკოლის გაჩხრეკის საშუალება არ მიეცა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია.

– რეივენქლოს ან გრიფინდორის ნივთი რომც ეშოვა, მეექვსე ჰორკრუქსი მაინც რჩება, – თითებზე გადაითვალა ჰარიმ, – მაგრამ, ვაითუ, ორივე ჩაიგდო ხელში?!

– არა მგონია, – თავი გააქნია დამბლდორმა, – ვგონებ, ვხვდები, მეექვსე ჰორკრუქსი რა უნდა იყოს: ბოლო დროს ძალიან დამაინტერესა ნაგინის ქცევამ.

– გველი? – გაოცდა ჰარი, – მაშ, ჰორკრუქსად ცხოველის გამოყენებაც შეიძლება?

– არ არის მიზანშეწონილი, რადგან, ბუნებრივია, ძალიან სარისკოა, სული ისეთ რამეს ანდო, რასაც დამოუკიდებლად აზროვნება


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და მოძრაობა შეუძლია. თუ სწორად გავთვალე, ვოლდემორს ყველა ჰორკრუქსი ჯერ არ ჰქონდა, როდესაც შენი მოკვლა სცადა. როგორც ჩანდა, იგი ჰორკრუქსების შექმნას არ ჩქარობდა, რადგან განსაკუთრებით მნიშვნელოვან მკვლელობებს ელოდებოდა. როგორიც, მაგალითად, შენი სიკვდილი იქნებოდა. მას ღრმად სწამდა, რომ შენი მოკვლით მოსპობდა საფრთხეს, რომელიც წინასწარმეტყველებამ შეუქმნა და ამით უძლეველი გახდებოდა. დარწმუნებული ვარ, განზრახული ჰქონდა, ბოლო ჰორკრუქსი შენი სიკვდილით შეექმნა. მაგრამ, საწადელს ვერ მიაღწია. რამდენიმე წლის შემდეგ მან ნაგინის მოაკვლევინა მაგლი მოხუცი კაცი და, ალბათ, მაშინ გადაწყვიტა, უკანასკნელ ჰორკრუქსად გველი ექცია. გველი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ლორდი ვოლდემორის სლიზერინთან კავშირს. თანაც, ვოლდემორს ამ გველზე მეტად არაფერი უყვარს. გვერდიდან არ იშორებს და ჩანს, რომ მასზე განუზომელი გავლენა აქვს, რაც პარსელისთვისაც კი უჩვეულოა.

– ესე იგი, დღიური არ არსებობს, აღარც ბეჭედი. თასი, მედალიონი და გველი ხელუხლებელია და თქვენ ფიქრობთ, რომ რჩება კიდევ ერთი ჰორკრუქსი, რომელიც ოდესღაც რეივენქლოს ან გრიფინდორს ეკუთვნოდა? – იკითხა ჰარიმ

– არაჩვეულებრივად ლაკონიური და ზუსტი შეჯამებაა. დიახ, – თავი დაუქნია დამბლდორმა.

– მაშ, თქვენ ისევ ეძებთ მათ, სერ? ამიტომ მიემგზავრებით ხოლმე სკოლიდან?

– სწორია, – დაუდასტურა დამბლდორმა, – უკვე დიდი ხანია, ვეძებ, და მგონია, მალე ერთს კიდევ ვიპოვი. იმედისმომცემი ნიშნები ჩანს.

– და თუ ასე მოხდება, შეიძლება, თქვენთან ერთად წამოვიდე და მის განადგურებაში მოგეხმაროთ? – სწრაფად თქვა ჰარიმ.

დამბლდორმა წამით დაჟინებით შეხედა და ბოლოს თქვა:

– კი, ალბათ, შეიძლება.

– მართლა? – გაოცდა ჰარი.

– დიახ, – ოდნავ გაეღიმა დამბლდორს, – მგონი, ეს უკვე დაიმსახურე.

ჰარის გული აუფანცქალდა. ძალიან გაუხარდა, რომ ამჯერადაც გაფრთხილება და დარიგება არ დაუწყეს. დამბლდორის გადაწყვეტილებამ ნაკლებად აღაფრთოვანა კედლებზე განთავსებული დირექტორების პორტრეტები. ზოგიერთმა თავი უკმაყოფილოდ გააქნია, ფინეას ნაიჯელუსმა კი ირონიულად ჩაიფრუტუნა.

– სერ, როცა ჰორკრუქსი ნადგურდება, ვოლდემორი ამას ხვდება? გრძნობს?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– საინტერესო კითხვაა, ჰარი. ვფიქრობ, რომ არა. მე თუ მკითხავ, ვოლდემორი იმდენად ჩაეფლო ბოროტების ჭაობში და მისი ესოდენ მნიშვნელოვანი ნაწილები ისე დიდხანს იყო იზოლირებული, რომ ის ჩვენსავით ვეღარ გრძნობს მათ. შეიძლება, სიკვდილის პირას მყოფმა გააცნობიეროს, რომ დაკარგა უკვდავება. მაგალითად, მან მანამ არ იცოდა, რომ დღიური განადგურდა, სანამ ლუციუს მალ-ფოი არ გამოტეხა. და როდესაც შეიტყო, რომ დღიური დაზიანდა და ყოველგვარი ძალა წაერთვა, როგორც გადმომცეს, მის რისხვას საზღვარი არა ჰქონდა.

– მე კი მეგონა, დღიური მისი სურვილით შემოაპარა ჰოგვორტსში ლუციუსმა.

– კი, წლების წინ ვოლდემორს ჰქონდა ასეთი სურვილი, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მეტი ჰორკრუქსის შექმნას შეძლებდა. მიუხედავად ამისა, ლუციუსი მაინც ბატონის თანხმობას უნდა დალოდებოდა, მას კი ეს თანხმობა არ მიუღია, რადგან ვოლდე-მორი დღიურის გადაცემის შემდეგ მალევე გაუჩინარდა. ცხადია, მას ეგონა, რომ ლუციუსი ჰორკრუქსს საგულდაგულოდ შეინახავდა, მაგრამ ვოლდემორი მეტისმეტად დიდ იმედს ამყარებდა ლუციუსის რიდსა და მოწიწებაზე იმ ბატონის მიმართ, რომელიც მრავალი წლით გადაიკარგა და ყველას მკვდარი ეგონა. რა თქმა უნდა, ლუციუსს არც დაესიზმრებოდა, სინამდვილეში რას წარმოადგენდა დღიური. რამდენადაც ვხვდები, ვოლდემორმა მას მხოლოდ ის უთხრა, რომ დღიურის საშუალებით საიდუმლო ოთახის გახსნა შეიძლებოდა, რადგან ჭკვიანურად იყო მოჯადოებული. მას რომ სცოდნოდა, რომ ხელთ თავისი ბატონის სულის ნაწილი ჰქონდა, რა თქმა უნდა, მეტი მოწიწებით მოეპყრობოდა მას, მაგრამ ის პირიქით მოიქცა და პირადი მიზნებისათვის ადრე ჩაფიქრებული გეგმა განახორციელა: დღიური არტურ უისლის ქალიშვილს შეაჩეჩა იმ იმედით, რომ არტურს რეპუ-ტაციას შეულახავდა, მე სკოლიდან გამაძევებდა და თანაც ხელის ერთი მოსმით მოიშორებდა მეტად სახიფათო სამხილს. ეჰ, საბრალო ლუციუსი... ჯერ იყო და, ვოლდემორის რისხვა თავს დაიტეხა იმის გამო, რომ პირადი გამორჩენისათვის ჰორკრუქსი ქარს გაატანა, შარშან კი სამინისტროში სრული მარცხი იწვნია. არ გამიკვირდება, რომ დღეს გულში უხაროდეს კიდეც აზკაბანში უსაფრთხოდ ჯდომა.

ჰარი ცოტა ხანს ჩაფიქრებული იყო, ბოლოს იკითხა:

– სერ, ყველა ჰორკრუქსი თუ განადგურდა, შეიძლება ვოლდე-მორის მოკვლა?

– დიახ, ასე ვფიქრობ, – კვერი დაუკრა დამბლდორმა, – ჰორკ-რუქსების გარეშე ვოლდემორი დასახიჩრებული და დაკნინებული


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სულის მქონე ჩვეულებრივი მოკვდავი იქნება. მაგრამ არასდროს დაივიწყო, რომ, დასუსტებული სულის მიუხედავად, გონება და მაგიური ძალა ძველებურად ერჩის. უჩვეულო მოხერხება და უნარია საჭირო ვოლდემორისთანა ჯადოქრის მოსაკლავად, მისი ჰორკრუქსების გარეშეც კი.

– აბა, მე სად მაქვს უჩვეულო მოხერხება და ძალა, – თავი ვერ შეიკავა ჰარიმ.

– როგორ არა გაქვს, – მტკიცედ მიუგო დამბლდორმა, – შენ გაქვს ძალა, რომელიც ვოლდემორს არასდროს ჰქონია. შენ შეგიძლია...

– ვიცი! – მოუთმენლად შეაწყვეტინა ჰარიმ, – სიყვარული!

– და ძლივს მოითმინა, რომ არ დაეყოლებინა: „დიდი ამბავი!"

– კი, ჰარი, შენ სიყვარული შეგიძლია, – დამბლდორს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მშვენივრად მიხვდა, რის თქმასაც აპირებდა ბიჭი, – იმის გათვალისწინებით, რაც შენ აქამდე გადაიტანე, პირდაპირ საოცარია, რომ სიყვარულის უნარი დღემდე შემოგრჩა. შენ ჯერ ძალიან პატარა ხარ საიმისოდ, რომ გაიგო, რა არაჩვეულებრივი ხარ, ჰარი.

– ესე იგი, როცა წინასწარმეტყველება ამბობს, რომ მე მექნება ძალა, რომლისაც ბნელ ბატონს არა გაეგება რა, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულს გულისხმობს? – ჰკითხა, ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებულმა ჰარიმ.

– დიახ, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულს, – დაუდასტურა დამბლდორმა, – მაგრამ, ჰარი, ნუ გავიწყდება, რომ რასაც წინასწარმეტყველება ამბობს, მხოლოდ იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ ვოლდემორმა აქცია ასეთად. ვოლდემორმა შენ გამოგარჩია, როგორც პიროვნება, რომელიც მას ყველაზე დიდ საფრთხეს შეუქმნიდა, და, ამრიგად, მან თავად გაქცია მისთვის ყველაზე საშიშ პიროვნებად!

– მაგრამ, ეს ხომ ერთი და იგივეა...

– სულაც არა! – დამბლდორს უკვე მოუთმენლობა დაეტყო. ჰარისაკენ შავი, დაშაშრული ხელი გაიწვდინა და თქვა, – შენ ამ წინასწარმეტყველებას მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებ.

– კი მაგრამ, – აბლუკუნდა ჰარი, – თქვენ არა თქვით, რომ წინასწარმეტყველება...

– ვოლდემორს რომ არასდროს გაეგონა წინასწარმეტყველება, აღსრულდებოდა კი ის?! გგონია, მისნობის დარბაზში ყველა წინასწარმეტყველება მართლდება?

– შარშან თქვენ მითხარით, – დაიბნა ჰარი, – რომ ერთ-ერთ ჩვენგანს მეორის მოკვლა მოუწევდა...

– ასეა, ჰარი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ვოლდემორმა უდიდესი შეცდომა დაუშვა და პროფესორ ტრელოუნის სიტყვებს აჰყვა! მას


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ არ მოეკლა მამაშენი, შენში შურისძიების დაუძლეველ წყურვილს ხომ არ აღძრავდა? რა თქმა უნდა, არა! დედაშენი იძულებული რომ არ გაეხადა, შენთვის თავი გაეწირა, ხომ ვერ მოგცემდა მაგიურ დაცვას, რომლის გარღვევაც არ ძალუძს? ვოლდემორმა ისევე, როგორც ყველა ტირანმა, თავად შექმნა თავისი დაუძინებელი მტერი. იცი, რარიგად ეშინიათ ტირანებს იმ ადამიანებისა, რომელთაც ავიწროებენ? ყველა მათგანი ხვდება, რომ დადგება ის დღე, როცა უთვალავ მსხვერპლთა შორის აღმოჩნდება ერთი, რომელიც წინ აღუდგება მას და საპასუხო დარტყმას მიაყენებს! ვოლდემორი მათგან არაფრით განსხვავდება. ყოველთვის ფხიზლად ელოდა იმ „რჩეულს“, ვინც ბრძოლაში გაიწვევდა. წინასწარმეტყველება გაიგონა და უმალ საქმეს შეუდგა, შედეგად კი ის მიიღო, რომ არა მარტო აირჩია ადამიანი, რომლის ხელითაც, დიდი ალბათობაა, რომ ბოლო მოეღება, არამედ ასევე უნიკალური, მომაკვდინებელი იარაღი გადასცა!

– ეს იგი...

– იცოდე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კარგად გააცნობიერო, რაც ახლა გითხარი – დამბლდორი წამოდგა და მბრწყინავი მანტიის შრიალით გაიარ-გამოიარა ოთახში. ჰარის ასეთი აღელვებული ის ჯერ არ ენახა, – სწორედ ვოლდემორის ბრალია, რომ შენ შეგიძლია, მის ფიქრებში შეღწევა, მისი მიზნების განსაზღვრა, გველის ენაც კი გესმის... და მაინც, ჰარი, მიუხედავად ვოლდემორის სამყაროს განჭვრეტის არაჩვეულებრივი უნარისა (რაც, სხვათა შორის, ისეთი ნიჭია, რისთვისაც ნებისმიერი „სიკვდილის მხვრელი“ სიცოცხლეს დათმობდა), შენ არასდროს უცდუნებიხარ შავ მაგიას! არასდროს, ერთი წამითაც არ გაგჩენია იოტისოდენა სურვილი, ვოლდემორის მიმდევართა რიგებს შეერთებოდი!

– რა თქმა უნდა, არა! – აღშფოთდა ჰარი, – მან დედ-მამა დამიხოცა!

– მოკლედ, შენ სიყვარულის უნარი გიცავს! – ხმამაღლა განუცხადა დამბლდორმა, – მხოლოდ ასეთ დაცვას შეუძლია უსაზღვრო ძალუფლების წყურვილს გაუმკლავდეს! მიუხედავად მრავალი ცდუნებისა, მიუხედავად იმ ტანჯვისა, რაც გადაიტანე და რასაც გაუძელი, გული შეუბღალავი დაგრჩა, ისეთივე უბიწო, როგორიც თერთმეტი წლისას გქონდა, როცა სილივრუს სარკეში ჩაიხედე. სარკემ მხოლოდ და მხოლოდ ლორდი ვოლდემორის დამხობის გზა გიჩვენა და არა უკვდავება ან სიმდიდრე. ჰარი, გაქვს კი წარმოდგენა, რა ცოტა ჯადოქარს დაუნახავს ის, რაც შენ ნახე სარკეში? ვოლდემორი მაშინვე უნდა მიმხვდარიყო, ვისთან ჰქონდა საქმე, მაგრამ ვერ მიხვდა! ახლა კი ხვდება. შენ ისე ჩაიხედე ვოლდემორის გონებაში,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ ზიანი არ მოგდგომია, აი, მას კი არ ძალუძს, ისე დაგეუფლოს, რომ მტანჯველმა ტკივილმა არ მოიცვას. ამას სამინისტროში მიხვდა. არა მგონია, ბოლომდე აცნობიერებდეს, რატომაა ასე, ჰარი, მაგრამ მან ისე იჩქარა თავისი სულის დამახინჯება, ერთხელაც არ დაფიქრებულა, რა შეუდარებელ ძალას ფლობს წაუბილწავი და მთლიანი სული.

– მაგრამ, სერ, – ჰარიმ თავს ძალა დაატანა, რომ შედავებასავით არ გამოსვლოდა, – ამ ყველაფერს ხომ მაინც ერთ დასკვნამდე მივყავართ? ან მე უნდა ვცადო მისი მოკვლა, ან...

– უნდა? – ჩაეკითხა დამბლდორი, – რასაკვირველია, უნდა სცადო! მაგრამ არა წინასწარმეტყველების გამო! არამედ იმიტომ, რომ შენ თვითონ ვერასდროს მოისვენებ, სანამ ამას არ იზამ! ეს ორივემ ვიცით! გთხოვ, წუთით წარმოიდგინო, რომ წინასწარმეტყველება არასდროს გაგიგია! რას იგრძნობდი ვოლდემორის მიმართ ახლა? დაფიქრდი!

ჰარიმ თვალი გააყოლა დამბლდორს, რომელიც მის წინ ბოლთას სცემდა და დაფიქრდა. გაიხსენა დედა, მამა და სირიუსი. გაიხსენა სედრიკ დიგორი. გაიხსენა ყველა ის საშინელება, რაც ლორდმა ვოლდემორმა ჩაიდინა. მკერდში ცეცხლი აუგიზგიზდა და გული ყელში მოებჯინა.

– მის მოკვლას ვისურვებდი, სერ, – თქვა ხმადაბლა, – მისი მოკვლა მაინც მენდომებოდა!

– რა თქმა უნდა! – შესძახა დამბლდორმა, – ხომ ხედავ, წინასწარმეტყველება არაფერს გაიძულებს! უბრალოდ, წინასწარმეტყველების მიზეზით ვოლდემორმა აგირჩია, როგორც თანასწორი... სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შენ შეგიძლია, ყურადღება არ მიაქციო წინასწარმეტყველებას, მაგრამ ვოლდემორს კვლავაც სჯერა მისი. ის არ მოიშლის შენზე ნადირობას... რაც ნათელს ხდის, რომ...

– ერთ-ერთ ჩვენგანს ბოლოს მაინც მოუწევს მეორის მოკვლა, – დაასრულა ჰარიმ, – გასაგებია.

და, აი, ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რასაც გულისხმობდა დამბლდორი: ერთია, არენაზე ძალით გაგათრიონ სიკვდილთან შესახვედრად, და სულ სხვაა, შენი ფეხით გახვიდე თავაწეული და უშიშარი. ზოგმა, შეიძლება თქვას, რომ ამ ორ ვარიანტს შორის დიდი განსხვავება არ არის, მაგრამ დამბლდორმა იცოდა... „და მეც ვიცი, – საოცარი სიამაყით გაიფიქრა ჰარიმ, – ჩემმა მშობლებმაც იცოდნენ, რომ სწორედ ამ განსხვავებაშია მთელი აზრი“.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

# თავი ოცდამეოთხე

# სეკუმსემპრა

დაღლილ-დაქანცულმა, მაგრამ თავისი წარმატებით ფრთაშესხმულმა ჰარიმ მეორე დილით, შელოცვების გაკვეთილზე ყველაფერი დაწვრილებით უამბო რონსა და ჰერმიონს (მაგრამ ჯერ, რა თქმა უნდა, მათ სიახლოვეს მსხდომთ მუფლიატოს ჯადო მოუვლინა). როცა გაიგეს, რა მოხერხებულად დასტყუა ჰარიმ სლაგჰორნს მოგონება, მეგობრებმა აღტაცება ვერ დამალეს, სამაგიეროდ, გვარიანად დაფრთხნენ, როცა გაიგეს ვოლდემორის ჰორკრუქსებისა და დამბლდორის დაპირების შესახებ, რომ მორიგ ჰორკრუქსს იპოვიდა თუ არა, მის გასანადგურებლად ჰარისაც წაიყვანდა.

– ვა�ა, – აღმოხდა რონს, როცა ჰარიმ მოყოლა დაასრულა და ჯოხი ალალბედზე აიქნია ჭერისაკენ, – წარმოგიდგენია? დამბლდორთან ერთად წახვალ... და ერთად შეეცდებით, გაანადგუროთ... ვააა...

– რონ, შენი წყალობით, თავზე გვათოვს, – მოთმინებით შენიშნა ჰერმიონმა, მეგობარს მაჯაში ხელი ჩაავლო და ჯადოსნური ჯოხი დაბლა დააწევინა. ჭერიდან, მართლაც, მსხვილ თეთრ ფანტელებს დაეწყო ცვენა. ჰარიმ შეამჩნია, რომ მეზობელი მერხიდან ლევენდერ ბრაუნმა ჩაწითლებული თვალების ბრიალით გადმოხედა მეტოქეს და ჰერმიონმაც უმალ გაუშვა ხელი რონის მაჯას.

– უი, ჰო, – რონმა გაოცებით დაიხედა მხრებზე, – უკაცრავად... კაცს ეგონება, რომ სამივეს საშინელი ქერტლი გვაქვს. – რონმა ხელოვნური თოვლი ჰერმიონს მხრიდან გადაუფერთხა. ლევენდერს ცრემლები წასკდა. რონმა დამნაშავის გამომეტყველება მიიღო და გოგონას ზურგი აქცია.

– წუხელ დავშორდით, – ცალყბად გადაულაპარაკა ჰარის, – როცა მე და ჰერმიონი საძინებლიდან ერთად გამოსული გვნახა, საშინელი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სკანდალი მოაწყო. ბუნებრივია, შენ ვერ შეგნიშნავდა და დაასკვნა, რომ იქ მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით.

– როგორც გატყობ, არ გწყინს, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა, არა? – ჰკითხა ჰარიმ.

– არა, – გამოტყდა რონი, – მისი ყვირილის ატანა უკვე აღარ შემეძლო. თანაც კარგად გამოვიდა, რომ მე არ მომიხდა ურთიერთობის გაწყვეტა.

– ლაჩარო, – დასცინა ჰერმიონმა და საკმაოდ მხიარულად დასძინა: – მოკლედ, ეს ღამე რომანტიკისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ჯინი და დინიც დაშორდნენ, ჰარი.

ჰარის მოეჩვენა, რომ ამ სიტყვებზე ჰერმიონმა ისე შეხედა, თითქოს ყველაფერი იცისო. მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ბიჭს გული სიხარულით აუფრთხიალდა? ჰარიმ, რამდენადაც შეეძლო, უტყვი სახითა და გულგრილი ხმით იკითხა:

– რატომ?

– ო, რაღაც სულელური მიზეზის გამო... ჯინი ჩიოდა, საერთო ოთახში შესვლისას გამუდმებით ხელს მაშველებდა, თითქოს, პორტრეტის ხვრელში ჩემით ვერ გადავძვრებოდიო... მაგრამ კარგა ხანია ვატყობდი, რომ მათ შორის შავმა კატამ გაირბინა.

ჰარიმ საკლასო ოთახის მეორე ბოლოში დინს გახედა. ბიჭი ძალიან დანაღვლიანებული ჩანდა.

– ეს ნამდვილად გადაუჭრელ პრობლემას შეგიქმნის, არა? – დასძინა ჰერმიონმა.

– რას გულისხმობ? – სწრაფად ჰკითხა ჰარიმ.

– ქვიდიჩის ნაკრებს, – მიუგო ჰერმიონმა, – ჯინი და დინი თუ გაიბუტნენ...

– აა, ჰო, – დამშვიდდა ჰარი.

– ფლიტვიკი მოდის, – გააფრთხილა ორივე რონმა. შელოცვების მოცუცქნული პედაგოგი მათკენ მოტუსტუსებდა, არადა ჰერმიონი ერთადერთი იყო, ვინც ძმრის ღვინოდ გადაქცევა შეძლო. მისი მინის კოლბა სავსე იყო მუქი სისხლისფერი სითხით, ხოლო ჰარისა და რონის კოლბებში ჯერაც მრუმე ყავისფერი რაღაცა იდგა.

– აბა, აბა, ბიჭებო, – საყვედურით დაიწრიპინა პროფესორმა ფლიტვიკმა, – ნაკლები ილაპარაკეთ, მეტი იმუშავეთ... აბა, კიდევ ერთხელ სცადეთ...

ჰარიმ და რონმა ერთდროულად მოიმარჯვეს ჯადოსნური ჯოხები, ყურადღება მოიკრიბეს და კოლბებს დაუმიზნეს. ჰარის ძმარი ყინულად იქცა, რონის კოლბა კი გასკდა და მაგიდა ძმრით გადაიწუწა.

– ჰოო... საშინაო დავალებად გექნებათ, – ფლიტვიკი მაგიდის


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქვემოდან გამოძვრა და ქუდიდან შუშის ნამსხვრევები ჩამოიფერთხა, – ივარჯიშეთ.

შელოცვების შემდეგ გაკვეთილი არც ერთს არ ჰქონდა, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენა იყო. გრიფინდორის საერთო ოთახისკენ სამივენი ერთად გაეშურნენ. რონს ეტყობოდა, რომ შვებით ამოისუნთქა ლევენდერთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, ჰერმიონიც გამხიარულებული ჩანდა, მაგრამ როდესაც ჰკითხეს, რატომ ილიმებიო, მხოლოდ ეს თქვა: კარგი ამინდიაო. საბედნიეროდ, ვერავინ ამჩნევდა, რა გააფთრებული ბრძოლა გაჩაღებულიყო ჰარის გულში:

ის რონის დაა.

მაგრამ მან ხომ დინი მიატოვა!

მაინც რონის დაა.

მე მისი საუკეთესო მეგობარი ვარ!

მით უარესი!

იქნებ, ჯერ დაველაპარაკო... დაგარტყამს.

იქნებ ჩემთვის სულ ერთია?

ის შენი უახლოესი მეგობარია!

ჰარიმ ვერც კი შეამჩნია, როგორ გადაძვრნენ პორტრეტის ხვრელით მზით გაბრდღვიალებულ საერთო ოთახში, ხოლო ერთად თავშეყრილი მეშვიდეკურსელებისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია, სანამ ჰერმიონმა არ შესძახა:

– ქეითი! დაბრუნდი? ხომ კარგად ხარ?

გაოცებულმა ჰარიმ ჯგუფს გადახედა: ქეითი ბელი მართლაც დაბრუნებულიყო და, მოზეიმე მეგობრებით გარშემორტყმული, სავსებით გამოჯანმრთელებული ჩანდა.

– ძალიან კარგად ვარ! – თქვა მხიარულად, – წმინდა მუნგოს კლინიკიდან ორშაბათს გამომწერეს; ორი დღე შინ, მშობლებთან გავატარე, დღეს დილით კი სკოლაში გამოვედი. ლინი, ეს წუთია, მაკლეგენსა და ბოლო მატჩზე მიყვებოდა, ჰარი...

– ჰო, – უთხრა ჰარიმ, – შენ უკვე დაგვიბრუნდი, რონიც ფორმაში ჩადგა და, ამჯერად, რეივენქლოს გაბრტყელების დიდი შანსი გვაქვს. დარწმუნებული ვარ, თასის მოპოვებასაც შევძლებთ. ქეითი, ყური მიგდე... ყელსაბამი... ახლაც ვერ იხსენებ, ვინ მოგცა?

ეს კითხვა ახლავე უნდა დაესვა. ცნობისმოყვარეობამ დროებით ჯინიც კი ამოუგდო თავიდან.

– ვერა, – სინანულით გააქნია თავი ქეითიმ, – ყველა ამას მეკითხება, მაგრამ მე წარმოდგენაც არა მაქვს. ბოლოს ის მახსოვს, რომ „სამ ცოცხში“ გოგოების ტუალეტში შევედი.

– ესე იგი, ტუალეტში ნამდვილად შეხვედი? – ჩაერია ჰერმიონი.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დანამდვილებით ვიცი, რომ კარს ხელი ვკარი და გავაღე, – უთხრა ქეითიმ, – ამიტომ მგონია, რომ ის ვინც იმპერიუსით დამწყევლა, კარს უკან უნდა ყოფილიყო დამალული. ამის შემდეგ აღარაფერი მახსოვს, სანამ ორი კვირის წინ წმინდა მუნგოს პალატაში არ მოვედი გონს. კარგი, წავედი, არ მინდა, რომ სკოლაში დაბრუნების პირველივე დღეს მაკგონაგელისგან სასჯელი დავიმსახურო...

ქეითიმ ჩანთასა და წიგნებს ხელი სტაცა და მეგობრებს დაეწია. ჰარი, რონი და ჰერმიონი კი ფანჯარასთან მაგიდას მიუსხდნენ და მის ნათქვამზე მოჰყვნენ მსჯელობას.

– ესე იგი, ტუალეტში ყელსაბამი ქალმა ან გოგონამ მისცა ქეითის, – ივარაუდა ჰერმიონმა.

– ან მან, ვინც ქალივით ან გოგონასავით გამოიყურებოდა – შეუსწორა ჰარიმ, – არ დაგავიწყდეთ, რომ ჰოგვორტსში მთელი ქვაბი მრავალწვნიანი სასმელი იყო. და ისიც ვიცით, რომ ცოტა აწაპნეს...

გონების თვალით ჰარი უკვე ხედავდა გოგონებად ქცეული კრაბებისა და გოილების აღლუმს.

– მგონი, ისევ მომიწევს ფელიქსის მოყლურწვა და მიშველე-ოთახზე მორიგი იერიშის მიტანა, – დასძინა ჰარიმ.

– და სულ ტყუილად დახარჯავ ელექსირს, – კატეგორიულად მოუჭრა ჰერმიონმა და ჩანთიდან ახლად ამოღებული „შემლოცველის მეგზური“ დახურა, – წარმატება ამჯერად ვეღარაფერს გიშველის. სლაგჰორნთან სულ სხვაგვარი სიტუაცია იყო: მისი დაყოლიების უნარი ისედაც გქონდა, უბრალოდ, ცოტათი ხელის წაკვრა დაგჭირდა. მაგრამ წარმატება ძლიერი ჯადოს გასარღვევად საკმარისი არაა. ტყუილუბრალოდ ნუ დახარჯავ დარჩენილ ელექსირს! მთელი იღბალი მაშინ დაგჭირდება, დამბლდორმა თუ თან წაგიყვანა, – ჩურჩულით დაასრულა ჰერმიონმა.

– იქნებ კიდევ დავამზადოთ ელექსირი? – ჰერმიონის ნათქვამი აინუნშიაც არ ჩააგდო, ისე შესთავაზა რონმა ჰარის – რა კარგი იქნება, ბლომად რომ მოვიმარაგოთ... აბა, წიგნში ჩაიხედე.

ჰარიმ თავისი შხამ-წამლების სახელმძღვანელო ჩანთიდან ამოაძვრინა და ფელიქს ფელიცისი მოძებნა.

– ჯანდაბა, რა რთული მოსამზადებელი ყოფილა, – ჰარიმ თვალი ჩააყოლა ინგრედიენტების სიას, – თანაც ექვსი თვე სჭირდება... დადუღება უნდა აცალო...

– რა გასაკვირია, – ამოიოხრა რონმა.

ჰარიმ ის იყო, წიგნის გადადება დააპირა, რომ ჩაკეცილი გვერდი შეამჩნია, იმ გვერდზე გადაშალა და შელოცვა „სეკტუმსემპრა“ დაინახა. ეს გვერდი ჰარიმ რამდენიმე კვირის წინ თვითონ მონიშნა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შელოცვა ჯერ არ გამოეცადა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჰერმიონის თანდასწრებით ამის გაკეთებას ერიდებოდა, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა, მაკლეგენს ზურგიდან მოულოდნელად დასხმოდა თავს.

ერთადერთი, ვისაც სკოლაში ქეითი ბელის დაბრუნება არ გახარებია, იყო ჩეიზერის პოზიციაზე მისი დროებითი შემცვლელი დინ ტომასი. თუმცა, წარბშეუხრელად გადაიტანა დარტყმა, როცა ჰარიმ შეატყობინა, გუნდში ქეითი დაბრუნდა და შენ საჭირო აღარ ხარო. დინმა პასუხად მხოლოდ რაღაც ჩაიბუზღუნა და მხრები აიჩეჩა. მაგრამ როგორც კი ჰარი შებრუნდა, იგი აღშფოთებული მიუბრუნდა სიმუსს და ორივე გაცხარებით აჩურჩულდა. ჰარის ეს არ გამოჰპარვია.

მას შემდეგ, რაც ჰარი კაპიტანი გახდა, ჯერ არ ახსოვდა, ისეთი ნაყოფიერი ვარჯიში ჩაეტარებინოს, როგორიც – მომდევნო ორი კვირის განმავლობაში. გუნდი ისეთი კმაყოფილი იყო მაკლეგენის თავიდან მოცილებით და ისე უხაროდა ქეითი ბელის დაბრუნება, რომ ყველა უზადოდ დაფრინავდა.

დინთან დაშორების გამო ჯინი სულაც არ ჩანდა გულგატეხილი, პირიქით, გუნდის სული და გული იყო. საოცარი სიზუსტით აჯავრებდა ქუაფლის ასაღებად გოლპოსტების წინ აღელვებული რონის აღმა-დაღმა ქროლას, არც ჰარის ინდობდა: არაჩვეულებრივად ასახიერებდა, როგორ დაულრიალა ჰარიმ მაკლეგენს, სანამ ბლაჯერი გათიშავდა, და მთელ ნაკრებს სიცილით ხოცავდა. ჰარი სხვებთან ერთად იცინოდა და უხაროდა, რომ ჯინის ცქერის უწყინარი მიზეზი მიეცა. სამაგიეროდ, ვარჯიშისას კიდევ რამდენჯერმე გაუქანეს ბლაჯერი, რადგან ყურადღება ეფანტებოდა და სნიჩს გაფაციცებული არ ეძებდა.

გულში ისევ ომი ჰქონდა გაჩაღებული: ჯინი თუ რონი? ზოგჯერ ფიქრობდა, იქნებ პოსტლევენდერისეული რონი ისეთი წინააღმდეგი აღარ იყოს, ჯინი პაემანზე რომ დავპატიჟოო, მაგრამ შემდეგ ახსენდებოდა რონის სახის გამომეტყველება, როცა დას დინთან კოცნისას შეუსწრო, და ისევ რწმუნდებოდა, რომ ჯინისათვის ხელიც რომ ჩაეკიდა, რონი ამას საშინელ მუხანათობაში ჩამოართმევდა...

სინდისის ქენჯნის მიუხედავად, ჰარი თავს ვერ ერეოდა: ჯინისთან საუბრობდა, მასთან ერთად იცინოდა; ვარჯიშიდან მასთან ერთად ბრუნდებოდა, ეს კი არა, ცდილობდა, გოგონა როგორმე მარტო მოეხელთებინა: ჩინებული იქნებოდა, სლაგჰორნს თავისებურად ერთი მცირე წვეულებაც რომ გაემართა, რადგან იქ რონი არ იტრიალებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩანდა, სლაგჰორნს


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წვეულებების გამართვის სურვილი დაეკარგა. ერთი-ორჯერ ჰარიმ დააპირა, ჰერმიონისათვის დახმარება ეთხოვა, მაგრამ იცოდა, რომ მის სახეზე თვითკმაყოფილი იერის დანახვას ვერ აიტანდა. დროდადრო, როცა ჰარი ჯინის მიაშტერდებოდა ან მის ხუმრობებზე იცინოდა, ჰერმიონის დაჟინებულ მზერას გრძნობდა. საქმეს კი ის ართულებდა, რომ ჰარის არ ასვენებდა იმაზე დარდი, დაუყოვნებლივ თუ არ ვიმოქმედებ, სხვა დამასწრებსო: სხვა თუ არაფერი, ის და რონი ერთ რამეზე მაინც შეთანხმდნენ: ჯინი სკოლაში ძალიან პოპულარული იყო.

მოკლედ, დღითი დღე იზრდებოდა ცდუნება, ფელიქს ფელიცისის კიდევ ერთი ყლუპი შეესვა, რადგან ეს სწორედ ის შემთხვევა იყო, რომელიც, ჰერმიონის თქმისა არ იყოს, „ხელის წაკვრას საჭიროებდა“. მაისის მზიანი, მშვიდი დღეები უშფოთველად მიედინებოდა. რონი იმწამსვე ჰარის გვერდით ჩნდებოდა, როგორც კი ბიჭი ჯინის მოჰკრავდა თვალს. ჰარი უკვე ნატრობდა, ეგებ მოხდეს სასწაული და რონმა უეცრად დაასკვნას, რომ ისე არაფერი გააბედნიერებს, როგორც მისი საუკეთესო მეგობრისა და დის სიყვარული, და ორიოდე წუთით მაინც დაგვტოვოს მარტონიო. მაგრამ ამას ასრულება არ ეწერა, რადგან ქვიდიჩის ფინალური მატჩი საავდრო ღრუბელივით ჩამოწოლილიყო და რონსაც ჰარისთან გამუდმებით თამაშის ტაქტიკაზე საუბარი სურდა და სხვა აღარაფრისთვის სცხელოდა.

რონი გამონაკლისი არ იყო: გრიფინდორ-რეივენქლოს მატჩის მიმართ ინტერესი მთელ სკოლაში უზომოდ იზრდებოდა, რადგანაც სწორედ ამ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა ჩემპიონის ბედი. გრიფინდორი რეივენქლოს თუ სამასი ქულის სხვაობით დაამარცხებდა (რაც ურთულესი ამოცანა იყო), მაშინ ჩემპიონატს მოიგებდნენ. მაგრამ სამას ქულაზე ნაკლები უპირატესობით თუ მოიგებდნენ, რეივენქლოს შემდეგ მეორე ადგილს დაიკავებდნენ; ასი ქულით წაგების შემთხვევაში კი ჰაფლეპაფი გაუსწრებდათ და მესამე ადგილზე იქნებოდნენ; ხოლო ას ქულაზე მეტით თუ წააგებდნენ, ბოლო ადგილზე გადაინაცვლებდნენ. ჰარის აზრით, არავინ აპატიებდა, რომ სწორედ მისი კაპიტნობისას გრიფინდორს ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში პირველად ეწვნია მწარე მარცხი.

ამ გადამწყვეტი შეხვედრისათვის მზადებას ჩვეული გვერდითი მოვლენები ახლდა: მეტოქე კლუბების წევრები სკოლის დერეფნებში მოწინააღმდეგე ნაკრების მოთამაშეებს შეურაცხყოფდნენ, მათ გვერდით ჩავლისას მათზევე შეთხზულ დამცინავ სიმღერებს მღეროდნენ. გუნდის წევრებიც ან ყურადღებით განებივრებულნი იბღინძებოდნენ, ან შესვენებებზე ტუალეტებში შერბოდნენ და აღე-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბინებდნენ. რატომღაც ჰარიმ ეს თამაში ჯინისთან ურთიერთობის ჩამოყალიბებას უშუალოდ დაუკავშირა. თავისდა უნებურად ფიქრობდა, რომ სამასზე მეტი ქულით მოგების შემთხვევაში, ეიფორია და გამარჯვების აღსანიშნავი ხმაურიანი წვეულება ფელიქს ფელიციისის დიდი ყლუპის ტოლფასი იქნებოდა.

ამ გახურებულ სამზადისში მყოფ ჰარის მაინც არ დავიწყებია მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი: გაერკვია, რისთვის იყენებდა მალფოი მიშველე-ოთახს. ჰარი კვლავ და კვლავ ამოწმებდა ონავართა რუკას და რადგანაც მასზე მალფოი ხშირად არ ჩანდა, დაასკვნა, დროის უმეტეს ნაწილს, ალბათ, ისევ მიშველე-ოთახში ატარებსო. მიუხედავად იმისა, რომ ჰარი უკვე კარგავდა ოთახში შეღწევის იმედს, რამდენჯერაც შორიახლოს აღმოჩნდებოდა, ცდას მაინც არ აკლებდა. მაგრამ როგორც უნდა ჩამოეყალიბებინა სათხოვარი, კედელი მაინც ჯიუტად უკარო რჩებოდა.

რეივენქლოსთან მატჩის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ნასადილევს, ჰარი მარტო გაემართა საერთო ოთახისაკენ. რონი ის იყო, უახლოეს ტუალეტში შევარდა გულის ასარევად, ჰერმიონი კი პროფესორ ვექტორის სანახავად გაქანდა, რადგან შიშობდა, რომ არითმანტიის თემაში შეცდომა ჰქონდა დაშვებული. ჰარიმ უფრო ძვალ-რბილში გამჯდარი ჩვეულების გამო, ვიდრე სხვა მიზეზით, გზა გაიმრუდა და მერვე სართულის დერეფანში შეიარა, თან გზადაგზა ონავართა რუკას ათვალიერებდა. მალფოი ჯერ ვერსად ნახა, და დაასკვნა, ალბათ, ისევ მიშველე-ოთახშიაო, მაგრამ შემდეგ ქვედა სართულზე ბიჭების საპირფარეშოში პაწაწკინტელა ლაქა შენიშნა, რომელსაც ქვეშ მალფოის სახელი ჰქონდა მიწერილი, და მას არა კრაბი ან გოილი, არამედ მირტლი ახლდა.

ჰარი ამ უჩვეულო წყვილს გაოგნებული დააშტერდა და რკინის საჭურველს შეასკდა. გამაყრუებელმა ჭახანმა გამოაფხიზლა და იმ ადგილს თავქუდმოგლეჯილი გაეცალა, ფილჩი არ წამადგეს თავზეო, მარმარილოს კიბეზე ჩაირბინა და ქვედა სართულის დერეფანში შევარდა. საპირფარეშოს რომ გაუსწორდა, გაჩერდა და კარს ყური მიადო, მაგრამ ვერაფერი გაიგონა, ამიტომ ძალიან ფრთხილად მიაწვა კარს და ოდნავ შეაღო.

კარისაკენ ზურგშექცევით დრაკო მალფოი იდგა, ორივე ხელით ნიჟარას დაყრდნობოდა და მოვერცხლისფრო-ქერათმიანი თავი დაეხარა.

– არა, – ერთ-ერთი კაბინიდან გაისმა მტირალა მირტლის გულში ჩამწვდომი ხმა, – არა... მითხარი, რა გჭირს... იქნებ დაგეხმარო...

– მე ვერავინ დამეხმარება, – მალფოი მთელი ტანით კანკალებდა,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ამას ვერ ვიზამ... არ შემიძლია... არაფერი გამოვა... არადა, დროზე თუ არ გავაკეთებ ამას... მემუქრება, მოგკლავო...

და ჰარი ახლაღა მიხვდა, რომ მალფოი ტიროდა. ამან ისეთი თავზარი დასცა, ადგილს მიეყინა. მალფოი მართლა ტიროდა, ფერმკრთალ სახეზე ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა და დაჟანგულ ნიჟარაში ეწვეთებოდა. მალფოიმ დაიგმინა, ჰაერი შეისუნთქა, შემდეგ ურჟოლით ჩაიხედა გაბზარულ სარკეში და ზურგს უკან მდგარი ჰარი დაინახა.

გაცოფებული მალფოი ქუსლებზე შეტრიალდა და ჯადოსნური ჯოხი ამოიღო. ჰარიმაც ინსტინქტურად დააძრო თავისი ჯოხი. მალფოის გათვალვა ჰარის სანტიმეტრში ასცდა, კედელს მოხვდა და ბრა ნამსხვრევებად აქცია. ჰარი განზე გახტა, „ლევიკორპუს"! – გაიფიქრა და ჯადოსნური ჯოხი მალფოის დაუმიზნა, მაგრამ მალფოიმ შელოცვა დაბლოკა და ჯადოსნური ჯოხი კვლავ აღმართა.

– არა! არა! შეწყვიტეთ! – ქვით მოპირკეთებულ ოთახში მტირალა მირტლის ხმა ექოდ გაისმა, – შეწყვიტეთ! შეჩერდით!

ჰარის უკან სანაგვე ურნა გამაყრუებელი ზათქით აფეთქდა. ჰარიმ ფეხების შემკვრელი ჯადო სცადა, მაგრამ ჯადომ მალფოის ყურთან გაუწუილა, კედელზე ასხლტა და მტირალა მირტლის ქვეშ ბაკი დაამსხვრია. მირტლმა გამაყრუებლად იკივლა. იატაკი წყალმა დაფარა, ჰარის ფეხი მოუცურდა და ძირს დაეცა. სახეშეშლილმა მალფოიმ კი შესძახა:

– კრუცი...

– სეკტუმსემპრა! – დაიღრიალა იატაკზე გაშოტილმა ჰარიმ და გამწარებულმა მოიქნია ჯადოსნური ჯოხი.

მალფოის სახიდან და მკერდიდან სისხლმა ისე იფეთქა, თითქოს უხილავი ხანჯალი გაუყარესო. მერე დაბარბაცდა და ხმამაღალი ტყლაშუნით ზურგით დაენარცხა დატბორილ იატაკზე. ჯადოსნური ჯოხი მოდუნებული მარჯვენა ხელიდან გაუვარდა.

– არა, – დაიგმინა ჰარიმ.

სხლტომა-სრიალითა და ბარბაცით ადგა და მალფოის მივარდა. მალფოის სახე ალისფრად ულაპლაპებდა, ფერწასული ხელები სისხლით დაფარულ მკერდზე მიეკრა.

– არა, მე არ...

ჰარიმ თვითონაც არ იცოდა, რას ლუღლუღებდა. მუხლებზე დაემხო მალფოის გვერდით, რომელიც თავისივე სისხლის გუბეში ცურავდა და მთელი ტანით კანკალებდა. მტირალა მირტლმა ყურისწამღები კივილი გააბა:

– მკვლელობა! მკვლელობა სააბაზანოში! მკვლელობა!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტუალეტის კარი ვიღაცამ შემოგლიჯა. ჰარიმ თავი ასწია და გული გაუსკდა: ოთახში სახეწაშლილი სნეიპი შემოვარდა, ჰარი უხეშად გასწია გვერდზე, მალფოისკენ დაიხარა, ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და ჰარის წყევლისგან გაჩენილ ღრმა ჭრილობაზე გადაატარა, თანაც სიმღერასავით წაიღიღინა რაღაც შელოცვა. სისხლის დენამ შესამჩნევად იკლო. სნეიპმა მალფოის სახეზე დარჩენილი სისხლი მოსწმინდა და შელოცვა გაიმეორა. ჭრილობებმა შეხორცება დაიწყო.

თავისი საქციელით შეძრწუნებული ჰარი იდგა და ამ სცენას გაოგნებული მიშტერებოდა. ვერც კი გრძნობდა, რომ თვითონაც გალუმპული იყო წყლითა და სისხლით. მტირალა მირტლი ისევ მოთქვამდა და გოდებდა. სნეიპმა მესამედაც შეასრულა კონტრშელოცვა, მალფოის დასწვდა და ფეხზე წამოაყენა.

– საავადმყოფო ფლიგელი გესაჭიროებათ. შესაძლოა, ნაიარევები ალაგ-ალაგ დაგრჩეთ, მაგრამ თეთრ იფანს ახლავე თუ მიიღებთ, შეიძლება, ესეც ავირიდოთ თავიდან... წამოდით...

სნეიპი მალფოის მხარში შეუდგა და კარისაკენ წაიყვანა. კართან შემოტრიალდა და ცივი მრისხანებით აღსავსე ხმით ბრძანა:

– თქვენ კი, პოტერ... აქ დამელოდეთ.

ჰარის წამითაც არ მოსვლია აზრად, ბრძანებას არ დამორჩილებოდა. ცახცახით, გაჭირვებით წამოდგა და სველ იატაკს დახედა. წყლის ზედაპირზე მეწამული დუმფარებივით ტივტივებდა სისხლის ლაქები. ჰარიმ ისიც კი ვერ მოიფიქრა, მირტლი გაეჩუმებინა, რომელიც გამწარებული კიოდა და გოდებდა.

სნეიპი ათ წუთში დაბრუნდა. სააბაზანოში შემოაბიჯა და ზურგს უკან კარი მიხურა.

– წადი! – ცივად უბრძანა მტირალა მირტლს. მირტლი მყისვე უნიტაზში გადაეშვა და ოთახში მოგუგუნე სიჩუმე დატოვა.

– მალფოისთვის ტკივილის მიყენება არ მინდოდა, – მაშინვე იმართლა თავი ჰარიმ. მისი ხმა ცივ, წყლით გაჟღენთილ სივრცეში ექოდ გახმიანდა, – არ ვიცოდი, ეს შელოცვა რისთვის იყო განკუთვნილი.

სნეიპს თითქოს არაფერი გაუგონია.

– როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ შეგაფასეთ, პოტერ, – თქვა ხმადაბლა, – ვინ იფიქრებდა, რომ ასეთ შავ მაგიას ფლობდით? ეს შელოცვა ვინ გასწავლათ?

– მე... სადღაც წავიკითხე...

– სად?

– ისა... ბიბლიოთეკის წიგნში, – გამწარებულმა ჰარიმ ფანტაზია მოიშველია, – არ მახსოვს, რა ერქვა...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მატყუებთ, – მოუჭრა სნეიპმა. ჰარის ყელი გაუშრა. მიხვდა, რასაც აპირებდა სნეიპი, არადა, ყოველთვის უძლური იყო, სნეიპის ლეგილიმენციისათვის ხელი შეეშალა.

სააბაზანო თვალწინ აუციმციმდა. მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, რომ ყველა ფიქრი დაეხშო, მაგრამ „ურთულესი შხამ-წამლების“ ნახევარპრინცისეული ეგზემპლარი მაინც თვალწინ ედგა...

და, აი, ისევ სნეიპს შეჰყურებს ამ მილეწილ-მოლეწილ, დატბორილ ტუალეტში. სნეიპს შავ თვალებში ჩახედა და გაიფიქრა, ნეტავ, ხომ არ დაინახა ის, რისიც მეშინიაო, მაგრამ...

– თქვენი ჩანთა მომიტანეთ, – შემპარავად უთხრა სნეიპმა, – და თქვენი ყველა სასკოლო სახელმძღვანელო. ყველა! აქ მომიტანეთ. სწრაფად!

შეკამათებას აზრი არა ჰქონდა. ჰარი მაშინვე შებრუნდა და სააბაზანოდან ჭყაპაჭყუპით გავიდა. როგორც კი დერეფანში აღმოჩნდა, სირბილით გაეშურა გრიფინდორის კოშკისაკენ. გზად შემხვედრნი პირდაღებულები აყოლებდნენ თვალს თავით ფეხამდე გაწუწულსა და სისხლში მოთხვრილ ჰარის და კითხვებს აყრიდნენ, მაგრამ ბიჭს არავისთვის გაუცია პასუხი. დარეტიანებული იყო, თითქოს თავს მეხი დაატყდაო. რას ფიქრობდა პრინცი, ასეთი შელოცვა რომ ჩაწერა თავის წიგნში? და რა მოხდებოდა, სნეიპი თუ ნახავდა ამას? ნუთუ აცნობებდა სლაგჰორნს, – ამის გაფიქრებაზე ჰარის გული გადაუქანდა, – როგორ აღწევდა ჰარი ასეთ კარგ შედეგს შხამ-წამლებში მთელი წლის განმავლობაში? ვაითუ ჩამოართვას და გაანადგუროს წიგნი, რომელმაც ჰარის ამდენი რამ ასწავლა, და რომელიც მისი მეგზური და მეგობარი გახდა? ჰარი ამას არ დაუშვებდა... არ შეეძლო...

– ჰარი, სად იყავი? რატომ ხარ გალუმპული? ეს რა, სისხლია? – შესძახა ჰარის დანახვაზე გაოგნებულმა რონმა.

– შენი წიგნი მჭირდება, – ძლივს ამოთქვა ჰარიმ, – შენი შხამ-წამლების სახელმძღვანელო. ჩქარა... მომეცი...

– მერე, ნახევარპრინცის...

– სხვა დროს აგიხსნი!

რონმა ჩანთიდან თავისი „ურთულესი შხამ-წამლების“ სახელმძღვანელო ამოაძვრინა და მეგობარს გაუწოდა. ჰარიმ ხელი სტაცა თავის ჩანთას, ვახშმიდან დაბრუნებულ რამდენიმე გაოცებულ მოსწავლეს გვერდით ჩაურბინა, პორტრეტის ხვრელში გაძვრა და მერვე სართულის დერეფნისაკენ მოკურცხლა.

მოცეკვავე ტროლების გობელენთან შედგა, თვალები დახუჭა და ლაპარაკს მოჰყვა:

„მჭირდება ისეთი ადგილი, სადაც ჩემს წიგნს დავმალავ... მჭირდ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ება ისეთი ადგილი, სადაც ჩემს წიგნს დავმალავ... მჭირდება ისეთი ადგილი, სადაც ჩემს წიგნს დავმალავ...“

უსახურ კედელს სამჯერ აუარ-ჩაუარა. თვალი რომ გაახილა, როგორც იქნა, მიშველე-ოთახის კარი დაინახა. ჰარი სასაწრაფოდ ოთახში შევარდა და კარი მიაჯახუნა.

ოთახში შესვლისთანავე გაოცებისგან სუნთქვა შეეკრა. მიუხედავად იმისა, რომ ჩქარობდა, პანიკაში იყო ჩავარდნილი და ეშინოდა, არ იცოდა, რა მოელოდა ტუალეტში დაბრუნებულს, ნანახმა მაინც თავზარი დასცა. უზარმაზარ ოთახში იდგა, მაღალი ფანჯრებიდან შემოსული სინათლე ეფინებოდა სანახაობას, რაც მაღალი კედლებისგან შემდგარ ქალაქს წააგავდა. ეს კედლები, როგორც ჰარიმ დაასკვნა, ჰოგვორტსის ბინადართა მრავალი თაობის მიერ დამალული ნივთებისაგან იყო აგებული. გზებსა და შუკებს დამტვრეული და დაზიანებული ავეჯის მოყანყალე გროვები ემიჯნებოდა, რომლებიც, ალბათ, ჩაფლავებული ჯადოქრობის მისაჩქმალად გადაემალათ და აქ შემოეტენათ, ანდა ციხე-კოშკის იერსახეზე მზრუნველ ელფებს მოერიდებინათ გარეშე თვალისათვის. აქ იყო ათასობით აკრძალული, დაჯღაბნილი ან მოპარული წიგნი. აქ იყო ფრთიანი კატაპულტები და ეშვიანი მფრინავი თეფშები, ზოგს იმის ძალაც კი შერჩენოდა, რომ აკრძალული ნივთების მთების თავზე ზანტად ეფარფატა. აქ იყო შედედებული შხამ-წამლების დამტვრეული ბოთლები, ქუდები, სამკაულები, მანტიები, დრაკონის კვერცხის ნაჭუჭის მსგავსი რაღაცა, საცობიანი კოლბები, რომელთა შიგთავსიც ჯერაც ავად ციმციმებდა, რამდენიმე დაჟანგული ხმალი და სისხლით დალაქავებული მძიმე ცული.

ჰარი ამ მიმალულ საგანძურს შორის გამავალი უამრავი შუკიდან ერთ-ერთს გაუყვა. ვეება ტროლის ფიტულს ჩაუარა და მარჯვნივ, დამტვრეულ გაუჩინარების კარადასთან შეუხვია, რომელშიც გასულ წელს მონტეგიუ დაიკარგა. ბოლოს ერთ უშველებელ განჯინასთან შედგა. როგორც ჩანდა, განჯინაზე მჟავა დასხმოდათ და ზედაპირზე ისეთი ბუშტუკები მოსდებოდა, თითქოს ბებერები ასხდა. ჰარიმ განჯინის ერთ-ერთი ჭრიალა კარი გამოაღო. განჯინაში უკვე დაემალათ გალია, რომელშიც რაღაცა ხუთფეხა არსებას დიდი ხნის წინ ამოხდომოდა სული და მისგან ჩონჩხიღა დარჩენილიყო. ჰარიმ ნახევარპრინცის წიგნი გალიის უკან შეტენა და კარი მიაჯახუნა. გულაძგერებული წამით შეყოვნდა და ამ ქაოსს თვალი მოავლო... იპოვის კი ამავე ადგილს ამდენ ხარახურაში? ჰარიმ ხელი სტაცა იქვე, შორიახლოს, ყუთზე შემოსკუპებულ მახინჯი, გადაღრძუებული ჯადოქრის გვერდჩამოტეხილ ბიუსტს, იმ განჯინაზე დადგა, რომელშიც წიგნი დამალა, და ზედ დამტვერილი ძველისძველი პარი-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კი და გაქუცული დიადემა დაახურა, რომ უფრო თვალშისაცემი გაეხადა. ყველაფერს რომ მორჩა, დამალულ ნაყარნუყარს შორის გაჭრილი შუკები გაირბინა და დერეფანში გავარდა. ზურგს უკან კარი მიაჯახუნა თუ არა, მიშველე-ოთახის შესასვლელი იმწამსვე კვლავ ქვის კედლად იქცა.

ჰარი პირდაპირ ქვედა სართულზე მდებარე ტუალეტისაკენ გაიქცა, გზადაგზა რონის „ურთულესი შხამ-წამლები“ ჩანთაში ჩატენა. წუთიც და, სნეიპის წინ იდგა. სნეიპმა უსიტყვოდ გაუწოდა ხელი ჰარის და ჩანთა ჩამოართვა. გულამოვარდნილმა ჰარიმ ჩანთა გადასცა და გაისუსა.

სნეიპმა სათითაოდ ამოიღო ჰარის წიგნები და გადაათვალიერა. ბოლოს შხამ-წამლების სახელმძღვანელო დარჩა. სნეიპმა ჯერ ყურადღებით დახედა წიგნს და შემდეგ იკითხა:

– ეს თქვენი კუთვნილი „ურთულესი შხამ-წამლებია“, პოტერ?

– დიახ, – მიუგო ჰარიმ, რომელიც ჯერაც მძიმედ სუნთქავდა.

– დარწმუნებული ხართ, პოტერ?

– დიახ, – ოდნავ უფრო გამომწვევად უპასუხა ჰარიმ.

– ეს „ურთულესი შხამ-წამლების“ სწორედ ის ეგზემპლარია, რომელიც „ფლორიშ ენდ ბლოტსიდან“ გამოიწერეთ?

– დიახ, – მტკიცედ განუცხადა ჰარიმ.

– მაშინ, რატომაა მის პირველ გვერდზე წაწერილი სახელი „რუნილ ვაზლიბი“?

ჰარის კინაღამ გული გაუჩერდა.

– ეს ჩემი მეტსახელია.

– თქვენი მეტსახელი? – გაიმეორა სნეიპმა.

– დიახ, ასე მეძახიან მეგობრები, – განუმარტა ჰარიმ.

– მშვენივრად ვიცი, რაც არის თქვენი მეტსახელი, – მოუჭრა სნეიპმა და ცივი, შავი თვალები ჰარის გაუყარა. ჰარიმ მზერა მოარიდა. დახშე გონება... დახშე გონება... მაგრამ ამის წესიერად გაკეთება ვერა და ვერ ისწავლა...

– იცით, მე რას ვფიქრობ, პოტერ? – ძალიან ხმადაბლა თქვა სნეიპმა, – მე ვფიქრობ, რომ თქვენ მატყუარა და გაიძვერა ხართ, და ჩემგან სემესტრის ბოლომდე ყოველ შაბათს დამატებით სამუშაოს იმსახურებთ. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე, პოტერ?

– მე... მე არ გეთანხმებით, სერ, – გაბედა ჰარიმ, რომელიც სნეიპს თვალს არაფრის დიდებით არ უსწორებდა.

– კარგი, ვნახავთ, დამატებითი სასჯელის შემდეგ რა ჭკუაზე იქნებით, – დაიქადნა სნეიპმა, – შაბათს დილის ათ საათზე ჩემს კაბინეტში გელით, პოტერ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კი მაგრამ, სერ... – სასოწარკვეთით ახედა ჰარიმ, – მერე, ქვიდიჩი... შაბათს ხომ სეზონის ბოლო მატჩია...

– ათ საათზე, – დაიჩურჩულა სნეიპმა და ღიმილმა ჩაყვითლებული კბილები გამოუჩინა, – საბრალო გრიფინდორი... ვშიშობ, რომ წელს მეოთხე ადგილს უნდა დასჯერდეს...

სნეიპს მეტი აღარაფერი უთქვამს, ისე გავიდა ტუალეტიდან. ჰარი კი იდგა და გაბზარულ სარკეს მიშტერებოდა. დარწმუნებული იყო, რონს ასეთი გულისრევა ცხოვრებაში არ უგრძნიაო.

– აღარ გეტყვი, მე ხომ გაფრთხილებდი-მეთქი, – თავი გააქნია საერთო ოთახში ჰერმიონმა ერთი საათის შემდეგ.

– თავი დაანებე, რა, ჰერმიონ, – გაჯავრდა რონი.

ჰარის ვახშმობის თავი სადა ჰქონდა. მადა სულ დაეკარგა. სწორედ იმ წუთს დაასრულა რონის, ჰერმიონისა და ჯინისათვის მომხდარის მოყოლა. მაგრამ ამის საჭიროება არც იყო. ახალი ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა: როგორც ჩანდა, მირტლმა ციხე-კოშკის ყველა ტუალეტში ამოყო თავი ამბის მოსათხრობად. მალფოი უკვე მოინახულა საავადმყოფო ფლიგელში პენსი პარკინსონმა. ახლა კი დროს არ კარგავდა და ჰარის მისამართით ათასგვარ სალანძღავ სიტყვას არ იშურებდა. სნეიპმა კი პედაგოგებს მომხდარი ზუსტად და დეტალურად გადასცა. ჰარი უკვე გამოიძახეს საერთო ოთახში, სადაც პროფესორ მაკგონაგელის წინაშე გატარებულ მეტისმეტად უსიამოვნო თხუთმეტ წუთს გაუძლო. მაკგონაგელისგან მოისმინა, თურმე როგორ გაულიმა ბედმა, გარიცხვას რომ გადაურჩა, და რომ ის მთელი გულით უჭერს მხარს სნეიპის დანიშნულ სასჯელს სემესტრის ბოლომდე ყოველ შაბათს დამატებითი სამუშაოს სახით.

– ხომ გეუბნებოდი, პრინცის პიროვნებაში რაღაც იმალება-მეთქი, – თავი ველარ შეიკავა ჰერმიონმა, – და ხომ ხედავ, მართალი აღმოვჩნდი.

– მე ასე სულაც არ მგონია, – გაჯიუტდა ჰარი.

ახლა ჰერმიონის ლექციაღა აკლდა. ისედაც შავი დღე ადგა. გრიფინდორის გუნდის წევრების სახის გამომეტყველება, როცა მათ ამცნო, რომ შაბათს ვერ ითამაშებდა, ყველაზე სასტიკი სასჯელი იყო მისთვის. ჰარი ჯინის გამჭოლ მზერას გრძნობდა, მაგრამ თვალს არიდებდა. არ უნდოდა, მის სახეზე იმედგაცრუება ან საყვედური ამოეკითხა. ჯინის გამოუცხადა, შაბათს შენ მოგიწევს სიკერად თამაშიო, ჯინის კი დინი შეცვლიდა, რომელიც ჩეიზერის პოზიციაში დაუბრუნდებოდა ნაკრებს. ალბათ, გამარჯვების შემთხვევაში ჯინი და დინი მატჩისშემდგომი ზეიმისას უდავოდ შერიგდებოდნენ... ამის გაფიქრებაზე ჰარის თითქოს ყინულივით ცივი დანა გაუყარესო...



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰარი, – თავისას არ იშლიდა ჰერმიონი, – როგორ შეგიძლია, ისევ დაიცვა ეს წიგნი მას შემდეგ, რაც იმ შელოცვამ...

– კარგი, რა, ნუ მომაბეზრე თავი ამ წიგნით! – შეუღრინა ჰარიმ, – პრინცმა მხოლოდ და მხოლოდ საიდანღაც გადაიწერა ეს შელოცვა! განა ვინმეს ურჩევდა მის გამოცდას! საიდან ვიცით, იქნებ, უბრალოდ, ჩაინიშნა ის, რაც მის წინააღმდეგ გამოიყენეს!

– ყურებს არ ვუჯერებ, – გამოაცხადა ჰერმიონმა, – ნუთუ, მართლა იცავ...

– მე არ ვამართლებ იმას, რაც გავაკეთე, – სწრაფად თქვა ჰარიმ, – მე მრცხვენია ჩემი საქციელის. და არა იმიტომ, რომ სულ მცირე, ათი დამატებითი სასჯელი ავიკიდე. შენ ხომ იცი, რომ ასეთ შელოცვას არასდროს გამოვიყენებდი, საამისოდ მალფოისაც კი ვერ გავიმეტებდი. მაგრამ პრინცს ნურაფერში ადანაშაულებ. მას ის კი არ ეწერა: სცადეთ, კარგი რამეაო, – მხოლოდ თავისთვის აკეთებდა ჩანაწერებს, და არა სხვებისათვის...

ჰერმიონი გაოგნდა:

– მოიცა, შენ რა, აპირებ, იმ ოთახში დაბრუნდე...

– და წიგნი ავიღო? რა თქმა უნდა, ვაპირებ, – გაფიცხდა ჰარი, – პრინცის გარეშე ფელიქს ფელიციასს ვერასოდეს მოვიგებდი, ჰერმიონ. არც ის მეცოდინებოდა, მოწამლული რონი როგორ გადამერჩინა... არასდროს მექნებოდა...

– შხამ-წამლებში უნიჭიერესი სტუდენტის რეპუტაცია, რომელსაც არ იმსახურებ, – გაჰკენწლა ჰერმიონმა.

– თავი დაანებე, რა, ჰერმიონ! – შეუტია ჯინიმ. ჰარი ისე განცვიფრდა და ისეთი მადლიერება იგრძნო, რომ თავი ასწია – ცხადია, მალფოი მიუტევებელი წყევლის მოვლენას აპირებდა ჰარისთვის. პირიქით, უნდა გიხაროდეს, რომ ჰარიმ პასუხად რაღაც კარგი მოიფიქრა!

– რას ამბობ, რა თქმა უნდა, მიხარია, რომ ჰარი წყევლას გადაურჩა! – შესძახა აშკარად გულნატკენმა ჰერმიონმა, – მაგრამ სეკტუმსემპრას შელოცვას კარგს ვერ უწოდებ, ჯინი. შეხედე, რა მდგომარეობაში ჩააგდო ჰარი! მე კი მეგონა, იმის გათვალისწინებით, რომ ამან ქვიდიჩში თქვენი შანსები შეამცირა...

– ო, ნუ დაიწყებ იმის მტკიცებას, რომ ქვიდიჩისა რამე გაგეგება, ამით თავს მხოლოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდებ, – მოუჭრა ჯინიმ.

ჰარისა და რონს თვალები შუბლზე აუვიდათ. ჰერმიონი და ჯინი, რომლებიც ყოველთვის კარგად უგებდნენ ერთმანეთს, ახლა გულხელდაკრეფილნი ისხდნენ და განრისხებულები სხვადასხვა მხარეს


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იყურებოდნენ. რონმა შეშფოთებით გადახედა ჰარის, შემდეგ რაც ხელში მოხვდა, ის წიგნი აიტაცა და შიგ დიდი ინტერესით ჩარგო ცხვირი. ჰარი კი, პირიქით – მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, ახლა შესაფერისი დრო არ იყო, მოულოდნელად საოცრად გამხიარულდა. თუმცა მთელი საღამოს განმავლობაში არც ერთს აღარ ამოუღია ხმა.

ჰარის სიხარულმა დიდხანს არ გასტანა. ჯერ იყო და, მეორე დღეს სლიზერინელებისგან გაუსაძლისი ქილიკის ატანა მოუხდა, რომ აღარაფერი ვთქვათ გრიფინდორელთა მრისხანებაზე, რომლებსაც არაფრად ეპიტნავათ, რომ მათმა კაპიტანმა სეზონის ბოლო მატჩიდან თვითონვე აღიკვეთა თავი. შაბათს დილით ჰარი ისეთ გუნებაზე იყო, ყველაფერს დათმობდა, ოღონდაც ქვიდიჩის მოედანზე რონის, ჯინისა და დანარჩენების მხარდამხარ ჩასულიყო. მან დანანებით გააყოლა თვალი მზით გაჩახჩახებულ ეზოში მიმავალი სტუდენტების ნაკადს, რომლებიც კაშკაშა გულსაბნევებითა, ქუდებითა და შარფებით მორთულიყვნენ, და ჯურღმულის ქვის საფეხურებს ჩაუყვა. მალე შორეული ჟრიამული სრულიად მიწყდა. ჰარის გულს უკლავდა ის აზრი, რომ აქედან ვერც კომენტატორის ხმას, ვერც გულშემატკივართა ყიჟინსა და გმინვას ვერ მოჰკრავდა ყურს.

– აა, პოტერ, – თქვა სნეიპმა, როცა ბიჭმა კარზე მიუკაკუნა და შეაბიჯა უსიამოვნოდ ნაცნობ კაბინეტში, რომელიც სნეიპმა მაინც ვერ დათმო, მიუხედავად იმისა, რომ გაკვეთილების ჩატარება რამდენიმე სართულით ზევით უწევდა. ოთახში, როგორც ყოველთვის, ბინდბუნდი იდგა და კედლებზე ჩარიგებულ ნაირფერ კოლბებში უწინდებურად ტივტივებდნენ ლორწოვანი მკვდარი არსებები. მაგიდაზე, რომელიც აშკარად ჰარისათვის იყო მომზადებული, აბლაბუდით დაფარული ყუთების მთელი გროვა ავის მომასწავებლად დაეხვავებინათ. ჰარი თვალის ერთი შევლებითაც მიხვდა, რომ წინ მოსაწყენი, მძიმე და ფუჭი შრომა ელოდა.

– მისტერ ფილჩმა ვერაფრით ვერ მოიფიქრა, ვის დაავალოს ამ ძველი არქივის მოწესრიგება, – მშვიდად განმარტა სნეიპმა, – ეს სხვა წესრიგის დამრღვევთა და მათ სასჯელთა ამსახველი ოქმებია. სადაც მელანი გახუნებულია ან ფურცლები თაგვებმა დაღრღნეს, თავიდან უნდა გადაწეროთ დარღვევებიცა და სასჯელიც, თანაც აუცილებლად ანბანური რიგით დაალაგოთ და ყუთებში ჩააწყოთ. ჯადოქრობის გამოყენება გეკრძალებათ.

– გასაგებია, პროფესორო, – ბოლო ოთხ მარცვალში მთელი ზიზღი ჩააქსოვა ჰარიმ.

სნეიპს ტუჩებზე ბოროტი ღიმილი აუთამაშდა.

– შეგიძლიათ, ათას მეთორმეტე და ათას ორმოცდამეთექვსმეტე


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყუთიდან დაიწყოთ. იქ ნაცნობ სახელებსაც შეხვდებით, რამაც შეიძლება, ეს დავალება თქვენთვის უფრო საინტერესო გახადოს. აი, მაგალითად...

მან მარდად გამოაძრო ერთ-ერთი ფურცელი ყველაზე მაღლა შემოდებული ყუთიდან და წაიკითხა:

– „ჯეიმს პოტერი და სირიუს ბლექი. დაკავებულნი არიან ბერტრამ ობრიზე აკრძალული დათარსვის გამოყენების გამო. ობრის თავი ერთიორად გაეზარდა. სასჯელი – ორმაგი დამატებითი სამუშაო“, – სნეიპმა ჩაიცინა, – რა სანუგეშოა ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან აღარ არიან, მათი დიადი მიღწევების მატიანე მაინც შემორჩა...

ჰარის გულ-მუცელში ნაცნობმა მძულვარე შეგრძნებამ დაუარა. ენაზე იკბინა, რომ სნეიპს არ შეჰპასუხებოდა, მაგიდას მიუჯდა და ყუთები თავისკენ მიიწია.

როგორც ელოდა, ეს სამუშაო უსარგებლო და მოსაბეზრებელი აღმოჩნდა. თუმცა, პერიოდულად, როცა მამამისისა და სირიუსის სახელებს გადააწყდებოდა ხოლმე, გული სიხარულით შეუხტებოდა. ეს ორი სახელი ყოველთვის ერთად ხვდებოდა სხვადასხვა წვრილმან დარღვევებში. დროდადრო მათ რემუს ლუპინი და პიტერ პეტიგრიუც უერთდებოდნენ. ჰარი იწერდა და იწერდა ათასგვარ დარღვევებსა და სასჯელის ზომას და ცნობისმოყვარეობა კლავდა, ნეტავ, გარეთ რა ხდებაო. მატჩი ახლად დაწყებული იქნებოდა... ჯინი სიკერად თამაშობდა ჩოს წინააღმდეგ...

თვალი წამდაუწუმ გაურბოდა კედელზე მოწიკწიკე დიდი საათისკენ, რომელიც, თითქოს ჩვეულებრივზე ორჯერ უფრო ნელა მოძრაობდა. იქნებ სნეიპმა მოაჯადოვა, რომ ასე ეზოზინა? შეუძლებელია, ნუთუ აქ ჯერ მხოლოდ ნახევარი საათი დაჰყო? ერთი საათი... საათ-ნახევარი...

ჰარის მუცელი აუბუყბუყდა, როცა საათმა პირველის ნახევარი აჩვენა. სნეიპს იმ წუთიდან, რაც ჰარის სამუშაო მიუჩინა, ხმა არ გაუღია. ბოლოს და ბოლოს, ორის ათ წუთზე, როგორც იქნა, თავი ასწია.

– დღეისათვის საკმარისია, – თქვა ცივად, – მონიშნეთ ის ადგილი, სადაც გაჩერდით. მომავალ შაბათს ათ საათზე გააგრძელებთ.

– დიახ, სერ.

ჰარიმ დაკუჭული ფურცელი სასწრაფოდ ჩატენა ყუთში, ემანდ, სნეიპმა არ გადაიფიქროსო, და კაბინეტიდან გავარდა. ქვის კიბეებზე სულმოუთქმელად აირბინა. ყურები დაცქვიტა, იქნებ მოედნიდან ხმაური გავიგონოო, მაგრამ სრული სიჩუმე იდგა... ესე იგი, თამაში დამთავრდა...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხალხმრავალ ჰოლში წამით შეყოყმანდა და შემდეგ მარმარილოს კიბეზე ავარდა. გრიფინდორელები მოგებასაც და წაგებასაც თავიანთ საერთო ოთახში ზეიმობდნენ და დარდობდნენ.

– კუიდ აგის? – გაუბედავად უთხრა ფუშფუშა ქალბატონს პაროლი. ჯერ არ იცოდა, შიგნით რა დახვდებოდა.

სანამ გვერდზე გაიწევდა, ფუშფუშამ გაურკვეველი გამომეტყველებით უპასუხა:

– თვითონ ნახავ.

საერთო ოთახიდან აღტაცებულმა ღრიანცელმა იფეთქა. ჰარის პირი ღია დარჩა, როცა მის დანახვაზე ყველამ ყვირილი მორთო. რამდენიმე ხელი მაშინვე სწვდა და ოთახში შეათრია.

– გავიმარჯვეთ! – ყურში ჩაჰყვირა რონმა, რომელიც უცებ საიდანღაც გამოხტა და ჰარის ვერცხლის თასი აძგერა. – მოვიგეთ! ოთხას ორმოცდაათით ას ორმოცი! მოვიგეთ!

ჰარიმ მიმოიხედა, მისკენ ჯინი მორბოდა. გოგონას თვალებში მტკიცე, ცეცხლოვანი მზერა ედგა. ჰარის მივარდა და გადაეხვია. და ისე, რომ არც დაფიქრებულა, არც წინასწარ დაუგეგმავს ეს, არც იმას აუღელვებია, რომ ორმოცდაათი კაცი უყურებდა, ჰარიმ ჯინის აკოცა.

რამდენიმე გრძელი წამის შემდეგ – შეიძლება, ნახევარი საათიც გავიდა ან რამდენიმე მზიანი დღე, – ერთმანეთს მოსწყდნენ. ოთახში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ვიღაცეებმა დაუსტვინეს და ნერვიული ხითხითი ატყდა. ჰარიმ ჯინის თავზემოთ გახედა ოთახს: დინ ტომასს ხელში დამტვრეული ჭიქა ეჭირა, რომილდა ვეინს კი ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ცოტაც და, ყველაფერს დალეწავსო. ჰერმიონს სახე უბრწყინავდა, მაგრამ ჰარი თვალით რონს ეძებდა. ბოლოს იპოვა. რონს თასი ჩაებღუჯა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს თავში კეტი ჩასცხესო. წამის მეასედით ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს, შემდეგ რონმა თავი ოდნავ დაუქნია, თითქოს ეუბნებოდა: „თუ ასეა, რა გაეწყობა“.

ჰარის მკერდში ურჩხული გამარჯვებას ზეიმობდა. ჰარიმ ღიმილით შეხედა ჯინის და უსიტყვოდ მიუთითა კარზე. ეზოში ხანგრძლივი სეირნობა ელოდათ, რომლის განმავლობაშიც, თუ დრო დარჩებოდათ, მატჩზეც ისაუბრებდნენ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი ოცდამეხუთე

# ვინ მოისმინა წინასწარმეტყველება

იმ ფაქტმა, რომ ჰარი პოტერი და ჯინი უისლი შეყვარებულები იყვნენ, ბევრის ინტერესი გამოიწვია. ჭორიკანა გოგონები გამუდმებით ამ საკითხზე მსჯელობდნენ. თუმცა, ჰარის მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში არანაირი მითქმა-მოთქმა აღარ აღიზიანებდა. მით უმეტეს, რომ ამჯერად მაინც ჭორების საგანი მისი ჯერ არნახული ბედნიერება იყო, და არა „სიკვდილის მხვრელებთან“ მორიგი შეტაკება.

– კაცი იფიქრებს, რომ ხალხს საჭორაო მასალა შემოელია, – შენიშნა ჯინიმ, როცა საერთო ოთახში, იატაკზე ჰარის ფეხებს მიყრდნობილი იჯდა და „დილის მისანს“ კითხულობდა. – ამ კვირაში დემენტორთა სამი თავდასხმა მოხდა, რომილდა ვეინს კი მხოლოდ ის აინტერესებს, მკერდზე ჰიპოგრიფი მართლა გაქვს თუ არა ამოსვირინგებული.

რონი და ჰერმიონი სიცილით ჩაბჟირდნენ. ჰარიმ ყურადღება არ მიაქცია მათ.

– შენ რა უთხარი?

– მე ვუთხარი, უნგრული რქაკუდა აქვს-მეთქი, – უდარდელად გადაშალა გაზეთი ჯინიმ, – ეს უფრო ვაჟკაცურია.

– გმადლობ, – ჩაიღიმა ჰარიმ, – რონზე რაღა უთხარი, რა აქვსო?

– ჯუჯა პუფი, მაგრამ არ მითქვამს, სად.

რონმა შუბლი შეიკრა, ჰერმიონი სიცილით მოკვდა.

– ჭკუით იყავით, – თითი დაუქნია რონმა ჰარისა და ჯინის, – რაკი ნებართვა მოგეცით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ გადავიფიქრებ...

– ნებართვა მოგვეცი? – ირონიულად ჩაიცინა ჯინიმ, – კი მაგრამ, როდის აქეთ მჭირდება შენი ნებართვა? შენ თვითონ არა თქვი, მაიკლსა და დინს ისევ ჰარი მირჩევნიაო?!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, მირჩევნია, – უხალისოდ დაეთანხმა რონი, – ოღონდ, იმ პირობით, თუ ხალხში მტლაშამტლუშს არ დაიწყებთ...

– ერთი ამას უყურეთ! დაგავიწყდა, შენ და ლევენდერი გველთე-ვზებივით ერთმანეთზე გადაფსკვნილები რომ დასხმარტალებდით აქეთ-იქით? – არ ჩამორჩა ჯინი.

მაგრამ რონის ნერვებზე თამაში არ ღირდა. მით უმეტეს, რომ ივნისი იდგა და ჰარისა და ჯინის ერთად ყოფნისათვის სულ უფრო და უფრო ნაკლები დრო რჩებოდათ. ჯინის **ბუა** ახლოვდებოდა და ამიტომ, იძულებული იყო, გვიანობამდე ემეორებინა განვლილი მასალა. ერთ ასეთ საღამოს, როცა ჯინი ბიბლიოთეკაში წიგნებს ჩაუჯდა, ჰარი კი ვითომდა ჰერბოლოგიაში საშინაო დავალების შესასრულებლად საერთო ოთახის ფანჯარასთან განმარტოვდა, სინამდვილეში კი ლანჩის დროს ტბის პირას ჯინისთან ერთად გატარებული უბედნიერესი საათის გახსენებით ტკბებოდა, მასა და რონს შორის სკამზე უსიამოვნოდ მრავლისმეტყველი სახით ჰერმიონი ჩამოჯდა.

– ჰარი, შენთან ლაპარაკი მინდა.

– რასთან დაკავშირებით? – დაეჭვდა ჰარი. სწორედ წინადღეს ჰერმიონმა გვარიანად გამოლანძღა, ჯინის ნუ აცდენ, გამოცდებისთვის მომზადება აცალეო.

– ეგრეთ წოდებულ ნახევარპრინცზე.

– ისევ? – დაიგმინა ჰარიმ, – შემეშვი, რა.

ჰარიმ ველარ გაბედა მიშველე-ოთახში წიგნის დასაბრუნებლად შესვლა, შესაბამისად, შხამ-წამლებში მისმა მიღწევებმა საგრძნობლად მოიკოჭლა. სლაგჰორნი, რომელსაც ჯინი ძალიან მოსწონდა, ოხუნჯობდა, სიყვარულმა ჰარის ტვინი გამოულაყაო. ჰარი დარწმუნებული იყო, რომ სნეიპი ჯერ კიდევ არ კარგავდა პრინცის წიგნის ხელში ჩაგდების იმედს, ამიტომ მტკიცედ გადაწყვიტა, სანამ სნეიპი ფხიზლად იყო, წიგნისათვის ხელი არ ეხლო.

– არ მოგეშვები, სანამ არ მომისმენ, – შეუტია ჰერმიონმა, – ჰარი, ბოლო დროს ვცდილობდი, გამერკვია, ვისი ჰობი შეიძლება იყოს შავი მაგიის შელოცვების გამოგონება...

– ეს იმ ბიჭის ჰობი არ ყოფილა...

– ბიჭი? მერე ვინა თქვა, რომ ბიჭია?

– ამაზე ხომ უკვე შევთანხმდით, – გული მოუვიდა ჰარის, – პრინცი, ჰერმიონ, პრინცი!

– კეთილი, – სახეალეწილმა ჰერმიონმა ჯიბიდან ძველისძველი გაზეთის ნაგლეჯი ამოიღო და ჰარის მაგიდაზე ცხვირწინ დაუგდო, – შეხედე! სურათს შეხედე!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ გაქუცული ქაღალდი ხელში აიღო და დრო-ჟამისგან გაყვითლებულ ფოტოსურათს დააცქერდა. რონიც წინ გადაიხარა თვალის შესავლებად. სურათზე გაკნაჭული თხუთმეტიოდე წლის გოგონა იყო გამოსახული. ლამაზი არ იყო, ერთდროულად გაბუსხული და კუშტი ჩანდა. სქელი წარბები და გრძელი, ფერმკრთალი სახე ჰქონდა. სურათის ქვეშ სტატიის სათაური იუწყებოდა: ეილინ პრინცი, ჰოგვორტსის კენჭობანას გუნდის კაპიტანი.

– მერე რა? – ჰარიმ თვალი გადაავლო საკმაოდ მოსაწყენ სტატიას, რომელიც ერთ-ერთ სასკოლო სპორტულ შეჯიბრს აშუქებდა.

– მას ეილინ პრინცი ერქვა ჰარი! პრინცი!

ერთმანეთს შეხედეს. უცებ ჰარი მიხვდა, რას გულისხმობდა ჰერმიონი, და სიცილი წასკდა.

– შეუძლებელია!

– რაა?

– შენ გგონია, ეს გოგო ნახევარპრინცია? ო, კარგი ერთი.

– რატომაც არა? ჰარი, ჯადოქრულ სამყაროში ნამდვილი პრინცები არ არსებობენ! ეს ან შერქმეული მეტსახელია, ან ფსევდონიმი, ან ვინმეს ნამდვილი გვარი. რა არის ამაში შეუძლებელი? არა, მომისმინე! – ჰერმიონმა ხმას აუწია, რადგან ჰარიმ შეპასუხება დააპირა, – დავუშვათ, მამა ჯადოქარი ჰყავდა, გვარად პრინცი, დედა კი – მაგლი, მაშინ, ის „ნახევარპრინცი“ გამოდის, შერეულსისხლიანი პრინცი!

– ძალიან მახვილგონივრულია, ჰერმიონ...

– კი, მაგრამ მართლა ასე გამოდის! იქნებ, ამაყობდა კიდეც, ნახევრად პრინცი რომ იყო?!

– მომისმინე, ჰერმიონ. კარგად ვხვდები, რომ ის გოგონა არ არის. ვხვდები, და მორჩა.

– მთელი უბედურება ისაა, რომ, შენი აზრით, გოგო ასეთი ჭკვიანი ვერ იქნებოდა, – გაწიწმატდა ჰერმიონი.

– როგორ შეიძლება, შენთან ხუთწლიანი მეგობრობის შემდეგ ვიფიქრო, რომ გოგოები ჭკვიანები არ არიან? – ეწყინა ჰარის, – უბრალოდ, პრინცის წერის მანერა მკარნახობს, რომ უეჭველად ბიჭი უნდა იყოს. ეილინ პრინცს ამ ამბავთან არავითარი კავშირი არა აქვს. არა, მაინც სად გამოჩხრიკე ეს გაზეთი?

– ბიბლიოთეკაში, – მოსალოდნელი პასუხი გასცა ჰერმიონმა, – იქ „დილის მისნის“ ძველი ნომრების მთელი კოლექცია აქვთ. მოკლედ, მე მაინც ვეცდები, ეილინ პრინცზე რაც შეიძლება, მეტი ინფორმაცია მოვაგროვო.

– წარმატებას გისურვებ, – გაღიზიანდა ჰარი.

– გმადლობ, – მოუჭრა ჰერმიონმა, – და იცი, საიდან დავიწყებ ძებ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნას? – გამოსძახა პორტრეტის ხვრელთან მისულმა, – შხამ-წამლებში მოპოვებული ჯილდოების ძველ არქივში.

ჰარი წამით მოიღუშა, შემდეგ კი ისევ ჩამოღამებულ ცას გაუშტერა თვალი.

– ვერა და ვერ მოუნელებია, რომ შხამ-წამლებში ჯობნი, – შენიშნა რონმა და მიუბრუნდა წიგნს – „ათასი ჯადოსნური მცენარე და სოკო“.

– შენც ხომ არ თვლი სიგიჟედ იმას, რომ წიგნის დაბრუნება მინდა?

– რა თქმა უნდა, არა, – მტკიცედ მიუგო რონმა, – პრინცი გენიოსი იყო. და ბეზოარზე მისი გაკეთებული შენიშვნა რომ არა, – რონმა მრავალმნიშვნელოვნად გამოისვა ყელში თითი, – ახლა აქ არ ვიჯდებოდი! მოკლედ, იმას კი არ ვგულისხმობ, რომ გიწონებ, მალფოის რაც დამართე...

– ამაში გეთანხმები, – სასწრაფოდ კვერი დაუკრა ჰარიმ.

– მაგრამ მაინც ხომ განიკურნა. სულ მალე ფეხზე დადგება.

– ჰო, – უპასუხა ჰარიმ და ისევ იგრძნო სინდისის ქენჯნა, – სნეიპის წყალობით...

– ამ შაბათსაც გაქვს სნეიპთან დამატებითი სამუშაო? – ჰკითხა რონმა.

– კი, მომავალ შაბათსაც და იმის შემდეგ შაბათსაც, – ამოიოხრა ჰარიმ, – თანაც, სიტყვა გადამიკრა, რომ სემესტრის ბოლომდე ყველა ყუთს თუ არ მოაწესრიგებთ, გაისადაც გააგრძელებთო.

სნეიპის დამატებითი სამუშაო ჰარის სულ უფრო და უფრო აცოფებდა, რადგან ეს ოხერი სამუშაო რომ არა, შაბათის დილას სნეიპის ჯურღმულის ნაცვლად ჯინისთან ერთად გაატარებდა. სხვათა შორის, ბოლო დროს ხშირად გაჰკრავდა ხოლმე აზრი, ნეტავ, ამას სნეიპიც ხომ არ ხვდებაო, რადგან პროფესორი ბიჭს სულ უფრო დიდხანს აყოვნებდა, თანაც სარკასტულად აღნიშნავდა, რა მშვენიერი ამინდიაო.

ჰარი მწარე ფიქრებიდან ჯიმი პიკსის გამოჩენამ გამოაფხიზლა, რომელმაც პერგამენტის გრაგნილი გაუწოდა.

– გმადლობ, ჯიმი... ეეე, დამბლდორისგანაა! – აღტაცებით შესძახა, ეტრატი გაშალა და თვალი გადაავლო, – თავის კაბინეტში მიბარებს, თანაც – სასწრაფოდ!

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

– ჯანდაბა, – დაიჩურჩულა რონმა, – როგორ ფიქრობ... ნუთუ იპოვა...

– ჰოდა, ჯობია, წავიდე და გავიგო, – წამოხტა ჰარი. საერთო ოთახიდან თავქუდმოგლეჯილი გავარდა და მერვე სართულზე აირბინა, გზად არავინ შეხვედრია პოლტერგეისტი მფრინავი პივსის გარდა,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომელმაც, ჩვეულებისამებრ, ბიჭს ცარცის ნატეხები დაუშინა და ჰარის დამცავი შელოცვა ხითხითით აიცდინა. როგორც კი პივსი თვალს მიეფარა, დერეფნებში სიჩუმე ჩამოვარდა. ვახშმობის შემდეგ თითქმის ყველა მოსწავლე საერთო ოთახებში დაბრუნებულიყო.

და სწორედ ამ დროს, ანაზდად, ჰარის ყურს კივილი და ჭახანის ხმა მისწვდა. მაშინვე შედგა და ყურები ცქვიტა.

– როგორ... მიბედავთ... ვაااააი!

ხმაური ერთ-ერთი უახლოესი დერეფნიდან მოისმოდა. ჰარი იქით გაიქცა, ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა, კუთხეში შეუხვია და იატაკზე გაშოტილი პროფესორი ტრელოუნი შერჩა ხელთ. პროფესორს თავზე თავის მრავალ შალთაგან ერთ-ერთი წაეფარებინა, მის გვერდით კი ხერესის რამდენიმე დამტვრეული ბოთლი ეყარა.

– პროფესორო...

ჰარი პროფესორ ტრელოუნის მივარდა და წამოაყენა. ქალმა ხმამაღლა დაასლოკინა, სათვალეზე გადახლართული ბრჭყვიალა მძივები შეისწორა, ჰარის მკლავს დაეყრდნო და წელში გაიმართა.

– რა მოხდა, პროფესორო?

– როგორ თუ რა მოხდა! – დაიწიკვინა ქალმა, – მარტო მივსეირნობდი, ღრმად ჩაფიქრებული გარკვეულ ავბედით ნიშნებზე, რომლებიც ეს-ესაა განვჭვრიტე...

მაგრამ ჰარი აღარ უსმენდა. მან უკვე გაათვითცნობიერა, რომ, მოცეკვავე ტროლების გობელენთან იდგნენ. ესე იგი, მოპირდაპირე მხარეს...

– პროფესორო, მიშველე-ოთახში შესვლას ხომ არ ცდილობდით?

– ... წინასწარმეტყველურ ნიშნებზე, რომელთა ხილვის პატივი მერგო... რა ბრძანეთ?

ტრელოუნი რატომღაც უხერხულად შეიშმუშნა.

– მიშველე-ოთახში გინდოდათ შესვლა? – გაუმეორა ჰარიმ.

– მე... ეეე... არ მეგონა, მისი არსებობის შესახებ მოსწავლეებმაც თუ იცოდნენ...

– ყველამ არ იცის, – თქვა ჰარიმ, – მაგრამ, რა მოხდა? რატომ დაიკივლეთ? თითქოს რაღაც გეტკინათ...

– მე... ეეეე... – პროფესორმა ტრელოუნიმ, თითქოს თავს იცავსო, შალი მჭიდროდ შემოიხვია და უსაშველოდ გადიდებული თვალებით ბიჭს დააცქერდა, – მე მსურდა... ეეეე... მომეთავსებინა გარკვეული... მმმმ... პირადი ნივთები იმ ოთახში... – და ბუტბუტით დააყოლა რაღაცა „ბინძური ბრალდებების“ შესახებ.

– გასაგებია, – ჰარიმ ხერესის ბოთლებს დახედა, – მაგრამ ვერ შეხვედით და ვერ დამალეთ, არა?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეს ფაქტი ძალიან ეუცნაურა. კი მაგრამ, მისთვის ხომ გაიხსნა ოთახი, როცა ნახევარპრინცის წიგნის დამალვა სურდა?!

– შესვლით როგორ ვერ შევედი, – თვალები დაუბრიალა კედელს პროფესორმა ტრელოუნიმ, – მაგრამ იქ ვიღაც დამხვდა.

– ვიღაცა? ვინ? – ჩაეძია ჰარი, – ვინ იყო შიგნით?

– წარმოდგენა არა მაქვს, – პროფესორი ტრელოუნი ცოტა არ იყოს, შეაცბუნა ჰარის ასეთმა დაჟინებულმა ტონმა, – ოთახში შევედი და ხმა გავიგონე, რაც აქამდე არასდროს მომხდარა, არადა რამდენი წელია, ვმალავ... ანუ, ამ ოთახს ვიყენებ.

– ხმა? ვინმემ რამე თქვა?

– არ ვიცი, რამე თუ თქვა, უბრალოდ, ვიღაცამ... სიხარულის ყიჟინა დასცა, – მიუგო პროფესორმა ტრელოუნიმ.

– ყიჟინა?

– დიახ, სიხარულის ყიჟინა, – თავი დაუქნია პროფესორმა ტრელოუნიმ.

– ქალის ხმა იყო თუ კაცისა?

– გავბედავ და ვივარაუდებ, რომ კაცისა, – შეფიქრიანდა პროფესორი ტრელოუნი.

– მაშ, გახარებული ჩანდა?

– ძალიან გახარებული, – ზიზღით დაიფრუტუნა პროფესორმა ტრელოუნიმ.

– თითქოს რაღაცას ზეიმობდა?

– კი, სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა.

– და შემდეგ რა მოხდა?

– შემდეგ დავიძახე: ვინ არის აქ?

– რომ არ გეკითხათ, ისე ვერ გაარკვევდით, იქ ვინ იყო? – ჰკითხა ცოტათი გულდაწყვეტილმა ჰარიმ.

– ჩემი შინაგანი თვალი, – პროფესორმა ტრელოუნიმ ღირსების შეგრძნებით შეისწორა შალების არაერთი წყება და უამრავი მბრწყინავი მძივი, – მიპყრობილია ისეთი საკითხების მიმართ, რაც ბევრად მაღლა დგას მიწიერი სამყაროს ყიჟინა ხმებზე.

– გასაგებია, – საჩქაროდ მიუგო ჰარიმ. მან უკვე ზეპირად იცოდა პროფესორ ტრელოუნის ლექციები შინაგან თვალზე, – და გიპასუხათ ვინმემ? ვინ იყო იქ?

– არა, არ მიპასუხა. ყველაფერი კუნაპეტმა სიბნელემ მოიცვა და ისღა მახსოვს, რომ ოთახიდან უბოდიშოდ გამომისროლეს!

– არ დაგინახავთ, ვინ გამოგისროლათ? – თავი ვერ შეიკავა ჰარიმ.

– არა, არ დამინახავს. როგორც უკვე გითხარით, კუნაპეტი... – ქალი გაჩუმდა და ბიჭი ეჭვით შეათვალიერა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩემი აზრით, ეს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოთ პროფესორ დამბლდორს, – ურჩია ჰარიმ, – უნდა იცოდეს, რომ მალფოი ზეიმობს... უფრო სწორად, რომ ვიღაცამ ოთახიდან გამოგაგდოთ.

მისდა გასაკვირად, ამ წინადადებაზე პროფესორი ტრელოუნი წელში გასწორდა და ცხვირი აბზიკა.

– დირექტორმა გარკვევით მიმანიშნა, რომ ჩემი სტუმრობა არ სიამოვნებს, – თქვა ცივად, – მე კი ის ადამიანი არა ვარ, რომ ჩემი საზოგადოება თავს მოვახვიო მათ, ვინც ამას ჯეროვნად ვერ აფასებს. თუ დამბლდორს ურჩევნია, არად ჩააგდოს ის გაფრთხილება, რასაც კარტი მიჩვენებს... – მოულოდნელად, გაძვალტყავებული ხელი ბიჭს მაჯაზე შემოაჭდო, – სულ ერთსა და იმავეს, როგორც უნდა გავშალო...

და შალის ქვემოდან ერთი კარტი დიდი ამბით გამოაძრო...

– ნამეხარი კოშკი! – დაიჩურჩულა მან, – კატასტროფა, უბედურება. სიკვდილი!.. სულ უფრო ახლოვდება...

– გასაგებია, – გაიმეორა ჰარიმ, – ისე, მე მაინც ვფიქრობ, რომ დამბლდორს უნდა აცნობოთ იმ ხმის თაობაზე, და იმაზეც, რომ სიბნელე ჩამოწვა და ოთახიდან გამოგისროლეს...

– ასე გგონიათ? – პროფესორმა ტრელოუნიმ თითქოს წამით აწონ-დაწონა ეს წინადადება და ჰარიმ შეატყო: დიდად მოხიბლა იმ აზრმა, რომ თავისი პატარა თავგადასავლის თავიდან მოყოლის შესაძლებლობა ეძლეოდა.

– ახლა სწორედ მასთან მივდივარ, – არ მოეშვა ჰარი, – შეხვედრა მაქვს დანიშნული. შეგვიძლია, ერთად წავიდეთ.

– ჰოო, თუ ასეა, – გაიღიმა პროფესორმა ტრელოუნიმ. დაიხარა, ხერესის ბოთლები წამოკრიფა და უცერემონიოდ ჩაუძახა შორიახლოს, ნიშში მდგარ ვეება ლურჯ-თეთრ ვაზაში.

– ძალიან დააკლდით ჩემს გაკვეთილებს, ჰარი, – დაიწყო ემოციურად, როცა გზა ერთად განაგრძეს, – ნათელმხილველის მონაცემებით დიდად ვერ დაიკვეხნიდით... მაგრამ, სამაგიეროდ, არჩვეულებრივი ობიექტი იყავით...

ჰარიმ არაფერი უპასუხა. ყელში ამოუვიდა პროფესორ ტრელოუნის მიერ სიკვდილის დაუსრულებელი წინასწარმეტყველების ობიექტად ყოფნა.

ქალმა განაგრძო:

– ვშიშობ, რომ იმ ჯაგლაგს... უკაცრავად, კენტავრს არაფერი გაეგება კარტით მკითხაობისა. ერთხელ ვკითხე, როგორც კოლეგამ – კოლეგას, როგორც ერთმა მისანმა – მეორეს, ისიც თუ გრძნობდა მოსალოდნელი კატასტროფით გამოწვეულ შორეულ რხევებს? მაგრამ მას ეს სასაცილოდ არ ეყო. დიახ, სასაცილოდ!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხმას ისტერიულად აუწია და ჰარის ხერესის მძაფრი სუნი ეცა, თუმცა ბოთლები უკვე კარგა შორს ჩამოეტოვებინათ.

– ალბათ, იმ ჯაგლაგმა ყური მოჰკრა ჭორებს, რომ ჩემი დიდი ბებიის ნიჭი არ გამომყვა. ეს ხმები წლების წინ გამივრცელეს მოშურნეებმა. იცი, ასეთ ხალხს რას ვპასუხობ, ჰარი? დამბლდორი ამ ხნის მანძილზე ასეთ დიდებულ სკოლაში სწავლების უფლებას არ მომცემდა, ასეთ ნდობას არ გამომიცხადებდა, ჩემს შესაძლებლობებში რომ არ დარწმუნებულიყო-მეთქი!

ჰარიმ გაურკვევლად ჩაიბურტყუნა რაღაცა.

– კარგად მახსოვს ჩემი პირველი გასაუბრება დამბლდორთან, – გულამომჯდარი ხმით აგრძელებდა პროფესორი ტრელოუნი, – მასზე დიდი შთაბეჭდილება მოვახდინე, რა თქმა უნდა, უზარმაზარი შთაბეჭდილება... „ღორის თავში“ ვიყავი დროებით დაბინავებული. საშინელი ადგილია, ბაღლინჯოებითაა სავსე, მაგრამ, სამაგიეროდ, იაფია. ჰოდა, დამბლდორმა დამდო პატივი, ფუნდუკის ნომერში მინახულა და გამესაუბრა... გამოგიტყდები, თავიდან ვიფიქრე, რომ მისნობის მიმართ სკეპტიკურად იყო განწყობილი... და მახსოვს, ცოტა უცნაურადაც კი ვიგრძენი თავი – მთელი დღის მშიერი გახლდი... მაგრამ, შემდეგ...

აი, ახლა კი პირველად მიაპყრო ჰარიმ ქალს მთელი ყურადღება, რადგან იცოდა, რა მოხდა შემდეგ: პროფესორმა ტრელოუნიმ წარმოთქვა წინასწარმეტყველება, რომელმაც ბიჭის ცხოვრება მთლიანად შეცვალა: წინასწარმეტყველება მასზე და ვოლდემორზე!

– მაგრამ შემდეგ უხეშად შეგვაწყვეტინა სევერუს სნეიპმა!

– რაო?

– დიახ, დერეფანში ხმაური გავიგონეთ და კარიც შემოგლიჯეს. ზღურბლზე მოუხეშავი ბარმენი იდგა სევერუს სნეიპთან ერთად, რომელიც რაღაცას ჩმახავდა, კარი შემეშალაო, მაგრამ, მინდა გამოგიტყდე, პირადად მე უფრო ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დამბლდორთან ჩემს საუბარს აყურადებდა... ხომ გესმის, მაშინ თვითონაც ეძებდა სამუშაოს და დარწმუნებული ვარ, იმედი ჰქონდა, სასარგებლო ინფორმაციას მივიღებო! იცით, ამის შემდეგ დამბლდორმა სასწრაფოდ ამიყვანა სამუშაოზე. რისი მიზეზიც, ჰარი, ჩემი აზრით, ისაა, რომ დამბლდორმა დაინახა და შეაფასა მკვეთრი განსხვავება ჩემს მოკრძალებულ მანერებს, ჩუმ ტალანტსა და თავხედ, მეტიჩარა ახალგაზრდა კაცს შორის, რომელიც მზად იყო, ნებისმიერი კარის ჭუჭრუტანისთვის მიედო ყური... ჰარი, ძვირფასო?

ქალმა ზურგს უკან გაიხედა. ახლაღა მიხდა, რომ ბიჭი ჩამორჩა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი გაჩერებულიყო და გაფართოებული თვალებით მიშტერებოდა ტრელოუნის.

– ჰარი, – გაუბედავად გაიმეორა ქალმა.

ჰარი გაუნძრევლად იდგა. ელდამ ისე გადაუარა ტალღებად, რომ მისი გონებიდან ყველაფერი წაშალა, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელსაც ასე დიდხანს უმალავდნენ...

მაშასადამე, წინასწარმეტყველება სნეიპმა მოისმინა. სნეიპმა მიუტანა ამბავი ვოლდემორს. სნეიპმა და პიტერ პეტიგრიუმ ერთად მიუქსიეს ვოლდემორი ლილის, ჯეიმსსა და მათ ვაჟს...

იმწუთას ჰარის თვალში სხვა ყველაფერმა აზრი დაკარგა.

– ჰარი! – გაიმეორა პროფესორმა ტრელოუნიმ, – ჰარი, მე მეგონა, დირექტორი ერთად უნდა გვენახა...

– თქვენ აქ დარჩით, – ძლივს აამოძრავა გაშეშებული ტუჩები ჰარიმ.

– კი მაგრამ, ძვირფასო... ხომ უნდა მოვუყვე, როგორ დამესხნენ თავს მიშველე-ოთახში...

– აქ დარჩით! – თითქმის უბრძნა ქალს ჰარიმ.

შემდეგ ადგილიდან მოწყდა, კუთხეში შეუხვია და დამბლდორის დერეფანში შევარდა, სადაც შესასვლელს ეული ქვის ურჩხული სდარაჯობდა. ჰარიმ პაროლი მთელი ხმით იყვირა და მოძრავი სპირალისებური კიბის სამ-სამ საფეხურს აახტა. დამბლდორის კარზე კი არ დააკაკუნა, დააბრახუნა და სანამ მშვიდი ხმა უპასუხებდა: მობრძანდითო, ჰარი უკვე ოთახში შევარდა.

ფენიქსმა ფოუკსმა თავი მოატრიალა და შავ ციმციმა თვალებში ფანჯრის მილმა ჩამავალი მზის ოქროსფერი სხივები აერეკლა. დამბლდორი ფანჯარასთან იდგა და სკოლის არემარეს გასცქეროდა, მკლავზე გრძელი შავი სამგზავრო მოსასხამი გადაეგდო.

– აჰ, გამარჯობა, ჰარი. როგორც გახსოვს, მე შეგპირდი, რომ თან წაგიყვანდი.

ორიოდე წამი მაინც დასჭირდა ჰარის, რომ აზრზე მოსულიყო. ტრელოუნისთან საუბარმა სნეიპის გარდა ყველაფერი ამოუფერთხა თავიდან და ტვინიც თითქოს უფრო ზანტად უმუშავებდა.

– თან წამიყვანდით...?

– რა თქმა უნდა, თუ თანახმა ხარ.

– მე თუ...

ახლაღა გაახსენდა, ასე რატომ მოეშურებოდა დამბლდორის კაბინეტში.

– იპოვეთ? ჰორკრუქსი იპოვეთ?

– მგონი, კი.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მრისხანება და გულისწყრომა ელდამ და აღტაცებამ დაჩრდილა. რამდენიმე წამს ჰარიმ ხმა ვერ ამოიღო.

– ასეთ დროს შიში სრულიად ბუნებრივია, – აღნიშნა დამბლდორმა.

– არ მეშინია! – მაშინვე თქვა ჰარიმ. ეს სრული სიმართლე გახლდათ: შიში ის ერთადერთი გრძნობა იყო, რომელსაც ახლა საერთოდ ვერ გრძნობდა, – რომელი ჰორკრუქსია? სად არის?

– დანამდვილებით არ ვიცი, რომელია, მაგრამ შეგვიძლია, გველი გამოვრიცხოთ. ჩემი ღრმა რწმენით, ის ჰორკრუქსი, რომელიც დღეს უნდა გავანადგუროთ, აქედან მრავალი კილომეტრის დაშორებით, ზღვის სანაპიროზე, გამოქვაბულშია დამალული. ამ გამოქვაბულის ადგილმდებარეობას ძალიან დიდხანს ვადგენდი. ეს სწორედ ის გამოქვაბულია, რომელშიც ტომ რიდლმა ყოველწლიურ ექსკურსიაზე ორი თავშესაფრელი ბავშვი აწამა. გახსოვს?

– დიახ, – მიუგო ჰარიმ, – როგორაა დაცული?

– ზუსტად არ ვიცი. რაღაცას კი ვეჭვობ, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, ვცდებოდე, – დამბლდორი შეყოყმანდა და შემდეგ დასძინა: – ჰარი, დაგპირდი, რომ თან წაგიყვანდი, და ამ პირობას ვასრულებ კიდეც, მაგრამ ჩემი მხრივ, დიდი შეცდომა იქნება, თუ ერთხელაც არ გაგაფრთხილებ, რომ წინ უაღრესად სახიფათო მგზავრობა გველის...

– მოვდივარ, – დამბლდორს წინადადების დასრულება აღარ აცალა ჰარიმ. უკანასკნელი რამდენიმე წუთის განმავლობაში სნეიპისადმი გულში აბობოქრებულმა სიძულვილმა თავგანწირვის სურვილი გაუათკეცა. ეს, ალბათ, სახეზეც დაეტყო, რადგან დამბლდორი ფანჯარას მოსცილდა და ბიჭს უფრო დაკვირვებით დააცქერდა, შეევერცხლილ წარბებს შორის ძლივსშესამჩნევი ნაოჭი გაუჩნდა.

– რა დაგემართა?

– არაფერი, – მყისვე იცრუა ჰარიმ.

– ასე რამ აგაფორიაქა?

– აფორიაქებული არა ვარ.

– ჰარი, კარგი ოკლუმენტი არასდროს ყოფილხარ...

ეს სიტყვა ის ნაპერწკალი აღმოჩნდა, რომელმაც ჰარის მრისხანებას ცეცხლი შეუნთო.

– სნეიპი! – შესძახა ისეთი ხმით, რომ მათ ზურგს უკან ფოუკსმა სუსტად წამოიკივლა, – სნეიპი! აი, რა მოხდა! ვოლდემორს მან შეატყობინა წინასწარმეტყველების შინაარსი! ის იყო! თქვენ საუბარს ის აყურადებდა კართან. ტრელოუნიმ თვითონ მითხრა!

დამბლდორს გამომეტყველება არ შესცვლია, მაგრამ ჰარის მოეჩვენა, რომ ჩამავალი მზის სისხლისფერი ათინათის მიუხედავად,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სახე გაუფითრდა. დამბლდორი დუმდა მთელი უსასრულო წუთის განმავლობაში.

– ეს როდის შეიტყვე? – იკითხა ბოლოს.

– ახლახან! – უპასუხა ჰარიმ. უდიდესი ძალისხმევით იკავებდა თავს ყვირილისაგან, მაგრამ ნერვებმა მაინც უმტყუნა, – ვოლდემორი მან ჩაუყენა კვალში ჩემს მშობლებს, თქვენ კი მას აქ სწავლების უფლებას აძლევთ!

ჰარი ისე მძიმედ სუნთქავდა, თითქოს ხელჩართული ბრძოლა გადაიტანაო, კაბინეტში ბოლთის ცემას მოჰყვა, ხელებს იმტვრევდა და შერჩენილ ნამცეცა თავშეკავებას უხმობდა, რომ იქაურობა არ დაელეწა. სურდა, დამბლდორისათვის რისხვა დაეტეხა თავს, მისთვის პირში მიეხალა, რომ ჩერჩეტი ბერიკაცი იყო, სნეიპს ასე რომ ენდობოდა; მაგრამ ეშინოდა, რომ თავს თუ ვერ მოთოკავდა, დამბლდორი თან არ წაიყვანდა და ჰარი თავისი ხელით ჰორკრუქსის განადგურების შესაძლებლობას დაკარგავდა...

– ჰარი, – წყნარად მიმართა დამბლდორმა, – გთხოვ, მომისმინე.

ჰარის ყვირილის შეკავებაზე არანაკლებ გაუჭირდა გამალებული ბოლთის ცემის შეწყვეტა. მაინც შედგა, ტუჩი მოიკვნიტა და დამბლდორს დაღარულ სახეში ჩახედა.

– პროფესორმა სნეიპმა დაუშვა საშინელი...

– არ მითხრათ, რომ ეს შეცდომა იყო, სერ, ის კართან აყურადებდა!

– გთხოვ, დამამთავრებინე, – დამბლდორმა შეიცადა, სანამ ჰარიმ თავი არ დაუქნია, და გააგრძელა: – პროფესორმა სნეიპმა საშინელი შეცდომა დაუშვა. იმ ღამეს, როცა პროფესორ ტრელოუნის წინასწარმეტყველება სანახევროდ მოისმინა, ჯერ კიდევ ლორდი ვოლდემორის სამსახურში იდგა. ამიტომ, ბუნებრივია, მაშინვე დაეშურა, ყველაფერი ბატონისთვის ეცნობებინა, რადგანაც ეს წინასწარმეტყველება უშუალოდ მის ბატონს ეხებოდა. მაგრამ პროფესორ სნეიპს წარმოდგენა არ ჰქონდა ან კი საიდან უნდა სცოდნოდა, რომელ ბიჭს ამოიღებდა მიზანში ლორდი ვოლდემორი იმ დღიდან; ან ის, რომ იმ ბავშვის მშობლები, რომლებიც მათ შვილზე თავდასხმას ემსხვერპლებოდნენ, მისი ნაცნობები აღმოჩნდებოდნენ...

ჰარის ისტერიული სიცილი აუვარდა.

– მას მამაჩემი ისევე სძულდა, როგორც სირიუსი! არ შეგიმჩნევიათ, პროფესორო, რომ ისინი, ვინც სნეიპს ეჯავრება, რატომღაც, ერთიმეორის მიყოლებით იხოცებიან?

– შენ წარმოდგენა არა გაქვს, რა მწარე სინდისის ქენჯნამ შეიპყრო პროფესორი სნეიპი, როცა გააცნობიერა, როგორ აღიქვა ვოლდემორმა წინასწარმეტყველება, ჰარი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მისი ცხოვრების უდიდესი სინანულია და მიზეზი იმისა, რომ იგი კვლავ ჩვენ მხარესაა...

– მაგრამ ის ხომ ძლიერი ოკლუმენტია, ასე არაა, სერ? – ჰარი ცდილობდა, მშვიდად ელაპარაკა, მაგრამ ხმა უკანკალებდა, – და განა ვოლდემორი დღესაც დარწმუნებული არ არის, რომ სნეიპი მისი ერთგულია? პროფესორო... თქვენ რატომღა ხართ ასე დარწმუნებული, რომ სნეიპი შეიცვალა და მისი ნდობა შეიძლება?

დამბლდორი წამით გაჩუმდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ცდილობს, რაღაც გადაწყვეტილება მიიღოსო. ბოლოს თქვა:

– ამაში დარწმუნებული ვარ. სევერუს სნეიპს თვალდახუჭული ვენდობი.

ჰარიმ რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა, რომ დამშვიდებულიყო. მაინც არაფერი გამოუვიდა.

– მე კი არ ვენდობი! – შესძახა ხმამაღლა, – ამწუთას დრაკო მალფოისთან ერთად რაღაცას ამზადებს თქვენს ცხვირწინ, თქვენ კი...

– ამაზე უკვე ვისაუბრეთ, ჰარი, – ამჯერად მკაცრად მოუჭრა დამბლდორმა, – და მე უკვე გაგიზიარე ჩემი შეხედულება.

– ამაღამ სკოლიდან მიდიხართ და სანაძლეოს ჩამოვალ, არც კი გაგითვალისწინებიათ, რომ სნეიპმა და მალფოიმ შეიძლება გადაწყვიტონ...

– რა გადაწყვიტონ? – წარბები აზიდა დამბლდორმა, – კონკრეტულად რას ეჭვობ?

– მე... ისინი რაღაცას აპირებენ! – ჰარის ამ სიტყვებზე ხელები მუშტად შეეკრა, – პროფესორი ტრელოუნი ეს წუთია, მიშველეოთახში იყო ხერესის ბოთლების დასამალად და მალფოის ყიჟინი გაიგონა, თითქოს რაღაცას ზეიმობსო! მალფოი იქ რაღაც სახიფათოს შეკეთებას ცდილობდა, და მე თუ მკითხავთ, უკვე შეაკეთა, თქვენ კი სკოლიდან ისე მიდიხართ, რომ არც კი...

– საკმარისია, – შეაწყვეტინა დამბლდორმა საკმაოდ მშვიდად, მაგრამ ჰარი მაშინვე გაჩუმდა. მიხვდა, რომ უკვე რაღაც უხილავ ზღვარს გადავიდა, – ნუთუ გგონია, რომ წელს, როცა კი სკოლიდან გავდიოდი, ერთხელ მაინც მიმიტოვებია აქაურობა დაუცველი? არა. ამაღამაც, როცა ჩვენ გავემგზავრებით, მთელ სკოლას გაძლიერებული დაცვის იმედზე დავტოვებთ. გთხოვ, იმას ნუ მისაყვედურებ, რომ ჩემი სტუდენტების უსაფრთხოებას სერიოზულად არ ვეკიდები, ჰარი.

– ეს არც მიგულისხმია... – ალუღლუღდა ოდნავ ნირწამხდარი ჰარი, მაგრამ დამბლდორმა შეაწყვეტინა:

– ამ თემაზე საუბარი აღარ მსურს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ ენაზე იკბინა და შეშინებულმა გაიფიქრა, მგონი ზედმეტი მომივიდა და დამბლდორთან ერთად წასვლის შანსი მომესპოო, მაგრამ დამბლდორმა გააგრძელა:

– გაქვს სურვილი, ამაღამ წამომყვე?

– დიახ, – მყისვე მიუგო ჰარიმ.

– ძალიან კარგი, მაშინ კარგად მომისმინე, დამბლდორი წელში გასწორდა. – ერთი პირობით წაგიყვან: ჩემი ბრძანებები უყოყმანოდ და უსიტყვოდ უნდა შეასრულო.

– რა თქმა უნდა.

– სწორად გამიგე, ჰარი. მე იმას ვგულისხმობ, რომ ისეთ ბრძანებასაც უნდა დამორჩილდე, როგორიცაა „გაიქეცი“ „დაიმალე“ ან „უკან დაიხიე“. სიტყვას მაძლევ?

– მე... დიახ, რა თქმა უნდა.

– თუ გეტყვი, დაიმალე-მეთქი, დაიმალები?

– დიახ.

– თუ გეტყვი, გაიქეცი-მეთქი, გაიქცევი?

– დიახ.

– თუ გეტყვი, დამტოვე და თავს უშველე-მეთქი, ჩემს ნათქვამს შეასრულებ?

– მე...

– ჰარი!

ერთმანეთს თვალი გაუსწორეს.

– დიახ, სერ.

– ძალიან კარგი. მაშინ, წადი, შენი უჩინმაჩინის მოსასხამი მოიტანე და ხუთ წუთში ჰოლში შევხვდეთ.

დამბლდორი შეტრიალდა და ალმოდებულ ფანჯარაში გაიხედა. მზე უკვე ლალისფრად აბრიალებდა თვალს ჰორიზონტზე. ჰარი სწრაფად გავიდა კაბინეტიდან და სპირალისებურ კიბეს ჩაუყვა. უეცრად გონება საოცრად გაუნათდა. იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა.

რონი და ჰერმიონი ერთად ისხდნენ საერთო ოთახში.

– რა უნდოდა დამბლდორს? – მაშინვე ჰკითხა ჰერმიონმა დაბრუნებულ მეგობარს და აღელვებით დასძინა: – ჰარი, კარგად ხარ?

– მშვენივრად, – მოკლედ მოუჭრა ჰარიმ, მეგობრებს ჩაუქროლა, კიბე აირბინა და საძინებელში შევარდა. აქ ჩემოდანი გახსნა, ონავართა რუკა და წყვილი დაგორგლილი წინდა ამოაძვრინა. შემდეგ კიბეზე ჩაირბინა, საერთო ოთახში შევარდა და გაოგნებული რონისა და ჰერმიონის გვერდით შეჩერდა.

– დრო ცოტა მაქვს, – ქოშინით თქვა ჰარიმ, – სანამ დამბლდორს ჰგონია, რომ უჩინმაჩინის მოსასხამს ვიღებ, კარგად მომისმინეთ...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და სწრაფად უამბო, სად მიდიოდა და რატომ. არც ჰერმიონის დამფრთხალი შეძახილებისთვის მიუქცევია ყურადღება და არც რონის ნაჩქარევი კითხვებისათვის. წვრილმანებს მოგვიანებით თავადაც გაარკვევდნენ.

– მაშ, გესმით, ეს რას ნიშნავს? – სხაპასხუპით დაამთავრა ჰარიმ, – ამაღამ დამბლდორი აქ არ იქნება, და მალფოის თავისი ჩანაფიქრის განხორციელებაში ხელს არაფერი შეუშლის. არ შემედავოთ! – კბილებში გამოსცრა გაჯავრებულმა, რადგან რონმა და ჰერმიონმა ისევ კითხვის დასმა დაუპირეს, – ვიცი, რომ მალფოი ზეიმობდა რაღაცას მიშველე-ოთახში! აი, – ჰარიმ ონავართა რუკა ჰერმიონს შეაჩეჩა, – შენ მალფოისა და სნეიპის თვალთვალი გევალება. ვისაც შეძლებთ, ყველა გამოიძახეთ „დამბლდორის არმიის“ წევრებიდან. ჰერმიონ, იმედია, ის საკონტაქტო გალეონები კიდევ მოქმედებს? დამბლდორი კი ამბობს, სკოლას დამატებითი დაცვა გამოვუყავიო, მაგრამ აქ თუ სნეიპია გარეული, მშვენივრად ეცოდინება, რა დაცვაზე ლაპარაკობდა დამბლდორი და როგორ გაარღვიოს ის... სამაგიეროდ, არ ელის, რომ თქვენ სადარაჯოზე იდგებით.

– ჰარი, – დაიწყო შიშით თვალებგაფართოებულმა ჰერმიონმა.

– კამათის დრო არა მაქვს, – მოუჭრა ჰარიმ, – ესეც გამომართვით... – და რონს ხელში წინდები ჩასჩარა.

– გმადლობ, – დაიბნა რონი, – მოიცა, წინდები რაში მჭირდება?

– რაც წინდაშია, ის გჭირდება – ფელიქს ფელიცისი! ერთმანეთში გაიყავით და ჯინისაც დაალევინეთ. ჩემ მაგივრად დაემშვიდობე. მე უნდა წავიდე. დამბლდორი მელის...

– არა! – შესძახა დაზაფრულმა ჰერმიონმა, როცა რონმა წინდიდან ოქროსფერი სითხით სავსე ციცქნა ბოთლი ამოაძვრინა, – ეს შენ უფრო გჭირდება! თან წაიღე. ვინ იცის, რას გადაეყრები იქ!

– მე არაფერი მომივა. დამბლდორთან ერთად საფრთხე არ მემუქრება! – თავი გააქნია ჰარიმ, – მინდა, დარწმუნებული ვიყო, რომ თქვენ არაფერი დაგიშავდებათ... ასე ნუ მიყურებ, ჰერმიონ, მალე ისევ გნახავთ...

ამ სიტყვებზე ჰარი იქაურობას სწრაფად გაეცალა, პორტრეტის ხვრელში გადაძვრა და ჰოლისაკენ მოუსვა.

დამბლდორი მუხის ჭიშკართან იცდიდა. ჰარი ქვის კიბის ზედა საფეხურზე შედგა, მძიმედ სუნთქავდა და ფერდი ჩხვლეტდა. დამბლდორმა წყნარად სთხოვა:

– თუ შეიძლება, მოსასხამი მოისხი, – ჰარის გაუჩინარება აცალა და გააგრძელა: – ძალიან კარგი. წავიდეთ?

დამბლდორი ქვის საფეხურებს ჩაუყვა. ზაფხულის გარინდებულ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰაერში სამგზავრო მანტია მსუბუქად უშრიალებდა. უჩინმაჩინის მოსასხამში გახვეული, ერთიანად გახვითქული და გულამოვარდნილი ჰარი გვერდით მისდევდა.

– პროფესორო, რას იფიქრებენ, როცა ნახავენ, რომ სადღაც მიემგზავრებით? – ჰკითხა ჰარიმ. ის, რა თქმა უნდა, სნეიპსა და მალფოის გულისხმობდა.

– იფიქრებენ, რომ ჰოგსმიდში გავედი დასალევად, – უზრუნველად მიუგო დამბლდორმა, – ზოგჯერ როზმერტას სტუმართმოყვარეობით ვსარგებლობ ხოლმე... ან „ღორის თავს“ ვსტუმრობ. უფრო სწორად, ვითომ ვსტუმრობ. ეს სხვაზე არანაკლებ მოხერხებული საშუალებაა დანიშნულების ნამდვილი ადგილის შესანიღბად.

ჩამოწოლილ ბინდბუნდში ეტლის სავალ გზას ჩაუყვნენ. ჰაერი თბილი ბალახის, ტბის წყლისა და ჰაგრიდის ქოხიდან ამოსული კვამლის სურნელით გაჟღენთილიყო. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ რაღაც სახიფათო საქმეზე მიდიოდნენ.

– პროფესორო, – ხმადაბლა მიმართა ჰარიმ, როცა გზის ბოლოში ჭიშკარი გამოჩნდა, – აპარაციას გამოვიყენებთ?

– დიახ, – უპასუხა დამბლდორმა, – თუ არ ვცდები, უკვე შეგიძლია აპარაცია, არა?

– დიახ, მაგრამ ლიცენზია არა მაქვს, – გულახდილად მიუგო ჰარიმ, რადგან შიშობდა, შემთხვევით საჭირო ადგილიდან ასი მილის დაშორებით არ ამოვყო თავი და ამით ყველაფერი არ გავაფუჭოო.

– არა უშავს, – დააიმედა დამბლდორმა, – ისევ დაგეხმარები.

ჭიშკარში გავიდნენ და ჰოგსმიდისაკენ მიმავალ უკაცრიელ, მწუხრში ჩაძირულ გზას დაადგნენ. სწრაფად ბნელდებოდა და სანამ მთავარ ქუჩას მიაღწევდენ, უკვე ღამე ჩამოწვა. მაღაზიების ზემოთ, ფანჯრებიდან, შუქი გამოკრთოდა. „სამ ცოცხს“ მიუახლოვდნენ თუ არა, ვილაცის ხმაჩახლეჩილი ყვირილი გაიგონეს.

– აქედან მოშორდი! – გაჰყვიროდა მადამ როზმერტა და ერთ ბინძურ ჯადოქარს გარეთ აგდებდა, – ო, გამარჯობა, ალბუს... რა გვიან გამოსულხართ გარეთ...

– საღამო მშვიდობისა, როზმერტა, საღამო მშვიდობისა... მაპატიეთ, „ღორის თავში“ მივდივარ... არ გეწყინოთ, მაგრამ ამ საღამოს მშვიდ გარემოში გატარება მირჩევნია...

მალე კუთხეში შეუხვიეს და პარალელურ ქუჩაზე გავიდნენ, სადაც „ღორის თავის“ აბრა ჭრიალებდა, მიუხედავად იმისა, რომ ნიავი არ იძვროდა. „სამი ცოცხისაგან“ განსხვავებით, ლუდხანა სრულიად ცარიელი იყო.

– შიგნით შესვლა აუცილებელი არაა, – გადაულაპარაკა ჰარის


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დამბლდორმა და მიმოიხედა, – სანამ ვინმეს არ დავუნახივართ... აბა, მკლავზე მომკიდე ხელი, ჰარი. ასე ძალიან ნუ მომეჭიდები, მე მხოლოდ მეგზურობას გიწევ. აბა, სამ თვლაზე... ერთი... ორი... სამი...

ჰარი ადგილზე დატრიალდა და ისევ საძაგელი გრძნობა დაეუფლა, თითქოს სქელ რეზინის მილში შეტენეს. სუნთქვა შეეკრა, სხეულის ყოველი ნაწილი გაუსაძლისად შეეკუმშა და შემდეგ, როცა უკვე გაიფიქრა, ახლა კი ნამდვილად დავიხრჩობიო, უხილავი სალტეები შემოეხსნა. ჰარი გრილ სიბნელეში იდგა და ღრმად ისუნთქავდა ტენიან ჰაერს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი ოცდამეექვსე

# გამოქვაბული

ჰარის მლაშე წყლის სუნი ეცა და ტალღების ტყლაშუნი ჩაესმა. თმა ზღვიდან მონაბერმა მსუბუქმა, გრილმა სიომ აუფრიალა. დამბლდორთან ერთად ჩაშავებული კლდის მაღალ შვერილზე იდგა. მათ უკან პიტალო კლდე აღმართულიყო. რამდენიმე ქიმი, მათ შორის, ისიც, რომელზეც ჰარი და დამბლდორი იდგნენ, თითქოს ოდესღაც, შორეულ წარსულში მოსწყდომოდა კლდეს და ახლა ეულად აღმართულიყო აბობოქრებულ ზღვაში. საშინლად პირქუში ადგილი იყო, ერთი ხეც კი არსად მოჩანდა.

– აბა, რას ფიქრობ? – ისე იკითხა დამბლდორმა, თითქოს ჰარის აზრი აინტერესებდა, პიკნიკისათვის ეს შესაფერისი ადგილიაო თუ არა.

– თავშესაფრიდან ბავშვები აქ მოჰყავდათ? – ჰკითხა ჰარიმ, რომელსაც ვერ წარმოედგინა, საექსკურსიოდ ამაზე უარესი ადგილი თუ არსებობდა სადმე.

– აქ არა, – მიუგო დამბლდორმა, – ჩვენს უკან, კლდეებს შორის ფერდობზე ერთი სოფელია შეფენილი. ალბათ, ობლები იქ ზღვის ჰაერის ჩასაყლაპად და ტალღების საყურებლად მიჰყავდათ. მაგრამ ამ ადგილს, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ტომ რიდლი და მისი პატარა მსხვერპლნი ეწვივნენ. ამ კლდემდე ვერც ერთი მაგლი ვერ მოაღწევს, თუ პროფესიონალი მთამსვლელი არაა. წყალქვეშა მეჩეჩების გამო კლდოვან ნაპირთან ნავით მოახლოებაც შეუძლებელია. ჩემი ვარაუდით, რიდლი ზემოდან ჩამოცოცდა. ჯადოქრობა ყოველგვარ თოკზე უკეთეს სამსახურს გაუწევდა, და თან ორი პატარა ბავშვი ჩამოიყოლა, ალბათ, მათი შეშინებით რომ დამტკბარიყო. მგონი, მათ დასაფრთხობად მარტო აქამდე მოღწევაც კი საკმარისი იქნებოდა, არა?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ ისევ ახედა კლდეს და ტანზე დაბურძგლა.

– მაგრამ ის ადგილი, სადამდეც მათ მიაღწიეს, აქედან ცოტა მოშორებითაა. წავიდეთ, ჰარი.

დამბლდორმა ჰარის კლდის კიდისკენ ანიშნა, საიდანაც საცალფეხო ბილიკი დაბლა, წყალში ნახევრად ჩამჯდარი ლოდებისკენ ეშვებოდა. საშინელი ჩასასვლელი იყო და დამბლდორიც, რომელსაც დამწვარი ხელი ოდნავ აბრკოლებდა, აუჩქარებლად ჩადიოდა ქვემოთ. ქვედა ლოდები ზღვის წყალს მოელიპა. ჰარი გრძნობდა, როგორ ეშხეფებოდა სახეში ცივი, მლაშე წყალი.

– ლუმოს, – წარმოთქვა დამბლდორმა, როცა კლდის ფერდთან უახლოეს ლოდს მიაღწია. სამი მეტრით დაბლა იმ ადგილიდან, სადაც დამბლდორი კლდეს მოსჭიდებოდა, წყლის ჩამუქებულ ზედაპირზე ათასობით ოქროსფერი ნაპერწკალი აცეკვდა. მის გვერდით ჩაშავებულ ქვის კედელსაც შუქი მოეფინა.

– ხედავ? – ხმადაბლა იკითხა დამბდლორმა და ჯადოსნური ჯოხი მაღლა შემართა. ჰარიმ კლდეში ნაპრალი დაინახა, რომელშიც შავი წყალი თუხთუხებდა და მორევივით ტრიალებდა.

– ცოტა დასველებაზე რას იტყვი?

– წინააღმდეგი არა ვარ, – უპასუხა ჰარიმ.

– მაშინ, უჩინმაჩინის მოსასხამი მოიხსენი. ახლა აღარ გვჭირდება. მოდი, ჩავყვინთოთ.

უცებ დამბლდორი ბევრად უფრო ახალგაზრდა კაცის შესაფერი სიმკვირცხლით მოსცილდა ლოდს, ზღვაში ჩაეშვა და კლდეში შავად პირდაღებული ნაპრალისაკენ შესაშური ბრასით გაცურა. ჯადოსნური ჯოხი კბილებში ჰქონდა გაჩრილი. ჰარიმ მოსასხამი გადაიძრო, ჯიბეში ჩაიტენა და დამბლდორს მიჰყვა.

წყალი ყინულივით ცივი იყო. ჰარის ტანსაცმელი გაეჟღინთა, გაებერა და დაუმძიმდა. რამდენჯერმე ისე ღრმად ჩაისუნთქა, რომ ფილტვები მარილისა და წყალმცენარეების მძაფრმა სუნმა გაუვსო, და მოციალე, ბუუტავი სინათლისაკენ გაემართა, რომელიც ნაპრალის სიღრმიდან მოჩანდა.

ნაპრალს მიუახლოვდნენ თუ არა, ჩაბნელებული გვირაბი გამოჩნდა. ჰარი მიხვდა, რომ ის ზღვის მოქცევისას წყლით დაიფარებოდა. გვირაბი ძალიან ვიწრო იყო, შლამიან კედლებს ერთმანეთისაგან ერთი მეტრი თუ აშორებდა. ოდნავ სიღრმეში გვირაბი მარცხნივ უხვევდა და კლდეში საკმაოდ ღრმად იჭრებოდა. ჰარი დამბლდორის კვალდაკვალ მიცურავდა და თავის შესამაგრებლად გაშეშებული თითებით ქვის სველ, წვეტიან კედლებს ებღაუჭებოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ დაინახა, რომ დამბლდორი წყლიდან


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამოვიდა და შევერცხლილი თმა და მუქი მანტია აულაპლაპდა. როდესაც ჰარიმ იმ ადგილამდე თავადაც მიაღწია, საფეხურები იპოვა, რომლებიც ფართო გამოქვაბულისკენ მიემართებოდა. ერთიანად აძაგძაგებული ჰარი საფეხურებზე აფოფხდა და დამბლდორს მიუახლოვდა. გაჟღენთილი ტანისამოსიდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდა.

დამბლდორი გამოქვაბულის შუაში იდგა, ჯადოსნური ჯოხი მაღლა აემართა, ერთ ადგილზე ტრიალებდა და კედლებსა და ჭერს ათვალიერებდა.

– დიახ, ეს ის ადგილია, – დაასკვნა მან.

– როგორ მიხვდით, სერ? – დაიჩურჩულა ჰარიმ.

– ნაცნობი მაგიის კვალი ატყვია, – მოკლედ აუხსნა დამბლდორმა.

ჰარიმ აღარ იცოდა, გამჭოლი სიცივისაგან აკანკალებდა ასე, თუ თავადაც იგრძნო გამოქვაბულში ჯადოსნობის ანაბეჭდი. იდგა და თვალს ადევნებდა დამბლდორს, რომელიც გამოქვაბულში დაწრიალებდა და ჰარის თვალისათვის უხილავ რაღაცეებს აკვირდებოდა.

– ეს მხოლოდ შესასვლელია, ერთგვარი ვესტიბიული, – სიჩუმე დაარღვია ორიოდე წუთის შემდეგ დამბლდორმა, – როგორმე შიდა ოთახში უნდა შევაღწიოთ... ახლა უკვე ბუნებრივი კი არა, ლორდი ვოლდემორის მოწყობილი დაბრკოლებები გველობება წინ.

დამბლდორი გამოქვაბულის კედელს მიუახლოვდა და დაშავებული ხელის თითები გადაუსვა, თან ჰარისათვის უცხო, უცნაურ ენაზე ბუტბუტებდა რაღაცას. დამბლდორმა ორჯერ შემოიარა გამოქვაბული. ხორკლიან კედლებს, სადაც მისწვდებოდა, ყველგან ეხებოდა, დროდადრო ყოვნდებოდა და რომელიმე ადგილს თითებით რამდენჯერმე სინჯავდა. ბოლოს შეჩერდა და ჰარის კედლის ერთ მონაკვეთზე ანიშნა:

– აქ, აი, აქ უნდა გავიდეთ. შესასვლელი შენიღბულია.

ჰარის აღარ უკითხავს, საიდან მიხვდითო. ჯერ არ ენახა ჯადოქარი ასე, მხოლოდ და მხოლოდ დათვალიერებითა და ხელის შეხებით მისულიყო რამე დასკვნამდე, მაგრამ მან იცოდა, რომ ხმაურიანი აფეთქებები და კვამლი ხშირად უვიცობის ნიშანი უფროა, ვიდრე გამოცდილებისა.

დამბლდორმა გამოქვაბულის კედლიდან ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და ჯადოსნური ჯოხი დაუმიზნა. წამით ქვაზე თაღისებური გამოსახულება გაჩნდა, რომელიც ისე ელვარებდა თეთრად, თითქოს კედლის მეორე მხრიდან ბზარში თვალისმომჭრელი სინათლე იჭრებაო.

– გ-გამოგივიდათ! – შესძახა კბილებაკაწკაწებულმა ჰარიმ, მაგრამ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამის თქმა ძლივს მოასწრო, რომ მოხაზულობა გაქრა, ქვა კი ისეთივე შეუვალი და შიშველი დარჩა, როგორიც იყო. დამბლდორმა ჰარისკენ მოიხედა.

– უკაცრავად, ჰარი, სულ დამავიწყდა, – ჯადოსნური ჯოხი მიუშვირა და ბიჭს ტანსაცმელი ისე გაუშრა და გაუთბა, თითქოს კარგა ხანს აგიზგიზებულ ცეცხლთან ეკიდაო.

– გმადლობთ, – შვებით ამოისუნთქა ჰარიმ, მაგრამ დამბლდორმა ისევ გამოქვაბულის ურჩ კედელზე გადაიტანა ყურადღება. ჯადოქრობა აღარ უცდია, უბრალოდ, იდგა და დაჟინებით შესცქეროდა, თითქოს მასზე რაღაც მეტისმეტად საინტერესო ეწერა და თვალს ვერ სწყვეტდა. ჰარი გასუსული იდგა. არ უნდოდა, დამბლდორის ყურადღება გაეფანტა.

ბოლოს, მთელი ორი წუთის შემდეგ, დამბლდორმა ჩუმად წარმოთქვა:

– ოჰ, წარმოუდგენელია! რა ვულგარულობაა!

– რა ხდება, პროფესორო?

– როგორც ვატყობ, – დამბლდორმა საღი ხელი მანტიის ჯიბეში ჩაიყო და მოკლე ვერცხლის ჯაყვა ამოიღო. ასეთი ჯაყვით ჰარი წამლების ინგრედიენტებს ჭრიდა ხოლმე, – შიგნით შესასვლელად შესაწირი უნდა გავიღოთ.

– შესაწირი? – გაუკვირდა ჰარის, – კარს რამე უნდა გადავუხადოთ?

– დიახ. თანაც, თუ არ ვცდები, სისხლი.

– სისხლი?

– ხომ ვთქვი, ვულგარულია-მეთქი, – აღნიშნა დამბდლორმა დამცინავი, იმედგაცრუებული ხმითაც კი, თითქოს ვოლდემორისაგან გაცილებით მეტს მოელოდა, – ალბათ, უკვე თავადაც მიხვდი, რომ მთავარი მიზანი ისაა, მტერი დაუძლურდეს, სანამ კედლის მიღმა აღმოჩნდება. ლორდ ვოლდემორს ამჯერადაც ავიწყდება, რომ ფიზიკურ ზიანზე უფრო საშინელი რამეებიც არსებობს.

– დიახ, მაგრამ იქნებ მაინც შეძლოთ ამის თავიდან აცილება... – ჰარის უკვე იმდენჯერ გადაეტანა ტკივილი, რომ არაფრით აღარ ეხალისებოდა მისი თავიდან განცდა.

– სამწუხაროდ, ზოგჯერ ამას ვერსად გაექცევი, – დამბლდორმა დაშავებულ ხელზე მანტიის სახელო გადაიწია და მკლავი გაიშიშვლა.

– პროფესორო! – შეშფოთდა ჰარი და, დამბლდორმა დანა რომ აღმართა, მისკენ გავარდა, – მე ვიზამ ამას, მე უფრო...

არ იცოდა, რა უნდა ეთქვა: „ახალგაზრდა ვარ“, თუ „ჯანმრთელი ვარ“... მაგრამ დამბლდორმა პასუხად მხოლოდ გაიღიმა. გაიელვა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვერცხლმა, იფეთქა ალისფერმა სისხლმა და ქვის კედელი მუქი, ბრწყინავი შხეფებით დაიწინწკლა.

– ძალიან კეთილი ხარ, ჰარი, – დამბლდორმა ჯადოსნური ჯოხის წვერი ღრმა ჭრილობაზე გადაიტარა და მანაც წამსვე პირი შეკრა, სწორედ ისე, როგორც სნეიპმა მოუშუშა მალფოის იარები, – მაგრამ შენი სისხლი ჩემსაზე ძვირფასია. აჰა, მგონი, ამან გაჭრა!

კედელზე ისევ გაჩნდა მოკაშკაშე ვერცხლისფერი თაღის კონტური, მაგრამ ამჯერად აღარ გაუჩინარებულა. თაღქვეშ სისხლით მორწყული ქვის კედელი უკვალოდ აორთქლდა და გამოჩნდა გასასვლელი, რომლის მიღმაც სრული წყვდიადი სუფევდა.

– მოდი, ჯერ მე შევალ, – დამბლდორმა თაღში გაიარა. ჰარიმ საჩქაროდ აანთო თავისი ჯადოსნური ჯოხი და პროფესორს ფეხდაფეხ მიჰყვა.

თვალწინ ძარღვებში სისხლის გამყინავი სანახაობა გადაეშალათ. ვრცელი, შავი ტბის პირას იდგნენ. ტბა ისეთი ფართო იყო, რომ გაღმა ნაპირი არ ჩანდა. მღვიმე კი, რომელშიც ტბა დაგუბებულიყო, იმდენად მაღალი იყო, რომ ჭერსაც ვერ ააწვდენდი თვალს. ტბის შუაგულში ბუნდოვანი მომწვანო სინათლე კამკამებდა და წყლის მოსარკულ ზედაპირზე ირეკლებოდა. კუნაპეტ სიბნელეს მხოლოდ ეს მომწვანო შუქი და ორი ჯადოსნური ჯოხის სინათლე თუ კვეთდა, თუმცა, ჯადოსნური ჯოხის წვერიდან გამოჭრილი შუქი ისე ვერ ერეოდა სიბნელეს, როგორც ჰარი მოელოდა. ეს წყვდიადი ჩვეულებრივზე უფრო ბნელი და უკუნი იყო.

– მოდი, ფეხით გავიაროთ, – ხმადაბლა შესთავაზა ჰარის დამბლდორმა, – ოღონდ ეცადე, რომ წყალში ფეხი არ ჩადგა და გვერდიდან არ მომცილდე.

დამბლდორი ნაპირს გაუყვა. ჰარიც ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა. ტბის გარშემო ქვის ვიწრო რკალზე მათი ნაბიჯების ხმა ყრუ ექოს გამოსცემდა. მიდიოდნენ და მიდიოდნენ, მაგრამ გარემო არ იცვლებოდა, ცალ მხარეს მღვიმის ოკრობოკრო კედელი მიუყვებოდა, მეორე მხარეს კი – გლუვი, სარკისებური სიშავის უსაზღვრო სივრცე, რომლის შუაგულშიც იდუმალებით მოცული სიმწვანე ბჟუტავდა. ჰარის ეს ადგილი და მდუმარება სულს უმძიმებდა და თრგუნავდა.

– პროფესორო, – ველარ მოითმინა ბოლოს, – თქვენი აზრით, ჰორკრუქსი აქ არის?

– დიახ, ამაში დარწმუნებული ვარ. მთავარი ისაა, როგორ მივაღწიოთ იქამდე, – უპასუხა დამბლდორმა.

– არ შეიძლება... არ შეიძლება, გამოძახების შელოცვა ვცადოთ? – ჰკითხა ჰარიმ. დარწმუნებული იყო, რომ სისულელეს როშავდა,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ მაინც ეს ერჩივნა იმის აღიარებას, რომ ერთი სული ჰქონდა, ამ ადგილს უკანმოუხედავად გასცლოდა.

– რასაკვირველია, შეგვიძლია, – დაეთანხმა დამბლდორი და ისე ანაზდად შედგა, რომ ჰარი ლამის ზედ შეასკდა, – რატომ არ ცდი?

– მე? ისა... კარგი...

ჰარი ამას არ ელოდა, მაგრამ უკან არ დაიხია, ჩაახველა, ჯადოსნური ჯოხი ასწია და ხმამაღლა წარმოთქვა:

– აკციო ჰორკრუქს!

გაისმა აფეთქებისმაგვარი ხმა და ნაპირიდან ექვსიოდე მეტრის მოშორებით, ჩაშავებული წყლიდან, რაღაცა ძალიან დიდი და უფერული ამოხტა. სანამ ჰარი თვალის შევლებას მოასწრებდა, ეს რაღაცა გამაყრუებელი დგაფუნით ისევ ტბაში გაუჩინარდა და სარკისებურ ზედაპირზე ფართო, ღრმა წრეები გააჩინა. დაზაფრული ჰარი უკან გახტა და კედელს მიეჯახა. მის გულს ჯერაც ბაგაბუგი გაჰქონდა, როცა დამბლდორს მიუბრუნდა:

– ეს რა იყო?

– ის, რაც დარწმუნებული ვარ, მზად არის, ჰორკრუქსის ხელში ჩაგდების ნებისმიერი მცდელობისას სასტიკად შეგვეწინააღმდეგოს.

ჰარიმ ისევ ტბას გახედა. ზედაპირი შავ სარკესავით კამკამებდა – წარმოქმნილი ტალღები არაბუნებრივად სწრაფად გამქრალიყო, მაგრამ ჰარის მაინც გამალებით უცემდა გული.

– იცოდით, რომ ეს მოხდებოდა, სერ?

– ვხვდებოდი, რომ თუ ჰორკრუქსზე იერიშს პირდაპირ მივიტანდით, რაღაცა აუცილებლად მოხდებოდა. შენ მშვენიერი აზრი გეწვია, ჰარი. ეს ყველაზე იოლი საშუალება იყო იმის გასაგებად, თუ რა იცავს ჰორკრუქსს.

– მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით, რა იყო ის არსება? – ჰარიმ ავის მომასწავებლად მშვიდ წყალს გახედა.

– უფრო სწორად, რა არსებები არიან, – დააზუსტა დამბლდორმა, – ძალიან მეეჭვება, რომ იქ მხოლოდ ერთი იყოს. გავაგრძელოთ გზა?

– პროფესორო.

– გისმენ, ჰარი.

– როგორ ფიქრობთ, ტბაში ჩასვლა მოგვიწევს?

– ტბაში? მხოლოდ ყველაზე უარეს შემთხვევაში.

– თქვენი აზრით, ჰორკრუქსი ტბის ფსკერზე არ არის დამალული?

– ო, არა... ჩემი აზრით, ჰორკრუქსი ტბის შუაგულშია.

და დამბლდორმა ხელით ტბის ცენტრში ბუნდოვან მწვანე შუქზე ანიშნა.

– ესე იგი, იქამდე მისაღწევად ტბის გადაცურვა მოგვიწევს?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, ასე მგონია.

ჰარის აღარაფერი უთქვამს. მისი ფიქრები წყლის ურჩხულებს, გიგანტურ ქვეწარმავლებს, დემონებს, წყლის ალებსა და ელფებს უტრიალებდა.

– აჰა, – დამბლდორი ისევ შედგა. ამჯერად ჰარიმ თავი ვერ შეიკავა, დირექტორს დაეჯახა და შავი წყლისკენ გადაქანდა. მაგრამ დამბლდორმა სწრაფად სტაცა საღი ხელი მკლავში და უკან გამოსწია. – უკაცრავად, ჰარი. უნდა გამეფრთხილებინე. კედელს მიეყრდენი, გეთაყვა, მგონი, ის ადგილი ვიპოვე, რომელიც გვჭირდება.

ჰარის წარმოდგენა არ ჰქონდა, რას გულისხმობდა დამბლდორი. მისთვის რომ გეკითხათ, ჩაშავებული ქვის ნაპირის ეს მონაკვეთი დანარჩენისგან არაფრით განსხვავდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანდა, დამბლდორმა მასში რაღაც განსაკუთრებული აღმოაჩინა. ამჯერად ხელით კლდოვანი კედელი კი აღარ მოსინჯა, არამედ ჰაერში მიმოატარა, თითქოს რაღაც უჩინარს ეპოტინებაო.

– ოჰო, – რამდენიმე წამის შემდეგ თქვა კმაყოფილმა დამბლდორმა, ხელი ჰაერში უხილავ რაღაცას მოუჭირა და წყალს მიუახლოვდა.

ჰარი აღელვებით ადევნებდა თვალს, როგორ გაუსწორდა დამბლდორის ბალთიანი ფეხსაცმლის ჭვინტი კლდოვანი ნაპირის კიდეს. დამბლდორს ჰაერში მომუშტული ხელი არ გაუშლია, მეორე ხელით ჯადოსნური ჯოხი აღმართა და ჯოხის წვერი თავის მუშტს შეახო.

ჰაერში იმწამსვე სქელი სპილენძისფერ-მომწვანო ჯაჭვი გაჩნდა, რომელიც ტბის სიღრმიდან ამოდიოდა და დამბლდორის მუშტამდე იჭიმებოდა. დამბლდორმა ჯაჭვს ჯადოსნური ჯოხი დაუკაკუნა, ისიც მის მუშტში გველივით გასრიალდა, ქვის ნაპირზე დაეშვა და მიწაზე დაიგრაგნა. ჯაჭვის ჩხრიალი ქვის კედლებმა ექოდ აირეკლა. ჯაჭვი შავი წყლის სიღრმიდან რაღაცას ეწეოდა. ჰარის სუნთქვა შეეკრა, როცა ტბის ზედაპირი ჯაჭვივით მწვანედ მოლაპლაპე, მომცრო, ლანდისებრი ნავის ცხვირმა გააპო და უხმაუროდ გამოცურდა იმ ნაპირისაკენ, სადაც ჰარი და დამბლდორი იდგნენ.

– როგორ მიხვდით, რომ იქ ნავი იყო? – იკითხა გაოგნებულმა ჰარიმ.

– მაგია ყოველთვის ტოვებს კვალს, – უპასუხა დამბლდორმა. ნავი ნაპირს მსუბუქად მიეჯახა, – ზოგჯერ ძალიან აშკარა კვალსაც. მე ტომ რიდლს ვასწავლიდი. მის სტილს ვიცნობ.

– ეს... ეს ნავი უსაფრთხოა?

– დიახ, ასე ვფიქრობ. ვოლდემორს თვითონაც დასჭირდებოდა ნავი, რათა ტბა ისე გადაეცურა, რომ იმ არსებების მყუდროება არ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაერღვია, რომლებიც ტბაში თავადვე მოათავსა. ხომ შეიძლებოდა, ოდესმე აქ ჰორკრუქსის წასაღებად მოსულიყო.

– მაშ, ის არსებები არაფერს დაგვიშავებენ, ვოლდემორის ნავში თუ ვისხდებით?

– მგონი, უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ გარკვეული დროის შემდეგ ისინი მოისაზრებენ, რომ ჩვენ არ ვართ ლორდი ვოლდემორი. თუმცა, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის: მათ ტბიდან ნავის ამოღების ნება დაგვრთეს!

– კი მაგრამ, რატომ? – ჰკითხა ჰარიმ, რომელსაც მოსვენებას არ აძლევდა ის აზრი, რომ რა წამსაც ნაპირს მოშორდებოდნენ, მრუმე წყლიდან საცეცები ამოიზრდებოდა.

– ვოლდემორი სავსებით დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ ნავს მხოლოდ უძლიერესი ჯადოქარი თუ მიაგნებდა, – აუხსნა დამბლდორმა, – ამიტომაც, ალბათ, მზად იყო, გაერისკა და დაეშვა უმცირესი ალბათობა იმისა, რომ ოდესმე მას სხვაც იპოვიდა. ამიტომ მომხვდურს წინ სხვა დაბრკოლებებიც მოუმზადა, რომელთა გადალახვაც, მის გარდა, არავის შეუძლია. მალე ვნახავთ, ცდებოდა თუ არა.

ჰარიმ ხელისგულისოდენა ნავში ჩაიხედა.

– ეს ნავი ერთი კაცისთვისაა განკუთვნილი. დაგვიტევს ორივეს? ჩვენს სიმძიმეს გაუძლებს?

დამბლდორმა ჩაიცინა:

– ვოლდემორს წონა კი არ ადარდებდა, არამედ ის მაგიური ძალა, რომელიც ამ ტბას გადაკვეთდა. მე უფრო მგონია, ნავზე ისეთი ჯადოა დადებული, რომ მისით ცურვა მხოლოდ ერთმა ჯადოქარმა შეძლოს.

– კი მაგრამ, მაშინ...

– არა მგონია, ნავმა შენ სათვალავში ჩაგაგდოს, ჰარი. შენ არასრულწლოვანი და არაკვალიფიციური ხარ. ვოლდემორი ვერასოდეს იფიქრებდა, რომ თექვსმეტი წლის ჯადოქარი ამ ადგილამდე მოაღწევდა. მეეჭვება, რომ ჩემ გვერდით ნავმა შენი მაგიური ძალებიც იგრძნოს.

ამ სიტყვებმა ჰარი დიდად ვერ გაამხნევა. ალბათ, ამას დამბლდორიც მიხვდა, რადგან მაშინვე დასძინა:

– ვოლდემორის შეცდომაა, ჰარი, ვოლდემორის შეცდომა... ხანდაზმულობა უგუნურებასა და გულმავიწყობას იჩენს, როცა სათანადოდ ვერ აფასებს ახალგაზრდობას... ახლა, ჯერ შენ ჩაჯექი და გაფრთხილდი, წყალს არ შეეხო.

დამბლდორი განზე გადგა და ჰარი ფრთხილად გადაძვრა ნავში. შემდეგ დამბლდორიც მიჰყვა, ჯაჭვი თან გაიყოლა და ნავის ფსკერზე


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დააგდო. ნავში ძლივს ეტეოდნენ. ჰარი მოხერხებულად ვერ იჯდა, მოკუნტულიყო და მუხლები ნავის ფერდს მაღლა ამოსჩროდა. ნავი მაშინვე დაიძრა. სამარისებურ მდუმარებას მხოლოდ ნავის ცხვირით გაპობილი წყლის აბრეშუმისებური შრიალი არღვევდა. ნავი დაუხმარებლად, თავისით მიცურავდა, თითქოს ტბის შუაგულში სინათლისაკენ უხილავი თოკი ეწეოდა. მალე მღვიმის კედლები თვალს მიეფარა, თითქოს ღია ზღვაში გავიდნენო, ერთი ეგაა, ტალღები არ იყო.

ჰარიმ ტბაში ჩაიხედა. შავი წყლის ზედაპირზე მისი ჯადოსნური ჯოხის ოქროსფერი შუქი ირეკლებოდა. ირგვლივ წყლის მოსარკული ზედაპირი ისე ირკალებოდა, როგორც ბზარები – შავ სარკეზე...

და უცებ ჰარიმ ის დაინახა: მარმარილოსავით ქათქათა, ზედაპირიდან რამდენიმე სანტიმეტრით დაბლა ტივტივებდა...

– პროფესორო! – შესძახა ჰარიმ და მისმა დამფრთხალმა ხმამ ექოდ გადაურბინა გარინდებულ წყალს.

– რა არის, ჰარი?

– მგონი, წყალში ხელი დავინახე! ადამიანის ხელი!

– დიახ, ეჭვი არ მეპარება, რომ დაინახავდი, – მშვიდად მიუგო დამბლდორმა.

ჰარი წყალს ჩააცქერდა, მასში ჩაკარგულ ხელს ეძებდა და თან საშინელ გულისრევას გრძნობდა.

– ესე იგი, ის არსება, წყლიდან რომ ამოხტა...

მაგრამ პასუხი მანამ მიიღო, სანამ დამბლდორი ხმის ამოღებას მოასწრებდა. ჯადოსნური ჯოხის შუქი წყლის ახალ მონაკვეთს დაეცა და სინათლეზე ჰარიმ დაინახა წყალში, ტბის ზედაპირთან ახლოს, ზურგზე გაწოლილი მიცვალებული. ღია თვალები ისე დანისლვოდა, თითქოს აბლაბუდა გადაჰკვრიაო.

– აქ გვამებია! – უჩვეულოდ მაღალი ხმით შეჰყვირა ჰარიმ და თავისი ხმა თვითონაც ვერ იცნო.

– დიახ, – წყნარად დაეთანხმა დამბლდორი, – მაგრამ, ჯერჯერობით, შეგვიძლია, ყურადღება არ მივაქციოთ.

– ჯერჯერობით? – გაიმეორა ჰარიმ, წყალს თვალი მოსწყვიტა და დამბლდორს შეხედა.

– კი, სანამ მხოლოდ მშვიდობიანად ლივლივებენ ჩვენ ქვემოთ, – განმარტა დამბლდორმა, – გარდაცვლილის ცხედრისადმი შიში ისეთივე უსაფუძვლოა, როგორიც სიბნელისადმი შიში, ჰარი. ლორდი ვოლდემორი, რომელსაც გულის სიღრმეში, რასაკვირველია, ორივესი ეშინია, სხვაგვარად ფიქრობს. მაგრამ ამ საკითხშიც ამჟღავნებს უმეცრებას. ეს შეუცნობელის შიშია, რაც მაშინ გვეუფლება, როცა სიკვდილსა და სიბნელეს შევცქერით, და მეტი არაფერი.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი დუმდა: შეკამათება არ უნდოდა, მაგრამ ის აზრი, რომ ნავის ირგვლივ და ქვეშ ცხედრები ლივლივებდნენ, თავზარს სცემდა, უფრო მეტიც, ვერ იჯერებდა, რომ მათგან საფრთხე არ ელოდათ.

– მაგრამ ეს-ესაა, ერთი მათგანი ამოხტა, – ჰარი შეეცადა, დამბლდორივით მშვიდი და გაწონასწორებული ხმით ელაპარაკა, – როდესაც ჰორკრუქსის გამოძახება ვცადე, ტბიდან გვამი ამოხტა!

– დიახ, – თავი დაუქნია დამბლდორმა, – დარწმუნებული ვარ, რომ როგორც კი ჰორკრუქსს ავიღებთ, ისინი ნაკლებ სტუმართმოყვარეობას გამოიჩენენ. მაგრამ ყველა იმ არსების მსგავსად, ვინც სიცივესა და სიბნელეში ბინადრობს, მათაც ეშინიათ სინათლისა და სითბოსი. ჩვენც, საჭიროების შემთხვევაში, სწორედ მათ გამოვიყენებთ. ანუ, ცეცხლს, ჰარი, – ღიმილით დასძინა დამბლდორმა ჰარის დაბნეული მზერის პასუხად.

– ააა, გასაგებია... – სწრაფად თქვა ჰარიმ და ისევ მომწვანო ნათებას გახედა. ჰარი უკვე ვეღარ მალავდა შიშს. მკვდრებით სავსე უზარმაზარი შავი ტბა... თითქოს საუკუნე გავიდა, რაც პროფესორ ტრელოუნის შეხვდა, რონსა და ჰერმიონს ფელიქს ფელიცისი დაუტოვა... უკვე ნანობდა, რომ უკეთ არ დაემშვიდობა მათ... ჯინისთან გამომშვიდობება ვერც კი მოასწრო...

– თითქმის მივედით, – მხიარულად შენიშნა დამბლდორმა. მართლაც, როგორც იქნა, ფოსფორისფერი შუქი თანდათან მოახლოვდა. რამდენიმე წუთში ნავიც შეჩერდა და მსუბუქად მიეხალა ტბის შუაგულში ამოზრდილ გლუვი ქვის ციცქნა კუნძულს.

– წყალს არ შეეხო, – შეახსენა დამბლდორმა. ჰარი ნავიდან გადაძვრა.

კუნძული დამბლდორის კაბინეტზე დიდი არ იქნებოდა. ეს იყო ბრტყელი, ჩაშავებული ქვა. ზედ ერთადერთი საგანი იდგა, საიდანაც თვალისმომჭრელად კაშკაშა მწვანე შუქი იფრქვეოდა. ბიჭი ჯერ ლამპრის დანახვას ელოდა, მაგრამ შემდეგ, სინათლეს თვალი რომ მიაჩვია, აღმოაჩინა, რომ შუქს კვარცხლბეკზე შემოდგმული ქვის ჭურჭელი ასხივებდა, რომელიც ცოტათი საფიქრელას წააგავდა.

დამბლდორი კვარცხლბეკს მიუახლოვდა და ჰარიც მიჰყვა. გვერდიგვერდ დადგნენ და ჭურჭელში ჩაიხედეს. ქვის ჯამი სავსე იყო ზურმუხტისფერი სითხით, რომელიც ფოსფორისფრად ანათებდა.

– ეს რა არის? – ხმადაბლა იკითხა ჰარიმ.

– დაბეჯითებით ვერ გეტყვი, მაგრამ რაღაც უფრო ავბედითია, ვიდრე სისხლი და გვამები, – უპასუხა დამბლდორმა. დამბლდორმა დაშავებულ ხელზე მანტიის სახელო გადაიწია და დამწვარი თითები სითხისაკენ გაიწვდინა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სერ, არ შეეხოთ!

– ვერც ვეხები, – ოდნავ გაიღიმა დამბლდორმა, – ხომ ხედავ, ამაზე მეტად ვერ ვუახლოვდები. აბა, შენ სცადე.

თვალებგაფართოებულმა ჰარიმ ჭურჭელში ხელი ჩაყო და სცადა, სითხეს შეეხებოდა. მაგრამ ზედ სითხის ზედაპირთან უხილავი ბარიერი დახვდა, რომელიც ხელს უშლიდა. როგორადაც უნდა დასწოლოდა, თითები თითქოს მხოლოდ მყარ და გაუვალ ჰაერს ხვდებოდა.

– გეთაყვა, გზიდან ჩამომეცალე, ჰარი, – სთხოვა დამბლდორმა.

დამბლდორმა ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა და ჭურჭლის თავზე რთული მოძრაობები შეასრულა, თან რაღაცას ძლივსგასაგონად ბუტბუტებდა. არაფერიც არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სითხე უფრო მეტად აელვარდა. ჰარი ჩუმად იყო, სანამ დამბლდორი საქმიანობდა. მაგრამ ცოტა ხანში დამბლდორმა ჯოხი დაუშვა და ჰარიმაც ხმის ამოღება გაბედა:

– თქვენ ფიქრობთ, რომ ჰორკრუქსი ამ ჭურჭელშია, სერ?

– დიახ, – დამბლდორმა ჭურჭელს უფრო დაკვირვებით ჩახედა. მწვანე სითხის გლუვ ზედაპირზე მისი სახე აირეკლა, – მაგრამ როგორ მივწვდეთ მას? ამ სასმელს ხელით ვერ შეეხები, ვერც გააქრობ, ვერც დაანაწილებ, ვერც ამოხაპავ, ვერც ტრანსფიგურაციით, ჯადოთი ან სხვა საშუალებით შეუცვლი თვისებებს.

დამბლდორი ფიქრებმა წაიღო. მოულოდნელად ჯადოსნური ჯოხი ასწია, ჰაერში დააბზრიალა და არსაიდან გაჩენილ ბროლის ფიალას სტაცა ხელი.

– ისღა დამრჩენია, დავასკვნა, რომ სასმელი უნდა დაილიოს.

– რაო? – შეშფოთდა ჰარი, – არა!

– დიახ, ასე მგონია: მხოლოდ დალევით თუ დავცლი ჭურჭელს და ვნახავ, რა დევს მის ფსკერზე.

– მაგრამ, ხომ შეიძლება... ხომ შეიძლება, მოგკლათ?

– არა, ამაში ეჭვი მეპარება, – უზრუნველად მიუგო დამბლდორმა, – ლორდი ვოლდემორი არ ისურვებდა იმ ადამიანის სიკვდილს, ვინც ამ კუნძულამდე მოაღწია.

ჰარი ყურებს არ უჯერებდა. ნუთუ ეს ისევ დამბლდორის უაზრო აკვიატება იყო, რომ ყველაფერში დადებითი მხარე დაენახა?

– სერ, – ჰარი შეეცადა, კეთილგონივრული ტონით ელაპარაკა, – სერ, ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ჩვენ ვოლდემორ...

– მაპატიე, ჰარი, დამავიწყდა დამემატებინა, რომ ის არ ისურვებდა იმ ადამიანის მყისიერ სიკვდილს, ვინც ამ კუნძულამდე მოაღწევდა, – შეასწორა თავისივე ნათქვამი დამბლდორმა, – იგი მას სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა მანამ, სანამ არ გაარკვევდა, როგორ მოახერხა იმ



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვილაცამ მის დაცვაში ასე ღრმად შეღწევა და, რაც ყველაზე მთავარია, რატომ ჰქონდა გამიზნული ქვის ჭურჭლის დაცარიელება. არ დაგავიწყდეს, ლორდი ვოლდემორი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ მისთვის არის ცნობილი თავისი ჰორკრუქსების არსებობის ამბავი.

ჰარიმ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ დამბლდორმა ხელის აწევით შეაჩერა და ოდნავ შუბლშეჭმუხნილი, ღრმად ჩაფიქრებული დააცქერდა ზურმუხტისფერ სითხეს.

– დარწმუნებული ვარ, – დაასკვნა ბოლოს, – ეს სასმელი ისე იმოქმედებს, რომ ჰორკრუქსის აღების საშუალება არ მომცეს. შეიძლება, დამბლა დამცეს, დამავიწყოს, აქ რისთვის მოვედი ან ისეთი ტკივილი დამეუფლოს, რომ ჭკუიდან შევიშალო... ანდა სხვაგვარად დამაუძლუროს. ასეთ შემთხვევაში, ჰარი, შენ გევალება, იზრუნო იმაზე, რომ სმა არ შევწყვიტო, მაშინაც კი, თუ მოგიწევს, ძალით ჩამასხა პირში სასმელი, გასაგებია?

მათ ერთმანეთს შეხედეს. ორივეს ფერმკრთალ სახეს ქვის ჯამიდან ამოჭრილი უცნაური მწვანე შუქი ანათებდა. ჰარი დუმდა. აი, თურმე რატომ წამოიყვანეს: დამბლდორისათვის უნდა დაეძალებინა სასმელი, რომელიც მას გაუსაძლის ტკივილს მიაყენებდა!

– ხომ გახსოვს, რა პირობით წამოგიყვანე? – ჰკითხა დამბლდორმა.

ჰარი შეყოყმანდა და გაუბედავად დაიწყო:

– მაგრამ, რა მოხდება, თუ...

– ხომ შემომფიცე, რომ ჩემს ნებისმიერ ბრძანებას შეასრულებდი?

– დიახ, მაგრამ...

– ხომ გაგაფრთხილე, რომ წინ საფრთხე გველოდა?

– დიახ, მაგრამ...

– მაშინ, – დამბლდორმა მკლავები აიკაპიწა და ცარიელი ფიალა ასწია, – ჩემგან ბრძანება მიღებული გაქვს.

– რატომ არ შეიძლება, თქვენ მაგივრად სასმელი მე დავლიო? – სასოწარკვეთით ჰკითხა ჰარიმ.

– იმიტომ, რომ მე შენზე გაცილებით ბებერი ვარ, შენზე გაცილებით ჭკვიანი და შენზე გაცილებით უსარგებლო, – აუხსნა დამბლდორმა, – ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიოთ, ჰარი: მპირდები, რომ ყველაფერს გააკეთებ, რაც შენს ძალ-ღონეს არ აღემატება, რომ მაიძულო დალევა?

– არ შეიძლება...?

– მპირდები?

– კი, მაგრამ...

– მპირდები, ჰარი?

– მე... კარგი, მაგრამ...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სანამ ჰარი კიდევ რამეს იტყოდა, დამბლდორმა ბროლის ფიალა სითხეში ჩაუშვა. წამის მეასედით ჰარის იმედი გაუჩნდა, რომ ფიალა სასმელს ვერ შეეხებოდა, მაგრამ, მისდა გასაკვირად, ბროლმა სითხ-ის ზედაპირი გაარღვია. დამბლდორმა ჭიქა პირთამდე გაავსო და ტუჩებთან მიიტანა.

– შენ გაგიმარჯოს, ჰარი.

და ფიალა დაცალა. ჰარი შეძრწუნებული მისჩერებოდა. ქვის ჯამის კიდეებს ორივე ხელით ისე ჩაჰფრენოდა, რომ თითები დაუბუჟდა.

– პროფესორო, რას გრძნობთ? – ჰკითხა აღელვებულმა დამ-ბლდორს, როცა მან ფიალა დაცალა.

თვალდახუჭულმა დამბლდორმა თავი გააქნია. ჰარიმ გაიფიქრა, ნეტავ, ტკივილი ხომ არ უვლისო. დამბლდორს თვალი არ გაუხელია, ისე ჩაყო ფიალა ჯამში, შეავსო და დალია.

მან ხმის ამოუღებლივ გამოცალა სამი ფიალა. მეოთხე ფიალის სმისას დაბარბაცდა. თვალები ისევ დახუჭული ჰქონდა და მძიმედ სუნთქავდა.

– პროფესორო დამბლდორ, გესმით ჩემი? – ჰკითხა შეწუხებულმა ჰარიმ.

დამბლდორმა არ უპასუხა. სახე ისე შეეჭმუხნა, თითქოს ღრმა ძილშია წასული და კოშმარი ესიზმრებაო. ხელი, რომლითაც ფიალა ეჭირა, მოუდუნდა. წამიც, და სასმელი დაიღვრებოდა. ჰარიმ ბროლის ფიალას ხელი სტაცა და გაასწორა.

– პროფესორო, გესმით ჩემი? – გაიმეორა ხმამაღლა, მისი ხმა ექოდ დაირხა მღვიმეში.

დამბლდორმა მძიმედ ამოისუნთქა და შემდეგ ისეთი შეცვლილი ხმით დაილაპარაკა, რომ ჰარის გული გადაუტრიალდა: მას არას-დროს გაეგონა დამბლდორის ასეთი შეშინებული ხმა.

– არ მინდა... ნუ მაიძულებ...

ჰარი ჩაჰყურებდა მისთვის ასე ნაცნობ, სათაყვანებელ სახეს, კეხიან ცხვირსა და ნახევარმთვარისებურ სათვალეს და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

– არ მომწონს... აღარ მინდა... – ისევ ამოიგმინა დამბლდორმა.

– თქვენ... უნდა დალიოთ, პროფესორო, თვითონ არ მითხარით, რომ სმა არ უნდა შეწყვიტოთ? აი... – ამოილუღლუღა ჰარიმ, მაგრამ ძალა მოიკრიბა, თავისივე საქციელით შეძრულმა დამბლდორს ფიალა ტუჩებთან მიუტანა და ძალით დაალევინა შიგ ჩარჩენილი სასმელი.

– არა, – დაიკვნესა დამბლდორმა, როცა ჰარიმ ფიალა ისევ ჭურ-ჭელში ჩაუშვა და ხელახლა აავსო, – არ მინდა... არ მინდა... თავი დამანებე...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ნუ გეშინიათ, პროფესორო, – ამშვიდებდა ხელებაკანკალებული ჰარი, – ყველაფერი რიგზეა, მე აქ ვარ...

– აღარ მინდა, აღარ მინდა, – დაიგმინა დამბლდორმა.

– დიახ, დიახ, აი, ესეც, და მორჩა, – იცრუა ჰარიმ და ზურმუხტ-ისფერი სითხე დამბლდორს ღია პირში ჩაასხა.

დამბლდორმა სულისშემძვრელად დაიყვირა, ვეება სივრცეში ექომ დაიგრგვინა და მკვდარ შავ წყალს გადაურბინა.

– არა, არა, არა... არა... არ შემიძლია, არ შემიძლია, ნუ მაიძულებ, არ მინდა...

– ყველაფერი რიგზეა, პროფესორო, ყველაფერი რიგზეა! – ხმა-მაღლა ამშვიდებდა ჰარი. ხელები ისე უკანკალებდა, რომ მეექვსე ფიალა ძლივს შეავსო სითხით. ჭურჭელი უკვე ნახევრად დაცარი-ელდა, – არაფერი მოგივათ, არაფერი გემუქრებათ, ეს ყველაფერი სინამდვილე არ არის, გეფიცებით, ეს სინამდვილე არ არის... დალიეთ, დალიეთ...

დამბლდორმა ისე მორჩილად დალია, თითქოს ჰარი შხამსაწი-ნააღმდეგო საშუალებას სთავაზობდა, მაგრამ, როგორც კი ფიალა დაცალა, მუხლებზე დაეშვა, მთელი ტანით აკანკალდა და აქვითინდა:

– ჩემი ბრალია, ყველაფერი ჩემი ბრალია! გევედრები, შეჩერდი! ვიცი, შეცდომა დავუშვი. მე აღარასოდეს... აღარასოდეს...

დამბლდორი ისე მოიკუნტა, თითქოს უხილავი ჯალათები შემო-ერტყნენ გარს. ხელი გაიქნია და ჰარის სავსე ფიალა აცახცახებული ხელიდან კინაღამ გააგდებინა. შემდეგ კვლავ გმინვას მოჰყვა:

– მათ არაფერი დაუშავო, მათ არაფერი დაუშავო, გთხოვ, გთხოვ, ჩემი ბრალია, ჩემზე იყარე ჯავრი.

– აი, დალიეთ, დალიეთ, და კარგად გახდებით, – შესძახა სასო-წარკვეთილმა ჰარიმ და დამბლდორიც დამორჩილდა. თვალებდახ-უჭულმა პირი გააღო. სასმელი ჩაყლაპა თუ არა, თავით ფეხამდე ჟრჟოლამ დაუარა და გამაყრუებელი ყვირილით დაემხო ძირს. ამასო-ბაში ჰარი უკვე მეცხრე ფიალას ავსებდა.

– გევედრები, გევედრები, გევედრები, არა... ოღონდ ეგ არა, ოღონდ ეგ არა, ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდაც...

– დალიეთ, პროფესორო, დალიეთ...

დამბლდორი გაისუსა და ფიალა წყურვილით გატანჯული ბავშვი-ვით გამოცალა, მაგრამ მერე ისე აკივლდა, თითქოს ცეცხლი შეუნ-თესო.

– მეტი აღარ, გთხოვ, მეტი აღარ...

ჰარიმ მეათედ ამოხაპა სითხე და იგრძნო, როგორ გაეხახუნა ბრო-ლის ფიალა ჯამის ფსკერს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თითქმის მოვრჩით, პროფესორო, დალიეთ, დალიეთ... ჰარი პროფესორს მხრებში შეუდგა, წამოსწია და ისევ ძალით ჩაასხა დამბლდორს სითხე პირში. მერე ფეხზე წამოხტა და ფიალა სწრაფად შეავსო. დამბლდორმა კი კიდევ უფრო გულის გამგმირავი კივილი მორთო:

– სიკვდილი მინდა! სიკვდილი მინდა! შეწყვიტე, შეწყვიტე! სიკვდილი მინდა!

– დალიეთ, პროფესორო, დალიეთ...

დამბლდორმა ახლა ისევ მორჩილად დალია და ამოიგმინა:

– მომკალი!

– ეს... აი, ეს მოგკლავთ! – სული შეუგუბდა ჰარის, – თქვენ მხოლოდ ეს დალიეთ და... ყველაფერი დასრულდება... ყველაფერი!

დამბლდორი ფიალას დაეწაფა, ბოლო წვეთამდე გამოცალა, შემდეგ ღრმად, ძრწოლით ჩაყლაპა ჰაერი და მუცელზე გადაგორდა.

– არა! – შესძახა ჰარიმ, რომელიც ფიალის ასავსებად წამომდგარიყო, ფიალა ჯამში ჩააგდო, დამბლდორის გვერდით მუხლებზე დაეცა და ზურგზე გადააბრუნა. პროფესორს სათვალე გვერდზე მოჰქცეოდა, პირი ღია დარჩენოდა, თვალები დახუჭოდა.

– არა, – ამოიხავლა ჰარიმ და დამბლდორი შეანჯღრია, – არა, არ მომკვდარხართ! ხომ თქვით, ეს საწამლავი არ არისო! გამოფხიზლდით, გამოფხიზლდით... – ჰარიმ დამბლდორს მკერდში დაუმიზნა ჯადოსნური ჯოხი და იყვირა: – რენერვატე! სერ... გევედრებით...

დამბლდორს ქუთუთოები შეუთრთოლდა. ჰარის გული აუფართხალდა.

– სერ, როგორ...

– წყალი, – დაიკვნესა დამბლდორმა.

– წყალი, – გაიმეორა ჰარიმ, – ახლავე...

ფეხზე წამოფრინდა და ჯამში ჩაგდებულ ფიალას დასწვდა, არც კი შეუმჩნევია ჯამის ფსკერზე დაგდებული ოქროს მედალიონი.

– აგუამენტი! – შესძახა ჰარიმ და ფიალას ჯადოსნური ჯოხი დაჰკრა.

ფიალა ანკარა წყლით აივსო. ჰარიმ დამბლდორის გვერდით დაიჩოქა, პროფესორს თავი აუწია და თასი ტუჩებთან მიუტანა... მაგრამ ის ცარიელი აღმოჩნდა. დამბლდორი მძიმედ აქოშინდა.

– მაგრამ... ერთი წუთით... აგუამენტი! – გაიმეორა ჰარიმ და ჯოხი ისევ თასს მიუშვირა. ამჯერადაც მასში სუფთა წყალი აკამკამდა, მაგრამ, როგორც კი დამბლდორის ტუჩებს მიუახლოვდა, წყალი ისევ გაქრა.

– სერ, მე ვცდილობ, ვცდილობ! – სასოწარკვეთით ამბობდა ჰარი,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ დამბლდორს, ალბათ, მისი აღარც კი ესმოდა. გვერდზე გადაბრუნებულიყო და აგონიაში მყოფივით ხრიალებდა, – აგუამენტი, აგუამენტი, აგუამენტი!!!

ფიალა ისევ აივსო და დაცარიელდა. დამბლდორი უკვე სუსტად სუნთქავდა. პანიკაში ჩავარდნილ ჰარის თავი ლამის გასკდომოდა ფიქრისაგან. ინსტინქტურად მიხვდა, რომ წყლის მოპოვების იმ ერთადერთი გზისთვის უნდა მიემართა, რომელიც ვოლდემორმა დაგეგმა...

ჰარი ნაპირს მივარდა, ფიალა ტბაში ჩაყო და ყინულივით ცივი წყლით გაავსო. წყალი არ გამქრალა.

– სერ... აი! – დაიკივლა ჰარიმ და წყალი დამბლდორს უბოდიშოდ დაასხა პირდაპირ სახეზე.

ამაზე უკეთესს ველარაფერს მოახერხებდა, რადგან მეორე ხელზე მსუსხავი სიცივე იგრძნო, რაც გაყინული წყლის ბრალი სულაც არ ყოფილა. შიშისაგან აცახცახებულმა ჰარიმ დაინახა, რომ მაჯაზე სლიკინა თეთრი ხელი შემოსჭდობოდა, და არსება, რომელსაც ეს ხელი ეკუთვნოდა, აუჩქარებლად ეწეოდა ბიჭს უკან, წყლისაკენ. ტბის ზედაპირი მოსარკული აღარ იყო, წყალი თუხთუხებდა და სადაც უნდა გაგეხედა, მრუმე წყლიდან თეთრი თავები და ხელები ამოდიოდა. ქვის კუნძულისაკენ მოიწევდნენ კაცები, ქალები და ბავშვები ამოღამებული, უსინათლო თვალებით: შავი წყლიდან მიცვალებულთა ჯარი ამოიზარდა.

– პეტრიფიკუს ტოტალუს! – დაიღრიალა ჰარიმ, გამწარებით მოეჭიდა კუნძულის გლუვ, სველ ზედაპირს და მის მკლავს ჩაბღაუჭებულ ინფერიუსს ჯადოსნური ჯოხი მიუშვირა. ინფერიუსმა ხელი გაუშვა ჰარის და თვითონ ტბაში მოადინა ტყაპანი. ჰარი ფეხზე წამოფორთხდა, მაგრამ ქვაზე უკვე ურიცხვი ინფერიუსი მოცოცავდა. გაძვალტყავებული ხელებით მის სლიპინა ზედაპირს ფხოჭნიდნენ, არაფრისმთქმელ, ყინვაჩამდგარ თვალებს ბიჭს არ აშორებდნენ, წყლით გაჟღენთილი ძონძები უკან მოსთრევდათ, ჩაცვივნული სახეები ბოროტად ულიმოდათ.

– პეტრიფიკუს ტოტალუს! – ერთხელაც დასჭყივლა ჰარიმ, უკან დაიხია და ჯადოსნური ჯოხი ჰაერში ღონივრად მოიქნია. ექვსი თუ შვიდი ინფერიუსი უკან გადავარდა, – იმპედიმენტა! ინკარცეროუს!

რამდენიმე გვამი წაფორხილდა, ერთი-ორი თოკებმა გაკოჭა, მაგრამ დაცემულებს მათ უკან მომავალი გვამები გადმოაცოცდნენ. ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი ჰაერში ისევ გაიქნია და დაიყვირა:

– სეკტუმსემპრა! სეკტუმსემპრა!

მიცვალებულებს სველ ძონძებსა და გაყინულ კანზე ღრმა ჭრი-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლობები გაუჩნდათ, თუმცა მეტი არაფერი მომხდარა: დასაღვრელი სისხლი სად ჰქონდათ! ისინი ტკივილს ვერ გრძნობდნენ, გზას აგრძელებდნენ და დამჭკნარი ხელებით ჰარის მოხელთებას ცდილობდნენ. ჰარიმ კიდევ უფრო უკან დაიხია და იგრძნო, რომ ზურგიდან ვიღაცის მკლავები შემოეჭდო, წვრილი, უხორცო მკლავები, ისეთივე ცივი, როგორც სიკვდილი. ჰარი ფეხებით მიწას მოსწყდა და გაიფიქრა, რომ უკვე ველარაფერი უშველიდა, სულ მალე წყალში დაიხრჩობოდა და ვოლდემორის დაქუცმაცებული სულის ფრაგმენტის მკვდარ მცველთა რიცხვს მიემატებოდა...

მაგრამ უეცრად სიბნელეში ცეცხლი აბრიალდა: ქვის კუნძულს გარს ალისფერ-ოქროსფერი ცეცხლის რკალი შემოევლო. ინფერიუსი, რომელსაც ჰარი ჩაებღუჯა, წაფორხილდა და ფეხი აებლანდა. მან ვერ გაბედა ცეცხლის ალში გავლა და წყალში ჩასვლა. ჰარი დააგდო. ბიჭი მიწაზე დახტა, ფეხი ქვაზე მოუცურდა, წაიქცა და მკლავი გადაიტყავა, მაგრამ წამსვე წამოხტა, ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა და მიმოიხედა.

დამბლდორი კვლავ ფეხზე იდგა, გარსშემოჯარულ ინფერიუსებზე არანაკლებ გადაფითრებული, მაგრამ მათზე მაღალი. თვალებში ცეცხლი ენთო, ჯადოსნური ჯოხი ჩირაღდანივით აღემართა. ჯოხი წვერიდან ცეცხლის ენებს ისროდა და ირგვლივ ყველას სითბოში ხვევდა.

ინფერიუსები ერთმანეთს ბრმებივით აწყდებოდნენ და გამწარებით ცდილობდნენ, თავი დაეღწიათ ცეცხლის რკალისათვის, რომლის ტყვეობაშიც აღმოჩნდნენ...

დამბლდორმა ქვის ჭურჭლის ფსკერიდან მედალიონი აიტაცა და მანტიაში შეინახა. შემდეგ ჰარის უსიტყვოდ ანიშნა, გვერდით დამიდექიო. ცეცხლით ყურადღებაგაფანტულმა ინფერიუსებმა ვერც კი მოისაზრეს, რომ საკბილო ხელიდან ეცლებოდათ. დამბლდორი და ჰარი ნავში ჩასხდნენ, ცეცხლის რკალი მათთან ერთად მოძრაობდა და ნავს ირგვლივ შემორტყმოდა. საგონებელში ჩავარდნილი ინფერიუსები წყლის კიდემდე მიჰყვნენ მათ და შემდეგ შვებით ჩასრიალდნენ თავიანთ შავი წყლის სავანეში.

ჰარის, რომელსაც მთელ ტანში ჟრჟოლა უვლიდა, წამით ეგონა, რომ დამბლდორს ნავში ჩაჯდომა გაუჭირდებოდა. მართლაც, ის ოდნავ შეტორტმანდა. ჩანდა, მთელი მისი ძალისხმევა მათ ირგვლივ ცეცხლის დამცავი რკალის შენარჩუნებას ხმარდებოდა. ჰარიმ ხელი შეაშველა და ნავში ჩაჯდომაში მიეხმარა. როგორც კი მშვიდობიანად დასხდნენ თავ-თავიანთ ადგილას, ნავი ქვის კუნძულს მოსწყდა და შავ წყალზე გასრიალდა. მას ცეცხლი ისევ შემორკალვოდა და თან


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიჰყვებოდა. ქვემოთ მოფუთფუთე ინფერიუსები ზედაპირზე ამოცურებას ვეღარ ბედავდნენ.

– სერ, სულ დამავიწყდა... ცეცხლი... შემომიტიეს და პანიკაში ჩავვარდი... – ძლივს ამოთქვა ჰარიმ.

– სრულიად ბუნებრივია, – წაილულლულა დამბლდორმა. ჰარის მისმა დასუსტებულმა ხმამ თავზარი დასცა.

ნაპირს მსუბუქად შეეჯახნენ. ჰარი ნავიდან გადახტა და სწრაფად მიბრუნდა დამბლდორის დასახმარებლად. რა წამსაც დამბლდორი ნაპირზე შედგა, ჯოხიანი ხელი ჩამოუვარდა, ცეცხლის რკალი გაქრა, მაგრამ ინფერიუსები წყლიდან აღარ ამოსულან. პატარა ნავი ისევ წყალში ჩაიძირა, ჯაჭვიც ჟღარუნ-წკარუნით ჩასრიალდა ტბაში. დამბლდორმა ღრმად ამოიოხრა და მღვიმის კედელს მიეყრდნო.

– სუსტად ვარ, – თქვა მან.

– ნუ ღელავთ, სერ, – შეძლებისდაგვარად ომახიანად თქვა დამბლდორის დაქანცული იერით შეშინებულმა ჰარიმ, – ნუ ღელავთ, მე გაგიყვანთ აქედან... დამეყრდენით, სერ... – ჰარი დამბლდორს მხარში შეუდგა და ტბის გასწვრივ წაიყვანა.

– სხვათა შორის... დაცვა კარგად იყო მოფიქრებული, – მიკნავებული ხმით აღნიშნა დამბლდორმა, – ერთი ადამიანი ვერაფერს გააწყობდა... შენ ძალიან იყოჩაღე, ძალიან, ჰარი...

– არ ილაპარაკოთ, – ჰარი შიშმა აიტანა, ისე ყლაპავდა ბგერებს დამბლდორი და ისე მიათრევდა ფეხებს, – ძალა დაზოგეთ, სერ... აქედან მალე გავალთ...

– თაღში გასასვლელი ისევ დაიხურებოდა... ჩემი დანა...

– არაა საჭირო. ქვაზე ხელი გადავიყვლიფე, – მტკიცედ უთხრა ჰარიმ, – თქვენ მხოლოდ ის მითხარით, სად...

– აქ...

ჰარიმ ქვას დასისხლიანებული მკლავი გაუსვა: რა წამსაც სისხლის ხარკი მიიღო, თაღში გასასვლელი მაშინვე გაიხსნა. გარე გამოქვაბული გაიარეს და ჰარი დამბლდორს ზღვის ყინულივით ცივ წყალში ჩასვლაში წაეშველა, რომელიც კლდის ნაპრალს ავსებდა.

– ყველაფერი კარგად იქნება, სერ, – უმეორებდა ჰარი. მას ახლა დამბლდორის დუმილი უფრო მეტად უხეთქავდა გულს, ვიდრე მისი დასუსტებული ხმა, – უკვე თითქმის მივედით... ორივესთვის გამოვიყენებ აპარაციას... ნუ ღელავთ...

– არ ვღელავ, ჰარი, – ყინულივით ცივი წყლის მიუხედავად, ოდნავ უფრო ძლიერი ხმით მიუგო დამბლდორმა, – შენ ხომ ჩემთან ხარ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი მცდამეშვიდე

# ნამეხარი კოშკი

მიწაზე ფეხი დადგა თუ არა, ჰარიმ დამბლდორი უახლოეს ლოდზე აათრია და ფეხზე დააყენა. გალუმპულმა, აკანკალებულმა, დამბლდორის სიმძიმით წელში გაწყვეტილმა ჯერ არნახული მონდომებით გაამახვილა ყურადღება აპარაციის სამიზნისაკენ: ჰოგსმიდისაკენ. თვალები დახუჭა, დამბლდორის ხელი მთელი ძალით ჩაბღუჯა და ისევ საშინელი შეგრძნება დაეუფლა.

სანამ თვალს გაახელდა, უკვე მიხვდა, რომ აპარაცია გამოუვიდა: ზღვიდან მონაბერი მლაშე სუნი აღარ სცემდა. ორივენი ჰოგსმიდის მთავარ ქუჩაზე იდგნენ, ძაგძაგებდნენ და წყალი წურწურით ჩამოსდიოდათ. ერთ საშინელ წამს ჰარიმ წარმოიდგინა, რომ მაღაზიების კუთხეებიდან მათკენ ინფერიუსები მოცოცავდნენ, მაგრამ თვალები აახამხამა და დარწმუნდა, რომ ირგვლივ არაფერი იძვროდა. უკუნ სიბნელეს მხოლოდ რამდენიმე ლამპიონი და ზედა სართულის ფანჯრებიდან გამოსული სინათლე ებრძოდა.

– გამოგვივიდა, პროფესორო! – გაჭირვებით დაიჩურჩულა ჰარიმ და მკერდში მწველი ტკივილი იგრძნო, – გამოგვივიდა! ჰორკრუქსი ჩვენია!

დამბლდორი დაბარბაცდა და ჰარის დაეყრდნო. წამით ჰარიმ იფიქრა, ალბათ, ჩემმა უგერგილო აპარაციამ წონასწორობა დააკარგვინაო, მაგრამ შემდეგ, ლაპიონის ბუნდოვან სინათლეზე, მისი სახე დაინახა – სველი და კიდევ უფრო გაფითრებული.

– სერ, როგორა ხართ?

– უკეთესადაც ვყოფილვარ, – სუსტად მიუგო დამბლდორმა და ტუჩის კუთხეები აუთრთოლდა, – ის სასმელი... წყაროს წყალი ნამდვილად არ იყო...

და ჰარის გულის გასახეთქად დამბლდორი მიწაზე დაეშვა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სერ, ყველაფერი რიგზეა. კარგად იქნებით, ნუ გეშინიათ...

სასოწარკვეთილმა ჰარიმ დახმარების სათხოვნელად მიმოიხედა, მაგრამ ახლომახლო სულიერი არ ჭაჭანებდა. ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, დამბლდორი საავადმყოფო ფლიგელში რაც შეიძლება სწრაფად მიეყვანა.

– სკოლაში უნდა აგიყვანოთ, სერ... მადამ პომფრი...

– არა, – შეაწყვეტინა დამბლდორმა, – მე ახლა მხოლოდ პროფესორი სნეიპი მჭირდება... მაგრამ, არა მგონია... ახლა შორს წასვლა შევძლო...

– გასაგებია... სერ, ყური მიგდეთ... რომელიმე კარზე დავაკაკუნებ, ვინმესთან სახლში დაგტოვებთ... მერე გავიქცევი და მოვიყვან მადამ...

– სევერუსი, – მკაფიოდ გამოთქვა დამბლდორმა, – სევერუსი მჭირდება...

– კეთილი, მაშასადამე, სნეიპი გჭირდებათ... მაგრამ ერთიორი წუთით თქვენი მარტო დატოვება მაინც მომიწევს, რომ...

მაგრამ სანამ ადგილიდან დაიძვროდა, სწრაფი ნაბიჯების ხმა გაიგონა. ჰარის გული გადაუქანდა: ვიღაცამ დაინახა, ვიღაცა მიხვდა, რომ მათ შველა სჭირდებოდათ. ჰარიმ მიიხედა და დაინახა, რომ ბნელ ქუჩაზე მათკენ დრაკონებამოქარგულ აბრეშუმის საშინაო ხალათში გახვეული მადამ როზმერტა მორბოდა.

– საძინებელში ფარდებს რომ ვაფარებდი, დავინახე, აქ როგორ გაჩნდით! მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს! ისე დავიბენი, აღარ ვიცოდი, რა... კი მაგრამ, რა სჭირს ალბუსს?

ქალი ქოშინით შედგა და დამბლდორს თვალებგაფართოებულმა დახედა.

– დაშავებულია, – აუხსნა ჰარიმ, – მადამ როზმერტა, შეიძლება, „სამ ცოცხში“ შევიყვანოთ, სანამ სკოლაში ავირბენ და ვინმეს მოვიყვან?

– იქ მარტო ვერ ახვალ! ვერ ხვდები... არ დაგინახავს?

– დამეხმარეთ, ერთად წამოვაყენოთ, – ჰარი ქალს არ უსმენდა, – მგონი, მოვახერხებთ შიგნით შეყვანას...

– რა მოხდა? – იკითხა დამბლდორმა, – როზმერტა, რა ამბავია?

– შავი ნიშანი, ალბუს!

ქალმა ჰოგვორტსის მიმართულებით, ცისკენ ანიშნა. ამ სიტყვების გაგონებაზე ჰარის თავზარი დაეცა. სკოლისაკენ გაიხედა და ადგილზე გახევდა: სკოლის ზემოთ ცაზე ეკიდა გველისენიანი კაშკაშა მწვანე თავის ქალა – შავი ნიშანი, რომელსაც „სიკვდილის მხვრელები“ ტოვებდნენ ყველა შენობის თავზე, რომელსაც არბევდნენ... ყველგან, სადაც ვინმეს კლავდნენ...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როდის გაჩნდა? – იკითხა დამბლდორმა, ფეხზე წამოდგომა სცადა და ჰარის მხარზე ისე მოუჭირა ხელი, რომ ატკინა.

– ალბათ, რამდენიმე წუთის წინ. კატა გარეთ რომ გავაგდე, ჯერ იქ არ იყო, მაგრამ როდესაც მეორე სართულზე ავედი...

– ახლავე უნდა დავბრუნდეთ ციხე-კოშკში, – განაცხადა დამბლდორმა, – როზმერტა, – ის ოდნავ ისევ ბარბაცებდა, მაგრამ ჩანდა, რომ უკვე საღად აზროვნებდა, – ტრანსპორტი გვჭირდება... ცოცხები...

– ბარს უკან ორი ცოცხი მაქვს შენახული, – აცნობა დაზაფრულმა ქალმა, – გავიქცე, მოვიტანო?

– არა, ჰარი იზამს ამას.

ჰარიმ მაშინვე მოიმარჯვა ჯადოსნური ჯოხი.

– აკციო როზმერტას ცოცხები!

წამიც და, ლუდხანის კარი ხმამაღალი ბრაგვანით გაიხსნა: ქუჩაში ორი ცოცხი გამოიჭრა, ერთმანეთს ასწრებდნენ, ისე მოქროდნენ ჰარისაკენ. ბოლოს ოდნავ ათრთოლებულები ბიჭის გვერდით, წელის სიმაღლეზე, მოწყვეტით გაჩერდნენ.

– როზმერტა, სამინისტროს შეტყობინება გაუგზავნე, – დაუბარა დამბლდორმა და ერთ-ერთ ცოცხზე შეჯდა, – შეიძლება, ჰოგვორტსში ჯერ ვერც კი მიმხვდარან, რომ მათ თავს რაღაც ხდება... ჰარი, უჩინმაჩინის მოსასხამი მოისხი.

ჰარიმ მოსასხამი ჯიბიდან ამოაძვრინა და ცოცხზე შეჯდომამდე შიგ გაეხვა. მადამ როზმერტამ არეული ნაბიჯით გასწია თავისი ლუდხანისაკენ. ჰარიმ და დამბლდორმა მიწას ფეხი დაჰკრეს და ჰაერში აფრინდნენ. ციხე-კოშკისკენ რომ მიქროდნენ, ჰარიმ ცერად გახედა დამბლდორს: ცოცხიდან გადავარდნა თუ დააპირა, ხელი შევაშველოო. მაგრამ შავი ნიშნის დანახვამ დამბლდორზე, როგორც ჩანდა, ყველა წამალზე უკეთ იმოქმედა. დირექტორი ცოცხზე გაწოლილიყო და შავ ნიშანს თვალს არ აშორებდა, გრძელი შეევრცხლილი თმა-წვერი ღამის ჰაერში უფრიალებდა. ჰარიმაც წინ, თავის ქალისაკენ გაიხედა და შიშმა შხამივით დაუარა სხეულში, ფილტვები შეუკუმშა და მის გონებაში გაბატონდა...

მაინც რამდენი ხნის წასულები იყვნენ სკოლიდან? ნეტავ, რონი, ჰერმიონი და ჯინი როგორ არიან? ნუთუ სკოლის თავზე შავი ნიშნის ლივლივის მიზეზი ერთ-ერთი მათგანია? თუ ნევილს, ლუნას ან **და**-ს სხვა რომელიმე წევრს დაემართა რამე? თუ ასეა... თვითონ არ დაავალა მათ დერეფნებში პატრულირება? თვითონ არ წამოყარა უსაფრთხო საწოლებიდან? ნუთუ ამჯერადაც მის სინდისზე იქნებოდა რომელიმე მეგობრის სიკვდილი?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როდესაც ჩაბნელებულ, მიხვეულ-მოხვეულ გზას გასცდნენ, ჰარიმ გაიგონა, კვლავ როგორ ჩაიბუტბუტა დამბლდორმა რაღაცა უცნაურ ენაზე. ჰარი დაახლოებით მიხვდა, რაც ხდებოდა: სწორედ ამ დროს სკოლის ეზოს გალავანს გადაუფრინეს და წამით მისი ცოცხი შეჯანჯღარდა. როგორც ჩანდა, დამბლდორმა ახსნა ციხე-კოშკის შემოგარენზე დადებული ჯადო, რათა სრული სიჩქარით შეფრენილიყვნენ ეზოში. შავი ნიშანი ჰოგვორტსის ყველაზე მაღალი კოშკის – ასტრონომიის კოშკის – თავზე ბრწყინავდა. ნუთუ, ეს იმას ნიშნავდა, რომ მკვლელობა იქ მოხდა?

დამბლდორმა უკვე გადაუფრინა დაკბილულ ქონგურს და ცოცხიდან შეძლებისდაგვარად მარდად ჩამოხტა. ჰარი წამში დაეშვა მის გვერდით და მიმოიხედა.

კოშკის თავზე არავინ ჩანდა. სპირალისებურ კიბეზე გამავალი კარი, რომლითაც ციხე-კოშკში ჩადიოდნენ, დაკეტილი იყო. ჩხუბის, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის კვალი ან გვამები არსად ჩანდა.

– ეს რას ნიშნავს? – ჰარიმ მწვანე თავის ქალას ახედა, რომელსაც პირიდან გველი გამოსჩროდა და ავად ციმციმებდა ჩაკუნაპეტებულ ცაზე, – ეს ნამდვილი ნიშანია? ნამდვილად კი იყო ვინმე... პროფესორო?

შავი ნიშნის ბუნდოვან მწვანე სინათლეზე ჰარიმ დაინახა, რომ დამბლდორმა დამწვარი ხელი მკერდზე იტაცა.

– წადი და სევერუსი გააღვიძე, – სუსტად, მაგრამ მკაფიოდ უთხრა დამბლდორმა, – უამბე, რაც მოხდა და ჩემთან მოიყვანე. მეტი არაფერი გააკეთო, სხვას არავის დაელაპარაკო და უჩინმაჩინის მოსასხამი არ გაიხადო. მე აქ დაგელოდები.

– კი, მაგრამ...

– შენ შემომფიცე, რომ დამემორჩილებოდი, ჰარი. წადი!

ჰარი სწრაფი ნაბიჯით წავიდა სპირალისებურ კიბეზე გამავალი კარისაკენ, მაგრამ ის იყო, ხელი რკინის სახელურს ჩაავლო, რომ მოესმა, მეორე მხარეს როგორ ამოირბინა კიბეზე ვიღაცამ. ჰარიმ დამბლდორს გამოხედა, რომელმაც ანიშნა, კარს გამოეცალეო. ჰარიმ უკან დაიხია და ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა.

კარი ვიღაცამ შემოგლიჯა და შეჰყვირა:

– ექსპელიარმუს!

მოულოდნელად ჰარის სხეული გაუშეშდა და ქვასავით მაგარი, უმოძრაო გაუხდა. მხოლოდ ის იგრძნო, რომ კოშკის კედელს დაეჯახა და ქანდაკებასავით მიეყუდა. არც განძრევა შეეძლო და არც ლაპარაკი. ვერ გაეგო, ეს როგორ მოხდა: ექსპელიარმუსი ხომ არ იყო გამყინავი შელოცვა...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წამსვე შავი ნიშნის შუქზე დაინახა, რომ დამბლდორის ჯადოსნური ჯოხი ქონგურებს მიღმა გადაფრინდა და ყველაფერს მიხვდა: დამბლდორმა მდუმარედ გააშეშა ჰარი და ის წამი, რაც ამ შელოცვის გაფიქრებას მოახმარა, საკუთარი თავდაცვის ფასად დაუჯდა.

ქონგურებს მიყრდნობილ, სახეგადაფითრებულ დამბლდორს შიშისა და ტკივილის ნიშანწყალიც არ დასტყობია, ისე გახედა თავის განმაიარაღებელს და თბილად მიესალმა:

– საღამო მშვიდობისა, დრაკო.

მალფოიმ წინ გადადგა ნაბიჯი, იქაურობას სწრაფად მოავლო თვალი იმის შესამოწმებლად, რომ ის და დამბლდორი მარტონი იყვნენ, და მზერა ცოცხებზე შეაჩერა.

– კიდევ ვინ არის აქ?

– მეც იგივე კითხვა უნდა დამესვა. თუ მარტო მოქმედებ?

მალფოი უფერული თვალებით ისევ დამბლდორს მიაჩერდა და ამაყად გამოუცხადა:

– არა, დამხმარეები მყავს. ამ საღამოს თქვენს სკოლაში „სიკვდილის მხვრელები“ არიან.

– უყურე, შენ! – ისეთი ტონით თქვა დამბლდორმა, თითქოს მალფოიმ სანიმუშოდ შესრულებული საშინაო დავალება აჩვენაო, – ყოჩაღ! მაშ, მაინც გამოძებნე მათი სკოლაში შემოყვანის საშუალება, არა?

– დიახ, – მძიმედ სუნთქავდა მალფოი, – თქვენ ცხვირწინ! თქვენ კი ვერაფერს მიხვდით.

– კარგად მოგიფიქრებია, – მოუწონა დამბლდორმა, – მომიტევე, მაგრამ... სად არიან ისინი? შენი მოკავშირეები არსად ჩანან.

– ისინი თქვენს დაცვას გადაეყარნენ. ქვემოთ ბრძოლაა გაჩაღებული. მალე გამოჩნდებიან... მე მათ გამოვასწარი. მე... მე ჩემი საქმე მაქვს გასაკეთებელი.

– რა გაეწყობა. მაშინ საქმეს უნდა შეუდგე და ბოლომდე შეასრულო დაკისრებული მისია, ჩემო ძვირფასო ბიჭო, – თბილად უთხრა დამბლდორმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. თავისსავე უხილავ, გაქვავებულ სხეულში გამომწყვდეული ჰარი ამ სცენას შესცქეროდა და „სიკვდილის მხვრელთა“ შორეული ბრძოლის ხმების გასაგონად ყურთასმენას ძაბავდა. მალფოი კი იდგა და დამბლდორს ჯიქურ უმზერდა. დამბლდორმა, როგორი დაუჯერებელიც უნდა იყოს, გაიღიმა.

– ეჰ, დრაკო, დრაკო, შენ მკვლელი არ ხარ.

– თქვენ რა იცით? – მაშინვე შეუტია მალფოიმ.

ალბათ, თვითონაც იგრძნო, რამდენად ბავშვურად გამოუვიდა ეს


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნათქვამი. შავი ნიშნის მწვანე შუქზე ჰარიმ დაინახა, როგორ გადაჰ-კრა მალფოის სახეზე სიწითლემ.

– თქვენ არ იცით, რის გამკეთებელი ვარ, – უფრო ფიცხად თქვა მან, – თქვენ არ იცით, მე რა ჩავიდინე!

– როგორ არა, ვიცი, – წყნარად მიუგო დამბლდორმა, – შენ კინა-ღამ შეიწირე ქეითი ბელი და რონალდ უისლი. მთელი წლის განმავ-ლობაში სულ უფრო მეტი მონდომებით ცდილობდი ჩემთვის ბოლოს მოღებას. მაპატიე, დრაკო, მაგრამ შენი ყველა მცდელობა უსუსური იყო... იმდენად უსუსური, რომ გამოგიტყდები, დავეჭვდი კიდეც, რომ მართლა გულით აკეთებდი ამას...

– ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ გულით ვაკეთებდი! – მხურვალედ შესძახა მალფოიმ, – ამას მთელი წელი შევალიე და დღეს...

სადღაც დაბლა, ციხე-კოშკის სიღრმეში, მოგუდული ყვირილი გაისმა. მალფოი დაიძაბა და ზურგს უკან გაიხედა.

– ვიღაცა გვარიან წინააღმდეგობას გიწევს, – ხალისით გააგრძელა საუბარი დამბლდორმა, – მაგრამ, რას ამბობდი? ა, ჰო, ჩემს სკოლაში „სიკვდილის მხვრელები“ შემოიყვანე, რაც, უნდა ვაღიარო, რომ შეუძლებელი მეგონა... მაინც, როგორ მოახერხე ეს?

მალფოიმ არ უპასუხა. ქვემოდან ამოსულ ხმებს განაბული და ყურებდაცქვეტილი უსმენდა. თითქოს მასაც დამბლა დაეცაო.

– შეიძლება, მარტოს მოგიწიოს საქმის დასრულება, – ივარაუ-და დამბლდორმა, – ვაითუ, შენს თანამზრახველებს ჩემმა დაცვამ სძლია? ალბათ, უკვე თავადაც დარწმუნდი, რომ ამ საღამოს აქ ფენიქსის ორდენის წევრებიც არიან. ან, ბოლოს და ბოლოს, დახ-მარება რაში გჭირდება? ახლა მე ჯადოსნური ჯოხი არა მაქვს, რომ თავის დაცვა შევძლო...

მალფოი დამუნჯებული იდგა და დამბლდორს თვალს არ აშო-რებდა.

– გასაგებია, – გულთბილად წარმოთქვა დამბლდორმა, რაკი მალ-ფოი არც გაინძრა და არც ხმა ამოიღო, – გეშინია, იმოქმედო, სანამ ისინი არ შემოგიერთდებიან?

– არ მეშინია! – შეუღრინა მალფოიმ, თუმცა დამბლდორზე თავ-დასხმას არ ჩქარობდა, – მე კი არა, თქვენ უნდა გეშინოდეთ!

– კი მაგრამ, რატომ? არა მგონია, მომკლა, დრაკო. მკვლელობა არც ისეთი ადვილია, როგორც უცოდველთ სწამთ... მაშინ, სანამ შენს მეგობრებს ველით... მიამბე, როგორ შემოაპარე ისინი სკოლაში. როგორც ჩანს, გეგმის შესამუშავებლად კარგა ხანი დაგჭირდა...

მალფოის ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს თავს ძლივს იკავებს, რომ არ აყვირდეს ან არ აღებინოსო. პირი დააღო და რამდენჯერმე ღრმად


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩაისუნთქა ჰაერი. დამბლდორს თვალით ბურღავდა და ჯადოსნურ ჯოხს შიგ გულში უმიზნებდა. შემდეგ თითქოს ნაძალადევად უპასუხა:

– ის გატეხილი გაუჩინარების კარადა შევაკეთე, რომელიც უკვე მრავალი წელია, გაუქმებულია და რომელშიც შარშან მონტეგიუ დაიკარგა.

– ااااا...

დამბლდორის ოხვრა გმინვას უფრო ჰგავდა. წამით თვალები დახუჭა.

– კარგად მოგისაზრებია... რამდენადაც ვხვდები, მეორე ასეთივე კარადაც არსებობს, არა?

– მეორე „ბორჯინ ენდ ბერკსშია", – უპასუხა მალფოიმ, – და ისინი ერთმანეთს ერთგვარი დერეფნით უკავშირდებიან. მონტეგიუმ მიამბო, რომ როდესაც ჰოგვორტსის კარადაში იყო გამომწყვდეული, ზოგჯერ სკოლის ხმაური ჩაესმოდა, ზოგჯერ კი – მაღაზიისა, თითქოს კარადა მათ შორის მოგზაურობდა, მაგრამ ვერავის აწვდენდა ხმას... ბოლოს აპარაციის გამოყენებით გამოაღწია, რაც კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა, რადგან აპარაციის ტესტი არ ჰქონდა ჩაბარებული. მისი მონათხრობი ყველამ თავშესაქცევ ამბად მიიჩნია, მაგრამ მე მივხვდი, ეს რას ნიშნავდა. ბორჯინიც კი არ იყო აზრზე. მხოლოდ მე მივხვდი, რომ გატეხილ კარადას თუ შევაკეთებდი, მისი საშუალებით ჰოგვორტსში შემოღწევა შესაძლებელი გახდებოდა.

– ყოჩაღ, – წაილუღლუღა დამბლდორმა, – ესე იგი, შენს დასახმარებლად „სიკვდილის მხვრელები" სკოლაში „ბორჯინ ენდ ბერკსიდან" შემოვიდნენ? გონივრული გეგმაა, ძალიან გონივრული... და როგორც თავად ბრძანე, პირდაპირ ჩემს ცხვირწინ...

– დიახაც, – საოცარია, მაგრამ დამბლდორის შექებამ მალფოის თითქოს თავდაჯერებულობა და სიმშვიდე შემატა, – დიახ, ასეა!

– მაგრამ ზოგჯერ, – გააგრძელა დამბლდორმა, – ზოგჯერ ხომ ეჭვი გეპარებოდა, რომ კარადის შეკეთებას შეძლებდი? სწორედ ამიტომ იჩქარე და დაწყევლილი ყელსაბამი გამომიგზავნე. ვფიქრობ, უნდა მივმხვდარიყავი, რომ მას უეჭველად სხვის ხელში ჩავარდნა ეწერა... რაც შეეხება, მოწამლულ თაფლუჭს – ამ შემთხვევაშიც უმცირესი შანსი არსებობდა იმისა, რომ სასმელი ჩემამდე მოაღწევდა...

– კი მაგრამ, მაინც ხომ ვერ მიხვდით, ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან? – ჩაიცინა მალფოიმ. ქონგურზე მიყრდნობილი დამბლდორი ოდნავ დაბლა ჩაცურდა. ეტყობოდა, რომ ფეხებში ძალა ეცლებოდა. ჰარი უშედეგოდ, მდუმარედ შეებრძოლა გაქვავებულ სხეულს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სიმართლე რომ გითხრა, მივხვდი, – შენიშნა დამბლდორმა, – დიახ, დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს შენ ბრძანდებოდი.

– მაშ, რატომ არ შემაჩერეთ? – დაჟინებით ჰკითხა მალფოიმ.

– შევეცადე, დრაკო. ჩემი დავალებით პროფესორ სნეიპს შენზე თვალი ეჭირა...

– ის თქვენს დავალებას კი არ ასრულებდა, დედაჩემს შეჰფიცა, რომ...

– რა თქმა უნდა, შენ ასე გეტყოდა, დრაკო, მაგრამ...

– ის ორმაგი აგენტია, შე ჭკუათხელო ბებერო, თქვენს მხარეს არაა, ეს თქვენ გგონიათ ასე!

– უნდა შევთანხმდეთ, რომ ამ საკითხზე განსხვავებული აზრი გვაქვს, დრაკო. საქმე ისაა, რომ მე პროფესორ სნეიპს ვენდობი...

– ჰოდა, ძალიანაც ცდებით, – ჩაიცინა მალფოიმ, – წამდაუწუმ დახმარებას მთავაზობდა... ჩემი დიდების მისაკუთრება უნდოდა... „რას აპირებ, დრაკო? ყელსაბამის ამბავი შენი ნახელავია, დიდი სისულელე დაუშვი, კინაღამ ყველაფერი ჩაშალე...“ მაგრამ, ვერ მივართვი, მაინც არ ვუთხარი, რას ვაკეთებდი მიშველე-ოთახში. ხვალ დილით რომ გაიღვიძებს, უკვე ყველაფერი დამთავრებული იქნება და ისიც გამოეთხოვება ბნელი ბატონის კეთილგანწყობას. ჩემთან შედარებით, არაფერი არ იქნება, არაფერი!

– რა თქმა უნდა, ძალიან წამახალისებელია, როცა მძიმე შრომას გვიფასებენ, – დაუყვავა დამბლდორმა, – მაგრამ შენ თანამზრახველი უნდა გყოლოდა... თანაც, ჰოგსმიდში. ის, ვინც ქეითის შეაპარა... ااا, გასაგებია...

დამბლდორმა თვალები კვლავ დახუჭა და თავი ისე დააკანტურა, თითქოს ძილი მოერიაო.

– რა თქმა უნდა... როზმერტა! რამდენი ხანია, რაც იმპერიუსის წყევლის გავლენის ქვეშაა?

– მიხვდით, როგორც იქნა? – დაგესლა მალფოიმ. ქვემოდან ისევ გაისმა ყვირილი, წინაზე უფრო ხმამაღალი.

მალფოიმ აღელვებით გაიხედა ზურგს უკან, შემდეგ კი ისევ დამ-ბლდორს მიაჩერდა.

– მაშ, საბრალო როზმერტა აიძულეთ, თავისსავე ტუალეტში ჩასა-ფრებულიყო და ყელსაბამი ჰოგვორტსის პირველივე სტუდენტისათ-ვის გადაეცა, ვინც იქ მარტო შევიდოდა? და მოწამლული თაფლუჭი... ჰო, ბუნებრივია, როზმერტას არ გაუჭირდებოდა შენი დავალებით მისი მოწამვლა და სლაგჰორნისათვის გაგზავნა. არც იმის თხოვნა დაავიწყდებოდა, რომ საშობაოდ სლაგჰორნს სასმელი ჩემთვის გად-მოეცა... მართლაც და, სუფთა ნახელავია, ძალიან სუფთა. საბრალო


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოხუც მისტერ ფილჩს, რასაკვირველია, აზრადაც არ მოუვიდოდა როზმერტას გამოგზავნილი ბოთლის შემოწმება... ერთი ეს მითხარი, როგორ უკავშირდებოდი როზმერტას? მეგონა, სკოლის შიგნით და გარეთ ყველა საკომუნიკაციო საშუალებას ვაკონტროლებდით.

– მოჯადოებული მონეტებით, – თითქოს ლაპარაკს ვინმე აიძულებსო, ისე უპასუხა მალფოიმ, ჯოხი ხელში საშინლად უკანკალებდა, – ერთი მონეტა მე მქონდა, მეორე კი – მას, და ერთმანეთს ასე ვუგზავნიდით შეტყობინებებს...

– განა შარშან კავშირის დამყარების ამ საიდუმლო მეთოდს ეგრეთ წოდებული „დამბლდორის არმია“ არ იყენებდა? – ჰკითხა დამბლდორმა მხიარული ტონით, თითქოს გატაცებით მუსაიფობსო, მაგრამ ჰარიმ შეამჩნია, რომ კიდევ ერთი სანტიმეტრით ჩაცურდა დაბლა.

– დიახ, ეს იდეა მათ მოვპარე, – ირონიული ღიმილით მიუგო მალფოიმ, – თაფლუჭის მოწამვლის იდეა კი მუქსისხლიან გრეინჯერს დავესესხე. ყური მოვკარი, როგორ ამბობდა ბიბლიოთეკაში, ფილჩი სასმელებს ვერ ცნობსო...

– გეთაყვა, ამ უხამს სიტყვას ჩემი თანდასწრებით ნუ წარმოთქვამ, – შუბლი შეიკრა დამბლდორმა.

მალფოიმ უსიამოვნოდ გაიცინა:

– განა თქვენთვის სულერთი არაა, ვიტყვი თუ არა ამ სიტყვას, როცა წუთი წუთზე მოკვლას გიპირებთ?

– არა, სულერთი არაა, – თქვა დამბლდორმა და ჰარიმ დაინახა, რომ ფეხი იატაკზე გაუცურდა და წელში გასწორება უმწეოდ სცადა. – რაც შეეხება, წუთი წუთზე ჩემს მოკვლას, შენ უკვე არაერთი გრძელი წუთი დაკარგე. როგორც ხედავ, ჩვენ სულ მარტონი ვართ აქ. თანაც ახლა იმაზე დაუცველი ვარ, ვიდრე ოდესმე გიოცნებია, და მოქმედებისგან რატომღაც მაინც იკავებ თავს...

მალფოის თავისდა უნებურად პირი ისე დაეღმიჭა, თითქოს რაღაც მწარე ჩაყლაპაო.

– რაც შეეხება დღევანდელ დღეს, – გააგრძელა დამბლდორმა, – ცოტა არ იყოს, დაბნეული ვარ: ვერ გამიგია, ეს როგორ მოხდა... რა იცოდი, რომ სკოლიდან წავედი? თუმცა, რა თქმა უნდა, – უპასუხა დამბლდორმა თავისსავე კითხვას, – გზაში როზმერტამ დამინახა და დარწმუნებული ვარ, თქვენი არაჩვეულებრივი მონეტების საშუალებით გაგაფრთხილა...

– სწორია, – დაუმოწმა მალფოიმ, – მაგრამ მან მაცნობა, რომ მხოლოდ დასალევად გახვედით და მალე დაბრუნდებოდით...

– დიახ, შეიძლება ითქვას, მართლაც დასალევად წავედი... და


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დავბრუნდი... – ჩაილაპარაკა დამბლდორმა, – მაშ, ჩემთვის ხაფანგის მოწყობა განიზრახეთ?

– გადავწყვიტეთ, რომ კოშკის თავზე შავი ნიშანი აგვეშვა და თქვენი აქ მოსვლა დაგვეჩქარებინა. როგორც ხედავთ, ამან გაჭრა!

– თან ჰო, და თან არა, – თქვა დამბლდორმა, – მაშასადამე, ეს ისე უნდა გავიგო, რომ არავინ მოუკლავთ?

– ვიღაცა მკვდარია, – მალფოიმ ამ სიტყვებზე მთელი ტონით აუწია ხმას, – ერთ-ერთი თქვენიანი... არ ვიცი, რომელი. ბნელოდა... სხეულს გადავაბიჯე... თქვენს დაბრუნებას მე აქ უნდა დავლოდებოდი, მაგრამ ფენიქსის ორდენის წევრები გადაგვეღობნენ...

– კი, ეს კარგად ეხერხებათ, – შენიშნა დამბლდორმა. ქვემოდან კიდევ უფრო ხმამაღალმა ბრახაბრუხმა და ყვირილმა ამოაღწია. ეტყობოდა, ბრძოლამ უკვე ზედ სპირალისებურ კიბეზე გადმოინაცვლა, რომელიც სწორედ იმ ადგილისაკენ მოემართებოდა, სადაც დამბლდორი, მალფოი და ჰარი იდგნენ. ჰარის უხილავ მკერდში გულს ბაგაბუგი გაუდიოდა... ვიღაცა მკვდარია... მალფოიმ სხეულს გადააბიჯა... ნეტავ, ვინ იყო?

– ასეა თუ ისე, დრო ცოტა დარჩა, – აღნიშნა დამბლდორმა, – ამიტომ, მოდი, შენს არჩევანზე ვისაუბროთ, დრაკო.

– ჩემს არჩევანზე?! – ხმამაღლა შესძახა მალფოიმ, – მე აქ ჯადოსნური ჯოხით ხელში ვდგავარ... სადაცაა, მოგკლავთ!

– ჩემო ძვირფასო ბიჭო, მოდი, გულწრფელად ვისაუბროთ. ჩემი მოკვლა რომ გდომოდა, ამას მაშინვე იზამდი, როცა განმაიარაღე, და არ გამიმართავდი ამ საამურ ბაასს შენს მოხერხებულობასა და გამჭრიახობაზე...

– არჩევანი არა მაქვს! – წარმოთქვა მალფოიმ და უეცრად დამბლდორივით გაიცრიცა, – ეს უნდა გავაკეთო! მომკლავს! მთელ ჩემს ოჯახს ამოწყვეტს!

– ჰო, ვიცი, მართლაც რთულ მდგომარეობაში ხარ! – უთხრა დამბლდორმა, – აბა, შენი აზრით, აქამდე რატომ არ გადაგეღობე? იმიტომ, რომ ვიცოდი, რა წამსაც ლორდი ვოლდემორი მიხვდებოდა, რომ შენზე ეჭვი მქონდა, განწირული იყავი.

მალფოი ვოლდემორის სახელის გაგონებაზე შეკრთა.

– ვერ ვბედავდი შენთან იმ მისიის თაობაზე დალაპარაკებას, რომელიც, დანამდვილებით ვიცოდი, რომ მოგანდეს. მეშინოდა, რომ ვოლდემორი შენ წინააღმდეგ ლეგილიმენციას გამოიყენებდა, – გააგრძელა დამბლდორმა, – მაგრამ ახლა, ბოლოს და ბოლოს, შეგვიძლია, გულახდილად ვისაუბროთ... სერიოზული დანაშაული არ მიგიძღვის... საბედნიეროდ, შენს მოქმედებას მსხვერპლი არ


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოჰყოლია. ბედმა გაგიღიმა, რომ ბელი და უისლი გადარჩნენ... მე შემიძლია შენი დახმარება, დრაკო.

– არა, არ შეგიძლიათ, – მალფოის ხელი ისე უკანკალებდა, ლამის ჯადოსნური ჯოხი გავარდნოდა, – არავის არ შეუძლია. მიბრძანა, რომ ეს უნდა გავაკეთო, თორემ მომკლავს. არჩევანი არ მაქვს!

– გადმოდი სიმართლისა და სიყვარულის მხარეზე, დრაკო. ჩვენ იმაზე უკეთ დაგმალავთ, ვიდრე წარმოგიდგენია. მეტიც, მე შემიძლია, ამაღამ ორდენის წევრები გავაგზავნო დედაშენთან და ისიც არანაკლებ საგულდაგულოდ დავამალინო. მამაშენს ამჟამად აზკაბანში საფრთხე არ ემუქრება... თავის დროზე მის დაცვასაც შევძლებთ. დაფიქრდი, დრაკო... შენ მკვლელი არ ხარ...

მალფოი დამბლდორს თვალს არ აშორებდა.

– მაგრამ მე ხომ უკვე ბევრი შევძელი! – დაიწყო მან ნელა, – მათ ეგონათ, ამ მისიის შესრულებისას დავიღუპებოდი, მაგრამ მე აქ ვარ... თქვენ კი ჩემს ხელთ ხართ... ჩვენ ორში ჯადოსნური ჯოხი მე მიპყრია ხელთ... თქვენ კი ჩემს გულმოწყალებაზე ხართ დამოკიდებული...

– არა, დრაკო, – ჩუმად უთხრა დამბლდორმა, – ახლა მთავარი ჩემი გულმოწყალებაა და არა შენი.

მალფოის ხმა არ გაუღია. პირი დაეღო და კანკალებდა. ჰარის მოეჩვენა, რომ ჯადოსნური ჯოხი ოდნავ დაუშვა კიდეც... მაგრამ უეცრად კიბეზე ბრაგაბრუგი გაისმა და კარი შემოგლიჯეს. წამიც და, მალფოი გზიდან უხეშად ჩამოიშორა შავებში ჩაცმულმა ოთხმა ჯადოქარმა. გაქვავებული, თვალებდაჭყეტილი ჰარი ოთხ უცნობს შეაჩერდა და თავზარდაცემულმა გაიფიქრა: ნუთუ „სიკვდილის მხვრელებმა“ ქვემოთ გამართული ბრძოლა მოიგეს? ნუთუ მისი მეგობრები დაიღუპნენ?

დაბალი, ჯმუხი, პირმოღრეცილი მამაკაცი ხრინწიანი ხმით აქირქილდა.

– დამბლდორი გაება! – თქვა მან და კმაყოფილებით მოღიმარ ჯირკვით ქალს მიუბრუნდა, რომელიც მას ისე ჰგავდა, რომ უეჭველად და-ძმა იქნებოდნენ, – დამბლდორი უჯოხოდ! დამბლდორი მარტოდმარტო! ყოჩაღ, დრაკო, ყოჩაღ!

– საღამო მშვიდობისა, ამიკუს, – ისე მშვიდად მიესალმა დამბლდორი, თითქოს კაცს ჩაიზე ეპატიჟებაო, – ალექტოც მოგიყვანიათ... სასიამოვნოა.

ქალმა ბოროტად ჩაიხითხითა:

– გგონია, იუმორი სასიკვდილო სარეცელზეც გიშველის?

– იუმორი? არა, ეს ზრდილობაა, – უპასუხა დამბლდორმა.

– საქმეზე გადადით, – ჩაერია ჰარისთან ყველაზე ახლოს მდგარი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უცნობი: მაღალი, ახოვანი მამაკაცი, ჭუჭყიანი ჭაღარა თმითა და ულვაშით, რომელსაც ტანზე ასკდებოდა „სიკვდილის მხვრელის“ შავი ტანისამოსი. იმისთანა მჭახე ხმა ჰქონდა, როგორიც ჰარის თავის დღეში არ გაეგონა: ყურს ისე ჭრიდა, თითქოს ყეფსო. ერთ-დროულად ჭუჭყის, ოფლისა და სისხლის მძაფრი სუნი ასდიოდა. დაუბანელ ხელებს გრძელი მოყვითალო ფრჩხილები უმშვენებდა.

– ეს შენა ხარ, ფენრირ? – იკითხა დამბლდორმა.

– მე გახლავარ, – შეუღრინა ფენრირმა, – ახლა არა თქვა, რომ მოხარული ხარ ჩემი ნახვით, დამბლდორ.

– არა, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი...

ფენრირ გრეიბექმა ჩაიღიმა და წაწვეტებული კბილები გამოუჩნდა. ნიკაპზე სისხლი ჩამოეწვეთა და ტუჩები ნება-ნება, ურცხვად გაილო-კა.

– მშვენივრად მოგეხსენება, რარიგად მიყვარს ბავშვები, დამ-ბლდორ.

– ეს როგორ გავიგო, მაშ, უკვე, სავსემთვარობის გარდა, სხვა დროსაც ნადირობ? უჩვეულოა... იმდენად დააგემოვნე ადამიანის ხორცი, რომ თვეში ერთხელ აღარ გყოფნის?

– მართალია, – უპასუხა გრეიბექმა, – ეს თავზარს გცემს, არა, დამბლდორ? გულს გიხეთქავს?

– ჰოო, ვერ უარვყოფ, რომ ცოტა არ იყოს, ზიზღსა მგვრის, – თავი დაუქნია დამბლდორმა, – და დიახ, თავზარს მცემს ის ფაქტი, რომ დრაკომ მაინცდამაინც შენ მოგიწვია აქ, სკოლაში, სადაც მისი მეგობრები ცხოვრობენ...

– მე არ მომიწვევია, – დაიჩურჩულა მალფოიმ. გრეიბექს თვალს არიდებდა, თითქოს მისი დანახვაც კი არ სურდა, – არ ვიცოდი, რომ ესეც მოდიოდა...

– აბა, ჰოგვორტსის მონახულების შანსს ხელიდან როგორ გავუშ-ვებდი, დამბლდორ, – დაიღრინა გრეიბექმა, – როცა აქ ამდენი ყელი მეგულება გამოსაღადრი... იფ, იფ, იფ...

ამ სიტყვებზე ყვითელფრჩხილება ხელი ასწია და წინა კბილი გამოიჩიჩქნა, თან დამბლდორს იქედნურად უცინოდა.

– დესერტად შენც მიგაყოლებდი, დამბლდორ...

– არა, – მკვახედ მოუჭრა მეოთხე „სიკვდილის მხვრელმა“. მას დაუნდობელი, ბულდოგივით სახე ჰქონდა, – ბრძანება ბრძანებაა! ეს დრაკომ უნდა გააკეთოს! აბა, დრაკო, დაუჩქარე.

მალფოის უწინდელზე ნაკლები სიმტკიცე ეტყობოდა. დაზაფრულ-მა ჩახედა კედელზე კიდევ უფრო დაბლა ჩაცურებულ დამბლდორს მკვდარივით გაცრეცილ სახეში.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე თუ მკითხავთ, ისედაც სული კბილით უჭირავს! – შესძახა მოლრეცილპირიანმა კაცმა, რასაც მისი დის ხრინწიანი ხითხითი მოჰყვა, – ერთი შეხედეთ... ეს რა დღეში ჩავარდნილხარ, ძვირფასო დამბი?

– ოხ, ეს მოდუნებული რეფლექსები, ამიკუს, წინააღმდეგობის გაწევის უუნარობა... – ამოიოხრა დამბლდორმა, – ერთი სიტყვით, ყველაფერი სიბერის ბრალია... ერთ დღეს, შენც ჩემ დღეში აღმოჩნდები... თუ ბედმა გაგიღიმა...

– რას ნიშნავს, თუ ბედმა გამიღიმა? – დასჭყივლა რატომღაც ერთბაშად გაცხარებულმა „სიკვდილის მხვრელმა", – ყოველთვის ასეთი იყავი, დამბი, ლაქლაქებ, ლაქლაქებ და საქმეს კი არ აკეთებ! ვერც კი გამიგია, რატომ იწუხებს თავს ბნელი ბატონი შენი მოკვლით! მიდი, დრაკო, რაღას უცდი!

მაგრამ იმავე წამს ქვემოდან ისევ ჩხუბის ხმებმა და ვიღაცის ყვირილმა მოაღწია:

– კიბე დაუბლოკავთ... რედუქტო! რედუქტო!

ჰარის გული გადაუბრუნდა: ესე იგი, ამ ოთხმა მთელ წინააღმდეგობას ვერ სძლია. ბრძოლაში მხოლოდ გზა გაიკვლიეს და კოშკზე ამოვიდნენ და, როგორც ამ ყვირილიდან ჩანდა, ზურგს უკან ბარიკადები მოაწყვეს...

– აბა, დრაკო, აჩქარდი! – გაბრაზდა ულმობელი გამომეტყველების ჯადოქარი.

მაგრამ დრაკოს ხელი ისე უკანკალებდა, რომ ჯადოსნური ჯოხის დამიზნებასაც ვერ ახერხებდა.

– მე ვიზამ ამას, – დაილრინა გრეიბექმა და დუჟმორეულმა დამბლდორისაკენ გაიწია.

– არა-მეთქი! – შესძახა დაუნდობელსახიანმა კაცმა, გაიელვა სინათლის ჯერმა და მაქცია განზე გადაისროლა. გრეიბექი ქონგურებს მიასკდა, დაბარბაცდა და გამძვინვარებულმა დაილმუვლა. ჰარის გული ისე უცემდა, შეუძლებელი იყო, გვერდით მდგომთ არ გაეგოთ და ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ დამბლდორის შელოცვით ხელფეხშეკრული იქვე კედელთან აყუდებულიყო... ოღონდაც ხელის ამოძრავება და მოსასხამის შიგნიდან წყევლის დამიზნება შესძლებოდა...

– დრაკო, ან გაინძერი, ან განზე გადექი და ჩვენ გვაცალე, – დაუტატანა ქალმა, მაგრამ სწორედ ამ დროს კოშკზე შემომავალი კარი ისევ შემოგლიჯეს და ზღურბლზე სნეიპი გამოჩნდა, ხელში ჯადოსნური ჯოხი ჩაებღუჯა. შავი თვალები წამში მოავლო ამ სცენას: კედელზე მიკუნჭულ დამბლდორსა და ოთხ „სიკვდილის მხვრელს", მათ შორის – განრისხებულ მაქციასა და მალფოის.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სნეიპ, პრობლემა შეგვექმნა, – ამცნო გოდორა ამიკუსმა, რომელსაც მზერაცა და ჯადოსნური ჯოხიც დამბლდორისაკენ მიემართა, – როგორც ჩანს, ბიჭს გამბედაობა არ ჰყოფნის...

ამ დროს სნეიპის სახელი სხვამაც წარმოთქვა, ოღონდ ხმადაბლა, ძლივსგასაგონად:

– სევერუს...

ამ ხმამ ჰარი ისე შეაშინა, როგორც არაფერმა იმ საღამოს:

პირველად გაიგონა დამბლდორის ხმაში მუდარა.

სნეიპს ხმა არ ამოუღია, წინ გავიდა და მალფოი უხეშად გასწია განზე. სამივე „სიკვდილის მხვრელი" უსიტყვოდ ჩამოეცალა. თვით მაქციაც კი გაიტრუნა.

სნეიპმა წამით მზერა შეაჩერა დამბლდორზე და სახის მკაცრ ნაკვთებზე ზიზღი და სიძულვილი აღებეჭდა.

– სევერუს... გთხოვ...

სნეიპმა ჯადოსნური ჯოხი აღმართა და დამბლდორს პირდაპირ მკერდში დაუმიზნა.

– ავადა კედავრა!

სნეიპის ჯადოსნური ჯოხის წვერიდან მწვანე ელვა გამოიჭრა და დამბლდორს გულში დაეძგერა. თავზარდაცემულ ჰარის უხმო ყვირილი ყელში გაეჩხირა. დამუნჯებული და უმოძრაო, იძულებული იყო, უმწეოდ ეცქირა, როგორ ავარდა დამბლდორი ჰაერში, სულ რაღაც ერთი წამით თითქოს მოგიზგიზე თავის ქალას ქვეშ გამოეკიდა, შემდეგ კი ნელა, ჩვრის ტიკინასავით ჩავარდა ქონგურებს მიღმა და თვალს მიეფარა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი ოცდამერვე

# პრინცის გაქცევა

ჰარი ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს თვითონაც უსასრულო სივრცეში მიექანებოდა. არა, შეუძლებელია!.. შეუძლებელია, ეს მომხდარიყო...

– ჩქარა, წავედით აქედან! – ბრძანა სნეიპმა.

მალფოის საყელოში ხელი ჩაავლო და სხვებზე წინ გაიყვანა კარში. გრეიბექი და ტანმორჩილი და-ძმა კვალდაკვალ მიჰყვნენ, ორივენი აღტაცებისგან მძიმედ ქოშინებდნენ. კარს მიღმა გაუჩინარდნენ თუ არა, ჰარიმ იგრძნო, რომ განძრევა შეეძლო, ოღონდ ახლა ჯადო კი არა, შიში და ელდა უბორკავდა ხელ-ფეხს. ჰარიმ უჩინმაჩინის მოსასხამი სწორედ მაშინ გადაიძრო, როცა ბულდოგის სახიანი „სიკვდილის მხვრელი“ გადიოდა კარში.

– პეტრიფიკუს ტოტალუს!

„სიკვდილის მხვრელი“ ისე მოიკაკვა, თითქოს ზურგში ურო ჩასცხესო, და ცვილის ქანდაკებასავით გაფიჩხული დაეცა. მაგრამ იატაკზე დანარცხებაც ვერ მოასწრო, რომ ჰარი ზედ გადააფოფხდა და ჩაბნელებულ კიბეს კისრისტეხით ჩაუყვა.

შიშის ზარი გულს უფლეთდა... სასწრაფოდ დამბლდორი უნდა მოეძებნა და სნეიპიც დაეჭირა... ეს ორი რამე, როგორღაც ერთმანეთთან იყო დაკავშირებული... ყველაფრის გამოსწორებას შეძლებდა, თუ იპოვიდა... არ შეიძლებოდა, რომ დამბლდორი მომკვდარიყო...

ჰარი სპირალისებური კიბის ბოლო ათ საფეხურს გადაევლო და ჯოხმომარჯვებული წამით შეჩერდა. ბუნდოვნად განათებულ დერეფანში მტვრის ბუღი იდგა. ჩანდა, ნახევარი ჭერი ჩამოქცეულიყო. დერეფნის ბოლოს ბრძოლა მძვინვარებდა. სანამ გაარჩევდა, ვინ ვის ებრძოდა, შორიახლოს საძულველმა ხმა შესძახა: „მორჩა, წასვლის დროა!“ და დაინახა, როგორ გაუჩინარდა დერეფნის ბოლოს, მოსახ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვევში სნეიპი. ეტყობა, მასა და მალფოის ბრძოლის ველიდან უვნებლად გაეღწიათ. ის იყო, ჰარი მათკენ გაიჭრა, რომ მაქცია გრეიბექი დააცხრა თავს. ჰარიმ ჯადოსნური ჯოხის გატოკებაც ვერ მოასწრო, რომ გრეიბექმა წააქცია და ზემოდან მოექცა. ჰარის ცხვირპირში ოფლისა და სისხლის ისეთი მყრალი სუნი ეცა, სუნთქვა შეეკრა, ყელთან კი ცხელი, ხარბი სუნთქვა იგრძნო...

– პეტრიფიკუს ტოტალუს!

ჰარიმ იგრძნო, რომ გრეიბექი მომჩვარდა, მაშინვე მთელი ძალღონე მოიკრიბა და მაქცია იატაკზე გადააგორა. ამ დროს მისკენ მწვანე შუქის ელვა გამოიჭრა. ჰარიმ შელოცვა აიცდინა და არც აცივა, არც აცხელა, პირდაპირ ბრძოლის ქარცეცხლში შევარდა. ერთგან ფეხი რაღაც რბილსა და სრიალას წამოჰკრა და წაფორხილდა. იატაკზე ორი სხეული სისხლის გუბეში ეგდო, მაგრამ ჰარის მათი ვინაობის დასადგენად არ ეცალა, წინ გაიჭრა, სადაც ცეცხლივით ჟღალი თმა ფრიალებდა: ჯინი ჯმუხ „სიკვდილის მხვრელს“, ამიკუსს მოეხელთებინა. იგი გოგონას წყევლას წყევლაზე უვლენდა, ჯინი კი ყველა წყევლას მოხერხებულად იცდენდა. ამიკუსი ქირქილებდა, ეტყობოდა, რომ გვარიანად ერთობოდა:

– კრუციო... კრუციო... დიდხანს ვერ იცეკვებ, ლამაზო...

– იმპედიმენტა! – დაიღრიალა ჰარიმ.

ჰარის შელოცვა ამიკუსს შიგ გულში მოხვდა, ტკივილისაგან გოჭივით დაიჭყვიტინა, ფეხებით იატაკს მოსწყდა, მოპირდაპირე კედელს შეასკდა და სადღაც, რონის, პროფესორ მაკგონაგელისა და ლუპინის უკან, თვალთახედვის არედან გაუჩინარდა. თითოეული მათგანი სხვადასხვა „სიკვდილის მხვრელს“ შებმოდა. მათ მიღმა კი ტონქსი ებრძოდა ერთ ბრგე ქერა ჯადოქარს, რომელიც ირგვლივ უმისამართოდ გზავნიდა შელოცვებს. ისინი კედლებზე სხლტებოდა, ქვას ბზარავდა და ფანჯრებს ამსხვრევდა.

– ჰარი, აქ საიდან გაჩნდი? – შესძახა ჯინიმ, მაგრამ ჰარი პასუხის გაუცემლად გავარდა წინ. ბენწვზე აიცდინა წყევლა, რომელმაც ყურთან გაუწუილა და უმისამართოდ შეასკდა კედელს. სნეიპი არ უნდა გაექცეს... უნდა დაეწიოს!

– ესეც შენ! – შესძახა პროფესორმა მაკგონაგელმა. ჰარიმ თვალი მოჰკრა „სიკვდილის მხვრელ“ ქალს, ალექტოს, რომელიც თავქუდმოგლეჯილი მირბოდა დერეფანში, ფეხდაფეხ კი ძმა მიჰყვებოდა. ჰარი მათ გაედევნა, მაგრამ რაღაცას წამოედო და გაიშხლართა. წამოიწია თუ არა, იატაკზე გაშოტილი ნევილის გაცრეცილი მრგვალი სახე დაინახა.

– ნევილ, როგორ...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე არა მიშავს, – წაილუღლუღა ნევილმა და ტკივილისგან დაიკრუნჩხა, – სნეიპმა და მალფოიმ... ჩამირბინეს...

– ვიცი, მათ მივდევ! – ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი ახლა ზორბა ქერა „სიკვდილის მხვრელს“ დაუმიზნა. კაცს შელოცვა სახეში დაეძგერა, ტკივილისაგან აღმუვლებული შეტორტმანდა და და-ძმას გაედევნა.

ჰარი წამოხტა და დერეფანს სირბილით გაუყვა. არად აგდებდა ზურგს უკან ატეხილ ბრახაბრუხსა და დანარჩენების ყვირილს: დაბრუნდიო...

დერეფნის მოსახვევში ფეხი მოუცურდა, ისე გაჟღენთოდა სისხლით კედები. სნეიპი უკვე ძალიან შორს იყო, შეიძლება, მიშველეოთახში გაუჩინარების კარადასაც მიაღწია, თუმცა, შეიძლება, ფენიქსის ორდენმა უკვე იზრუნა, რომ „სიკვდილის მხვრელებისათვის“ იმავე გზით უკან დახევის საშუალება არ მიეცათ? ჰარის თავისივე ფეხის ხმისა და გამალებული გულისცემის გარდა არაფერი ესმოდა. მომდევნო ცარიელ დერეფანში შევარდა და სისხლიანი ნაფეხური შეამჩნია, რაც იმას ნიშნავდა, რომ სულ მცირე, ერთი გაქცეული „სიკვდილის მხვრელი“ ციხე-კოშკის მთავარი კარისაკენ მიეშურებოდა... ალბათ, მიშველე-ოთახი მართლაც დაბლოკილი იყო...

ჰარიმ როგორც კი ერთ-ერთ მოსახვევში შეუხვია, წყევლამ ჩაუშხუილა. ამიტომ იქვე მდგარ ჯავშანს ამოეფარა. ჯავშანი ნამსხვრევებად იქცა. ჰარიმ თვალი მოჰკრა, რომ „სიკვდილის მხვრელი“ და-ძმა წინ, მარმარილოს კიბეზე ჩარბოდა, და შელოცვა დაუმიზნა, მაგრამ ვერ მოახვედრა და მათ ნაცვლად კიბის ბაქანზე ჩამოკიდებული ჯგუფური პორტრეტი ჩალეწა, რის გამოც რამდენიმე პარიკიანმა ჯადოქარმა კივილით გადაირბინა მეზობელ სურათებში. ჰარი შემუსრული ჯავშნის უკნიდან გამოხტა და წივილ-კივილი გაიგონა. როგორც ჩანდა, ციხე-კოშკში სხვებსაც გაეღვიძათ...

ჰარი მოკლე საიდუმლო გასასვლელს მივარდა იმ იმედით, რომ და-ძმას დაეწეოდა და სნეიპსა და მალფოისაც გზას მოუჭრიდა. ისინი ამ დროისათვის უკვე ეზოში იქნებოდნენ გასულები. ჰარის არ დავიწყებია საიდუმლო კიბის შუაში უჩინარ საფეხურზე გადახტომა, კიბის ბოლოში გობელენი გადასწია და დერეფანში გავარდა, სადაც რამდენიმე დაბნეული პიჟამიანი ჰაფლეპაფელი იდგა.

– ჰარი! რაღაც ხმები მოგვესმა. ამბობენ, შავი ნიშანი... – დაიწყო ერნი მაკმილანმა.

– გზიდან ჩამომეცალეთ! – დაიყვირა ჰარიმ, ორ ბიჭს ხელი ჰკრა, ბაქნისაკენ მოკურცხლა და მარმარილოს კიბის დარჩენილი ნაწილი ჩაირბინა. მუხის მთავარი კარი მორყეულ ანჯამებზე ეკიდა, ფილა-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქანს სისხლის ლაქები აჩნდა და კედლებთან დაზაფრული სტუდენტები მიკუნჭულიყვნენ. ზოგი ჯერაც მოკუნტულიყო და სახეზე ხელები აეფარებინა. გრიფინდორის ვეება ქვიშის საათი შელოცვას დაემსხვრია და ლალის თვლები წკარუნით ცვიოდა ქვის ფილებზე...

ჰარიმ თვალის დახამხამებაში გაირბინა ჰოლი და ბნელ ეზოში გავარდა. ძლივს გაარჩია სამი ფიგურა. ისინი გაზონზე მიქროდნენ ჭიშკრისაკენ, რომლის მიღმაც აპარაციას შეძლებდნენ... ერთი მათგანი, ახმახი, ქერა, „სიკვდილის მხვრელი“ უნდა ყოფილიყო... ცოტა უფრო დაწინაურებულიყვნენ სნეიპი და მალფოი...

ჰარიმ ფეხს კიდევ უფრო აუჩქარა. ცივმა ღამეულმა ჰაერმა ფილტვები აუწვა. სადღაც წინ სინათლემ გაიელვა და დევნილთა სილუეტები გამოკვეთა. ჰარი ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, ჯერ იმდენად ვერ მიახლოებოდა მათ, რომ შელოცვა დაემიზნებინა...

ისევ გაიელვა რაღაცამ, რასაც შეძახილები და ყვირილი მოჰყვა. ჰარი ყველაფერს მიხვდა: ქოხიდან ჰაგრიდი გამოსულიყო და გაქცეული „სიკვდილის მხვრელების“ შეჩერებას ლამობდა. და მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ჩასუნთქვაზე ფილტვები ასკდებოდა, მკერდი კი ისე ეწვოდა, თითქოს ცეცხლი შეუნთესო, ჰარი კიდევ უფრო აჩქარდა, რადგან გონებაში რაღაც ხმამ ჩასძახა: ოღონდ ჰაგრიდიც არა... ოღონდ ჰაგრიდიც არა...

უცებ წელზე რაღაცა მწარედ მოხვდა. ჰარი წინ გადაქანდა, სახით მიწას დაემხო და ცხვირიდან სისხლი წასკდა. ჰარი წამსვე მიხვდა, რომ და-ძმა, რომელთაც მოკლე საიდუმლო გასასვლელით გაუსწრო, უკნიდან უახლოვდებოდა... ზურგზე გადაბრუნდა და მიწაზე გაწოლილმა შეჰყვირა:

– იმპედიმენტა!

მისი შელოცვა სასწაულებრივად მოხვდა ერთ-ერთ მათგანს. იგი დაბარბაცდა, წაიქცა და მეორეც თან გადაიყოლა. ჰარი ფეხზე წამოხტა და ისევ სნეიპს გამოენთო...

მოულოდნელად ღრუბლებიდან ნამგალა მთვარემ გამოიჭყიტა და მის შუქზე ჰარიმ ჰაგრიდის სილუეტი დაინახა. ქერა „სიკვდილის მხვრელი“ ჰოგვორტსის მიწების მცველს ზედიზედ უშენდა წყევლას, მაგრამ, როგორც ჩანდა, ჰაგრიდს უშრეტი ძალა და გოლიათი დედისაგან თანდაყოლილი სქელი კანი იცავდა. სნეიპი და მალფოი უკანმოუხედავად გარბოდნენ, მალე ჭიშკარსაც გასცდებოდნენ და აპარაციის გამოყენების შესაძლებლობა მიეცემოდათ...

ჰარიმ ჰაგრიდსა და მის მონინააღმდეგეს ჩაუქროლა, ჯადოსნური ჯოხი სნეიპს ზურგში დაუმიზნა და დაჰკივლა:

– გაშეშდი!


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ააცდინა. წითელი შუქის ნაკადმა სნეიპს თავთან ჩაუწუილა. სნეიპმა შესძახა:

– გაიქეცი, დრაკო!

და ჰარის მოუტრიალდა. მათ სულ რაღაც ოციოდე მეტრი ჰყოფდა. ერთმანეთს თვალი გაუსწორეს და ჯადოსნური ჯოხი ერთდროულად ასწიეს:

– კრუც...

სნეიპმა წყევლა უკუაგდო. ჰარიმ მისი დასრულებაც კი ვერ მოასწრო, ისე გადაქანდა უკან და ზურგით მიწას დაეხეთქა. მაშინვე გადაბრუნდა და წამოხტა. ამ დროს უკან ზორბა „სიკვდილის მხვრელმა“ დასჭყივლა:

– ინცენდიო!

ჰარიმ აფეთქების ხმა გაიგონა და გარემო ნარინჯისფერი შუქის ციმციმმა აავსო. ჰაგრიდის ქოხს ცეცხლი ეკიდა.

– შიგნით ფენგია, შე დამპალო! – დაიღრიალა ჰაგრიდმა.

– კრუც... – მეორედ შესძახა ჰარიმ და მის წინ აბრიალებული ცეცხლის შუქით განათებული ფიგურა მიზანში ამოიღო, მაგრამ სნეიპმა შელოცვა ისევ მოიგერია. ჰარიმ დაინახა, რომ დამცინავად იღიმებოდა.

– მიუტევებელი წყევლა არ გამაგონოთ, პოტერ! – გამოსძახა ცეცხლის ტკაცანის, ჰაგრიდის ყვირილისა და ქოხში გამომწყვდეული ფენგის დამფრთხალი წკავწკავის ფონზე, – საამისოდ არც გამბედაობა შეგწევთ და არც უნარი...

– ინკარც... – დაიღრიალა ჰარიმ, მაგრამ სნეიპმა ხელის თითქმის ზარმაცი აქნევით აისხლიტა შელოცვა.

– შემებრძოლე! – დაუკივლა ჰარიმ, – მოდი, შემებრძოლე, შე მხდალო...

– მაშ, მხდალს მიწოდებთ, არა, პოტერ? – შეუყვირა სნეიპმა, – მამათქვენი მხოლოდ მაშინ მესხმოდა თავს, როცა ოთხნი ერთზე იყვნენ. საინტერესოა, მას რაღას უწოდებდით?

– გაშეშ...

– დაგბლოკავთ, ისევ, ისევ, და ისევ, სანამ არ ისწავლით, როგორ დამუწოთ პირი და დაკეტოთ გონება, პოტერ! – გესლიანად ჩაიცინა სნეიპმა და მორიგი წყევლა აისხლიტა, – აბა, წავედით! – გასძახა ჰარის უკან მყოფ ზორბა „სიკვდილის მხვრელს“, – წასვლის დროა, სანამ სამინისტრო არ დაგვდგომია თავს...

– იმპედი...

მაგრამ ჰარიმ შელოცვის დასრულება ვერ მოასწრო, რადგან აუტანელი ტკივილი ეკვეთა და ბალახში ჩაემხო. ვიღაცის ყვირილი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ესმოდა. ალბათ, ამ აგონიაში მოკვდებოდა. სნეიპი წამებით ამოხდიდა სულს ან გააგიჟებდა...

– არა! – ჩაესმა სნეიპის ღრიალი და ტკივილი ისევე ანაზდად შეწყდა, როგორც დაიწყო. ჰარი მოკაკვული ეგდო ბალახში, ჯადოსნურ ჯოხს ხელს უჭერდა და მძიმედ სუნთქავდა. სადღაც, მის თავზემოთ, სნეიპი ყვიროდა:

– დაგავიწყდათ, რა ბრძანება გვაქვს მიღებული? პოტერი ბნელ ბატონს ეკუთვნის... მას ხელი არ უნდა ვახლოთ! წამოდით, წამოდით!

და ჰარიმ იგრძნო, დედამიწა რომ აზანზარდა. ესე იგი, და-ძმამ და უზარმაზარმა „სიკვდილის მხვრელმა“ მორჩილად მოკურცხლეს ჭიშკრისაკენ. ჰარის სიმწრის ყვირილი აღმოხდა. იმ წუთებში მისთვის სულერთი იყო, მოკვდებოდა თუ იცოცხლებდა. თავს ძალა დაატანა, ისევ წამოდგა და ბრმად წაბარბაცდა სნეიპისაკენ, რომელიც ახლა ვოლდემორზე არანაკლებ სძულდა...

– სეკტუმ...

სნეიპმა ისევ აიქნია ჯადოსნური ჯოხი და შელოცვა აისხლიტა, მაგრამ ჰარის ახლა მისგან რამდენიმე მეტრიღა აშორებდა და, ბოლოს და ბოლოს, სნეიპის სახე გარკვევით დაინახა: მას გესლისა და ირონიის ნატამალიც აღარ ეტყობოდა. აალებული ცეცხლის შუქზე აშკარად ჩანდა, რომ წარმოუდგენლად იყო განრისხებული. ჰარიმ მთელი ყურადღება მოიკრიბა და გაიფიქრა:

– ლევი...

– არა, პოტერ! – დასჭყივლა სნეიპმა. გაისმა ხმამაღალი ბრახუნი და ჰარი ისევ მაღლა აფრინდა და მთელი ძალით დაენარცხა მიწაზე. ამჯერად ჯადოსნური ჯოხი ხელიდან გაუვარდა. ესმოდა, როგორ ყვიროდა ჰაგრიდი და როგორ ყმუოდა ფენგი, როცა სნეიპი წაადგა თავს და დაბლა გართხმულს დახედა, სწორედ ისეთსავე უჯოხოსა და დაუცველს, როგორიც დამბლდორი იყო. სნეიპს ფერდაკარგული სახე, რომელსაც ცეცხლწაკიდებული ქოხი უნათებდა, სიძულვილით ჰქონდა აღსავსე, სწორედ ისე, როგორც მაშინ, როცა დამბლდორი დაწყევლა.

– როგორ ბედავთ ჩემი გამოგონებული შელოცვების ჩემსავე წინააღმდეგ გამოყენებას, პოტერ? ეს მე გამოვიგონე ისინი – მე, ნახევარპრინცმა! და გსურთ, საზიზღარი მამათქვენივით, ჩემივე გამოგონების მსხვერპლად მაქციოთ, არა? ამაზე არც იოცნებოთ... არა!

– მომკალი, რაღას უცდი, – ამოთქვა სუნთქვაშეკრულმა ჰარიმ, შიში არც ახსოვდა, რა იყო, მხოლოდ მრისხანებასა და ზიზღს გრძნობდა, – მომკალი მეც, როგორც ის მოკალი, შე მხდალო...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ გაბედო! – დაიკივლა სნეიპმა და მოულოდნელად შეშლილს დაემსგავსა, სახე არაადამიანური გაუხდა, თითქოს ისეთივე ტკივილი აწამებს, როგორიც მათ უკან ალმოდებულ სახლში გამომწყვდეულ აწკმუტუნებულ-აყმუვლებულ ძაღლსო... – არ გაბედო, მხდალი მიწოდო!

ჯადოსნური ჯოხი ჰაერში მოიქნია. ბიჭმა იგრძნო, რომ სახეზე მათრახივით გადაეჭირა რაღაცა გავარვარებული და ისევ მიწაზე დაენარცხა. ჰარის თვალთ დაუბნელდა და სუნთქვა შეეკრა. უეცრად ზემოდან ფრთების შრიალი მოესმა და ვარსკვლავებს რაღაცა უშველებელი ჩამოეფარა: სნეიპს ბაკბიკი მიაფრინდა. სნეიპმა ძლივს აიცილა მისი სამართებელივით ბასრი კლანჭები და უკან წაბარბაცდა. ჰარი წამოჯდა. მიწაზე ბოლო დახეთქების გამო თავი უბრუოდა. სნეიპი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გარბოდა. უკან კი უზარმაზარი ბაკბიკი ფრთების ტყლაშუნით მისდევდა და ისეთი ხმით დასჭყიოდა, როგორიც ჰარის მისგან არასდროს გაეგონა.

ჰარი ძლივს დადგა ფეხზე და ბანცალით შეუდგა ჯადოსნური ჯოხის ძებნას. კიდევ ჰქონდა დევნის გაგრძელების იმედი, მაგრამ სანამ ბალახში თითებს აფათურებდა და წკირებს აქეთ-იქით ისროდა, მიხვდა, რომ ძალიან გვიანი იყო. მართლაც, როცა თავის ჯადოსნურ ჯოხს მიაგნო, დაინახა, რომ ჭიშკრის ზემოთ მხოლოდ ბაკბიკი დაფრინავდა წრეზე, სხვა არავინ იყო. სნეიპს ზედ სკოლის საზღვარს მიღმა მოეხერხებინა აპარაციის გამოყენება.

– ჰაგრიდი, – ჩაიბუტბუტა დარეტიანებულმა ჰარიმ და ირგვლივ მიმოიხედა, – ჰაგრიდ!

ალმოდებული სახლისაკენ ბორძიკით წავიდა. ცეცხლს ვეება ფიგურა გამოეყო, რომელსაც ზურგზე ფენგი მოეგდო. ჰარის სიხარულის შეძახილი აღმოხდა, მერე უცებ თვალთ დაუბნელდა და მუხლებზე დაეშვა. თხემით ტერფამდე აკანკალებდა, მთელი სხეული ტეხდა და ყოველი ამოსუნთქვა აუტანელი ტკივილის ფასად უჯდებოდა.

– როგორა ხარ, ჰარი? ხომ არაფერი დაგიშავდა? ხმა ამოიღე, ჰარი...

ჰარის თვალწინ ნელ-ნელა ჰაგრიდის წვერიანი სახე გამოიკვეთა და ცხვირში დამწვარი ხისა და შეტრუსული ძაღლის ბეწვის სუნი ეცა. ბიჭმა ხელი გაიწოდა და მის გვერდით აცახცახებული ფენგის თბილ და ცოცხალ სხეულს შეეხო.

– მე არა მიშავს, – სული მოიბრუნა ჰარიმ, – შენ?

– მეც... ჩემი მოკვლა ასე ადვილი კი არაა.

გოლიათმა ხელები ჰარის მკლავებში ამოსდო და წამოაყენა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვითონ თვალის ქვემოთ ღრმა ჭრილობიდან ლოყაზე სისხლი მოსწვეთავდა. ჭრილობა სწრაფად სივდებოდა.

– ხანძარი უნდა ჩავაქროთ, – ურჩია ჰარიმ, – აგუამენტის შელოცვა გამოვიყენოთ...

– ჰო, დაახლოებით მახსოვდა, რო ეგ იყო, – ჩაიბურტყუნა ჰაგრიდმა, გვერდებშემოტრუსული ვარდისფერი ქოლგა ასწია და წარმოთქვა: – აგუამენტი!

ქოლგის წვერიდან წყლის ნაკადი გამოიჭრა. ჰარიმ ჯოხიანი ხელი ასწია, რომელიც ტყვიასავით მძიმე ეჩვენებოდა, და თვითონაც ჩაუბუტბუტა: „აგუამენტი". კარგა ხანს ასხამდნენ წყალს სახლს, სანამ ხანძარი ბოლომდე არ ჩააქრეს.

– არა უშავს, – რამდენიმე წუთის შემდეგ იმედიანად თქვა ჰაგრიდმა და მხრჩოლავი ნანგრევები შეათვალიერა, – დამბლდორი ყველაფერს გამოასწორებს...

ჰარის დამბლდორის სახელის გაგონებაზე მუცელში აუტანელმა ტკივილმა დაუარა. ამ სიჩუმესა და სიწყნარეში შიშმა კიდევ უფრო აიტანა.

– ჰაგრიდ...

– მშვილ-მშველებს ნატკენ ფეხებს ვუხვევდი, როცა იმათი მოსვლა გავიგონე, – ნაღვლიანად გახედა თავის დანგრეულ ქოხს ჰაგრიდმა, – საცოდავები, ალბათ, გამოიბუგნენ შიგნით...

– ჰაგრიდ...

– კი მაგრამ, რა მოხდა, ჰარი? მე მხოლოდ ციხე-კოშკიდან გამოქცეული „სიკვდილის მხვრელები" დავინახე, მაგრამ რა ჯანდაბა უნდოდა იმათთან ერთად სნეიპს? სად წავიდა? იმათ მისდევდა?

– მან... – ჰარიმ ჩაახველა. ყელი მღელვარებისა და კვამლისაგან სულ გაშრობოდა, – ჰაგრიდ, მან მოკლა...

– მოკლა? – ხმამაღლა გაიმეორა გაკვირვებულმა ჰაგრიდმა და ჰარის დააცქერდა, – სნეიპმა ვინმე მოკლა? რას ამბობ, ჰარი?

– დამბლდორი, – თქვა ჰარიმ, – სნეიპმა მოკლა... დამბლდორი.

ჰაგრიდი იდგა და უყურებდა. სახეზე შეცბუნება, სრული გაუგებრობა ეწერა.

– დამბლდორი რა... ჰარი?

– მკვდარია. სნეიპმა მოკლა...

– აბა, რას ამბობ, – უხეშად მოუჭრა ჰაგრიდმა, – სნეიპმა დამბლდორი მოკლა... ჰმ, რა სისულელეა, ჰარი. ეგ რამ გათქმევინა, ჰა?

– ჩემი თვალით ვნახე.

– შეუძლებელია.

– ვნახე, ჰაგრიდ.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰაგრიდმა თავი გააქნია. უნდო, მაგრამ თანაგრძნობით აღსავსე გამომეტყველება ჰქონდა და ჰარი მიხვდა, რომ მეტყევემ გაიფიქრა, ბავშვს, ალბათ, ტვინი შეერყა, ან გათვალვის შედეგად გონება აერიაო...

– იცი, რა მოხდებოდა? დამბლდორი თვითონ დაავალებდა სნეიპს იმ „სიკვდილის მხვრელებთან" ერთად გაქცევას, – თავდაჯერებით უთხრა ჰაგრიდმა, – სნეიპმა ხო თავისი ნიღაბი ბოლომდე უნდა ატაროს... კარგი, მოდი, სკოლაში აგიყვან. წამოდი, ჰარი...

ჰარის აღარ უცდია შეკამათება ან რამის ახსნა. ის ისევ კანკალს აეტანა. ჰაგრიდი მალე შეიტყობდა, ძალიან მალე... ციხე-კოშკის თითქმის ყველა ფანჯარა განათებული იყო. ჰარიმ ნათლად წარმოიდგინა, დაფეთებული სტუდენტები როგორ გადარბიან ერთი ოთახიდან მეორეში და ერთმანეთს აცნობებენ, რომ სკოლაში „სიკვდილის მხვრელები" შეიჭრნენ; რომ ჰოგვორტსის თავზე შავი ნიშანი ბრდღვიალებს, და რომ, ალბათ, ვიღაცა მოკლეს კიდეც...

მუხის მთავარი კარი ფართოდ იყო გამოღებული. ჰოლიდან გამოჭრილი შუქი საეტლე გზასა და გაზონს ეფრქვეოდა. საფეხურებზე ნელა, გაუბედავად ჩამოდიოდნენ მოსწავლეები და თვალებს აცეცებდნენ, „სიკვდილის მხვრელები" ხომ არსად ჩანანო. ჰარის მზერა ყველაზე მაღალი კოშკის ძირს მიჯაჭვოდა. მართალია, ჯერ მეტისმეტად შორს იყო, რომ რამე გაერჩია, მაგრამ მაინც მოეჩვენა, რომ იქ, ბალახზე შავ, უწესრიგო მასას ხედავდა. სანამ ასე უსიტყვოდ მისჩერებოდა იმ ადგილს, სადაც, სავარაუდოდ, დამბლდორის სხეული უნდა გდებულიყო, კოშკისაკენ რამდენიმე კაცი წავიდა.

– ასე რას მიშტერებიან? – იკითხა ჰაგრიდმა, როცა ციხე-კოშკს მიუახლოვდნენ, ფენგი მათ გვერდიდან არ სცილდებოდა, – ეს რა გდია ბალახზე? – შეშფოთებით დასძინა და პირდაპირ ასტრონომიის კოშკისაკენ გაეშურა, სადაც უკვე რამდენიმე კაცს მოეყარა თავი, – ხედავ, ჰარი? ზუსტად კოშკის ძირში... იქ, სადაც შავი ნიშანი... ჯანდაბა... როგორ ფიქრობ, ვინმე ხომ არ გადმოაგდეს?

ჰაგრიდი უეცრად გაჩუმდა, ეტყობა, ისეთმა საშინელმა აზრმა გაუელვა, რომ ხმამაღლა ველარ გამოთქვა. ჰარი მის გვერდით მიაბიჯებდა და სახე და კიდურები, სადაც ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში უამრავი ჯადო-შელოცვა მოხვდა, სტკიოდა და ეწვოდა, მაგრამ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ეს ტკივილი მას კი არა, მის გვერდით ვიღაცას აწუხებდა. სამაგიეროდ, ის საშინელი გრძნობა, მკერდს რომ უფლეთდა, წარმოუდგენლად რეალური იყო...

ჰარის თავი სიზმარში ეგონა. ჰაგრიდთან ერთად გაიარა აჩურჩულებული ბრბო და სულ წინ გავიდა. ელდანაკრავმა სტუდენტებმა და მასწავლებლებმა გზა დაუთმეს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ გაიგონა, როგორ აღმოხდა ჰაგრიდს მწუხარებისა და ტკივილისაგან გმინვა, მაგრამ არ გაჩერებულა. აუჩქარებლად წავიდა წინ, სანამ არ მიაღწია იმ ადგილს, სადაც დამბლდორი ეგდო, და მის გვერდით ჩაიცუცქა.

ჰარიმ უკვე იმ წუთიდან დაკარგა იმედი, როცა დამბლდორის გამყინავი ჯადო მოეხსნა. იცოდა, რომ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ შემლოცველი მოკვდებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც არ აღმოჩნდა მზად, ასეთ მდგომარეობაში ენახა დამბლდორი – გაშხლართული და დამტვრეული: უდიდესი ჯადოქარი, ვისაც კი ჰარი აქამდე შეხვედროდა ან ოდესმე შეხვდებოდა.

დამბლდორს თვალები დაეხუჭა და რომ არა არაბუნებრივად გადაგრეხილი ხელ-ფეხი, იფიქრებდი, სძინავსო. ჰარი მის ნახევარმთვარისებურ სათვალეს დასწვდა და კეხიან ცხვირზე შეუსწორა, შემდეგ თავისი სახელოთი მოსწმინდა პირიდან გადმოსული სისხლი, ჩახედა ბრძენ მოხუცს სახეში და შეეცადა, საზარელი და გაუგებარი სინამდვილისთვის თვალი გაესწორებინა: დამბლდორი მას ველარასოდეს დაელაპარაკებოდა, ველარასოდეს დაეხმარებოდა...

ჰარის ზურგს უკან ბრბო დუდუნებდა. ჰარიმ თვითონაც არ იცოდა, რამდენ ხანს იყო ასე, როცა უცებ მიხვდა, რომ მუხლით რაღაც მაგარს ებჯინებოდა და ძირს დაიხედა.

მათ მიერ რამდენიმე საათის წინ მოტაცებული მედალიონი დამბლდორს ჯიბიდან ამოვარდნოდა და გახსნილიყო. და, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე მეტ ელდას, თავზარს ან სევდას ჰარი უკვე ველარ იგრძნობდა, მედალიონის აღებისას მიხვდა, რომ რაღაც რიგზე არ იყო...

მედალიონი გადააბრუნა. ეს მედალიონი სულაც არ იყო ისეთი დიდი, როგორიც საფიქრელაში ნანახი მედალიონი, და არც რამე ტვიფრი ჰქონდა აღბეჭდილი, არსად ჩანდა სლიზერინის ნიშანი – დაკლაკნილი **S**. უფრო მეტიც, მედალიონში არაფერი აღმოჩნდა პერგამენტის დაკეცილი ნაგლეჯის გარდა, რომელიც მჭიდროდ ჩაეტენათ პორტრეტის ადგილას.

ჰარიმ დაუფიქრებლად, მექანიკურად ამოაძრო პერგამენტის ნაჭერი, გაშალა და უკვე მის ზურგს უკან ანთებული უამრავი ჯადოსნური ჯოხის შუქზე წაიკითხა:

*„ბნელ ბაღინს*

*დარწმუნებული ვარ, ამას რომ წაიკითხავ, უკვე დიდი ხნის მკვდარი ვიქნები. მაგრამ მინდა, იცოდე, რომ სწორედ მე აღმოვაჩინე შენი საიდუმლო. ნამდვილი*


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰორკრუქსი მოვიჰარე და მის განადგურებას ჰირველი შესაძლებლობისთანავე ვაჰირებ. სიყვალს თვალებში შევყურებ იმ იმედით, რომ რიდესაც შენს სწორს შეხვდები, ყვლავ მოყვლავი იქნები.

რ.ა.ბ."

ჰარი ვერც მიხვდა და არც აინტერესებდა, რას ნიშნავდა ეს ბარათი. მხოლოდ ერთ რამეს ჰქონდა მნიშვნელობა: ეს არ იყო ჰორკრუქსი. დამბლდორმა ამაოდ დაისუსტა თავი იმ საშინელი სითხის სმით. ჰარიმ ხელში მოჭმუჭნა პერგამენტი და თვალები ცრემლებმა აუწვა. იმავ წამს მის უკან ფენგმა დაიწყო ყმუილი.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

## თავი მცდამეცხრე

# ფენიქსის გოდება

– წამოდი, ჰარი.

– არა...

– აქ ხომ არ დარჩები, ჰარი... წამოდი...

– არა.

დამბლდორის მიტოვება არ უნდოდა. არსად წასვლა არ უნდოდა. ჰაგრიდს მის მხარზე ჩამოდებული ხელი უთრთოდა. შემდეგ სულ სხვა ხმამ მიმართა:

– წამოდი, ჰარი.

ხელზე ბევრად უფრო პატარა და თბილი ხელი შემოეჭდო და მაღლა ასწია, რომ აეყენებინა. ჰარი ანგარიშმიუცემლად დაჰყვა მის ნებას. ბრბოში ბრმად რომ მიიკვლევდა გზას, უეცრად ჰაერში ნაცნობი ყვავილის სურნელება დატრიალდა, მაშინღა მიხვდა, რომ ციხე-კოშკისაკენ ჯინის მიჰყავდა. ყოველი მხრიდან გაურკვეველი ხმები ისმოდა. ღამეულ ჰაერს ქვითინი, შეძახილები და ყვირილი ავსებდა, მაგრამ ჰარი და ჯინი არ შეჩერებულან. ბოლოს ქვის საფეხურებს აუყვნენ და ჰოლში შევიდნენ. ჰარის თვალწინ უამრავი სახე ირეოდა. ყველა ცნობისმოყვარეობით უმზერდა, ჩურჩულებდა და გაოცებას გამოთქვამდა. ორივენი მარმარილოს კიბისაკენ გაემართნენ. ჰოლში, ფილაქანზე, სისხლის წვეთებივით მიმობნეული გრიფინდორის ლალის თვლები ბზინავდა.

– საავადმყოფო ფლიგელში მივდივართ, – სიჩუმე დაარღვია ჯინიმ.

– მე არ დავშავებულვარ, – უპასუხა ჰარიმ.

– მაკგონაგელის ბრძანებაა, – უთხრა ჯინიმ, – ყველა იქაა: რონი, ჰერმიონი, ლუპინი და სხვებიც.

ჰარის შიშით ისევ შეეკუმშა გული: სულ დაავიწყდა ის უსიცოცხლო სხეულები, დერეფანში რომ ჩამოიტოვა.



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჯინი, კიდევ ვინ დაიღუპა?

– ნუ ღელავ, ჩვენგან არავინ.

– აბა, შავი ნიშანი? მალფოიმ თქვა, სხეულს გადავაბიჯეო...

– ბილს გადააბიჯა, მაგრამ ყველაფერი კარგადაა. ცოცხალია, – ისეთი ჩაწყვეტილი ხმით თქვა ჯინიმ, რომ ჰარის გულმა რეჩხი უყო.

– დარწმუნებული ხარ?

– რა თქმა უნდა. უბრალოდ, ცოტათი მძიმედაა. გრეიბექი დაესხა თავს. მადამ პომფრი ამბობს, უწინდელ იერს ველარასდროს დაიბრუნებსო, – ჯინის ხმა ოდნავ აუკანკალდა, – ჯერჯერობით არ ვიცით, ამას რა შედეგი მოჰყვება. გრეიბექი ხომ მაქციაა, მაგრამ იმ დროს გარდასახული არ იყო...

– მაგრამ, დანარჩენები? ქვემოთ სხვა სხეულებიც ეყარა...

– ნევილი საავადმყოფო ფლიგელშია, მაგრამ მადამ პომფრი ფიქრობს, რომ მალე გამომჯობინდება. პროფესორი ფლიტვიკიც გათიშეს, მაგრამ ახლა არა უშავს. ერთი ეგაა, ფეხზე მყარად ვერ დგას, პალატაში არაფრით არ გაჩერდა, დაიჟინა, რეივენქლოელებს უნდა მივხედოო. ერთიც „სიკვდილის მხვრელი“ დაიღუპა. ახმახი ქერათმიანის ბრმად ნასროლი მომაკვდინებელი წყევლა მოხვდა... ჰარი, შენი ფელიქს ფელიცისი რომ არა, ალბათ, ყველანი დავიხოცებოდით. მიზანში ვერავინ გვიღებდა...

ამასობაში საავადმყოფო ფლიგელსაც მიაღწიეს და კარი გააღეს. კართან, საწოლზე, ნევილი იწვა და ჩანდა, რომ ეძინა. რონი, ჰერმიონი, ლუნა, ტონქსი და ლუპინი პალატის მეორე ბოლოში ერთ საწოლს შემოხვეოდნენ. კარის გაღების ხმაზე ყველამ თავი ასწია. ჰერმიონი ჰარის მივარდა და გადაეხვია. აღელვებული ლუპინიც ბიჭისაკენ გაეშურა.

– როგორა ხარ, ჰარი?

– მე, კარგად... ბილი როგორაა?

არავინ უპასუხა. ჰარიმ ჰერმიონის მხარზემოდან საწოლს დახედა და ბალიშზე ისეთი დასახიჩრებული სახე დაინახა, რომ ბილი ვერაფრით ვერ შეიცნო. მადამ პომფრი იარებზე მძაფრი სუნის მწვანე მალამოს უსვამდა. ჰარის გაახსენდა, სნეიპმა როგორ იოლად შეუხორცა ჯადოსნური ჯოხით მალფოის სეკტუმსემპრასაგან მიყენებული ჭრილობები.

– არ შეგიძლიათ, შელოცვით ან რამე მაგდაგვარით უწამლოთ? – ჰკითხა ექთანს.

– ამასთან შელოცვა ვერაფერს გახდება, – უპასუხა მადამ პომფრიმ, – ყველა ნაცნობი მეთოდი ვცადე, მაგრამ მაქციის ნაკბენის წამალი არ არსებობს.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კი მაგრამ, ის ხომ სავსემთვარობისას არ დაკბინეს, – ჩაურთო რონმა, რომელიც ისეთი სიყვარულითა და სასოწარკვეთით ჩასცქეროდა ძმას სახეში, თითქოს მზერით განკურებას ლამობსო, – გრეიბექი გარდასახული არ იყო და ამიტომ, ბილიც ხომ არ გახდება... ნამდვილი...

რონმა ყოყმანით გადახედა ლუპინს.

– არა, არა მგონია, რომ ბილი ჩამოყალიბებულ მაქციად იქცეს, – უპასუხა ლუპინმა, – მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ დასნებოვნდა. ეს წყეული იარებია და ბოლომდე შეხორცება არ უწერიათ. ამიტომ... გამორიცხული არ არის, რომ დღეიდან ბილს გარკვეული მგლური თვისებები განუვითარდეს.

– დამბლდორს უეჭველად ეცოდინება რამე საშუალება, – იმედი მიეცა რონს, – სად არის? ბილი ამ მანიაკებს მისი ბრძანებით ებრძოდა. დამბლდორი ვალშია მასთან. ასეთ დგომარეობაში ვერ დატოვებს...

– რონ, დამბლდორი მოკვდა, – უთხრა ჯინიმ.

– რა თქვი?! – ლუპინმა ჯინიდან მზერა ელვისებურად გადაიტანა ჰარიზე, ალბათ, იმ იმედით, რომ ის ამ ახალ ამბავს უარყოფდა, მაგრამ როცა პასუხად მხოლოდ დუმილი მიიღო, საწოლის გვერდით სკამზე დაეხეთქა და სახეზე ხელები აიფარა. ჰარის ჯერ არ ენახა, ლუპინს თავი ასე დაეკარგოს; ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მის სულში შეიჭრა და ხელი მტკივნეულად მოუფათურა. შემობრუნდა და ახლა რონის დაჟინებულ მზერას წააწყდა. მასაც უსიტყვოდ შეხედა, რითაც ჯინის ნათქვამი დაუდასტურა.

– როგორ დაიღუპა? – დაიჩურჩულა ტონქსმა, – როგორ მოხდა?

– სნეიპმა მოკლა, – უპასუხა ჰარიმ, – მე იქ ვიყავი. ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე. ასტრონომიის კოშკზე დავბრუნდით, სადაც შავი ნიშანი ლივლივებდა... დამბლდორი შეუძლოდ იყო, თავს სუსტად გრძნობდა, მაგრამ, მგონი, მაშინვე მიხვდა, რომ ხაფანგი მოგვიწყვეს. როცა კიბეზე ნაბიჯების ხმა გაიგონა, მე უსიტყვოდ შემბორკა. არაფერი შემეძლო, თანაც უჩინმაჩინის მოსასხამში ვიყავი გახვეული... შემდეგ, კარიდან მალფოი შემოვარდა და დამბლდორი განაიარაღა...

ჰერმიონმა პირზე ხელები იტაცა, რონმა დაიკვნესა. ლუნას ტუჩები აუკანკალდა.

– მალე სხვა „სიკვდილის მხვრელებიც" გამოჩნდნენ... შემდეგ – სნეიპიც... და სნეიპმა... ავადა კედავრა... – ჰარიმ ვეღარ გააგრძელა.

მადამ პომფრის ცრემლები წასკდა. მისთვის არავის მიუქცევია ყურადღება, მხოლოდ ჯინიმ უჩურჩულა:


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შშშ! მოუსმინეთ!

მადამ პომფრიმ ამოიოხრა და თვალებგაფართოებულმა პირზე ხელი აიფარა. სადღაც გარეთ, სიბნელეში, ფენიქსი გალობდა ისე, როგორც არასდროს: ეს იყო არამიწიერი სილამაზის მოთქმა-გოდება, სიმღერად ქცეული მწუხარება, რომელიც ექოდ ხმიანობდა სკოლის არემარეზე და ციხე-კოშკის ფანჯრებში აღწევდა.

ჰარის წარმოდგენაც არ ჰქონდა, რამდენ ხანს იდგნენ ასე. არც ის იცოდა, ამ გლოვის ზარის მოსმენისას ოდნავ რატომ გაუყუჩდათ ტკივილი. თითქოს მარადისობამ განვლო, სანამ საავადმყოფოს კარი ისევ არ გაიღო და პალატაში პროფესორი მაკგონაგელი არ შემოვიდა. როგორც სხვებს, მასაც ეტყობოდა ახლად ჩავლილი ბრძოლის კვალი: სახე დაკაწვროდა და მანტია შემოხეოდა.

– მოლი და არტური გზაში არიან, – განაცხადა მან და მუსიკით თავბრუდახვეულები მდუმარე ბურანიდან გამოარკვია. ზოგი ისევ ბილს მიუბრუნდა, ზოგმაც თვალები მოიფშვნიტა და თავი გააქნია, – ჰარი, რა მოხდა? ჰაგრიდმა მითხრა, რომ პროფესორ დამბლდორს ახლდი, როცა ის... როცა ეს მოხდა. ჰაგრიდმა თქვა, რომ პროფესორი სნეიპიც გარეულია...

– დამბლდორი სნეიპმა მოკლა, – თქვა ჰარიმ.

ქალი წამით გაოგნებული მიაჩერდა ბიჭს, შემდეგ კი საეჭვოდ დაბარბაცდა. მადამ პომფრი, რომელსაც ეტყობოდა, ამ დროისთვის უკვე თავს მორეოდა, მაკგონაგელს მივარდა, ჰაერში ჯადოსნური ჯოხით სკამი გააჩინა და შეაშველა.

– სნეიპი, – ჩაწყვეტილი ხმით გაიმეორა მაკგონაგელმა და სკამზე დაეშვა, – ყველას გვიკვირდა... მაგრამ ის ენდობოდა... ყოველთვის... სნეიპს... არ მჯერა...

– სნეიპი უძლიერესი ოკლუმენტი იყო, – ჩაურთო ლუპინმა მისთვის უჩვეულოდ გაბზარული ხმით, – ეს ყოველთვის ვიცოდით.

– მაგრამ დამბლდორი იფიცებოდა, ჩვენს მხარესაა! – დაიჩურჩულა ტონქსმა, – ყოველთვის მეგონა, რომ დამბლდორმა ისეთი რამე იცოდა სნეიპზე, რაც ჩვენ არ ვიცოდით...

– დღენიადაგ მიგვანიშნებდა, რომ სნეიპის ნდობის უტყუარი მიზეზი ჰქონდა, – ჩაიბუტბუტა პროფესორმა მაკგონაგელმა და აცრემლებული თვალები კუბოკრული ცხვირსახოცით შეიმშრალა, – იმის თქმა მინდა, რომ... სნეიპის წარსულის გათვალისწინებით... მაგრამ დამბლდორმა გარკვევით მითხრა, სნეიპის მონანიება აბსოლუტურად გულწრფელიაო... მის წინააღმდეგ სიტყვის გაგონებაც არ სურდა!

– ნეტავ, ვიცოდე, ისეთი რა უთხრა სნეიპმა, რომ ასე დააჯერა, – დაინტერესდა ტონქსი.



https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე ვიცი, – ჩაერია ჰარი და ყველა გაოცებული მიაჩერდა, – სნეიპმა ვოლდემორს შეატყობინა წინასწარმეტყველების შინაარსი, რის საფუძველზეც ვოლდემორმა ჩემი მშობლები დახოცა, შემდეგ სნეიპმა დამბლდორს უთხრა, რომ მიხვდა, რა საშინელებაც ჩაიდინა; რომ ძალიან წუხდა, ასე რომ მოხდა; რომ სინდისი ქენჯნიდა მათი დაღუპვის გამო.

– და დამბლდორმა ეს დაიჯერა? – ეჭვით ჩაეკითხა ლუპინი, – დამბლდორმა დაიჯერა, რომ სნეიპი ჯეიმსის სიკვდილმა დაამწუხრა? სნეიპს ჭირის დღესავით სძულდა ჯეიმსი...

– დედაჩემის სიცოცხლე კი ჩირადაც არ უღირდა, – სიტყვა ჩამოართვა ჰარიმ, – „მუქსისხლიანს“ უწოდებდა...

არავის უკითხავს ჰარისათვის, ეს საიდან იციო. ყველა თითქოს საბოლოოდ დააბნია მეხივით დამტყდარმა ელდამ, და ცდილობდნენ, შემაძრწუნებელი სინამდვილე როგორმე გაეცნობიერებინათ.

– სულ ჩემი ბრალია, – მოულოდნელად თქვა პროფესორმა მაკგონაგელმა, – ჩემი ბრალია. დღეს საღამოს მე გავაგზავნე ფილიუსი სნეიპის მოსაყვანად. გავაგზავნე, რომ ჩვენს საშველად მოეხმო! მე რომ სნეიპი არ გამეღვიძებინა, „სიკვდილის მხვრელებს“ ხომ ვერ შეუერთდებოდა. ალბათ, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ ისინი სკოლაში იყვნენ, სანამ ფილიუსმა არ შეატყობინა; ალბათ, არც კი იცოდა, რომ ისინი შემოსევას გვიპირებდნენ.

– რა თქვენი ბრალია, მინერვა, – მკაცრად უთხრა ლუპინმა, – მაშველი ძალა გვჭირდებოდა და შვებით ამოვისუნთქეთ, როცა გავიგეთ, რომ მალე სნეიპი შემოგვიერთდებოდა...

– ესე იგი, ბრძოლაში „სიკვდილის მხვრელების“ მხარეს ჩაება? – იკითხა ჰარიმ, რომელსაც სნეიპის ორპირობისა და სულმდაბლობის შესახებ ყველა წვრილმანის გაგება სურდა, გამწარებით ეძებდა ხელმოსაჭიდს, რათა მეტი მიზეზი ჰქონოდა მისი სიძულვილისა და მასზე შურისძიებისათვის.

– ზუსტად არც კი ვიცი, ეს როგორ მოხდა, – აღელვებით მიუგო პროფესორმა მაგკონაგელმა, – ყველაფერი ისე ჩაიხლართა... დამბლდორმა დაგვიბარა, რამდენიმე საათით სკოლას ვტოვებ და ყოველი შემთხვევისათვის დერეფნები დაიარეთო. გვითხრა, რომ მალე რემუსი და ნიმფადორაც შემოგვიერთდებოდნენ... თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. ციხე-კოშკის ყველა საიდუმლო შესასვლელ-გასასვლელს ისევ უძლიერესი ჯადო იცავდა. ახლაც არ ვიცი, საიდან შემოიპარნენ „სიკვდილის მხვრელები“...

– მე ვიცი, – შეაწყვეტინა ჰარიმ და მოკლედ მოუთხრო ყველას წყვილი გაუჩინარების კარადისა და მათ შორის დამაკავშირებელი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგიური დერეფნის შესახებ, – ასე რომ, ისინი სკოლაში მიშველე-ოთახიდან მოხვდნენ.

ჰარიმ თავისდა უნებურად რონსა და ჰერმიონს გადახედა. ორივე განადგურებული ჩანდა.

– ყველაფერი ჩავაფლავე, ჰარი, – საცოდავად დაიწყო რონმა, – შენი დავალება შევასრულეთ: ონავართა რუკა შევამოწმეთ და მალ-ფოი მასზე ვერ ვნახეთ, ამიტომ ვიფიქრეთ, რომ მიშველე-ოთახში იქნებოდა. ჰოდა, მე, ჯინი და ნევილი სათვალთვალოდ წავედით... მაგრამ მალფოი მაინც გაგვისხლტა.

– ჩვენი მისვლიდან ერთ საათში ოთახიდან გამოვიდა, – გააგრძელა ჯინიმ, – მარტო იყო და საშინელი გამხმარი ხელი ეჭირა...

– სხივმოსილი ხელი, – განმარტა რონმა, – ხომ გახსოვთ, ისეთ სინათლეს გამოასხივებს, რომელსაც მხოლოდ მისი მფლობელი ხედავს.

– მოკლედ, – განაგრძო ჯინიმ, – ალბათ, გარემოს ზვერავდა, სანამ „სიკვდილის მხვრელებს“ გამოუშვებდა, და რა წამსაც დაგვინახა, ჰაერში რაღაცა ააგდო. ისეთი სიბნელე ჩამოწვა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი.

– პერუდან ჩამოტანილი „წამში დაბნელების ფხვნილი“, – მწარედ ჩაილაპარაკა რონმა, – ფრედისა და ჯორჯის გამოგონება. ერთი უნდა დაველაპარაკო, რომ ამიერიდან გაფრთხილდნენ და განურჩევლად ყველას ნუ მიჰყიდიან თავიანთ საქონელს.

– ყველაფერი ვცადეთ: ლუმოს, ინცენდიო, – გააგრძელა ჯინიმ, – სიბნელე ვერაფერმა გაანათა. ისღა დაგვრჩენოდა, დერეფანში ხელის ცეცებით გაგვეგნო გზა. ამასობაში კი გავიგონეთ, როგორ ჩაგვირბინეს ვიღაცეებმა. მალფოი, იმ ხელის წყალობით, უეჭველად ყველაფერს ხედავდა და მათ წინ მიუძღოდა, მაგრამ იმის შიშით, რომ ერთმანეთისათვის არ მოგვეხვედრებინა, შელოცვა ვერ გავბედეთ. სანამ განათებულ დერეფანს მივაღწევდით, მათი კვალი დავკარგეთ.

– საბედნიეროდ, – ჩახლეჩილი ხმით განაგრძო ლუპინმა, – რონი, ჯინი და ნევილი თითქმის მაშინვე ჩვენ გადაგვეყარნენ და გვიამბეს, რა მოხდა. ასტრონომიის კოშკისაკენ გაქცეულ „სიკვდილის მხვრე-ლებს“ რამდენიმე წუთში დავეწიეთ. მალფოი აშკარად არ ელოდა, რომ საგუშაგოზე ამდენი ხალხი იქნებოდა, და ეტყობა, „დაბნელების ფხვნილის“ მარაგიც ამოწურა. ატყდა ბრძოლა, ისინი დაიფანტნენ და ჩვენც გავედევნეთ. ერთ-ერთი მათგანი, ჯიბონი გაგვექცა და კოშკის კიბეზე აირბინა...

– შავი ნიშანი მან აუშვა? – ჰკითხა ჰარიმ.

– დიახ, ის უნდა ყოფილიყო. ალბათ, ყველაფერი წინასწარ,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიშველე-ოთახიდან გამოსვლამდე დაგეგმეს, – თავი დაუქნია ლუპინმა, – მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ჯიბონს დიდად არ ეპიტნავებოდა ის აზრი, რომ დამბლდორს მარტო უნდა დალოდებოდა კოშკზე, ამიტომ კიბეზე უკან ჩამოირბინა და ჩემკენ ნასროლი მომაკვდინებელი წყევლა მოხვდა.

ჰარი ჰერმიონს მიუბრუნდა:

– რონი თუ ჯინისთან და ნევილთან ერთად მიშველე-ოთახს სდარაჯობდა, მაშინ შენ...

– კი, სნეიპის კაბინეტთან ვტრიალებდი, – დაიჩურჩულა აცრემლებულმა ჰერმიონმა, – ლუნასთან ერთად. კაბინეტის გარეთ დიდხანს ვიყურყუტეთ, მაგრამ არაფერიც არ მომხდარა... ბაიბურშიც არ ვიყავით, მაღლა რა ხდებოდა, ონავართა რუკა რონს ჰქონდა წაღებული... თითქმის შუაღამემ მოაწია, როცა ჯურღმულში პროფესორი ფლიტვიკი შემოვარდა. რაღაცას გაჰყვიროდა „სიკვდილის მხვრელებზე“. მგონი, მე და ლუნა არც კი შევუმჩნევივართ. პირდაპირ სნეიპის კაბინეტში შეიჭრა და გავიგონეთ, როგორ უთხრა, უნდა წამომყვე და დაგვეხმაროო. შემდეგ ყრუ ბრაგვანი მოგვესმა. ოთახიდან სნეიპი გამოვარდა, ჩვენ დაგვინახა და... და...

– რა? – ჩააცივდა ჰარი.

– იცი, რა სისულელე მოგვივიდა, ჰარი! – ხმა გაუწვრილდა ჰერმიონს, – გვითხრა, პროფესორ ფლიტვიკს გული წაუვიდა, წადით და მიხედეთ, სანამ მე... სანამ მე „სიკვდილის მხვრელებს“ შევებრძოლებიო...

ჰერმიონმა სირცხვილით სახე ხელებში ჩარგო და მოგუდული ხმით გააგრძელა:

– პროფესორ ფლიტვიკის დასახმარებლად კაბინეტში შევცვივდით და გრძნობადაკარგული ვიპოვეთ... და, ოჰ, ახლა კი ვხვდები, სნეიპმა, ალბათ, ფლიტვიკს გაშეშების შელოცვით შეულოცა, მაგრამ ჩვენ ვერ მივხვდით, ჰარი, ვერ მივხვდით, და სნეიპი ხელიდან გავუშვით!

– რა თქვენი ბრალია, ჰერმიონ, – შუბლი შეიკრა ლუპინმა, – სნეიპს რომ არ დამორჩილებოდით და გზიდან არ ჩამოსცლოდით, ორივეს დაგხოცავდათ.

– შემდეგ მაღლა ავიდა, – გააგრძელა ჰარიმ, რომელიც გონების თვალით ხედავდა, როგორ აირბინა სნეიპმა მარმარილოს კიბე და გზადაგზა მოსასხამიდან როგორ ამოიღო ჯადოსნური ჯოხი, – და ბრძოლის ადგილს მიაგნო...

– ძალიან გვიჭირდა, ვმარცხდებოდით... – ხმადაბლა თქვა ტონქსმა, – ჯიბონი მოკვდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ დანარჩენები ცოცხლად არ დაგვნებდებოდნენ. ნევილი დაშავდა, ბილი გრეიბექმა


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაკბინა... ბნელოდა... ირგვლივ შელოცვები დაფრინავდა... მალფოი გაუჩინარდა, ალბათ, შეუმჩნევლად გაგვისხლტა და კოშკზე კიბით ავიდა... შემდეგ სხვებიც მიჰყვნენ სირბილით. ერთ-ერთმა მათგანმა ზურგს უკან კიბე გაურკვეველი ჯადოთი დაბლოკა... ნევილმა მასში გარბენა სცადა და უკან გადაფრინდა...

– ის შელოცვა ვერც ერთმა ვერ გავარღვიეთ, – აღნიშნა რონმა, – ბრგე „სიკვდილის მხვრელი“ გათვალვებს სეტყვასავით გვიშენდა. მათ კედლები ისხლეტდა და ბეწვზე გვცდებოდა...

– შემდეგ სნეიპი გამოჩნდა, – ჩაურთო ტონქსმა, – და მაშინვე თვალსა და ხელს შუა სადღაც აორთქლდა...

– დავინახე, რომ ჩვენკენ მორბოდა, მაგრამ კინაღამ დათარსვა მომხვდა, ამიტომ თავი დავწიე და სნეიპს თვალი ვეღარ მივადევნე, – დაამატა ჯინიმ.

– მე კი დავინახე, როგორ დაუბრკოლებლად გაირბინა დაწყევლილ ბარიერში, ვითომც აქ არაფერიაო, – ჩაილაპარაკა ლუპინმა, – ვცადე, მივყოლოდი, მაგრამ ნევილისა არ იყოს, მეც უკან გადამისროლა...

– ალბათ, ჩვენგან განსხვავებით, საგანგებო შელოცვა იცოდა, – დაიჩურჩულა პროფესორმა მაკგონაგელმა, – ბოლოს და ბოლოს... ის ხომ ბნელი ძალებისგან თავდაცვის მასწავლებელი იყო... მე კი ვიფიქრე, რომ იმ „სიკვდილის მხვრელებს“ მისდევდა, რომლებმაც კოშკს შეაფარეს თავი...

– როგორ არა, ნამდვილად მისდევდა, – გაცხარდა ჰარი, – მაგრამ შესაჩერებლად კი არა, მისაშველებლად... სანაძლეოს ჩამოვალ, რომ იმ ბარიერის გასავლელად შავი ნიშნის დამღა უნდა გქონდეს... მერე, რა მოხდა, როცა უკან დაბრუნდა?

– ის იყო, ზორბა „სიკვდილის მხვრელმა“ რაღაც შელოცვა აისროლა, ნახევარი ჭერი ჩამოაქცია და უნებურად კიბეზე დადებული წყევლა მოხსნა, – მიუგო ლუპინმა, – ყველანი წინ გავქანდით, უფრო სწორად, ისინი, ვისაც ფეხზე დგომა კიდევ შეგვეძლო... და შემდეგ, მტვრის კორიანტელში სნეიპი და ის ბიჭი გამოჩნდნენ... რასაკვირველია, მათზე თავდასხმა არც გვიფიქრია...

– პირიქით, გზა დავუთმეთ, – ყრუ ხმით გააგრძელა ტონქსმა, – გვეგონა, „სიკვდილის მხვრელები“ მოსდევდნენ... თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარით, რომ ფეხდაფეხ დანარჩენი „სიკვდილის მხვრელები“ და გრეიბექი მოჰყვნენ და ისევ ბრძოლა ატყდა... მომესმა, თითქოს სნეიპმა რაღაცა დაიყვირა, მაგრამ, არ ვიცი, რა...

– დაიყვირა: „ყველაფერი მორჩაო“, – დააზუსტა ჰარიმ, – მან გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა.

ყველა დადუმდა. გარეთ ფოუკსის გოდება ჩაბნელებულ მიდამოს


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისევ უვლიდა ექოდ. მელოდია ჰაერში ირხეოდა და ჰარის გონებაში არამკითხე, დაუპატიჟებელი ფიქრები ეძალებოდა: ნეტავ, კოშკის ძირიდან უკვე გადაიტანეს სადმე დამბლდორის ნეშტი? მერე რა მოუვიდოდა? სად დაასვენებდნენ? ჰარიმ ჯიბეებში ჩაწყობილი ხელები მაგრად მომუშტა. მარჯვენა ხელზე პატარა, ცივი ყალბი ჰორკრუქსი შეეხო.

უცბად ვიღაცამ ფლიგელის კარი უხეშად შემოაღო. მოულოდნელობისგან ყველა შეხტა. პალატაში ბატონი და ქალბატონი უისლები შემოვიდნენ. მათ კვალდაკვალ ფლერი მოჰყვებოდათ. მშვენიერ სახეზე დაზაფრული გამომეტყველება აღბეჭდვოდა.

– მოლი, არტურ, – პროფესორი მაკგონაგელი წამოხტა და მოსულებს შეეგება, – ძალიან ვწუხვარ...

– ბილ, – დაიჩურჩულა ქალბატონმა უისლიმ, როგორც კი ბილის დაჯიჯგნილ სახეს თვალი მოჰკრა და პროფესორ მაკგონაგელს ჩაურბინა, – ღმერთო ჩემო, ბილ.

ლუპინი და ტონქსი სასწრაფოდ წამოდგნენ და უკან დაიხიეს, რომ ბატონი და ქალბატონი უისლები საწოლთან მიეშვათ. ქალბატონი უისლი შვილისაკენ დაიხარა და დასისხლიანებულ შუბლზე ტუჩებით შეეხო.

– მაშ, გრეიბექი დაესხა თავს? – შეშფოთებით ჰკითხა ბატონმა უისლიმ პროფესორ მაკგონაგელს, – გარდასახული არ იყო, ხომ? აბა, რას ნიშნავს ეს? რა მოუვა ბილს?

– ჯერ არ ვიცით, – პროფესორმა მაკგონაგელმა უმწეოდ გადახედა ლუპინს.

– ალბათ, სისხლი მაინც მოეწამლება, არტურ, – უთხრა ლუპინმა, – ეს უჩვეულო შემთხვევაა, შეიძლება, უნიკალურიც... არ ვიცით, როგორ მოიქცევა, როცა გაიღვიძებს...

ქალბატონმა უისლიმ საძაგელი სუნის მალამო მადამ პომფრის გამოართვა და ბილს ჭრილობებზე წაუსვა.

– და დამბლდორი... – განაგრძო ბატონმა უისლიმ, – მინერვა, მართალია? ის მართლა...

პროფესორმა მაკგონაგელმა თავი დაუქნია. ჰარიმ იგრძნო, რომ მის გვერდით ჯინი უცნაურად შეტოკდა და დაიძაბა. მან გოგონას ცერად გახედა. ჯინი მოწკურულ თვალებს ფლერს არ აშორებდა, რომელიც ბილს გაყინული სახით დასცქეროდა.

– დამბლდორი აღარ არის, – დაიჩურჩულა ბატონმა უისლიმ, მაგრამ ქალბატონ უისლის თავისი უფროსი ვაჟის გარდა არავინ ახსოვდა. იგი აქვითინდა და ბილს დასახიჩრებულ სახეზე ცრემლები დააფრქვია.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა თქმა უნდა, მნიშვნელობა არა აქვს, როგორ გამოიყურება! ეს ხო... ხომ არაა ისეთი გადამწყვეტი... მაგრამ ისეთი სიმპათიური ბიჭუნა იყო... ყოველთვის ისეთი სიმპათიური... და თანაც დ... დაქორწინებას აპირებდა!

– ამიტ ღას გულისკმობტ? – მოულოდნელად და ხმამაღლა იკითხა ფლერმა, – ღას ნიშნავს „აპიღებდა დაკოღცინებას?"

შემცბარმა ქალბატონმა უისლიმ ცრემლით დალტობილი სახე ასწია.

– მე... მხოლოდ იმას...

– ტკვენ პიკღობტ, ღომ ბილი აღაღ მოისუღვებს ჩემს ცოლად მოკვანას? – გაგულისდა ფლერი, – გგონიატ, ღომ ამ ნაკბენების გამო აღაღ ვეკვაღები?

– არა, მე ეს არ...

– აღაპეღიც, ვეკვაღები! – ფლერი წელში გაიმართა და გრძელი ვერცხლისფერი თმა უკან გადაიყარა, – ბილს ჩემს სიკვაღულს ეღტი საცოდავი მაკციის ნაკბენი ვეღ გაუკლობს!

– დიახ, ამაში დარწმუნებული ვარ, – მიუგო ქალბატონმა უისლიმ, – მაგრამ, მე ვიფიქრე, რომ... იმის გათვალისწინებით, რომ ის ასე...

– ტკვენ გეგონატ, მე აღ ვინდომებდი მასზე გატკოვებას? ან იკნებ, ამისი იმედი გკონდატ? – ნესტოები გაუფართოვდა ფლერს, – ღაში მადაღდებს, ღოგოღ გამოიკუღება? ჩემი სილამაზე ოღივეს გვეკოპა! ეს იარები იმას მოცმობს, ღომ მამაცი კმაღი მკავს! მომეციტ ეს მე! – აპილპილებულმა ქალბატონი უისლი განზე უცერემონიოდ გასწია და მალამო ხელიდან გამოსტაცა.

ქალბატონი უისლი ქმარს მიეჯახა. უცნაური გამომეტყველებით იდგა და უყურებდა, როგორ უწმენდდა ფლერი ბილს ჭრილობებს. ხმას არავინ იღებდა. ჰარი განძრევასაც ვერ ბედავდა, დანარჩენების მსგავსად, ისიც აფეთქების მოლოდინში იყო.

– ჩვენს პაპიდა მიურიელს, – დაარღვია ხანგრძლივი სიჩუმე ქალბატონმა უისლიმ, – ერთი ძალიან ლამაზი დიადემა აქვს, გობლინების ნაკეთი. იმედია, დავიყოლიებ, რომ ქორწილისათვის გათხოვოს. იცი, ბილზე ჭკუას კარგავს და უარს ვერ გვეტყვის. შენს თმას ძალიან მოუხდებოდა.

– გმადლობტ, – ცივად მიუგო ფლერმა, – დაღცმუნებული ვაღ ზალიან ლამაზი იკნება.

და შემდეგ, ჰარიმ თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, რომ ორივე ქალი აქვითინებული გადაეხვია ერთმანეთს. სახტად დარჩენილმა ჰარიმ ერთი კი გაიფიქრა, ალბათ, სამყარო საბოლოოდ შეიშალაო, და ქალებს ზურგი აქცია. რონი ჰარიზე არანაკლებ გაოგნებული ჩანდა,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯინიმ და ჰერმიონმა შემკრთალი მზერით გადახედეს ერთმანეთს.

– ხომ ხედავ, – გაისმა დაძაბული ხმა. ტონქსი გაჯავრებული შესცქეროდა ლუპინს, – მაინც მიჰყვება ცოლად, მიუხედავად იმისა, რომ დაკბენილია. მისთვის სულერთია!

– ეს სულ სხვაა, – ლუპინი ოდნავ ამოძრავებდა ტუჩებს და რატომღაც უცებ დაიძაბა, – ბილი არ იქნება ნამდვილი მაქცია. ეს ორი შემთხვევა სავსებით...

– მაგრამ, ჩემთვისაც სულერთია! სულერთი! – ტონქსი ლუპინს საყელოში სწვდა და შეანჯღრია, – უკვე ათასჯერ გითხარი...

და ჰარისათვის ცხადი გახდა ტონქსის პატრონუსის ცვლილებისა და მისი თაგვისფერი თმის ნამდვილი მიზეზი; აგრეთვე, ისიც, თუ რატომ მოვარდა დამბლდორის სანახავად, როცა გაიგო, რომ ვილაცას გრეიბექი დაესხა თავს. მაშასადამე, ტონქსს სირიუსი კი არ ჰყვარებია...

– მე კი ათასჯერ გითხარი, – ლუპინი ტონქსს თვალს არ უსწორებდა და იატაკს დაჰყურებდა, – რომ შენთვის ძალიან ბებერი ვარ... ძალიან ღარიბი... ძალიან საშიში...

– რამდენჯერ მითქვამს შენთვის, რომ სასაცილოდ იქცევი, რემუს, – უთხრა ქალბატონმა უისლიმ, რომელიც ფლერს გადახვეოდა და ზურგზე უთათუნებდა ხელს.

– სულაც არ ვიქცევი სასაცილოდ, – თავი დაიცვა ლუპინმა, – ტონქსი ვინმეს უფრო ახალგაზრდასა და ჯანმრთელს იმსახურებს.

– მაგრამ მას შენ უნდიხარ, – ოდნავი ღიმილით შეედავა ბატონი უისლი, – და სხვა თუ არაფერი, რემუს, ახალგაზრდა და ჯანმრთელი მამაკაცები ყოველთვის ასეთებად არ რჩებიან, – მან ნაღვლიანად ანიშნა თავის ვაჟზე.

– ახლა... ახლა ამაზე საკამათოდ შეუფერებელი დროა, – უხერხულობისგან ლუპინი ყველას თვალს არიდებდა, – დამბლდორი დაიღუპა...

– მერე, დამბლდორს ყველაზე მეტად გაუხარდებოდა, რომ სამყაროს კიდევ ერთი სიყვარული შეემატა, – მოკლედ მოუჭრა პროფესორმა მაკგონაგელმა. ამ დროს პალატის კარი კვლავ გაიღო და ჰაგრიდმა ხმაურით შემოალაჯა.

თმა-წვერით დაუფარავი სახის ნაწილი დასველებოდა და გასივებოდა. ხელში ვეება დალაქავებული ცხვირსახოცი ჩაებღუჯა და ქვითინისაგან ერთიანად ცახცახებდა.

– პროფესორო, – სიტყვა ყელში გაეჩხირა ჰაგრიდს, – გ... გადავასვენე. პროფესორმა სპრაუტმა ბავშვები საწოლებში დააბრუნა, პროფესორი ფლიტვიკი ახლა წევს, მაგრამ ამბობს, წამში ფეხზე


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დავდგებიო. პროფესორმა სლაგჰორნმა კი მითხრა, სამინისტროს უკვე ყველაფერი ვაცნობეო.

– გმადლობთ, ჰაგრიდ, – პროფესორი მაკგონაგელი მაშინვე ადგა და ბილის საწოლის ირგვლივ მყოფთ მიუბრუნდა:

– სამინისტროს წარმომადგენლების დახვედრა მომიწევს. ჰაგრიდ, გეთაყვა, გადაეცით კლუბების თავმჯდომარეებს – სლაგჰორნს შეუძლია, სლიზერინი წარმოადგინოს, – რომ დაუყოვნებლივ ჩემს კაბინეტში გამოცხადდნენ. და, თუ შეიძლება, თქვენც შემოგვიერთდით, ჰაგრიდ.

მეტყეველმ თავი დაუქნია, მიტრიალდა და ოთახიდან გავიდა. მაკგონაგელმა ჰარის დახედა.

– სანამ მათ დავხვდები, ორიოდე სიტყვა უნდა გითხრა, ჰარი. შეგიძლია, გამომყვე?

ჰარი ადგა, რონს, ჰერმიონსა და ჯინის გადაუჩურჩულა: მალე გნახავთო და პროფესორ მაკგონაგელს პალატიდან გაჰყვა. გარეთ, დერეფნებში, კაციშვილი არ ჭაჭანებდა. სიჩუმეს მხოლოდ ფენიქსის შორეული სიმღერა არღვევდა. რამდენიმე წუთის შემდეგღა მიხვდა ჰარი, რომ პროფესორ მაკგონაგელის კაბინეტისკენ კი არა, დამბლდორის კაბინეტისაკენ მიემართებოდნენ. რა თქმა უნდა! მაკგონაგელი ხომ დირექტორის მოადგილე იყო... ჰოდა, ბუნებრივია, ახლა დირექტორი გახდა... ქვის ურჩხულის უკან მდებარე ოთახი ახლა მას ეკუთვნოდა...

სპირალისებურ მოძრავ კიბეს ხმაამოუღებლივ აუყვნენ და ოვალურ კაბინეტში შევიდნენ. ჰარიმ თვითონაც არ იცოდა, რას მოელოდა: იქნებ, იმას, რომ ოთახი ძაძებით იქნებოდა მოსილი, ან იმას, რომ იქ დამბლდორის ნეშტი დახვდებოდა დასვენებული? სინამდვილეში კი კაბინეტი სწორედ ისევე გამოიყურებოდა, როგორც რამდენიმე საათის წინ, როცა დამბლდორთან ერთად დატოვა ის: ვერცხლის ხელსაწყოები დაბრეცილფეხება მაგიდაზე ტრიალებდა და კვამლის ბოლქვებს აფრქვევდა, შემინულ კარადაში გრიფინდორის ხმალი მთვარის შუქზე ბზინავდა, საწერი მაგიდის უკან, თაროზე, გამანაწილებელი ქუდი იდო. მხოლოდ ფოუკსის ქანდარა იყო ცარიელი, ის, ალბათ, ჯერაც სამგლოვიარო საგალობელს უმღეროდა ჰოგვორტსის არემარეს. სკოლის გარდაცვლილ დირექტორთა პორტრეტების მწკრივს კი ახალი შეჰმატებოდა... საწერი მაგიდის თავზე დაკიდებულ ოქროსფერ ჩარჩოში დამბლდორი თვლემდა, ნახევარმთვარისებური სათვალე კეხიან ცხვირზე წამოესკუპებინა და მშვიდად, უშფოთველად გამოიყურებოდა.

პროფესორმა მაკგონაგელმა პორტრეტს თვალი შეავლო და


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უცნაურად წაბარბაცდა, მერე ძალა მოიკრიბა, საწერ მაგიდასთან მივიდა და ჰარის მოუტრიალდა. სახე დაძაბული და დაღარული ჰქონდა.

– ჰარი, – დაიწყო მან, – მაინტერესებს, რას აკეთებდით შენ და პროფესორი დამბლდორი დღეს საღამოს, მას შემდეგ, რაც სკოლიდან გაემგზავრეთ.

– ვერ გეტყვით, პროფესორო, – მიუგო ჰარიმ. ამ კითხვას ელოდა და პასუხიც მზად ჰქონდა. სწორედ აქ, ამ ოთახში ჩამოართვა დამბლდორმა სიტყვა, რომ მათი გაკვეთილების შინაარსს რონისა და ჰერმიონის გარდა არავის გაანდობდა.

– ჰარი, ეს შეიძლება, ძალიან მნიშვნელოვანი იყოს, – არ მოეშვა პროფესორი მაკგონაგელი.

– მნიშვნელოვანია, – დაეთანხმა ჰარი, – თანაც, ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ მას არ სურდა, რომ ვინმესთვის მეთქვა.

პროფესორ მაკგონაგელს მზერა გაუმკაცრდა.

– პოტერ (ჰარის არ გამოჰპარვია ეს ახლებური მიმართვა), პროფესორ დამბლდორის სიკვდილის გათვალისწინებით, ალბათ, უნდა ხვდებოდეთ, რომ სიტუაცია, გარკვეულწილად, შეიცვალა...

– მე ასე არ ვფიქრობ, – მხრები აიჩეჩა ჰარიმ, – პროფესორ დამბლდორს არ უთქვამს ჩემთვის, თუ დავიღუპე, ჩემი ბრძანებები აღარ შეასრულოო.

– კი მაგრამ...

– მაგრამ, სანამ სამინისტროდან მოვლენ, ერთი რამე კი ნამდვილად უნდა იცოდეთ. მადამ როზმერტა იმპერიუსის წყევლის გავლენის ქვეშაა. მალფოისა და „სიკვდილის მხვრელებს“ ეხმარებოდა და ყელსაბამიცა და მოწამლული თაფლუჭიც...

– როზმერტა? – ყურებს არ დაუჯერა პროფესორმა მაკგონაგელმა, მაგრამ სანამ კიდევ რამის თქმას მოასწრებდა, მათ ზურგს უკან კარზე კაკუნი გაისმა და ოთახში პროფესორები: სპრაუტი, ფლიტვიკი და სლაგჰორნი შემოლასლასდნენ. მათ ჰაგრიდი მოჰყვა, რომელიც ისევ გულამოსკვნით ზლუქუნებდა და ვეება სხეული მწუხარებისაგან უთახთახებდა.

– სნეიპი! – შესძახა აკანკალებულმა, ფერდაკარგულმა და გაოფლილმა სლაგჰორნმა, – სნეიპი! მე მას ვასწავლიდი! მეგონა, ვიცნობდი!

მაგრამ სანამ ვინმე უპასუხებდა, კედლიდან მჭახე ხმა გაისმა: თავის ცარიელ ჩარჩოში სწორედ იმ დროს დაბრუნებულიყო ავადმყოფური იერის ჯადოქარი, რომელსაც შავი თმა შუბლზე მოკლედ ჰქონდა შეჭრილი.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მინერვა, მინისტრი წუთი წუთზე აქ იქნება. ეს-ესაა, სამინისტროში აპარაცია გამოიყენა.

– გმადლობთ, ევერარდ, – მიუგო პროფესორმა მაკგონაგელმა და სწრაფად მიუბრუნდა პედაგოგებს: – მის მოსვლამდე, მინდა, ჰოგვორტსში განვითარებულ მოვლენებზე გესაუბროთ. გულახდილად რომ გითხრათ, არა ვარ დარწმუნებული, რომ გაისად სკოლის გახსნა ღირდეს. ჩვენი კოლეგის ხელით დირექტორის სიკვდილი ჰოგვორტსის ისტორიას სამარცხვინო ლაქად დააჩნდება. ეს საშინელებაა.

– მე კი დარწუნებული ვარ, რომ დამბლდორი სკოლის გახსნის მომხრე იქნებოდა, – აღნიშნა პროფესორმა სპრაუტმა, – ჩემი აზრით, ერთმა მოსწავლემაც რომ მოისურვოს სწავლა, სკოლა იმ ერთი მოსწავლისთვის უნდა გაიხსნას.

– ჯერ ისიც საკითხავია, ამ ყველაფრის შემდეგ, ერთი მოსწავლე მაინც თუ გვეყოლება, – სლაგჰორნმა გაოფლილი შუბლი აბრეშუმის ცხვირსახოცით შეიმშრალა, – მშობლები ბავშვების შინ დატოვებას ამჯობინებენ და ვერც დავადანაშაულებთ. პირადად მე, არა მგონია, რომ ჰოგვორტსში იმაზე მეტი საფრთხე გვემუქრებოდეს, ვიდრე სხვაგან, მაგრამ დედებს ხომ ვერ ვაიძულებთ, რომ ასევე იფიქრონ. ისინი შეეცდებიან, რომ მათი ოჯახის წევრები ერთად იყვნენ, და ეს სრულიად ბუნებრივია.

– გეთანხმებით, – თავი დაუქნია პროფესორმა მაკგონაგელმა, – თანაც, სიმართლეს არ შეესაბამება ის აზრი, თითქოს დამბლდორს სკოლის დახურვა დაუშვებლად მიაჩნდა. მას შემდეგ, რაც საიდუმლო ოთახი კვლავ გაიღო, იგი ჰოგვორტსში სასწავლო პროცესის შეწყვეტაზე სერიოზულად ფიქრობდა. და უნდა ვთქვა, რომ პროფესორ დამბლდორის მკვლელობა, პირადად ჩემთვის, ბევრად უფრო სერიოზული მიზეზია, ვიდრე ის, რომ ციხე-კოშკის წიაღში ყველასაგან შეუმჩნევლად სლიზერინის მონსტრი ბინადრობს...

– ჯერ მეურვეებს უნდა მოვეთათბიროთ, – დაიწრიპინა პროფესორმა ფლიტვიკმა. შუბლზე სნეიპის კაბინეტში წაქცევის შედეგად დიდი კოპი აჯდა, მაგრამ სხვა მხრივ უვნებელი ჩანდა, – დადგენილი პროცედურა უნდა გავიაროთ. გადაწყვეტილებას ასე ნაჩქარევად ვერ მივიღებთ.

– ჰაგრიდ, შენ არაფერი გითქვამს, – მეტყეველს მიუბრუნდა პროფესორი მაკგონაგელი, – როგორ ფიქრობ, ჰოგვორტსი არ უნდა დაიხუროს?

ჰაგრიდმა, რომელიც ამ საუბრის განმავლობაში თავის უშველებელ, დალაქავებულ ცხვირსახოცში თავჩარგული ჩუმად ქვითინებ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და, ჩაწითლებულ-დასივებული თვალები გამოაჩინა და დაიხავლა:

– რა ვიცი, პროფესორო... ეს დირექტორისა და კლუბების თავმჯდომარეების გადასაწყვეტია...

– პროფესორი დამბლდორი შენს აზრს ყოველთვის აფასებდა, – დაუყვავა პროფესორმა მაკგონაგელმა, – და მეც ვაფასებ.

– მე ვრჩები, – თქვა ჰაგრიდმა, თვალის კუთხეებიდან მსხვილმა ცრემლებმა გადმოჟონა და გაბურძგნილ წვერში ჩაუგორდა, – რაც ცამეტისა გავხდი, იმის მერე ჰოგვორტსი ჩემი სახლია. და ბავშვებს თუ უნდათ, რო ვასწავლო, ვასწავლი. მაგრამ... რა ვიცი... ჰოგვორტსი დამბლდორის გარეშე...

ჰაგრიდმა ღრმად ამოიოხრა და ისევ ცხვირსახოცის უკან გაუჩინარდა. სიჩუმე ჩამოვარდა.

– გასაგებია, – პროფესორმა სპრაუტმა ფანჯრიდან სკოლის ეზოს გახედა, ამოწმებდა, მინისტრი ხომ არ გამოჩნდაო, – მაშინ, უნდა დავეთანხმო ფილიუსს, რომ ყველაზე სწორი ნაბიჯი მეურვეებთან მოთათბირება იქნება, და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ისინი მიიღებენ.

– ახლა, რაც შეეხება მოსწავლეების შინ გასტუმრებას... რაც მალე ვიზამთ ამას, მით უკეთესი. შეგვიძლია, ხვალვე გამოვიძახოთ ჰოგვორტსის ექსპრესი...

– მერე, დამბლდორის დასაფლავება? – როგორც იქნა, ხმა ამოიღო ჰარიმ.

– მმმ... – პროფესორ მაკგონაგელს ყოველთვის მტკიცე ხმა ამჯერად აუკანკალდა, – მე... მე რამდენადაც ვიცი, დამბლდორს სურდა, აქ, ჰოგვორტსში დამარხულიყო...

– და ასეც მოხდება, არა? – დაჟინებით იკითხა ჰარიმ.

– თუ სამინისტროც მიზანშეწონილად ჩათვლის ამას, – გააგრძელა პროფესორმა მაკგონაგელმა, – სხვა არც ერთი დირექტორი არ...

– სხვა არც ერთ დირექტორს არ მიუცია ამ სკოლისთვის დამბლდორზე მეტი, – დაიღმუვლა ჰაგრიდმა.

– ჰოგვორტსი დამბლდორის უკანასკნელი განსასვენებელი უნდა გახდეს, – აიტაცა პროფესორმა ფლიტვიკმა.

– აბსოლუტურად გეთანხმებით, – კვერი დაუკრა პროფესორმა სპრაუტმა.

– და ასეთ შემთხვევაში, მოსწავლეები შინ არ უნდა გაუშვათ, სანამ დაკრძალვის ცერემონიალი არ ჩაივლის. ყველა ისურვებს მასთან... – ბოლო სიტყვა ყელში გაეჩხირა ჰარის და მის ნაცვლად პროფესორმა სპრაუტმა დაამთავრა:

– გამოთხოვებას.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სწორია, – დაიწრიპინა პროფესორმა ფლიტვიკმა, – სრული ჭეშმარიტებაა! ჩვენმა მოსწავლეებმა მას ჯეროვანი პატივი უნდა მიაგონ. მათ შინ გამგზავრებას მერეც უზრუნველვყოფთ.

– გეთანხმებით, – მხარი აუბა პროფესორმა სპრაუტმა.

– დიახ, ალბათ... მეც... – ძალიან აღელვებული ხმით თქვა სლაგ-ჰორნმა. ჰაგრიდმა კი, თანხმობის ნიშნად, შეკავებული ქვითინი ამოუშვა.

– მოდის, – ფანჯარაში გაიხედა პროფესორმა მაკგონაგელმა, – მინისტრი... და როგორც ჩანს, დელეგაციაც ახლავს...

– შეიძლება, წავიდე, პროფესორო? – მაშინვე იკითხა ჰარიმ.

იმ საღამოს რუფუს სკრიმჯერის ნახვისა და, მით უმეტეს, მის კითხვებზე პასუხის გაცემის იოტისოდენა სურვილიც არ ჰქონდა.

– შეგიძლია, წახვიდე, – ნება დართო პროფესორმა მაკგონაგელმა, – თანაც, რაც შეიძლება, მალე.

ქალი კართან მივიდა და გამოულო. ჰარიმ სპირალისებური კიბე ჩაირბინა და უკაცრიელ დერეფანში მოქუსლა. უჩინმაჩინის მოსასხ-ამი ასტრონომიის კოშკის თავზე დარჩენოდა, მაგრამ ახლა აღარც სჭირდებოდა, დერეფნებში ისედაც არავინ ჭაჭანებდა. ფილჩი, მისის ნორისი და პივსიც კი სადღაც გამქრალიყვნენ. კაციშვილს არ შეხვე-დრია, სანამ გრიფინდორის საერთო ოთახისაკენ არ შეუხვია.

– მართალია? – დაიჩურჩულა ფუშფუშა ქალბატონმა, – მართა-ლია? დამბლდორი... მკვდარია?

– დიახ, – მიუგო ჰარიმ.

ქალს გამგმირავი კივილი აღმოხდა და პაროლს არ დალოდებია, ისე გაიწია გვერდზე ბიჭის გასატარებლად.

როგორც მოსალოდნელი იყო, საერთო ოთახი ისეთი გადაჭედილი დახვდა, ნემსი არ ჩავარდებოდა. ყველა მაშინვე გაიტრუნა, რა წამსაც ჰარი პორტრეტის ხვრელში გადაძვრა. დინი და სიმუსი იქვე ერთად ისხდნენ, მაშასადამე, საწოლი ოთახი ცარიელი იყო ან თითქმის ცარიელი. ჰარი არავის დალაპარაკებია, თვალი არავისთვის გაუს-წორებია, ისე გადაჭრა ოთახი და პირდაპირ ბიჭების საძინებლისკენ წავიდა.

მოლოდინმა გაუმართლა: რონი საწოლზე ჩაცმული იჯდა და ელოდა. ჰარი თავის ჩარდახიან ლოგინზე ჩამოჯდა და წამით ერთ-მანეთს უსიტყვოდ გადახედეს.

– სკოლის დახურვაზე ლაპარაკობენ, – ამცნო ჰარიმ.

– ლუპინმაც თქვა, დახურავენო, – უპასუხა რონმა. სიჩუმე ჩამოწვა.

– აბა? – ისე ხმადაბლა ჰკითხა რონმა, თითქოს ავეჯსაც კი ყურები ესხა, – იპოვეთ? წამოიღეთ ჰორკრუქსი?


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ თავი უარის ნიშნად გააქნია. ის, რაც იმ შავი ტბის ირგვლივ დატრიალდა, ახლა ღამის შორეული კოშმარი ეგონა. ნუთუ ეს ყველაფერი მართლა გადახდა თავს, თანაც სულ რამდენიმე საათის წინ?

– ვერ წამოიღეთ? – მოულოდნელობისგან ხმა ჩაუწყდა რონს, – იქ არ აღმოჩნდა?

– ვერა, – მიუგო ჰარიმ, – ვიღაცამ დაგვასწრო და მის ადგილას ყალბი დაგვხვდა.

– დაგასწროთ?

ჰარიმ უსიტყვოდ ამოიღო ჯიბიდან ყალბი მედალიონი, გახსნა და რონს გადასცა. ამბის მოყოლა მოიცდიდა... იმ საღამოს ამას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა... აღარაფერს აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, დასასრულის – უმიზნო თავგადასავლის დასასრულის, დამბლდორის დასასრულის გარდა...

– რ.ა.ბ. – წაიჩურჩულა რონმა, – კი მაგრამ, ეს ვინაა?

– რა ვიცი, – ჰარი ჩაცმული მიწვა საწოლზე და ჩარდახს გაუშტერა თვალი. სულ არ აინტერესებდა, ვინ იყო ეს რ.ა.ბ. და ალბათ, არც არასოდეს დააინტერესებდა. ასე მწოლიარემ უცებ გააცნობიერა, რომ სკოლის შემოგარენში აუტანელი მდუმარება სუფევდა. ფოუკსი აღარ მღეროდა.

და მიხვდა, თვითონაც არ იცოდა, საიდან მიხვდა იმას, რომ ფენიქსი გადაიკარგა, სამუდამოდ მიატოვა ჰოგვორტსი. ისევე, როგორც დამბლდორმა მიატოვა სკოლა, მიატოვა სამყარო... მიატოვა ჰარი.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

# თავი მცდამეათე

## თეთრი საფლავი

გაკვეთილები შეწყდა, გამოცდები გადაიდო. მომდევნო ორ დღეში მშობლებმა ზოგი მოსწავლე სასწრაფოდ გაარიდეს ჰოგვორტსს. ტყუპი პეტილები დამბლდორის სიკვდილის მეორე დილას ჯერ კიდევ საუზმემდე გაემგზავრნენ შინ, ზაქარია სმიტმა კი ციხე-კოშკი გოროზი იერის მქონე მამის თანხლებით დატოვა. სიმუს ფინიგანმა, პირიქით, დედას შინ გაყოლაზე სასტიკი უარი განუცხადა. ამის გამო ჰოლში ხმამაღალი შელაპარაკებაც კი მოუვიდათ, და სიტუაცია მხოლოდ მას შემდეგ განიმუხტა, როცა ქალი დამბლდორის დასაფლავებამდე მოცდაზე დათანხმდა. სიმუსმა ჰარისა და რონს უთხრა, რომ დედამისმა ჰოგსმიდში ღამის გასათევი ადგილი ძლივს იშოვა, რადგან სოფელში უამრავი ჯადოქარი ჩამოსულიყო, რათა დამბლდორის დასაფლავებას დასწრებოდნენ და პატივი მიეგოთ ყველა დროის უძლიერესი ჯადოქრისათვის.

სახლისოდენა მომწვანო-მოცისფრო ეტლმა, რომელშიც თორმეტი გიგანტური ფრთოსანი რაში იყო შებმული, უმცროსი მოსწავლეების აღტაცება გამოიწვია. იგი დაკრძალვის წინადღეს, ნაშუადღევს გამოჩნდა ცაში და ტყის პირას დაეშვა. ჰარი ფანჯრიდან ადევნებდა თვალს, როგორ გადმოვიდა ეტლიდან გოლიათი, ლამაზი, ხორბლისფერკანიანი და შავთმიანი ქალი და როგორ გადაეხვია ჰაგრიდს. ბობატონიდან ჩამოსულ სტუმრებს რამდენიმე წუთში სამინისტროს დელეგაცია მოჰყვა თავად მინისტრის ჩათვლით. ჰარი გულმოდგინედ ცდილობდა, თვალში არ მოხვედროდა სკრიმჯერს. დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან, მაინც მოსთხოვდნენ ჰოგვორტსიდან დამბლდორის ბოლო გასვლის შესახებ ანგარიშის ჩაბარებას.

ჰარი, რონი და ჰერმიონი მთელ დროს ერთად ატარებდნენ. მშვენიერი ამინდი თითქოს დასცინოდა მათ სევდიან განწყობილებას.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ წარმოიდგინა, რა ლამაზად წარიმართებოდა ყველაფერი, დამბლდორი რომ არ დაღუპულიყო. წლის ბოლომდე უამრავი თავისუფალი დრო ექნებოდათ; ჯინი გამოცდებს ჩააბარებდა; აღარც უამრავ საშინაო დავალებას მისცემდნენ... ახლა კი ჰარი სულ სამომავლოდ დებდა იმ სათქმელს, რის თქმაც აუცილებლად მოუწევდა ჯინისთვის; მას აუცილებლად უნდა გადაედგა ეს ნაბიჯი, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, ორივესთვის ძალიან მტკივნეული იქნებოდა მისი გადაწყვეტილება. თუმცა, ჰარი ჯერ კიდევ ყოყმანობდა, ვერ ბედავდა, ვერ ელეოდა გოგონას, რომელიც ახლა მისთვის ერთადერთი ნუგეში იყო...

საავადმყოფო ფლიგელს დღეში ორჯერ სტუმრობდნენ: ნევილი გაწერეს, მაგრამ ბილი ჯერ კიდევ მადამ პომფრის მზრუნველობას საჭიროებდა. მის იარებს უკეთესობა არ დასტყობია. გულახდილად რომ ითქვას, ახლა უფრო მეტად დამსგავსებოდა მრისხანეთვალა მუდს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ, საბედნიეროდ, მას ორივე თვალი და ფეხი ადგილზე ჰქონდა. ბილი შინაგანად ისეთივე დარჩა. ერთადერთი ცვლილება ის იყო, რომ სისხლიანი ბიფშტექსები შეუყვარდა.

– კიდევ კაღგი, ღომ ჩემზე ქოღცინდება, – კმაყოფილმა ფლერმა ბილს ბალიშები აუფუმფულა, – იმიტომ, ღომ ბღიტანელები ზედმეტად შუშავთ ხოღცს, კოველტვის ამას ვამბობდი.

– როგორც ვატყობ, მომიწევს იმ აზრთან შეგუება, რომ ბილი მაინც მას მოიყვანს ცოლად, – ამოიოხრა ჯინიმ ერთ საღამოს, როცა ის, ჰარი, რონი და ჰერმიონი გრიფინდორის საერთო ოთახში ღია ფანჯარასთან ისხდნენ და ბინდში ჩაძირულ ეზოს გასცქეროდნენ.

– რას ერჩი, არც ისეთი ცუდი ვინმეა, – უთხრა ჰარიმ, – უშნო კია, მაგრამ, სამაგიეროდ, გული აქვს კეთილი, – დასძინა სასწრაფოდ, როცა ჯინიმ წარბები აზიდა. გოგონამ ნაძალადევად ჩაიხითხითა.

– რას ვიზამთ. დედა თუ აიტანს, მეც ავიტან.

– ჩვენი ნაცნობებიდან ვინმე ხომ არ დაღუპულა? – ჰკითხა რონმა ჰერმიონს, რომელიც ყურადღებით ათვალიერებდა „საღამოს მისანს“.

ჰერმიონმა რონის ხმაში ნაძალადევი რიხი შეამჩნია და შუბლი შეჭმუხნა.

– არა, – მიუგო საყვედურნარევი ტონით და გაზეთი დაკეცა, – სნეიპს ეძებენ, მაგრამ უშედეგოდ...

– რა თქმა უნდა, ვერ იპოვიან, – შეაწყვეტინა ჰარიმ, რომელსაც ამ საკითხის წამოჭრისას ყოველთვის გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, – სნეიპს ვერ მიაგნებენ, სანამ ჯერ ვოლდემორს არ იპოვიან, და ვინაიდან აქამდე ეს ვერა და ვერ მოუხერხებიათ...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე დასაძინებლად მივდივარ, – დაამთქნარა ჯინიმ, – არ მიძინია მას შემდეგ, რაც... მოკლედ... თვალის მოტყუება არ მაწყენდა...

მან ჰარის აკოცა (რომმა დემონსტრაციულად გაიხედა განზე), დანარჩენებს ხელი დაუქნია და გოგონების საძინებელში გავიდა. რა წამსაც ჯინიმ კარი დაიხურა, ჰერმიონი ჰარის მიუბრუნდა:

– ჰარი, ამ დილით ბიბლიოთეკაში რაღაცა აღმოვაჩინე...

– რ.ა.ბ.? – გამოცოცხლდა ჰარი. თუმცა უწინდელივით ვეღარ გრძნობდა აღტაცებას, ცნობისმოყვარეობას, საიდუმლოების წიაღში ჩაღწევის დაუოკებელ სურვილს... უბრალოდ, იცოდა, რომ ნამდვილი ჰორკრუქსის შესახებ სიმართლე მანამ უნდა დაედგინა, სანამ ერთი ნაბიჯით წინ წაიწევდა იმ ბნელ და დაკლაკნილ გზაზე, რომელიც წინ ელოდა; გზაზე, რომელსაც ის და დამბლდორი ერთად შეუდგნენ და რომელიც, ახლა უკვე მარტოს უნდა გაეგრძელებინა. ოთხი ჰორკრუქსი კიდევ რჩებოდა. ჯერ თითოეული მათგანი უნდა მოეძია, გაენადგურებინა და შემდეგ უკვე ვოლდემორის მოკვლაზე ეფიქრა. ჰორკრუქსებს გამუდმებით იმეორებდა გულში, თითქოს ასე უფრო ხელმისაწვდომს გახდიდა მათ: მედალიონი... თასი... გველი... გრიფინდორის ან რეივენქლოს რაღაც ნივთი... მედალიონი... თასი... გველი... გრიფინდორის ან რეივენქლოს რაღაც ნივთი...

ეს საბედისწერო სახელები ძილშიც არ ასვენებდა ჰარის. მისი სიზმრები სავსე იყო თასებით, მედალიონებითა და სხვა იდუმალი ნივთებით, რომელთაც ვერაფრით ვერ წვდებოდა. შემდეგ შემწედ დამბლდორი მოევლინებოდა ხოლმე და ჰარის თოკის კიბეს სთავაზობდა, მაგრამ, როგორც კი მასზე ფეხს შედგამდა, კიბე გველად იქცეოდა...

დამბლდორის სიკვდილის მომდევნო დილას ჰარიმ ჰერმიონს მედალიონში ჩაკუჭული ბარათი უჩვენა. მართალია, ჰერმიონმა უწინ სადმე ამოკითხული რომელიმე უცნობი ჯადოქრის ინიციალები ეტრატზე ვერ ამოიცნო, მაგრამ მას შემდეგ წამდაუწუმ ბიბლიოთეკაში დარბოდა, რაც უჩვეულო იყო, რადგან მას საშინაო დავალება საერთოდ არ მოეთხოვებოდა.

– არა, – ნაღვლიანად უპასუხა ჰერმიონმა, – ვეცადე, ჰარი, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე... ამ ინიციალების მქონე ორიოდე საკმაოდ ცნობილი ჯადოქარი შემხვდა – როზალინდ ანტიგონე ბანგსი და რუპერტ „აქსებენგერ“ ბრუკსტენტონი... მაგრამ ამ ამბავთან მათ საერთო არაფერი აქვთ. ბარათის მიხედვით, პიროვნება, რომელმაც ჰორკრუქსი მოიპარა, ვოლდემორს კარგად იცნობდა. მე კი ერთი დამადასტურებელი საბუთიც კი ვერ მიპოვია იმისა, რომ ბანგსს ან


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბრუკსტენტონს რამე კავშირი ჰქონდათ მასთან... არა, სიმართლე რომ გითხრა, ეს ეხება... სნეიპს.

ჰერმიონი ამ სახელის წარმოთქმამაც კი ააღელვა.

– სნეიპზე რაღა უნდა მითხრა? – მძიმედ ჰკითხა ჰარიმ და სკამზე გადაწვა.

– მხოლოდ ის, რომ ნაწილობრივ მართალი აღმოვჩნდი ნახევარპრინცთან დაკავშირებით, ხომ ასეა? – ყოყმანით დაიწყო ჰერმიონმა.

– ჰერმიონ, აუცილებელია, ისევ გამოქექო ეს ამბავი? შენი აზრით, როგორ უნდა ვგრძნობდე ახლა თავს?

– არა, არა, ჰარი! ეს არც მიგულისხმია! – საჩქაროდ დასძინა ჰერმიონმა და ოთახს თვალი მოავლო, ხომ არავინ გვისმენსო, – უბრალოდ, მართალი ვიყავი: ეს წიგნი ოდესღაც ეილინ პრინცს ეკუთვნოდა. შემდეგ კი... საქმე ისაა, რომ... ის სნეიპის დედა იყო!

– მე თუ მკითხავთ, გარეგნობით დიდად ვერ დაიკვეხნიდა, – ჩაურთო რონმა. ჰერმიონმა წაუყრუა.

– „მისნის“ სხვა ძველი ნომრებიც გადავათვალიერე და ერთ პატარა განცხადებას მივაგენი ეილინ პრინცისა და ვინმე ტობიას სნეიპის ქორწინების შესახებ. უფრო გვიანდელ განცხადებაში კი ნათქვამი იყო, რომ შეეძინათ...

– მკვლელი, – წაიღრინა ჰარიმ.

– მმმ... კი, – თავი დაუქნია ჰერმიონმა, – ასე რომ... არ ვტყუოდი. სნეიპს, ალბათ, თავი მოჰქონდა კიდეც თავისი „ნახევარპრინცობით“. საქმე ისაა, რომ „მისნის“ მიხედვით, ტობიას სნეიპი მაგლი იყო...

– ჰო, ასე გამოდის, – გამოცოცხლდა ჰარი, – ჰოდა, ისიც თავგამოდებით დგებოდა წმინდასისხლიანთა მხარეზე, რომ ლუციუს მალფოისა და მისნაირების წრეში გარეულიყო... ვოლდემორისაგან არაფრით განსხვავდება: წმინდასისხლიანი დედა, მაგლი მამა... თავისი წარმოშობისა ერცხვინებოდათ, ამიტომ ცდილობდნენ, შავი მაგიის გამოყენებით თავზარი დაეცათ სხვებისათვის, ახალი, შთამბეჭდავი სახელი დაერქვათ – ლორდი ვოლდემორი, ნახევარპრინცი... არა, მაინც როგორ გამოეპარა ეს დამბლდორს?

ჰარის სიტყვა გაუწყდა და ფანჯრიდან გაიხედა. ვერა და ვერ ეპატიებინა დამბლდორისათვის სნეიპისადმი ასეთი ბრმა ნდობა. მაგრამ, განა ჰერმიონმა ეს წუთია, უნებლიეთ არ შეახსენა, რომ თვითონ ჰარიც არანაკლებ მოტყუვდა? მიუხედავად იმისა, რომ წიგნზე ხელით მიწერილი შელოცვები სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდებოდა, მაინც ჯიუტად არ სურდა ცუდი რამე ეფიქრა იმ ბიჭზე, რომელიც ასეთი ჭკვიანი იყო; რომელიც ასე ეხმარებოდა...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეხმარებოდა... ეს აზრი ახლა ყველაზე აუტანელი გამხდარიყო ჰარისათვის...

– მაინც ვერ გამიგია, რატომ არ დაგაბეზღა სლაგჰორნთან, რომ იმ წიგნით სარგებლობდი? – შენიშნა რონმა, – უნდა მიმხვდარიყო, საიდან იცოდი ამდენი რამე.

– ხვდებოდა, – მწარედ თქვა ჰარიმ, – იმწამსვე მიხვდა, როცა სეკტუმსემპრა გამოვიყენე. ამისათვის ლეგილიმენცია არც სჭირდებოდა... ალბათ, მანამდეც ხვდებოდა, როცა სლაგჰორნი ჩემს ნიჭს ხოტბას ასხამდა... უფრო მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა და თავისი ძველი წიგნი განჯინაში არ უნდა დარჩენოდა, არა?

– ჰოდა, მით უმეტეს, უცნაურია, რომ არ დაგაბეზღა.

– ალბათ, არ სურდა, ჰარის გამოაშკარავებით საკუთარი თავიც გაეცა, – ივარაუდა ჰერმიონმა, – სანაძლეოს ჩამოვალ, დამბლდორმა იცოდა, რომ სნეიპის დედის გვარი „პრინცი“ იყო და არა მგონია, ეს ამბავი დიდად მოსწონებოდა. სნეიპს თუნდაც ეუარა, რომ წიგნი მას ეკუთვნოდა, სლაგჰორნი მაშინვე იცნობდა მის ხელწერას. ასეა თუ ისე, წიგნი სნეიპის ძველ საკლასო ოთახში დარჩა და...

– წიგნი დამბლდორისათვის უნდა მეჩვენებინა, – ინანა ჰარიმ, – სწორედ მაშინ, როცა გარკვევით დამანახა, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს, რამდენად ბოროტი იყო ვოლდემორი, მე ხელში მეჭირა დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ სნეიპიც არანაკლებ...

– „ბოროტი“ გადაჭარბებით ხომ არაა ნათქვამი? – ხმადაბლა შენიშნა ჰერმიონმა.

– შენ არ მაფრთხილებდი, წიგნი საშიშიაო?

– მე იმის თქმას ვცდილობ, ჰარი, რომ თავს უსაფუძვლოდ იდანაშაულებ. კი მიმაჩნია, რომ პრინცს საძაგელი იუმორის გრძნობა ჰქონდა, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ პოტენციური მკვლელი იყო...

– რას ვიფიქრებდით, რომ სნეიპი... ეეე... ხომ იცით, – ენა დაება რონს.

სიჩუმე ჩამოწვა. სამივე ფიქრებმა წაიღო. ჰარი დარწმუნებული იყო, რომ სამივენი ხვალინდელ დილაზე ფიქრობდნენ, როცა დამბლდორს მიწას მიაბარებდნენ. ჰარი ჯერ არასდროს დასწრებოდა დასაფლავებას. როცა სირიუსი დაიღუპა, მისგან არაფერი დარჩა დასამარხი. არ იცოდა, წინ რა ელოდა, ამიტომ ცოტა არ იყოს, აღელვებდა ის, თუ რას ნახავდა და რას იგრძნობდა. აინტერესებდა, დასაფლავების მერე დამბლდორის სიკვდილს უფრო ცხადად აღიქვამდა თუ არა. ზოგჯერ დგებოდა ისეთი წუთები, როცა გაუსაძლისი სინამდვილე სულს უფლეთდა, მაგრამ იყო რეალობიდან ამოვადნილი ცარიელი პერიოდებიც, როდესაც უჭირდა იმის დაჯერება, რომ დამ-


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბლდორი მართლა გარდაიცვალა. თუმცა ამჯერად სასოწარკვეთით აღარ ეძებდა დამბლდორის ამქვეყნად დაბრუნების რამე ხელმოსაჭიდს... ჰარიმ ჯიბეში ყალბი ჰორკრუქსის ცივი ძეწკვი მოსინჯა, რომელიც ახლა ყველგან თან დაჰქონდა არა როგორც თილისმა, არამედ როგორც მოსაგონარი იმისა, თუ რა ძვირი დაჯდა იგი და კიდევ რამდენი რამე რჩებოდა გასაკეთებელი.

მეორე დილით ჰარი უთენია ადგა და ბარგის ჩალაგებას შეუდგა. ჰოგვორტსის ექსპრესი დაკრძალვიდან ერთ საათში გადიოდა. ქვემოთ, დიდ დარბაზში, სამგლოვიარო განწყობა სუფევდა. ყველას გამოსასვლელი მანტია ემოსა და, როგორც ჩანდა, ყველას მადა დაჰკარგვოდა. პროფესორ მაკგონაგელს მასწავლებლების მაგიდის შუაში ტახტისებური სკამი ცარიელი დაეტოვებინა. ჰაგრიდის სკამიც ცარიელი იყო. ჰარიმ გაიფიქრა, ალბათ, საუზმის თავი არა ჰქონდაო. აი, სნეიპის ადგილი კი უცერემონიოდ დაეკავებინა რუფუს სკრიმჯერს და დარბაზს ათვალიერებდა. ჰარიმ მის მოყვითალო თვალებს მზერა აარიდა. უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა, მიხვდა, რომ სკრიმჯერი მას ეძებდა. მინისტრის გარემოცვას შორის პერსი უისლის წითური თმა და რქისჩარჩოიანი სათვალეც შენიშნა. რონმა არ შეიმჩნია, რომ პერსის იცნობდა, ერთი ეგაა, შებოლილ თევზს უჩვეულო ღვარძლით უყრიდა ჩანგალს.

იქით, სლიზერინელების მაგიდასთან, კრაბი და გოილი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. ეს ახმახი ბიჭები საოცრად დაობლებულნი ჩანდნენ მაღალი, ფერმკრთალი მალფოის გარეშე, რადგან აღარავინ ჰყავდათ, ვინც მათ თავის ნებაზე ატრიალებდა. ჰარის მალფოიზე ფიქრით დიდად არ შეუწუხებია თავი. მთელი მისი ღვარძლი ახლა მხოლოდ სნეიპისაკენ იყო მიმართული, თუმცა არც მალფოის ხმაში შეპარული შიში დავიწყებოდა და არც ის, როგორ დაუშვა მან ჯადოსნური ჯოხი, სანამ კოშკის თავზე დანარჩენი „სიკვდილის მხვრელები“ ამოცვივდებოდნენ. ჰარის არ სჯეროდა, რომ მალფოი დამბლდორს მოკლავდა. მას ჯერაც სძულდა მალფოი უკუდო ამპარტავნობისა და ბნელი ძალებისადმი ტრფიალის გამო, მაგრამ ახლა ამ სიძულვილს სიბრალულის უმცირესი წვეთიც შეერია. აინტერესებდა, სად იყო ახლა მალფოი და მშობლების დახოცვის მუქარით კიდევ რის გაკეთებას აიძულებდა ვოლდემორი.

ჯინის მუჯლუგუნმა ჰარი ფიქრებიდან გამოარკვია. პროფესორი მაკგონაგელი ფეხზე ადგა და დარბაზში მაშინვე მიწყდა ნაღვლიანი ზუზუნი.

– დროა, – გამოაცხადა მან, – გთხოვთ, თქვენ-თქვენს კლუბის თავმჯდომარეებს ეზოში გაჰყვეთ. გრიფინდორელებო, მე მომყევით.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოსწავლეები სკამებიდან მდუმარედ წამოიშალნენ. ჰარიმ სლიზერინის მწკრივის თავში სლაგჰორნს მოჰკრა თვალი. მას დიდებული, გრძელი, ვერცხლით ნაქარგი ზურმუხტისფერი მანტია ემოსა. ჰარის ჯერ არ ენახა ჰაფლეპაფის კლუბის თავმჯდომარე პროფესორი სპრაუტი ასე სუფთად გამოწყობილი, ქუდზე ერთი საკერებელიც კი არ აჩნდა. ჰოლს რომ მიაღწიეს, ფილჩის გვერდით მდგარი მადამ პინსი დაინახეს. ქალს სქელი შავი ვუალი მუხლებამდე სცემდა, კაცს კი ნაფტალინის სუნიანი ძველისძველი შავი კოსტუმი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა.

მთავარი კარიდან ქვის საფეხურებზე დადგა თუ არა ფეხი, ჰარიმ დაინახა, რომ ტბისკენ აიღეს გეზი. სახეზე მზის სხივები მიელამუნა. პროფესორ მაკგონაგელს უსიტყვოდ მიჰყვებოდნენ იმ ადგილისაკენ, სადაც ასობით სკამი რიგებად ჩაემწკრივებინათ. შუაში გასასვლელი დაეტოვებინათ, რომელიც მარმარილოს მაგიდისაკენ მიემართებოდა. ზაფხულის მშვენიერი დღე იდგა.

სკამების ნახევარი უკვე შეევსო ათასი ჯურის ხალხს: დაკონკილსა თუ მოხდენილად ჩაცმულს, მოხუცსა თუ ახალგაზრდას. მათ უმრავლესობას ჰარი არ იცნობდა, მაგრამ ნაცნობი სახეებიც გაარჩია. მათ შორის იყვნენ ფენიქსის ორდენის წევრებიც: კინგსლი შეკლბოლტი, მრისხანეთვალა მუდი, ტონქსი, რომლის თმასაც სასწაულებრივად დაბრუნებოდა ჭყეტელა ვარდისფერი, ტონქსს რემუს ლუპინისათვის ჩაეკიდა ხელი, ბატონი და ქალბატონი უისლები, ბილი, რომელიც ფლერს ეყრდნობოდა და რომელსაც დრაკონის ტყავის შავ ქურთუკში გამოწყობილი ფრედი და ჯორჯი მოჰყვებოდნენ. იქვე იყო მადამ მაქსიმიც. მარტო მან ორ სკამ-ნახევარი დაიკავა, ტომი – „გახვრეტილი კარდალას“ მეპატრონე, არაბელა ფიგი – ჰარის სქვიბი მეზობელი, გრძელთმიანი ბას-გიტარისტი ჯადოქრული ჯგუფიდან „ალქაჯი დები“, ერნი პრენგი – ავტობუს „ღამის რაინდის“ მძღოლი, მადამ მალკინი – მრუდე ქუჩაზე მანტიების მაღაზიის მფლობელი, და კიდევ ვიღაცეები, რომელთაც ჰარი შორიდან იცნობდა, მაგალითად, „ღორის თავის“ ბარმენი და ჯადოქარი ქალი, რომელიც ჰოგვორტსის ექსპრესში ურიკას დააგორებდა. ციხე-კოშკის მოჩვენებებიც აქვე იყვნენ, მზის კაშკაშა შუქზე თითქმის უხილავნი გამხდარიყვნენ და მხოლოდ მაშინღა ჩანდნენ, როდესაც გადაადგილებისას ჰაერში კრთებოდნენ.

ჰარი, რონი, ჰერმიონი და ჯინი რიგის ბოლოში, ტბასთან ახლოს დასხდნენ. ხალხის ნაკადი მატულობდა. ჰარის საოცარი სითბო ჩაუდგა გულში, როცა დაინახა, როგორ ეხმარებოდა ნევილს დაჯდომაში ლუნა. დამბლდორის სიკვდილის ღამეს ჰერმიონის გამოძახებას **და**-ს


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წევრებიდან მხოლოდ ისინი გამოეპასუხნენ და ჰარიმ იცოდა, რატომ: მათ ყველაზე მეტად ენატრებოდათ და... ალბათ, წამდაუწუმ ამოწმებდნენ მონეტებს იმ იმედით, რომ შემდეგი შეკრება დაინიშნებოდა...

სკამებს კორნელიუს ფაჯმა ჩაუარა და წინა რიგისაკენ გასწია. საწყალობელი გამომეტყველება ჰქონდა და ლიმონისფერ ცილინდრს, ჩვეულებისამებრ, ხელში ატრიალებდა. შემდეგ ჰარიმ რიტა სკიტერს მოჰკრა თვალი და განრისხდა, როცა დაინახა, რომ ქალს წითელფრჩხილება თითებით ბლოკნოტი ჩაებღუჯა და ინტერესით აცეცებდა თვალებს. კიდევ უფრო მეტად გაცოფდა, როცა შენიშნა, რა არადამაჯერებლად მწუხარე გამომეტყველება აღბეჭდვოდა სახეზე დოლორეს ამბრიჯს. მას წაბლისფერ ხუჭუჭა თმაზე შავი ხავერდის ლენტი წაეკრა და ცერემონიულად გაჯგიმულიყო. უცებ ამბრიჯმა ზედ ტბის პირას გუშაგივით მდგარ კენტავრ ფლორენციას მოჰკრა თვალი და დაფეთებული მოშორებით გაცუხცუხდა.

პედაგოგები ყველაზე ბოლოს დასხდნენ. ჰარი ხედავდა პროფესორ მაკგონაგელის გვერდით, წინა რიგში დინჯი, ღირსეული სახით გამოჭიმულ სკრიმჯერს. ჰარიმ გაიფიქრა, ნეტავ მინისტრი ან დანარჩენი ბობოლები მართლა თუ დაამწუხრა დამბლდორის სიკვდილმაო. მაგრამ უცებ გაისმა უცნაური, არაამქვეყნიური მელოდია, რომელმაც დროებით დაავიწყა სამინისტროსადმი სიძულვილი, და მიმოიხედა, რომ დაედგინა, საიდან მოდიოდა ეს ჰანგები. სხვებმაც მიიხედ-მოიხედეს თვალების ცეცებით.

– იქით, – ყურში ჩასჩურჩულა ჯინიმ.

კამკამა, მწვანე, მზით განათებული წყლის ზედაპირიდან ოდნავ ქვემოთ სირინოზებისა და ტრიტონების გუნდი უცნაურ, ჰარისათვის გაუგებარ ენაზე მღეროდა, მკვდარივით გაფითრებულ სახეებზე ტალღები ელამუნებოდათ, მომწვანო თმა კვამლის ბოლქვებივით ეშლებოდათ ირგვლივ. ამ მელოდიას სულაც არ ეთქმოდა უსიამოვნო, მაგრამ ჰარის ტანში მაინც ჟრუანტელმა დაუარა. ეს იყო სამგლოვიარო სიმღერა, რომელიც მძაფრად გადმოსცემდა დანაკარგსა და გულისტკივილს. ჰარიმ მომღერლებს შმაგ სახეებში ჩახედა და იგრძნო, რომ ისინი, სკიტერისა და ამბრიჯისაგან განსხვავებით, გულწრფელად გლოვობდნენ დამბლდორის გარდაცვალებას. ამ დროს ჯინიმ კვლავ გაჰკრა იდაყვი და ჰარიმ თავი მოაბრუნა.

სკამებს შორის დატოვებულ გასასვლელში აუჩქარებლად მოაბიჯებდა ჰაგრიდი. ჩუმად ტიროდა და სახეზე ცრემლები უბრწყინავდა. ოქროსფერი ვარსკვლავებით გაწყობილ მეწამულ ხავერდში გახვეული რაღაცა მოჰქონდა. ჰარი მიხვდა, რომ ეს დამბლდორის სხეული უნდა ყოფილიყო. მის დანახვაზე აუტანელი ტკივილი მოაწვა ყელში:


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამ უცნაურმა მელოდიამ და იმის გაცნობიერებამ, რომ დამბლდორის ცხედარი ასე ახლოს იყო, ზაფხულის დღეს მთლიანად გააცალა სითბო. რონი გაფითრებული იჯდა. ჯინისა და ჰერმიონს ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდათ და კალთა უსველდებოდათ.

გარკვევით არ ჩანდა, წინ რა ხდებოდა. ეტყობოდა, ჰაგრიდმა ცხედარი ფრთხილად დაასვენა მაგიდაზე. შემდეგ უკან დაიხია და ცხვირი ისე ხმაურით მოიხოცა, თითქოს საყვირს ჩაჰბერესო. რამდენიმე დამსწრემ აღშფოთებით შეხედა, მათ შორის – დოლორეს ამბრიჯმაც... მაგრამ ჰარიმ იცოდა, რომ დამბლდორი ამაზე სულაც არ იდარდებდა. შეეცადა, გვერდით ჩავლილი ჰაგრიდისათვის გასამხნევებლად ხელი დაექნია, მაგრამ ჰაგრიდს ისე დასივებოდა თვალები, რომ ისიც კი გასაკვირი იყო, როგორ ხედავდა, საით მიდიოდა. ჰარიმ უკანა რიგს გახედა, საითკენაც ჰაგრიდი მიემართებოდა და დაინახა, რომ იქ კარვისოდენა ქურთუკსა და შარვალში გამოწყობილი გოლიათი გრაუპი იჯდა. ვეება, ლოდისებური მახინჯი თავი ჩაექინდრა და თვინიერად, თითქმის ადამიანურად გამოიყურებოდა. ჰაგრიდი ნახევარძმას მიუჯდა და გრაუპმა თავზე ისე მოუხეშავად დაუტყაპუნა ხელი, რომ სკამის ფეხები მიწაში ჩაეფლო. ჰარის ღიმილი მოერია. მაგრამ ამ დროს მელოდია შეწყდა და მანაც ისევ წინ გაიხედა.

სადა შავ მანტიაში გამოწყობილი მეჩხერთმიანი კაცი ფეხზე წამომდგარიყო და დამბლდორის ცხედარს მიახლოებოდა. ჰარის მისი ლაპარაკი არ ესმოდა. მაღალფარდოვანი სიტყვები ასობით მაყურებლის თავზემოთ დაფარფატებდა და ბოლო რიგებამდე ნაწყვეტ-ნაწყვეტ აღწევდა: „სულის კეთილშობილება“, „ინტელექტუალური ღვაწლი“, „სიდიადე გულისა“... ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა. ამას თითქმის არაფერი ჰქონდა საერთო იმ დამბლდორთან, რომელსაც ჰარი იცნობდა. რატომღაც უცებ გაახსენდა დამბლდორის მიერ მოკლედ, სხარტად ნათქვამი რამდენიმე სიტყვა: „ნიტვიტ! ოდმენთ! ბლაბერ! თვიქ!“ და ისევ ძლივს შეიკავა ღიმილი... არა მაინც, რა სჭირდა იმ დღეს?

მარცხნივ მსუბუქი დგაფუნი გაისმა. წყლიდან სირინოზებსა და ტრიტონებს ამოეყვინთათ და გამოსათხოვარ სიტყვას ისმენდნენ. ჰარის გაახსენდა, როგორ დაიხარა ტბის პირას დამბლდორი ორი წლის წინ, სწორედ იმ ადგილთან ახლოს, სადაც ახლა ჰარი იჯდა, და სირინოზების ბელადს მათსავე ენაზე ესაუბრა. ჰარიმ გაიფიქრა, ნეტავ, სად ისწავლა დამბლდორმა სირინოზების ენაო. რამდენი რამე დარჩა მისთვის უკითხავი, რამდენი რამ დარჩა მისთვის უთქმელი...

და კიდევ ერთხელ მთელი სიცხადით იგრძნო გამანადგურებელი


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სინამდვილე: დამბლდორი მოკვდა, დაიღუპა... ხელი ტკივილამდე მოუჭირა ცივ მედალიონს, მაგრამ ცრემლის შეკავება მაინც ვერ შეძლო. ჯინისა და დანარჩენებს სახე მოარიდა და ტბის გაღმა ტყეს გახედა, სანამ შავით მოსილი ჩია კაცი მონოტონურად ზუზუნებდა... ხეებს შორის რაღაცა ამოძრავდა. კენტავრებიც მოსულიყვნენ დამბლდორთან გამოსათხოვებლად. ტყიდან არ გამოსულან, მაგრამ ჰარიმ დაინახა, როგორ იდგნენ გაუნძრევლად, ჩრდილში ნახევრად მიმალულები, მხარზე მშვილდგადაკიდებულები და ჯადოქრებს თვალს ადევნებდნენ. ჰარის გაახსენდა ტყეში თავისი პირველი კოშმარული მოგზაურობა. პირველად სწორედ მაშინ შეხვდა იმ საცოდავ არსებას, რომელშიც მაშინ ლორდი ვოლდემორის დამახინჯებული სული ჩასახლებულიყო. გაახსენდა, როგორ გადაეყარა მას და მოგვიანებით როგორ ისაუბრეს მან და დამბლდორმა დამარცხებისათვის წინასწარ განწირულ ბრძოლაზე. დამბლდორმა მაშინ თქვა, მნიშვნელოვანია, რომ იბრძოლო, იბრძოლო და ფარ-ხმალი არ დაყარო, რადგან მხოლოდ ამით შეიძლება, ბოროტებას ხელ-ფეხი შეუკრა, თუმცა მისი ძირფესვიანად აღმოფხვრა შეუძლებელიაო...

მცხუნვარე მზის გულზე მჯდარ ჰარის ერთიმეორის მიყოლებით დაუდგნენ თვალწინ ის ადამიანები, რომლებიც მისთვის სულს არ დაიშურებდნენ: დედა, მამა, ნათლია და ბოლოს – დამბლდორი. ყველა ცდილობდა მის დაცვას, მაგრამ ახლა ყველაფერი დასრულდა. ვეღარავის მისცემდა უფლებას, მასა და ვოლდემორს შორის ჩამდგარიყო. მისი უკანასკნელი და უდიდესი მფარველი დაიღუპა და ახლა ისე მარტო იყო, როგორც არასდროს.

ბოლოს და ბოლოს, შავით მოსილი ჩია კაცი ლაპარაკს მორჩა და თავის ადგილზე დაჯდა. ჰარი მოელოდა, რომ კიდევ ვინმე ადგებოდა; ელოდა, რომ კიდევ ვინმე, შეიძლება, მინისტრიც კი წარმოთქვამდა გამოსამშვიდობებელ სიტყვას, მაგრამ არავინ გატოკებულა.

უეცრად ხალხში კივილი ატყდა. იმ მაგიდის ირგვლივ, რომელზეც დამბლდორის ცხედარი ესვენა, ცეცხლის კაშკაშა ვერცხლისფერმა ენებმა იფეთქა, სულ უფრო და უფრო აბრიალდა და მთელი სხეული დაფარა. ჰაერში უცნაური ფორმის თეთრი კვამლი დატრიალდა: ჰარის ლამის გული გაუჩერდა, რადგან სულ ერთი წამით მოეჩვენა, რომ ლურჯ ცაზე ფენიქსმა გაიელვა, მაგრამ მეორე წამს ცეცხლი ჩაქრა და ყველაფერი დამშვიდდა. იმ ადგილას თეთრი მარმარილოს ქვა აღიმართა, სადაც წუთის წინ დამბლდორის ცხედარი ესვენა.

ისევ გაისმა შიშისაგან შეკივლება, რადგან ჰაერში ისრების წვიმამ გაიშხუილა და ხალხის შორიახლოს დაეშვა. ჰარი მიხვდა, რომ კენტავრებმა ასე მიაგეს პატივი დამბლდორს. შემდეგ თვალი მოჰკრა,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორ მწყობრად შეტრიალდა მთელი რემა და ხეების გრილ ტევრში გაუჩინარდა. სირინოზები და ტრიტონებიც ნელა ჩაეშვნენ მწვანე წყალში და თვალს მიეფარნენ.

ჰარიმ ჯინის, რონსა და ჰერმიონს შეხედა. რონს შუბლი ისე შეეჭმუხნა, თითქოს მზის შუქი თვალს სჭრისო. ჰერმიონს სახე ცრემლებით დასველებოდა, ჯინი აღარ ტიროდა. მან ჰარის თვალი გაუსწორა სწორედ ისეთივე მტკიცე, ცეცხლოვანი მზერით, როგორითაც მაშინ, ქვიდიჩის ჩემპიონატის თასის უიმისოდ მოგების შემდეგ რომ გადაეხვია. და ჰარი მიხვდა, რომ იმ წუთებში მშვენივრად გაუგეს ერთმანეთს, და როდესაც ეტყოდა იმას, რასაც აპირებდა, ჯინი იმას კი არ უპასუხებდა: „ფრთხილად იყავი“ ან „არ გააკეთო ეს“, არამედ მის გადაწყვეტილებას უსიტყვოდ მიიღებდა. ამიტომ გამბედაობა მოიკრიბა და გადაწყვიტა ეთქვა ის, რაც დამბლდორის სიკვდილის წუთიდან იცოდა, რომ უნდა ეთქვა.

– ჯინი, – დაიწყო ძალიან ხმადაბლა, როცა ხალხის ზუზუნმა იმატა და ყველა სკამებიდან წამოიშალა, – აღარ შემიძლია შენთან ურთიერთობის გაგრძელება. უნდა შევწყვიტოთ ერთმანეთის ნახვა. ერთად ვერ ვიქნებით.

ჯინიმ უცნაური ღიმილით მიუგო:

– ეს რამე სულელური, კეთილშობილური მიზეზის გამოა, არა?

– შენთან გატარებული ბოლო რამდენიმე კვირა თითქოს... თითქოს სხვისი ცხოვრებიდან ამოღებული ფურცელი იყო. მაგრამ არ შემიძლია... არ შეგვიძლია... მე რაღაც საქმეები მაქვს მარტოს მოსაგვარებელი, – უთხრა ჰარიმ.

გოგონას არ უტირია, მხოლოდ უყურებდა.

– ვოლდემორი მისი მტრებისთვის ძვირფას ადამიანებს არ დაინდობს. მან ერთხელ უკვე გამოგიყენა სატყუარად, და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი საუკეთესო მეგობრის და იყავი. წარმოგიდგენია, რა საშინელ საფრთხეში აღმოჩნდები, თუ ასე გავაგრძელებთ? ის აუცილებლად შეიტყობს, ვერ დავუმალავთ. და შენი საშუალებით ჩემამდე მოღწევას შეეცდება.

– იქნებ მე ეს არ მადარდებს? – მგზნებარედ თქვა ჯინიმ.

– მე მადარდებს, – მოუჭრა ჰარიმ, – შენი აზრით, როგორ ვიგრძნობდი ახლა თავს, ეს შენი დასაფლავება რომ იყოს... და ამაში ბრალი მე მიმიძღოდეს...

ჯინიმ თვალი მოარიდა, ტბას გახედა, მერე თქვა:

– მე შენ ყოველთვის გელოდი. ყოველთვის მქონდა იმედი... ჰერმიონმა მირჩია, ცხოვრებისთვის ფეხი ამეწყო, სხვა ბიჭებს შევხვედროდი, ცოტა თამამი ვყოფილიყავი შენთან, რადგან, ხომ გახსოვს,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შენი თანდასწრებით ხმის ამოღებასაც ვერ ვბედავდი ხოლმე. ჰერმიონი ფიქრობდა, რომ უფრო შემამჩნევდი, მე თუ უფრო... ის ვიქნებოდი, რაც ვარ.

– რა ჭკვიანი გოგონაა ეს ჰერმიონი, – ჰარიმ გაღიმება სცადა, – ნეტავ, უფრო ადრე შემემჩნიე. მაშინ ხომ უამრავი დრო გვექნებოდა... თვეები, ალბათ, წლებიც.

– მაგრამ შენ მეტისმეტად გატაცებული იყავი ჯადოქრული სამყაროს გადარჩენით, – უგულოდ გაიცინა ჯინიმ, – რა გითხრა... ვერ ვიტყვი, რომ ეს გადაწყვეტილება ჩემთვის მოულოდნელობა იყო. ვიცოდი, რომ ბოლოს ასეც მოხდებოდა. ვიცოდი, რომ ვერ მოისვენებ, ვოლდემორზე თუ არ ინადირებ. ალბათ, სწორედ ამიტომაც მომწონხარ ასე ძალიან.

ჰარის ამის მოსმენა აღარ შეეძლო. იცოდა, რომ მის გვერდით კიდევ ერთ წუთს რომ გაჩერებულიყო, სიმტკიცე უღალატებდა. იქვე, შორიახლოს, რონს ჰერმიონისათვის მკლავები შემოეხვია და თმაზე ეფერებოდა, გოგონას კი მის მხარზე ჩამოედო თავი და გულამოსკვნილი ქვითინებდა, რონს გრძელი ცხვირის წვერიდან თვითონაც სწვეთავდა ცრემლები. ჰარი ადგა, ჯინის ხელი დაუქნია, დამბლდორის საფლავს ზურგი აქცია, იქაურობას გაეცალა და ტბის ნაპირს გაუყვა. ახლა მისთვის სიარული უფრო შვებისმომგვრელი იყო, ვიდრე ერთ ადგილზე უძრავად ჯდომა: სწორედ ისევე, როგორც ჰორკრუქსების მოძებნაა და ვოლდემორის დროულად მოკვლა, ვიდრე გამუდმებით ახალი საფრთხის მოლოდინი...

– ჰარი!

ჰარი შემობრუნდა. ხელჯოხს დაყრდნობილი რუფუს სკრიმჯერი ტბის გასწვრივ კოჭლობით მიდიოდა მისკენ.

– შენთან სალაპარაკო მაქვს... წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ორიოდე წუთს ერთად რომ გავიაროთ?

– არა, – გულგრილად მიუგო ჰარიმ და გზა ერთად განაგრძეს.

– ჰარი, რა საშინელი ტრაგედიაა, – ჩუმად დაიწყო სკრიმჯერმა, – სიტყვებით ვერ გადმოგცემ, როგორ შევძრწუნდი, როცა გავიგე. დამბლდორი უდიდესი ჯადოქარი იყო. მართალია, როგორც მოგეხსენება, გარკვეული უთანხმოება გვქონდა, მაგრამ ჩემზე უკეთ ვინ იცის, რომ...

– რა გნებავთ? – ჯიქურ ჰკითხა ჰარიმ.

სკრიმჯერი აშკარად გაღიზიანდა, მაგრამ სწრაფადვე მიიღო სევდიანი თანაგრძნობით აღსავსე გამომეტყველება.

– რა თქმა უნდა, განადგურებული ხარ. ვიცი, რომ დამბლდორთან ძალიან დაახლოებული, შეიძლება ითქვას, მისი უსაყვარლესი მოსწავლე იყავი. თქვენ შორის ისეთი კავშირი...


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა გნებავთ? – გაუმეორა ჰარიმ და შედგა.

სკრიმჯერიც გაჩერდა, ხელჯოხს დაეყრდნო და ჰარის ამჯერად უკვე ფხიზელი, გამჭოლი თვალით მიაჩერდა.

– ამბობენ, რომ მას ახლდი, როცა თავისი სიკვდილის ღამეს სკოლიდან გაემგზავრა.

– ვინ ამბობს? – იკითხა ჰარიმ.

– დამბლდორის დაღუპვის შემდეგ ვიღაცამ კოშკის თავზე „სიკვდილის მხვრელს" გაშეშების შელოცვით შეულოცა. იქ ორი ცოცხი ვნახეთ. სამინისტრო არც ისეთი სულელია, ჰარი.

– მიხარია ამის გაგონება, – მიუგო ჰარიმ, – მოკლედ, ის, თუ სად წავედი დამბლდორთან ერთად და რა გავაკეთეთ, ჩემი საქმეა. მას არ უნდოდა, რომ ვინმეს სცოდნოდა.

– ასეთი ერთგულება, რა თქმა უნდა, აღტაცების ღირსია, – თქვა სკრიმჯერმა, რომელიც უკვე ძლივს ფარავდა გაღიზიანებას, – მაგრამ დამბლდორი მოკვდა, ჰარი, მოკვდა!

– ის მაშინ მოკვდება, როცა სკოლაში მისი ერთგული აღარავინ დარჩება, – უპასუხა ჰარიმ და უნებურად გაეღიმა.

– ჩემო კარგო ბიჭო... საიქიოდან დამბლდორიც კი ვერ დაბრუნდება...

– არც ვამბობ, რომ დაბრუნდება. თქვენ ამას ვერ გაიგებთ. მაგრამ მე თქვენთან სალაპარაკო აღარაფერი მაქვს.

სკრიმჯერი შეყოყმანდა, შემდეგ ვითომ დელიკატური ტონით დაამატა:

– ჰარი, ხომ იცი, რომ სამინისტროს შეუძლია, ყოველგვარი მფარველობა გაგიწიოს. მე სიამოვნებით მოგამაგრებდი რამდენიმე აურორს.

ჰარის გაეცინა.

– ვოლდემორს პირადად სწადია ჩემი მოკვლა და თქვენი აურორები მას ვერ შეაჩერებენ. ასე რომ, გმადლობთ მზრუნველობისთვის, მაგრამ უარს ვამბობ.

– აბა, – სკრიმჯერს ხმა გაუცივდა, – აბა, ის თხოვნა, რითაც შობაზე მოგმართე...

– რა თხოვნა? ააა... ის, რომ მთელ სამყაროს უნდა მოვახსენო, როგორ პირნათლად ასრულებთ თქვენს მოვალეობას, იმის სანაცვლოდ, რომ...

– საზოგადოებას სტიმული მისცე! – მოუჭრა სკრიმჯერმა. ჰარიმ მინისტრი შეათვალიერა.

– სტენ შანპაიკი ჯერ არ გამოგიშვიათ?

სკრიმჯერი საძაგლად აჭარხლდა, რამაც ჰარის ძია ვერნონი მოაგონა.


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როგორც ვხედავ...

– დიახ, არ ცდებით, თხემით ტერფამდე დამბლდორის კაცი ვარ, – დაამთავრა ჰარიმ.

სკრიმჯერმა რისხვით შეხედა, შემდეგ უსიტყვოდ მიტრიალდა და კოჭლობით გაეცალა. ჰარი ხედავდა, როგორ ელოდნენ მას პერსი და დელეგაციის დანარჩენი წევრები და ნერვიულად აპარებდნენ თვალს სკამებზე დარჩენილი აზლუქუნებული ჰაგრიდისა და გრაუპისაკენ. რონი და ჰერმიონი ჰარისაკენ მოეშურებოდნენ და საპირისპირო მხარეს მიმავალ სკრიმჯერს ჩაურბინეს. ჰარი შებრუნდა და გზა აუჩქარებლად გააგრძელა, რომ მეგობრები დასწეოდნენ. ბოლოს, მართლაც წამოეწივნენ არყის ხის ჩრდილში, სადაც უფრო ბედნიერ დროსაც მსხდარან.

– რა უნდოდა სკრიმჯერს? – ჩურჩულით იკითხა ჰერმიონმა.

– იგივე, რაც შობაზე, – მხრები აიჩეჩა ჰარიმ, – უნდოდა, დამბლდორზე შიდა ინფორმაცია მიმეწოდებინა და სამინისტროს ახალი სარეკლამო სახე გავმხდარიყავი.

რონი თითქოს თავს ებრძოდა, შემდეგ ხმამაღლა უთხრა ჰერმიონს:

—იცი, რა, უნდა დავბრუნდე და პერსის ერთი გემრიელად გავულაწუნო!

– არა, – მტკიცედ მოუჭრა ჰერმიონმა და მკლავში ხელი ჩაავლო.

– გულზე მაინც მომეშვება!

ჰარის გაეცინა. ჰერმიონმაც კი ჩაიღიმა ოდნავ, მაგრამ ღიმილი მაშინვე ჩამოერეცხა სახიდან და ციხე-კოშკს ახედა.

– ჩემთვის აუტანელია ის აზრი, რომ შეიძლება, აქ აღარასდროს დავბრუნდეთ, – თქვა ხმადაბლა, – როგორ შეიძლება, რომ ჰოგვორტსი დაიხუროს?

– შეიძლება, არც დახურონ, – დაამშვიდა რონმა, – აქ ხომ იმაზე მეტი საფრთხე არ გვემუქრება, ვიდრე შინ, ასე არაა? რა განსხვავებაა. შეიძლება ითქვას, ჰოგვორტსი უფრო საიმედოც კია, რადგან აქ მეტი ჯადოქარია მის დასაცავად. შენ რას ფიქრობ, ჰარი?

– რომც გაიხსნას, მაინც არ დავბრუნდები, – მიუგო ჰარიმ.

რონმა პირი დააღო, ჰერმიონმა კი სევდიანად დაურთო:

– ვიცოდი, რომ ამას იტყოდი. აბა, მაშინ, რას აპირებ?

– დერსლებთან უკანასკნელადაც დავბრუნდები, რადგან ეს დამბლდორს უნდოდა, – უპასუხა ჰარიმ, – მაგრამ დიდხანს არ გავჩერდები, შემდეგ კი სამუდამოდ წავალ იქიდან.

– კი მაგრამ, სად წახვალ, თუ სკოლაში არ დაბრუნდები?

– შეიძლება, გოდრიკ ჰოლოუში წავიდე, – ჩაიბუტბუტა ჰარიმ. დამბლდორის სიკვდილიდან მოყოლებული ეს აზრი გამუდმებით


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უტრიალებდა თავში, – ჩემთვის ყველაფერი იქიდან დაიწყო, სულ ყველაფერი. გული იქ მიმიწევს. და თანაც, მინდა, ჩემი მშობლების საფლავები მოვინახულო.

– მერე რას იზამ? – ჰკითხა რონმა.

– შემდეგ ჰორკრუქსებს უნდა მივაკვლიო, – ჰარიმ თვალი გაუშტერა თეთრ საფლავს, რომელიც ტბის მეორე მხარეს წყალში ირეკლებოდა, – დამბლდორის სურვილიც სწორედ ეს იყო, ამიტომაც მიამბო მათ შესახებ. დამბლდორი თუ არ ცდებოდა, რაშიც უკვე დარწმუნებული ვარ, კიდევ ოთხი ჰორკრუქსი რჩება. უნდა ვიპოვო, გავანადგურო და შემდეგ ვოლდემორის სულის მეშვიდე ნაწილის ძებნას შევუდგე; იმ ნაწილისა, რომელიც ჯერაც მის სხეულშია, მისი მოკვლა ხომ ჩემი წერაა. და გზად სევერუს სნეიპი თუ გადამეყარა, მით უკეთესი ჩემთვის, და მით უარესი მისთვის.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა. ხალხი თითქმის მთლიანად დაშლილიყო. კანტიკუნტად ჩამორჩენილები გრაუპის უზარმაზარ ფიგურას კარგა შორ მანძილზე უქცევდნენ გვერდს. გრაუპს გულში ჰაგრიდი ჩაეკრა, რომლის გულიანი მოთქმა-ტირილი ექოდ ირეკლებოდა ტბაზე.

– ჩვენ მოგაკითხავთ, ჰარი, – სიჩუმე დაარღვია რონმა.

– რაა?

– დეიდაშენისა და ბიძაშენის სახლში, – განაგრძო რონმა, – და შემდეგ, თუნდაც, ქვეყნის დასალიერამდე წამოგყვებით.

– არა, – სასწრაფოდ იუარა ჰარიმ. ამის გაგონება არც კი სურდა, პირიქით, ცდილობდა, მეგობრებისათვის ჩაეგონებინა, რომ ამ ძალზე სახიფათო მოგზაურობას მარტო აპირებდა.

– ერთხელ ადრეც გვითხარი, რომ შენთვის ზურგის შექცევას თუ გადავწყვეტდით, მგონი, არჩევანის გასაკეთებლად უკვე საკმარისზე მეტი დრო გვქონდა, ასე არაა? – მშვიდად ჰკითხა ჰერმიონმა.

– რაც უნდა მოხდეს, ჩვენ შენ გვერდით ვიქნებით, – გადაჭრით განუცხადა რონმა, – მაგრამ, მეგობარო, სანამ გზას გავუდგებით, გოდრიკ ჰოლოუში წასვლამდეც კი, ჯერ ჩვენ უნდა გვეწვიო.

– რატომ?

– ბილისა და ფლერის ქორწილი დაგავიწყდა?

ჰარი გაცბუნებული მიაჩერდა. ის აზრი, რომ შეიძლებოდა, ისეთ ნორმალურ რამეს, როგორიც ქორწილია, კიდევ ეარსება, დაუჯერებლად, მაგრამ საუცხოოდ მოეჩვენა.

– რა თქმა უნდა, ამას ხომ ვერ გამოვტოვებ, – თქვა ბოლოს.

ხელი უნებურად მოუჭირა ყალბ ჰორკრუქსს, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად ბნელი და დაკლაკნილი გზისა,


https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომელიც მომავალში ელოდა, მიუხედავად ვოლდემორთან საბ-ოლოო, გარდაუვალი შეხვედრისა ერთ თვეში, ერთ წელიწადში თუ ათი წლის შემდეგ, გულიდან ლოდი მოეხსნა იმის გაფიქრებაზე, რომ რონთან და ჰერმიონთან ერთად კიდევ ერთ მშვიდ, უკანასკნელ ძვირფას დღეს გაატარებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/